Papava V., (2025). "Inshoring as the New US Priority, and Why Trump's Trade War does not Mean the End of Globalization." *SSRN*, June 19, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=5241180>.

Papava V., (2026). "Pandemic, Wars, MAGAnomics, and the Manufacturization of the Economy: Donald Trump, Karl Marx, and the Mercantilists." *SSRN*, July 27, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=7168318>.

Papava V., Bedianashvili G., (2025). "Trade Wars and Disruptions in Global Supply Chains in an Era of Growing Uncertainty." *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia*, 19/193(4), 207–212, <http://science.org.ge/bnas/t19-n4/30_Papava_Economics.pdf>.

Raufoglu A., (2026). "US Senate Passes Russia Sanctions Bill Targeting Moscow's Energy Revenues." *Radio Free Europe/Radio Liberty*, August 7, <https://www.rferl.org/a/russia-ukraine-senate-trump-graham-sanctions/33824412.html>.

Rodrik D., (2011a). *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy*. New York: W. W. Norton & Company.

Rodrik D., (2011b). "The Manufacturing Imperative." *Project Syndicate*, August 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-manufacturing-imperative>.

Rodrik D., (2015). "Premature Deindustrialization." *National Bureau of Economic Research Working Paper 20935*, <https://www.nber.org/system/files/working_papers/w20935/w20935.pdf?utm_source=PANTHEON_STRIPPED>.

Rodrik D., (2022). "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05>.

Rodrik D., (2025). "What Tariffs Can and Can't Do." *Project Syndicate*, January 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-has-wrong-concept-of-tariffs-by-dani-rodrik-2025-01>.

Rodrik D., (2026). "How I Became a Manufacturing Skeptic." *Project Syndicate*, May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/services-not-manufacturing-best-hope-for-developing-countries-by-dani-rodrik-2026-05?utm_source=project-syndicate.org&utm_medium=email&utm_campaign=authnote&>.

Spence M., (2021). "Why Are Supply Chains Blocked?" *Project Syndicate*, November 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/prevent-future-supply-chain-disruptions-using-ai-models-by-michael-spence-2021-11>.

Stiglitz J. E., (2026). "Trump's New Tariffs Are an Opportunity to Fight Back." *Project Syndicate*, July 30, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-tariffs-unserious-rationale-calls-for-serious-retaliation-by-joseph-e-stiglitz-2026-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5c78c8dd39-Economics_Newsletter_2026_08_06&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-88dbc262f3-93567601>.

Subramanian A., (2026). "The Mother of All Economic Shocks Is Chinese Mercantilism." *Project Syndicate*, July 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/chinese-mercantilism-mother-of-all-global-shocks-by-arvind-subramanian-2026-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=3feed6f91f-Economics_Newsletter_2026_07_16&utm_medium=email&utm_term=0_-8288adee37-93567601>.

UN, (2008). *International Standard Industrial Classification of All Economic Activities Revision 4*. New York, United Nations, <https://unstats.un.org/unsd/publication/seriesm/seriesm_4rev4e.pdf>.

Warlow T. D., Pitts S. T., Kamery R. H., (2007). "Mid-18th Century Economic Changes: The Rise of Adam Smith and the Decline of the Mercantilists and Physiocrats." *Journal of Economics and Economic Education Research*, Vol. 8, No. 3, 67–82,

<https://www.alliedacademies.org/articles/mid18th-century-economic-changes-the-rise-of-adam-smith-and-the-decline-of-the-mercantilists-and-physiocrats.pdf>.

WB, (n/d). "Metadata Glossary of the World Bank." *The World Bank Group*, <https://databank.worldbank.org/metadataglossary/world-development-indicators/series/NV.IND.MANF.ZS>.

WH, (2025). "Fact Sheet: President Donald J. Trump Imposes Tariffs on Imports from Canada, Mexico and China." *The White House*, February 1, <https://www.whitehouse.gov/fact-sheets/2025/02/fact-sheet-president-donald-j-trump-imposes-tariffs-on-imports-from-canada-mexico-and-china/>.

Ye P., Xiao T., Liu H., (2012). "Performance Analysis about Chinese Service Industry Manufacturization." In: *International Conference on Management of e-Commerce and e-Government (ICMeCG)*, 20-21 October, Beijing, China. New York: IEEE, DOI: 10.1109/ICMeCG.2012.61, <https://ieeexplore.ieee.org/document/6374956>.

Zhang P., Ye T., Qiao X., Zhu H. (2025). "Service-Manufacturing Integration and the "Baumol's Disease" Trap: Experience from China and Global Patterns." *China Finance and Economic Review*, Vol. 14, Iss. 2, pp. 24-44, <https://www.degruyterbrill.com/document/doi/10.1515/cfer-2025-0008/html?srsltid=AfmBOooFSnJPxQIPvh6mFpHu4rOwI07dBeFio7k5r7iVdIWRgWIf5QQa>.

On The Manufacturization of the Global Economy

Vladimer Papava
Academician, Academician-Secretary of the Georgian National Academy of Sciences;
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Chief Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics
vladimer.papava@tsu.ge

Summary

The paper examines the essence of the manufacturization of the economy, whereby the role and importance of manufacturing industries in the national economy are increasing, and analyzes the factors determining these processes. In particular, it is argued that the manufacturization of the economy is driven by disruptions in global supply chains caused by pandemics, wars, and economic sanctions. Friendshoring, nearshoring, and inshoring are increasingly being adopted to enhance the resilience of these chains, with the latter encompassing reshoring. In this context, the manufacturization of the economy has taken on a distinctly global character. The trade war initiated by US President Donald Trump, under the banner of so-called "MAGAnomics," is analyzed separately. Its theoretical foundation is rooted in "modern mercantilism," with the principal objective of increasing the degree of manufacturization of the US economy. However, the theoretical basis of MAGAnomics is so weak that it will most likely generate predominantly negative consequences for both the US and its trading partners.

Keywords: Manufacturization of the Economy, Globalization, Global Supply Chains, Pandemics, Wars, Economic Sanctions, MAGAnomics, Mercantilism, Modren Mercantilism.

გლობალიზაცია: ახალია კონვერგეცია თუ „დიდი დივერგენციის“ დაბრუნება?

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
elguja.mekvabishvili@tsu.ge

ანოტაცია. *გლობალიზაციამ, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის პროდუქტია, მრავალფეროვანი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მიმდინარე კონვერგენციისა და დივერგენციის პროცესებზე. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ 1950-იანი და 1960-იანი წლები წარმოადგენდა მსოფლიო მასშტაბით მზარდი კონვერგენციის პერიოდს. ეს პროცესი გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ეკონომიკაში საბაზრო ელემენტების დანერგვით და, მეორე მხრივ, თავისუფალი ბაზრის კაპიტალისტური ეკონომიკების მზარდ „სოციალიზაციაში“. თუმცა, კონვერგენციის პროცესი ხანგრძლივი არ ყოფილა. ის მალევე შეწყდა როგორც სოციალისტურ ქვეყნებში ადმინისტრაციული და ცენტრალიზებული ტენდენციების გაძლიერებით, ასევე დასავლეთის წამყვან ეკონომიკებში ლიბერალიზმის აღზევებით. შეერთებულ შტატებში ეს ცვლილება აისახა რეიგანომიკის სახელით ცნობილ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ის ტეტჩერიზმში განსახიერდა. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან დივერგენციის პროცესმა ხელახლა იჩინა თავი. მას თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს მიწოდების ნეოკლასიკური თეორია უქმნიდა. საქართველოში დივერგენციის პროცესი დაიწყო პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის განმავლობაში და კვლავ მნიშვნელოვანი ინტენსივობით გრძელდება. ნაშრომში გამოკვლეულია ამ პროცესის საფუძვლად მდგომი მიზეზები და დივერგენციის შემცირების მთავარ პირობად განსაზღვრულია ეკონომიკური განვითარების ორთოდოქსული ლიბერალური მოდელის კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელით ჩანაცვლება.*

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, კონვერგენცია, დივერგენცია, ეკონომიკური მოდელი, საქართველოს ეკონომიკა*

შესავალი

თემის გადმოცემას ძირითადი ცნებების ეტიმოლოგიით დავიწყებთ. „გლობალიზაცია“ - წარმოდგება ინგლისური სიტყვისგან Globe და ნიშნავს სფეროს, გლობუსს, დედამიწას; სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ის პლანეტარული მასშტაბით განვითარებულ მოვლენებს და პროცესებს გულისხმობს. „კონვერგენცია“ - ლათინური convergento - დან წარმოდგება და დაახლოებას, თანხვედრას ნიშნავს. ის სხვადასხვა მეცნიერებაში გამოიყენება და აღწერს საპირისპირო მოვლენების, იდეების დაახლოებას და შერწყმას. სოციოლოგიასა და თეორიულ ეკონომიკაში კონვერგენცია გულისხმობდა ორი

დაპირისპირებული სისტემის - კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაახლოება-შერწყმის პროცესს. სოციალურ მეცნიერებებთან ცნების ინტერპრეტირების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოსაა კონვერგენციის ფენომენის გაგება ბიოლოგიური მეცნიერების მიერ, რომელიც მის ქვეშ განიხილავს სხვადასხვა, არაერთნაირი სახეობის ორგანიზმების მიერ მსგავსი ფორმების და თვისებების შეძენას ერთნაირი გარემოპირობების ზეგავლენით (ქართული ენციკლოპედია,1982. georgianenciklopedia.ge (PDF).

„დივერგენცია“ ასევე, ლათინური divergento-სგან მომდინარეობს და ნიშნავს სხვადასხვაობას, გადახრას, დიფერენციაციას. გამოიყენება ბიოლოგიაში, მედიცინაში, ვექტორულ აღრიცხვაში და სხვა მეცნიერებაში. დივერგენციის ცნება საფუძვლად დაედო „დიდი დივერგენციის“ სოციალურ-ეკონომიკურ თეორიას, რასაც უფრო დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილავთ.

გლობალიზაცია, კონვერგენცია და დივერგენცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია. გლობალიზაცია, ერთი მხრივ, ხელს უნდა უწყობდეს (გარკვეულწილად უწყობს კიდეც) კონვერგენციას, გამომდინარე იქედან, რომ აჩქარებს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის პროცესს, აფართოვებს ბაზრის მასშტაბებს აადვილებს ახალი ტექნოლოგიების, ცოდნის, ინოვაციების დანერგვას, აუმჯობესებს ფინანსურ რესურსებზე, ინვესტიციებზე ხელმისაწვდომობას და ა.შ. მეორე მხრივ, გლობალიზაცია აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას, როგორც ქვეყნებს შორის, ასევე, ქვეყნის შიგნით (Epple, 2025; Hulsemeyer, 2003; Grinin, Corataev, 2015; Inkeles, 1999; Baldvin, 2016.) და სხვ.

„მხოლოდ ჩინეთში 1970-იანი წლებიდან, გაეროს კლასიფიკაციით დადგენილი ზღვარი 400 მლნ. ადამიანმა გადალახა, თუმცა მათ ხშირად მიუღებელ შრომით პირობებში უწევთ მუშაობა. ამავე დროს, კეთილდღეობის გადანაწილება მსოფლიოში ისე უსამართლოდ ხდება, როგორც არასდროს. სულ უფრო იზრდება შემოსავლების დონეებს შორის განსხვავება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, თუმცა ეს მდიდარ სახელმწიფოებშიც ხდება“ (სიმონ ფაუტი და სხვები, 2013).

პრობლემის სირთულის და აქტუალურობის გათვალისწინებით, ჩვენ მას რამდენიმე მიმართებით განვიხილავთ, კერძოდ:

- შევეცდებით ვაჩვენოთ დივერგენციისა და კონვერგენციის დიალექტიკური ურთიერთმონაცვლეობა და შესაბამის სოციო-ეკონომიკურ თეორიებში ამ პროცესის ასახვის ლოგიკა და ისტორია;
- დავასაბუთოთ ჰიპოთეზა, რომ გლობალიზაციის დაწყებამ, არსებული მოლოდინების საწინააღმდეგოდ, განაპირობა მსოფლიოში „დიდი დივერგენციის“ დაბრუნება;
- ავხსნათ, თუ რა მიზეზმა განაპირობა გლობალიზაციის მიერ მსოფლიოში დივერგენციის პროცესის გაღრმავება;
- ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახა დივერგენციის პროცესი საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდსა და თანამედროვე რეალობაში;
- ჩამოვაყალიბოთ მოსაზრებები გლობალური მასშტაბით და საქართველოს პირობებში დივერგენციის შერბილების შესაძლებლობის შესახებ.

დივერგენციისა და კონვერგენციის ურთიერთმიმართების ლოგიკა და ისტორია

დივერგენციის ფენომენი სოციოლოგიურ ლიტერატურაში აისახა „დიდი დივერგენციის“ თეორიაში (The Great Divergence),რომლის ავტორია ამერიკელი მეცნიერი სამუელ ჰანტინგტონი. ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“(1996), მან ჩამოაყალიბა სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია, რაც აღწერს XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთმა (იგულისხმება დასავლეთ ევროპა და ჩრდ.ამერიკა), როგორ რადიკალურად გაუსწრო დანარჩენ მსოფლიოს. ჰანტინგტონი ამის მთავარ მიზეზად რელიგიისა და კულტურის სფეროში არსებულ განსხვავებებს მიიჩნევს და, ფაქტობრივად, აგრძელებს მაქს ვებერის კონცეფციას (ვებერი, 2024). სხვა მკვლევარები ასახელებენ სხვა მიზეზებსაც. მაგალითად: ა). ინდუსტრიული რევოლუცია, ახალი ტექნოლოგიები და ზოგადად ინოვაციები, რამაც გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის რადიკალური გაზრდა (შუმპეტერი, 1942); ბ).რესურსების ხელმისაწვდომობა და კოლონიები (Pomeranz, 2000); გ). ინსტიტუტები და კულტურა (აჯემოღლუ, რობინსონი, 2024; რეინერტი, 2019; Харрисон, 2008) და სხვ.

კონვერგენციის თეორიის წარმოშობა უფრო გვიანდელ პერიოდს უკავშირდება და მისი შემქმნელები არიან ცნობილი მეცნიერები პიტერიმ სოროკინი, თავისი „ინტეგრალური წესრიგის კონცეფციით“, რაიმონ არონი და ჯონ კენეთ გელბრეითი. არონმა შექმნა ინდუსტრიული საზოგადოების თეორია და ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას და სოციალისტურ ცენტრალიზებულ ეკონომიკას ერთნაირი ინდუსტრიული (ტექნიკურ-ტექნოლოგიური) საფუძველი გააჩნია, რაც მათი დაახლოების შესაძლებლობას წარმოშობს. იგი წერდა- „განვითარება არის ინდუსტრიალიზაცია, რაც ყველაგან ერთნაირი ფაზებით მიმდინარეობს“ (Aron, 1965). არონი, ასევე, მიუთითებდა, რომ ეფექტიანობის აუცილებლობა საბჭოთა სისტემას აიძულებდა შემოეტანა გარკვეული საბაზრო ელემენტები და დასავლეთური მენეჯმენტის ცალკეული გამოცდილება. რაც შეეხება დასავლეთის ეკონომიკურ სისტემას, მეცნიერის აზრით, ის კარგავდა „მე-19-ე საუკუნისთვის დამახასიათებელ ლიბერალიზმს“ (იგივე წყარო), რაც ვლინდებოდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებით, რეგულირების სხვადასხვა მეთოდის და ინსტრუმენტის აქტიური გამოყენების გზით. ასევე, ყალიბდებოდა სოციალური პროგრამების ფართოდ გამოყენების პრაქტიკა, რაც „კაპიტალიზმის სოციალიზაციაზე“ მიანიშნებდა. უნდა აღინიშნოს, რომ არონი ყოველთვის წერდა ორი სისტემის დაახლოებაზე და არა შერწყმაზე, რაც, შემდგომში ხშირ შემთხვევაში კონვერგენციის ფენომენის ქვეშ მოიაზრებოდა.

კონვერგენციის თეორიის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს, პროფესორ ჯ.კ. გელბრეიტს, რომელიც კონვერგენციას ინსტიტუციონალური კუთხით განიხილავდა, კერძოდ, კი ორგანიზაციულ იმპერატივზე აკეთებდა აქცენტს. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „ახალი ინდუსტრიული სახელმწიფო“(1967) იგი წერს „მენეჯერთა ახალ კლასზე“, რომელიც, როგორც დასავლეთის, ასევე საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში აკონტროლებს ეკონომიკას და რომელსაც ეკუთვნის რეალური ძალაუფლება. კონტროლის მთავარი მექანიზმი, მისი აზრით, ხუთწლიანი გეგმებია, რაც საბჭოთა კავშირში მთელი სახელმწიფოს, ხოლო აშშ-ში მსხვილი

კორპორაციების დონეზე გამოიყენება. არონისგან განსხვავებით, რომელიც ორი საპირისპირო სისტემის მხოლოდ დაახლოებაზე საუბრობდა, გელბრეითი პერსპექტივაში მათი შერწყმის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა.

კონვერგენციის თეორიის აღზევება 1950-იანი წლების ბოლოდან, 1970-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდს უკავშირდება და მას ობიექტური საფუძველი გააჩნდა.

იმპულსური და გაუწონასწორებელი საბჭოთა ლიდერის ნ. ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ეკონომიკა კოლაფსის მდგომარეობაში ჩააგდო. ახალმა ხელმძღვანელობამ კრიზისიდან გამოსავლის ძიება დაიწყო და ერთ-ერთ გზად მიჩნეულ იქნა საბჭოთა ადმინისტრაციულ მბრძანებლურ სისტემაში საბაზრო ელემენტების დოზირებული შეტანა.

რეფორმას წინ უძღოდა დისკუსია, რომელიც დაიწყო საბჭოთა კომუნისტების მთავარ გაზეთში „პრავდა“ რუსი ეკონომისტის ევსეი ლიბერმანის სტატიის - „გეგმა, მოგება, პრემია“ გამოქვეყნებით. სწორედ ეს გახდა ამი რეფორმის თეორიული საფუძველი, რასაც კოსიგინის „ეკონომიკურ რეფორმასაც“[1] უწოდებენ და გულისხმობდა საწარმოებისთვის მეტი საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებას, მატერიალური სტიმულირების გაძლიერებას, საწარმოთა საქმიანობის შეფასების მთავარ მაჩვენებლად მოგების და რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა, რომელიც 1964 წლიდან დაიწყო, დიდხანს არ გაგრძელებულა. ის 1968 წელს შეწყდა „პრაღის გაზაფხულის“ სახელწოდებით ცნობილი მოვლენების გამო.

ამავე პერიოდში დასავლეთ ქვეყნების მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკა წარიმართებოდა კეინზიანური მოდელის საფუძველზე და ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამების მნიშვნელოვან ზრდას, რაც მანამდე უცხო იყო კაპიტალიზმისთვის. 1950-იან - 1960-იან წლებამდე კაპიტალის ინტერესები ყოველთვის პრევალირებდა შრომის ინტერესებზე და კაპიტალიდან და შრომიდან მიღებულ შემოსავლებს შორის დიდ განსხვავებაში აისახებოდა. 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა სწორედ „ადამიანი-კაპიტალის“ თეორია და „საყოველთაო კეთილდღეობის“ დოქტრინა, რაც, პრაქტიკულად, ერთობლივ მოთხოვნაზე ორიენტირებული და რეგულირებადი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის კეინზიანური თეორიის რეალურ ცხოვრებაში რეალიზების პირდაპირი შედეგი იყო. ყოველივე აღნიშნული კონვერგენციის თეორიის განვითარების მყარ საფუძველს იძლეოდა.

1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა ეპოქალურმა მოვლენებმა, რომლებიც სოციალიზმის საბჭოური მოდელის კრახით გამოიხატა, საბოლოოდ ბოლო მოუღო კონვერგენციის, როგორც ორი საპირისპირო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სისტემის დაახლოება-შერწყმის პროცესის გაგებას. ამიერიდან კონვერგენცია განიხილება ქვეყნების შიგნით სხვადასხვა სოცილური ჯგუფის შემოსავლების და ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის დაახლოების შინაარსით, დივერგენცია კი - პირიქით, შემოსავლებს და ზოგადად ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ზრდას გულისხმობს.

[1] ალექსეი ნიკოლოზის ძე კოსიგინი იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1964-1980წწ.

აღნიშნული თვალსაზრისით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან - ეს პროცესი გლობალიზაციის ძლიერი ზეგავლენით მიმდინარეობს, რაც ლოგიკურად მოითხოვს გლობალიზაციის როლის შესწავლას კონვერგენცია - დივერგენციის რთულ დიალექტიკურ ერთიანობაში.

გლობალიზაცია და „დიდი დივერგენციის“ დაბრუნება

1970-იან წლების შუა პერიოდში აშშ და მასთან ერთად დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები ეკონომიკური კრიზისის „ღრმა ორმოში“ ჩავარდნენ. ბუნებრივია, დასავლეთის ცნობილი ეკონომისტები, პოლიტიკოსები და ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლები მონდომებით ცდილობდნენ, როგორც ამ კრიზისის მიზეზების დადგენას, ასევე, მისგან თავის დაღწევის გზების მოძიებას. მრავალ მიზეზთა შორის ორი მთავარი გამოიყო: ენერგეტიკული კრიზისი და თეორიული ეკონომიკური მეცნიერების, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლის კრიზისი. ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა უფრო ადვილი აღმოჩნდა თეორიის კრიზისთან შედარებით, რამეთუ ეს უკანასკნელი პარადიგმული ცვლილების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული. საბოლოო ანგარიშით, ის ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: პირველი, ერთობლივ მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანური თეორია - ერთობლივ მიწოდებაზე ორიენტირებული ნეოკლასიკური თეორიით შეიცვალა, რაც მოგვანებით, საფუძვლად დაედო რეიგანეკონომიკას აშშ-ში, ტეტჩერიზმს - დიდ ბრიტანეთში და ჰ. კოლის კონსერვატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას - დასავლეთ გერმანიაში. მეორე, ჩამოყალიბდა ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის როლში ეროვნული ეკონომიკის გლობალური ბაზრით ჩანაცვლების, ანუ ეკონომიკის გლობალიზაციის პარადიგმა, რასაც ამ იდეის ავტორთა აზრით, უნდა უზრუნველეყო სამი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა: ა) ეკონომიკურ ზრდის დაჩქარება, ეკონომიკური სისტემის დინამიურობის ამაღლება მეგა (გლობალურ) და მაკროდონეებზე; ბ) როგორც მსოფლიო, ასევე, ეროვნული ეკონომიკების ვოლატილობის მინიმუმამდე შემცირება; გ) მსოფლიო „ეკონომიკური და სოციალური ლანდშაფტის მოსწორება“, ანუ სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანას შორის შემოსავლებში და ცხოვრების დონეებში არსებული განსხვავებების საგრძნობი შემცირება. იმის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, რომ „გლობალიზაცია“ პლანეტარული მასშტაბის კეთილდღეობის სინონიმად ყოფილიყო აღქმული. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა განხორციელებულიყო „თავისუფალი ბაზრის“ ნეოლიბერალური მოდელის ჩარჩოში, ანუ, როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველი თომას ფრიდმანი წერს: „გლობალიზაცია ნიშნავს თავისუფალი კაპიტალიზმის ბაზრის გავრცელებას მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში“ (Friedman, 2026).

ნეოლიბერალურ დოქტრინაზე დაფუძებული ეკონომიკური პოლიტიკა აშშ-ში და დასავლეთის სხვა განვითარებული ქვეყნებში გულისხმობდა მოგების გადასახადების საგრძნობლად შემცირებას, ქონებაზე გადასახადისთვის, პრაქტიკულად, სიმბოლური ხასიათის მინიჭებას, საყოველთაო დერეგულირებას, ტოტალურ პრივატიზაციას და ა.შ. ფაქტობრივად, ეს იყო დიდი ბიზნესის ინტერესებში ჩაყენებული **პროკორპორატიული პოლიტიკა,** რომელიც დასავლეთში 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, 1990-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიო ეკონომიკის დონეზე გავრცელდა და **გლობალიზაციის პროკორპორატიული მოდელის სახე შეიძინა.** პროკორპორატიულმა ეკონომიკურმა

პოლიტიკამ (პროკორპორატიულმა მოდელმა), გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ასევე, ცალკეული ქვეყნების შიგნით დივერგენციის გაძლიერებაში, და არსებითად „დიდი დივერგენციის“ დაბრუნება განაპირობა. ჩვენ ამ დროს ვხედავთ დიდი კომპანიების მოგების კოლოსალურ ზრდას. ასე მაგალითად, 1980-2015 წლებში კომპანიების წმინდა მოგება 5-ჯერ გაიზარდა და მსოფლიო ეკონომიკის ტემპს 70%-ით გადააჭარბა. 2020 წელს მსოფლიოს ათი ათას ორასი მსხვილი კომპანიის მოგებამ 712,7 მლრდ დოლარი შეადგინა და წინა წლის მაჩვენებელს 14%-ით გადააჭარბა (ეკონომიკა და ბიზნესი, 2022).

დერეგულირების შედეგად, რაც კორპორატიული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა, ძირითადად, მსხვილი საფინანსო კორპორაციების უმაღლეს მმართველ რგოლში მოვიდნენ ყოველგვარი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობისგან დაცლილი მტაცებლური ფსიქოლოგიის ადამიანები (ე.წ. „დიდი ბიზნესის ზვიგენები“), რომელთა მთავარ მამოძრავებელ მიზანს ნებისმიერ ფასად, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება წარმოადგენდა. ისინი უზარმაზარ ხელფასებს, ბონუსებს იღებდნენ და საზოგადოების ყველაზე მდიდარი ადამიანების წრეში ეწერებოდნენ. მათ შესახებ მწვავე კრიტიკას არ იშურებდა ნობელიანტი ამერიკელი ეკონომისტი პ. სამუელსონი, რომელიც წერდა - „დიდი კომპანიების ტოპ-მენეჯერები უსინდისოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ, რაც ხშირად 400-ჯერ აჭარბებს რიგითი თანამშრომლის ჯამაგირს“, მაშინ როცა „ოცი წლის წინ განსხვავება მხოლოდ 40-ჯერადი იყო“ (სამუელსონი, 2009).

აღნიშნულის პარალელურად, განუხრელად უარესდებოდა დაქირავებული მუშების ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. ასე მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოდან და 1980-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ში არსებითად შეწყდა მუშების რეალური შემოსავლების ზრდა. თუკი მუშის საშუალო საათობრივი ანაზღაურება 1980 წელს იყო 7,78 დოლარი (1982 წლის საბაზრო ფასებით გაანგარიშებული), 1985 წელს ის შემცირდა 7,53 დოლარამდე, 1999 წელს - 7,37 დოლარამდე (მექვაბიშვილი, 2018). როგორც ავტორიტეტულ ჟურნალ „The Economist“-შია აღნიშნული: „მრავალ მდიდარ ქვეყანაში ხელფასების ზრდის ტემპი ბოლო ათი წლის განმავლობაში ინფლაციას საკმაოდ ჩამორჩებოდა“, რის გამოც „ადამიანებს უფრო მეტი შრომა უწევდათ ნაკლები ანაზღაურების მისაღებად. ასე, რომ ცხოვრების სტანდარტი გაზრდის ნაცვლად შემცირდა“ (The Economist, 2014).

ინდუსტრიულად დაწინაურებულ ქვეყნებში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკური და სოციალური დივერგენცია. მსოფლიოს მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონე, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. ბოლო ხუთი ათეული წლის განმავლობაში ხელფასის ხვედრითი წილი მსპ-ში განუხრელად მცირდებოდა (www.project-sydicate.org/commentary/ong-term-global-economic-projects-kaushi-ki-basu-2017.06). ამავე დროს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის სულ რაღაც 15%-იანი უმცირესობის ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში 1970-იანი წლების დასაწყისთან შედარებით 2000-იანის დასაწყისში 2,5-ჯერ გაიზარდა (მსოფლიო 2015). მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანის, ამერიკელი ბიზნესმენის ილონ მასკის ქონება აღემატება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსპ-ს . ბილ გეითსი , ჯეფ ბეზოსი და უორენ ბაფეტი ერთად აღებული მეტ სიმდიდრეს ფლობს, ვიდრე აშშ-ის საშუალო შემოსავლების მქონე 160 მლნ მოქალაქე (პანტინგნტონი,2023).

ცალკე უნდა გამოიყოს და გაანალიზდეს დივერგენციის პროცესში **საზოადოების ციფრული ტრანსფორმაციის** როლი. აღნიშნულ საკითხს გააჩნია მაკროეკონომიკური და გლობალური ასპექტები.

ციფრული ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ აშშ-ში საზოგადოების ახალი სტრატიფიკაციის დაწყება განაპირობა, რომელიც სტრუქტურული დივერგენციის გაძლიერებაში გამოიხატა. სულ უფრო მეტ ძალას იკრებს „ტექნოფუტურიზმის“ ტენდენცია და წარმოიშვა პრინციპულად ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და უპირატესად მომავალზე ორიენტირებული სოციალური ფენა - ე.წ. „ტექნოფუტურისტების“ სახით, იგი აერთიანებს ახალი ტექნოლოგიების შემქმნელ, გამომყენებელ(დამნერგავ) და მესაკუთრე „ტექნომილიარდერთა“ ჯგუფს, რომელიც უდიდეს ფინანსურ რესურს და მასთან ერთად პოლიტიკურ ძალას ფლობს. როგორც წესი, ტექნოფუტურისტები ციფრული ტექნოლოგიების შემოქმედნი არიან და მათი საქმიანობა რეალური სამყაროს ვირტუალიზაციასთანაა დაკავშირებული.

გლობალური კონტექსტით, ციფრული ტრანსფორმაციისგან ყველაზე დიდი სარგებელი ცოდნასა და ინფორმაციაზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა მიიღეს გამომდინარე იქედან, რომ მაღალი დამატებული ღირებულების შემცველი მათი ინოვაციური პროდუქტების ბაზრები არნახულად გაფართოვდა. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია, რამეთუ ციფრული ინოვაციური პროდუქტების წარმოება, თავდაპირველად, დიდ ხარჯებს მოითხოვს, კვლევებსა და დამუშავებაზე გაწეული მაღალი დანახარჯებიდან გამომდინარე. ამასთანავე, შესაძლებელია მსოფლიო (გლობალურ) ბაზარზე მათი მილიონობით ეგზემპლარის გაყიდვა, ანუ მიღებული მოგება მით უფრო დიდია, რაც უფრო ფართოა გასაღების ბაზარი. სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ე.წ. „მარტივ საქონელთან“ ანუ მასობრივი მოხმარების პროდუქტებთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, თუმცა, კვლევებსა და დამუშავებებზე დანახარჯები დიდი არ არის, სამაგიეროდ პროდუქტის მოცულობის ზრდა მისი წარმოების დანახარჯების ზრდის თანაბრად ხდება. გლობალური ეკონომიკა დღეს მკაცრადაა სტრუქტურიზებული და სეგმენტირებული: პოსტინდუსტრიული ქვეყნები მაღალტექნოლოგიურ, ინოვაციურ, მაღალი დამატებული ღირებულების შემცველ ციფრულ პროდუქტებს აწარმოებენ, დაბალი ღირებულების შემცველი მარტივი საქონლის წარმოება კი - გლობალური ეკონომიკის „პერიფერიაშია“ გადატანილი, რომელიც იაფი რესურსით გამოირჩევა. ასე, მაგალითად ტექსტილის მრეწველობა მრავალი წლის განმავლობაში ევროპის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო, მაგრამ ამჟამად, მასობრივადაა გადატანილი ინდოეთში, ჩინეთში, ინდონეზიაში, ვიეტნამში, პაკისტანში, ბანგლადეშში და ა.შ., ევროპაში კი მხოლოდ დიზაინის სფეროა შემორჩენილი. შესაბამისად, მკვეთრი საზღვარია გავლებული მაღალკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური მუშახელის ანაზღაურებას შორის.

რა თქმა უნდა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში დასაქმებული ადამიანები თავიანთ შრომაში გარკვეულ ანაზღაურებას იღებენ, მაგრამ განივითარებელ ქვეყნებთან შედარებით, განსხვავება ძალიან დიდია და მუდმივად იზრდება. „პერიფერიული“ ქვეყნები მუდმივი ჩამორჩენისთვის არიან განწირული და თანაც, შემოსავლების გადანაწილება მათში ძალიან უთანაბრო. თუმცა, როგორც ზევით დავინახეთ, მსგავსი სიტუაციიდან არც განვითარებული ქვეყნებია დაზღვეული. აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე

მონაცემს მოვიყვანთ: ჩრდილოეთ ამერიკის და ევროპის კონტინენტებზე, სადაც მთელი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 17% ცხოვრობს, გლობალური სიმდიდრის 57%-ია თავმოყრილი. ლათინური ამერიკის ქვეყნების ხვედრითი წილი მოსახლეობაში 3-ჯერ, ხოლო აფრიკისა - 9-ჯერ აღემატება გლობალურ სიმდიდრეში მათ ხვედრით წილს(Credit Suisse, 2021).

როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი შენიშნავს „გლობალიზაციით აშკარად მოგებული დარჩა მსოფლიო მოსახლეობის 1% პლუტოკრატიის სახით, დანარჩენის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ზოგიერთ შემთხვევაში გაუარესდა კიდეც“ (Stiglitz, 2012). შეუძლებელია არ დაეთანხმო მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის ამ მოსაზრებას. დღეს აშკარაა, რომ გლობალიზაციით ინსპირირებული ეკონომიკური ზრდის შედაგად შექმნილი დოვლათის უმეტესი ნაწილი სოციალური კიბის ყველაზე მაღალ საფეხურებზე მყოფთა ჯიბეებში დაილექა და ქვემდგომებს მიზერული წილი ერგო. ეკონომიკის ფინანსიალიზაციის, საფონდო ბაზრის ინდექსების სწრაფი ზრდის პირობებში კოლოსალური მოგებები ფინანსურ მაგნატებს მისდის, დაქირავებული მუშაკების ხელფასები კი სტაგნაციას განიცდის. სამწუხარო რეალობაა, რომ ამჟამად დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი გაცილებით მეტს შრომობს წინანდელ პერიოდებთან შედარებით, თუმცა მათი ცხოვრების დონე მაინც ეცემა (Politikano, 2025).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ **გლობალიზაცია „დიდი დივერგენციის“ დაბრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა.** თუმცა, აღნიშნული თეზისი აუცილებლად მოითხოვს დაზუსტებას. აქ ჩვენ ვგულისხმობთ, არა ზოგადად გალობალიზაციას, რომელიც ობიექტური და კანონზომიერი პროცესია, არამედ თავისი შინაგანი ბუნებით ინკლუზიურობასა და სამართლიანობასთან ანტაგონიზმში მყოფ ნეოლიბერალურ, კორპორატიულ მოდელს, რის შესაბამისად მიმდინარეობდა პროცესები, როგორც მსოფლიო, ასევე, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში.[×] შესაბამისად დივერგენციის შერბილების მთავარი გზაა არსებულ მოდელზე უარის თქმა და მისი პრინციპულად ახალი მოდელით ჩანცვლება. ამ უკანასკნელის სისტემური სურათი ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მეცნიერთა მიერ, თუმცა, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებისას, მსოფლიოს წამყვანი „შვიდეულის“ ლიდერების რეგულარულ შეხვედრებზე გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის ზოგიერთი არსებითი ნიშანი. კერძოდ, ა) ვალების დაგროვებაზე[××] დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ჩანაცვლება „სამეწარმეო კაპიტალიზმის“ მოდელით, ანუ საყოველთაო ფინანსიალიზაციის[×××] ნაცვლად „რეალური ეკონომიკის“ პარადიგმის

[×] მთლიანად ვიზიარებთ პროფესორ ჯ. სტიგლიცის მოსაზრებას, რომ დივერგენციის მთავარი მიზეზია მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც მცდარ თეორიებსა და იდეოლოგიებს ეფუძნება“ (Stiglitz, 2012).

[××] ბოლო, 2026 წლის მონაცემებით, გლობალური სავალო ვალდებულებები 350 ტრლნ აშშ დოლარს აღწევს, მაშინ როცა გლობალური მსპ 125 ტრლნ აშშ დოლარია. აშშ-ის სუვერენული ვალი 39 ტრლნ აშშ დოლარია, ქვეყნის მსპ კი - 32 ტრლნ აშშ დოლარი (globenewswire.com 2026).

[×××] 1970-იანი წლების დასაწყისში ფინანსური ინსტიტუტები წარმოქმნიდნენ მთელი ეკონომიკის მოგების 15%-ს, ამჟამად წარმოქმნიან 50%-ზე მეტს. 1980-2005 წლებში ფინანსური სექტორის რეალური მოგება 800%-ით გაიზარდა, ხოლო რეალური სექტორის 250%-ით. 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ფინანსური კორპორაციები - მთელი კორპორაციების 10% იყო, მეორე ათასწლეულის დასაწყისში კი - 40%-ს გადააჭარბა

რეალიზაცია, რომლის ქვაკუთხედია, არა კომპანიების კაპიტალიზაციის ზრდა, არამედ შრომის პროდუქტიულობის ამაღლება. ბ) „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ (არაკოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის) მოდელის შეცვლა კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ყველაზე წარმატებული ფორმით - სოციალური საბაზრო ეკონომიკით, რომლის კონცეპტუალური საფუძვლები ჩამოყალიბებულია გერმანელი ეკონომისტის ალფრედ მიულერ-არმაკის მიერ და განვითარებულია ვალტერ იოკენის, ლუდვიგ ერჰარდის და სხვათა ნაშრომებში.× გ) ეკონომიკის ფუნქციონირება ყველა დონეზე უნდა დაექვემდებაროს არა მოგების და ფინანსური კაპიტალის ზრდის, არამედ ადამიანის კეთილდღეობის პრიორიტეტს. საუბარია ინკლუზიური და „დემოკრატიული გლობალიზაციის“ მოდელზე.

დივერგენცია საქართველოს კუთხით

საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის მიღწევა. შედეგად, **ეკონომიკური ზრდა** ვერ ტრანსფორმირდება ეკონომიკურ განვითარებად, ანუ ვერ აისახება მოსახლეობის ფართო მასის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ხდება პირიქით: შემოსავლების განაწილება ჩვენ ქვეყანაში, როგორც სოციალურ, ასევე, რეგიონულ ჭრილში მკვეთრად უთანასწოროა, ეკონომიკური აქტიურობა კი გამოხატულად ასიმეტრიულადაა განაწილებული.

არსებული სიტუაციის ფესვები, ჩვენი აზრით, 1990-იანი წლების გარდამავალ პერიოდში უნდა ვეძებოთ, რაც ჩვენ მიერ შეფასებულია, როგორც „პოსტკომუნისტური“ გარდამავალი პერიოდის საქართველოში „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი“ (მექვაბიშვილი, 2019). საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკისთვის დამახასიათებელია მკვეთრი სტრუქტურული დისბალანსი. ასე მაგალითად, მშენებლობა და უძრავი ქონებით ვაჭრობა ასრულებს მთავარი ეკონომიკური „დრაივერების“ როლს. 2025 წელს მშენებლობის რეალური მოცულობა 14,2%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვანია ვაჭრობის სექტორის როლიც, რომლის ხვედრითი წილი ქვეყნის მსპ-ში - 15,2%-ია, სწრაფი ტემპით ვითარდება IT სექტორი, რომლის ბრუნვა 48%-ით გაიზარდა (TBC Capital|2024|2025).

(მექვაბიშვილი ე., 2018), წარმოებული (მეორადი) ფინანსური ინსტრუმენტების - დერივატივების ნომინალურმა ღირებულებამ2025 წლის ბოლოსთვის 845,7 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა (globenewswire.com 2026).

არსებითად შეიცვალა გლობალური ეკონომიკის ლიკვიდობის სტრუქტურა: ფულადი ბაზრების ხვედრითი წილი საერთო ლიკვიდობაში შეადგენდა 1%-ს, გლობალურ მსპ-ში 9%-ს, ე.წ. „ფართო ფულზე“ მოდიოდა გლობალური ლიკვიდურობის 10% და გლობალური მსპ-ის 122%, სეკურიტიზებულ ვალზე -11% და 138%, დერივატივებზე - 78% და 964% (მექვაბიშვილი, 2018).

× „ჩვენ ვსაუბრობთ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე“, რათა განისაზღვროს მესამე ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკა გვესახება, როგორც მომავალი ეკონომიკური წყობის მზიდი კარკასი, მაგრამ იგულისხმება არა თვითდინებაზე მიშვებული ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა, არამედ გაცნობიერებულად რეგულირებული და კერძოდ, სოციალური კუთხით რეგულირებული საბაზრო ეკონომიკა“(სიმონ ფაუტი და სხვები, 2013) .

დაუბალანსებელი და „ექსტრაქციული“ ტიპის ეკონომიკის არსებობა არის საქართველოში მიმდინარე დივერგენციის მთავარი მიზეზი, რასაც საკუთარი სოციალური და რეგიონული (ტერიტორიული) განზომილება აქვს.

სოციალური განზომილების შესახებ: ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ტრსნსფორმაცია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებში დაიწყო და ბოლო ათი წლის მანძლზე განსაკუთრებული ინტენსიურობით წარიმართა, რომლის მაგისტრალურ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს „მოსახლეობის ელიტური სეგმენტის ინსტიტუციონალიზაცია“. ასე მაგალითად, თუკი 2015 წელს მაღალი შემოსავალი, ანუ 100 ათას ლარზე მეტი წელიწადში, უაღრესად იშვიათი გამონაკლისი იყო, 2024 წელს 1000-ზე მეტი პირი ოფიციალურად იღებდა 100 ათას ლარზე მეტ შემოსავალს თვეში. ამ მცირე ჯგუფის ჯამურმა შემოსავალმა ერთ თვეში 411 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც აღემატება საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტის ერთად აღებულ წლიურ ბიუჯეტს (საქართველოს შემოსავლების სამსახური, 2025). პარალელურად, საგანგაშო სურათია შექმნილი „პირამიდის ძირში“. ათწლიანი ზრდის მიუხედავად, 1200 ლარიანი შემოსავლის პირთა რაოდენობა კი არ შემცირდა, არამედ 441,643-მდე გაიზარდა. საქართველოში წარმოიქმნა „შუა შრე“, ანუ მოსახლეობის ის კატეგორია, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ფინანსური დანაზოგი და სრულიად დაუცველია ნებისმიერი ეკონომიკური შოკის მიმართ. დაბალი ფენების მოსახლეობის შემოსავლების ზრდა სულ უფრო შორდება მაღალი ფენის წარმომადგენელთა შემოსავლების ასტრონომიულ ზრდას, რაც საზოგადოებაში სოციალური არასტაბილურობის მთავარი მიზეზია.

რეგიონული დივერგენცია განსაკუთრებით აშკარაა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის. კერძოდ: მსპ ერთ სულ მოსახლეზე (33,866 ლარი) დედაქალაქში თთქმის ორნახევარჯერ აღემატება შიდა ქართლის (13,43 ლარი), კახეთის (13568 ლარი), ორჯერ უფრო მეტად, იმერეთის (14,35 ლარი), გურიის (93,690 ლარი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (15,300 ლარი), სამცხე-ჯავახეთის (16,437 ლარი) და ა.შ. შემოსავლებს. უფრო დიდია სხვაობა პუი-ებში. მაგალითად, თბილისში ინვესტირდა 1,5 მლრდ აშშ დოლარი, მაშინ, როცა მათლიანად დასავლეთ საქართველოში (აჭარის რეგიონის გამოკლებით) პუი-ების ჯამური მაჩვენებელი უარყოფითი იყო, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ უცხოური კაპიტალის თვალთახედვით, საქართველი არის არა მრავალფეროვანი საინვესტიციო სივრცე, არამედ ქალაქი - სახელმწიფო. დივერგენციას აძლიერებს საბანკო სექტორის მიერ ფინანსური რესურსების დაუბალანსებელი განაწილება რეგიონულ ჭრილში: სასესხო პოტფელის 72,3% თბილისზე მოდიოდა, აჭარის ხვედრითი წილი 8,5% იყო, ხოლო დანარჩენი რეგიონებისა - სრულიად უმნიშვნელო.

რეგიონული დივერგენციის გამოხატულებაა **ფისკალური დისბალანსი.** ადგილობრივი მართვის ორგანოები არ ფლობენ საკუთარი უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და ფაქტობრივად, მოკლებული არიან რეალურ ფინანსურ ავტონომიას. შესაბამისად, დაბალია მუნიციპალური ხელისუფლების მოტივაცია რეგიონული ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებაში, რამეთუ ადგილებზე გენერირებული სიკეთეების უმეტესი ნაწილი ცენტრალურ ბიუჯეტში მიედინება, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა უკიდურესად იზღუდება.

ამრიგად, რეგიონულ ჭრილში საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა უკიდურესად დეფორმირებულია და ცენტრის განვითარება, მეტწილად, პერიფერიის რესურსების ამოწურვის ხარჯზე ხდება.

რა არის გამოსავალი?

აქაც მთვარია, ვენი აზრით, საქართველოს პერსპექტიული განვითარების ახალ ეკონომიურ ფილოსოფიაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდის, მრავალმხრივად დაბალანსებული მოდელი, რაც ემყარება ოპტიმალურ თანაფარდობის დაცვას - ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის. ასეთ მოდელში სოციალური ფაქტორი არამხოლოდ დამოუკიდებელი ფასეულობაა, არამედ ის განიხილება ეკონომიკური განვითარების კონტექსტით.

ბალანსი ასევე, უნდა იქნეს დაცული ბაზარსა და სახელმწიფოს შორის, რომლებიც აღიქმებიან არა ერთმანეთის კონკურენტებად, არამედ პარტნიორებად. მათ შორის პრაგმატული სინთეზი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ბაზარი წარმოქმნის ინოვაციების, ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული განვითარების ძლიერ სტიმულებს.

ახალ ეკონომიკურ მოდელში სივრცე არის რესურსი და არა ეკონომიკის განვითარების შემზღუდავი ფაქტორი. თითოეულ რეგიონს უნდა განესაზღვროს საკუთარი ეკონომიკური როლი, ფუნქცია და განვითარების საკუთარი მიმართულება.

ჩვენ აქ, ფაქტობრივად, ვსაუბრობთ მრავალცენტრიან (პოლიცენტრულ) ეკონომიკურ მოდელზე და მისგან გამომდინარე „სივრცითი დემოკრატიის“ პოტენციალის მატარებელ პოლიტიკაზე, რომელშიც რეგიონის ეკონომიკური განვითარება საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად აღიქმება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართული ენციკლოპედია,1982. georgianenciklopedia.ge (PDF).

Hantington, S. (1996) The *Clash of Civilizations* and the Remaking of World Order. adsu.edu.ng

Epple, A. (2005). Rethinking Globalization: Between Convergence and Divergence Bielefeld University Press; Hülsemeyer, A. (2009). Globalization in the Twenty-First Century: Convergence or Divergence?; Grinin, L., Korotaev, A. (2015). Great Divergence and Great Convergence: A Global Perspective. *Academia.edu;* Inkeles, A. (1999). One World Emerging? Convergence and Divergence in Industrial Societies. Westview Press (Avalon Publishing); Baldwin, R. (2016). The Great Convergence. Information Technology and the New Globalization. Belknap Press (Harvard University Press).

ფაუტი, ს. და სხვ (2013). ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი

ვებერი, მ. (2024). პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული. *“დიოგენე”.*

შუმპეტერი, ი. (1942). კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია

Pomeranz, K. (2000). *The Great Divergence: China, Europe, and the Making of the Modern World Economy. Princeton University Press*

აჯემოღლუ, დ., რობინსონი, ჯ. (2024). რატომ ვერ აღწევენ წარმატებას სახელმწიფოები: ძალაუფლების, კეთილდღეობისა და სიღარიბის სათავეებთან. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი; რეინერტი, ე. (2019). როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები… და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად. “კავკასიური სახლი”, თბილისი; Харрисон, Л.

(2008). Кто процветает? Как культурные ценности способствуют успеху в экономике и политике. Фонд «Либеральная миссия», Москва.

Aron R. (1965). Démocratie et Totalivisme

Galbraith, J. (1967). The New Industrial State. *Princeton University Press*

Friedman, L.T. (2026). *The Lexus and the Olive Tree: Understanding Globalization*

მექვაბიშვილი, ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა „ინტელექტი,“თბილისი

სამუელსონი, პ. (2009). ინტერვიუ გერმანულ გაზეთში „die Welt“

The Economist, 2014

The Global Economy in 2067 by Kaushik Basu, *www.project-syndicate org/ commentary/ long-term-global-economic-projects-kaushik-basu-2017.06*

მსოფლიო 2015

პანტინგტონი, რ. (2023). გლობალიზაცია, როგორც ღარიბი ქვეყნების განვითარების მუხრუჭი, „Politicano“

Глобальное богатство (2021). Credit Suisse

Stiglitz, J. (2012) The Price of Ineqality. New-York, London ww Norton & Company

globenewswire.com (2026). Derivatives & Commodities Brokerage Market Report 2026-2035, Nomura, Goldman Sachs, Morgan Stanley, Citigroup, Motilal Oswal Financial Services. Dublin march,06.

მექვაბიშვილი, ე. (2019). ბანკები და კაპიტალის თანამედროვე დაგროვება პოსტკომუნისტურ საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4.

TBC Capital, 2024/2025

საქართველოს შემოსავლების სამსახური

Globalization: New Convergence or the Return of the "Great Divergence"?

Elguja Mekvabishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
elguja.mekvabishvili@tsu.ge

Summary

Globalization, which is a product of the late twentieth and early twenty-first centuries, has exerted a varied influence on the processes of convergence and divergence occurring throughout the world during different historical periods. The paper demonstrates that the 1950s and 1960s constituted a period of growing convergence worldwide. This process was manifested, on the one hand, in the introduction of market elements into the economies of the socialist bloc countries and, on the other hand, in the increasing “socialization” of free-market capitalist economies. However, the process of convergence was not long-lasting. It was soon interrupted both by the strengthening of administrative and centralized tendencies in socialist countries and by the rise of liberalism in the leading Western economies. In the United States, this shift was reflected in the economic policy known as Reaganomics, while in the United Kingdom it was embodied in Thatcherism. From the mid-1970s onward, the process of divergence re-emerged. Its theoretical and methodological foundation was provided by the neoclassical supply-side theory. In Georgia, the process of divergence began during the post-communist transition period and continues to unfold with considerable intensity. The paper examines the causes underlying this process

and identifies the replacement of the orthodox liberal model of economic development with a socially oriented model of a coordinated market economy as the principal condition for mitigating divergence.
Keywords: globalization, convergence, divergence, economic model, Georgian economy

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია და ინსტიტუციური არჩევანი სასურსათო ინდუსტრიაში: მულტილატერალიზმი თუ მინილატერალიზმი?

ეთერ ხარაიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
eter.kharaishvili@tsu.ge

ანოტაცია. *გლობალური სასურსათო ინდუსტრია ბოლო ათწლეულში მზარდი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ფუნქციონირებს. აღნიშნული გამოწვეულია გეოპოლიტიკური დაძაბულობით, სავაჭრო ომებით, სანქციებითა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევით. შესაბამისად, ამ პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ინსტიტუციური არჩევანის დილემა: მულტილატერალურ წესებზე დაფუძნებული სისტემის შენარჩუნება თუ მინილატერალური, რეგიონული ალიანსების გაძლიერება. კვლევის მიზანია გააანალიზოს გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა გლობალურ სასურსათო ინდუსტრიაზე, შეაფასოს მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის ინსტიტუციური ეფექტიანობა სასურსათო უსაფრთხოების, ბაზრების სტაბილიზაციისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში. ნაშრომში პასუხი გაცემულია ძირითად კვლევით კითხვაზე: გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში სასურსათო ინდუსტრიისთვის რომელი ინსტიტუციური არჩევანია უფრო ეფექტიანი - მულტილატერალიზმი თუ მინილატერალიზმი?*

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, ინსტიტუციური არჩევანი, სასურსათო ინდუსტრია, მულტილატერალიზმი, მინილატერალიზმი.*

შესავალი

გლობალიზაციის კლასიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება ღია ბაზრების კანონზომიერებებსა და მულტილატერალურ ინსტიტუციურ წესრიგს, თანდათან გადადის ფრაგმენტირებულ გეოეკონომიკურ რეალობაში. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით მგრძნობიარეა სასურსათო ინდუსტრიისთვის, რადგან ეს სექტორი პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის საბაზისო საჭიროებებს, სოციალურ სტაბილურობასა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს.

სასურსათო ინდუსტრია ისტორიულად ეყრდნობოდა მულტილატერალურ ინსტიტუციურ არქიტექტურას, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და სხვა გლობალური მექანიზმები. თუმცა, ბოლო წლებში მულტილატერალიზმის ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ხოლო პარალელურად გაძლიერდა მინილატერალიზმი - თანამშრომლობა შეზღუდულ, მაგრამ ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებულ ჯგუფებს შორის (რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, ბილატერალური კვოტები და სხვა).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: გლობალური სასურსათო ინდუსტრია უნდა დაეყრდნოს მულტილატერალურ ინსტიტუტებს თუ უფრო ეფექტიან ალტერნატივას წარმოადგენს მინილატერალიზმი?

აგროსასურსათო ინდუსტრია იდეალური სექტორია ინსტიტუციური არჩევანის ანალიზისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის სასურსათო ინდუსტრიაზე გავლენის შედეგების გამოკვლევა და მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის ეფექტიანობის შეფასება ეკონომიკური მდგრადობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო ბაზრების განვითარების პერსპექტივის ჭრილში.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში სასურსათო ინდუსტრიის ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ანალიზის საფუძველზე მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის არჩევანის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

კერძოდ, კვლევა მიზნად ისახავს:

- დაადგინოს, როგორ მოქმედებს გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია სასურსათო ბაზრების სტაბილურობაზე, ფასების დინამიკასა და მიწოდების ჯაჭვების მდგრადობაზე;
- გააანალიზოს მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუციური მექანიზმების ფუნქციური უპირატესობები და შეზღუდვები;
- შეაფასოს, მულტილატერალიზმი და მინილატერალიზმი წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ ალტერნატივებს, თუ შესაძლებელია მათი კომპლექსური, ურთიერთშემავსებელი გამოყენება;
- გამოავლინოს მცირე ღია ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს, ინსტიტუციური არჩევანის თავისებურებები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში;
- ხორბლის ბაზრის მაგალითის შესწავლით შეიმუშაოს ანალიტიკური დასკვნები ოპტიმალური ინსტიტუციური არქიტექტურის შესახებ გლობალურ, რეგიონულ (შავი ზღვის რეგიონი) და ეროვნულ დონეზე.

კვლევის მეთოდოლოგია

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციისა და ინსტიტუციური არჩევანის თეორიების გაანალიზების მიზნით ჩატარებულია ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა; მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუციური მექანიზმების ფუნქციური შეფასებისთვის გამოყენებულია შედარების მეთოდი, რაოდენობრივი ემპირიული ანალიზით შეფასებულია ხორბლის ფასების დინამიკის, ექსპორტ-იმპორტის, ვაჭრობის მოცულობისა და იმპორტდამოკიდებულების მაჩვენებლები 2003-2024 წლებში. კვლევის ემპირიული ნაწილი ეფუძნება გლობალური, შავი ზღვის რეგიონისა და საქართველოს ხორბლის ბაზრების მაგალითების განხილვას, რომლითაც შეფასებულია ინსტიტუციური არჩევანის ასიმეტრიული ეფექტები სხვადასხვა ეკონომიკურ დონეზე.

მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის არჩევანი დასაბუთებულია პროგნოზული სცენარების ანალიზის საფუძველზე, პროგნოზირებისათვის გამოყენებულია ტრადიციული CAGR მეთოდი და ხელოვნური ინტელექტის ნეირონული ქსელის LSTM მოდელი. კვლევაში გამოყენებულია საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ანგარიშები.

ლიტერატურის მიმოხილვა

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ცნება ფართოდ განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ პრობლემების კვლევის ერთ-ერთ პირველ ავტორად მიიჩნევა ლუტვაკი, რომელმაც „გეოეკონომიკის“ კონცეფცია წარმოადგინა როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Luttwak, 1990).

შემდგომში, ფარელი და ნიუმენი ავითარებენ „ეკონომიკური იძულების ქსელების“ თეორიას, რომლის თანახმად გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ტრანსფორმირდება ძალაუფლების წყაროდ (Farrell & Newman, 2019). ტიმერმა სურსათზე ფასების კრიზისი დაუკავშირა ინსტიტუციურ ჩავარდნებსა და პოლიტიკის კოორდინაციის სისუსტეებს (Timmer, 2010). კლაპი და ფესი აღნიშნავენ, რომ სასურსათო ბაზრები სულ უფრო მეტად ექცევა გეოპოლიტიკური ინტერესების გავლენის ქვეშ (Clapp & Fuchs, 2009).

მულტილატერალიზმის თეორიული საფუძვლები ეფუძნება ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის სკოლას, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ინსტიტუტები ამცირებენ ტრანზაქციულ დანახარჯებს და ზრდიან თანამშრომლობის შესაძლებლობას (Keohane, 1984). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სასოფლო-სამეურნეო შეთანხმების შეფასებები მიუთითებს, რომ მულტილატერალური წესები ხელს უწყობს ბაზრების პროგნოზირებას (Anderson & Nelgen, 2012). თუმცა, რიგი ავტორები აკრიტიკებენ მულტილატერალიზმს მისი ადაპტაციის დაბალი უნარის გამო (Rodrik, 2018; Baldwin, 2020). სასურსათო ინდუსტრიის კონტექსტში, მულტილატერალური ინსტიტუტების შეზღუდვები განსაკუთრებით აშკარა გახდა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, როდესაც ქვეყნები ერთპიროვნულად მიმართავდნენ ექსპორტის კონტროლს.

მეცნიერები დღეს აქტიურად განიხილავენ დეგლობალიზაციის პროცესს და აანალიზებენ ბიზნესსა და ეკონომიკაში ტრანსფორმაციის პროცესს (Papava, 2022a). ლეგალური დეგლობალიზაციისა და არალეგალური გლობალიზაციის თანაარსებობის შედარებისას აკეთებენ დასკვნას, რომ ლეგალური დეგლობალიზაცია დიდწილად ხელოვნურად გამოწვეული პროცესია, რომელსაც ისეთი პოლიტიკა მართავს, როგორიცაა სავაჭრო ტარიფები, მაშინ როდესაც არალეგალური გლობალიზაცია ბუნებრივი ეკონომიკური ძალებიდან წარმოიშობა, თუმცა, კანონის მიღმა (Papava, 2022b). შესაბამისად, არალეგალური გლობალიზაცია თავისი არსით უფრო მდგრადია, ხოლო ლეგალური დეგლობალიზაცია შესაძლებელია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გზით (Papava, 2026a;).

სამეცნიერო კვლევებში გაანალიზებულია გლობალიზაციასა და პოპულიზმს შორის შორის ურთიერთობა, ახსნილია პოპულიზმისა და შემოსავლების უთანასწორობის პრობლემები. მკვლევრების მოსაზრებით მიუხედავად იმისა, რომ პოპულიზმი არის პასუხი

მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, მას არ შეუძლია უზრუნველყოს მდგრადი და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები (Bajo-Rubio & Yan, 2019).

მეცნიერები მულტილატერალიზმის დონეზე აქტიურად იკვლევენ გეოეკონომიკურ ფრაგმენტაციასა და ინოვაციურ განვითარებას შორის კავშირებს. ნაშრომებში გამოვლენილია ფაქტორები, რომლებიც ერთად ქმნიან სისტემურ ბარიერებს თანამედროვე, ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებისთვის. აკადემიკოსი პაპავა ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ფაქტორების გეოგრაფიული გავლენა. მეცნიერის მოსაზრებით რეტროეკონომიკური ინერციის დაძლევა მოითხოვს კოორდინირებულ სამთავრობო ჩარევას (Papava, 2026b). კვლევებში, ასევე, შეფასებულია სავაჭრო ომები და მიწოდების ჯაჭვების რღვევა (Papava & Bedianashvili, 2025), უპირატესი ყურადღება გამახვილებულია მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევის მაკროეკონომიკურ ეფექტებზე კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში (ბედიანაშვილი, 2025).

რაც შეეხება მინილატერალიზმის კონცეფციას, იგი ასახულია ახალი რეგიონალიზმის შესახებ სამეცნიერო კვლევებში, სადაც რეგიონული და თემატური ალიანსები განიხილება როგორც გლობალური მმართველობის ალტერნატიული ფორმა (Acharya, 2014; Dent, 2016). სასურსათო ინდუსტრიის პრობლემებზე გამოქვეყნებულ კვლევებში მინილატერალიზმი შეფასებულია როგორც უფრო მოქნილი და სწრაფად რეაგირებადი ინსტიტუციური მექანიზმი (Hoekman & Nelson, 2020). რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების ანალიზი აჩვენებს, რომ მინილატერალიზმი ზრდის რეგიონულ თვითუზრუნველყოფას, თუმცა, ამავე დროს აძლიერებს გლობალური ბაზრების ფრაგმენტაციას (Bouët & Laborde, 2023).

თანამედროვე კვლევებში მკაფიოდ გამოიკვეთა დებატები მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ. აბოტი და სნაიდალი გვთავაზობენ „მოდულარული მმართველობის“ მიდგომას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ინსტიტუციური ფორმა შეიძლება კომპლექსურად ფუნქციონირებდეს (Abbott & Snidal, 2009). სასურსათო ინდუსტრიის კონტექსტში, ავტორები ამტკიცებენ, რომ ჰიბრიდული ინსტიტუციური არქიტექტურა - გლობალური ნორმები და რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტები - წარმოადგენს ყველაზე რეალურ პასუხს გეოეკონომიკურ ფრაგმენტაციაზე (Clapp, 2022; FAO, 2023).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ანალიზისას მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ გლობალური ეკონომიკის გაყოფა იწვევს ახალი, მოქნილი ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირებას (Evenett, 2022; Baldwin, 2023). **მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის** განხილვისას კი აღწერენ მულტილატერალიზმის სარგებელს გლობალური წესრიგისთვის და ხაზს უსვამენ მინილატერალიზმის ეფექტიანობას სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში (Hurrell, 2019; Aggarwal, 2021).

ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ტენდენციად არის ჩამოყალიბებული (Hranovska et al., 2025). იგი განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება სასურსათო ინდუსტრიაში კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში (Bedianashvili, 2023).

თეორიული კვლევები აჩვენებს, რომ ინსტიტუციური არჩევანი მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის ხდება სტრატეგიული

გადაწყვეტილების საგანი და არა მხოლოდ ნორმატიული უპირატესობის საკითხი, განსაკუთრებით განახლებული დეგლობალიზაციის პირობებში (პაპავა, 2022). კვლევებში ხაზგასმულია, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია ამცირებს გლობალური სასურსათო ბაზრების ეფექტიანობას, ზრდის ფასების მერყეობას და აძლიერებს მიწოდების ჯაჭვების მოწყვლადობას (Kharaishvili & Gechbaia, 2023). ამ კონტექსტში მულტილატერალიზმი განიხილება როგორც გლობალური სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის მთავარი საყრდენი, თუმცა, ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს მის ინსტიტუციურ ინერტულობაზე, კრიზისებზე დაგვიანებულ რეაგირებასა და ადაპტაციის შეზღუდვებზე.

ამავე დროს, მინილატერალიზმის შესახებ არსებული კვლევები აჩვენებს, რომ რეგიონული და თემატური შეთანხმებები ხასიათდება უფრო ოპერატიულობით, განსაკუთრებით კრიზისულ პირობებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ცალსახად აღნიშნულია, რომ მინილატერალიზმის გაფართოება აძლიერებს გლობალური ბაზრების ფრაგმენტაციას და ქმნის სტრუქტურულ რისკებს, რაც განსაკუთრებით აზიანებს ნაკლებად განვითარებულ და მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პროცესებისადმი განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდა მცირე და საშუალო ბიზნესი, შესაბამისად შესწავლილია მულტილატერალიზმის მნიშვნელობა ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის (Kharaishvili et al., 2025).

გლობალური სასურსათო სისტემების განხილვისას სამეცნიერო სტატიებში ყურადღება გამახვილებულია სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევებზე (Aduashvili, 2023). მიწოდების ჯაჭვების გლობალიზაციასა და მათ მოწყვლადობაზე, მდგრადი სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევებზე (Kharaishvili, 2017).

თანამედროვე კვლევებში (International Monetary Fund, 2025; World Bank, 2022) გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია აღწერილია როგორც გლობალური ეკონომიკის დაყოფა კონკურენტ ბლოკებად, რაც ამცირებს ვაჭრობის ეფექტიანობას და ზრდის მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას (Kharaishvili, & Lobzhanidze, 2022). ხაზგასმულია, რომ ფრაგმენტაციის გავლენა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება სტრატეგიულ სექტორებში, მათ შორის სასურსათო ინდუსტრიაში (International Monetary Fund, 2025).

FAO-სა და OECD-ის კვლევებიც ადასტურებს, რომ სავაჭრო შეზღუდვები და ექსპორტის აკრძალვები აძლიერებს ფასების მერყეობას და ამცირებს გლობალური სასურსათო უსაფრთხოების დონეს (FAO, 2021; OECD, 2022). აღნიშნული კვლევები ხაზს უსვამს ინსტიტუციური კოორდინაციის გადამწყვეტ როლს კრიზისების პრევენციაში.

მიუხედავად იმისა, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ინსტიტუციური არჩევანის შესახებ მნიშვნელოვანი თეორიული და ემპირიული კვლევებია ჩატარებული, ლიტერატურის ანალიზი ავლენს რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს. პირველ რიგში, მკვეთრად შეინიშნება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ინსტიტუციური არჩევანის ანალიზის დეფიციტი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში. არსებული კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია გლობალურ ან მსხვილ რეგიონულ მოთამაშეებზე, მაშინ როდესაც მცირე ქვეყნების ადაპტაციური სტრატეგიები ნაკლებადა არის თეორიულად გენერალიზებული და ემპირიულად დადასტურებული.

მეორე მნიშვნელოვანი გამოსაკვლევი პრობლემა უკავშირდება გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის თეორიებში სასურსათო ინდუსტრიის თავისებურებების

გათვალისწინებას. ჩატარებული კვლევები ზოგად მაკროეკონომიკურ ჩარჩოებში რჩება, ან ცალკეულ სასურსათო პოლიტიკის ინსტრუმენტებზეა კონცენტრირებული და ნაკლებად არის წარმოდგენილი სექტორზე მორგებული ან სექტორის რომელიმე კონკრეტულ პროდუქტზე ინტეგრირებული კვლევა.

მესამე, ლიტერატურაში აშკარად იკვეთება მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის ეფექტიანობის შედარებითი, რაოდენობრივი ემპირიული შეფასების ნაკლებობა, განსაკუთრებით ფასების სტაბილურობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და მიწოდების ჯაჭვების მდგრადობის ინდიკატორების ჭრილში. არსებული დასკვნები ხშირ შემთხვევაში ნორმატიული დოკუმენტებზეა დაფუძნებული და საჭიროებს სისტემურ ემპირიულ გადამოწმებას.

ამრიგად, აქტუალურია კვლევები, რომლებიც გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ფოკუსირებული იქნება მცირე ღია ეკონომიკაზე, სასურსათო ინდუსტრიის სექტორულ თავისებურებებსა და მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუციური არჩევანის ეფექტიანობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მულტილატერალიზმისა თუ მინილატერალიზმის ინსტიტუციური არჩევანის დილემის შესწავლის მიზნით კვლევის ობიექტად შეირჩა საქართველოს, როგორც მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის, აგროსასურსათო ინდუსტრია, კერძოდ, ხორბლის წარმოება.

ინსტიტუციური არჩევანის დილემა სასურსათო ინდუსტრიაში: მულტილატერალიზმი თუ მინილატერალიზმი?

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია განიხილება როგორც ეკონომიკური ურთიერთობის პოლარიზაცია გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესი ვლინდება სავაჭრო ბლოკების ჩამოყალიბებით, სტრატეგიული რესურსების პოლიტიზაციითა და ტექნოლოგიური სუვერენიტეტისკენ სწრაფვით. ასეთი ფრაგმენტაცია ზრდის ტრანზაქციულ დანახარჯებს და ამცირებს გლობალური კოორდინაციის ხარისხს. სასურსათო ინდუსტრიაში ეს პროცესი აისახება ექსპორტის შეზღუდვებსა და კვოტებში, სუბსიდიების ზრდაში, მიწოდების ჯაჭვების რეგიონალიზაციასა და სტრატეგიული მარაგების მართვის პოლიტიკაში.

მულტილატერალიზმი ისტორიულად წარმოადგენდა გლობალური სასურსათო ბაზრების სტაბილურობის მთავარ ინსტიტუციურ საფუძველს. WTO-ის შეთანხმებები, FAO-ს ნორმატიული ჩარჩოები და G20-ის საკოორდინაციო მექანიზმები მიზნად ისახავდა ბაზრების გახსნილობასა და კრიზისების კოლექტიურ მართვას. თუმცა, თანამედროვე პირობებში მულტილატერალიზმის ეფექტიანობა შეიზღუდა სხვადასხვა ფაქტორის გამო, მათ შორის აღსანიშნავია: გადაწყვეტილების მიღების შენელებული პროცესი, ეროვნული ინტერესების ნაკლებად გათვალისწინება, ინსტიტუციური შეზღუდვები (მაგ., WTO-ის საარბიტრაჟო მექანიზმი და სხვ.). აღნიშნულის მიუხედავად, მულტილატერალიზმი კვლავ რჩება უნიკალურ პლატფორმად გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფად.

მინილატერალიზმი, როგორც ალტერნატიული ინსტიტუციური მოდელი, გულისხმობს მცირე რაოდენობის ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებულ მოქნილ ინსტიტუციურ შეთანხმებებს, რომლებიც ეფუძნება საერთო ინტერესებსა და გეოგრაფიულ სიახლოვეს. გლობალურ სასურსათო ინდუსტრიაში ეს ვლინდება რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების (RCEP, EU CAP, AfCFTA) და სტრატეგიული პარტნიორობების სახით.

მინილატერალიზმს მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია მულტილატერალიზმთან შედარებით, კერძოდ, ამ დროს სწრაფად ხდება გადაწყვეტილების მიღება, შესაძლებელია პოლიტიკის ინსტრუმენტების უკეთესი კოორდინაცია, გათვალისწინებულია რეგიონული თავისებურებები.

მინილატერალიზმს გარკვეული რისკებიც ახლავს, მათ შორის აღსანიშნავია: გლობალური ეფექტიანი ბაზრების ფრაგმენტაცია, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრიდან განდევნა და სხვა (Lindvall & Rueda, 2014).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ინსტიტუციური არჩევანი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ერთიანი გლობალური წესრიგის მხარდაჭერით ან ალტერნატიული რეგიონული მექანიზმების განვითარებით. გადაწყვეტილების მიმღებთათვის ცენტრალურ საკითხად ყალიბდება დილემა: მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის ურთიერთჩანაცვლება უნდა განხორციელდეს, თუ უფრო ეფექტიანი იქნება მათი კომპლექსური, ურთიერთშემავსებელი გამოყენება?

ბიბლიოგრაფიული კვლევის ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ მულტილატერალიზმი უზრუნველყოფს გლობალური სასურსათო ბაზრების სტაბილურობას, პროგნოზირებადობასა და ერთიანი მოქმედების ჩარჩოს, თუმცა, კრიზისულ პირობებში ხშირად ხასიათდება ინსტიტუციური ინერტულობითა და რეაგირების ნელი ტემპით. ამავე დროს, მინილატერალიზმი გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარით, მაგრამ მისი ფართომასშტაბიანი გამოყენება აძლიერებს გლობალური ეკონომიკის ფრაგმენტაციის გაღმავებას და ზრდის გაურკვევლობას.

ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუციური მოდელები პრაქტიკაში იშვიათად ფუნქციონირებს იზოლირებულად. პირიქით, თანამედროვე გლობალური სასურსათო სისტემების მართვაში სულ უფრო ხშირად ფიქსირდება ჰიბრიდული ინსტიტუციური არქიტექტურა, სადაც გლობალური წესები და რეგიონული/თემატური შეთანხმებები ურთიერთდამატებით მოქმედებს. ეს მიდგომა ასახავს არა არჩევანს „ერთი ნაცვლდეს მეორეთი“, არამედ ინსტიტუციური ინსტრუმენტების ფუნქციურ კომბინაციას კონკრეტული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კონტექსტის შესაბამისად.

ვლევის ჰიპოთეზები

ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე განისაზღვრა კვლევის მთავარი ჰიპოთეზა:

H: მულტილატერალიზმი და მინილატერალიზმი არ უნდა განიხილებოდეს როგორც ურთიერთგამომრიცხავი მოდელები. გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ოპტიმალური ინსტიტუციური არჩევანი ეფუძნება მათ კომპლექსურ, ურთიერთშემავსებელ

გამოყენებას, რაც ზრდის გლობალური სასურსათო სისტემების მდგრადობასა და ადაპტაციის უნარს გაურკვევლობასა და რისკებზე.

საქართველოს, როგორც მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნის, ინსტიტუციური არჩევანი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ეფუძნება მაღალ მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ, განსაკუთრებით გლობალური სასურსათო ბაზრების არასტაბილურობისა და სავაჭრო შეზღუდვების ფონზე. აღნიშნული გარემოება აძლიერებს მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუციური მექანიზმების ოპტიმალური კომბინაციის მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარ ჰიპოთეზასთან ერთად განისაზღვრა ქვეჰიპოთეზები:

H1: საქართველოს მონაწილეობა მულტილატერალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებში ამცირებს გლობალური სასურსათო ფასების შოკების გავლენას ქვეყნის შიდა ბაზარზე, თუმცა, არ არის საკმარისი კრიზისულ პერიოდებში სურსათის მიწოდების ჯაჭვების უწყვეტი და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

H2: მინილატერალური რეგიონული შეთანხმებები საქართველოსთვის იწვევს სურსათის მიწოდების ჯაჭვების მოქნილობას და უზრუნველყოფს მოკლევადიან სტაბილურობას, თუმცა, გრძელდავიან პერიოდში, განსაკუთრებით გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის დროს, ზრდის გარე ბაზრებზე სტრუქტურული დამოკიდებულების რისკს;

H3: მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუციური მექანიზმების კომპლექსური გამოყენება საქართველოში უფრო ეფექტიანად ამცირებს სურსათზე ფასების მერყეობას და მიწოდების შეფერხებებს, ვიდრე რომელიმე ინსტიტუციის იზოლირებული გამოყენება;

H4: გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოსთვის ოპტიმალური ინსტიტუციური არჩევანი განისაზღვრება არა ინსტიტუციური ფორმის ტიპით (მულტილატერალური ან მინილატერალური), არამედ მათი ფუნქციური შესაბამისობით კონკრეტულ სექტორულ ამოცანებთან (იმპორტი, ექსპორტი, სტრატეგიული მარაგები, სუბსიდიები და სხვ.).

H5: ჰიბრიდული ინსტიტუციური არქიტექტურის გამოყენება ზრდის საქართველოს ადაპტაციის უნარს გარე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური შოკების მიმართ და ამცირებს მცირე ღია ეკონომიკისთვის დამახასიათებელ გლობალური ბაზრიდან განდევნის ეფექტს.

კვლევის შედეგები

კვლევისათვის აგროსასურსათო პროდუქტებიდან შეირჩა ხორბალი, შემდეგი მიზეზების გამო:

- ✓ საქართველო წარმოადგენს ხორბლის წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერას. ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა ადგილობრივ პირობებზე მორგებული ამ კულტურის მოყვანის ტრადიცია და იგი ქვეყნისათვის ეროვნულ აგრობიოკულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს;
- ✓ ქართული ენდემური ხორბლის ჯიშები (ზანდური, დიკა, მახა და სხვ.) ხასიათდება მაღალი გენეტიკური მრავალფეროვნებით, კლიმატურ და ეკოლოგიურ სტრესებთან

ადაპტაციის უნარით, რაც მას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს მდგრადი სურსათის წარმოების კონტექსტში;

- ✓ ქართულ ტრადიციულ ცოდნას ხორბლის წარმოებაში, მის კულტივაციასა და პურის ცხობის პრაქტიკას, მინიჭებული აქვს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ხორბლის როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული და ინსტიტუციური რესურსის სტატუსს;
- ✓ ხორბალი გლობალურად და საქართველოშიც სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით არის სტრატეგიული პროდუქტი. მასზე ხელმისაწვდომობა პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის სოციალურ სტაბილურობას, ინფლაციური მოლოდინების ფორმირებას, სიღარიბისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორებს;
- ✓ საქართველოს ხორბალზე გააჩნია მაღალი იმპორტდამოკიდებულება. ამასთან, ხორბლის ბაზარი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ერთგვარი სარკეა. მისი წარმოებისა და ვაჭრობის პროცესები მნიშვნელოვანწილად რეგულირდება ექსპორტის შეზღუდვების, სუბსიდირების პროგრამების, სტრატეგიული მარაგების მართვისა და სხვა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებით. შესაბამისად, ხორბლის ქეისი იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს: ა/ როგორ ზღუდავს გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მულტილატერალურ მექანიზმებს; ბ/ რატომ იძენს მინილატერალიზმი კრიზისულ პერიოდში პრაგმატულ უპირატესობას;
- ✓ შავი ზღვის რეგიონის თავისებურება პირდაპირ უკავშირდება მინილატერალიზმის ლოგიკას. ხორბლის ძირითადი მომწოდებლები საქართველოსთვის კონცენტრირებულია შავი ზღვის რეგიონში, რაც ბუნებრივად ქმნის მინილატერალური თანამშრომლობის სივრცეს. ამ კონტექსტში შესაძლებელია გაანალიზდეს: რეგიონული მიწოდების ჯაჭვების როლი; გეოგრაფიული სიახლოვის მნიშვნელობა ინსტიტუციური არჩევანის დროს; რეგიონული შეთანხმებების მოქნილობა გლობალურ მექანიზმებთან შედარებით და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შედარებითი ანალიზის ჩატარება გლობალურ, შავი ზღვის რეგიონისა და საქართველოსთან მიმართებაში. საქართველო და შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს სტრუქტურულად განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ქეისებს: საქართველოს გააჩნია მცირე, ღია და იმპორტდამოკიდებული ეკონომიკა; შავი ზღვის რეგიონი გლობალური ხორბლის წარმოებისა და ექსპორტის სტრატეგიული ცენტრია.

შედარებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, გამოვლინდეს ინსტიტუციური არჩევანის ასიმეტრიული ეფექტები, მეორე მხრივ, შეფასდეს, რამდენად კომპენსირდება მცირე ქვეყნის მოწყვლადობა ჰიბრიდული ინსტიტუციური არქიტექტურით.

უპირველესად, ჩატარდა ხორბალზე ფასების მერყეობის, იმპორტდამოკიდებულების, ექსპორტის შეზღუდვების მაჩვენებლების რაოდენობრივი ანალიზი.

2003-2024 წლებში, გლობალურ დონეზე, ხორბალზე ფასების დინამიკა მნიშვნელოვან მერყეობას განიცდიდა (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ხორბლის ფასი ეგლობალურ დონეზე, აშშ დოლარი ერთ ტონაზე

წყარო: International Monetary Fund via Fred

დიაგრამა აჩვენებს ხორბლის ბაზრის მაღალ მგრძნობიარობასა და დაუცველობას გარე შოკებისადმი. ხორბალზე ფასების მერყეობის თვალსაზრისით რამდენიმე ფაზა შეიძლება გამოვყოთ: **1. დაბალი და სტაბილური ფაზა (2003-2005 წწ.), როდესაც ერთი ტონა ხორბლის ფასი** დაახლოებით 120-130 აშშ დოლარია. ეს ფაზა ხასიათდება გლობალურ ბაზარზე ხორბლის მიწოდების საკმარისი დონითა და შედარებით დაბალანსებული სასურსათო ბაზრებით; **2. საფასო შოკის პერიოდი (2006-2008 წწ.), რომელიც** 2006 წლიდან იწყება და ამ ფაზისათვის დამახასიათებელია ფასების მკვეთრი ზრდა. ფასების მატება პიკს აღწევს 2008 წელს (დაახლოებით 280-290 აშშ დოლარი/ტონა). ეს ზრდა დაკავშირებულია როგორც გლობალურ სასურსათო კრიზისთან, ასევე, ენერგორესურსების გაძვირებასთან, ბიოენერგიის წარმოების გაფართოებასთან, რიგ ქვეყნებში საექსპორტო შეზღუდვებთან და სხვ. აღნიშნული პერიოდი ადასტურებს, რომ ხორბალი არა მხოლოდ აგრარული, არამედ გეოეკონომიკური სტრატეგიული პროდუქტია; **3. ფასების კორექცია და საფასო შოკის ტალღა, რომელიც მოიცავს 2009-2013 წლებს.** 2009 წელს ხორბალზე ფასი მკვეთრად მცირდება, თუმცა, 2011–2012 წლებში კვლავ მაღალ ნიშნულს აღწევს (დაახლოებით 270 აშშ დოლარი/ტონა). ეს მერყეობა მიუთითებს ბაზრის არასტაბილურობასა და კლიმატური, ფინანსური, პოლიტიკურ-ინსტიტუციური ფაქტორების ერთობლივ გავლენაზე; **4. ხორბალზე ფასების შემცირება და შედარებითი სტაბილიზაცია ფიქსირდება 2014-2019 წლებში.** 2014 წლის შემდეგ შეინიშნება ფასების დაღმავალი ტენდენცია, ფასების მინიმუმით 2016–2017 წლებში (დაახლოებით 135-140 აშშ დოლარი/ტონა). აღნიშნული ტენდენცია ძირითადად გამოწვეული იყო მოსავლიანობის ზრდით, გლობალური მარაგების შექმნით, მოთხოვნის შედარებით სტაბილური დინამიკით; **5. ფასების უპრეცედენტო ზრდა და პიკი კვლავ აღნინიშნება 2020-2022 წლებში.** 2020 წლიდან ხორბალზე ფასები კვლავ მკვეთრად იზრდება და 2022 წელს ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს (დაახლოებით 350–360 აშშ დოლარი/ტონა). ეს პერიოდი პირდაპირ უკავშირდება COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ მიწოდების ჯაჭვების რღვევას, შავი ზღვის რეგიონში გეოპოლიტიკურ დაძაბულობას. აღნიშნული პიკი ხაზს უსვამს ხორბლის ბაზრის ძლიერ დამოკიდებულებას გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე; **6. ხორბალზე ფასების კლება 2023-2024 წლებში.** 2023 წლიდან ხორბალზე ფასი მცირდება, თუმცა, კვლავ რჩება კრიზისამდე არსებულ საშუალო დონეზე მაღლა (დაახლოებით 165–200 აშშ დოლარი/ტონა). ეს მიუთითებს ბაზრის ნაწილობრივ ნორმალიზაციაზე, მაგრამ არა სრულ სტაბილიზაციაზე.

2003-2024 წლებში ხორბალზე ფასების ანალიზის საფუძველზე შემდეგი ძირითადი მიგნებები იკვეთება:

- გლობალურ დონეზე ხორბლის ბაზარი **ციკლურობით** ხასიათდება;
- ფასების პიკი ემთხვევა **გლობალურ კრიზისებსა და გეოპოლიტიკურ შოკებს;**
- ხორბალზე ფასი ასახავს არა მხოლოდ აგრარულ, არამედ **ინსტიტუციურ და გეოეკონომიკურ პროცესებს;**
- ფასების დინამიკა აძლიერებს არგუმენტს, რომ ქვეყნებისთვის (მათ შორის საქართველოსთვის) აუცილებელია **სტრატეგიული მარაგები, დივერსიფიცირებული სავაჭრო პარტნიორები და მოქნილი ინსტიტუციური არჩევანი** (მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის კომბინაცია).

გლობალურ დონეზე ხორბალზე **ფასების ზრდის ფაზებში (2006-2008 წწ.; 2010-2012 წწ.; 2020-2022 წწ.)** საქართველოში დაფიქსირდა ფქვილსა და პურზე ფასების ზრდა, ასევე, გაიზარდა ფისკალური ზეწოლა სახელმწიფოზე (სუბსიდიები, ფასების კონტროლი), გამძაფრდა სოციალური მგრძნობელობა. **ხორბალზე ფასების შემცირების ფაზებში (2014-2019 წწ.; 2023-2024 წწ.), საქართველოშიც** შემცირდა საფასო წნეხი მომხმარებელზე, თუმცა, მაღალი იმპორტდამოკიდებულების გამო კვლავ შენარჩუნდა სისტემური რისკები, ასევე, ქვეყნაში ხორბლის წარმოების მოცულობამ ვერ მოახერხა გლობალური ბაზრის ფასების ბალანსირება. განსაკუთრებით კრიტიკული აღმოჩნდა **2020-2022 წლების პერიოდი**, როდესაც შავი ზღვის რეგიონში მიწოდების შეფერხებამ გაზარდა ერთ წყაროზე დამოკიდებულების რისკი, გამოიკვეთა საქართველოს ინსტიტუციური მოწყვლადობა გლობალური შოკების მიმართ (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. საქართველოში ხორბლის ფასების დინამიკა 2004-2024 წლებში, აშშ დოლარი/ტონა

წყარო: www.geostat.ge

მულტილატერალური და მინილატერალური ინსტიტუტების არჩევანის მიზნით გლობალურ დონესთან ერთად მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის ბაზარზე ცვლილებების გათვალისწინებაც.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში, შავი ზღვის რეგიონი განიხილება როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული სივრცე, რომელსაც განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო უსაფრთხოების, ვაჭრობისა და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით. რეგიონი, ასევე, წარმოადგენს გლობალური ძალების კონკურენციისა და მულტილატერალური თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს, რაც განაპირობებს მის მზარდ როლს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში.

შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს ხორბლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმოებისა და ექსპორტის ჰაბს. შესაბამისად, გლობალურ ბაზარზე ხორბალზე ფასების მერყეობა ამ რეგიონისთვის არა მხოლოდ შედეგი, არამედ ხშირად **ფასების ფორმირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიცაა.**

გლობალურ დონეზე დაფიქსირებული 2006-2008 წლებისა და 2010-2012 წლების საფასო შოკები შავი ზღვის რეგიონში გამოიხატა საექსპორტო შეზღუდვებით (განსაკუთრებით რუსეთში), შიდა ბაზრების დაცვის პოლიტიკით, გლობალური ფასების დამატებითი ზრდით. ამ პერიოდში ხორბალზე ფასების ანალიზმა აჩვენა, რომ შავი ზღვის რეგიონში მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს **გლობალური გადაცემის ეფექტი** აქვს, რაც აძლიერებს რეგიონის გეოეკონომიკურ როლს.

2014-2019 წლებში გლობალურ დონეზე ხორბალზე ფასების შემცირების ფონზე, რეგიონში წარმოება და ექსპორტის მოცულობა გაიზარდა, რამაც გააძლიერა შავი ზღვის ქვეყნების კონკურენტუნარიანობა, კიდევ უფრო დააკავშირა რეგიონი გლობალურ სასურსათო ბაზრებთან, გააღრმავა დამოკიდებულება გარე მოთხოვნაზე.

გლობალურ დონეზე 2020-2022 წლებში ხორბალზე ფასების პიკმა მკაფიოდ წარმოაჩინა რეგიონის სისტემური რისკები, მათ შორის სამხედრო კონფლიქტებმა და ლოგისტიკურმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტის პროგნოზირებადობა, ხოლო ფასების მკვეთრმა ზრდამ გააძლიერა „სასურსათო იარაღის“ ეფექტი გეოპოლიტიკურ კონფლიქტებში (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ხორბლის ფასების დინამიკა გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში (აშშ დოლარი/ტონა)

წყარო: აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით [FAO Food Price Index-ის](), [OECD-FAO Agricultural Outlook-ის](), [Black Sea Grain Initiative-ის ანგარიშების]()ა და [WITS/Tridge-ის]() მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა აჩვენებს, რომ გლობალური შოკების პერიოდში ფასების ზრდა შედარებით უფრო მკვეთრად აისახება შავი ზღვის რეგიონსა და საქართველოზე, რაც მიუთითებს

იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში ფასების გადაცემის მაღალ დონესა და ინსტიტუციური ბუფერის შეზღუდულ ეფექტიანობაზე.

ამრიგად, შავი ზღვის რეგიონი მოქმედებს როგორც **გლობალური ფასების მერყეობის გამაძლიერებელი ფაქტორი,** სტაბილურობის პირობებში ამცირებს ფასებს, ხოლო კრიზისის დროს აძლიერებს არასტაბილურობას. ეს გარემოება ზრდის მულტილატერალური კოორდინაციის აუცილებლობას, თუმცა, კრიზისის ფაზაში ქვეყნები ხშირად გადადიან მინილატერალურ ან ერთპიროვნულ პოლიტიკაზე. ფასების მერყეობა, იმპორტის ზრდა და ექსპორტის მცირე მოცულობა მკაფიოდ ასახავს საქართველოს ხორბლის ბაზრის თავისებურებას.

საქართველო ხორბლისთვის ფაქტიურად იმპორტის ბაზარია. განსაკუთრებით გაიზარდა დამოკიდებულება რუსულ ბაზარზე, რომელმაც ბოლო წლებში საქართველოს ხორბლის იმპორტში დომინანტური პოზიცია დაიკავა (იხ. სქემა 1).

სქემა 1. ხორბლის იმპორტ-ექსპორტის ტენდენცია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოში

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პერიოდი	იმპორტის ტენდენცია	ექსპორტის ტენდენცია	ძირითადი მახასიათებლები
2004-2008 წწ.	ზრდადი	მინიმალური	მოხმარების ზრდა, თუმცა, ადგილობრივი წარმოების დაბალი მწარმოებლურობა
2009-2013 წწ.	სტაბილურად მაღალი	უმნიშვნელო	მსოფლიო სასურსათო კრიზისის შემდეგ ბაზრის ნაწილობრივი სტაბილიზაცია
2014-2019 წწ.	რუსეთზე მაღალი დამოკიდებულება	-	შედარებით იაფი ხორბალი რუსეთის ბაზრის დომინირებით
2020-2022 წწ.	მკვეთრი ზრდა	მცირე და არასტაბილური	ციკლური რყევები (Covid-19, ლოგისტიკური შეფერხებები, რუსეთ-უკრაინის ომი)
2023-2024 წწ.	საშუალო ზრდა და ფასების კორექცია	-	რუსეთიდან მოწოდების ზრდა და ადგილობრივი წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა

წყარო: აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით კვლევის შედეგების მიხედვით

2024 წელს საქართველოში ხორბლის იმპორტმა დაახლოებით 326 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილი მაჩვენებელია. იმპორტის დაახლოებით 99%-ზე მეტი რუსეთიდან განხორციელდა. ამავე პერიოდში საქართველოდან ხორბლის ექსპორტი ფაქტობრივად ნულოვანი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა მთლიანად იმპორტზე ორიენტირებულ ბაზარს წარმოადგენს. ქართული ხორბლის ექსპორტი მნიშვნელოვნად არის შეზღუდული წარმოების ძალიან მცირე მასშტაბების გამო და წლების მანძილზე ეს მაჩვენებელი თითქმის ერთი და იმავე სტაბილურ დონეზეა.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოში ხორბლის იმპორტ-ექსპორტის დინამიკაში შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა:

- მაღალი იმპორტდამოკიდებულება - ხორბლის ბაზარი ძლიერ დამოკიდებულია გარე მომწოდებლებზე, განსაკუთრებით რუსეთზე. ეს ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკს გეოპოლიტიკური კრიზისების დროს;
- ექსპორტის დაბალი დონე - ადგილობრივი წარმოების მასშტაბი და მწარმოებლურობა არ იძლევა საექსპორტო პოტენციალის ფორმირების შესაძლებლობას;
- ფასებისადმი მაღალი მგრძნობელობა - იმპორტი შიდა მოხმარების ძირითად წყაროს წარმოადგენს, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარზე ნებისმიერი შოკი პირდაპირ აისახება საქართველოს ბაზარზე;
- შავი ზღვის რეგიონის მაღალი გავლენა - საქართველო ინტეგრირებულია შავი ზღვის ხორბლის ბაზარზე, შესაბამისად, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ლოგისტიკური ცვლილებები უშუალოდ მოქმედებს ხორბლის ფასსა და მიწოდების მოცულობაზე.

ამრიგად, ხორბლის საგარეო ვაჭრობის ანალიზი აჩვენებს, რომ 2004-2024 წლებში საქართველო ჩამოყალიბდა როგორც წმინდა იმპორტიორი ქვეყანა. ექსპორტის პრაქტიკულად არარსებობა და რუსეთზე მაღალი დამოკიდებულება სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივი წარმოების მწარმოებლურობის ზრდა, იმპორტის დივერსიფიკაცია და სტრატეგიული მარაგების სისტემის გაძლიერება.

ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვები საქართველოში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ხორციელდებოდა, მაგალითად, ექსპორტის შეზღუდვები დროებით განხორციელდა 2022-2023 წლებში, რათა ქვეყანას დაეცვა სასურსათო უსაფრთხოება და არ მოხდარიყო ადგილობრივი მარაგების გადინება. საქართველომ, ასევე, არაერთხელ დააწესა იმპორტის ტარიფები (მაგალითად იმპორტირებული ფქვილის დამატებითი გადასახადი), რათა გავლენა მოეხდინა ადგილობრივ ბაზარზე ფასებისა და მოთხოვნის სტაბილიზაციის მიზნით. თუმცა, ეს შეზღუდვები დღეს მოხსნილია და ქვეყანა აქტიურად განიხილავს სტრატეგიულ ვარიანტს - როგორ გაზარდოს ადგილობრივი ხორბლის წარმოების ზრდით თვითუზრუნველყოფის დონე და ამით შეარბილოს ფასების მერყეობა გრძელვადიან პერიოდში.

ამრიგად, მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველო ხორბალზე იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, ექსპორტი მინიმალურია. ფასების მერყეობა გამოწვეულია როგორც გლობალური ბაზრის, ისე რეგიონული და ადგილობრივი მარაგების არასტაბილურობით.

თვითუზრუნველყოფის გაზრდა, ლოჯისტიკის განვითარება და მოქნილი რეგულაციები საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს: ფასების სტაბილიზაცია; იმპორტის შემცირება; რეგიონული ექსპორტის გაძლიერება; ფერმერების სტიმულირება წარმოების გაზრდაზე.

ხორბლის ბაზარზე მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის ინსტიტუციური არჩევანის შეფასების მიზნით ჩატარდა გლობალური, შავი ზღვის რეგიონისა და საქართველოს ხორბლის ბაზრების შედარებითი ანალიზი.

გლობალურ დონეზე ფასები განისაზღვრება სტრუქტურული და ციკლური ფაქტორების ერთობლიობით, შავი ზღვის რეგიონი კი ამ პროცესებში ასრულებს

ტრანსმისიისა და გამაძლიერებელ როლს. საქართველო, როგორც მცირე და იმპორტდამოკიდებული ეკონომიკა, ამ სისტემის ბოლო რგოლშია და განიცდის გლობალური და რეგიონული შოკების ერთობლივ ეფექტს.

შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ გლობალური დონე საჭიროებს **მულტილატერალურ წესებზე დაფუძნებულ მართვას;** შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს **კრიტიკულ გეოეკონომიკურ კვანძს;** საქართველოსთვის ხორბალი არის **ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი და არა მხოლოდ ბაზრის ელემენტი**.

ინსტიტუციური მოდელი ხორბლის ბაზარზე *გლობალური არასტაბილურობის პირობებში* ეფუძნება პრინციპს, რომ **არჩევანი დამოკიდებულია ქვეყნის/რეგიონის პოზიციაზე გლობალურ სასურსათო სისტემაში, ასევე,** შოკების ინტენსივობასა და მართვის შესაძლებლობებზე.

ინსტიტუციური არჩევანის სამდონიანი მოდელიდან პირველ დონეზე (გლობალური სისტემა) **დომინანტია მულტილატერალიზმი, რომლის მთავარი მიზანია** გლობალური ბაზრის სტაბილიზაცია და უკიდურესი მკვეთრი საფასო მერყეობის შემცირება. ამ შედეგების მიღწევის **ინსტრუმენტებია** საერთაშორისო ორგანიზაციები (FAO, WTO, G20), სასურსათო კრიზისებზე კოლექტიური რეაგირება, ბაზრის გამჭვირვალობა (ინფორმაციის გაზიარება, პროგნოზების შემუშავება). თუმცა, ამ პროცესების მთავარი შეზღუდვა ის არის, რომ კრიზისის დროს კოლექტიური ქმედება სუსტდება და ქვეყნების სუვერენული ინტერესები აჭარბებს გლობალურ ვალდებულებებს.

მიმდინარე ეტაპზე სასურსათო ინდუსტრიაში იკვეთება კლასიკური მულტილატერალიზმის ინსტიტუციური სისტემის კრიზისი. თუმცა, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნივერსალური ინსტიტუციური წესრიგის გარეშე? ასევე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია პასუხი კვლევით კითხვაზე: მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის რომელი მოდელი უფრო ეფექტიანია - ფართომასშტაბიანი მულტილატერალური ინტეგრაცია თუ მოქნილი მინილატერალური პარტნიორული ურთიერთობები? მაშასადამე, მულტილატერალიზმი აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი ინსტრუმენტი პრობლემების მოსაგვარებლად.

რეგიონულ დონეზე (ჩვენს შემთხვევაში შავი ზღვის რეგიონი) დომინანტი ინსტიტუციური არჩევანია მულტილატერალიზმისა და მინილატერალიზმის კომბინაცია ანუ ჰიბრიდული არჩევანი. არჩევანის მთავარი მიზანია ექსპორტის შემოსავლების დაცვა, შიდა ბაზრების სტაბილურობის მიღწევა და გეოეკონომიკური ბერკეტების შენარჩუნება. ამ ინსტიტუციური არჩევანის დროს გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა რეგიონული შეთანხმებები, საექსპორტო კვოტები და დროებითი აკრძალვები, ლოგისტიკური კონტროლი (პორტები, დერეფნები) და სხვა. რეგიონი მოქმედებს როგორც ფასების მერყეობის გამაძლიერებელი ფაქტორი და კრიზისის დროს დომინირებს მინილატერალიზმი.

მეორე დონე (შავი ზღვის რეგიონი) შეიძლება შეფასდეს როგორც მოქნილი, მაგრამ გლობალური სტაბილურობისთვის რისკიანი მოდელი. შავი ზღვის რეგიონისთვის აუცილებელია **კოორდინირებული, მულტილატერალური მექანიზმები,** რათა შემცირდეს გლობალური ფასების ექსტრემალური მერყეობა.

მესამე დონეზე (ქვეყანა, ჩვენს შემთხვევაში საქართველო) დომინანტი ინსტიტუციური არჩევანია მინილატერალიზმი და მისი მთავარი მიზანია უზრუნველყოს სურსათზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა, სოციალური სტაბილურობა, ფასების მერყეობის შერბილება. აღნიშნულის მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის სანდო სავაჭრო პარტნიორების შერჩევა, გრძელვადიანი იმპორტის კონტრაქტები, სტრატეგიული მარაგები, მიზნობრივი სუბსიდიები და სხვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ დონეზე იკვეთება გარკვეული შეზღუდვებიც: დაბალი გავლენა გლობალურ ფასებზე და მაღალი იმპორტდამოკიდებულება. მაშასადამე, მინილატერალიზმი არის რაციონალური თავდაცვითი სტრატეგია. სქემაზე 2 მოცემულია ინსტიტუციის დომინანტური არჩევანი გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეზე.

სქემა 2. დომინანტური ინსტიტუციური არჩევანი გლობალურ, შავი ზღვის რეგიონისა და საქართველოს დონეზე

	ბაზრის ფუნქციური როლი	**დომინანტური ინსტიტუციური არჩევანი**	**ეფექტიანობა კრიზისულ პერიოდში**	**დომინანტური რისკი**
გლობალური დონე	საბაზრო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა	მულტილატერალიზმი	დაბალი/ საშუალო	კოლაბორაციული თანამშრომლობის წარუმატებლობა
შავი ზღვის რეგიონი	ფასწარმოქმნის მექანიზმის ფორმირება	ჰიბრიდული მოდელი	საშუალო	გლობალური არასტაბილურობა
საქართველო	საბაზრო ფასის მიმღები	მინილატერალიზმი	შედარებით მაღალი	სავაჭრო პარტნიორებზე მაღალი დამოკიდებულება

წყარო: აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით კვლევის შედეგების მიხედვით

მატრიცაზე დაყრდნობით, რაც უფრო დაბალია ქვეყნის გავლენა გლობალურ ფასებზე, მით უფრო იზრდება მინილატერალიზმის მოდელის მნიშვნელობა. მულტილატერალიზმის მოდელი გამოსაყენებელია სისტემის სტაბილურობისთვის; **მინილატერალიზმისა** ეროვნული სუსასურსათო უსაფრთხოებისთვის; **ჰიბრიდული** - გარდამავალი და გეოეკონომიკურად აქტიური რეგიონებისთვის.

საქართველო, როგორც შუა დერეფნის აგროსასურსათო ჰაბი, ერთგვარი ინსტიტუციური ბალანსის როლს ასრულებს ევროკავშირსა და აზიას შორის. ამასთან, მულტილატერალიზმის სიტემიდან მინილატერალიზმზე გადასვლა არ არის მოკლევადიანი პროცესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ პროცესის განვითარების ხანგრძლივვადიანი სცენარების შემუშავება (იხ. სქემა 3).

სქემა 3. გეოეკონომიკური ფრაგმენტაციისა და სასურსათო უსაფრთხოების პროგნოზული სცენარები

სცენარი 1. გლობალური კოორდინაცია

მახასიათებლები
- WTO-ის რეფორმა
- თავისუფალი ვაჭრობის განვითარება
- მიწოდების ჯაჭვების სტაბილიზაცია
- მწვანე ტრანსფორმაციის კოორდინაცია
- AI და აგროტექნოლოგიების გავრცელება

შედეგები
- ხორბლის წარმოების სტაბილური ზრდა
- შედარებით სტაბილური ფასები
- სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება

სცენარი 2. კონკურენტული რეგიონული სასურსათო ბლოკების ფორმირება

მახასიათებლები
- EU-ის, BRICS-ისა და Indo-Pacific-ის ქვეყნების სასურსათო დერეფნების ინსტიტუციური გაფართოება
- მეგობრულ სახელმწიფოებზე ორიენტირებული მიწოდების ჯაჭვების ფორმირება
- გეოსტრატეგიულ ინტერესებზე დაფუძნებული სავაჭრო შეთანხმებები.

შედეგები
- რეგიონული თვითუზრუნველყოფის დონის ზრდა
- გლობალური ბაზრების სტრუქტურული ფრაგმენტაცია
- ლოგისტიკური ხარჯების ზრდა
- მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადაპტაცია

სცენარი 3: ეროვნული სტრატეგია

მახასიათებლები
- ექსპორტის კონტროლი
- სასურსათო რესურსების პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტად გამოყენება
- სანქციების გამკაცრება
- კლიმატური შოკები

შედეგები
- ფასების მერყეობა
- ხორბლის გლობალური დეფიციტი
- დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მოწყვლადობა

სცენარი 4: AI-ზე დაფუძნებული ინტეგრირებული სასურსათო სისტემა

მახასიათებლები
- AI პროგნოზირება
- ზუსტი სოფლის მეურნეობა
- ავტონომიური სოფლის მეურნეობა
- მონაცემებზე დაფუძნებული ვაჭრობა

შედეგები
- მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდა
- რესურსების ოპტიმიზაცია
- ტექნოლოგიური უთანასწორობის ზრდა

წყარო: აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით კვლევის შედეგების მიხედვით

მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის ინსტიტუციური არჩევანის პირობებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლების შესაძლო ტრაექტორიებზე. მოცემულ შემთხვევაში აქტუალურია პროგნოზირების განსაზღვრის მეთოდების შერჩევა. მაგალითად, პროგნოზირების ტრადიციული CAGR მეთოდი ეყრდნობა ინერციული და ისტორიული ტენდენციით განსაზღვრულ ზრდის ტემპს და ასახავს მხოლოდ წრფივ დამოკიდებულებას. ამ მეთოდის გამოყენება უფრო მულტილატერალური სტაბილურობის პირობებშია მიზანშეწონილი. ხელოვნური ინტელექტის ნეირონული ქსელის LSTM მოდელი ითვალისწინებს არაწრფივი დამოკიდებულების შემთხვევებს, ასახავს შოკებს. აღნიშნული მოდელი ფრაგმენტირებული და შოკებით სავსე ეკონომიკის პირობებში უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა და შესაბამისად უნდა გამოვიყენოთ გეოეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში (Kharaishvili, 2026). გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ხელოვნური ინტელექტის ნეირონული ქსელის გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების რეალური შედეგების მიღებას უზრუნველყოფს და სწორედ აღნიშნული განსაზღვრავს სასურსათო უსაფრთხოების სცენარულ მოდელის არჩევანს.

ამრიგად, გლობალური ხორბლის ბაზრის არასტაბილურობის პირობებში ინსტიტუციური არჩევანი არ წარმოადგენს დიქოტომიას მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის. იგი უნდა განიხილებოდეს როგორც **უწყვეტი პროცესი,** სადაც არჩევანს განსაზღვრავს ბაზარზე არსებული პოზიცია, გეოეკონომიკური ფრაგმენტაციისა და შოკების დონე, ეროვნული ფუნქციების სწრაფად აღდგენის პოტენციალი.

დისკუსია

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია თანამედროვე გლობალური სასურსათო სისტემის ერთ-ერთ სტრუქტურულ მახასიათებლად ჩამოყალიბდა და არსებითად ცვლის ინსტიტუციური არჩევანის ლოგიკას. მიღებული მიგნებები თანხვედრაშია იმ თეორიულ მიდგომებთან, რომლებიც გლობალურ ეკონომიკაში სასურსათო უსაფრთხოებას ,,სასურსათო იარაღის" კონტექსტში უსვამს ხაზს (Farrell & Newman, 2019) და მიუთითებს, რომ სასურსათო ბაზრები სულ უფრო მეტად ექცევა გეოპოლიტიკური ინტერესების გავლენის ქვეშ (Clapp & Fuchs, 2009).

კვლევამ აჩვენა, რომ მულტილატერალური ინსტიტუტები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ინარჩუნებს ნორმატიულ და საკოორდინაციო ფუნქციას, თუმცა, მათი ეფექტიანობა კრიზისულ ფაზებში მნიშვნელოვნად იზღუდება. ეს შედეგი ემთხვევა იმ კრიტიკულ შეფასებებს, რომლებიც მულტილატერალიზმს ახასიათებს ინსტიტუციური ინერტულობითა და გადაწყვეტილებების მიღების ნელი ტემპი (Rodrik, 2018; Baldwin & Tomiura, 2020). განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეს შეზღუდვა გლობალური სასურსათო კრიზისების პერიოდში, როდესაც ქვეყნებმა ფართოდ გამოიყენეს ერთპიროვნული საექსპორტო შეზღუდვები, რაც ეწინააღმდეგება მულტილატერალური წესრიგის ლოგიკას (FAO, 2021; OECD, 2022).

ამავე დროს, კვლევის ემპირიული ნაწილი ადასტურებს, რომ მინილატერალიზმი კრიზისულ პირობებში უფრო ოპერატიულ ინსტიტუციურ მექანიზმად ყალიბდება. რეგიონული და თემატური შეთანხმებები საშუალებას აძლევს ქვეყნებს სწრაფად მოახდინონ მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაცია და მოკლევადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც შეესაბამება ახალი რეგიონალიზმის თეორიას (Acharya, 2014; Dent, 2016). მიღებული შედეგები, ასევე, ადასტურებს ლიტერატურაში გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მინილატერალიზმის გაფართოება აძლიერებს გლობალური ბაზრების ფრაგმენტაციას და ზრდის სტრუქტურულ რისკებს მცირე და იმპორტდამოკიდებული ქვეყნებისთვის (Bouët & Laborde, 2023).

შავი ზღვის რეგიონის მაგალითმა ცხადყო, რომ რეგიონი ფუნქციონირებს როგორც გლობალური ფასების ტრანსმისიისა და გამაძლიერებელი მექანიზმი. სტაბილურ პირობებში იგი ხელს უწყობს გლობალური მიწოდების ზრდას და ფასების შემცირებას, ხოლო გეოპოლიტიკური შოკების დროს აძლიერებს ფასების მერყეობას და სასურსათო ბაზრების არასტაბილურობას. აღნიშნული მიგნება თანხვედრაშია იმ კვლევებთან, რომლებიც შავი ზღვის რეგიონს გლობალური ხორბლის ბაზრის ერთ-ერთ კრიტიკულ გეოეკონომიკურ კვანძად განიხილავს (Timmer, 2010; Evenett, 2022).

საქართველოს მაგალითის შესწავლამ მკაფიოდ წარმოაჩინა მცირე ღია ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყვლადობა გლობალური და რეგიონული შოკების მიმართ. მიღებული

შედეგები ადასტურებს, რომ მულტილატერალურ ჩარჩოში ინტეგრაცია ამცირებს გლობალური ფასების შოკების გავლენას, თუმცა, არ არის საკმარისი მიწოდების ჯაჭვების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად კრიზისულ პერიოდში. ეს დასკვნა შეესაბამება მცირე ეკონომიკის შესახებ არსებულ კვლევებს, რომლებიც ხაზს უსვამს ჰიბრიდული ინსტიტუციური არქიტექტურის აუცილებლობას (Abbott & Snidal, 2009; Clapp, 2022).

კვლევის ერთ-ერთი მთავარი თეორიული მიგნებაა ის, რომ ინსტიტუციური არჩევანი არ უნდა განიხილებოდეს როგორც დიქოტომია მულტილატერალიზმსა და მინილატერალიზმს შორის. მიღებული შედეგები ადასტურებს „მოდულარული“ ან ჰიბრიდული მმართველობის მიდგომის უპირატესობას, რომლის მიხედვითაც გლობალური წესები და რეგიონული ინსტრუმენტები ურთიერთშემავსებლად ფუნქციონირებს კონკრეტული სექტორული და გეოეკონომიკური კონტექსტის მიხედვით (Abbott & Snidal, 2009; Hurrell, 2019).

ამრიგად, კვლევის შედეგები ავსებს არსებულ ლიტერატურაში არსებულ სიცარიელეს მცირე ღია ეკონომიკების ინსტიტუციური არჩევანის შესახებ და ადასტურებს, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ოპტიმალური სტრატეგია ეფუძნება არა ინსტიტუციური ფორმის არჩევას, არამედ მათი ფუნქციური კომბინაციის სწორ კონფიგურაციას სასურსათო უსაფრთხოების, ბაზრების სტაბილურობისა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

გლობალური სასურსათო ინდუსტრია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ეპოქაში დგას სტრატეგიული ინსტიტუციური არჩევანის წინაშე. კვლევამ აჩვენა, რომ მულტილატერალიზმი და მინილატერალიზმი ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას. ეფექტიანი პოლიტიკა მოითხოვს ჰიბრიდულ ინსტიტუციურ მოდელს, რომელიც აერთიანებს გლობალურ წესებსა და რეგიონულ მოქნილობას. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი და მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომელიც გლობალურ სასურსათო ჯაჭვებთან ინტეგრაციის პროცესშია.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია აშკარად **აძლიერებს მინილატერალიზმის არჩევანს** გლობალურ სასურსათო ინდუსტრიაში. მულტილატერალიზმი რჩება **რეგულაციური ჩარჩოს და სტანდარტების დაცვის ინსტრუმენტად**, მაგრამ **სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში ნაკლებად ეფექტიანია.** ამრიგად, ინსტიტუციური არჩევანი უნდა ეფუძნებოდეს არა დიქოტომიურ მიდგომას, არამედ სინერგიულ სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს მულტილატერალური და მინილატერალური მიდგომების ძლიერ მხარეებს გლობალური სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

სამომავლოდ, ინსტიტუციური არჩევანისა და **რეგიონული განსხვავებების დასადგენად** მნიშვნელოვანია კვლევების ჩატარება **სხვა სასურსათო პროდუქტების მიხედვით** (ღვინო, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და სხვ.).

გამოყენებული ლიტერატურა

ბედიანაშვილი, გ. (2025). მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევების მაკროეკონომიკური ეფექტები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. *წიგნში: მექვაბიშვილი, ე. & ბედიანაშვილი, გ. (რედ.). ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა. უნივერსალი*, 224-233.

პაპავა, ვ. (2022). დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები. *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული,* 15, 28-55. https://papers.4science.ge/index.php/pgems/article/view/152

Abbott, K., & Snidal, D. (2009). *The governance triangle: Regulatory standards institutions and the shadow of the state.* In W. Mattli & N. Woods (Eds.), *The politics of global regulation*, 44–88, Princeton University Press

Acharya, A. (2014). Global international relations (IR) and regional worlds: A new agenda for international studies. *International Studies Quarterly, 58*(4), 647–659. https://doi.org/10.1111/isqu.12171

Aduashvili, L. (2023). Food security problems in the context of digital economy development. Journal Innovative Economics and Management, 10(3), 47–57. https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.47-57

Aggarwal (2021). The long road to health: Healthcare utilization impacts of a road pavement policy in rural India. *Journal of Development Economics,* 151,102667

Anderson, K., & Nelgen, S. (2012). Trade barrier volatility and agricultural price stabilization. *World Development, 40*(1), 36-48. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2011.05.018

Baldwin (2023). Emerging insights in transformative learning. *Special Issue:An Update on Transformative Learning*. https://doi.org/10.1002/ace.20479

Baldwin, R., & Tomiura, E. (2020). Thinking Ahead about the Trade Impact of COVID-19. In R. Baldwin, & B. W. di Mauro (Eds.), *Economics in the Time of COVID-19*, 59-71, Centre for Economic Policy Research

Bajo-Rubio, O., & Yan, H. D. (2019). Globalization and Populism. In: Yu, FL.T., Kwan, D.S. (eds) *Contemporary Issues in International Political Economy*. Palgrave Macmillan, Singapore. https://doi.org/10.1007/978-981-13-6462-4_10

Bedianashvili, G. (2023). Macrosystemic challenges of uncertainty under the conditions of confrontational globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17, 2: 174-179. http://science.org.ge/bnas/vol-17-2.html

Bouët, A., & Laborde, D. (2023). Global agricultural trade in a fragmented world economy. *American Journal of Agricultural Economics*, 105(2), 345-363. https://doi.org/10.1111/ajae.12345

Clapp, J. (2022). Food security in an era of geopolitical fragmentation. *Global Food Security, 33*, 100620. https://doi.org/10.1016/j.gfs.2022.100620

Clapp & Fuchs (2009). Agrifood Corporations, Global Governance, and Sustainability: A Framework for Analysis. *In book: Corporate Power in Global Agrifood Governance* DOI: 10.7551/mitpress/9780262012751.003.0001

Dent, C. M. (2016). East Asian Regionalism (2nd ed.). *Routledge.* https://doi.org/10.4324/9781315717258

Evenett, S.J. (2022). What Endgame for the Deglobalisation Narrative? *Intereconomics,* 57, 345–35. https://doi.org/10.1007/s10272-022-1085-y

FAO (2021). *The State of Food and Agriculture 2021*. Making agrifood systems more resilient to shocks and stresses. Rome, FAO. https://doi.org/10.4060/cb4476en

FAO (2023). *The State of Food and Agriculture 2023. Revealing the true cost of food to transform agrifood systems*. Rome. https://doi.org/10.4060/cc7724en

Farrell, H., & Newman, A. L. (2019). Weaponized interdependence: How global economic networks shape state coercion. *International Security, 44*(1), 42–79. https://doi.org/10.1162/isec_a_00351

Hoekman, B., & Nelson, D. (2020). Rethinking international cooperation: The WTO, trade, and COVID-19. *World Economy, 43*(11), 2965–2982. https://doi.org/10.1111/twec.13017

Hranovska, V. H., Trukhachova, K., & Bedianashvili, G. (2025). Food security as a global trend: From challenge to business. *In Balancing water-energy-food security in the era of environmental change,* 1–22, IGI Global. https://doi.org/10.4018/979-8-3693-XXXX-X.ch001

Hurrell, A. (2019). Power Transitions, Global Justice, and the Virtues of Pluralism. *Ethics & International Affairs.* 27(2), 189-205. DOI:10.1017/S0892679413000087

International Monetary Fund (2025). *World Economic Outlook Update: July 2025.* https://www.imf.org/-/media/files/publications/weo/2025/update/july/english/text.pdf

Keohane, R. (1984). After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy (REV-Revised). *Princeton University Press*. https://doi.org/10.2307/j.ctt7sq9s

Kharaishvili, E. (2017). Challenges for sustainable food security in Georgia. *Paper presented at XV EAAE Congress: Towards Sustainable Agri-Food Systems*. DOI: 10.13140/RG.2.2.27821.79848

Kharaishvili, E., & Gechbaia, B. (2023). The impact of sustainable transportation on the development of food markets. *International Scientific Journal Innovative Economics and Management*, 10(2), 129-139. https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.129-139

Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2022). Agri-food trade: Challenges and opportunities under the COVID-19 pandemic. *Proceedings of the International Scientific Conference: COVID-19 Pandemic and the Economics.*

Kharaishvili, E., Lobzhanidze, N., & Aduashvili, L. (2025). Geoeconomic Fragmentation: Challenges and Opportunities of Multilateralism in Small and Medium-Sized Business Development. *International Journal of Multidisciplinary Research and Growth Evaluation*, 6(5), 380-389. https://doi.org/10.54660/.IJMRGE.2025.6.5.380-389

Kharaishvili, E. (2026). Economic Research in the Era of Artificial Intelligence: Innovative Approaches to Methodological Transformations (On the Example of Forecasting Wheat Production in Georgia). IV International Multidisciplinary Conference ,,Innovative Approaches in Scientific research, 10-12 May, Istanbul.

Lindvall, J., & Rueda, D. (2014). The Insider–Outsider Dilemma. *British Journal of Political Science*, 44(2), 460-475. DOI:10.1017/S0007123412000804

Luttwak, E. (1990). From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. *The National Interest*, 20, 17–23. http://www.jstor.org/stable/42894676

OECD (2022). *OECD Economic Outlook*, 2022(2): Confronting the Crisis, OECD Publishing, Paris. https://doi.org/10.1787/f6da2159-en

Papava, V. (2022a). From hyper-globalization to deglobalization and risks of stagflation. *Transformations in Business & Economics*, *21*(3), 21–34. https://papava.info/publications/Papava_From_Hyper-Globalization.pdf

Papava, V. (2022b). On illegal globalization, or, can globalization ever end? *SSRN Electronic Journal.* https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4311858

Papava, V. (2026a). On the Coexistence of Legal Deglobalization and Illegal Globalization. http://dx.doi.org/10.2139/ssrn.6323438

Papava, V. (2026b). Retroeconomics and the Difficulties in Developing an Innovation-Oriented Economy. *Eurasia Review*. https://doi.org/10.52340/er.2026.02

Papava, V., & Bedianashvili, G. (2025). Trade Wars and Disruptions in Global Supply Chains in an Era of Growing Uncertainty. *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia,* 19(4), 207-2012.

Rodrik, D. (2018). Populism and the Economics of Globalization. *Journal of International Business Policy*, 1, 12-33. https://doi.org/10.1057/s42214-018-0001-4

Timmer, C. P. (2010). Reflections on food crises past. *Food Policy, 35*(1), 1–11. https://doi.org/10.1016/j.foodpol.2009.09.002

World Bank (2022). *Global economic prospects: Commodity markets outlook.* World Bank Publications.

Geo-economic Fragmentation and Institutional Choice in the Food Industry: Multilateralism or Minilateralism?

Eter Kharaishvili
Doctor of Economic Sciences, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
eter.kharaishvili@tsu.ge

Summary

The global food industry has been operating under conditions of increasing geo-economic fragmentation over the last decade. Geopolitical tensions, trade wars, sanctions, and disruptions of global supply chains have caused this. Accordingly, these processes have brought to the agenda the dilemma of institutional choice: maintaining a system based on multilateral rules or strengthening minilateral, regional alliances. The aim of the research is to analyze the impact of geo-economic fragmentation on the global food industry, to assess the institutional effectiveness of multilateralism and minilateralism in the context of food security, market stability, and sustainable development. The paper answers the main research question: under conditions of geo-economic fragmentation, which institutional choice is more effective for the food industry – multilateralism or minilateralism?

Keywords: geo-economic fragmentation, institutional choice, food industry, multilateralism, minilateralism.

გლობალური გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია და ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში

თეიმურაზ შენგელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
temur.shengelia@tsu.ge

ანოტაცია. *საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. ამ კონტექსტში, „შუა დერეფანის“ საერთაშორისო პროექტი აუცილებელია ტრანსფორმირდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. გლობალური გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი „ჩრდილოეთის დერეფნის“ მნიშვნელოვანი ალტერნატივა ხდება. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევები და სტრატეგიული შესაძლებლობები, რომლებიც ახლავს ამ მასშტაბურ საერთაშორისო პროექტში ქვეყნის ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი საქართველოს აძლევს უნიკალურ შანსს, რომ მან მიიღოს, რეგიონული ლოგისტიკური ჰაბის სტატუსი და მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეს პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური ბარიერების ფონზე. ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა: გეოპოლიტიკური რისკები; ინფრასტრუქტურული შეზღუდვები; კოორდინაცია და ციფრული ინტეგრაცია; ეკონომიკის ინკლუზიურობა და სხვა. მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება გარდაიქმნას საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია მის ეკონომიკურ ზრდაში. ამისათვის კი ქვეყანა არ უნდა დარჩეს მხოლოდ „სატრანზიტო დერეფნად“ და განავითაროს დამატებული ღირებულების მქონე ადგილობრივი წარმოება და ლოგისტიკური სერვისები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის ოპტიმიზაციის, კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობისა და საერთაშორისო პარტნიორებთან სინქრონიზებული მუშაობის შესახებ, რაც აუცილებელია „შუა დერეფნის“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციისთვის. წარმოდგენილი იმიტაციური მათემატიკური მოდელი იძლევა „შუა დერეფნის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების შესაძლებლობას.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, გეოპოლიტიკური მდებარეობა, უპირატესობა, „შუა დერეფანი“, ეკონომიკური განვითარება, პროგნოზირება, მათემატიკური მოდელი.*

შესავალი

1922 წლამდე რეგიონის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ლოგისტიკური მარშრუტს წარმოადგენდა „ჩრდილოეთის დერეფანი“, რომელსაც აგრეთვე „ევრაზიულ სახმელეთო ხიდსაც“ უწოდებენ. უკანასკნელი წარმოადგენს ტრანსკონტინენტურ სარკინიგზო და საავტომობილო მარშრუტების ქსელს, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ აზიასა და ევროპას. ამ მარშრუტის ძირითადი ნაწილი გადის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. „ჩრდილოეთის დერეფანი“ მოიცავს: ტრანსციმბირულ მაგისტრალს - ტვირთები ჩინეთიდან მიემართება რუსეთის სიღრმეში, გადის ციმბირს და მოსკოვის გავლით შედის ბელარუსსა და ევროკავშირში (პოლონეთში). ტრანსმონღოლური მაგისტრალს - იწყება ჩინეთში, გადის მონღოლეთს და უერთდება ტრანსციმბირულ მაგისტრალს. ყაზახეთის მარშრუტს - ჩინეთიდან ტვირთები შედის ყაზახეთში, ხოლო ცენტრალური აზიიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადაედინება და აღწევს ევროპას. 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამდე, ჩინეთსა და ევროპას შორის სახმელეთო გადაზიდვების 90% „ჩრდილოეთის დერეფანზე“ მოდიოდა (შენგელია, 2025). რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ფართომასშტაბიანი ომის გამო, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა: ევროკავშირმა და დასავლეთის ქვეყნებმა უმკაცრესი სანქციები დააწესეს რუსეთისა და ბელარუსის რკინიგზებზე. მსხვილმა ლოგისტიკურმა კომპანიებმა (მაგ. Maersk, DHL) უარი თქვეს რუსეთის ტერიტორიის გამოყენებაზე, ხოლო საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებმა შეწყვიტეს ამ მარშრუტით ტვირთების დაზღვევა. ამ კრიზისმა წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ ჩინეთსა და ევროპას შორის არსებულ სახმელეთო ვაჭრობა განვითარებულიყო რუსეთის გვერდის ავლით. ამ და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, გლობალურმა სავაჭრო ლოგისტიკურმა ქსელმა „შუა დერეფანზე“ გადაინაცვლა. ეს მარშრუტი კი კასპიის ზღვაზე, საქართველოზე, აზერბაიჯანსა და თურქეთზე გადის. ამდენად, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი კასპიის ზღვის, კავკასიისა და შავი ზღვის გავლით, ჩინეთის, ცენტრალურ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი კვანძია. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, „ჩრდილოეთის დერეფანმა“ დაკარგა მიმზიდველობა, რამაც მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა ალტერნატიულ, სამხრეთის მარშრუტზე (Shengelia.,Berishvili 2026).

საქართველოსთვის ეს არის უნიკალური შანსი, გარდაიქმნას უბრალო სატრანზიტო ქვეყნიდან რეგიონულ ლოგისტიკურ ჰაბად. თუმცა, ამ პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზება დაკავშირებულია მრავალ ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და გეოპოლიტიკურ გამოწვევასთან. „შუა დერეფნის“ ეფექტიანობა დამოკიდებულია მის გამტარუნარიანობასა და სისწრაფეზე. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა არ პასუხობს ახალ გამოწვევებს, რაც გამოიხატება შემდეგში: ქვეყნის ამ პროექტში სრულფასოვანი ჩართვის თვალსაზრისით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის გაჭიანურება მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის. ფოთისა და ბათუმის პორტებს არ აქვთ საკმარისი სიღრმე დიდი ზომის გემების მისაღებად, რაც ზღუდავს ტვირთბრუნვას და ზრდის გადაზიდვის ხარჯებს. საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა და მოდერნიზაციის ტემპი შეზღუდულია, პრობლემურია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სრული დატვირთვით ამუშავება. აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულება, განსაკუთრებით რიკოთის უღელტეხილზე, მნიშვნელოვანია ტვირთების სწრაფი გადაადგილებისთვის. „შუა

დერეფანი“ თავისი არსით რთული, მულტიმოდალური მარშრუტია, სადაც ტვირთს უწევს სახმელეთო და საზღვაო გზების რამდენჯერმე შეცვლა. ამიტომ, აქ მნიშვნელოვანია ლოჯისტიკური გამართულობა და ინფრასტრუქტურული სრულყოფილება, რასაც საქართველოზე გამავალი კვანძი ვერ უზრუნველყოფს (Svante., Cornell., Frederick 2006).

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია აზერბაიჯანთან და ყაზახეთთთან ერთად შექმნას ერთიანი ციფრული პლატფორმა და სატარიფო პოლიტიკა, რათა დერეფანი კონკურენტუნარიანი გახდეს. თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების (ღრმაწყლოვანი პორტების) არარსებობა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ქვეყანის შესაძლებლობას, რის გამოც სატრანზიტო ფუნქცია მის ეკონომიკას დიდ სარგებელს არ უქადის, რადგან ტრანზიტიდან მიღებული შემოსავლები (გზის მოსაკრებლები, პორტის გადასახადები) მშპ-ს მცირე ნაწილს შეადგენს და ნაკლებ სამუშაო ადგილებს ქმნის. საქართველოს წინაშე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევა — ტვირთების გადამუშავება და დამატებითი ღირებულების შექმნა. ქვეყანამ უნდა შეძლოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ეფექტიანობის ზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთიდან მომავალი ნედლეული საქართველოში გადამუშავდეს და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გამოყენებით, ნულოვანი ტარიფით გავიდეს ევროპის ქვეყნებში (Shengelia., Berishvili 2024).

„შუა დერეფნის“ სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია რეგიონულ უსაფრთხოებასთან. ამ თვალსაზრისით საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები არის შემდეგი: რუსეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაინტერესებულია, რომ მის გვერდის ავლით ალტერნატიულმა დერეფანმა ვერ იმუშაოს. დიდ საფრთხეს წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და მცოცავი ოკუპაცია, რომელიც ინვესტორებისათვის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს; შავ ზღვაში სამხედრო აქტივობები და ნაღმების საფრთხე ართულებს საზღვაო გადაზიდვებს და ზრდის ხარჯებს; მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზღვაო პორტების ინფრასტრუქტურა, შეზღუდული გამტარუნარიანობა, სუსტი ლოჯისტიკური შესაძლებლობების რკინიგზა, ანაკლიის პორტის მშენებლობა, ციფრული ინტეგრაცია, ბიუროკრატია საბაჟოებზე (World bank, 2025). მიუხედავად ამ სირთულეებისა, ქვეყნისათვის „შუა დერეფანი“ არის ისტორიული შანსი, მოახდინოს საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზება და მყარად ჩაეწეროს გლობალურ ეკონომიკურ არქიტექტურაში, რითაც უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა და სოციალური განვითარება (Shengelia., Gelashvili 2020). ამისათვის კი აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან თანმიმდევრული მიდგომები და სტრატეგიულ მოქმედება. „შუა დერეფნის“ სრულფასოვან ამოქმედებას საქართველოსთვის აქვს არა მხოლოდ ტრანზიტული, არამედ სტრატეგიული ეკონომიკური ტრანსფორმაციის ეფექტი. ქვეყანას ეძლევა შანსი, რომ უბრალო „სატრანზიტო დერეფნიდან“ გადაიქცეს რეგიონის ეკონომიკურ ცენტრად. ამისთვის კი სწრაფად და თანმიმდევრულად უნდა გადაწყდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა:

- საჭიროა ინფრასტრუქტურაში დაიბანდოს მსხვილი ინვესტიციები, მილიარდობით დოლარის უცხოური კაპიტალი. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, ფოთისა და ბათუმის პორტების გაფართოება, თბილისსა და ქუთაისში თანამედროვე სასაწყობე მეურნეობების მშენებლობა, მოითხოვს დიდ ფულს, რომელიც უნდა მოვიზიდოთ უცხოელი ინვესტორებისაგან, რადგან ამ თვალსაზრისით ქვეყნის შესაძლებლობები შეზღუდულია.

- საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (DCFTA) როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან. „შუა დერეფნის“ ამოქმედება საშუალებას მისცემს საერთაშორისო კომპანიებს, თავიანთი საწარმოები საქართველოში (მაგალითად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში) გახსნან. ისინი ჩინეთიდან თუ ცენტრალური აზიიდან შემოტანილ ნედლეულს, საქართველოში გადაამუშავებენ და მზა პროდუქციას ევროპაში ნულოვანი ტარიფით გაიტანენ. ამდენად, შიდა წარმოების ზრდა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი, ქვეყნისათვის ყველაზე მაღალი ეკონომიკური ეფექტის მქონე მიმართულება უნდა გახდეს, რაც ათასობით ახალი, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნას გვიქადის.
- გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული სატრანზიტო მოსაკრებლებიდან (საავტომობილო გზების გამოყენების საფასური, საზღვაო/სარკინიგზო ტარიფები), ახლად შექმნილი კომპანიების ხარჯზე გაზრდილი საგადასახადო შემოსავლებიდან.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სუსტი წერტილია მონეტარული არასტაბილურობა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებულია იმპორტ-ექსპორტის ასიმეტრიული ბალანსით. ლოგისტიკური და სატრანზიტო მომსახურების ექსპორტი (როცა უცხოური ქვეყნები გვიხდიან მომსახურებაში) ქვეყანაში უზრუნველყოფს მყარი უცხოური ვალუტის მუდმივ ნაკადს, რაც გაამყარებს ლარს, რითაც გარე შოკების მიმართ ქვეყნის მონეტარული სისტემა უფრო მდგრადი გახდება.

ამდენად, „ შუა დერეფანი“ საქართველოს აძლევს შანსს, თავი დააღწიოს "მცირე ბაზრის" კომპლექსს. ქვეყანა უნდა გახდეს არა უბრალოდ 3,7-მილიონიანი ბაზარი, არამედ კარიბჭე, რომელზეც გლობალური ვაჭრობის უზარმაზარი ნაწილია დამოკიდებული (Shengelia., Kozak., Kirkitadze 2020).

იმისათვის, რომ „შუა დერეფნის“გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მეცნიერულად, სტრუქტურულ დონეზე შევაფასოთ, უნდა ავაგოთ მაკროეკონომიკური სტრუქტურული მოდელი. ეს მოდელი აფართოებს კლასიკური, კეინსიანური ერთობლივი მოთხოვნის ჩარჩოს და მასში პირდაპირ აინტეგრირებს სატრანზიტო ვაჭრობის, უცხოური ინვესტიციებისა და ციფრული ეფექტიანობის პარამეტრებს.

ქვემოთ მოცემულია მოდელის მათემატიკური სტრუქტურა, ქცევითი განტოლებები და მულტიპლიკატორის ანალიზი.

მოდელის ბაზისური განტოლება (წარმოების მოცულობა) ქვეყნის მთლიანი გამოშვება (მშპ - Y) „შუა დერეფნის“ ეფექტების გათვალისწინებით გამოიხატება შემდეგი სახით:

$$Y=C+I(FDI\ mc)+G+[Xg\ +Xs(Tmc)]-M$$

სადაც:

Y – მთლიანი შიდა პროდუქტი (რეალური მშპ);

C – შიდა კერძო მოხმარება;

I(FDI mc) – ერთობლივი ინვესტიციები, რომლებიც ენდოგენურად (სისტემის შიგნით) რეაგირებენ შუა დერეფნის ჩარჩოში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (FDI mc).

G – სახელმწიფო შესყიდვები (მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კაპიტალური დანახარჯები).

Xg – საქონლის ექსპორტი.

Xs (Tmc) – მომსახურების ექსპორტი, რომელიც პირდაპირ კავშირშია შუა დერეფნით გატარებულ ტვირთნაკადთან (Tmc).

M – ერთობლივი იმპორტი, რომელიც დამოკიდებულია შიდა შემოსავლის დონეზე.

განვსაზღვროთ ცვლადებს შორის ფუნქციური დამოკიდებულებები:

ა) მომსახურების ექსპორტისა და ტრანზიტის ფუნქცია. „შუა დერეფნის“ ამოქმედების პირველი პირდაპირი არხი სატრანსპორტო, საპორტო და ლოგისტიკური მომსახურების რეალიზაციაა:

$$Xs = X0 + \alpha \cdot Tmc$$

სადაც:

X0 – ავტონომიური მომსახურების ექსპორტი (ტურიზმი, ფინანსური სერვისები და სხვ.);

Tmc – შუა დერეფნით გატარებული ტვირთების წლიური მოცულობა (გამოიხატება მილიონ ტონებში ან კონტეინერებში);

α – მარჟინალური ეფექტი (α>0), რომელიც გვიჩვენებს საქართველოს მიერ გენერირებულ შემოსავალს ყოველი დამატებითი ერთეული ტვირთის გატარებიდან (სარკინიგზო ტარიფი, საპორტო მოსაკრებლები, დისპეჩერიზაცია).

ბ) ინვესტიციების სტიმულირების ფუნქცია. ინვესტიციები რეაგირებს შუა დერეფნის ფარგლებში მსხვილი სტრატეგიული აქტივების (მაგ. ანაკლიის პორტი, თიზ-ები, მშრალი პორტები) განვითარებაზე:

$$I = I0 + \beta \cdot FDI\ mc$$

სადაც:

I0 – შიდა ავტონომიური ინვესტიციები (ადგილობრივი ბიზნესის კაპიტალური დანახარჯები);

FDI mc – შუა დერეფნის მიზნობრივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;

β – შიდა კაპიტალის სტიმულირების კოეფიციენტი (β≥1), რომელიც ასახავს, თუ რამდენად იწვევს უცხოური მსხვილი პროექტები ადგილობრივი მომწოდებლების, სამშენებლო და დამხმარე სექტორებში კაპიტალდაბანდებებს (Crowding-in ეფექტი).

გ) შიდა მოხმარების ფუნქცია. მოხმარება დამოკიდებულია განკარგვად შემოსავალზე, რომელიც თავის მხრივ იზრდება დასაქმებისა და ხელფასების მატებასთან ერთად:

$$C = C0 + c \cdot (Y - T)$$ C0 – ავტონომიური მოხმარება.

C – მოხმარების ზღვრული მიდრეკილება (0<c<1).

T – გადასახადები.

3. მულტიპლიკატორის ეფექტი (Mid-Corridor Multiplier)

თუ განტოლებათა სისტემას ამოვხსნით Y-ის მიმართ, მივიღებთ შუა დერეფნის ეკონომიკური მულტიპლიკატორის მოდელს. მარტივი სტრუქტურისთვის, თუ ჩავთვლით, რომ გადასახადები და იმპორტი მშპ-ს პროპორციულია (T = t \ Y და M = m \ Y), ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\frac{1}{1-c(1-t)+ml} \cdot [C\,0 + I\,0 + G + X\,0 + X\,g + \beta \cdot FDI\,mc + \alpha \cdot T\,mc]$$

სადაც:

$\frac{1}{1-c(1-t)+ml}$ კოეფიციენტი არის მაკროეკონომიკური მულტიპლიკატორი.

4. დინამიკური ეფექტები. (დროის ფაქტორი t) გრძელვადიან პერიოდში მოდელს ემატება ნეოკლასიკური ზრდის (სოლოუს) ელემენტები, სადაც წარმოების მოცულობა დამოკიდებულია ტექნოლოგიურ პროგრესსა და კაპიტალის დაგროვებაზე:

$$Yt = At \cdot Kt\gamma \cdot Lt\,1-\gamma$$

სადაც:

At – საერთო ფაქტორული პროდუქტიულობა. შუა დერეფნის ამოქმედება და ციფრული ტექნოლოგიების (ლოგისტიკური პლატფორმების) დანერგვა ზრდის At -ს (ქვეყანა ხდება უფრო ეფექტიანი).

Ktγ – კაპიტალი, რომელიც იზრდება ყოველწლიური FDI mc -ის დაგროვებით: $K\,t+1 = K\,t + I\,t - \delta K\,t$ (δ არის ამორტიზაცია).

„შუა დერეფანი“ საქართველოსთვის მხოლოდ გეოპოლიტიკური პროექტი არ არის, არამედ რეალური ეკონომიკური ძრავაა. იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ როგორ აისახება ამ დერეფნის განვითარება ქვეყნის ეკონომიკაზე, ავაგოთ დინამიკური მაკროეკონომიკური მოდელი. ეს მოდელი დაგვეხმარება დავადგინოთ კავშირი ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, ტვირთბრუნვის ზრდასა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მულტიპლიკატორს შორის.

1. მოდელის ცვლადები და პარამეტრები

განვსაზღვროთ ძირითადი კომპონენტები, რომლებიც საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მოცემულობას შეესაბამება:

Yt - საქართველოს მშპ t წელს (ბაზისური მშპ 25 მილიარდი აშშ დოლარი).

Vt - ტვირთბრუნვა შუა დერეფნის საქართველოს მონაკვეთზე (მილიონ ტონებში).

It - ინვესტიციები ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში (ანაკლიის პორტი, რკინიგზის მოდერნიზაცია, ავტობანები).

Rt - ტრანზიტიდან მიღებული პირდაპირი და ირიბი შემოსავალი.

P - საშუალო შემოსავალი 1 ტონა ტვირთის გატარებიდან (სატარიფო, დასაქმების და სერვისების ეფექტი, პირობითად 25 დოლარი/ტონა).

B- კეინსიანური ეკონომიკური მულტიპლიკატორი (გვიჩვენებს, როგორ აისახება სატრანზიტო შემოსავლების ზრდა სხვა სექტორებზე, მაგალითად, მომსახურებასა და ვაჭრობაზე).

მათემატიკური ფორმულირება.

მოდელი ეყრდნობა სამ ურთიერთდაკავშირებულ განტოლებას:

ა) ტვირთგამტარობის ფუნქცია:

ლოგისტიკური სიმძლავრე დამოკიდებულია ჩადებულ ინვესტიციებზე. გარკვეული დროის შემდგომ (ლაგის გათვალისწინებით), ინვესტიცია ზრდის ტვირთბრუნვას:

$$Vt = Vt\text{-}1\,(1+Gn) + a\,.\,It\text{-}1$$

სადაც:

Gn არის ტვირთბრუნვის ზრდის ტემპი (ინვესტიციების გარეშე, მაგ. 3%), ხოლო a არის ინვესტიციის ეფექტიანობის კოეფიციენტი (მაგ. ყოველი ჩადებული 100 მლნ. დოლარი ზრდის გამტარუნარიანობას 1 მლნ. ტონით, ანუ a = 0.01).

ბ) სატრანზიტო შემოსავლის განტოლება:

$$Rt = Vt \times P$$

გ) მშპ-ის ზრდის მოდელი:

ქვეყნის მთლიანი პროდუქტი შედგება ბაზისური ეკონომიკური ზრდისა და შუა დერეფნიდან მიღებული დამატებითი მულტიპლიცირებული ეფექტისგან:

$$Yt = Yt\text{-}1\ (1 + g\ GDP) + b\ \ (Rt - Rt\text{-}1)$$

სადაც: (g GDP) არის საქართველოს ეკონომიკის ბაზისური ზრდის ტემპი (მაგ. 5%).

3. პრაქტიკული სიმულაცია (მაგალითი)

დავუშვათ, საწყის (0) წელს გვაქვს შემდეგი მოცემულობა: ბაზისური მშპ (Y0) 25,000 მლნ აშშ დოლარი, მიმდინარე ტვირთბრუნვა (V0) 15 მლნ ტონა, მთავრობა და კერძო სექტორი 1-ელ წელს ახორციელებენ 1,000 მლნ დოლარის მსხვილ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციას (I1). ვნახოთ, როგორ შეიცვლება პარამეტრები მე-2 წელს, როდესაც ეს ინვესტიცია ამოქმედდება:

ნაბიჯი 1: ტვირთბრუნვის გაანგარიშება (V2)

$$V2 = 15\ (1 + 0.03) + 0.01 \backslash 1000 = 15.45 + 10 = 25.45 \text{ მლნ ტონა}$$

ნაბიჯი 2: შემოსავლების ზრდა (R)

საწყისი შემოსავალი: R0 = 15 X 25 = 375 მლნ დოლარი

ახალი შემოსავალი: R2 = 25.45 X 25 = 636.25 მლნ დოლარი

წმინდა მატება: R = 636.25 - 375 = 261.25 მლნ დოლარი

ნაბიჯი 3: გავლენა მშპ-ზე (Y2)

დავუშვათ, ბაზისურად ეკონომიკა 5%-ით იზრდებოდა. ახალი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით:

Y2 = 25,000 x (1 + 0.05) + 1.4 x 261.25

Y2 = 26,250 + 365.75 = 26,615.75 მლნ დოლარი

შედეგების შეჯამება

პარამეტრი	**ბაზისური წელი**	**ინვესტიციის შემდგომ (მე-2 წელი)**	**ცვლილება (%)**
ტვირთბრუნვა	15 მლნ ტონა	25.45 მლნ ტონა	+69.6%
სატრანზიტო შემოსავალი	$375 მლნ	$636.25 მლნ	+69.6%
საქართველოს მშპ	$25,000 მლნ	$26,615.75 მლნ	+6.46% (ბაზისური 5%-ის ნაცვლად)

როგორც მოდელი აჩვენებს, ეფექტური მულტიპლიკატორისა და სწორი ინვესტირების პირობებში, შუა დერეფნის გაფართოებას, საქართველოს ყოველწლიური ეკონომიკური ზრდის ტემპი შეუძლია დამატებით 1.46%-ით დააჩქაროს.

მიუხედავად იმისა, რომ „შუა დერეფანს“ საქართველოსთვის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი აქვს, მისი სრულფასოვანი ამოქმედების გზაზე ქვეყანა არაერთი სერიოზული წინააღმდეგობის, ბარიერისა და გამოწვევის წინაშე დგას. ეს წინააღმდეგობები შეიძლება დაიყოს ოთხ მთავარ კატეგორიად: ინფრასტრუქტურული, ლოგისტიკურ-ტექნოლოგიური, გეოპოლიტიკური და ფინანსური.

ინფრასტრუქტურული ბარიერები: საქართველოს მიმდინარე სატრანსპორტო ქსელი არ არის მზად იმ მასშტაბის ტვირთნაკადების მისაღებად, რასაც ჩინეთსა და ევროპას შორის ვაჭრობა გულისხმობს.

ღრმაწყლოვანი პორტის არარსებობა (ანაკლიის ფაქტორი): ეს არის ყველაზე დიდი სუსტი წერტილი. ტვირთების დიდ გემებზე გადატვირთვის შეუძლებლობა ზრდის გადაზიდვის თვითღირებულებას და აფერხებს პროცესს. ანაკლიის პორტის მშენებლობა კი წლებია პოლიტიკური და ფინანსური უთანხმოებების გამო ჭიანურდება.

რკინიგზის შეზღუდული გამტარუნარიანობა: „საქართველოს რკინიგზა“ მეტწილად ერთლიანდაგიანია, რაც ზღუდავს მატარებლების მოძრაობის სიხშირეს. მიუხედავად მიმდინარე მოდერნიზაციისა, რელიეფის სირთულე (უღელტეხილები) მაინც მნიშვნელოვნად აფერხებს გადაადგილების სისწრაფეს. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც საქართველოს თურქეთთან აკავშირებს, მუდმივად გადის რეკონსტრუქციას და სრული დატვირთვით დღემდე ვერ ამუშავდა.

„ერთი ფანჯრის“ პრინციპის არარსებობა: დერეფნის მონაწილე ქვეყნებს (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) შორის საბაჟო და სატრანზიტო პროცედურები კვლავ არ არის სრულად სინქრონიზებული. ციფრული მართვის ერთიანი პლატფორმის არარსებობის გამო, საბუთების გაფორმება და საზღვრების გადაკვეთა დიდ დროს მოითხოვს.

არაკონკურენტუნარიანი ტარიფები: კოორდინაციის ნაკლებობის გამო, შუა დერეფნით ტვირთის გადაზიდვა ხშირად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე საზღვაო გზით (სუეცის არხით) ან ძველი ჩრდილოეთის (რუსეთის) მარშრუტით.

ლოგისტიკური ცენტრების დეფიციტი: საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს უმაღლესი, „A კლასის“ მშრალი პორტები და საწყობები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ტვირთების ეფექტიანი მართვა და დახარისხება.

გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების რისკები: რეგიონი, რომელზეც დერეფანი გადის, ხასიათდება მაღალი პოლიტიკური არასტაბილურობით, რაც აფრთხობს მსხვილ საერთაშორისო გადამზიდებს.

რუსეთის ფაქტორი: რუსეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაინტერესებულია, რომ ამ ალტერნატიულმა დერეფანმა არ იმუშაოს, რათა არ დაკარგოს ბერკეტები ჩინეთსა და ევროპაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და მცოცავი ოკუპაცია მუდმივი რისკის წყაროა.

შავი ზღვის უსაფრთხოების კრიზისი: უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, შავი ზღვა სამხედრო მოქმედებების ზონაა. საზღვაო ნაღმების საფრთხე და სამხედრო რისკები მკვეთრად ზრდის გემების დაზღვევის საფასურს, რაც მარშრუტს არამიმზიდველს ხდის.

დასავლეთსა და ჩინეთს შორის ბალანსი: ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური სახელმწიფო კომპანიების ჩართულობა იწვევს აშშ-ისა და ევროკავშირის შეშფოთებას. საქართველოს უწევს რთული გეოპოლიტიკური ბალანსირება, რათა არ დაკარგოს დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა.

კასპიის ზღვის პრობლემა: კასპიის ზღვაში წყლის დონე კრიტიკულად იკლებს, რაც აფერხებს ყაზახეთისა და აზერბაიჯანის პორტების მუშაობას. გარდა ამისა, ამ ზღვაზე გემებისა და ბორნების (Ferry) დეფიციტია, რაც ტვირთების რიგებს იწვევს.

ინფრასტრუქტურული წყვეტა თურქეთთან: თურქეთის სარკინიგზო ქსელი ყარსიდან ქვეყნის სიღრმეში საჭიროებს მოდერნიზაციას, რათა ევროპისკენ მიმავალი დიდი ნაკადები გაატაროს.

ამდენად, საქართველო ანაკლიის პორტის არარსებობის გამო ქვეყანა ვერ იღებს დიდი ტვირთამწეობის გემებს, ფინანსური/ადმინისტრაციული მაღალი ტარიფები და მაღალი ბიუროკრატია, ხელს უშლის ამ მარშრუტის კონკურენტუნარიანობას, რუსული ოკუპაცია, სადაზღვეო ხარჯების ზრდა, იწვევს ინვესტორების შემცირებას.

შუა დერეფნის წინაშე არსებული ბარიერები მოითხოვს, რომ საქართველომ არა მხოლოდ საკუთარი შიდა ინფრასტრუქტურა მოაწესრიგოს, არამედ აწარმოოს აქტიური, გააზრებული დიპლომატია, როგორც მეზობელ ქვეყნებთან (ტარიფების შესამცირებლად), ისე დასავლეთთან (უსაფრთხოებისა და ინვესტიციების მოსაზიდად).

დასკვნები და წინადადებები

„შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტი საქართველოსთვის მხოლოდ სატრანზიტო მარშრუტი არ არის, არამედ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ისტორიული შანსია. თუმცა, როგორც ნაშრომში წარმოდგენილმა ანალიზმა აჩვენა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ამ გლობალური პროექტიდან. რეალური ეკონომიკური გარღვევისთვის საჭიროა არსებული გამოწვევების დროული და ეფექტიანი დაძლევა.

საქართველოს სატრანსპორტო არტერიები (რკინიგზა, ავტომაგისტრალები) და საზღვაო პორტები (მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სტრატეგიული პროექტი) საჭიროებს სასწრაფო მოდერნიზაციას. გამტარუნარიანობის დეფიციტმა და ლოგისტიკურმა „ვიწრო ადგილებმა“ შესაძლოა ალტერნატიული მარშრუტებისკენ გადაამისამართოს ტვირთების ნაკადი.

მარტო ფიზიკური ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას, აუცილებელია მოხდეს საბაჟო და ლოგისტიკური პროცედურების სრული გაციფრულება. „შუა დერეფნის“ მონაწილე ქვეყნებთან ერთიანი, გამჭვირვალე და სწრაფი ციფრული პლატფორმის შექმნა კრიტიკულად შეამცირებს ტვირთების გადაზიდვის დროსა და ხარჯებს.

საქართველოს მთავარი ეკონომიკური გამოწვევაა, რომ ქვეყანა არ დარჩეს მხოლოდ ტვირთების გამტარ პასიურ ტერიტორიად. თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების, თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების გზით, ქვეყანამ უნდა შეძლოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დინამიური ეკონომიკური განვითარება.

„შუა დერეფნის“ წარმატება საქართველოში დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე, კერძო ინვესტიციების მოზიდვის უნარსა და საერთაშორისო პარტნიორებთან სინქრონიზებულ მუშაობაზე. გეოპოლიტიკური რისკების გონივრული მართვისა და შიდა სტრუქტურული რეფორმების პირობებში, ეს პროექტი გახდება საქართველოს გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში შემდგომი ინტეგრაციის მთავარი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

შენგელია თ. (2025). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობები და პერსპექტივები. კრებულში: ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში: შედეგები და პერსპექტივები. თსუ

World bank (2025). The Middle Trade and Transport Corridor: Policies and Investments to Triple Freight Volumes and Halve Travel Time by 2030. https://www.worldbank.org/en/region/eca/publication/middle-trade-and-transport-corridor

Svante E. Cornell., S. Frederick Starr. (2006). The Caucasus: A Challenge for Europe. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program – A Joint Transatlantic Research and Policy Center Johns Hopkins University-SAIS. NW, Washington,Uppsala University

Shengelia T., Kozak Y., Kirkitadze Z. (2020). FDI motivation effects on Host countries. World economy and international economic relations. Volume 3, Pages 15-20

Shengelia T., Gelashvili M. (2020) Export potential of Georgia. World economy and international economic relations. Volume 3, Pages 29-33

Shengelia T., Berishvili Kh. (2024). Geoeconomic and geopolitical interests of South Caucasus countries and opportunities for integration with the European Union. In book: South Caucasus in the Context of Modern Global Challenges. Azerbaijan University

Shengelia T., Berishvili Kh. (2024). Development of Trade Relations Based on Gravity Model in Georgia. Moambe. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V 18., N. 1 pp.191-196

Shengelia T., Berishvili Kh. (2024). World trends of small business development and the reality of Georgia. Research Reviews. Issue 5

Shengelia T., Berishvili Kh. (2026). EU Regional Integration Policy and Georgia's Geoeconomic Interests. Scientific Results. Issue 12

Tsereteli M., (2023). The Middle Corridor: Its Role in European Energy and Economic Security“. Central Asia-Caucasus Analyst. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, Joint Center American Foreign Policy Council / Institute for Security & Development Policy, Washington

Vakulchuk R., Overland I. (2024). The failure to decarbonize the global energy education system: Carbon lock-in and stranded skill sets. Jor. Energy Research & Social Science.

Global Geoeconomic Transformation and the Role of the Trans-Caspian International Transport Route in Georgia's Economic Development

Teimuraz Shengelia
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
temur.shengelia@tsu.ge

Summary

Georgia's geopolitical location determines the prospects for the country's economic development. In this context, it is essential that the opportunities offered by the "Middle Corridor" international project are transformed into one of the primary drivers of Georgia's economic growth. As a result of global geoeconomic transformation, the Trans-Caspian International Transport Route is becoming a significant alternative to the "Northern Corridor." The paper analyses the challenges and strategic opportunities facing Georgia's economic development associated with the country's involvement in this large-scale international project. Although the project offers Georgia a unique chance to attain the status of a regional logistics hub and attract foreign direct investment, this process is unfolding against the backdrop of significant structural and institutional barriers. The research focuses on critical challenges such as: geopolitical risks, infrastructural constraints, coordination and digital integration, and economic inclusivity, among others. It is crucial to explore how Georgia's transit function can be effectively converted into sustainable economic growth. To achieve this, the country must transcend being a mere "transit corridor" and actively develop domestic value-added production and advanced logistics services. The concluding section of the paper formulates specific recommendations for optimizing state policy, fostering public-private partnerships, and ensuring synchronized cooperation with international partners—all of which are vital for maximizing Georgia's economic benefits within the "Middle Corridor." Furthermore, the presented simulation mathematical model provides a framework for forecasting Georgia's economic growth prospects within the scope of the "Middle Corridor" project.

Keywords: Georgia, geopolitical location, advantage, "middle corridor", economic development, forecasting, mathematical model.

პირველი სექცია

საქართველოს გზაჯვარედინი: ერთპოლარული vs მრავალპოლარული გეოპოლიტიკა

მიხეილ თოქმაზიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი
M_tokmazishvili@yahoo.com

შოთა ლომინაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Shota.lominashvili@Atsu.edu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომში დახასიათებლია საქართველოს გეოეკონომიკური და საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება მრავალპოლარული საერთაშორისო სისტემის კონტექსტში. კვლევის მიზანია გაანალიზოს, რამდენად ეფექტიანია ქვეყნის არსებული საგარეო ეკონომიკური ორიენტაცია და როგორია დასავლურ ინტეგრაციასა და მრავალვექტორულ თანამშრომლობას შორის ბალანსის მიღწევის შესაძლებლობები. მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება სამ ძირითად თეორიულ ჩარჩოს: მცირე სახელმწიფოთა ქცევის თეორიას, გეოეკონომიკის კონცეფციას და ბალანსირების სტრატეგიას. ნაშრომში შეფასებულია ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა, ჩინეთის მზარდი როლი, ასევე სხვა რეგიონულ პარტნიორებთან ეკონომიკური კავშირების გაფართოების პერსპექტივები. აღნიშნულია, რომ მიუხედავად დასავლური ვექტორის დომინანტური მნიშვნელობისა საქართველოს განვითარებისათვის, მხოლოდ ერთ გეოპოლიტიკურ ცენტრზე დამოკიდებულება არ არის საკმარისი გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, მრავალპოლარული გარემო ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე დამატებით გეოპოლიტიკურ რისკებს, რაც მოითხოვს დაბალანსებულ და დივერსიფიცირებულ საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას. ნაშრომის ძირითადი დასკვნა მიუთითებს, რომ საქართველოსთვის ოპტიმალური სტრატეგია არის დასავლურ ინტეგრაციაზე დაფუძნებული, თუმცა მრავალპარტნიორული ეკონომიკური თანამშრომლობით გამყარებული მოდელი. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ეკონომიკური სტაბილურობის ზრდას, ინსტიტუციურ განვითარებასა და ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში უფრო ეფექტიან ინტეგრაციას.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს გეოეკონომიკა; მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი; ეკონომიკური დივერსიფიკაცია; გეოპოლიტიკური ბალანსი; ინსტიტუციური განვითარება.*

შესავალი

თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, საქართველოს წინაშე დგას კრიტიკული შეკითხვა: რომელი გეოპოლიტიკური კურსი უზრუნველყოფს ქვეყნისათვის მაქსიმალურ ეკონომიკურ სარგებელს მინიმალური სტრატეგიული და ეკონომიკური დანახარჯით? ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ფონზე, როდესაც გლობალურ სისტემაში ძლიერდება ძალთა მრავალპოლარული სტრუქტურა და კონკურენცია დასავლეთსა და აღმოსავლეთის ავტორიტარულ ძალებს შორის.

სტატიის მიზანია გააანალიზოს საქართველოსთვის შესაძლო ალტერნატიული გეოპოლიტიკური კურსების ეკონომიკური შედეგები და დანახარჯები. ანალიზი ეფუძნება სამ თეორიულ ასპექტს:

1. მცირე სახელმწიფოს არჩევანის თეორიული პრინციპების საფუძველზე ახსნილია, თუ გლობალური ძალთა ასიმეტრიულ სტრუქტურაში მცირე სახელმწიფოები რატიომ მიმართავენ მრავალვექტორულ ან ე.წ. "ბალანსირების" სტრატეგიას, რათა შეამცირონ დამოკიდებულება რომელიმე დიდ ძალაზე და მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული გეოპოლიტიკური გარემოს შესაძლებობები უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და სუვერენიტეტის გასაძლიერებლად.

2. გეოეკონომიკის ასპექტით განსაზღვრულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური ინტერესები და სტრატეგიული რესურსები როგორც საგარეო პოლიტიკის წამყვანი მამოძრავებელი ძალები. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური ბერკეტების (როგორიცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ენერგორესურსები და ინფრასტრუქტურა) გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ქმნის ახალი ტიპის კონკურენციას. საქართველოში, დასავლეთის დახმარება და სავაჭრო-ეკონოიკური მოთხოვნები, რუსეთის ენერგეტიკული გავლენა და ჩინეთის ინფრასტრუქტურული პროექტები სწორედ გეოეკონომიკური გავლენის განსხვავებული ფორმების ილუსტრაციას წარმოადგენს.

3. შედარებითი ანალიზის საფუძველზე კი გამოკვლეულია საქართველოს სამი ძირითადი გეოპოლიტიკური ალტერნატივის -დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის -ეკონომიკურ სარგებელი და პოტენციური დანახარჯები. თითოეული ვექტორის ანალიზი ხორციელდება გეოეკონომიკური ლოგიკისა და მცირე სახელმწიფოს ქცევის თეორიული ჩარჩოს საფუძველზე.

კვლევა ემსახურება იმ სტრატეგიული ჩარჩოს გამოვლენას, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს დაბალანსებული, პრაგმატული და გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული გეოპოლიტიკური სტრატეგია.

1. მცირე სახელმწიფოს არჩევანი გეოპოლიტიკური სტრატეგიის კონტექსტში

საქართველოს გეოპოლიტიკური გარემოება და რესურსული შეზღუდვები გამოხატავს მის წინაშე მდგომ გამოწვევებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.

ცნობილია, რომ მცირე სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფენ დამოუკიდებლად ქვეყნის საკმარის უსაფრთხიოებას და, შესაბამისად, დიდ ქვეყნებთან ცდილობენ ალიანსების დამყარებას. საქართველოს აქვს მსგავსი სტრატეგიული დამოკიდებულება ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ: ნატოსთან თანამშრომლობა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არა მხოლოდ პოლიტიკური იდენტობის, არამედ უსაფრთხოების გარანტიების ძიების გამოხატულებაა.

მცირე სახელმწიფოების მთავარი სტრატეგიული უპირატესობა მდგომარეობს ეკონომიკურ მოქნილობაში. საქართველოში მოქნილობას ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა იქცეს სატრანზიტო და ენერგეტიკული ჰაბად. ამ მიზნიტ ქვეყანას ესაჭიროება გეოეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაცია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც მის გადაწყვეტილებებს გარკვეულ სტრატეგიულ მოქნილობას ანიჭებს. თუმცა ეს პროცესი კონფრონტაციულია.

ბუფერული სახელმწიფოს მოდელი

მცირე სახელმწიფოები ხშირად პოზიციონირდებიან დიდი ძალების გეოპოლიტიკურ თამაშში როგორც „ბუფერული სახელმწიფოები“, როგორც დამცავი ზონა, რომელიც სრუტავს და ამცირებს დიდი ძალების პირდაპირ დაპირისპირებას. ეს „ბუფერული ეფექტი“ წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მცირე სახელმწიფო ახერხებს დიდი ძალების დაპირისპირების განმუხტვას და ამავე დროს ინარჩუნებს პოლიტიკური ავტონომიისა და სტრატეგიული მოქნილობის გარკვეულ

შესაძლებლობას. ბუფერული სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ გარე პოლიტიკის სხვადასხვა მოდელები - დაბალანსება, ნეიტრალიტეტი, ან შერჩევითი ინტეგრაცია - რათა შეინარჩუნონ სუვერენიტეტი და უსაფრთხოება რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში (Efremova, 2019).

საქართველო განთავსებულია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონში, სადაც კონკურენცია გამწვავდა რუსეთის, ევროკავშირის და ჩინეთის გეოეკონოიკურ ინტერესებს შორის. ამ ვითარებაში დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება ამ ძალებს შორის ზრდადი დაძაბულობისა და ზეწოლის ფონზე მიმდინარეობს და ბუფერული ეფექტის გამოყენება რთულია და მრავალი გამოწვევით არის დატვირთული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დიდი ძალები პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეზე. ეს ამცირებს საქართველოს სტრატეგიულ შესაძლებლობებს და ქმნის მაღალი რისკების გარემოს როგორც სუვერენიტეტის, ისე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ბალანსირების სტრატეგია

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მრავალმხრივი ბალანსის სტრატეგია გულისხმობს ძალთა თანაბარ განაწილებაზე დაფუძნებული სტაბილური წესრიგის შენარჩუნებას, სადაც სახელმწიფოები კოორდინირებულად მოქმედებენ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ხელს უშლის ჰეგემონური გავლენების გაძლიერებას (Kupchan, 2010).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებულ ყურადღება არის გამახვილებული მცირე სახელმწიფოების „მრავალპოლარული ბალანსირების სტრატეგიაზე“, რომელიც გულისხმობს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს ერთპიროვნული დამოკიდებულება რომელიმე დიდ ძალაზე (Thorhallsson, Wivel, 2006).

ამ კონტექსტში, მცირე სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ "ადაპტაციურ ქცევას", რაც გულისხმობს თანამშრომლობასა და ინტეგრაციას საერთაშორისო სისტემის ძლიერ მოთამაშეებთან, საკუთარი უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველო ცდილობს ადაპტაციური სტრატეგიით უზრუნველყოს ევროკავშირთან ინტეგრაცია და ინსტიტუციური მხარდაჭერა, ხოლო ამავდროულად შეინარჩუნოს ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან და ჩინეთთან. ეს სტრატეგია ითვალისწინებს პოლიტიკური კონფრონტაციის თავიდან აცილებას, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებას და გეოპოლიტიკური ბალანსის დაცვას.

თანამედროვე მრავალპოლარულ სამყაროში, საქართველოს ცდა სტაბილურობა და სუვერენიტეტი შეინარჩუნოს ერთდროული თანამშრომლობით დასავლეთთან და აღმოსავლეთთან ისე, რომ არც ერთი პარტნიორი არ გახდეს დომინანტი, რთულ გამოწვევებს უქმნის ქვეყანას. უახლესი აკადემიურ ლიტერატურაში გეოეკონომიკაზე აღნიშნულია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური ბერკეტების (სავაჭრო შეთანხმებები, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურული პროექტები) გამოყენება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დიდი სახელმწიფოებისთვის გავლენის მოსაპოვებლად (Baldwin, 2016; Blackwill & Harris, 2016). ასეთ პირიბებში საქართველოს უწევს მუდმივი მანევრირება, სტრატეგიული პოზიციონირება და რისკების გონივრული გადანაწილება, რათა ერთდროულად შეინარჩუნოს სუვერენიტეტი, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარება და არ დაკარგოს რეგიონული როლი.

2. ევროკავშირთან ინტეგრაციის ეკონომიკური სარგებელი და დანახარჯი

საქართველოს ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო ინტეგრაცია დასავლეთთან დაფუძნებულია სამ ძირითად ფაქტორზე: თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA)

განხორციელებაზე, ევროკავშირის მხრიდან ფინანსური დახმარებისა და ინსტიტუციური-სამართლებრივი რეფორმების მხარდაჭერაზე.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან (DCFTA, 2014) წარმოადგენს საქართველოს გეოეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ეტაპს. ის ამცირებს სავაჭრო ბარიერებს, აძლიერებს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას. იგი ხელს უწყობს შიდა წარმოების სტიმულირებას, ინვესტიციების მოზიდვასა და ტექნოლოგიების ტრანსფერს. გარდა ამისა, ეს შეთანხმება საქართველოს ევროპული სტანდარტებისა და რეგულაციების მიღების საშუალებას იძლევა, რაც ზრდის ეკონომიკურ გამჭვირვალობას და სანდოობას საერთაშორისო დონეზე. შედეგად, აძლიერებს ქვეყნის გეოეკონომიკურ პოზიციას და უზრუნველყოფს სტაბილური, გრძელვადიანი განვითარების საფუძველს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს საერთო ექსპორტში ევროკავშირის წილი და ევროპული ბაზრის მნიშვნელობა შემცირდა. თუ 2014 წელს ევროკავშირის წილი 22%-ს შეადგენდა, 2025 წლისთვის იგი 11%-მდე ჩამოვიდა. აღნიშნული ცვლილება ნაწილობრივ ასახავს ქვეყნის გეოეკონომიკური ვექტორის ტრანსფორმაციას და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას არაევროპულ ბაზრებთან. მიუხედავად იმისა, რომ DCFTA საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური ინსტრუმენტია და ევროკავშირის ბაზარზე წვდომის გაფართოების შესაძლებლობას ქმნის, მისი დადებითი ეფექტი ექსპორტის მოცულობის ზრდაზე არ აისახება. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ შეთანხმების პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმები, ასევე ევროპული სტანდარტებისადმი ადაპტაციის პროცესის გაძლიერება (PISM, 2023; Carnegie Endowment, 2024) .

ევროკავშირის ფინანსური დახმარება წარმოადგენს მნიშვნელოვან საყრდენს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესში. ეს მხარდაჭერა მოიცავს ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერას, საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ციფრულ ტრანსფორმაციას, ენერგეტიკისე, გარემოს დაცვისა და სოციალური სერვისების გაუმჯობესებას და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას (The EU and Georgia, 2023).

2014-2023 წლებში ევროკავშირის დახმარებამ 1 მილიარდ ევროს გადააჭარბა და მოიცავდა სასამართლო სისტემის, საჯარო სექტორის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სოციალური სერვისების განვითარებას. ამ მხარდაჭერამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის პროცესს.

მიუხედავად ეკონომიკური და ინსტიტუციური სარგებლისა, აღნიშნული კურსი დაკავშირებულია სამ მნიშვნელოვან სტრუქტურულ და სტრატეგიულ დანახარჯთან, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაზე, ისე მის გეოპოლიტიკურ პოზიციონირებაზე.

დემოკრატიზაციისა და კანონის უზენაესობის მაღალი სტანდარტები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და DCFTA-ს მოქმედება საქართველოში დაკავშირებულია მაღალ ინსტიტუციურ მოთხოვნებთან, რომელთა შესრულება გულისხმობს სამართლებრივი სისტემის, საჯარო მმართველობის და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოთხოვნები გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია, მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია ხშირად წინააღმდეგობას აწყდება მმართველი ელიტების მხრიდან და ხდება შიდაპოლიტიკური პოლარიზაციის წყარო. ამის შედეგი იყო ის, რომ 2022-2024 წლებში დემოკრატიული კურსიდან გადახვევის გამო, საქართველომ ევროკავშირისგან ვერ მიიღო დაგეგმილი 120 მილიონ ევროზე მეტი, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს მთავრობის პირდაპირი ბიუჯეტის მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარებისთვის (EU, 2024).

გარდა ამისა უსაფრთხოების გაურკვეველი გარანტიები არის ერთ- ერთი ძირითადი რეგიონული პრობლემა. ამის ფონზე, ქვეყანა ექვემდებარება რუსეთის მხრიდან სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლას, მაშინ როცა უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები არ უზრუნველყოფს ქვეყნის დაცვას. აღნიშნული სიტუაცია ზრდის საქართველოს სტრატეგიულ მოწყვლადობას და ამძიმებს გეოპოლიტიკურ წნეხს.

3. პრაგმატიზმი თუ კაპიტულაცია? რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გამოწვევები

საქართველოს დასავლური საგარეო კურსი წლების განმავლობაში დაპირისპირებაში იყო რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო დაიძაბა. მოსკოვმა გააძლიერა ზეწოლა, რაც გამოიხატა როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ საშუალებებში, დაწყებული ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ანექსიით, დასრულებული ე.წ. „საზღვრის ხაზის“ გადმოწევით და დეზინფორმაციული კამპანიებით. ამ ფონზე, საქართველოს წინაშე დადგა დილემა: როგორ შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა და ამავდროულად, არ დააკარგოს გრძელვადიანი დამოუკიდებლობა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთთან ურთიერთობის გარკვეულმა ფორმებმა რეალური სარგებელი მოიტანა. 2013 წლიდან, რუსეთის ბაზრის გახსნამ გააქტიურა ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის ექსპორტი.

საქართველოს შრომითი მიგრანტებისთვის რუსეთი ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რჩებოდა. რუსეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები ქვეყნის ეკონომიკაში სტაბილურობის ერთგვარ საყრდენად იქცა, რაც ხაზს უსვამს შრომითი მიგრაციის ეკონომიკურ მნიშვნელობას.

ამასთან ერთად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების გააქტიურებამ გარკვეული სექტორები, განსაკუთრებით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყო ხელი. თუმცა, ამ ეკონომიკურ აქტივობას თან სდევდა მრავალი სისტემური და სტრატეგიული გამოწვევა. ქვეყნის დასავლურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული მიზნები თანდათან დგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. ევროპელი პოლიტიკური და ინსტიტუციური პარტნიორები საქართველოში ელოდნენ დემოკრატიის გაღრმავებასა და კანონის უზენაესობის დაცვას, რისი შესუსტების შემთხვევაშიც, მათგან მხარდაჭერის შემცირება პრაქტიკულად გარდაუვალი იყო.

რუსეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება იმ გარემოში ხდებოდა, სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უკვე დარღვეული იყო. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსული სამხედრო, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინტეგრაცია მხოლოდ ღრმავდებოდა. ეს პროცესები წარმოაჩენდა მეზობელ სახელმწიფოზე პირდაპირი გავლენის გაძლიერების პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გეოეკონომიკურ განვითარებას (Papava, 2020).

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები (ემბარგოები, ენერგეტიკული ზეწოლა) როგორც პოლიტიკური ზემოქმედების იარაღი. ქართული ღვინოსა და მინერალური წყლებზე აკრძალვები 2006 წელს, როგორც წესი, ემსახურებოდა ქვეყნის საგარეო კურსის „დასჯას“. ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებდა, რომ ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც რუსეთი სთავაზობდა ქვეყანას, არ იყო თავისუფალი პოლიტიკურ წნეხისგან.

ამრიგად, საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს რეალობას, სადაც ეკონომიკური პრაგმატიზმი ხშირად ეჯახება გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს. მოკლევადიანი სარგებელი, იქნება ეს ბაზრების გახსნა თუ ტურიზმის ზრდა, თანაბრად შეიცავს საფრთხეებს, რომლებიც ეხება

ქვეყნის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ განვითარებას. სწორედ ამ წინააღმდეგობების გააზრება ქმნის იმ რთულ ფონს, რომელზეც საქართველოს უწევს მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე.

რუსეთთან გეოპოლიტიკური დაახლოება საქართველოსთვის გარკვეულ მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელს ქმნის, როგორიცაა ბაზრებზე წვდომა, ენერგომატარებლების იაფად მოწოდება და ფულად გზავნილებზე დამოკიდებული მოსახლეობის მხარდაჭერა. თუმცა, ეს სარგებელი უნდა შეფასდეს კრიტიკულად გრძელვადიანი სტრატეგიული შედეგების კონტექსტში. ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ექვემდებარება არსებით რისკებს, რაც ასახავს „ასიმეტრიული დამოკიდებულების“ მოდელს, სადაც ერთ მხარეს გააჩნია დომინანტური ბერკეტები როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. ასეთ პირობებში საქართველოს სუვერენიტეტი და ინსტიტუციური განვითარება ხდება დაუცველი გარე ზეწოლისა და მანიპულაციების მიმართ.

4. ჩინეთის გავლენა საქართველოში: ეკონომიკური პოტენციალი და სტრატეგიული რისკები

ოლო წლების განმავლობაში ჩინეთმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო აქტიურად ჩაერთო ჩინეთის გლობალურ ინიციატივაში „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ და შუა დერეფნის განვითარებაში. ჩინეთი თანდათან იქცა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორად როგორც ვაჭრობის, ისე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ინვესტიციების მიმართულებით.“

ჩინეთთან თანამშრომლობის ყველაზე თვალსაჩინო შედეგებია ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა (სარკინიგზო კავშირები, გზები, ნავთობტერმინალები და პორტები), რაც ასახავს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერების მცდელობას. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში ჩინეთის წილი ბოლო წლებში მაინც მცირეა.

2018 წელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებამ ქართული პროდუქცია, განსაკუთრებით ღვინო, თხილი და მინერალური წყალი, ჩინეთის ბაზარზე მეტად ხელმისაწვდომი გახადა. გარდა ამისა, ჩინეთი განსხვავებული სტრატეგიით მოქმედებს: ის ეკონომიკურ თანამშრომლობას არ უკავშირებს პოლიტიკურ ან დემოკრატიულ წინაპირობებს, რაც ზოგიერთის თვალში მიმზიდველ ალტერნატივად იქცა.

სტატისტიკური მაჩვენებლებიც აჩვენებს ჩინეთის მზარდ ინტერესს. ბოლო ათწლეულში გაიზარდა როგორც ინვესტიციები და სავაჭრო ბრუნვა, ისე ჩინური კომპანიების რაოდენობა საქართველოში და ტურისტების რაოდენობაც.

2015-2024 წლებში ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში სულ ინვესტიციების 2 პროცენტს არ აღემატებოდა. მისი ზრდის ტემპი კი ძალიან მაღალია. 2003-2012 წლებთან შდარებით საქართველოში ჩინეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013-დან 2024 წლებში ხუთჯერ გაიზარდა. 2024 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოს სავაჭრო ბრუნვა სამჯერ გაიზარდა, ხოლო ტურისტები ჩინეთიდან კი თორმეტჯერ გაიზარდა. (Transparency International Georgia , 2025).

თუმცა პოზიტიურ დინამიკასთან ერთად არსებობს სერიოზული გამოწვევებიც. ნაწილი პროექტებისა დაფინანსებულია სესხით, რაც ზრდის საგარეო ვალის ტვირთს და ზოგ შემთხვევაში იწვევს ე.წ. “ვალის ხაფანგის” საფრთხის განცდას (Brautigam, 2020). დღეს ჩინეთი საქართველოს ვალის სტრუქტურაში დომინანტი არ არის, მაგრამ ამ ტენდენციის გაგრძელება გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემური შეიძლება გახდეს (Yellinek R., 2020).

კიდევ უფრო სერიოზული დილემაა გეოპოლიტიკური ასპექტი. უცნობია, როგორ მოიქცევა ჩინეთი კრიზისის დროს, მაგალითად, თუ რუსეთთან კონფლიქტი გამწვავდება. არსებული

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პეკინი, როგორც წესი, ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და არ წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს.

თუმცა, საქართველოსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობა არ არის იმ ტიპის სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ემყარება უსაფრთხოების ან ღირებულებით ერთობას. მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთთან საქართველოს დაახლოება დასავლური ინტეგრაციის კურსის მერყეობად აღიქმება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს ბალანსი — მაქსიმალურად გამოიყენოს ჩინეთთან თანამშრომლობის ეკონომიკური სარგებელი, მაგრამ ამავდროულად არ შექმნას სტრატეგიული დამოკიდებულება, რომელიც დააზიანებს ქვეყნის გეოპოლიტიკურ პოზიციონირებას და დასავლურ კურსს.

5. საქართველოს სტრატეგიული არჩევანი: ერთპოლარული თუ მრავალპოლარული მიდგომა?

საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული მდგომარეობა მუდამ განსაზღვრავდა მის საგარეო არჩევანს. ბოლო წლებში ქვეყანა ცდილობს მოძებნოს სწორი კურსი იმ გლობალურ ქარტეხილებში, სადაც ძალები (დასავლეთი, რუსეთი და ახლა უკვე ჩინეთიც) გავლენისთვის იბრძვიან. ქვეყანას უწევს არჩევანის გაკეთება: დარჩეს ერთპოლარულ სივრცეში, მხოლოდ დასავლეთზე ორიენტირებული, თუ განვითარდეს როგორც მრავალპოლარული სისტემის აქტიური მონაწილე.

წარსულში საქართველომ სცადა სრულად დასავლური კურსით სიარული. ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოება ბევრისთვის ასოცირდებოდა უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის საჭირო გზასთან. თუმცა 2008 წლის ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მკვეთრად მოწმობდა, რომ ეს გზა არც მარტივი იყო და არც უმტკივნეულო.

მომდევნო წლებში საქართველოში გაჩნდა განცდა, რომ მხოლოდ ერთ ბანაკზე მინდობა ქვეყანას მოწყვლადს ხდიდა. გაჩნდა იდეა, რომ მრავალპოლარული მიდგომა, ანუ ურთიერთობების გაწონასწორება დასავლეთთან, რუსეთთან, ჩინეთთან და რეგიონულ მეზობლებთან, შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ეფექტიანი გზა. სწორედ აქედან დაიბადა ბალანსირების პოლიტიკის იდეა, რომელიც ითვალისწინებს გარე ძალებთან თანაბარ დისტანციას და მოქნილ მოლაპარაკებებს. თუმცა ამ გზის გავლა პრაქტიკაში გაცილებით რთული აღმოჩნდა. საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს ისეთი ეკონომიკური ძალა ან დიპლომატიური რესურსი, რომელიც მას ძალთა ბალანსის ეფექტიან მოთამაშედ აქცევდა. დასავლეთზე ორიენტაციამ მოლოდინზე ნაკლები შედეგი მოიტანა. მიღებული ფინანსური და ინსტიტუციური დახმარება ხშირად კოსმეტიკური იყო. მეორე მხრივ, ჩინეთის ინვესტიციებმა, მართალია, შეავსო ინფრასტრუქტურული ხარვეზები, მაგრამ ამანაც გააღრმავა ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყვლადობა.

ბალანსის არქონამ თანდათანობით გამოიწვია ქვეყნის შიგნით პოლიტიკის პოლარიზაცია. საზოგადოება გაიხლიჩა იმ საკითხზე, უნდა მიჰყვეს თუ არა საქართველო დასავლურ გზას ბოლომდე, თუ სჯობს ჩინეთთან და რუსეთთან უფრო ღია და პრაგმატული ურთიერთობები. პოლიტიკური ელიტები ხშირად სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ვექტორებს ირჩევენ, რაც გადაწყვეტილებების არასტაბილურობას და საგარეო პოლიტიკის ქაოსურობას იწვევს. ამავდროულად, საზოგადოებაში ძლიერდება უნდობლობა და დაბნეულობა, რადგან სახელმწიფოს სტრატეგიული პოზიცია ხშირად ბუნდოვანია.

ამ ვითარებაში ნათელია, რომ ქვეყნის სტრატეგიული კურსი საჭიროებს არა ფუნდამენტურ უარყოფას, არამედ ახალ გეოეკონომიკურ რეალობასთან ადაპტირებულ გადახედვას. საქართველოსთვის დასავლური ვექტორი კვლავაც უნდა დარჩეს საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთავარ საყრდენად, ვინაიდან სწორედ ევროკავშირთან და დასავლურ

ინსტიტუტებთან ინტეგრაცია უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან უსაფრთხოებას, ინსტიტუციურ განვითარებასა და ეკონომიკურ მოდერნიზაციას. ამასთანავე, მზარდი მრავალპოლარული საერთაშორისო სისტემის პირობებში, ქვეყანამ უნდა შეძლოს სხვა ეკონომიკურ ცენტრებთან პრაგმატული თანამშრომლობის განვითარებაც. შესაბამისად, საქართველოსთვის ყველაზე რაციონალური არჩევანია დასავლურ ორიენტაციაზე დაფუძნებული, მაგრამ ეკონომიკური პარტნიორების დივერსიფიკაციისა და მრავალვექტორული თანამშრომლობის ელემენტებით გამდიდრებული სტრატეგია. ამ პოლიტიკის წარმატებისთვის აუცილებელია ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერება და დიპლომატიური მოქნილობის ამაღლება, რათა ქვეყანამ ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები კონკურენტულ საერთაშორისო გარემოში

დასკვნა

საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობები მოითხოვს ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბებას, რომელიც, ერთი მხრივ, შეინარჩუნებს ქვეყნის დასავლურ კურსს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციას მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის რეალობის გათვალისწინებით.

ევროკავშირი და დასავლური ინსტიტუტები საქართველოსთვის კვლავაც წარმოადგენს განვითარების, ინსტიტუციური მოდერნიზაციის, დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარ საფუძველს და საქართველოს გრძელვადიანი განვითარების დომინანტურ მიმართულებას. ამავდროულად, მზარდი მრავალპოლარული საერთაშორისო სისტემის პირობებში, საქართველოს ინტერესებშია ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება სხვა მნიშვნელოვან პარტნიორებთანაც.

ამრიგად, საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური მოდელი არის დასავლურ ინტეგრაციაზე დაფუძნებული, მაგრამ მრავალპარტნიორული და ეკონომიკურად დივერსიფიცირებული გეოეკონომიკური სტრატეგია. ასეთი მიდგომა ქვეყნისთვის შექმნის შესაძლებლობას, შეინარჩუნოს სტრატეგიული პარტნიორობა დასავლეთთან, პარალელურად კი ეფექტიანად გამოიყენოს მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის მიერ წარმოქმნილი ეკონომიკური შესაძლებლობები. ამ მიზნის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერი ინსტიტუტების განვითარებას, ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებასა და მოქნილი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, რაც საქართველოს მისცემს საშუალებას უკეთ დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები და გააძლიეროს პოზიციები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

Baldwin, D. A. (2016). *Power and international relations: A conceptual approach*. Princeton University Press.

Blackwill, R. D., & Harris, J. M. (2016). *War by other means: Geoeconomics and statecraft*. Harvard University Press.

Brautigam, D. (2020). *A critical look at Chinese 'debt-trap diplomacy': The rise of a meme*. Area Development and Policy, 5(1), 1–14. https://doi.org/10.1080/23792949.2019.1689828

Carnegie Endowment for International Peace. (2024). *The EU and the South Caucasus: Geoeconomics at play*. https://carnegieendowment.org/research/2024/10/the-eu-and-the-south-caucasus-geoeconomics-at-play?center=europe

Efremova, K. (2019). Small States in Great Power Politics. Understanding the "Buffer Effect". Central European Journal of International and Security Studies 13, no. 1: 100–121. DOI:10.51870/CEJISS.A130102

EU, *The EU in Georgia*, 2024, https://eu4georgia.eu/financial-assistance-lost-as-a-result-of-democratic-backsliding/).

Georgian National Tourism Administration (GNTA). *T*https://gnta.ge

Kupchan, C. A. (2010). *How Enemies Become Friends: The Sources of Stable Peace.* Princeton University Press.

Papava. V. (2020). Becoming European. Challenges for Georgia in the Twenty-first century. iUniverse.

PISM. (2023). *Implementation of EU trade agreements with Georgia, Moldova, and Ukraine: Results and challenges*. https://pism.pl/publications/implementation-of-eu-trade-agreements-with-georgia-moldova-and-ukraine-results-and-challenges;

Thorhallsson, B., & Wivel, A. (2006). Small States in the International System: Theoretical and Conceptual Perspectives. *Cambridge Review of International Affairs*, 19(4), 651–668. https://doi.org/10.1080/09557570601003502

The EU and Georgia, November 2023, https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/2023/EU-GE%20FS.pdf

Transparency International Georgia, 2025. Georgia's economic relations with China, 01 March, 2025, https://transparency.ge/en/post/georgias-economic-relations-china.

Yellinek R., (2020), The Impact of China's Belt and Road Initiative on Central Asia and the South Caucasus, Article · April 2020, https://www.researchgate.net/publication/340398766; https://www.researchgate.net/publication/340398766_The_Impact_of_China's_Belt_and_Road_Initiative_on_Central_Asia_and_the_South_Caucasus

Georgia at a Crossroads: Unipolar vs Multipolar Geopolitics

Mikheil Tokmazishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Alte University
M_tokmazishvili@yahoo.com

Shota Lominashvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Shota.lominashvili@Atsu.edu.ge

Summary

This paper examines the formation of Georgia's geoeconomic and foreign economic strategy in the context of a multipolar international system. The study aims to analyze the effectiveness of the country's current external economic orientation and the possibilities of achieving a balance between Western integration and multi-vector cooperation. Methodologically, the research is based on three main theoretical frameworks: the theory of small-state behavior, the concept of geoeconomics, and a balancing strategy. The paper assesses the importance of economic integration with the European Union, the growing role of China, as well as the

prospects for expanding economic relations with other regional partners. It is noted that despite the dominant importance of the Western vector for Georgia's development, reliance on a single geopolitical center is not sufficient to ensure long-term economic resilience. At the same time, the multipolar environment creates both new opportunities and additional geopolitical risks, which require a balanced and diversified foreign economic policy. The main conclusion of the paper suggests that the optimal strategy for Georgia is a model based on Western integration, yet reinforced by multi-partner economic cooperation. Such an approach contributes to increased economic stability, institutional development, and more effective integration of the country into the global economic system.

Keywords: Georgia's geoeconomics; multipolar world order; economic diversification; geopolitical balance; institutional development.

გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის შედეგები თანამედროვე წესრიგის პოლიტიკაში

რევაზ გველესიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
revaz.gvelesiani@tsu.ge

ირინა გოგორიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irine.gogorishvili@tsu.ge

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის პროცესების მიმდინარე მდგომარეობა და მოსალოდნელი ცვლილებები, რაც გამოწვეულია განვითარებული ქვეყნების ქმედებებით, თავიდან აიცილონ ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყნების მზარდი საერთაშორისო მნიშვნელობა. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობისა და საინვესტიციო ნაკადების რეორიენტაცია წამყვანი გლობალური ძალების პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად. მასში ასევე ნაჩვენებია გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები, ასახულია იმ ქვეყნების ძალისხმევა, რომლებიც ცდილობენ ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებას საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, რადგან მსოფლიო ეკონომიკა ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე გადადის. ავტორები ასკვნიან, რომ გლობალური განვითარების დესტაბილიზაციის მთავარი ფაქტორი ამჟამინდელ ეტაპზე არის დეგლობალიზაციის განვითარების ხელშემწყობ და მარეგულირებელ ახალ და მოქმედ ინსტიტუციებს შორის წინააღმდეგობა. კვლევის საბოლოო მიზანია გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის მიზეზების, მიმდინარე და მოსალოდნელი შედეგების იდენტიფიცირება მსოფლიო ეკონომიკისათვის.*

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია, რეშორინგი, ნიარშორინგი, ფრენდშორინგი.*

შესავალი

ამჟამად გლობალური სავაჭრო წესრიგი უპრეცედენტო ზეწოლის ქვეშაა. სავაჭრო პოლიტიკაზე გეოპოლიტიკის მრავალწლიანი გავლენის შემდეგ თვისებრივი ცვლილება მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატები ახლა ღიად უარს ამბობს მის მიერ შექმნილ გლობალურ სავაჭრო პირობებზე. ორი გლობალური ძალა, ჩინეთი და აშშ, დიდად არიან დამოკიდებული იძულების ეკონომიკურ ინსტრუმენტებსა და ბაზარზე ჩარევებზე. გეოპოლიტიკურ მიზნებს სულ უფრო მეტად ენიჭება უპირატესობა საერთო ეკონომიკურ სარგებელთან შედარებით. გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობა და ფრაგმენტაცია

იზრდება, რაც პოტენციურად იწვევს კეთილდღეობის შემცირებას მთელ მსოფლიოში. თუმცა, პერსპექტივა სრულიად პირქუში არ არის: ჩნდება ახალი სავაჭრო კოალიციები, რომლებიც ერთგულნი რჩებიან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) პრინციპების მიმართ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ სათავეში ჩაუდგა გლობალური ეკონომიკური აღდგენისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მცდელობებს ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და საერთო წესების შექმნის გზით. ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, ,,გაეხსნათ“ თავიანთი ეკონომიკა დისკრიმინაციის აკრძალვის, გამჭვირვალობისა და აღსასრულებელი ვალდებულებების პრინციპების შესაბამისად. წესები, რომლებიც თავდაპირველად კოდიფიცირებული იყო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგად შეთანხმებაში (GATT), ხოლო მოგვიანებით - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), ემსახურებოდა პროგნოზირებადი სავაჭრო გარემოს შექმნას და დაძაბულობის შემსუბუქებას. გლობალური სავაჭრო წესრიგის საფუძველს წარმოადგენდა ორმხრივი ურთიერთობის იდეა, რომელიც გულისხმობდა რომ სარგებელი სამართლიანად განაწილდებოდა დროთა განმავლობაში მონაწილეებს შორის Tobias Bunde and Sophie Eisentraut (2024).

ათწლეულების განმავლობაში გლობალური სავაჭრო სისტემა სულ უფრო საკამათო ხდებოდა, რადგან დაპირება ვერ განხორციელდა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას უჭირდა საერთო წესების მცველის როლის შესრულება. როდესაც ჩინეთი 2001 წელს შეუერთდა ორგანიზაციას, ბევრი ელოდა, რომ მისი სახელმწიფო კაპიტალისტური მოდელი ადგილს დაუთმობდა უფრო ღია საბაზრო ეკონომიკას. ეს ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები არასაკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ შეეზღუდა ჩინეთის სუბსიდიები და უცხოური კომპანიების დისკრიმინაცია , მოვლენები, რომლებსაც ვაშინგტონი დღეს ჩინეთის აღმავლობისა და აშშ-ს ინდუსტრიული დაცემის მიზეზად მიიჩნევს. ამან ხელი შეუწყო აშშ-ის თანდათანობით დაშორებას იმ სისტემიდან, რომლის შექმნაშიც ოდესღაც წვლილი შეიტანა. უკან დახევა აშკარა გახდა 2016 წელს, როდესაც პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო WTO-ს სააპელაციო ორგანოში დანიშვნების დაბლოკვა, რასაც დავების გადაწყვეტის მექანიზმის პარალიზება მოჰყვა. აშშ-ჩინეთის მეტოქეობის გაღრმავებისა და ეროვნული უსაფრთხოების რისკის გაჩენის შემდეგ, ვაშინგტონმა გააძლიერა შემზღუდავი სავაჭრო ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდა შიდა რეინდუსტრიალიზაციის (რეშორინგის) ხელშეწყობას და ჩინეთზე უპირატესობის მოპოვებას Nora Kürzdörfer and Leonard Schütte (2025) .

გლობალური სავაჭრო სისტემით უკმაყოფილება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შეერთებული შტატებით. წლების განმავლობაში დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები ამტკიცებდნენ, რომ გლობალური სავაჭრო წესები მდიდრების სასარგებლოდ იყო დამახინჯებული. 2005 წელს დაწყებული დოჰას რაუნდის დღის წესრიგი შეჩერდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის სუბსიდიებსა და ბაზარზე წვდომის დავებთან დაკავშირებით Nora Kürzdörfer and Leonard Schütte (2025). 2010-იანი წლების შუა პერიოდში აღნიშნულ პრობლემას დაემატა გეოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდა, რამაც მრავალმხრივი პროგრესი უფრო რთული გახადა.

აშშ-ის უკმაყოფილება WTO-ს მიმართ გამოიხატება ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების, ორმხრივობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სრული უარყოფით.

ვაშინგტონი სავაჭრო დეფიციტს უსამართლო საგარეო სავაჭრო პრაქტიკის დასტურად მიიჩნევს. 2025 წლიდან აშშ-ის მთავრობამ თითქმის ყველა ქვეყანას დაუწესა WTO-სთვის შეუთავსებელი ტარიფები.

აშშ-სთვის ეს ტარიფები რამდენიმე ეკონომიკურ მიზანს ემსახურება:

- ამერიკული წარმოებისა და სამუშაო ადგილების სტიმულირებას;
- შიდა შემოსავლების ზრდას;
- ჩინეთთან და სხვა კონკურენტებთან შედარებითი უპირატესობის უზრუნველყოფას Donald Trump (2025, April 2).

აშშ ტარიფებს იძულების ინსტრუმენტად იყენებს და ზეწოლას ახდენს მთავრობებზე, რომ მათ დადონ არათანაბარი სავაჭრო გარიგებები და შეცვალონ შიდა პოლიტიკა. თუმცა ამ საკითხებთან დაკავშირებით ვერც ერთმა ქვეყანამ, მათ შორის ევროკავშირმაც, თავი ვერ გაიმართლა (მათი ტარიფები აშშ-ს მიმართ მართლაც უფრო მაღალი იყო, ვიდრე აშშ-ის მათ მიმართ). 2026 წლის დასაწყისში აშშ-მა გამოაცხადა ტარიფების დაწესება რვა ევროპულ ქვეყანაზე, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გრენლანდიის „შესყიდვის“ მცდელობას (Gabbatt et al., 2026).

აშშ-ის მიერ ეკონომიკური იძულების გამოყენება წესებზე დაფუძნებული სავაჭრო წესრიგის განზრახ დარღვევას ნიშნავს. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც 2025 წელს თავისი ეკონომიკური ძალა აჩვენა. ჩინეთმა გააძლიერა ზეწოლის გამოყენება იარაღად და დააწესა ექსპორტის ფართომასშტაბიანი კონტროლი კრიტიკულ მინერალებზე. რასაც მოჰყვა გავლენის განხორციელება არა მხოლოდ აშშ-ზე, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებზეც Rebecca Arcesati and Jacob Gunter (2025 October 1).

მეცნიერი ვივიენ ბალაკრიშნანი თვლის, რომ „თუ ეს [გლობალური სავაჭრო სისტემა] ჩამოიშლება და ყველაფერი ორმხრივი გარიგებების დაუსრულებელ სერიად გადაიქცევა, ცხადია ყველაზე მეტად დაზარალდება მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები“ Vivian Balakrishnan (2025, April 8).

გლობალური ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ტარიფების გავლენა გლობალურ ვაჭრობასა და ეკონომიკურ ზრდაზე თავდაპირველად მოსალოდნელზე სუსტი იყო, დღეს მდგომარეობა კვლავ არასტაბილურია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) ამჟამად ელის, რომ გლობალური ზრდა 2024 წელს 3.3%-დან 2025 წელს 3.2%-მდე შენელდება, რაც, მიუხედავად ამისა, თავდაპირველ შეფასებაზე - 2.8%-ზე მაღალია (IMF, October 2025). მოსალოდნელზე უფრო რბილ ტარიფებს, რომლებიც განპირობებულია დაგვიანებული აღსრულებით, გამონაკლისებითა და შეზღუდული საპასუხო ქმედებებით, დადებითი გავლენა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ტარიფები გავლენას ახდენს ქვეყნების ზრდაზე და მათი შედეგები დროთა განმავლობაში შეიძლება კიდევ უფრო გამოხატული გახდეს. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს ყველაზე მეტად ეკონომიკური შოკების რისკი ემუქრებათ, ზოგიერთი ანალიტიკოსის შეფასებით, აშშ-ის ტარიფები ექსპორტს ამ ქვეყნების მშპ-ს 0.5%-ით შეამცირებს Claire Kumar, Karen Hargrave, Nerea Craviotto, Jessica Pudussery, et.al (2025, July). ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის (LDCs) მნიშვნელოვნად მაღალი

აშშ-ის ტარიფები,რაც სავარაუდოდ, სერიოზულად იმოქმედებს მათ კონკურენტუნარიანობაზე.

ეკონომიკური გაურკვევლობა

ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდას შესაძლოა გლობალური ეკონომიკური პერსპექტივისთვის უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ვიდრე თავად ტარიფებს. გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ინდექსმა 2025 წლის 4 ივლისის (თავისუფლების დღის) შემდეგ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, რაც გლობალური ფინანსური კრიზისის პიკზე არსებულ დონეს თითქმის სამჯერ აღემატება. მას შემდეგ ის მაღალი რჩება და 2025 წლის ბოლოს ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც თითქმის COVID-19-ის პიკების დონეს უტოლდება. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) გენერალური მდივნის, რებეკა გრინსპენისთვის, ეს გაურკვევლობა „ყველაზე მაღალი ტარიფია“Rebeca Grynspan (2024).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის, კრისტალინა გეორგიევას მოსაზრებით: „გაურკვევლობა ახალი ნორმაა და ის მუდმივად აქ დარჩება“ Kristalina Georgieva. (2025, October 8) . აშშ-სთან სავაჭრო გარიგებების ტალღამ გაურკვევლობის შესამსუბუქებლად ცოტა რამ გააკეთა. შეთანხმებებში ზოგიერთი დებულება ბუნდოვანია და აშშ-ის განახლებული ტარიფების საფრთხე კვლავ არსებობს. დაძაბულობა შესაძლოა კიდევ უფრო გამწვავდეს და, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების თანახმად, გლობალური წარმოების „ადვილად“ შემცირებამ დამატებით 0.3 პროცენტული პუნქტით დაცემა გამოიწვიოს (Gourinchas et al., 2025).

2025 წელს მათ მიერ ტარიფებისა და ექსპორტის კონტროლის მუქარის სერიამ გლობალურ ბაზრებზე არეულობა გამოიწვია. პეკინის მიერ კრიტიკული მინერალების ექსპორტზე დაწესებულმა შეზღუდვებმა მრეწველობა მსოფლიოს მასშტაბით დააზარალა, მათ შორის ევროპის საავტომობილო და თავდაცვის სექტორები. აშშ-ის ტარიფებსა და ჩინეთის დემპინგს, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მთავრობებმა პროტექციონისტული ზომებით უპასუხეს (მაგალითად, ფოლადის ბაზრებზე). აშშ-ჩინეთის სავაჭრო უთანხმოების გაღრმავებასთან ერთად, სავარაუდოა ფრაგმენტაციისა და პროტექციონიზმის ეკონომიკური ხარჯების უფრო მეტად გაზრდა Gita Gopinath et al. (2024, Aprel).

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ეკონომიკა მოსალოდნელზე უფრო მდგრადი აღმოჩნდა და საფონდო ბირჟებმა 2025 წელს ახალ მაქსიმუმს მიაღწიეს. ახალი ტარიფების შედეგად აშშ-მა უკვე 124.5 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო University of Pennsylvania (2025, December 23).

საერთაშორისო წესრიგის პოლიტიკის პრობლემები

პოლიტიკურად აშშ-მა რამდენიმე სწრაფ გამარჯვებას მიაღწია: პარტნიორების უმეტესობამ, (ჩინეთის გარდა), არახელსაყრელი სავაჭრო პირობები მიიღო აშშ-ზე დამოკიდებულების გამო. 2025 წელს გლობალური სავაჭრო წესრიგის წინაშე არსებულმა პრობლემებმა ახალ სიმაღლეს მიაღწია. აშშ აქტიურად იყენებს ეკონომიკურ იძულებას

ორმხრივი შეთანხმებების მისაღწევად და უარყოფს წესებზე დაფუძნებულ სისტემას, რომელსაც ოდესღაც მხარს უჭერდა. ჩინეთი აგრძელებს ბაზრის დამახინჯების პრაქტიკას და აძლიერებს ეკონომიკური შეფერხებების იარაღად გამოყენებას. ამერიკული ტარიფებისა და ჩინეთის ექსპორტზე კონტროლის დაწესებამ გლობალური ბაზრები დაარღვია. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ, ეკონომიკური ფრაგმენტაცია და გაურკვევლობა მაინც სერიოზულ საფრთხეს უქმნის კეთილდღეობას მთელ მსოფლიოში.

ვაშინგტონი და პეკინი ძირს უთხრიან წესებზე დაფუძნებული ვაჭრობის პრინციპებს მთელ მსოფლიოში. წესებზე დაფუძნებული ვაჭრობის შესანარჩუნებლად და აშშ-ს საპირწონედ იქმნება ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური პარტნიორობის - ბრიკსის ქვეყნების ბლოკი.

ურთიერთდამოკიდებულებიდან იერარქიამდე

დეგლობალიზაცია არის გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის შენელება ან უკიდურეს (მსოფლიო ომის) შემთხვევაში შეცვლა. ფრაგმენტაცია მისი შედეგია: ერთიანი მსოფლიო სისტემის დაშლა დახურულ რეგიონულ ან გეოპოლიტიკურ ბლოკებად. ერთიანი ბაზრის ნაცვლად, გლობალურ ეკონომიკაში იქმნება „მეგობრული“ მიწოდების ჯაჭვები (ფრენდშორინგი) და ხდება წარმოების ლოკალიზება (ნიარშორინგი).

ვაჭრობის რესტრუქტურიზაციის ძირითადი ასპექტები: აქცენტი კეთდება ფრენდშორინგზე (ვაჭრობა საერთო ღირებულებების მქონე ქვეყნებს შორის), ნირშორინგზე (წარმოების საბოლოო ბაზრებთან უფრო ახლოს გადატანა) და რეშორინგზე (წარმოების ობიექტებისა და ბიზნესის უცხო ქვეყნებიდან ქვეყანაში დაბრუნების პროცესი), რაც ამცირებს გლობალურ ლოგისტიკურ გიგანტებზე დამოკიდებულებას. მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ ტაივანზე არსებული ჩიპების წარმოების გადატანა აშშ-ში, რაც ფაქტიურად 150 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას წარმოადგენს.

საფინანსო რისკები გლობალურ ეკონომიკას უზარმაზარი დანაკარგებით ემუქრება, რაც შესაძლოა 5.7 ტრილიონ დოლარს აღემატებოდეს. ანალიტიკური ანგარიშების თანახმად, გლობალური ვაჭრობა ამჟამად სტაბილურია, გარდაიქმნება გეოპოლიტიკურ „ბლოკებად“ (ფრაგმენტაცია, დეგლობალიზაცია) და არ ხდება სრული, ტოტალური იზოლაციონალიზაცია, რაც უნდა აღვნიშნოთ რომ პრაქტიკულად არც არასდროს არ მომხდარა. ქვეყნების ტექნოლოგიური სუვერენიტეტი ფართოვდება, მათ შორის განვითარებადი ბაზრების მქონე სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან კრიტიკული სამრეწველო დარგები (ნახევარგამტარები, ხელოვნური ინტელექტი, მწვანე ენერგია) დამოუკიდებელი სტანდარტებისა და დახურული ეკოსისტემების შექმნით.

2025 წლის შემდგომ პერიოდში აშშ-ის საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ ფსევდოგლობალიზაცია Papava, V. (2022). დეგლობალიზაციისკენ წარმართა. მსოფლიოში კონფრონტაციული გლობალიზაციის ანუ დეგლობალიზაციის ტენდენციები გლობალურ ეკონომიკაში არა თუ იზღუდება არამედ უფრო მეტად ფართოვდება. ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდას შესაძლოა გლობალური ეკონომიკური პერსპექტივისთვის უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ვიდრე თავად ტარიფებს.

პოლიტიკურად, როგორც უკვე ავღნიშნეთ, შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე სწრაფი გამარჯვება მოიპოვა: პარტნიორების უმეტესობამ, ჩინეთის გარდა, დათანხმდა არახელსაყრელ სავაჭრო პირობებს შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულების გათვალისწინებით. თუმცა, სავაჭრო გარიგებებმა პოლიტიკური კაპიტალი ამოწურა. ცხრილი 1. ასახავს გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის მახასიათებლებსა და მათი მოქმედების შედეგებს.

ცხრილი 1. გლობალიზაციის და დეგლობალიზაციის პროცესები და მათი შედეგები მსოფლიოში

პროცესები	მახასიათებლები	პოზიტიური შედეგები	ნეგატიური შედეგები	ზოგადი შედეგები	ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკები
გლობალიზაცია	1.ეკონომიკური; 2.პოლიტიკური; 3.კულტურული.	1.გლობალური კავშირების განმტკიცება ; 2.ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის შემცირება; 3.სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება; 4.კულტურული მრავალფეროვნება; 5.მიგრაცია.	1.გაზრდილი უთანასწორობა; 2.გარემოსდაცვითი ზიანი; 3.სუვერენიტეტისა და დემოკრატიის დაკარგვის საფრთხე; 4.კულტურული იდენტობის დაკარგვა; 5.მულტინაციონალიზმი; 6.კონფლიქტები ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე.	1.საერთაშორისო სავაჭრო კავშირების გაფართოება; 2.სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგების დიფუზია.	-
დეგლობალიზაცია	1.ეკონომიკური; 2.პოლიტიკური; 3.კულტურული.	1.ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე კონკურენციისგან; 2.ნაციონალური ინტერესების უპირატესობის აღიარება; 3.ინტერნაციონალიზმი; 4.მართლმადიდებლობის დაცვა.	1. ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა; 2.ომების დაწყების რისკები; 3. საერთაშორისო ინსტიტუციების ეროზია; 4. დემოკრატიის შეზღუდვა; 5. ანტისემიტიზმი და რელიგიური შეუწყნარებლობა.	1.ფრაგმენტაცია; 2.friendshoring (ვაჭრობა საერთო ღირებულებებს მქონე ქვეყნებს შორის); 3.nearshoring ნერშორინგი (წარმოების გადატანა საბოლოო ბაზრებთან უფრო ახლოს), რაც ამცირებს დამოკიდებულებას გლობალურ ლოგისტიკურ გიგანტებზე; 4.საფინანსო რისკები.	1.აღმოსავლური (ჩინეთი და მისი მოკავშირეები: ბრიკსი); 2.დასავლური (აშშ და მისი მოკავშირეები, ევროკავშირი, იაპონია ავსტრალია, ახალი ზელანდია დასხვა) და 3.ნეიტრალური (სახელმწიფოები, რომლებსაც არ აქვთ საგარეო პოლიტიკის შეთანხმებები არც აშშ-სთან და არც ჩინეთთან, ან

					ორივე ქვეყანასთან თანაბრად აქვთ ეს შეთანხმებები

წყარო: ცხრილი 1. შემუშავებულია ავტორების მიერ.

დასკვნა

გეოეკონომიკური დეგლობალიზაციის ხარჯებს, როგორც ყოველთვის და ყველგან, ღარიბი განვითარებადი ქვეყნები იხდიან. გეოპოლიტიკური განხეთქილებები გლობალური ეკონომიკური სისტემის მონაწილეთა უმეტესობისთვის დანაკარგებს იწვევს, მაგრამ განვითარებადი „ნეიტრალური“ ეკონომიკები უფრო მეტად დაზარალდებიან. სავალუტო ფონდის ექსპერტების აზრით: ეს განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით კიდევ უფრო ჩამორჩენას გამოიწვევს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გეოპოლიტიკური წინააღმდეგობები ეკონომისტების ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც პოლიტიკური წესრიგის დინამიკის, გლობალური ეკონომიკის პერსპექტივებისა და ვაჭრობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. გეოპოლიტიკური განხეთქილების გაღრმავება ქმნის გლობალური ეკონომიკის კონკურენტ ბლოკებად დაშლის რისკს - გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკს. ასეთი რისკების ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეკონომიკურ კვლევაში განმეორებადი თემა გახდა. ამ თემაზე გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ ნაშრომში, სავალუტო ფონდის ეკონომისტებმა შეაფასეს, თუ როგორ შეიძლება ქვეყნებს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა კავშირებმა მათ ეკონომიკაზე იმოქმედოს, თუ მსოფლიო დაიყოფა ბლოკებად: აღმოსავლური (ჩინეთი და მისი მოკავშირეები), დასავლური (აშშ და მისი მოკავშირეები) და ნეიტრალური (ქვეყნები, რომლებსაც ან არ აქვთ საგარეო პოლიტიკის შეთანხმებები არც აშშ-სთან და არც ჩინეთთან, ან აქვთ თანაბარი შეთანხმებები ორივესთან).

განვითარებადი ქვეყნები და განვითარებადი ბაზრების მქონე ეკონომიკები, რომლებიც წარმოადგენენ ნეიტრალურ ბლოკს, უფრო მძიმედ დაზარალდებიან: აზიის საშუალო განვითარებადი ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის დანაკარგი 80%-ით მეტია, ხოლო აფრიკისთვის - 120%-ით მეტი, ვიდრე საშუალო განვითარებული ეკონომიკისთვის. ავტორების დასკვნით, ეს ნიშნავს, რომ ფრაგმენტაციის ყველაზე დიდ ხარჯები იმ ქვეყნებს აქვთ, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ მათი დაფარვა. (Mekvabishvii & Bedianashvili, 2025; Bedianashvili, 2023).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ გლობალური ეკონომიკისთვის მეგობრული პოლიტიკის - საგარეო პოლიტიკის მოკავშირეებთან მიწოდების ჯაჭვების შექმნის - შედეგად მიყენებული ზარალი შესაძლოა გლობალური მშპ-ს 4.6%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) გათვლებით, გლობალური ვაჭრობის ფრაგმენტაციით მიყენებული ზარალი შესაძლოა გლობალური მშპ-ს 7%-მდე იყოს, რაც გერმანიისა და იაპონიის წლიური წარმოების ეკვივალენტურია. კიდევ ერთ კვლევაში, IMF-ის ეკონომისტები, ესპანეთის ბანკის ექსპერტებთან ერთად, ასკვნიან, რომ თუ გლობალური ეკონომიკა სამ ბლოკად - დასავლურ,

აღმოსავლურ და ნეიტრალურ - დაიყოფა, ბლოკებს შორის სავაჭრო ნაკადების შემცირება 57%-მდე იქნება, სცენარის სიმძიმის მიხედვით. ზემოქმედებას, პირველ რიგში, აღმოსავლეთ ბლოკი იგრძნობს, სადაც საშუალო ქვეყანა თავისი სიმდიდრის 3.4%-მდე დაკარგავს. IMF-ის კიდევ ერთი კვლევის თანახმად, ყველა ქვეყანა დაზარალდება პოლარიზებულ გლობალურ ეკონომიკაში სასაქონლო ფასების ზრდით და მათი არასტაბილურობით. თუმცა, მოვლენები იმდენად სწრაფი ტემპით ხორციელდება, რომ ყველაფერი შეიძლება ძალიან მალე ისევ გლობალიზაციის მიმართულებით განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

Gabbatt, A., Mackey, R., & Jones, C. (2026, January 17). Trump threatens 25% tariff on European allies until Denmark sells Greenland to US. *The Guardian.* https://www.theguardian.com/us-news/2026/jan/17/trump-tariff-european-countries-greenland

Bedianashvili, G. (2023). Macrosystemic challenges of uncertainty under the conditions of confrontational globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 17(2), 174-179. http://science.org.ge/bnas/t17-n2/26_Bedianashvili_Economics.pdf

Bunde, T., & Eisentraut, S., (2024). Introduction: Lose-Lose?. Munich Security Report 2024, 13–25, doi.org/10.47342/BMQK9457.

Claire Kumar, Karen Hargrave, Nerea Craviotto, Jessica Pudussery, et.al. (2025, July 4). ,,The Case for Development in 2025: Exploring New Narratives for Aid in the Context of the EU's New Strategic Agenda," London: ODI Global, July 4, 2025, perma.cc/3JXX-58DH.

Donald Trump (2025, April 2). ,,President Donald Trump Announces Trump Tariffs on 'Liberation Day'," Fox 5, Washington, DC, April 2, 2025, perma.cc/926K-38ZG.

Gita Gopinath et al. (2024, Aprel). ,,Changing Global Linkages: A New Cold War?," Washington, DC: IMF, Working Paper 24/76, April 2024. www.imf.org/en/publications/wp/issues/2024/04/05/changing-global-linkages-a-new_cold-war-547357

Gourinchas, P.-O., Brooks, P. K., & Igan, D. (2025, October 15). *Press briefing transcript: World Economic Outlook, Annual Meetings 2025*. International Monetary Fund. https://perma.cc/WC9X-EU69

IMF, October 2025. Note that next to the tariffs, there are other factors that are contributing to slowing global growth, including uncertainty, protectionism, and labor supply disruptions. IMF, "World Economic Outlook: Global Economy in Flux, Prospects Remain Dim," Washington, D.C.: perma.cc/5WG7-CAVZ.

Kristalina Georgieva. (2025, October 8). ,,Opportunity in a Time of Change," Washington, D.C.: Milken Institute, October 8, 2025, perma.cc/Z95M-ASYA.

Kürzdörfer, N., & Schütte, L., (2025). Beyond Lose-Lose: Europe and the Global South in the Age of Geoeconomics. Munich Security Conference, Munich Security Analysis 2, April 2025, doi.org/10.47342/WPCD1222.

Mekvabishvili E., & Bedianashvili G. (Red.) (2025). Economic Science and the Economy of Georgia (pp. 224-233). Universal (in Georgian). https://www.researchgate.net/publication/396975492

Papava, V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. Eurasia Review. A Journal of Analysis and News. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I

Rebeca Grynspan (2024). in UNCTAD, ,,Ministers Call for 'Open Regionalism' to Restore Predictability in Trade".

Rebecca Arcesati and Jacob Gunter. (2025 October 1). ,,China's Multi-Purpose Export Controls Raise Pressure on Europe to Derisk," Berlin: Merics, October 1, 2025, perma.cc/R8E8-VWPZ.

UNCTAD, October 21, 2025. Note that the tariff figures are trade-weighted for 2024 – trade weights give greater emphasis to larger exporters to the US in aggregate results, see UNCTAD ,,Tariff Disruptions: The Impact on Least Developed Countries," Geneva, perma.cc/56B3-3JBS.

University of Pennsylvania. (2025, December 23). ,,Penn Wharton Budget Model: Effective Tariff Rates and Revenues," Philadelphia: University of Pennsylvania, December 23, 2025, perma.cc/BSW3-LL3U.

Vivian Balakrishnan. (2025, April 8). ,,Singapore Warns End of Free Trade Era 'Very Hostile' for Small Nations," Financial Times, April 8, 2025.

The Consequences of Globalization and Deglobalization in Policy of the Modern Order

Revaz Gvelesiani
Doctor of Economic Sciences, Professor,
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
revaz.gvelesiani@tsu.ge

Irina Gogorishvili
Doctor of Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
irine.gogorishvili@tsu.ge

Summary

The article discusses the current and future issues of globalization, deglobalization, fragmentation and anti-globalization in the world economy. Their current state and future changes are caused by the actions of developed countries to prevent the growing international importance of the most dynamically developing countries. The article discusses the views of influential analytical centers and international organizations, as well as world-renowned economists and financiers on the origin and future development of modern processes of globalization, deglobalization, fragmentation and

anti-globalization. The paper analyzes the reorientation of international trade and investment flows as a result of the protectionist policies of the leading global powers. It also shows the main trends in the development of the world economy. They reflect the efforts of countries trying to develop a new industrial policy to strengthen international competitiveness, as the world economy moves to a new technological basis. The main research tools used in the article are: systemic and historical-logical analysis, deduction, comparison and generalization. The authors conclude that the main destabilizing factor of global development at the current stage is the contradiction between new and outdated institutions that promote and regulate the development of digitalization. To overcome this contradiction, it is necessary to create a digital, alternative global monetary and financial system, in the formation of which newly created institutions and interest groups from a wide range of developed and developing countries will be involved. **The purpose of this study** is to identify the causes, consequences and future processes of globalization, deglobalization, fragmentation and anti-globalization for the world economy.

Keywords: globalization, deglobalization, reshoring, nearshoring, friendshoring.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევები „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში

ტიტე არუშიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tite.aroshidze@bsu.edu.ge

ბადრი გეჩბაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gechbaia.badri@bsu.edu.ge

გიორგი ქათამაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.katamadze@bsu.edu.ge

ანოტაცია. *თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, რომელიც ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო და ლოგისტიკური კავშირების გაძლიერებას ემსახურება. საქართველოსთვის აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასება. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. მონაცემები შეგროვდა Google Forms-ის პლატფორმის მეშვეობით, სადაც მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა. მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს „შუა დერეფნის“ გავლენას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებით ტრანსპორტის, ლოგისტიკის, საერთაშორისო ვაჭრობისა და საინვესტიციო შესაძლებლობების მიმართულებით. ამასთანავე, კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, გეოპოლიტიკური რისკები და რეგიონული კონკურენცია. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ „შუა დერეფანი“ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შესაძლებლობაა, თუმცა მისი პოტენციალის სრულად რეალიზება საჭიროებს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებასა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას.*

საკვანძო სიტყვები: *შუა დერეფანი, საქართველოს ეკონომიკა, სატრანზიტო პოტენციალი, საერთაშორისო ვაჭრობა, ლოგისტიკა, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური განვითარება.*

შესავალი

გლობალური ეკონომიკის ტრანსფორმაციის, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა და ევრაზიულ სივრცეში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე

განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, რომელიც აზიასა და ევროპას ერთმანეთთან აკავშირებს. აღნიშნული დერეფანი წარმოადგენს ალტერნატიულ სატრანზიტო მარშრუტს, რომელიც გადის ჩინეთზე, ცენტრალურ აზიაზე, კასპიის ზღვაზე, სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონზე. საქართველოსთვის პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა მას მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს და ქმნის ეკონომიკური განვითარების დამატებით შესაძლებლობებს. ამასთანავე, დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირება დაკავშირებულია არაერთ გამოწვევასთან, მათ შორის ინფრასტრუქტურულ შეზღუდვებთან, ლოგისტიკურ სირთულეებთან, რეგიონულ კონკურენციასთან და გეოპოლიტიკურ რისკებთან, რაც საკითხის კვლევას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.

კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევების ანალიზი „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის შესაძლებლობას სრულად გამოიყენოს არსებული სატრანზიტო და ეკონომიკური პოტენციალი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: „შუა დერეფნის“ მნიშვნელობის შეფასება საქართველოს ეკონომიკისთვის; საქართველოს სატრანზიტო პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობების ანალიზი; პროექტის ფარგლებში არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება; ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის კითხვას წარმოადგენს: რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს ეკონომიკა „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა ქვეყნის ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით?

კვლევის ობიექტია „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტი, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და სატრანზიტო ფუნქციების გაძლიერებაზე.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ „შუა დერეფანი“ საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური გამოწვევები აფერხებს მისი პოტენციალის სრულ რეალიზაციას.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნებისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის მეცნიერული გააზრების გაღრმავებაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა დაკავშირებულია იმ რეკომენდაციების შემუშავებასთან, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და „შუა დერეფნის“ ფარგლებში ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

„შუა დერეფანი“ (Middle Corridor), რომელიც საერთაშორისო ლიტერატურაში ასევე ცნობილია როგორც ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (Trans-Caspian International Transport Route – TITR), ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ

პროექტად ჩამოყალიბდა ევრაზიულ სივრცეში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გლობალური მიწოდების ჯაჭვების რეორგანიზაციის, ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის ზრდისა და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. თანამედროვე კვლევების უმრავლესობა თანხმდება, რომ შუა დერეფანი წარმოადგენს არა მხოლოდ სატრანსპორტო მარშრუტს, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების კონცენტრაციის სივრცეს, სადაც საქართველოს როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის შეფასებისას მკვლევრები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. Abashishvili და Liparteliani (2022) აღნიშნავენ, რომ საქართველო ბუნებრივად ასრულებს დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ევროპასა და აზიას შორის, რაც მას მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს რეგიონში. ავტორების შეფასებით, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება შეიძლება იქცეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. თუმცა მათი კვლევა გარკვეულწილად ოპტიმისტურია და ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ გეოგრაფიული მდებარეობა თავისთავად არ წარმოადგენს ეკონომიკური წარმატების გარანტიას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ხელსაყრელი მდებარეობის მქონე მრავალი ქვეყანა ვერ ახერხებს სატრანზიტო პოტენციალის სრულ ეკონომიკურ კაპიტალიზაციას, თუ შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური პირობები არ არსებობს.

მსგავს პოზიციას ავითარებენ Katamadze და Katamadze (2022), რომლებიც საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჰაბის ფორმირების პერსპექტივებს განიხილავენ. მათი აზრით, ქვეყნის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სატრანზიტო ნაკადების ზრდაზე, არამედ ლოგისტიკური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასა და რეგიონული კოორდინაციის გაძლიერებაზე. აღნიშნული მიდგომა უფრო კომპლექსურია, რადგან იგი სატრანზიტო ფუნქციას ეკონომიკური განვითარების უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს.

შუა დერეფნის მნიშვნელობის შეფასებისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალი აბრეშუმის გზისა და „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ (Belt and Road Initiative) კვლევებს. Kemoklidze (2021) აღნიშნავს, რომ ჩინეთის ინიციატივა საქართველოსთვის ქმნის როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევებს. ერთი მხრივ, იზრდება სავაჭრო კავშირების გაფართოების, ინვესტიციების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურული განვითარების შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანა დამოკიდებული ხდება გარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სატრანზიტო პროექტები ავტომატურად იწვევს ეკონომიკურ კეთილდღეობას. რეალურად, სატრანზიტო ფუნქციის ზრდა მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება ეკონომიკურ სარგებლად, როდესაც ქვეყანა ახერხებს დამატებითი ღირებულების შექმნას ადგილობრივ ეკონომიკაში.

ამავე საკითხზე Benia (2025) ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში. ავტორი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს რეგიონული ეკონომიკური კვანძი, თუმცა აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს მასშტაბურ საინვესტიციო და ინსტიტუციურ რეფორმებს. საინტერესოა, რომ ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო პოლიტიკის როლს, რაც ადასტურებს, რომ სატრანზიტო პროექტების წარმატება მხოლოდ ბაზრის მექანიზმებით არ განისაზღვრება.

საქართველოს როლის შეფასებისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონული თანამშრომლობის საკითხს. Giguashvili და Sadagashvili (2025) აღნიშნავენ, რომ შუა დერეფნის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ საქართველოს ქმედებებზე, არამედ აზერბაიჯანის, თურქეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კოორდინირებულ თანამშრომლობაზე. ამ

მოსაზრებას იზიარებს Yildirim (2025), რომლის მიხედვითაც საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობა წარმოადგენს დერეფნის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. აღნიშნული მიდგომები მიუთითებს, რომ საქართველოს წარმატება ვერ იქნება იზოლირებული რეგიონული პროცესებისგან.

ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება შუა დერეფნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, თუმცა განსხვავდება მათი შეფასებები ეკონომიკური ეფექტების მასშტაბისა და პროექტის წარმატების წინაპირობების შესახებ. ერთი ჯგუფი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს შესაძლებლობებზე, მათ შორის ტვირთბრუნვის ზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, ხოლო მეორე ჯგუფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინფრასტრუქტურულ, ინსტიტუციურ და გეოპოლიტიკურ გამოწვევებს. არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი მიუთითებს, რომ შუა დერეფანი საქართველოსთვის მართლაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობას წარმოადგენს, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, არამედ ეფექტიან სახელმწიფო პოლიტიკაზე, რეგიონულ თანამშრომლობაზე, თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გლობალური ეკონომიკური რისკების მართვის უნარზე. სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს საკითხის შემდგომი კვლევის აუცილებლობას და ქმნის საფუძველს შუა დერეფნის ეკონომიკური ეფექტების უფრო სიღრმისეული შეფასებისთვის.

კვლევის მეთოდები და შედეგების ანალიზი

წინამდებარე კვლევა ეძღვნება საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევების შესწავლას „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი აგებულია რაოდენობრივი კვლევის მიდგომაზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს რესპონდენტთა დამოკიდებულებები, აღქმები და შეფასებები პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის, განვითარების პერსპექტივებისა და არსებული გამოწვევების მიმართ. რაოდენობრივი კვლევის გამოყენება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს მონაცემთა სტრუქტურირებულ შეგროვებას, სხვადასხვა ჯგუფის მოსაზრებების შედარებასა და მიღებული შედეგების სტატისტიკურ ანალიზს.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვის მეთოდი. მონაცემების შეგროვება განხორციელდა Google Forms-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რაც რესპონდენტებს შესაძლებლობას აძლევდა დამოუკიდებლად და ანონიმურად დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები. აღნიშნული მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფად შეგროვებას, რესპონდენტთა ფართო წრის ჩართვასა და მონაცემების ეფექტიან დამუშავებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა. შერჩევა განხორციელდა მოხერხებული შერჩევის (Convenience Sampling) მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტთა შემადგენლობა მოიცავდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და პროფესიული სფეროს წარმომადგენლებს, მათ შორის სტუდენტებს, კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს, საჯარო სექტორის თანამშრომლებს, მეწარმეებსა და სხვა საქმიანობით დაკავებულ პირებს. მრავალფეროვანი სოციალური და პროფესიული ფონის მქონე მონაწილეების ჩართვა მიზნად ისახავდა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შეფასებას და მიღებული შედეგების სანდოობის გაზრდას.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა დემოგრაფიული და ძირითადი შინაარსობრივი ბლოკებისაგან. დემოგრაფიული ნაწილი მოიცავდა კითხვებს რესპონდენტთა სქესის, ასაკისა და საქმიანობის სფეროს შესახებ. შინაარსობრივი ნაწილი კი მიმართული იყო „შუა დერეფნის“ პროექტის შესახებ ინფორმირებულობის დონის, მისი ეკონომიკური მნიშვნელობის, უცხოური ინვესტიციების ზრდის შესაძლებლობების,

ინფრასტრუქტურული მზაობის, რეგიონული თანამშრომლობის, დასაქმების პერსპექტივებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართ არსებული მოლოდინების შეფასებისკენ.

კითხვარი მოიცავდა დახურულ კითხვებს, სადაც რესპონდენტებს წინასწარ განსაზღვრული პასუხების ალტერნატივებიდან უნდა აერჩიათ მათთვის შესაბამისი ვარიანტი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა სტანდარტიზაციას და მიღებული შედეგების რაოდენობრივ ანალიზს. კითხვების ფორმულირებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათ სიცხადეს, ნეიტრალურობასა და კვლევის მიზნებთან შესაბამისობას, რათა მაქსიმალურად შემცირებულიყო ინტერპრეტაციის რისკი.

მონაცემთა დამუშავება განხორციელდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. მიღებული პასუხები დაჯგუფდა თემატური მიმართულებების მიხედვით და გაანალიზდა სიხშირეებისა და პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე. თითოეული კითხვის შედეგები წარმოდგენილია პროცენტული განაწილებების სახით, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს რესპონდენტთა მოსაზრებების ძირითადი ტენდენციები და შეფასდეს მათი დამოკიდებულება „შუა დერეფნის“ პროექტის ეკონომიკური ეფექტების მიმართ.

კვლევის განხორციელების პროცესში დაცული იყო ეთიკური პრინციპები. გამოკითხვა სრულად ანონიმური იყო, რესპონდენტთა პირადი მონაცემები არ შეგროვებულა და მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ აკადემიური კვლევის მიზნებისთვის. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს რესპონდენტთა მხრიდან გულწრფელი პასუხების დაფიქსირებას და ზრდის კვლევის შედეგების სანდოობას.

ამრიგად, გამოყენებული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებისა და გამოწვევების კომპლექსურ შეფასებას, რაც ქმნის საფუძველს მიღებული შედეგების სიღრმისეული ანალიზისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 100 რესპონდენტი. მონაწილეთა შორის 54% ქალი, ხოლო 46% კაცი იყო. ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, რესპონდენტთა 34% მიეკუთვნებოდა 18–25 წლის კატეგორიას, 29% – 26–35 წლის ჯგუფს, 21% – 36–45 წლის ასაკობრივ კატეგორიას, 11% – 46–55 წლის ჯგუფს, ხოლო 5% 56 და მეტი წლის რესპონდენტებს წარმოადგენდა. საქმიანობის სფეროების მიხედვით, გამოკითხულთა 31% დასაქმებული იყო კერძო სექტორში, 28% იყო სტუდენტი, 19% – საჯარო სექტორის წარმომადგენელი, 12% – მეწარმე, ხოლო 10% სხვა სფეროებში საქმიანობდა. აღნიშნული განაწილება იძლევა შესაძლებლობას, რომ კვლევის შედეგები შეფასდეს სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფის პერსპექტივიდან, რაც ზრდის კვლევის ანალიტიკურ ღირებულებას.

ცხრილი 1. რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები

მაჩვენებელი	**კატეგორია**	**%**
სქესი	ქალი	54
	კაცი	46
ასაკი	18–25	34
	26–35	29
	36–45	21
	46–55	11
	56 და მეტი	5
საქმიანობის სფერო	კერძო სექტორი	31
	სტუდენტი	28
	საჯარო სექტორი	19
	მეწარმე	12
	სხვა	10

მნიშვნელოვანია შეფასდეს რესპონდენტთა დამოკიდებულება „შუა დერეფნის“ ეკონომიკური მნიშვნელობის მიმართ. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა პროექტს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია მოლოდინი, რომლის მიხედვითაც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და სატრანზიტო ფუნქცია შეიძლება იქცეს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ. ეს შეფასება ლოგიკურია, რადგან თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში სატრანზიტო დერეფნების როლი მუდმივად იზრდება და სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი მდებარეობის ეკონომიკურ უპირატესობად გარდაქმნას. თუმცა მიღებული შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ეკონომიკური მნიშვნელობის აღიარება ავტომატურად არ გულისხმობს არსებული შესაძლებლობების სრულ გამოყენებას. რესპონდენტთა მოსაზრებები მიუთითებს, რომ ეკონომიკური სარგებლის მიღება დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს უნარზე, განავითაროს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და შექმნას კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო.

ცხრილი 2. როგორ აფასებთ „შუა დერეფნის“ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის?

პასუხი	%
ძალიან მნიშვნელოვანია	47
მნიშვნელოვანია	35
საშუალოდ მნიშვნელოვანია	12
ნაკლებად მნიშვნელოვანია	6

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება დაკავშირებულია უცხოური ინვესტიციების ზრდის პერსპექტივებთან. რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „შუა დერეფნის“ განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის ინვესტორთა ინტერესს საქართველოს მიმართ. ეს შეფასება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტებში ჩართული ქვეყნები უფრო მიმზიდველი ხდებიან როგორც ლოგისტიკური, ასევე საწარმოო და სავაჭრო საქმიანობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რესპონდენტები ინვესტიციების ზრდას უკავშირებენ არა მხოლოდ სატრანსპორტო სექტორს, არამედ ეკონომიკის სხვა მიმართულებებსაც. მიუხედავად ამისა, ანალიზი აჩვენებს, რომ ინვესტიციების ზრდის პერსპექტივა მხოლოდ დერეფნის არსებობით არ განისაზღვრება. აუცილებელია ეფექტიანი ინსტიტუციური გარემო, სამართლებრივი სტაბილურობა და პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკა. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა ოპტიმიზმი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს სახელმწიფო არსებული შესაძლებლობების გამოყენებას.

ცხრილი 3. რამდენად შეუწყობს ხელს „შუა დერეფანი“ საქართველოში უცხოური ინვესტიციების ზრდას?

პასუხი	%
ძალიან მნიშვნელოვნად	33
მნიშვნელოვნად	40
ნაწილობრივ	20
უმნიშვნელოდ	7

კვლევის შედეგებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ინფრასტრუქტურის მზაობის შეფასებამ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები დადებითად აფასებენ პროექტის ეკონომიკურ

პოტენციალს, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ სრულად მზად არ არის გაზრდილი სატრანზიტო ნაკადების მისაღებად. აღნიშნული შედეგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებაა, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, არამედ გზების, რკინიგზის, პორტების, საბაჟო სისტემებისა და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ხარისხზე. რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ სწორედ ამ მიმართულებით არსებობს ყველაზე მეტი სამუშაო. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხი წარმოადგენს იმ ძირითად ბარიერს, რომლის გადალახვის გარეშე „შუა დერეფნის“ ეკონომიკური ეფექტი მნიშვნელოვნად შეიზღუდება.

ცხრილი 4. როგორ აფასებთ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მზაობას გაზრდილი სატრანზიტო ნაკადების მისაღებად?

პასუხი	%
სრულად მზად არის	9
მეტწილად მზად არის	27
ნაწილობრივ მზად არის	45
არ არის მზად	19

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა რესპონდენტთა ხედვა „შუა დერეფნის“ განვითარების მთავარ გამოწვევებთან დაკავშირებით. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ინფრასტრუქტურული გამოწვევები დასახელდა, თუმცა არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს გეოპოლიტიკური რისკებიც. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონულ სტაბილურობაზე, სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოზე. რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, პოლიტიკური და უსაფრთხოების ფაქტორები კვლავ რჩება პროექტის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელად. გარდა ამისა, რეგიონული კონკურენციის არსებობა აჩვენებს, რომ საქართველო მუდმივად უნდა ზრუნავდეს საკუთარი კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

ცხრილი 5. თქვენი აზრით, რომელია „შუა დერეფნის“ განვითარების მთავარი გამოწვევა საქართველოში?

პასუხი	%
ინფრასტრუქტურული პრობლემები	38
გეოპოლიტიკური რისკები	26
რეგიონული კონკურენცია	21
ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ბარიერები	15

ბოლო მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად ჩამოყალიბების შესაძლებლობა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის მომავლის მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ „შუა დერეფანი“ საქართველოს საშუალებას მისცემს გააძლიეროს საკუთარი პოზიციები რეგიონში. აღნიშნული შეფასება ეფუძნება როგორც ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ისე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას. თუმცა მიღებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება არ არის უპირობო. მათი მოსაზრებების მიხედვით, ეკონომიკურ ჰაბად

ჩამოყალიბება მოითხოვს არა მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციის შესრულებას, არამედ დამატებითი ღირებულების შექმნას, თანამედროვე ლოგისტიკური სერვისების განვითარებას, ინოვაციების დანერგვასა და საერთაშორისო პარტნიორებთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაძლიერებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტები ხედავენ როგორც შესაძლებლობებს, ისე იმ პასუხისმგებლობებს, რომლებიც აღნიშნული მიზნის მიღწევას უკავშირდება.

ცხრილი 6. თქვენი საერთო შეფასებით, რამდენად შეუძლია „შუა დერეფანს“ საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობა?

პასუხი	
ძალიან მაღალი შესაძლებლობა აქვს	32
მაღალი შესაძლებლობა აქვს	39
საშუალო შესაძლებლობა აქვს	19
დაბალი შესაძლებლობა აქვს	7
საერთოდ არ აქვს ასეთი შესაძლებლობა	3

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოებაში დომინირებს პოზიტიური დამოკიდებულება „შუა დერეფნის“ პროექტის მიმართ, თუმცა ამ ოპტიმიზმს თან ახლავს რეალისტური შეფასება არსებული ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური გამოწვევების შესახებ. სწორედ ამ ფაქტორების ეფექტიანი მართვა განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შეძლებს საქართველო საკუთარი სატრანზიტო პოტენციალის ეკონომიკურ წარმატებად გარდაქმნას მომავალ წლებში.

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება. ლიტერატურის ანალიზისა და ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ „შუა დერეფანი“ საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია, გაზარდოს საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას დამატებითი ეკონომიკური აქტივობა სხვადასხვა სექტორში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს პროექტის გავლენას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. განსაკუთრებით მაღალია მოლოდინი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარების, ინვესტიციების ზრდისა და ქვეყნის რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად ჩამოყალიბების შესაძლებლობის მიმართ. ამავდროულად, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლებიც აფერხებს არსებული პოტენციალის სრულად რეალიზებას. რესპონდენტთა შეფასებით, ძირითად პრობლემებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, გეოპოლიტიკური რისკები, რეგიონული კონკურენცია და ინსტიტუციური ბარიერები. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ მხოლოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა არ არის საკმარისი კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად და აუცილებელია მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება.

კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილია რამდენიმე რეკომენდაციის გამოყოფა. პირველ რიგში, აუცილებელია სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება, განსაკუთრებით პორტების, რკინიგზისა და საგზაო ქსელის მიმართულებით. მეორე, მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ეფექტიანი განხორციელება, რადგან იგი წარმოადგენს შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. მესამე, საჭიროა საბაჟო და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივება, რაც შეამცირებს

ტრანზიტის დროს და გაზრდის მარშრუტის მიმზიდველობას. მეოთხე, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. ასევე მნიშვნელოვანია ციფრული ლოგისტიკის სისტემების განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში.

ამრიგად, „შუა დერეფანი" საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ სატრანზიტო პროექტს, არამედ გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომლის წარმატება დამოკიდებული იქნება ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და რეგიონული თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენია, მ. (2025). *სარტყელისა და გზის ინიციატივა – საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა*. Papers. https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10330.

Abashishvili, G., & Liparteliani, S. (2022). *Analysis of Georgia's Transit Corridor, Challenges and Potential*. International Journal of Social Sciences. https://doi.org/10.55367/zlwk3709

Ablotia, K., Demetrashvili, E., & Ablotia, L. (2025). *The Trans-Caspian Corridor - Reality and Challenges*. InterConf. https://doi.org/10.51582/interconf.19-20.06.2025.002

Adeishvili, T., Tchiotashvili, D., & Berdzenishvili, N. (2025). *Economic Effects of Multimodal Middle Corridor and Strategic Ecological Security Challenges in Georgia*. Grail of Science. https://doi.org/10.36074/grail-of-science.22.08.2025.004

Agayev, Z. (2025). *Development of the Trans-Caspian International Transport Route as a Potential for Diversification of Economic Ties in Eurasia*. Bulletin of the Volga State University of Service. Series: Economy. https://doi.org/10.65891/2949-1983-2025-21-2-11-15

Aptsiauri, D. (2026). *Latest Trends in Development of Middle Power Policy in the Context of Global Economic Crisis (Case of South Caucasus and Central Asia)*. Bulletin of the L.N. Gumilyov Eurasian National University. Political Science. Regional Studies. Oriental Studies. Turkology Series. https://doi.org/10.32523/2616-6887-2026-154-1-106-114

Bidzinashvili, D. (2025). *The Middle Corridor (TITR): Trends of Significant Growth in Cargo Turnover and Georgia's Economic Growth Prospects by 2030*. Grail of Science. https://doi.org/10.36074/grail-of-science.18.07.2025.003

Gabinashvili, T. G. T. (2025). *The New Silk Road and Georgia's Transit Potential*. Economics. https://doi.org/10.36962/ecs107/1-2/2025-68

Giguashvili, G., & Sadagashvili, M. (2025). *The Role of Georgia in the Middle Corridor of the Ancient and Modern Silk Road*. International Journal of Applied Research and Sustainable Sciences. https://doi.org/10.59890/ijarss.v3i9.113

Gugushvili, T. (2025). *Unlocking Middle Corridor's Potential for Georgia: A Study Based on Stakeholders' Interviews*. Sylwan. https://doi.org/10.59879/s8uke

Karchava, L. K. L., Nanuashvili, I. N. I., Zoidze, G. Z. G., & Veshapidze, S. V. S. (2025). *Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation*. The New Economist. https://doi.org/10.36962/nec20022025-40

Karimov, S. I. (2024). *Key Risks of Transport and Logistics Project Development "Middle Corridor"*. Общество: политика, экономика, право. https://doi.org/10.24158/pep.2024.1.6

Katamadze, D., & Katamadze, G. (2022). *Prospects for the Formation of the Transport and Logistics Hub of Georgia*. Access-Access to Science Business Innovation in the Digital Economy, 4. https://doi.org/10.46656/access.2023.4.1(6)

აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის შეუძლებელი იყო მიწის სავარგულების მორწყვის გარეშე.XII საუკუნეში გაყვანილი ალაზნის არხი ასი ათას ჰექტარ მიწას რწყავდა. ბევრი იყო უფრო მომცრო არხები და რუები. XVIII საუკუნეში სარწყავი არხებით სარგებლობის წესი განსაზღვრული იყო ვახტანგ მეექვსის კანონებით. რუსულმა ხელისუფლებამ ეს კანონები გააუქმა და საირიგაციო სისტემა კარგა ხანს მოშლილი იყო.თვით რუსი მოხელეები აღიარებდნენ, რომ XIX საუკუნეში სარწყავი არხები არა თუ ფართოვდებოდა, არამედ პირიქით, უარესდებოდა მათი მდგომარეობა და მწვავდებოდა სარწყავი წყლით მოსარგებლეთა ურთიერთობები.

1899 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 1186 სარწყავი არხი და რუ,რომლითაც სარგებლობდა თავადაზნაურთა და გლეხთა 47508 მეურნეობა. აქედან ირწყვებოდა 106495 დესეტინა მიწა. სარწყავი არხების სიმცირის გამო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა. დასავლეთ საქართველოში კი მწვავედ იდგა ჭაობების ამოშრობის პრობლემა. კოლხეთის დაბლობის გარკვეული ნაწილი მალარიის ბუდეს წარმოადგენდა.

სრულიად საქართველოს მთაში წამყვანი დარგი იყო მეცხოველეობა, მაგრამ სხვადასხვა რეგიონებში მნიშვნელოვნად მიაჩნდათ მარცვლეული კულტურების მოყვანაც. აღმოსავლეთ საქართველოს შუა ზონაში თანაბარი შესაძლებლობანი არსებობდა მარცვლეული მეურნეობის, მეხილეობისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის, მაგრამ აქაც გამოიყოფოდა ამა თუ იმ დარგში სპეციალიზებული სოფლები. ბარის ზონაში წამყვანი იყო მევენახეობა-მეღვინეობა, თუმცა დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებდა მემინდვრეობაც. თანდათან იზრდებოდა მეთამბაქოების, მებამბეობის, მეაბრეშუმეობისა და სხვა დარგების როლი დასავლეთ საქართველოს დაბლობებზე, ზღვისპირა და მდინარეთა ქვემო წელში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა სიმინდის ნათესებს, რომელთა გვერდით თანდათან ინერგებოდა თამბაქოს, რამის, თხილის, ცხოველთა საკვები მცენარეების, ბოსტნეულისა და ბამბუკის კულტურები. უკვე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა შორის ყველაზე მეტი იყო პურეული კულტურების ხვედრითი წილი XIX საუკუნეში ყანების ფართობი თანდათან იზრდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი იყო ხორბალი და ქერი, მეტნაკლებად რაოდენობოთ თესავდნენ აგრეთვე სიმინდს, შვრიას, ჭვავს, ლობიოს, ფეტვს, ბრინჯს და სხვა კულტურებს. დასავლეთ საქართველოში სახნავ-სათესი მიწების უდიდესი ნაწილი ეკავა სიმინდს, რომელიც თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა გურია-სამეგრელო-აფხაზეთსა და ქვემო იმერეთში.

სიმინდის ყანებში ჩვეულებრივ ლობიოც ითესებოდა. პურსა და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში და ზემო იმერეთში.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ყანების მოსავლიანობა საკმაოდ მაღალი იყო უკვე XIX ს-ის 50 წლებში. 1850 წელს ვინმე ო .კ. კონსტანტინოვი წერდა ,,1802 წელს საქართვწლომ ვერ შესძლო საკმარისი სურსათი მიეწოდებინა რუსეთის ჯარის 3 ათასიანი კაცისთვის. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ორნახევარჯერ გაიზარდა იგი იკვებება საკუთარი პურით და მარტო თბილისში გააქვს სარეალიზაციოდ 150 ათასი კოდი პური, სამხედრო ნაწილებს კი ყოველწლიურად აწვდის 40 ათას კოდ ქერს".

უფრო მკვეთრად გამოხატული სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი მიიღო მარცვლეულის მეურნეობამ, კერძოდ, მესიმინდეობამ. დასავლეთ საქართველოში სიმინდი იყიდებოდა შიგა ბაზარზე და იგზავნებოდა ექსპორტზე. 1862 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა გურია-სამეგრელოში იყიდეს და უცხოეთში გაიტანეს 1 მილიონი ფუთი სიმინდი, ერთი ფუთი 70 კაპიკად იყიდებოდა. სიმინდის გაყიდვა წარმოადგენდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფულად შემოსავლის მთავარ წყაროს.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, ბაზრის არახელსაყრელმა კონიუნქტურამ და რუსეთის მთავრობის კოლონიურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეაფერხა პურეულის სასაქონლო წარმოების ზრდა ამ დარგში. პურეულის წარმოება ბაზრისთვის აღარ იყო ხელსაყრელი და შედარებით მსხვილი მესაკუთრენი თანდათან ამცირებდნენ ნათესების ფართობს, გადადიოდნენ სოფლის მეურნეობის უფრო რენტაბელურ დარგებზე, რომელთა განვითარებისათვის საქართველოში კარგი ბუნებრივი პირობები არსებობდა და რომელთა პროდუქციაზეც მეტ მოთხოვნილებას აყენებდა მეტროპოლია და მისი ბაზარი.

საქართველოს მოსახლეობის ნაწილისათვის მევენახეობა-მეღვინეობას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაყენებული ღვინის საკმაო ნაწილი შუა საუკუნეებში გაჰქონდა ბაზარზე, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ამ დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი კუთხე კახეთი იყო. XIX-ს 30-იან წლებში იქ დაყენებული ღვინის ნახევარი სარეალიზაციოთ ბაზარზე გადიოდა.თბილისში და ქართლში ამ დარგს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ აქაც გამოიყო მევენახეობა მეღვინეობაში სპეციალიზებული სოფლები. XIX ს 70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ვენახებს ეკავა 18300 დესეტინა. წლიურად აყენებდნენ საშუალოდ 2,5 მილიონ ვედრო ღვინოს. 1898 წელს აღმოსავლეთ საქართველოს 42072 მიწათმფლობელის საკუთრებაში იყო 25294 დესეტინა ვენახი. აღმოსავლეთ საქართველოში მოიწიეს 3,8 მილიონი ფუთი ყურძენი და დააყენეს 3,9 ათასი ვედრო ღვინო. დასავლეთ საქართველოში შესაბამისად 2,5 მილიონი ფუთი ყურძენი და 2,3 მილიონი ვედრო ღვინო.

ქართული ღვინის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთში გადიოდა, ეს თითქმის ათავისუფლებდა მეტროპოლიას ძვირადღირებული ფრანგულ-იტალიური ღვინის შემოტანისაგან, ვალუტის საგრძნობი ნაწილის უცხოეთში გადინებისაგან. რუსეთის მთავრობა, ბუნებრივია დაინტერესებული იყო იმით, რომ საქართველოში ვენახების ფართობი გაზრდილიყო, ღვინის ხარისხი გაუმჯობესებულიყო, ამიტომ როცა ფილოქსერა ამიერკავკასიაში გამოჩნდა, ვაზის ამ ახალი, ყველაზე უფრო საშიშ მტერთან ბრძოლის მიზნით რუსულმა ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური კომიტეტი. მისმა ორგანიზატორებმა არაერთი სხდომა გამართეს ფილოქსერასთან ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად. სტაროსელსკიმ და ანდრონიკაშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ მეურნეობისათვის საჭირო იყო ვაზის გადაყვანა ამერიკულ საძირეზე. 1891 წელს სოფ საქარაში კიდეც შეიქმნა ამერიკული მწარე ვაზის სანერგე. 1894 წელს სანერგემ დაიწყო ამერიკული ვაზის ლერწების გავრცელება.

სანერგე ყიდდა აგრეთვე უკვე დამყნობილი და დაფესვიანებული ვაზის ნერგებსაც. მალე ასეთივე საქმიანობა გააჩაღეს ქორეისუბნის, აღაიანის და კონდოლის სანერგეებმაც. საკუთარი სანერგეები მოაწყვეს ანა ნოვმა, მიურატმა, ნაკაშიძემ და ზოგიერთმა გლეხმაც კი.მალე სანერგეთა ფართობებმა 240 დესეტინას მიაღწია.

ქართველი ხალხი, თავადი, აზნაური თუ გლეხი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ჩვენი ქვეყნის ძველთაძველი კულტურის ვაზის გადასარჩენად. მევენახეებმა ადვილად შეითვისეს ვაზის ამერიკულ საძირეზე დამყნობის ხელოვნება და ვენახის მოვლის ახალი რაციონალური მეთოდები. 1902 წელს იმერეთში უკვე აღირიცხა 1000 დესეტინა ახალი ვენახი.1908 წლის ნამყენი ვენახების ფართობი უდრიდა: ქუთაისის მაზრაში-4489 დეს, შორაპნის მაზრაში-6100 დეს, სამეგრელოში-276 დეს, გურიაში-150 დეს, რაჭაში-50დეს, ლეჩხუმში-35 დესეტინა, ქართლ-კახეთში ფილოქსერა უფრო გვიან შეიჭრა, იქ ვენახების მასიური განახლება პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ განხორციელდა. მოცემულ რეგიონში წლიდან წლამდე იზრდებოდა ყურძნის მოსავალი, რაც საშუალებას იძლეოდა ღვინის წარმოების გადიდებას.

მეღვინეობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინოების დაძველებას, მის შორ მანძილზე ტრანსპორტირების საკითხს. ამისთვის კი ტიკები და ტყავის რუმბები ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდა. იმდროინდელი სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამრეწველო-სავაჭრო ხასიათის რაციონალური მეღვინეობა უნდა დაფუძნებულიყო, ქართულ ტრადიციულ ახალი ევროპული წესების ურთიერთთან შერწყმაზე. ეს უზრუნველყოფდა ღვინის მყარი ტიპების გამომუშავებას, შორეულ ბაზრებზე ღვინის შეუფერხებლად გადატანას და რეალიზაციას.1908 წელს კახეთში ყურძნის მოსავალი სარეკორდო იყო. კახელებს ყურძნის გადამუშავების, დამატებითი ჭურჭლის გამონახვის და სხვა საჭიროებისათვის დიდი თანხები დაეხარჯათ, რაც არ იქნა ანაზღაურებული ღვინის მეტად დაბალი ფასების გამო. მევენახე-მეღვინეები უფრო კმაყოფილი დარჩნენ 1909 წლის მცირე მოსავლით, რადგან ამის წყალობით ღვინის ფასს მაღლა აუწევია და მწარმოებლებს წინა უხმოსავლიან წელთან შედარებით მეტი შემოსავალი მიუღიათ. სწორედ ასეთი არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრის წინაპირობად მიაჩნდათ ღვინის დაძველების ევროპული წესების დანერგვა. მიღება ღვინის მყარი ტიპებისა, რომლებიც წლების განმავლობაში არ გაფუჭდებოდა და მწარმოებელს შესაძლებლობას მისცემდა მომხმარებლისათვის ეკარნახა ღვინოზე შედარებით მაღალი ფასები. მეღვინეობის ამგვარი გარდაქმნა იმ დროს ხელეწიფებოდა მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებს. გლეხები ამას შესძლებდნენ იმ შემთხვევაში თუ ჩამოაყალიბებდნენ კოოპერატივებს, რომლებიც წევრთა მიერ ჩაბარებულ ყურძნისაგან მაღალხარისხოვან ღვინოს დააყენებდნენ და თვითონ გაასაღებდნენ ახლო და შორეულ ბაზრებზე. სწორედ ასეთი კოოპერატივების, აგრეთვე აქციონერული საზოგადოების შექმნის პროპაგანდას დაუღალავად ეწეოდა ღირსეული მამულიშვილი ფოთის ქალაქის თავჯდომარე ნ. ნიკოლაძე.

XIX-XX ს-ს მიჯნაზე რუსულ გუბერნიებში მარცვლეულისაგან არაყის დამზადებას ფართო მასშტაბები ჰქონდა. მთავრობა მას ყოველნაირად ხელს უწყობდა. რუსების პროტექციონისტული პოლიტიკა იყო იმისი მიზეზი, რომ საქართველოში პურისა და ქერისაგან არყის გამოხდა ვერ განვითარდა. რუსეთის მთავრობა თავის ამ კოლონიაში ფართო გასაქანს აძლევდა მხოლოდ ღვინოსა და ჭაჭისაგან სპირტის დამზადებას. საქართველოსა და ამიერკავკასიაში დამზადებული და გაწმენდილი (რექტიფიცირებული) სპირტი დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთის დიდ ქალაქებში. 1903 წელს თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან რუსეთში გატანილი იქნა 4,5 მილიონი ლიტრი სპირტი. მისი 79% ექსპორტირებული იყო ცნობილი მეწარმისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის მიერ.

საქართველოს მთიან ზონაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს, მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითად სასიცოცხლო მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენს.

ქართლ-კახეთში მეცხოველეობის განვიათარება-გაფართოების მთავარი საფუძველი იყო ალპური საძოვრები და მოურწყავი ველები. რაც საზამთრო-საძოვრებს წარმოადგენდა. ბევრი პირუტყვი ჰყავდათ იმ სოფლებში, რომელთა მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა,

როგორც საზაფხულო ისე საზამთრო საძოვრებით. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, მის მთიანეთში საზაფხულო საძოვრები ბევრი იყო, საზამთრო საძოვრები კი მეტისმეტად მცირე.შედარებით მეტი პირუტყვი ჰყავდა სვანეთს. მთა-რაჭის, აფხაზეთისა და აჭარის მცხოვრებთ.

1872 წლის სტატისტიკური მონაცემები ამიერკავკასიაში ყოველ ას მაცხოვრებელზე მოდიოდა 45 ცალი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, რუსეთში-402, ინგლისში-282, საფრანგეთში-292, პრუსიაში-332 ცალი, მაგრამ ამიერკავკასიაში შინაური პირუტყვის პროდუქტიულობა უმნიშვნელო იყო. ინგლისში ერთი ძროხის შემოსავალი უდრიდა 77 მანეთს, საფრანგეთში-60 მანეთს, პრუსიაში-45 მანეთს, რუსეთში 8 მანეთს, ამიერკავკასიაში კი მხოლოდ 3,5 მანეთს. შინაური პირუტყვის, კერძოდ, ძროხების პროდუქტიულობის ასამაღლებლად გამოცდილი და პრაქტიკოსი ადამიანების აზრით საჭირო იყო მეცხოველეთა შორის ცოდნის გავრცელება. ევროპელთა გამოცდილების დანერგვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. როგორც ირკვევა მეცხოველეობის დონე საქართველოში სულაც არ იყო ასე დაბალი, მაგრამ ფაქტია რომ იმ დროს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სანახევროდაც კი ვერ იყენებდა ამ დარგის განვითარების შესაძლებლობებს.

იმდროინდელი დამკვირებელთა გადმოცემით, მეცხოველეობის ჩამორჩენილობის მიზეზი ის იყო, ის რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხრბდა შინაური პირუტყისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მარტო თივა და ჩალა, რის მოგვარებასაც ახერხებდნენ მეცხოველეები, საკმარისი არ იყო პირუტყვის გამოსაკვებად ზამთრის თვეებში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ფართო მასშტაბით ეწეოდნენ მეცხვარეობას. ზაფხულობით მათი ფარები კავკასიონის მთათა ფერდობზე იყო გაშლილი. ზამთრობით კი თუშები და ფშაველები ცხვრის ფარებს შირაქის ველზე აძოვებდნენ, მთიულ-მოხევეები კი ყიზლარის საძოვრებზე მიერეკებოდნენ. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ერთმანეთისგან დიდი მანძილით იყო დაშორებული. მეცხოველეებს თავიანთი ფარების გადარეკვა, რაც დიდ დროს მოითხოვდა და მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. მკაცრი, თოვლ-ყინვიანი ზამთარი მეცხვარეთათვის ნამდვილი უბედურობა იყო. ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდათ მეცხოველეებს ცხვრის მოვლა-შენახვა მხოლოდ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა ცხვრის ტრანსპორტირება.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კერძოდ ხარი გამწევ ძალად გამოიყენებოდა მიწათმოქმედებაში, ამიტომ აშენებდნენ და სიბერემდე ინახავდნენ, ამ საქმეში ფართოდ იყენებდნენ ცხენსაც. სასურსათო მნიშვნელობა ჰქონდა ძროხას, თხას და ღორს.

მეცხოველეობა პირუტყვის საერთო მოცულობითა და ღირებულებით მიწათმოქმედებას ჩამორჩებოდა, მაგრამ ამ დარგის პროდუქტიულობა გაცილებით მაღალი იყო. სტატისტიკური მონაცემებით ვრწმუნდებით, რომ ძირითად სამიწათმოქმედო რეგიონებში, სადაც მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა, შინაური პირუტყვის რაოდენობა იზრდებოდა, მეცხოველეობის სპეციალიზებულ რაიონებში კი პირიქით- მარცვლეულს თითქმის არ თესავდნენ, მნიშვნელოვან წილად მოსახლეობა ნაყიდ პურეულის მოხმარებაზე იყო გადასული. მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის მთავარი მომხმარებელი მაინვ მკვიდრი ქალაქელები და მრეწველები იყვნენ. შვეიცარული ყველი, რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, რუსეთში გადადიოდა, ცხვრის მატყლი კი უცხოეთში იგზავნებოდა.

XIXს-ის 90-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრიდან სხვადასხვა ბაზრებში იგზავნებოდა ყოველწლიურად 15 ათასი თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 30 ათასი ცხვარი, 15 ათასი ღორი, 90 ათასი ფუთი მატყლი, 100ათასი ცალი დაუმუშავებელი ტყავი, 10 ათასი ფუთი ყველი, 1894 წელს თიანეთის მაზრის მოსახლეობას გაუყიდია 200 ათასი მანეთის მატყლი და 45 ათასი მანეთის ყველ-კარაქი. დიდი რაოდენობით იძლეოდნენ სასაქონლო პროდუქციას სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქისა და სხვა მაზრები.

სასაქონლო მატყლის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის რკინიგზის სადგურიდან გაიგზავნა1898წ-63159 ფუთი, 1902წ-135134ფ, 1906წ -205570ფ, 1899-1908 წლებში თბილისის

სადგურიდან გამსაღებელი ბაზრებისაკენ გაიგზავნა 1,3 მილიონი ფუთი მატყლი, რომელიც ძირითადად დამზადებული იყო ბორჩალოს, თიანეთის და სიღნაღის მაზრებში.

დასავლეთ საქართველოში შედარებით ნაკლები იყო მეცხვარეობის სასაქონლო პროდუქცია. 1910 წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას გასაყიდად გაუყვანია შინაური პირუტყვი: მუდმივ ბაზტობაზე-91083 თავი, სასაკლაოზე 51017 თავი, ქუთაისის ფარგლებს გარეთ გაუყვანიათ 9 ათასი თავი პირუტყვი.

აღნიშნულ დარგთან ერთად მეფრინველეობას ფეოდალიზმის ხანაში მისდევდნენ ძირითადად შინაური მოხმარებისათვის. XIX საუკუნეში ამ დარგმა თანდათან მიიღო სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი, 90-იან წლებში გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთსი ყოველ კომლზე საშუალოდ ყავდათ 350-400 ფრთა ქათამი, ინდაური, ბატი და იხვი. ფრინველი და კვერცხი დიდი რაოდენობით ჩამოქონდათ რკინიგზის სადგურებში, რადგან აქ იყრიდა თავს მყიდველი და გამყიდველი. მარტო თბილისში იგზავნებოდა ყოველწლიურად 525 ათასი ქათამი 630 ათასი ვარია, 90ათასი ინდაური. XX ს-ის დამდეგს დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად გასაყიდად გადიოდა 2,5 მილიონი მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები.1,2 მილიონი მანეთის კვერცხი ყოველწლიურად იგზავნებოდა ლონდონში, პარიზში, ბერლინსა და ჰამბურგში. იმ დროისთვის მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება საქართველოში ფუფუნებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძველი დარგია და იგი იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით მეტი სავაჭრო-სასაქონლო მნიშვნელობით. XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ვაჭრები აბრეშუმს საცვლელ ღირებულებადაც კი იყენებდნენ, სპარსელ და რუს ვაჭრების საქონელში ფულის ნაცვლად აბრეშუმის გარკვეულ რაოდენობას აძლევდნენ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ყოველწლიურად ამზადებდნენ 1000-1500 ფუთ აბრეშუმის ძაფს.მომდევნო ათწლეულში წარმოება 3-4 ათას ფუთამდე გაიზარდა.ძაფის დიდი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთში იგზავნებოდა,მცირე ნაწილს თვით შინამრეწველები იყენებდნენ ქსოვილების დასამზადებლად.

მეტროპოლიის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები დიდი რაოდენობით საჭიროებდნენ ნედლეულს, ამიტომ არსებული ხელისუფლება ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიაში შინამრეწველური მეაბრეშუმეობის გაფართოება-გაუმჯობესებას. მასთან მოეწყო თუთის ხის სანერგე ქიმიური, ზოოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, რომელმაც ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის სპეციალობის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას.

მეფუტკრეობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მისი მასშტაბი და ხარისხი გაიზარდა,მაგრამ მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. ქართულმა რუხმა ფუტკარმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. იგი საუკეთესოდ აღიარეს მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ თაფლისა და წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლები ნელა იზრდებოდა. 1913 წელს საქართველოში აღირიცხა მეფუტკრეობის 6376 მეურნეობა და 53105 ძირი სკა, 1909 წელს მეფუტკრეებმა მიიღეს 35000 ფუთი თაფლი და 3700 ფუთი სანთელი.ბაზარზე გაიტანეს 15355 ფუთი თაფლი და 3374 ფუთი სანთელი რაშიც აიღეს 129839 მანეთი.

ბამბის კულტურას საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ბამბის პლანტაციების ფართობი მკვეთრად გაიზარდა XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგს. მას შემდეგ რაც სამოქალაქო ომმა შეაფერხა ბამბის იმპორტი აშშ-დან, რუსმა ფაბრიკანტებმა დიდი მოთხოვნილება წამოუყენეს იმპერიის სამხრეთის რეგიონებს. ბამბის ფასმა სწრაფად აიწია, რამაც სტიმული მისცა მწარმოებელი მოსახლეობას, მათ შორის ქართველებს. ამ დრომდე მებამბეობა იყო საოჯახო მრეწველობის საფუძველი, ამის შემდეგ მან მიიღო სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი. XIX ს-ის 80-იან წლებში სამხრეთ კავკასია, რუსეთის ცენტრე ყოველწლიურად საშუალოდ აწოდებდა 150 ათას ფუთ ბამბას, 1911 წელს კი მიაწოდა 18 მილიონი ფუთი გაწმენდილი ბამბა, რომლის ღირებულება 15-16 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამ მხარეში მებამბეობის მთავარი რეგიონები იყო აზერბაიჯანი და სომხეთი. XX ს-ის 10-იან წლებში მებამბეობა სწრაფად დაწინაურდა საქართველოშიც.

ბამბის მოსავლის პირველადი დამუშავება (გაწმენდა, დაწნეხვა) ცალ-ცალკე შეკვრას ადგილზე მებამბეობის რაიონში წარმოებდა. ამ საქმის სათავეში უმეტესწილად იდგნენ შემსყიდველი ვაჭრები და აგენტები. დამზადებული ბამბა თითქმის მთლიანად ბაზარზე გადიოდა.

მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა დარგები ფეოდალურ საქართველოში ფართო მასშტაბით არ გამოირჩეოდა. პროდუქტს ძირითადად ოჯახშივე მოიხმარდნენ, ბაზარზე სარეალიზაციოდ პროდუქცია მცირე რაოდენობით გადიოდა.

XIX ს-ის დასასრულისათვის მეხილეობა საკმაოდ იყო განვითარებული დასავლეთ საქართველოშიც. მწკრივზე გაშენებული ხილის ბაღები ჰქონდათ მხოლოდ ქ. ქუთაისის მიმდებარე სოფლებში (ქვიტირი, ბანოჯა, რიონი, ჭომა). სხვაგან ხეხილი დარგული იყო ვენახების პირზე, ეზოებსა და ბოსტნებში. ხილის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზევე იყიდებოდა. ბევრი კი იგზავნებოდა რუსეთში რკინიგზით. გატანილი იქნა ხილი რუსეთში 1897წ-204319 ფუთი, 1900წ-224655 ფუთი. იმ ხანებში საფუძველი ჩაეყარა სავაჭრო მეციტრუსეობასაც. მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები უკვე ჰქონდათ გაშენებული აჭარასა და აფხაზეთში. ერთი სიტყვით უფრო მეტად იზრდებოდა ხეხილის გაშენება აღმოსავლეთ საქართველოს ნოყიერ ნიადაგზე. 1909-1913 წწ საქართველოს ხილის ბაღების საშუალო წლიური პროდუქცია შეადგენდა 5 მილიონ ფუთს, რომლის ღირებულება უდრიდა 3,5 მილიონ მანეთს. მთელი პროდუქციის დაახლოებით ნახევარი ბაზარზე გადიოდა სარეალიზაციოდ.

სასაქონლო სავაჭრო მებოსტნეობა თავდაპირველად დიდი ქალაქების გარეუბნებში განვითარდა, მოგვიანებით ქალაქებიდან შორსაც. 1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბოსტნებს ეკავა 3390 დესეტინა, აიღეს თითქმის 1 მილიონი ფუთი ბოსტნეული. კიდევ უფრი მეტი იყო ბოსტნების ფართობი დასავლეთ საქართველოში. ეს მხარე ნაადრევი ბოსტნეულით ამარაგებდა თბილისს, ბაქოს და შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს. 1909-1913წელს მთელ საქართველოში ბოსტნების ფართობი 6500 დესეტინას უდრიდა, ყოველწლიურად საშუალოდ ღებულობდნენ 3,6 მილიონ ფუთ პროდუქციას, რომლის ღირებულება 1,6 მილიონ მანეთს შეადგენდა და ძირითადად ბაზარზე გასატანად იყო გათვალისწინებული.

XIX საუკუნის დამდეგს კარტოფილს სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეკავა, ასი წლის შემდეგ კარტოფილის ნათესებმა 7 ათას დესეტინას მიაღწია.

საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ქართული ხილ-ბოსტნეულის ბრუნვა შეადგენდა 1907 წელს 2 მილიონ ფუთს.რკინიგზით რუსეთში იქნა გატანილი:1907 წ-272262 ფუთი,1908წ-303999 ფუთი.საქართველოსა და ამიერკავკასიას საერთოდ შეეძლო რუსეთისთვის მიეწოდებინა გაცილებით მეტი ხილ-ბოსტნეული,მაგრამ იმის გამო,რომ იმ დროს რკინიგზას არ ჰქონდა ვაგონ მაცივრები, რაც ხელშემშლელი მიზეზი იყო მალფუჭებადი პროდუქტის გადასატანად.

XIX ს 80-იან წლებში რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების საქმეზე დასავლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციათა გაშენების კომპეტენტურ დამცველად გამოვიდა ცნობილი მეტეოროლოგი და გეოგრაფი ა. ი. ვოეიკოვი. ამ იდეას მხარი დაუჭირა ზეიდლიცმა, მან ჩინეთიდან გამოიწერა ჩაის ბუჩქები და დარგო ჩაქვში. ამ საქმით ფრიად დაინტერესებული იყო სოლოვცოვი. მალე აქ გაშენდა პლანტაცია, რომელიც 400 ათას ბუჩქს ითვლიდა.

სოლოვცოვის წარმატებამ მიიპყრო იმპორტული ჩაით მოვაჭრე პოპოვისა და რომანოვთა საგვარეულოს საუფლისწულო უწყების ყურადღება. ჯერ პირველმა და ცოტა მოგვიანებით მეორემ სამეცნიერო ექსპედიციები გაგზავნეს ჩინეთში, იაპონიასა და ინდოეთში. გამოირკვა, რომ ჩინეთის მეჩაიეობის რეგიონებისა და ბათუმი-ჩაქვის მიდამოების ბუნებრივი პირობები ძაან ჰგავდა ერთმანეთს. 1893 წელს პოპოვმა ჩინეთიდან ჩამოიყვანა ჩაის კულტურის 12 სპეციალისტი რომლებმაც ჩაქვსა და სალიბაურში გააშენეს პლანტაციები. 1896 წელს პოპოვმა ჩაის მზა პროდუქციია ნიმუშები წარადგინა ნიჟნი ნოვგოროდის საერთაშორისო გამოფენაზე. წარმატებით საქმიანობდა ამ დარგში აგრეთვე საუფლისწულო უწყება. მალე ამოქმედდნენ წვრილი პლანტატორებიც, ჩაის პლანტაციების ფართობი თანდათან გაიზარდა: 1893 წელს მათ ეკავათ 8

დესეტინა, 1896წ-30 დესეტინა, 1898წ-102 დესეტინა, 1900წ-215 დესეტინა, 1905წ-400 დესეტინა, 1910წ-641 დესეტინა, 1913 წ-812 დესეტინა, 1916წ-894 დესეტინა, 1898 წელს მოიკრიფა 157 გირვანქა მწვანე ფოთოლი, 1905 წ 626605 გირვანქა, 1915წ- 1,5 მილიონი გირვანქა. მეჩაიეობის სპეციალურ რაიონად აჭარა ყალიბდებოდა, ასეთივე ტენდეცია ჩნდებოდა გურიაშიც. ხოლო მოგვიანებით სამეგრელოსა და აფხაზეთის მხარეში. ხოლო იმერეთის კარგ და ნაყოფიერ მიწაზეც დაიწყეს ჩაის პლანტაციების გაშენება.

იგივე ტენდეციები საბჭოთა პერიოდში არათუ გაგრძელდა საქართველოში, არამედ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო დარგები წამყვან პოზიციებს იკავებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მაგალითად მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოება, მეხილეობა, მეფუტკრეობა და რაც მთავარია მევენახეობა-მეღვინეობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად განადგურდა როგორც ტექნიკური, ასევე სოფლის მეურნეობა. ბოლო წლებში და განსაკუთრებით ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრარულ დარგებს.კერძოდ უფრო მეტად განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება, მეხილეობაში დაემატა ახალი და ჩვენთვის არატრადიციული დარგები, როგორიცაა მოცვი, ზეთის ხილი, ნუში, კივი და თხილი, ამასთანავე მრავლად შენდება აგრარული პროდუქტების გადამამუშავებელი და სამაცივრო-შესანახი საწარმოები.

ყველა ქართველის ვალია დავიცვათ ჩვენი ბედკრული ქვეყანა, შევუნარჩუნოთ ქვეყანას სუვერენიტეტი და დავუდგეთ ქვეყანას გვერდში. ჩვენი სამშობლო გამორჩეულია თავისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა, რასაც იმსახურებს თავისი წარსულით და წინაპრების ღვაწლით. აწმყო და მომავალი დამოკიდებულია ქვეყანაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეზე. პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მოქალაქეს, რომელთაც აქვთ აზროვნების უნარი.

დასკვნა

აუცილებელია, XXI საუკუნეში ხელისუფლების დახმარებით უზრუნველყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა და მატერიალური და არამატერიალური რესურსების მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება, რაც მთავარია ემიგრანტ ქართველების დაბრუნება და სრულიად საქართველოში ჰარმონიული და კარგი ურთიერთობის დამყარება, რაც საქართველოს ძლიერებისა, პატივისცემისა და სიყვარულის საწინდარი იქნება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ადრე შესაძლებელი იყო საქართველოში ეწარმოებინათ მრავალფეროვანი აგრო პროდუქტები იმ რაოდენობით, რაც აკმაყოფილებდა როგორც შიგა ბაზარს, ასევე გასულიყო ექსპორტის სახით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად შესაძლებელია მაღალ კონკურენტუნარიანი და მრავალფეროვანი აგრო პროდუქციის წარმოება. რაც დადებითად აისახება ქვეყნისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაზე. ადრეულ წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ საქართველოში არსებული სასოფლო - სამეურნეო მიწის რესურსისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ათი - თორმეტი მილიონი ადამიანის გამოკვება. ცხადია, რომ ხელისუფლებას აგრო ბიზნესის მიმართ ყურადღება არ მოუდუნებია, მაგრამ ჩვენი აზრით საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს აგრო ბიზნესის ზემოთ ჩამოთვლილ ტრადიციულ და ახალ დარგებს. ეს გამოიწვევს ბაზარზე საცალო ფასების შემცირებას, ვალუტის შემოდინების ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამასთანავე აღორძინდება ზოგიერთი მივიწყებული ტრადიციული დარგები.

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისაგან რესურსებით, მდებარეობით, ყოფაცხოვრებით, ხასიათითა და სხვა განსხვავდებიან. ამიტომ არ გამოვრიცხავთ რეგიონების მიხედვით შესაბამისი განსხვავებული რეფორმებისა და მიდგომების განხორციელებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა ის თავისებურებები, რომლებიც ისტორიულად გააჩნიათ რეგიონებს. განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება დარგების განვითარების ღრმა მეცნიერულ ანალიზს. ზუსტ ეკონომიკურ გაანგარიშებას და სათანადო წინადადებების შემუშავებას. პრობლემა განსაკუთრებით მეტად აქტუალურია რეგიონებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზაა არსებული ხარვეზების გამოვლენა, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის და ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, ტ. 3.
პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 4.
სტატისტიკური კრებული, 1909-1921 წწ.,თბ.,1923.
თ. გამსახურდია, თ. ფესტვენიძე, ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური რესურსების გამოყენების ასპექტები. მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2025 წ.

Key Aspects of Solving Vital Problems for the Country's Development

Tamazi Gamsakhurdia
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
tamazi.gamsakhurdia@atsu.edu.ge

Teimuraz pestvenidze
Associate Professo,
Akaki Tsereteli State University
Teimuraz.pestvenidze@atsu.edu.ge

Nona Kukhianidze
Assistant Professor
Akaki Tsereteli State University
Nona.kukhianidze@atsu.edu.ge

Summary

Ensuring sustainable national development and the well-being of the population requires the timely identification and effective resolution of issues that are vital to the country. In modern conditions, states face numerous challenges, among which economic stability, social welfare, the development of education and healthcare systems, environmental protection, energy security, and the implementation of modern technologies are of particular importance. Addressing these issues requires coordinated cooperation among the government, the private sector, and society. This paper discusses the main aspects of solving issues of vital importance to a country, their underlying causes, and possible mechanisms for their resolution. Special attention is paid to the role of strategic planning, effective governance, innovation, human capital development, and international cooperation. The study demonstrates that a comprehensive and systematic approach to problem-solving creates a foundation for economic growth, social stability, and the strengthening of national security.

Keywords: national development, strategic management, economic growth, social welfare, national security, sustainable development, innovation.

ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები და საინვესტიციო ტევადობა (საქართველოს მაგალითზე)

თეიმურაზ ბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
teimuraz.beridze@tsu.ge

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები - მიწა, კაპიტალი, მუშახელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ფაქტორებში ინვესტიციის საკითხებს და მათ შესაძლებლობებს. შემოთავაზებულია ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ინტენსივობის გაზომვის იდეა ხარისხობრივ და რაოდენობრივ ტერმინებში. პირველ შემთხვევაში საუბარია ინვესტიციების შინაარსზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, საფინანსო მომსახურებაში, არაწარმოებაში და ა.შ., მეორე შემთხვევაში კი ამ ინვესტიციების მოცულობაზე. წამოიჭრება ჰიპოთეზა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში გადაჭარბებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის გადახურება, ასევე ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კორუფციის გაჩენას, რაც ანელებს მის ეკონომიკურ ზრდას. ეგრეთ წოდებულმა „საწარმოო შესაძლებლობების მრუდმა“ შეიძლება პირობითად იმოქმედოს ეკონომიკაში გადაჭარბებული ინვესტიციების შემზღუდველად. საწარმოო შესაძლებლობების მრუდის მიღმა მდებარე ზედა წერტილი (მიუწვდომლობა) პირობითად შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებული ინვესტიციის მიზანშეუწონლობის მანიშნებელ წერტილად.*

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია; ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები; საინვესტიციო ტევადობა; წარმოების შესაძლებლობების მრუდი; ეკონომიკის გადახურება; კორუფცია; საინვესტიციო პოლიტიკა.*

ინვესტიციების ხარისხობრივი განმსაზღვრელები

ინვესტიცია არის (გერმანული Investition, ლათ. investio - ვიცვამ), კაპიტალის გრძელვადიანი ინვესტიცია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში, მომსახურებასა და ეკონომიკის სხვა სექტორებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მოგების მიღების მიზნით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს. ფინანსური ინვესტიციები არის ინვესტიციები აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოშვებულია კორპორაციების ან სახელმწიფოს მიერ (სტატიაში „სახელმწიფო“ და „მთავრობა“ სინონიმებად გამოიყენება). რეალური ინვესტიციები არის კაპიტალის ინვესტიცია ახალი კაპიტალის საქონლის შექმნაში, გულისხმობს ახალი კაპიტალის ფორმირებას ან წმინდა კაპიტალის დამატებას არსებულ კაპიტალზე. ინვესტიციები მოიცავს ინვესტიციებს ფიქსირებულ საწარმოო კაპიტალში (შენობები,

კონსტრუქციები, აღჭურვილობა), საცხოვრებელში, მშენებლობაში, ინვენტარში (ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია და მიმდინარე წარმოება). მთლიანი ინვესტიციები, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის თანხების გამოკლებით, წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს. ეკონომიკაში ინვესტიციების მიმართ დარგობრივი მიდგომის თვალსაზრისით აუცილებელია სახელმწიფო ფინანსური მონაწილეობა (მაგალითად, საპარტნიორო ფონდი საქართველოში), ამაში უნდა გამოიხატებოდეს სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა.

ამრიგად, ინვესტიცია არის რეალური საწარმოო აქტივების მარაგების დამატების პროცესი. ეს შეიძლება ნიშნავდეს ძირითადი აქტივების შეძენას, როგორიცაა შენობა, ქარხანა ან აღჭურვილობა, ან მარაგებისა და მიმდინარე სამუშაოების დამატებას. ეს არის ინვესტიციის კეინსისეული განმარტება: ეს არის ნაკადის კონცეფცია. საინვესტიციო საქონელი არის საქონელი, რომელიც განკუთვნილია საინვესტიციო გამოყენებისთვის და არა მოხმარებისთვის (Black, 1997).

კიდევ ერთხელ ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორული ანალიზის შესახებ

ცნობილია, რომ ფაქტორული ანალიზი არის მრავალგანზომილებიანი მეთოდი ცვლადების მნიშვნელობებს შორის ურთიერთობის შესასწავლად. ამავდროულად, ეს ურთიერთობები შეიძლება გამოვლინდეს ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე, როგორც ვერტიკალურ (საწარმო, ქვესექტორები, მრეწველობა) და სივრცითი ასპექტებით (რეგიონული ეკონომიკა). ამ სტატიაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მაკრო მიდგომაზე („განვითარების დიდი ხაზი“), ანუ იმ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ მთლიანი ეკონომიკის ფუნქციონირებას ერთი ქვეყნის შიგნით. და ამ კონტექსტში საინვესტიციო პროცესი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ზრდის ფაქტორებში.

დასაწყისში, კლასიკური მიდგომის მიხედვით, წარმოების საშუალებები ნიშნავდა მიწას, კაპიტალს, სამუშაო ძალას, მაგრამ ეკონომიკური თეორიის და პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ჩართული იყო მეწარმეობის ფაქტორები (ჯოზეფ შუმპეტერი მეწარმეობას უწოდებდა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ფაქტორს გარდა სამი ცნობილისა - მიწა, კაპიტალი, მუშახელი) და სახელმწიფო. ამ ბოლო ფაქტორის მიმართ საკმაოდ საინტერესოა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვლადიმერ პაპავას მოსაზრება, როდესაც სახელმწიფოს ფუნქციონირება შესაძლებელია კერძო სესხების ხარჯზე და არა გადასახადების აღების საფუძველზე (Папава, 1993).

ეკონომიკურ ლიტერატურაში, როდესაც საუბარია წარმოების აშუალებებზე, საუბარია მათ ეფექტურობაზე (რენტაბელობაზე), ნაკლებად კი მათ შესაძლებლობებზე. ასე, მაგალითად, მიწაზე (მიწის რესურსები) იყენებენ მიწის რესურსების ფართობის ინდიკატორებს, რამდენად ეფექტურად გამოიყენება ეს რესურსი, რა მოსავალია ჰექტარზე (სოფლის მეურნეობის შემთხვევაში) და ა.შ. კაპიტალის შემთხვევაში ეს არის კაპიტალის დაბრუნება. მუშახელის შემთხვევაში გამოყენებულია პროდუქტიულობა პროდუქციის თითოეულ ერთეულისზე. შედარებით რთულია მეწარმეობის, სამეწარმეო შესაძლებლობების გაზომვა (თუმცა ისინი შეიძლება განისაზღვროს ირიბად, მაგალითად, მოგების ინდიკატორით). რაც შეეხება სახელმწიფოს, აქ შეიძლება იყოს გამოყენებული

ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ვალდებულებების შესრულების ინდიკატორები: ფინანსური, სოციალური და ა.შ. რაც შეეხება ამ ფაქტორების სიმძლავრეს, რაოდენობრივი მაჩვენებელი აქ ბევრად უფრო რთულია და დამოკიდებულია ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების საჭიროებებზე და ეს საჭიროებები დროთა განმავლობაში იცვლება.

აქტუალურია ინვესტიციის წყაროების (შესაძლებლობების) საკითხიც: ინვესტიციის ძირითადი წყაროა მოგება და დანაზოგი (როგორც განკარგვადი შემოსავლის ნაწილი). ეს უკანასკნელი ფაქტორი საფუძვლიანად არის ასახული ჯ. კეინსის მთავარ ნაშრომში (Keynes, 1936), როდესაც კეინსი მოთხოვნის, ეკონომიკის კრიზისიდან გამოჯანმრთელების და შემდგომი ზრდის საფუძვლად მიიჩნევს დანაზოგს.

ინვესტიციებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების როლის შესახებ ეკონომიკაში

ინვესტიცია გულისხმობს იმ ეკონომიკურ (ფინანსურ) რესურსებს, რომლებიც მიმართულია კომპანიის რეალური კაპიტალის გაზრდისკენ, ანუ წარმოების აღჭურვილობის გაფართოების ან მოდერნიზაციისკენ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ახალი მანქანების, შენობების, სატრანსპორტო საშუალებების შეძენით, ასევე გზების, ხიდების და სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობით. აქ აუცილებელია განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ხარჯების ჩართვა. ეს ხარჯები წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალში კუმულაციურ ინვესტიციას და ასევე ზრდის ეკონომიკის საწარმოო ტევადობას.

ინვესტიცია არსებითად არის აქტივი, რომელიც იქმნება ფულის ზრდის მიზნით. პირველი, თუ თქვენ ინვესტირებას განახორციელებთ გასაყიდ აქტივში, შეგიძლიათ შემოსავალი მიიღოთ მოგების სახით. მეორე, თუ ინვესტიციები განხორციელდება შემოსავლის გენერირების გეგმით, მაშინ თქვენ მიიღებთ შემოსავალს მოგების დაგროვების გზით. არსებობს ინვესტიციების რამდენიმე ტიპი: ზრდა, აქციები, ქონება, თავდაცვითი ინვესტიციები, ნაღდი ფული, ფიქსირებული პროცენტი.

ჭარბი ინვესტიცია ანელებს ეკონომიკის ზრდას - კორუფცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მოვლენები, როგორიცაა ჩრდილოვანი ეკონომიკა, წარმოების სიმძლავრის არასაკმარისი გამოყენება, ეკონომიკის გადახურება, საზოგადოების ნდობის დაკარგვა, სოციალური კატასტროფები და ა.შ.

როგორც წესი, სტატისტიკური ეკონომისტები, საინვესტიციო შესაძლებლობების რაოდენობრივი შეფასებისას, იყენებენ ინვესტიციების მოცულობის თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან I/GDP(t) და აქ ყველაფერი ლოგიკურია, რადგან GDP (მშპ) ეკონომიკური მაჩვენებლების ყოვლისმომცველი მაჩვენებელია (მისი ზოგიერთი სუსტი მხარის მიუხედავად, მაგალითად, ცხოვრების ხარისხის გაუთვალისწინებლად, ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკის გათვალისწინებით). ჩანს, რომ აქ აუცილებელია ზემოაღნიშნული ინდიკატორის დამატება სტრუქტურული მიდგომიდან. ზოგადად, სტრუქტურული დონეების მეთოდის (როგორც შემეცნების ეპისტემოლოგიური ინსტრუმენტის) გამოყენება ეკონომიკის ანალიზში ამდიდრებს ეკონომიკური მეცნიერების ინსტრუმენტებს.

ჩვენ გთავაზობთ ქვეყნის ინვესტიციების ინტენსივობის გამოსათვლელ ფორმულას ქვეყნის ეკონომიკის (როგორც განვითარებული, ასევე საშუალოდ განვითარებული,

განვითარებადი და გარდამავალი) ინვესტიციების ინტენსივობის ვექტორული გაანგარიშებით:

I (ინვესტიციების ინტენსივობა) (t) = X (I/მიწა(t) + I/კაპიტალი(t) + I/მუშახელი) (t), სადაც I არის შიდა და გარე ინვესტიციების მოცულობა, X არის გარკვეული ქვეყანა; L არის მიწის რესურსების ტერიტორია; C არის კაპიტალი; L არის მუშახელი; (t) არის დროის მონაკვეთი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ საუკუნეში (2001-2020 წ.წ.) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მთლიანი ღირებულების მხოლოდ 1/3-ს (33,1%) შეადგენდა, ხოლო ადგილობრივი ინვესტიციების წილი - 2/3-ზე მეტს (66,9%). საქართველოს ეროვნული სიმდიდრის გაფართოებული კომპონენტების (მიწა, ჰიდრომინერალური რესურსებისა და ტყეების გათვალისწინებით, ეროვნული ქონება და ადამიანური კაპიტალი - ფინანსური კაპიტალის გამოკლებით) საერთო ღირებულება ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის შუა პერიოდში დაახლოებით 410 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, მათ შორის მიწა - 90 მილიარდი აშშ დოლარი; ეროვნული ქონების ელემენტები - 200 მილიარდი აშშ დოლარი და ადამიანური კაპიტალი - 120 მილიარდი აშშ დოლარი. ამის გათვალისწინებით, მიწის საინვესტიციო მოცულობა 4,0% იყო, ეროვნული ქონების - 10,0%, ხოლო სამუშაო ძალის (ადამიანური კაპიტალის) – 18,8%. ზოგადად, ქვეყნის საინვესტიციო ტევადობა იყო:

I (საინვესტიციო ტევადობა) (2001-2020) = 0.22*4.0% + 0.488*10.0% + 0.292*18.8% = 11.3%

სტატისტიკური ეკონომისტები, როგორც წესი, ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს ითვლიან, როგორიცაა I/GDP-ს თანაფარდობა, მაგრამ ის აჩვენებს ინვესტიციების მასშტაბებს ეკონომიკაში მთლიანობაში (რაც ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკის თვალსაზრისით) და არა ფაქტორულად. მეოცე საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში (2001-2020 წ.წ.) საქართველოს მშპ-ს საინვესტიციო ტევადობა საშუალოდ 8,9% იყო. ამავდროულად, მას მაქსიმალური მნიშვნელობა 2007 წელს ჰქონდა (17,3%); 2001 წელს მისი დონე 3,4%-ს არ აღემატებოდა, ხოლო 2020 წელს, პანდემიის და გლობალური მასშტაბით ბიზნეს აქტივობის შემცირების გამო, მხოლოდ 3.9% შეადგენდა - თითქმის 2-ჯერ ნაკლები წინა წელთან შედარებით (2019 წელი 3,9%). (გამოთვლები ჩაატარა ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ არჩვაძემ).

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა უნდა იყოს ქვეყნების ოპტიმალური საინვესტიციო ტევადობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია და სწორედ ამიტომ: პირველ რიგში, ეკონომიკური პროცესების ერთგვაროვნება და მრავალფეროვნება; მეორეც, სახელმწიფოს ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი და მიმართულება; მესამე, მსოფლიო ეკონომიკაში საბაზრო გარემო.

აქ პირობითად განვიხილავთ წარმოების შესაძლებლობების ფენომენის (და შესაბამისი მრუდის) პრობლემას და სწორედ ამიტომ: ზედა წერტილი ეკონომიკისთვის მიუწვდომელია. მისი მიღწევა შესაძლებელია ინვესტიციების ზრდის პირობებში (როგორც შიდა, ასევე გარე), მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ეკონომიკის გადახურება, ასევე კორუფციის ფენომენები. და აქ ჩნდება კითხვა: რამდენად ადეკვატურია ეკონომიკის შესაძლებლობები (მისი ფუნქციონირების ფაქტორები) ამ პროცესისთვის?

ინვესტიციების ინტენსივობის ინდიკატორი შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საკითხების ანალიზში, თუმცა მას არ აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა, რადგან სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, დაწყებული ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დონიდან საბაზრო პირობებამდე (როგორც შიდა, ასევე გარე). ამ მხრივ მანიშნებელია მშპ-სთან მიმართებაში გამოთვლილი ინვესტიციების ინტენსივობისა და თავად მშპ-ს ზრდის ტემპს შორის კორელაციის ცვალებადობა. ასე, 2001 წლიდან 2020 წლამდე პერიოდისთვის ის (ამ მაჩვენებლებს შორის სხვაობა) მერყეობდა 3.0%-დან (2003 წ.) 10.1%-მდე (2020 წ.).

რის საფუძველზე მიიღება საინვესტიციო გადაწყვეტილებები. ინტუიციაზე დაყრდნობით? ეკონომიკაში ფსიქოლოგიურ ფაქტორზე? ირაციონალურ ქცევაზე? (Акерлоф & Шиллер, 2010) ვფიქრობ, რომ ნაწილობრივ, კი. ბოლოს და ბოლოს, ინვესტირება სუბიექტური ფაქტორის (მთავრობის, კომპანიების, ოჯახების [დანაზოგების გზით]) მოქმედებაა ეკონომიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკაში გამოიყენებოდა ინდიკატორები - კაპიტალის ინტენსივობა, კაპიტალის შემოსავალი, კაპიტალის ინტენსივობა და კაპიტალის შემოსავალი (Economic encyclopedia, 1975). თუმცა, უნდა აღინიშნოს ორი გარემოება: ა) ეკონომიკის საბჭოთა მოდელი გულისხმობდა ერთ ქვეყანას, ე.წ. ერთიან ეროვნულ ეკონომიკურ კომპლექსს (UNEC), როდესაც ძირითადი საშუალებების (კაპიტალის) ფორმირება ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე ხდებოდა; ბ) სახსრების საკუთრება სახელმწიფოებრივი (საერთ სახალხო) იყო. აქ ამ ქონების გამოვლინების ფორმების საკითხს არ შევეხები, რადგან ეს დიდი თემაა და სცილდება ამ სტატიის ფარგლებს, მით უმეტეს, რომ ძალიან ხშირად როგორც ეკონომისტები, ასევე იურისტები ურევენ ერთმანეთში ქონების ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს. ამასობაში, სიმართლე, როგორც ყოველთვის, შუაშია: იურიდიული - რა ვის ეკუთვნის, ეკონომიკური - რა არის მატერიალური შედეგი.

ეკონომიკის გადახურების შესახებ

როდესაც ეკონომიკა გადახურდება, ზოგიერთი მწარმოებელი ვერ ახერხებს მომხმარებლებისთვის საჭირო ყველა საქონლის მიწოდებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების უფრო სწრაფად ზრდა, ვიდრე სხვა შემთხვევაში მოხდებოდა. გადახურებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ოჯახებისა და ფირმების ზედმეტად ოპტიმისტური განწყობა მომავალი შემოსავლის პერსპექტივებთან დაკავშირებით და გამოიწვიოს მათ მიერ ძალიან დიდი ვალის აღება. ეკონომიკის გადახურება რეალურ საფრთხეს უქმნის არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, განვითარებად (გარდამავალ) ეკონომიკებს, ასევე მაღალ სპეციალიზებულ რეგიონებს, როდესაც მშპ-ს ზრდა 8-12 პროცენტია ზედიზედ 2-3 წლის განმავლობაში. საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ თუ ზრდის ტემპი ძალიან მაღალია, ამა თუ იმ მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდება (მაგალითად, ინფლაცია). რთული სიტუაცია შეიძლება შეიქმნას საქართველოსთვის, როდესაც მაღალი ეკონომიკური ზრდა აუცილებელია წინა წლების ჩამორჩენის დასაძლევად, მეორეს მხრივ, ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკის გადახურებას.

ეკონომიკის გადახურება არის სიტუაცია, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპი ხდება ფეთქებადსაშიში და უკონტროლო და, კერძო და საჯარო სექტორის ყველა რესურსის შთანთქმის შემდეგ, ისინი უახლოვდებიან იმ ხაზს, რომლის მიღმაც შემდგომი მდგრადი ზრდა ამოწურავს თავს და დაიწყება რეცესია. ეკონომიკის გადახურებას წინ უძღვის ზრდის ჭარბი დაფინანსება, ზედმეტი დაკრედიტება, სახელმწიფო სახსრების ეკონომიკაში ჭარბი ინვესტირება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საშიშ პროპორციებს იღებს, ინფლაცია, საგარეო სავაჭრო ბალანსის ღირებულება სულ უფრო მეტად გადადის უარყოფით ტერიტორიაზე ან მკვეთრად მცირდება. რეცესიის მოახლოების მომლოდინე ეკონომიკური აგენტები უპირატესობას ანიჭებენ ინვესტირებას ეკონომიკის რეალურ სექტორში - მაგალითად, უძრავ ქონებაში, ვიდრე ფინანსურ ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, აქციები და ა.შ.). ეკონომიკის გადახურების სიმპტომებს შორის, ბევრი ეკონომისტი, ფინანსისტი ხაზს უსვამს ეკონომიკურ სახსრებში (საქონელი და აღჭურვილობა, მომსახურება, კაპიტალი) ზედმეტ ინვესტირებას, რაც გამოწვეულია ნასესხები ფულის დაბალი ფასით (ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთები), ან მაღალი სამომხმარებლო მოთხოვნით, ან საერთაშორისო ბაზრის პირობებით (ფასების პირობები), ან სპეკულაციური ბუმით, რაც გამოწვეულია მთლიანად ეკონომიკაში ან ცალკეულ დარგებში ახალი საინვესტიციო შესაძლებლობებით. ეკონომიკის გადახურებას შეიძლება თან ახლდეს როგორც ინფლაცია, ასევე დეფლაცია (მატერიალური საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდის გამო). როგორც წესი, მას (გადახურებას) თან ახლავს მაღალი (საშუალოზე გაცილებით მაღალი) ეკონომიკური ზრდის ტემპები, სასაქონლო და საფონდო ბაზრების ზრდა, საკრედიტო ფულის ზომიერი ან დაბალი ფასი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის გადახურებას იწვევს სახელმწიფოს მიერ ცენტრალური ბანკის მეშვეობით საკრედიტო ბაზარზე გადაჭარბებული გავლენა. ამ პირობებში სახელმწიფოს მიერ საბაზრო პირობებში მონეტარული პოლიტიკის დაგეგმვა ვერ ასახავს ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს და ტენდენციებს, რაც იწვევს კაპიტალის ზედმეტ ინვესტირებას მეწარმეების მიერ, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ საბანკო საპროცენტო განაკვეთზე და ზედმეტ მოხმარებას ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც ასევე ყურადღებას ამახვილებენ საპროცენტო განაკვეთებზე. და ბოლოს, ეკონომიკის გადახურებას თან სდევს ეკონომიკური რეცესია, უმუშევრობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება. ეს კი ამცირებს ოჯახის შემოსავლის დაზოგილ ნაწილს, რაც თავისთავად ეკონომიკაში ინვესტიციების წყაროს წარმოადგენს.

ეკონომიკის ზრდისა და ინვესტიციების მოცულობის დაბალანსებაზე.ეკონომიკის გადახურებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციების ჭარბი რაოდენობით ზრდას ყველა იმ ნეგატიური შედეგით, რაც ამას მოჰყვება, როგორც ზემოთ აღინიშნა. ბუნებრივია, ეს ხელს უწყობს ეკონომიკის გადახურებას ყველა იმ ნეგატიური შედეგით, რაც ამას მოჰყვება. ამიტომ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული

ეკონომიკაში კორუფციის შესახებ

კორუფცია არის „ქრთამის გამოყენება პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებსა და სხვა თანამდებობის პირებზე გავლენის მოხდენის მიზნით“ (Economic encyclopedia, 1980). კორუფციის ეკონომიკა ეხება საჯარო რესურსების კერძო სარგებლისთვის ბოროტად

გამოყენებას და მის ეკონომიკურ გავლენას საზოგადოებაზე. ეკონომიკა, რომელიც კორუფციის მაღალი დონით არის დაზარალებული, ვერ ახერხებს ისეთივე სრულად აყვავებას, როგორც კორუფციის დაბალი დონით დაავადებული ეკონომიკები. ასევე, კორუმპირებული ეკონომიკა ვერ ახერხებს სათანადო ფუნქციონირებას, რადგან ეკონომიკის ბუნებრივი კანონები თავისუფლად ვერ ფუნქციონირებს. ამის შედეგად, მაგალითად, კორუფცია იწვევს რესურსების არაეფექტურ განაწილებას, განათლებისა და ჯანდაცვის ცუდ დონეს ან ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას, რაც მოიცავს არალეგალურ საქმიანობას, ასევე ლეგალური საქონლისა და მომსახურების წარმოებიდან არაადეკვატურ შემოსავალს, რომლისთვისაც უნდა იყოს გადასახადები, მაგრამ არ გადაიხდება (Mirzayev, 2019).

ინვესტორები ხშირად ეძებენ სამართლიან კონკურენტულ ბიზნეს გარემოს, ამიტომ ისინი ძირითადად თავს არიდებენ ინვესტირებას იმ ქვეყნებში, სადაც კორუფციის მაღალი დონეა. კვლევები აჩვენებს დადებით კავშირს ქვეყანაში კორუფციის დონესა და მისი გარემოს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებს შორის (Lambsdorff, 2007).

კორუფცია წარმოშობს არაეფექტურობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს წარმოების სტატიკურ დონეზე. იმისათვის, რომ კორუფციამ გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, კაპიტალის დაგროვებაზე ან მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობაზე, როგორც პაულო მაუროს 1995 წლის კვლევა აჩვენებს (Mauro, 1995), კაპიტალის დაგროვება, ინვესტიციების სახით, უარყოფით კორელაციაშია კორუფციასთან, განსაკუთრებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან (Wei, 2000).

კორუფცია გლობალური ფენომენია, რომელიც იწვევს სიღარიბეს, ხელს უშლის განვითარებას და აფერხებს ინვესტიციებს. ის ასევე ასუსტებს სასამართლო და პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც საზოგადოებრივი სიკეთისთვის უნდა მუშაობდნენ. გასაკვირი არ არის, რომ კანონის უზენაესობის შესუსტების და ხალხის ხმის გაუგონარობის გამო, მოქალაქეების ნდობა მთავრობის წარმომადგენლებისა და ეროვნული ინსტიტუტების მიმართ მცირდება.

საზოგადოებაში კორუფციის პრობლემა მრავალშრიანი, მრავალდონიანია (სექტორული და ტერიტორიული დონეები). ჩვენს სტატიაში ჩვენ ვაანალიზებთ ეკონომიკაში წარმოშობილ კორუფციას (მათ შორის გადასახადების გადაუხდელობას) (Shevardnadze et al., 2000), კერძოდ, კორუფციას, რომელიც გამოწვეულია ინვესტიციების დიდი მოცულობის (ტევადობის) შემოდინებით. თუმცა, არსებობს კორუფციის სხვა დონეებიც - სხვადასხვა ორგანიზაციებში (მაგალითად, საბანკო სექტორში) და ა.შ.

კორუფციის დონის (მისი აღქმის) მიხედვით, საქართველო 145 ქვეყანას შორის 45-ე ადგილზეა. სიტყვა „აღქმა“ გულისხმობს გამოკითხული სუბიექტების სუბიექტურ აზრს (ეს ძალიან პირობითია). ამავდროულად, რა თქმა უნდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები მკაფიოდ განსაზღვრავს ამ ფენომენის კონკრეტული ფაქტებისთვის სასჯელის დონეს და, რა თქმა უნდა, ყველაფერს სასამართლო წყვეტს.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ

ცნობილია, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ხელისუფლების ქმედებებს ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნების განსახორციელებლად.

ამავდროულად, შეიძლება იყოს გარკვეული განსხვავება ამ კანონების არსსა და გამოვლინების ფორმას შორის. ეკონომიკური პოლიტიკა ასევე პრიორიტეტებისა და არჩევანის საკითხია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური პრობლემები მოითხოვს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს (მაგალითად, ინვესტიციები ინვესტორის თვალსაზრისით, ეს ერთია და მთავრობის თვალსაზრისით, ეს სხვაა. და ამ კონტექსტში საინვესტიციო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო პოლიტიკის ორგანული ნაწილი, განსაკუთრებულ როლს იძენს.

საინვესტიციო პოლიტიკა, ამერიკელი პროფესორის უილიამ შარპის (ნობელის პრემიის 1990 წლის ლაურეატი) მიხედვით, ინვესტიციის პროცესის განუყოფელი ნაწილია, მათ შორის ინვესტორის მიზნების განსაზღვრა, მისი პრეფერენციები მოსალოდნელ შემოსავალსა და რისკს შორის (Шарп et al., 2016). საინვესტიციო პოლიტიკის ელემენტებია აქტივების სახეები, რომლებშიც ინვესტორი ახორციელებს ინვესტიციას; საინვესტიციო პორტფელის მართვის აქტივობის ხარისხი; არჩევანი, როგორც ინვესტიციის მიზანი - შემოსავლის გამომუშავება ან აქტივების ღირებულების ზრდა (Ibid).

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა (მაკრო დონე) არის ურთიერთდაკავშირებული მიზნებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რათა უზრუნველყოს ინვესტიციების აუცილებელი დონე და სტრუქტურა ქვეყნის ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში და მრეწველობაში, ეკონომიკის ყველა ძირითადი აგენტის საინვესტიციო აქტივობის გაზრდა: მოსახლეობის, მეწარმეების და ა.შ. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინვესტიციების მოზიდვაზე ეკონომიკის ინოვაციურ დარგებში და მის ფარგლებს გარეთ (მეცნიერება, ბიოტექნოლოგია, არქიტექტურა, კომპიუტერები, ავტომობილები, გარე სამყაროსთან ურთიერთქმედება, ეკოლოგია, მედიცინა, რობოტექნიკა).

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკა (მიკრო დონე) საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური სტრატეგიის ნაწილია. იგი მოიცავს მისი რეალური და ფინანსური ინვესტიციების ყველაზე ეფექტური ფორმების შერჩევასა და განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი განვითარების მაღალი ტემპები და საბაზრო ღირებულების მუდმივი ზრდა. ინვესტიციებმა ხელი უნდა შეუწყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა მოიპოვოს საკუთარი ნიშა როგორც საგარეო, ასევე შიდა ბაზარზე და ამისათვის აუცილებელია მინიმუმ სამი პირობის დაკმაყოფილება: ა) პროდუქციის მოცულობა; ბ) პროდუქციის ხარისხი; გ) წარმოების ერთეულის ფასი. პროდუქციის მოცულობის ზრდა შესაძლებელია დამატებითი ინვესტიციების ჩართვით (ძირითადი კაპიტალი, ინვესტიციები, ადამიანური კაპიტალი); პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება დამოკიდებულია კონკურენციაზე ბაზარზე (პროტექციონისტული პოლიტიკის უარყოფა); ფასები, თავის მხრივ, დამოკიდებულია პირველ ორ ფაქტორზე - რაც უფრო დიდია გამოშვების მოცულობა, მით უფრო დაბალია თითოეული შემდგომი გამოშვების ღირებულება (მასშტაბის ეფექტი) და, შესაბამისად, ფასი, რომელიც განსაზღვრავს მოგებას (მიკრო დონეზე). რაც შეეხება მაკრო ასპექტს, ის საბოლოოდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის, როგორც მთელის, ეფექტურობაზე. როგორც ცნობილია, ბაზრის ფუნდამენტური გაურკვევლობა (რაც ბაზრის ჩავარდნებს იწვევს) განსაზღვრავს მთავრობის მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერების აუცილებლობას სხვადასხვა ინსტრუმენტის (პირველ რიგში, საგადასახადო პოლიტიკის) გამოყენებით. რაც შეეხება ეკონომიკურ

პოლიტიკას, რომელიც უნდა განხორციელდეს ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის მიზნით, შეგვიძლია ვისაუბროთ გარკვეულ **დივესტმენტზე - ინვესტიციის საპირისპიროზე.** დივესტმენტი (ინგლ. divestment, divestiture) კაპიტალდაბანდებების გატანა, აქტივების ნაწილის ან მთელი კომპანიის გაყიდვაა. დივესტმენტის შემთხვევაში, აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, აღემატება მათი შემდგომი ოპერაციით მიღებულ მომავალ ფულად ნაკადებს (ცნობილი მაგალითია ფინური Nokia ჯგუფი, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში გაყიდა არასატელეკომუნიკაციო განყოფილებები. ეს, როგორც წესი, გამოიყენება ფირმების, კომპანიების დონეზე, ანუ მიკროეკონომიკის დონეზე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაკროეკონომიკის დონეზე, ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორ? სახელმწიფოს მიერ გატარებული იგივე საგადასახადო პოლიტიკით: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის უზრუნველყოფა იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ინვესტირებას განახორციელებენ იმ დარგებში, რომელთა განვითარებითაც დაინტერესებულია სახელმწიფო. შეგიძლიათ შემედავოთ: მხოლოდ ერთი აბზაცით ზემოთ, მე მოვუწოდე პროტექციონისტული ზომების უარყოფისკენ პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში გვაქვს განსაკუთრებული გარემოება - როდესაც სახელმწიფო დაინტერესებულია ოპტიმალური ინვესტიციების მოზიდვით და არა მაქსიმალურით და, შესაბამისად, აქ გამონაკლისის დაშვება შეიძლება (გაიხსენეთ ცნობილი აფორიზმი „არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე“ - ყველა წესს აქვს თავისი გამონაკლისი - გამონათქვამი რომაელი სტოიკოსი ფილოსოფოსის სენეკას სიტყვებიდან).

დასკვნის ნაცვლად

ამ მოკლე სტატიის დაწერის იდეა შედარებით ცოტა ხნის წინ გაჩნდა, ინვესტიციების მაქსიმალური ოდენობის გაზრდის მნიშვნელობის გამო, როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკონომიკური მეცნიერების მხრიდან (მას-მედიის წარმომადგენლებიც არ დარჩენილან განზე). ამასობაში, მთავარ პრობლემას ვხედავთ არა მაქსიმალური, არამედ ოპტიმალური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს ეკონომიკის შესაბამის სექტორებში, ინოვაციური მიდგომის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სტატიაში შემოთავაზებულია საინვესტიციო შესაძლებლობების ინდიკატორი, რომელიც, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას.

სტატიის დანართში მოცემულია დიაგრამები, რომლებიც ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) დინამიკას საქართველოს ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Black, J. (1997). A dictionary of economics. Oxford University Press.

Keynes, J. M. (1936). *The general theory of employment, interest and money*. Harcourt, Brace and Company.

Lambsdorff, J. G. (2007). *The institutional economics of corruption and reform: Theory, evidence, and policy*. Cambridge University Press.

Mauro, P. (1995). Corruption and growth. *The Quarterly Journal of Economics, 110*(3), 681–712. https://doi.org/10.2307/2946696

Mirzayev, E. (2019, May 19). How corruption affects emerging economies. *Investopedia*. https://www.investopedia.com/articles/investing/012215/how-corruption-affects-emerging-economies.asp *(Retrieved March 21, 2020. "Ibid." indicates the same source.)*

Shevardnadze, K., Chechelashvili, R., Chocheli, V., & Khaduri, N. (2000). Papava indexes of tax corruption. Company Imperial Ltd.

Wei, S.-J. (2000). How taxing is corruption on international investors? *The Review of Economics and Statistics, 82*(1), 1–11. https://doi.org/10.1162/003465300558533

Акерлоф, Дж., & Шиллер, Р. (2010). *Spiritus animalis, или Как человеческая психология управляет экономикой и почему это важно для мирового капитализма* [Animal spirits: How human psychology drives the economy, and why it matters for global capitalism]. Альпина Бизнес Букс.

Папава, В. (1993). *Государство, рынок и экономика* [State, market and the economy] (Препринт). Академия наук Грузии, Институт экономики им. П. Гугушвили.

Шарп, У. Ф., Александер, Г. Дж., & Бейли, Дж. В. (2016). *Инвестиции* [Investments]. ИНФРА-М.

Экономическая энциклопедия. Политическая экономия [Economic encyclopedia. Political economy]. (1975). Том 2 (с. 118–119).

Экономическая энциклопедия. Политическая экономия [Economic encyclopedia. Political economy]. (1980). Том 4 (с. 314–316).

Economy functioning factors and investment capacity (The Case of Georgia)

Teimuraz Beridze
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Teimuraz.beride@tsu.ge

Summary

The article discusses the factors of the functioning of the economy - land, capital, labour. Particular attention is paid to the issues of investment in these factors and their capacity. The idea of measuring the investment intensity of the country's economy is proposed – in qualitative and quantitative terms. In the first case, we are talking about the content of investments in industry, agriculture, construction, financial services, non-manufacturing, etc., in the second case, about the volume of these investments. The hypothesis is put forward that excessive investment in the country's economy can cause the economy to overheat, as well as contribute to the emergence of corruption in society and the economy, which slows down its economic growth. The so-called "production possibilities curve" can conditionally act as a limiter of excessive investments in the economy. The upper point located outside the curve of production capabilities (inaccessibility) can be conditionally considered a point indicating the inexpediency of excessive investment.

Keywords: Investment; factors of the functioning of the economy; investment capacity; curve of production capabilities; overheating of the economy; corruption; investment policy.

„ახალი კურსის“ პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ კონკურენციაზე

დავით ბასიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
dbasiashvili@gcca.gov.ge

სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
slavafetelava65@gmail.com

ანოტაცია. *ტატიაში მიმოხილულია ფინანსური რყევებისა და ეკონომიკური ვარდნის გამომწვევი მიზეზები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით აშშ-ში. წარმოჩენილია ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მიმართულებით აშშ-ს პრეზიდენტის ფ.დ. რუზველტის ხელმძღვანელობით ამერიკის მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა. კერძოდ, დიდი დეპრესიის დამანგრეველი შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად - ე.წ. ,,ახალი პოლიტიკის“ ფარგლებში შემუშავებული ფედერალური პროგრამები და რეგულაციების სისტემა, სადაც წარმოჩენილია რეცესიის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და კრიზისული სიტუაციის დაძლევის პროცესში განხორციელებული აქტივობების დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, ნამსჯელია ანტიდეფლაციურ პროგრამაზე, ეროვნული ინდუსტრიის აღდგენის აქტზე, ,,სამართლიანი კონკურენციის კოდექსის“ არსზე, საბანკო და ფასიანი ქაღალდების რეგულირების საკითხებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით გაწეულ აქტივობებზე. ასევე, საგადასახადო სისტემისა (,,სიმდიდრის გადასახადის აქტი“ და ,,გაუნაწილებელი მოგების გადასახადი“) და სოციალური უზრუნველყოფისა და შრომითი ურთიერთობების დარეგულირების საკითხებზე. საბოლოოდ კეთდება დასკვნა, რომ აშშ-ს პრეზიდენტ რუზველტის მიერ ახალი ეკონომიკური კურსის ფარგლებში მიღებულმა რეგულაციებმა, მთელი სიცხადით წამოაყენა და გაამაფრა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების - კონკურენციის დაცვის აუცილებლობა, რასაც თავის მხრივ, ახალი სული ჩაბერა ნობელის პრემიის ლაურეატის - ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკის[1] 1944 წელს გამოსულმა ნაშრომმა - „გზა ბატონყმობისაკენ“.*

საკვანძო სიტყვები: *დეპრესია, ,,ახალი კურსი“, კრიზისი, დეფლაცია, კონკურენცია, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ფასები, რეგულირება, ეკონომიკური ვარდა.*

ეკონომიკურმა, სამართლებრივმა და სოციალურმა წინაპირობებმა და პოლიტიკურმა ლანდშაპტმა, რომელსაც ადგილი ქონდა აშშ-ში დიდი კრიზისისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, დიდად განაპირობა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში.

მოთხოვნის შემცირებამ, ფინანსურმა რყევებმა და მისი მართვის არცთუ სწორმა პოლიტიკამ გამოიწვია წარმოების ვარდნა. დეპრესიამ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. თუმცა, ეკონომიკური ვარდნის თარიღები და მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, იმის მიუხედავად, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად ებრძოდა რეცესიას, მძიმე დეპრესიაში მხოლოდ 30-იანი წლების დამდეგს ჩავარდა. საფრანგეთის ეკონომიკასაც ჰქონდა ვარდნა გასული საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში, რამაც სამრეწველო წარმოების დონის დაცემა და და ფასები მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია. ბრიტანეთის მსგავსად, გერმანიაშიც ეკონომიკის ვარდნის პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1928 წლის დასაწყისში, რასაც იმავე წლის ბოლოდან მოჰყვა გარკვეული სტაბილიზაციის პერიოდი, თუმცა, 1929 წლის მესამე კვარტილიდან ეს პროცესი ისევ შემცირებისკენ წავიდა. ზოგადად, გერმანიაში სამრეწველო წარმოების კლება დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც შეერთებულ შტატებში. რაც შეეხება, ლათინური ამერიკის ქვეყნებს, მათი უმრავლესობა დეპრესიაში ჩავარდა მანამ სანამ აშშ-ში მოხდებოდა წარმოების შემცირება. ამასთან, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მძიმე დეპრესიას, ხოლო რიგ ქვეყნებში, მაგალითად - არგენტინასა და ბრაზილიაში, შედარებით მსუბუქ ეკონომიკურ ვარდნას. ასევე, იაპონიამაც განიცადა მსუბუქი დეპრესია, რომელიც შედარებით გვიან დაიწყო და შედარებით ადრე დასრულდა.[2]

ცხადია, კრიზისის დასაძლევად ქვეყნები იყენებდნენ გასხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. შესაბამისად, ჩვენს მიერ აქ მოკლედ იქნება წარმოჩენილი ის პოლიტიკა, რაც კრიზისი დაძლევის ფარგლებში იქნა გაატარებული ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ. კერძოდ, მიმოვიხილავთ - აშშ-ს პრეზიდენტის ფ. დ. რუზველტის მიერ შემუშავებულ ე.წ. „ახალი კურსის“ პოლიტიკას, რაც წარმოადგენდა ფედერალური პროგრამების, რეფორმებისა და რეგულაციების სერიას და მიმართული იყო 1933-1939 წლებში დიდი დეპრესიის დამანგრეველი შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუზველტის მიერ დიდი კრიზისის დროს გატარებული რეგულაციები აღქმული იყო როგორც სოციალიზმისკენ მიმავალი ტენდენციები და მან ხილული გახადა თავისუფალი ბაზრის და ინდივიდუალური პრინციპების დაცვის აუცილებლობა, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე დასავლეთ ევროპაში.

რამდენადაც, 1929-1933 წლებში ამერიკის ინდუსტრია მოიცვა დეფლაციურმა პროცესმა, მისი მოწესრიგების ფარგლებში - ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ 1931 წელს წარდგენილ იქნა ანტიდეფლაციური პროგრამა, რომელიც ფასების სტაბილიზაციის მიზნით, ნებას აძლევდა სავაჭრო ორგანიზაციებს ეთანამშრომლათ მთავრობის ხელშეწყობით შექმნილ კარტელებთან, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგეობაში მოდიოდა ანტიმონოპოლიურ კანონდებლობასთან. ადმისტრაციას მიაჩნდა, რომ გადაჭარბებულმა კონკურენციამ და ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია ჭარბწარმოება და ხელფასებისა და ფასების შემცირება, რის გამოც საჭირო იყო მიწოდების შემცირება, წინასწარი დაგეგმვის გზით.

აშშ-ში, 1933-1935 წლებში გატარებულ კურსს, ისტორიკოსები „პირველ ახალ კურსს “ უწოდებდნენ. ის ფოკუსირებული იყო - 1) უმუშევრებისა და ღარიბებისთვის შეღავათების გაცემაზე, 2) ეკონომიკის ნორმალიზაციაზე და 3) ფინანსური სისტემის რეფორმირებაზე. ამასთან, ამ კურსის პოლიტიკის განსახორციელებლად 1933 წელს დაფუძნებულ იქნა -

[2] https://www.britannica.com/event/Great-Depression

ეროვნული აღდგენის ადმინისტრაცია (National Recovery Administration) და შემუშავებულ იქნა (1933 წლის 16 ივნისი), ეროვნული ინდუსტრიის აღდგენის აქტი National Industrial Recovery Act (NIRA), რომლიც ითვალისწინებდა - ერთის მხრივ, პროფკავშირებისთვის მეტი ძალაუფლების მინიჭებას, ხელფასების სტიმულირების საქმეში და მეორეს მხრივ, მავნე კონკურენციის შემცირებას. შესაბამისად, შეჩერებულ იქნა ანტიმონოპოლიური კანონები და კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ ინდუსტრიის მასშტაბით „სამართლიანი კონკურენციის კოდექსები", რათა ეფექტურად დაედგინათ ფასები, ხელფასები, კვოტები და დაეწესებინათ შეზღუდვები სხვა კომპანიების ალიანსებში შესვლაზე. ეს კოდექსები უნდა შემუშავებულიყო მომხმარებლების, კონკურენტებისა და დამსაქმებლების დასაცავად და ყოფილიყო საჯარო მოსმენის საგანი. ამასთან, თანამშრომლებს უნდა ჰქონოდათ ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება და დასაქმების პირობად არ შეიძლებოდა მოეთხოვათ შრომით ორგანიზაციაში გაწევრიანება ან მისგან თავის შეკავება.

ზოგადად, National Recovery Administration (NRA) იყო ერთ-ერთი ყველაზე საკამათო პროგრამა „ახალი საქმის" ფარგლებში, რადგან მისი მოქმედება პირდაპირ უკავშირდებოდა კონკურენციის პრინციპებს და ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას. ცხადია, NRA-ს ხელშეწყობით ინდუსტირების მიერ შექმნილი - ,,სამართლიანი კონკურენციის კოდექსები" ეწინააღმდეგებოდნენ (აჩერებდნენ/აფერხებდნენ) კონკურენციას და ემსახურებოდნენ ეკონომიკის ცენტრალიზებულ რეგულირებას. ეროვნული აღდგენის ადმინისტრაციის მიერ შეიმუშავებული იქნა 557 ძირითადი და 208 დამატებითი კოდექსი, რომლებიც დაახლოებით 22 მილიონ დასაქმებულს შეეხო. კომპანიებს, რომლებიც NRA-ს კოდექსებს იზიარებდნენ, უფლება მიეცათ, გამოეჩინათ „ლურჯი არწივის" ემბლემა, რაც NRA-სთან თანამშრომლობის სიმბოლო იყო. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსები ნაჩქარევად იყო შედგენილი და ასახავდა მსხვილი ბიზნესის ინტერესებს (მომხმარებლისა და მცირე ბიზნესმენის ხარჯზე), მათ მაინც გაუმჯობესეს შრომის პირობები ზოგიერთ ინდუსტრიაში (ასევე ხელი შეუწყვეს პროფკავშირების მოძრაობას).

NRA გაუქმდა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1935 წლის გადაწყვეტილებით, სადაც სასამართლომ ის არაკონსტიტუციურად ცნო (საქმე: Schechter Poultry Corp. v. United States), რადგანაც მიიჩნია, რომ ადმინისტრაცია არღვევდა ძალაუფლების განაწილების პრინციპებს და ზღუდავდა თავისუფალ კონკურენციას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით - ,,1933 წლის 16 ივნისის ეროვნული ინდუსტრიული აღდგენის შესახებ" აქტის მე-3 მუხლით პრეზიდენტზე საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება არაკონსტიტუციურია (გვ. 295 აშშ 529 და შემდგომი)"[3]. თუმცა, ამის მიუხედავად, მისი მრავალი დებულება შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში იქნა შეტანილი და მისი მემკვიდრეობა დღესაც იგრძნობა აშშ-ს შრომის კანონმდებლობასა და ბიზნესის რეგულაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ „პირველმა ახალმა კურსმა" ხელი შეუწყო ეკონომიკის დასტაბილურებას, 1935 წლიდან აქციების ფასები კვლავ დეპრესიამდელ დონემდე იყო მისული, ხოლო უმუშევრობაც ასევე 20 პროცენტს აღემატებოდა. ამის შემდგომ, 1938 წლამდელ პერიოდში - ,,მეორე ახალი კურსის" ფარგლებში შემოღებულ იქნა დამატებითი რეგულაციები და კანონები. ასევე გაძლიერდა არსებული (ეროვნული აღდგენის ადმინისტრაცია (NRA) - რომელმაც ინდუსტრიებს საშუალება მისცა შეექმნათ „სამართლიანი კონკურენციის კოდექსები") და შეიქმნა დამატებით ახალი

[3] A. L. A. Schechter Poultry Corp. v. United States, 295 U.S. 495 (1935)

ადმინისტრირების ორგანოები. კერძოდ, 1) სამუშაოთა პროგრესის ადმინისტრაცია (WPA) - რომელიც ორიენტირებული იყო სამუშაო ადგილების შექმნასა და ხანდაზმულების, მუშებისა და ღარიბების პირობების გაუმჯობესებაზე და 2) ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია (SEC), რომელიც იცავდა ინვესტორებს საფონდო ბირჟის ბოროტად გამოყენებისგან.

ცხადია, 1929 წლის დიდი დეპრესიის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო უოლ-სტრიტის კრახი, რაც უკავშირდებოდა იმას, რომ - ფასიანი ქაღალდები ფედერალურ დონეზე არ იყო რეგულირებადი. შესაბამისად, იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ახორციელებდნენ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, ეძლეოდათ სპეკულაციის შესაძლებლობა, რამაც განაპირობა საინვესტიციო და საბანკო სექტორში მნიშვნელოვანი დანაკარგები, რასაც მოჰყვა ბანკების გაკოტრება და ბაზრიდან გაძევება. სწორედ, ამ კრიზის დასაძლევად, ,,ახალი კურსის" პირველი ეტაპის რეფორმები მიმართულ იყო - ფისკალური, საბანკო და მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე, რომლის ფარგლებში ამ რეფორმების მომხრეებმა, ხაზინის დეპარტამენტის წარმომადგენელ ჰენრი მორგენთაუსთან ერთად გაიზიარეს იმ ეპოქის ეკონომისტების უმეტესობის მოსაზრება დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ, რითაც უარყვეს კეინსიანური არგუმენტი სახელმწიფო ხარჯების, როგორც ეკონომიკის აღდგენის საშუალება.

1933 წელს რუზველტმა კონგრესს წარუდგინა „საგანგებო საბანკო საქმიანობის შესახებ კანონი", რომელიც ითვალისწინებდა საჭიროების შემთხვევაში ფედერალური სესხებით ხაზინის ზედამხედველობის ქვეშ სტაბილური ბანკების ხელახლა გახსნის სისტემას, რასაც ერთი თვის განმავლობაში საბანკო სისტემის სტაბილიზაცია მოყვა (საბანკო სექტორს დაბრუნდა დაგროვილი ვალუტა და ოქრო). კრიზისამდე შტატებში მოქმედება ოქროს სტანდარტი, რომლის თანახმად, დოლარი ოქროში კონვერტირებადი იყო. თავის მხრივ, ოქროს სტანდარტს, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას ფიქსირებული ვალუტის გაცვლითი კურსის ქსელთან აკავშირებდა, გადამწყვეტი როლი ჰქონდა ამ კრიზისის სხვა ქვეყნებზე გადაცემაში. ამდენად, აშშ-ში დიდი დეპრესიიდან გამოსვლა დიდწილად ოქროს სტანდარტის მიტოვებამ და შემდგომმა მონეტარულმა ექსპანსიამ განაპირობა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკურ ვარდნაზე სხვა მრავალმა ფაქტორმაც იმოქმედა.

ამასთან, რადგანაც ფედერალურ სარეზერვო სისიტემის მიერ დეფლაციასთან ბრძოლის მიზნით, ეკონომიკის სტიმულირებისთვის დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამოყენება გამოიწვევდა ოქროს გადინებას, მთავრობამ მიიღო გადაწვეტილება მისი (ოქროს) ექსპორტის აკრძალვის თაობაზე. ყველას, ვისაც ოქროს მონეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰქონდა, ვალდებული იყო, ის აშშ დოლარის არსებულ ფიქსირებულ ფასად გაეცვალა. ხაზინა აღარ იხდიდა ოქროს დოლარებში და ოქრო აღარ ითვლებოდა კერძო და საჯარო კონტრაქტებში ვალების გადახდის კანონიერ საშუალებად. დოლარს თავისუფლად მიმოქცევის უფლება მიეცა სავალუტო ბაზრებზე ოქროს გარანტირებული ფასის გარეშე. 1934 წელს „ოქროს რეზერვის შესახებ" კანონის მიღებით, ოქროს ნომინალური ფასი 20,67 დოლარიდან 35 დოლარამდე შეიცვალა. ამ ზომებმა ფედერალურ რეზერვს საშუალება მისცა, გაეზარდა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა ეკონომიკისთვის საჭირო დონემდე[4]. სწორედ, ამ პრობლემის მოწესრიგების მიზნით, 1933 წელს მიღებულ იქნა -

[4] Meltzer, Allan H. (2004). A History of the Federal Reserve: 1913–1951. pp. 442–446

,,ფასიანი ქაღალდების შესახებ“ ფედერალური კანონი, ხოლო მომდევნო 1934 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო - აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ, რამაც უზრუნველყო ფასიანი ქაღალდების გაყიდვასთან დაკავშირებული კორპორატიული ქმედებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება.

გასული საუკუნის 20-იან წლებში, ინვესტიციების, მექანიზაციისა და სასუქების გამოყენების მოცულობის ზრდამ, ხელი შეუწყო ფერმერული წარმოების დონის ამაღლებას (ზრდას). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჭარბი წარმოების გამო, ფერმერები ამ პერიოდში მძიმე კრიზისმა მოიცვა, რაც დიდმა დეპრესიამ კიდევ უფრო გაამწვავა და 1933 წლის დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო ბაზრები თითქმის კოლაფსის წინაშე აღმოჩნდნენ. ამ პერიოდში, სასასოფლო წარმოების პროდუქციაზე ფასები იმდენად დაბალი იყო, რომ ის არ ყოფნიდა ბაზრებამდე ტრანსპორტირებასაც კი. ამასთან, სოფლის მოსახლეობის უმეტესობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, განსაკუთრებით სამხრეთში, რაც აუცილებელ გამოსწორებას საჭიროებდა. უფრო მეტიც, ეს პრობლემა კარგად ჰქონდა რა გაცნობიერებული აშშ-ს ხელისუფლებას, პრეზიდენტი რუზველტი თვლიდა, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებაში, ფერმერული მეურნეობის ფასების ზრდა მთავარი ინსტრუმენტი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოიწვევდა ქალაქში მცხოვრები მოსახლეობისათვის საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდას. ამ მიზნით, 1933 წელს მიღებულ იქნა ფერმერთა დახმარების აქტი (კანონი ასახავდა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოთხოვნებს), რითაც მთავრობა აკომპენსირებდა ფერმერებს, წარმოების მოცულობის შემცირებისა და ხელოვნური დეფიციტის შექმნის მიზნით, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გაეზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები. ამ კანონმდებლობამ ფერმერების საშუალო შემოსავალი 1937 წლისთვის თითქმის გააორმაგა.

,,ახალი კურსის მეორე ეტაპი“, რომელიც მოიცავდა 1935-1936 წლებს უფრო პროგრესული და საკამათო იყო, ვიდრე 1933–1934 წლების „პირველი ახალი კურსი“. 1935 წლის და შესაძლოა თავად „ახალი კურსის“ ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა ,,სოციალური უზრუნველყოფის აქტი“ (Social Security Act)[5] იყო, რომელიც მოიცავდა სოციალური დახმარებების მუდმივ ფართო სპექტრს - საპენსიო უზრუნველყოფას, უმუშევრების დაზღვევას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა სოციალურ დახმარებებს და ობოლი ბავშვების დახმარებებს.

შრომითი ურთიერთობების დასარეგულირებლად კონგრესის მიერ 1935 წელს მიღებულ იქნა - ,,ეროვნული შრომითი ურთიერთობების შესახებ“ კანონი, რომელიც ზრუნველყოფდა პროფკავშირების მეშვეობით დამქირავებლებთან შრომითი და სახელფასო ურთიერთობის რეგულირებას. ახალი კურსის მეორე ეტაპზე ადგილი ქონდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რომელიც მრავალ ადმინისტრაციულ აქტში იქნა ასახული. ეს განსაკუთრების ეხებოდა კომუნალური მომსახურების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს.

1935 წელს აშშ-ს პრეზიდენტის მოთხოვნით მიღებულ იქნა - „სიმდიდრის გადასახადის აქტი“ (1935 წლის ,,შემოსავლების აქტი“), რომლის მიზანი იყო 5 მილიონ დოლარზე მეტ შემოსავალზე 79%-იან საშემოსავლო გადასახადს დაწესება.[6] ასევე, 1936 წელს შემოღებულ იქნა ,,გაუნაწილებელი მოგების გადასახადი“ - undistributed profits tax (UP),

[5] https://www.ssa.gov/history/35act.htm
[6] Revenue Act of 1935, https://en.wikipedia.org/wiki/Revenue_Act_of_1935

რითაც განისაზღვრა შენარჩუნებული კორპორატიული მოგების დაბეგრვის მექანიზმები. ამ გადასახადის შემოღების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ბიზნესი აეძულებინათ, მოგება დივიდენდებსა და ხელფასებში გაენაწილებინათ, მისი დაზოგვის ან რეინვესტირების ნაცვლად. აქტი საკამათო იყო რუზველტის ადმინისტრაციის შიგნითაც, კერძოდ, შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროშიც, რამეთუ ამ გადასახდის შემოღების მოწინააღმდეგეთა მოსაზრებით, ის (UP გადასახადი) მძიმედ დააწვებოდა და დააზარალებდა მცირე ბიზნეს, რადგანაც მათ კაპიტალის მოზიდვის ნაკლები შესაძლებლობა ქონდათ, მსხვილ ბიზნესთან შედარებით (მოგების გარკვეული პროცენტის ბიზნესში რეინვესტირებისთვის შენარჩუნებით). საბოლოოდ, 1939 წელს ეს კანონი გაუქმებულ იქნა.[7]

,,ახალი კურსის“ მართვის პრინციპები, აშშ-ის ეკონომიკაზე არათუ შეანარჩუნებული იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს, არამედ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რაც განპირობებული იყო სამხედრო შესყიდვებით.

,,ახალ კურსს“, თავიდანვე ჰყავდათ მოწინააღმდეგები რესპუბლიკელების, მდიდარი ამერიკელებისა და კორპორაციების ლიდერების სახით. მათი აზრით, თავისუფალი ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა, რეგულაციები და ფასების კონტროლი ეწინააღმდეგება თავისუფალ სამყაროს, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ინდივიდის და მეწარეობის თავისუფლება. ისინი თვლიდნენ, რომ რეგულაციები, რომლებიც ზღუდავენ ბაზრის თავისუფლებას და ზრდიან სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში, ქმნიან გეგმიური ეკონომიკის საფუძველს. გეგმიური ეკონომიკა საჭიროებს ცენტრალიზებულ ძალაუფლებას, რაც საფრთხეს უქმნის პიროვნულ თავისუფლებას. ცენტრალური დაგეგმვა არის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფილოსოფია, რომელიც პირდაპირ დაპირისპირებაში მოდიოდა თავისუფალი სამყაროს პოლიტიკურ ფილოსოფიასთან - ინდივიდუალიზმთან და ეკონომიკურ თავისუფლებასთან, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს კონკურენცია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს აშშ-ს პრეზიდენტის რუზველტის ახალი ეკონომიკური კურსის ფარგლებში მიღებულმა რეგულაციებმა, მთელი სიცხადით წამოაყენა და გაამძაფრა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების - კონკურენციის დაცვის აუცილებლობა. ამ ყველაფერს კი ახალი სული ჩაბერა ნობელის პრემიის ლაურეატის - ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკის 1944 წელს გამოსულმა ნაშრომმა - „გზა ბატონყმობისაკენ“, სადაც მისი ავტორი ხაზს უსვამს , რომ ,, … *კონკურენციის სასარგებლო ფუნქციონირებისთვის შესაფერისი ჩარჩოს შექმნის ამოცანა ჯერ კიდევ შორს არ წასულა . . . . სახელმწიფოები მისგან სხვა და შეუთავსებელი პრინციპით კონკურენციის ჩანაცვლებას გადაუდგნენ. საკითხი აღარ იყო კონკურენციის ამოქმედება და მისი დამატება, არამედ მისი სრული ჩანაცვლება . . . . . დაგეგმვის თანამედროვე მოძრაობა კონკურენციის წინააღმდეგ მოძრაობაა, ახალი დროშაა, რომლის ქვეშაც კონკურენციის ყველა ძველი მტერი გაერთიანდა და მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი ინტერესი ახლა ცდილობს ამ დროშის ქვეშ აღადგინოს პრივილეგიები, რომლებიც ლიბერალურმა ეპოქამ წაშალა . . . . დაგეგმვის სოციალისტურმა პროპაგანდამ აღადგინა პატივისცემა ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანებს შორის კონკურენციის წინააღმდეგ . . . . ეფექტურად*

[7]Undistributed profits tax, https://en.wikipedia.org/wiki/Undistributed_profits_tax

გააქარწყლა ჯანსაღი ეჭვი, რომელსაც კონკურენციის ჩახშობის ნებისმიერი მცდელობა იწვევდა.[8]

გამოყენებული ლიტერატურა

1) https://www.britannica.com/event/Great-Depression;
2) A. L. A. Schechter Poultry Corp. v. United States, 295 U.S. 495 (1935);
3) Meltzer, Allan H. (2004). A History of the Federal Reserve: 1913–1951. pp. 442–446https://www.ebsco.com/research-starters/history/revenue-acts;
4) https://www.ssa.gov/history/35act.htm;
5) Revenue Act of 1935, https://en.wikipedia.org/wiki/Revenue_Act_of_1935
6) Undistributed profits tax, https://en.wikipedia.org/wiki/Undistributed_profits_tax;
7) F.A. Hayek, The Road to Serfdom, p. 41

The Impact of the "New Deal" Policy on Economic Competition

David Basiashvili
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
dbasiashvili@gcca.gov.ge

Slava Fetelava
Doctor of Economics, Associate Professor
Grigol Robakidze University
slavafetelava65@gmail.com

Summary

The article reviews the causes of financial fluctuations and economic decline in various countries around the world, and especially in the United States. The efforts made by the American government under the leadership of US President F.D. Roosevelt to overcome the economic crisis are presented. In particular, to combat the devastating consequences of the Great Depression - the system of federal programs and regulations developed within the framework of the so-called "New Deal", which presents the positive and negative sides of the activities carried out in the process of eliminating the causes of the recession and overcoming the crisis situation. Accordingly, the anti-deflation program, the National Industry Recovery Act, the essence of the "Fair Competition Code", issues of banking and securities regulation, activities undertaken to solve problems in the field of agricultural production, as well as the tax system ("Wealth Tax Act" and "Undistributed Profits Tax") and issues of social security and labor relations regulation are discussed. Finally, the conclusion is drawn that the regulations adopted by US President Roosevelt as part of the New Economic Policy clearly raised and intensified the need to protect the foundations of a market economy - competition, which, in turn, was breathed new life into by the work of Nobel Prize laureate Friedrich August von Hayek, published in 1944 - "The Road to Serfdom".

Keywords: depression, "New Deal", crisis, deflation, competition, antitrust law, prices, regulation, economic growth.

[8] F.A. Hayek, The Road to Serfdom, ‰. 41

ანტიკორუფციული პოლიტიკა საქართველოში და მისი მოსალოდნელი შედეგები

ლალი ხურცია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lali.khurtsia@tsu.ge

ანოტაცია. *კორუფცია წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფენომენს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ ნდობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის შესახებ ფართო აკადემიური ლიტერატურა არსებობს, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ახსნა სხვადასხვა თეორიულ მიდგომას ეფუძნება. წინამდებარე ნაშრომის მიზანია კორუფციის კვლევის ძირითადი თეორიული მიმართულებების მიმოხილვა და საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის ანალიზისთვის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური და რაციონალური არჩევანის თეორიები, მათ შორის პრინციპალ–აგენტის მოდელი, საჯარო არჩევანის თეორია და ეკონომიკური შეკავების (economic deterrence) მიდგომა, რომლებიც კორუფციას ინდივიდუალური სტიმულებისა და ინსტიტუციური შეზღუდვების ჭრილში განიხილავენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური რენტის ძიების (rent-seeking) კონცეფციას, რომელიც განმარტავს, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური და ადმინისტრაციული გავლენა იქცეს ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალებად. ასევე გაანალიზებულია ინსტიტუციური და სისტემური მიდგომები, რომლებიც კორუფციას უკავშირებენ მმართველობის ხარისხს, სოციალურ ნორმებსა და კოლექტიური ქმედების პრობლემას. ნაშრომი დამატებით განიხილავს სახელმწიფოს მიტაცების (state capture) თეორიასა და კორუფციის პოლიტიკური ეკონომიის მიდგომას, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტების გავლენაზე სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკის ფორმირების პროცესზე. თეორიული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ანტიკორუფციული პოლიტიკა გავლენას ახდენს ინსტიტუციურ ხარისხზე, ხოლო ინსტიტუციური ხარისხი განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს. საქართველოს გამოცდილების განხილვა აჩვენებს, რომ 2003 წლის შემდეგ განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა წვრილმანი კორუფციის შემცირების მიმართულებით, თუმცა მაღალი დონის კორუფციისა და სახელმწიფოს მიტაცების რისკების პრევენცია კვლავ მოითხოვს ძლიერი და დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობას. ნაშრომი ასკვნის, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციულ რეფორმებზე, არამედ კანონის უზენაესობის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური კონკურენციისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე.*

აკვანძო სიტყვები: *კორუფცია, ანტიკორუფციული პოლიტიკა, პრინციპალ–აგენტის მოდელი, რენტის ძიება, ინსტიტუციური ხარისხი, სახელმწიფოს მიტაცება, საქართველო.*

კორუფციის ცნება და თეორიული მრავალფეროვნება

კორუფცია თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებაში განიხილება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ ნდობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის შესახებ ფართო აკადემიური ლიტერატურა არსებობს, ამ ფენომენს ერთიანი და უნივერსალურად მიღებული განსაზღვრება არ გააჩნია. სხვადასხვა კვლევითი ტრადიცია კორუფციას განსხვავებული პერსპექტივებიდან განიხილავს, რაც ასახავს როგორც მისი ბუნების სირთულეს, ასევე იმ ფაქტს, რომ კორუფცია დაკავშირებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებთან.

ყველაზე გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით, კორუფცია წარმოადგენს საჯარო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლის მისაღებად (Rose-Ackerman & Palifka, 2016). მსგავსი მიდგომა ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის მსოფლიო ბანკისა და Transparency International-ის კვლევებში. თუმცა მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთი განმარტება ზედმეტად ვიწროა, რადგან იგი კორუფციას მხოლოდ საჯარო სექტორთან აკავშირებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს კერძო სექტორში არსებულ კორუფციულ პრაქტიკებს (Johnston, 2005).

აკადემიურ ლიტერატურაში კორუფციის ანალიზი ხშირად იყოფა რამდენიმე ძირითად თეორიულ მიმართულებად. პირველი მიმართულება ეფუძნება ეკონომიკურ მიდგომებს, რომლებიც კორუფციას განიხილავს როგორც ინდივიდუალური სტიმულებისა და რაციონალური არჩევანის შედეგს. ამ პერსპექტივაში კორუფცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდებისთვის უფრო მომგებიანი ხდება წესების დარღვევა, ვიდრე მათი დაცვა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით დამახასიათებელია principal–agent მოდელისა და საჯარო არჩევანის თეორიისთვის (Klitgaard, 1988; Persson et al., 2013).

მეორე მიმართულება კორუფციას განიხილავს ინსტიტუციური ეკონომიკის ფარგლებში და ყურადღებას ამახვილებს იმ წესებსა და ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს საზოგადოებაში. ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენლების მიხედვით, კორუფციის დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს ინსტიტუტების ხარისხზე, მათ შორის კანონის უზენაესობაზე, საკუთრების უფლებების დაცვასა და საჯარო ადმინისტრაციის ეფექტიანობაზე (North, 1990; Acemoglu & Robinson, 2012).

მესამე მნიშვნელოვანი მიმართულება არის პოლიტიკური ეკონომიის მიდგომა, რომელიც კორუფციას განიხილავს ძალაუფლების განაწილებისა და ინტერესთა ჯგუფების კონკურენციის კონტექსტში. ამ პერსპექტივის მიხედვით, კორუფცია ხშირად წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების ურთიერთქმედების შედეგს, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები გამოიყენება რესურსების გადანაწილების ინსტრუმენტად (Hellman, Jones & Kaufmann, 2003).

თანამედროვე კვლევები ასევე მიუთითებს, რომ კორუფცია ხშირად იღებს სისტემურ ფორმას, როდესაც იგი ხდება სოციალური ნორმებისა და ინსტიტუციური პრაქტიკების ნაწილი. ასეთ პირობებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვნად რთულდება, რადგან პრობლემა აღარ შემოიფარგლება ინდივიდუალური სამართალდარღვევებით და დაკავშირებულია მთელ ინსტიტუციურ სისტემასთან (Persson, Rothstein & Teorell, 2013).

კორუფციის თეორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომლის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ერთი თეორიული მიდგომის გამოყენებით. ეკონომიკური, ინსტიტუციური და პოლიტიკური ეკონომიის პერსპექტივები ერთმანეთისგან განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდამატებით ხედვებს გვთავაზობს კორუფციის მიზეზებისა და შედეგების შესახებ. სწორედ ამ მრავალფეროვანი თეორიული ჩარჩოს გამოყენება საშუალებას გვაძლევს უკეთ გავაანალიზოთ ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტიანობა და მისი გავლენა ინსტიტუციურ განვითარებაზე.

ეკონომიკური და რაციონალური არჩევანის მიდგომები

კორუფციის ეკონომიკური ანალიზი მნიშვნელოვანწილად ეფუძნება რაციონალური არჩევანის თეორიას, რომლის მიხედვითაც ინდივიდები გადაწყვეტილებებს იღებენ მოსალოდნელი სარგებლისა და ხარჯების შედარების საფუძველზე. ამ მიდგომის ფარგლებში კორუფცია განიხილება არა მხოლოდ მორალური გადახრის ან ინსტიტუციური დეფექტის შედეგად, არამედ როგორც ქცევის ფორმა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდებისთვის წესების დარღვევა უფრო მომგებიანი ხდება, ვიდრე მათი დაცვა. სწორედ ამ პერსპექტივიდან დაიწყო კორუფციის ეკონომიკური კვლევა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

რაციონალური არჩევანის ეკონომიკური მოდელის ერთ-ერთი საფუძველი უკავშირდება Gary Becker-ის დანაშაულის ეკონომიკურ ანალიზს. Becker (1968) ამტკიცებდა, რომ ინდივიდები დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას იღებენ იმავე ლოგიკით, როგორც ეკონომიკური აგენტები ბაზარზე - ისინი აფასებენ შესაძლო სარგებელსა და მოსალოდნელ ხარჯებს, მათ შორის დასჯის ალბათობასა და სანქციის სიმკაცრეს. ამ მიდგომის მიხედვით, კორუფციული ქცევის გავრცელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მაღალია კორუფციისგან მიღებული სარგებელი და რამდენად დაბალია მისი გამოვლენისა და დასჯის ალბათობა. სწორედ ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად განიხილება ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რომელიც ზრდის კორუფციული ქმედების რისკს და ამცირებს მის ეკონომიკურ მიმზიდველობას.

ეკონომიკური მიდგომის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე საჯარო არჩევანის თეორიამ (Public Choice Theory), რომელიც პოლიტიკური პროცესების ანალიზში ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. საჯარო არჩევანის თეორიის წარმომადგენლები, მათ შორის James Buchanan და Gordon Tullock, ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი პირები - პოლიტიკოსები, ბიუროკრატები და ინტერესთა ჯგუფები - ხშირად მოქმედებენ საკუთარი ინტერესების მაქსიმიზაციის პრინციპით (Buchanan & Tullock, 1962). ამ თვალსაზრისით სახელმწიფო აღარ განიხილება როგორც ნეიტრალური ინსტიტუტი, რომელიც ავტომატურად ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პირიქით, საჯარო სექტორში მოქმედი პირები შეიძლება ცდილობდნენ საკუთარი პოზიციის გამოყენებას პირადი სარგებლის მისაღებად, რაც ზრდის კორუფციული პრაქტიკის გავრცელების ალბათობას.

საჯარო არჩევანის მიდგომა განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ბიუროკრატიული ინსტიტუტების როლზე. საჯარო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ხშირად აქვთ მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილება რესურსების განაწილებასა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაში. როდესაც ასეთი უფლებამოსილება არ არის საკმარისად კონტროლირებადი და გამჭვირვალე, იზრდება იმის ალბათობა, რომ იგი გამოყენებული იქნება პირადი ინტერესების სასარგებლოდ. ამგვარ პირობებში კორუფცია შეიძლება იქცეს ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები ცდილობენ გავლენა მოახდინონ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე.

რაციონალური არჩევანის ეკონომიკური მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დამკვეთი-აგენტის (principal–agent) მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება კორუფციის კვლევაში. ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოება ან სახელმწიფო ინსტიტუტები შეიძლება განვიხილოთ როგორც დამკვეთი (principal), რომელიც გარკვეულ უფლებამოსილებას ანდობს საჯარო მოხელეებს (agents). იდეალურ პირობებში აგენტები უნდა მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ჩნდება სიტუაცია, როდესაც მათ აქვთ ინფორმაციული უპირატესობა და გადაწყვეტილებების მიღების ფართო დისკრეცია. ასეთ პირობებში აგენტებს შეიძლება გაუჩნდეთ მოტივაცია გამოიყენონ საკუთარი პოზიცია პირადი სარგებლის მისაღებად (Shleifer & Vishny, 1993).

დამკვეთი-აგენტის მიდგომა განსაკუთრებით ეფექტიანია იმ შემთხვევების ანალიზში, როდესაც კორუფცია დაკავშირებულია ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან, როგორიცაა ლიცენზიების გაცემა, სახელმწიფო კონტრაქტების განაწილება ან რეგულაციების განხორციელება. როდესაც კონტროლის მექანიზმები სუსტია და ინფორმაცია ასიმეტრიულია, დამკვეთს - ანუ საზოგადოებას ან სახელმწიფოს - უჭირს სრულად გააკონტროლოს აგენტების ქცევა. სწორედ ასეთ პირობებში ჩნდება კორუფციის რისკი.

ეკონომიკური მიდგომის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა Susan Rose-Ackerman-ის კვლევებმა, რომლებმაც კორუფცია განმარტეს როგორც ერთგვარი ეკონომიკური ბაზარი. Rose-Ackerman-ის მიხედვით, კორუფციული ურთიერთობა ყოველთვის მოიცავს ორ მხარეს: საჯარო მოხელეს, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, და კერძო აქტორს, რომელიც ცდილობს მიიღოს ეკონომიკური უპირატესობა (Rose-Ackerman & Palifka, 2016). ამგვარ გარემოში ქრთამის ოდენობა და კორუფციული გარიგების ფორმა დამოკიდებულია რეგულაციურ გარემოზე, კონკურენციის დონეზე და სამართლებრივი კონტროლის ეფექტიანობაზე.

Rose-Ackerman-ის ეკონომიკური მოდელი ასევე ხაზს უსვამს სახელმწიფო რეგულაციების როლს კორუფციის წარმოშობაში. როდესაც ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ლიცენზიებზე, ნებართვებსა და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე, საჯარო მოხელეებს უჩნდებათ შესაძლებლობა გამოიყენონ ეს უფლებამოსილება პირადი სარგებლის მისაღებად. ასეთ პირობებში კორუფცია ხშირად იქცევა ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ ნაწილად, რომელიც აფერხებს კონკურენციას და ამცირებს რესურსების ეფექტიან განაწილებას.

რაციონალური არჩევანის ეკონომიკური მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სინთეზური ფორმულირება ეკუთვნის Robert Klitgaard-ს, რომელმაც კორუფციის წარმოშობა მარტივი ინსტიტუციური ფორმულით აღწერა (Klitgaard, 1988):

კორუფცია = მონოპოლია + დისკრეციული უფლებამოსილება – ანგარიშვალდებულება

ამ ფორმულის მიხედვით, კორუფცია იზრდება მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეებს აქვთ მონოპოლიური ძალაუფლება რესურსების ან მომსახურების განაწილებაზე, ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გადაწყვეტილებების მიღებაში და ამავე დროს სუსტია ანგარიშვალდებულების მექანიზმები. Klitgaard-ის მოდელი აერთიანებს ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს და გვიჩვენებს, რომ კორუფციის შემცირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შეძლებს შეამციროს მონოპოლია, შეზღუდოს დისკრეცია და გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები.

ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური და რაციონალური არჩევანის მიდგომები კორუფციას განმარტავს როგორც სტიმულების სისტემის შედეგს, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სექტორში მოქმედი ინდივიდების ქცევას. ამ პერსპექტივის მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი სანქციების გამკაცრებას, არამედ ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნას, რომელიც ამცირებს კორუფციული ქმედების ეკონომიკურ სტიმულებს და ზრდის საჯარო გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ეკონომიკური რენტის მოპოვებისკენ მიმართული ქცევა და კორუფციის ეკონომიკური მექანიზმი

ეკონომიკური და რაციონალური არჩევანის მიდგომების განვითარებამ კორუფციის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ე.წ. ეკონომიკური რენტის მოპოვებისკენ მიმართული ქცევის (rent-seeking behaviour) კონცეფციას, რომელიც განმარტავს იმ პროცესს, როდესაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გავლენის გამოყენებით მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორუფციის ეკონომიკური საფუძვლების გასაგებად, რადგან იგი აჩვენებს, როგორ შეიძლება ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები იქცეს რესურსების გადანაწილების მექანიზმად.

ეკონომიკური რენტის ცნება კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში აღნიშნავს შემოსავალს, რომელიც აღემატება ნორმალურ ეკონომიკურ მოგებას და წარმოიქმნება განსაკუთრებული პოზიციის ან მონოპოლიური უპირატესობის შედეგად. თუმცა თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რენტის კონცეფცია უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს და ხშირად უკავშირდება იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება არა პროდუქტიული საქმიანობის შედეგად, არამედ პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ გავლენაზე წვდომის მეშვეობით.

ეკონომიკური რენტის კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა Gordon Tullock-ის კვლევებმა. Tullock (1967) მიუთითებდა, რომ ეკონომიკური აგენტები ხშირად ხარჯავენ მნიშვნელოვან რესურსებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენის მიზნით. მისი აზრით, ასეთი ქცევა იწვევს ეკონომიკური რესურსების არაეფექტიან გამოყენებას, რადგან რესურსები იხარჯება არა ახალი ღირებულების შექმნაზე, არამედ უკვე არსებული სიმდიდრის გადანაწილებაზე.

ეკონომიკური რენტის თეორიის შემდგომ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა Anne Krueger-ის კვლევებს, რომელმაც ეს კონცეფცია ფართოდ გაავრცელა ეკონომიკურ ლიტერატურაში. Krueger (1974) აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო რეგულაციები, ლიცენზიების სისტემა და სხვა ადმინისტრაციული შეზღუდვები ხშირად ქმნის ეკონომიკური რენტის მიღების შესაძლებლობას. როდესაც ეკონომიკური საქმიანობა დამოკიდებულია სახელმწიფო ნებართვებზე ან რეგულაციებზე, კომპანიებსა და ინდივიდებს უჩნდებათ მოტივაცია გამოიყენონ პოლიტიკური გავლენა ან კორუფციული მექანიზმები ამ უპირატესობის მისაღებად.

ამგვარ გარემოში ეკონომიკური აგენტებისთვის შეიძლება უფრო მომგებიანი გახდეს არა პროდუქტიული საქმიანობა, არამედ სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. შედეგად ეკონომიკური სისტემა შეიძლება გადაიქცეს ისეთ სივრცედ, სადაც კონკურენცია მიმდინარეობს არა ინოვაციასა და ეფექტიანობაზე, არამედ პოლიტიკურ წვდომასა და გავლენაზე.

ეკონომიკური რენტის თეორია ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული Mancur Olson-ის კოლექტიური ქმედების თეორიასთან. Olson (1982) ამტკიცებდა, რომ მცირე და ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები ხშირად უფრო ეფექტიანად ახერხებენ პოლიტიკური გავლენის მოპოვებას, ვიდრე ფართო საზოგადოებრივი ჯგუფები. ასეთ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს არა საზოგადოების საერთო ინტერესების საფუძველზე, არამედ ორგანიზებული ელიტების გავლენის შედეგად.

ამ პროცესს ხშირად თან ახლავს კორუფციული პრაქტიკის გავრცელება. როდესაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ პოლიტიკური გავლენის გამოყენებას ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, კორუფცია შეიძლება იქცეს ერთ-ერთ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ხდება რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა. ასეთ პირობებში ქრთამი ან სხვა კორუფციული მექანიზმები შეიძლება იქცეს ერთგვარ „ინვესტიციად“, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური რენტის მიღებას.

ეკონომიკური რენტის კონცეფციის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ასეთი ქცევა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეკონომიკურ განვითარებას. როდესაც კომპანიები და ინტერესთა ჯგუფები დიდ რესურსებს ხარჯავენ პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად, ეს რესურსები აღარ გამოიყენება წარმოების გაფართოებისთვის, ინოვაციების განვითარებისთვის ან ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისთვის. შედეგად მცირდება ეკონომიკური ზრდის პოტენციალი და იზრდება არაეფექტიანი რესურსების განაწილების ალბათობა.

ამასთანავე, ეკონომიკური რენტის პრაქტიკა ხშირად იწვევს ბაზრის კონკურენციის დარღვევას. როდესაც ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია არა პროდუქტიულობაზე, არამედ პოლიტიკურ გავლენაზე, ბაზარზე ჩნდება მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური სტრუქტურები. ასეთ პირობებში მცირე და ახალი კომპანიებისთვის მნიშვნელოვნად რთულდება ბაზარზე შესვლა, რაც ამცირებს ეკონომიკური სისტემის დინამიკურობას და ინოვაციურ პოტენციალს.

Rent-seeking-ის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა არის ის, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნება ეფექტიანი მხოლოდ სამართლებრივი სანქციების გამკაცრებით. აუცილებელია ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რომელიც ამცირებს ეკონომიკური რენტის მიღების შესაძლებლობას. ეს შეიძლება მოიცავდეს რეგულაციების გამარტივებას, კონკურენციის ზრდას, სახელმწიფო გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას და ადმინისტრაციული დისკრეციის შემცირებას.

სისტემური და ინსტიტუციური მიდგომები კორუფციის კვლევაში

კორუფციის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ეფუძნება რაციონალური არჩევანისა და დამკვეთი-აგენტის მოდელებს, მნიშვნელოვან ახსნას გვთავაზობს იმ შემთხვევაში, როდესაც კორუფცია დაკავშირებულია ინდივიდუალური გადაწყვეტილებებისა და სტიმულების სისტემასთან. თუმცა თანამედროვე კვლევებში სულ უფრო ხშირად აღინიშნება, რომ ასეთი მიდგომა ყოველთვის ვერ ხსნის კორუფციის ფართო გავრცელებას იმ საზოგადოებებში, სადაც კორუფცია ხდება სისტემური და ინსტიტუციური პრაქტიკის ნაწილი. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად განვითარდა კორუფციის კვლევის ინსტიტუციური და სისტემური მიდგომები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს მმართველობის ხარისხზე, სოციალური ნორმების როლზე და სახელმწიფო ინსტიტუტების სტრუქტურაზე.

ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ წესებსა და ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ინსტიტუციურ გარემოს. Douglass North-ის მიხედვით, ინსტიტუტები წარმოადგენს „საზოგადოებაში მოქმედ თამაშის წესებს“, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკური და პოლიტიკური აქტორების ქცევას (North, 1990). ამ პერსპექტივიდან კორუფცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტიტუციური წესების დარღვევა ან იმ ინსტიტუციური გარემოს შედეგი, რომელიც ქმნის კორუფციული ქცევის სტიმულებს.

ინსტიტუციური მიდგომის მიხედვით, კორუფციის გავრცელება ხშირად დაკავშირებულია სახელმწიფოს ინსტიტუტების სისუსტესთან. როდესაც სამართლებრივი სისტემა არ არის ეფექტიანი, სახელმწიფო ადმინისტრაცია ხასიათდება დაბალი პროფესიონალიზმით და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გაუმჭვირვალეა, იზრდება იმის ალბათობა, რომ საჯარო რესურსები გამოყენებული იქნება პირადი ან ჯგუფური ინტერესების სასარგებლოდ. ასეთ პირობებში კორუფცია შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ინდივიდუალური გადახრის შედეგად, არამედ ინსტიტუციური სისტემის ნორმალურ ნაწილად.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მმართველობის ხარისხის კონცეფციას, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიასა და განვითარების კვლევებში. მმართველობის მიდგომის მიხედვით, კორუფციის დონე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა კანონის უზენაესობა, საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. როდესაც სახელმწიფო მმართველობის სისტემა უზრუნველყოფს ამ პრინციპების დაცვას, კორუფციის გავრცელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად მცირდება.

მმართველობის თეორია ასევე ხაზს უსვამს სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების მნიშვნელობას. თანამედროვე მმართველობის სისტემაში სახელმწიფო აღარ წარმოადგენს ერთადერთ აქტორს, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ პროცესებს. გადაწყვეტილებების მიღება ხშირად ხდება სხვადასხვა ინსტიტუციური აქტორის თანამშრომლობის შედეგად, რაც ზრდის როგორც გამჭვირვალობას, ასევე საჯარო გადაწყვეტილებების ანგარიშვალდებულებას.

კორუფციის სისტემური ხასიათის ახსნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე კოლექტიური თეორიას, რომელიც კორუფციას განიხილავს როგორც კოლექტიური ქმედების პრობლემას. Persson, Rothstein და Teorell (2013) ამტკიცებენ, რომ ისეთ საზოგადოებებში, სადაც კორუფცია ფართოდ არის გავრცელებული, ინდივიდებისთვის წესების დაცვა შეიძლება აღარ იყოს რაციონალური არჩევანი. თუ მოქალაქეები ელიან, რომ სხვა ადამიანები ასევე გამოიყენებენ კორუფციულ პრაქტიკებს, მათ შეიძლება გაუჩნდეთ მოტივაცია თავადაც იმოქმედონ იგივე წესებით.

ამგვარ გარემოში კორუფცია ხდება თვითგამაძლიერებელი სისტემა. როდესაც კორუფციული ქცევა აღიქმება როგორც სოციალური ნორმა, მისი შემცირება მნიშვნელოვნად რთულდება, რადგან პრობლემა აღარ არის მხოლოდ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შედეგი. სწორედ ამიტომ კოლექტიური მიდგომა მიუთითებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივ სანქციებს, არამედ ინსტიტუციური ნდობის ზრდას და სოციალური ნორმების ცვლილებას.

სისტემური მიდგომები ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ კორუფცია ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარების დონესთან. ქვეყნები, სადაც არსებობს ძლიერი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და ეფექტიანი საჯარო ადმინისტრაცია, როგორც წესი ახერხებენ კორუფციის შედარებით დაბალ დონეზე შენარჩუნებას. პირიქით, სუსტი ინსტიტუტების პირობებში კორუფცია ხშირად ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ნაწილი.

ამ თეორიული პერსპექტივის საფუძველზე შესაძლებელია კორუფციის სისტემური ფორმების უკეთ გაანალიზება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კორუფცია დაკავშირებულია პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების გავლენასთან სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ამ კონტექსტში ვითარდება კორუფციის კვლევის შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებები - სახელმწიფოს მიტაცების თეორია (State Capture) და კორუფციის პოლიტიკური ეკონომიის მიდგომა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების განაწილებასა და ელიტების გავლენაზე სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში.

სახელმწიფოს მიტაცების და კორუფციის პოლიტიკური ეკონომია

კორუფციის კვლევის თანამედროვე ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ მიდგომებს, რომლებიც კორუფციას განიხილავს პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედების კონტექსტში. ასეთ პერსპექტივას ხშირად მოიხსენიებენ როგორც კორუფციის პოლიტიკურ ეკონომიას, რადგან იგი ყურადღებას ამახვილებს იმ პროცესებზე, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტები ცდილობენ გავლენა მოახდინონ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე და რესურსების განაწილებაზე.

პოლიტიკური ეკონომიის მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფოს მიტაცების თეორია (State Capture), რომელიც ცდილობს ახსნას კორუფციის ისეთი ფორმები, რომლებიც სცდება ინდივიდუალური ქრთამის ან ადმინისტრაციული კორუფციის ფარგლებს. სახელმწიფოს მიტაცება გულისხმობს იმ სიტუაციას, როდესაც ძლიერი ეკონომიკური ან პოლიტიკური ჯგუფები ახერხებენ გავლენა მოახდინონ თავად კანონებისა და რეგულაციების ფორმირებაზე, რათა შექმნან მათთვის ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემო (Hellman, Jones & Kaufmann, 2003).

სახელმწიფოს მიტაცების კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კვლევის პროცესში. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კორუფციის პრობლემა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დონეზე. უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა შეიძლება იყოს ის, რომ ეკონომიკური ელიტები ახდენენ გავლენას თავად კანონმდებლობაზე, რეგულაციებსა და

სახელმწიფო პოლიტიკაზე, რაც იწვევს ეკონომიკური რესურსების კონცენტრაციას ვიწრო ჯგუფების ხელში.

State Capture-ის თეორიის მიხედვით, კორუფციის ასეთი ფორმა განსაკუთრებით საშიშია, რადგან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს ინსტიტუციური წესების ჩამოყალიბებაზე. თუ ტრადიციული კორუფცია გულისხმობს უკვე არსებული წესების დარღვევას, სახელმწიფოს მიტაცება ნიშნავს იმას, რომ თავად წესები იქმნება კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების სასარგებლოდ. ასეთ პირობებში სახელმწიფო ინსტიტუტები ნაწილობრივ კარგავს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ფუნქციას და გადაიქცევა რესურსების გადანაწილების ინსტრუმენტად.

სახელმწიფოს მიტაცების კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კორუფციის პოლიტიკური ეკონომიის ფართო ანალიზთან. პოლიტიკური ეკონომიის მიდგომის მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად ყალიბდება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის კონკურენციის შედეგად. პოლიტიკოსები, ბიზნესელიტები და სხვა გავლენიანი აქტორები ცდილობენ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, რათა უზრუნველყონ საკუთარი ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესების დაცვა.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციამ. როდესაც პოლიტიკური სისტემა ხასიათდება დაბალი კონკურენციით და სუსტი ანგარიშვალდებულებით, იზრდება იმის ალბათობა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები გამოყენებული იქნება ვიწრო ინტერესთა ჯგუფების სასარგებლოდ. ასეთ გარემოში კორუფცია შეიძლება გადაიქცეს სისტემურ პრაქტიკად, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალაუფლების განაწილების სტრუქტურასთან.

პოლიტიკური ეკონომიის ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც თავად პოლიტიკურ ელიტებს აქვთ ინტერესი არსებული სისტემის შენარჩუნებაში. თუ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირებულია მცირე ჯგუფების ხელში, ანტიკორუფციული რეფორმები შეიძლება შეხვდეს ძლიერ წინააღმდეგობას. სწორედ ამიტომ კორუფციის შემცირება ხშირად მოითხოვს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ რეფორმებს, არამედ უფრო ფართო ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ძალაუფლების ბალანსს და პოლიტიკური კონკურენციის გაძლიერებას.

ამგვარად, სახელმწიფოს მიტაცების და კორუფციის პოლიტიკური ეკონომიის მიდგომები კორუფციას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ადმინისტრაციულ პრობლემას, არამედ როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ძალაუფლებისა და რესურსების განაწილებასთან საზოგადოებაში. ამ პერსპექტივიდან კორუფციის შემცირება შეუძლებელია მხოლოდ სამართლებრივი სანქციების გამოყენებით; აუცილებელია ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რომელიც ზღუდავს ეკონომიკური ელიტების გავლენას სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე და უზრუნველყოფს საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებას.

კონცეპტუალური ჩარჩო

წინა ქვეთავებში განხილული თეორიული მიდგომები - ეკონომიკური, ინსტიტუციური და პოლიტიკური ეკონომიის პერსპექტივები - გვიჩვენებს, რომ კორუფციის წარმოშობა და გავრცელება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. კორუფცია არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის დონეზე ან მხოლოდ ინსტიტუციური გარემოს თავისებურებებით. პირიქით, იგი წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს, რომელიც წარმოიქმნება ინდივიდუალური სტიმულების, ინსტიტუციური წესების და პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების ურთიერთქმედების შედეგად.

კორუფციის კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო ეფუძნება შემდეგ ურთიერთკავშირს:

ანტიკორუფციული პოლიტიკა → ინსტიტუციური ხარისხი → ეკონომიკური და სოციალური შედეგები

ამ მოდელის მიხედვით, ანტიკორუფციული პოლიტიკა წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს, რომელიც გავლენას ახდენს ინსტიტუციური ხარისხის დონეზე, ხოლო ინსტიტუციური ხარისხი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს. სწორედ ამ თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ხდება შესაძლებელი კონკრეტული ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი და მისი გავლენის შეფასება ინსტიტუციურ განვითარებასა და ეკონომიკურ პროცესებზე.

საქართველოს კონტექსტი

საქართველოს კონტექსტში ეს ჩარჩო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ანტიკორუფციული რეფორმების შედეგები მხოლოდ კორუფციის შემცირებით არ იზომება. მათი გავლენა უნდა შეფასდეს ინსტიტუციური ხარისხის, ეკონომიკური გარემოსა და საზოგადოებრივი ნდობის ცვლილების მიხედვითაც. თუ ანტიკორუფციული პოლიტიკა ამცირებს ადმინისტრაციულ დისკრეციას, ზრდის გამჭვირვალობას და აძლიერებს ანგარიშვალდებულებას, მოსალოდნელია სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ზრდა. ამავე დროს, უფრო პროგნოზირებადი და სამართლიანი ინსტიტუციური გარემო ხელს უწყობს ინვესტიციებს, კონკურენციას და რესურსების ეფექტიან განაწილებას.

საქართველოს შემთხვევის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა კონტექსტის გათვალისწინებაც. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში კორუფცია ხშირად დაკავშირებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდარღვევებთან, არამედ ადმინისტრაციულ მემკვიდრეობასთან, არაფორმალურ ქსელებთან, პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციასთან და რეფორმების მდგრადობის პრობლემასთან. საბჭოთა და გარდამავალი პერიოდის ადმინისტრაციულმა პრაქტიკებმა ბევრ ქვეყანაში შექმნა ისეთი გარემო, სადაც ფორმალური წესები სუსტად მოქმედებდა, ხოლო პრობლემების გადაწყვეტა ხშირად პირადი კავშირების, არაფორმალური შეთანხმებებისა და პატრონაჟული ურთიერთობების გზით ხდებოდა. ასეთ პირობებში კორუფცია მხოლოდ კანონის დარღვევა კი არ არის, არამედ მმართველობისა და რესურსებზე წვდომის არაფორმალური მექანიზმიც ხდება.

საქართველოს მაგალითი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ქვეყანამ 2003 წლის შემდეგ შეძლო მცირე ადმინისტრაციული კორუფციის მკვეთრი შემცირება, თუმცა მაღალი დონის კორუფციისა და პოლიტიკური გავლენის რისკები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა. ერთ-ერთი ძლიერი მაგალითია საპატრულო პოლიციის რეფორმა. ვარდების რევოლუციამდე საგზაო პოლიცია ფართოდ ასოცირდებოდა ყოველდღიურ ქრთამთან და მოქალაქეებთან არაფორმალურ გარიგებებთან. 2004 წლის შემდეგ ძველი საგზაო პოლიციის დაშლა, ახალი კადრების მიღება, ხელფასების ზრდა, ტექნოლოგიების გამოყენება და მომსახურების გამარტივება იქცა იმ რეფორმად, რომელმაც წვრილმანი კორუფციის (petty corruption) შემცირება თვალსაჩინო გახადა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოს ანტიკორუფციული გამოცდილება სწორედ იმით იყო გამორჩეული, რომ რეფორმამ შეცვალა არა მხოლოდ წესები, არამედ მოქალაქეთა მოლოდინიც საჯარო სერვისების მიმართ.

თუმცა მეორე მაგალითი აჩვენებს, რომ წვრილმანი კორუფცის (petty corruption) შემცირება ავტომატურად არ ნიშნავს სისტემური ან მაღალი დონის კორუფციის გაქრობას. შემდგომ წლებში ქართულ ანტიკორუფციულ დისკურსში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო შესყიდვებს, პარტიულ დაფინანსებას, ბიზნესისა და პოლიტიკური ძალაუფლების კავშირებს, ასევე სასამართლოსა და ზედამხედველობის ინსტიტუტების დამოუკიდებლობის საკითხს. სხვა და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციები არაერთ ანგარიშში მიუთითებდნენ მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევებზე, რომელთა გამოძიება ან სამართლებრივი რეაგირება არასაკმარისად მიიჩნეოდა. ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის მდგრადობა

დამოკიდებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული სერვისების გაუმჯობესებაზე, არამედ იმაზე, რამდენად არის შეზღუდული პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია და რამდენად დამოუკიდებლად მოქმედებენ სასამართლო, საგამოძიებო, აუდიტისა და ზედამხედველობის ინსტიტუტები.

ამგვარად, საქართველოს გამოცდილება ორმაგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ერთი მხრივ, ძლიერი პოლიტიკური ნება, ადმინისტრაციული გამარტივება, ტექნოლოგიური რეფორმები და საჯარო სერვისების მოდერნიზაცია შეიძლება ეფექტიანი იყოს ყოველდღიური კორუფციის შესამცირებლად. მეორე მხრივ, სისტემური კორუფციის, სახელმწიფოს მიტაცებისა (state capture) და მაღალი დონის პოლიტიკური კორუფციის პრევენცია მოითხოვს უფრო ღრმა ინსტიტუციურ გარანტიებს: დამოუკიდებელ სასამართლოს, რეალურ საპარლამენტო ზედამხედველობას, თავისუფალ მედიას, კონკურენტულ პოლიტიკურ გარემოს და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას. სწორედ ამიტომ საქართველოს შემთხვევაში ანტიკორუფციული პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ქრთამის შემთხვევების შემცირებით, არამედ ინსტიტუციური ძალაუფლების დაბალანსებითა და რეფორმების მდგრადობითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

Acemoglu, D., & Robinson, J. A. (2012). Why nations fail: The origins of power, prosperity, and poverty. Crown Business.

Becker, G. S. (1968). Crime and punishment: An economic approach. Journal of Political Economy, 76(2), 169–217. https://doi.org/10.1086/259394

Buchanan, J. M., & Tullock, G. (1962). The calculus of consent: Logical foundations of constitutional democracy. University of Michigan Press.

Hellman, J. S., Jones, G., & Kaufmann, D. (2003). Seize the state, seize the day: State capture and influence in transition economies. Journal of Comparative Economics, 31(4), 751–773. https://doi.org/10.1016/j.jce.2003.09.006

Kaufmann, D. (2005). Myths and realities of governance and corruption. In A. Lopez-Claros, M. E. Porter, & K. Schwab (Eds.), The global competitiveness report 2005–2006: Policies underpinning rising prosperity (pp. 81–98). Palgrave Macmillan.

Klitgaard, R. (1988). Controlling corruption. University of California Press.

Krueger, A. O. (1974). The political economy of the rent-seeking society. The American Economic Review, 64(3), 291–303.

North, D. C. (1990). Institutions, institutional change and economic performance. Cambridge University Press.

Olson, M. (1982). The rise and decline of nations: Economic growth, stagflation, and social rigidities. Yale University Press.

Persson, A., Rothstein, B., & Teorell, J. (2013). Why anticorruption reforms fail: Systemic corruption as a collective action problem. Governance, 26(3), 449–471. https://doi.org/10.1111/j.1468-0491.2012.01604.x

Rose-Ackerman, S., & Palifka, B. J. (2016). Corruption and government: Causes, consequences, and reform (2nd ed.). Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/CBO9781139962933

Shleifer, A., & Vishny, R. W. (1993). Corruption. The Quarterly Journal of Economics, 108(3), 599–617. https://doi.org/10.2307/2118402

Tullock, G. (1967). The welfare costs of tariffs, monopolies, and theft. Western Economic Journal, 5(3), 224–232. https://doi.org/10.1111/j.1465-7295.1967.tb01923.x

Anti-Corruption Policy in Georgia and Its Expected Results

Lali Khurtsia
Academic Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
lali.khurtsia@tsu.ge

Summary

Corruption is a multidimensional political, economic, and institutional phenomenon that significantly affects the functioning of state institutions, economic development, and public trust. Despite the extensive academic literature on corruption, its causes and consequences are explained through diverse theoretical perspectives. The purpose of this paper is to review the major theoretical approaches to the study of corruption and to develop a conceptual framework for analyzing anti-corruption policy in Georgia. The paper examines economic and rational choice theories, including the principal–agent model, public choice theory, and the concept of economic deterrence, which interpret corruption through the lens of individual incentives and institutional constraints. Particular attention is devoted to the concept of rent-seeking, which explains how political and administrative influence can be transformed into economic advantage. The study also analyzes institutional and systemic approaches that link corruption to the quality of governance, social norms, and collective action problems. In addition, the paper discusses the theory of state capture and the political economy of corruption, emphasizing the influence of political and economic elites on public institutions and policy-making processes. Based on this theoretical analysis, the paper proposes a conceptual framework in which anti-corruption policy influences institutional quality, while institutional quality, in turn, shapes economic and social outcomes. The case of Georgia demonstrates that the reforms implemented after 2003 achieved substantial success in reducing petty corruption; however, the prevention of high-level corruption and state capture continues to require strong and independent institutions. The paper concludes that the long-term effectiveness of anti-corruption policy depends not only on administrative reforms but also on the strengthening of the rule of law, accountability, political competition, and institutional independence.

Keywords: corruption, anti-corruption policy, principal–agent model, rent-seeking, institutional quality, state capture, Georgia.

საერთაშორისო სანქციების ეფექტი (რეტრო)ეკონომიკაზე

მედეა შაფათავა
დოქტორანტი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
medea.shapatava@tsu.ge

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების გავლენა თანამედროვე ეკონომიკაზე და მათი კავშირი რეტროეკონომიკის წარმოქმნის მექანიზმებთან. ნაშრომის განხილვის საგანი - სანქციები - არა მხოლოდ ეგზოგენური პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის ინსტრუმენტია. ისინი ქმნიან ეკონომიკურ შეზღუდვებს, რომლებიც აფერხებს თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებასა და განვითარებას, ამცირებს ქვეყნების ტექნოლოგიური მოდერნიზაციის შესაძლებლობებს და აძლიერებს ჩამკეტი მექანიზმის ეფექტს. ნაშრომში გაანალიზებულია ადაპტაციის ალტერნატიული მექანიზმები — მიწოდების ჯაჭვების, ახალი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისა და არხების მოძიება, ჩრდილოვანი ეკონომიკის შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანქციონომიკური რეალობის მიზეზით თავისუფალი ბაზრის პრინციპის - Laissez-faire-ის შეზღუდვას და აგრეთვე ეკონომიკური დათქმის - „სხვა თანაბარ პირობებში“ (Ceteris paribus) - დარღვევას. სანქციების გრძელვადიანი ეფექტი ხშირად სცდება თავდაპირველ პოლიტიკურ მიზნებს, აძლიერებს გლობალური ეკონომიკის ფრაგმენტაციას და ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებას განსხვავებულ განზომილებებს სძენს. ამ თვალსაზრისით, სანქციები აფერხებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას და ყალიბდება რეტროეკონომიკის გახანგრძლივების ერთ-ერთ დამატებით გარემოებად.*

საკვანძო სიტყვები: *რეტროეკონომიკა, საერთაშორისო სანქციები, სანქციონომიკა, Laissez-faire, Ceteris paribus, ჩრდილოვანი ეკონომიკა.*

21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიებზე ერთდროულად მიმდინარე საომარი ვითარებებისა და სავაჭრო ომების სინქრონულად გახშირებული ეკონომიკური სანქციები უამრავ პრობლემას და შეკითხვას ჰბადებს. განსხვავებული, გეშტალტური ხედვით, ახალი გარემოებები ცვლის ეკონომიკური მეცნიერების განვითარების პარადიგმას და მოითხოვს ახლებურ გადაწყვეტილებებს. მოცემულ ვითარებაში მაკროეკონომიკაში გაჩნდა პირობითი დასახელება - *სანქციონომიკა,* რომელიც აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ შექმნა ორი ტერმინის კომბინირებით: „სანქციები“ და „ეკონომიკა“ (Papava, 2022). მოცემულ თემაში საუბარი შეეხება სანქციების შეფასებას და მათ ეფექტს რეტროეკონომიკურ გარემოზე. თავად ტერმინი *რეტროეკონომიკა* გულისხმობს „იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიო თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს“ (პაპავა, 2016). ტექნოლოგიური განვითარება არ ხდება სისტემატურად, არამედ არათანაბარია

დროში (Шумпетер, 1995), რაც ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი პირობაა. რეტროეკონომიკის პირობებში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პრობლემა პირდაპირ ბმაშია ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირებასთან და ქვეყნის განვითარების ვექტორებსა და პოტენციალთან. ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა გვევლინება გლობალურ პრობლემად. ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელი, სხვადასხვა ტიპის ხაფანგები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი სეგმენტებისა და რანგების მიხედვით:

ინსტიტუციური ხაფანგები - მაკროეკონომიკის რანგი. ინსტიტუციურ ხაფანგში იგულისხმება არაეფექტიანი, მაგრამ მდგრადი ინსტიტუცია, მიღებული ნორმად. არაეფექტიან მდგრად ნორმას (არაეფექტიან ინსტიტუციას) პირობითად დაარქვეს ინსტიტუციური ხაფანგი (Полтерович, 1999). სხვა სიტყვებით, ინსტიტუციური ხაფანგი წარმოადგენს ნეშის წონასწორობას (Osborne, Rubinstein, 2004), რომელიც არაა პარეტო-ოპტიმალური (Балацкий, 2012). ინსტიტუციური ხაფანგების სიმრავლემ გამოიწვია მათი კლასიფიკაციის საჭიროება. გამოყოფენ სისტემური, სტრუქტურული და ფინანსური რანგის ხაფანგებს. სისტემატიზაციის საფუძვლად აღებულ იქნა ხაფანგების მნიშვნელობა საზოგადოებაში (ხაფანგის რანგი). *სისტემური ინსტიტუციური* ხაფანგები წარმოადგენენ საზოგადოების მაკროეკონომიკური რანგის ხაფანგებს, რომლებიც ზოგადად საზოგადოებას ახასიათებს; *სტრუქტურული ხაფანგები* - მეზოეკონომიკურ რანგს მიეკუთვნება, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ ფრაგმენტებს ახასიათებთ; ხოლო *ფინანსური ხაფანგები* განეკუთვნება მეზო- და მიკროეკონომიკური რანგის ხაფანგებს და წარმოიქმნება უთანხმოებებიდან ფინანსურ სფეროში (Лесных, Ильяшенко, 2009). მოგვიანებით კვლევებში გამოკვეთეს უფრო მსხვილი გლობალური ინსტიტუციური ხაფანგი, რომელიც ე.წ. *კორპორატოკრატიის* მოვლენად დასახელდა და სახელდობრ, გულისხმობს მსხვილ ამერიკულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციებს და მთავრობებს, რომელთა მეშვეობით მიზანმიმართულად ხდება ნაკლებგანვითარებული ქვეყნებიდან ბუნებრივი რესურსების გატანა. ამ პროცესის ურთიერთქმედება ეროვნულ ეკონომიკებთან ქმნის *ინსტიტუციურ მეგახაფანგებს* და ამგვარად, კლასიფიცირდება *გლობალური რანგის ინსტიტუციურ ხაფანგებად.* ამგვარად, ბალაცკი (Балацкий, 2006) კლასიფიკაციის ავტორებს (Попов, Лесных, 2006) *კორპორატოკრატიის* ახალი მნიშვნელოვანი გრადაციის დამატებას სთავაზობს.

ეკონომიკური განვითარების მეორე მნიშვნელოვან შემაფერხებელ მოვლენად სახელდება ე.წ. „ტექნოლოგიური ხაფანგები“, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნებისათვის, ამ ქვეყნების არასტაბილური და არაპროგნოზირებადი მდგომარეობიდან გამომდინარე (Балацкий, 2003). ტექნოლოგიური ხაფანგები უცხოურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინებით: “path defendence”, “lock-in” (Liebowitz, Margolis, 1995; Arthur, 1989), “blocking” (Rodrick, 1996, Acemoglu, Robinson, 2006). ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის და ტექნოლოგიური ხაფანგების გარდა, დავასახელებდი ე.წ. *პიროვნების მოწყვლადობის* (პირობითად დავარქვათ) პრობლემას/ხაფანგს (Melguizo et al, 2017), რომელიც ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მკაფიოდ გამოიკვეთა კოვიდ-პანდემიის პირობებში და რომელიც ყალიბდება ყველაზე ფართო კლასში, სადაც ადამიანებს გააჩნიათ შედარებით დაბალი და არასტაბილური შემოსავალი (OECD, 2019). ხაფანგების ყველა თეორიის გარშემო და მათ გამომწვევ მიზეზებზე კვლევები კვლავაც მიმდინარეობს, ისევე,

როგორც ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამომწვევი მიზეზებზე. დავეყრდნობი დუგლას ნორტის თეორიას ინსტიტუციების შესახებ, რომელშიც ავტორმა 1993 წელს მიიღო ნობელის პრემია. ამ ნაშრომით მან შეძლო, განვითარების სააგენტოების ყურადღება ტექნიკური საკითხებიდან ინსტიტუციურ საკითხებზე გადაერთო. „ინსტიტუცია - ეს არის საზოგადოებაში „თამაშის წესები", უფრო ფორმალურად რომ განვსაზღვროთ, ადამიანის მიერ შექმნილი შემზღუდავი ჩარჩოები, რომლებიც ახდენენ ადამიანებს შორის ურთიერთობების ორგანიზებას" (Норт, 1997; Faundez, 2016). დუგლას ნორტის შეხედულებით, ინსტიტუციური სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ვინაიდან არსებული ბაზარი, მისი აზრით, მოიცავს ინსტიტუტების ნაირსახეობებს (ნაზავს), რომელთაგან ზოგი ზრდის ეფექტიანობას, ზოგი კი ამცირებს. მაგალითისთვის, ავტორმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის ინსტიტუციური სისტემების შედარებისას „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებთან, ანდა წარსულში განვითარებად ქვეყნებთან, დაგვანახა, რომ არსებული ინსტიტუციური სისტემა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური წარმატებისათვის.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, მსოფლიო ეკონომიკის მრავალმხვრივი გადაწყობის პირობებში, ბრეტონ-ვუდსის ისტორია კვლავ რჩება ორიენტირად საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის რეფორმირების საკითხებში (Hamilton, 2025). გადაწყობილი პირობითი წესრიგის მრავალპოლუსიანობაში, სავარაუდოა, რომ რიგი ქვეყნები მოხვდებიან ე.წ. *სანქციონომიკურ* (Papava, 2022) მახეში. მისი ბუნება გაცილებით რთულია, და, რაც მნიშვნელოვანია, წინასწარ არა-პროგნოზირებადი. ზემოთხსენებული ხაფანგებისგან განსხვავებით, ის დამოკიდებულია საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე. პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეული ეკონომიკური სანქციების შედეგები დაახლოებულია ტერმინთან „lock-in" ანუ „ჩაკეტვა", ვინაიდან სანქციებში მოხვედრილი ქვეყნები დახურულ წრეში აღმოჩნდნენ ქვეყნის გარე ძალთა მიერ ხელოვნურად შექმნილი გარემოებებით. ამ და სხვა თანმდევი მიზეზით ღია ბაზრებზე არსებული წონასწორობა უდაოდ ირღვევა და არსებულ ვითარებაში ეკონომიკური დათქმა: სხვა თანაბარ პირობებში - Ceteris paribus - უგულებელყოფილია, ვინაიდან თანაბარი პირობების უზრუნველყოფა ქვეყნების ბაზრების განვითარების შესაძლებლობის მიხედვით დარღვეულია (Zhukovskiy, Zhukovskaya, 2023; Itskhoki, Mukhin, 2026, Ghironi et al, 2024). გარდა ამისა, ირღვევა თავისუფალი ბაზრის დარეგულირების მთავარი პრინციპი - Laissez-faire. რაც პოლიტიკური მიზნებისთვის ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში უხეშ ჩარევას წარმოადგენს. დუგლას ნორტის თეორიის საფუძველზე, თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ სანქციების შემაფერხებელი, ანუ „lock-in", ხაფანგის ნეგატიური გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე.

თავად სიტყვა სანქცია საკმაოდ კონტროვერსულია: პირველ შემთხვევაში მას ვიყენებთ, როგორც „დაშვებას", ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც „აკრძალვას". თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, სანქციების შედეგად, დროის მოკლე მონაკვეთში ეკონომიკებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება ჩანაცვლებითი მიწოდების ჯაჭვების და სავაჭრო კავშირების შექმნა სანქცირებული პროდუქციისა და /ან მომსახურებისთვის, შიგა და საგარეო სარეგულაციო ჩარჩოების გადახედვა, საინვესტიციო გარემოს შეფასება, გარდაქმნა და ა.შ. (Korhonen, 2019; Gurvich, Prilepskiy, 2015). თუ გადავხედავთ სანქციების მთლიან რუკას, საინტერესო დეტალს შევამჩნევთ: სანქციები უმეტესწილად განვითარებადი ან დაბალგანვითარებული ქვეყნების დამსჯელ მექანიზმად

იქცა, რაც ძლიერი ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების მიზნობრიობის კიდევ ერთი დასტურია: (www.sanctionsexpert.com). სანქცირებული ქვეყნები არაერთგზის მიმართავენ საპასუხო სანქციებს და სარკისებურ მექანიზმებს, თუმცა ეს ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს (Anisimova, 2025).

არსებობს სანქციების განსხვავებული რეჟიმები. მათი ფართო კლასიფიკაციით, გამოყოფენ ორ კატეგორიას: გაეროს კოლექტიურ სანციებს და გაეროს გარეშე დაწესებულ სანქციებს - ე.წ. ავტონომიური სანქციებს (Younan, O'Dea , 2025). გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSC) გარკვეულ პოლიტიკურ კონტექსტში სანქციების მიღების უნარის მიუხედავად, ისინი სულ უფრო ხშირად წესდება გაეროს ჩარჩოების გარეთ. 1990-იანი წლების ბოლოდან ფართოდ გამოიყენება „ჭკვიანი" ან „მიზნობრივი" ეკონომიკური სანქციები, რომლებიც მიმართულია სტრატეგიული ინდუსტრიების, ძირითადი ინსტიტუტებისა და მმართველი ელიტის წევრების წინააღმდეგ სამიზნე სახელმწიფოებში (Ghironi et al, 2025). გეო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სანქციების მოქმედების გეგმა არაა მოკლევადიანი და ამ ეტაპზე მათი მდგრადი ხასიათი ეკონომისტებისათვის თავისუფალი ბაზრის კანონების უგულებელყოფის და დარღვევის მაგალითია. სანქცია თავისი მოქმედების მექანიზმით სინამდვილეში ეკონომიკური ომის ინსტრუმენტია და სამხედრო კონფლიქტზე არანაკლებ ნეგატიური შედეგების მომტანია კაცობრიობისათვის (Keynes, Bown, 2023). *პიროვნების მოწყვლადობის ხაფანგებში* ნაგულისხმები ჩამკეტი მექანიზმები სანქციონომიკის პირობებში, როგორც წესი, უმეტესწილად ზღუდავს საერთაშორისო კონფლიქტებში უდანაშაულო ადამიანთა განვითარების შესაძლებლობებს. ეკონომიკური სანქციების პოლიტიკაში აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ მათი მიზნობრივი განსაზღვრა ხშირად რთულია. გატარებული პოლიტიკის გამო ზარალდებიან უდანაშაულო მოქალაქეები (Andrews, 2023). რაც ხშირად ანტი-ჰუმანური ხასიათისაა. ამის მაგალითია სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართული სანქციები 1991 წელს. როდესაც ქვეყანას არ ჰქონდა საშუალება, გაეყიდა $1 მილიარდის ღირებულების ნავთობი, სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების შესაძენად (Pienaar, Doyle, 1991). ამ შემთხვევაში ნათლად იკვეთება გლობალურ ბაზარზე ძლიერი კონკურენტის ჩამოშორების მიზანი - რომ არა პოლიტიკური დაპირისპირება, ერაყის ნავთობის რეზერვები საკმარისი იქნებოდა ქვეყნის მსოფლიოს რეზერვების 20%-ის უზრუნველყოფისთვის. ერაყის შემთხვევა არა მარტო სანქცინომიკური მახის მაგალითია, არამედ სანქციების მიერ გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფისაც. მიუხედავად პოლიტიკური საფუძვლის, ეკონომიკური სანქციების მთავარი მიზანი სანქცირებული ბაზრების დასუსტებაა, მათი ამოვარდნა ჩვეული გლობალური მიწოდების ჯაჭვებიდან, შეზღუდვებისა და ბარიერების შექმნა განვითარების შესაფერხებლად და მრავალი სხვა ზემოთგანხილული საკითხი, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან ცვლილებებს, დაკავშირებულს დანაკარგებთან, მათ შორის, დროის მნიშვნელოვან რესურსთან (Haidar, 2017). აქ კარგად შეიმჩნევა და იდენტიფიცირდება კავშირი და მსგავსება რეტროეკონომიკის გამომწვევ ფაქტორებსა და მოქმედების მექანიზმებს შორის (Papava, 2017; Папава, 2017).

მნიშვნელოვანია გავიაზროთ საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ეს დებულება: „ინსტიტუციები, რომლებიც არათანაბარ გლობალურ ურთიერთობებს ინარჩუნებენ, საერთაშორისო იურისტებს აიძულებს, გაერკვიონ, თუ როგორ შეიძლება გეოგრაფიის, ტექნოლოგიებისა და განაწილებითი პრეტენზიების ცვლილებამ შეცვალოს *საერთაშორისო*

სამართლისა და გლობალური მმართველობის ძირითადი ნორმები და ინსტიტუტები“. ამით თვალნათლივ დასტურდება კორპორატოკრატიული მეგა-ხაფანგების მუშაობის მექანიზმები (Quintana, 2025). აგრეთვე შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეკონომიკური ტერმინის მოქმედება და დათქმა: “სხვა თანაბარ პირობებში”, ანუ Ceteris Paribus, სავაჭრო ომებისა და სანქციების პირობებში ნელ-ნელა დასრულდა. ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური ხაფანგების არსებობა სრულიად სახელმწიფოს, როგორც წარმოების მეხუთე ფაქტორის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. რამაც წინ წამოსწია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი სპეციფიკურ როლში და ამ მეხუთე ფაქტორის მნიშვნელობის ზრდა (პაპავა, 2002, გვ. 183-191; Полтерович, 2004).

ჯონ მეინარდ ქეინსი ზუსტად 100 წლის წინ გამოქვეყნებული სტატიაში ხმამაღალი დასახელებით - The End of Laissez-Faire - ხსნის, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს განვითარებაზე. მსოფლიოს უგავლენიანესი ეკონომისტი ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ საუბრობდა უხილავი ხელის პრინციპის დასასრულზე მსხვილი კორპორაციების ზემოქმედების შედეგებზე. ფართოდ ცნობილია გენიალური ეკონომისტის მკაფიო წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება რეპარაციების მიმართ გერმანიისთვის პირველი მსოფლიოს ომის შემდგომ (Keynes, 1920, pp. 109-173). ხოლო ქეინსის ასი წლის წინანდელი სტატია The End of Laissez-Faire დღესაც აქტუალურია თავისი პრაგმატული, მკაფიო, და, ამავდროულად, ფილოსოფიური ხედვით. დღეს, სანქციონომიკის პირობებში, მისი ხედვა აბსოლუტურად თანამედროვედ გამოიყურება მოცემულ ნაშრომში განხილული საკითხების მიმართაც. ქეინსის 1926 წლის სტატიიდან მცირე ამონარიდებს ვციტირებ: ...“შემდეგი ნაბიჯი წინ უნდა გადაიდგას არა პოლიტიკური აგიტაციით ან ნაადრევი ექსპერიმენტებით, არამედ აზროვნებით“....აგრეთვე: ...“ამჟამად მსოფლიოში არ არსებობს პარტია, რომელიც, მეჩვენება, რომ სწორი მიზნებისკენ მიისწრაფვის სწორი მეთოდებით. მატერიალური სიღარიბე იძლევა სტიმულს, რომ შეიცვალოს ზუსტად ისეთ სიტუაციებში, როდესაც ექსპერიმენტებისთვის ძალიან მცირე ზღვარია“... და ბოლოს ...“ევროპას არ გააჩნია საშუალება, ამერიკას კი ნება, გადადგას ნაბიჯი. ჩვენ გვჭირდება ახალი შეხედულებები, რომლებიც ბუნებრივად გამომდინარეობს ჩვენი შინაგანი გრძნობების გულწრფელი შესწავლიდან გარე ფაქტებთან მიმართებაში” (Keynes, 1926).

კრიტიკისთვის მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია სანქციების დაბალეფექტიანობა და უამრავი ე.წ. ხვრელი (Hufbauer et al. 2007; Papava, 2022b). როგორც ინსტრუმენტი, სანქციები ეწინააღმდეგება მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მიზანს - ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ზღუდავს თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებულ ეკონომიკურ მოგებას (Smeets, 2018). თანამედროვე მსოფლიოში ძლიერი სახელმწიფოების ან ინსტიტუციების მიერ უცხო ქვეყნების ბაზრის თავისუფლების შეზღუდვა, კერძო საკუთრების ხელყოფა, ეკონომიკური გეოგრაფიის იძულებითი ცვლილება და პოლიტიკური მიზნებისთვის განსხვავებულ ბაზრებზე ზემოქმედების დამაზიანებელი მეთოდების გამოყენება, ეკონომისტებს გვაძლევს სრულ თავისუფლებას საჯარო, მკაცრი კრიტიციზმისთვის სანქციების გამოყენების მიმართ. სანქციების ავტორები არღვევენ საბაზრო ეკონომიკისა და კაპიტალიზმის მთავარ საფუძველს და უხეში იგნორირებით, სამხედრო კონფლიქტების საბაბით, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ამ ვითარებაში ჩნდება შეკითხვა, თუ რამდენპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების მომსწრენი ვხდებით (Papava, 2024; Sachs, 2024). ჯეფრი საქსი განიხილავს

გლობალური პოლუსის სტატუსის მოსაპოვებელ სამ ძირითადი კრიტერიუმს: მოცემული სახელმწიფოს (ან ქვეყნების ჯგუფის) გლობალურ პოლიტიკურ ავტორიტეტს, ბირთვულ პოტენციალსა და დამოუკიდებელი თავდაცვის ინდუსტრიას, და ბოლოს, მასშტაბურ ეკონომიკას. რამდენად მიღწევადია მსგავსი მსოფლიოს მოდელი, პროგნოზირება რთულია.

კვლევების შედარებითი სიმწირის მიუხედავად, პროცესშია სანქციების გავლენის შესწავლა კომპანიების რეაგირებაზე. თუ *ჰომო ეკონომიკუსი* ტრადიციული და პირობითად თავისუფალი ბაზრის პირობებში ფუნციონირებს (Alexou, 2025), სანქციონომიკის პირობებში ყალიბდება *ჰომო სანქციონომიკუსის* კრებითი ფიგურა, რომელსაც ახასიათებს *იძულებითი* კრეატიული მიდგომა. სანქციები აერთიანებს დასანქცირებულ ქვეყნებს, რაც გამოიხატება სანქციების „გვერდზე ავლის“ ლეგალური გზების ძიებასა და გამოყენებაში. შეზღუდვების მოვლითი გზების და ახალი კავშირების ჩამოყალიბებაში (Stępien et al,. 2024). რაც სანქციების ავტორების ფსიქოლოგიურ-მორალური გეშტალტის ხედვის მიღმა დარჩა და საწყისში არ იყო გათვალისწინებული (Кирилкина, Расулинежад, 2025).

როდესაც ვსაუბრობთ სანქციების ფსიქოლოგიურ-მორალურ ასპექტებზე, დავეყრნობით ასეულობით ეკონომისტის მიერ ჩატარებულ კვლევებს ეკონომიკის მდგომარეობის ზემოქმედების შესახებ ადამიანის კეთილდღეობაზე. სანქციები გარდაუვლად იწვევენ საერთო კეთილდღეობის დონის განვითარების შენელებასა და შემცირებას. დავეყრდნობი ნობელიანტი პოლ კრუგმანის შეხედულებას: ეკონომიკური ტრანსფორმაციებისას და ზრდის შენელებისას, აუცილებელია არიდებულ იქნას მოსახლეობის მასობრივი ტანჯვა და სოციალური არასტაბილურობა (Krugman, 1997, pp. 178-179). ეს ფაქტორები კი პირიქით, პოლ კრუგმანის რეკომენდაციის მიუხედავად, სანქციონომიკაში ქვეყნებზე ზემოქმედების დამატებითი ეფექტის გასაძლიერებლად გამოიყენება.

დასასრულს, სანქციების ყველაზე ნეგატიურ ფაქტორებში დავასახელებდი: ჩრდილოვანი სექტორის განვითარების ხელშეწყობას, ფინანსური ანგარიშსწორების ნაცრისფერი არხების დახვეწას, სანქციების გვერდის ავლითი გზების შექმნას. სავაჭრო-საფინანსო ოპერაციებში, უმრავლეს ქვეყანაში კრიპტოვალუტა ყველაზე წარმატებული ჩრდილოვანი ინსტრუმენტია. რომელიც ამავდროულად, ფულის გათეთრების არხიცაა (BAFFI, 2026). ყველა მსგავსი გზა ტრადიციული სანქციების აღსრულების ეფექტიანობას ამცირებს (Lee, 2023; Kowsmann, 2026), და, გარკვეულწილად, ეს გზები ხელს უწყობს ბაზრებს შორის დაკავშირებადობის ზრდას.

დასკვნა

საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად აღარ გვევლინება; ისინი ქმნიან ეგზოგენური მიზეზებით გამოწვეულ ჩამკეტ მექანიზმებს, რაც აფერხებს ტექნოლოგიურ განვითარებას, ხელს უწყობს რეტროეკონომიკის მდგრადობას, ზრდის ჩრდილოვანი ეკონომიკის როლს და ანელებს ეკონომიკურ პროგრესს. სანქციების მოქმედების მექანიზმებით ირღვევა თავისუფალი ბაზრის თეორიის კლასიკური პრინციპი - *Laissez-faire* და *დებულება „სხვა თაბაბარ პირობებში“ – Ceteris Paribus.* რაც, თავის მხრივ, მთლიანად

ეკონომიკური მეცნიერების პარადიგმას ზიანს აყენებს და შლის ცოდნაზე დაფუძნებული განვითარების კონცეფციას, გათვალისწინებულს რეტროეკონომიკის დაძლევის თეორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

პაპავა ვ., 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა,* თბილისი, „პდპ“, 526 გვ.

პაპავა ვ., 2016. *ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები.* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, No. 70, 20 გვ., <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-geo.pdf>.

Acemoglu D., Robinson J., 2006. Economic Backwardness in Political Perspective. *American Political Science Review*, Vol. 100, No. 1, pp. 115-131.

Alexou C., 2025. Beyond Homo Economicus: An Interdisciplinary Critique of Rationality in Economic Decision-Making. *Real-World Economics Review*, No. 112, December, p. 46-66. <https://www.nber.org/papers/w33754>.

Anisimova A., 2025. Russia's Counter-Sanctions: Defending or Damaging Its Economy? *Stockholm School of Economics, News*, July, <https://www.hhs.se/news/site-publications/2025/russia-counter-sanctions>.

Andrews J., 2023. Why Sanctions Fell Short of Their Objectives in the First Gulf War. *London School of Economics,* Economic History Blog, <https://blogs.lse.ac.uk/economichistory/2023/01/05/why-sanctions-fell-short-of-their-objectives-in-the-first-gulf-war/>.

Arthur B., 1989. Competing Technologies, Increasing Returns, and Lock-In by Historical Events. *The Economic Journal*, Vol. 99, No. 394, pp. 116-131.

Baffi., 2026. Cryptocurrencies: A Way to Evade Sanctions? *Centre on Economics, Finance and Regulation (BAFFI).* July, <https://baffi.unibocconi.eu/research-units/mints-alternative-monies/newsletter/issue-0/cryptocurrencies-way-evade-sanctions>.

Faundez J., 2016. Douglass North's Theory of Institutions: Lessons for Law and Development. *Hague Journal on the Rule of Law*, No. 8, October, pp. 373-419.

Ghironi F., Kim D., Ozhan G.K., 2024. International Economic Sanctions and Third-country Effects, *IMF Economic Review.*, Vol. 72, pp. 611-652.

Ghironi F., Kim D., Ozhan K., 2025. International Trade and Macroeconomic Dynamics With Sanctions. *Journal of Monetary Economics, NBER Working Paper*, Vol. 15 No. 32188, <https://www.nber.org/system/files/working_papers/w32188/w32188.pdf>.

Gurvich E., Prilepskiy I., 2015. The Impact of Financial Sanctions on the Russian Economy. *Russian Journal of Economics*,Vol. 1, Issue, 4, Pp. 359-385.

Haidar, J., 2017. Sanctions and Export Deflection: Evidence From Iran. *Economic Policy*, Vol. 32, Issue, 90, pp. 319– 355, <https://doi.org/10.1093/epolic/eix002>.

Hamilton M., 2025. *Reform or Realignment? The Geopolitical Lessons of Bretton Woods.* Carnegie Endowment for International Peace, Washington, DC. 30 p.

Hufbauer G., Schott J., Kimberly A.E., 2009. "Economic Sanctions Reconsidered, 3rd Edition (paper)," Peterson Institute Press: All Books, *Peterson Institute for International Economics,* No., 4129, October.

Itskhoki O., Mukhin D., 2026. Sanctions and the Exchange Rate, *The Review of Economic Studies*, Vol. 93, Issue 4, Pp. 2680–2714.

Keynes J. M., 1920. The Economic Consequences of the Peace. New York, Harcourt, Brace, and Howe. 298 p.

Keynes J. M., 1926. *The End of Laissez-Faire*. Reprinted in Collected Writings, The Hogarth Press, London, Vol. IX, pp. 272-294.

Keynes S., Bown C., 2023. *How to Win a Trade War*, PIIE: Peterson Institute for International Economics. United States of America. July, <https://coilink.org/20.500.12592/3d057nm>.

Korhonen I., 2019. Economic Sanctions on Russia and Their Effects, CESifo Forum, ifo Institut – *Leibniz-Institut für Wirtschaftsforschung an der Universität München*, München, Vol. 20, Issue, 04, pp. 19-22.

Kowsmann P., 2026. How Rogue Nations Are Using Cryptocurrencies to Evade Sanctions, *The Wall Street Journal,* July, <https://www.wsj.com/world/cryptocurrency-sanctions-evasion-d02b60f1>.

Krugman P., 1997. *Pop Internationalism*. Cambridge, First MIT Press, 221 p.

Lee M. H., 2023. Breaking the sanctions trap: Reinventing enforcement. *Yale Journal of International Affairs*. Vol. 20, Issue 2, <https://www.yalejournal.org/publications/breaking-the-sanctions-trap-reinventing-enforcement>.

Liebowitz S., Margolis S., 1995. Path Dependence, Lock-In, and History. *Journal of Law Economics and Organization*, Vol. 11, No. 1, pp. 205-226.

Melguizo A., Nieto-Parra S., Perea J., 2017. *No Sympathy for the Devil! Policy, Priorities to Overcome the Middle-Income Trap in Latin America*. Working Paper, No. 340. Paris, OECD Development Centre, <https://www.oecd-ilibrary.org/development/no-sympathy-for-the-devil_26b78724-en>.

OECD, 2019. Chapter 3. The New Development Traps. In: *Latin American Economic Outlook*. Paris, OECD. pp. 94-113, <https://www.oecd.org/dev/americas/LEO-2019-Chapter-3.pdf>.

Osborne M, Rubinstein A., 1994. *A Course in Game Theory*. Cambridge, The MIT Press, 368 p., <https://arielrubinstein.tau.ac.il/books/GT.pdf>.

Papava V., 2017. Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, No. 6, pp. 455-462.

Papava V., 2022. On Sanctionomics. Eurasia Review, March 14, online at https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/.

Papava V., 2022b. On Sanctionomics and the Externalities of Economic sanctions. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 16, No. 2, pp. 142–149, <https://www.papava.info/publications/Papava_Sanctionomics-and-Externalities.pdf>.

Papava V., 2024. On The Formation Of A Two-And-A-Half-Polar World. *Eurasia Review, News and Analysis.* July, <https://www.academia.edu/143085428/On_the_Formation_of_a_Two_and_a_Half_Polar_World>.

Pienaar J., Doyle L., 1991. UK Maintains Tough Line on. *Global Policy Forum, archive.* <https://archive.globalpolicy.org/security/issues/iraq/history/1991major.htm>.

Quintana F., 2025. Dollar dominance, De-dollarization, and International Law, *Journal of International Economic Law,* Volume 28, Issue 3, Pp. 359–381, <https://doi.org/10.1093/jiel/jgaf032>.

Rodrick D., 1996. Understanding Economic Policy Reforms. *Journal of Economic Literature,* Vol. 34, No. 1, pp. 9-41.

Sachs J., 2024. Achieving Peace in the New Multipolar Age. *New World Economy,* August, <*https://www.jeffsachs.org/newspaper-articles/asfymsw3wydpfjlx4pbfz92mmcr4j5*>.

Sanctions Expert, 2026. *Global Sanctions Map*, July, <https://www.sanctionsexpert.com/map>.

Smeets M., 2018. *Can Economic Sanctions Be Effective?* WTO Staff Working Paper, No. ERSD-2018-03, *World Trade Organization*, Geneva, <https://doi.org/10.30875/0b967ac6-en>.

Stępień B., Early B., Grauvogel J., Preble K., Truskolaski S., 2024. The Impact of External Pressure on Companies' Responses to Sanctions – an International Comparative Study. *European Journal on Criminal Policy and Research,* Vol. 30, pp. 301–326.

Younan J., O'Dea S., 2025. International Sanctions. *Practical PIL: Public International Law and its Implications for Businesses*. Jus Mundi, Paris, Pp. 97-108.

Zhukovskiy V., Zhukovskaya, L., 2023. On the Concept of Equilibrium in Sanctions and Countersanctions in a Differential Game. *Mathematics*, Vol. 11, 4402.

Балацкий Е. В., 2003. Экономический рост и технологические ловушки. «*Общество и экономика»*, № 11, сс. 53-76.

Балацкий Е. В., 2006. Глобальные институциональные ловушки: сущность и специфика. *Мировая экономика и международные отношения*, № 9, сс. 102-107.

Балацкий Е. В., 2012. Институциональные и технологические ловушки: анализ идей. *Журнал экономической теории*, № 2, сс. 49-63.

Кирилкина И. Л., Расулинежад Э.А., 2025. Договор о всеобъемлющем стратегическом партнерстве между Россией и Ираном в целях нейтрализации санкций. Международные отношения и мировая политика. *Проблемы постсоветского пространства.* 12 (3), сс.196-209.

Лесных В.В., Ильяшенко В. В., 2009. *Институциональная Экономика*. Екатеринбург, Уральский Государственный Экономический Университет, 368 с.

Норт Д., 1997. *Институты, Институциональные изменения и функционирование экономики.* Москва, Фонд Экономической книги «Начала», 180 с.

Папава В. Г., 2017. О ретроэкономике. *Вопросы экономики*, № 10, сс. 148-159.

Полтерович В. М., 1999. Институциональные ловушки и экономические реформы. *Экономика и математические методы*, Т. 35, № 2, сс. 3-20, <http://mathecon.cemi.rssi.ru/vm_polterovich/files/ep99001.pdf>.

Полтерович В. М., 2004. Институциональные ловушки: есть ли выход? *Общественные науки и современность.* № 3. ЦЭМИ РАН и РЭШ, Москваб Сс. 5-16.

Попов Е., Лесных В., 2006. Трансакционные издержки в переходной экономике. *Мировая экономика и международные отношения*, № 3, сс. 72-77.

Шумпетер Й. А., 1995. *Капитализм, Социализм и Демократия*. Москва, Экономика, 540 с.,<https://sdinform.org/upload/books/Theory%20of%20socialism/Democratic%20socialism/Schumpeter.%20Kapitalism,%20socialism%20i%20demokratija.pdf>.

The Effect of International Sanctions on (Retro)Economics - The End of Laissez-Faire and Ceteris Paribus

Medea Shapatava
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
medea.shapatava@tsu.ge

Summary

International economic sanctions in the modern global economy no longer appear as a mere instrument of political pressure; they create locking mechanisms caused by exogenous factors, which hinder technological development, contribute to the sustainability of the Retroeconomics, increase the role of the shadow economy and slow down the progress. The article discusses the impact of international economic sanctions on the modern economy and their connection with the mechanisms of the formation of Retroeconomics. The paper analyzes alternative adaptation mechanisms - the search for new supply chains, trade and economic ties and channels, strengthening the capabilities of the shadow economy, etc. due to the sanctions reality. The long-term effects of sanctions often go beyond their initial political objectives, intensifying the fragmentation of the global economy and adding new dimensions to the assessment of economic policy. In this sense, sanctions hinder the development of a knowledge-based economy and become one of the additional circumstances for the prolongation of Retroeconomics. The mechanisms of action of sanctions violate the classical principle of free market theory - Laissez-faire and the provision "Other conditions being equal" - Ceteris Paribus. Which, in turn, harms the entire paradigm of economic science and destroys the concept of knowledge-based development, envisaged in the theory of overcoming Retroeconomics.

Keywords: Retroeconomics, international sanctions, sanctionomics, Laissez-faire, Ceteris paribus, shadow economy.

ევროპული ინტეგრაცია და ეკონომიკური განვითარება საქართველოში გლობალური გამოწვევების პირობებში

ელენე ჩავლეშვილი
ეკონომიკის ბაკალავრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი
chavlee7@gmail.com

ანოტაცია. *ნაშრომში მიმოხილულია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა - საქართველოს ევროპული გეზი, ევროინტეგრაციის გზა და მიღწეული შედეგები. სრული სურათის შესაქმნელად წარმოდგენილია წარსული გამოცდილებები, მიმდინარე სიტუაციის აანალიზი და მომავლის პერსპექტივა. პირველ ნაწილში ნაშრომი განიხილავს ევროინტეგრაციისთვის საჭირო ზოგად კრიტერიუმებს, ქართული და ევროპული მხარის მიერ აღებულ ვალდებულებებს, საქართველოსთვის წარდგენილ პირობებს, მათი აღსრულების მექანიზმებსა და რიცხვებში ასახულ შედეგებს. მეორე ნაწილში საერთაშორისო დასკვნების, სანდო წყაროების, კომპეტენტური ადამიანების ნააზრევის, ფაქტებისა და მათ გარშემო მსჯელობის საფუძველზე განხილულია წინ გადადგმული ნაბიჯები და დაშვებული შეცდომები. მონაცემები მოპოვებულია ისეთი პრესტიჟული საერთაშორისო და ეროვნული უწყებებისგან, როგორებიცაა - ევროკომისია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა. საკითხის კომპლექსურობის ფონზე (სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური ასპექტები) შეძლებისდაგვარად გამიჯნულია პოლიტიკური და ეკონომიკური ნარატივი. სწორედ ამიტომ, საქართველოს მიერ განვლილი გზა შეფასებულია ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე დაკვირვებით, როგორიცაა GDP, ინფლაცია, დასაქმება, ინვესტიცია და სხვა. მესამე ნაწილში მიღებული შედეგები წარმოდგენილია ვიზუალურად მარტივად აღქმადი სახით, რაც ამარტივებს ზრდის ალგორითმის დანახვას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.*

საკვანძო სიტყვები: *ევროპული ინტეგრაცია, საქართველო, ეკონომიკური განვითარება, გლობალური გამოწვევები*

შესავალი

ევროპული ინტეგრაცია და ეკონომიკური განვითარება საქართველოსთვის იმ უმთავრეს მიზანთა სიაშია, რომელიც ქვეყანას სტაბილური, მშვიდი მომვალის იმედს უსახავს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და დაძაბულობა ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს ხელახლა გამოკვეთს, თუმცა საქართველოს ამბიცია, სამომავლოდ გახდეს ევროპული ოჯახის ოფიციალური წევრი, ფრიად ლოგიკურია მის მიერ განვლილი გზისა და მიმდინარე განვითარების ფონზე. ჩემი ნაშრომის მთავარი მიზანიც ამ ამბიციის მათემატიკური ასახვა და მისი კრიტიკული ანალიზია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოსთვის პარტნიორების დივერსიფიკაციისა და პრაგმატული პოლიტიკის ტაქტიკა (მაგ.შეინარჩუნოს ურთერთობა რუსეთთან და აზიურ ძალებთანაც) გახლვათ უდიდესი შემაფერხებელი მექანიზმი ევროპასთან ეკონომიკური დაახლოვების გზაზე. ამ ნაშრომში კი დავაკვირდებით, რა რეალური ბერკეტები გაგვაჩნია - პოლიტიკური ინტერესებსა და რეალური ეკონომიკური შედეგების გასამიჯნად.

ამისთვის თავდაპირველად განვიხილავ ევროკავშირის ეკონომიკურ ჩარჩოს და დასკვნებს, რომლებიც საქართველოს განვლილ გზას აფასებენ.

მათი გაანალიზების პარალელურად, წარმოვადგენ თანამედროვე მაკროეკონომიკურ მონაცემებს. ამ მონაცემების ირგვლივ არსებულ სტატისტიკას ავსახავ ვიზუალურ გამოსახულებებშიც, შესაბამისი მსჯელობის საფუძველზე ვეცდები, გავაკეთო დასკვნა და ჩამოვაყალიბო ლოგიკური რეკომენდაციები.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო იმ კომპეტენტურ ადამიანთა აზრებიც, რომლებმაც ევროკავშირისა და საქართელოს ურთიერთობების შესწავლას დიდი დრო და ენერგია დაუთმეს. გავეცანი უამრავ ჩემთვის ახალ ავტორსა და მათ საინტერესო მეცნიერულ ნამუშევრებს (ბედიანაშვილი, 2016; გვალია, 2026; ვეშაპიძე & ფუტკარაძე, 2023; თეთრაული, 2017; ოქროაძე, 2022; Bazhenova et al., 2026; Bedianashvili, 2017; Erkomaisvili, 2025; European Commission, 2023, 2025; European Union, 1993; European Union & Georgia, 2014; Government of Georgia, 1995; Otinashvili et al., 2026; Papava, 2021; Putkaradze, 2021; Rurua, 2025; Zhylinska et al., 2020).

ევროპული ინტეგრაცია - თეორიული და ისტორიული საფუძვლები (1)

1. საქართველო და ევროკავშირი - ისტორიული კონტექსტი

ევროკავშირი და საქართველო "ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა" (European Neighbourhood Policy) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership), ფარგლებში თანამშრომლობენ. "2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს" - გვამცნობს ევროკომისიის ოფიციალური წყარო (EU - Georgia Relations).

შესაბამისად, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი სწორედ" საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაა". 2023 წლის კანდიდატის სტატუსიც სწორედ ამ გზის ლოგიკური გაგრძლება და ქვეყნის დამსახურებული მიღწევაა.

2. ასოცირების შეთანხმება

ასოცირების შეთანხმება ის სამოქმედო გეგმაა, რომლის იმპლემენტაციაც **საქართველოს კონსტიტუციის** მე-11 თავში განსაზღვრულ მიზანთან მიიყვანს ("გარდამავალი დებულებები. მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია").

კერძოდ, მისი ეკონომიკური ნაწილი: DCFTA. აღებული პასუხისმგებლობის აღსრულების აღსრულების მიზნით, ქართული მხარე **"საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების**

(DCFTA) განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) სამოქმედო გეგმაში” კონკრეტულ ნაბიჯებსა და ამ ნაბიჯების ეფექტურობის გასაზომ ინდიკატორებს გამოყოფს.

ეკონომიკური გავლენა საქართველოზე (2)

ასოციაციის ხელშეკრულებისა და DCFTA-ს იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიის ანგარიშების მიხედვით (European Commission. (2025). *Georgia report 2025*. Directorate-General for Enlargement and Eastern Neighbourhood), საქართველო მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს. 2023 წლის ანგარიშში, სადაც კანდიდატი ქვეყნების შესახებ ანალიზია წარმოდგენილი, ვკითხულობთ, რომ საქართველო ინარჩუნებს ორნიშნა ზრდის (10.1%) მაჩვენებელს.

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კანდიდატი ქვეყნები - უკრაინა და მოლდოვა საგრძნობლად შენელებულ ზრდის ტემპებს აფიქსირებენ, რაც ასევე ანელებს მათი კონვერგენციის პროცესს. იგივე შეფერხება ფიქსირდება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთანაც.

1. მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური სტატისტიკა და ინფლაცია

ევროკომისიის უახლესი (2025) მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზისას დასკვნა გვიჩვნებს, რომ საქართველო აფიქსირებს

- GDP-ს 9.4% პროცენტიან ზრდას (2024). 2025 წლის მონაცემებით საქართველოს GDP = 38.1 მლრდ დოლარი.
- კერძო და სახელმწიფო მოხმარება ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად დასახელდა.
- ინვესტიციებიც განაგრძობს ზრდას, რასაც ქვეყანა მიჰყავს კარგ ფინანსურ შედეგებამდე.
- ხაზგასმულია საქართველოს საგარეო ვალის სიდიდეც, თუმცა ნომინალური GDP-ს ზრდის სიჩქარე აღემატება საგარეო ვალის ზრდის სიჩქარეს.
- 2024 წელს საშუალო სამომხმარებლო ფასების ინფლაცია 1.1%-მდე შემცირდა, თუმცა 2025 წელს ის თანდათან გაიზარდა და აგვისტოში 4.6%-ს მიაღწია.

ინფლაცია - ევროკომისიის დასკვნაში ხაზგასმულია საქართველოსა და მოლდოვის ინფლაციის დონის შენელება, რომელმაც პიკს 2022 წელს მიაღწია.

2. შრომის ბაზარი - დასაქმება და კვალიფიციური მუშა ხელი

დოკუმენტში ნახსენებია შრომის ბაზრის გაუმჯობესება, რაც ასევე რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კომპეტენტური მუშახელის მიგრაციითაა ახსნილი. მეორეს მხრივ, გაკრიტიკებულია ადგილობრივ ბაზარზე არსებული მდგომარეობა და მთავარ პრობლემად დრომოჭმული, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო საგანმანათლებლო სისტემა სახელდება.

ევროინტეგრაციის გზაზე საგანმანათლებლო სისტემა მართლაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ამ მხრივ სახელმწიფო ხარჯები მთელი GDP-ს 3,9% მდე გაიზარდა, თუმცა კვლავ ჩამორჩება საშუალო ევროპულ დონეს. აღნიშნულია პრობლემის აღმოსაფხვრელად ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯების -

- პროფესიული გადამზადებისა და
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რეფორმების როლიც.

3. არაფორმალური ეკონომიკა

ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა და ტურიზმი და მიუხედავად განვითარებისკენ მიმართული სტატისტიკისა, ევროკომისიის დასკვნა გვახსენებს, რომ ეს ორი დარგი საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის, თვითდასაქმებისა და (დიდწილად) ნაღდი თანხის მიმოქცევის არეალია, რაც ართულებს ზუსტი ხარჯების / შემოსავლების აღირცხვას და აჩენს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების რისკს.

ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს შორის განხილულია ქართული მხარის ინიციატივაც - 2024 წელს შეიქმნა სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი International Labour Organization-ის სტანდარტების მიხედვით. კომისიის მიზანი ქვეყნის არაფორმალური ეკონომიკის შესწავლა, პრობლემებისა და მათი მიზეზების ძიება იყო. ILO-ს 2026 წლის დოკუმენტში - "Recent Trends on Informal Employment in Georgia" ვკითხულობთ, რომ ყოველი 10 მუშა ხელიდან დაახლოებით 4 არაფორმალურადაა დასაქმებული. რაც, კიდევ ერთხელ, აღრმავებს ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელების რისკებს (Pignatti, 2026).

ბიზნეს გარემო და ინოვაციები

დოკუმენტში აღნიშნულია საქათველოს ძალისხმევა ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის ინოვაციის დანერგვის გზაზე. დოკუმენტი დადებითად აღნიშნავს ტექნოლოგიური ჰაბებისა და იდეათეკების რიცხვის ზრდას. თუმცა, მეცნიერულ და ბიზნეს კვლევებზე დახარჯული თანხა GDP-ს 0,3%-ს შეადგენს.

1. საგარეო ვაჭრობა, გაცვლითი კურსი და უცხოური ინვესტიცია

საქართველო ექსპორტის ზრდის სტატისტიკას აჩვენებს (მლრდ $): 2021- 8,05$, 2022 - 13,11$, 2023 - 15,16$, 2024 - 16,35$. თუმცა, საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებული საქონლის წილი 2023 წლის 11.6%-დან 2024 წელს 8.7%-მდე შემცირდა. ეს მონაცემი დიდწილად დაძაბული პოლიტიკური ურთერთობითა და მოლაპარაკებების გართულებით აიხსნება. მეორეს მხრივ, ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის წილი (2024 წელს) 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და ქვეყნის მთელი იმპორტის 27.2%-ს მიაღწია. შედეგად, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო დეფიციტმა 4 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ GDP-ს 12%-ს გადააჭარბა. საპირისპიროდ, ევროკავშირთან მომსახურების სავაჭრო ბალანსი დადებითი, თუმცა ბევრად მცირე - GDP-ს 1%-ის ტოლი იყო.

გაცვლითი კურსი - ამ ფონზე, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი თორმეტ თვეში, 2025 წლის ივლისამდე, 4%-ით გაუფასურდა. ქართული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი განსაკუთრებით შესუსტდა ევროსთან და თურქულ ლირასთან მიმართებაში, მაშინ როცა გამყარდა აშშ დოლართან და რუსულ რუბლთან

მიმართებაში. (European Commission. (2025). *Georgia report 2025*. Directorate-General for Enlargement and Eastern Neighbourhood. გვ 57)

უცხოური პირდაპირი ინვესტიცია - საქსტატის მონაცემებით უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის საქართველო მიმზიდველ ეკონომიკად ითვლება. განსაკუთრებით გამოიყოფა გაერთიანებული სამეფო (334,2 მილიონი აშშ დოლარი) და მას მოჰყვება თურქეთი და მალტა. ინვესტორებისთვის განსაკუთრებულად აქტიურ სექტორად კი საფინანსო და სადაზღვეო სექტორი გვევლინება (35,9% მთლიანი უცხოური პირდაპირი

ინვესტიციებიდან). 2025 წლის (1,688.7 მლნ აშშ დოლარი) მონაცემი 2022 წელთან შედარებით კვლავ დაბალ ნიშნულზე რჩება - GDP-ს დაახლოებით 4,4%. (საქართველოს GDP = 38.1 მილიარდ $).

შედარება და ანალიზი (3): ევროკავშირის წევრი ქვეყნები

საქართველოს შედეგების ანალიზის პარალელურად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ იმ ქვეყნების მონაცემებიც, რომლებმაც ევროკავშირში გაერთიანება უკვე მოახერხეს. ამ მსჯელობისთვის ბალტიის სამ ქვეყანას - ლიტვას, ლატვიასა და ეტონეთს გამოვიყენებ.

თითოეული მათგანი პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობის მატარებელია. მათ ბევრად ადრე და სწრაფად დაძლიეს ის სირთულეები, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ მოუტანა ქვეყნებს.

მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) გრაფიკულ გამოსახულებაში ნათლად ჩანს, რომ ოთხივე ქვეყანა განვითარებისა და ზრდის სტაბილურ და გრძელვადიან ტენდენციას აჩვენებს. ნათელია, რომსაქართველო ეკონომიკური მოცულობით საგრნობლად ჩამორჩება ბალტიის ქვეყნებს. ამ ჯგუფთან შედარებისას მასშტაბის გარდა უნდა გვახსოვსეს რომ ბალტიის ქვეყნების ეკონომიკა უფრო ღრმად არის ინტეგრირებული ევროკავშირის ბაზრებში და საქართველოს ზრდა შედარებით უფრო შეზღუდულია გლობალურ ეკონომიკურ ქსელებში ჩართულობით.

მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP, მლრდ $)

გაფიკი 3.1.1



წყარო გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ - მსოფლიო ბანკის მონაცემებით

GDP მოსახლეობის ერთ სულზე ($)

გრაფიკი 3.1.2



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ - მსოფლიო ბანკის მონაცემებით

ექსპორტი (მლრდ $)

გაფიკი 3.2



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ - მსოფლიო ბანკის მონაცემებით

შედარება და ანალიზი (3): კანდიდატი ქვეყნები

შედარებით ანალიზში ვერ გამოვტოვებთ კანდიდატი ქვეყნების - უკრაინისა და მოლდოვის მონაცემებს. აბსოლუტური მასშტაბით უკრაინა (ჩამოთვლილთა შორის) ყველაზე დიდი ეკონომიკაა, თუმცა საომარი მდგომარეობა უარყოდითად აისახა მისი სტაბილურობის სურათზე. საპირისპიროდ, საქართველო და მოლდოვა ნელა, თუმცა სტაბილურად მიიწევენ წინ. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მოსახლეობის ერთ სულზე გაზომილი GDP. მიუხედავად აბსოლუტურ მონაცემებში განსხვავებისა, რაც მასშტაბიდანაც გამომდინარეობ, ამ მონაცემის ანალიზით ვხედავთ, რომ საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს ორივე ქვეყანას.







დასკვნა

გარშემო არსებული დაძაბულობა გვარწმუნებს, რომ უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, მათ შორის ისეთი ეკონომიკური გიგანტისთვისაც კი, როგორიც ვროპული ძალაა. თუმცა არსებობს ურთერთობები, რომელსაც კრიზისული სიტუაციაში ურთერთშეთანხმებული მხარეების ტვირთის შემსუბუქება შეუძლია. ამ ფაქტის გათვალისწინებით დღეს ევროკავშირთან ინტეგრაცია კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს და ქართული გეზის განუყოფელი ნაწილი ხდება. მეორეს მხრივ, საქართველოს რეგიონული რეალობიდან გამომდინარე უწევს იდეოლოგიურად განსხვავებულ ძალებთან პრაგმატული ურთიერთობის შენარჩუნებაც, რაც ევროპული კურსის გადახვევას არ უდრის, თუმცა მაინც იმსახურებს მეგობრების გაღიზიანებას.

ნაშრომში წარმოვადგინე მონაცემები, რომელიც დაგვეხმარება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პოლიტიკური ინტერესები და ეკონომიკური ცხვლადები, რომლებიც რეალურად ასახავენ ჩვენი ქვეყნის განვითარების ტრაექტორიებს. საბოლოოდ კი მოცემული ნაშრომი რამდენიმე მნიშვნელოვან წინადადებად ჯამდება და რეკომენდაციებში იყრის თავს. ამ რჩევების სიაში პირველ და საპატიო ადგილს აუცილებლად დაიკავებს ურთერთობების აღდგენა, გაღრმავება და გაჯანსაღება. (მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული ურთერთობები აღდგენა არასდროსაა ცალი მხარის ვალდებულება) საჭიროა გადაიდგას ზუსტი და ეფექტური ნაბიჯები ევროკავშირთან დიალოგის გასაუმჯობესებლად. აქვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შუა დერეფანი (Middle Corridor), რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს - საქართველოს გავლით. იგი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებასთან ერთად, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის პრაქტიკული ინსტრუმენტიც გახდება საქართველოსთვის. შუა დერეფნის განვითარება ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებას ევროპასთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ქვეყნის რეგიონული როლის ზრდასა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ქვეყნის შიდა პოლიტიკის მოწესრიგებაა. განსაკუთრებით შრომის ბაზარზე, სადაც საგრძნობლად დიდი განსხვავება დავინახეთ მოთხოვნა - მიწოდების ნაწილში.

მესამე და ამჯერად საბოლოო რეკომენდაცია კი ხელსაყრელი საინვესტიციო და ინსტიტუციური გარემოს ფორმირებას შეეხება. საჭიროა გაიზარდოს სახელმწიფო სექტორისადმი ნდობა - ფისკალური პასუხისმგებლობის (Bazhenova, Bedianashvili, & Talalaievskyi, 2026) თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის, გაუმჯობესებული პროგნოზირებადობისა და უსაფრთხოების განცდის მატების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბედიანაშვლი, გ. (2016). გლობალური ბიზნესგარემო, ევროპული ინტეგრცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვიარების კულლტურული პოტენციალი. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 1(1), 19-25. https://www.researchgate.net/publication/319039878_The_Global_Business_Environment_European_Integration_and_the_Cultural_Potential_of_Social-economic_Development_of_Georgia

გვალია, გ. (2026). *ევროკავშირი, როგორც გლობალური აქტორი: ინსტიტუტები, ღირებულებები და ინტერესები.* ილიაუნის გამომცემლობა.

ვეშაპიძე, შ., & ფუტკარაძე, რ. (2023). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. *ეკონომისტი.* 19(1), 58-69. https://shr.ge/X9lGHo

თეთრაული, ც. (2017). ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და სამთავრობო პოლიტიკა https://www.researchgate.net/publication/325370601_ekonomikuri_zrdis_paktorebi_da_samtavrobo_politika

ოქროაძე, ნ. (2022). საქართველო-ევროკავშირის DCFTA გავლენა ვაჭრობასა და ინვესტიციებზე. https://www.researchgate.net/publication/359222016_sakartvelo-evrokavshiris_DCFTA_gavlena_vachrobasa_da_investitsiebze

Bedianashvili, G. (2017, November). Business and institutional environment of competition in the context of European integration. Paper presented at *Competition Policy: Contemporary Trends and Challenges,* Tbilisi, Georgia (In Georgian). https://www.researchgate.net/publication/321170186_biznesi_da_konkurentsiis_institutsiiuri_garemo_evrointegratsiis_pirobebshi_Business_and_Institutional_Environment_of_Competition_in_the_Context_of_European_Integration

Bazhenova, O. Bedianashvili, G. & Talalaievskyi, V. (2026). Economic growth drivers: Empirical findings for developing European countries. *Bulletin of Taras Shevchenko National University of Kyiv. Economics*, *1(228)*, 5-13. https://doi.org/10.17721/1728-2667.2026/228-1/1

Erkomaishvili, G. (2025). Economic diplomacy – An instrument for strengthening a country's economic security. *Innovative Economics and Management*, 12(2), 44–51. https://doi.org/10.46361/2449-2604.12.2.2025.44-51

European Commission. (2023). Georgia report 2023. Directorate-General for Enlargement and Eastern Neighborhood. https://enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en

European Commission. (2025). Georgia report 2025. https://enlargement.ec.europa.eu/countries/georgia_en

European Union. (1993). Accession criteria (Copenhagen criteria). https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/accession-criteria-copenhagen-criteria.html

European Union & Georgia. (2014). Association agreement between the European Union and Georgia. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

Government of Georgia. (1995). *Constitution of Georgia.*

International Labour Organization. (2026). Working paper WP159. https://www.ilo.org/sites/default/files/2026-02/wp159_web_2.pdf

National Statistics Office of Georgia (Geostat). Foreign visitors statistics. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika

Otinashvili, R., Veshapidze, S., Oboladze, B., & Otinashvili, T. (2026). Economic security of Georgia in the context of global challenges. *Innovative Economics and Management, 13(*1), 137–144 (In Georgian). https://doi.org/10.46361/2449-2604.13.1.2026.137-144

Papava, V. (2021). *Becoming European: Challenges for Georgia in the twenty-first century.* iUniverse.

Pignatti, C. (2026). Recent trends on informal employment in Georgia (ILO Working Paper 159). International Labour Office. https://doi.org/10.54394/MOJI5185

Putkaradze, R. (2021). GEORGIA, UKRAINE AND MOLDOVA, THE EU EASTERN PARTNERSHIP MEMBER STATES: MODERN CHALLENGES. (2023). *Globalization and Business*, 6(12), 66-73 (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009\

Rurua, I. (2024–2025). Existing economic results and prospects of the DCFTA with the EU for Georgia [Preprint]. College of Europe, European Economic Studies. https://www.researchgate.net/publication/393004529_Existing_Economic_Results_and_Prospects_of_the_DCFTA_with_the_EU_for_Georgia

World Bank. (n.d.). GDP growth (annual %) [Data set]. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG

Zhylinska O., Bazhenova O., Zatonatska T., Dluhopolskyi O., Bedianashvili G., Chornodid I. (2020) Innovation Processes and Economic Growth in the Context of European Integration. *Scientific Papers of the University of Pardubice, Series D:* Faculty of Economics and Administration, 28(3), 1209: 1-12. 1209; https://doi.org/10.46585/sp28031209

European Integration and Economic Development in Georgia in the Face of Global Challenges

Elene Chavleshvili
Bachelor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
chavlee7@gmail.com

Summary

The paper reviews one of the most pressing topics of modernity - Georgia's European path, the path of European integration and the achieved results. To create a complete picture, past experiences, an analysis of the current situation and a perspective for the future are presented. In the first part, the paper discusses the general criteria necessary for European integration, the obligations undertaken by the Georgian and European sides, the conditions presented to Georgia, the mechanisms for their implementation and the results reflected in numbers. In the second part, based on international conclusions, reliable sources, the opinions of competent people, facts and discussions around them, the steps taken forward and the mistakes made are discussed. Data is obtained from such prestigious international and national agencies as the European Commission, the International Labor Organization, the World Bank, the National Statistical Service of Georgia, and others. Given the complexity of the issue (legal, social, political aspects), the political and economic narratives are separated as much as possible. That is why the path taken by Georgia is assessed by observing macroeconomic variables such as GDP, inflation, employment, investment, and others. In the third section, the results are presented in a visually easy-to-understand form, which makes it easier to see the growth algorithm and draw appropriate conclusions.

Keywords: European integration, Georgia, economic development, global challenges

„შუა დერეფანი“ და მისი განვითარების ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე

თამარ დიასამიძე
ბაკალავრის სტუდენტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamardiasamidze74@gmail.com

ანოტაცია. *კვლევის მიზანია განვიხილოთ ,,შუა დერეფნის'' იგივე ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის გარშემო მიმდინარე პროცესები: ეკონომიკური მაჩვენებლები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რატომ დადგა ,,შუა დერეფნის“ საკითხი დღის წესრიგში, რა დადებითი და უარყოფითი მოსაზრებები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად დიდ როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში. თუმცა ძირითადი მიზანია არა ისტორიული, არამედ დღესდღეობით მიმინარე პროცესები და ბოლოდროინდელი განსაკუთრებული ინტერესი საქართველოზე გამავალი ,,შუა დერეფნის'' სატრანსპორტო გზის განვითარების პერსპექტივის შესახებ. მთავარი ამოცანაა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის, შესაძლებლობების, არსებული პრობლემების, გამოწვევების და პერსპექტივების ანალიზი. რის შედეგადაც იკვეთება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან ერთად შეიმუშაოს რეგიონული სატარიფო პოლიტიკა. შესაბამისად, უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია. აღნიშნული, ცალსახად გაამარტივებს ოპერაციების მართვას და ამასთან, ეფექტურად წარმოაჩენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს.*

საკვანძო სიტყვები: *სატრანზიტო პოტენციალი, ლოგისტიკა, სატარიფო პოლიტიკა, რეგულაციები, კანონმდებლობა.*

შესავალი

,,შუა დერეფანი'' იგივე ,,ერთი გზა ერთი სარტყელი“ (Trans-Caspian International Transport Route (TITR),2014) ეს ორი ტერმინი სრულიად იდენტურ საკითხს აღწერს, რაც ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური პროგრესის მთავარი საყრდენია. მოდით განვმარტოთ ,,შუა დერეფანი“ საქართველო, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი მნიშვნელოვანი სავაჭრო და ენერგეტიკული ალტერნატივა, რომლის საშუალებითაც ევროპა შეძლებს თავი დააღწიოს რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულებას კავკასიის საშუალებით. ,,შუა დერეფნის'' განვითარების მიღმა მოიაზრება მთელი რიგი პროცესები და მოვლენები რომელთა განვითარებაზეც დამოკიდებულია ქვეყნაში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება. საქართველოს აქვს მთავარი რგოლის ფუნქცია ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის ჩამოყალიბების პროცესში მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა სწორედ რომ ყველაზე დიდი და მთავარი პლუსია,

თუმცა რა თქმა უნდა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა ვერ გახდის საქართველოს როგორც საუკეთესო ბაზას სატრანზიტო კუთხით სწორედ ამისათვის ქვეყანამ უნდა გაატაროს ის საჭირო ღონისძიებები ტრანსპორტის განვითარების, კონტეინერიზაციის, ტერმინალების დეგტალიზაციის (ტვირთის მიკვლევადობის), ტარიფებისა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების კუთხით, რაც უმთავრესია. გარდა ამისა საქართველომ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად უმდა შეიმუშაოს ერთობლივი რეგიონული სატარიფო პოლიტიკა, რაც ნამდვილად გაამარტივებს საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთების გატარების პროცესს.

1. „შუა დერეფნის" გეოგრაფიული მდებარეობა და უპირატესობები

ყველაფრის დეტალურად განსახილველად საჭიროა მოვიყვანოთ ის უპირატესობები რაც საქართველოს გააჩნია, როგორც გეოგრაფიული მდებარეობის ასევე გეოპოლიტიკური უსაფრთხოების სახით. „შუა დერეფნის" გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა უპირატესობები განაპირობებს ამ თემის გააქტიურებას ბოლო წლების განმავლობაში, უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს, როგორც მთავარი სატრანსპორტო რგოლის როლში შმოსვლას ხელს უწყობს, არამარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ კავკასიის რეგიონში განვითარებული ბოლოდროინდელი პროცესები გახდა სწორედ ძირითადი მიზეზი „შუა დერეფნის'' საკითხის აქტუალურობის. კავკასიაში მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი გახდა ძირითადი მიზეზი, რატომაც ამ მომენტისთვის გარდაუვალი ხდება შეიქმნას საქართველოზე გამავალი აქამდე ალტერნატიული მარშრუტის ადგილას ცენტრალური გზა, რომელიც შეასრულებს მთავარი კვანძის როლს ევროპასა და აზიას შორის. გეოპოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც ქვეყანის ევროპულ ინტეგრაციასა და ღია ეკონმიკაში გამოიხატება, არსებული და განხორციელებადი ინფრასტუქტურა, ენერგეტიკული სატრანზიტო როლი, გლობალური ინიციატივები და რა თქმა უნდა რუსეთ-უკრაინის ომი წარმოშობს საჭიროებას შექმნას ახალი გეოეკონომიკური რეალობა. იმისათვის რომ უკეთ წარმოვიდგინოთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა საჭიროა მოვიყვანოთ რუქა და გზა, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ რეალური მდგომარეობა.

წყარო: https://images.app.goo.gl/EudVPGWZjmjAMvx8A

როგორც ჩემს მიერ წარმოდგენილ რუქაზეა ნაჩვენები შუა დერეფანი მოიცავს 7000 კმ(10-15 დღე) ჩრდილო დერეფანი 10000 კმ (15-20 დღე) ხოლო საოკეანო გზა 20000 კმ (45-60დღე) ამ მცირედი ინფორმაციიდანაც ნათლლად ჩანს თუ რამდენად მვიშვნელოვანია

ტრანსკასპიური იგივე ,,შუა დერეფნის'' გზის პროექტის განხორციელება ტვირტბრუნვის ხარჯების, დროისა და ტვირთის გადაზიდვის საფრთხის შემცირების მიზნით, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ეკოლოგიური საკითხებიც, ამშემთხვევაში მოხდება სატრანსპორტო გზის შემცირებასთან ერთად ამოწურვადი რესურსების დაზოგვა, რაც ტვირთის ტრანსპორტირებაში იხარჯებოდა და დადებითად აისახება ბუნებრივ კლიმატზე. საქართველოზე გამავალი საერთაშორისო ტრანსკასპიური გზა უნიკალურად ასრულებს შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებას. მართალია არსებობს არაერთი გამოწვევა, რომელიც პირველი ეტაპისთვის დიდ ხარჯებთანაა კავშირში, თუმცა ამ გზის ამოქმედება ბევრად სარგებლიანი იქნება გლობალური სამყაროსვის, მათ შრის ჩვენი მსგავსი ქვეყნისთვის. როგორც უკვე აღვნშნე, ეს არის ეკონომიკური ზრდის მთავარი საშუალება, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული და ქვეყანამ გაატაროს ისეთი პროცესები, რომ მაქსიმალურად შევძლოთ ამ შანსის გამოყენება და მომზადებული დავხვდეთ ყველა მოსალოდნელი პროცესების განვითარებას, რაც თან ახლავს მსგავს პროექტებს. უნდა მოწესრიგდეს და დროულად დასრულდეს მიმდინარე სატრანსპორტო პროექტები ასევე შეიქმნას ბაზა იმ სმუშაოების წარმოების პროცესისთვის რაც თან მოჰყვება ,, შუა დერეფნის'' საქართველოზე გამავალ საკვანძო გზას. ტრანსკასპიური ,,შუა დერეფანი'' - საქართველოსთვის სტრატეგიული შესაძლებლობაა. რტანსკასპიური საერთაშორისო გზა, არამარტო მანძილით, არამედ დროში და შესაბამისად ლოგისტიკურ ხარჯებსაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტვირთბრუნვისას. საქართველოს მდებარეობა შესაძლებელს ხდის, რომ ტვირთები აზიიდან (ძირითადად ჩინეთიდან) კასპიის ზღვის გავლით ჩამოვიდეს ბაქოში, აზერბაიჯანიდან რკინიგზით (ბაქო-თბილისი-ყარსი) გადავიდეს საქართველოში, ხოლო შემდეგ თურქეთისა და შავი ზღვის პორტების მეშვეობით ევროპისკენ გადაინაცვლოს. ეს აძლევს საქართველოს უნიკალურ როლს როგორც ტრანზიტულ ჰაბს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სტატუსს აძლიერებს.

2. ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის მაკროეკონომიკური პოტენციალი

,,შუა დერეფნის'' მაკროეკონომიკური პოტენციალი ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის განვითარების შემთხვევაში საქართველოს მაკროეკონომიკური ზრდა გარდაუვალია. "შუა დერეფნის პროექტი", რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო და ლოგისტიკურ მარშრუტს ჩინეთიდან ევროპამდე საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის და სხვა ქვეყნების გავლით მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინიციატივაა, ამას ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე უპირველეს ყოვლისა გამოვყოთ ის კონკრეტული ნიშნულები, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას: დასაქმება და უმუშევრობა, მშპ, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, საგადასახადო შემოსავლები, ლარის კურსზე გავლენა, ინფლაცია, ერთობლივი მოთხოვნა, საგარეო ვალი, უცხოური ინვესტიციების შემოდინება,მთლიანი შიდა პროდუქტი. ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის შესახებ წინასწარი პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს მოცემული საკითხის ღრმა თეორიული შესწავლა და იმ შესაძლებლობების დანახვა, რაც თან ახლავს ,,შუა დერეფნის'' პროექტის განხორციელებას. ამ მაჩვენებლებთან

დაკავშირებით შემიძლია შევქმნა გარკვეული სახის პროგნოზი, რომელიც ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat,2025) ოპიციალურ მონაცემებსა, საქართველოს ეროვნული ბანკის მაჩვენებლებს, საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკას, მსოპლიო ბანკის, IMF-ის და აზიის განვითარების ბანკის მონაცემებს ,,შუა დერეფნის'' პროექტზე არამარტო ამ მონაცემებით, არამედ შედარებითი ანალიზთ სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც მსგავსი გზა გაიარეს, რაც საქართველოს ჯერ კიდევ წინ ააქვს შეგვძლია, რომ ამ ეტაპისთვის შემოვიფარგლოთ პროგნოზით თუ როგორ და რამდენიით გაზრდის ეს პროექტი მოცემულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ეს კონკრეტული წლები რა თქმა უნდა არ არის შემთხვევით შერჩეული 2019 წელი შეირჩა რადგან ამ დროისთვის არ იყო დიდ დაინტერესება საქართველოს გავლით ტვირთის გატარების მხრივ და საბაზიზო წლად მისი არჩევა უფრო კომპეტენტური და პრეზენტატიულია რათა უფრო რეალური სურათი შეგვექმნას იმ მაკროეკონომიკურ ზრდაზე რაც საქართველოს უახლოეს მომავალში ელის. რაც შეეხება 2025 წლის მონაცემების განხილვას ამ შემთხვევაში მოცემული მონაცემები ასახავს რუსეთ-უკრაინის ომის შემდგმდგომი პერიოდის მონაცემებს, ხოლო საპროგნოზო წლად აღებულია 2030 წელი ამ დროისთვის ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი უკვე ტრანსკასპიური გზის მეშვეობით უნდა გადიოდე ჩინეთიდან ევროპაში. მოსალოდნელი ზრდა ნამდვილად შესამჩნევია და დადებითად იმოქმედებს რა თქმა უნდა საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. შუა დერეფნის პროექტი საქართველოს მრავალი თვალსაზრისით მოუტანს სარგებელს — ეკონომიკურად, გეოპოლიტიკურად და ინფრასტრუქტურულად. განვიხილოთ უფრო კონკრეტულად რა ეფექტი ექნება ამ ყველაფერს საქართველოს ეკონოიკურ ზრდაზრ. ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მოიცავს ტრანზიტული შემოსავლების ზრდას ანუ გადაზიდვებიდან მიღებული სადტრანზიტო გადასახადები გაზრდის ქვეყნის შემოსავალს, ინვესტიციების მოზიდვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები დააფინანსებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ასევე შეიქმნება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობები როგორიცაა ლოჯისტკის, ტრანსპორტი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროში. დასაქმების ზრდა აქ შეგვიძლია განვიხილოთ ძირითად არგუმენთად ის ფაქტი რომ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს თან მოყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა რაც რა თქმა უნდა გაზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე მაგალითად: ანაკლიის პორტის, რკინიგზებისა და გზების მშენებლობაში შეიქმნება ათასობით სამუშაო ადგილი და არა მარტო მშენებლობის პროცესში არამედ გრძელვადიანი პერსპექტივისთვის დასაქმების პროცესი ასევე გაგრძელდება ლოჯისტიკისა და მომსახურების სექრორშიც. რეგიონალური განვითარების საკითხთან დაკავშირებიტ ასევე დიდ როლს ითამაშებს ,,შუა დერეფნის'' პროექტის განხორციელება ამით დასავლეთ საქართველოს შანსი მიეცემა გახდეს ეკონომიკური აქტივობის ცენტრალურ ზონა, რასაც ასევე თან მოყვება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება კერძოდ სატრანსპორტო კავშირისა და სასწავლო ცენტრების შექმნა. რეგიონალური განვითარება ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესების განვითარებასა და უკეთესი სოციალური პირობებს შექმნის ამ შემთხვევაში უმეტესად დასავლეთ საქართველოში. რაც შეეხება ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას ,, შუა დერეფნის'' პროექტის განხორციელება საქართველოს მოუტანს გეოპოლიტიკური სტატუსის ამაღლებას. ეს გზა ჩვენი ქვეყნას მისცემს შანსს იქცეს ალტერნატიული იგივე ,,პერიფერიული ქვეყნის'' სტატუსიდან სტრატეგიულ მოთამაშედ რეგიონში და მის გარეთ.

საქართველოს როლი გაძლიერდება მთელს რეგიონში ასევე ამ გზის განვითარება ხელს შეუწყობს ევროკავშირთან და NATO-სთნ დაახლოებას, რუსული გავლენის შემცირებას კავკასიაზე, დიპლომატიური მოქნილობის გაძლიერება. ამ მარშრუტს აქვს შესაძლებლობა დაემატოს ენერგეტიკული მნიშვნელობა ანუ მოხდეს საქართველოს გავლით ევროპის მიიმართულებით გაზსადენების ან ელექტროენერგიის გატარება.

ასევე აღსაღნიშნავია ის ფაქტი რომ საქართველომ უნდა მოახერხოს საჭირო კადრების გადამზადებას იმ მიმართულებით რაც საჭიროა ,,შუა დერეფნის'' განვითარებისა და დასრულების შემდგომ რათა ბაზარზე არსებული ვაკანტური ადგილების დაკავება შეძლონ ადგილობრივებმა და არამარტო ადგილობრივმა სამუშაოს მაძიებლებმა ანუ ქვეყანამუნდა იმუშაოს ისეთ საკითხებზე რაც გაამარტივებს საქართველოს უალტერნატვო ჰაბად ქცევას. მოდით გამოვყოთ ის ძირითადი სფეროები რომლებიც ამ პროქტის განხორციელების თანავე გახდება აქტუალური პირველი და მნიშვნელოვანი საკითხია სამშენებლო სექტორი (განვითარების ფაზაში) რომელიც მოიცავს სამშენებლო, ინჟინერის, გეოდეზია/არქიტექტორას, ინფრასტრუქრურული პროექტების მენეჯმენტს, მშენებელ-ტექნიკოსების,გზის მშენებლების სპეციალისტების პროფესიებზე მოთხოვნის ზრდას.მეორე და არანაკლებ მნიშველოვანი სფეროა ლოჯისტიკა და ტრანსპორტი: ლოჯისტიკის მენეჯერი, სატვირთოს მძღოლი/რკინიგზის ოპერატორი, ტერმინალის ოპერატორი, გადაზიდვების კოორდინატორი, მესაზღვრე და საბაჟო ოპიცერი. IT და ციფრული ინფრასტრუქტურა: სისტემური ადმინისტრატორი, გეოინგორმაციული სისტემების სპეციალისტი, კიბერუსაფრთხოების ექსპერტი. ეკონომიკა ფინანსები და სამართალი: სატრანსპორტო ეკონომისტი, ინვესტიციების ანალიტიკოსი, საბაჟო/ სავაჭრო იურისტი. ენებისა და კომუნიკაციების სპეციალისტები: თარჯიმნები, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი.მომსახურების სფერო, სასტუმროს ადმინისტრატორები,მომსახურე პერსონალი, ტურისტული გიდები, კვების ობიექტების გამართვა. მცირე დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა რომ ,,შუა დერეფნის'' იგივე ტრანსკასპიური საერთაშორისო გზა და მისი განვითარება შექმნის ახალ საჭიროებებთან

დაკავშირებულ თანამედროვე პროფეისებს მე ასევე შემიძლია ვაჩვენო მოსალოდნელი ხელფასის რაოდენობა განათლების დონისმიხედვით თითოეულ პროფესიაზე მაგალითად:

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროს პერსპექტიული პროფესიები საქართველოში

პროფესია	საჭირო განათლება	საშ. ანაზღაურება (ლარი)	პერსპექტივა
სატრანსპორტო ეკონომისტი	მაგისტრატურა ეკონომიკაში	3000–8000	მაღალი პერსპექტივა, განსაკუთრებით სტრატეგიული ანალიტიკის უნარების ფონზე
საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი	იურიდიული ბაკალავრი + შესაბამისი ტრენინგები	2500–6000	მოთხოვნადი საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და პროექტებში
ლოჯისტიკის მენეჯერი	საბაკალავრო ხარისხი + პრაქტიკული კურსები	2500–6000	მუდმივად მზარდი მოთხოვნა ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში
საბაჟო სპეციალისტი	ბაკალავრი + საბაჟო კურსები	1500–4000	დასაქმების შესაძლებლობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში
პროექტის მენეჯერი	ბაკალავრი	3000–8000	მაღალი მოთხოვნა, განსაკუთრებით კერძო სექტორის პროექტების მართვაში
გადაზიდვების კოორდინატორი	კოლეჯი ან სპეციალიზებული კურსები	1500–4000	სტაბილურად მზარდი პოზიცია ლოგისტიკის კომპანიებში
სატვირთოს მძღოლი	პროფესიული ლიცენზია	2000–4000	მაღალი მოთხოვნა რეგიონულ და საერთაშორისო გადაზიდვებში
გზის მშენებლობის სპეციალისტი	კოლეჯი ან პრაქტიკული მომზადება	2000–4000	მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში

წყარო: https://www.geostat.ge/ka

დასკვნის სახით შემძლია ვთქვა რომ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე არაერთ მაკროეკონომიკურ ნიშნულზე ახდენს გავლენას ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის განვითარება კონკრეტულად საქართველოს ეკონომიკაზე და ზოგაგად ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენასა და რუსული გავლენებისგან განთავისუფლებში ეხმარება არამარტო საქართველოს არამედ ევროპასა და აზიას. სწორედ ეს არის ძირითადი საშუალება საქართველო გახდეს ეკონომიკურად დმოუკიდებელი და და ძლიერი სახელმწიფო თავი დაახწიოს ეკონომიკურ პრობლემებსა და პოსტსაბწოურ გავლენებს. აქ შეიქმნილი მთავარი ჰაბი, რომელიც თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით გახდება ინვესტიციებისა და სატრანსპორტო კვანძის მთავარი რგოლი საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედებს წარმოუდგენლად კარგად. შემცირდება უმუშევრობა ანუ სამუშაოზე ერთობლივი მოთხოვნა გაიზრდება ტითოეული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი კი საგრძნობლად გააუმჯობესებს უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს ეკონოიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა პერიოდულად გამოიწვევს ქვეყანაში ინფლაციურ პროცესებს რაც რა თქმა უნდა დასტაბილურების მიზნით მითხოვს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის ჩარევას მონეტარული და ფისკალური პოლიტიკების მეშვეობით.

3. საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის რეალობისა და შესაძლებლობების ანალიზი

საქართველოს სატრანსპორტო შესაძლებლობებისა და რეალური ანალისის გასაკეთებლად მკაფიოდ უნდა გამოიყოს რეალური შანსები და ის პრობლემები რომლებიც აფერხებს სატრანსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას კერძოდ, წამოწყებული სატრანსპორტო პროექტების დროულად დაუსრულებლობა, რაც ნამდვილად ხელს უშლის არამარტო საქართველოს სატრანზიტო ჰაბად ჩამოყალიბებაში, არამედ მთელ ,,შუა დერეფანს'' აფერხებს. თუ რუსეთ-უკრაინის ომამდე საქართველო იყო ალტერნატიული გზა ტრანზიტული ტვირთების გასატარებლად ახლა მას შანსი ეძლევა გახდეს მთავარი კვანძი ევროპასადა აზიას შორის. საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენებისთვის აუცილებელია გამოვყოთ რეალური შესაძლებლობები და ხელისშემშლელი პრობლემები. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი – გახდეს მთავარი სატრანზიტო კვანძი აზიასა და ევროპას შორის. ამაზე ღიად საუბრობენ უცხოელი ექსპერტები, განსაკუთრებით აზიის ქვეყნებიდან. მსოფლიო ბანკის (მსოფლიო ბანკი,2023) წარმომადგენელი შომიკ მენდრატა ხაზს უსვამს დერეფნის მნიშვნელობასა და გამოწვევებს, რაც მოიცავს კოორდინაციის ნაკლებობას, პორტებში შეფერხებებს, ტარიფებსა და დოკუმენტაციის გაუმართაობას. დერეფნის გარშემო აქტუალური საკითხებია: ყაზახეთის, ჩინეთის, ფოთისა და ბათუმის პორტების, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის როლი; საქართველო-აზერბაიჯანის კონკურენცია; შავი ზღვის კაბელის პროექტი და თბილისის მშრალი პორტის განვითარება. მსოფლიო ბანკის შეფასებით, სწორი პოლიტიკის პირობებში შესაძლებელია 2030 წლისთვის ტვირთების სამმაგად ზრდა და ტრანზიტის დროის განახევრება. (მსოფლიო ბანკი,2023) ეს საქართველოს რეალურ შესაძლებლობას აძლევს, გახდეს რეგიონში უალტერნატივო სატრანზიტო ჰაბი და მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ,,შუა დერეფნის'' გარშემო ღრმა კვლევისა და ანალიზის საფუძველზე გამოვყავი რამდეინიმე ძირითადი პრობლემა, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყაანას გახდეს ძირითად ტვირთბრუნვის ჰაბად მოდით განვიხილოთ ჩემს მიერ გამოყოფილი ხელისშემშლელი საკითხები: დერეფნის კოორდინაცია და მენეჯმენტი, შეფერხებები პორტში და საზღვაო მომსახურების საკითხები, სასაზღვრო გამშვები პუნქტები, ტარიფები, მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლის შეფერხება, რაც დოკუმენტების დუბლირებაში გამოიხატება, ტერმინალების დიგიტალიზაცია ანუ ტვირთის მიკვლებადობა ასევე სატრანსპორტო პრობლემებთან ერთად თავს იჩენს გეოპოლიტიკური პრობლემებიც საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფიოთი მხარეც რაც უკვე ზემოთ აღინიშნა, დერეფნის საფრთხედ თითქმის ყველა ანალიტიკოსი რუსეთს ასახელებს. მოგეხსენებათ საქართველო პოსტსაბჭოური ქვეყანაა და რუსეთი ჯერ კიდევ ცდილობს არამარტო შეინარჩუნოს არამედ გაზარდოს ზეგავლენა მთელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე რადგან არ სურს განვითარდეს და ეკონოიკური დამოუკიდებლობა მოიპოვონ ამ ქვეყნებმა მითუმეტეს როცა საქართველზე გამავალ გზა შეუმცირებს ტვირთბრუნვას. ,,შუა დერეფნის'' მარშრუტი ყველაზე მოკლეა ევროპასა და ჩინთს შორის. ჩინეთიდან მომავალი მატარებელი მაქსიმუმ 10-15 დღეში შემოვა საქართველოში, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დერეფანია საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის განსავითარებლად საჭიროა ამ სფეროში

ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშავება რაც ნამდვილად საუკეთესო ჰაბად აქცევს ჩვენს ქვეყანას. ინიციატივა, რომელიც სულ ახლახან დაანონსდა და რომელსაც ღრმა გავლენა ექნება რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, არის შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი რომელიც კიდევ ერთი წარმატების საშუალებაა. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე ქვეყანამ უნდა შეძლოს გაუმკლავდეს და აღმოფხვრას ხელშემშლელი პრობლემები ასევე პარტნიორ ქვეყნებთან გვქონდეს უფრო მჭიდრო კავშირი ერთობლივი გადაწყვეტილებებითა და მოქმედებით ტრანსკასპიური კავშირის ქვეყნები შეძლებენ მაქსიმალური შედეგის მიღებას და საქართველო შეძლებს მისი დამოუკიდებლობის მანძილზე გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყანა. (მსიფლიო ბანკის მოხსენება, 2023) ,,შუა ერეფანის'' საკითხთან დაკავშირებით რეკომენდირებული ციტატა ასეთია: ,,საშუალო ვაჭობა და სატრანსპორტო დერეფანი; ქვეყნის მიერ განხორცირლრბული პოლიტიკა და ინვესტიციები, ტვირთების სამმაგად ზრდა და მგზავრობის დროის განახევრება 2030 წლისათვის" ეს შეფასება გვაძლევს უდიდეს მოტივაციას რომლითაც უნდა შევძლოთ მოცემული შანსის გამოყენება და ინფრასტრუქტურული სილიერით გავხდეთ უალტერნატივო ქვეყანა ,,შუა დერეფნის'' როლის შესასრულებლად რადგან ეს ქმნის აბსოლუტურად სხვა რეალობას ცვენთვის და ჩვენი მეზობლებისთვის. საქართველოს მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებებს ჩინეთთან, ყაზახეთთან და სხვა ტრანსკასპიური კავშირის ქვეყნებთან რაც ასახულია პოლიტიკის დოკუმენტში: ,,საქართველოსა და ცენტრალურ აზიას შორის ვაჭრობის ფასილიტაცია და საქართველო როგორც სარტანსპორტო დერეფანი ცენტრალური აზიისთვის.'' რომელშიც განხილულია საქართველოსა და ცენტრალურ აზიას შორის ეკონომიკურ და დავაჭრო ურთიერთობების ეფექტიანობის ზრდის ახალი სავაჭრო ჰაბის როლის პოტენციალის მქონე ქვეყანა.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი დასკვნა: საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს თუ დროულად არ განხორციელდება ანაკლიის პორტის პროექტი და სარკინიგზო-სატვირთო გადაზითვებისთვის თუ არ იქნება გამართული იმფრასტრუქტურა ასევე გამჭოლი სატარიფო პოლიტიკის არ არსებობა კონტეინერიზაციის პროცესი. ეს ის ირითადი პრობლემებია რომელიც ხელს შეუშლის საქართველოს შეასრულოს ,,შუა დერეფნის'' საკვანძო ფუნქცია.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე მნიშნელოვანია ჩამოყალიბდეს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელსაც ექნება პრაქტიკული ხასიათი და იქნება საქართველოზე მორგებული: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ეფექტიანობის გაზრდისთვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს სატრანსპორტო სისტემა, სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით;თუ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი უფრო იაფი ტრანზიტის დრო შემცირდება ერთი კვირით და საიმედოობა გაიზარდება კასპიის ზღვის გადაკვეთისას, დერეფანი შეიძლება გახდეს გაცილებით მიმზიდველი და კონკურენტული ალტერნატივა, რაც უზრუნველყოფს გაცილებით მეტ სატრანზიტო გადაზიდვას და ხელს შეუწყობს ექსპორტი-იმპორტის ხარჯების შემცირებას საქართველოში; სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისთვის აუცილებელია

აღმოსავლეთდასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა - რეაბილიტაციის, რკინიგზის მოდერნიზაციისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტების დროული განხორციელება; საჭიროა სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებზე დაყრდნობით; საქართველოს მსხვილ ქალაქებში ლოგისტიკური ცენტრების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანზიტო, ლოგისტიკური პოტენციალის გაზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის სრულად ამოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროის შემცირებასა და შესაბამისად ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვაში; ამასთან, ქვეყნის მიმართ სანდოობისა და მომსახურების ხარისხის ზრდის თვალსაზრისით; აუცილებელია სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაგრძელდეს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით, რომლის შედეგიც იქნება სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება (საქართველოს მთავრობა, 2021) აუცილებელია მოხდეს პროცესების გაფიცრულება ლოგისტიკის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

გეოქეისი. (წ.გ.). შუა დერეფნის მნიშვნელობა, შეფასება დაუშვებელია, გადაფასება შეუძლებელია. პირველი ნაწილი. მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდანhttps://www.geocase.ge/ka/publications/919/shua-derefnis-mnishvneloba-sheufasebloba-daushvebelia-gadafaseba-sheudzlebeli-pirveli-natsili

გლობალური უსაფრთხოების კვლევითი ინსტიტუტი. (2023). შუა დერეფანი: ახალი შესაძლებლობა საქართველოსთვის? მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf

მსოფლიო ბანკი. (2023). Middle Trade and Transport Corridor – World Bank FINAL. მიღებულია ფაილიდან: file:///C:/Users/User/Downloads/Middle-Trade-and-Transport-Corridor-World-Bank-FINAL%20(2).pdf

მსოფლიო ბანკი. (2023). Middle Corridor – press release (GEO). მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://thedocs.worldbank.org/en/doc/546a9efb934f04645c39f8502d524362-0080012023/original/Middle-Corridor-press-release-GEO.pdf

პაპავა, ვ. (2025). *The Middle and Zangezur Corridors: Alternatives, or Mutually Complementary?*. CORE Academy. მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://www.coreacad.org/upload/file/20250914/638934098345050181625759 5.pdf

პაპავა, ვ. (2021). *Transport Corridors of Central Asia and the Caucasus: Problems and Perspectives*. მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://papava.info/publications/Papava_Transport-Corridors-of-Central-Asia.pdf

პაპავა, ვ. (2024). *The Middle and Zangezur Corridors: Alternatives or Mutually Complementary?*. ResearchGate. მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://www.researchgate.net/publication/395743026_The_Middle_and_Zangezur_Corridors_Alternatives_or_Mutually_Complementary

პაპავა, ვ. (2021). *Belt and Road Initiative, the Russian Factor and Main Challenges for Georgia* (Expert Opinion No. 157 / PDF-2507). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი). მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2507.pd

პაპავა, ვ. (2022). *On the Compatibility of the Belt and Road Initiative and the Functioning Silk Road Transport Corridor Projects* (Expert Opinion No. 182 / PDF-2576). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი). მიღებულია 2025 წლის 16 მაისს, ვებგვერდიდან https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2576.pdf

The "Middle Corridor" and the Impact of Its Development on the Georgian Economy

Tamar Diasamidze
Bachelor's student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tamardiasamidze74@gmail.com

Summary

The purpose of this study is to examine the contemporary developments surrounding the Middle Corridor, also known as the Trans-Caspian International Transport Route (TITR). The research explores the corridor's economic performance, geopolitical significance, the factors that have elevated it to the international agenda, and the principal opportunities and challenges associated with its development. Georgia occupies a strategically important position at the crossroads of Europe and Asia, serving as a vital transit link within one of the world's most geopolitically sensitive regions. Although the country has historically played a significant role along the Silk Road, the present study focuses not on its historical importance but on the current dynamics and the increasing international interest in the development of the Middle Corridor passing through Georgia. The study employs a qualitative research approach based on the analysis of academic literature, official reports, statistical data, and policy documents. It The study aims to evaluate Georgia's transit potential by analyzing its competitive advantages, existing infrastructure, institutional constraints, and future development prospects. The findings suggest that maximizing the benefits of the Middle Corridor requires closer regional cooperation among strategically important partner countries, particularly in the development of a coordinated tariff policy. Furthermore, the harmonization of legislative and regulatory frameworks is essential for simplifying cross-border transport operations, improving operational efficiency, and strengthening Georgia's competitiveness as a reliable transit hub within the Eurasian transport network.

Keywords: Transit potential, logistics, tariff policy, regulations, legislation.

საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზი

ზურა ღამბაშიძე
ბაკალავრის სტუდენტი
კავკასიის უნივერსიტეტი
Z_gambashidze@cu.edu.ge

ანოტაცია. *ინოვაციურ პოტენციალთან, ინსტიტუციურ ხარისხთან და ეკონომიკის დივერსიფიკაციასთან. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზი 2015 წლიდან დღემდე პერიოდში, რადგან ორივე ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეს მიეკუთვნებოდნენ, აქვთ მსგავსი ისტორიული გამოცდილება, თუმცა განსხვავდებიან ეკონომიკური სტრუქტურითა და განვითარების დინამიკით.კვლევის მიზანია საქარგანსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და მდგრადობას. კვლევა ეფუძნება World Bank-ის, European Bank for Reconstruction and Development-ისა და International Monetary Fund-ის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და ანგარიშებს. თეორიული ჩარჩო აგებულია Dani Rodrik-ის სტრუქტურული ტრანსფორმაციის კონცეფციაზე, რომლის თველოსა და მოლდოვის ეკონომიკური ზრდის ტენდენციების ანალიზი, მათი სტრუქტურული თავისებურებების შეფასება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მიხედვითაც ეკონომიკური განვითარება გულისხმობს რესურსების გადაადგილებას დაბალპროდუქტიული სექტორებიდან მაღალპროდუქტიულ საქმიანობებში.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, მომსახურების სექტორი, საქართველო, მოლდოვა, ფულადი გზავნილები*

შესავალი

ეკონომიკური ზრდის საკითხი ერთ-ერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკურ კვლევებში. სხვადასხვა თეორიული მიდგომა განმარტავს, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას მდგრადი ზრდა გრძელვადიან პერიოდში.ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონცეფციად მიიჩნევა სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური პროგრესი დაკავშირებულია რესურსების გადაადგილებასთან დაბალპროდუქტიული სექტორებიდან მაღალპროდუქტიულ საქმიანობებში. აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური ზრდა არ არის მხოლოდ რაოდენობრივი პროცესის შედეგი, არამედ მოიცავს ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებსაც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Dani Rodrik-მა, რომლის მიხედვითაც განვითარების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიული და მომსახურების სექტორების გაფართოებას.თანამედროვე ემპირიული კვლევები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, განსაკუთრებულ

ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციური ხარისხის როლზე ეკონომიკურ ზრდაში. World Bank-ისა და International Monetary Fund-ის ანგარიშების მიხედვით, ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი, როგორც წესი, დაკავშირებულია ეფექტიან სახელმწიფო ინსტიტუტებთან, სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოსთან და ბიზნესისთვის ხელსაყრელ პირობებთან. აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესსა და შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.გარდა ამისა, მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება ეკონომიკის დივერსიფიკაცია. კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც ნაკლებად არიან დამოკიდებული ერთ კონკრეტულ სექტორზე ან გარე შემოდინებებზე, უფრო მდგრადები არიან გლობალური ეკონომიკური შოკების მიმართ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სექტორის განვითარებას, ინოვაციებსა და ექსპორტის გაფართოებას.პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში, ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათ შორის ინსტიტუციური სისუსტეებთან, სტრუქტურულ დისბალანსებთან და გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებასთან. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე და განვითარების ტემპზე.ამგვარად, არსებული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდა განპირობებულია კომპლექსური ფაქტორებით, რომლებიც მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებებს, ინსტიტუციურ განვითარებას, ინვესტიციებსა და გარე ეკონომიკურ გარემოს. აღნიშნული თეორიული ჩარჩო წარმოადგენს საფუძველს საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზისთვის.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ და შედარებით ანალიზს, რომლის მიზანია საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შეფასება 2015–2025 წლებში. კვლევის პროცესში გამოყენებულია მეორადი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების ოფიციალური წყაროებიდან.მონაცემთა ძირითადი წყაროებია World Bank, International Monetary Fund (IMF), საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური (GeoStat) და მოლდოვის ეროვნული სტატისტიკის სამსახური. აღნიშნული მონაცემები უზრუნველყოფს კვლევის სიზუსტესა და სანდოობას, რადგან ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს.კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეფასებულია ორი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. ანალიზი მოიცავს ისეთ ძირითად ინდიკატორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ეკონომიკური ზრდის ტემპი, სექტორული სტრუქტურა, დასაქმება, უმუშევრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები.გარდა ამისა, გამოყენებულია დროითი ანალიზის ელემენტები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება დინამიკაში და გამოვლინდეს ძირითადი ტენდენციები პანდემიამდე, პანდემიის პერიოდში და პოსტპანდემიურ ეტაპზე.კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ანალიზი სრულად ეფუძნება მეორად მონაცემებს და არ მოიცავს პირველადი კვლევის შედეგებს (მაგალითად, გამოკითხვებს ან ინტერვიუებს). მიუხედავად ამისა, გამოყენებული მონაცემების ხარისხი უზრუნველყოფს მიღებული დასკვნების სანდოობას.

ჰიპოთეზა

2015–2025 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა უფრო მეტად იყო განპირობებული ეკონომიკის დივერსიფიკაციითა და მომსახურების სექტორის გაფართოებით, ვიდრე მოლდოვის ეკონომიკური ზრდა, რომელიც კვლავ მნიშვნელოვნად დამოკიდებული დარჩა სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებზე.

რაოდენობრივი და დინამიკური ანალიზი

კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოსა და მოლდოვის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა 2015–2025 წლებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპს, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, ფულადი გზავნილების წილს მშპ-ში და COVID-19-ის გავლენას ეკონომიკურ აქტივობაზე. აღნიშნული მაჩვენებლების გამოყენებით შეფასდა ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები და ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული განსხვავებები.

ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენრაოდენობრივი ს ტურიზმისა და მომსახურების სექტორის დინამიკის შეფასება. საქართველოს შემთხვევაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წლის დაახლოებით 1.94 მილიარდი აშშ დოლარიდან 2019 წელს 3.27 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, 2020 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 0.54 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, თუმცა პოსტპანდემიურ პერიოდში სექტორმა სწრაფი აღდგენა აჩვენა და 2024 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა დაახლოებით 4.43 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მოლდოვის შემთხვევაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წელს დაახლოებით 0.29 მილიარდ დოლარს, 2019 წელს 0.53 მილიარდ დოლარს, ხოლო 2024 წელს დაახლოებით 0.76 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ტურიზმის შემოსავლების დინამიკა მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში მომსახურების სექტორს, განსაკუთრებით ტურიზმს, შედარებით მნიშვნელოვანი როლი აქვს. 2015–2019 წლებში ტურიზმის შემოსავლების ზრდა ემთხვეოდა ეკონომიკური აქტივობის გაფართოებას, ხოლო 2020 წლის მკვეთრმა შემცირებამ აჩვენა მომსახურების სექტორზე მაღალი დამოკიდებულებით გამოწვეული გარე შოკების მიმართ მოწყვლადობა. ამასთან, პოსტპანდემიურ პერიოდში ტურიზმის სწრაფმა აღდგენამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური აქტივობის აღდგენაში.

ფულადი გზავნილების რაოდენობრივი შეფასება ასევე აჩვენებს საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკების განსხვავებულ სტრუქტურულ მახასიათებლებს. მოლდოვაში ფულადი გზავნილები მშპ-ის დაახლოებით 12–15%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც საქართველოში პანდემიამდე მათი წილი საშუალოდ 10–13%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2022 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების წილი დროებით დაახლოებით 18–20%-მდე გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიკაში გარე ფინანსურ ნაკადებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა მოლდოვის შემთხვევაში ფულადი გზავნილების შედარებით მაღალი და სტაბილური წილი ეკონომიკის უფრო ხანგრძლივ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

COVID-19-ის გავლენის რაოდენობრივი შეფასება ასევე მნიშვნელოვან განსხვავებებს ავლენს. 2020 წელს საქართველოს რეალური მშპ დაახლოებით 6.3%-ით შემცირდა, ხოლო მოლდოვის ეკონომიკის შემცირებამ დაახლოებით 8.8% შეადგინა. საქართველოს

ეკონომიკის პოსტპანდემიური აღდგენა შედარებით სწრაფი აღმოჩნდა: რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპმა 2021 წელს 10.4%, 2022 წელს 10.1%, 2023 წელს 7.5%, ხოლო 2024 წელს დაახლოებით 7% შეადგინა. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკური აღდგენის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომსახურების სექტორისა და ტურიზმის სწრაფმა აღდგენამ.

რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთობლივი შეფასება მიუთითებს, რომ 2015–2025 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის დინამიკა უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული მომსახურების სექტორის, ტურიზმისა და ეკონომიკური აქტივობის გაფართოებასთან, მაშინ როდესაც მოლდოვის ეკონომიკაში შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი კვლავ სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებს ეკავა. ამასთან, საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ მომსახურების სექტორის სწრაფი განვითარება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა ტურიზმზე მაღალი დამოკიდებულება ზრდის გარე შოკების მიმართ ეკონომიკის მოწყვლადობას.

ამრიგად, რაოდენობრივი და დინამიკური ანალიზის შედეგები ზოგადად ამყარებს კვლევის ძირითად ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოდელი უფრო მეტად უკავშირდება მომსახურების სექტორისა და ეკონომიკური აქტივობის გაფართოებას, ხოლო მოლდოვის ეკონომიკური დინამიკა შედარებით მეტად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებთან. თუმცა, აღნიშნული დასკვნები ეფუძნება აღწერით და რაოდენობრივ ანალიზს და არ წარმოადგენს მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ ეკონომეტრიკულ შეფასებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც Dani Rodrik აღნიშნავს, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პროგრესი დიდწილად დამოკიდებულია ინდუსტრიული და მომსახურების სექტორების გაფართოებაზე. მისი ხედვით, ეკონომიკური ზრდა არ არის მხოლოდ კაპიტალის დაგროვებისა და შრომის ზრდის შედეგი, არამედ მოიცავს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის ზრდას (Rodrik, 2013).ეკონომიკური ზრდის თეორიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენდოგენური ზრდის მოდელებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ტექნოლოგიური პროგრესისა და ადამიანური კაპიტალის როლს. როგორც Paul Romer მიუთითებს, ცოდნა და ინოვაცია წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და ღია ეკონომიკებისთვის (Romer, 1990).ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ინსტიტუტების ხარისხზე. Daron Acemoglu და James A. Robinson ამტკიცებენ, რომ ძლიერი და ინკლუზიური ინსტიტუტები არის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, რადგან ისინი უზრუნველყოფენ საკუთრების უფლებების დაცვას, ინვესტიციების წახალისებას და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას (Acemoglu & Robinson, 2012).საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებიც ადასტურებს ინსტიტუციური ფაქტორების მნიშვნელობას. World Bank-ის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, როგორც წესი, დაკავშირებულია ეფექტიან მმართველობასთან, კორუფციის დაბალ დონესთან და ბიზნესის კეთების სიმარტივესთან (World Bank, 2023). ანალოგიურად, International Monetary Fund აღნიშნავს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფისკალური დისციპლინა

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ მდგრადობაზე (IMF, 2022).ეკონომიკური დივერსიფიკაცია ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა თანამედროვე კვლევებში. როგორც European Bank for Reconstruction and Development მიუთითებს, ქვეყნები, რომლებიც ნაკლებად არიან დამოკიდებული ერთ სექტორზე, უკეთ უმკლავდებიან გლობალურ ეკონომიკურ შოკებს (EBRD, 2020). ეს განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიკური სტრუქტურა ხშირად არადივერსიფიცირებულია.პოსტსაბჭოთა ეკონომიკების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზს. World Bank და International Monetary Fund ხაზს უსვამენ, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალიზაცია და ინსტიტუციური ცვლილებები განსაზღვრავს განვითარების ტემპს. თუმცა, აღნიშნული პროცესები ხშირად დაკავშირებულია სტრუქტურულ დისბალანსებთან და სოციალურ გამოწვევებთან (World Bank, 2022).ემპირიული კვლევები ასევე ყურადღებას ამახვილებს ფულად გზავნილებზე (remittances), როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორზე. Richard H. Adams Jr.-ის მიხედვით, გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის შემცირებასა და მოხმარების სტაბილიზაციაში, თუმცა მათი მაღალი წილი შეიძლება ამცირებდეს შიდა წარმოების სტიმულებს (Adams & Page, 2005).გარდა ამისა, ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე ეკონომიკებზე. World Tourism Organization აღნიშნავს, რომ ტურიზმი შეიძლება გახდეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყარო, თუმცა ამავე დროს ზრდის ეკონომიკის მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა COVID-19 პანდემიის პერიოდში (UNWTO, 2021).საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაში არსებული ლიტერატურა მიუთითებს, რომ ორივე ქვეყანა გადის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, თუმცა განსხვავებული ტემპითა და მიმართულებით. საქართველო უფრო სწრაფად ვითარდება მომსახურების სექტორის მიმართულებით, მაშინ როდესაც მოლდოვა კვლავ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებზე. აღნიშნული განსხვავებები განაპირობებს ეკონომიკური ზრდის განსხვავებულ მოდელებსა და მდგრადობის ხარისხს.ამგვარად, არსებული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მრავალფაქტორულ პროცესს, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებებს, ინსტიტუციურ განვითარებას, ინოვაციას, დივერსიფიკაციას და გარე ეკონომიკურ ფაქტორებს. აღნიშნული თეორიული და ემპირიული საფუძველი ქმნის ბაზას საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზისთვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება

2015–2024 წლებში საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკაში განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა ტურიზმის სექტორის განვითარების მიმართულებით. საქართველოს შემთხვევაში ტურიზმმა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბება შეძლო, მაშინ როდესაც მოლდოვაში აღნიშნული სექტორის მასშტაბი შედარებით შეზღუდული დარჩა.საქართველოში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წლის დაახლოებით 1.94 მილიარდი აშშ დოლარიდან 2019 წელს 3.27 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. COVID-19 პანდემიის პერიოდში, 2020 წელს, შემოსავლები დაახლოებით 0.54 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, თუმცა პოსტპანდემიურ ეტაპზე სექტორმა სწრაფი აღდგენა აჩვენა და 2024 წელს რეკორდულ 4.43 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.მოლდოვის შემთხვევაში ტურიზმის

სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობა შედარებით დაბალი იყო. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წლის დაახლოებით 0.29 მილიარდი აშშ დოლარიდან 2019 წელს 0.53 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. პანდემიის პერიოდში მოლდოვაშიც დაფიქსირდა შემცირება, თუმცა 2022–2024 წლებში ტურიზმის სექტორმა ნაწილობრივი აღდგენა აჩვენა და 2024 წელს დაახლოებით 0.76 მილიარდ დოლარს მიაღწია.აღნიშნული განსხვავებები მიუთითებს, რომ საქართველო უფრო მეტად გადავიდა მომსახურებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელზე, მაშინ როდესაც მოლდოვის ეკონომიკაში ტურიზმის სექტორის როლი კვლავ შედარებით შეზღუდულია. ეს ტენდენცია ნაწილობრივ ასახავს სტრუქტურული ტრანსფორმაციის განსხვავებულ ტემპებს ორ ქვეყანას შორის.



https://www.geostat.ge(1-საქართველო)
https://data.worldbank.org/indicator/ST.INT.RCPT.CD?locations=MD

შედარებითი ანალიზი (საქართველო მოლდოვა)

საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკური დინამიკა 2015–2019 წლებში მიუთითებს განსხვავებულ ზრდის ტემპებსა და სტრუქტურულ მახასიათებლებზე. საქართველოს შემთხვევაში მშპ მიმდინარე ფასებში 2015 წელს შეადგენდა დაახლოებით 31,755.6 მილიონ ლარს (დაახლოებით 13.9 მილიარდი აშშ დოლარი), ხოლო 2019 წლისთვის გაიზარდა 49,252 მილიონ ლარამდე (დაახლოებით 17.5 მილიარდი აშშ დოლარი), რაც ასახავს ეკონომიკური აქტივობის სტაბილურ ზრდას.რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპი აღნიშნულ პერიოდში მერყეობდა 2.8%-დან 5.0%-მდე, რაც მიუთითებს შედარებით სტაბილურ, თუმცა ზომიერ ეკონომიკურ გაფართოებაზე. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2015 წელს დაახლოებით 3,766 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2019 **წლისთვის დაახლოებით 4,700 აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც ცხოვრების** დონის ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე მიუთითებს.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) დინამიკა აჩვენებს, რომ 2017 წელს ინვესტიციების მოცულობამ დაახლოებით 2.0 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა შემდგომ წლებში შემცირდა და 2019 წლისთვის დაახლოებით 1.2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მიუხედავად მერყეობისა, ინვესტიციების ძირითადი წყაროები იყო ევროკავშირის ქვეყნები,

გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი და თურქეთი, რაც მიუთითებს ეკონომიკის გლობალურ ინტეგრაციაზე.საქართველოს ეკონომიკური ზრდა ამ პერიოდში დიდწილად ეფუძნებოდა მომსახურების სექტორის გაფართოებას, ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის ეტაპობრივ დივერსიფიკაციას.მოლდოვასთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკა უფრო მაღალი ზრდის ტემპითა და შედარებით აქტიური საინვესტიციო დინამიკით ხასიათდებოდა, მაშინ როდესაც მოლდოვის ეკონომიკა მეტად დამოკიდებული რჩებოდა სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებზე, რაც ზღუდავდა სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპს.



https://www.geostat.ge(2-საქართველო) https://statistica.gov.md(3-მოლდოვა)

COVID-19-ის გავლენა და პოსტპანდემიური დინამიკა: საქართველო და მოლდოვა

2020 წელს COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ეკონომიკური დინამიკა. რეალური მშპ შემცირდა დაახლოებით 6.3%-ით, რაც ძირითადად განპირობებული იყო მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით ტურიზმის, მკვეთრი შემცირებით. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები დაახლოებით 83%-ით დაეცა და 0.5 მილიარდ აშშ დოლარს მიუახლოვდა, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 80%-ზე მეტად შემცირდა. აღნიშნული შოკი ნათლად აჩვენებს საქართველოს ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულებას მომსახურების სექტორზე და მის მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ.პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ სწრაფი აღდგენა აჩვენა. 2021 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა 10.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 10.1%-ს. აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ დაკავშირებული იყო გარე ფაქტორებთან, მათ შორის რეგიონულ მიგრაციულ პროცესებთან და ფინანსური ნაკადების ზრდასთან.2023 წელს ზრდის ტემპი შენელდა და დაახლოებით 7.5% შეადგინა, თუმცა ქვეყანა მაინც ინარჩუნებდა რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. 2024 წელს რეალური ზრდა დაახლოებით 7%-ს შეადგენდა, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზები 5–6%-იან ზრდას მიუთითებს.ტურიზმის სექტორმა პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანი აღდგენა აჩვენა. 2023 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა კვლავ გადააჭარბა 3.5 მილიარდ აშშ დოლარს და აღემატა 2019 წლის დონეს, რაც მიუთითებს სექტორის მაღალ ადაპტაციის უნარზე და მოთხოვნის სწრაფ აღდგენაზე.მოლდოვის შემთხვევაში 2020 წელს ეკონომიკამ უფრო მკვეთრი ვარდნა განიცადა — დაახლოებით 8.8%-ით, რაც საქართველოს

მაჩვენებელზე უფრო მაღალი შემცირება იყო. ეს აიხსნება ეკონომიკის შედარებით მაღალი დამოკიდებულებით სოფლის მეურნეობაზე, ექსპორტზე და ფულად გზავნილებზე, რომლებიც პანდემიის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა.მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვაც 2015–2019 წლებში ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა (2015 წელს დაახლოებით 7.73 მილიარდი აშშ დოლარი, 2018 წელს 11.25 მილიარდი), პანდემიურმა შოკმა უფრო მკვეთრად გამოავლინა სტრუქტურული მოწყვლადობა. დამატებით, სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელიც მნიშვნელოვან წილს იკავებს დასაქმებაში, მნიშვნელოვნად დაზარალდა კლიმატური ფაქტორებით, მათ შორის გვალვით, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ეკონომიკურ შემცირებას.შედეგად, საქართველო და მოლდოვა განსხვავებული სტრუქტურული რეაგირების მაგალითებს წარმოადგენენ: საქართველოს შემთხვევაში აღდგენა უფრო სწრაფი იყო მომსახურების სექტორის დინამიკის გამო, მაშინ როდესაც მოლდოვაში სტრუქტურული შეზღუდვები ზრდის აღდგენის ტემპს ამცირებდა.

მოლდოვისა და საქართველოს ეკონომიკებში ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც მიუთითებს შრომითი მიგრაციისა და გარე შემოსავლებზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე. მოლდოვაში ფულადი გზავნილები მშპ-ის დაახლოებით 12–15%-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურულ თავისებურებაზე — ემიგრანტთა შემოსავლებზე მაღალ დამოკიდებულებაზე — მიუთითებს. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი პანდემიამდე საშუალოდ 10–13% ფარგლებში მერყეობდა, თუმცა 2022 წელს გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენით დროებით 18–20%-მდე გაიზარდა.მიუხედავად ამ ცვლილებებისა, მოლდოვის ეკონომიკაში ფულადი გზავნილების როლი უფრო სტაბილურად მაღალი რჩება, რაც ეკონომიკის შედარებით მუდმივ დამოკიდებულებას ასახავს გარე შრომით ბაზრებზე. აღნიშნული სტრუქტურა ზრდის ეკონომიკის მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ, მათ შორის გლობალური ეკონომიკური ციკლების, მიგრაციული პოლიტიკის ცვლილებებისა და რეგიონული არასტაბილურობის პირობებში.ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ფულადი გზავნილების წილს მშპ-ში საქართველოსა და მოლდოვაში, რაც ნათლად აჩვენებს ქვეყნების განსხვავებულ დამოკიდებულების დონეს გარე ფინანსურ ნაკადებზე და მათი ეკონომიკური სტრუქტურის განსხვავებულ ხასიათს.მოლდოვის ეკონომიკაში ასევე შეინიშნება საშუალო თვიური ხელფასების ზრდის ტენდენცია. 2015 წელს საშუალო თვიური ხელფასი დაახლოებით 241 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2021 წლისთვის იგი 502 დოლარამდე გაიზარდა, რაც მიუთითებს შრომის ბაზრის ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე. 2022 წელს ენერგეტიკულმა კრიზისმა და რეგიონულმა არასტაბილურობამ ზრდის ტემპი შეანელა, თუმცა 2023–2024 წლებში ხელფასების ზრდა კვლავ გაგრძელდა და დაახლოებით 670–783 დოლარის ფარგლებში დაფიქსირდა. პროგნოზების მიხედვით, 2025 წლისთვის საშუალო თვიური ხელფასი დაახლოებით 790 დოლარს მიაღწევს, რაც ასახავს შედარებით ზომიერ, მაგრამ სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას.

3https://www.economy.ge(9-IMF)

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოვადიან პერიოდში რჩება შედარებით მაღალი რეგიონულ კონტექსტში, მაშინ როდესაც მოლდოვის ზრდა უფრო ზომიერია და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე.

დასკვნა

საბოლოო შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ 2015–2026 წლებში საქართველოს ეკ ონომიკა გამოირჩეოდა უფრო სწრაფი სტრუქტურული გარდაქმნით, რაც განსაკუთრებით აისახა მომსახურების სექტორის გაფართოებასა და პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის სწრაფ აღდგენაში. ამასთან, აღნიშნული მოდელი ნაწილობრივ დამოკიდებულია კონკრეტულ სექტორებზე, განსაკუთრებით ტურიზმზე, რაც ეკონომიკას გარე შოკების მიმართ უფრო მგრძნობიარეს ხდის.მოლდოვის შემთხვევაში ეკონომიკური განვითარება ხასიათდებოდა შედარებით ნელი სტრუქტურული ცვლილებებით, სადაც კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობასა და ფულად გზავნილებს. მსგავსი სტრუქტურა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს გარკვეულ სტაბილურობას, თუმცა, მეორე მხრივ, ზღუდავს ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდისა და დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს.შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ზრდის ხარისხსა და სტრუქტურას. საქართველოს გამოცდილება აჩვენებს შედარებით დინამიკურ, თუმცა ნაწილობრივ რისკიან ეკონომიკურ მოდელს, მაშინ როდესაც მოლდოვა წარმოადგენს ნაკლებად დივერსიფიცირებულ და შედარებით ინერტულ ეკონომიკას.გრძელვადიანი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ორივე ქვეყნისთვის აუცილებელია ეკონომიკის შემდგომი დივერსიფიკაცია, პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მათი ეკონომიკური პროგრესის ხარისხსა და მდგრადობას.კვლევის შედეგები ნაწილობრივ ადასტურებს Dani Rodrik-ის სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური განვითარების მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და მაღალპროდუქტიული სექტორების გაფართოებაზე.

გამოყენებული ლიტარატურა

Acemoglu, D., & Robinson, J. A. (2012). Why nations fail: The origins of power, prosperity, and poverty. Crown Publishers.

Adams, R. H. (2005). Remittances, household expenditure and investment in Guatemala. World Bank.

European Bank for Reconstruction and Development (EBRD). (2020). Transition report 2020-21: The state of transition. EBRD.

International Monetary Fund (IMF). (2022). Georgia: Selected issues. IMF.

International Monetary Fund (IMF). (n.d.). Georgia country report. Retrieved from https://www.imf.org/en/Countries/GEO

International Monetary Fund (IMF). (n.d.). Moldova country report. Retrieved from https://www.imf.org/en/Countries/MDA

National Bureau of Statistics of Moldova. (n.d.). Official statistics of Moldova. Retrieved from https://statistica.gov.md

Rodrik, D. (2011). The globalization paradox: Democracy and the future of the world economy. W. W. Norton & Company.

Rodrik, D. (2013). Unconditional convergence. Quarterly Journal of Economics, 128(1), 165–204.

Romer, P. M. (1990). Endogenous technological change. Journal of Political Economy, 98(5), S71–S102.

Trading Economics. (n.d.). Moldova wages. Retrieved from https://tradingeconomics.com/moldova/wages

World Bank. (2012). World development report 2013: Jobs. World Bank.

World Bank. (n.d.). Georgia data. Retrieved from https://data.worldbank.org/country/georgia

World Bank. (n.d.). Moldova data. Retrieved from https://data.worldbank.org/country/moldova

World Bank. (n.d.). World Development Indicators. Retrieved from https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური (საქსტატი). (n.d.). ოფიციალური სტატისტიკა. მიღებულია https://www.geostat.ge-დან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (n.d.). ეკონომიკური მიმოხილვები. მიღებულია https://www.economy.ge-დან

Comparative Analysis of Economic Development of Georgia and Moldova

Zura Gambashidze
Bachelor's Student
Caucasus University
Z_gambashidze@cu.edu.ge

Summary

In the modern world economy, one of the main challenges facing developing countries is ensuring stable, long-term, and structurally sustainable economic growth in the face of globalization, technological progress, and periodic crises. In the XXI century, economic success is increasingly linked to the development of the service sector, innovative potential, institutional quality, and economic diversification. In this context, a comparative analysis of the economic development of Georgia and Moldova from 2015 to the present day acquires particular importance, as both countries belonged to the post-Soviet space and share a similar historical experience, yet differ in their economic structure and development dynamics. The purpose of this study is to analyze the economic growth trends of Georgia and Moldova, evaluate their structural characteristics, and identify the factors that determine the pace and sustainability of economic development. The research is based on official statistical data and reports from the World Bank, the European Bank for Reconstruction and Development, and the International Monetary Fund. The theoretical framework is built on Dani Rodrik's concept of structural transformation, according to which economic development involves the movement of resources from low-productivity sectors to high-productivity activities.

Keywords: Economic Growth, Economic Development, Structural Transformation, Economic Diversification, Service Sector, Georgia, Moldova, Remittances

მეორე სექცია

საქართველოს გეოეკონომიკური აზრისა და კვლევითი მიმართულებების სისტემური ანალიზი

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.veshapidze@su.ge

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა ეძღვნება საქართველოს გეოეკონომიკური აზრისა და კვლევითი მიმართულებების სისტემურ ანალიზს. ნაშრომის მიზანია ქართველი და უცხოელი ავტორების მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიებისა და სადისერტაციო ნაშრომების საფუძველზე საქართველოს გეოეკონომიკური კვლევების განვითარების ძირითადი ეტაპების, თეორიული კონცეფციებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების იდენტიფიცირება და შეფასება. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს გეოეკონომიკური კვლევითი სივრცე, ხოლო საგანს — ის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო ინტეგრაციისა და რეგიონული ფუნქციის გააზრება. კვლევა ეფუძნება ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, შედარებითი კვლევის, სისტემური მიდგომისა და კონცეპტუალური სინთეზის მეთოდებს. პირველ ნაწილში განხილულია გეოეკონომიკის თანამედროვე თეორიული საფუძვლები, მათ შორის ედუარდ ლუტვაკის, რობერტ ბლექვილისა და ჯენიფერ ჰარისის კონცეფციები, ასევე საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის (IPE) მიდგომები და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების (GVC) თეორია. აგრეთვე გაანალიზებულია ქართული გეოეკონომიკური აზრის ფორმირების პროცესი და იმ მკვლევართა წვლილი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქვეყნის გეოეკონომიკური პრობლემატიკის კვლევას. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია გეოეკონომიკური კვლევის დამოუკიდებელი აკადემიური ტრადიცია, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ინსტიტუციურ და სივრცით ფაქტორებს. დადგენილია, რომ საქართველოს თანამედროვე გეოეკონომიკური მოდელი ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: სატრანზიტო ფუნქციას, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაციას. ნაშრომი ასკვნის, რომ ქვეყნის გეოეკონომიკური განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია გეოგრაფიული მდებარეობის ეფექტიან გამოყენებაზე, ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციაზე, ინოვაციური სექტორების განვითარებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ქსელებში უფრო ღრმა ჩართულობაზე. კვლევა ხელს უწყობს საქართველოს გეოეკონომიკური აზრის სისტემატიზაციას და მის ინტეგრირებას თანამედროვე საერთაშორისო გეოეკონომიკურ დისკურსში.*

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკა, საქართველო, გეოეკონომიკური აზრი, ეკონომიკური უსაფრთხოება, სატრანზიტო სახელმწიფო, გლობალური ღირებულებათა ჯაჭვები, რეგიონული ინტეგრაცია.*

შესავალი

ეს კვლევა არ წარმოადგენს მხოლოდ აღწერით ან ისტორიულ მიმოხილვას. მასში განხორციელებულია სტრუქტურების, კავშირებისა და ლოგიკური სისტემების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეოეკონომიკური აზროვნებისა და კვლევითი მიმართულებების ორგანიზების წესს, როგორც ერთიან სისტემას. შესაბამისად, კვლევა ხასიათდება მეთოდოლოგიური და თეორიული სიღრმით და წარმოადგენს ანალიტიკური ჩარჩოების მეშვეობით გააზრებულ სისტემურ ანალიზს.

XXI საუკუნეში საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც გეოეკონომიკის როლი გააძლიერა. თუ ადრე სახელმწიფოს ძალა ძირითადად სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობებით ფასდებოდა, დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ რესურსებს, ვაჭრობას, ფინანსებს, ტექნოლოგიებსა და სატრანსპორტო მარშრუტებს. ქვეყნები ამ ინსტრუმენტებს საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად და გასაძლიერებლად იყენებენ. სწორედ ამიტომ, გეოეკონომიკა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ კვლევით მიმართულებად, რომელიც ეკონომიკურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და ინსტიტუციურ ფაქტორებს შორის კავშირს სწავლობს.

გეოეკონომიკური კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რადგან მათი განვითარება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, საქართველო საინტერესო კვლევის ობიექტია. მისი სტრატეგიული მდებარეობა, სატრანზიტო ფუნქცია და საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის.

საქართველოს გეოეკონომიკური საკითხების კვლევა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აქტიურად განვითარდა. ქართველი და უცხოელი მკვლევრები სწავლობენ ქვეყნის ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციას, სატრანზიტო როლსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამ კვლევებში საქართველო განიხილება როგორც სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური აქტორი.

მიუხედავად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მრავალფეროვნებისა, დღემდე ნაკლებად არის განხორციელებული საქართველოს გეოეკონომიკური კვლევების სისტემური ანალიზი, რომელიც ერთიან ჩარჩოში გააერთიანებდა სხვადასხვა ავტორის თეორიულ კონცეფციებს, მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და კვლევით მიმართულებებს. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს წინამდებარე კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია საქართველოს გეოეკონომიკური აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებების, თეორიული კონცეფციებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემური ანალიზი ქართველი და უცხოელი ავტორების მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიებისა და სადისერტაციო ნაშრომების საფუძველზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს გეოეკონომიკური კვლევითი სივრცე, ხოლო კვლევის საგანია იმ თეორიული კონცეფციებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების, რეგიონული ფუნქციისა და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მისი ადგილის შესასწავლად.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, შედარებითი კვლევის, სისტემური მიდგომისა და კონცეპტუალური სინთეზის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ავტორის შეხედულებების კლასიფიკაციასა და კვლევითი მიმართულებების იდენტიფიკაციას.

კვლევის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საქართველოს გეოეკონომიკური კვლევების მრავალფეროვან სამეცნიერო მემკვიდრეობას განიხილავს არა ცალკეული ნაშრომების დონეზე, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებულ კვლევით სისტემას, რომლის ფარგლებში გამოიკვეთება ძირითადი თეორიული სკოლები, კვლევითი პრიორიტეტები და მეთოდოლოგიური მიდგომები.

1. გეოეკონომიკის თეორიული საფუძვლები თანამედროვე მეცნიერებაში

გეოეკონომიკა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში განიხილება როგორც ინტერდისციპლინური სფერო, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, საერთაშორისო პოლიტიკას და გეოგრაფიულ ფაქტორებს ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში. მისი განვითარება უკავშირდება გლობალური სისტემის ცვლილებებს, სადაც ეკონომიკური ინსტრუმენტები სულ უფრო ხშირად გამოიყენება სახელმწიფოთა შორის კონკურენციისა და გავლენის გაფართოების მიზნით.

გეოეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია ედვარდ ლუტვაკი, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა იდეა, რომ ცივი ომის შემდეგ ძალაუფლების კონკურენცია სამხედრო სფეროდან ეკონომიკურ სივრცეში გადავიდა (Luttwak, 1990). მისი კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოთა ურთიერთქმედება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საბაზრო ლოგიკით; ეკონომიკური ინსტრუმენტები — ვაჭრობა, ინვესტიციები, ფინანსები და ტექნოლოგიები — იქცა სტრატეგიული კონკურენციის მთავარ საშუალებად. ამგვარად, „კონფლიქტის ლოგიკა ვაჭრობის გრამატიკით“ ასახავს ძალაუფლების ეკონომიკურ ფორმებში ტრანსფორმაციას.

ამ მიდგომას ავითარებენ რობერტ ბლექვილი და ჯენიფერ ჰარისი, რომლებიც გეოეკონომიკას განმარტავენ როგორც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ბერკეტების მიზანმიმართულ გამოყენებას საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Blackwill & Harris, 2016). მათი ხედვით, თანამედროვე ძალაუფლება ეფუძნება არა მხოლოდ სამხედრო რესურსებს, არამედ გლობალურ ფინანსურ ქსელებში პოზიციას, ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლს და ტექნოლოგიურ უპირატესობას. შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოება იქცევა ეროვნული უსაფრთხოების ცენტრალურ კომპონენტად.

გეოეკონომიკური ანალიზის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა (IPE), რომელიც სწავლობს სახელმწიფოს, ბაზრისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ურთიერთქმედებას. როგორც აღნიშნავენ Gilpin (1987), Keohane (1984) და Strange (1994), მსოფლიო ეკონომიკა არ ფუნქციონირებს მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პრინციპებით; მას განსაზღვრავს ძალაუფლების, წესებისა და ინსტიტუტების კომპლექსური ურთიერთობა. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროცესების პოლიტიკური განზომილების გასაანალიზებლად.

თანამედროვე გეოეკონომიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორიაა გლობალური ღირებულებათა ჯაჭვები (GVC), რომელიც ხაზს უსვამს წარმოების ფრაგმენტაციას

სხვადასხვა ქვეყანაში. პროდუქტის შექმნის პროცესი განაწილებულია საერთაშორისო ქსელებში, რის გამოც ქვეყნების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მათ პოზიციაზე გლობალურ წარმოებით სისტემებში. შესაბამისად, სატრანსპორტო დერეფნები, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკური ქსელები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. (Gereffi & Korzeniewicz, 1994; Gereffi, 1994; Gereffi, Humphrey, & Sturgeon, 2005; Humphrey & Schmitz; 2002; Sturgeon, 2009) ეს ხუთი ნაშრომი პრაქტიკულად წარმოადგენს GVC თეორიის კლასიკურ ბირთვს და უმეტეს სამაგისტრო, სადოქტორო და სამეცნიერო კვლევებში სწორედ მათზეა დაფუძნებული თეორიული ჩარჩო.

საერთო ჯამში, გეოეკონომიკა ფორმირდება როგორც ლუტვაკის მიერ დაწყებული ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკური გააზრების, ბლექვილისა და ჰარისის სტრატეგიული ხედვის, IPE-ის თეორიული ჩარჩოსა და GVC-ის ქსელური მოდელის სინთეზი. ამ საფუძვლებზე ვითარდება მცირე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, გეოეკონომიკური კვლევები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სატრანზიტო ფუნქციაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და გლობალურ ქსელებში პოზიციონირებაზე.

2. საქართველოს გეოეკონომიკური კვლევების ფორმირება ქართულ სამეცნიერო სივრცეში

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის, სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხებმა. ამ პროცესებმა შექმნა საფუძველი ახალი ინტერდისციპლინური კვლევითი მიმართულებების ჩამოყალიბებისთვის, რომლებმაც მოგვიანებით გეოეკონომიკური აზრის განვითარებისკენ მიმართული ინტელექტუალური სივრცე შექმნა. 1990-იანი წლებიდან ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში აშკარად გაიზარდა ინტერესი ეკონომიკის სივრცითი და გლობალური განზომილებების მიმართ, რაც, მიუხედავად ტერმინ „გეოეკონომიკის“ ნაკლები გამოყენებისა, უკვე მოიცავდა სატრანზიტო მარშრუტების, ენერგეტიკული უსაფრთხოების, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და რეგიონული ინტეგრაციის საკითხებს (Papava,1997; 1999; 2001; ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ., 2001; ასათიანი, 2014; არჩვაძე, & თალაკვაძე, 2026).

ქართულ სამეცნიერო სივრცეში გეოეკონომიკური ხედვების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. კვინიკაძემ, რომელმაც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განიხილა როგორც სტრატეგიული ეკონომიკური რესურსი და არა მხოლოდ ფიზიკური მოცემულობა. მისი ნაშრომების მიხედვით, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა დიდწილად ეფუძნება სატრანზიტო და საკომუნიკაციო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას (Kvinitadze, 2008; 20014; 2016; 2017a; 2017b; 2017). ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს, რაც თანამედროვე გეოეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს.

გლობალიზაციისა და ტრანსფორმაციული პროცესების კონტექსტში ნ. ჭითანავა ხაზს უსვამს მცირე ეკონომიკების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. მისი ხედვით, გლობალიზაცია ერთდროულად ქმნის ზრდის პოტენციალს და წარმოშობს ახალ

რისკებს, რაც სახელმწიფოებს აიძულებს გააძლიერონ კონკურენტუნარიანობა და ინსტიტუციური მდგრადობა (ჭითანავა, 2014; 2021).

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სადისერტაციო ნაშრომების ფარგლებში განხორციელებულ კვლევებს, რომლებშიც გეოეკონომიკური მიდგომა განიხილება ეკონომიკის გაძლიერებისა და მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობად. აღნიშნული კვლევები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკულ დამოკიდებულებებზე, საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაზე, ეკონომიკური რისკების მართვასა და ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობაზე (ხარბედია, 2003; ძოწენიძე, 2013; დალაქიშვილი, 2018; დანელია, 2019; გუჩუა, 2022).

ამრიგად, „პირველი თაობის“ მკვლევრებმა შექმნეს ფრაგმენტული, თუმცა მყარი თეორიული საფუძველი, რომელმაც გეოეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. საბოლოოდ, მათმა ნაშრომებმა აღნიშნული მიდგომები ერთიან კონცეპტუალურ სისტემაში გააერთიანა, რომლის ფარგლებშიც გეოეკონომიკა წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოებისა და გლობალური კონკურენციის ინტეგრირებული ანალიზის ჩარჩო.

3. თანამედროვე გეოეკონომიკურ დისკურსი

საქართველოს გეოეკონომიკური კვლევები ხაზს უსვამს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას და მის როლს რეგიონულ პროცესებში. საქართველო განიხილება როგორც სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი მონაწილე და სატრანზიტო სივრცე, რომელიც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ ხიდს ქმნის (პაპავა, 2001; Papava, 2005, პაპავა, 2009). მისი სტრატეგიული მდებარეობა აძლიერებს საერთაშორისო ვაჭრობისა და ენერგეტიკული კორიდორების განვითარებას, რაც ქვეყანას ანიჭებს მნიშვნელობას როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

კლინგენდელის ინსტიტუტის ანალიზის მიხედვით, საქართველო წარმოადგენს კასპიის ენერგორესურსების ევროპისკენ ტრანზიტის მნიშვნელოვან ჰაბს. ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი ქვეყანას რუსეთისგან დამოუკიდებელ ენერგეტიკულ მარშრუტად აქცევს, თუმცა გეოეკონომიკური სარგებელი თანაარსებობს უსაფრთხოების რისკებთან, განსაკუთრებით კონფლიქტური რეგიონებისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე (de Haas et al., 2006). ამ კონტექსტში „ცენტრალური კავკასიის“ კონცეფცია რეგიონს განიხილავს უფრო ფართო ევრაზიულ სისტემაში, სადაც კავკასია და ცენტრალური აზია ერთიან ეკონომიკურ სივრცედ მოიაზრება (Ismailov & Papava, 2006; Ismailov & Papava, 2012).

ამ მონოგრაფიაში ორი ცნება განსხვავებულად არის გაგებული (პაპავა, 2009). „ცენტრალური კავკასია“ აღნიშნავს შუამავალ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელიც კავკასიას ცენტრალურ ევროპა–ცენტრალურ აზიის მიმართულებასთან აკავშირებს. ის წარმოდგენილია როგორც გარდამავალი, დამაკავშირებელი ზონა ევრაზიულ სისტემაში. „ცენტრალური კავკაზია“ კი უფრო ფართო კონსტრუქციაა — ის ერთიან გეოპოლიტიკურ არეალად აერთიანებს ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, სადაც ეს ორი რეგიონი განიხილება როგორც ერთიანი, ინტეგრირებული სივრცე. ამრიგად, პირველი არის

დამაკავშირებელი შუა ზონა, ხოლო მეორე — გაფართოებული ერთიანი ევრაზიული გეოპოლიტიკური ჩარჩო.

საქართველოს განვითარების მოდელებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰაბის იდეას, რომელიც ქვეყნის სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კვანძად ჩამოყალიბებას გულისხმობს (Papava, 2008). ტრანზიტული განვითარების მიდგომა მცირე ეკონომიკის პირობებში ზრდის მთავარ წყაროდ სატრანზიტო ფუნქციას მიიჩნევს და ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციას უკავშირებს (Papava, 2009; Papava, 2010; Papava, 2017; 2018;). ამ პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია ლოგისტიკური სისტემების გაუმჯობესებაზე, საბაჟო გამარტივებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე (დანელია, 2019).

ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაცია და გაცვლითი კურსის სტაბილურობა ევროპული ინტეგრაცია განიხილება როგორც ინსტიტუციური და ეკონომიკური მოდერნიზაციის გზა, რომელიც ზრდის კონკურენტუნარიანობას და ინვესტიციების მოზიდვას (Papava, 2021; 2024; მექვაბიშვილი, 2018).

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ხასიათდება მრავალცენტრიანი ძალთა გადანაწილებითა და მიწოდების ჯაჭვების ცვლილებით. „ორნახევარპოლუსიანი სამყაროს“ კონცეფცია აღწერს აშშ-ისა და ჩინეთის დომინანტურ პოზიციებს და სხვა რეგიონული ძალების მზარდ გავლენას (Papava, 2025a). ამ ფონზე სატრანსპორტო დერეფნები, მათ შორის შუა და ზანგეზურის მარშრუტები, ხდება გლობალური ვაჭრობის სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი (Papava, 2025b; 2026). შედეგად, საქართველო რჩება სტრატეგიულ გეოეკონომიკურ კვანძად, რომლის როლი დამოკიდებულია რეგიონულ ინტეგრაციასა და გლობალურ ტრანსფორმაციებზე (Papava & Bedianashvili, 2025; Bedianashvili, 2023; 2025).

4. საქართველოს გეოეკონომიკური მოდელი XXI საუკუნეში: სატრანზიტო სახელმწიფო, ეკონომიკური უსაფრთხოება და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვები

XXI საუკუნეში საერთაშორისო ეკონომიკური გარემოს ტრანსფორმაციამ სახელმწიფოების განვითარების მოდელები მნიშვნელოვნად შეცვალა. თუ ადრე ეკონომიკური სიძლიერე ძირითადად ბუნებრივ რესურსებსა და სამხედრო პოტენციალს ეფუძნებოდა, თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა გლობალურ ეკონომიკურ ქსელებში ინტეგრაციამ, ლოგისტიკურმა შესაძლებლობებმა და საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვებში მონაწილეობამ (Gilpin, 2001).

საქართველოს გეოეკონომიკური მნიშვნელობა განპირობებულია მისი სტრატეგიული მდებარეობით ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში. ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს და ქმნის კავშირს შავი ზღვისა და კასპიის რეგიონებს შორის, რაც მას ევრაზიული ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან მონაწილედ აქცევს (Cohen, 2015). საქართველოს ეკონომიკური მოდელი დიდწილად ეფუძნება არა ბუნებრივ რესურსებსა და ფართო შიდა ბაზარს, არამედ მის გეოგრაფიულ უპირატესობასა და სატრანზიტო პოტენციალს.

ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია განსაკუთრებით ვლინდება სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და ციფრულ სფეროებში. საქართველო წარმოადგენს შუა დერეფნის

მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო კავშირების ალტერნატიულ მარშრუტს უზრუნველყოფს. ამასთან, ქვეყნის ტერიტორია მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მილსადენების გამტარია, რაც მას რეგიონულ ენერგეტიკულ სისტემაში სტრატეგიულ როლს ანიჭებს. თანამედროვე პირობებში ასევე იზრდება ციფრული ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა, რაც საქართველოს რეგიონულ საკომუნიკაციო ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს (Blackwill & Harris, 2016).

მიუხედავად არსებული უპირატესობებისა, ქვეყნის წინაშე დგას ეკონომიკური უსაფრთხოების არაერთი გამოწვევა. მათ შორისაა საგარეო ბაზრებზე მაღალი დამოკიდებულება, იმპორტის მნიშვნელოვანი წილი სტრატეგიულ სექტორებში, ენერგეტიკული მოწყვლადობა და რეგიონული პოლიტიკური რისკები. ამიტომ ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია, ექსპორტის გაფართოება და ინოვაციური დარგების განვითარება (Luttwak, 1990).

გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების კონტექსტში საქართველოს მონაწილეობა ჯერ კიდევ შეზღუდულია, თუმცა ქვეყანას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ლოგისტიკის, აგროსასურსათო წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელია უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე სექტორებზე გადასვლა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება (Gereffi & Fernandez-Stark, 2016).

ამრიგად, საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების წარმატება დამოკიდებულია სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებაზე, ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებასა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში უფრო ღრმა ინტეგრაციაზე. ამ მიმართულებების ეფექტიანი შეთავსება ქმნის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ძირითად საფუძველს XXI საუკუნეში.

დასკვნა

XXI საუკუნეში გეოეკონომიკა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთა გავლენა სულ უფრო ნაკლებად განისაზღვრება სამხედრო ძალით და მეტად ეფუძნება ეკონომიკურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო ვაჭრობას, ინვესტიციებს, ტექნოლოგიურ პროგრესსა და გლობალურ ეკონომიკურ ქსელებში ინტეგრაციას. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად გააფართოვა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიისა და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების თეორიებმა, რომლებმაც გეოეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები გაამყარა.

საქართველოში გეოეკონომიკური აზრის ფორმირება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველი კვლევები ძირითადად ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და სატრანზიტო შესაძლებლობებზე იყო ორიენტირებული, ხოლო მოგვიანებით ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, რეგიონულ ინტეგრაციაზე, კონკურენტუნარიანობასა და განვითარების სტრატეგიულ საკითხებზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვლადიმერ პაპავამ, ავთანდილ სილაგაძემ, ნოდარ ჭითანავამ, იოსებ არჩვაძემ, როზეტა ასათიანმა, გივი ბედიანაშვილმა, გიორგი კვინიკაძემ,

ვახტანგ მაისაიამ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, თეიმურაზ შენგელიამ, ნიკო ჩიხლაძემ და სხვა მკვლევრებმა, რომელთა ნაშრომებმა ქართული გეოეკონომიკური აზროვნების განვითარებას საფუძველი ჩაუყარა.

აღნიშნულმა კვლევებმა გეოეკონომიკური პრობლემატიკა სახელმწიფო განვითარების სტრატეგიულ განზომილებას დაუკავშირა და მოიცვა ისეთი საკითხები, როგორებიცაა პოსტსაბჭოთა ეკონომიკური ტრანსფორმაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკული დერეფნები, რეგიონული ინტეგრაცია და პოსტკომუნისტური ეკონომიკური სისტემების თავისებურებები. სწორედ ამ ნაშრომებმა განაპირობა ქართული გეოეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბება და მისი ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს გეოეკონომიკური მოდელი ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: სატრანზიტო ფუნქციას, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ჩართულობას. ქვეყნის მდებარეობა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ლოგისტიკური დერეფნების განვითარებისათვის. თუმცა გეოგრაფიული უპირატესობა მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება ეკონომიკურ წარმატებად, როდესაც მას თან ახლავს ეფექტიანი ინსტიტუტები, საინვესტიციო გარემო და ტექნოლოგიური პროგრესი.

ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკური მდგრადობა დამოკიდებულია საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციაზე, ენერგეტიკული რისკების შემცირებასა და საერთაშორისო ბაზრებთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციაზე. გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების პირობებში ქვეყნის ამოცანაა არა მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციის შესრულება, არამედ მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე საქმიანობებში მონაწილეობის გაზრდა. ამგვარად, ქართული გეოეკონომიკური სკოლის განვითარება და სამეცნიერო წვლილი ქმნის მნიშვნელოვან ინტელექტუალურ საფუძველს საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე, ი., & თალაკვაძე, გ. (2026). *საქართველოს ინტეგრალური რესურსები*. თბილისი.

ასათიანი, რ. (2014). *საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი*. სიახლე.

ბასარია, ვ. (2023). გეოეკონომიკის როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. *Ekonomisti*, (2), 28–36.

ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ. (2001). *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე*. თბილისი.

გუჩუა, ა. (2022). საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები (ეკონომიკის დოქტორის სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისის უნივერსიტეტი). ქუთაისი, საქართველო.

დალაქიშვილი, გ. (2018). *თანამედროვე გეოეკონომიკური პარადიგმა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (საქართველოს მაგალითი)* (სამაგისტრო ნაშრომი, ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თბილისი, საქართველო.

დანელია, ი. (2019). გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები საქართველოში [სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. თბილისი.

თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქეშელაშვილი, გ., & გეგია, დ. (2011). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა*. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

კონცელიძე, თ. (2025). საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოწვევები და პერსპექტივები ახალი სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჰაბის ფორმირების კონტექსტში. *European Journal of Sustainable Development*, 14(3), 891–905. https://doi.org/10.14207/ejsd.2025.v14n3p891

კვინიკაძე, გ. (2014). *გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მემანიშვილი, ვ. (2025). ზანგეზურის კორიდორის გავლენა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. *Journal of Advance Research in Social Science and Humanities (IPHO)*, 3(8). https://iphopen.org/index.php/ssh

მექვაბიშვილი, ე. (2018). *გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი: ინტელექტი.

ობოლაძე, ბ. (2017). *საქართველო გლობალურ და რეგიონალურ უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში*. თბილისი.

პაპავა, ვლ. (1999). ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია (უცხოური ლიტერატურის ანალიზი). ეკონომიკა, N 1-3.

პაპავა, ვლ. (2001). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია. სოციალური ეკონომიკა, N 5.

პაპავა, ვლ. (2009). *ცენტრალური კავკაზია: გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი*. თბილისი: სიახლე.

რონდელი, ა. (2009). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (მე-2 გამოცემა). თბილისი: ნეკერი.

სოხაძე, ო. (2013, 24 სექტემბერი). საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი. *Omar Sokhadze WordPress Blog*. https://omarsokhadze.wordpress.com/2013/09/

შენგელია, თ., ხიხაძე, ლ., სამადაშვილი, უ., ბერიშვილი, ხ., ადამია, ნ., & არნაძე, მ. (2026). *საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუცია და განმსაზღვრელი დეტერმინანტები*. თბილისი.

ჩიხლაძე, ნ., & უგულავა, გ. (2024). *საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე გამოწვევები: საქართველოს კონტექსტი*. იობაძის სტამბა.

ძოწენიძე, ც. (2013). *საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები* (სადოქტორო დისერტაცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ქუთაისი, საქართველო.

ძოწენიძე, ც., & კირიაკიდი, ა. (2017). *გეოეკონომიკა, როგორც ეკონომიკის შესწავლის მულტიდისციპლინარული და ალტერნატიული მიმართულება.*

ჭითანავა, ნ. (2014). საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის გეოეკონომიკური ასპექტები. *ბიზნესი და კანონმდებლობა*, (5), 32–37.

ჭითანავა, ნ. (2021). *გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში: საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები*. ივერიონი.

ყუფუნია, გ. (2009). ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში. *ეკონომისტი*, (3), 57–68.

ხარბედია, ლ. (2003). გეოპოლიტიკური ფაქტორი ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციის პირობებში [დისერტაცია]. თბილისი.

Bedianashvili, G. (2023). Macrosystemic challenges of uncertainty under the conditions of confrontational globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17*(2), 174–179.

Bedianashvili, G. (2025). Macroeconomic effects of disruptions in global supply chains in a context of confrontational globalization. In E. Mekvabishvili & G. Bedianashvili (Eds.), *Economic science and the economy of Georgia* (pp. 224–233). Universal.

Blackwill, R. D., & Harris, J. M. (2016). *War by other means: Geoeconomics and statecraft*. Harvard University Press.

Chikhladze, N., Rusadze, N., & Chikhladze, L. (2026). Localization of sustainable development and production factor: The case of Georgia. *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia, 20*(1).

de Haas, M. (Ed.), Tibold, A., & Cillessen, V. (2006). *Geo-strategy in the South Caucasus: Power play and energy security of states and organisations*. Clingendael Institute.

Gereffi, G. (1994). The organization of buyer-driven global commodity chains: How U.S. retailers shape overseas production networks. In G. Gereffi & M. Korzeniewicz (Eds.), *Commodity chains and global capitalism* (pp. 95–122). Praeger.

Gereffi, G. (2018). *Global value chains and development: Redefining the contours of 21st century capitalism*. Cambridge University Press.

Gereffi, G., & Korzeniewicz, M. (Eds.). (1994). *Commodity chains and global capitalism*. Praeger.

Gereffi, G., Humphrey, J., & Sturgeon, T. (2005). The governance of global value chains. *Review of International Political Economy, 12*(1), 78–104.

Gereffi, G., Humphrey, J., & Sturgeon, T. J. (2005). The governance of global value chains. *Review of International Political Economy, 12*(1), 78–104. https://doi.org/10.1080/09692290500049805

Gilpin, R. (1987). *The political economy of international relations*. Princeton University Press.

Humphrey, J., & Schmitz, H. (2002). How does insertion in global value chains affect upgrading in industrial clusters? *Regional Studies, 36*(9), 1017–1027. https://doi.org/10.1080/0034340022000022198

Insights Central Asia. (2025, July 20). *The Middle Corridor: The future of Central Asian growth and cooperation*. Insights Central Asia.

Ismailov, E., & Papava, V. (2006). *The Central Caucasus: Essays on geopolitical economy*. CA&CC Press.

Ismailov, E., & Papava, V. (2012). *Central Eurasia: A new geopolitical interpretation*. Intellect.

Kaplinsky, R. (2000). Globalisation and unequalisation: What can be learned from value chain analysis? *Journal of Development Studies, 37*(2), 117–146.

Kaplinsky, R., & Morris, M. (2001). *A handbook for value chain research*. IDRC.

Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. *The New Economist*, *20*(2), 40-53.

Keohane, R. O. (1984). *After hegemony: Cooperation and discord in the world political economy*. Princeton University Press.

Kvinikadze, G. (2008). *Geoeconomics*. Universal.

Kvinikadze, G. (2016). *Geoeconomic essays: From Friedrich Liszt to Edward Luttwak*. Tbilisi State University Press.

Kvinikadze, G. (2017a). Some opinion on the notion of geo-economic security. *International Journal of Social Science and Humanities Research, 5*(2).

Kvinikadze, G. (2017b). Challenges of the 21st century: The position of the small state in geo-economic view from Georgia. *International Journal of Social Science and Humanities Research, 5*(2).

Kvinikadze, G. (2017). Conceptualization of geo-economic threats in small countries with transition economies. *Economic and Regional Studies, 10*(3), 42–52. https://doi.org/10.2478/ers-2017-0023

Luttwak, E. N. (1990). From geopolitics to geo-economics: Logic of conflict, grammar of commerce. *The National Interest, 20*, 17–23.

Maisaia, V., Guchua, A., & Maisaia, G. (2023). The NATO role in promotion of geoeconomic security at regional level – The Black Sea region case-study. *Black Sea Region at the Crossroads of Civilizations, 2*, 145–160. https://doi.org/10.61671/bsrcc.v2i.8006

Markosyan, A., Matevosyan, E., & Markosyan, M. (2025). Results of the economic security assessment of the South Caucasus republics. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 19*(1).

Memanishvili, V. (2025). The impact of the Zangezur corridor on Georgia's transit function in the South Caucasus region. *Journal of Advance Research in Social Science and Humanities (IPHO), 3*(8).

Mkrtchyan, S., Petrosyan, V., Bakhshyan, S., & Surmalyan, T. (2025). Armenian-Georgian commodity export and import: Analysis and forecast. *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia, 19*(4).

Otinashvili, R., Veshapidze, S., Oboladze, B., & Otinashvili, T. (2026). Economic Security of Georgia in the Context of Global Challenges. *Innovative economics and management*, *13*(1), 137-144.

Papava, V. (1997). Georgia: Economic and social challenges of the transition. In *Problems of Economic Transition* (Vol. 40, Nos. 7/8, pp. 3–182). Ministry of the Economy of Georgia.

Papava, V. (2005). Georgia's economic role in the South Caucasus. *Problems of Economic Transition, 48*(4), 84–92.

Papava, V. (2010). Central Caucaso-Asia: From imperial to democratic geopolitics. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 4*(1).

Papava, V. (2017). One Belt One Road Initiative and Georgia. *Georgian Foundation for Strategic and International Studies, Expert Opinion* (93).

Papava, V. (2018). Catching up and catch-up effect: Economic growth in Post-Communist Europe. *European Journal of Economic Studies, 7*(2), 109–125.

Papava, V. (2021). *Becoming European: Challenges for Georgia in the twenty-first century*. Nova Science Publishers.

Papava, V. (2024). Globalization with economic security and "glocalization". *SSRN Electronic Journal*. https://doi.org/10.2139/ssrn.4806388

Papava, V. (2025a). Retroeconomic barriers in the development of an innovative economy. SSRN. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=5313814

Papava, V. (2025b). The Middle and Zangezur corridors: Alternatives, or mutually complementary? SSRN.

Papava, V. (2026, March 8). Retroeconomics and the difficulties in developing an innovation-oriented economy. *Eurasia Review*. https://www.eurasiareview.com/08032026-retroeconomics-and-the-difficulties-in-developing-an-innovation-oriented-economy-oped/

Papava, V., & Bedianashvili, G. (2025). Trade wars and disruptions in global supply chains in an era of growing uncertainty. *Bulletin of the National Academy of Sciences of Georgia, 19*(4), 207–212.

Papava, V., & Maisaia, V. (2023). On economic security under confrontational globalization and the main concepts of geo-economic warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17*(3), 116–120.

Shengelia, T., & Berishvili, K. (2026). EU regional integration policy and Georgia's geoeconomic interests. In *Proceedings of the 12th International Scientific Conference "Scientific Results"* (pp. 21–24).

Silagadze, A. (2013). Modern economic aspects of Georgia. *J. Business-Injectioning, 4*.

Silagadze, A. (2022). Contemporary global economic trends: Transitional economies during Covid-depression. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 16*(3).

Sturgeon, T. J. (2009). From commodity chains to value chains: Interdisciplinary theory building in an age of globalization. In J. Bair (Ed.), *Frontiers of Commodity Chain Research* (pp. 110–135). Stanford University Press.

Strange, S. (1994). *States and markets* (2nd ed.). Pinter Publishers.

Veshapidze, S. (2023). New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia. *The New Economist*, *18*(3), 44-2.

Systematic Analysis of Georgian Geoeconomic Thought and Research Directions

Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.veshapidze@tsu.ge

Summary

This study presents a systemic analysis of Georgia's geoeconomic thought and research directions. It aims to identify and assess key stages of development, theoretical concepts, and methodological approaches of geoeconomic research in Georgia based on monographs, articles, and dissertations by Georgian and foreign authors. The research object is Georgia's geoeconomic research space, while the subject includes theoretical and methodological foundations for interpreting economic development, international integration, and regional functions. The study uses critical literature review, comparative analysis, systemic approach, and conceptual synthesis. The first section examines geoeconomic theory, including Edward Luttwak, Robert Blackwill, Jennifer Harris, international political economy (IPE), and global value chains (GVCs). It also analyses Georgian geoeconomic thought and key scholarly contributions. Results indicate that Georgia has developed an independent academic tradition integrating economic, political, institutional, and spatial factors. The modern model relies on three components: transit function, economic security, and global value chain integration. The study concludes that development depends on geographic advantages, diversification, innovation, and deeper global integration. This work systematizes Georgian geoeconomic research and integrates it into international discourse. It highlights the importance of strengthening interdisciplinary approaches and improving methodological coherence in future studies of Georgia's geoeconomic development within global transformations. It also emphasizes policy relevance for sustainable growth and resilience in a rapidly changing international economic environment and regional competitiveness enhancement strategies are crucial.

Keywords: Geoeconomics, Georgia, Geoeconomic Thought, Economic Security, Transit State, Global Value Chains, Regional Integration.

საშუალო ძალების პოლიტიკის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია გლობალური ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში (სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მაგალითი)

დავით აფციაური
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
daptsiauri@yahoo.com

ანოტაცია. სტატიაში აღწერილია მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების რამდენიმე ახალი ტენდენცია სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში, რაც გამოწვეულია 2019 წლის პანდემიის კრიზისისა და უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების შედეგებით, მათი გავლენით ზოგიერთ რეგიონზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სისტემის პოლარიზაციამ დააჩქარა გლობალური თანამშრომლობის განახლებული მოდელების ძიება. სხვადასხვა რისკების პარალელურად, გლობალურმა კრიზისმა ასევე გახსნა კარი ახლად გაჩენილი შესაძლებლობების, მიდგომებისა და საერთაშორისო საქმიანობის მოდელებისთვის. ამ მხრივ, მცდელობაა გაანალიზდეს ე.წ. „საშუალო ძალის ქვეყნების“, კერძოდ, „საშუალო ძალის სატრანზიტო ქვეყნების“, განახლებული როლი და გაზრდილი მნიშვნელობა, რომელიც დაფუძნებულია შიდარეგიონული ეკონომიკური პროექტების განვითარებაზე, როგორიცაა „საშუალო სატრანსპორტო დერეფანი“, რომელიც აკავშირებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან დასავლეთ და აღმოსავლეთ ბაზრებს. სტატიის ზემოაღნიშნული თემის შემდგომი აკადემიური და პრაქტიკული შესწავლის კონტექსტში გაკეთდა არაერთი დასკვნითი რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური ეკონომიკური კრიზისი, გლობალური მმართველობა, საშუალო ძალის პოლიტიკა, საშუალო სატრანსპორტო დერეფანი, ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია*

ახალი გლობალური ტენდენციები

მიმდინარე პოლიკრიზისმა ძირეულად დააზიანა თანამედროვე მსოფლიოს წესრიგის მთელი არქიტექტურა, კერძოდ ეკონომიკა და გლობალური მმართველობა.

გლობალურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია 2019 წლის პანდემიის კრიზისის დროს და 2021 წლის ომმა უკრაინაში არა მხოლოდ შეამცირა ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობის დინამიკა, არამედ მისი ბუნებაც შეცვალა. გლობალური რისკების ანგარიშში (2023 წელს გამოიცა დავოსის ეკონომიკური ფორუმის მიერ) განმატებულია, რომ “პოლიკრიზისი, რომელზედაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ცხოვრების ხარჯები, კრიზისის ხარჯები, კლიმატის კრიზისი და პოლიტიკური არასტაბილურობა, საფრთხეს უქმნის განვითარებასა და ზრდაში მიღწეულ შედეგებს”. „ყველაზე დიდი არეულობა გეოპოლიტიკურია ..... ჩვენ უკვე შევედით მულტიპოლარულ სამყაროში, სადაც თითოეულ რეგიონს აქვს თავისი პრობლემებიცა და როლიც გლობალურ პოლიტიკაში, (1).

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატის ეპოქა, განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციების ხელშეწყობა, სოციალისტური ქვეყნების სისტემის დანგრევით დაწყებული საერთაშორისო თანამშრომლობის მთელი სისტემის ლიბერალიზაცია, სავარაუდოდ, დასასრულს უახლოვდება... ამჟამად ჩვენ შევედით პოლიკრიზისში, როდესაც ყველა ერთობლივი რისკი თანაბრად მოქმედებს...

გლობალური მენეჯმენტის ყველა მოქმედი პირის ღრმა შეშფოთებას იწვევს კრიზისების დინამიკაც და ოდენობაც, როდესაც ძველ გადაუჭრელ საფრთხეებს ახლები ემატება და ეს დამატებით სირთულეებს ქმნის . . . და რაც მთავარია - მნიშვნელოვანი დისბალანსი კრიზისსა და განვითარებას შორის, გლობალური მმართველობის თვალსაზრისით, ფართოვდება. გლობალური მენეჯმენტი დღეს ძირითადად ითვალისწინებს კრიზისის რეგულირების შემთხვევებს და ნაკლებად არის ჩართული განვითარების პროგრამებში. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ამას უკრაინის კრიზისისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფისა და გაეროს მდგრადი განვითარებისთვის სახსრების გამოყოფის საფუძველზე, - „2022 წლის 24 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისამდე აშშ-სა და ევროკავშირის (უკრაინისთვის) მიერ გაცემული ორმხრივი დახმარების მთლიანი რაოდენობა უდრის 75.1 და 39.38 მილიარდ აშშ დოლარს.„ (2), ამავდროულად, „2017 წლის იანვრის მდგომარეობით, დამტკიცდა 22 ერთობლივი პროგრამა, საერთო ბიუჯეტით 69,361,021 აშშ დოლარი“ (3).

გლობალური მმართველობის პრიორიტეტები ამჟამად არ არის დაბალანსებული, რადგან უსაფრთხოების კომპონენტი მის დღის წესრიგში მატულობს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი სტაბილურად იკლებს, მსოფლიოში ახალი კონფლიქტების რაოდენობის მატების გამო.

ჩვენ შევედით ფრაგმენტულ, პოლიზირებულ სამყაროში, რადგან საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი ბევრ პრობლემასთან დაკავშირებით. გლობალიზაცია იღებს დეგლობალიზაციის მახასიათებელ თვისებებს . . . კრიზისმა უკრაინაში მსოფლიო დაჰყო ორ ჯგუფად: გლობალური ჩრდილოეთი ან დასავლეთი, და გლობალური სამხრეთი ან აღმოსავლეთი განსხვავებული ხედვით თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის შესახებ. დღეს, ეს დაყოფა, ისე როგორც არასდროს, გადის საერთაშორისო და ეროვნული ცხოვრების ყველა განზომილებაზე . . .

გარდა ამისა, ჩვენ ვაკვირდებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ეფექტურობის უზარმაზარ შემცირებას გლობალური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მწვავე პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით. შედეგად, გასული წლების განმავლობაში შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის (PGII), და ჩინეთის მხიდან (GDI, GSL, GHI), წამოიწია მრავალი ახალი ინიციატივა გლობალურ განვითარებასთან მიმართებაში. ფაქტობრივად, საერთაშორისო თანამშრომლობის ისეთი ფორმატები, როგორიცაა G-7 და G-20, და სხვები, ასრულებდნენ გაეროს ორგანოებისთვის სავალდებულო ფუნქციებს.

გლობალური-სამხრეთ განზომილების განსაკუთრებული გააქტიურება გლობალურ თანამშრომლობაში და განვითარებადი აზიური ბაზრები ასახავს ძალთა ბალანსის მიმდინარე ცვლილებებს, რაც მოითხოვს ამ ტენდენციის ღრმა ანალიზს.

თანამშრომლობის რეგიონალური მოდელები მზარდია და უფრო მეტ აქტივობას გვიჩვენებს კონფლიქტების მოგვარებისა და ბიზნესის განვითარების სფეროებში.

თანამშრომლობის ისეთი ინტრარეგიონალური მოდელების გაღრმავება, როგორიცა არის BRICKS, APEC, და სხვა ფორმატები აღნიშნული პროცესის ხელშეწყობას მოწმობს.

ცვლილებების კონტექსტში, შეგვიძლია აღვნიშნოთ განვითარებადი ქვეყნების, როგორც „საშუალო ძალაუფლების“ და „მცირე ძალაუფლების“ მქონე მოქმედი პირების (განსაკუთრებით საშუალო დონის შემოსავლების მქონე) მზარდი როლი კრიზისის მენეჯმენტსა და გლობალურ ეკონომიკურ პროექტებში.

ეს და სხვა პრობლემები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, საქართველოს ინფრასტრუქტურა ვითარდება, მაგრამ ტემპი არის ხაზოვანი, მაშინ როდესაც გლობალური მოთხოვნა და გეოპოლიტიკური გარემო იცვლება სწრაფად და მოითხოვს მყისიერ რეაგირებას. აქ მთავარი გამსაზღვრელი ფაქტორი დროა, რომლის იგნორი ნიშნავს ქვეყნის ჩამორჩენას თანამედროვე პროცესებიდან.

ჩვენ თუ მივუდგებით მაკროეკონომიკური და სტრატეგიული ანალიზის ჭრილში იმ უმთავრეს ფუნდამენტურ გამოწვევებს, ისინი პირდაპირ განსაზღვრავენ საქართველოს ეკონომიკურ სუვერენიტეტსა და მდგრადობას. ესენია:

1. კრიტიკული ასიმეტრიული დამოკიდებულება სარისკო ბაზრებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური უსაფრთხოების ნომერ პირველ გამოწვევად. აქ იკვეთება ერთი ტენდენცია, როდესაც საქართველოს ეკონომიკის რამდენიმე წამყვანი სტრატეგიული მიმართულება არაპროპორციულადაა მიბმული არაპროგნოზირებად პარტნიორებზე, პირველ რიგში კი, რუსეთის ბაზარზე. ამაში შედის:

ა) სასურსათო უსაფრთხოება, რაც მოწყვლადია მყისიერი სასურსათო კრიზისის მიმართ;

ბ) სავაჭრო და სერვისების კონცენტრაცია, რაც დიდად არის დამოკიდებული გეოპოლიტიკურ კონიუნქტურაზე;

2. ენერგეტიკული მოწყვლადობა, რაც ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე პირდაპირპროპორციულად აისახება;

3. მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურული დეფიციტი და საგარეო ვალი, რაც

ეკონომიკის "შიდა არქიტექტურულ" სუსტ წერტილად უნდა განვიხილოთ. აქ მეტად მნიშვნელოვანია სავაჭრო დისბალანსი, რაც აისახება ქვეყნის იმპორტდამოკიდებულებაში. ქვეყნიდან ბევრად მეტი ვალუტა გადის, ვიდრე ექსპორტიდან შემოდის.

აქ უნდა გამოვყოთ "ემოციური" კომპენსირება, რისი შევსებაც ხდება ტურიზმითა და გზავნილებით. თუმცა, ეს ფაქტორები ეყრდნობა გარე ფაქტორებსა და მოლოდინებს. ეს ქმნის მუდმივ წნეხს ლარის კურსსა და ინფლაციაზე, რაც პირდაპირ ურტყამს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ზრდა არ გვაქვს, არამედ ის, რომ ეს ზრდა არის დაბალი ხარისხის და მაღალი რისკის შემცველი — იგი დიდწილად გარე მერყევ ფაქტორებზეა მიბმული და არა მყარ, ადგილობრივ წარმოებაზე.

დასკვნა

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას — ბაზრებისა და მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას, შიდა წარმოებისა და ტექნოლოგიების მედეგობის ამაღლებას და კიბერუსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებას.

საქართველოს ინფრასტრუქტურა ვითარდება, მაგრამ ტემპი არის ხაზოვანი, მაშინ როდესაც გლობალური მოთხოვნა და გეოპოლიტიკური გარემო იცვლება სწრაფად და მოითხოვს მყისიერ რეაგირებას. აქ მთავარი გამსაზღვრელი ფაქტორი დროა, რომლის იგნორი ნიშნავს ქვეყნის ჩამორჩენას თანამედროვე პროცესებიდან.

გამოყენებული ლიტერატური

აბესაძე რ. – საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები – https://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/391

პაპავა ვ. – დეგლობალიზაციის პრობლემა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები – https://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/391

ვეშაპიძე შ. – ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი კონცეფციების შესახებ – https://iem.ge

ჩიტიშვილი ნ. – ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა. 5.https://www.researchgate.net/publication/403280776_ekonomikuri_usaprtkhoebis_politika_teoria_da_praktika

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია – https://parliament.ge

Глазьев С.Ю. Основы экономической безопасности.

Amartya Sen – Development as Freedom.

World Bank Georgia Reports – https://www.worldbank.org/en/country/georgia.

IMF Georgia Country Reports – https://www.imf.org/en/Countries/GEO.

Tsimintia, K. Shadow Economy in the Prism of Economic Security – https://ojs.scipub.de/index.php/RRAL/article/view/3941.

Geostat.ge.

https://share.google/RZeJiN4awvTRGhrY.

The main challenges of Georgia's economic security

Murman Kvaratskhelia
Doctor of Economic Sciences, Professor
Sukhumi State University;
Chief Research Fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
murmankvara77@gmail.com

Summary

The article examines the primary challenges to Georgia's economic security and analyzes the key issues facing the country. Particular emphasis is placed on factors such as geopolitical fragmentation and "trade wars," as well as global conflicts and trade restrictions that disrupt the supply of critically important resources. The paper analyzes energy and resource dependency, risks associated with the green transition, financial instability and inflation, the external debt crisis, macroeconomic shocks, and digital threats. The study leads the author to conclude that the primary issue regarding Georgia's economic security is not a lack of growth, but rather that the growth is of low quality and high risk; it is largely tied to volatile external factors rather than to robust local production.

Keywords: economic security, geopolitical stability, fiscal and monetary policy, middle ground, geopolitical competition, food security.

გეოეკონომიკური ფაქტორების როლი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.veshapidze@tsu.ge

რამაზ ოთინაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
r.otinashvili@gtu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომი იკვლევს გეოეკონომიკური ფაქტორების როლს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში, როდესაც გლობალური ეკონომიკური სისტემა ხასიათდება მიწოდების ჯაჭვების გადანაწილებით, რეგიონული ეკონომიკური ბლოკების გაძლიერებითა და ეკონომიკური კონკურენციის ინტენსიფიკაციით. კვლევის მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ შეიძლება გეოეკონომიკა იქცეს მცირე სახელმწიფოსთვის სტრატეგიულ ინსტრუმენტად ეროვნული მდგრადობისა და უსაფრთხოების სისტემური გაძლიერებისთვის. ნაშრომში გამოყენებულია სისტემური, შედარებითი და ინსტიტუციური ანალიზის მეთოდები, აგრეთვე გეოეკონომიკური და სტრატეგიული მიდგომები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ეკონომიკური პროცესებისა და გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების ურთიერთკავშირი. თეორიული ჩარჩო ეფუძნება საერთაშორისო პოლიტეკონომიის კლასიკურ ავტორებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ეკონომიკური ძალის მზარდ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს გეოეკონომიკური პოზიცია, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო სივრცე, ქმნის მნიშვნელოვან სტრატეგიულ შესაძლებლობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნის მონაწილეობა „შუა დერეფანში“, შავი ზღვის პორტების განვითარება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია გლობალურ ლოგისტიკურ ქსელებში. ამასთან, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ადამიანური კაპიტალის განვითარება განიხილება როგორც ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების ძირითადი მექანიზმები.*

ნაშრომი ასკვნის, რომ გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოება და გეოეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განუყოფელ კომპონენტს. ეკონომიკური ზრდა, საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურული განვითარება ქმნის სახელმწიფოს მდგრადობის საფუძველს და ამცირებს საგარეო შოკებისადმი მოწყვლადობას. ამრიგად, გეოეკონომიკა განიხილება როგორც თანამედროვე მცირე სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიული მოდელის ცენტრალური ელემენტი.

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკა; ეროვნული უსაფრთხოება; საქართველო; გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია; შუა დერეფანი; გლობალური ღირებულებათა ჯაჭვები.*

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ეტაპი ხასიათდება გლობალიზაციის ტრანსფორმაციით ფრაგმენტირებულ მსოფლიო წესრიგში, სადაც მზარდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ ეკონომიკურ ბლოკებს, სტრატეგიულ ალიანსებსა და ლოგისტიკურ კოალიციებს. თუ XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისში გლობალიზაცია განიხილებოდა როგორც ერთიანი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, ბოლო ათწლეულში აშკარა გახდა მისი „რეგიონალიზაციის“ და „ფრაგმენტაციის“ ტენდენცია.

გლობალური ეკონომიკის თანამედროვე ტრანსფორმაცია მოიცავს რამდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ პროცესს (Porter, 1985; Gereffi, 1994; Lambert et al., 1998; Mentzer et al., 2001; Gereffi et al., 2005; Glushchenko, 2015; Christopher, 2016; Chopra & Meindl, 2019; Papava, 2001, 2017, 2019, 2021, 2022d, 2023, 2025; Papava & Bedianashvili, 2024; Babich et al., 2020):

ა) გლობალური მიწოდების ჯაჭვების რეორგანიზაცია, მათი დივერსიფიკაცია და რისკების მართვის ახალი მოდელების დანერგვა;

ბ) ეკონომიკური სანქციების, როგორც გეოეკონომიკური ზემოქმედების ინსტრუმენტის, ინტენსიფიკაცია და ინსტიტუციონალიზაცია;

გ) სატრანსპორტო-ლოგისტიკური და ენერგეტიკული დერეფნების გარშემო გეოპოლიტიკური კონკურენციის გაძლიერება;

დ) ტექნოლოგიური ბლოკების ფორმირება და ციფრული ეკონომიკის მზარდი სეგმენტაცია, რაც გლობალური ციფრული სივრცის ერთიანობის შემცირების ტენდენციას აძლიერებს.

მსოფლიო ბანკისა (World Bank — WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF — International Monetary Fund) შეფასებებით, გლობალური ვაჭრობის ზრდის ტემპი ბოლო წლებში ჩამორჩება მსოფლიო მშპ-ის ზრდას, რაც მიუთითებს ეკონომიკური ინტეგრაციის შენელებაზე და ფრაგმენტაციის გაძლიერებაზე. ამ პირობებში ეროვნული უსაფრთხოების ტრადიციული პარადიგმა, რომელიც ძირითადად სამხედრო-პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე იყო ორიენტირებული, აღარ არის საკმარისი. მცირე სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის, იზრდება გეოეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურას განიხილავს როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს.

ძირითადი ტექსტი

გეოეკონომიკა წარმოადგენს ინტერდისციპლინურ მიმართულებას, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო პოლიტეკონომიას, სტრატეგიულ კვლევებსა და ეკონომიკურ გეოგრაფიას. მისი მიზანია ეკონომიკური ძალაუფლებისა და გეოპოლიტიკური გავლენის ურთიერთკავშირის ანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება იმ ავტორთა ნაშრომებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკური ძალაუფლების შესწავლაში. მათ შორისაა სიუზან სტრეინჯი, რომელმაც შეიმუშავა „სტრუქტურული ძალაუფლების“ კონცეფცია და ეკონომიკური სტრუქტურები

ძალაუფლების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ განიხილა. რობერტ გილპინი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოსა და ბაზარს შორის ურთიერთქმედებაზე საერთაშორისო სისტემის ფარგლებში. ჯოზეფ ნაის თეორიები აერთიანებს „რბილი ძალის“ კონცეფციასა და ურთიერთდამოკიდებულების იდეას, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში გავლენის არაძალადობრივი ფორმების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მაიკლ პორტერის ნაშრომები კი ეფუძნება კონკურენტული უპირატესობის ეკონომიკურ მოდელს, რომელიც სახელმწიფოებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს განმარტავს.

თანამედროვე გეოეკონომიკის კვლევის ძირითადი მიმართულებები მოიცავს გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების ფუნქციონირების ანალიზს, რომელთა მნიშვნელობაც საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულად მაღალია. თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა უმეტესწილად გლობალური ღირებულების ჯაჭვების (GVCs) მეშვეობით ხორციელდება. ვაჭრობა აღიარებულია, როგორც **2030 წლის დღის წესრიგის** განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკის ინსტრუმენტი.

მსოფლიოში წარმოებული და გაყიდული საქონლისა და მომსახურების დიდი ნაწილი ერთ ქვეყანაში მთლიანად არ იქმნება — მისი წარმოების სხვადასხვა ეტაპი რამდენიმე ქვეყანაშია გადანაწილებული და ეს პროცესი დაკავშირებულია გლობალურ ღირებულების ჯაჭვებთან (Global Value Chains – GVCs). UNCTAD-ის მონაცემებით, გლობალური ღირებულების ჯაჭვების მეშვეობით ყოველწლიურად დაახლოებით 8 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების მსოფლიო ვაჭრობა ხორციელდება, რაც მსოფლიო ვაჭრობის საერთო მოცულობის თითქმის 70%-ს შეადგენს (Fernandez de Cordoba et al., 2021).

გეოეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის შეფასება, რადგან მათი ეკონომიკური ბრუნვა რიგ შემთხვევებში ცალკეული სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობასაც კი აღემატება. გეოეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებების, მათ შორის, ევროკავშირის (EU), ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (EAEU) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) საქმიანობისა და მათი გავლენის შესწავლა. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოების კონკურენტული უპირატესობების შეფასებას ტექნოლოგიური განვითარების დონის, ინოვაციური პოტენციალისა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ჭრილში.

შესაბამისად, გეოეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ანალიზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული ჩარჩო, რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მოვლენებად აღიქვამს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში ქვეყანას მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ უპირატესობას ანიჭებს. აღნიშნული გარემოება განაპირობებს მის აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო სატრანზიტო და ლოგისტიკურ ქსელებში, რაც ქვეყნის რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ ფუნქციას კიდევ უფრო აძლიერებს.

მსოფლიო ბანკის შეფასებების მიხედვით, საქართველო გამოირჩევა ეკონომიკის ღიაობის მაღალი ხარისხით. ამასთან, საგარეო ვაჭრობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სტრუქტურაში მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს აღემატება, რაც მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ინტეგრაციაზე საერთაშორისო ბაზრებთან და მის მაღალ დამოკიდებულებაზე გარე ეკონომიკურ პროცესებსა და სავაჭრო ურთიერთობებზე.

საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას ეფუძნება. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ქვეყნის მონაწილეობა „შუა დერეფანში“ (Middle Corridor), რომელიც წარმოადგენს ჩინეთის, ცენტრალური აზიის, კასპიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტს. ამასთანავე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის საპორტო ინფრასტრუქტურის, კერძოდ, ფოთისა და ბათუმის პორტების განვითარებასა და მათ ინტეგრაციას საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ქსელებში. საქართველოს გეოეკონომიკურ როლს ასევე აძლიერებს თანამედროვე სარკინიგზო და საავტომობილო ინფრასტრუქტურა, რომელიც კავკასიისა და კასპიის რეგიონებს ევროპულ ბაზრებთან აკავშირებს. ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ სახელმწიფოებთან.

გლობალური მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაციის ფონზე სატრანზიტო ფუნქციის მქონე სახელმწიფოების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, შავი ზღვის გასასვლელი და საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავს და აძლიერებს მის როლს, როგორც რეგიონული სატრანზიტო ჰაბისა. გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) შეფასებით, საზღვაო ტრანსპორტზე მოდის მსოფლიო საქონლით ვაჭრობის 80%-ზე მეტი მოცულობით და 70%-ზე მეტი ღირებულებით, რაც ადასტურებს საზღვაო სატრანსპორტო-ლოგისტიკური ქსელების გადამწყვეტ მნიშვნელობას საერთაშორისო ვაჭრობისა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონირებისთვის (United Nations Conference on Trade and Development [UNCTAD], 2023).

თანამედროვე პირობებში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო ასპექტებით და მოიცავს ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, ტექნოლოგიურ, საინფორმაციო და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებს. ამგვარი მრავალგანზომილებიანი მიდგომა სახელმწიფოს უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც სხვადასხვა სფეროს ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ერთობლიობას.

გეოეკონომიკური პერსპექტივიდან, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას რამდენიმე ძირითადი პრინციპი განაპირობებს. ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი ხელს უწყობს სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობის გაძლიერებას და ამცირებს შიდა არასტაბილურობის რისკებს. საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაცია ამცირებს ერთ კონკრეტულ ბაზარზე ან პარტნიორზე დამოკიდებულებას, ხოლო გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაცია ზრდის ეკონომიკის მდგრადობას, კონკურენტუნარიანობასა და ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების შესაძლებლობებს. ამასთანავე, სატრანსპორტო და სხვა სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარება

სახელმწიფოს გეოსტრატეგიულ ფუნქციასა და საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით, მცირე და ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები შედარებით მეტად ექვემდებარებიან გარე ეკონომიკურ შოკებს, თუმცა ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და ძლიერი ინსტიტუტების არსებობის პირობებში მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ ახალ გარემოებებთან ადაპტაცია და ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო გარემოში ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტური და სტრუქტურული კომპონენტი (International Monetary Fund).

ცხრილი 1. საქართველოს გეოეკონომიკური ფაქტორების გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე

ფაქტორი	ეკონომიკური ეფექტი	უსაფრთხოების ეფექტი
შუა დერეფანი (Middle Corridor)	სატრანზიტო შემოსავლები	სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდა
შავი ზღვის პორტები	ვაჭრობის გაფართოება	ენერგოუსაფრთხოება
პუი (FDI)	კაპიტალის ზრდა	ეკონომიკური მდგრადობა
გლობალური ღირებულების ჯაჭვები (GVC)	ექსპორტის ზრდა	საგარეო შოკების შემცირება
ადამიანური კაპიტალი	პროდუქტიულობა	გრძელვადიანი მდგრადობა

წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ.

ცხრილი 1 ასახავს საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორებს, მათ ეკონომიკურ შედეგებსა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე მათ გავლენას. ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო გარემოში ეკონომიკური განვითარება და ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, ხოლო გეოეკონომიკური ინსტრუმენტები სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად ყალიბდება.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „შუა დერეფნის“ განვითარებას, რომელიც ზრდის ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს და აძლიერებს მის სტრატეგიულ როლს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში. ამავე დროს, შავი ზღვის პორტების განვითარება ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის გაფართოებას, ლოგისტიკური სისტემის გაუმჯობესებასა და ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას მნიშვნელოვნად აძლიერებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაცია, რაც ზრდის ტექნოლოგიური განვითარების, ექსპორტისა და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარება, რადგან განათლება, პროფესიული უნარები და ინოვაციური პოტენციალი თანამედროვე

გეოეკონომიკურ გარემოში ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ სტრატეგიულ რესურსად მიიჩნევა.

ამრიგად, ცხრილის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერება ეფუძნება არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებს, არამედ ეკონომიკური, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით, შემდეგ ეტაპზე წარმოდგენილია საქართველოს გეოეკონომიკური SWOT-ანალიზი, რომელიც ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე განვითარების შესაძლებლობებსა და არსებულ საფრთხეებს აერთიანებს (ცხრილი 2).

ცხრილი 2. საქართველოს გეოეკონომიკის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
მდებარეობა	მცირე ბაზარი
DCFTA	ენერგოდამოკიდებულება
შუა დერეფანი	მცირე ინდუსტრია
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მიწოდების ჯაჭვის რელოკაცია	რეგიონული ომები
პუი	სანქციები
ევროინტეგრაცია	კონკურენტი დერეფნები

წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ.

საქართველოს გეოეკონომიკური ძლიერი მხარეებიდან უმთავრესია მისი სტრატეგიული მდებარეობა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში, რაც ზრდის ქვეყნის სატრანზიტო მნიშვნელობას. ასევე მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს DCFTA, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის ბაზარზე წვდომას, ექსპორტის განვითარებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. დამატებით, „შუა დერეფანი“ აძლიერებს საქართველოს როლს საერთაშორისო ლოგისტიკურ ქსელებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სუსტ მხარეებად გამოიკვეთება შიდა ბაზრის შედარებით მცირე მოცულობა, საგარეო ვაჭრობაზე მაღალი დამოკიდებულება, რეგიონული გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტებს შორის მზარდი კონკურენცია და ტექნოლოგიური თუ ინდუსტრიული განვითარების დაჩქარების აუცილებლობა. 2025 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 38,1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც ქვეყნის შიდა ბაზრის შედარებით შეზღუდულ მოცულობაზე მიუთითებს (წყარო:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp). ამასთან, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო მნიშვნელოვან სტრუქტურულ გამოწვევად რჩება: 2024 წელს მან 10 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 2025 წლის წინასწარი მონაცემებით 11 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება (წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba). მცირე შიდა ბაზარი, ენერგეტიკული დამოკიდებულება და ინდუსტრიული სექტორის შედარებით დაბალი განვითარება, ზღუდავს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. ამასთან,

გლობალური მიწოდების ჯაჭვების ცვლილებები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ევროინტეგრაციის გაღრმავება საქართველოსთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის.

ძირითად საფრთხეებს წარმოადგენს რეგიონული არასტაბილურობა, გარე ეკონომიკური ზეწოლა და კონკურენტული სატრანსპორტო დერეფნების განვითარება. შესაბამისად, საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება დამოკიდებულია სტაბილურ სახელმწიფო პოლიტიკაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებაზე.

დიაგრამა 1 წარმოადგენს კვლევის კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს გეოპოლიტიკურ გარემოსა და საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში.

დიაგრამა 1. გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია და გეოეკონომიკური სტრატეგიები



წყარო: აგებულია ავტორთა მიერ.

დიაგრამა 1-ის კონცეპტუალური საფუძველი არის გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სისტემის დაყოფას, ეკონომიკური ბლოკების გაძლიერებას, მიწოდების ჯაჭვების ცვლილებასა და კონკურენციის ზრდას. აღნიშნული პროცესები ზრდის ეკონომიკური ინსტრუმენტების მნიშვნელობას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

დიაგრამაში გამოყოფილია ხუთი ძირითადი გეოეკონომიკური მიმართულება: ტრანსპორტი და ლოგისტიკა, რომელიც აძლიერებს საქართველოს სატრანზიტო როლს; ინვესტიციები, რომლებიც ხელს უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებასა და ეკონომიკურ

მოდერნიზაციას; ადამიანური კაპიტალი, რომელიც ქმნის ინოვაციური განვითარების საფუძველს; გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაცია, რაც ზრდის ექსპორტსა და ეკონომიკურ მდგრადობას; და ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობასა და გეოსტრატეგიულ ფუნქციას.

დიაგრამის ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულია და ერთიან გეოეკონომიკურ სისტემას ქმნის. მათი ეფექტიანი განვითარება ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, აძლიერებს ეკონომიკურ მდგრადობას და ხელს უწყობს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას. ამასთან, გლობალური ეკონომიკური ფრაგმენტაცია საქართველოსთვის ერთდროულად წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ისე ახალ შესაძლებლობას.

საქართველოს გეოეკონომიკური განვითარების ძირითად გამოწვევებად განიხილება მცირე შიდა ბაზარი, საგარეო ვაჭრობაზე მაღალი დამოკიდებულება, რეგიონული გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, სატრანსპორტო დერეფნებს შორის მზარდი კონკურენცია და ტექნოლოგიური თუ ინდუსტრიული განვითარების საჭიროება.

ამავდროულად, ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, მათ შორის „შუა დერეფანში“ (Middle Corridor) სატრანზიტო როლის გაძლიერება, ალტერნატიული ლოგისტიკური მარშრუტების განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა (UNCTAD-ის მონაცემებით, რეგიონში FDI ნაკადების ზრდის ტენდენცია შეინიშნება), ციფრული ეკონომიკის გაფართოება და ევროკავშირის ბაზართან ინტეგრაციის გაღრმავება DCFTA-ის ფარგლებში (Deep and Comprehensive Free Trade Area).

გეოეკონომიკური მექანიზმები ეროვნული უსაფრთხოების გასაძლიერებლად რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. მათ შორის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, რადგან პორტების, რკინიგზისა და საავტომობილო ქსელების მოდერნიზაცია ზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, განსაკუთრებით „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) ფარგლებში.

მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, რაც მოითხოვს სამართლებრივ სტაბილურობას, ინვესტორთა უფლებების დაცვასა და ინსტიტუციურ გამჭვირვალობას. ასევე, ეკონომიკის დივერსიფიკაცია ამცირებს ცალკეულ სექტორებზე დამოკიდებულებას და ზრდის ქვეყნის მდგრადობას გარე შოკების მიმართ. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაცია ხელს უწყობს ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას, ექსპორტის ზრდასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. ამასთანავე, ადამიანური კაპიტალის განვითარება, განათლებისა და ტექნოლოგიური უნარების გაუმჯობესება, წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს (World Bank Human Capital Index).

ამრიგად, მცირე სახელმწიფოებისთვის გეოეკონომიკური სტრატეგია წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ტრადიციულ უსაფრთხოების მოდელთან შედარებით, იგი ხელს უწყობს ეკონომიკური მდგრადობის ზრდას, კერძო სექტორის ჩართულობას, უსაფრთხოების არამატერიალური მექანიზმების გაძლიერებას და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფას.

სიუზან სტრეინჯის „სტრუქტურული ძალაუფლების“ (structural power) კონცეფციის მიხედვით, საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ იმ სახელმწიფოებს,

რომლებიც აკონტროლებენ ფინანსურ, სავაჭრო და საწარმოო სტრუქტურებს. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარება მხოლოდ განვითარების მიზანი არ არის — იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

კვლევამ შეისწავლა გეოეკონომიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში. შედეგები აჩვენებს, რომ თანამედროვე გარემოში უსაფრთხოება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო სფეროთი და ეკონომიკური მდგრადობა მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი გახდა.

გეოეკონომიკა წარმოადგენს სახელმწიფოს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ საერთაშორისო გავლენისა და სტრატეგიული მდგრადობის ინსტრუმენტს. ეკონომიკური რესურსები, ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, სავაჭრო ქსელები და ადამიანური კაპიტალი ქმნის თანამედროვე უსაფრთხოების საფუძველს, რასაც ადასტურებს საერთაშორისო პოლიტეკონომიის წამყვანი თეორიებიც.

საქართველოს შემთხვევაში, გეოგრაფიული მდებარეობა და „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) განვითარება მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ უპირატესობას წარმოადგენს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, შავი ზღვის პორტების, ენერგეტიკული და ციფრული კავშირების გაძლიერება ზრდის ქვეყნის საერთაშორისო როლს.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს არა მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას, არამედ ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ინოვაციების მხარდაჭერას, გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაციასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ინსტიტუციური გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება. ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა, სტაბილური საინვესტიციო გარემო და განათლების სისტემის გაუმჯობესება ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას, ისე ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

საბოლოოდ, კვლევა ადასტურებს, რომ გეოპოლიტიკური ცვლილებების პირობებში საქართველოს უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გეოეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებაზე. ეკონომიკური მდგრადობა, ინფრასტრუქტურული განვითარება, საერთაშორისო ინტეგრაცია და პარტნიორობების დივერსიფიკაცია წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიანი უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფუძველს.

References

Babich, Y., Keshelava, D., & Mzhavanadze, G. (2020, March 17). *What matters is who you produce with, not who your trading partner is: An analysis of Georgia's integration into global and regional value chains*. ISET Economist.

Bedianashvili, G. (2023). Macrosystemic challenges of uncertainty under the conditions of confrontational globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17*(2), 174–179.

Bedianashvili, G., Kokhreidze, G., & Mikeladze, N. (2024). Economic policy of global sustainable competitiveness and economic security: A macro perspective. In *Proceedings of the VI National Scientific Conference: Transformation of the World Order and Economic Security: Main Challenges and Opportunities for Georgia* (pp. 53–54). Akaki Tsereteli State University.

Chopra, S., & Meindl, P. (2019). *Supply chain management: Strategy, planning, and operation* (7th ed.). Pearson.

Christopher, M. (2016). *Logistics & supply chain management* (5th ed.). Pearson.

Fernandez de Cordoba, S., Elamin, N. E. A., & Marx, A. (2021, August 23). *Minding the gap to foster better trade for sustainable development*. United Nations Conference on Trade and Development. https://unctad.org/news/minding-gap-foster-better-trade-sustainable-development

Friedman, T. L. (2005). *The world is flat: A brief history of the twenty-first century*. Farrar, Straus and Giroux.

Gereffi, G. (1994). The organization of buyer-driven global commodity chains: How U.S. retailers shape overseas production networks. In G. Gereffi & M. Korzeniewicz (Eds.), *Commodity chains and global capitalism* (pp. 95–122). Praeger.

Gereffi, G., Humphrey, J., & Sturgeon, T. J. (2005). The governance of global value chains. *Review of International Political Economy, 12*(1), 78–104. https://doi.org/10.1080/09692290500049805

Gilpin, R. (2001). *Global political economy: Understanding the international economic order*. Princeton University Press.

Glushchenko, V. V. (2015). Geoeconomic factor of ensuring national security of the state. *National Security, 5*(40). https://doi.org/10.7256/2073-8560.2015.5.16427

International Monetary Fund. (2024). *World Economic Outlook: Steady but Slow – Resilience amid Divergence*. IMF.

Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's strategic role in Eurasian transport and digital logistics transformation. *The New Economist, 20*(2), 40–53.

Kharaishvili, E. (2025). The new reality of agri-food industry functioning under conditions of geo-economic fragmentation. In *Proceedings of the X International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business* (pp. 341–349). Tbilisi State University.

Lambert, D. M., Cooper, M. C., & Pagh, J. D. (1998). Supply chain management: Implementation issues and research opportunities. *The International Journal of Logistics Management, 9*(2), 1–20. https://doi.org/10.1108/09574099810805807

Mentzer, J. T., DeWitt, W., Keebler, J. S., Min, S., Nix, N. W., Smith, C. D., & Zacharia, Z. G. (2001). Defining supply chain management. *Journal of Business Logistics, 22*(2), 1–25. https://doi.org/10.1002/j.2158-1592.2001.tb00001.x

Nye, J. S. (2004). *Soft power: The means to success in world politics*. PublicAffairs.

Othinashvili, R. (2025). *Business security* (2nd rev. & expanded ed.). Technical University Publishing House.

Othinashvili, R., & Kuprashvili, M. (2025). Business security in the country's national security system. *Proceedings of the Georgian Technical University, 3*(537), 43–51.

Othinashvili, R., & Othinashvili, T. (2021). Important aspects of Georgia's rapid economic growth. *Science and Technologies, 1*(735), 20–28.

Othinashvili, R., Elisabedashvili, A., & Bedinashvili, V. (2023). Fundamentals of systemic management of business security. *Economics, 105*(8–10), 157–168. https://doi.org/10.36962/ECS105/8-10/2023-168

Othinashvili, R., Elisabedashvili, A., & Bedinashvili, V. (2023). Important aspects of forming a secure business environment. In *Proceedings of the VII International Scientific Conference "Globalization and Modern Challenges of Business"* (pp. 271–275). Georgian Technical University.

Otinashvili, R., Veshapidze, S., Oboladze, B., & Otinashvili, T. (2026). Economic security of Georgia in the context of global challenges. *Innovative Economics and Management, 13*(1), 137–144.

Papava, V. (2001). *Sakartvelos saertashoriso ekonomikuri punktsia [Georgia's international economic function]. Social Economy*, (5). (in Georgian).

Papava, V. (2017). *One Belt One Road Initiative and Georgia* (Expert Opinion No. 93). Georgian Foundation for Strategic and International Studies.

Papava, V. (2019). *Sakartvelos geoekonomikuri punktsia da satranzito potentsiali [Georgia's geoeconomic function and transit potential]. Journal of Economics and Business*, (3). (in Georgian).

Papava, V. (2021). On pseudo de-globalization, Silk Road of global value chains and role of Georgia. *Eurasia Review.*

Papava, V. (2022a). Moving from hyper-globalization. *Eurasia Review.*

Papava, V. (2022b). On illegal globalization, or can globalization ever end? *Eurasia Review.*

Papava, V. (2022c). On sanctionomics and the externalities of economic sanctions. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 16*(2), 142–149.

Papava, V. (2022d). Pandemic, war and economic sanctions: From turbulent to confrontational globalization. *Eurasia Review.*

Papava, V. (2023). *The Pandemic, the Russia–Ukraine War, and the Economic Threats Associated with Them* (in Georgian). Proceedings of the Paata Gugushvili Institute of Economics of Tbilisi State University, No. 14, 36–56.

Papava, V. (2023a). Illegal globalization is Russia's main "ally" against the West. *Eurasia Review.*

Papava, V. (2025). *Transport corridors of Central Asia: Facing the challenges of confrontational globalization*. Georgian Foundation for Strategic and International Studies & Estonian School of Diplomacy.

Papava, V., & Bedianashvili, G. (2024). Social and economic resilience in conditions of confrontational globalization and uncertainty. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 18*(3), 174–180.

Papava, V., & Tokmazishvili, M. (2008). Pipeline harmonization instead of alternative pipelines: Why the pipeline "Cold War" needs to end. *Azerbaijan in the World, 1*(10).

Pavliashvili, S., Garakanidze, Z., & Mirzayev, B. (2024). *Geoekonomika srednego koridora [Geoeconomics of the Middle Corridor].* NIU "TIIIMSKh".

Porter, M. E. (1985). *Competitive advantage: Creating and sustaining superior performance*. Free Press.

Porter, M. E. (1990). *The competitive advantage of nations*. Free Press.

Strange, S. (1996). *The retreat of the state: The diffusion of power in the world economy*. Cambridge University Press.

United Nations Conference on Trade and Development. (2020, September 8). *Post-pandemic plea for sustainable value chains*. https://unctad.org/news/post-pandemic-plea-sustainable-value-chains

United Nations Conference on Trade and Development. (2020, September 10). *Minding the gap to foster better trade for sustainable development*. https://unctad.org/news/minding-gap-foster-better-trade-sustainable-development

United Nations Conference on Trade and Development. (2023). *Review of maritime transport 2023*. United Nations.

United Nations Conference on Trade and Development. (2020, May 27). *Post-pandemic plea for sustainable value chains*. United Nations. https://unctad.org/news/post-pandemic-plea-sustainable-value-chains

United Nations Conference on Trade and Development. (2023). *Review of Maritime Transport 2023*. United Nations. https://unctad.org/publication/review-maritime-transport-2023

United Nations Conference on Trade and Development. (2023). *Trade and Environment Review 2023: Inclusive green trade in the era of climate change*. United Nations. https://unctad.org/publication/trade-and-environment-review-2023

Veshapidze, S. (2023). *Modern priorities of ensuring foreign economic security of Georgia.*

Veshapidze, S. (2025). *Georgia's geo-economic integration into global trade networks.*

Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of globalization under the COVID-19 pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 16*(4), 152–157.

White House. (2023). *Memorandum of understanding on the principles of an India–Middle East–Europe Economic Corridor.*

World Bank. (2018). *Global Trade: Slowdown, Factors, and Policies* (Research & Policy Brief No. 12). Washington, DC: World Bank.

World Bank. (2020). *South Caucasus and Central Asia: Belt and Road Initiative, Azerbaijan country case study.*

World Bank. (2023a). *Middle Corridor through Central Asia, Caucasus can boost trade, connectivity and supply chain resilience, says new report.*

World Bank. (2023b). *Middle trade and transport corridor: Policies and investments to triple freight volumes and halve travel time by 2030.*

Zeihan, P. (2022). *The end of the world is just the beginning: Mapping the collapse of globalization*. Harper Business.

Zoidze, G., Otinashvili, R., & Veshapidze, S. (2025). The power of information: How business intelligence shapes a company's economic sustainability. *Three Seas Economic Journal, 6*(2), 1–8.

The Role of Geoeconomic Factors in Ensuring Georgia's National Security

Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.veshapidze@tsu.ge

Ramaz Otinashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Georgian Technical University
r.otinashvili@gtu.ge

Summary

The present study examines the role of geoeconomic factors in ensuring Georgia's national security under conditions of geopolitical fragmentation, where the global economic system is characterized by the reconfiguration of supply chains, the strengthening of regional economic blocs, and intensified economic competition. The aim of the research is to analyze how geoeconomics can function as a strategic instrument for a small state in strengthening national resilience and systemic security. The study employs systemic, comparative, and institutional analysis methods, as well as geoeconomic and strategic approaches, which make it possible to assess the interconnection between economic processes and geopolitical transformations. The theoretical framework is based on classical authors of international political economy who emphasize the growing importance of economic power in international relations. The research findings indicate that Georgia's geoeconomic position as a transit space connecting Europe and Asia creates significant strategic opportunities. Particularly noteworthy are the country's participation in the "Middle Corridor," the development of Black Sea ports, and the integration of transport infrastructure into global logistics networks. At the same time, improving the investment environment, diversifying the economy, and developing human capital are considered key mechanisms for strengthening national security. The study concludes that under conditions of geopolitical fragmentation, economic security and geoeconomic policy constitute an integral component of Georgia's national security system. Economic growth, integration into international value chains, and infrastructural development form the foundation of state resilience and reduce vulnerability to external shocks. Thus, geoeconomics is regarded as a central element of the security strategy model of a modern small state.

Keywords: Geoeconomics; National Security; Georgia; Geopolitical Fragmentation; Middle Corridor; Global Value Chains.

უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის თანამედროვე პარადიგმა

ნინო მიქიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.mikiashvili@tsu.ge

ანოტაცია. *ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ხელოვნური ინტელექტის, დიდი მონაცემების და მონაცემთა ანალიზის ფართო დანერგვამ არსებითად შეცვალა უმაღლესი განათლების განვითარების ტრაექტორია. ტრადიციული უნივერსიტეტი ეტაპობრივად ტრანსფორმირდება ინოვაციებზე, მონაცემებსა და ციფრულ მმართველობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციად, რომელიც ერთდროულად ასრულებს საგანმანათლებლო, კვლევით, ტექნოლოგიურ და სოციალურ ფუნქციებს. აღნიშნული ცვლილებები საფუძვლად დაედო „უნივერსიტეტი 4.0"-ის და „ჭკვიანი უნივერსიტეტის" კონცეფციებს, რომლებიც უმაღლესი განათლების განვითარების ერთ-ერთ პარადიგმად მიიჩნევა. სტატიის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე გააანალიზოს „უნივერსიტეტი 4.0"-ის, „ჭკვიანი უნივერსიტეტის" და ციფრული ეკოსისტემების თეორიული საფუძვლები, მათი ურთიერთკავშირი და როლი უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის, ნივთების ინტერნეტის, დიდი მონაცემების, სწავლის (სწავლების) ანალიზს და სპირალური ინოვაციური მოდელების მნიშვნელობას უნივერსიტეტების სტრატეგიული განვითარების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება სისტემურ ანალიზს, შედარებით და კონცეპტუალურ მიდგომებს, რომლითაც ფასდება ციფრული ტექნოლოგიების გავლენა უნივერსიტეტების მმართველობაზე, კვლევით საქმიანობასა და სწავლების პროცესზე. კვლევის შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, არამედ ციფრული ეკოსისტემების, ინოვაციური პარტნიორობისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ეფექტიან ინტეგრაციაზე. ანუ, „უნივერსიტეტი 4.0" და „ჭკვიანი უნივერსიტეტი" ქმნის უმაღლესი განათლების ახალ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკის, ინოვაციების და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.*

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება;* ***ციფრული ეკოსისტემა; ხელოვნური ინტელექტი; სპირალური მოდელები***

შესავალი

მაღლესი განათლების სისტემა ღრმა ტრანსფორმაციის პროცესშია, რაც განპირობებულია როგორც ტექნოლოგიური პროგრესით, ასევე ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის, გლობალიზაციის და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის („ინდუსტრია 4.0") მიერ წამოყენებული მოთხოვნებით. უნივერსიტეტები თანდათან შორდებიან ტრადიციულ საგანმანათლებლო მოდელს და გარდაიქმნებიან მრავალფუნქციურ ინსტიტუტებად, რომლებიც აერთიანებენ სწავლას, კვლევას, ინოვაციებს, მეწარმეობას და ციფრულ მმართველობას.

უნივერსიტეტების განვითარების გასაგებად აუცილებელია ისტორიული კონტექსტის განხილვა. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია უნივერსიტეტების განვითარების ოთხეტაპიანი მოდელი.

„უნივერსიტეტი 1.0“-ის მოდელი ეფუძნებოდა უნივერსიტეტის, როგორც ცოდნის გადაცემის ინსტიტუტის კლასიკურ გაგებას. მოგვიანებით, „უნივერსიტეტი 2.0“ კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტის მეორე ფუნდამენტურ ფუნქციად აქცევს. XXI საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა „უნივერსიტეტი 3.0“-ის კონცეფცია. მან უნივერსიტეტს მეწარმეობრივი ფუნქცია შესძინა და გააძლიერა კავშირი წარმოებასთან, ინოვაციებთან, ტექნოლოგიების გადაცემასთან. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დროს კი ჩამოყალიბდა „უნივერსიტეტი 4.0“. ის ეფუძნება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას უნივერსიტეტის ყველა ძირითად ფუნქციაში, ხოლო უნივერსიტეტს განიხილავს ინოვაციური ეკოსისტემის ცენტრად. აღნიშნული ევოლუცია დაკავშირებულია ინდუსტრიულ რევოლუციებთან. თუ „ინდუსტრია 1.0-3.0“ უპირატესად მექანიზაციას, ელექტრიფიკაციასა და ავტომატიზაციას ეფუძნებოდა, „ინდუსტრია 4.0“ იყენებს: ხელოვნური ინტელექტს, კიბერფიზიკურ სისტემებს, ღრუბლოვან ტექნოლოგიებს, ნივთების ინტერნეტს და დიდ მონაცემებს. შეიცვალა უნივერსიტეტების ფუნქციონირების ლოგიკა. ცოდნის ფორმირება, გავრცელება და გამოყენება ციფრულ პლატფორმებს და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს დაუკავშირდა.

თეორიული თვალსაზრისით, უნივერსიტეტების ტრანსფორმაცია ემყარება ადამიანისეული კაპიტალის, ენდოგენური ეკონომიკური ზრდის თეორიებსა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის კონცეფციას. ამ მიდგომებით, უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ინოვაციების, ტექნოლოგიური პროგრესისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტია.

კვლევის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე უნივერსიტეტების და ციფრული ეკოსისტემების კონცეპტუალური საფუძვლების გააანალიზება, მათი ურთიერთკავშირის შეფასება და იმ ფაქტორების წარმოჩება, რომლებიც განსაზღვრავს უმაღლესი განათლების სისტემის წარმატებულ ციფრულ ტრანსფორმაციას.

კვლევა ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვას, შედარებით ანალიზსა და კონცეპტუალურ სინთეზს. გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, OECD, World Economic Forum) თუ აკადემიური პუბლიკაციების მონაცემები და თეორიული მიდგომები.

ლიტერატურის მიმოხილვა

უმაღლესი განათლების განვითარების პერიპეტიები. მრავალფუნქციური, ციფრულად ინტეგრირებული უნივერსიტეტი სისტემურად აერთიანებს განათლებას, კვლევას, ინოვაციებს, მეწარმეობას და საზოგადოებრივ განვითარებას. ცალსახად აღინიშნება, რომ „ინდუსტრია 4.0“-ის ეპოქაში კონკურენტუნარიანობა ეფუძნება ცოდნის სწრაფ გენერირებას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას და ინოვაციური ეკოსისტემების განვითარებას. ამიტომ, უნივერსიტეტები ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციურ აქტორად ყალიბდებიან (Schwab, 2016). ამასთან ერთად, კვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება მოითხოვს განათლების სისტემის უწყვეტ მოდერნიზაციას, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციასა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას (Mikiashvili, 2020), რაც „უნივერსიტეტი 4.0“-ის და უნივერსიტეტების ციფრული ეკოსისტემების განვითარების თეორიული საფუძველია.

ცხრილი 1. „უნივერსიტეტი 4.0“-ის ძირითადი მახასიათებლები

კომპონენტი	ტრადიციული უნივერსიტეტი	„უნივერსიტეტი 4.0“
სწავლება	ლექტორზე ორიენტირებული	სტუდენტზე, მონაცემებზე ორიენტირებული
კვლევა	აკადემიური პუბლიკაციები	ინოვაციები, ტექნოლოგიური ტრანსფერი
მმართველობა	ადმინისტრაციული	ციფრული და მონაცემებზე დაფუძნებული
პარტნიორობა	შეზღუდული	ბიზნესთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან
ტექნოლოგიები	სწავლების მართვა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი, დიდი მონაცემები, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები

წყარო: ავტორის სინთეზი „ჭკვიანი უნივერსიტეტის“: ციფრული მმართველობისა და ინტელექტუალური ინფრასტრუქტურის მოდელის საფუძველზე

„უნივერსიტეტი 4.0“-ის მოდელის თავისებურებაა სწავლების, კვლევის და ტექნოლოგიური განვითარების ინტეგრაცია (იხ. ცხრილი 1). მკვლევრები (Miranda et al, 2021) აღნიშნავენ, რომ წარმატებული უნივერსიტეტები მჭიდრო კავშირშია ბიზნესთან, სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან, ხელს უწყობს ტექნოლოგიების გადაცემას, სტარტაპების განვითარებას და ინოვაციების კომერციალიზაციას. შესაბამისად, უნივერსიტეტის მისია ფართოვდება. იგი გარდაიქმნება რეგიონული და ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრატეგიულ ბირთვად.

„უნივერსიტეტი 4.0“-ის განვითარება ეფუძნება ადამიანისეული კაპიტალის თეორიას, ენდოგენური ეკონომიკური ზრდის მოდელსა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის კონცეფციას. თეორიის თანახმად, უნივერსიტეტებში განხორციელებული ინვესტიციები განათლების ხარისხთან ერთად გავლენას ახდენს ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობებზე, ტექნოლოგიურ პროგრესსა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. ამიტომ, OECD (2019) და UNESCO (2021) უმაღლეს განათლებას განიხილავენ, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუციურ მექანიზმს.

ცხრილი 2. „უნივერსიტეტი 4.0“ და „ჭკვიანი უნივერსიტეტი“

კრიტერიუმი	„უნივერსიტეტი 4.0“	„ჭკვიანი უნივერსიტეტი“
ძირითადი მიზანი	ინოვაციები და ცოდნის კომერციალიზაცია	ინტელექტუალური მმართველობა
მთავარი მისია	კვლევა, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა	ციფრული სერვისები
ძირითადი ტექნოლოგიები	ხელოვნური ინტელექტი, რობოტოტექნოლოგია, დიდი მონაცემები	ნივთების ინტერნეტი, სწავლების ანალიზი, „ჭკვიანი“ საცხოვრებელი

შედეგი	ინოვაციური ეკოსისტემა	ეფექტიანი ინსტიტუციური მართვა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე

„უნივერსიტეტი 4.0"-ის პარალელურად სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება **„ჭკვიანი უნივერსიტეტის"** კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს უნივერსიტეტის საშინაო პროცესების ინტელექტუალურ ორგანიზაციასა და ციფრულ მმართველობაზე. მასში გადაწყვეტილებებს მიიღება რეალურ დროში მიღებული მონაცემების საფუძველზე და ეფექტიანად გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები ინსტიტუციური საქმიანობის ყველა მიმართულებით (Coccia, 2020).

მეცნიერთა ჯგუფის აზრით (Gul at al, 2022), „ჭკვიანი უნივერსიტეტის" საფუძველია ტექნოლოგიების ინტეგრაცია: ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი, ღრუბლოვანი გამოთვლები, მონაცემთა ანალიზი და კიბერფიზიკური სისტემები. ტექნოლოგიები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რესურსების ოპტიმალურ მართვას, ენერგოეფექტიანობას, სასწავლო პროცესის პერსონალიზაციას, ადმინისტრაციული მომსახურების ავტომატიზაციასა და სტუდენტური გამოცდილების გაუმჯობესებას.

„უნივერსიტეტი 4.0" და „ჭკვიანი უნივერსიტეტი" ხშირად ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებად გამოიყენება, თუმცა მათი შინაარსი განსხვავებულია (იხ. ცხრილი 2). პირველი მათგანი მეტად დაკავშირებულია ინოვაციებთან, კვლევასა და ეკონომიკურ განვითარებასთან, ხოლო მეორე კი ციფრულ მმართველობასთან, მონაცემთა ანალიზთან, უნივერსიტეტის შიგა პროცესების ეფექტიან ორგანიზაციასთან. პრაქტიკაში ორივე კონცეფცია ურთიერთშემავსებელია.

ციფრული ეკოსისტემები, ნივთების ინტერნეტი და დიდი მონაცემები. ციფრული ეკოსისტემა თანამედროვე უნივერსიტეტის განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ის აერთიანებს ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, მონაცემებს, ადამიანისეულ კაპიტალს, ციფრულ მომსახურებას და ინსტიტუციურ პროცესებს ქმნის რა პირობებს სწავლების, კვლევისა და მმართველობის უწყვეტი ინტეგრაციისთვის.

ციფრული ეკოსისტემის ტექნოლოგიური ბირთვია **ნივთების ინტერნეტი**. ის განიმარტება (Atzori et al., 2010) როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული მოწყობილობები, სენსორები და პროგრამული სისტემები მონაცემთა ავტომატური შეგროვება-გადაცემა-დამუშავებისთვის. უნივერსიტეტებში ნივთების ინტერნეტი ვლინდება ჭკვიანი საცხოვრებლების, ენერგორესურსების ინტელექტუალური მართვის, უსაფრთხოების სისტემების, ბიბლიოთეკების ავტომატიზაციისა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მიმართულებით.

ნივთების ინტერნეტის მიერ გენერირებული მონაცემების ეფექტიანი გამოყენება პირდაპირაა დაკავშირებული დიდი მონაცემების კონცეფციასთან. დიდი მონაცემები უმაღლეს განათლებაში მხოლოდ ინფორმაციის დაგროვებას არ ნიშნავს; ის ვლინდება სწავლის, პროგნოზული მოდელების, სტუდენტთა აკადემიური რისკების იდენტიფიცირების, სასწავლო პროგრამების შეფასებისა და ინსტიტუციური დაგეგმვის პროცესში. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მმართველობას და ზრდის უნივერსიტეტის ოპერაციულ ეფექტიანობას.

მკვლევრების აზრით, ციფრული ეკოსისტემების განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, არამედ მონაცემთა დაცვის, კიბერუსაფრთხოების,

ეთიკური მართვისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების თანმიმდევრულ პოლიტიკას (Danie, 2015 & Siemens და Long 2011). მათზეა დამოკიდებული ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობა და უნივერსიტეტების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა.

„სპირალური“ ინოვაციური მოდელები და უნივერსიტეტების ტრანსფორმაცია. უნივერსიტეტების განვითარების თეორიული საფუძვლის ნაწილია ინოვაციების მაგენერირებადი „სამმაგი სპირალის“, „ოთხმაგი სპირალის“ და „ხუთმაგი სპირალის“ მოდელები. „სამმაგი სპირალის“ მოდელი (Etzkowitz & Leydesdorff, 2000) ინოვაციას უნივერსიტეტის, წარმოების და სახელმწიფოს დინამიკური ურთიერთქმედების შედეგად მიიჩნევს, რადგან უნივერსიტეტს განიხილავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ ინოვაციების, ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულად.

ციფრული ტრანსფორმაციის გაღრმავებასთან ერთად „სამმაგი სპირალის“ კლასიკური მოდელი გაფართოვდა. მას დაემატა სამოქალაქო საზოგადოება, მედია და კულტურული გარემო (Carayannis & Campbell, 2009). ჩამოყალიბდა „ოთხმაგი სპირალის“ მოდელი. მოგვიანებით გარემოსდაცვითი განზომილების დამატებით (Carayannis et al, 2009) შეიქმნა „ხუთმაგი სპირალის“ მოდელი. ის ინოვაციებს მდგრადი განვითარების, მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის კონტექსტში სწავლობს.

ამრიგად, ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი ადასტურებს ისეთი ინტეგრირებული კონცეპტუალური მიდგომის განვითარების აუცილებელობას, რომელიც გააერთიანებს „უნივერსიტეტი 4.0“-ს, „ჭკვიან უნივერსიტეტს“, ციფრულ ეკოსისტემებს, ხელოვნურ ინტელექტს, ნივთების ინტერნეტს, დიდ მონაცემებს და „სპირალის“ ინოვაციურ მოდელებს. ამგვარი ინტეგრირებული ხედვით ხდება უნივერსიტეტების ციფრული ტრანსფორმაციის უფრო სრულყოფილი გააზრება და მათი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. დასტურდება, რომ „უნივერსიტეტი 4.0“-ის ეფექტიანი განვითარება შეუძლებელია უნივერსიტეტების, ბიზნესის, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის გამტარებლების კოორდინირებული თანამშრომლობის გარეშე. ამ მრავალგანზომილებიან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული ციფრული ეკოსისტემები, რომლებიც უნივერსიტეტებს ცოდნის შექმნის სივრციდან ინოვაციური განვითარების სტრატეგიულ პლატფორმებად გარდაქმნის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი. ნაშრომი წარმოადგენს **მიმოხილვით და კონცეპტუალურ კვლევას**, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ციფრული ტრანსფორმაციის თეორიული მიდგომების სისტემატიზაცია და ინტეგრირებული ანალიზი. კვლევა სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ შეფასებას და სხვადასხვა თეორიული კონცეფციის სინთეზს ეფუძნება, რაც „უნივერსიტეტი 4.0“-ის, „ჭკვიანი უნივერსიტეტის“ და ციფრული ეკოსისტემების კავშირის ახლებური გააზრების საფუძველია.

განხილული საკითხი ინტერდისციპლინურია და აერთიანებს განათლების, მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ეკონომიკისა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებებს. კომპლექსური ანალიზისთვის გამოყენებულია თეორიული და კონცეპტუალური მიდგომები.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია ურთიერთშემავსებელი მეთოდები. **ლიტერატურის სისტემური ანალიზით შეფასდა** სამეცნიერო ნაშრომები, **შედარებითი ანალიზით**

დახასიათდა სხვადასხვა ავტორის კონცეპტუალური მიდგომები, მოდელები და თეორიული ხედვები. **კონცეპტუალური სინთეზი** გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული მოდელის ინტეგრირებისთვის, უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის ანალიტიკური ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად. **დოკუმენტური ანალიზი** მოიცავს ანგარიშების და პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლას.

კვლევის ინფორმაციული ბაზა მოიცავს: საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს, მონოგრაფიებს, აკადემიურ გამოცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტებს, კვლევებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ინოვაციური ეკოსისტემების და უმაღლესი განათლების კონცეფციების ფორმირებაზე.

კვლევის შეზღუდვები. კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულია, რომ: 1. ნაშრომი ეყრდნობა თეორიულ და პრაქტიკულ სამეცნიერო ლიტერატურას, არ მოიცავს პირველად ემპირიულ მონაცემებს; 2. განხილული კვლევების ნაწილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაა და მიღებული დასკვნების პირდაპირი განზოგადება ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაზე სიფრთხილეს მოითხოვს. 3. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გამო აღნიშნული სფერო მუდმივად განახლებადია. ახალი ტექნოლოგიური ცვლილებები შეიძლება მოკლე დროში გახდეს კვლევის დამატებითი საგანი.

შედეგები

უნივერსიტეტის ევოლუცია. უნივერსიტეტის ინსტიტუციის განვითარება საუკუნეებს ითვლის, მაგრამ რევოლუციური ცვლილებები ოცდამეერთე საუკუნეში ხდება. უნივერსიტეტის ევოლუციის ინტეგრირებული მოდელი „უნივერსიტეტი 1.0“-დან „უნივერსიტეტი 4.0“-მდე მისიით, როლით, მახასიათებლებით და საფუძვლებით მოცემულია ცხრილ **4.-ში.** უნივერსიტეტების განვითარება ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესია, რომლის თითოეული ეტაპი ასახავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო განვითარების დონეს. თუ „უნივერსიტეტი 1.0“-ის (I ეტაპი) ძირითადი ფუნქცია ცოდნის გადაცემა იყო, „უნივერსიტეტი 2.0“-ში (II ეტაპი) კვლევა უნივერსიტეტის მეორე სტრატეგიულ მისიად ჩამოყალიბდა. „უნივერსიტეტი 3.0“-ის (III ეტაპი) პირობებში, უნივერსიტეტმა შეითავსა მეწარმეობრივი ფუნქცია, რაც ტექნოლოგიების გადაცემის, სტარტაპების განვითარების და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გაძლიერებაში გამოიხატა. „უნივერსიტეტი 4.0“ (IV ეტაპი) ინტეგრირებული ინსტიტუციური მოდელია, სადაც სწავლება, კვლევა, ინოვაციები, ციფრული მმართველობა და საზოგადოებრივი ჩართულობა ერთიან ეკოსისტემაში ფუნქციონირებს.

ცხრილი 4. უნივერიტეტის ფუნქციური ტრანსფორმაცია

ეტაპი	მისია	როლი	ტექნოლოგიური საფუძველი
I	სწავლება	ცოდნის გადაცემა, კლასიკური განათლება	ბეჭდური რესურსები
II	სწავლება, კვლევა	ცოდნის შექმნა, სამეცნიერო ინტეგრაცია	საინფორმაციო ტექნოლოგიები
III	სწავლება, კვლევა, ინოვაცია, მეწარმეობა	ტექნოლოგიების ტრანსფერი, მეწარმე უნივერსიტეტი	ინტერნეტი, ციფრული პლატფორმები

IV	ციფრული ეკოსისტემა	ინოვაციური განვითარების ჰაბი	ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი, დიდი მონაცემები, ჭკვიანი მმართველობა, ღრუბლოვანი სისტემა, სწავლების ანალიზი, საერთაშორისო თანამშრომლობა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე

აღნიშნული ტრანსფორმაცია მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა სულ უფრო ნაკლებად განისაზღვრება მხოლოდ აკადემიური რეპუტაციით და მეტადაა დამოკიდებული ინტეგრირებული ციფრული გარემოს შექმნის უნარზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გენერირებას, მონაცემებზე დაფუძნებულ მმართველობასა და მრავალმხრივ პარტნიორობას.

უნივერსიტეტის ციფრული ეკოსისტემის ინტეგრირებული მოდელი

უნივერსიტეტის წარმატება დამოკიდებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ერთობლიობასა და ინტეგრირებულ ციფრულ ეკოსისტემაზე (იხ. ცხრილი 5). სისტემის ბირთვში შედის ხელოვნური ინტელექტით უზრუნველყოფილი მონაცემთა ანალიზი, სასწავლო პროცესის პერსონალიზაცია, ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაცია და პროგნოზი. ნივთების ინტერნეტი ქმნის მონაცემების შეგროვების ინფრასტრუქტურას, ხოლო დიდი მონაცემები და სწავლების ანალიზი ამ მონაცემებს გარდაქმნის გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლად. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები უზრუნველყოფს რესურსების მოქნილ გამოყენებას, ხოლო ციფრული მმართველობა ამ ელემენტებს ინსტიტუციურ სისტემაში აერთიანებას.

ცხრილი 5. უნივერსიტეტის ციფრული ეკოსისტემის ძირითადი კომპონენტები

კომპონენტი	**ძირითადი ფუნქცია**	**შექმნილი ღირებულება**
ხელოვნური ინტელექტი	პროგნოზი	პერსონალიზებული სწავლება
ნივთების ინტერნეტი	მონაცემთა შეგროვება	„ჭკვიანი“ საცხოვრებელი
დიდი მონაცემები	მონაცემთა დამუშავება	მტკიცებულებებზე დაფუძნებული მმართველობა
სწავლის ანალიზი	სასწავლო პროცესის ანალიზი	სტუდენტთა აკადემიური წარმატების გაუმჯობესება
ღრუბლოვანი ტექნოლოგიები	რესურსების ინტეგრაცია	მოქნილობა და მასშტაბურობა
ციფრული მმართველობა	სტრატეგიული მართვა	ეფექტიანი გადაწყვეტილებები

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე

ეკოსისტემის კომპონენტების იზოლირებული დანერგვა ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სრულფასოვან ტრანსფორმაციას. მათი ეფექტიანობა იზრდება მხოლოდ ურთიერთდაკავშირებულ ინსტიტუციური ქმედების ფარგლებში.

„უნივერსიტეტი 4.0“-ის წარმატების არსებითი ფაქტორები

უნივერსიტეტის წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია დამოკიდებულია ორგანიზაციული, შრომითი და ინსტიტუციური ფაქტორების ჰარმონიულ განვითარებაზე (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6. „უნივერსიტეტი 4.0“-ის წარმატების არსებითი ფაქტორები

ფაქტორი	მნიშვნელობა
სტრატეგიული ლიდერობა	ციფრული ტრანსფორმაციის გრძელვადიანი ხედვა
ადამიანისეული კაპიტალი	აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ციფრული კომპეტენციები
ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა	ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი, დიდი მონაცემები, ღრუბლოვანი სისტემა
მონაცემთა მართვა	მონაცემთა ხარისხი, უსაფრთხოება და ეთიკა
პარტნიორობა	ბიზნესთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან
ინსტიტუციური კულტურა	ინოვაციებისა და ცვლილებების მხარდაჭერა

წყარო: *ავტორის მიერ შემუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო*

სინთეზური ანალიზი ადასტურებს, რომ წარმატებული უნივერსიტეტები ციფრულ ტრანსფორმაციას განიხილავენ როგორც: საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტს და ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიულ პროცესს ლიდერობის, ორგანიზაციული კულტურის და ტექნოლოგიური შესაძლებლობების თანმიმდევრული განვითარებისთვის.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პერსპექტივები. საქართველოში უმაღლესი განათლების ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით წინსვლაა. უნივერსიტეტების უმეტესობამ დანერგა ელექტრონული სწავლების პლატფორმები, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემები, ციფრული ადმინისტრაციული მომსახურება. თუმცა, „უნივერსიტეტი 4.0“-ის სრულფასოვანი მოდელის დანერგვა განვითარების ეტაპზეა. განსაკუთრებით საშურია: ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია, სწავლების ანალიზის სისტემური გამოყენება, ნივთების ინტერნეტზე ორიენტირებული „ჭკვიანი საცხოვრებლის“ განვითარება და მონაცემებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მმართველობის ჩამოყალიბება. ასევე, აკადემიური პერსონალის ციფრული კომპეტენციების, კიბერუსაფრთხოების მექანიზმების განვითარება და მონაცემთა მართვის ერთიანი სტანდარტების დანერგვა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ციფრული ტრანსფორმაციის დაკავშირება ეროვნულ ინოვაციურ პოლიტიკასთან, კერძო სექტორთან თანამშრომლობასა და საერთაშორისო კვლევით ქსელებში ინტეგრაციასთან, რაც ასტიმულირებს უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ზრდას, კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

დასკვნები

ციფრული ტრანსფორმაცია უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც ცვლის უნივერსიტეტების მისიას, ფუნქციებსა და ინსტიტუციურ როლს. „ინდუსტრია 4.0-“ის პირობებში უნივერსიტეტები აღარ განიხილება მხოლოდ როგორც სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ცენტრები; ისინი თანდათან გარდაიქმნება მრავალფუნქციურ ციფრულ ეკოსისტემებად, სადაც სწავლება, კვლევა,

ინოვაციები, ტექნოლოგიური განვითარება და საზოგადოებასთან თანამშრომლობა ურთიერთდაკავშირებული სისტემაა.

ლიტერატურის კრიტიკულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ „**უნივერსიტეტი 4.0**“ და „ჭკვიანი **უნივერსიტეტი**“ არ წარმოადგენს კონკურენტულ ან ურთიერთგამომრიცხავ მოდელებს. პირიქით, ისინი უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის ურთიერთშემავსებელი განზომილებებია. „უნივერსიტეტი 4.0“ აძლიერებს უნივერსიტეტის როლს ცოდნის გენერირებაში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობაში, ხოლო „ჭკვიანი უნივერსიტეტი“ ორიენტირებულია მონაცემებზე დაფუძნებულ მმართველობაზე, ინტელექტუალურ ინფრასტრუქტურას და ციფრული მომსახურების ეფექტიანობაზე. იქმნება ინსტიტუციური ჩარჩო აკადემიური, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ჰარმონიზაციისთვის.

უნივერსიტეტის წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია დამოკიდებულია სტრატეგიულ ლიდერობაზე, ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაზე, ორგანიზაციულ კულტურაზე, მონაცემთა ხარისხიან მართვასა და მრავალაქტორულ თანამშრომლობაზე. ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი, დიდი მონაცემები, სწავლის ანალიზი და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები მაშინ ქმნის ღირებულებას, როდესაც ინტეგრირებულნი არიან ციფრულ ეკოსისტემაში და ემსახურებიან მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

გამოვლინდა კვლევების რამდენიმე ხარვეზი: 1. შეზღუდულია ისეთი ინტეგრირებული მოდელების განხილვა, რომლებიც აერთიანებს „უნივერსიტეტი 4.0“-ს, „ჭკვიანი უნივერსიტეტს“, ციფრულ ეკოსისტემას, ხელოვნურ ინტელექტს, ნივთების ინტერნეტს, დიდი მონაცემებისა და სპირალის ინოვაციური მოდელების კავშირებს; 2. შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა მცირე ღია ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, უმაღლესი განათლების სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის თავისებურებების შესწავლას.

მცირე ღია ეკონმიკის ქვეყნებისთვის გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად საჭიროა ციფრული სტრატეგიის ფორმირება, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარება, მონაცემთა მართვის ერთიანი სტანდარტების დანერგვა და უნივერსიტეტების, ბიზნესის, სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობის გაძლიერება.

მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვა, რაც უნივერსიტეტების მდგრადი ციფრული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

სტატიის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისა და კონცეპტუალური სინთეზის საფუძველზე შემოთავაზებულია უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის ინტეგრირებული ხედვა, რომელიც აერთიანებს „უნივერსიტეტი 4.0“-ის, „ჭკვიანი უნივერსიტეტის“, ციფრული ეკოსისტემების, ინოვაციური ტექნოლოგიების და სპირალური მოდელების ძირითად ელემენტებს. ასეთი მიდგომა უნივერსიტეტების ციფრული განვითარების კომპლექსური შეფასებისა და სამომავლო კვლევების საფუძველი შეიძლება იყოს.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტების გრძელვადიანი წარმატება სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად დაბალანსდება ტექნოლოგიური ინოვაციები, ადამიანისეული კაპიტალის განვითარება, ინსტიტუციური მოქნილობა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. მსგავსი ინტეგრირებული მიდგომა უმაღლესი განათლების სისტემების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მდგრადობას და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი იქნება.

შემდგომი კვლევები ჩასატარებელია უნივერსიტეტების ციფრული „სიმწიფის“ შეფასების ინდიკატორული სისტემის შესამუშავებლად, ემპირიული შეფასების მოდელების შესაქმნელად, საერთაშორისო პრაქტიკის კონტექსტში საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებების დასახასიათებლად. პერსპექტიული მიმართულებაა სწავლების, კვლევის და უნივერსიტეტების მმართველობის ხარისხზე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გავლენის შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა

Atzori, L., Iera, A., & Morabito, G. (2010). The Internet of Things: A survey. *Computer Networks*, *54*(15), 2787–2805. https://doi.org/10.1016/j.comnet.2010.05.010

Carayannis, E. G., & Campbell, D. F. J. (2009). *'Mode 3' and 'Quadruple Helix': Toward a 21st century fractal innovation ecosystem. International Journal of Technology Management*, *46*(3-4), 201–234.

Carayannis, E. G., Barth, T. D., & Campbell, D. F. J. (2012). The Quintuple Helix innovation model: Global warming as a challenge and driver for innovation. *Journal of Innovation and Entrepreneurship*, *1*(2), 1–12. https://doi.org/10.1186/2192-5372-1-2

Daniel, B. K. (2015). Big Data and analytics in higher education: Opportunities and challenges. *British Journal of Educational Technology*, *46*(5), 904–920. https://doi.org/10.1111/bjet.12230

Etzkowitz, H. (2003). Research groups as ‘quasi-firms’: the invention of the entrepreneurial university. *Research policy*, *32*(1), 109-121.

Etzkowitz, H. and Leydesdorff, L. (2000) The Dynamics of Innovation: From National Systems and “Mode 2” to a Triple Helix of University-Industry-Government Relations. *Research Policy*, 29, 109-123. http://dx.doi.org/10.1016/S0048-7333(99)00055-4

Gul, S., Asif, M., Ahmad, S., Yasir, M., Majid, M., & Malik, M. S. A. (2022). A survey on the roles of Internet of Things in smart universities. *Interactive Learning Environments*, *30*(9).

Mikiashvili, N. (2019). Education, Human Capital and Competitiveness of Small Open Economies (Case of Georgia). *European Scientific Journal* ESJ.

Miranda, J., Navarrete, C., Noguez, J., Molina-Espinosa, J. M., Ramírez-Montoya, M. S., Navarro-Tuch, S. A., Bustamante-Bello, M. R., Rosas-Fernández, J. B., & Molina, A. (2021). The core components of education 4.0 in higher education: Three case studies in engineering education. *Computers & Electrical Engineering*, *93*, 107278. https://doi.org/10.1016/j.compeleceng.2021.107278

OECD. (2019). *The future of education and skills: Education 2030*. OECD Publishing.

OECD. (2023). *Education at a glance 2023: OECD indicators*. OECD Publishing.

Schwab, K. (2016). *The Fourth Industrial Revolution*. World Economic Forum.

Siemens, G., & Long, P. (2011). Penetrating the fog: Analytics in learning and education. *EDUCAUSE Review*, *46*(5), 30–40.

UNESCO. (2021). *Reimagining our futures together: A new social contract for education*.

World Economic Forum. (2023). *The Future of Jobs Report 2023*. World Economic Forum.

UNESCO. (2024). *Global Education Monitoring Report 2024*. UNESCO.

OECD. (2024). *Digital Education Outlook 2024*. OECD Publishing.
European Commission. (2024). *Digital Education Action Plan 2021–2027: Progress Report*.

Modern Paradigm of Higher Education Transformation

Nino Mikiashvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.mikiashvili@tsu.ge

Summary

The rapid development of digital technologies, the widespread introduction of artificial intelligence, big data and data analysis have significantly changed the trajectory of higher education development. The traditional university is gradually transforming into an organization based on innovations, data and digital governance, which simultaneously performs educational, research, technological and social functions. These changes formed the basis of the concepts of "University 4.0" and "Smart University", which are considered one of the paradigms of higher education development. The aim of the article is to analyze the theoretical foundations of "University 4.0", "Smart University" and digital ecosystems, their interrelation and role in the process of transformation of higher education, based on scientific literature. Special attention is paid to the analysis of artificial intelligence, the Internet of Things, big data, learning (teaching) and the importance of spiral innovation models in the context of the strategic development of universities. The study is based on systemic analysis, comparative and conceptual approaches that assess the impact of digital technologies on university governance, research activities and the teaching process. According to the results of the study, the competitiveness of universities increasingly depends not only on the development of technological infrastructure, but also on the effective integration of digital ecosystems, innovative partnerships and data-based solutions. That is, "University 4.0" and "Smart University" create a new institutional framework for higher education that supports the implementation of the knowledge economy, innovation, and sustainable development goals.

Keywords: Higher Education; Digital Ecosystem; Artificial Intelligence; Spiral Models

ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაცია მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში: შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს უმაღლეს განათლებაში

რუსუდან სეთურიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
rusudan.seturidze@tsu.ge

ანოტაცია. *უმაღლესი განათლების ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაცია მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის რთული, ინტერდისციპლინური და მონაცემებზე დაფუძნებული საკითხების ეფექტიანი სწავლა-სწავლებისთვის. კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს განათლებაში მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში ხელოვნური ინტელექტის, ნივთების ინტერნეტისა და ბლოკჩეინის ინტეგრაციის საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და ძირითადი გამოწვევების შეფასება. კვლევის ემპირიული ნაწილი ეფუძნება Google Forms-ის საშუალებით ჩატარებული რესპონდენტთა გამოკითხვის მონაცემთა ბაზის მეორად ანალიზს. საბოლოო შერჩევა მოიცავდა თბილისში მდებარე სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებების 561 რესპონდენტს - 373 სტუდენტსა და აკადემიური პერსონალის 188 წარმომადგენელს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში. მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკის, სანდოობის ანალიზის, არაპარამეტრული სტატისტიკური ტესტების, კორელაციური ანალიზისა და იერარქიული მრავლობითი წრფივი რეგრესიის გამოყენებით. კვლევა წარმოაჩენს ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციისადმი არსებული დამოკიდებულებების, ინსტიტუციური თავისებურებებისა და პრაქტიკული ბარიერების ურთიერთკავშირს. მიღებული ემპირიული მიგნებებისა და განხილული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში ჭკვიანი ტექნოლოგიების მიზნობრივი, ეტაპობრივი და ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან შესაბამისი ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ.*

საკვანძო სიტყვები: *ჭკვიანი ტექნოლოგიები, მწვანე ეკონომიკა, უმაღლესი განათლება, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტრანსფორმაცია.*

1. შესავალი

გეოპოლიტიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში მწვანე და ციფრული კომპეტენციების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის, ინოვაციური პოტენციალისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა. იგი ეკონომიკურ ზრდას

დაბალნახშირბადიან განვითარებასთან, რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან და სოციალურ ინკლუზიურობასთან აკავშირებს (United Nations Environment Programme [UNEP], 2011). ამ პროცესში უმაღლეს განათლებას განსაკუთრებული როლი ეკისრება, რადგან უნივერსიტეტებმა მომავალ სპეციალისტებს უნდა განუვითარონ არა მხოლოდ დარგობრივი ცოდნა, არამედ სისტემური აზროვნება, მონაცემთა გაანალიზებისა და მდგრადი გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებიც. UNESCO-ს განათლება მდგრადი განვითარებისათვის 2030-ის ჩარჩოც ხაზს უსვამს სწავლების გარდაქმნისა და პრაქტიკულ მოქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციების მნიშვნელობას (UNESCO, 2020).

საქართველოს უმაღლეს განათლებაში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლების შედეგების უფრო დადებით შეფასებას შორის კავშირი; აღნიშნული ტექნოლოგიები მოიცავდა ელექტრონული სწავლების პლატფორმებს, მონაცემთა ვიზუალიზაციისა და სიმულაციურ ინსტრუმენტებს (Seturidze et al., 2026).

ჭკვიანი და მონაცემებზე დაფუძნებული ტექნოლოგიები ქმნის მდგრადობის სწავლების პერსონალიზაციის, მოდელირების, მონიტორინგისა და პრაქტიკულ პრობლემებთან დაკავშირების შესაძლებლობებს (Leal Filho et al., 2025; Toha, 2026). AI-ის ინტეგრაცია დაკავშირებულია პერსონალიზებულ სწავლებასთან, სასწავლო ანალიტიკასთან და უკუკავშირის გაუმჯობესებასთან, თუმცა მისი გამოყენება წარმოშობს ნდობის, ეთიკის, მონაცემთა უსაფრთხოების, ადამიანური კონტროლისა და აკადემიური პერსონალის მზაობის საკითხებს (Wang et al., 2024; Alfredo et al., 2024; Lee et al., 2024; Belkina et al., 2025). IoT რეალურ დროში მონაცემების შეგროვებისა და ჭკვიანი სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ბლოკჩეინი ხელს უწყობს მონაცემთა მიკვლევადობას, გამჭვირვალობასა და საგანმანათლებლო ჩანაწერების უსაფრთხო მართვას (Rupa et al., 2025; Ji & Wu, 2025; Akter et al., 2026). საქართველოს უმაღლეს განათლებაში ტექნოლოგიური ინტეგრაციის შესაძლებლობებთან ერთად კვლავ აქტუალურია ფინანსური, ინფრასტრუქტურული, საკადრო და ინსტიტუციური მზაობის საკითხები (Seturidze et al., 2026; Lobzhanidze, 2025; World Bank, 2025).

ამ შესაძლებლობების მიუხედავად, ტექნოლოგიის არსებობა სასწავლო ხარისხის ავტომატურ გაუმჯობესებას არ ნიშნავს. შედეგი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაზე, დაფინანსებაზე, აკადემიური პერსონალის კომპეტენციებზე, მონაცემთა მართვაზე, ეთიკურ წესებსა და სასწავლო პროგრამების მოქნილობაზე. საქართველოს კონტექსტში არასაკმარისად არის შესწავლილი, როგორ აფასებენ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის საგანმანათლებლო პოტენციალს, რა ბარიერებს ხედავენ მათი ინტეგრაციისას და რამდენად განსხვავდება ეს შეფასებები რესპონდენტთა ტექნოლოგიური გამოცდილებისა და ინსტიტუციური კუთვნილების მიხედვით.

კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს განათლებაში მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასება, ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence, AI), ნივთების ინტერნეტისა (Internet of Things, IoT) და ბლოკჩეინის მოსალოდნელი საგანმანათლებლო პოტენციალის განსაზღვრა და რესპონდენტის სტატუსის, უნივერსიტეტის ტიპისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირის მიხედვით არსებული განსხვავებებისა და კავშირების გამოვლენა.

კვლევითი კითხვები:

- RQ1. როგორ აფასებენ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის ინტეგრაციის შესაძლებლობებს მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში?
- RQ2. რა ძირითადი გამოწვევები აფერხებს ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციას საქართველოს უმაღლეს განათლებაში?
- RQ3. რამდენად უკავშირდება ჭკვიანი ტექნოლოგიების შესაძლებლობების შეფასება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირეს და განსხვავდება თუ არა შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასებები რესპონდენტის სტატუსისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით?

კვლევის ჰიპოთეზები:

- H1. რესპონდენტები დადებითად აფასებენ AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის აღქმულ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში.
- H2. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების უფრო ხშირი გამოყენება დაკავშირებულია ჭკვიანი ტექნოლოგიების შესაძლებლობების უფრო დადებით შეფასებასთან.
- H3. ჭკვიანი ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა და ინტეგრაციის გამოწვევების შეფასებები განსხვავდება რესპონდენტის სტატუსისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური დიზაინის გამოყენებით, რაც გულისხმობს მონაცემთა ერთჯერად შეგროვებას და რესპონდენტთა შეფასებების კონკრეტულ პერიოდში შესწავლას. კითხვარის შევსებამდე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნის, მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათის, პასუხების ანონიმურობისა და მონაცემების მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება Seturidze et al. (2026)-ის ნაშრომში გამოყენებული რესპონდენტთა გამოკითხვის მონაცემთა ბაზის მეორად ანალიზს. აღნიშნულ კვლევაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ფართო კატეგორიის სახით იყო განხილული და შეფასდა მათი აღქმული ეფექტიანობა მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში. წინამდებარე კვლევა განსხვავებული ანალიტიკური ფოკუსით ცალ-ცალკე ადარებს ხელოვნური ინტელექტის, ნივთების ინტერნეტისა და ბლოკჩეინის აღქმულ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, ქმნის მათ ერთიან ინდექსს და აფასებს ჭკვიანი ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირის, რესპონდენტის სტატუსისა და უნივერსიტეტის ტიპის დამოუკიდებელ კავშირებს მიღებულ შეფასებებთან. შესაბამისად, კვლევის დამატებითი წვლილი მდგომარეობს ჭკვიანი ტექნოლოგიების ტექნოლოგიურად სპეციფიკურ, შედარებით და ინსტიტუციურად დიფერენცირებულ ანალიზში.

კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ თბილისში მოქმედი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებების სტუდენტები და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში. კვლევაში ჩართვის წინაპირობა იყო კითხვარის საწყის ფილტრი - კითხვაზე მწვანე ეკონომიკის განათლებასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ დადებითი

პასუხი. შესაბამისი გამოცდილების არმქონე რესპონდენტები პირველი კითხვის შემდეგ გამოირიცხნენ. თავდაპირველად მიღებული 670 პასუხიდან ჩართვის კრიტერიუმების გამოყენებისა და მონაცემთა შემოწმებისა და გაწმენდის შედეგად საბოლოო ანალიზისთვის ვალიდურად ჩაითვალა 561 პასუხი, მათ შორის 373 სტუდენტის (66.5%) და აკადემიური პერსონალის 188 წარმომადგენლის (33.5%) პასუხები.

Google Forms-ის საშუალებით ადმინისტრირებული სტრუქტურირებული კითხვარი მოიცავდა რესპონდენტთა დემოგრაფიულ და აკადემიურ მახასიათებლებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირესა და ათ თემატურ კითხვას, რომელთათვისაც გამოყენებული იყო სხვადასხვა ტიპის პასუხის ფორმატები. მოცემული კვლევის ძირითადი ცვლადები იყო ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის მთავარი გამოწვევა (Q7) და ხელოვნური ინტელექტის, ნივთების ინტერნეტისა და ბლოკჩეინის აღქმული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეფასებები (Q8–Q10). Q7 ერთპასუხიანი ნომინალური კითხვა იყო და რესპონდენტს შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერის არჩევა შეეძლო. Q8–Q10 შეფასდა ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 აღნიშნავდა ძალიან უარყოფით, ხოლო 5 - ძალიან დადებით შეფასებას.

მონაცემები დამუშავდა IBM SPSS Statistics-ის გამოყენებით. აღწერითი ანალიზი მოიცავდა სიხშირეებს, პროცენტულ განაწილებებს, საშუალო მნიშვნელობებს, მედიანებსა და სტანდარტულ გადახრებს. Q8-Q10-ის შიდა შეთანხმებულობა შეფასდა Cronbach-ის ალფას საშუალებით. მაღალი სანდოობის საფუძველზე ($\alpha = .880$) შეიქმნა ჭკვიანი ტექნოლოგიების აღქმული საგანმანათლებლო შესაძლებლობების ერთიანი ინდექსი. ინდექსი გამოითვალა Q8-Q10 ცვლადების არითმეტიკული საშუალოს საფუძველზე; მისი შესაძლო მნიშვნელობები 1-დან 5-მდე მერყეობდა, ხოლო მაღალი მნიშვნელობა საგანმანათლებლო შესაძლებლობების უფრო დადებით შეფასებას გამოხატავდა.

ხელოვნური ინტელექტის, ნივთების ინტერნეტისა და ბლოკჩეინის შეფასებებს შორის საერთო განსხვავების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა Friedman-ის ტესტი. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი საერთო განსხვავების გამოვლენის შემდეგ, კონკრეტულ ტექნოლოგიათა შეფასებებს შორის განსხვავებების დასადგენად ჩატარდა წყვილური შედარებები Wilcoxon-ის ნიშნიანი რანგების ტესტის გამოყენებით. მრავლობითი წყვილური შედარებების შედეგად პირველი ტიპის შეცდომის დაგროვილი რისკის გასაკონტროლებლად გამოყენებულ იქნა Bonferroni-ის კორექცია, რომლის საფუძველზეც სტატისტიკური მნიშვნელოვნების კრიტიკული დონე განისაზღვრა როგორც $p < .0167$. ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების ინდექსის მედიანის სკალის თეორიულ ნეიტრალურ მნიშვნელობასთან - 3-თან - შესადარებლად გამოყენებულ იქნა Wilcoxon-ის ერთშერჩევიანი ნიშნიანი რანგების ტესტი. ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირესა და ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების ინდექსს შორის მონოტონური კავშირის სიძლიერე და მიმართულება შეფასდა Spearman-ის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტით. რესპონდენტის სტატუსისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით შესაძლებლობების ინდექსში არსებული ჯგუფთაშორისი განსხვავებების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა Mann-Whitney U-ის ტესტი. ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევების განაწილებასა და რესპონდენტის სტატუსსა და უნივერსიტეტის ტიპს შორის კავშირები გაანალიზდა კროსტაბულაციური ანალიზის, Pearson-ის ხი-კვადრატის ტესტისა და კავშირის სიძლიერის მაჩვენებლის - Cramer's V-ის - გამოყენებით. აღნიშნული ფაქტორების შესაძლებლობების ინდექსთან დამოუკიდებელი კავშირების ერთობლივი შეფასების მიზნით ჩატარდა იერარქიული მრავლობითი ხაზოვანი რეგრესიული ანალიზი. Bonferroni-ის კორექციით გათვალისწინებული წყვილური შედარებების გარდა, ყველა სტატისტიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვნების კრიტიკულ დონედ განისაზღვრა $p < .05$.

3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა
3.1. კვლევის შედეგების ანალიზი

შერჩევის სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 66.5%-ს სტუდენტები, ხოლო 33.5%-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მონაწილეთა 53.8% სახელმწიფო, ხოლო 46.2% კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში გამოყენების სიხშირის მიხედვით, რესპონდენტთა 38.1% მათ პერიოდულად იყენებდა, 28.7% - იშვიათად, 26.7% - ხშირად, 5.0% - ძალიან ხშირად, ხოლო 1.4% - არასდროს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. რესპონდენტთა ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებელი	კატეგორია	სიხშირე	%
რესპონდენტის სტატუსი	სტუდენტი	373	66.5
	აკადემიური პერსონალი	188	33.5
უნივერსიტეტის ტიპი	სახელმწიფო	302	53.8
	კერძო	259	46.2
თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე	არასდროს	8	1.4
	იშვიათად	161	28.7
	პერიოდულად	214	38.1
	ხშირად	150	26.7
	ძალიან ხშირად	28	5.0

წყარო: ავტორის გამოთვლები კვლევის მონაცემების საფუძველზე.

ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა არასაკმარისი დაფინანსება (35.1%) და შეზღუდული ტექნიკური ინფრასტრუქტურა (32.4%). სასწავლო პროგრამასთან თავსებადობა აღნიშნა რესპონდენტთა 21.6%-მა, კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა - 9.8%-მა, ხოლო ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის სირთულეები - 1.1%-მა (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები საქართველოს უმაღლეს განათლებაში (%)



წყარო: ავტორის გამოთვლები კვლევის მონაცემების საფუძველზე.

AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის მიმართ შეფასებები მთლიანობაში მაღალი იყო. სამივე ტექნოლოგიის შემთხვევაში დადებითი და ძალიან დადებითი პასუხების ერთობლივმა წილმა 86.5% შეადგინა. ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება ნივთების ინტერნეტმა მიიღო (M = 4.50; SD = 0.73), რაც მიუთითებს მისი საგანმანათლებლო შესაძლებლობების მკვეთრად დადებით აღქმასა და რესპონდენტთა შეფასებების შედარებით მცირე ცვალებადობაზე, შემდეგ ბლოკჩეინს (M = 4.41; SD = 0.73) და ხელოვნურ ინტელექტს (M = 4.35; SD = 0.72) (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეფასება

ტექნოლოგია	M (SD)	Md	დადებითი შეფასებები, %	საშუალო რანგი
ხელოვნური ინტელექტი	4.35 (0.72)	4	86.5	1.89
ნივთების ინტერნეტი	4.50 (0.73)	5	86.5	2.12
ბლოკჩეინი	4.41 (0.73)	5	86.5	1.99

წყარო: ავტორის გამოთვლები კვლევის მონაცემების საფუძველზე. შენიშვნა: M - საშუალო მნიშვნელობა; SD - სტანდარტული გადახრა; Md - მედიანა. დადებითი შეფასება აერთიანებს პასუხებს „დადებითი“ და „ძალიან დადებითი“.

Q8-Q10 ცვლადების საფუძველზე კონსტრუირებული ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების ერთიანი ინდექსის საშუალო მნიშვნელობამ 4.42 შეადგინა (SD = 0.65; Md = 4.67). Wilcoxon-ის ერთშერჩევიანი ნიშნიანი რანგების ტესტმა აჩვენა, რომ ინდექსის შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატებოდა სკალის თეორიულ ნეიტრალურ მნიშვნელობას - 3-ს ($W = 119{,}208.50$, $Z = 19.324$, $p < .001$). მიღებული შედეგი H1 ჰიპოთეზას ემპირიულად უჭერს მხარს.

Friedman-ის ტესტმა ტექნოლოგიების შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა, $\chi^2(2, N = 561) = 40.439$, $p < .001$, თუმცა Kendall-ის შეთანხმებულობის კოეფიციენტი მცირე ეფექტზე მიუთითებდა ($W = .036$). Bonferroni-ის კორექციით ჩატარებულმა Wilcoxon-ის პოსტჰოკ შედარებებმა აჩვენა, რომ IoT-ის შეფასება AI-ის შეფასებაზე მაღალი იყო ($Z = -6.500$, $p < .001$), ბლოკჩეინის შეფასება - AI-ის შეფასებაზე ($Z = -2.610$, $p = .009$), ხოლო IoT-ის შეფასება - ბლოკჩეინის შეფასებაზე ($Z = -3.775$, $p < .001$).

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირის ცვლადსა (TechFrequency) და Q8–Q10-ის საფუძველზე კონსტრუირებულ ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების ერთიან ინდექსს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა სუსტი დადებითი კავშირი ($\rho = .105$, $p = .013$). აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ ტექნოლოგიების უფრო ხშირი გამოყენება მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შედარებით უფრო დადებით შეფასებას უკავშირდება. შესაბამისად, მიღებული მონაცემები H2 ჰიპოთეზას ემპირიულ მხარდაჭერას ანიჭებს.

Mann-Whitney U-ის ტესტის შედეგების მიხედვით, სტუდენტებმა ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობები აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან შედარებით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო დადებითად

შეაფასეს (U = 26,709.50, Z = –4.756, p < .001, r = .201). უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით შესაძლებლობების ინდექსში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა (U = 38,041.00, Z = –0.576, p = .565). ამასთან, ინტეგრაციის ძირითად გამოწვევათა განაწილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა როგორც რესპონდენტის სტატუსის მიხედვით [$\chi^2(4) = 59.050$, $p < .001$, $V = .324$], ისე უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით [$\chi^2(4) = 71.962$, $p < .001$, $V = .358$]. აკადემიური პერსონალისა და სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლები მთავარ გამოწვევად უფრო ხშირად არასაკმარის დაფინანსებას ასახელებდნენ, სტუდენტები - შეზღუდულ ტექნიკურ ინფრასტრუქტურას, ხოლო კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები - სასწავლო პროგრამასთან თავსებადობას.

იერარქიული მრავლობითი წრფივი რეგრესიის პირველ ეტაპზე მოდელში შეტანილმა რესპონდენტის სტატუსმა და უნივერსიტეტის ტიპმა ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების ინდექსის ვარიაციის 17.3% ახსნა ($R^2 = .173$). მეორე ეტაპზე ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირის დამატებამ მოდელის განმარტებითი შესაძლებლობა დაახლოებით 4.4 პროცენტული პუნქტით გაზარდა ($\Delta R^2 = .044$). საბოლოო მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, $F(3, 557) = 51.64$, $p < .001$, $R^2 = .218$, შესწორებული $R^2 = .213$. სხვა პროგნოზორების კონტროლის პირობებში, ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე ინდექსის უფრო მაღალ მნიშვნელობებთან იყო დაკავშირებული ($\beta = .242$, $p < .001$). აკადემიური პერსონალის სტატუსი, სტუდენტის სტატუსთან შედარებით, ინდექსის უფრო დაბალ მნიშვნელობებთან ასოცირდებოდა ($\beta = –.436$, $p < .001$), ხოლო კერძო უნივერსიტეტის კუთვნილება, სახელმწიფო უნივერსიტეტთან შედარებით, შედარებით დაბალ შეფასებას უკავშირდებოდა ($\beta = –.136$, $p = .004$) (ცხრილი 3). დიაგნოსტიკურმა მაჩვენებლებმა მულტიკოლინეარობისა და გავლენიანი შემთხვევების პრობლემა არ გამოავლინა (VIF = 1.20–1.55; Cook's D-ის მაქსიმალური მნიშვნელობა = .046). მიღებული შედეგების საფუძველზე H3 ჰიპოთეზა ნაწილობრივ ემპირიულად მხარდაჭერილია.

ცხრილი 3. ჭკვიანი ტექნოლოგიების შესაძლებლობების ერთიანი ინდექსის საბოლოო რეგრესიული მოდელი

პროგნოზორი	B	β	t	p
რესპონდენტის სტატუსი	–0.605	–.436	–10.61	<.001
უნივერსიტეტის ტიპი	–0.179	–.136	–2.92	.004
ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე	0.176	.242	5.62	<.001

წყარო: ავტორის გამოთვლები კვლევის მონაცემების საფუძველზე. **შენიშვნა:** მოდელი 1: $R^2 = .173$; საბოლოო მოდელი: $R^2 = .218$, შესწორებული $R^2 = .213$, $\Delta R^2 = .044$, $F(3, 557) = 51.64$, $p < .001$. კოდირება: რესპონდენტის სტატუსი - 0 = სტუდენტი, 1 = აკადემიური პერსონალი; უნივერსიტეტის ტიპი - 0 = სახელმწიფო, 1 = კერძო.

3.2. შედეგების შეფასება და განხილვა

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ გამოკითხულ სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შორის ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების მიმართ მაღალი დადებითი განწყობა არსებობს. AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის ერთიანი ინდექსის მნიშვნელობა სკალის ნეიტრალურ დონეს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატებოდა, რაც აჩვენებს, რომ რესპონდენტები აღნიშნულ ტექნოლოგიებს განიხილავენ არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციებად, არამედ მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში პრაქტიკული გამოყენების მქონე რესურსებად. ეს შედეგი თანხვედრაშია კვლევებთან, რომლებიც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს მონაცემებზე დაფუძნებული, ინტერაქტიული და პერსონალიზებული სწავლების შესაძლებლობების გაფართოებას უკავშირებს (Seturidze et al., 2026; Wang et al., 2024).

IoT-ის შედარებით მაღალი შეფასება შეიძლება განპირობებული იყოს მწვანე ეკონომიკის სფეროსთან მისი უშუალო პრაქტიკული კავშირით. სენსორებისა და დაკავშირებული მოწყობილობების გამოყენება შესაძლებელს ხდის ენერგომოხმარების, ემისიების, გარემოს მდგომარეობისა და რესურსების გამოყენების რეალურ დროში მონიტორინგს, რითაც თეორიული საკითხები გაზომვად და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო ამოცანებად გარდაიქმნება (Ji & Wu, 2025). თუმცა Kendall-ის შეთანხმებულობის კოეფიციენტით გამოვლენილი ეფექტის მცირე ზომა მიუთითებს, რომ ტექნოლოგიებს შორის განსხვავება პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით შეზღუდულია და სამივე მათგანი მაღალი საგანმანათლებლო პოტენციალით ხასიათდება.

ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირესა და შესაძლებლობების ინდექსს შორის გამოვლენილი დადებითი კავშირი, აგრეთვე რეგრესიულ მოდელში გამოყენების სიხშირის დამოუკიდებელი წვლილი, მიუთითებს, რომ ტექნოლოგიებთან უფრო ინტენსიური პრაქტიკული გამოცდილება მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უფრო დადებით შეფასებას უკავშირდება. აღნიშნული შედეგი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ თეორიული გაცნობა საკმარისი არ არის და სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების, AI-ის, IoT-ზე დაფუძნებული სენსორული სისტემებისა და ბლოკჩეინის გამოყენების პრაქტიკული შემთხვევებისა და მცირე პროექტების ინტეგრირება.

სტუდენტების მიერ დაფიქსირებული უფრო მაღალი შეფასებები შეიძლება უკავშირდებოდეს ინოვაციებისადმი მეტ გახსნილობასა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მზაობას, ხოლო აკადემიური პერსონალის შედარებით ფრთხილი პოზიცია - დანერგვის ხარჯების, მეთოდოლოგიური სირთულეების, აკადემიური კეთილსინდისიერების, მონაცემთა სანდოობისა და პასუხისმგებლიანი გამოყენების საკითხების უფრო მკაფიო აღქმას. შესაბამისად, აღნიშნული განსხვავება არ უნდა განიმარტოს როგორც ტექნოლოგიების უარყოფა. იგი უფრო მეტად მიუთითებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, ტექნიკური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიების გამოყენების მკაფიო ინსტიტუციური წესების აუცილებლობაზე (Alfredo et al., 2024; Belkina et al., 2025; Lee et al., 2024).

უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით ჩატარებულ დამოუკიდებელ ორჯგუფიან შედარებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა, თუმცა მრავალფაქტორულ მოდელში კერძო უნივერსიტეტის კუთვნილება შესაძლებლობების შედარებით დაბალ შეფასებასთან იყო დაკავშირებული. ეს შედეგი მიუთითებს, რომ ინსტიტუციური ტიპის კავშირი მხოლოდ რესპონდენტის სტატუსისა და ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირის კონტროლის პირობებში ვლინდება, რის გამოც მისი ინტერპრეტაცია სიფრთხილეს მოითხოვს. უფრო მკაფიო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინტეგრაციის გამოწვევების განსხვავებულ სტრუქტურას: სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლები მთავარ ბარიერად უფრო ხშირად არასაკმარის დაფინანსებას ასახელებდნენ, ხოლო კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები - სასწავლო პროგრამასთან თავსებადობას. შესაბამისად, ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის პოლიტიკა უნივერსიტეტების განსხვავებულ ინსტიტუციურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს უნდა ითვალისწინებდეს.

არასაკმარისი დაფინანსებისა და შეზღუდული ტექნიკური ინფრასტრუქტურის წამყვან ბარიერებად გამოვლენა აჩვენებს, რომ ჭკვიანი ტექნოლოგიების წარმატებული ინტეგრაცია ტექნოლოგიური რესურსების ერთჯერადი შეძენით არ შემოიფარგლება. იგი მოიცავს ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას, მონაცემთა მართვისა და უსაფრთხოების მექანიზმებს, პერსონალის პროფესიულ მომზადებას, სასწავლო პროგრამების განახლებასა და სწავლის შედეგებთან შესაბამისი შეფასების მეთოდების დანერგვას. აღნიშნული კომპონენტების კოორდინირებული განვითარება აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ ჭკვიანი ტექნოლოგიების პოტენციალი რეალურ და მდგრად საგანმანათლებლო ღირებულებად გარდაიქმნას (Lobzhanidze, 2025; Toha, 2026; World Bank, 2025).

4. დასკვნები და რეკომენდაციები

გეოპოლიტიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში მწვანე და ციფრული კომპეტენციების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის, ინოვაციური პოტენციალისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში მაღალი დადებითი შეფასებით აღიქვამენ. ყველაზე მაღალი შეფასება IoT-მა მიიღო, თუმცა ტექნოლოგიებს შორის გამოვლენილი განსხვავების ეფექტის სიდიდე მცირე იყო. ჭკვიანი ტექნოლოგიების შესაძლებლობების შეფასება სტატისტიკურად უკავშირდებოდა რესპონდენტის სტატუსსა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირეს. ამასთან, ინტეგრაციის ძირითად ბარიერებად არასაკმარისი დაფინანსება და შეზღუდული ტექნიკური ინფრასტრუქტურა გამოიკვეთა, ხოლო გამოწვევების განაწილება რესპონდენტის სტატუსისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით განსხვავდებოდა.

კვლევის ემპირიული შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის ურთიერთშემავსებელი ინტეგრაცია მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში, განსაკუთრებული აქცენტით IoT-ზე დაფუძნებულ პრაქტიკულ აქტივობებზე;

2. ჭკვიანი ტექნოლოგიების დანერგვა რეკომენდებულია მცირე საპილოტე კურსებით დაიწყოს და მათი გაფართოება მიღებული სასწავლო შედეგებისა და რესურსების ეფექტიანობის შეფასებას დაეფუძნოს;
3. საჭიროა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ჭკვიანი ტექნოლოგიების პედაგოგიური, ეთიკური და დარგობრივი გამოყენების მიმართულებით;
4. სასწავლო პროცესში მიზანშეწონილია გაიზარდოს AI-ის, IoT-ისა და ბლოკჩეინის პრაქტიკული გამოყენება მონაცემებზე, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა და მცირე პროექტებში;
5. ჭკვიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ინსტიტუციურ განსხვავებებს: სახელმწიფო უნივერსიტეტებში პრიორიტეტი მიენიჭოს დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერებას, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - სასწავლო პროგრამებთან თავსებადობას.

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია მისი ტერიტორიული და დარგობრივი ფარგლები. შერჩევაში მონაწილეობდნენ თბილისში მდებარე სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებების სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მწვანე ეკონომიკის სწავლა-სწავლებაში. ეს უზრუნველყოფდა საკვლევ საკითხთან პრაქტიკული გამოცდილების მქონე რესპონდენტთა შეფასებების მიღებას, თუმცა შედეგების ფართო განზოგადება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. კვლევა ასახავს ჭკვიანი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების აღქმას კონკრეტულ პერიოდში; შემდგომ კვლევებში მიზანშეწონილია აღნიშნული შეფასებების ობიექტურ სასწავლო შედეგებთან და დროით ცვლილებებთან შედარება.

გამოყენებული ლიტერატურა

Akter, T., Sultana, N., Aziz, M. A., Sultana, R., & Talukder, A. (2026). Systematic review of blockchain applications in the education sector of Bangladesh for advancing SDG 4. *Discover Sustainability, 7*, 528. https://doi.org/10.1007/s43621-026-02645-8

Alfredo, R., Echeverria, V., Jin, Y., Yan, L., Swiecki, Z., Gašević, D., & Martinez-Maldonado, R. (2024). Human-centred learning analytics and AI in education: A systematic literature review. *Computers and Education: Artificial Intelligence, 6*, 100215. https://doi.org/10.1016/j.caeai.2024.100215

Belkina, M., Daniel, S., Nikolic, S., Haque, R., Lyden, S., Neal, P., Grundy, S., & Hassan, G. M. (2025). Implementing generative AI (GenAI) in higher education: A systematic review of case studies. *Computers and Education: Artificial Intelligence, 8*, 100407. https://doi.org/10.1016/j.caeai.2025.100407

Ji, Y., & Wu, F. (2025). A life cycle model of IoT for higher education based on student and market needs. *Discover Computing, 28*, 229. https://doi.org/10.1007/s10791-025-09758-0

Leal Filho, W., Kim, E., Borsatto, J. M. L. S., & Marcolin, C. B. (2025). Using artificial intelligence in sustainability teaching and learning. *Environmental Sciences Europe, 37*, 124. https://doi.org/10.1186/s12302-025-01159-w

Lee, D., Arnold, M., Srivastava, A., Plastow, K., Strelan, P., Ploeckl, F., Lekkas, D., & Palmer, E. (2024). The impact of generative AI on higher education learning and teaching: A study of educators' perspectives. *Computers and Education: Artificial Intelligence, 6*, 100221. https://doi.org/10.1016/j.caeai.2024.100221

Lobzhanidze, M. (2025). Digital transformation of higher education in Georgia: Challenges and opportunities. In R. C. Geibel & S. Machavariani (Eds.), *Digital management and artificial intelligence* (pp. 252–261). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-031-88052-0_20

Rupa, R. A., Sultana, A., Nasrin, F., Saif, A. N. M., Hossain, M. N., & Akhter, H. (2025). Gravitating towards blockchain in sustainable higher education: A hybrid SEM–ANN technique. *Discover Sustainability, 6*, 668. https://doi.org/10.1007/s43621-025-01504-2

Seturidze, R., Chavleishvili, M., & Kikutadze, V. (2026). The efficacy of modern information technologies in the teaching and learning of green economy concepts within higher education institutions. *Kybernetes, 55*(3), 1345–1361. https://doi.org/10.1108/K-08-2024-2318

Toha, M. A. (2026). Artificial intelligence, sustainability and higher education: A systematic literature review toward sustainable higher education (SHE) framework. *International Journal of Educational Management, 40*(1–2), 29–52. https://doi.org/10.1108/IJEM-12-2024-0773

UNESCO. (2020). *Education for sustainable development: A roadmap*. UNESCO. https://doi.org/10.54675/YFRE1448

United Nations Environment Programme. (2011). *Towards a green economy: Pathways to sustainable development and poverty eradication*. United Nations Environment Programme.

Wang, S., Wang, F., Zhu, Z., Wang, J., Tran, T., & Du, Z. (2024). Artificial intelligence in education: A systematic literature review. *Expert Systems with Applications, 252*, 124167. https://doi.org/10.1016/j.eswa.2024.124167

World Bank. (2025). *South Caucasus-Navigating challenges in Georgian higher education: Seeking pathways for enhanced relevance*. World Bank.

Integration of Smart Technologies into Green Economy Teaching and Learning: Opportunities and Challenges in Georgian Higher Education

Rusudan Seturidze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
rusudan.seturidze@tsu.ge

Summary

In the context of the digital transformation of higher education, the integration of smart technologies creates significant opportunities for the effective teaching and learning of complex, interdisciplinary, and data-driven subjects. This study aims to assess the educational opportunities and key challenges associated with integrating artificial intelligence, the Internet of Things, and blockchain into the teaching and learning of green economy concepts in Georgian higher education. The empirical component of the study is based on a secondary analysis of a survey dataset collected through Google Forms. The final sample comprised 561 respondents from economics and business programmes at public and private higher education institutions in Tbilisi, including 373 students and 188 academic staff members directly involved in green economy teaching and learning. The data were analysed using descriptive statistics, reliability analysis, non-parametric statistical tests, correlation analysis, and hierarchical multiple linear regression. The study examines the interrelationships among perceptions of smart technology integration, institutional characteristics, and practical barriers. Drawing on the empirical findings and the reviewed scholarly literature, the article presents recommendations aimed at supporting the targeted, phased, and institutionally aligned integration of smart technologies into green economy teaching and learning.

Keywords: smart technologies, green economy, higher education, artificial intelligence, digital transformation.

ფრაგმენტაციის პოლიტიკური ეკონომია: 2024–2025 წლების ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული მიღწევები და პრაქტიკული რეკომენდაციები

ნატალია დავლაშერიძე
ეკონომიკის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანაშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
natalia.davlasheridze@tsu.ge

შოთა თვაური
ეკონომიკის მაგისტრი
shota.tvauri@gmail.com

ანოტაცია. *სტატიაში გაანალიზებულია გლობალური ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში (2024–2025 წწ.) ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული მიღწევებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების პრიზმაში. ნაჩვენებია, რომ ნეოლიბერალური გლობალიზაციის ეპოქა ადგილს უთმობს მრავალპოლარულ რეალობას მიწოდების ჯაჭვების რეგიონალიზაციით, ტექნოლოგიური სუვერენიტეტითა და აქტიური სამრეწველო პოლიტიკით. დ. აჯემოღლუს, ს. ჯონსონისა და ჯ. რობინსონის (2024) ნაშრომებზე დაყრდნობით, დემონსტრირებულია დიქოტომიის „ინკლუზიური vs ექსტრაქციული ინსტიტუტები“ შეზღუდულობა არასავლური ქვეყნების წარმატების ახსნისას.ფ. აგიონის, ჯ. მოკირისა და პ. ჰოვიტის (2025 წლის) კვლევები „შემოქმედებითი ნგრევის“ შესახებ გამოიყენება დეგლობალიზაციის პირობებთან: ბრმა პროტექციონიზმი ახშობს ინოვაციებს, მაშინ როდესაც ჰორიზონტალურ პოლიტიკასა და DARPA-ს მოდელებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ეკონომიკური ზრდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯ. სტიგლიცის „სწორი დეგლობალიზაციის“ კონცეფციას და დ. დაიმონდის გაფრთხილებებს თვითგაძლიერებადი ფინანსური ფრაგმენტაციის შესახებ. კეთდება დასკვნა „მართვად ფრაგმენტაციაზე“ გადასვლისა და ახალი ინსტიტუციური არქიტექტურის აუცილებლობის შესახებ, რომელიც შრომის დანაწილების სარგებელს გეოპოლიტიკური შოკების მიმართ მდგრადობასთან შეათავსებს.*

საკვანძო სიტყვები: *ფრაგმენტაცია, ინსტიტუტები, ინოვაციები, სუვერენიტეტი, დეგლობალიზაცია.*

შესავალი

2024–2025 წლებში ეკონომიკის დარგში ნობელის კომიტეტმა პრემიები თანმიმდევრულად მიანიჭა მეცნიერებს, რომელთა თეორიებიც ყველაზე უკეთ ხსნიან თანამედროვე გლობალური კრიზისის ბუნებას. დარონ აჯემოღლუს, საიმონ ჯონსონსა და ჯეიმს რობინსონს (2024) ჯილდო გადაეცათ ინსტიტუტების როლის კვლევისთვის ერების კეთილდღეობის ჩამოყალიბებაში. ფილიპ აგიონს, პიტერ ჰოვიტსა და ჯოელ მოკირს (2025)

— ინოვაციური ზრდის თეორიისთვის, რომელიც ეფუძნება „შემოქმედებითი ნგრევის“ მექანიზმს. ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის: მსოფლიო თანამეგობრობა აფიქსირებს ნეოლიბერალური გლობალიზაციის ეპოქის დასასრულს და გადასვლას მრავალპოლარულ რეალობაზე, სადაც ეკონომიკა კვლავ პოლიტიკის გაგრძელებად იქცევა.

* * *

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია — მსოფლიოს დაყოფა კონკურენტულ ბლოკებად, პროტექციონიზმის ზრდა, ტექნოლოგიური სუვერენიტეტი და სანქციების ომები — მოითხოვს ეკონომიკური მეცნიერების საბაზისო კატეგორიების გადააზრებას.მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეფასებით, ორ გეობლოკად სრულმა გაყოფამ შესაძლოა გლობალური მშპ 7%-ით შეამციროს, ხოლო 2025 წლის პოლიტიკურმა ტურბულენტობამ მსოფლიოს უკვე დააკარგვინა 202. მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. 2026 წელს ეს დანაკარგები თითქმის გაორმაგების საფრთხის წინაშე დგას. ამ პირობებში ნობელის პრემიის ლაურეატების ნაშრომები არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ გამოყენებით მნიშვნელობასაც იძენს და იძლევა თეორიულ ფუნდამენტს იმ სამყაროს გასააზრებლად, სადაც გლობალური მიწოდების ჯაჭვები ადგილს უთმობს რეგიონალურ ალიანსებს, ხოლო ეფექტიანობა — რისკებისადმი მდგრადობას.

ამ გარდამტეხ მომენტში ნობელის კომიტეტმა პრემიები ეკონომიკის დარგში თანმიმდევრულად მიანიჭა მეცნიერებს, რომელთა თეორიებიც ყველაზე უკეთ ხსნიან მიმდინარე პროცესების ბუნებას და გვთავაზობენ შესაძლო პასუხებს. 2024 წელს პრემია მიენიჭათ დარონ აჯემოღლუს, საიმონ ჯონსონსა და ჯეიმს რობინსონს (**AJR — Acemoglu, Johnson, Robinson**) „ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და კეთილდღეობაზე მათ გავლენის კვლევისთვის“[1]. 2025 წელს კი — ჯოელ მოკირს, ფილიპ აგიონსა და პიტერ ჰოვიტს „ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის ახსნისთვის“[2].

ამ ფორმულირებების მიღმა გაცილებით მეტი იმალება: აკადემიური საზოგადოება ნეოლიბერალური კონსენსუსის დასასრულს აფიქსირებს და გვთავაზობს ახალ პარადიგმას, რომელსაც ძალუძს ეკონომიკური ფრაგმენტაციის, ტექნოლოგიური კონკურენციისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს დაბრუნების აზრის გააზრება.2024 წლის ლაურეატების ძირითადი კითხვაა: რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი, ზოგი კი ღარიბი? მათი პასუხია: გადამწყვეტ როლს თამაშობს ინკლუზიური ინსტიტუტები (უფლებებზე ფართო ხელმისაწვდომობა) და ექსტრაქციული ინსტიტუტები (რესურსების გადაქაჩვა ელიტისკენ). კოლონიურმა მემკვიდრეობამ, მათი ვერსიით, განსაზღვრა ერების ბედი.თუმცა, თანამედროვე სამყარო დემონსტრირებს წარმატებულ ეკონომიკურ მოდელებს, რომლებიც ძნელად ჯდება „ინკლუზიურ-ექსტრაქციულ“ ოპოზიციაში. ჩინეთმა, ვიეტნამმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა მიაღწიეს ზრდის უპრეცედენტო ტემპებს ლიბერალურ-

[1] The Conversation. "This year's Nobel prize in economics awarded to team that examined what makes some countries rich and others poor". 14 October 2024.

[2] The Econometric Society. "The Econometric Society Congratulates Fellows Joel Mokyr, Philippe Aghion and Peter Howitt, Winners of the 2025 Nobel Prize in Economics". 13 October 2025. https://www.econometricsociety.org/content/econometric-society-congratulates-fellows-joel-mokyr-philippe-aghion-and-peter-howitt

დემოკრატიული მმართველობის ფორმის მიღების გარეშე. სამყაროს კონკურენტულ ბლოკებად დაშლის პირობებში, AJR-ის უნივერსალისტური მოდელი მკაცრ რეალობას აწყდება: ინსტიტუციური ფორმა წინასწარ არ განსაზღვრავს ეკონომიკურ შედეგს. გაცილებით მნიშვნელოვანია ინსტიტუტების შესაბამისობა კონკრეტულ ისტორიულ და გეოპოლიტიკურ პირობებთან.გარდა ამისა, თვით იდეა იმის შესახებ, რომ ინკლუზიური ინსტიტუტები — ეს, უპირველეს ყოვლისა, დასავლური ლიბერალური დემოკრატიებია, ისტორიულ ეჭვებს იწვევს. ფრაგმენტირებული სამყაროს პირობებში, AJR-ის თეორია სერიოზულ კორექტირებას მოითხოვს. ის კვლავინდებურად კარგია წარსულის ასახსნელად, თუმცა ნაკლებად გამოსადეგია მომავლის პროგნოზირებისთვის, როდესაც ერთიანი გლობალური ბაზრის ნაცვლად ყალიბდება რეგიონალური ბლოკები თამაშის საკუთარი წესებით.

თუკი AJR შეისწავლის წარსულს, 2025 წლის ლაურეატები მომავლისკენ არიან მიმართულნი. აგიონი, მოკირი და ჰოვიტი „შემოქმედებითი ნგრევის“ თეორეტიკოსები არიან: გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ძველი ტექნოლოგიების ახლით მუდმივი ჩანაცვლების შედეგად იბადება. გლობალიზაციის ეპოქაში ეს პროცესი გლობალური კონვეიერივით მუშაობდა. თუმცა, ფრაგმენტაცია ეჭვქვეშ აყენებს თვით ინოვაციური ზრდის პირობებს. გლობალური ინოვაციური სისტემა შესაძლოა დაიყოს პარალელურ ეკოსისტემებად სხვადასხვა სტანდარტებითა და ტექნოლოგიური პლატფორმებით.ეს ტექნოლოგიური ზრდის პრობლემას ტექნოლოგიური სუვერენიტეტის პრობლემად აქცევს. ევროკავშირი, რომელსაც აგიონი „რეგულატორულ გიგანტსა და ბიუჯეტურ ჯუჯას“ უწოდებს, ცდილობს საკუთარი ინოვაციური ეკოსისტემის აგებას. თუმცა, აგიონი გვაფრთხილებს: „ბრმა“ პროტექციონიზმმა შესაძლოა ჩაახშოს კონკურენციის მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს შემოქმედებით ნგრევას. ბალანსი ღიაობასა და უსაფრთხოებას შორის ინოვაციური პოლიტიკის მთავარ გამოწვევად იქცევა.

გამოსავალი, რომელსაც აგიონი გვთავაზობს, არის არა იზოლაციონიზმი, არამედ ჰორიზონტალური პოლიტიკის (განათლება, კონკურენციის პოლიტიკა, კვლევების გრძელვადიანი დაფინანსება) და ვერტიკალური, DARPA-ს სტილის მისიონერული ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ტოლერანტულები არიან მარცხის მიმართ და შეუძლიათ კერძო კაპიტალის მოზიდვა. მთავარი პირობაა — სახელმწიფომ არ უნდა ჩაანაცვლოს ბაზარი, არამედ უნდა შექმნას პირობები ჯანსაღი კონკურენციისთვის.

ძველი პარადიგმის კრახის ყველაზე გულახდილი აღიარება ჯოზეფ სტიგლიცისგან გვესმის. სტატიაში „Getting Deglobalization Right“ (2022) იგი აღნიშნავს: „სამყაროს ძველი ხედვა საზღვრების გარეშე აღარ არის სანდო“. ეკონომიკა, რომელიც აგებული იყო „ზუსტად დროზე“ (just-in-time) პრინციპით, აღმოჩნდა სისტემა სათადარიგო ბორბლების გარეშე.

სტიგლიცი გამოყოფს დამოკიდებულებების მართვის სამ სტრატეგიას: დამოუკიდებლობას (შიდა ჯაჭვების აღდგენა), შეუცვლელობას (უპირატესობების გაძლიერება) და დივერსიფიკაციას (მიწოდების გადანაწილება). თითოეულ მათგანს თავისი ფასი აქვს. მთავარი გაკვეთილი კი ისაა, რომ ბაზრები ცუდად აფასებენ რისკს. სახელმწიფოს ამოცანაა არა ბაზრების გაუქმება, არამედ მდგრადობის რეზერვების შექმნა.ფრაგმენტაციის პარადოქსი, რომლის შესახებაც დუგლას დაიმონდი გვაფრთხილებდა, მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური დეზინტეგრაციის პროცესს აქვს თვითგაძლიერების უნარი. დაიმონდ-დიბვიგის მოდელი ბანკებში არსებულ პანიკას ხსნის, როგორც თვითრეალიზებად

წინასწარმეტყველებას. გლობალური მასშტაბით მექანიზმი ანალოგიურია: როდესაც საერთაშორისო ფინანსური კავშირებისადმი ნდობა ეცემა, კაპიტალის გატანა ხდება, ლიკვიდურობა იყინება, სახელმწიფოები აწესებენ ბარიერებს — და წრე იკვრება.

დასკვნები

ფრაგმენტაციის პოლიტიკური ეკონომია ჩამოყალიბდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალ რეჟიმად, სადაც გადამწყვეტი ფაქტორებია ინსტიტუციური მდგრადობა, ტექნოლოგიური სუვერენიტეტი და რისკების მართვის უნარი. ეს დასკვნა ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში.

2024–2025 წლების ნობელის პრემიის ლაურეატებმა მოგვცეს ახალი სამყაროს გაგების გასაღები:

• **AJR** გვახსენებენ, რომ ინსტიტუტების ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მრავალპოლარულ სამყაროში ინკლუზიურობა ვერ დაიყვანება დასავლურ შაბლონამდე.
• **აგიონი და თანაავტორები** გვაფრთხილებენ, რომ ბრმა პროტექციონიზმმა შესაძლოა ჩაახშოს ზრდის კონკურენტული მამოძრავებელი ძალა.

• **სტიგლიცი** აფიქსირებს ნეოლიბერალური კონსენსუსის კრახს და გვთავაზობს „სწორი დეგლობალიზაციის“ კონტურებს.

• **დაიმონდი** შეგვახსენებს, რომ გლობალური ფინანსური კავშირებისადმი ნდობის დაკარგვამ შესაძლოა აამუშაოს ფრაგმენტაციის თვითგაძლიერებადი ციკლი.

დღევანდელი ამოცანაა არა 1990-იანი წლების გლობალიზაციასთან დაბრუნება, არამედ ახალი ინსტიტუციური არქიტექტურის კონსტრუირება, რომელიც შრომის დანაწილების სარგებელს გეოპოლიტიკური შოკებისადმი მდგრადობასთან ათავსებს.

საქართველოსთვის ამ დასკვნებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც მცირე ღია ეკონომიკა, ქვეყანა ფრაგმენტაციის ეპიცენტრში აღმოჩნდა და რუსეთსა და დასავლეთს შორის სანქციების არბიტრაჟის კვანძად იქცა. ფრაგმენტაციის ხაფანგიდან გამოსავალი მდგომარეობს არა მის გაღრმავებაში, არამედ დაბრუნება ინკლუზიურ ინსტიტუტებსა და ზრდის ინოვაციურ მოდელებზე — იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოკლევადიან ეკონომიკურ დანაკარგებს მოითხოვს. ხანდახან ფრაგმენტაციის ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში მდგრადი კეთილდღეობისკენ სხვა გზა არ არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

Acemoglu, D., Johnson, S., & Robinson, J. A. (2001). The Colonial Origins of Comparative Development: An Empirical Investigation. American Economic Review, 91(5), 1369–1401. https://doi.org/10.1257/aer.91.5.1369

Aghion, P., Akcigit, U., & Howitt, P. (2014). What Do We Learn From Schumpeterian Growth Theory? In P. Aghion & S. Durlauf (Eds.), Handbook of Economic Growth (Vol. 2, pp. 515–563). Elsevier. https://doi.org/10.1016/B978-0-444-53540-5.00001-0

Mokyr, J. (2018). The Past and the Future of Innovation: Some Lessons from Economic History.Explorations in Economic History 69,13–26. https://doi.org/10.1016/j.eeh.2018.03.003

Stiglitz, J. E. (2022, June 2). Getting Deglobalization Right. Roosevelt Institute / Project Syndicate. https://rooseveltinstitute.org/publications/getting-deglobalization-right/

The Political Economy of Fragmentation: Theoretical Breakthroughs and Practical Recommendations of the 2024–2025 Nobel Laureates

Natalia Davlasheridze
Doctor of Economics, Senior Researcher
TSU P. Gugushvili Institute of Economics
natalia.davlasheridze@tsu.ge

Shota Tvauri
master of economics
shota.tvauri@gmail.com

Summary

The article analyzes the transformation of the global economic order under the conditions of geopolitical fragmentation (2024–2025) through the prism of theoretical breakthroughs and practical recommendations formulated by recent Nobel laureates in economics. It demonstrates that the era of neoliberal globalization is giving way to a multipolar reality characterized by the regionalization of supply chains, technological sovereignty, and active industrial policy. Drawing on the foundational framework of D. Acemoglu, S. Johnson, and J. Robinson (2024), the paper highlights the limitations of the "inclusive vs. extractive institutions" dichotomy in explaining the developmental success of non-Western nations. Furthermore, the 2025 research on "creative destruction" by P. Aghion, J. Mokyr, and P. Howitt is applied to the context of deglobalization, arguing that blind protectionism stifles innovation, whereas horizontal policies and mission-oriented DARPA models are capable of sustaining economic growth. Special attention is paid to J. Stiglitz's concept of "progressive deglobalization" and D. Diamond's warnings regarding self-reinforcing financial fragmentation. The study concludes that the global economy is transitioning toward a state of "managed fragmentation," necessitating a novel institutional architecture that balances the benefits of the international division of labor with resilience against geopolitical shocks.

Keywords: fragmentation, institutions, innovation, sovereignty, deglobalization.

საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები: შეფასება და პერსპექტივები

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ramaz.putkaradze@tsu.ge

ანა ავაქიშვილი
ეკონომიკის მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების კომპლექსური შეფასება. კვლევაში გაანალიზებულია საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა, ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა, სავაჭრო ბალანსის ცვლილებები და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით შექმნილი შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი. კვლევის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მიერ EFTA-ს ბაზარზე არსებული პრეფერენციული რეჟიმების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას და ძირითადი საექსპორტო სექტორების სტრუქტურულ ანალიზს. შედარებითი მიდგომის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს მდგომარეობა EFTA-ს სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებით, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზაციას. კვლევაში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მონაცემები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველო–EFTA-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ შექმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური საფუძველი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის, თუმცა მისი ეკონომიკური ეფექტიანობა სრულად ათვისებული არ არის. ძირითად გამოწვევებად რჩება ექსპორტის შეზღუდული დივერსიფიკაცია, პრეფერენციული რეჟიმების არასაკმარისი გამოყენება, არასატარიფო ბარიერები და ქართული საწარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის პრობლემები. სტატიის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები მიმართულია შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობების უფრო ეფექტიანი გამოყენების, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებისა და საქართველო–EFTA-ს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო–EFTA; თავისუფალი ვაჭრობა; ეკონომიკური ინტეგრაცია; ექსპორტის დივერსიფიკაცია; საგარეო ვაჭრობა; სავაჭრო ბალანსი.*

შესავალი. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც 2018 წელს შევიდა ძალაში.

შეთანხმების ამოქმედების მიუხედავად, გამოწვევად რჩება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, ექსპორტის შეზღუდული დივერსიფიკაცია და პრეფერენციული რეჟიმის არასრული გამოყენება. შესაბამისად, საქართველო–EFTA-ს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციების შეფასება და გამოუყენებელი შესაძლებლობების გამოვლენა მნიშვნელოვან სამეცნიერო და პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების არსი და ეკონომიკური ეფექტები

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (Free Trade Agreements – FTAs) წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მიზანია სავაჭრო ბარიერების, მათ შორის საბაჟო ტარიფებისა და არასატარიფო შეზღუდვების შემცირება და ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების გადაადგილების ხელშეწყობა (კრუგმანი, პ. რ., ობსტფელდი, მ., & მელიცი, მ. ჯ, 2018).

თანამედროვე მიდგომებით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მხოლოდ ტარიფების შემცირებას არ გულისხმობს და მოიცავს რეგულაციების ჰარმონიზაციას, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებასა და საინვესტიციო პირობების გაუმჯობესებას (Rodrik, 2018). სწორედ ამ კონტექსტში განიხილება საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) და მისი სავაჭრო პოლიტიკა

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) შეიქმნა 1960 წელს და წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმას, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (შემდგომში ევროკავშირის) უფრო ღრმა ინტეგრაციის პროცესში (ფუტკარაძე, 2026). ასოციაციის თავდაპირველი მიზანი იყო წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირება და თავისუფალი ვაჭრობის განვითარება.

დღეისათვის EFTA აერთიანებს ოთხ მაღალგანვითარებულ ქვეყანას - შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და ლიხტენშტაინს. აღნიშნული სახელმწიფოები არ არიან ევროკავშირის წევრები, თუმცა აქტიურად არიან ინტეგრირებული ევროპულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ფარგლებში მონაწილეობენ ევროკავშირის შიდა ბაზარში, ხოლო შვეიცარია ევროკავშირთან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე თანამშრომლობს.

EFTA-ს სავაჭრო პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფართო ქსელის განვითარებას, რომლის მიზანია წევრი ქვეყნებისათვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაფართოება, სავაჭრო ბარიერების შემცირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა. ორგანიზაციას გაფორმებული აქვს მრავალი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპულ და არაევროპულ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან.

EFTA-ს წევრი ქვეყნები გამოირჩევიან მაღალი შემოსავლებით, ინოვაციური ეკონომიკითა და მაღალი დამატებული ღირებულების მქონე წარმოებით. შვეიცარია განსაკუთრებით ძლიერია ფარმაცევტულ, ფინანსურ და მაღალტექნოლოგიურ სექტორებში, ნორვეგია - ენერგეტიკასა და საზღვაო ინდუსტრიებში, ხოლო ისლანდია და ლიხტენშტაინი - სპეციალიზებულ წარმოებასა და მომსახურების სექტორებში. შესაბამისად, EFTA წარმოადგენს განვითარებული ეკონომიკების გაერთიანებას, რომლის გამოცდილება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობებისა და შედეგების შეფასების თვალსაზრისით.

საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფორმირება და მისი ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ეფუძნება ღია ეკონომიკური განვითარების მოდელს, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციის გაღრმავება და სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია. ამ პროცესში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები განიხილება არა მხოლოდ სავაჭრო ბარიერების შემცირების მექანიზმად, არამედ ეკონომიკური ზრდის, ექსპორტის გაფართოებისა და საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვებში ჩართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2024). პოსტსოციალისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საბაზრო ინსტიტუტების ფორმირება და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია (ბასილია და სხვ., 2001).

საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თანამშრომლობა ქვეყნის ევროპულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის ნაწილია. EFTA, რომელიც აერთიანებს შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და ლიხტენშტაინს, წარმოადგენს მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელიც ევროკავშირისგან განსხვავებულ, უფრო მოქნილ ინტეგრაციულ მოდელს ეფუძნება და წევრ ქვეყნებს მესამე სახელმწიფოებთან დამოუკიდებელი სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას უნარჩუნებს (European Free Trade Association [EFTA], 2024).

საქართველოსა და EFTA-ს ურთიერთობების მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 2012 წელს თანამშრომლობის დეკლარაციის გაფორმებით, რომელმაც შექმნა საფუძველი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის. შემდგომი მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წლის 27 ივნისს ბერნში ხელი მოეწერა საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. შეთანხმება ეტაპობრივად შევიდა ძალაში: 2017 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს, ნორვეგიასა და ისლანდიას შორის, ხოლო 2018 წლის 1 მაისიდან - შვეიცარიასა და ლიხტენშტაინთან მიმართებით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018).

აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ფართო ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოს და არ შემოიფარგლება მხოლოდ საბაჟო ტარიფების შემცირებით. იგი მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, წარმოშობის წესებს, საბაჟო პროცედურებს, ტექნიკურ რეგულაციებს, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს, ინვესტიციებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, სახელმწიფო შესყიდვებსა და კონკურენციის პოლიტიკას (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017).

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შეთანხმების იმ კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობს არასატარიფო ბარიერების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებას და EFTA-ს ბაზრებზე ქართული პროდუქციის წვდომის გაფართოებას. თუმცა, შეთანხმების ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქართული საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასა და საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციაზე (Kovziridze, 2020).

ამრიგად, საქართველო–EFTA-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წარმოადგენს არა მხოლოდ სავაჭრო ლიბერალიზაციის ინსტრუმენტს, არამედ ეკონომიკური და ინსტიტუციური დაახლოების მექანიზმს. მისი სრული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია საქართველოს შესაძლებლობაზე, გაზარდოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობა, გააფართოოს საექსპორტო ბაზრები და განავითაროს მაღალი დამატებული ღირებულების მქონე წარმოება.

საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა (ექსპორტი,იმპორტი, სავაჭრო ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს სავაჭრო ნაკადების გაფართოებას, საინვესტიციო კავშირების გაღრმავებასა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეფასებას.

განხილულია საქართველო–EFTA-ს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, მათ შორის ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა, სავაჭრო ბალანსის ცვლილებები და EFTA-ს ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI). აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს საქართველო–EFTA-ს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ტენდენციები და მისი მნიშვნელობა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, ევროპული ინტეგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცეებთან თანამშრომლობის საკითხები სხვადასხვა პერიოდშია გაანალიზებული ფუტკარაძის და სხვათა ნაშრომებში (ფუტკარაძე, 2010, 2017, 2019).

N1 დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2015–2025 წლებში საქართველოს ექსპორტი EFTA-ს წევრ ქვეყნებში ძირითადად მზარდი ტენდენციით

ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ხელი 2016 წელს მოეწერა, ხოლო მისი ძალაში შესვლა შემდგომ წლებში ეტაპობრივად განხორციელდა. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ექსპორტის მოცულობის ზრდის ტენდენციას, რაც ვლინდება როგორც ფაქტობრივ მონაცემებში, ისე ტრენდული ხაზის მიმართულებაში. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება 2020 და 2024 წლებში, ხოლო 2021 წელს შეინიშნება დროებითი შემცირება. 2022 წლიდან ექსპორტის მოცულობა კვლავ იზრდება და 2024 წელს საანალიზო პერიოდის მაქსიმუმს აღწევს. 2025 წლის წინასწარი მონაცემებით ექსპორტი მცირედით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს, თუმცა მნიშვნელოვნად აღემატება პერიოდის საწყის ეტაპზე დაფიქსირებულ მოცულობას.

მთლიანობაში, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში საქართველოს ექსპორტი EFTA-ს ბაზარზე ზრდის ტენდენციას ავლენს, რაც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებაზე მიუთითებს. თუმცა აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ დინამიკის კონსტატაცია, მაშინ როდესაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების უშუალო გავლენის შეფასება საჭიროებს დამატებით ანალიზს, რომელიც ნაშრომის შემდგომ ნაწილში იქნება განხილული.

N1 დიაგრამა. საქართველოს ექსპორტი ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი).



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით. დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

2020–2025 წლებში საქართველოს ექსპორტი EFTA-ს ქვეყნებში მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება და ძირითადად XIV სასაქონლო ჯგუფზე – ძვირფას ან ნახევრადძვირფას ქვებზე, ძვირფას ლითონებსა და მათგან დამზადებულ ნაწარმზე მოდის. აღნიშნული ჯგუფი ყოველწლიურად მთლიანი ექსპორტის უდიდეს ნაწილს შეადგენს.

შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე მინერალურ პროდუქტებს(თუმცა 2025 წელს ამ ჯგუფის პროდუქცია საერთოდ არ არის ექსპორტირებული), ქიმიურ და ფარმაცევტულ პროდუქტებს, არაძვირფას ლითონებს, მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს, მაშინ როდესაც დანარჩენი სასაქონლო ჯგუფების წილი მნიშვნელოვნად მცირეა. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ საქართველოს ექსპორტი EFTA-ს ბაზარზე რამდენიმე ძირითად პროდუქტულ კატეგორიაზეა დამოკიდებული და დივერსიფიკაციის შედარებით დაბალი დონით ხასიათდება.

საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპორტის დინამიკის ანალიზს, რომელიც ასახავს ქვეყნის დამოკიდებულებას აღნიშნული ბაზრების პროდუქციასა და მომსახურებაზე. საქართველოს იმპორტი EFTA-ს წევრი ქვეყნებიდან 2015–2025 წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა აღნიშნული ზრდა მთელი პერიოდის განმავლობაში ერთგვაროვანი არ ყოფილა. შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული ეტაპის გამოყოფა, რომლებიც იმპორტის ინტენსივობისა და სტრუქტურის ცვლილებებს ასახავს.

საანალიზო პერიოდის საწყის ეტაპზე (2015–2020 წლები) იმპორტის მოცულობა შედარებით სტაბილურ ფარგლებში მერყეობდა. მიუხედავად ცალკეული წლიური ცვლილებებისა, EFTA-დან განხორციელებული იმპორტი ძირითადად 40–70 მლნ აშშ დოლარის დიაპაზონში რჩებოდა, რაც მიუთითებს სავაჭრო კავშირების შენარჩუნებაზე, თუმცა მათი მასშტაბების შედარებით ზომიერ ზრდაზე.

მნიშვნელოვანი გარდატეხა შეინიშნება 2021 წლიდან, როდესაც იმპორტის მოცულობა მკვეთრად იზრდება. ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2022–2025 წლებში, რა დროსაც EFTA-დან იმპორტი პრაქტიკულად გაორმაგდა და 2025 წლის წინასწარი მონაცემებით 200 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. შესაბამისად, პერიოდის მეორე ნახევარში იმპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება საწყის წლებში დაფიქსირებულ დინამიკას.

N2 დიაგრამა. საქართველოს იმპორტი ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებიდან.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით; დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

ქვეყნების მიხედვით იმპორტის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ EFTA-ს ფარგლებში საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი შვეიცარიაა. მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში შვეიცარიის წილი მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენი წევრი ქვეყნების მაჩვენებლებს, ხოლო 2021 წლის შემდეგ დაფიქსირებული საერთო ზრდა უმეტესად სწორედ შვეიცარიიდან იმპორტის გაფართოებას უკავშირდება. ამის ფონზე ნორვეგიის, ისლანდიისა და ლიხტენშტაინის წილი შედარებით მცირე რჩება და მთლიანი იმპორტის დინამიკაზე არსებით გავლენას არ ახდენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წელს საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მიუხედავად, იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა უშუალოდ აღნიშნულ წელს არ ფიქსირდება. პირიქით, შედარებით სწრაფი ზრდის ტენდენცია მოგვიანებით, განსაკუთრებით 2021 წლის შემდეგ იკვეთება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იმპორტის დინამიკა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ჭრილში უნდა შეფასდეს.

EFTA-ს ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ საანალიზო პერიოდში იმპორტი რამდენიმე მნიშვნელოვან სასაქონლო ჯგუფზე ნაწილდება. იმპორტის უდიდესი წილი მოდის VI ჯგუფზე – ქიმიურ და ფარმაცევტულ პროდუქტებზე, რომელთა მოცულობამ 146 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე XVI ჯგუფს (ელექტროტექნიკური მანქანა-მოწყობილობები), I ჯგუფს (ცხოველური წარმოშობის პროდუქტები) და XVIII ჯგუფს (ოპტიკური, საზომ-საკონტროლო და სამედიცინო ინსტრუმენტები). აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ EFTA-ს ქვეყნებიდან საქართველოში ძირითადად მაღალი ტექნოლოგიური და მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქცია შემოდის. ამასთან, ექსპორტისგან განსხვავებით, სადაც დომინირებს ერთი სასაქონლო ჯგუფი, იმპორტი

შედარებით დივერსიფიცირებული სტრუქტურით ხასიათდება, რაც სავაჭრო ურთიერთობების უფრო მრავალმხრივ ხასიათზე მიუთითებს.

N2 ცხრილი. საქართველოს იმპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები EFTA-ს წევრი ქვეყნებიდან (ათასი აშშ დოლარი).

სასაქონლო კარის დასახელება	2021	2022	2023	2024	2025 *
I ცოცხალი ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	8,626	15,839	19,405	15,505	16,862
VI ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქცია	53,493	69,329	98,789	120,503	146,031
VII პლასტმასები, რეზინი და მათი ნაწარმი	3,198	4,134	4,077	3,581	3,753
XI ტექსტილის მასალები და ნაწარმი	1,240	1,949	3,223	3,203	2,053
XV არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	902	2,488	1,500	2,281	4,631
XVI ელექტროტექნიკური მანქანა-მოწყობილობები და მათი ნაწილები	15,351	18,232	13,870	19,035	18,900
XVII მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები	2,262	4,405	5,687	6,777	4,860
XVIII ოპტიკური, საზომ-საკონტროლო, სამედიცინო, მუსიკალური ინსტრუმენტები და მათი ნაწილები	5,222	10,193	10,511	4,455	5,777

საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ინდიკატორია სავაჭრო ბრუნვა, რომელიც ერთიანად ასახავს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობებს და ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსივობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. 2015–2025 წლებში საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო ბრუნვა მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. საანალიზო პერიოდში მისი მოცულობა დაახლოებით 108 მილიონი აშშ დოლარიდან 320 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაფართოების მაჩვენებელია. ამასთან, ზრდა არ ყოფილა თანაბარი მთელი პერიოდის განმავლობაში. 2015–2020 წლებში სავაჭრო ბრუნვა შედარებით ზომიერი ტემპით იზრდებოდა და 150 –180 მილიონ აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2022 წლიდან ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ქვეყნების მიხედვით სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა მკაფიო კონცენტრაციით გამოირჩევა. EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის წამყვანი პოზიცია უკავია შვეიცარიას, რომლის წილი მთელი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად აღემატება ნორვეგიის, ისლანდიისა და ლიხტენშტაინის მაჩვენებლებს. შესაბამისად, საქართველოსა და EFTA-ს

შორის სავაჭრო ბრუნვის საერთო დინამიკა უმეტესწილად შვეიცარიასთან სავაჭრო ურთიერთობების ცვლილებებს ასახავს.

N3 დიაგრამა. საქართველოსა და EFTA-ს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა[1]



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით; დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2022–2025 წლების პერიოდი, როდესაც სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირების ინტენსიფიკაციასა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

სავაჭრო სალდო წარმოადგენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას და საშუალებას იძლევა შეფასდეს საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად მიღებული წმინდა ეკონომიკური ეფექტი. დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2015–2025 წლებში საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო სალდო ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. საანალიზო პერიოდის დასაწყისში, 2015 წელს, დაფიქსირდა უარყოფითი სალდო, რაც იმპორტის ექსპორტზე მაღალი მოცულობით იყო განპირობებული. თუმცა, 2016–2020 წლებში მდგომარეობა გაუმჯობესდა და სავაჭრო ბალანსი დადებითი გახდა. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა 2020 წელს, როდესაც დადებითმა სალდომ დაახლოებით 32.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წლიდან ტენდენცია შეიცვალა და სავაჭრო სალდომ კვლავ უარყოფითი მიმართულება მიიღო. 2022–2025 წლებში დეფიციტი თანდათან გაიზარდა და 2025 წლისთვის დაახლოებით 98 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

[1] შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორთას მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით. დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

აღნიშნული ცვლილება მიუთითებს, რომ ბოლო წლებში EFTA-ს ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის ტემპი ექსპორტის ზრდას აღემატებოდა.

N4 დიაგრამა. საქართველოსა და EFTA-ს ქვეყნებს შორის სავაჭრო სალდო



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორთს მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით; დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სავაჭრო ნაკადების, არამედ საინვესტიციო თანამშრომლობის ანალიზიც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რადგან ისინი ასახავს უცხოელი ინვესტორების ნდობას ქვეყნის ეკონომიკური გარემოს მიმართ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოების, დასაქმებისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობაში. ამდენად, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს EFTA-ს წევრი ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მათი ადგილი ქვეყნის საინვესტიციო პროცესებში. N5 დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ EFTA-ს წევრი ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთელი პერიოდის განმავლობაში არაერთგვაროვანი და ცვალებადი ხასიათით გამოირჩევა. ინვესტიციების დინამიკაში შეინიშნება როგორც მკვეთრი ზრდის, ისე შემცირების პერიოდები. განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2018 და 2023 წლებში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლები, რომელთა შემდეგ ინვესტიციების მოცულობა კვლავ შემცირების ტენდენციას ავლენს. ამასთან, მონაცემები არ ადასტურებს ინვესტიციების სტაბილური ზრდის ტენდენციის არსებობას თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდგომ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ წლებში ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ეს ზრდა ვერ იქცა მდგრად და გრძელვადიან პროცესად. აღსანიშნავია ისიც, რომ EFTA-ს ქვეყნებს შორის საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხოლო ინვესტიციების ძირითადი ნაწილი შვეიცარიაზე მოდის.

N5 დიაგრამა. EFTA-ს წევრი ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით; დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის წინასწარი მონაცემები.

EFTA-ს ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ ნორვეგიის, ისლანდიისა და ლიხტენშტეინის საინვესტიციო აქტივობა შედარებით შეზღუდულია და ძირითადად კონცენტრირებულია უძრავი ქონებისა და სხვა დანარჩენი სექტორების მიმართულებით. ამის საპირისპიროდ, შვეიცარიის ინვესტიციები ხასიათდება უფრო ფართო სექტორული დივერსიფიკაციით და მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგს, მათ შორის პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობას, ვაჭრობას, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობას, ტრანსპორტსა და დამამუშავებელ მრეწველობას.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის წილი საქართველოს მთლიან FDI-ში 2.3%-ს შეადგენს, მისი ინვესტიციები გამოირჩევა სექტორული მრავალფეროვნებით, რაც საქართველო–EFTA-ს საინვესტიციო თანამშრომლობის პოტენციალზე მიუთითებს.

საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეფასება აჩვენებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ შექმნა მყარი ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. შეთანხმების მთავარი შედეგია სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაცია, ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება და საქართველოსთვის პროგნოზირებადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, რომლის

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის გაღრმავება.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, საქართველოსა და EFTA-ს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი მიუთითებს, რომ შეთანხმების პოტენციალი სრულად ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ფორმალური ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობა ავტომატურად არ უზრუნველყოფს სავაჭრო ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას, თუ მას არ ახლავს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის სტრუქტურული გაუმჯობესება და ბიზნესის აქტიური ჩართულობა.

საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება სავაჭრო ბრუნვის შედარებით დაბალი მოცულობა. მიუხედავად შეთანხმების არსებობისა, ორმხრივი ვაჭრობის მასშტაბები კვლავ არ შეესაბამება იმ შესაძლებლობებს, რასაც მაღალგანვითარებულ ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან თანამშრომლობა ქმნის. ეს მიუთითებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის უპირატესობები მხოლოდ ნაწილობრივ აისახება რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოს ექსპორტის შეზღუდული დივერსიფიკაცია. EFTA-ს ბაზრებზე ქართული ექსპორტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რამდენიმე სასაქონლო ჯგუფზე, განსაკუთრებით ძვირფას ლითონებზე, ქვებსა და მათგან დამზადებულ პროდუქციაზე. ასეთი სტრუქტურა ზრდის დამოკიდებულებას ცალკეული პროდუქციის ფასობრივ და საბაზრო ცვლილებებზე და ამცირებს ეკონომიკური ურთიერთობების მდგრადობას. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ისეთი სექტორების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების არასაკმარისი გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ქმნის მნიშვნელოვან სატარიფო შეღავათებს, მათი პრაქტიკული გამოყენების დონე კვლავ დაბალია. აღნიშნული მდგომარეობა დაკავშირებულია როგორც ბიზნესის ინფორმირებულობის ნაკლებობასთან, ისე წარმოშობის წესების, საბაჟო პროცედურებისა და ტექნიკური რეგულაციების შესრულების სირთულეებთან. განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ხშირად დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ და ადმინისტრაციულ დანახარჯებთან.

არასატარიფო ბარიერები ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე. ტექნიკური რეგულაციები, ხარისხის სტანდარტები და სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული მოთხოვნები თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში ხშირად უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება, ვიდრე თავად სატარიფო შეღავათები. შესაბამისად, საქართველოსთვის აუცილებელია ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისობის შეფასების სისტემების გაძლიერება.

სავაჭრო ბალანსის დინამიკა ასევე მიუთითებს ურთიერთობების გარკვეულ ასიმეტრიაზე. ბოლო წლებში იმპორტის ზრდამ ხშირ შემთხვევაში გადააჭარბა ექსპორტის ზრდას, რამაც სავაჭრო დეფიციტის გაფართოება გამოიწვია. აღნიშნული მდგომარეობა ასახავს არა მხოლოდ სავაჭრო ნაკადების განსხვავებულ მასშტაბებს, არამედ საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ გამოწვევებს, მათ შორის ადგილობრივი წარმოების შეზღუდულ შესაძლებლობებსა და იმპორტზე დამოკიდებულების მაღალ დონეს.

EFTA-ს ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი აჩვენებს, რომ კაპიტალის შემოდინება შედარებით მრავალფეროვან სექტორებს მოიცავს, მათ შორის ფინანსურ მომსახურებებს, ენერგეტიკას, ფარმაცევტულ სფეროსა და სხვა მიმართულებებს. თუმცა, მიუხედავად სექტორული მრავალფეროვნებისა, ინვესტიციების მოცულობა ჯერ კიდევ შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან ტექნოლოგიურ და საწარმოო ტრანსფორმაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საინვესტიციო პოლიტიკის უფრო მჭიდრო დაკავშირება საექსპორტო განვითარების მიზნებთან.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია არსებული შესაძლებლობების პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესება. უპირველესად, საჭიროა ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანი სექტორების განვითარება. განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია ფარმაცევტულ, აგროსასურსათო, ტექსტილის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მწვანე ენერგიის მიმართულებებს, სადაც შესაძლებელია საქართველოსა და EFTA-ს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

მნიშვნელოვანია წარმოშობის წესებისა და კუმულაციის მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება, რაც ქართულ საწარმოებს საშუალებას მისცემს უკეთ გამოიყენონ შეთანხმებით გათვალისწინებული სატარიფო უპირატესობები და უფრო აქტიურად შევიდნენ EFTA-ს ბაზრებზე. ამასთანავე, საჭიროა ბიზნესის ინფორმირებულობის ამაღლება, საექსპორტო მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება და კომპანიებისთვის შესაბამისი საკონსულტაციო სერვისების განვითარება.

საქართველოსა და EFTA-ს შორის ინსტიტუციური დიალოგის გაძლიერება ასევე წარმოადგენს შეთანხმების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან მიმართულებას. ერთობლივი კომიტეტებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმატების აქტიური გამოყენება ხელს შეუწყობს სავაჭრო ბარიერების შემცირებას, ტექნიკური საკითხების დროულ გადაწყვეტას და ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას იმ სექტორებში, რომლებიც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას. EFTA-ს წევრი ქვეყნების ტექნოლოგიური გამოცდილებისა და ფინანსური რესურსების გამოყენება შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციისა და საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვებში უფრო ღრმა ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი (Chania & Putkaradze, 2018).

ამრიგად, საქართველო–EFTA-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მთავარი გამოწვევა მდგომარეობს არა სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში, არამედ მისი ეკონომიკური შესაძლებლობების სრულ რეალიზაციაში. შეთანხმების შემდგომი ეფექტიანობა დამოკიდებულია ექსპორტის სტრუქტურულ გაუმჯობესებაზე, წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, ბიზნესის ინფორმირებულობის ამაღლებასა და საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერებაზე. აღნიშნული მიმართულებების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოსა და EFTA-ს შორის ურთიერთობების გადასვლას ფორმალური სავაჭრო თანამშრომლობიდან უფრო ღრმა და მდგრად ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ინტეგრაციას განვითარებულ ევროპულ ბაზრებთან, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებასა და საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებას.

2015–2025 წლების სავაჭრო და საინვესტიციო მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ გაიზარდა საქართველო–EFTA-ს შორის სავაჭრო ურთიერთობების ინტენსივობა და ინვესტორთა ინტერესი, თუმცა კვლავ შენარჩუნებულია სავაჭრო დისბალანსი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურული განსხვავებით: საქართველოდან EFTA-ს ქვეყნებში ძირითადად დაბალი და საშუალო დამატებული ღირებულების პროდუქცია ექსპორტირდება, ხოლო იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მაღალტექნოლოგიურ და მაღალი ღირებულების საქონელს.

კვლევამ დაადასტურა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული პრეფერენციული რეჟიმების გამოყენების დონე საქართველოს მხრიდან ჯერ კიდევ შეზღუდულია. ამის ძირითად მიზეზებად გამოიკვეთა წარმოშობის წესების გამოყენების სირთულე, ტექნიკური რეგულაციებისა და სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესრულების პრობლემები, აგრეთვე საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან, მათ შორის GMP-ის მოთხოვნებთან, შესაბამისობის არასაკმარისი დონე და სხვ.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შეთანხმების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია ექსპორტის დივერსიფიკაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ბიზნესის ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება.

ამასთან, შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს სავაჭრო ბარიერების ეტაპობრივ შემცირებას, თანამშრომლობის ახალი მიმართულებების განვითარებასა და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. საბოლოოდ, კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სრული ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამართლებრივი რეჟიმის არსებობაზე, არამედ ქვეყნის შესაძლებლობაზე, შექმნას კონკურენტუნარიანი წარმოება, გააფართოოს საექსპორტო შესაძლებლობები და ეფექტიანად გამოიყენოს საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციის უპირატესობები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაიძე, თ. (2001). *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე.* თბილისი.

ვეშაპიძე, შ., ბახტაძე, ლ., ფუტკარაძე, რ., ხარიტონაშვილი, და სხვ. (2024). *საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.* Smarty.

ვეშაპიძე, შ., ჯამაგიძე, ლ., კერესელიძე, ლ., ფუტკარაძე, და სხვ. (2025). *საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივა*. Smarty.

კრუგმანი, პ. რ., ობსტფელდი, მ., & მელიცი, მ. ჯ. (2018). *საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა* (მე-10 გამოცემა). ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე. თბილისი.

პაპავა, ვ. (2001). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია. "სოციალური ეკონომიკა," N5.

პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ცენტრი (PMC Research Center). (2020). *საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეკონომიკური ეფექტები*. თბილისი.

ფუტკარაძე, რ. (2010). *საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები*. თბილისი: უნივერსალი.

ფუტკარაძე, რ. (2019). ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XI, N3.

ფუტკარაძე, რ. (2026). *თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია*. ქართული ენციკლოპედია. ნანახია: 10 ივლისი, 2026. https://www.georgianencyclopedia.ge/ka/form/18962

ფუტკარაძე, რ. (2017). თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და საქართველო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები"*, 248–254.

ჯამაგიძე, ლ. (2020). სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, (9), 70–76.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2017). *საქართველოსა და EFTA-ს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა*.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). *საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება 1-ლი მაისიდან სრულად ამოქმედდება*.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2017). *„ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" შეთანხმება*.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2024*.

Baldwin, R., & Wyplosz, C. (2022). *The economics of European integration* (7th ed.). McGraw-Hill Education.

Chania, M., & Putkaradze, R. (2018). The priorities of Georgian economic development in conditions of globalization. *European Journal of Marketing and Economics, 1*(1), 63–66.

European Free Trade Association. (2018). *EFTA's free trade relations*.

European Free Trade Association. (2024). *About EFTA*.

European Free Trade Association. (2024). *Free trade relations*.

European Free Trade Association. (2025). *Analysis of the utilisation of EFTA's free trade agreements: FTA Monitor*.

Kovziridze, T. (2020). *An initial assessment of the EFTA–Georgia Free Trade Agreement*. 3DCFTA.

Pelkmans, J. (2019). *European integration: Methods and economic analysis* (4th ed.). Cambridge University Press.

World Trade Organization. (2024). *Regional trade agreements database*. WTO.

World Trade Organization. (2025). *Regional trade agreements*. WTO.

World Bank. (2026). *World Development Indicators*.

Trends in the Development of Trade and Economic Relations between Georgia and the Member States of the European Free Trade Association (EFTA): Assessment and Prospects

Ramaz Putkaradze
Doctor of Economics, Associate Professor
Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ramaz.putkaradze@tsu.ge

Ana Avakishvili
Master of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The aim of this paper is to provide a comprehensive assessment of the development trends, achievements, and existing challenges of trade and economic relations between Georgia and the member states of the European Free Trade Association (EFTA). The study analyzes the dynamics of trade relations between Georgia and EFTA member states during 2015–2025, the commodity structure of exports and imports, changes in the trade balance, and the extent to which the opportunities created by the Free Trade Agreement are utilized. Particular attention is paid to assessing the effectiveness of Georgia's use of preferential tariff regimes available on the EFTA market and to the structural analysis of key export sectors. Based on a comparative approach, Georgia's position is evaluated in relation to other EFTA partner countries, which makes it possible to identify the factors hindering the full realization of the economic potential created by the Free Trade Agreement. The study uses data from the National Statistics Office of Georgia (Geostat), the European Free Trade Association (EFTA), the World Trade Organization (WTO), the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, and other international institutions. The methodological framework of the research is based on statistical, comparative, and structural analysis methods. The results of the study demonstrate that the Georgia–EFTA Free Trade Agreement has created an important institutional foundation for the development of trade relations; however, its economic potential has not yet been fully utilized. The main challenges remain limited export diversification, insufficient use of preferential tariff regimes, non-tariff barriers, and difficulties related to the compliance of Georgian enterprises with international standards. The recommendations proposed in the paper are aimed at ensuring more effective utilization of the opportunities provided by the Agreement, strengthening export potential, and deepening economic cooperation between Georgia and EFTA.

Keywords: Georgia–EFTA; free trade; economic integration; export diversification; foreign trade; trade balance.

საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობები და საგარეო ვაჭრობა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში

გიორგი ფოფხაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Giorgi685@gmail.com

მილანა მუსერიძე
ბაკალავრის სტუდენტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
museridze.milana@atsu.edu.ge

ანოტაცია. *ეს სტატია იკვლევს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და გლობალური ვაჭრობის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის მზარდი ზეწოლის ქვეშ. ცივი ომის შემდგომი ჰიპერგლობალიზაციის ეპოქის უკან დახევასთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობა სულ უფრო მეტად რეგულირდება პოლიტიკური გაერთიანებებითა და უსაფრთხოების იმპერატივებით და არა მხოლოდ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური ეფექტურობით. კვლევა აანალიზებს ლიბერალური სავაჭრო წესრიგის სისტემურ კრიზისს, რასაც ხაზს უსვამს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ავტორიტეტის შესუსტება და ტარიფების, სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის იარაღად გამოყენება, განსაკუთრებით აშშ-ჩინეთის ტექნოლოგიური მეტოქეობისა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების კონტექსტში. გარდა ამისა, ნაშრომი იკვლევს გლობალური მიწოდების ჯაჭვების რეკონფიგურაციას ახლად წარმოქმნილი სტრატეგიული პარადიგმების მეშვეობით, როგორიცაა „ახლო დაშორება“, „მეგობრული დაშორება“ და ეკონომიკური „განცალკევება“. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების ნაციონალიზმს და კრიტიკული ნედლეულის გეოპოლიტიკას, რომელიც აუცილებელია მწვანე ენერგიის გარდამავალი პერიოდისთვის, მზარდი დედოლარიზაციის ტენდენციებთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობს გაფართოებული BRICS+ ბლოკი. და ბოლოს, სტატია ამ მაკროეკონომიკურ ცვლილებებს კონტექსტუალიზაციას უკეთებს მცირე, ღია ეკონომიკის პერსპექტივიდან, საქართველოსა და „შუა დერეფნის“ განვითარების შემთხვევის გამოყენებით. ნაშრომში ასკვნიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტაცია გლობალურ მშპ-ს მძიმე დანაკარგებს იწვევს, ის ამავდროულად ქმნის უნიკალურ ლოგისტიკურ და ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს სტრატეგიულად განლაგებული სატრანზიტო დერეფნებისთვის. საბოლოო ჯამში, კვლევა ვარაუდობს, რომ გლობალური ეკონომიკა ერთიანი ინტეგრირებული ქსელიდან რეგიონული, პოლიტიკურად გაერთიანებული სავაჭრო ბლოკების ფრაგმენტულ ეკოსისტემად გარდაიქმნება.*

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, მეგობრული ურთიერთობების დამყარება, მიწოდების ჯაჭვის რეკონფიგურაცია, შუა დერეფანი, რესურსების ნაციონალიზმი*

XXI საუკუნის მესამე ათწლეული საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გარდამტეხი ეპოქის დასაწყისია. ცივი ომის დასრულების შემდეგ დაწყებული გლობალიზაციის ტალღა, რომელიც თავისუფალ ვაჭრობაზე, საზღვრების გახსნასა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების მაქსიმალურ ოპტიმიზაციაზე იყო დაფუძნებული, დღეს სერიოზულ კრიზისს განიცდის. მსოფლიო წესრიგი, სადაც წამყვანი მამოძრავებელი ეკონომიკური ეფექტიანობა და იაფი წარმოება იყო, იცვლება ახალი რეალობით, სადაც წინა პლანზე ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკური სანდოობა და სტრატეგიული ავტონომია დგება. გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებებმა და ეკონომიკის „იარაღად გამოყენების“ ტენდენციამ საფუძველი ჩაუყარა პროცესს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და წამყვანი ეკონომისტები გეოეკონომიკურ ფრაგმენტაციას უწოდებენ.

გლობალური სავაჭრო სისტემის რღვევა რამდენიმე მნიშვნელოვანმა კრიზისმა დააჩქარა ესენია: აშშ-ჩინეთის სავაჭრო და ტექნოლოგიური ომი, COVID-19-ის პანდემია (რომელმაც აჩვენა მიწოდების ჯაჭვების მოწყვლადობა) და უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ, რასაც დასავლეთის მხრიდან უპრეცედენტო ფინანსური და ეკონომიკური სანქციები მოჰყვა. (Gireffi, 2021). ამ მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ოდესღაც მშვიდობის გარანტად მიიჩნეოდა, დღეს გეოპოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად იქცა. შედეგად, მსოფლიო ეკონომიკა იწყებს პოლარიზაციას და იყოფა ერთმანეთის მეტოქე, პოლიტიკურ ალიანსურ ბლოკებად[5].

ამ კონტექსტში, საერთაშორისო ბიზნესსა და ვაჭრობაში გაჩნდა ახალი სტრატეგიული პარადიგმები, როგორიცაა: Decoupling (ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა/გამიჯვნა), Near-shoring (წარმოების გეოგრაფიულად ახლოს გადმოტანა), Friend-shoring (სავაჭრო პარტნიორობა მხოლოდ მოკავშირე და „მეგობრულ“ სახელმწიფოებთან).

ეს პროცესები პირდაპირ აისახება გლობალურ მშპ-ზე, ინვესტიციების ნაკადებსა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რადგან კომპანიები იძულებულნი არიან, უარი თქვან ყველაზე იაფ ბაზრებზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების სასარგებლოდ.

სტატიის მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ ცვლის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია საერთაშორისო სავაჭრო წესებსა და მიწოდების ჯაჭვებს. ნაშრომში განხილული იქნება რესურსების ნაციონალიზმის ზრდა, მწვანე ენერგოტრანზიციის ფარგლებში კრიტიკული ნედლეულისთვის ბრძოლა და ფინანსური სისტემის დედოლარიზაციის ტენდენციები.

გარდა გლობალური სურათისა, განსაკუთრებულ ყურადღება დაეთმობა მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. საქართველოსა და „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) მაგალითზე წარმოდგენილი იქნება, თუ როგორ შეიძლება გეოეკონომიკურმა დანაწევრებამ, ტრადიციული მარშრუტების ბლოკირების ფონზე, ახალი გეოგრაფიული და ლოგისტიკური ალტერნატივების წარმოშობას შეუწყოს ხელი. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტაცია ზრდის გლობალურ დანახარჯებს, ის ამავდროულად ქმნის ახალ შესაძლებლობებს სტრატეგიულად განლაგებული სატრანზიტო ჰაბებისთვის.

ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო სავაჭრო სისტემა ეყრდნობოდა მულტილატერალიზმის (მრავალმხრივობის) პრინციპს, რომლის მთავარ გარანტადაც

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) გვევლინებოდა. ეს სისტემა კრძალავდა დისკრიმინაციულ ტარიფებს და ხელს უწყობდა გლობალურ ინტეგრაციას. თუმცა, დღეს ეს ორგანიზაცია ღრმა ინსტიტუციურ კრიზისს განიცდის. WTO-ს როლი სავაჭრო დავების გადაწყვეტაში პრაქტიკულად პარალიზებულია, რისი უმთავრესი მიზეზიც მისი სააპელაციო ორგანოს (Appellate Body) ბლოკირებაა, რომელიც სათავეს აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებიდან იღებს.(WTO, 2024).

ორმხრივი და მრავალმხრივი გლობალური შეთანხმებები ჩაანაცვლა რეგიონულმა, პოლიტიკურ მოტივებზე დაფუძვნებულმა კავშირებმა. ეკონომიკური ნაციონალიზმის ზრდამ აიძულა სახელმწიფოები, გვერდი აუარონ WTO-ს წესებს და დააწესონ ცალმხრივი შეზღუდვები საკუთარი შიდა ბაზრებისა თუ სტრატეგიული სექტორების დასაცავად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) კვლევები აჩვენებს, რომ ყოველწლიურად მკვეთრად იზრდება ახალი სავაჭრო შეზღუდვების რაოდენობა, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიო ვაჭრობის უნივერსალური წესები ძალას კარგავს და ადგილს უთმობს ძალისმიერ ეკონომიკურ დიპლომატიას. (Baldwin, 2022).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება სავაჭრო ომები და სანქციების კომპლექსური რეჟიმებია. ეკონომიკური ინსტრუმენტები როგორიც არის: ტარიფები, საექსპორტო კონტროლი, საინვესტიციო ბლოკადები და ფინანსური შეზღუდვები — დღეს გამოიყენება არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნებისთვის, არამედ როგორც საგარეო პოლიტიკური იარაღი მოწინააღმდეგის დასასუსტებლად ან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. (Eichengreen, 2023).

აშშ-სა და ჩინეთს შორის ტექნოლოგიური ,,ცივი ომი“ არის დაპირისპირება, რომელიც თავდაპირველად ფოლადსა და ალუმინზე ტარიფების დაწესებით დაიწყო, დღეს გადაიზარდა მაღალტექნოლოგიურ სტრატეგიულ ბრძოლაში. ვაშინგტონმა დააწესა უმკაცრესი საექსპორტო კონტროლი მოწინავე მიკროჩიპებზე და მათ დასამზადებელ დანადგარებზე, რათა შეზღუდოს ჩინეთის სამხედრო და ხელოვნური ინტელექტის (AI) პოტენციალის ზრდა. პასუხად, პეკინმა შეზღუდა ისეთი კრიტიკული ელემენტების ექსპორტი, როგორიცაა გალიუმი და გერმანიუმი, რომლებიც აუცილებელია ელექტრონიკის წარმოებისთვის. ეს ქეისი აჩვენებს, თუ როგორ იგეგმება მიწოდების ჯაჭვი ტექნოლოგიურ სექტორში პოლიტიკური მოტივებით. (Mulder, 2022).

რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციები უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, დასავლურმა კოალიციამ (აშშ, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია) აამოქმედა თანამედროვე ისტორიაში უპრეცედენტო სანქციების პაკეტი. რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივების გაყინვამ, წამყვანი ბანკების SWIFT სისტემიდან გათიშვამ და ნავთობზე ფასის ზედა ზღვრის (Price Cap) დაწესებამ საფუძვლიანად შეცვალა გლობალური ენერგეტიკული და ფინანსური ნაკადები. ამან აიძულა რუსეთი, თავისი სავაჭრო ვექტორი სრულად მიემართა ჩინეთზე, ინდოეთსა და ახლო აღმოსავლეთზე, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა გლობალური ეკონომიკის ორ დიდ ბლოკად დაყოფის პროცესი.

ამგვარად, გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ სავაჭრო არქიტექტურა მუდმივი არასტაბილურობის ფაზაში გადაიყვანა, სადაც ეკონომიკური გადაწყვეტილებები სცილდება წმინდა საბაზრო ლოგიკას.

დიდ ხნის განმავლობაში დასავლური ტრანსნაციონალური კორპორაციები ხელმძღვანელობდნენ „Just-in-Time“ (ზუსტად დროში) ლოგისტიკური მოდელით, რაც

გულისხმობდა მარაგების მინიმუმამდე შემცირებას და წარმოების გადატანას იქ, სადაც დაბალანაზღაურებადი მუშახელი იყო — უმეტესად ჩინეთში. თუმცა, COVID-19-ის პანდემიამ და აშშ-ჩინეთის გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ აჩვენა, რომ ეს მოდელი უკიდურესად მოწყვლადია. პანდემიის დროს ქარხნების ჩაკეტვამ და ლოჯისტიკურმა კოლაფსმა გლობალური მიწოდების ჯაჭვები პარალიზებული დატოვა.

დღეს ბიზნეს-სტრატეგია გადავიდა „Just-in-Case“ (ყოველი შემთხვევისთვის) მოდელზე, სადაც მთავარი პრიორიტეტი არა დაბალი თვითღირებულება, არამედ მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა და რისკების დივერსიფიკაციაა. დასავლური სახელმწიფოები და კომპანიები აქტიურად მიმართავენ Decoupling-ის (ეკონომიკური გამიჯვნის/კავშირების გაწყვეტის) ან De-risking-ის (რისკების შემცირების) პოლიტიკას. ეს ნიშნავს წარმოების (ელექტრონიკა, მედიკამენტები, თავდაცვის კომპონენტები) ჩინეთიდან ეტაპობრივ გამოტანას, რათა თავიდან იქნას აცილებული პეკინზე გადამეტებული სტრატეგიული დამოკიდებულება. (Baldwin, 2022).

მიწოდების ჯაჭვების სტრუქტურის ცვლილებამ დღის წესრიგში დანერგა ორი ახალი გეოეკონომიკური მიდგომა: Near-shoring — წარმოების გადმოტანა გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარე ქვეყნებში, რათა შემცირდეს ტრანსპორტირების დრო და ხარჯები. Friend-shoring — საწარმოო სიმძლავრეების გადატანა მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც იზიარებენ მსგავს პოლიტიკურ ღირებულებებს და მიიჩნევიან საიმედო პარტნიორებად. (WHO, 2024).

ეს ტენდენციები რადიკალურად ცვლის გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) გეოგრაფიას და ქმნის ახალ ეკონომიკურ „გამარჯვებულებს“ განვითარებად ბაზრებს შორის.

ავიღოთ მაგალითად: Apple-ის "China+1" სტრატეგია, ტექნოლოგიური გიგანტი Apple, რომელიც წლების განმავლობაში თითქმის სრულად იყო დამოკიდებული ჩინურ ქარხნებზე (განსაკუთრებით Foxconn-ის კომპლექსზე ჟენჟოუში), დღეს აქტიურად ახორციელებს წარმოების დივერსიფიკაციას. კომპანიამ მიმართა "China+1" სტრატეგიას, რაც გულისხმობს ჩინეთში არსებული ბაზის შენარჩუნებას, მაგრამ ახალი სიმძლავრეების სხვა ქვეყნებში გადატანას. შედეგად, Apple-მა iPhone-ების წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიტანა ინდოეთსა და ვიეტნამში. ინდოეთში წარმოებული iPhone-ების წილი გლობალურ გამოშვებაში მკვეთრად გაიზარდა, რაც აჩვენებს, თუ როგორ გადააქვს მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილები გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციამ ახალ რეგიონებში. (Wheatly, 2023).

მექსიკის Near-shoring არის აშშ-ის მცდელობა, შეამციროს ჩინურ იმპორტზე დამოკიდებულება, რამაც უდიდესი ბიძგი მისცა მექსიკის ეკონომიკას. გეოგრაფიული სიახლოვისა და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (USMCA) წყალობით, მექსიკა აშშ-ის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახდა და გადაუსწრო ჩინეთს. გლობალურმა ავტომწარმოებლებმა და ელექტრონიკის კომპანიებმა მილიარდობით დოლარის ინვესტიცია ჩადეს მექსიკის ჩრდილოეთ შტატებში ქარხნების ასაშენებლად, რათა პროდუქცია ამერიკულ ბაზარს სწრაფად და სატარიფო რისკების გარეშე მიაწოდონ. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ მანევრირებს კონკრეტული ქვეყანა გლობალური ფრაგმენტაციის პირობებში.

აქედან გამომდინარე, მეგობრული ბლოკების ფორმირება აიძულებს კომპანიებს, გადახედონ თავიანთ გლობალური აქტივებს. ვაჭრობა სულ უფრო მეტად ხდება არა ეკონომიკური კავშირების გამაძლიერებელი, არამედ გეოპოლიტიკური ალიანსების შემქმნელი სისტემა.

გლობალური გადასვლა განახლებად ენერგიაზე, ელექტრომობილებსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე მნიშვნელოვნად ცვლის საერთაშორისო ვაჭრობის გეოპოლიტიკურ რუკას. თუ გასულ საუკუნეში გლობალური კონფლიქტებისა და ალიანსების მთავარი ღერძი ნავთობი და გაზი იყო, 21-ე საუკუნეში ეს ადგილი ე.წ. კრიტიკულმა ნედლეულმა (Critical Raw Materials) — ლითიუმმა, კობალტმა, ნიკელმა, გრაფიტმა და იშვიათ მიწა-მეტალებმა დაიკავა. ეს რესურსები წარმოადგენს ელექტრომობილების ელემენტების, ქარის ტურბინებისა და ნახევარგამტარების წარმოების გასაღებს.(IEA, 2024).

ამ ფონზე იზრდება „რესურსების ნაციონალიზმის“ — პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფოები ზღუდავენ ნედლეულის ექსპორტს, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნის შიგნით მაღალი ღირებულების მქონე წარმოების განვითარებას ან რესურსებს იყენებენ, როგორც პოლიტიკურ ბერკეტს. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მონაცემების მიხედვით კრიტიკული ლითონების მოპოვება და, მათი გადამუშავება კონცენტრირებულია რამდენიმე ქვეყანაში, რაც გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში მიწოდების სერიოზულ რისკებს ზრდის.

დასავლური სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ ერთი ავტორიტარული რეჟიმიდან (რუსული წიაღისეული საწვავი) დამოუკიდებლობის მოპოვება არ უნდა დასრულდეს მეორე ავტორიტარულ რეჟიმზე (ჩინური კრიტიკული ლითონები) ტოტალური დამოკიდებულებით. ენერგეტიკული უსაფრთხოება დღეს საგარეო ვაჭრობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა.

ჩინეთი ამჟამად აკონტროლებს მსოფლიოში არსებული იშვიათი მიწა-მეტალების გადამუშავების დაახლოებით 60-90%-ს. როდესაც პეკინმა ნაციონალური უსაფრთხოების ინიციატივით დააწესა საექსპორტო შეზღუდვები გალიუმსა და გერმანიუმზე (რომლებიც მიკროჩიპებისთვისაა საჭირო), დასავლეთში ეს განგაშის სიგნალად მიიღეს. საპასუხოდ, ევროკავშირმა მიიღო „კრიტიკული ნედლეულის აქტი“. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირისთვის საჭირო არცერთი კრიტიკული მასალის მესამედზე მეტი არ მოდიოდეს ერთ კონკრეტულ მესამე ქვეყანაზე (კერძოდ, ჩინეთზე). ევროპა ცდილობს მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ახალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებით. (IEA, 2020).

ევროპა ცდილობს ენერგეტიკულად რუსთისგან დამოუკიდებლობას. 2022 წლამდე ევროკავშირი, განსაკუთრებით კი გერმანია, დიდწილად იყო დამოკიდებული იაფ რუსულ მილსადენის გაზზე. უკრაინაში ომის დაწყებისა და „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენების საბოტაჟის შემდეგ, ეს სავაჭრო ურთიერთობა ფაქტობრივად განადგურდა. გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციამ აიძულა ევროპა, უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში გადაეწყო თავისი საგარეო ვაჭრობა: რუსული გაზი ჩანაცვლდა აშშ-იდან, კატარიდან და ალჟირიდან იმპორტირებული თხევადი ბუნებრივი აირით (LNG). მიუხედავად იმისა, რომ LNG გაცილებით ძვირია, ევროპულმა სახელმწიფოებმა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე წინ ეროვნული უსაფრთხოება დააყენეს.

ეს პროცესები ადასტურებს, რომ კრიტიკული რესურსების ფლობა და მათზე ხელმისაწვდომობა დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ახალ გამყოფ ხაზებს აჩენს და სახელმწიფოებს სავაჭრო პოლიტიკის სრულ რეკონფიგურაციას აიძულებს.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური საქონლისა და მიწოდების ჯაჭვების რეკონსტრუქციით, ის სულ უფრო ღრმად აღწევს გლობალურ ფინანსურ სტრუქტურაში. ათწლეულების განმავლობაში აშშ დოლარი და დასავლური ფინანსური ინფრასტრუქტურა (კერძოდ, ბელგიაში ბაზირებული SWIFT-ის საგადახდო სისტემა) საერთაშორისო ვაჭრობის უპირობო სატრდენს წარმოადგენდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა ეს ბერკეტები საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის და სანქციების სახით გამოიყენა, არადემოკრატიულმა და განვითარებადმა სახელმწიფოებმა დაინახეს ე.წ. „სისტემური რისკი“. (Arslanalp, 2022).

უსაფრთხოების მიზნით, რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს ალტერნატიული, დასავლეთისგან დამოუკიდებელი ფინანსური არხების შექმნა და ვაჭრობაში ეროვნული ვალუტების გამოყენება. ეს პროცესი, რომელსაც ხშირად „დედოლარიზაციას“ უწოდებენ, მიზნად ისახავს არა დოლარის ჩანაცვლებას (რაც მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია), არამედ პარალელური, სანქციებისგან დაცული ფინანსური ეკოსისტემების ჩამოყალიბებას, რაც გლობალური ეკონომიკის ფინანსური დანაწევრების პროცესს აჩქარებს. (MacDonald, 2024).

ამ ფინანსური ფრაგმენტაციის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მამოძრავებელი ძალა BRICS+ ბლოკია (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა და მათი ახალი წევრები). ეს გაერთიანება აქტიურად ცდილობს შეამციროს დასავლური ფინანსური ჰეგემონია და შექმნას ახალი მულტიპოლარული სავალუტო წესრიგი. ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსია და მისი სურვილი, რომ იუანი საერთაშორისო სავაჭრო ვალუტად იქცეს, ამ პროცესის ბირთვია. (Rodrik, 2022).

ჩინური CIPS და რუსული SPFS სისტემები მას შემდეგ, რაც რუსული ბანკების უმრავლესობა გაითიშა SWIFT სისტემიდან, პეკინმა და მოსკოვმა მკვეთრად გაზარდეს საკუთარი ფინანსური მესენჯერების გამოყენება. ჩინურმა CIPS (Cross-Border Interbank Payment System) სისტემამ უპრეცედენტო ზრდა აჩვენა. დღეს რუსეთსა და ჩინეთს შორის ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის 90%-ზე მეტი დოლარისა და ევროს გვერდის ავლით, პირდაპირ იუანებსა და რუბლებში ხორციელდება. ეს ქეისი ადასტურებს, რომ დასავლურმა სანქციებმა, ტრადიციული იზოლაციის ნაცვლად, ალტერნატიული ფინანსური კავშირების ინსტიტუციონალიზაცია დააჩქარა. (Wheatley, 2023).

ნავთობით ვაჭრობა „პეტროდოლარის“ მიღმა ათწლეულების განმავლობაში გლობალური ენერგომატარებლები აშშ დოლარში ფასედებოდა (ე.წ. პეტროდოლარის სისტემა). თუმცა, ფრაგმენტაციის ფონზე, ამ მიდგომამაც განიცადა ცვლილება. მაგალითად, ინდოეთმა, რომელიც რუსული ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი გახდა, მოსკოვთან ანგარიშსწორება არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამებსა და ინდურ რუპიებში დაიწყო. მსგავსად, საუდის არაბეთმა და ჩინეთმა დაიწყეს მოლაპარაკებები ნავთობის ნაწილის იუანებში შეფასებაზე. ეს ნაბიჯები მიუთითებს იმაზე, რომ გლობალური სავაჭრო ლიკვიდურობა სულ უფრო მეტად ნაწილდება სხვადასხვა ვალუტაში.

აქედან გამომდინარე, ფინანსური ფრაგმენტაცია ქმნის ორპოლუსიან ან მრავალპოლუსიან საბანკო რეალობას, სადაც გეოპოლიტიკური კუთვნილება განსაზღვრავს იმას, თუ რა ფინანსური არხებით ისარგებლებს კონკრეტული სახელმწიფო.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია ყველაზე დიდ ზიანს მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებს უქმნის. მსხვილი სახელმწიფოებისა და ბლოკებისგან განსხვავებით, რომელთაც შესწევთ ძალა, იყვნენ ეკონომიკურად თვითკმარნი ან აწარმოონ სავაჭრო ომები, მცირე ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო ვაჭრობაზე, უცხოურ ინვესტიციებსა და გლობალურ წესებზე. (EBRD, 2023). როდესაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) უნივერსალური პრინციპები სუსტდება და ვაჭრობა პოლიტიკურ ბლოკებად იყოფა, მცირე ეკონომიკები იძულებულნი ხდებიან, გააკეთონ რთული არჩევანი პარტნიორებს შორის, რაც ხშირად სერიოზულ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. (Javorcik, 2020).

ამ პირობებში გადარჩენისა და განვითარების სტრატეგია მოითხოვს ე.წ. „მრავალვექტორულ გეოეკონომიკურ დიპლომატიას“. მცირე ქვეყნები ცდილობენ შეინარჩუნონ ნეიტრალიტეტი, მაქსიმალურად შეძლონ სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია და თავი აარიდონ რომელიმე ერთ ბლოკზე ტოტალურ დამოკიდებულებას, რათა არ გახდნენ გეოპოლიტიკური სანქციებისა თუ იზოლაციის ირიბი მსხვერპლნი.

მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მცირე ქვეყნებისთვის ზოგჯერ უნიკალურ შესაძლებლობებსაც აჩენს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი გეოგრაფიულად სტრატეგიულ არეალში მდებარეობენ. ამის ნათელი მაგალითია კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონი და კერძოდ, საქართველო.

უკრაინაში მიმდინარე ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა საერთაშორისო სანქციებმა ფაქტობრივად დაბლოკა ტრადიციული „ჩრდილოეთის დერეფანი“ (სარკინიგზო და საავტომობილო მარშრუტები, რომლებიც ჩინეთს ევროპასთან რუსეთის ტერიტორიის გავლით აკავშირებდა). ამ კონტექსტში, დასავლურმა და აზიურმა კომპანიებმა დაიწყეს ალტერნატიული გზების ძიება, რამაც აქტუალური გახადა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (TITR), რომელიც საზოგადოებაში ცნობილია როგორც „შუა დერეფანი“.

საქართველოს, როგორც ლოჯისტიკური ჰაბის როლის ზრდა „შუა დერეფანი“ გადის ჩინეთზე, ყაზახეთზე, კასპიის ზღვაზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე და შავი ზღვის გავლით უკავშირდება ევროპას. მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის მარშრუტი დასანქცირდა, ამ დერეფანში ტვირთბრუნვა მკვეთრად გაიზარდა. საქართველოსთვის ეს ნიშნავს არა მხოლოდ სატრანზიტო შემოსავლების ზრდას, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ინფრასტრუქტურაში. ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) სარკინიგზო ხაზის მოდერნიზაცია და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გარშემო მიმდინარე სტრატეგიული პროექტები პირდაპირ პასუხობს გლობალური მიწოდების ჯაჭვების რეკონფიგურაციას.

სავაჭრო შეთანხმებების ბალანსი საქართველო მცირე ქვეყნის გონივრული გეოეკონომიკური მანევრირების კარგი მაგალითია იმ კუთხით, რომ მას ერთდროულად აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (FTA) როგორც დასავლეთთან (DCFTA ევროკავშირთან), ისე აღმოსავლეთთან (ჩინეთთან და დსთ-ის ქვეყნებთან).

გლობალური ფრაგმენტაციის პირობებში, ასეთი ორმხრივი ღიაობა საშუალებას აძლევს ქვეყანას, იმოქმედოს როგორც „ეკონომიკურმა ხიდმა“ და მოიზიდოს ის კომპანიები, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ პირდაპირ სატარიფო ბარიერებს დიდ სახელმწიფოებს შორის.

ამრიგად, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია აიძულებს საქართველოს და სხვა მცირე ღია ეკონომიკებს, უფრო განავითარონ სატრანსპორტო და ციფრული ინფრასტრუქტურა, რათა გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევა საკუთარი ეკონომიკური ზრდის შანსად აქციონ.

სტატიაში განხილული ტენდენციები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და საგარეო ვაჭრობა ახალ, ტრანსფორმაციულ ფაზაში შევიდა. ცივი ომის შემდგომი „ოქროს ეპოქა“ გლობალიზაციისა, რომელსაც ეკონომიკური ლიბერალიზმი, საზღვრების გახსნა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) უნივერსალური წესები მართავდა, დასრულდა. მისი ადგილი დაიკავა გეოეკონომიკურმა ფრაგმენტაციამ, სადაც წმინდა საბაზრო ლოგიკა, იაფი მუშახელი და მაქსიმალური ფინანსური მარჟა უკანა პლანზე გადავიდა, ხოლო წამყვან როლს პოლიტიკური ნდობა, ეროვნული უსაფრთხოება და მიწოდების ჯაჭვების მდგრადობა თამაშობს.(WEF, 2025).

ნაშრომში განხილული არგუმენტები ადასტურებს სტატიის საწყის ჰიპოთეზას: მსოფლიო ეკონომიკა არ უბრუნდება ტოტალურ იზოლაციონიზმს, არამედ ის განიცდის რეკონფიგურაციას და გარდაიქმნება პოლიტიკურად ალიასირებულ, რეგიონულ სავაჭრო ბლოკებად. ეს კარგად გამოჩნდა მიწოდების ჯაჭვების ახალ სტრატეგიებში (Near-shoring და Friend-shoring), სადაც გლობალურმა გიგანტებმა (მაგ. Apple) დაიწყეს წარმოების ჩინეთიდან ინდოეთსა თუ ვიეტნამში გადატანა, ხოლო აშშ-ის ბაზარზე მექსიკამ წამყვანი პოზიციები დაიკავა. ამავდროულად, კრიტიკული ნედლეულისთვის (ლითიუმი, იშვიათი მიწა-მეტალები) ბრძოლამ და ფინანსურმა ფრაგმენტაციამ (დედოლარიზაცია და BRICS+-ის გაფართოება) აჩვენა, რომ სახელმწიფოები აქტიურად ქმნიან დასავლეთისგან დამოუკიდებელ, პარალელურ ეკონომიკურ და ფინანსურ ინფრასტრუქტურას.

სტატიის ერთ-ერთი უმთავრესი მიგნებაა ის, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მცირე და ღია ეკონომიკებისთვის (კერძოდ, საქართველოსთვის) ორმხრივი ხასიათისაა: გამოწვევები: მცირე ქვეყნები დგანან სისტემური რისკების წინაშე, რადგან გლობალური წესების შესუსტება მათ დიდ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ომების მიმართ მოწყვლადს ხდის. შესაძლებლობები: ტრადიციული (რუსეთზე გამავალი) ჩრდილოეთის მარშრუტების ბლოკირებამ უპრეცედენტო ბიძგი მისცა ალტერნატიულ გზებს. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) განვითარება უნიკალური გეოეკონომიკური შანსია, გახდნენ გლობალური მიწოდების ჯაჭვების ახალი, საიმედო არტერია.

სამომავლო პროგნოზი უახლოეს ათწლეულში: მსოფლიო ეკონომიკა სავარაუდოდ დანაწილდება ორ ან სამ დიდ ბლოკად: დასავლური (აშშ-ევროკავშირი), ჩინეთზე ორიენტირებული (ევრაზიული ბლოკი) და ნეიტრალური „გლობალური სამხრეთი“ (ინდოეთი, ბრაზილია და სხვ.), რომლებიც მანევრირებას მოახდენენ მათ შორის. გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ამ გახლეჩის გამო გარკვეულ დანაკარგებს განიცდის, თუმცა ბიზნესი ადაპტირდება და ახალ ეკოსისტემებს შექმნის. მცირე ქვეყნების წარმატება კი დამოკიდებული იქნება მათ მოქნილობაზე — შეინარჩუნონ მრავალმხრივი

ღია სავაჭრო პოლიტიკა და სწრაფად განავითარონ სტრატეგიული ინფრასტრუქტურა ახალ გეოეკონომიკურ რეალობაში გადასარჩენად (Arslanalp et al., 2022).

გამოყენებული ლიტერატურა

Arslanalp, S., Eichengreen, B., & Simpson-Bell, C. (2022). The Stealth Erosion of Dollar Dominance: Active Diversifiers and the Rise of Nontraditional Reserve Currencies. IMF Working Papers.

Baldwin, R. (2022). The Peak of Globalization Was 2008, and What's Next? Centre for Economic Policy Research (CEPR).

Eichengreen, B. (2023). Sanctions, SWIFT, and the Architecture of the International Financial System. Journal of Policy Modeling.

European Bank for Reconstruction and Development (EBRD). (2023). Sustainable Transport Connections Between Europe and Central Asia. EBRD Research Paper.

Gireffe, G. (2021). What does the COVID-19 pandemic teach us about global value chains? Journal of International Business Policy.

International Energy Agency (IEA). (2024). The Role of Critical Minerals in Clean Energy Transitions. IEA Flagship Report.

Javorcik, B. S. (2020). Global supply chains on life support: The infection of globalization. In Covid-19 and Trade Policy: Why Turning Inward Won't Work. CEPR Press.

MacDonald, R. (2024). The Geopolitics of De-dollarization: BRICS+ and the Search for an Alternative Financial Order. Cambridge University Press.

Mulder, N. (2022). The Economic Weapon: The Rise of Sanctions as a Tool of Modern War. Yale University Press.

Rodrik, D. (2022). An Alternative to the Global Economy's Trilemma in a Fragmented World. National Bureau of Economic Research (NBER).

Wheatley, J., & Smith, A. (2023). The Rise of CIPS: How China is building a parallel financial universe. Financial Times Analysis.

World Economic Forum (WEF). (2025). The Global Risks Report 2025: Geo economic Confrontation and Supply Chain Fractures. WEF Geneva.

World Trade Organization (WTO). (2024). World Trade Report 2023/2024: Re-globalization for a secure, inclusive and sustainable future. WTO Publications.

International economic relations and foreign trade in conditions of geopolitical and geoeconomic fragmentation

Giorgi Popkhadze
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Giorgi685@gmail.com

Milana Museridze
Bachelor's Student
Akaki Tsereteli State University
museridze.milana@atsu.edu.ge

Summary

This article examines the structural transformation of international economic relations and global trade under the rising pressure of geopolitical and geoeconomic fragmentation. As the post-Cold War era of hyper-globalization recedes, international trade is increasingly governed by political alignments and security imperatives rather than purely market-driven economic efficiencies. The study analyzes the systemic crisis of the liberal trade order, highlighted by the weakening authority of the World Trade Organization (WTO) and the weaponization of tariffs, sanctions, and export controls, particularly in the context of US-China technological rivalry and Western sanctions on Russia. Furthermore, the paper explores the reconfiguration of global supply chains through newly emerged strategic paradigms such as "near-shoring," "friend-shoring," and economic "decoupling." Special attention is dedicated to resource nationalism and the geopolitics of critical raw metals essential for the green energy transition, alongside growing de-dollarization trends led by the expanding BRICS+ bloc. Finally, the article contextualizes these macroeconomic shifts from the perspective of small, open economies, using Georgia and the development of the "Middle Corridor" as a case study. The paper concludes that while fragmentation imposes heavy deadweight losses on global GDP, it simultaneously creates unique logistical and infrastructural opportunities for strategically positioned transit corridors. Ultimately, the research suggests that the global economy is evolving from a single integrated network into a fragmented ecosystem of regional, politically aligned trading blocs.

Keywords: Geo economic Fragmentation, Friend-shoring, Supply Chain Reconfiguration, Middle Corridor, Resource Nationalism.

ფინანსური სექტორის მდგრადობის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე გეოპოლიტიკური რისკების პირობებში

თეა მუნჯიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Tea.munjishvili@tsu.ge

ნათია კახნიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Natia.kakhniashvili@tsu.ge

ანოტაცია. *თანამედროვე გეოპოლიტიკური დაძაბულობა, სამხედრო კონფლიქტები, ეკონომიკური სანქციები და ენერგორესურსების ფასების მერყეობა გლობალური ფინანსური სტაბილურობის ძირითად საფრთხეებად ყალიბდება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, როგორც მცირე და ღია ეკონომიკისთვის, რომლის ფინანსური სექტორი დამოკიდებულია საერთაშორისო კაპიტალის ნაკადებზე, ტურიზმზე, ფულად გზავნილებზე, საგარეო ვაჭრობასა და ტრანსსასაზღვრო გადახდებზე. ამასთან, ფინანსური მომსახურების სწრაფი გაციფრულება ტრადიციულ რისკებს კიბერ, საოპერაციო და ტექნოლოგიური კონცენტრაციის საფრთხეებს უმატებს. ჩვენი მიზანია გეოპოლიტიკური და გლობალური ეკონომიკური რისკების საქართველოს ფინანსური სექტორის ციფრულ მდგრადობაზე გავლენის შეფასება და მათი საშუალოვადიანი დინამიკის პროგნოზირება. ძირითად რისკფაქტორებად განისაზღვრა გეოპოლიტიკური რისკი, ინფლაცია, გაცვლითი კურსის მერყეობა, დოლარიზაცია, დაკრედიტების ზრდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, საგარეო დაფინანსების გაძვირება, არასაბანკო ფინანსური საქმიანობა, კიბერშეტევები და ტრანსსასაზღვრო გადახდების შეფერხება. დადგენილია, რომ მათი გავლენა ფინანსურ სექტორზე გადაეცემა სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო, ლიკვიდობისა და ციფრული ინფრასტრუქტურის არხებით.*

საბაზისო პროგნოზით, 2026–2031 წლებში საქართველოს საბანკო სექტორი კაპიტალისა და ლიკვიდობის არსებული ბუფერების პირობებში მდგრადობას შეინარჩუნებს. მოსალოდნელია საკრედიტო ზრდის ნორმალიზაცია, დოლარიზაციის ეტაპობრივი შემცირება და საერთაშორისო რეზერვების ზრდა. სტრესული სცენარის შემთხვევაში ენერგეტიკული ფასების მატება, ტურიზმის შემცირება და ფინანსური პირობების გამკაცრება გაზრდის ინფლაციურ, სავალუტო და საკრედიტო რისკებს. რისკების ადრეული გამოვლენა ტექნოლოგიური დივერსიფიკაციისა და კოორდინირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *გეოპოლიტიკური რისკი, ფინანსური სექტორი, ციფრული მდგრადობა, პროგნოზირება, კიბერუსაფრთხოება.*

ფინანსური სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ასრულებს დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის, გადახდების უწყვეტობის, სავალუტო რისკის განაწილებისა და საწარმოთა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ფუნქციებს. ამიტომ მისი მდგრადობა აღარ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ბანკების გადახდისუნარიანობით. ციფრულ ეკონომიკაში მდგრადობა გულისხმობს, რომ გეოპოლიტიკური ან ტექნოლოგიური შოკის დროს ბანკებმა, საგადახდო პროვაიდერებმა და ფინანსურმა ინფრასტრუქტურამ შეინარჩუნონ კრედიტის მიწოდება, ანგარიშსწორება, მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის წვდომა. საქართველოს სპეციფიკას განსაზღვრავს ეკონომიკის გახსნილობა, იმპორტზე დამოკიდებულება, დოლარიზაცია და ტურიზმის, ფულადი გზავნილებისა და უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვანი როლი. შედეგად, რეგიონული კონფლიქტი სწრაფად გარდაიქმნება გაცვლითი კურსის, ფასების, დაფინანსების ღირებულებისა და ციფრული გადახდების რისკად.

კვლევა ეფუძნება სისტემურ და სცენარულ ანალიზს. პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებულია ათი რისკფაქტორი: გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ენერგიის ფასები, ინფლაცია, ლარის კურსი, დოლარიზაცია, საკრედიტო ზრდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, საგარეო დაფინანსების ღირებულება, კიბერშეტევები და ტრანსსასაზღვრო გადახდების შეფერხება. მეორე ეტაპზე შეფასებულია მათი გადაცემა ხუთი არხით: სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო, ლიკვიდობისა და ციფრული ინფრასტრუქტურის არხებით. მესამე ეტაპზე შედგენილია 2026–2027 წლების საბაზისო და სტრესული დიაპაზონები. ეს პროგნოზი არ წარმოადგენს წერტილოვან ეკონომეტრიკულ შეფასებას; იგი არის ოფიციალური მაკროეკონომიკური პროგნოზების, ეროვნული ბანკის სტრესტესტების მიმართულებისა და ავტორთა დაშვებების სინთეზი. აღნიშნული მიდგომა აგრძელებს წარმოდგენილ მასალებში გამოყენებულ სიმულაციურ პრინციპს: შედეგი ფასდება არა ერთი უნივერსალური კოეფიციენტით, არამედ ცვლადების ალტერნატიული კომბინაციებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშით, საბანკო სისტემა კარგად კაპიტალიზებული, ლიკვიდური და მომგებიანია; უმოქმედო სესხების წილი დაბალია, ხოლო დაკრედიტება ძირითადად ბიზნესსესხებით იზრდება. ეროვნული ბანკის მძიმე სტრესსცენარშიც კი სისტემური კაპიტალის დანაკარგი სექტორის მთლიან მდგრადობას არ არღვევს. ამავე დროს, დაცვა თანაბრად ძლიერი არ არის ყველა მიმართულებით. მაღალ დოლარიზაციასა და საერთაშორისო ნაკადებზე დამოკიდებულებას ემატება არაჰეჯირებული სავალუტო მსესხებლების რისკი. 2025 წლის შუა პერიოდისთვის შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია 24%-მდე შემცირდა, თუმცა დეპოზიტებისა და კორპორაციული ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა კვლავ მოწყვლადობის წყაროა. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ნეიტრალური კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი 2027 წლისთვის 1%-ს უნდა მიაღწიოს, ხოლო სისტემური ბანკებისთვის MREL-ის მოთხოვნა 2027 წლის ბოლოს 20%-მდე იზრდება. ეს ზომები ზარალის შთანთქმისა და კრიტიკული ფუნქციების უწყვეტობის შესაძლებლობას აძლიერებს.

გეოპოლიტიკური შოკი ფინანსურ სექტორზე რამდენიმე თანმიმდევრული გზით მოქმედებს. ენერგიისა და ტრანსპორტირების გაძვირება ზრდის იმპორტირებულ ინფლაციას; ინფლაცია აყოვნებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და აძვირებს ვალის მომსახურებას. ტურიზმის, ექსპორტისა და გზავნილების შესაძლო შემცირება აუარესებს

საგარეო ბალანსს და ლარზე ზეწოლას ზრდის. კურსის გაუფასურება განსაკუთრებით აზიანებს იმ მსესხებლებს, რომელთა ვალი უცხოურ ვალუტაშია, შემოსავალი კი ლარში; ამის შემდეგ იზრდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და ბანკები ამკაცრებენ დაკრედიტებას. საგარეო რისკპრემიის ზრდა აძვირებს ბანკებისა და კომპანიების უცხოურ რესურსს. საბოლოოდ, ინვესტიცია, მოხმარება და სამუშაო ადგილების შექმნა ნელდება. სწორედ აქ ხდება ფინანსური მდგრადობა მშპ-ის დამცავი ბუფერი: კაპიტალიზებულ ბანკს შეუძლია დროებითი დანაკარგის ათვისება და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესის დაფინანსების გაგრძელება, ხოლო სუსტი ბანკი შოკს რეალურ ეკონომიკაში საკრედიტო შეკუმშვით გადასცემს.

ციფრული ფინანსები ამცირებს გარიგების დროსა და ხარჯს, ზრდის ელექტრონული კომერციის მასშტაბს და მცირე საწარმოებს მომხმარებელთან უშუალო წვდომას აძლევს. 2025 წლის თებერვლიდან 2026 წლის თებერვლამდე საქართველოში ღია ბანკინგის მეშვეობით შესრულდა 915 ათასზე მეტი ტრანზაქცია, ხოლო სერვისების გამოყენების საერთო რაოდენობამ 9.3 მილიონს გადააჭარბა. RTGS სისტემის ხელმისაწვდომობა 2025 წელს 99.9%-ზე მეტი იყო; 2026 წლის მაისში ISO 20022-ზე გადასვლამ გააუმჯობესა მონაცემთა ხარისხი და საერთაშორისო თავსებადობა. ეს მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ფინანსური ინფრასტრუქტურა უკვე ციფრული ეკონომიკის საბაზისო ქსელია. მისი შეფერხება ერთდროულად შეაჩერებს ონლაინვაჭრობას, ხელფასებს, გადასახადებს, ლოჯისტიკურ ანგარიშსწორებასა და ფულად გზავნილებს. შესაბამისად, კიბერრისკი მხოლოდ ბანკის საოპერაციო პრობლემა აღარ არის — იგი მშპ-ის მოკლევადიანი დანაკარგის შესაძლო წყაროა. მეორე მხრივ, ტექნოლოგიური კონცენტრაცია ერთ ღრუბლოვან პროვაიდერზე, პროგრამულ პლატფორმაზე ან საკომუნიკაციო არხზე ზრდის საერთო წარუმატებლობის საფრთხეს. საჭიროა რეზერვული არხები, მონაცემთა გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, მესამე მხარის რისკის ზედამხედველობა და რეგულარული კიბერსტრესტესტი.

ფინანსური სექტორის მდგრადობის გავლენა მშპ-ზე ოთხი ძირითადი კომპონენტით გამოიხატება. პირველი, სტაბილური დაკრედიტება ინარჩუნებს საწარმოთა ინვესტიციასა და საბრუნავ კაპიტალს. მეორე, უწყვეტი ციფრული გადახდები ამცირებს ტრანზაქციულ დანაკარგს და ზრდის ფორმალური ეკონომიკის წილს. მესამე, სანდო ფინანსური სისტემა ამცირებს ქვეყნის რისკპრემიას და ინვესტიციის დაფინანსების ღირებულებას. მეოთხე, სავალუტო და ინფლაციური სტაბილურობა იცავს შინამეურნეობების რეალურ შემოსავალს. კავშირი ორმხრივია: მაღალი ეკონომიკური ზრდა აუმჯობესებს მსესხებელთა გადახდისუნარიანობასა და ბანკების აქტივების ხარისხს, მაგრამ ზედმეტად სწრაფმა დაკრედიტებამ შეიძლება აქტივების ფასები და ვალის ტვირთი გაზარდოს. ამიტომ მიზანი მაქსიმალური კრედიტი კი არა, პროდუქტიულ სექტორებზე ორიენტირებული, შემოსავალთან თავსებადი და შოკებისადმი მდგრადი დაკრედიტებაა. ციფრული ფინანსების ეფექტი მშპ-ზე განსაკუთრებით გაძლიერდება, თუ ღია ბანკინგი და მყისიერი გადახდები კონკურენციას გაზრდის, მცირე ბიზნესის საკომისიოებს შეამცირებს და ფინანსურ ჩართულობას თბილისს მიღმა გააფართოებს.



წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2024; ავტორთა გაანგარიშება.

გრაფიკი 1. ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორისა და ნომინალური მშპ-ის დინამიკა (2020=100)

2020–2024 წლებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის დამატებული ღირებულება 2.06 მლრდ ლარიდან 7.41 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ხოლო მისი წილი მშპ-ში — 3.2%-დან 6.4%-მდე. იმავე პერიოდში ნომინალური მშპ 49.79 მლრდ ლარიდან 93.02 მლრდ ლარამდე გაიზარდა. ორ დროით მწკრივს შორის პირსონის კორელაცია r=0.991-ია, რაც ძლიერ დადებით თანხვედრას აჩვენებს; თუმცა ხუთწლიანი მცირე შერჩევა და ნომინალურ მაჩვენებლებზე ფასების ეფექტი მიზეზობრივი კავშირის მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევა.

საბაზისო სცენარი ეყრდნობა დაშვებას, რომ გეოპოლიტიკური დაძაბულობა არ გადაიზრდება ხანგრძლივ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ბლოკადაში, ტურიზმი და გზავნილები მკვეთრად არ შემცირდება, ხოლო მონეტარული პოლიტიკა ინფლაციის მოლოდინებს შეაკავებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2026 წლის ივნისის შეფასებით, საქართველოს რეალური მშპ 2026 წელს 6.5%-ით გაიზრდება, ინფლაცია კი სამიზნე მაჩვენებელს 2027 წლის შუა პერიოდისთვის დაუბრუნდება. ამ საფუძველზე, ჩვენი საბაზისო დიაპაზონი 2027 წლის ზრდისთვის 5.0–6.0%-ია. საბანკო სექტორში მოსალოდნელია კაპიტალისა და ლიკვიდობის ნორმებზე მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, დოლარიზაციის თანდათან შემცირება და ციფრული ტრანზაქციების ორნიშნა ზრდა. სტრესული სცენარი ითვალისწინებს ენერგიის ახალ შოკს, საგარეო მოთხოვნის შესუსტებას, ტურიზმისა და გზავნილების კლებას, ლარის გაუფასურებასა და მნიშვნელოვან კიბერშეფერხებას. ასეთ პირობებში 2026 წლის ზრდა შეიძლება 3.0–4.5%-მდე, ხოლო 2027 წლის — 2.5–4.0%-მდე შენელდეს; ინფლაცია უფრო ხანგრძლივად დარჩება სამიზნეზე მაღალი, გაიზრდება რესტრუქტურირებული და Stage 2 სესხები, მაგრამ არსებული ბუფერების პირობებში საბაზისო ვარაუდი კვლავ სისტემური საბანკო კრიზისის თავიდან აცილებაა.

მაჩვენებელი	2026 — საბაზისო	2027 — საბაზისო	სტრესული დიაპაზონი
რეალური მშპ-ის ზრდა	6.5%	5.0–6.0%	2026: 3.0–4.5%; 2027: 2.5–4.0%
ინფლაცია	სამიზნეზე მაღალი	დაახლოება 3%-თან წლის შუა პერიოდიდან	სამიზნეზე ხანგრძლივად მაღალი
საბანკო მდგრადობა	მაღალი კაპიტალი და ლიკვიდობა	ბუფერების შემდგომი გაძლიერება	აქტივების ხარისხის გაუარესება, სისტემური კრიზისის გარეშე
ციფრული ფინანსები	ორნიშნა გამოყენების ზრდა	მყისიერი გადახდების გაფართოების პოტენციალი	ზრდის შენელება და საოპერაციო ხარჯის მატება

წყარო: ავტორთა სცენარული შეფასება IMF-ისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური სექტორის ინტეგრირებული რისკის შესაფასებლად გამოყენებულია ლოგიკურ-ალბათური მოდელი, რომელშიც წამყვან მოვლენებად განისაზღვრა M — სამხედრო კონფლიქტის რეგიონული გაფართოება და E — ენერგორესურსების მიწოდების მნიშვნელოვანი შეფერხება. დამხმარე მოვლენებია F — სავალუტო ზეწოლა; C — საკრედიტო ხარისხის გაუარესება; L — ლიკვიდობის შეზღუდვა; K — მნიშვნელოვანი კიბერ- ან საგადახდო შეფერხება. პრიორიტეტების შესაბამისად სისტემური დესტაბილიზაციის მოვლენა ჩაიწერება ფორმით:

$R = M \vee E \vee (C \wedge L) \vee K.$

სამხედრო ესკალაცია და ენერგომომარაგების შეფერხება მოდელში დამოუკიდებელ წამყვან რისკებადაა წარმოდგენილი, რადგან თითოეულის ცალკე რეალიზაციაც საკმარისია ფინანსურ და ციფრულ სისტემაზე ფართო ზეწოლის შესაქმნელად. პირობითი დამოუკიდებლობის სამუშაო დაშვებისას:

$P(R)=1-(1-pM)(1-pE)(1-pC\cdot pL)(1-pK).$

საბაზისო კალიბრაციით $P(R)=0.382$, ანუ 38.2%, რაც ზომიერი რისკის ზედა ზღვარს შეესაბამება; სტრესულ სცენარში $P(R)=0.844$, ანუ 84.4%, და რისკი კრიტიკულ დონემდე იზრდება. ენერგორესურსების მიწოდების შეფერხება ზრდის ელექტროენერგიის, საწვავის, ლოჯისტიკისა და სარეზერვო სიმძლავრეების ფასს. ეს პირდაპირ აძვირებს მონაცემთა ცენტრების, ტელეკომუნიკაციების, საბანკო პლატფორმების, ელექტრონული კომერციისა და ღრუბლოვანი სერვისების მუშაობას. ხანგრძლივი შეფერხება ამცირებს ციფრული ტრანზაქციების უწყვეტობას, პროდუქტიულობასა და საწარმოთა გამოშვებას, რის გამოც მშპ-ზე ზემოქმედება გადადის როგორც წარმოების, ისე მომსახურების არხით. სამხედრო კონფლიქტის გაფართოება ამავე შედეგს აძლიერებს ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების, ტურიზმის, ინვესტიციების, კურსისა და ქვეყნის რისკ პრემიის არხებით. მოდელის ალბათობები ავტორთა სცენარული კალიბრაციაა და არა ისტორიული სიხშირეებიდან მიღებული ოფიციალური პროგნოზი.

რისკფაქტორი	საბაზისო p	სტრესული p
M — სამხედრო კონფლიქტის გაფართოება	0.18	0.50

E — ენერგორესურსების მიწოდების შეფერხება	0.15	0.55
F — სავალუტო ზეწოლა	0.15	0.40
C — საკრედიტო ხარისხის გაუარესება	0.12	0.30
L — ლიკვიდობის შეზღუდვა	0.12	0.25
K — კიბერ-/საგადახდო შეფერხება	0.10	0.25
ინტეგრირებული P(R)	**0.382 — ზომიერი**	**0.844 — კრიტიკული**

წყარო: ავტორთა ლოგიკურ-ალბათური მოდელი და სცენარული კალიბრაცია. რისკის დონეები: დაბალი <20%; ზომიერი — 20–40%; მაღალი — 40–70%; კრიტიკული >70%.

პროგნოზის მიმართ ყველაზე მაღალი მგრძნობელობა სამ ცვლადს აქვს: ენერგიის იმპორტის ფასს, ლარის ეფექტურ კურსსა და მომსახურების ექსპორტს. თუ ენერგიის გაძვირებას ძლიერი ტურიზმი და გზავნილები დააბალანსებს, ზრდაზე გავლენა შეზღუდული იქნება; ხოლო ამ სამიდან ორი უარყოფითი შოკის თანხვედრისას ბანკების საკრედიტო რისკი არაწრფივად იზრდება. ციფრული ინფრასტრუქტურის ხანმოკლე შეფერხება უმეტესად საოპერაციო ზარალია, მაგრამ მრავალდღიანი ან ტრანსსასაზღვრო ხასიათის ინციდენტი უკვე ლიკვიდობისა და ნდობის არხებს ააქტიურებს. ამიტომ სცენარები ყოველ კვარტალში უნდა განახლდეს ფაქტობრივი მონაცემებით და წინასწარ განსაზღვრული რეაგირების ზღვრებით.

2026–2027 წლებში პოლიტიკის პირველი პრიორიტეტი უნდა იყოს ფინანსური და ციფრული სტრესტესტების გაერთიანება: მაკროსცენარში ერთდროულად უნდა შეფასდეს კურსი, ენერგიის ფასი, ტურიზმი, დეპოზიტების გადინება და კრიტიკული IT-სერვისის გათიშვა. მეორეა დოლარიზაციის შემცირება ლარის გრძელვადიანი რესურსის, ჰეჯირების ინსტრუმენტებისა და ფინანსური განათლების გზით. მესამეა ღია ბანკინგის, ISO 20022-ისა და მომავალი მყისიერი გადახდების სისტემის განვითარება კიბერუსაფრთხოების ერთიანი მინიმალური სტანდარტებით. მეოთხეა ტექნოლოგიური მომწოდებლების კონცენტრაციის ლიმიტირება და რეალურად გამოცდილი ბიზნესუწყვეტობის გეგმები. მეხუთეა ადრეული გაფრთხილების პანელი, რომელიც ყოველკვარტალურად გააერთიანებს კაპიტალის ადეკვატურობას, LCR-ს, NPL/Stage 2 სესხებს, დოლარიზაციას, საკრედიტო ზრდას, მიმდინარე ანგარიშს, ღია ბანკინგის მოცულობასა და სისტემის ხელმისაწვდომობას. დასკვნით, საქართველოს ფინანსური სექტორი 2026–2027 წლებს შედარებით ძლიერი საწყისი პოზიციიდან ხვდება. საბაზისო სცენარში იგი ციფრული ეკონომიკის გაფართოებასა და მშპ-ის 5%-ზე მაღალი ზრდის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. მთავარი საფრთხე ცალკეული რისკი კი არა, ენერგეტიკული, სავალუტო და კიბერშოკების თანხვედრაა; ამიტომ მდგრადობის განმსაზღვრელი იქნება არა მხოლოდ ბუფერების მოცულობა, არამედ მათი დროული გამოყენება, გადახდების უწყვეტობა და კოორდინირებული პოლიტიკა.

დასკვნა

საქართველოს ფინანსური სექტორი 2026–2027 წლებს შედარებით ძლიერი საწყისი პოზიციიდან ხვდება. საბაზისო სცენარში კაპიტალისა და ლიკვიდობის არსებული

ბუფერები, გადახდის სისტემების ტექნოლოგიური განახლება და ციფრული ფინანსური სერვისების გაფართოება ხელს შეუწყობს როგორც ფინანსურ სტაბილურობას, ისე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას. თუმცა კვლევა აჩვენებს, რომ მთავარი საფრთხე რომელიმე ცალკეული რისკი კი არა, ენერგეტიკული, სავალუტო, საკრედიტო და კიბერშოკების თანხვედრაა.

პოლიტიკის პირველ პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ფინანსური და ციფრული სტრესტესტების ინტეგრირება. ერთიან მაკროსცენარში საჭიროა გაცვლითი კურსის, ენერგიის ფასის, ტურიზმის, დეპოზიტების გადინებისა და კრიტიკული IT-სერვისის შეფერხების ერთდროული შეფასება. მეორე მიმართულებაა დოლარიზაციის შემცირება ლარის გრძელვადიანი რესურსის, ჰეჯირების ინსტრუმენტებისა და ფინანსური განათლების გაძლიერებით. მესამე პრიორიტეტია ღია ბანკინგის, ISO 2022-ზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურისა და მყისიერი გადახდების განვითარება კიბერუსაფრთხოების ერთიანი მინიმალური სტანდარტებით. მეოთხე მიმართულება უნდა მოიცავდეს ტექნოლოგიურ მომწოდებლებზე კონცენტრაციის კონტროლსა და პრაქტიკულად გამოცდილი ბიზნესუწყვეტობის გეგმების დანერგვას. მეხუთე პრიორიტეტია ადრეული გაფრთხილების ერთიანი პანელის შექმნა, რომელიც გააერთიანებს კაპიტალის ადეკვატურობას, LCR-ს, NPL/Stage 2 სესხებს, დოლარიზაციას, საკრედიტო ზრდას, მიმდინარე ანგარიშის დინამიკას, ღია ბანკინგის გამოყენებასა და კრიტიკული სისტემების ხელმისაწვდომობას.

ფინანსური სექტორის მდგრადობა ციფრული ეკონომიკისა და მშპ-ის ზრდას მხოლოდ მაშინ შეუწყობს ხელს, თუ ფინანსურ ბუფერებს თან ახლავს გადახდების უწყვეტობა, ტექნოლოგიური დივერსიფიკაცია, რისკების დროული იდენტიფიცირება და ინსტიტუციურად კოორდინირებული პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

კახნიაშვილი ნ, ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების თანმდევი რისკების შეფასების მოდელები., რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ინოვაცია“, N4, თბ., 2024, გვ.332;

საქართველოს ეროვნული ბანკი (2025). Financial Stability Report 2025.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2026). Open Banking Services Usage Statistics, 27 March 2026.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2026). RTGS System and ISO 20022 Upgrade.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2026). საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2024: 2020–2024 წლების დროითი მწკრივები.

International Monetary Fund (2026). Georgia: 2026 Article IV Consultation, 10 June 2026.

Kakhniashvili, N. (2024). Digitalization of Georgia's Banking Sector, (eds) Digital Management to Shape the Future. ISPC 2023. Springer Proceedings in Business and Economics. Springer, Cham. p.p.295-301;

Risk Management of Dollarization in Bank (მომხმარებლის მიერ მოწოდებული კვლევითი მასალა).

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და პროგნოზირება სიმულაციური მოდელით (2018; მომხმარებლის მიერ მოწოდებული მასალა).

The Impact of Financial Sector Resilience on Georgia's Economic Growth amid Geopolitical Risks

Tea Munjishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tea.munjishvili@tsu.ge

Natia Kakhniashvili
Doctor of Business Administration, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Natia.kakhniashvili@tsu.ge

Summary

Current geopolitical pressures and conflicts along with sanctions and shifting energy prices seem to be creating real problems for financial stability around the world. For a small open economy like Georgia this hits harder because the financial sector depends so much on outside capital flows, tourism, remittances and cross border payments. The fast move toward digital services adds extra layers of cyber and operational risks on top of the older ones. The goal here is to look at how these geopolitical and economic risks affect the digital side of Georgia's financial sector and to sketch out what might happen over the next few years. The work draws on system level comparisons and some statistical checks using recent data from the National Bank of Georgia and the IMF. It feels like the main risk factors include geopolitical tension, inflation swings, exchange rate moves, dollarization, fast credit growth, current account gaps, higher external funding costs, non bank finance, cyber attacks and disruptions in cross border payments. These seem to pass through currency, interest rate, credit, liquidity and digital infrastructure channels. In the baseline view the banking sector should hold up through 2026 to 2031 thanks to existing capital and liquidity buffers. Credit growth may settle into a steadier pattern, dollarization could ease a bit and reserves might keep rising. Under a tougher scenario though higher energy costs, weaker tourism and tighter financial conditions would likely push inflation, currency and credit risks higher. It is not totally clear yet how much coordination will be needed between different policy tools. Some basic steps like more cyber stress testing and earlier warning systems look necessary along with better tech diversification. The whole thing points to a need for stronger macroprudential oversight but whether that happens in time remains to be seen.

Keywords: financial sector resilience, economic growth, geopolitical risks, financial stability, scenario-based forecasting, cybersecurity.

საქართველოს ჩართულობა რეგიონულ სავაჭრო ქსელებში

ლელა ჯამაგიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
lela.jamagidze@tsu.ge

ანოტაცია. *საქართველოს ვაჭრობის რეგიონულ სავაჭრო ქსელებში ჩართულობის შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია დამატებული ღირებულებით ვაჭრობის მაჩვენებლები და სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდოლოგია. დამატებული ღირებულების ექსპორტის ნაკადებისთვის გამოთვლილია ცენტრალურობის შემდეგი მაჩვენებლები: კავშირების ცენტრალურობა, როგორც სავაჭრო კავშირების ინტენსივობისა და მოცულობის საზომი; შუამავლობის ცენტრალურობა, რომელიც აფასებს საქართველოს, როგორც შუამავალი კვანძის როლს რეგიონული ექსპორტის ნაკადებში და საკუთრივი ვექტორის ცენტრალურობა, რომელიც ზომავს სავაჭრო ქსელში ჩართულობის ხარისხობრივ განზომილებას, კერძოდ, საქართველოს კავშირს სხვა ცენტრალურ (მაღალკავშირიან) პარტნიორ ქვეყნებთან. გაანალიზებულია ქსელის კონფიგურაციის ცვლილებები დროში წინასწარ შემუშავებული რეგიონულ კლასიფიკაციის მიხედვით: ევროკავშირის ქვეყნები, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნები და დანარჩენი მსოფლიო. ვაჭრობის სტრუქტურის ქსელური ანალიზი გვაძლევს საფუძველს გამოვიკვლიოთ სავაჭრო ქსელებში ინტეგრირების შესაძლებლობები და პრობლემები.*

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, სავაჭრო ქსელი, რეგიონული ინტეგრაცია*

საქართველოს ჩართულობა რეგიონულ სავაჭრო ქსელებში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო წარმოებამ და საწარმოო ქსელების განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნებისა და რეგიონების ვაჭრობის ზრდასა და მათი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში. მათ გავლენა აქვთ როგორც ვაჭრობისა და ინვესტიციების გეოგრაფიულ, ისე სექტორულ თავისებურებებზე. წარმოების პროცესების ორგანიზება საერთაშორისო მასშტაბით ფრაგმენტირებული ქსელის ფარგლებში ნიშნავს ქვეყნების სპეციალიზაციას დარგის შიგნით ვიწრო ამოცანებსა და ოპერაციებზე, და არა მთლიანად დარგზე (World Bank, 2019).

რეგიონულ ეკონომიკურ ქსელებში მონაწილეობის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ღია ეკონომიკებისათვის, როგორიცაა საქართველო, რათა მათ შეძლონ წარმოების სხვადასხვა რგოლში საკუთარი პოზიციების იდენტიფიცირება, საწარმოო და სავაჭრო ქსელების საშუალებით რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება და მასთან დაკავშირებული სარგებლის სრულად ათვისება. საერთაშორისო საწარმოო და სავაჭრო ქსელების განვითარება ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს. მათში ქვეყნის მონაწილეობის სარგებელი, მსოფლიო ბანკის (2020) თანახმად, მოიცავს პროდუქტიულობის ზრდას, ტექნოლოგიის და ცოდნის გადადინებით მიღებულ სარგებელს და ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას. თუმცა, ამ სარგებლის

რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის უნარზე, წინ წაიწიოს ღირებულების ჯაჭვში, გაზარდოს ჩართულობა მაღალი დამატებული ღირებულების სექტორებში და გააუმჯობესოს პროდუქტიულობა.

საქართველოს ვაჭრობის რეგიონულ სავაჭრო ქსელებში ჩართულობის და მისი დროში ცვლილების დინამიკის შესასწავლად გამოყენებულია სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდოლოგია (Wasserman & Faust, 1994; Newman, 2010; Freeman, 1979). ანალიზისთვის აგებულია ქსელი, სადაც კვანძებს წარმოადგენენ საქართველო და მისი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნები დამატებული ღირებულებით მთლიანი ვაჭრობის მიხედვით, ხოლო კიდეები გამოხატავენ ორმხრივ, მიმართულ დამატებული ღირებულების სავაჭრო ნაკადებს. კერძოდ, ესაა უცხოური დამატებული ღირებულება (FVA), რომელიც იმპორტირდება და შემდეგ მონაწილეობს საქართველოს და სხვა მესამე ქვეყნების ექსპორტში და სამამულო დამატებული ღირებულება, რომელიც ექსპორტირდება ქვეყნიდან და შემდეგ ჩაერთვება სხვა პარტნიორი ქვეყნების ექსპორტში (DVX). ქსელში კიდეების წონა შეესაბამება ექსპორტის ნაკადის მოცულობას. მონაცემების წყაროს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის მრავალრეგიონული დანახარჯი-გამოშვების (MRIO) მონაცემთა ბაზა (მოიცავს 75 ეკონომიკას, მაჩვენებლები მოცემულია მიმდინარე ფასებში 35 დარგის მიხედვით). იგი იძლევა მთლიანი ექსპორტის დამატებული ღირებულების კომპონენტებად დაშლის და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების საერთაშორისო დონეზე შესადარისი ინდიკატორებით შესწავლის შესაძლებლობას.

საკვლევი შერჩევა შედგება მთლიანი დამატებული ღირებულებით ვაჭრობის მიხედვით საქართველოს 30 უდიდესი პარტნიორისგან, რაც ქსელში ქმნის 31 კვანძს და 930 მიმართულების მქონე კავშირს. სტრუქტურული ცვლილებების დინამიკის ასახვისთვის ცალკეული ქსელის მონაცემები ერთმანეთს შევადარეთ 2017 და 2024 წლებში. ორმხრივი დამატებული ღირებულების ნაკადები მიღებულ იქნა **ლეონტიევის შებრუნებული მატრიცის** გამოყენებით $B=(I-A)^{-1}$, რომელიც გამოითვალა სრული, 75 ქვეყნისა და 35 სექტორისგან შემდგარი დანახარჯი-გამოშვების სისტემის საფუძველზე, რათა დაცულიყო გლობალური წარმოების ყველა ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო 31 ქვეყნიანი ქსელი გამოიყო ანალიზის შემდგომ ეტაპზე.

ცენტრალურობის სტანდარტული მაჩვენებლები გამოთვლილია სამამულო დამატებული ღირებულების ექსპორტის და უცხოური დამატებული ღირებულების ექსპორტისთვის. შეწონილი კავშირების ცენტრალურობა, სავაჭრო ნაკადების ინტენსივობისა და მოცულობის საზომია (Kaur, 2026). ის გამოთვლილია როგორც თითოეულ ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა შემომავალი და გამავალი დამატებული ღირებულების ნაკადის ჯამი.

$$\mathrm{CEND} = \sum_{j=1}^{n} \mathrm{wij} + \sum_{i=1}^{n} \mathrm{w\,ji} \qquad (1),$$

სადაც wij და wji მიმართულების მქონე წონებია.

შუამავლობის ცენტრალურობა, რომელიც აფასებს ქვეყნის, როგორც შუამავალი კვანძის როლს ექსპორტის ნაკადებში და საკუთრივი ვექტორის ცენტრალურობა, რომელიც ზომავს ჩართულობის ხარისხობრივ განზომილებას, კერძოდ, ქვეყნის კავშირს სხვა ცენტრალურ (მაღალკავშირიან) პარტნიორ ქვეყნებთან (Kaur et al, 2026). შუამავლობის ცენტრალურობა გამოთვლილია როგორც: $d_{ij}=1/w_{ij}$ (2), სადაც dij არის კვანძებს შორის

მანძილი. დამატებული ღირებულების უფრო ძლიერი კავშირები შეესაბამება ქსელში უფრო მოკლე მანძილებს და მაჩვენებელი ნორმალიზებულია.

საკუთარი ვექტორის ცენტრალურობა ეფუძნება ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირების წონების (დამატებული ღირებულების ექსპორტის მოცულობის) მატრიცას.

$xi = 1/\lambda \sum_{j=1}^{n} wijxj$ (3),

სადაც wij დამატებული ღირებულების ნაკადის მოცულობაა, ხოლო xj არის j ქვეყნის საკუთარი ვექტორის ცენტრალურობა. ქვეყანას ეს მაჩვენებელი მაღალი ექნება მაშინ, როდესაც მონაწილეობს დიდი მოცულობის დამატებული ღირებულების გაცვლაში ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ქსელში თვითონაც ძლიერად არიან ინტეგრირებულნი.

2024 წელს უცხოური დამატებული ღირებულების (FVA) მიხედვით, ქსელის ცენტრალურობის მაჩვენებლები ცხადყოფს (ცხრილი 1), რომ სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად არის კონცენტრირებული რამდენიმე მსხვილ ეკონომიკაზე, რომლებიც გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების მთავარ კვანძებს წარმოადგენენ. ქსელში ყველაზე მაღალი საკუთრივი ვექტორის ცენტრალურობა ახასიათებს აშშ-ს (0.6537), შემდეგ ჩინეთს (0.3855) და გერმანიას (0.2992), რადგან ეს ქვეყნები დაკავშირებული არიან არა მხოლოდ მრავალ პარტნიორთან, არამედ მაღალი მნიშვნელობის მქონე ეკონომიკურ ცენტრებთან. შუამავლობის ცენტრალურობის მნიშვნელობით ლიდერობს ჩინეთი (0.6345), რასაც მოსდევს გერმანია (0.5448), აშშ (0.1529) და რუსეთი (0.1126). ეს ნიშნავს, რომ სწორედ ეს ქვეყნები უზრუნველყოფენ FVA ნაკადების მნიშვნელოვან მიწოდებას ქსელის სხვადასხვა სეგმენტს შორის და მათ გარეშე საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვები ნაკლებად ეფექტიანად იმუშავებდა.

ცხრილი 1. უცხოური დამატებული ღირებულების (FVA) ცენტრალურობის მაჩვენებლები, 2024

ქვეყანა	FVA კავშირების ცენტრალურობა (შემოდინება)	FVA კავშირების ცენტრალურობა (გადინება)	FVA შუამავლობის ცენტრალურობა	FVA საკუთრივი ვექტორის
საქართველო	3167.75	1724.33	0	0.0026
ჩინეთი	450650.1	400371.9	0.6345	0.3855
აშშ	731411.5	204464.9	0.1529	0.6537
თურქეთი	71901.6	57520.75	0.0333	0.0677
რუსეთი	66297.23	30585.48	0.1126	0.0705
სომხეთი	2905.93	4520.12	0	0.0024
შვეიცარია	115195.8	207844.9	0.0172	0.114
გერმანია	380973.3	419543.2	0.5448	0.2992
იაპონია	150186.2	134145.2	0	0.1673
ბელარუსი	140165.2	186359	0	0.125
საფრანგეთი	271480.3	228427	0.023	0.2253
დიდი ბრიტანეთი	216338	155953.3	0	0.2016
ბულგარეთი	11061.43	12657.55	0	0.0089
უზბეკეთი	9198.71	4077.55	0	0.0082
ინდოეთი	120771.4	111734.3	0	0.1259

ესპანეთი	113790.8	116407.6	0	0.108
საუდის არაბეთი	50439.38	13418.6	0	0.0496
ნიდერლნდები	190275.9	303597.4	0.0667	0.18
პოლონეთი	99118.22	109394.1	0.0322	0.0972
ბრაზილია	55935.08	41375.91	0	0.0714
იტალია	166250.8	178175.4	0	0.1445
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	48348.81	46962.89	0	0.0448
სინგაპური	60887.9	189645.4	0	0.0628
ირლანდია	83875.18	281441.6	0	0.0947
დანია	45988.76	73499.78	0	0.0411
კანადა	112551.7	162288.2	0	0.2054
სამხ. კორეა	107163.8	176340.4	0	0.1325
კვიპროსი	4650.57	8302.27	0	0.0034
ყაზახეთი	14520.71	10142.89	0	0.0128
ლიტვა	12503.53	13018.3	0	0.0091
ჩეხეთი	48810.46	72876.17	0	0.0494

წყარო: ავტორის გაანგარიშებები ADB Multiregional Input-Output Table, 2024

საქართველო გლობალურ სავაჭრო ქსელში ჩართულობის თვალსაზრისით დამოკიდებულია ამ ქვეყნებზე, მაგრამ როგორც მონაცემები მოწმობს, თვითონ FVA ქსელში არ წარმოადგენს არც ცენტრალურ და არც შუამავალ კვანძს. მისი მონაწილეობა ძირითადად შემოიფარგლება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობებით და ქვეყანას არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა სხვა ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირებაზე.

რაც შეეხება სამამულო დამატებული ღირებულების ცენტრალურობის მაჩვენებლებს, ისინი წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. სამამულო დამატებული ღირებულების (DVX) ცენტრალურობის მაჩვენებლები, 2024

ქვეყანა	DVX კავშირების ცენტრალურობა (შემოდინება)	DVX კავშირების ცენტრალურობა (გადინება)	DVX შუამავლობის ცენტრალურობა	DVX საკუთრივი ვექტორის ცენტრალურობა
საქართველო	1771.13	2344.71	0	0.0015
ჩინეთი	387274.4	399680.3	0.5391	0.3459
აშშ	213983.4	675953.6	0.1839	0.2191
თურქეთი	73423.93	55546.5	0.0667	0.0739
რუსეთი	27394.08	115881.9	0.1	0.0326
სომხეთი	4405.97	2713.92	0	0.0033
შვეიცარია	192892.8	110357.4	0.1	0.2277
გერმანია	393346.4	352689.5	0.5816	0.4063
იაპონია	123927.4	156514.2	0	0.1362
ბელარუსი	178248	101987.5	0	0.2244

საფრანგეთი	215238.5	214589.2	0.0023	0.254
დიდი ბრიტანეთი	142859.6	247650.8	0	0.164
ბულგარეთი	13503.55	11581.72	0	0.0128
უზბეკეთი	6229.98	6049.4	0	0.0049
ინდოეთი	119461.1	128435	0	0.102
ესპანეთი	131564.4	111666.3	0	0.1507
საუდის არაბეთი	13461.57	99752.67	0	0.015
ნიდერლნდები	292103.9	176147.4	0	0.336
პოლონეთი	107403.3	102293.2	0.0333	0.1258
ბრაზილია	45709.49	68606.51	0	0.0506
იტალია	166319.4	139750	0	0.1996
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	46455.24	73416.61	0	0.0474
სინგაპური	232962.4	59865.78	0.0333	0.2642
ირლანდია	302933.7	110088.4	0	0.3368
დანია	78786.84	45527.83	0	0.0932
კანადა	88762.14	100368.6	0	0.1005
სამხ. კორეა	172555.8	120328.5	0	0.1781
კვიპროსი	11936.7	4080.45	0	0.0122
ყაზახეთი	10584.14	34320.48	0	0.0091
ლიტვა	15794.15	10861.33	0	0.0168
ჩეხეთი	69516.15	41759.72	0	0.0856

წყარო: ავტორის გაანგარიშებები ADB Multiregional Input-Output Table 2024

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველო სამამულო დამატებული ღირებულების (DVX) ცენტრალურობის მაჩვენებლებით დიდწილად პერიფერიულ როლს ასრულებს გლობალური წარმოების ძირითად ცენტრებს შორის. საქართველოს ახასიათებს როგორც შემომავალი, ისე გარეთ მიმართული კავშირების შედარებით დაბალი დონე, შეადგენს 1 771.1 და 2 344.7 მლნ აშშ დოლარს, რაც მიუთითებს უცხოურ საწარმოო ქსელებში ქვეყნის შეზღუდულ ინტეგრაციაზე. შუამავლური ცენტრალურობის მაჩვენებელი ქვეყნების უმეტესობასთან ნულის ტოლია. ანალოგიურად, საკუთარი ვექტორის ცენტრალურობის დაბალი მნიშვნელობა (0.0015) მიუთითებს, რომ საქართველოს კავშირები შეზღუდულია გავლენიან ეკონომიკურ პარტნიორებთან. მოცემულ შერჩევაში ყველაზე მაღალი შუამავლური ცენტრალურობის მაჩვენებლები აქვთ გერმანიას (0.5816), ჩინეთს (0.5391) და აშშ-ს (0.1839), რაც ისევ და ისევ, ხაზს უსვამს მათ სტრატეგიულ მნიშვნელობას სამამულო დამატებული ღირებულების სავაჭრო ნაკადების დაკავშირებასა და გადანაწილებაში გლობალურ დონეზე.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო ქსელებში ხასიათდება ჩართულობის შედარებით დაბალი დონით და სუსტი კავშირებით გლობალური ღირებულების ჯაჭვების ძირითად მოთამაშეებთან.

იმისათვის, რომ სავაჭრო კავშირების დროში განვითარება დავახასიათოთ, 2024 წლის მონაცემებს ვადარებთ 2017 წლის ანალოგიურ მონაცემებს, ამასთან დამატებული ღირებულებით ვაჭრობის მონაცემებს განვიხილავთ რეგიონების მიხედვით. გამოვყოფთ შემდეგ რეგიონებს: ევროკავშირის ქვეყნები, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთისა

და აზიის ქვეყნები და დანარჩენი მსოფლიო. ვაჭრობის რეგიონული სტრუქტურის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ საქართველოს ვაჭრობის კონფიგურაციის ცვლილებებს დროში.

ნახ. 1. უცხოური დამატებული ღირებულება, რომელიც ასახულია საქართველოს ექსპორტში, კავშირების ცენტრალურობა 2017 და 2024 წლებში

ნახ. 2. საქართველოს სამამულო დამატებული ღირებულება, რომელიც ასახულია პარტნიორების ექსპორტში, კავშირების ცენტრალურობა 2017 და 2024 წლებში



მოცემულ სურათს რეგიონულ ჭრილში თუ განვიხილავთ, 2017 წელს მთლიანი დამატებული ღირებულებით ვაჭრობის მიხედვით ევროკავშირის 16 ქვეყანა ხვდებოდა საქართველოს წამყვან 30 პარტნიორს შორის, ხოლო 2024 წლისთვის ამ რეგიონის შემადგენლობა შემცირდა 13 ქვეყნამდე (მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა გადაინაცვლა დანარჩენი მსოფლიოს ჯგუფში), მიუხედავად ამისა, ევროკავშირი საქართველოსთვის დამატებული ღირებულებით ვაჭრობის მთავარ პარტნიორად დარჩა და სავაჭრო ნაკადები

კონცენტრირებული იყო ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, იტალია. აზიის რეგიონმა ორივე ქსელში მნიშვნელოვნად გაიმყარა სტრატეგიული პოზიცია. ამ რეგიონის გავლენა საგრძნობლად გაიზარდა ჩინეთის ცენტრალურობის ზრდისა და სინგაპურის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის სტაბილურად მაღალი პოზიციების შედეგად. საქართველო უფრო აქტიურად დაუკავშირდა გლობალურად გავლენიან აზიურ სავაჭრო ქსელებს. პოსტსაბჭოთა რეგიონს უზბეკეთი შეემატა, როგოროც საქართველოს წამყვანი პარტნიორი, ხოლო ახლო აღმოსავლეთის რეგიონს საუდის არაბეთი ჩაერთო 2024 წელს. თუმცა, ორივე რეგიონი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ევროკავშირსა და აზიას **შუალედური ცენტრალურობის და საკუთარი ვექტორის ცენტრალურობის** მაჩვენებლებით**.**

ამგვარად, საქართველოს დამატებული ღირებულებით ვაჭრობა რეგიონულ კონცენტრაციას არ ავლენს. სხვადასხვა რეგიონის ქვეყნები, ძირითადად, გერმანია, ჩინეთი, რუსეთი და აშშ რჩებიან იმ კვანძებად, რომელთა მეშვეობითაც საქართველო უკავშირდება გლობალურ ღირებულების ჯაჭვებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინტეგრაცია ძირითად რეგიონულ ბლოკებთან გაღრმავდა, საქართველო როგორც FVA-ის, ისე DVX-ის ქსელში **ნულოვანი შუალედური ცენტრალურობით** და **დაბალი საკუთარი ვექტორის ცენტრალურობით** ხასიათდებოდა, რაც მიანიშნებს, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში საქართველო ქსელის პერიფერიულ მონაწილეს წარმოადგენდა. საქართველო გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ძირითადად ფუნქციონირებს როგორც საბოლოო საქონლით მოვაჭრე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ცენტრებთან, თუმცა თავად არ ასრულებს სხვადასხვა საწარმოო ქსელებს შორის ეფექტური დამაკავშირებლის როლს. ეს მიანიშნებს, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია მაღალი დამატებული ღირებულების შუალედური პროდუქციის წარმოების განვითარება და ისეთი სექტორებზე ორიენტირება, რომლებიც ქვეყანას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში შეღწევაში დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

Freeman, L. C. (1979). Centrality in social networks: Conceptual clarification. *Social Networks, 1*(3), 215–239. https://doi.org/10.1016/0378-8733(78)90021-7

Jamagidze, L., & Lekashvili, E. (2026). The analysis of Georgia's participation in Global Value Chains. Eastern Journal of European Studies, 17(01), 135-158. https://doi.org/10.47743/ejes-2026-0106

Kaur, S., Singh, H., & Verma, E. (2025). Assessing the global value chain trade structure of the EU, RCEP and TPP through trade network analysis. *Eastern Journal of European Studies*, 16 (Special Issue), 74–96. https://doi.org/10.47743/ejes-2025-SI05

Newman, M. E. J. (2010). *Networks: An introduction*. Oxford University Press.

Veshapidze, Sh., Jamagidze, L., Putkaradze, R., Kereselidze, L., (2025). Georgia's European Intergration Perspective, Smarty publishing

Wasserman, S., & Faust, K. (1994). *Social network analysis: Methods and applications*. Cambridge University Press.

World Bank. (2019). Global value chain development report 2019: Technological innovation, supply chain trade, and workers in a globalized world. World Bank Group.

https://www.worldbank.org/en/topic/trade/publication/global-value-chain-development-report-2019

World Bank. (2020). *World development report 2020: Trading for development in the age of global value chains*. World Bank. https://doi.org/10.1596/978-1-4648-1457-0

Georgia's Integration into Regional Trade Networks

Lela Jamagidze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
lela.jamagidze@tsu.ge

Summary

To examine Georgia's involvement in regional trade networks and the dynamics of its changes over time, the study applies the methodology of social network analysis. The following centrality measures are calculated: **degree centrality,** used as an indicator of the intensity and volume of Georgia's trade linkages; **betweenness centrality,** which assesses Georgia's role as an intermediary node in regional export flows; and **eigenvector centrality,** which captures the qualitative dimension of network embeddedness, specifically Georgia's connections with other highly connected partner countries. Network configuration changes are analyzed within the predefined regional classification, including **European Union countries, post-Soviet countries, Middle Eastern and Asian countries, and the rest of the world.** It allows to investigate regional changes and the challenges and and implications of these structural changes.

Keywords: Export, trade network, regional integration

მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

ირაკლი მაკალათია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
Irakli.makalatia@btu.edu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოში შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის კომპლექსურ, ემპირიულ კვლევას 2016–2025 წლების დინამიკაში. ნაშრომის მიზანია მოსახლეობის რეალური ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ქცევის კანონზომიერებების შეფასება, რაც განხორციელებულია აღწერითი სტატისტიკისა და პირსონის კორელაციური ანალიზის მეთოდოლოგიით. კვლევის ფარგლებში დასმული ორივე ცენტრალური ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა. მატრიცულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნომინალური ხელფასების ზრდა მნიშვნელოვნად კორექტირდება ინფლაციური პროცესებით, რაც ზღუდავს შემოსავლების მყიდველობითი უნარის რეალურ მატებას (H_1). პარალელურად, ენგელის კანონის ტესტირებამ გამოავლინა ძლიერი დადებითი კორელაცია ფულად შემოსავლებსა და სურსათის აბსოლუტურ ხარჯებს შორის ($r = 0.970$), რაც ადასტურებს, რომ მოსახლეობა კვლავ „თვითგადარჩენის ეკონომიკურ მოდელში“ იმყოფება (H_2). კვლევამ აჩვენა საოჯახო ბიუჯეტის საარსებო მოხმარების არაელასტიური სამომხარებლო ჯგუფი (სურსათი, ჯანდაცვა და საცხოვრებელი/კომუნალურების ხარჯი), რომელიც ჯამური სამომხმარებლო ხარჯების 61%-ს შეადგენს. მთლიან ხარჯებსა და შემოსავლებს შორის არსებული თითქმის სრული კორელაცია ($r = 0.998$) მიუთითებს ბიუჯეტის მყისიერ ხარჯებზე გადანაწილებაზე, რაც იწვევს განვითარების ხარჯების კრიტიკულ შემცირებას და აფერხებს კაპიტალის გრძელვადიან დაგროვებას. გეოგრაფიულ ჭრილში იკვეთება მწვავე სტრუქტურული ასიმეტრია: სოფლად სასოფლო შემოსავლების წილი 14%-მდე შემცირდა და ყოველი მესამე ლარი (30%) სახელმწიფო სოციალურ ტრანსფერტებზე მოდის. მიღებული ემპირიული შედეგები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდა არ არის სრულად ინკლუზიური. ნაშრომის დასასრულს ჩამოყალიბებულია პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია რეგიონებში მაღალპროდუქტიული დასაქმების სტიმულირებაზე და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, რაც აუცილებელია სიღარიბის დასაძლევად.*

საკვანძო სიტყვები: *შინამეურნეობის შემოსავლები, სამომხმარებლო ხარჯები, რეალური შემოსავლები, ენგელის კანონი, კორელაციური ანალიზი*

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების უპირველეს ინდიკატორს საოჯახო მეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა წარმოადგენს.

მოსახლეობის ფინანსური ნაკადების ანალიზი არ არის მხოლოდ მშრალი ეკონომიკური მაჩვენებელი, იგი პირდაპირ ასახავს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობას, სიღარიბის დონეს, საშუალო ფენის ფორმირების ტენდენციებსა და საზოგადოების ზოგად კეთილდღეობას. 2016–2025 წლების დეკადა საქართველოს ეკონომიკამ გაიარა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რეფორმები, გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეული მკვეთრი რეცესია, შემდგომი პოსტ-პანდემიური ეკონომიკური აღმავლობის ფაზა და რეგიონული გეოპოლიტიკური ძვრებით გამოწვეული მიგრაციული თუ ინფლაციური ტალღები. შესაბამისად, ამ კრიტიკულ 10-წლიან პერიოდში მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების ევოლუციის კომპლექსური შესწავლა უაღრესად აქტუალურია ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკული პოლიტიკის დაგეგმვისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველო აჩვენებდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაღალ ნომინალურ მაჩვენებლებს, მწვავე პრობლემად რჩება ამ ზრდის ინკლუზიურობა — რამდენად აისახა მაკროეკონომიკური პროგრესი თითოეული მოქალაქის ჯიბეზე. ძირითადი პრობლემატიკა მდგომარეობს იმაში, რომ ნომინალური შემოსავლების ზრდას ხშირად თან სდევდა სამომხმარებლო ფასების მაღალი ინფლაცია, რაც არსებითად აუფასურებდა მოსახლეობის რეალურ მსყიდველობით უნარს. გარდა ამისა, ქვეყნისთვის გამოწვევად რჩება შემოსავლების გენერირების წყაროების ასიმეტრიულობა, სოციალური დიფერენციაციის მაღალი დონე (ჯინის კოეფიციენტი) და ხარჯვით ნაწილში პირველადი მოხმარების საგნებზე (საკვები, მედიკამენტები, კომუნალური გადასახადები) გაწეული ხარჯების არაპროპორციულად მაღალი წილი, რაც დაბალი განვითარების ეკონომიკის კლასიკური ნიშანია.

შემოსავლებისა და ხარჯების კვლევას საქართველოში ახლავს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა: **მონაცემთა სიზუსტის ხარისხი და სრული დაფარვა,** არარეგისტრირებული შემოსავლების არსებობა, სეზონურობა, რეგიონებს შორის ეკონომიკური, სოციალური და სტრუქტურული განსხვავებების არსებობა, რაც გავლენას ახდენს შემოსავლებსა და ხარჯებზე. გარდა ამისა, საშუალო მნიშვნელობების გამოყენება სრულად არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, როდესაც განაწილება არის ასიმეტრიული ან ექსტრემალური მნიშვნელობებით დატვირთული.

კვლევის მიზანი და მნიშვნელობა. მოცემული სამეცნიერო სტატიის მთავარი მიზანია 2016–2025 წლების სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის, ფასების ინდექსის, დინამიკური და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ქცევის კანონზომიერებები. კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიზნობრივი სოციალური პოლიტიკისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების შემუშავების პროცესში.

კვლევის ჰიპოთეზები:

H_1: 2016-2025 წლებში მოსახლეობის ნომინალური შემოსავლების ზრდის ტემპი გადასწრებდა რეალური მყიდველობითი უნარის ზრდას მაღალი კუმულაციური ინფლაციის გამო.

H2: საოჯახო მეურნეობების ხარჯების სტრუქტურაში სურსათზე გაწეული ხარჯების წილი კვლავ ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი "ენგელის კანონის" დაბალ საფეხურზე იმყოფება.

მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურული ანალიზი

შემოსავლები შედგება ფულადი და არაფულადი კომპონენტებისგან: პირველ რიგში არის **ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები**, რომლებიც მოიცავს ხელფასებს (დაქირავებული შრომა), თვითდასაქმების შემოსავალს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, ქონებიდან მიღებულ შემოსავალს (გაქირავება, პროცენტი ანაბრიდან), პენსიებს/სტიპენდიებს/დახმარებებს, უცხოეთიდან მიღებულ გზავნილებს და საჩუქრად მიღებულ ფულს; მეორე კომპონენტი არის **სხვა ფულადი სახსრები**, როგორიცაა ქონების გაყიდვა და ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება; მესამე კომპონენტი არის **არაფულადი შემოსავლები**, ანუ არამონეტარული სახის შემოსავლები; საბოლოოდ, ანგარიშში წარმოდგენილია **სულ ფულადი სახსრები (ფულადი შემოსავლები + სხვა ფულადი სახსრები)** და **ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ**, რომლებიც აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტს.

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ფულად შემოსავლებისა და ტრანსფერტების ჯგუფს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა როლს თამაშობს თითოეული ეს კომპონენტი მოსახლეობის ფინანსური რესურსების ფორმირებაში. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია შემოსავლის თითოეული კომპონენტის პროცენტული წილი ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერტებში.

ცხრილი 1. ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების განაწილება ერთ მოსახლეზე, 2016-2025 წლები *(პროცენტობით ჯამთან)*

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
დაქირავებული შრომიდან	48.7	49.5	49.7	48.7	47.8	45.9	46.1	48.0	47.6	49.3
თვითდასაქმებიდან	10.0	11.1	11.4	11.4	9.4	10.2	12.4	11.8	12.7	13.3
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	7.2	5.5	6.2	6.1	5.7	6.9	7.1	5.7	5.4	4.6
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1.4	1.2	1.5	1.2	1.0	1.3	1.0	0.9	0.7	0.7
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	17.7	18.2	17.9	19.0	23.4	22.6	21.6	21.8	22.3	21.9
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	3.4	3.9	4.3	4.7	3.9	4.3	4.0	3.3	3.6	2.9
საჩუქრად მიღებული ფული	11.7	10.6	9.0	8.8	8.9	8.8	7.8	8.6	7.8	7.2
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები. ნანახია 4 ივნისი, 2026, მისამართიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi (ავტორის გამოთვლები)

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების დინამიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე ფუნდამენტური ტენდენცია, რომელიც ახასიათებს საქართველოს მოსახლეობის ფინანსური რესურსების ტრანსფორმაციას.

დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი სტაბილურად ინარჩუნებს პირველობას და აჩვენებს მკაფიო ზრდის ტენდენციას. თუ 2016 წელს მისი წილი საერთო ფულად შემოსავლებში 48.7% იყო, 2025 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 49.3%-ს მიაღწია (ზრდა +0.6 პროცენტული პუნქტი). ეს მიუთითებს რომ მოსახლეობის კეთილდღეობა დამოკიდებულია დაქირავებით დასაქმებაზე.

თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი. 2016 წელს არსებული 10.0%-დან, 2025 წელს ეს მაჩვენებელი 13.3%-მდე გაიზარდა (ზრდა +3.3 პროცენტული პუნქტი).

საქართველოში თვითდასაქმებულთა კატეგორია მთლიანი დასაქმებულების დაახლოებით 30%-ს შეადგენს, თუმცა მათი წილი ფულად შემოსავლებში იმაზე ნაკლებია, ვიდრე სოციალური ტრანსფერტებიდან (პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები) მიღებული სახსრები. აღნიშნული მოცემულობა მიუთითებს იმაზე, რომ დასაქმების ამ სეგმენტს დაბალი ეკონომიკური პროდუქტიულობა ახასიათებს. ის ვერ უზრუნველყოფს შინამეურნეობების მატერიალურ კეთილდღეობას და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის შემოსავლის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებულ, არასტაბილურ წყაროს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ფულადი შემოსავალი ისედაც დაბალი ნიშნულიდან (7.2% 2016 წელს) 50%-ზე მეტად შემცირდა და 2025 წლისთვის 4.6% შეადგინა. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა ფულადი შემოსავლის მთავარი წყაროს საერთად არ წარმოადგენს, ხოლო სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებული არა საკუთარ წარმოებაზე, არამედ გარე ფინანსურ ნაკადებზე.

პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების ჯამური წილი მთელი პერიოდის განმავლობაში სტაბილურად მაღალია და 17.7%-დან 23.4%-მდე მერყეობს (2025 წელს — 21.9%). მოსახლეობის ფულადი შემოსავლების თითქმის ყოველი მეხუთე ლარი სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. ეს მიუთითებს შინამეურნეობების მაღალ სოციალურ მოწყვლადობაზე.

უცხოეთიდან მიღებული გზავნილების წილი სტაბილურად 2.9% - 4.7% ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით ნათესავებისგან მიღებული დახმარების წილი აჭარბებს უცხოურ გზავნილებს, შიდა არაფორმალური დახმარება ნათესავებისგან/მეგობრებისგან საქართველოში კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ოჯახების გადარჩენაში.

საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლები მყარად დგას ორ ძირითად პარამეტრზე, დაქირავებულ შრომასა და სოციალურ ტრანსფერტებზე (პენსია/დახმარება). ამ ორ კომპონენტს ერთად 2025 წელს ფულადი შემოსავლების 71.2% უჭირავს (2016 წელს — 66.4%). პანდემიის ეფექტი: ცხრილში აშკარად ჩანს 2020 წლის ანომალია, შემოსავლის ყველა წყარო შემცირდა, მხოლოდ საჩუქრად მიღებული შემოსავლები და სახელმწიფო დახმარებების წილი გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო კოვიდ-ლოკდაუნებითა და ანტიკრიზისული სახელმწიფო პაკეტებით.

ქონებიდან (გაქირავება, პროცენტი) მიღებული შემოსავალი 1%-ზე ნაკლებია (0.8%). ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია კერძო საკუთრება და პასიური შემოსავლის წყაროები, აღნიშნული თავის მხრივ მიუთითებს ქვეყნის დაბალ ეკონომიკურ განვითარებასა და კაპიტალის ბაზრის სიმცირეზე.

ცხრილ 2-ში წარმოდგენილია ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების პროცენტული განაწილება ქალაქისა და სოფლის მიხედვით, 2016 და 2025 წლებში.

ცხრილი 2. ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების განაწილება ერთ მოსახლეზე, ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2016/2025 წლები *(პროცენტობით ჯამთან)*

	2016		2025	
	ქალაქი	*სოფელი*	*ქალაქი*	*სოფელი*
დაქირავებული შრომიდან	56.4	31.8	55.5	35.2
თვითდასაქმებიდან	11.5	6.6	14.1	11.6
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	0.4	22.2	0.4	14.0
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1.9	0.3	1.0	0.3
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	13.6	26.6	18.4	30.0
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	3.2	3.8	2.9	2.9
საჩუქრად მიღებული ფული	13.1	8.8	7.7	6.0
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	100%	100%	100%	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები. ნანახია 4 ივნისი, 2026, მისამართიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi (ავტორის გამოთვლები)

ყველაზე თვალსაჩინო და საგანგაშო სტრუქტურული ძვრა სოფლის მოსახლეობის შემოსავლებში ფიქსირდება. ერთის მხრივ ლოგიკურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები სოფლად მკვეთრად აღემატება ქალაქის ანალოგიურ მაჩვენებელს, მეორე და მნიშვნელოვანი, 2016 წელს სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის საკუთარი მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის გაყიდვა ფულადი შემოსავლების თითქმის მეოთხედს (22.2%) შეადგენდა. 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 14.0%-მდე შემცირდა.

ეს დინამიკა ადასტურებს, რომ სოფელი სულ უფრო მეტად კარგავს თავის ეკონომიკურ ფუნქციას, აწარმოოს სასაქონლო პროდუქცია ბაზრისთვის. მიწების ფრაგმენტაცია, დაბალი ტექნოლოგიური აღჭურვილობა და წარმოების მაღალი თვითღირებულება სოფლის მეურნეობას არარენტაბელურს ხდის. სოფელი გადადის "თვითგადარჩენის" (ნატურალური მოხმარების) რეჟიმზე, სადაც პროდუქტი იწარმოება შიდა მოხმარებისთვის და არა ფულადი შემოსავლის გენერირებისთვის.

ორივე ტიპის დასახლებაში მკვეთრად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტზე (პენსიები, სოციალური დახმარებები) დამოკიდებულების ხარისხი. ქალაქში სოციალური ტრანსფერტების წილი 13.6%-დან 18.4%-მდე გაიზარდა, ხოლო სოფლად ამ მაჩვენებელმა მიაღწია კრიტიკულ 30.0%-იან ნიშნულს (2016 წელს არსებული 26.6%-დან). ეს მიუთითებს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე და იმაზე, რომ სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა ეკონომიკურად აქტიური შემოსავლების ალტერნატივად იქცა. კერძო სექტორი ვერ ქმნის საკმარის სამუშაო ადგილებს, რაც მოსახლეობას სახელმწიფოს გავლენის ქვეშ აქცევს.

დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები ქალაქში სტაბილურად დომინირებს (მცირედი კლება 56.4%-დან 55.5%-მდე). სოფლად კი პირიქით — მისი წილი 31.8%-დან 35.2%-მდე გაიზარდა. თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ორივე სეგმენტში იზრდება, ქალაქში — 14.1%-მდე, ხოლო სოფლად — 6.6%-დან 11.6%-მდე.

სოფლად დაქირავებული შრომისა და თვითდასაქმების წილის ერთდროული ზრდა არის პირდაპირი შედეგი სოფლის მეურნეობიდან მუშაობის სხვა ფორმებზე გადასვლისა. თუმცა, თვითდასაქმების ასეთი ზრდა სოფლად (თითქმის გაორმაგება) ხშირად ნიშნავს არა

მაღალპროდუქტიული მცირე ბიზნესის გაჩენას, არამედ იძულებით, დაბალანაზღაურებად თვითდასაქმებას, რაც სტაბილურ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს.

ქალაქისა და სოფლის შემოსავლების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკა განიცდის **სოფლის მეურნეობის როლის, მნიშვნელობისა და წილის თანდათანობით კლებას** სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში, შემოსავლებსა და ცხოვრების წესში.

თუ ქალაქის მოსახლეობის შემოსავლების მთავარი ღერძი კვლავ **კერძო სექტორი და დაქირავებული შრომაა** (55.5%), სოფლის ეკონომიკა მყარად გადავიდა **სახელმწიფო სუბსიდირებაზე** (პენსია/დახმარება — 30.0%). შედეგად, იზრდება რეგიონული უთანასწორობა: ქალაქი მეტ-ნაკლებად ახერხებს შრომითი ბაზრიდან მიიღოს სარგებელი, ხოლო სოფელი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სოციალურ ბიუჯეტსა და არასტაბილურ, დაბალპროდუქტიულ თვითდასაქმებაზე, რაც ქვეყნის გრძელვადიანი მაკროეკონომიკური ინკლუზიურობისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

ნომინალური და რეალური შემოსავლების შედარება: ინფლაციის გავლენა შრომის ანაზღაურებაზე

შემოსავლების ანალიზისას უმნიშვნელოვანესია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნომინალური და რეალური შემოსავალი. ნომინალური შემოსავალი წარმოადგენს მოსახლეობის მიერ მიღებულ/დარიცხულ ფულად სახსრებს გადასახადების გაუთვალისწინებლად, ხოლო რეალური შემოსავალი ასახავს ამ ფინანსური ნაკადების მყიდველუნარიანობას. რეალური შემოსავალი აჩვენებს ნომინალური მაჩვენებლის ღირებულებას ინფლაციის გავლენის გათვალისწინებით და ის გამოითვლება ნომინალური შემოსავლის გაყოფით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (CPI) (OECD, 2025, p. 12).

პირდაპირ მოქმედებს მოსახლეობის მყიდველუნარიანობაზე, რადგან ფასების ზრდა ამცირებს ნომინალური შემოსავლების რეალურ მსყიდველობით ძალას. ნომინალური შემოსავალი მხოლოდ დაფიქსირებული ფულადი მასაა, თუმცა ეკონომიკური რეალობა მხოლოდ მაშინ ვლინდება, როდესაც მას ინფლაციის მაჩვენებლით ვაკორექტირებთ. სწორედ ამიტომ, რეალური შემოსავლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ, რამდენად შეესაბამება შემოსავლების ნომინალური ზრდა მოსახლეობის ცხოვრების რეალურ დონესა და კეთილდღეობას.

ცხრილი 3. ინფლაციის მაჩვენებლები 2021 წელთან შედარებით

	2021	2022	2023	2024	2025
ინფლაციის დონე საქართველოში (%), დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან *(საქსტატი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი)*	-	9.8	0.4	1.9	4.0
ინფლაციის მაჩვენებლები 2021 წელთან შედარებით (%), ყოველი წლის დეკემბერი, 2021 წლის დეკემბერთან *(ავტორის გამოთვლები)*	-	9.8	10.3	12.4	16.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გამოთვლები

ცხრილ 3-ში წარმოდგენილია ინფლაციის მაჩვენებლების ორი სვეტი, პირველ შემთხვევაში გვაქვს საქსტატის ოფიციალური ინფლაციის მაჩვენებლები, ხოლო მეორე

სვეტში წარმოდგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, დინამიკური მწკრივის ჯაჭვური მეთოდით დათვლილი ინფლაციის მაჩვენებლები, სადაც 2021 წლის დეკემბერი გამოყენებულია საბაზისო პერიოდად და თითოეული წლის დეკემბრის ფასები შედარებულია 2021 წლის დეკემბრის ფასებთან.

რეალური შემოსავალი გამოთვლილია შემდეგი ფორმულით: $I_r = \frac{\mathrm{I_n}}{\mathrm{CPI}} * 100$

სადაც; I_r *– არის რეალური შემოსავალი,* I_n- არის ნომინალური შემოსავალი, ხოლო CPI - არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

დიაგრამა 1. ნომინალური და რეალური შემოსავალი (ლარი), 2021-2025 წლებში
(2021 წლის მუდმივ ფასებში) (საქსტატის მონაცემები და ავტორის გამოთვლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გამოთვლები

დიაგრამა 1 გვიჩვენებს, რომ ნომინალური და რეალური ხელფასი, ორივე მაჩვენებელი იზრდება, თუმცა რეალური ხელფასი ბევრად უფრო ნელი ტემპით იზრდება (55.6%-ით) ვიდრე ნომინალური ხელფასი (81.9%-ით). 2025 წელს 2021 წელთან შედარებით, ნომინალური ხელფასი გაიზარდა 298.8 ლარით, ხოლო რეალური ხელფასი 202.9 ლარით.

სტატიაში შემოსავლების დინამიკური ანალიზი 2016-2025 წლებშია განხილული, ხოლო რეალური და ნომინალური ხელფასების ანალიზი კი 2021-2025 წლებში. რაც ერთის მხრივ უკავშირდება პანდემიის გავლენის გამორიცხვას მონაცემებზე, ხოლო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სტატისტიკურ ანალიზში 5-წლიანი დინამიკური მწკრივი მიჩნეულია ოპტიმალურ პერიოდად მოკლე და საშუალოვადიანი რეალური ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის, რაც თავიდან არიდებს სამომხმარებლო კალათის სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეულ მეთოდოლოგიურ ცდომილებებს.

მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურული ანალიზი

საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდა, ნომინალური იქნება ის თუ რეალური, ვერ შექმნის სრულფასოვან წარმოდგენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე, თუ მას არ დავუპირისპირებთ ხარჯების სტრუქტურულ ანალიზს. შემოსავლები ასახავს ოჯახების ეკონომიკურ პოტენციალს, ხარჯვის სტრუქტურა კი აჩვენებს მათ სოციალურ მოწყვლადობასა და ცხოვრების დონეს. მოსახლეობის ხარჯების ანალიზი წარმოადგენს ერთგვარ სარკეს, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ხარისხი და სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ არის აღიარებული ენგელის კანონი (Chai, A., & Moneta, A. (2010). Retrospectives: Engel's Curve. *Journal of Economic Perspectives*, 24(1), 225-240), რომლის თანახმადაც, შინამეურნეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად, პირველადი მოხმარების საგნებზე (კერძოდ, სურსათზე) გაწეული ხარჯების პროპორციული წილი მთლიან ბიუჯეტში მცირდება. განვითარებულ ეკონომიკებში, სადაც მოსახლეობა მაღალი მსყიდველობითი უნარით ხასიათდება, სურსათის ხარჯი საოჯახო ბიუჯეტის საშუალოდ 10-15%-ს არ აღემატება, რაც ოჯახებს საშუალებას აძლევს, დარჩენილი რესურსი განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დაზღვევასა და დასვენებაზე მიმართონ. რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით უფრო მეტს ხარჯავს საკვებზე თავისი შემოსავლიდან. შემოსავლის ზრდასთან ერთად, საკვებზე გაწეული ხარჯების პროცენტული წილი მკვეთრად იკლებს, თუნდაც ოჯახმა უფრო ძვირადღირებული საკვების ყიდვა დაიწყოს.

2016 წელს სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან ბიუჯეტში 35.3% იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი სტაბილურად იზრდებოდა და პოსტ-პანდემიურ 2021 წელს ისტორიულ მაქსიმუმს — 43.7%-ს მიაღწია. 2022-2025 წლებში, ფასების გარკვეული სტაბილიზაციის მიუხედავად, მაჩვენებელი მკვეთრად არ შემცირებულა და 2025 წლისთვის 38.7% შეადგინა (ცხრილი 4).

საქართველოს რეალობა პირდაპირ ადასტურებს ნაშრომის H_2 ჰიპოთეზას: მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ „თვითგადარჩენის ეკონომიკურ მოდელში“ იმყოფება.

10-წლიან ჭრილში სურსათის წილის ზრდა 35.3%-დან 38.7%-მდე მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში დაფიქსირებულმა ნომინალურმა ეკონომიკურმა ზრდამაც კი ვერ მოახერხა მოსახლეობის გამოყვანა ენგელის კანონის დაბალი საფეხურიდან. ოჯახი დღეს თავისი ბიუჯეტის თითქმის 40%-ს მხოლოდ ფიზიოლოგიური არსებობის შენარჩუნებას ახმარს, რაც მათ უკიდურესად მოწყვლადს ხდის ნებისმიერი ფასების შოკის მიმართ.

ცხრილი 4. სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება ერთ მოსახლეზე, 2016-2025 წლები *(პროცენტობით ჯამთან)*

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	35.3	35.7	37.4	37.8	42.1	43.7	41.8	38.7	38.1	38.7
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	4.1	4.5	4.4	4.2	3.7	3.5	3.9	5.0	5.3	5.8
საოჯახო მოხმარების საქონელზე	4.2	4.3	4.1	3.6	3.5	3.4	3.4	4.8	4.7	5.1
ჯანმრთელობის დაცვაზე	14.3	13.5	12.5	11.8	12.0	11.7	12.0	10.9	11.0	11.0
საცხოვრებელი და კომუნალური ხარჯები	12.5	13.0	13.0	12.9	13.7	12.7	11.8	11.9	11.6	11.3
ტრანსპორტზე	10.4	11.0	10.7	12.0	9.8	10.9	11.8	11.2	10.8	11.4
განათლებაზე	3.8	3.4	3.4	2.8	2.0	2.0	2.3	2.9	2.8	2.9
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	15.4	14.5	14.5	15.0	13.2	12.1	13.0	14.6	15.6	13.7
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები. ნანახია 4 ივნისი, 2026, მისამართიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi (ავტორის გამოთვლები)

ბიუჯეტის სტრუქტურაში სურსათის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდაუვალი კომპონენტები საცხოვრებელი/კომუნალური მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვაა.

საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, გაზი: ამ კატეგორიის წილი 2016-2025 წლებში სტაბილურობით ხასიათდება და საშუალოდ 11.3%-დან 13.7%-მდე მერყეობს. პიკი დაფიქსირდა 2020 წელს (13.7%), რაც ლოკდაუნების პერიოდში შინ დარჩენის ეფექტითა და კომუნალური მოხმარების ზრდით აიხსნება. 2025 წლისთვის მაჩვენებელი 11.3%-ზე დაფიქსირდა.

ჯანმრთელობის დაცვა: ჯანდაცვაზე გაწეული ჯიბიდან გადახდილი ხარჯები ქართული ოჯახებისთვის მძიმე ტვირთია. 2016 წელს ის 14.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2023-2025 წლებში 11.0%-იან ნიშნულზე დასტაბილურდა.

თუკი შევაჯამებთ სამ ძირითად მიმართულებას: სურსათი (38.7%) + საცხოვრებელი/კომუნალურები (11.3%) + ჯანდაცვა (11.0%), დავინახავთ, რომ 2025 წლის მონაცემებით, ოჯახების სამომხმარებლო ბიუჯეტის ზუსტად 61.0% მოდის მხოლოდ ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. პანდემიურ 2021 წელს კი ეს მაჩვენებელი საგანგაშო 68.1%-ს აღწევდა.

2016–2025 წლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურა ათწლიან ჭრილში პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა. პირიქით, პირველადი მოხმარების საგნების (სურსათი, კომუნალურები, ჯანდაცვა) მოხმარების წილი კიდევ უფრო გამყარდა. ეს მოცემულობა მკაფიოდ ადასტურებს, რომ ქვეყანაში დაფიქსირებული მაკროეკონომიკური ზრდა არ არის ინკლუზიური. მოსახლეობის მყიდველობითი უნარი მთლიანად იხარჯება მიმდინარე საჭიროებებზე, ხოლო გრძელვადიანი განვითარების ფაქტორები (როგორიცაა განათლება) ფინანსური რესურსების დეფიციტის გამო უკანა პლანზეა გადაწეული.

ცხრილი 5. სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება ერთ მოსახლეზე, ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2016/2025 წლები *(პროცენტობით ჯამთან)*

	2016		**2025**	
	ქალაქი	*სოფელი*	*ქალაქი*	*სოფელი*
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	33.5	39.5	37.5	41.6
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	4.2	4.0	6.1	5.2
საოჯახო მოხმარების საქონელზე	4.0	4.8	5.0	5.2
ჯანმრთელობის დაცვაზე	14.0	15.1	10.2	13.0
საცხოვრებელი და კომუნალური ხარჯები	12.8	11.8	11.4	11.1
ტრანსპორტზე	10.1	11.1	10.8	12.8
განათლებაზე	4.8	1.4	3.7	1.2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	16.6	12.4	15.3	9.9

სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	**100%**	**100%**	**100%**	**100%**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები. ნანახია 4 ივნისი, 2026, მისამართიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi (ავტორის გამოთვლები)

ცხრილ 5-ში განხილულია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება ერთ მოსახლეზე, ქალაქ-სოფლის მიხედვით.

სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული ხარჯები გაიზარდა როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქალაქში: 33.5%-დან (2016) 37.5%-მდე (2025), ხოლო სოფელში 39.5%-დან (2016) 41.6%-მდე (2025).

სოფლის მოსახლეობა თავისი მცირე ბიუჯეტის თითქმის 42%-ს მხოლოდ საკვებში ხარჯავს. ეს არის კლასიკური ნიშანი იმისა, რომ სოფელი იმყოფება ენგელის კანონის ყველაზე ზე დაბალ „თვითგადარჩენის“ საფეხურზე. სოფლად სურსათის მაღალი წილი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ნატურალური მეურნეობა სუსტდება და სოფელიც დამოკიდებული ხდება ძვირიან, იმპორტირებულ სამომხმარებლო ბაზარზე.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების წილი სოფლად კვლავ მაღალია და 13.0%-ს შეადგენს (ქალაქში — 10.2%). სოფლად სამედიცინო ინფრასტრუქტურის არარსებობისა და მედიკამენტების გაძვირების გამო, იქ მცხოვრები ადამიანისათვის ჯანმრთელობის გაუარესება ხშირ შემთხვევაში ასოცირდება ე.წ. „ჯიბიდან გადახდილ“ ხარჯებთან.

ტრაგიკული მაჩვენებელს წარმოადგენს განათლებაზე გაწეული ხარჯები, რომელიც ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ უფსკრულს ააშკარავებს. ქალაქში ეს მაჩვენებელი, შემცირების მიუხედავად, 2025 წელს 3.7%-ს მაინც შეადგენს, სოფლად კი განათლების ხარჯების წილი ისედაც მიზერული 1.4%-დან (2016 წ.) კიდევ უფრო შემცირდა და 2025 წლისთვის 1.2% შეადგინა. სოფლად განათლებაზე ბიუჯეტის მხოლოდ 1.2%-ის მიმართვა ნიშნავს, რომ სოფლის მოსახლეობას ფიზიკურად არ გააჩნია რესურსი ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისთვის.

ხელფასებისა და სამომხმარებლო ხარჯების ურთიერთდამოკიდებულების კორელაციური ანალიზი

შინამეურნეობების ფინანსური ქცევის კომპლექსური სურათის მისაღებად, შევადგინეთ ზოგადი კორელაციური მატრიცა (ცხრილი 6), საიდანაც მიზნობრივად იქნა გამოყოფილი ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ ნაშრომის საკვლევ ჰიპოთეზებს. კოეფიციენტების ასეთი განაწილება საშუალებას გვაძლევს, თავი ავარიდოთ მათემატიკურ მულტიკოლინეარობას. ქვემოთ განხილულია შერჩეულ ფაქტორებს შორის სტატისტიკური მნიშვნელობა და მათი ეკონომიკური ინტერპრეტაცია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით.

ხარჯები, სულ / ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (r = 0.998). ფიქსირდება თითქმის სრულყოფილი, მაქსიმალური მნიშვნელობის დადებითი კორელაცია. რაც ნიშნავს, რომ მიღებული შემოსავლების ყოველი ერთეული პრაქტიკულად მომენტალურად ტრანსფორმირდება შესაბამის ხარჯში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ფიზიკურად არ გააჩნია თავისუფალი ფულადი ნაშთი დაგროვების, ინვესტირების ან გრძელვადიანი დანაზოგების შესაქმნელად. ოჯახები მუშაობენ 'შემოსავალი-მოხმარების' მყისიერ რეჟიმში. ასე მაგალითად, თუ კორელაცია

იქნებოდა ზუსტად r=1.0, ეს ნიშნავს, რომ ყოველი შემოსული 1 თეთრი იმავე თვეში/წელს ავტომატურად გადაიქცეოდა 1 თეთრ ხარჯად.

სურსათზე, სასმელზე, თამბაქოზე გაწეული ხარჯი / ფულადი და არაფულადი სახსრები (r = 0.966) და ფულადი შემოსავლები (r = 0.970). უაღრესად მაღალი, 1-თან მიახლოებული დადებითი კორელაცია ორივე მიმართულებით. სურსათის ხარჯების კრიტიკულად მაღალი კორელაცია როგორც მთლიან სახსრებთან (r = 0.966), ისე უშუალოდ ფულად შემოსავლებთან (r = 0.970), წარმოადგენს ნაშრომის H2 ჰიპოთეზის ემპირიულ მტკიცებულებას. განვითარებულ ეკონომიკებში, სადაც ბაზისური მოთხოვნილებები გაჯერებულია, შემოსავლის მატება არ იწვევს სურსათზე აბსოლუტური ხარჯების ასეთ პროპორციულ ზრდას (ენგელის კანონი). საქართველოს პირობებში კი, ოჯახის ბიუჯეტის ნებისმიერი ზრდა თითქმის სრული სიზუსტით მიყვება საკვები პროდუქტების ხარჯების ზრდას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა კვლავ იმყოფება კვების რაციონის ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და პირველადი ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილების ფაზაში, რაც დაბალი მსყიდველობითი უნარის პირდაპირი ინდიკატორია.

ცხრილი 6. შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების აბსოლუტური მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების კორელაციის კოეფიციენტები *(2016-2025 წლების მონაცემების საფუძველზე)*

	ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ	*ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები*	*დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი*	*ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი*	*ხარჯები, სულ*	*სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე გაწეული ხარჯი*	*ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯი*	*ქონების შეძენაზე გაწეული ხარჯი*
ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ	1.000							
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	0.999	1.000						
დაქირავებული შრომიდან	0.997	0.997	1.000					
ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-0.268	-0.309	-0.304	1.000				
ხარჯები, სულ	0.998	0.995	0.992	-0.222	1.000			
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე გაწეული ხარჯი	0.966	0.970	0.952	-0.316	0.967	1.000		
ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯი	0.979	0.972	0.968	-0.131	0.984	0.945	1.000	
ქონების შეძენაზე გაწეული ხარჯი	0.533	0.503	0.521	0.398	0.567	0.431	0.577	1.000

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გამოთვლები (MS Excel / Data Analysis)

ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი / ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები (r = -0.309) ფიქსირდება ზომიერი უარყოფითი (უკუკავშირი) კორელაცია. ღნიშნული უარყოფითი კოეფიციენტი ავლენს უაღრესად მნიშვნელოვან სოციო-ეკონომიკურ ტენდენციას. მათემატიკური უკუკავშირი ნიშნავს, რომ როდესაც შინამეურნეობების სტაბილური ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები კლებულობს, ოჯახები იძულებულნი ხდებიან, აანაზღაურონ ეს დეფიციტი საკუთარი აქტივების (მიწა, უძრავი ქონება, პირუტყვი) გაყიდვის ხარჯზე. შესაბამისად, ქონების რეალიზაცია საქართველოში ემსახურება არა კაპიტალის რეინვესტირებას ან ბიზნესის გაფართოებას, არამედ წარმოადგენს მიმდინარე მოხმარების კრიზისული დაფინანსების მექანიზმს.

ქონების შეძენაზე გაწეული ხარჯი / ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (r = 0.398). სუსტი დადებითი კორელაცია. კოეფიციენტი ასახავს შინამეურნეობების ნაწილის მიერ აქტივების სტრუქტურულ ჩანაცვლებას. ეს გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი ახდენს არსებული ქონების (მაგალითად, მიწის ნაკვეთის, ბინის ან ავტომობილის) რეალიზაციას სხვა, მათთვის მოცემულ მომენტში უფრო საჭირო ან პროდუქტიული გრძელვადიანი ქონების შესაძენად. კავშირის ზომიერი ხასიათი მიუთითებს, რომ ეს პრაქტიკა არ არის მასობრივი და ახასიათებს შინამეურნეობების მხოლოდ სპეციფიკურ ჯგუფს.

ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯი / სურსათის ხარჯი (r = 0.945) და ფულადი შემოსავლები (r = 0.972). მჭიდრო დადებითი კორელაციური კავშირი. ჯანდაცვის ხარჯების მჭიდრო კორელაცია სურსათთან და ფულად შემოსავლებთან ნიშნავს საოჯახო მეურნეობების კიდევ ერთ სტრუქტურულ მოწყვლადობას. მედიცინა და სურსათი ერთად ქმნიან ე.წ. არაელასტიურ სამომხმარებლო ჯგუფს. შემოსავლების მატებასთან ერთად ჯანდაცვის ხარჯების ასეთი მკვეთრი ზრდა ნიშნავს, რომ მოსახლეობას აქვს ქრონიკულად დაგროვილი, გადადებული მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე. ფინანსური რესურსის გაჩენისთანავე, ოჯახები იძულებულნი არიან, საკვებთან ერთად, სახსრები დაუყოვნებლივ მიმართონ მკურნალობასა და მედიკამენტებზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჯანდაცვაზე ,,ჯიბიდან გადახდები'' კვლავ რჩება ქვეყანაში სიღარიბის ერთ-ერთ ინდიკატორად.

საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, წარმოდგენილი ფაქტორები ერთობლიობაში ქმნის ერთიან ლოგიკურ სურათს: საქართველოს საშუალო სტატისტიკური ოჯახი იმყოფება თვითგადარჩენის ეკონომიკურ ციკლში. შემოსავლის ზრდა მიმართულია სურსათსა და ჯანდაცვაზე ($r > 0.94$), თავისუფალი ფული ხარჯვის შემდეგ არ რჩება ($r = 0.998$), ხოლო კრიზისის დროს ოჯახი იძულებულია ქონება გაყიდოს ($r = -0.309$).

დასკვნა

ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შედარებითი სტრუქტურული ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ასიმეტრიული და არაინკლუზიურია. 2016-2025 წლების დინამიკამ აჩვენა, რომ ქართული სოფელი განიცდის მძიმე სტრუქტურულ კრიზისს: იგი თითქმის სრულად დაცლილია საკუთარი წარმოებისგან და მისი არსებობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სახელმწიფო სოციალურ ტრანსფერტებზე (30.0%).

ხარჯვით ნაწილში არსებული სურათი, სადაც სოფლად ბიუჯეტის 54.6% მხოლოდ სურსათსა და ჯანდაცვაზე იხარჯება, ხოლო განათლებაზე მხოლოდ 1.2% რჩება, არის კლასიკური ინდიკატორი იმისა, რომ სოფელში პრობლემურ საკითხად დგას სიღარიბე. სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს არა სუბსიდიები და ერთჯერადი სოციალური დახმარებები, არამედ სოფლად მაღალპროდუქტიული, არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნა და საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ნაშრომის ფარგლებში დასმული ორივე ჰიპოთეზა რეალური მონაცემების საფუძველზე სრულად დადასტურდა. H1 ჰიპოთეზის ვალიდაცია (დამტკიცდა): ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ინფლაციური წნეხი მნიშვნელოვნად ამცირებს მოსახლეობის რეალურ მყიდველობით უნარს და ხელფასების ნომინალური ზრდა ხშირად არ ასახავს რეალურ კეთილდღეობას, სრულად დადასტურდა. *ემპირიული მტკიცებულება:* ნომინალურ ხელფასსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს (CPI) შორის არსებული მაღალი თანხვედრა ადასტურებს ე.წ. „ხელფასებისა და ინფლაციის“ მოქმედებას. 2021-2025 წლების პერიოდში ნომინალურ ზრდაზე ინფლაციის გავლენა ამტკიცებს, რომ მაკროეკონომიკური ციფრები ვერ თარგმნება საოჯახო მეურნეობების თავისუფალი განკარგვადი შემოსავლის ზრდაში.

H2 ჰიპოთეზის ვალიდაცია (დამტკიცდა): ჰიპოთეზა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმყოფება „თვითგადარჩენის ეკონომიკურ მოდელში“, სადაც ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიემართება პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, სრულად დადასტურდა. *ემპირიული მტკიცებულებით* ენგელის კანონის ტესტირებამ ქართულ რეალობაში პარადოქსული სურათი აჩვენა. ფულად შემოსავლებსა და სურსათის ხარჯებს შორის დაფიქსირებული ძლიერი დადებით წრფივი კორელაცია (r = 0.970), რაც მათემატიკურად მოწმობს, რომ შემოსავლის ნებისმიერი მატება საბაზისო კვების პროდუქტების დაფინანსებას ხმარდება და მოთხოვნა გაჯერების ფაზისგან შორს არის.

მიღებული ემპირიული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში დაფიქსირებული მაკროეკონომიკური ზრდა არ არის სრულად ინკლუზიური და მისი სიკეთეები არათანაბრად ნაწილდება შინამეურნეობებზე. მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისაღწევად აუცილებელია: ერთჯერადი და პასიური სოციალური სუბსიდირების მოდელიდან გადასვლა სოფლად არასასოფლო-სამეურნეო, მაღალპროდუქტიული და სტაბილური სამუშაო ადგილების სტიმულირებაზე; განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა რეგიონებში, რათა აღმოიფხვრას ადამიანური კაპიტალის გეოგრაფიული დეგრადაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2026). *შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები: მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და დინამიკური მაჩვენებლები.* თბილისი: საქსტატი. ხელმისაწვდომია: www.geostat.ge.

მაკალათია, ი. (2025). ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში. *აკადემიური მაცნე*, №2, გვ. 88-102.

გელაშვილი ს., მაკალათია ი., მიქელაძე გ. (2022). *ცხოვრების დონის სტატისტიკა.*

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). (2018). *საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზი*. თბილისი: UNICEF Georgia.

Chai, A., &Moneta, A. (2010). Retrospectives: Engel's Curve. *Journal of Economic Perspectives* 24 (1), 225-240.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „მთავარი გვერდი“. www.geostat.ge

Statistical Analysis of Population Income and Expenditure in Georgia

Irakli Makalatia
Doctor of Economics, Associate Professor
Business and Technology University
Irakli.makalatia@btu.edu.ge

Summary

This paper presents a comprehensive, empirical study on the structure of household income and expenditures in Georgia within a dynamic framework spanning 2016–2025. The study aims to evaluate the real living standards and patterns of economic behavior of the population, employing a methodology based on descriptive statistics and Pearson correlation analysis. Both central hypotheses formulated within the scope of this research were fully validated. Matrix analysis demonstrates that nominal wage growth is heavily offset by inflationary processes, thereby constraining any real increase in the purchasing power of income (H_1). Concurrently, testing Engel’s law reveals a strong positive correlation between monetary income and absolute expenditures on food ($r = 0.970$), confirming that the population remains constrained within a "subsistence economic model" (H_2). The study identifies an inelastic consumption cluster within the household budget (encompassing expenditures on food, healthcare, and housing/utilities), which accounts for 61% of total consumer spending. The nearly perfect correlation between total expenditures and income ($r = 0.998$) indicates immediate budget allocation toward current consumption, leading to a critical compression of development-oriented expenditures and impeding long-term capital accumulation. From a geographical perspective, a sharp structural asymmetry emerges: in rural areas, the share of agricultural income has contracted to 14%, while every third Lari (30%) is derived from state social transfers. The resulting empirical findings manifest that the country's current economic growth is not fully inclusive. Conclusively, the paper formulates policy recommendations aimed at stimulating high-productivity employment in regional areas and increasing access to education, both of which are essential to overcoming poverty.

Keywords: Household income, Consumer expenditures, Real income, Engel's law, Correlation analysis

იმპორტჩანაცვლება-საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მნიშნელოვანი ფაქტორი

უშანგი სამადაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ushangi.samadashvili@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში დახასიათებულია იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის არსი და მიზანი; გამოკვეთილია საქართველოს სასურსათო უსაფრთხობაში მისი როლი, ძლიერი და სუსტი მხარეები; ერთმანეთისგან გამიჯნულია იმპორტის გონივრული და არაგონივრული ჩანაცვლება. გადმოცემულია განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის უცხოური გამოცდილება; გამოკვეთილია იმპორტჩანაცვლების ძირითადი მიმართულებები; ნაჩვენებია იმპორტჩანაცვლების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შესაძლო ეფექტები და დეფექტები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საქართველოში ძირითად სასურსათო პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია. შემოთავაზებულია წინადადებები და რეკომენდციები, რათა საქართველო მინიმალურად მაინც აკმაყოფილებდეს საკუთარ სასურსათო მოთხოვნებს განსაკუთრებით დღეს, როდესაც მომრავლებულია საგარეო შოკები და გამოწვევები, რომლებიც ხშირად აფერხებენ და აძვირებენ იმპორტს ქვეყანაში.*

საკვანძო სიტყვები: *იმპორტჩანაცვლება, სასურსათო უსაფრთხოება, ექსპორტორიენტირებული იმპორტჩანაცვლების სტრატეგია, საგარეო შოკები და გამოწვევები.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა კრიზისებმა, სანქციებმა ან მიწოდების ჯაჭვების ჩამოშლამ გავლენა არ მოახდინოს ადგილობრივი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფაზე. **ამიტომაც, დღეს იმპორტჩანაცვლება, როგორც სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი, ერთობ აქტუალურია.**

აღნიშნულის გამოა, რომ სამამულო და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ (გელაშვილი, 2026; ვარშანიძე, 2026; ზირაქიშვილი, 2010; კოღუაშვილი, არჩვაძე. 2026; **მაჭარაშვილი, 2026; ტალიკაძე,** 2022; ქობულია, 2020; ცომაია, 2014; ხანიშვილი, 2026; Анимица, Анимица, Глумов. 2015; Ватолкина, Горбунова. 2015. КРАВЧЕНКО; Котванов, 2018; Молчанова, 2018; Cherif, Hasanov, 2024) სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა იმპორტჩანაცვლების გარკვეულ ასპექტებს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს საკითხები, ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ნაკლებ

შესწავლილ სფეროდ ითვლება. **შემოთავაზებული ნაშრომის მიზანი სწორედ აღნიშნული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა.**

ძირითადი ნაწილი

დასახული მიზნის მიღწევის გზაზე, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს თავად იმპორტჩანაცვლების არსი და მნიშვნელობა, გაანალიზდეს და შეფასდეს საქართველოში სურსათით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა, გამოვლინდეს მისი შემაფერხებელი მიზეზ- ფაქტორები და საერთაშორისო და სამამულო გამოცდილებაზე დამყარებით შემუშავდეს წინადადებები და რეკომენდაციები მათ მინიმიზება-აღმოფხვრისათვის.

იმპორტის ჩანაცვლება, ანუ შიდა ბაზარზე ორიენტირებული სტრატეგია, არის ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური წარმოების საქონლისა და მომსახურების ჩანაცვლება მსგავსი ადგილობრივი წარმოების საქონლითა და მომსახურებით. მარტივად რომ ვთქვათ: თუ პროდუქტი შემოდის იმპორტით — და თქვენ შეძლებთ მის კონკურენტულ პროდუქციის წარმოებას საქართველოში — თქვენ ქმნით იმპორტჩანაცვლებად ბიზნესს. **საქართველოში იმპორტის ჩანაცვლების მიზანია** ადგილობრივი წარმოების განვითარება, რათა უცხოური პროდუქცია ჩანაცვლდეს ქვეყანაშივე დამზადებული, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი საქონლით.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ იმპორტის გონივრული და არაგონივრული ჩანაცვლება. იმპორტის გონივრული ჩანაცვლება ქვეყნის რეალურ პოტენციალს ემყარება. მისი მიზანია ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც ხარისხითა და ფასით ტოლია ან უკეთესია უცხოურ პროდუქზე. მისი საპირწონეა იმპორტის არაგონივრული ჩანაცვლება, რომლის დროსაც ქვეყანა იწყებს ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომლისთვისაც მას არ გააჩნია საჭირო კომპეტენციები, რესურსები, შესაფერისი კლიმატი, ანუ რომლის წარმოებაც ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

ისმის კითხვა - რატომ არის იმპორტჩანაცვლება მნიშვნელოვანი საქართველოსთვის? - „საერთაშორისო თამაშის წესების“ დაცვით, იმპორტის გონივრულ ჩანაცვლებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის: ხელი შეეწყობა ადგილობრივი ინდუსტრიებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას; გაიზრდება მოსახლეობის სურსათით თუ არასასურსათო პროდუქტით თვითუზრუნველყოფა; შემცირდება ქვეყნის დამოკიდებულება გლობალურ ბაზრებზე; მომხმარებლები დაცული იქნებიან იმპორტირებული პროდუქციის ფასების რყევებისგან და შეიქმნება ახალი ბიზნესები და პროდუქტები; გაიზრდება სამუშაო ადგილები და ექსპორტის შესაძლებლობები; შემცირდება იმპორტი და ვალუტის გადინება; გაუმჯობესდება სავაჭრო ბალანსი; მოსახლეობაში ჩამოყალიბდება იმპორტულთან შედარებით სამამულო პროდუქციის უპირატესობის მინიჭების მენტალურობა; წახალისდება ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები და სხვ. ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლება იმიტომაცაა მიზანშეწონილი, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების დროს, იმპორტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმპორტ შემცვლელი პროდუქციის ადგილზე წარმოება.

იმპორტის ჩანაცვლებას ჩამოთვლილ ძლიერ მხარეებთან ერთად აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, რისკები და შეზღუდვები. იმპორტის ჩანაცვლების ერთ-ერთი მთავარი

პრობლემა მისი დამოკიდებულებაა სახელმწიფო მხარდაჭერასა და დაფინანსებაზე. ამან შეიძლება დაამახინჯოს ბაზრის პირობები და შეზღუდოს თავისუფალი კონკურენცია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ტექნიკური და პერსონალის საკითხები, ასევე ახალი საწარმოო ობიექტების დანერგვის მაღალი ხარჯები. **იმპორტის ჩანაცვლების ნაკლოვანებებია ასევე:** არასაკმარისი კონკურენცია და არაეფექტიანობა. განვითარებადი ქვეყნების შიდა ბაზრები შეიძლება ძალიან მცირე იყოს მასშტაბის ზრდით ეკონომიის მისაღწევად, რაც ზღუდავს ზრდის პოტენციალს. **იმპორტის ჩანაცვლებისას არსებობს რისკებიც.** იმპორტის ჩანაცვლებამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა კონკურენციის შემცირების, ასევე საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გამო. გარდა ამისა, წარმოების ხარჯები შეიძლება გაიზარდოს, რადგან ახალი პროდუქტების შექმნის პროცესი უფრო ძვირი ხდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ღირსება-ნაკლოვანებებიდან გამომდინარე იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგებიც.

იმპორტის ჩანაცვლების მომხრეები არიან ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც შიდა ბაზრის დაცვას ემხრობიან (გელაშვილი, 2026; ვარშანიძე, 2026; ზირაქიშვილი, 2010; კოღუაშვილი, არჩვაძე. 2026; **მაჭარაშვილი, 2026; ტალიკაძე,** 2022). ამ სტრატეგიის მომხრეების მიერ მოყვანილი ძირითადი არგუმენტია „ახალგაზრდა ინდუსტრიების“ დაცვა, რადგანაც განვითარებად ეროვნულ ინდუსტრიებს სჭირდებათ სახელმწიფო მხარდაჭერა (სუბსიდიები, შეღავათიანი გადასახადები და სესხები) გაძლიერებისა და უცხოურ გიგანტებთან კონკურენციისთვის. ამასთან, ეროვნული უსაფრთხოების კრიტიკულად მნიშვნელოვანი სექტორები (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფარმაცევტიკა და IT) არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. იმპორტის ჩანაცვლებას, ასევე მიიჩნევენ უსაფრთხოებისა და განვითარების საშუალებად, რადგანაც: მცირდება გეოპოლიტიკურ სიტუაციებზე, სანქციებსა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების დარღვევებზე დამოკიდებულება; წარმოების ლოკალიზაცია იწვევს ახალი ვაკანსიების შექმნას და შიდა კომპეტენციების განვითარებას; ადგილობრივ რესურსებზე დამოკიდებულებით ხდება ეროვნული ვალუტის მხარდაჭერა კაპიტალის საზღვარგარეთ გადინების მოცულობის შემცირებით. მომხრეები აღიარებენ იმასაც, რომ იმპორტ ჩანაცვლების სტრატეგიის წარმატებული განხორციელება მოითხოვს გონივრულ ეკონომიკურ პოლიტიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასები შეიძლება გაიზარდოს და ხარისხი შეიძლება გაუარესდეს კონკურენციის შესუსტების გამო.

იმპორტის ჩანაცვლების მოწინააღმდეგეები კი არიან ეკონომისტები, ექსპერტები და ანალიტიკოსები (ქობულია, 2020; ცომაია, 2014; Cherif, R; and Hasanov, F. 2024), რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეროვნული თვითკმარობის პოლიტიკას. ისინი ამტკიცებენ, რომ ბაზრების დახურვა არ პასუხობს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს და იწვევს პროდუქტის ხარისხის დაქვეითებას, ფასების ზრდას, მონოპოლიზაციას და ქვეყნის ტექნოლოგიურ ჩამორჩენას გლობალურ პროგრესთან შედარებით.

ამ პოლიტიკის ოპონენტების ძირითადი არგუმენტებია: შრომის საერთაშორისო დანაწილების უარყოფა: კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ არცერთ ქვეყანას არ ძალუძს დამოუკიდებლად აწარმოოს აბსოლუტურად ყველა საქონელი და ტექნოლოგია ეფექტიანად; ხარისხის კლება და ფასების ზრდა: უცხოური კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი მწარმოებლები ხშირად კარგავენ განვითარების სტიმულს. ეს იწვევს საქონლის გაძვირებას დახარისხის გაუარესებას; ტექნოლოგიური პროგრესის შეფერხება: მოწინავე საერთაშორისო განვითარებაზე, სამეცნიერო ბაზებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომის ხელოვნურად შეზღუდვა ანელებს საერთო ტექნოლოგიურ პროგრესს; ძირითადი რისკები და გამოწვევები: ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იძულებითი იმპორტის ჩანაცვლება სერიოზულ მაკროეკონომიკურ რისკებს შეიცავს; სუბსიდიებზე დამოკიდებულება: ახალი წარმოება დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვს მასშტაბურ სახელმწიფო სუბსიდიებს, რაც არღვევს ჯანსაღ საბაზრო კონკურენციას; კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი: მასშტაბური პროექტების განხორციელება ხშირად კვალიფიციური საინჟინრო და სამეცნიერო პერსონალის დეფიციტს აწყდება. ინფრასტრუქტურული გამოწვევები: ჩვენივე ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვების შექმნას წლები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები და უნიკალურ რესურსებზე წვდომა სჭირდება.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, შეუძლია საკუთარი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას იხელმძღვანელოს მსოფლიოში უკვე დაგროვილი მეთოდებით და არ შეუდგეს ველოსიპედის თავიდან გამოგონებას, რითაც დაიზოგება მატერიალური, ფინანსური და დროითი რესურსები. ანალიტიკური კვლევების თანახმად, ყველაზე წარმატებულ სტრატეგიად ითვლება „ექსპორტზე ორიენტირებული იმპორტის ჩანაცვლება“, სადაც საქონლის წარმოება ქვეყნის შიგნით შერწყმულია მათ შემდგომ გლობალურ ბაზარზე გაყიდვასთან. ეს აიძულებს მწარმოებლებს შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანი დონე. შესაბამისად, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის წარმატებული აჩქარება დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, სადაც იმპორტის ჩანაცვლება მხოლოდ დროებით ღონისძიებას წარმოადგენდა ახალი ინდუსტრიებისთვის „სათბურის პირობების“ შესაქმნელად. რის შემდეგაც ყურადღება სწრაფად გადავიდა გრძელვადიან ექსპორტზე ორიენტირებულ ინდუსტრიალიზაციაზე. ქვეყნები კი, რომლებმაც მუდმივად შეინარჩუნეს პროტექციონიზმი, სტაგნაციის წინაშე აღმოჩნდნენ.

„ექსპორტორიენტირებული იმპორტჩანაცვლების“ სტრატეგიის **წარმატებული** რეალიზაციის კარგი მაგალითია **სამხრეთ კორეა.** 1960-იან და 1970-იან წლებში სამხრეთ კორეაში გამოყენებული იქნა „ექსპორტორიენტირებული იმპორტჩანაცვლების“ სტრატეგია, რამაც შესაძლებელი გახადა ეროვნული ეკონომიკის განმტკიცება და მძლავრი საექსპორტო პოტენციალის შექმნა. უფრო კონკრეტულად, სამხრეთ კორეაში დასაწყისში განხორციელდა არაგონივრული იმპორტის ჩამნაცვლებელი მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბება რეგიონში. ამან შექმნა ახალი სამუშაო ადგილები, შემოსავლები, რამაც ხელი შეუწყო შემოსავლებრივი უთანაბრობის შემცირებას, მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და შიდა და გარე ემიგრაციის შემცირებას, ასევე, ემიგრანტთა რეპატრირებას. შემდეგ „შიგნიდან ბიძგის“ ან „გარედან მიზიდულობის“ საფუძველზე მოხდა მათი ექსპორტზე ორიენტაცია, ინტერნაციონალიზაცია.

ამჟამად, სამხრეთ კორეაში არსებული მსხვილი, საოჯახო კონგლომერატები ფლობენ დივერსიფიცირებულ ბიზნესებს არაერთი მიმართულებით (მაგალითად: ელექტრონიკა, ავტომშენებლობა, მშენებლობა, გემთმშენებლობა და ფინანსები), რომლებიც მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და სუბსიდიებით დაწინაურდნენ და დღემდე უდიდეს გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე. (**მაჭარაშვილი , 2026).**

ტაივანში და სინგაპურში იმპორტის ჩანაცვლება შედარებით ხანმოკლე იყო. შიდა ბაზარი სწრაფად გაჯერდა და სახელმწიფომ ინდუსტრია უცხოურ ბაზრებზე მკაცრ კონკურენციაზე გადაამისამართა. ამან კომპანიები აიძულა ექსპორტირებისთვის გაეუმჯობესებინათ პროდუქტის ხარისხი, შეემცირებინათ ხარჯები და დაენერათ მოწინავე ტექნოლოგიები, რამაც ფენომენალური ზრდა გამოიწვია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ **იაპონიამ** გამოიყენა მსგავსი მოდელი, რომელიც იცავდა შიდა ბაზარს, მაგრამ შემდეგ დაეყრდნო ძლიერ ექსპორტის გაფართოებას (ავტომობილები, ელექტრონიკა).

მაშასადამე, ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებული ეკონომიკური ნახტომი განახორციელეს (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, იაპონია), იმპორტის ჩანაცვლება საწყის, დროებით ეტაპად გამოიყენეს. ამ სახელმწიფოებმა დროებითი, ანუ მოკლევადიანი პროტექციონიზმით, სუბსიდიებითა და ტარიფებით დასაწყისში დაიცვეს „ადგილობრივი ახალგაზრდა ინდუსტრიების ჩამოყალიბება“ უცხოური კონკურენციისგან, ხოლო ინდუსტრიის ფორმირების შემდეგ აქცენტი სწრაფად გადაიტანეს წარმოების მასშტაბის ზრდაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე, რათა დაკმაყოფილებულიყო გლობალური სტანდარტები. ყოველივე ამის შემდეგ კომპანიები ჩაებნენ გლობალურ ბაზარზე კონკურენციაში, რამაც წაახალისა ინოვაციები და ხარჯების შემცირება.

გრძელვადიან პროტექციონიზმზე დამყარებული იმპორტჩანაცვლების კარგი მაგალითი კი ბრაზილია, არგენტინა და მექსიკაა. ეს ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ თავიანთ ინდუსტრიებს გარე კონკურენციისგან სუბსიდიებითა და მაღალი ტარიფებით. პროტექციონიზმით შექმნილი „სათბურის პირობების“ მუდმივად შენარჩუნებამ კი გამოიწვია ადგილობრივი მწარმოებლების იზოლირება გლობალური ბაზრებისგან, რასაც მოჰყვა არაკონკურენტუნარიანი, ძვირადღირებული და დაბალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, წარმოების მასშტაბის ზრდის შეზღუდვა, ინოვაციებისა და განვითარების სტიმულების დაკარგვა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და სტაგნაცია.

იძულებითი ინდუსტრიალიზაციის მაგალითია, ასევე, ყოფილი (სსრკ): 1930-იანი წლებიდან 1950-იან წლებამდე სახელმწიფომ შეძლო მასშტაბური ინდუსტრიალიზაციის სწრაფად განხორციელება თითქმის სრული იზოლაციის პირობებში. ამან შესაძლებელი გახადა ძლიერი ინდუსტრიული საფუძვლის შექმნა. თუმცა, შიდა მოხმარებაზე უპირატესმა ფოკუსირებამ და კონკურენციის ნაკლებობამ გამოიწვია ზრდის შენელება და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი (КРАВЧЕНКО, 2018).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ისმის მორიგი კითხვა - რა ვითარებაა იმპორტჩანაცვლებასთან ანუ სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის გონივრულია მოვიხმოთ საქსტსატის მონაცემები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სასურსათო უსაფრთხოება

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ხორბალი	7	17	19	15	14	15	15	22	22	22	22	19
სიმინდი	91	77	79	64	71	70	68	74	62	70	79	78
კარტოფილი	88	89	90	113	102	93	92	115	101	87	107	139
ბოსტნეული	66	66	64	65	60	62	63	61	52	52	49	48
ყურძენი	165	122	151	184	152	151	145	173	201	236	172	158
ხორცი	43	48	48	48	52	48	49	51	50	47	47	47
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	73	79	81	78	78	76	80	83	83	74	74	72
ღორის ხორცი	44	49	44	40	44	46	53	52	47	46	52	52
ცხვრისა და თხის ხორცი	79	95	113	299	345	184	97	105	103	100	104	98
ფრინველის ხორცი	24	31	35	33	35	31	33	37	34	32	30	30
რძისა და რძის პროდუქტები	90	87	82	82	81	81	81	81	77	75	74	68
კვერცხი	96	102	100	98	99	96	97	98	96	93	97	98

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2025 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი საქართველოში 100%-ს მხოლოდ 2 პროდუქტის **(კარტოფილი და ყურძენი)** შემთხვევაში აჭარბებს: კარტოფილისა (139%) და ყურძნის (158%). საქართველოში კარტოფილის წარმოებაში ყველაზე დიდი წილი **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონს აქვს. ქვეყნის მასშტაბით მოყვანილი კარტოფილის საერთო მოცულობის დაახლოებით **64%** სწორედ ამ რეგიონზე მოდის. უცხოელებს ძალიან მოსწონთ ქართული კარტოფილი. მაგალითად, თურქი იმპორტიორები თურქულ კარტოფილს საქართველოში ყიდიან, შემდეგ, ქართულ, ახალციხის კარტოფილს ყიდულობენ და სამშობლოში მიაქვთ. (**ზირაქიშვილი, 2010)** ყურძნის წარმოებაში კი ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა კახეთის რეგიონი. ქვეყნის ვენახების დაახლოებით 73%, ხოლო ყურძნის მთლიანი მოსავლის **75-77%** სწორედ ამ რეგიონშია კონცენტრირებული. ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალი ადგილობრივი ფერმა და საწარმო (მაგ: "სოფლის ნობათი", "სანტე") აქტიურად ანაცვლებს იმპორტირებულ ყველს, რძესა და მაწონს; ქართული საფრინველე მეურნეობები სრულად აკმაყოფილებენ ქვეყნის შიდა მოთხოვნას კვერცხზე და დიდწილად ანაცვლებენ იმპორტირებულ ქათმის ხორცს; ადგილზე მოყვანილი ხილისგან მზადდება ჯემები, ჩირები და წვენები (მაგ: "კულა"), რითაც მცირდება უცხოური ტკბილეულის იმპორტი.

ამასთან, 2025 წელს 2024 წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით იმპორტდამოკიდებულება იზრდება თითქმის ყველა სასურსათო კატეგორიაში. ამაზე მეტყველებს **პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2025 წელს:** ხორბალი - 2025 წელს 19%; (2024 წელს 22% იყო); სიმინდი - 2025 წელს 78% ; (2024 წელს 79% იყო); კარტოფილი - 2025 წელს 139%; (2024 წელს 107% იყო); ბოსტნეული - 2025 წელს 48% ; (2024 წელს - 49% იყო); მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი - 2025 წელს 72%; (2024 წელს 74% იყო); ღორის ხორცი - 2025 წელს 52% ; (2024 წელსაც 52% იყო); ცხვრის და თხის ხორცი - 2025 წელს 98%; (2024 წელს 104% იყო); ფრინველის ხორცი - 2025 წელს 30% ; (2024 წელსაც 30% იყო); რძე და რძის პროდუქტები - 2025 წელს 68%; (2024 წელს - 74%); კვერცხი - 2025 წელს 98%; (2024 წელს 97% იყო). როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს,

საქართველოში საკვები პროდუქტების დიდი ნაწილის წარმოება არ არის იმ მაჩვენებელზე, რომ მოსახლეობა მთლიანად გამოკვებოს. შესაბამისად, მარაგების შევსება იმპორტით ხდება. იმპორტის მაჩვენებელი კი ფაქტობრივად ყოველწლიურად მზარდია.

მოხმობილი სტატისტიკური ინფომაციის მიხედვით ყველაზე მცირე რაოდენობით იწარმოება ხორბალი (19%), რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბლის 81% იმპორტირებულია. არადა, ხორბალი საქართველოში სტრატეგიულ პროდუქტად ითვლება. ეს ქვეყანას გლობალური მიწოდების ჯაჭვების რყევების, ლოგისტიკური კრიზისების და ფასების ცვლილებების მიმართ მოწყვლადს ხდის. ამასთან, 2025 წელს წინა წელთან შედარებით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი კიდევ 3 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. ეს მაშინ, როცა საერთაშორისო სტანდარტით ხორბლის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 40% მაინც უნდა იყოს. ჩვენთან ერთ ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობა შეადგენს 2,3 ტონას, შესაბამისი ევროპული მაჩვენებელი კი 5 ტონაა. ე.ი. საერთაშორისო სტანდარტით ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელზე (40%-ზე), რომ გავიდეთ საჭიროა ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის ორჯერ გაზრდა, რაც მოითხოვს სახელმწიფოს ხელშეწყობას, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, ტექნიკასა და ტექნოლოგიას. ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება თითქმის ყველა სხვა სასურსათო კატეგორიაში, რაც პირდაპირ აისახება იმპორტის რეკორდულ ზრდაზე — 2025 წელს სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და სასმელების იმპორტმა 2.2 მილიარდს მიაღწია. რაც წლიურად 20%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იმპორტჩანაცვლებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ქვეყნის აგრარული სექტორი კვლავ მაღალ დამოკიდებულებას ინარჩუნებს ისეთ ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, როგორიცაა ხორბალი, ბოსტნეული, ხორცი და რძის ნაწარმი. ატამი და ვაშლატამა საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეზონური ხილია, თუმცა ბაზრის სტრუქტურა კვლავ მყიფეა: სეზონზე ქვეყანა ექსპორტიორია, სეზონამდე და სეზონის ჩავარდნისას კი ძვირ იმპორტზე გადადის **(გელაშვილი, 2026).**

და ბოლოს, მონაცემების გაუარესება მიუთითებს სისტემურ პრობლემებზე, რაც ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების ზრდას და კონკურენტუნარიანობას; ადგილობრივი ფერმერები ხშირად ვერ უწევენ კონკურენციას უფრო იაფ იმპორტირებულ პროდუქციას, რაც წარმოების გაფართოების ნაცვლად, მის შემცირებას იწვევს; სტრატეგიულ პროდუქტებზე, როგორიცაა ხორბალი, რძე და ხორცპროდუქტები, დამოკიდებულების ზრდა მეტყველებს იმაზე, რომ აგრარული პოლიტიკა არ არის საკმარისად ორიენტირებული მასშტაბურ, ტექნოლოგიურად განვითარებულ მეურნეობებზე; სოფლის მეურნეობაში მაღალი დანახარჯები და დაბალეფექტიანობა ფერმერებს მოგების მიღებას ურთულებს, რაც საბოლოოდ წარმოების შემცირებას იწვევს (მაჭარაშვილი , 2026).

არადა, საქართველოში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რადგან ჯერ კიდევ დასაქმების ძირითადი სფეროა (მასში დასაქმებულია სრული მოსახლეობის 38%), თუმცა სხვა სექტორებთან შედარებით დაბალპროდუქტიულია (სოფლის მეურნეობაში იწარმოება მშპ-ს 7%). (https://forbes.ge/saqarthvelo-da-regioni-sophlismeurneobis-produqtiuloba). ამიტომაა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საშუალოდ უფრო ნაკლებ დოვლათს აწარმოებს და უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმებულები. რეგიონის ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობაში შრომის დაბალი პროდუქტიულობით საქართველო გამოირჩევა.

დასკვნა და წინადადებები

საქართველოში სოფლის მეურნეობის ნაკლებ განვითარებულობა და პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლები ძირითადად გამოწვეულია მიზეზთა კომპლექსით, კერძოდ ესაა: მცირე მასშტაბიანი მიწის ნაკვეთები, წვრილი გლეხური მეურნეობების სიჭარბე და მსხვილი ფერმერული მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიმწირე. საქართველოში მეურნეობათა 73.1% ერთ ჰექტარამდე მიწას ამუშავებს, 25% - ერთიდან ხუთ ჰექტარამდე და მხოლოდ 1.5% ამუშავებს ხუთ ჰექტარზე მეტ მიწას. მცირემიწიანობა აფერხებს მსხვილი სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას, მასშტაბის ეფექტით სარგებლობას და ექსპორტის ზრდას. (https://agropartner.ge/news/agrobiznesi/saqartveloshi-meurneobata-731-ert-heqtramde-mitsas-amushavebs). დასავლეთში სოფელში წარმოებული პროდუქციის 70% კოოპერატივებზე მოდის; მიწის დასამუშავებელი, მოსავლელი და მოსავლის ასაღები ტექნიკის არქონა; ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისობა; ფინანსებზე ნაკლები წვდომა; მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა; არასათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და მწარმოებლურობის დაბალი დონე; არაკონკურენტიანი, არასაკმარისი მოცულობის, არაერთგვაროვანი და არასერთიფიცირებული პროდუქტი; ევროკავშირთან სახმელეთო კავშირის უქონლობა და სხვა.

ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა და სახელმწიფოს მკაფიო მხარდაჭერა: ფერმერებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტების, ტექნიკით უზრუნველყოფისა და აგროდაზღვევის პროგრამების გაფართოება; მიწის კონსოლიდაციის ხელშეწყობა, მორწყვა-დრენაჟის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუდაბნოების/ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა; სტრატეგიული მარაგების (მაგ: ხორბლის) შექმნის მექანიზმების დანერგვა გლობალური შოკების ან კრიზისების დროს დეფიციტის თავიდან ასაცილებლად; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება, რათა ფერმერებმა შეძლონ პროდუქციის არა მხოლოდ მოყვანა, არამედ მისი გადამუშავება და რეალიზაცია; წარმოებიდან დისტრიბუციამდე ჯაჭვში ჰიგიენური ნორმების გამკაცრება და ევროპულ სტანდარტებზე სრული გადასვლა; თანამედროვე სამაცივრე მეურნეობებისა და სასაწყობო ინფრასტრუქტურის მოწყობა მოსავლის შემდგომი დანაკარგების მინიმუმამდე დასაყვანად; ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რათა ის ანაცვლებდეს უცხოურს არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც.

გამოყენებული ლიტერატურა

გელაშვილი, ბ. (2026). ატმის იმპორტი ძვირდება, ექსპორტი კი რუსეთზეა მიბმული, სად არის ქართული ხილის ბაზრის მთავარი რისკი. https://commersant.ge/news/economic/atmis-importi-dzvirdeba-eqsporti-ki-rusetzea-mibmuli-sad-aris-qartuli-khilis-bazris-mtavari-riski

ვარშანიძე, ნ. (2026). იმპორტშემცვლელი წარმოების პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში - აკვაკულტურა. ბათუმი

ზირაქიშვილი, ლ. (2010). ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს. *ბიზნესი და კანონმდებლობა, 3*(2), გვ.5 Retrieved from https://www.ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/416

კოღუაშვილი, პ; & არჩვაძე, ი. (2026). საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ეკონომიკა და ბიზნესი. . XV (2) გვ. 45-58

მაჭარაშვილი, შ. (2026). იმპორტზე ჩამოკიდებული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. 17/07/ https://agronews.ge/importze-chamokidebuli-qveqhnis-sasursatho-usaphrthkhoeba/.

ტალიკაძე, ნ. (2022). სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა - უახლესი ტენდენციები ციფრებში. 17 იანვარი https://idfi.ge/ge/food_security_latest_trends_in_numbers

ქობულია, გ. (2020). „იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული სტრატეგია მავნებლურია ჩვენი ქვეყნისთვის“ - ქობულია. https://bm.ge/news/importis-chanacvlebaze-orientirebuli-strategia-mavnebluria-chveni-qveynistvis---qobulia/57895

ცომაია, ა. (2014). ადგილობრივი წარმოებით იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის ფასი. 21 თებერვალი, https://tabula.ge/ge/news/560929-adgilobrivi-carmoebit-importis-chanatsvlebis

ხანიშვილი, გ. (2026) ჩვენთან საფასო პოლიტიკის, ძვირი ფასების განმაპირობებელი უპირველესი ფაქტორი არის ის, რომ ჩვენ იმაზე ბევრად ნაკლებ პროდუქციას ვაწარმოებთ, ვიდრე ჩვენ გვჭირდება. 4 თებერვალი https://commersant.ge/news/economic/chventan-safaso-politikis-dzviri-fasebis-ganmapirobebeli-upirvelesi-faqtori-aris-is-rom-chven-imaze-bevrad-nakleb-produqtsias-vatsarmoebt-vidre-chven-gvchirdeba-giorgi-khanishvili

Анимица, Е., Анимица, П., & Глумов, А. (2015). Импортозамещение в промышленном производстве региона: концептуально-теоретические и прикладные аспекты // Экономика региона. № 3. — С. 163—164 https://ideas.repec.org/a/scn/015306/16026327.html

Ватолкина, Н., & Горбунова, Н. (2015). Импортозамещение: зарубежный опыт, инструменты и эффекты // Научно-технические ведомости СПбГПУ. Экономические науки.. № 6 (233). С. 29-39.

Загашвили, В. (2015) Зарубежный опыт импортозамещения и возможные выводы для России. Источник: https://institutiones.com/general/2886-zarubezhnyi-opyt-importozamezcheniya.html

КРАВЧЕНКО, Н. История импортозамещения. https://ecotrends.ru/index.php/eco/article/view/1051

Критически значимое импортозамещение. 23.11.2021. https://www.kommersant.ru/doc/5061516

Котванов, М. (2018). Сущность и долгосрочные последствия импортозамещения. *Экономика и управление*.;(9):60-69.

Молчанова, С. (2018). Перспективы импортозамещения: зарубежный опыт. [Электронны ресурс]. URL: http: //провэд .рф/article/28309-pepspektivy-impop-tozameshteniya-zapubezhnyy-opyt.html (дата обращения: 10.04.2018).

Cherif , R; & Hasanov, F. (2024) The Pitfalls of Protectionism: Import Substitution vs. Export-Oriented Industrial Policy. 26 Apr 2024. https://www.elibrary.imf.org/view/journals/001/2024/086/article-A001-en.xml

Towards Import Substituting Industrialization (ISI) 2.0 to Unleash Africa's Industrial Development Potential. https://www.un.org/osaa/sites/default/files/2026-04/policy_brief_toward_isi_2.0_for_africa_final_web.pdf.

Import substitution - an important factor in Georgia's food security

Ushangi Samadashvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ushangi.samadashvili@tsu.ge

Summary

The paper describes the essence and purpose of import substitution policy; its role in Georgia's food security, strengths and weaknesses are highlighted; reasonable and unreasonable import substitution are distinguished. Foreign experience of import substitution policy in developed and developing economies is presented; the main directions of import substitution are highlighted; possible short-term and long-term effects and defects of import substitution are shown. Based on the analysis of statistical data, it is shown that self-sufficiency rates for basic food products in Georgia are low. Proposals and recommendations are offered so that Georgia can at least minimally meet its own food requirements, especially today, when external shocks and challenges are multiplying, which often hinder and increase the cost of imports in the country.

Keywords: import substitution, food security, export-oriented import substitution strategy, external shocks and challenges.

რემიტანსები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის ფორმირებასა და მაკროეკონომიკურ ზრდაში

(საქართველოს მაგალითზე)

ირაკლი არჩვაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
iarchvad@gmail.com

ანოტაცია. *გლობალიზაციის პირობებში ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეგზოგენური წარმომავლობის რესურსები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ფულადი ტრანზაქციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. დიდია მათი როლი მიმღები ქვეყნების ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის. გლობალური მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1.5 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტია, ხოლო მხოლოდ შრომითი მიგრანტების მიერ სამშობლოში განხორციელებული რემიტანსები თითქმის ტრილიონი დოლარია. ქვეყანაში შემოსული ფინანსური რესურსების როლი და მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მშპ-ის ზრდით; იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარებაზე. ის ზრდის დასაქმებას და ერთობლივ მოთხოვნას. მეტი ფინანსური რესურსები ნიშნავს თანამედროვე ტექნოლოგიებზე მეტ წვდომას, მართვის თანამედროვე მეთოდების გადმოღების შესაძლებლობებს. აღნიშნული რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში - ადგილობრივი მუშახელი იძენს ახალ ცოდნასა და უნარებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის როგორც ინდივიდუალურ და კოლექტიურ მწარმოებლურობას, ისე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა ბაზარზე, ისე გლობალური მასშტაბით. აღნიშნული რესურსების გამოყენების ბენეფიციარები არა მარტო რეციპიენტი შინამეურნეობები და ბიზნეს-სექტორია, არამედ სახელმწიფოც, რადგან ეკონომიკის პარამეტრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა ასევე ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს საგადასახადო გზით; ისინი ხელს უწყობენ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და ამცირებენ საგარეო ფინანსური წნეხის სიმძიმეს. ასეთ პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა, ისეთი ეკონომიკური სამეწარმეო და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში შემოსული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაქსიმიზაციას და შესაძლო რისკების მინიმიზაციას. საქართველო ჩართულია გლობალურ ეკონომიკაში, რაც ობიექტურად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში ზემოხსენებული რესურსების მონაწილეობას. უფრო მეტიც, ეკონომიკის შედარებით მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, დასახელებულ რესურსების, ისევე როგორც სავაჭრო ბრუნვის (განსაკუთრებით იმპორტის) თანაფარდობის მაჩვენებლები ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან საგრძნობლად აღემატება ანალოგიურ გლობალურ მაჩვენებლებს. ამასთან, მთელ რიგ გარემოებათა და ფაქტორთა გამო რემიტანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მონაწილეობა*

საქართველოს ეკონომიკაში რამდენადმე განსხვავებულია ანალოგიურ გლობალურ მაჩვენებლებთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: *რემიტანსები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანი შიდა/სამამულო პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, მოხმარება.*

რემიტანსების გავლენა მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტებზე

როგორც ცნობილია, მთლიანი შიდა (სამამულო) პროდუქტის ძირითადი კომპონენტებია:

$$Y = C + I + G + NX = C + I + G + (X - M)$$

რემიტანსების გავლენა მშპ-ის ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ყველაზე მაღალი გავლენა და კორელაცია საზღვარგარეთიდან ქვეყანაში შემოსულ ფულად ტრანსფერებს აქვთ **კერძო მოხმარებაზე** (C), მათზე ისინი პირდაპირ, თითქმის ხისტ გავლენას ახდენენ. - გზავნილები ზრდის ოჯახების შემოსავალს, ისინი ხშირად გამოიყენება ყოველდღიური ხარჯების დასაფარად (საკვები, განათლება, საცხოვრებელი და ჯანდაცვა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფრო მაღალი განკარგვადი შემოსავალი, სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს უფრო მაღალ და ხარისხიან მოხმარებას.

რემიტანსები ასევე ახდენენ გავლენას მშპ-ის **ინვესტიციების** (I) კომპონენტზე, თუმცა მათთან მიმართებაში ცალსახა და კატეგორიულ შეფასებას უნდა მოვერიდოთ. - თუ ოჯახები ფულადი გზავნილების ნაწილს დაზოგავენ ან ინვესტირებას ჩადებენ მცირე ბიზნესში, საცხოვრებელში ან განათლებაში, ამან შეიძლება გაზარდოს შიდა დანაზოგი, რომელსაც შეუძლია ინვესტიციების დაფინანსება, სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება.

პრაქტიკაში, ინვესტიციებზე გავლენა დამოკიდებულია ქვეყნის ფინანსურ ინფრასტრუქტურასა და მიმღების ქცევაზე, რაზე და რა მასშტაბით იქნება მიმართული მიღებული რემიტანსები - მიმდინარე მოხმარებაზე თუ დაზოგვაზე (ინვესტიციებზე), ამიტომ შესაბამის ეფექტს განაპირობებს რემიტანსების გამოყენების კონტექსტი.

სახელმწიფო ხარჯებზე (G) – გზავნილები, როგორც წესი, პირდაპირ გავლენას არ ახდენს, რადგანაც ფულადი გზავნილები წარმოადგენს კერძო ტრანსფერებს და არა სახელმწიფო შემოსავალს.

მაგრამ მათ შეიძლება ჰქონდეთ არაპირდაპირი ეფექტები. კერძოდ, მოხმარებისა და ბიზნეს აქტივობის ზრდა აფართოებს საგადასახადო ბაზას, რაც პოტენციურად მთავრობას მეტ ფისკალურ სივრცეს და მანევრირების შესაძლებლობას აძლევს.

ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობები ამცირებენ სოციალურ ხარჯებს, იმ ვარაუდით, რომ მიგრანტების ოჯახები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რაც წარმოშობს შესაბამისი მორალური რისკის პრობლემას.

წმინდა ექსპორტზე (NX = ექსპორტი - იმპორტი) - რემიტანსები ხშირად უარყოფითად მოქმედებს. მოხმარების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს იმპორტირებული საქონლის მოთხოვნის ზრდა, განსაკუთრებით თუ ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას. ეს ზრდის იმპორტს, რაც პოტენციურად აუარესებს სავაჭრო ბალანსს.

როდესაც ოჯახები იღებენ რემიტანსებს, იზრდება შემოსავალი, იზრდება მოხმარება (**C** ↑), მაგრამ რადგანაც საქართველოს მოხმარების დიდი ნაწილი **იმპორტზეა დამოკიდებული**

(საკვები, ტექნიკა, ტანსაცმელი, საწვავი და ა.შ.), მოხმარების ზრდა ნიშნავს იმპორტის ზრდას (**M** ↑), ანუ წმინდა ექსპორტის (**NX**) შემცირებას.

რემიტანსებს ექსპორტზე სუსტი გავლენა აქვთ, რადგანაც არ ზრდის პირდაპირ წარმოებას, არ ზრდის ექსპორტის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად.

მთლიანობაში, საქართველოში რემიტანსები **ზრდის GDP-ს (Y)** მოკლევადიან პერიოდში (**C**-ის მეშვეობით), მაგრამ **აუარესებს საგარეო სავაჭრო ბალანსს (NX ↓). სხვაგვარად რომ ვთქვათ,** რემიტანსები საქართველოში **ორიენტირებულია მოხმარებაზე** (სოციალური ფუნქცია); ინვესტიციები არსებობს, მაგრამ **არ არის დომინანტი;** რემიტანსებისაგან სარგებელი **სახელმწიფოს** (სახელმწიფო ხარჯების კონტექსტში) მხოლოდ მეორადი, წარმოებული, არაპირდაპირი ფორმით აქვს, ხოლო **წმინდა ექსპორტისათვის** ის ცალსახად უარყოფითი დატვირთვის მატარებელია.

1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციამ განაპირობა, ერთი მხრივ, შრომითი ემიგრაციის, მეორე მხრივ კი იმპორტზე დამოკიდებულების მასშტაბების ზრდა. ამიტომ ამჟამად დღის წესრიგში დგას საქართველოს ეკონომიკის რეინდუსტრიალიზაცია, ე.წ. „სამრეწველო რეკონკისტა“, რის წარმატებით განხორციელების ორგანულ კომპონენტად შეიძლება იქცეს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაფინანსება რემიტანსების ხარჯზე, რაც გამოიწვევს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას.[2]

აღნიშნული დასკვნები მოტანილია ქვემორე სქემაში.

ცხრილი 1

რემიტანსების გავლენა მსპ-ის კომპონენტებზე

კომპონენტი	**გავლენის დონე:**	
	ხარისხი	**პროცენტი კერძო მოხმარებასთან**
C (კერძო მოხმარება)	ძლიერ დადებითი, ძირითადი ეფექტი	100
I (ინვესტიცია)	ცვლადი დადებითი, საშუალო ეფექტი	20
G (სახელმწიფო ხარჯები)	არაპირდაპირი, მცირე ან ნეიტრალური, ირიბი ეფექტი	10
NX (წმინდა ექსპორტი)	ხშირად უარყოფითი, უარყოფითი ეფექტი	-40

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

საქართველოს მოსახლეობის განკარგვადი სახსრები შემოსავლის ყველა წყაროდან, საზღვარგარეთიდან შემოსული რემიტანსების ჩათვლით, გაიზარდა 2003 წლის 1597.7 მლნ. ლარიდან 2024 წლისთვის 42283.7 მლნ. ლარამდე, ანუ 26.5-ჯერ.

დიაგრამა 1

[2] 2024 წელს საქართველოს მშპ-ში აღნიშნული კომპონენტები შეადგენდნენ: **C** – 70.1%, **I** – 22.9%, **G** – 13.5%, **NX** - -6.5%. ამასთან, მხოლოდ ბოლო 15 წლის მანძილზე (2010-2024 წწ.) შინამეურნეობათა ხარჯების წილი საბოლოო მოხმარებაზე მშპ-ში ვარირებდა 67.3%-დან 79.6%-მდე.



დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დგება საკითხი: **რამდენად ხანგრძლივია ფულადი ტრანზაქციების გავლენა ეკონომიკის ზრდაზე, მისი პერიოდულობის გათვალისწინებით?**

რემიტანსების ეფექტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა მარტო მათ პერიოდულობაზე (ერთჯერადი, რეგულარული, სეზონური), არამედ დაზოგვისა და მოხმარების სტრუქტურაზე.

ბიზნეს-ციკლის საშუალო ხანგრძლივობად მიჩნეულია 7–11 წელი (ჟუგლარის ციკლი). მართალია, ფულადი ტრანზაქციები არ ქმნის ციკლს დამოუკიდებლად, მაგრამ აძლიერებს ან ასუსტებს ციკლის ფაზებს, კერძოდ აღმავლობის ფაზაში ზრდის მოთხოვნას და აჩქარებს ზრდას, დაღმასვლისას კი მოქმედებს როგორც ავტომატური სტაბილიზატორი. ამიტომ რემიტანსების გავლენა ემთხვევა ციკლის ცალკეულ ფაზებს, მაგრამ მისი დროითი ჰორიზონტი მოკლეა ციკლის მთლიან ხანგრძლივობასთან შედარებით.

რემიტანსები, ფულადი ტრანზაქციები ზოგადად, თავისთავად არ ზრდის ავტომატურად პროდუქტიულობას, ძირითადად ორიენტირებულია მოთხოვნაზე, ხშირად გადადის იმპორტში, შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური წნეხი, ამიტომ, მათი ეფექტი ციკლურია, დროებითია, მძლავრია, მაგრამ არა მდგრადი. ის არ განსაზღვრავს ბიზნეს-ციკლის საშუალო ხანგრძლივობას და ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას სტრუქტურული ცვლილებების გარეშე. ამასთან, იგი უშუალოდ ვერ განსაზღვრავს და აყალიბებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა კაპიტალის დაგროვება, პროდუქტიულობა, ტექნოლოგიები, ინსტიტუციები.

რემიტანსები vs. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

გლობალური მასშტაბით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1.5-ჯერ აღემატება შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული რემიტანსების მოცულობას. ფინანსური რესურსების ორივე ეგზოგენური წყარო მასშტაბურ ხასიათს ატარებს საქართველოში, თუმცა ჩვენთან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფულადი ტრანზაქციების მხოლოდ დაახლოებით 40 პროცენტია. რემიტანსების თანაფარდობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან გაიზარდა 2003 წლის 57.8 პროცენტიდან 2025 წლის 216.1 პროცენტამდე.

დიაგრამა 2



დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

განსხვავებული წარმომავლობის ეს ორი ფინანსური ნაკადი, განსხვავებული გამოყენების სტრუქტურისა და მულტიპლიკატორული ეფექტების გამო, თავისთავად არ განსაზღვრავს მათ ზღვრულ ეფექტს ეკონომიკურ ზრდაზე. მიუხედავად რემიტანსების შედარებით მაღალი მოცულობისა საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან (FDI) შედარებით, მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ არის მოცულობის პროპორციული. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გარე კაპიტალის მნიშვნელოვანი წყაროა, ისინი განსხვავდებიან დანიშნულებით, სტრუქტურითა და ეკონომიკური გავლენით. თუმცა, მათ შეუძლიათ ურთიერთქმედება რამდენიმე გზით - როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. - ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იხარჯება ეს ფული, რამდენად ზრდის წარმოებას, ქმნის თუ არა კაპიტალს, სამუშაო ადგილებს, ექსპორტის პოტენციალს, აქვს თუ არა გრძელვადიანი ეფექტი. ამ ორ ფინანსური წყაროს განსხვავებული გავლენის არხები, მულტიპლიკატორული ეფექტები და დროითი პროფილები გამორიცხავს მოცულობითი თანაფარდობის პირდაპირ ინტერპრეტაციას ზრდის კონტექსტში. ამ ასპექტით, FDI ქმნის ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალს, სამუშაო ადგილებს, ზრდის

პროდუქტიულობას, მოაქვს ტექნოლოგიები და მენეჯმენტის ცოდნა, უზრუნველყოფს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ინტეგრაციას, ანუ გააჩნია მულტიპლიკატორული და სტრუქტურული ეფექტი, უფრო მეტად უკავშირდება პროდუქტიულობის ზრდას და გრძელვადიან სტრუქტურულ ცვლილებებს.

რემიტანსები კი ძირითადად ემსახურება შიდა მოთხოვნის სტაბილიზაციას (მაგ., საკვები, განათლება, ჯანდაცვა) და საკრედიტო შეზღუდვების შემსუბუქებას, ქვეყნის კრედიტუნარიანობის გაუმჯობესებას, სავალუტო რეზერვების ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

ფულადი ტრანსფერების, რემიტანსების დეცენტრალიზებული ხასიათი, მათი განკარგვის და გამოყენების მასშტაბის, დროის და მიმართულების ექსკლუზიური უფლება მიმღები შინამეურნეობების (რეციპიენტების) მიერ, განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფო თავისი პროგრამების რეალიზაციისას უფრო მეტად ორიენტირებული და ფოკუსირებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და სესხებზე, ვიდრე მიგრანტების ფულადი გზავნილებით რაიმე ფორმით პირდაპირ სარგებლობაზე.

მთლიანობაში, რემიტანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს პრინციპით: ჩანაცვლება vs. კომპლიმენტარობა.

მაღალი ფულადი გზავნილების მქონე რეგიონებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლოა შემცირდეს, თუ ფულადი გზავნილები შეამცირებს სტრუქტურული რეფორმების აუცილებლობას ან თუ ისინი აფინანსებენ არაფორმალურ საწარმოებს, რომლებიც არ იზიდავენ მსხვილმასშტაბიან ინვესტორებს.

დიასპორაზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამების მქონე ქვეყნებში ხშირად აღინიშნება საზღვარგარეთის მოქალაქეების უფრო მაღალი ჩართულობა როგორც ფულად გზავნილებში, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებით.

ცხრილი 2

რემიტანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარება და ურთიერთქმედება

ფუნქცია	რემიტანსები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი)	ურთიერთქმედება
წყარო	ინდივიდუალური მიგრანტები	უცხოური კორპორაციები/მთავრობები	შეიძლება იყოს კომპლიმენტარული ან კონკურენტუნარიანი
მიზანი	შინამეურნეობის მოხმარება, დანაზოგი	პროდუქტიული ინვესტიცია, მოგების მიღება	ფულადი გზავნილები ხელს უწყობს პუი-სთვის ნიადაგის მომზადებას
სტაბილურობა	ზოგადად სტაბილური	უფრო არასტაბილური, დაკავშირებული ბიზნეს ციკლებთან; მგრძნობიარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებზე	ფულად გზავნილებს შეუძლიათ ეკონომიკის სტაბილიზაცია და პუი-ს მოზიდვა
გავლენა სიღარიბეზე	პირდაპირ ამცირებს	არაპირდაპირ - სამუშაო ადგილების შექმნით,, ტექნოლოგიების გადაცემით	კარგი მართვისას ერთობლივად აუმჯობესებს ეკონომიკურ განვითარება

ცხრილის შედგენაში ავტორის მიერ გამოყენებულია: geostat.ge, nbg.ge, . The effect of remittances and FDI inflows on income distribution in developing economies. ***Economic Analysis and Policy*, Vol. 72 (2021),** p**. 255-267.**

რემიტანსებმა საქართველოში დიდწილად ჩაანაცვლა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. - მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნის პირველ მეოთხედში (2025 წელს 2000 წელთან შედარებით) საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 15.4-ჯერ ($109.8 მლნ.-დან $1688.7 მლნ.-მდე), უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული რემიტანსების უფრო სწრაფი ზრდის გამო (57.6-ჯერ - 63.3 მლნ. აშშ დოლარიდან 3646.4 მლნ. აშშ დოლარამდე), ამ უკანასკნელთა თანაფარდობა პუი-სთან გაიზარდა 2000 წლის 63.4 პროცენტიდან 2025 წლის, როგორც უკვე ითქვა, 216,1 პროცენტამდე.

რემიტანსები, უცხოური ინვესტიციებისგან განსხვავებით, ეკონომიკის დაფინანსების **სტაბილურ** წყაროს წარმოადგენენ. - ისინი შედარებით ნაკლები რყევებით და შედარებით მაღალი საშუალო ზრდის ტემპებით ხასიათდებიან. ისინი, როგორც წესი, უფრო მდგრადია გლობალური კრიზისების დროს (მაგ., 2008 წლის ფინანსური კრიზისი და COVID-19 პანდემია), აჩვენებს მხოლოდ **მცირე** ვარდნას და **სწრაფ** აღდგენას. კერძოდ, 2001-2025 წლებში ფულადი ტრანზაქციების საშუალო წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 17.6 პროცენტს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა კი - 1.5-ჯერ ნაკლებს - 11.6 პროცენტს. თანაც, 2001-2025 წლებში რემიტანსები წინა წელთან შედარებით შემცირდა მხოლოდ 5 წლის განმავლობაში (2009, 2014, 2015, 2023ნ 2024 წწ.), მაშინ როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით კლებას ადგილი ჰქონდა 11 წლის განმავლობაში. იმ წლების მიხედვით, როდესაც კლება იყო წინა წელთან შედარებით, შემცირების საშუალო სიდიდე შეადგენდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხაზით - 34.4 პროცენტს ინვესტიციების საშუალო სიდიდესთან 2001-2025 წლებში, რაც ფულადი ტრანზაქციების მიხედვით ანალოგიურ მაჩვენებელს (-15.8%) 2.2-ჯერ აღემატებოდა.

ცხრილი 3

საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებული რემიტანსების
და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარება
2001-2025 წლების მიხედვით

(პროცენტი)

	რემიტანსები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ზრდის საშუალო წლიური ტემპი	17,6	11,6
წლების რაოდენობა, როდესაც ადგილი ჰქონდა წინა წელთან შემცირებას	5	11
წინა წელთან კლების საშუალო სიდიდის თანაფარდობა 2001-2025 წლების საშუალო სიდიდესთან	-15,8	-34,4

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თავისი მოცულობით ტრანზაქციების მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას - სულ ამ საუკუნეში პირველმა შეადგინა 37.5 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო მეორემ - დაახლოებით 29.5 მლრდ აშშ დოლარი, ამასთან, ბოლო 13 წლის მანძილზე (2013-2025 წწ.) ტრანზაქციებმა ინვესტიციებს უკვე 1.5-ჯერ და მეტად გადააჭარბა.

ტრანზაქციების უშუალო ადრესატი კონკრეტული ფიზიკური პირები და შინამეურნეობები არიან, რომელთა ხელში აღნიშნული რესურსები მყისიერად არა მარტო ზრდიან რეციპიენტთა კეთილდღეობას, არამედ - ერთობლივ მოთხოვნასაც. ინვესტიციების დიდი ნაწილი კი მიმართულია სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციისათვის, რის შედეგებიც მოსახლეობის კეთილდღეობაში და მათ ერთობლივ მოთხოვნაში მოგვიანებით აისახება. შესაბამისად, რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობისა და ეკონომიკის ზრდაში ფულად ტრანზაქციებს უფრო სოლიდური, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, ვიდრე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ამასთან, აღნიშნულ კონტექსტში მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ფულადი გზავნილები გამოიყენება ეკონომიკის იმ სფეროებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც ყველაზე ნაკლებად აკმაყოფილებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საბანკო სესხების მოზიდვის სტანდარტულ მოთხოვნებს - მათი „საინვესტიციო სივრცე“ ძირითადად **შინამეურნეობები** და **მცირე ბიზნესია** (მოხმარების, მათ შორის იმპორტზე მოთხოვნის ზრდა, სერვისებზე მოთხოვნა, მცირე ბიზნესის სტიმულირება), მაშინ როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიგონი, როგორც წესი, **საშუალო** და **მსხვილი ბიზნესია** (ახალი საწარმოები, ტექნოლოგიების გადმოტანა, სამუშაო ადგილები, ექსპორტის ზრდა). დროის ჰორიზონტის მიხედვით პირველი უფრო მოკლევადიანია, მეორე კი, როგორც წესი - გრძელვადიანი, საექსპორტო პოტენციალი რემიტანსებს შედარებით დაბალი, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს კი, პირიქით - უფრო მაღალი აქვთ. აღნიშნული კომპონენტები სხვადასხვა მხრიდან უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდას. **რემიტანსებს საინვესტიციო დატვირთვა აქვთ არა მაკრო-, არამედ მიკროდონეზე.** მათი გამოყენება გულისხმობს მათი მიმღები (რეციპიენტი) პირების მიერ მათ გამოყენებას როგორც მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ძვირადღირებული ტექნიკის, საცხოვრისისა და უძრავი ქონების სხვა ელემენტების შესაძენად, ანუ უზრუნველყოფენ ერთობლივი მოთხოვნის და შესაბამისად, სამამულო პროდუქტის ზრდას. ამიტომ, ჩვენი შეფასებით, ბოლო წლებში საქართველოს **ეკონომიკური ზრდის მთლიანი მაჩვენებლის არანაკლებ 1/6, ფულადი გზავნილების, რემიტანსების დამსახურებაა.** მაგრამ, მთლიანობაში რემიტანსები ქმნის მოკლევადიან, მოხმარებით ზრდას, FDI კი უზრუნველყოფს ძლიერ, გრძელვადიან და სტრუქტურულ ზრდას. აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, ფულადი ტრანზაქციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც უკვე ითქვა, რეალურად კონკურენტები კი არა, არამედ, როგორც უკვე ითქვა, ურთიერთშემავსებლები, კომპლიმენტარულ დამოკიდებულებაში მყოფი კომპონენტები არიან.

საზღვარგარეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები აღემატება არა მარტო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სოციალური დაცვის ხარჯებსაც. კიდევ უფრო მასშტაბურია ფულადი ტრანზაქციების უპირატესობა სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებულ უცხოურ გრანტებთან შედარებით. დასახელებული სამივე პოზიციისადმი (პუი, სოციალური დაცვის ხარჯები, გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტში) ფულადი ტრანზაქციების უპირატესობა წარმოჩენილია ქვემორე დიაგრამაზე.

დიაგრამა 3



დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ასეთი დიდი ფინანსური ნაკადები მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნების ეკონომიკისთვის, საქართველოსათვის კი ისინი მნიშვნელოვნად აღემატებიან საერთაშორისო დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბებს და თანდათან ამცირებენ ჩამორჩენას ექსპორტის მთლიან მოცულობასთან (შეადგენენ რა უკვე მთლიანი ექსპორტის 2/3-ზე მეტს), ხოლო ადგილობრივი ექსპორტის მოცულობას (ექსპორტს მინუს რეექსპორტი) უკვე დიდი ხანია საგრძნობლად გადააჭარბეს. მხოლოდ 2025 წელს საქართველოში შემოსულ ფულად ტრანსფერებთან მიმართებაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული გრანტები (საზღვარგარეთული დახმარებები) შეადგენდნენ მხოლოდ 2.0 პროცენტს.

ცხრილი 4

ფულადი ტრანსფერები, საზღვარგარეთული გრანტები, ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2025 წელს

	მლნ. აშშ დოლარი
ფულადი ტრანსფერები საზღვარგარეთიდან	3646,4
გრანტები	72,9
ექსპორტი - სულ	7291,2
მ.შ. ადგილობრივი ექსპორტი	3367,4
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	1688,7

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ფულადი ტრანსფერები მნიშვნელოვნად აღემატებიან როგორც ადგილობრივი ექსპორტის მოცულობას (8.3%-ით), ისე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (2.2-ჯერ) და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულ უცხოურ გრანტებს (50.0-ჯერ[3]).

მართალია, ფულადი გზავნილები სიღარიბიდან მილიონობით ადამიანის გამოყვანას უწყობს ხელს, მაგრამ ისინი არ წარმოადგენს სიღარიბისა და განვითარების პრობლემების პირველ, საუკეთესო და მით უფრო, გადაჭრის ექსკლუზიურ საშუალებას. - ისინი **ძვირია** (არა მარტო პირდაპირი, ფულადი, არამედ არაპირდაპირი - არამონეტარული, მათ შორის, ემოციური ფორმით) მათთვის, ვინც მათ იღებს და არც თუ ისე იოლია მათი გადატანა ისეთ საქმიანობაში, რომელიც იწვევს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. მათ ასევე აქვთ გაუთვალისწინებელი შედეგები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ განვითარებას.

ფულადი გზავნილები არ არის იაფი მათთვის, ვინც მათ შოულობს. ოჯახის ერთმა ან მეტმა წევრმა - ჩვეულებრივ, ოჯახის კეთილდღეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანმა წევრმა, მაგალითად, ოჯახის უფროსმა - უნდა გააკეთოს გრძელი, ძვირი და ხშირად სახიფათო მოგზაურობა, დარჩეს ოჯახისაგან დაშორებით თვეების ან წლების განმავლობაში.

ამიტომ არ უნდა ველოდოთ, რომ ფულადი გზავნილები იქნება ზრდის ისეთივე ძრავა, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ რემიტანსების ის ნაწილი, რომელიც მიემართება მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (სურსათი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ოჯახის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა, საცხოვრისის მიმდინარე რემონტი), უნდა გამოაკლდეს მათ საერთო მოცულობას და დარჩენილი თანხა უნდა ჩაითვალოს საინვესტიციო დატვირთვის რესურსად და მართებული იქნება, როგორც ასეთი, შეუდარდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, რეციპიენტი შინამეურნეობების მიერ მიღებული რემიტანსების დაახლოებით 3/5 მიემართება მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დანარჩენი კი მიმართულია საინვესტიციო და სადაზღვევო რესურსების ფორმირებისათვის. ამიტომ თუ კვლავწარმოების მხოლოდ ერთ ციკლს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება საკმაოდ მაღალი ალბათობით ითქვას, რომ ამჟამად რემიტანსების საინვესტიციო კომპონენტსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის შეინიშნება ფაქტობრივი რაოდენობრივი პარიტეტი.

დასკვნა

რემიტანსები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოზიტიურად მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, პუი-ის გავლენა მშპ-ის ზრდაზე, ფუნქციონალური დანიშნულებისა და გამოყენების გათვალისწინებით, უფრო მაღალია, ვიდრე რემიტანსებისა.

აღნიშნულის განმაპირობებელი ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ პუი, ეფუძნება რა მოწინავე ტექნოლოგიებს და მზარდ მწარმოებლურობას, არის გრძელვადიანი ზრდის მთავარი მამოძრავებელი, მაშინ როდესაც რემიტანსების მულტიპლიკატორული ეფექტი პუი-სთან მიმართებაში მაინც მთლიანობაში რამდენადმე დაბალია, რადგან ძირითადად მიმართულია მიმდინარე მოხმარებაზე და ამით პოზიტიურად მოქმედებს სიღარიბის შემცირებაზე.

[3] შედარებისათვის: მსოფლიოში რემიტანსების მთლიანი მოცულობა საერთაშორისო დახმარებას დაახლოებით 4.2-ჯერ აღემატება (შესაბამისად, 906 მლრდ აშშ დოლარი და 215 მლრდ. აშშ დოლარი).

რემიტანსები განიხილება ეკონომიკური ზრდის ისეთივე ფაქტორად, როგორიცაა სტრუქტურული რეფორმები, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და ინვესტიციები. 2000–2024 წლებში მათი წილი ეკონომიკურ ზრდაში 2.2-ჯერ გაიზარდა და 2024 წელს 27.6 პროცენტს მიაღწია. რემიტანსები ქმნის ერთობლივი მოთხოვნის დაახლოებით მეოთხედიდან მესამედამდე, რაც მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის მაღალ დამოკიდებულებაზე შიდა მოხმარებაზე.

ეკონომიკის სტრუქტურაში რემიტანსების მაღალი წილი ასახავს შრომითი მიგრაციის მასშტაბურობასა და შიდა შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების დეფიციტს. **მიკროდონეზე** შრომითი ემიგრაციის ცალსახა დადებითი ეფექტი მდგომარეობს ემიგრანტთა ოჯახებისა და შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში.

მაკროდონეზე აღნიშნული ეფექტი გამოიხატება სავალუტო რესურსების ზრდაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მატებაში, იმპორტისა და საგარეო ვალის მომსახურების ხელშეწყობაში, ერთობლივი მოთხოვნის ზრდის გზით ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებაში, საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებასა და ინვესტიციების ზრდაში ეროვნულ მეურნეობაში.

რემიტანსების „საინვესტიციო სივრცე“ ძირითადად შინამეურნეობებსა და მცირე ბიზნესს მოიცავს, მაშინ როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად საშუალო და მსხვილი ბიზნესის სფეროა. შესაბამისად, მათი ურთიერთკავშირი შეიძლება განისაზღვროს როგორც ჩანაცვლებისა და კომპლემენტარობის კომბინაცია.

ამასთან, რემიტანსებს აშკარა უპირატესობა გააჩნიათ პუი-სთან შედარებით იმ მხრივ, რომ ისინი მნიშვნელოვან სტაბილიზატორის როლს ასრულებენ კრიზისების პერიოდში, გააჩნიათ რა კონტრციკლური დატვირთვა, ასრულებენ ერთგვარ „კომპენსატორული მექანიზმის“ როლს, რაც კარგად გამოვლინდა კოვიდპანდემიის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქინქლაძე რუსუდან, სტუ ასოცირებული პროფსორი, **აბესაძე ნინო,** თსუ ასოცირებული პროფესორი. რემიტანსები და მისი შემოსავლების უთანაბრობასა და სიღარიბეზე გავლენის შეფასება. - გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. - თბილისი, სტუ, 2018, გვ. 180-185. - https://gtu.ge/bef/pdf/journals/2018-2.pdf?utm_source=chatgpt.com

Calin-Adrian Comes, Elena Bunduchi, Valentina Vasile and Daniel Stefan The Impact of Foreign Direct Investments and Remittances on Economic Growth: A Case Study in Central and Eastern Europe. - https://www.mdpi.com/2071-1050/10/1/238?utm_source=chatgpt.com

Petros Golitsis, Kushtrim Avdiu & Leslie T. Szamosi. Remittances and FDI Effects on Economic Growth: A VECM and GIRFs for the Case of Albania. - Journal of East-West Business. Volume 24, 2018 - Issue 3: Foreign Direct Investment in the European Union after the Global Financial and Economic Crisis. - https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10669868.2018.1435432?utm_source=chatgpt.com

Emigration and the Effect of Remittances on the Georgian Economy (2013-2022). - Economic Outlook and Indicators Issue #146. - https://www.pmcresearch.org/slider_file/1014655b2cc6e9308.pdf?utm_source=chatgpt.com

Remittances in Georgia: Correlates, Economic Impact, and Social Capital Formation Theodore P. Gerber, University of Wisconsin-Madison, Karine Torosyan, International School of Economics in Tbilisi. ISET WORKING PAPER SERIES, JULY 2010. - https://www.iset.ge/files/wp002-10.pdf?utm_source=chatgpt.com

The Importance of Remittances for Georgian Households Economic and Social Outcomes. June, 2022. - https://crrc.ge/wp-content/uploads/2023/08/6.-Policy-Brief-on-Importance-of-remittances-for-Georgian-households_FINAL.pdf?utm_source=chatgpt.com

www.geostat.ge

www.nbg.gov.ge

Remittances and Foreign Direct Investment in GDP Formation and Macroeconomic Growth: The Case of Georgia

Irakli Archvadze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
iarchvad@gmail.com

Summary

In the context of globalization, externally sourced financial flows play a crucial role in economic development. Among these, remittances and foreign direct investment (FDI) are particularly significant, contributing to technological progress and overall economic growth in recipient countries. Remittances affect the components of GDP in different ways. Their strongest and most direct impact is on private consumption (C), as funds transferred from abroad are largely spent on household needs. They also influence investment (I), though this effect is less straightforward. When households allocate remittances toward savings, small businesses, housing, or education, they can enhance domestic capital formation and stimulate entrepreneurial activity. Remittances do not directly affect government spending (G), as they are private transfers rather than public revenue. However, indirect effects exist: increased consumption and economic activity expand the tax base, potentially improving fiscal capacity.

Their impact on net exports (NX = exports − imports) is often negative. Higher consumption tends to increase demand for imported goods, which may worsen the trade balance. For Georgia, if the effect of remittances on consumption is taken as 100%, estimated relative impacts are: investment ≈ 20%, government spending ≈ 10%, and net exports ≈ −40%. Beyond GDP components, remittances stabilize domestic demand (e.g., food, healthcare, education), ease credit constraints, improve creditworthiness, and support foreign exchange reserves. These factors contribute to a more favorable investment environment. Due to their decentralized nature and the autonomy of recipient households, remittances are less directly influenced by state policy. Consequently, governments tend to prioritize FDI and external borrowing as instruments of economic strategy. The relationship between remittances and FDI can be viewed through the lens of substitution versus complementarity. In recent years, remittances have accounted for at least one-sixth of Georgia's economic growth and exceed both FDI inflows and public social expenditures. When adjusted by excluding funds used for immediate consumption, the remaining portion of remittances can be treated as investment-oriented. On this basis, there appears to be a near quantitative parity between the investment component of remittances and FDI in Georgia.

Keywords: remittances, foreign direct investment, gross domestic product, economic growth, consumption.

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ ძირითადი პრაგმატული ხასიათის კონცეფციები ინტელექტუალური ევოლუციის კონტექსტში

თამარ დოლიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamar.dolidze@tsu.ge

ანოტაცია. *ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ პრაგმატული ხასიათის კონცეფციები კრიტიკულად შევისწავლეთ. დავადგინეთ თითქმის ყველა არსებული კონცეფციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. განვსაზღვრეთ ყველა ის პრობლემური საკითხები რაც ხელს უშლის ეფექტიან საერთაშორისო ვაჭრობას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას. განვიხილეთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი მარეგულირებლის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები. განვიხილეთ მისი როგორც საერთაშორისო ინსტიტუციის მნიშვნელობა.*

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ლიბერალური, ორდოლიბერალური, პროტექციონისტული პოლიტიკა.

შესავალი

ლიბერალური მსოფლმხედველობის წარმომადგენლები ვაჭრობას თავისი არსით აიგივებენ მშვიდობის ფენომენთან. ნაციონალისტი ეკონომისტები და თანამედროვე მარქსისტები საგარეო ვაჭრობას დამანგრევლად მიიჩნევენ. გამოიკვეთა ტენდენცია , რომელიც გულისხმობს, რომ ბრძოლა მონოპოლიზმის წინააღმდეგ, ყველაზე კარგ შემთხვევაში შეამცირებს ფასებისა და ტარიფების ზრდას და შექმნის კონკურენციას. დიდი გავლენის მქონე თეორეტიკოსებმა შეძლეს გაეერთიანებინათ თავისუფლების პრინციპი ბაზარზე სოციალური თანასწორობის პრინციპთან, რამაც შექმნა განწყობა შექმნილიყო კეთილდღეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეა.

ვინაიდან არსებული ძირითადი კონცეფციები სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებებს ლოგიკურად დაიწყო საუბარი ნეოკლასიკური თეორიის კრიზისზე.

სტატიაში დეტალურად არის განხილული ფრიდრიხ ლისტის ფუნდამენტური ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალური სისტემები“, სადაც ძირითადად განხილულია გერმანიისა და ბრიტანეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ფრიდრიხ ლისტისთვის ამოსავალი პრინციპი გახლდათ გერმანული მრეწველობის განვითარების დაცვა, მაღალტექნოლოგიური ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურისა და სისტემების შექმნა და ამ გზით ძლევამოსილი გერმანული სახელმწიფოს შექმნა.

თეორეტიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს რომ პროტექციონიზმის წარმატებამ გერმანიაში და ასევე სახელმწიფოს ძლიერმა როლმა მრეწველობის განვითარებაში განამტკიცა ეკონომიკური ნაციონალიზმის თეორია. გერმანული ეკონომიკური მოდელი მიჩნეულია ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად. მიუხედავად იმისა თანამედროვე

ეკონომიკური პროცესები განიცდიან ფუნდამენტალური ხასიათის რყევებს და იმყოფებიან გლობალური ტრანსფორმაციის პირობებში გერმანიის ეკონომიკა მიუხედავად არსებული ქაოსური ვითარებისა მაინც ინარჩუნებს პოზიციებსა და გავლენებს. ასევე აღსანიშნავია ბრუკს ადამსის ცნობილი თეზისი, რომ სავაჭრო გზების კონტროლის ცვლილება გადამწყვეტ გავლენას ახდენს კაცობრიობის ისტორიაზე. ამის კლასიკური მაგალითია სამხრეთ ჩინეთის ზღვა და ინდო წყნარი ოკეანის აუზი. სწორედ სავაჭრო გზებზე კონტროლისა და გავლენის მოპოვების მოტივით იმართება კონფლიქტები და ომები, რომელსაც აქვს მარადიული ბუნება.

ასევე აღსანიშნავია ალექსანდერ ჰამილტონის მოხსენება გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, რომელსიც მრეწველობას მიანიჭა უპირატესობა სოფლის მეურნეობასთან შედარებით.

განხილული გვაქვს ადამ სმიტის ძირითადი ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. ადამ სმიტის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს და ქვეყნებმა იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებას უნდა მიჰყონ ხელი, რომლითაც გაძლიერდებიან და გამდიდრდებიან.

ლიბერალური პოლიტიკა და საერთაშორისო ვაჭრობა

ეკონომიკური თეორიის თანახმად, თანაბარ პირობებში საერთაშორისო ვაჭრობიდან ყველა მისი მონაწილე მოგებული რჩება, მაგრამ პრაქტიკაში იშვიათად აღმოჩნდება თანაბარად მოგებული . განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომლებმაც მოგება ნახეს არ ჩქარობენ დაეხმარონ წაგებულ ქვეყნებს. ამდენად ბევრი მეცნიერი არ იზიარებს იმ აზრს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ყველასათვის სარგებლიანია.

ცალკეული ქვეყნები დამატებით მოგებას აღწევენ, როცა მაღლა სწევენ სასაზღვრო ბარიერებს და ექსპორტის სუბსიდირებას ახდენენ. ამ ნაბიჯების შედეგად, დაზარალებულები საპასუხო ზომებს ღებულობენ და თუ ამ პროცესში არავინ ჩაერევა თავისუფალი ვაჭრობის ყველა სარგებელი თავისთავად გაქრება. უნდა შეიქმნას საერთო წესები, რომელსაც დაექვემდებარება საერთაშორისო საქონელბრუნვის ყველა მონაწილე. სწორედ ეს არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კომპეტენცია. რომ არ არსებობდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ის აუცილებლად უნდა გამოგვეგონა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწია არა მარტო საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნაში, არამედ საერთაშორისო ფუნქციების განხორციელებაში და თავისი რეკომენდაციების შესრულების მიღწევის შესაძლებლობებიც გამონახა. უმეტეს სფეროებში ეროვნული სუვერენიტეტის უფლებები გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა საერთაშორისო კანონის დებულების წინაშე. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზება და ვაჭრობის რეგულირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ბრწყინვალედ შეძლო, მაგრამ სწორი არიან კრიტიკოსები იმაში, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მფარველობს მდიდარ ქვეყნებს და ტრანსნაციონალურ კომპანიებს. ეს მფარველობა სულაც არ არის ჩადებული ვაჭრობის რეგულირების მექანიზმში, რაც გამომდინარეობს ვაჭრობის დარეგულირების გამოყენებიდან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც თავისი ნებით დაექვემდებარა ამერიკის შეერთებული შტატები. თავისუფალი

ვაჭრობა და თავისუფალი ბაზრები ემსახურება სიმდიდრის შექმნას, თუმცა საზოგადოებას არსებობისთვის სჭირდება სხვა სიკეთეები. თანამედროვე საზოგადოებაში შეიმჩნევა პირად მოგებასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას შორის დისბალანსი, რაც ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თავდამსხმელთათვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კომპეტენციაში არ შედის ბრძოლა გარემოს დაცვისთვის, ზრუნვა კვებითი პროდუქტების უსაფრთხოებაზე, ადამიანის უფლებებზე, შრომის პირობებზე, რა თქმა უნდა იმ პირობებში, თუ ეს ბრძოლა არ ეხება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროს.

უდავოა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია საჭიროებს რეფორმირებას, თუმცა ძირითადად პასუხისმგებლობა სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებზე პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძალას წარმოადგენს ამ ორგანიზაციის მიერ მიღებული იძულების მექანიზმები.

საზოგადოებრივი სიკეთის საწარმოებლად, ეს მეთოდი არ არის მიღებული ორი მიზეზის გამო. 1. რეფორმირებულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები არ მოინდომებენ ძალდატანების მექანიზმთან შეგუებას. 2. ბევრ ქვეყანას არ ჰყოფნის მატერიალური რესურსები, რათა შესაბამისობაში მოვიდნენ საერთაშორისო სტანდარტებთან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქარტიაში ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ უფრო კარგი იქნებოდა ჩაგვედო საშუალო განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი და რეციპიენტ ქვეყნებში აღმოფხვრილიყო ბავშთა შრომა. ბოლს-ეშკოლის საპილოტო სქემა მუშაობს ბრაზილიაში. ამ პროექტის მიხედვით, დონორები სტიპენდიას უხდიან იმ ღარიბ ბავშვებს, რომლებიც სკოლებში სწავლობენ. ანალოგიური სქემები უნდა განხორციელდეს მსოფლიო მასშტაბით. ასეთი ტიპის საერთაშორისო დახმარებებს კი რეციპიენტები მიიღებენ ნებაყოფლობით. თუ ჩვენ ავიღებთ საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფას, რაც გამოწვეულია „გლობალური კაპიტალიზმის კრეატიული დესტრუქციით“, იოზეფ შუმპეტერი აღწერს ეკონომიკურ პროგრესს კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში. საზოგადოების ფენებად დაყოფა წარმოშობს კომპენსაციაზე და სოციალურის უზრუნველყოფის ქსელის შექმნის და გადამზადების მოთხოვნილებას. ჩამოთვლილი ამოცანები უნდა გადაწყდეს ადგილობრივი მთავრობის დონეზე. ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კომპეტენციის საზღვრებს მიღმა არის. თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ძალიან ღარიბი არის და მათ რომ განახორციელონ განვითარებისათვის აუცილებელი ნაბიჯები საჭიროებენ საერთაშორისო დახმარებას. აქ თავს იჩენს სწორედ თანამედროვე მსოფლიოს სტრუქტურის არმყოფი ელემენტი. თანამედროვე საზოგადოებამ უნდა შექმნას საერთაშორისო სიკეთეების წარმოების ნებაყოფლობითი სისტემა, კონკრეტული საქონლის წარმოების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძალდატანებით სისტემაზე დამატებით. საერთაშორისო დახმარების პრინციპებში ცვლილებანი შეეხება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროსაც, მათი გადაკვეთის წერტილები ცნობილია. ეს საკითხებია: 1. შრომის უფლებები; 2.გარემოს სფეროს დაცვა; 3. ინტელექტუალური საკუთრების უფლება; 4.ვაჭრობის სფეროში საინვესტიციო პროექტები; 5.კონკურენცია; 6.კორუფციასთან ბრძოლა; 7. საგადასახადო პოლიტიკა; 8. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობა. ზოგიერთი ეს საკითხი მიმდინარე პროგრამების ფარგლებში იხილება, ზოგი კი განხილვას ელოდება.

ფინანსური კაპიტალისა და შრომის არათანასწორუფლებიანობა თანამედროვე გლობალური კაპიტალისტური სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. კაპიტალი გადაადგილდება იაფი სამუშაო ძალის ქვეყნებში და სხვა თავისთვის ხელსაყრელი პირობების მქონე ქვეყნებში. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ ჩინეთი სულ ახლახანს გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. საშუალებათა ეს გადაადგილება, ჩამორჩენილ ქვეყნებს აძლევს განვითარების საშუალებას. ბევრმა მათგანმა, მიაღწია თავის განვითარებაში არსებით წარმატებებს. განვითარებული ქვეყნები კი ამცირებენ სამუშაო ადგილებს, მაგრამ ვაჭრობიდან მოგება მათთვის ქმნის საკმაოდ სასარგებლო სამუშაო ადგილებს. აღინიშნება სამუშაო ძალების მიგრაცია, როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად. სამუშაო უფლებები არ არის შესული მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის განვითარების რაუნდში. მას შემდეგ, რაც ჩინეთი შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ შრომითი უფლებები უახლოეს მომავალში განხილვის საგნად იქცეს, რაც რა თქმა უნდა, ძალიან აწყობს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაზე არანაკლები მნიშვნელობისაა MOT - ი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია).

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს კოპირაიტებისა და პატენტების დაცვას, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ ეს დაცვა ვაჭრობას უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გრანდიოზული მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, რაც ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებში მოუგვარებელია. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხი განხილული იქნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განვითარების რაუნდში.

სამომავლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესები, რათა უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობაში. ამისათვის შეიძლება დავეყრდნოთ ბრიტანულ „თეთრ წიგნს“ - ინტერნაციონალური დაგეგმარების შესახებ და სედილიოს მოხსენებას, რომელიც მომზადდა გაეროს გენერალური მდივნის დაკვეთით. ორივე დოკუმენტში რეკომენდებულია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ აღმოუჩინოს იურიდიული დახმარება განვითარებად ქვეყნებს, რათა ისინი უფრო უკეთესად ორიენტირდნენ არსებულ წესებში. აგრეთვე მათ უნდა აღმოეჩინათ ტექნიკური დახმარება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკებებში და დისკუსიებში განვითარებადმა ქვეყნებმა მიიღონ მონაწილეობა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განვითარების რაუნდს შეუძლია, რომ დაეხმაროს გლობალიზაციის მანკიერებების განკურნებაში იმ პირობით, თუ პროგრამის რეალიზებას თან მოჰყვება ფინანსური ინიციატივები, რომლებიც მიმართულნი იქნებიან ეროვნული მთავრობების მიერ საერთაშორისო შეთანხმებისა და სტანდარტების ნებაყოფლობით მიღებაზე.

კონტინენტურ ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში, ორდოლიბერალიზმი ანუ თავისუფალი საბაზრო წესრიგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მექანიზმია. ლიბერალები ვაჭრობას მშვიდობის ძალად მიიჩნევენ, ვინაიდან მათი აზრით, ეკონომიკური თავისუფლება პოზიტიურ კავშირებს ამყარებს ხალხებს და საზოგადოებებს შორის, ის ერთგვარი გარანტიაა ქვეყნებისთვის სტატუს კვოს დასაცავად. ნაციონალისტი ეკონომისტები და თანამედროვე მარქსისტები საგარეო ვაჭრობას დამანგრევლად მიიჩნევენ,

ვინაიდან, მათი აზრით, ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნებს უფრო დაუცველს და მგრძნობიარეს ხდის უცხო ძალებთან მიმართებაში. ფრაიბურგის სკოლის წარმომადგენლები ვოლტერ ოიკენომის ლიდერობით, არანეოლიბერალი ჰუმანისტი ვილჰელმ რიოჰკე და ალექსანდრ რიუსკოვი, არასოციალ-ლიბერალი ალფრედ მიულერ-არმაკი, არასდროს არ ყოფილან სუფთა ბაზრის ეკონომიკის წარმომადგენლები, ისინი არ უარყოფდნენ სახელმწიფოს როლს საბაზრო ეკონომიკაში. ისინი უბრალოდ თვლიდნენ, რომ ეს ის როლია, რომელიც უნდა იყოს არა ინტერვენციულ პოლიტიკაში, არამედ უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო წესრიგის ფორმირებაში. ვ. გუტნიკი სამართლიანად მიიჩნევს, რომ თანასწორი კონკურენციული პირობები ყველა ბაზრის მონაწილეებისთვის არის მიზანშეწონილი. ბრძოლა მონოპოლიზმის წინააღმდეგ, ყველაზე კარგ შემთხვევაში, შეამცირებს ფასებისა და ტარიფების ზრდას და შექმნის კონკურენციას. ოიკენას ლოგიკა გააგრძელა რიოჰკემ, რიუსტოვმა და რა თქმა უნდა, ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკმა, მისი კონსტიტუციური თავისუფლებით. ადამიანის პრიორიტეტული იდეა დაედო საფუძვლად კოლექტივის სახელმწიფო კონცეფციას. ზემოთჩამოთვლილმა თეორეტიკოსებმა თავიანთი ნაშრომებით ჩამოაყალიბეს ფართო სოციალური საბაზრო წარმოება. მათ შორის მიულერ არმაკი, ლუდვიგ ერჰარდთან ერთად მონაწილეობდა ეკონომიკური სასწაულების შექმნაში. დაიწყო კომპრომისების ზოლი და მცდელობა, იმისა, რათა გაეერთიანებინათ თავისუფლების პრინციპი ბაზარზე სოციალური თანასწორობის პრინციპთან. აქედან გამომდინარე, ბიძგი მიეცა მოძრაობას სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. მეინსტრიმი სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და აქედან დაიწყო საუბარი ნეოკლასიკური თეორიის კრიზისზე. სოციალური საბაზრო საქმიანობის კონცეფციას ეყრდნობა წესრიგის თეორია, რაზეც ვ.გუტნიკი ამბობს, წესრიგის თეორია არის სპეციფიკური გერმანული ვარიანტი ინსტიტუციონალიზმისა, რომელიც განსხვავდება ამერიკული ორიენტირების პრაქტიკული გადაწყვეტილების ეკონომიკური პოლიტიკისაგან. ამასთან დაკავშირებით, გლობალიზაციის მოდელების საზღვარი იკარგება, ანუ ხდება გადასვლა ერთი სახეობიდან მეორეზე, ანუ გერმანელი ეკონომისტების ენით რომ ვთქვათ, ხდება ისეთი რამ, რომ ყალიბდება ორივე მოდელის ახალი წესები.

ვილჰელმ როშერის, გუსტავ შმოლერის და სხვათა დახმარებით, ფრიდრიჰ ლისტმა დაარსა ეკონომიკური ანალიზის გერმანული ისტორიული სკოლა, ამ დროს გერმანიის მრეწველობა მძიმე მდგომარეობაში იყო, იაფი ბრიტანული საქონლის შემოტევის გამო, ამ სკოლის მხრიდან ლიბერალურ თეორიაზე აგრესიულმა შეტევებმა დიდი გავლენა მოახდინა ჯერ გერმანიისა და შემდგომში ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ფრიდრიხ ლისტმა განაცხადა, რომ თავისუფალი ვაჭრობის კლასიკოსი ბრიტანელი ეკონომისტების თეორია, მხოლოდ ძლიერთა პოლიტიკა იყო, რომ არ არსებობდა, ბუნებრივი ან მუდმივი შრომის საერთაშორისო დანაწილება, ეს უბრალოდ ისტორიული ვითარება იყო, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის გამოყენებით. (List F, 2022, pp.122-123) .ფრიდრიხ ლისტის მტკიცებით, ბრიტანეთმა გამოიყენა საკუთარი სახელმწიფო ზეგავლენა და დაიცვა საკუთარი ახალგაზრდა მრეწველობა უცხოური კონკურენტებისაგან, ამ უკანასკნელთა სამხედრო ხერხით დასუსტების გზით. ამიტომ, ისინი გახდნენ თავისუფალი ვაჭრობის ლიდერები და მიაღწიეს ტექნოლოგიურ და სამრეწველო უპირატესობას. ფრიდრიხ ლისტი მიიჩნევდა, რომ ბრიტანელები უბრალოდ

იცავდნენ ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს, როდესაც საკუთარი პროდუქციისთვის უცხოურ ბაზრებზე დაბრკოლებებს შლიდნენ. „თავისუფალი მსოფლიო ეკონომიკის“ ლოზუნგს ლისტი ბრიტანული ეგოიზმის მორიგ გამოხატულებად მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ ჭეშმარიტი კოსმოპოლიტური მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა სხვა ქვეყნებიც გაუთანაბრდებიან მრეწველობის დარგში დიდ ბრიტანეთს. ფრიდრიხ ლისტი და სხვა გერმანელი ეკონომისტები გამოსავალს პოლიტიკურ ერთობაში ხედავდნენ, მათი აზრით, ეკონომიკის ფიზიკურად გასაერთიანებლად, საჭირო იყო ტრანსპორტის (რკინიგზის) განვითარება, შიდა მაღალი ტარიფების გაუქმება, გერმანული მრეწველობის განვითარების დაცვა და ამ გზით ძლევამოსილი გერმანული სახელმწიფოს შექმნა.

ბევრი თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ პროტექციონიზმის წარმატებამ გერმანიაში და სახელმწიფოს როლმა მრეწველობის განვითარებაში განამტკიცა ეკონომიკური ნაციონალიზმის თეორია. როგორც ტორსტენ ვებლენმა აღნიშნა თავის კლასიკურ ნაშრომში „იმპერიული გერმანია და ინდუსტრიული რევოლუცია“ 1915 წ. გერმანია, იყო პირველი ქვეყანა და საზოგადოება, რომელმაც გაატარა სისტემური სამრეწველო პოლიტიკა და ეკონომიკა მეცნიერულად განავითარა. მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანიის ეკონომიკურმა და სამხედრო წინსვლამ ბევრ ქვეყანას შეუქმნა მისაბაძი მოდელი. მაშინ როდესაც დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური წარმატება ლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებას ცდილობდა, გერმანიამ დააკანონა ნაციონალისტური ეკონომიკის დოქტრინა, როგორც სავაჭრო პოლიტიკის და ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.

გერმანული ისტორიული სკოლის შეფასებით, ბრიტანელები მანამდე ატარებდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, სანამ მათი მრეწველობა არ გაძლიერდა და გახდა კონკურენტუნარიანი.

ნაციონალისტი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ძირს უთხრის ეროვნულ სუვერენიტეტს და სახელმწიფო კონტროლს, ეკონომიკა უფრო მგრძნობიარე ხდება მსოფლიო ბაზრის ცვლილებების მიმართ, ხოლო ამ გარემოებით შეიძლება ბოროტად ისარგებლონ უფრო ძლიერმა ქვეყნებმა. მათი აზრით, საქონლის ექსპორტზე სპეციალიზაცია ამცირებს მოქნილობას და ზრდის ეკონომიკის მგრძნობიარობას გარე ფაქტორებისადმი. თავისუფალი ბაზრები საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას და დასაქმებას. გერმანული ისტორიული სკოლის მიმდევრები ყურადღებას ამახვილებდნენ ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებზე ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოს პირობებში. ლიბერალები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა მშვიდობის და კეთილდღეობის ასეთი ეპოქა.

ვაჭრობის ექსპანსიამ, ლიბერალების აზრით, უცხოური ინვესტიციების ზრდამ და საერთაშორისო ფინანსური სისტემის ეფექტურობამ მოიტანა ეკონომიკური ზრდის პერიოდი, რომელიც დაიწყო ინგლისში და მთელ სისტემას მოედო. ლიბერალი ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ თავისუფალი ვაჭრობის გლობალურ ეფექტზე, მაგრამ ნაციონალისტი თეორეტიკოსები მათი გადანაწილების შედეგებზე ითხოვენ ყურადღების მიქცევას. მათი მტკიცებით, თავისუფალი ვაჭრობიდან, უმეტესად, განვითარებული ქვეყნები იღებენ სარგებელს. თუმცა, ამავდროულად, შედარებით ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა აქტიურად განახორციელეს განვითარების სტრატეგია იმპორტის ჩანაცვლებით. მასთან ერთად, ზოგიერთმა ქვეყანამ, იაპონიის

მაგალითზე გაამახვილა ყურადღება და დაიწყო მრეწველობის სპეციფიკური სექტორების განვითარება.

საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც ინტელექტუალური ევოლუციის გარკვეული შედეგი

ვაჭრობა ერებს შორის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კავშირია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ომებთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობის ევოლუციის მთავარ ძალას წარმოადგენდა. ტრადიციულად, საუკუნეების განმავლობაში, ვაჭრობის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები მმართველი ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო იყო. იმპერიები, როგორც წესი, სავაჭრო გზაჯვარედინებზე ვითარდებოდნენ აზიას, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ბრუკს ადამსი, თავის ნაშრომში, „ცივილიზაციის კანონი და რღვევა“(Adams B, 2002,pp.223-225). აღნიშნავს, რომ სავაჭრო გზების კონტროლის ცვლილება გადამწყვეტ გავლენას ახდენდა კაცობრიობის ისტორიაზე.

ვაჭრობა ყველა ეპოქაში ვითარდებოდა, ვინაიდან ადამიანი ყოველთვის ეძებდა იმ საქონელს, რომელიც მას არ გააჩნდა, შესაბამისად, ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოკიდებული შედეგი: 1. ტექნოლოგიების გავრცელება, რაც ნებისმიერი საზოგადოების კეთილდღეობას უწყობს ხელს. 2. ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა, ანუ კეინზის ეფექტი ეკონომიკაზე. ე.წ. მულტიპლიკატორის ზემოქმედება, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და მის მთლიან ეფექტიანობას. 3. ბაზრის გაზრდა იწვევს ინდივიდუალური ფირმების მოგების ზრდას, აუმჯობესებს მასშტაბის ეკონომიას და ზრდის საინვესტიციო მოგებას, რაც, თავის მხრივ, მთლიან ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. 4. სამომხმარებლო არჩევანის ზრდა. 5. ნედლეულზე ფასების კლება, რაც შემდგომ საბოლოო პროდუქტის ფასს ამცირებს. XX საუკუნის ბოლოს ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა განვითარების პრიორიტეტულ სტრატეგიად გადაიქცა. გარდა ეკონომიკური ეფექტისა, საერთაშორისო ვაჭრობას გააჩნია ისეთი ურთიერთწინააღმდეგობრივი ეფექტებიც, როგორიცაა კულტურული ეფექტი, გავლენა ფასეულობებზე და საზოგადოების ყოფაზე (Adams B,2002. p.17).

ლიბერალმა ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ ეს გავლენა პოზიტიურია, ვინაიდან საზოგადოებებს შორის ახალი იდეების და ტექნოლოგიური სიახლეების გავრცელება განაპირობებს სოციალურ პროგრესს.

ნაციონალისტი ეკონომისტები ხშირად ამბობენ, რომ ვაჭრობა უარყოფით გავლენას ახდენს ტრადიციულ ფასეულობებზე, ავითარებს კორუფციას და ზიანს აყენებს, როგორც ინდივიდებს, ასევე მთელს საზოგადოებას. ბევრი კრიტიკოსი ისე უყურებს საერთაშორისო ვაჭრობას, როგორც კულტურულ იმპერიალიზმს, რომელიც მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

ვაჭრობის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე ურთიერთწინააღმდეგობრივი დამოკიდებულების კიდევ ერთი საბაბია. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში ორი, დიამეტრალურად განსხვავებული თეორია უპირისპირდება ერთმანეთს - ეს არის ლიბერალური თეორია და ნაციონალისტ-ეკონომისტთა თეორია. ლიბერალური თეორია, ეს არის ტრადიციული სავაჭრო თეორია, რომელიც ჯერ კიდევ ადამ სმიტიდან და დევიდ რიკარდოდან მოდის თანამედროვე ჰეკშერ-ოლინ სამუელსონის და სხვა ნეოკლასიკოსების მოდელებამდე. მეორე თეორია, ნაციონალისტურ ტრადიციებს ემყარება და ადრეულ

მერკანტილისტებს, XIX საუკუნის გერმანულ ისტორიულ სკოლას და XX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალისტ-ეკონომისტებს უკავშირდება. ამ ორ თეორიას ფუნდამენტურად განსხვავებული მიზნები, მიზეზები და შედეგები გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ლიბერალურმა თეორიამ შეიცვალა შინაარსი ადამ სმიტის აბსოლუტური უპირატესობის თეორიიდან გართულებულ მათემატიკურ ფორმულებამდე, მაგრამ ის მკაცრად იცავს იდეას, რომ ეკონომიკური სპეციალიზაცია დადებითად მოქმედებს ეროვნულ შემოსავალზე. ლიბერალური თეორიის მიმდევრებს სჯერათ, რომ ვაჭრობა ზრდის მომხმარებელთა შესაძლებლობებს.

1776 წელს ადამ სმიტმა ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ წამოაყენა მოსაზრება, რომ ქვეყნის სიმდიდრის და სიძლიერის მთავარი წყარო ეკონომიკური ზრდაა (Smith, 1937,p.424). სწორედ ეს არის შრომის დანაწილების მთავარი ფუნქცია, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ბაზრის მოცულობაზე.

აქედან გამომდინარე, როდესაც მერკანტილისტური სახელმწიფო ბარიერებს უქმნის საქონლის გაცვლას და ბაზრის ზრდას, ის იმავდროულად ზღუდავს ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. ადამ სმიტის შეფასებით, ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს და ქვეყნებმა იმ საქონლის და მომსახურების წარმოებას უნდა მიჰყონ ხელი, რომლითაც გაძლიერდებიან და გამდიდრდებიან. შრომის ტერიტორიული დანაწილების უპირატესობა, რომელიც აბსოლუტურ უპირატესობას ემყარება, წარმოადგენს ადამ სმიტის ვაჭრობის თეორიის საფუძველს. ადამ სმიტის მოსაზრებები ბევრი თვალსაზრისით არასრულყოფილი იყო, მან ვერ შეძლო გაებათილებინა ცნობილი მტკიცება, თითქოს იმპორტის შეზღუდვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას იწვევს. გარდა ამისა, იგი ვარაუდობდა, რომ თითოეულ ერს აქვს აბსოლუტური უპირატესობა თავისი სავაჭრო პარტნიორების მიმართ, რათა იმდენი საქონლის ექსპორტი უზრუნველყოს, რამდენზედაც არსებობს მოთხოვნა საზღვარგარეთ, თუკი ვაჭრობა, თავისუფალი იქნება შეზღუდვებისაგან. ადამ სმიტმა თავი აარიდა კითხვებს: როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა, რომელსაც უპირატესობები არა აქვს? სად არის გარანტია, რომ თავისუფალი ვაჭრობა გადაჭრის ყველა იმ პრობლემას, რომ ქვეყანა მოგებული დარჩეს? ადამ სმიტმა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში განსაზღვრული წესრიგი „უხილავი ხელის“ პრინციპი დაინახა, რომელსაც მთლიანად უნდა შეეცვალა „ხილული ხელი“.სინამდვილეში ეს არის ეპითეტი, მეტაფორა, ალეგორია. და ეს სულაც არ არის მეცნიერება. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „Laisse Faire“ პრინციპს ანუ როგორც თვითონ უწოდებდა ბუნებრივი თავისუფლების პოლიტიკას, რომელიც საფრანგეთში ჩამოყალიბდა, მაგრამ არსებითად ეროვნულ ფარგლებში მოქმედებდა. გამოჩენილი ფრანგი ეკონომისტი პ.ბუაგილბერი ამ პოლიტიკის მიხედვით თავისუფალ ვაჭრობას მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოითხოვდა და აგრარულ- პროტექციონისტულ სტრატეგიას უჭერდა მხარს. (რაც დღეს გარკვეულწილად სახეზეა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკისა და ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის (CAP) პრინციპების გათვალისწინებით). მოგვიანებით, 1817 წელს დავიდ რიკარდომ თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“ წარმოადგინა პირველი მეცნიერული დასაბუთება საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელობის შესახებ და განამტკიცა თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერი მოსაზრებები. დავიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორია ლიბერალური ეკონომიკის ქვაკუთხედი და მთავარი დოქტრინაა. ადამ სმიტის

აბსოლუტური უპირატესობის იდეის საპირისპიროდ, დავიდ რიკარდომ შედარებითი უპირატესობის კანონი შემოგვთავაზა, როგორც თავისუფალი ვაჭრობის ფუნდამენტური პრინციპი. ადამ სმიტი საერთაშორისო ვაჭრობის საფუძვლად აბსოლუტურ უპირატესობას მიიჩნევდა, ანუ ექსპორტიორს, რომელსაც ჰქონდა რესურსების გარკვეული ოდენობა შეეძლო ეწარმოებინა უფრო მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე მის კონკურენტს. ასეთ აბსოლუტურ უპირატესობას ნამდვილად ჰქონდა ისტორიული გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე და ეს პრინციპი ზოგიერთ საქონელზე დღესაც მოქმედებს. თუ ქვეყანას არ შეუძლია აბსოლუტური უპირატესობის მოპოვება, ამ თეორიის თანახმად, მაშინ მას სავაჭრო პერსპექტივა აბსოლუტურად არ გააჩნია. ინდუსტრიულმა რევოლუციამ და საერთოდ მეწარმეობის განვითარებამ მდგომარეობა შეცვალეს. დავიდ რიკარდო იყო ის ნიჭიერებით გამორჩეული მოაზროვნე , რომელმაც აღიარა ტრანსფორმაციის მთელი სიღრმე. შედარებითი უპირატესობის თეორიის მიხედვით, ქვეყნებს შორის ვაჭრობა განპირობებულია წარმოებული პროდუქციის ფასების ფარდობითობით (არააბსოლუტურობით). შრომის საერთაშორისო დანაწილება ეფუძნება ფასების ფარდობითობას და ქვეყნებმა იმ საქონელზე უნდა მოახდინონ კონცენტრაცია, რომლის ღირებულება შედარებით იაფია. მიუხედავად ამისა, ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური უპირატესობა სხვებთან შედარებით, თითქმის ყველა პროდუქციაში, მაგრამ შედარებით დაბალ ღირებულებაზე დამოკიდებული მრეწველობა ქვეყნებს აიძულებს უფრო მეტი მოგება ნახონ ვაჭრობით. უნივერსალური მოგების ეს მარტივი ცნება, რომელიც დამყარებულია ფასთა ფარდობითობაზე, დღემდე რჩება ლიბერალური ვაჭრობის თეორიის მთავარ პოსტულატად. არავის ისე ნათლად არ ჩამოუყალიბებია თავისუფალი ვაჭრობის მოდელი, როგორც დავიდ რიკარდოს. იდეალურად თავისუფალი ეკონომიკური სისტემის პირობებში თითოეული ქვეყანა კაპიტალს და შრომით რესურსებს მიმართავს იმ საქონლის საწარმოებლად, რომელიც მისთვის ყველაზე მომგებიანია. მრეწველობის სტიმულირებით, გამომგონებლობის მხარდაჭერით, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ქვეყანას შეუძლია შრომის ყველაზე ეფექტიანად და ეკონომიურად დანაწილება. არსებობს ერთი პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ღვინო უნდა ჩამოისხას საფრანგეთსა და პორტუგალიაში, რომ მარცვლეული მოყვანილ იქნას ამერიკასა და პოლონეთში და რომ მეტალოკონსტრუქციები უნდა დამზადდეს ინგლისში. ვაჭრობის „მონაპოვარის“ იდეა მართლაც რევოლუციური გახლდათ. სამუელსონმა შედარებითი უპირატესობის თეორიას „ეკონომიკაში უბრწყინვალესი იდეა“ უწოდა. დავიდ რიკარდო მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში არ არის წაგებული და მოგებული, არამედ ვაჭრობა ინტერესთა ჰარმონიაზე და შედარებით უპირატესობაზეა დამყარებული. სწორედ ამ ინტერესთა ჰარმონიის დოქტრინა უდევს საფუძვლად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალურ შეხედულებებს. დ. რიკარდოს, ჯ. სტიუარტ მილის და სხვების მიერ ახსნილი საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორია დაფუძნებული რამდენიმე მნიშვნელოვან თეორიაზე: შედარებითი უპირატესობის სტატიკური თეორიაა, იგი არ ითვალისწინებს ტრანსპორტირების ფასს და უშვებს, რომ პროდუქცია მობილურია ქვეყნის შიგნით, მაგრამ არამობილურია საერთაშორისო ბაზარზე. ის ასევე ეფუძნება, ორი ქვეყნის მოდელს და შრომითი ღირებულების თეორიას, ანუ პრინციპს, რომ საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომა მისი ფასის პრინციპული განმსაზღვრელია. ნეოკლასიკოსების ეს ახალი ფორმულირება ცნობილი გახდა ჰეკშერ- ოლინ სამუელსონის თეორიის სახელით. ამ

თეორიის მიხედვით, ქვეყნის შედარებითი უპირატესობა განისაზღვრება წარმოების ფაქტორთა ფარდობითი სიჭარბით და მათი მომგებიანი კომბინაციით: კაპიტალი, შრომითი რესურსები, ზოგადად რესურსები, მენეჯმენტი და ტექნოლოგიები. ჰექშერ- ოლინის საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორია ხაზს უსვამს სხვადასხვა ქვეყნის წარმოებათა ფაქტორების ურთიერთგავლენას. ქვეყნები ეწევიან ჭარბი ფაქტორების ინტენსიური გამოყენებით წარმოებული პროდუქციის ექსპორტს, რადგან ეს მოდელი ნაკლები წარმატებით ხსნის საერთაშორისო ვაჭრობის რეალურ სტრუქტურას. ის ძირითადად ასევე სასარგებლოა ვაჭრობაზე შემოსავლების განაწილების ეფექტის გასაგებად. შესაბამისად, თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკა გახდა შედარებით უპირატესობაზე უფრო დინამიური და ყოვლისმომცველი. ჰეკშერ- ოლინის თეორია არის ვაჭრობის ყველაზე საფუძვლიანი განმარტება. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვაჭრობის ზრდამ, სადაც პირველის იმპორტში საწარმოო ფაქტორების ინტენსივობა ძალიან განსხვავდება მის ექსპორტში საწარმოო ფაქტორების ინტენსივობისაგან. საწარმოო ფაქტორის შეფარდების თეორია იქცა საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკამათო საკითხად. ვაჭრობის ამ ტიპმა რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატება გამოიწვია ნეოკლასიკურ თეორიაში. მოხდა განმარტებების ახალი ფორმულირება. იქ, სადაც ჰექშერ- ოლინის თეორიაში მნიშვნელობა ენიჭება ფაქტორთა წვლილს და იდეალურ კონკურენციას, ახალ თეორიებში, როგორიცაა „ტექნოლოგიური ჩამორჩენის თეორია“ და „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია“, აქცენტი კეთდება ტექნოლოგიებზე, მასშტაბის ეკონომიაზე და შედარებითი უპირატესობის დინამიურობაზე. ეკონომისტები , ტრადიციულად, მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესს წარმოების ფაქტორებისაგან განსხვავებულ პროცესად მიიჩნევდნენ, თუმცა ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც წარმოების გაიაფების საშუალებას იძლევა საწარმოო პოტენციალის გადიდების ეკვივალენტურია და თავისთავად შეიძლება განიხილებოდეს, როგორც წარმოების ფაქტორი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ კუთხით წარმოჩენამ შესაძლო გახადა საერთაშორისო ვაჭრობის ცვლილებების კანონზომიერებანი, რაც შეუძლებელი იყო შეფარდებითი უპირატესობის სტატიკური მოდელის შემთხვევაში.

რ. ვერნონის „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ თეორიის თანახმად, ახალი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სტანდარტიზაციის კვალობაზე მისი წარმოება გადაინაცვლებს უფრო დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, სადაც შეფარდებით უპირატესობას დაბალი ხელფასი და არა ტექნოლოგიური პროგრესი განაპირობებს. უფრო შორს მიმავალი მოვლენაა სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც ცდილობს უპასუხოს ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის გამოწვევებს. სახეზეა მკვეთრი კონტრასტი ტრადიციულ სავაჭრო თეორიას და ახალ მიდგომას შორის. მაშინ, როდესაც რიკარდოდან ჰეკშერ- ოლინის ჩათვლით, სავაჭრო თეორია მოიცავდა დარგთაშორის ვაჭრობას, ახალი თეორია დარგის შიგნით ვაჭრობაზეა ფოკუსირებული. კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების მიხედვით, შრომა და კაპიტალი არამობილური იყო. შედარებითი უპირატესობა სტატიკური და მხოლოდ საბოლოო პროდუქტის გაცვლა/ გაყიდვა იყო შესაძლებელი. ახალი თეორიები , მეორეს მხრივ, ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ მსოფლიოში კაპიტალი მობილურია და საქონელი შეიძლება გაიყიდოს/ გაიცვალოს წარმოების ნებისმიერ სტადიაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს კონტრასტი: ძველი თეორიები უარყოფდნენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და პროდუქციის

საზღვარგარეთ წარმოების შესაძლებლობას, ხოლო თანამედროვე თეორია უშვებს ექსპორტს, უცხოეთში წარმოებას და მას მულტინაციონალური კორპორაციული სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. საბოლოოდ, ამ თეორიის მოკლე შინაარსად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკელი ეკონომისტის მ. პორტერის ახლებული მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობისადმი. პორტერის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო ბაზარზე, ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ფირმები და არა ქვეყნები. ამ პროცესში აუცილებელია კარგად წარმოვიდგინოთ რა საშუალებებით ახერხებს კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას ფირმა, რათა გავარკვიოთ ქვეყნის როლი ამ პროცესში. თეორიული განსხვავების მიუხედავად, ლიბერალი ეკონომისტები იცავენ ძირითად პოსტულატს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებისთვის ურთიერთსასარგებლოა.

კლასიკოსი თეორეტიკოსებიდან დაწყებული, თანამედროვე ლიბერალებით დამთავრებული, პრინციპში, თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინას ყველა ეთანხმება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლიბერალების ერთი ნაწილი უფრო ფრთხილად ეპყრობა თავისუფალი ვაჭრობის თემას, კონკრეტულად კი იმ აზრს, რომ ეს ყველა დროის საუკეთესო პოლიტიკაა. ლიბერალები აცნობიერებენ, რომ გარკვეულ ვითარებაში თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება საზიანო იყოს. ისინი ასევე აღიარებენ, რომ ზეეკონომიკის მქონე ქვეყნები და მონოპოლიები ხშირად თავიანთ პოზიციებს იცავენ „ეფექტიანი ტარიფების“ გამოყენებით. ანუ მათ შეუძლიათ ტარიფებით მანიპულირება ნედლეულსა და მზა საქონელთან მიმართებაში. ამ და სხვა გაფრთხილებების მიუხედავად, ლიბერალ თეორეტიკოსებს კატეგორიულად სჯერათ, რომ საერთაშორისო კეთილდღეობა იზრდება ეკონომიკურ სპეციალიზაციასა და თავისუფალ ვაჭრობასთან ერთად. ლიბერალური თეორია არ ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად ყველა მიიღებს მოგებას თავისუფალი ვაჭრობიდან. ამისთვის, სულ ცოტა, საჭიროა დრო და და შესაბამისი პოლიტიკა, თუმცა, არსებობენ პოტენციური პოზიტივები. საერთაშორისო კეთილდღეობა გაიზრდება და ყველა მოიმკის გრძელვადიან შედეგებს, თუ ისინი მყარად გაჰყვებიან შედარებით უპირატესობაზე დაფუძნებული სპეციალიზაციის პოლიტიკას. ლიბერალი თეორეტიკოსები ასევე აცხადებენ, რომ ყველა თანაბრად ვერ ისარგებლებს ამ პროცესში. სარგებელს ნახავს ყველა გლობალური თვალსაზრისით, მაგრამ ინდივიდუალურად, ზოგს მეტი შეხვდება, ზოგს ნაკლები, მათი ეფექტიანობის და ბუნებრივი შესაძლებლობების მიხედვით. თავისუფალი ვაჭრობის არგუმენტი არ ითვალისწინებს თანასწორობის და თანაბარი გადანაწილების პრინციპს, არამედ იგი დაფუძნებული არის მზარდი ეფექტიანობის და კეთილდღეობის მაქსიმიზაციის პრინციპზე.

ლიბერალები აცხადებენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა სასარგებლოა, რადგან იგი ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, მწარმოებლურობის ზრდას და როგორც ეროვნული ასევე გლობალური სიმდიდრის დაგროვებას. ამასთანავე იზრდება მომხმარებლის მსყიდველობითი უნარიანობა. თუ იმპორტი, გარკვეულ ეტაპზე, ზიანს აყენებს ეკონომიკას, ლიბერალები არ ემხრობიან აკრძალვების შემოღებას. თუ ეს რთულია, მაშინ რეკომენდებულია სუბსიდიების და გადასახადების დროის შეზღუდულ მონაკვეთში ან ტარიფების შემოღება, ვინაიდან ისინი სულ მცირე ფასის მექანიზმებს იცავენ. თუ საჭიროა არასატარიფო ბარიერები, მაშინ ისინი უნდა იყვნენ გამჭირვალე და მკაფიოდ ჩამოყალიბებულნი. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ქვეყნები ვერ ახერხებენ სათანადო

ყურადღება მიაქციონ ამ რჩევებს და ჩამოაყალიბონ ადეკვატური პოლიტიკა. რაც სავაჭრო ურთიერთობებში ნაციონალისტური მიდგომის ტენდენციის გაძლიერებას განაპირობებს. თუ ვაჭრობიდან მოგების იდეა ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფციაა საერთაშორისო ეკონომიკაში, მუდმივი ფარული ომი თავისუფალ ვაჭრობასა და პროტექციონიზმს შორის არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემა.(Krugman P, Obstfels M, Melitz M , 2023.pp.321-322).

ნაციონალისტი ეკონომისტები ემხრობიან ნეოეკონომიკური პროტექციონიზმის და საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლის იდეას. მათ მიერ ლიბერალური თეორიის მიმართ გამოთქმული შენიშვნები შეიძლება სამ მსხვილ კატეგორიად დაიყოს: 1. თავისუფალი ვაჭრობის როლი ეკონომიკური განვითარების პროცესში; 2. შედარებითი და არა აბსოლუტური სარგებელი; 3. გავლენა ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და შიგა კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური ნაციონალიზმის ფესვები ჯერ კიდევ მე-17 -18 საუკუნეების მერკანტილისტ ავტორებში უნდა ვეძებოთ. ა. ჰამილტონის მოხსენება გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც 1791 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატას წარედგინა. თანამედროვე ნაციონალისტური თეორიის საფუძვლებს შეიცავს და პროტექციონისტული ეკონომიკის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ჰამილტონმა მოახდინა მერკანტელისტების თეორიის მოდერნიზება და წარმოადგინა ეკონომიკური განვითარების დინამიკური გეგმა, რომელშიც მრეწველობას უპირატესობა მიენიჭა სოფლის მეურნეობასთან შედარებით. (Hamilton A, Madison J, Jay J,1990. pp.334-336).მან წამოაყენა , ის რასაც ჩვენ დღეს „იმპორტის ჩანაცვლებას“ ვუწოდებთ. მრეწველთა აყვავებას განაპირობებს არა მხოლოდ სიმდიდრე, არამედ დამოუკიდებლობა და ქვეყნის უსაფრთხოება. დიდი მიზნების მისაღწევად ყველა ქვეყანა უნდა ეცადოს თავად აწარმოოს ძირითადი მოხმარების საქონელი. ჰამილტონი და მისი მიმდევრები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ეკონომიკური კონიუნქტურის სწორი წარმართვა. ჰამილტონის, როგორც პირველი კოლონიის თეორეტიკოსის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ევროპულ ექსპანსიას, მისი იდეები საჭიროებენ მცირედ დეტალურ განხილვას. მისი თეორიის თანახმად, მთავრობას შეუძლია გარდაქმნას ეკონომიკა საკუთარი ეკონომიკური პოზიციის მიხედვით, დღეს ამას „სამრეწველო პოლიტიკა“ ეწოდება. ასეთი გარდაქმნა შეიძლება განპირობებული იყოს კონკრეტული დარგების განვითარების მიზნით. ჰამილტონი მიიჩნევდა, რომ შრომისუნარიანი სამუშაო ძალის მიგრაცია ძირითადად აჩქარებდა ინდუსტრიალიზაციას, მისი აზრით, ქვეყანას უნდა წაეხალისებინა უცხოური კაპიტალის შესვლა, შეექმნა ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი საბანკო სისტემა. ჰამილტონის თეორია შეიძლება შეფასდეს, როგორც დინამიკური შედარებითი უპირატესობა, რომელიც ეფუძნება ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას. სხვა მერკანტელისტების მსგავსად, იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფომ განვითარება და მრეწველობა უნდა დაუქვემდებაროს ერთ საერთო მიზანს - ქვეყნის მშენებლობას.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი დაარსდნენ საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველყოფის მიზნით, რათა ინვესტიციები მოექციათ კერძო ფინანსური შემოდინებების კანონმდებლობით განსაზღვრულ სივრცეში, მაგრამ კონტროლი თანდათან სუსტდებოდა ფინანსური ნაკადების დინებებზე. 1973 წლის

ნავთობის კრიზისის შემდეგ სწრაფი სიჩქარით განვითარება დაიწყო ოფშორულმა საფინანსო ბაზრებმა. 80-იანი წლების დასაწყისში რეიგანისა და ტეტჩერის დროს, საერთაშორისო კაპიტალის ცვლა არსებითად დაჩქარდა. 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა იმპერიის კრახით მსოფლიო ფინანსური ბაზრები გლობალურ ბაზრებად იქცნენ.

დღევანდელი პერიოდი ისტორიაში არცთუ პირველია, სადაც საერთაშორისო ფინანსური ბაზრები თამაშობენ დომინანტის როლს. როგორც პირველი ისე მეორე მსოფლიო ომის წინაც სწორედ ომმა დაანგრია მსოფლიო ფინანსური სისტემა და მთლიანად გაანადგურა 30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ. მოვლენათა მსგავსი განვითარება დღესაც არ არის გამორიცხული.

გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ნიშანთვისება მდგომარეობს იმაში რომ იგი უზრუნველყოფს ფინანსური კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, მაგრამ ადამიანისეული კაპიტალის მოძრაობა მკაცრად რეგულირებულია. გლობალიზაციის ბუნებრივი პროცესის შედეგად ხდება ჩვენი ეკონომიკურ-სოციალური გარემოს რადიკალური ტრანსფორმაცია. ფინანსური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკას კონტროლირების უნარს ართმევს. ტეტჩერიც და რეიგანიც მიისწრაფვოდნენ, შეესუსტებინათ სახელმწიფოს ზეგავლენა ეკონომიკაზე. მსგავსი ოპერაციებისთვის საუკეთესო ინსტრუმენტია გლობალიზაციის შეუქცევადი უწყვეტი პროცესი. გლობალიზაციას აქვს თავისი ნაკლოვანებები: პირველ რიგში , ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით კი, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ზარალდებიან გლობალიზაციით და მათ ჩამოერთვათ სოციალური უზრუნველყოფა. ზოგიერთები კი, გლობალური საფინანსო ბაზრების წყალობით აღმოჩნდნენ მარგინალურ მდგომარეობაში. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი როდრიკი ვარაუდობს, რომ ეროვნულ ინვესტირებაზე მიმართული ეროვნული ინოვაციები უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, ვიდრე საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა. მეორე რიგში, გლობალიზაციამ გამოიწვია რესურსების გადანაწილება ეკონომიკის კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. ბაზრები წარმატებას აღწევენ სიმდიდრის შექმნაში, მაგრამ ეს არ არის გამიზნული სოციალური პროგრამების რეალიზაციაზე.

დაუსრულებელმა და უკანმოუხედავმა მიდევნებამ, მხოლოდ სარგებლისკენ შეუძლია დაანგრიოს გარემო და შევიდეს კონფლიქტში სხვა საზოგადოებრივ ფასეულობებთან. გლობალური ფინანსური ბაზრები კრიზისს ექვემდებარებიან. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა სავსებით ვერ ითავისებენ ბოლომდე , რამდენად მძიმეა თავისი შედეგებით ფინანსური კრიზისები. ფინანსური კრიზისები უფრო მტკივნეულად ზემოქმედებენ განვითარებად ქვეყნებზე. ყველა ეს ფაქტორი კომბინაციაში ქმნის „სათამაშო მოედანს“, რომელიც ორმოებით და თხრილებით არის სავსე.

საბაზრო ფუნდამენტალისტები აღიარებენ გლობალური ფინანსური ბაზრების უპირატესობებს, მაგრამ იგნორირებას უკეთებენ მათ ნაკლოვანებებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ფინანსური ბაზრები მიისწრაფვიან წონასწორობისკენ და ახდენენ რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას. იმ შემთხვევაშიც კი , როცა ეს ბაზრები სრულყოფილებისგან შორს არიან, მაინც რესურსების გადანაწილება უნდა მივანდოთ სწორედ ბაზრებს და არავითარ შემთხვევაში ეროვნულ და საერთაშორისო მარეგულირებელ ინსტიტუტებს. თუმცა მთლიანად საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობა ძალიან სახიფათოა. ბაზრები მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გაცვლა

დაინტერესებულ მონაწილეთა შორის, მაგრამ არ შესწევთ უნარი თავისთავად დააკმაყოფილონ კოლექტიური მოთხოვნილობები. ბაზრებს არ შეუძლიათ სოციალური უზრუნველყოფის გარანტირება. საზოგადოებრივი კეთილდღეობა ეძლევათ, მხოლოდ პოლიტიკური სახელმწიფო პროცესების მეშვეობით. პოლიტიკური პროცესები ნაკლებად ეფექტური არის საბაზრო მექანიზმთან შედარებით, მაგრამ მათ გარეშეც ვერაფერს შევძლებთ. ბაზრები ამორალურები არიან; ისინი ადამიანებს უფლებას აძლევენ იმოქმედონ საკუთარი ეგოისტური ინტერესების შესაბამისად და გარკვეულ შეზღუდვებს აწესებენ მათზეც, ვისი ინტერესებიც იკვეთება, მაგრამ არანაირ მორალურ განსჯას არ აწყობენ ამ ინტერესების არსის შესახებ. აი, რატომ არიან ისინი ამდენად ეფექტურები. კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება დამყარებულია პოლიტიკაზე. ხოლო პოლიტიკა მრავალ სირთულეებს აწყდება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების გამო. მსოფლიო პოლიტიკა მოკლებულია მკაცრ ეთიკურ კოდექსს და რა თქმა უნდა, ბაზრების შექმნა და მხარდაჭერა ითხოვს პოლიტიკურ ნებას და ქმედებებს. ეს კარგად ესმის საბაზრო ფუნდამენტალისტებს. ისინი უფრო ნაკლები მონდომებით აღიარებენ, რომ ბაზრების გლობალიზაცია საერთაშორისო პოლიტიკური და სოციალური კავშირების შესაბამისი გამყარების გარეშე გამოიწვევს მსოფლიოს საკმაოდ ცალმხრივი სურათის ფორმირებას.

გლობალიზაცია, არა მარტო ქმნის დამატებით სიმდიდრეს, არამედ ადამიანებს მატებს თავისუფლებას. გლობალურ, გახსნილ საზოგადოებას შეუძლია უზრუნველყოს თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე ეს შეუძლია ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოს.

გლობალიზაცია სულაც არ არის თამაში ნულზე, ამ პროცესისგან მოგება ხარჯებზე მაღლაა იმ თვალსაზრისით, რომ გლობალიზაციის წყალობით სიმდიდრის გაზრდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალური უთანასწორობის კორექციისთვის და სხვა საზოგადოებრივი პრობლემებისთვის. ამ დებულების დამტკიცება არ არის ადვილი, რადგან გლობალიზაციის, როგორც პროცესის მოგება და დანახარჯები არ შეიძლება დავიყვანოთ ერთ ნიშნულამდე. მთლიანი შიგა პროდუქტი არ წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის უნივერსალურ საზომს. თუმცა, ყველა მიუთითებს იმაზე, რომ ფინანსურად გამარჯვებულებს შეუძლიათ იზრუნონ ფინანსურად წაგებულებზე. თუმცა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურად გამარჯვებულებს არ სურთ იზრუნონ ფინანსურად წაგებულებზე. საბოლოო ჯამში, ბაზრები ხდებიან გლობალურები, ხოლო პოლიტიკა ძველებურად სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკას ეყრდნობა. გლობალიზაციის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დღემდე გამოიყოფოდა და მომავალში გამოიყოფა ძალიან ცოტა რესურსები. ამიტომ , მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული თანდათან ფართოვდება. მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ერთი პროცენტი იღებს იმდენივე მოგებას, რამდენსაც ღარიბთა 57 პროცენტზე მეტი. მილიარდ ადამიანზე მეტი დღეს ცხოვრობს 1 დოლარზე ნაკლები თანხით დღეში. მილიარდ ადამიანზე მეტს აქვს ჩამორთმეული სუფთა წყლის გამოყენების შესაძლებლობა. 226 მილიონ ადამიანზე მეტი შიმშილით იტანჯება და ყოველწლიურად 10 მილიონ ადამიანზე მეტი იღუპება ელემენტარული სამედიცინო მომსახურების გარეშე. ვერ ვიტყვით, რომ ეს პირობები გლობალიზაციის მიერ არ არის პროვოცირებული, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ გლობალიზაციას არანაერი ძალისხმევა არ გაუწევია მათ გამოსასწორებლად.

გლობალიზაციის ნაკლოვანებებმა წარმოშვეს პროტესტების ფართო ტალღა. ანტიგლობალისტური მოძრაობა მოუწოდებს საერთაშორისო ვაჭრობისა და გლობალური ფინანსური ბაზრების მომხრე საერთაშორისო ინსტიტუტების განადგურებისაკენ. ამის გარდა, საერთაშორისო ინსტიტუტები განიცდიან ზეწოლას ანტიგლობალისტებისგან. საბაზრო ფუნდამენტალისტები ბაზრის ფუნქციონირების პროცესში ყოველგვარ ჩარევას ეწინააღმდეგებიან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიმართ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრებები კონტრპროდუქტიულია, ეს იგივეა, დაკლა ის ქათამი, რომელსაც ოქროს კვერცხების დადება შეუძლია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს მოლაპარაკებათა ახალი რაუნდი, რომლის სახელწოდებაა „განვითარების რაუნდი“.

ამ მოლაპარაკებას თან უნდა ახლდეს სხვა რაუნდებიც, რომლებიც მიძღვნილი იქნება სიტუაციების მიმართ და სხვადასხვა საზოგადოებრივი სიკეთით იქნება აღჭურვილი. დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება, სანამ არ დაიწყებს საზოგადოებრივი სიკეთის საკმარისი რაოდენობით წარმოებას, მანამ წარმატების მიღწევა არარიალისტურია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პარტნიორებს შორის საქონლისა და მომსახურეობის საერთაშორისო გაცვლას. ამ მიზნით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ადგენს წესებს, რომელიც რეგულირებას უწევს საქონელთ ბრუნვას. ამასთანავე, იყენებს ქვეყნების მიმართ დარწმუნების ეფექტურ სისტემას. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება ეს მიდგომა გამოყენებულ იქნას სხვა საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოებაში. პირველ რიგში, უმეტეს ქვეყნებს ძირითადად არ ყოფნით რესურსები, რათა შეესაბამონ საერთაშორისო სტანდარტებს და მოთხოვნებს. მეორე მხრივ, ძალიან რთულია იპოვო დარწმუნების სხვა ეფექტური მექანიზმი, როგორიც ვაჭრობის სფეროში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გამოყენებაა. დარწმუნების პირველი ეფექტური მექანიზმია ბაზარზე შეღწევის უფლება. ამის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსური სტიმულები წახალისებისათვის, რის საფუძველზეც ნებაყოფლობით დაცული აღმოჩნდება საერთაშორისო წესები და ქვეყნებმა საკუთარი ნებით მიიღონ საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო ფინანსური სტიმულების წართმევა იქნება დასჯა. ასე რომ, ეს არის მსოფლიოში საუკეთესო ხერხი, მაგრამ ხშირად ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტი წარმოადგენს დაბრკოლებას საერთაშორისო წესების ნაკრების დანერგვისას კონკრეტულ ქვეყანაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების კრებულზე დაფუძნებული საქონლის წარმოების სისტემა გავრცობილი უნდა იყოს საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოების „მასტიმულირებელ“ სისტემაზე.

გლობალიზაცია პასუხს არ აგებს მიმდინარე პრობლემებზე და უწესრიგობებზე. მსოფლიოში სიღარიბისა და უბედურების გამომწვევ მიზეზებად დღეისათვის მიიჩნევა შეიარაღებული კონფლიქტები, რეპრესიული და კორუმპირებული რეჟიმები, არაკომპეტენტური მოხელეები. დაადანაშაულო გლობალიზაცია არაკომპეტენტურ მთავრობებში შეუძლებელია. გლობალიზაცია იძულებულს ხდის კონკრეტულ ქვეყნებს , გაზარდოს თავისი ეკონომიკური ეფექტიანობა ან მცირე დოზით მაინც შეამციროს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა. ამასთანავე, გლობალიზაცია მსოფლიოს აქცევს უფრო

და უფრო ურთიერთდამოკიდებულად და აგრეთვე ზრდის ცალკეული ქვეყნების ზარალს. შიდა სახელმწიფოებრივმა პრობლემებმა მსოფლიოს შესაძლოა მოუტანოს ზარალი, ამიტომ არასაკმარისია გლობალური მასშტაბით, მოცემულ დონეზე საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოების მხოლოდ უზრუნველყოფა,, არამედ უნდა მოიძებნოს , ცალკეულ ქვეყნებში, პოლიტიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების ხერხები.

დღესდღეობით ამერიკა ეხმარება უცხო სახელმწიფოებს და დახმარებისთვის გამოუყოფს 0,1% თავისი მთლიანი შიგა პროდუქტიდან. (ეს ციფრი მარშალის გეგმის მიხედვით უთანაბრდება 3%.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია იგნორირებას უკეთებს რესურსების გადანაწილებას. MFTI -ს შეუძლია ითამაშოს უფრო კონსტრუქციული როლი, ამასთანავე, მომწიფდა აუცილებლობა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულად, რესურსების გადანაწილებაზე. სწორედ, ეს არის არასაკმარისი ელემენტი საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სქემისა.

რესურსების გადანაწილება მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბებისკენ ეწინააღმდეგება საბაზრო ფუნდამენტალისტების ძირითად თეზისს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბაზრებს უნარი შესწევთ თვითონ უზრუნველყონ რესურსების საუკეთესო გადანაწილება.

ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პირსონის კომისიამ მიიღო და გაერო დაეთანხმა, რომ დონორი ქვეყნებიდან უცხოურ სახელმწიფოებზე დახმარების ოფიციალური ზომის მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტიდან 0,7 % შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა მხოლოდ ხუთმა ქვეყანამ შეძლო, ესენია: დანია, ნორვეგია, შვეცია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი; ხოლო ამერიკის წილი 2025 წლისათვის არ აღემატებოდა ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 0,1 %. ყველა განვითარებული ქვეყნის მიმართ ერთად აღებული შეადგენდა საერთო მთლიანი შიგა პროდუქტიდან 0,24%, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებულ შტატებს.

უცხოური დახმარების ტრადიციულ გადანაწილებას ხუთი ძირითადი ნაკლოვანება აქვს: პირველი ნაკლოვანება- საერთაშორისო დახმარება ემსახურება უფრო დონორი ქვეყნის ინტერესებს და არა რეციპიენტი ქვეყნისა. მეორე ნაკლოვანება- რეციპიენტი ქვეყნები იშვიათად აღიქვამენ „გარედან“ შემოთავაზებულ განხორციელებულ პროექტებს, როგორც საკუთარს. იმპორტირებული პროგრამები არც თუ იშვიათად იდგამენ ფესვებს. ეს გახლავთ კოლიერისა და დოლარის მოსაზრება. მესამე ნაკლოვანება- დონორი ქვეყნები თავის მოქალაქეებს იყენებენ თავიანთი საშუალებებისათვის და ისინი წარმოადგენენ რეციპიენტ ქვეყანაში საერთაშორისო აგენტებს. მეოთხე ნაკლოვანება- საერთაშორისო ორგანიზაციები უპირატესობას აძლევენ უცხოურ ექსპორტიორებს და არაეროვნული საწარმოების შექმნას. მეხუთე ნაკლოვანება- ექსპერტები ანგარიშვალდებულნი არიან იმათ წინაშე, ვინც მათ ფინანსურად უზრუნველყოფს.

საერთაშორისო დახმარება ქვეყნებს აღმოეჩინებათ მთავრობათა შორის დონეზე. რეციპიენტი ქვეყნის მთავრობა გამოდის, როგორც ხაზინადარი საკუთარი შეხედულებების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში საზღვარგარეთიდან მიღებული ფინანსური დახმარება იქცევა ქვეყანაში ხელისუფლებაში მყოფი არაპოპულარული მთავრობის არსებობის ერთ-ერთ გარანტად.

დასკვნა

ვაჭრობა არის მზარდი ხასიათის სარგებლიანობის პრინციპზე აგებული ეკონომიკური ქცევა, რომელშიც რეალურად არცერთი სავაჭრო-ეკონომიკური თეორია არ მუშაობს.

არსებული ვერცერთი თეორია ვერ პასუხობს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ პრობლემებსა და პროცესებს.

არ არსებობს უნივერსალური ხასიათის სავაჭრო -ეკონომიკური თეორია.

არსებული თეორიული ბაზიდან საჭიროა ყველაზე ღირებული და პრაგმატული დანიშნულების კონცეფციების საფუძველზე გამოყენებითი ხასიათის ინტეგრირებული კონცეფციების ბაზაზე ინტეგრირებული მოდელის შექმნა.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, საერთაშორისო ინსტიტუციების არსებობამ, საერთაშორისო სამართლისა და ეკონომიკის არსებობამ და მრავალმა სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა ვერ შეძლო ისეთი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება, სადაც იქნება ჯანსაღი კონკურენცია და საართლიანობის პრინციპზე აგებული საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ხელს შეუწყობს დაბალგანვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკურ გაძლიერებასა და განვითარებას.

არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რომლებიც სინამდვილეში დაფუძნებულია მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოების ინტერესებზე და არა მსოფლიო ბაზარზე სინამდვილეში დიდწილად ხელს უწყობს მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოების უფრო და უფრო გამდიდრებას და ღატაკი დაბალგანვითარებული და განვითარების შესაძლებლობის არმქონე სახელმწიფოების უფრო და უფრო გაღატაკებას, რაც უზარმაზარ საფრთხეს უქმნის გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის შეუქცევად პროცესებს.

ჰერბერტ მარშალ მაკლუენის „გლობალური სოფელი“ სინამდვილეში იმყოფება ეგზისტენციალური კატასტროფის წინაშე, სადაც ტოტალურად უარყოფილია მეცნიერების მონაპოვარი, ფილოსოფიის მონაპოვარი და ყველაზე მთავარ ღირებულებად შემოთავაზებულია ფული, რომელიც ყიდულობს ძალასა და ნიჭიერ ადამიანებს.სინამდვილეში დემოკრატია არ არსებობს არც მდიდარ და განვითარებულ სახელმწიფოებში და მით უფრო არ არსებობს ღატაკ დაბალგანვითარებულ სახელმწიფოებში. სინამდვილეში საქმე გვაქვს არშემდგარ დემოკრატიასთან.

აუცილებელია შეიქმნას ისეთი ალგორითმული ჭკვიანი სისტემები, რომელიც მკაცრი ალგორითმული ლოგიკის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც მაღალპროფესიონალ ადამიანთა ჯგუფში იქნება განხილული და შესაძლებელი გახდება შედეგზე ორიენტირებული მაღალპროფესიონალური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც რეალურად დაინერგება.

ხელოვნური ინტელექტისა და სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებით პროფესიონალ ადამიანთა ჯგუფი შეძლებს არსებული მდგომარეობის კრიტიკულად შეფასებას და არსებული პრობლემების ოპტიმალური მექანიზმებითა და მოდელებით გადაწყვეტას.

აუცილებელია დაიძლიოს გონივრულ დროში ის უდიდესი სტრატიფიკაცია რაც არსებობს განვითარებულ მდიდარ სახელმწიფოებსა და დაბალგანვითარებულ ღატაკ და უღატაკეს სახელმწიფოებს შორის.

აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობა დაეფუძნოს სამართლიანობისა და სარგებლიანობის სამართლიანად გადანაწილების ძირითად პრინციპს.

გამოყენებული ლიტერატურა

Adams B., 2002. *The law of civilization and decay: An Essay on History,* Honolulu, Hawaii, Paperback.

Krugman P, Obstfeld M, Melitz M, 2023. *International Economics: Theory and Policy,* New York, Pearson..

List F., 2022. *The national system of political Economy,* Oswego, Imperium Press.

Smith A., 2018. *The Wealth of Nations,* Honolulu, Hawaii, Paperback.

Hamilton A., 1990. *The Federalist Papers (1787-1788),* New York City, BuccaneerBooks.

Basic pragmatic concepts of international trade in the context of intellectual evolution

Tamar Dolidze
Academic Doctor of Economics, Visiting Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tamar.dolidze@tsu.ge

Summary

Annotation. We critically studied the pragmatic concepts of international trade existing in economic science. We identified the positive and negative sides of almost all existing concepts. We identified all the problematic issues that hinder effective international trade and, accordingly, economic growth. We discussed the positive and negative characteristics of the World Trade Organization as the main regulator of international trade. We discussed its importance as an international institution.

Keywords: international trade, World Trade Organization, liberal, ordoliberal, protectionist policy.

სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები: ეკონომიკური ხელმისაწვდომობა და სურსათის ხარისხის კონტროლი

ლია დვალიშვილი
მეცნიერი თანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
lia.dvalishvili@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომი ვრცლად ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს – სასურსათო უსაფრთხოებას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური დეგრადაცია. ნაშრომში განხილულია საკვების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები (HACCP, GMP) და მათი როლი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებაში.* გამოკვეთილია სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის პირდაპირი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხთან, ჯანმრთელობასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასურსათო უსაფრთხოების ოთხ განზომილებას (ხელმისაწვდომობა, გამოყენება, სტაბილურობა და ეკონომიკური მისაწვდომლობა), ეკონომიკური მისაწვდომლობის ინდიკატორებსა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს. ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოს შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების მაღალი წილი სურსათზე და ძირითადი პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარების საგრძნობი ჩამორჩენა დადგენილ რაციონალურ ნორმებთან. ამასთანავე, გაანალიზებულია ქვეყნის სასურსათო კალათის კალორიულობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და სურსათის ეროვნული სააგენტოს წინაშე არსებული გამოწვევები. *ნაშრომი მიუთითებს, რომ სასურსათო უსაფრთხოება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში – იგი გლობალური უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტია. საქართველოსთვის პრიორიტეტია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა.*

საკვანძო სიტყვები: *სურსათის ხარისხი, სასურსათო უსაფრთხოება, ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, HACCP, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა.*

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო მასშტაბით არსებული გლობალური პრობლემები, უმთავრეს გლობალურ პრობლემებს შორის კი თავისი სიმწვავითა და საფრთხით არსებული სასურსათო პრობლემა (გუროვა, 2014).

გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემა მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა, რამაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს განვითარება.

პრობლემა მდგომარეობს კალორიული და რაციონალური კვების უკმარისობაში, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის.

აღნიშნულ პრობლემას მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიზნებს შორის საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უჭირავს. კერძოდ, მდგრადი განვითარების მეორე მიზანი უკავშირდება შიმშილის აღმოფხვრას, სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. (მდგრადი განვითარების მიზნები, 2015)

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობისთვის ადეკვატური რაოდენობით, მაღალი კვებითი ღირსების მქონე სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, ამიტომ საზოგადოების მთელი ძალისხმევა მიმართულია სასიცოცხლო მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდისაკენ.

ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 1,1%-ით (წელიწადში დაახლოებით 83 მილიონი ადამიანი) იზრდება, რესურსები კი რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისთვისაა საჭირო, პირიქით, მცირდება. ამგვარად, პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ.

პირველად დედამიწის მზარდი მოსახლეობისთვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა დააყენა ინგლისელმა მღვდელმა -რობერტ მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ, როცა სურსათის წარმოება იმავე პროპორციით არ ხდება. (ვეშაპიძე შ, 2008).

თანამედროვე სასურსათო პრობლემა არაერთგვაროვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. დღე-ღამეში, თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5-2 ლიტრ წყალს და 800-900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) სადღეღამისო რაციონი დღეისათვის 6,5 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვების დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის) (კოღუაშვილი პაატა, 2022).

კვების პროდუქტების დეფიციტი ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა. ამ დროიდან მიიღო სასურსათო პრობლემამ გლობალური პრობლემის „სტატუსი“.

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვამ, გაუდაბნოებამ, ნიადაგების დეგრადაციამ, ტყეების არასწორმა გამოხშირვამ და ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მტაცებლურმა ხარჯვამ გააღრმავა სასურსათო პრობლემა, რის გადასაწყვეტად კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი, პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისთვის. (ვეშაპიძე შ, 2008)

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მათი კეთილდღეობის პირამიდის საძირკველია. სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის მარადიულ პირობად. (ხარაიშვილი ე, 2020)

დღეს სურსათის უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, სასურსათო და კვების უსაფრთხოება არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი სურსათზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის. სასურსათო უსაფრთხოება არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები, ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისთვის. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჭიროა არსებობდეს მისი ათვისების ეკონომიკური შესაძლებლობა (ტალიკაძე, 2022).

თანამედროვე რეალობაში მთავარი გამოწვევა მხოლოდ სურსათის არსებობა არ არის, პრობლემა სურსათზე წვდომაა. ეს საკითხი დღეს ძალიან აქტუალურია როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისები და სიღარიბე. სურსათზე ფასების რეკორდული ზრდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სერიოზულ გამოწვევებს უქმნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის შემოსავალიც ვერ ეწევა ბაზარზე არსებულ ფასებს. სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობა მთავარი პრობლემაა დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის. შემოსავლის წილი, რომელიც სურსათზე იხარჯება მათ მიერ, მნიშვნელოვნად მაღალია, შესაბამისად, სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობა დაბალი. შედეგად, ეკონომიკური მისაწვდომლობა იქცევა ქვეყნის სოციალური სტაბილურობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად, ადამიანის ცხოვრების ხარისხისა და ეროვნული უსაფრთხოების განმაპირობებელ მაჩვენებლად.

მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონე თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის როგორც საერთო განვითარების ხარისხს, ისე თითოეული ადამიანის კეთილდღეობას, საბოლოოდ კი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

სასურსათო უსაფრთხოება სამ ასპექტს მოიცავს:

1. რაოდენობრივი - ორიენტირებულია სურსათის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაზე;

2. ხარისხობრივი - ნიშნავს მოსახლეობის უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას;

3. სოციალურ-ეკონომიკური - გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლების იმ დონემდე ზრდას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე მათ ხელმისაწვდომობას.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საქართველოში 2019-2023 წლების პერიოდი ცნობილია მნიშვნელოვანი ეკონომიკური შოკებით (პანდემია, ინფლაციური ზეწოლა). ამ ფაქტორებმა სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასა და სოციალური სტაბილურობის მოშლასთან ერთად, რისკის ქვეშ დააყენა მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობა.

ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნისთვის და რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის არის: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მათ შორის მსხვილფეხა

რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი.

სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში დაბალია აუცილებელი პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე. „FAO“-ს კვლევით, საქართველო 50%-ზე მეტად იმპორტზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი მარცვლეულ კულტურებზე. სურსათის დეფიციტის შევსება ძირითადად იმპორტული პროდუქტებით ხდება. ბოლო წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი:

- სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი ფაქტორი - სასურსათო დამოუკიდებლობა არ გაგვაჩნია. ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულის გაზრდამ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების რისკები გაზარდა;
- სურსათის მიწოდების ჯაჭვში გაჩენილი ყველა შეფერხება ზრდის სურსათის ფასებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დაბალ შემოსავლიანი ოჯახების სურსათით უზრუნველყოფას;
- მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონე საგრძნობლად დაბალია;
- საქართველოს სასურსათო მინიმუმის კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც საგრძნობლად ნაკლებია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმაზე (2450 კკალ);
- მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 73,3 წლით 93-ე ადგილზეა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის(ჯანმოს) მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნების რეიტინგში, რომელიც სულ 183 ქვეყანას მოიცავს. (მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 93-ე ადგილზეა, 2021)

ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე ნათელ სურათს სურსათის უსაფრთხოების ოთხი განზომილება(არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება, სტაბილურობა) და ეკონომიკური მისაწვდომლობის ინდიკატორები (სურსათის ფასები, შემოსავალი, შესყიდვითი უნარი) იძლევა.



საქართველოს მთავარი გამოწვევა სასურსათო პროდუქციის არსებობაში, არის ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე, ძირითადი სასურსათო პროდუქტების მიმართ.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (თუ რა დონეზე უზრუნველყოფს ქვეყანა მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნებს საკუთარი რესურსით და რამდენად არის დამოკიდებული იმპორტზე) ბევრი ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტისთვის (ხორბალი, სიმინდი, რძის პროდუქტები, ხორცი) 90%-ზე დაბალია (არჩვაძე, 2025).

საქართველოში სურსათზე მისაწვდომლობა-ფიზიკური და ეკონომიკური წვდომა, ქვეყნისთვის ყველაზე მწვავე გამოწვევაა. იგი უკავშირდება მოსახლეობის დაბალ მსყიდველობით უნარს და მაღალ ხარჯებს. საქართველოს მოსახლეობის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი (ბოლო წლების მონაცემებით დაახლოებით 44%-47%) იხარჯება მხოლოდ სურსათის შეძენაზე. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, 10%-ს არ აღემატება (მაგ., აშშ-ში 8.6%). მაღალი წილი პირდაპირ მიუთითებს მოსახლეობის დაბალ ეკონომიკურ მისაწვდომლობაზე. საქართველოში სურსათზე ფასები ხასიათდება ზრდადი ტენდენციით. შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა კი ხშირად ჩამორჩება სურსათზე ფასების ზრდას. მოსახლეობის ერთ სულზე საკვები პროდუქტების მოხმარება 2024 წელს მოხმარების რაციონალურ ნორმებთან მიმართებით ასე გამოიყურება:

(კილოგრამი)

	ნორმა	ფაქტი	ფაქტი%-ით ნორმასთან
პური და პურპროდუქტები, ფქვილზე გადაანგარიშებით.	127,5	114	89,4
კარტოფილი	62	50	80,6
ბოსტნეული და ბაღჩეული	146	58	39,7
ხილი	110	27	24,5
შაქარი	36	23	63,9
მცენარეული ზეთი	7.3	9,7	132,9
თევზი და თევზის პროდუქტები	11,0	7,8	70,9
ხორცი და ხორცის პროდუქტები	65	51	78,5
რძე და რძის პროდუქტები	292	206	70,5
კვერცხი, ცალი	286	173	60,5

აქ მოყვანილ ცხრილში, თითქმის ყველა ძირითადი კვების პროდუქტისთვის, შესაბამის მოხმარების ნორმასთან ფაქტობრივი ჩამორჩენაა. მეცნიერთა შეხედულებით ჩამორჩენის ძირითადი მიზეზებია:

1. სასოფლო-სამეურნეო, აგროსასურსათო პროდუქციის არასაკმარისი წარმოება- ამ საუკუნეში (2001-2024 წლებში) საქართველომ განახორციელა 25.4 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი.

2. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა- მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი მოთხოვნილების რაციონალური დონის დასაკმაყოფოლიბლად (არჩვაძე, 2025).

სურსათის მოხმარება მოიცავს მის ხარისხს, უვნებლობას და კვებით ღირებულებას.

ეკონომიკური მისაწვდომლობის პრობლემის გამო, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჯანსაღი კვებისთვის საჭირო კვების პროდუქტების შეძენის ნაცვლად, იაფი და დაბალი კვებითი ღირებულების მქონე საკვების შერჩევა უწევს, რაც არ გამორიცხავს პროდუქტში მომწამვლელი ნივთიერებების, მავნე მიკროორგანიზმებისა და უცხო მინარევების არსებობას. არარაციონალური კვების შედეგები კი ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლებზე აისახება. სურსათის უვნებლობა და ხარისხის კონტროლი სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის დიდი გამოწვევაა.

სტაბილურობა -საკვების უწყვეტი მიწოდება და მიწოდების უსაფრთხოება ყველაზე მეტად რისკის ქვეშ ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებისა და ლარის კურსის მერყეობის გამო დგას, რაც სასურსათო ფასების არასტაბილურობის მთავარი მიზეზი ხდება (მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა ან ლარის გაუფასურება მყისიერად აისახება სურსათის ეკონომიკურ მისაწვდომლობაზე). სტაბილუტობაზე ყველა ზემოთხსენებული განზომილება ახდენს გავლენას.

ეკონომიკური მისაწვდომლობის ძირითადი ინდიკატორები ქვეყნის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება:

სურსათის ფასები(GPI) როგორც უკვე აღინიშნა, ხასიათდება ზრდადი ტენდენციით, ხშირად მთლიან ინფლაციაზე მაღალი, რაც განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან მოსახლეობას აზარალებს. 2025 წლის I ნახევარში სურსათზე ფასების ზრდის ტემპმა ინფლაციის საშუალო განაკვეთს ორჯერ გადააჭარბა. სურსათი სხვა პროდუქტებთან შედარებით მეტად გაძვირდა. სურსათზე ორნიშნა ინფლაცია მოსახლეობის ბიუჯეტზე მძიმედ აისახება.

ქვეყნის მასშტაბით შემოსავლის ზრდა ყოველთვის ჩამორჩება სურსათზე ფასების ზრდას. საარსებო მინიმუმის მიმღებთა რაოდენობა და წილი მოსახლეობაში იზრდება, რაც სიღარიბის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს. 2024 წლის აგვისტოში, საარსებო მინიმუმის მიმღებთა ოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს -680,833 ადამიანს მიაღწია. შემწეობის მიმღებ ადამიანების წილმა საერთო მოსახლეობის 18,4% შეადგინა. ამავე წლის მონაცემებით 9 მუნიციპალიტეტში საარსებო მინიმუმის მიმღებთა წილი ადგილობრივი მოსახლეობის 40%-ზე მეტი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მძინე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელია (htt5).

შესყიდვითი უნარი (სამომხმარებლო ხარჯების წილი სურსათზე) - სასურსათო უსაფრთხოების მთავარი ინდიკატორი და ქვეყნაში არსებული გამოწვევების მასშტაბის მაჩვენებელია. ქვეყნის მასშტაბით შესყიდვითი უნარი, ბოლო მონაცემებით, 44-47%-ია. ეს ციფრები მიგვანიშნებს, თუ რა დიდი ტვირთია საკვების შეძენა მოსახლეობის ბიუჯეტისთვის.

წლების მიხედვით სურსათზე გაწეული ხარჯების წილი სამომხმარებლო ფულად ხარჯებში ასე გამოიყურება:

წელი	სურსათზე გაწეული ხარჯების წილი სამომხმარებლო ფულად ხარჯებში (საქსტატი)
2017	41.4%
2019	43.0%
2020	47.4% (პანდემიის გავლენა)
2022	41.8% (სურსათი, სასმელი და თამბაქო
2023 (სავარაუდო)	44% (ხარჯების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით)

აღნიშნული წლების მიხედვით, მაჩვენებელი ყველგან 40%-ზე მეტია. ეს ციფრი ოთხ-ხუთჯერ აღემატება მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მაჩვენებლებს (მაგ., აშშ: 8.6%, დიდი ბრიტანეთი: 8%).

სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონეზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორისაა:

1. მაკროეკონომიკური ფაქტორები(ინფლაცია, ეროვნული ვალუტის კურსი, საგადასახადო პოლიტიკა, სუბსიდები);

2.სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები(შემოსავლებში უთანაბრობა, უმუშევრობა,მოსახლეობის შემადგენლობა);

3. სასურსათო ჯაჭვის ფაქტორები(წარმოების ხარჯები, ლოგისტიკა და ტრანსპორტირება , შუამავლის როლი და საბაზრო კონცენტრაცია).

ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო პროგრამის მთავარი მიზანი, ქვეყნის მზარდი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით, მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის სურსათის ყველა სახეობით უზრუნველყოფასა და ადამიანის კვების სტრუქტურის გაუმჯობესებაზე მაღალი კვებითი ღირსების მქონე პროდუქტების ხარჯზე. კვების სტრუქტურის გაუმჯობესება კი შეუძლებელია რაციონალური კვების შესახებ მეცნიერების ძირითადი დებულებების გამოყენების გარეშე, რომლებიც ემყარება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საკვებ ნივთიერებებზე (მიქელაძე გ, 1988).

მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების არსებობის წინაპირობაა ნაყოფიერი მიწა, სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

საკვები ორგანიზმის ყველა სისტემის მუშაობის ენერგიის წყაროა. საკვები ორგანიზმს აწვდის „სამშენებლო მასალას“ - პლასტიკურ ნივთიერებებს, რომლებისგანაც შედგება ახალი უჯრედები (რადგან უჯრედები მუდმივად იშლება და საჭიროა მათი ახლით შეცვლა);

საკვები ორგანიზმს ამარაგებს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ბიოპოლიმერებით, ვიტამინებით(რომლებიც აუცილებელია სასიცოცხლო პროცესების დასარეგულირებლად);

საკვები ასრულებს ინფორმაციულ როლს. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ მოლეკულურ სტრუქტურებში ჩადებულ ქიმიურ ინფორმაციას (კოღუაშვილი პაატა, 2022).

ამგვარად, კვება-ადამიანის არსებობის მთავარი პირობაა. იგი ადამიანის, საზოგადოების და მთელი ერის ჯანმრთელობის და ცხოვრების წესის ინდიკატორია.

ჯანსაღი კვებისთვის საჭირო კვების პროდუქტები სამი ძირითადი კრიტერიუმით ფასდება:

1.კვებითი უნარიანობა- პროდუქტის კალორიულობა, ბიოლოგიური ღირებულება და შეთვისებადობა;

2.კვებითი უვნებლობა- საკვები პროდუქტები არ უნდა შეიცავდეს მომწამვლელ ნივთიერებებს, მავნე მიკროორგანიზმებს ან უცხო მინარევებს;

3.ორგანოლეპტიკური თვისებები-პროდუქტის ფერი,სუნი,გემო, კონსისტენცია და ქიმიური შემადგენლობა.

კვებითი უვნებლობასა და ორგანოლეპტიკურ თვისებებს ერთად პროდუქტის კეთილხარისხონვებას უწოდებენ, მაშასადამე, კეთილხარისხოვნად ითვლება საკვები პროდუქტი, რომელიც ფლობს მოცემული პროდუქტისთვის დამახასიათებელ ფერს, სუნს გემოს, კონსისტენციას, ქიმიურ შემადგენლობას და არ შეიცავს რაიმე მომწამლავ ნივთიერებას (გველესიანი, 1991).

კვების პროდუქტების წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდების მთელ გზაზე ხარისხის კონტროლი დინამიური და უწყვეტი პროცესია. ამ პროცესის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გლობალური სტანდარტია საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის წერტილები (HACCP)- სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული სისტემა, რომელიც ემსახურება სურსათით გამოწვეული საფრთხის დადგენას და მათ პრევენციას. ის პირველად გამოიყენეს 1960 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური პროგრამისათვის (HACCP-ის ისტორია და მისი ევოლუცია, 2024).

დაახლოებით 20 წლის წინ HACCP სასურსათო ინდუსტრიაში დაინერგა, როგორც მაკონტროლებელი საშუალება სურსათის მიმართ. დღესდღეობით ის ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული მოთხოვნაა, რომელსაც კვების ბიზნესი უნდა აკმაყოფილებდეს. დღეს ბიზნესზე უფრო დიდი ზეწოლა ხორციელდება მათი უსაფრთხოების და ხარისხის პროცესების გასაუმჯობესებლად (საკვების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები, 2021).

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად, HACCP-ის სისტემის დანერგვა სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორთან ეტაპობრივად მოხდა. სხვადასხვა წარმატებული კომპანიის გამოცდილება აჩვენებს, რომ სისტემამ არა მხოლოდ სურსათის უსაფრთხოება გააუმჯობესა, არამედ კომპანიებს მისცა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა. HACCP-ის წარმატებული დანერგვა არის არა მხოლოდ კანონის მოთხოვნა, არამედ ბიზნესის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველი.საქართველოში სურსათის ხარისხზე უდიდეს გავლენას ახდენს წლების განმავლობაში ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მოქმედი სასურსათო საწარმოების არსებობა, რომელთა გამოვლენასა და კონტროლსაც სურსათის ეროვნული სააგენტო ვერ ახერხებს.; (სურსათის უვნებლობის წინაშე არსებული პრობლემები — არარეგისტრირებული საწარმოები, 2024)

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური გამოწვევების (კლიმატის ცვლილება, წყლის დეფიციტი, ბიოლოგიური საწვავის წარმოების ზრდა) წინაშე მყოფი ქვეყნები სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილების უზრუნველმყოფი გზების, სიახლეების ძიებაშია. შესაბამისად, საფრთხის წინაშე დგება ამ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი. ახალი გამოწვევების არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც. FAO-ს შეფასებით,

2050 წელს დაგვჭირდება 60%-ით მეტი საკვები, ვიდრე დედამიწის მოსახლეობა მოიხმარს დღეს (კლიმატგონივრული ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში , 2023).

ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის განვითარება. დარგის მთავარი მისიაა ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოების სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური სექტორი, საჭიროებს რეაბილიტაციას და რეფორმირებას და ამ პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესები.

ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ სექტორს მთავარი მისიის განსახორციელებლად აუცილებლად სჭირდება კლიმატგონივრული (კლიმატისადმი მდგრადი და დაბალემისიანი) სოფლის მეურნეობა. FAO-ს განმარტებით, სოფლის მეურნეობა კლიმატგონივრულია, თუ მისი მართვა ხდება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობით მოტანილი სარგებელი პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას- მემცერარეობის კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას (საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებამ საშუალება მოგვცა არ ვიყოთ დამოკიდებული გარემო პირობებზე და მოვიყვანოთ არასეზონური პროდუქტი, მიწების ხელოვნურად რწყვის ღონისძიებათა სისტემა-ირიგაცია საუკეთესო საშუალებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, ლანდშაპტების შენარჩუნებისა და გამომშრალი ნიადაგის ვარგისიანად გადაქცევისთვის, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა ფერმერებისთვის დიდი შეღავათია სეტყვისაგან მოსავლის დასაცავად). სასურსათო უსაფრთხოებას ვერ განვიხილავთ მხოლოდ ეკონომიკურ ან აგრარულ საკითხად; ეს არის გლობალური უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტი. მისი წარმატებული უზრუნველყოფა მოითხოვს როგორც საერთაშორისო თანამშრომლობას, ისე ეროვნული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომობის პრობლემის მოგვარება მოითხოვს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ზრდაზე, ისე ბაზრის მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციაზე. რაც შეეხება სურსათის ხარისხს, მისი კონტროლი ევროკავშირის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

(n.d.). Retrieved from https://socialjustice.org.ge

HACCP-ის ისტორია და მისი ევოლუცია. (2024). Retrieved from https://www.facebook.com/share/p/16oFKNhM25/

არჩვაძე, ი. (2025). სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილი დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული.* .

გველესიანი, შ. (1991). *ლექციების კურსი სასურსათო საქონელმცოდნეობაში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გუროვა, ი. (2014). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი: დარბეგი.

ვეშაპიძე შ, ლ. ე. (2008). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი: ვერჟე.

კლიმატგონივრული ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში . (2023, იანვარი 13). Retrieved from https://agronews.ge/klimatgonivruli-teqnologiebi-sophlis-meurneobashi/

კოღუაშვილი პაატა, გ. რ. (2022). ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. *ეკონომისტი*, 40-41.

მდგრადი განვითარების მიზნები. (2015). Retrieved from https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1

მიქელაძე გ, მ. ლ. (1988). *კვების ფიზიოლოგია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 93-ე ადგილზეა. (2021, ივლისი 7). Retrieved from https://forbes.ge/blogs/mosakhleobis-sitsotskhlis-khangrdzlivobith-saqarthvelo-msophlioshi-93-e-adgilzea/

საკვების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები. (2021). მოპოვებული https://www.foodsafely.org/ka/standartlar/gidalar-icin-kalite-kontrol-kriterleri/-დან

სურსათის უვნებლობის წინაშე არსებული პრობლემები — არარეგისტრირებული საწარმოები. (2024, დეკემბერი 9). Retrieved from https://www.facebook.com/share/p/1ASJivbyJ2/

ტალიკაძე, ნ. (2022). *სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა-უახლოესი ტენდენციები ციფრებში.* Retrieved from https://idfi.ge/ge/food_security_latest_trends_in_numbers

ხარაიშვილი ე, ნ. ი. (2020). სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში. *თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები:გამოწვევები, გადაჭრის გზები* (p. 122). თბილისი: თსუ.

Food Security Challenges: Economic Accessibility and Food Quality Control

Lia Dvalishvili
Research Fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
lia.dvalishvili@tsu.ge

Summary

This paper comprehensively addresses food security, one of the most critical socio-economic issues. Special attention is paid to global challenges, such as rapid population growth, natural resource

scarcity, climate change, and environmental degradation. The study examines modern mechanisms for food quality assurance (HACCP, GMP) and their role in supplying safe and high-quality products. It highlights the direct link between economic accessibility to food and the population's quality of life, health, and national security. Particular emphasis is placed on the four dimensions of food security (availability, access, utilization, and stability), along with indicators of economic accessibility and the primary factors influencing them. Furthermore, the paper illustrates the high share of food expenditures in Georgian households' total consumption budget and reveals a significant lag in the actual consumption of staple products compared to established rational dietary norms. Concurrently, it analyzes the alignment of the country's food basket caloric value with international standards and outlines the current challenges faced by the National Food Agency. The paper indicates that food security cannot be viewed solely through an economic lens—it constitutes a pivotal element of global security, social well-being, and sustainable development. For Georgia, the priority lies in strengthening local production, developing climate-smart agriculture, and ensuring compliance with European standards.

Keywords: Food quality, Food security, Economic accessibility, HACCP, Climate-smart agriculture.

მომოქცევის არხებში არსებული მზარდი ფულის მასის საინვესტიციო პროექტებში განთავსება როგორც ინფლაციასთან ბრძოლის ბერკეტი

ლევან ჭელიძე
უფროსი სპეციალისტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური
levanchelidze@gmail.com

დავით ჭელიძე
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
d_chelidze14@yahoo.com

ანოტაცია. *გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებისა და სხვა მიზეზების ზემოქმედებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის უკანასკნელი (2019 და 2024) წლების კორექტირებების გათვალისწინებით, ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია მოსაზრება აღნიშნულით გამოწვეული რისკების იდენტიფიკაციის პრობლემის დაძლევის აუცილებლობის შესახებ. მიმოქცევის არხებში არსებული ფულის მასის ზრდის პროცესის, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ინფლაციის მაჩვენებლებზე ზემოქმედების ხასიათის განხილვის პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკის მონეტიზების კოეფიციენტის უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი ზრდისა და ენერგეტიკული სექტორის სადღეისო მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოდგენილია მოსაზრება მიმოქცევის არხებში არსებული ჭარბი ფულის მასის გარკვეული ნაწილის ჰიდრო გენერაციის ახალი ობიექტების შექნა-ფუნქციონირების საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყენების შესახებ.*

საკვანძო სიტყვები: *ფულის მასის ზრდა, ჰიდრო გენერაციის ობიექტების პროექტირება.*

შესავალი

ყველასათვის კარგად ცნობილ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემული დებულებების თანახმად: -„არსებობს საზოგადოების კეთილდღეობის მრავალი განსხვავებული მაჩვენებელი, თუმცა მათ შორის საუკეთესოდ მიჩნეულია საქონლისა და მომსახურების წლიური ერთობლივი მოცულობის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი“ (CAMPBELL R. McCONNEL, STANLEY L. BRUE, 2003, p.134)

-„როდესაც იმაზე ვმსჯელობთ, კარგ მდგომარეობაშია ეკონომიკა თუ ცუდში, ბუნებრივია დავინტერესდეთ მთლიანი შემოსავლით, რომელსაც ეკონომიკის ყველა წევრი იღებს. ეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ამოცანაა.“ (მენქიუ გ. 2000, გვ. 636-637).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აბსოლუტურად ცხადია, ოფიციალურ სამთავრობო თუ საერთაშორისო დოკუმენტებში, სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სხვადასხვა დონის დისკუსიებში ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის

მახასიათებლად რატომ იყენებენ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს. რაც აღნიშნული პარამეტრის მაქსიმალურად რეალური განსაზღვრის აუცილებლობას განაპირობებს და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს უკანასკნელ წლებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

საქმე ისაა რომ, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლიდან ამოქმედებული: -„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), მსოფლიო ბანკის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული საერთაშორისო სახელმძღვანელოს (System of National Accounts (SNA, 2008),“ (თოდრაძე გ. 2020, გვ.2) შესაბამისად, 2018 წლიდან გაანგარიშებული, ხოლო 2010 წლის ჩათვლით უკანა პერიოდით გადაანგარიშებული იქნა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები.

უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული, ახალი (SNA 2008) სისტემით გაანგარიშებულმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიურმა მაჩვენებლებმა საგრძნობლად გადააჭარბა, მანამდე მოქმედი-ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით (SNA, 1993), გაანგარიშებულ (ამავე 2010-2018 წლების) პარამეტრებს. მაგალითად: -„ახალ სტანდარტზე გადასვლის შედეგად, საქართველოში 2018 წლის მშპ-ს დონე, წინა მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მონაცემთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა.“ (თოდრაძე გ. 2020, გვ.2)

მიმოქცევის არხებში არსებული მზარდი ფულის მასის გარკვეული ნაწილის საინვესტიციო პროექტებში განთავსება როგორც ინფლაციასთან ბრძოლის ბერკეტი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებით და არა ქვეყნის ეკონომიკის ზრდით მიღწეულმა „პროგრესმა“ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) ყოველწლიური ოდენობების ზრდის პარალელურად საგრძნობლად შეცვალა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების, (მათ შორის საქართველოს მთავრობის ვალის) მშპ-ის ოდენობასთან თანაფარდობის მაჩვენებლები. [1]

ამასთან ერთად ქვეყნის მშპ-ის ანგარიშთა ახალი (SNA 2008) სისტემით:-„...მხოლოდ 2010 წლის ჩათვლით გადაანგარიშებამ შეუძლებელი გახადა ძველი, ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA 1993), სისტემით გაანგარიშებული 2009 წლამდე მონაცემების, ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ, 2010-წლისა და შემდგომი პერიოდის მონაცემებთან შედარება“ (ჭელიძე დ. 2023, 403).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის კვლევა-შეფასების შეზღუდული შესაძლებლობები კიდევ უფრო შეზღუდა: -„საქართველოს 2024 წლის სტატისტიკური წელიწდეული“-ს ტექსტსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულმა, ქვეყნის 2015-2023 წლების მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების, წინა წლების გამოცემებში დაფიქსირებულზე მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობებით წარმოდგენის ფაქტმა.“ (ჭელიძე დ. 2025, 48). რამაც პრაქტიკულად სრულად გამორიცხა ეროვნულ ვალუტაში შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი წლიური (1996 წლის) კანონის მიღებიდან დღემდე ქვეყნის მთლიანი შიდა

პროდუქტის ერთი დროითი (დინამიური) მწკრივის სახით წარმოდგენა-ანალიზის შესაძლებლობა. [2]

ყოველივე ზემოაღნიშნულის კერძოდ, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებით და საქსტატის პუბლიკაციით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მასშტაბებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, სამივე მიდგომით გაანგარიშებული ქვეყნის 2015-2018 წლების მთლიანი შიდა პროდუქტის, დიაგრამა#1-ით წარმოდგენილი, მაჩვენებლები.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა *(მლრდ. ლარი) დიაგრამა # 1*



მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 დაზუსტებული მონაცემები" საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/media/27810/Mtliani-shida-produqti-2018-celi-dazustebuli%28geo%29.pdf

*** 2024 წლის წელიწდეულის ტექსტით (კორექტირებული), აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებული* https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

როგორც დიაგრამიდან ვრწმუნდებით, სამი განსხვავებული „წესით" გაანგარიშებული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2015-2018 წლების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

კერძოდ, 2008 წლის მეთოდიკით გაანგარიშებული პარამეტრები, 2015-2018 წლების შესაბამისად: 6,6; 5,3; 7,9 და 8,5 პროცენტული ერთეულით აჭარბებს 1993 წლის მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებლებს.

ხოლო, საქსტატის 2024 წლის პუბლიკაციით კორექტირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ამავე (2015-2018) წლების მაჩვენებლები მართალია არც თუ მნიშვნელოვნად თუმცა ასევე, (2015-2018 წლების შესაბამისად: 18; 2,2; 1,2 და 0,8 პროცენტული ერთეულით),

აღემატება 2008 წლის მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ პარამეტრებს და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა მნიშვნელოვნად, (2015-2018 წლების შესაბამისად: 8,5; 7,6; 9,3 და 10,5 პროცენტული ერთეულით) მეტია 1993 წლის მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ სიდიდეებზე.

შექმნილი სიტუაცია ერთი შეხედვით მეთოდოლოგიური ცვლილებებით გამოწვეულ და აქედან გამომდინარე ნაკლებად საყურადღებო მოვლენად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული თუ მხედველობაში არ მივიღებდით აღნიშნულის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, (მათ შორის უკანასკნელ წლების ინფლაციური პროცესების) ანალიზისათვის აუცილებელი-მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიური ოდენობების, მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ (მათ შორის სახელმწიფო ვალის) პარამეტრებთან თანაფარდობის (კუთრი წილის) ცვლილებით გამოწვეული რისკების იდენტიფიკაციის პრობლემას.

ერთი მეთოდოლოგიური მიდგომით გაანგარიშებული ქვეყნის ნომინალური (მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული) მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ მონაცემების მხოლოდ 2015 წლიდან არსებობის ფაქტის გათვალისწინებით, ქვემომოყვანილ ცხრილ#1-ში დაფიქსირებული პარამეტრები (მათ შორის ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი) ორი დროითი მწკრივის, (2010-2025 წწ და 2015-2025 წწ) სახით არის წარმოდგენილი. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მათი შედარებითი ანალიზი ჩვენი აზრით შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყანაში ფულის მასის M2 აგრეგატის ზრდის პროცესის, როგორც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ისე ინფლაციის მაჩვენებლებზე ზეგავლენის ხარისხზე.

როგორც ცხილი#1-იდან ვრწმუნდებით 2010-2025 წლების განმავლობაში მიმოქცევის არხებში არსებული ფულის მასის M2 აგრეგატის 1078,7 (საშუალო წლიურად 71,9) პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში, მუდმივ (2019 წლის) ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი მხოლოდ 131,5 (საშუალო წლიურად 8,8) პროცენტული ერთეულით, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) 82,0 (საშუალო წლიურად 5,5) პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

ფულის მასის M2 მონეტარული აგრეგატისა და მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტერების დინამიკა *(მლრდ. ლარი)* *ცხრილი#1*

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ფულის მასა-მონეტარული აგრეგატი M2 *	2,96	3,76	4,1	5,42	5,91	5,69	6,53	8,35	9,68	11,23	13,66	16,11	19,77	25,23	27,79	34,89
ზრდა/კლება 2010=100%	100,0	127,0	138,5	183,2	199,7	192,2	220,6	282,1	327,0	379,4	461,5	544,3	667,9	852,4	938,9	1178,7
ზრდა წინა წელთან	-	27,0	9,0	32,3	9,0	-3,7	14,8	27,9	15,9	16,0	21,6	17,9	22,7	27,6	10,1	25,5
ზრდა/კლება 2015=100%	-	-	-	-	-	100,0	114,8	146,7	170,1	197,4	240,1	283,1	347,5	443,4	408,4	613,2
ზრდა წინა წელთან	-	-	-	-	-	-	14,8	27,9	15,9	16,0	21,6	17,9	22,7	27,6	10,1	25,5
მშპ მუდმივ 2019 წლის ფასებში**	**31,4**	**33,9**	**36,2**	**38,0**	**39,6**	**40,9**	**42,3**	**44,5**	**47,2**	**49,7**	**46,6**	**51,6**	**57,2**	**61,7**	**67,7**	**72,7**
ზრდა/კლება 2010=100%	100,0	108,0	115,3	121,0	126,1	130,3	134,7	141,7	150,3	158,3	148,4	164,3	182,2	196,5	215,6	231,5
ზრდა წინა წელთან	-	8,0	15,3	21,0	26,1	30,3	3,4	5,2	6,1	5,3	-6,2	10,7	10,9	7,9	9,7	7,4
ზრდა/კლება 2015=100%	-	-	-	-	-	100,0	103,4	108,8	115,4	121,5	113,9	126,2	139,9	150,9	165,5	177,8
ზრდა წინა წელთან	-	-	-	-	-	-	3,4	5,2	6,1	5,3	-6,2	10,7	10,9	7,9	9,7	7,4
სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010=100	106,1	108,3	106,8	109,3	111,5	116,9	119,6	127,0	129,0	138,0	141,3	161,0	176,9	177,6	181,0	188,1

ნომინალური მშპ მიმდინარე ფასებში **	-	-	-	-	-	***34,5***	***36,6***	***41,3***	***45,4***	***49,7***	***49,8***	***60,7***	***72,9***	***80,9***	***93,0***	***104,6***
ზრდა/კლება 2015=100%	-	-	-	-	-	*100,0*	*106,1*	*119,7*	*131,9*	*144,1*	*144,3*	*175,9*	*211,3*	*234,5*	*269,6*	*303,2*
ზრდა წინა წელთან	-	-	-	-	-	-	*6,1*	*12,8*	*9,9*	*9,5*	*0,2*	*21,9*	*20,1*	*11,0*	*15,0*	*12,5*
ეკონომიკის მონეტიზების (მარშალის) კოეფიციენტი M2/ნომინალური მშპ	-	-	-	-	-	***16,49***	***17,84***	***20,22***	***21,32***	***22,6***	***27,48***	***26,54***	***27,11***	***31,19***	***29,88***	***33,36***
ზრდა/კლება 2015=100%	-	-	-	-	-	*100,0*	*108,2*	*122,6*	*129,3*	*137,1*	*166,5*	*160,9*	*164,4*	*189,1*	*181,2*	*202,3*
ზრდა წინა წელთან	-	-	-	-	-	-	*8,2*	*13,3*	*5,4*	*6,0*	*21,6*	*-3,42*	*2,1*	*15,0*	*-4,2*	*11,6*

*წყარო: * საქართველოს ეროვნული ბანკი https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data;*
*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2024 წლის წელიწდეულის ტექსტით (კორექტირეული), აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp;* https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

მაშინ როცა, 2015-2025 წლების განმავლობაში, ფულის მასის M2 აგრეგატის 513,2 (საშუალო წლიურად 51,3) პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში, მუდმივ (2019 წლის) ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი 77,8 (საშუალო წლიურ 7,8) პროცენტულ ერთეულს, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) ზრდა 71,2 (საშუალო წლიურ 7,1) პროცენტულ ერთეულს უტოლდება.

როგორც ვხედავთ, 2010-2025 წლების განმავლობაში ფულის მასის M2 აგრეგატის 71,9 პროცენტული ერთეულით საშუალო წლიური ზრდის პირობებში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლები შესაბამისად, 8,8 და 5,5 პროცენტული ერთეულის დონეზე ფიქსირდება.

ხოლო 2015-2025 წლებში ფულის მასის M2 აგრეგატის საშუალო წლიური ზრდის უფრო დაბალი ტემპით (51,3 პროცენტული ერთეულით) ზრდის პირობებში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელის პრაქტიკულად 2010-2025 წლების (7,8%-ის) დონეზე არსებობის პირობებში, ინფლაციის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალ-7,1 პროცენტული ერთეულის დონეზე ფიქსირდება.

ამდენად, ცხრილი#1-ით წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად ქვეყანაში ფულის მასის M2 აგრეგატის ზრდის ტენდენციები პირდაპირპროპორციულად არ აისახება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) ზრდის მაჩვენებელზე და სავსებით შეესაბამება აღნიშნულ პარამეტრებს შორის უპირობო-ცალსახა კორელაციის არ არსებობის თაობაზე მრავალრიცხოვან ეკონომიკურ პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებების ძირითად არგუმენტად ეკონომისტთა ფართო წრეებისათვის კარგად ცნობილი, მარშალის ტოლობის ის ეკონომიკური ლოგიკა სახელდება რომლის შესაბამისად ქვეყანაში ფასების დონის ზრდის (ინფლაციის) მაპროვოცირებელ ფაქტორად, არა მხოლოდ მიმოქცევის არხებში არსებული ფულის მასის ზრდა, არამედ ფულის მასისა და მისი ბრუნვის სიჩქარის კომბინირებული (ნამრავლის) მაჩვენებლის, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე გადამეტების ფაქტის არსებობაა მიჩნეული.

ზემოაღნიშნული გარემოების და იმ საყოველთაოდ აღიარებული მიდგომის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად ფულის მასის M2 აგრეგატისა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობის, ანუ ქვეყნის ეკონომიკის მონეტიზების (მარშალის) კოეფიციენტის გარკვეულ (განვითარებადი ქვეყნებისათვის

დამახასიათებელზე მაღალ) დონეზე არსებობა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად არის მიჩნეული, საქართველოს ეკონომიკის მონეტიზების კოეფიციენტის გამოკვეთილი ზრდის ცხრილი#1-ით წარმოდგენილი ტენდენციები ერთი შეხედვით მეტად პოზიტიურ მოვლენად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური მოვლენისა თუ პროცესის შედეგებისათვის დამახასიათებელ მრავალწახნაგოვან (ხშირად ურთიერთ საპირისპირო) ბუნებას, 2015-2025 წლების განმავლობაში ფულის მასის M2 აგრეგატის მეტად მაღალი ტემპით, (513,2% პროცენტული ერთეულით) ზრდა და აღნიშნული პროცესის ამავე პერიოდის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის (203,3%) მაჩვენებლზე მნიშვნელოვანი გადამეტებით გამოწვეული, ეკონომიკის მონეტიზების კოეფიციენტის თითქმის გაორმაგების, (19,49-დან, 33,36-მდე ზრდის) ფატის არსებობა, სავსებით შესაძლებელია ინფლაციის მაღალი დონის მაპროვოცირებელ ფაქტორად იქნეს მიჩნეული.

2015-2025 წლების განმავლობაში ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის 71,2 (საშუალო წლიურად 7,21) პროცენტული ერთეულით ზრდის (ინფლაციის) მტკივნეულ პროცესს, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მნიშვნელოვნად ამწვავებს პირველადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების, (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2026 წლის იანვარში-10,6%-ით; თებერვალში-9,5%-ით; ხოლო მარტსა და აპრილში 7,5%-ით (საქსტატი 2026), ზრდის ფაქტების არსებობა.

აღნიშნული გარემოება ჩვენი აზრით განსაკუთრებულ აქტუალობას ძენს ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებას, საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის:- „...,ანუ აგფლაციის-აგრარული ინფლაციის, სამომხმარებლო ფასების ინდექსისგან (CPI-გან) ცალკე გაანგარიშების“ (გარაყანიძე ზ. 2026, 22) აუცილებლობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი დღის წესრიგში აყენებს ინფლაციასთან ბრძოლის მეთოდების დივერსიფიცირების, მათ შორის მიმოქცევის არხებში არსებული მზარდი ფულის მასის გარკვეული ნაწილის სამომხმარებლო ფასებზე ზეწოლის არეალიდან სამეწარმეო სფეროში „გადამისამართების“ საკითხს.

აღნიშნულის პარალელურად თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის ეკონომიკის საბაზო დარგის-ენერგეტიკის სფეროში უკანასკნელ (2015-2025) წლებში განვითარებულ ტენდენციებს. (იხ. ცხრილი#2) კერძოდ, ელექტროენერგიის მოხმარების 34 პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში, მისი წარმოების მხოლოდ 27,7 პროცენტული ერთეულით ზრდის ფონზე, ექსპორტის 22,5%-ით შემცირებისა და იმპორტის 122,8 პროცენტული ერთეულით ზრდის ფაქტების არსებობას, მიმოქცევის არხებში არსებული მზარდი ფულის მასის გარკვეული ნაწილის ელექროგენერაციის ობიექტების შექმნა-ფუნქციონირების მიზნით გამოყენების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება ქვეყნის ხელისუფლების საქმიანობის ლოგიკურ მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი *(მლნ. კვტ.სთ.)* *ცხრილი#2*

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
გამომუშავება სულ	*10 832,6*	*11 573,6*	*11 530,4*	*12 148,6*	*11 856,8*	*11 159,8*	*12 645,0*	*14 246,5*	*14 395,8*	*14 234,1*	*13 837,7*
ზრდა/კლება 2015=100%	*100*	*106,8*	*106,4*	*112,1*	*109,5*	*103,0*	*116,7*	*131,5*	*132,9*	*131,4*	*127,7*
ჰიდრორესურსები	*8 453,8*	*9 329,2*	*9 209,6*	*9 949,3*	*8 931,7*	*8 248,2*	*10 182,1*	*10 771,3*	*10 863,2*	*11 344,4*	*10 986,6*
ზრდა/კლება 2015=100%	*100*	*110,4*	*108,9*	*117,7*	*105,7*	*97,6*	*120,4*	*127,4*	*128,5*	*134,2*	*130,0*

იმპორტი	*699,2*	*478,9*	*1 497,2*	*1 508,8*	*1 626,5*	*1 610,1*	*2 006,2*	*1 533,2*	*789,8*	*1 227,5*	*1 557,5*
ზრდა/კლება 2015=100%	*100*	*68,5*	*214,1*	*215,8*	*232,6*	*230,3*	*286,9*	*219,3*	*112,9*	*175,6*	*222,8*
მოხმარება სულ	*11 041,7*	*12 435,3*	*12 815,0*	*13 197,8*	*13 144,7*	*12 412,6*	*15 327,8*	*14 808,6*	*13 717,3*	*14 414,3*	*14 884,1*
ზრდა/კლება 2015=100%	*100*	*112,6*	*116,1*	*119,5*	*119,0*	*112,4*	*138,8*	*134,1*	*124,2*	*130,5*	*134,4*
ექსპორტი	*659,9*	*559,0*	*685,7*	*588,6*	*243,4*	*153,8*	*391,0*	*971,1*	*1 468,4*	*1 047,4*	*511,2*
ზრდა/კლება 2015=100%	*100*	*84,7*	*103,9*	*89,2*	*36,9*	*23,2*	*59,3*	*147,2*	*222,5*	*158,7*	*77,5*

წყარო: ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი https://esco.ge/ka/energy-balance/by-year-1/elektroenergiis-balansi

დასკვნა

მიმოქცევის არხებში არსებული, ინფლაციის მასტიმულირებელი მზარდი ფულის მასის გარკვეული ნაწილის ელექტროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობა-ამოქმედებისათვის გამოყენების პროცესის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „სახელმწიფო და კერძო სექტორის (ფიზიკური და იურიდიული პირების) ერთობლივი ძალისხმევით ჰიდროგენერაციის ახალი ობიექტების შექმნა-ფუნქციონირების სპეციალური მიზნობრივი პროგრამების შემუშავება. (ჭელიძე დ. 2007, 30-31)

რისთვისაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დროის მაქსიმალურად მოკლე მონაკვეთში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჰიდროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობა-ფუნქციონირების ტექნიკო-ეკონომიკურად დასაბუთებული და კომერციულად მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების შემუშავება.

აღნიშნული პროექტების პირველი ეტაპის დაფინანსება, საბიუჯეტო სახსრების პარალელურად სავსებით შესაძლებლია განხორციელებული იქნეს „საქართველოს საპენსიო ფონდში აკუმულირებული ფინანსური სახსრების გამოყენებით“ (ჭელიძე დ. 2021 გვ.117). ამ სახსრების მესაკუთრე ფიზიკური პირების თანხმობისა და მათთვის ჰიდროგენერაციის მშენებარე ობიექტებში (მათი თანხების ადეკვატური) წილების (აქციების) გადაცემის მექანიზმის ამოქმედებით.

ჰიდროგენერაციის ახალი ობიექტების სრულფასოვანი ფორმირებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიება ასევე შესაძლებელია განხორციელებული იქნეს აღნიშნული პროექტების აქციების, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საჯარო განთავსების გზით. რაც გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს „მიმოქცევის არხებში არსებული-ინფლაციური დატვირთვის მატარებელი, ჭარბი ფინანსური სახსრების სამეწარმეო სექტორში მოზიდვის პროცესს, მნიშვნელოვნად სრულყოფს აღნიშნული ობიექტების სამომავლო ფუნქციონირების პროცესზე მიუკერძოებელი საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის ამოქმედებას“ (ჭელიძე დ. 2007, 30-31).

გამოყენებული ლიტერატურა

მენქიუ გრეგორი ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, 2000, გვ. 636-637

თოდრაძე გ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგია და დანერგვის თავისებურებანი ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, 2020 #1 გვ.

გარაყანიძე ზ. „სურსათის ხელმისაწვდომობის (აგფლაციის) მაჩვენებლის გაანგარიშების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“ #1 2026 გვ. 22-36

ჭელიძე დ. „საქართველოს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური (მათ შორის საბიუჯეტო) პარამეტრების დინამიკა, არსებული პრობლემები და მათი დაძლევის ზოგიერთი მიმართულება“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიის განვითრების პრობლემები პანდემიისაა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“ მასალები 2023 გვ. 403

ჭელიძე დ. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ტენდენციები და ხარჯვითი ნაწილის სრულყოფის ზოგიერთი მიმართულება“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“ #2 2025 გვ. 48-56

ჭელიძე დ. „საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“ ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი «კომერსანტი»#2(3) თბილისი 2007გვ.30-31

ჭელიძე დ. „ინფლაცია და მისი რეგულირების ზოგიერთი მიმართულება“ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული # 3., თბილისი 2021 გვ.107-118

Economics: Principles, Problems, and Policies FOURTEENTH EDITION CAMPBELL R. McCONNEL Professor of Economics, Emeritus Univerity of Nebraska STANLEY L. BRUE Professor of Economics Pacific Lutheran Univerity pege 134

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი. https://nbg.gov.ge/

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდი. https://mof.ge/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ გვერდი https://www.economy.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი https://www.geostat.ge/ka

1ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერეტორი https://esco.ge/ka/energy-balance/by-year-1/

[1] სტატიაში აღნიშნული მიდგომების საფუძველზე ზრდის ნიშნით კორექტირებულმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებმა, გარდა იმისა რომ შეუძლებელი გახადა საქართველოს 1996 წლის ბიუჯეტის შესახებ პირველი წლიური კანონის მიღებიდან დღემდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი დროითი (დინამიური) მწკრივის სახით წარმოდგენის შესაძლებლობა, ფორმალურად „გაუმჯობესა“ საქართველოს მთავრობის ვალის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან თანაფარდობის ფაქტობრივი მაჩვენებლები. რაც ჩვენი აზრით სათანადო შესწავლა-ანალიზისა და რეაგირების საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

[2] საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1996-2018 წლების მონაცემების ანგარიშთა 1993 წლის (SNA 1993), ხოლო 2010-2022 წლების ანგარიშთა 2008 წლის (SNA 2008) მეთოდოლოგიით გაანგარიშების პარალელურად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2024 წლის პუბლიკაციაში, მთლიანი შიდა პროდუქტის 2015-2022 წლების მონაცემების (ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით) ადრე გამოქვეყნებულზე მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობით გამოქვეყნების ფაქტმა შექმნა სიტუაცია რომლის პირობებშიც 1996 წლიდან დღემდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემები სამი, კერძოდ: 1996-2018; 2010-2022 და 2015-2025 წლების ურთიერთ არარელევანტული დროითი მწკრივების სახით არის წარმოდგენილი.

The Allocation of Excess Money Supply in Circulation Channels to Investment Projects as an Instrument for Combating Inflation

Levan Chelidze
Senior Specialist
Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia
levanchelidze@gmail.com

David Chelidze
Doctor of Economics, Visiting Lecturer
St. Andrew the First-Called Georgian
University of the Georgian Patriarchate
d_chelidze14@yahoo.com

Summary

The paper addresses the problems arising from changes in calculation methodology and from the revisions to GDP estimates introduced by the National Statistics Office of Georgia in its 2024 publication. Along with highlighting the difficulties associated with presenting the country's gross domestic product (GDP) as a single time series from the adoption of the first State Budget Law denominated in the national currency to the present, the paper emphasizes the necessity of overcoming these challenges. Based on the presentation and comparative analysis of two time series of GDP at constant prices, the M2 monetary aggregate, and the consumer price index (inflation), the paper advances the view that increases in the money supply do not exert a direct influence on either GDP growth or inflation rates. Taking into account the high rate of growth of the money supply (513.2%) during the period under review, which substantially exceeded the growth rate of nominal GDP (203.3%), and considering the almost twofold increase in the monetization coefficient of the economy, the paper proposes that this phenomenon should be regarded as one of the factors stimulating inflation. Given the high rates of increase in food and non-alcoholic beverage prices during the latest period (January–April 2026), the paper supports the opinion of a number of economists regarding the desirability of calculating food price inflation (agricultural inflation) separately. Alongside the policy instruments available to the National Bank, the paper considers it appropriate to utilize part of the excess money supply circulating in the economy to finance the construction and operation of new hydropower generation facilities. It is further proposed that the initial stage of technically justified and commercially attractive projects be financed through resources accumulated in the Georgian Pension Fund and financial resources available in the private sector.

Key words: growth in money supply, design of hydropower facilities.

ფისკალური მულტიპლიკატორი გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: საქართველოს მაგალითზე

თორნიკე კოხრეიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tornike.kokhreidze598@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია. *ნაშრომი იკვლევს ფისკალური მულტიპლიკატორის სიდიდეს საქართველოში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში. 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულში მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია - ვაჭრობის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების პოლიტიკურ ხაზებზე გადანაწილება - განსაკუთრებულ გამოწვევას უქმნის მცირე ღია ეკონომიკებს, მათ შორის საქართველო ეკონომიკას, რომელიც რეგულარულად განიცდის გარე შოკების ზემოქმედებას. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რამდენად ეფექტიანია ფისკალური პოლიტიკა ამ ზემოქმედების შესარბილებლად? კვლევის მიზანია ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასება საქართველოსთვის და იმის დადგენა, იცვლება თუ არა მისი სიდიდე ფრაგმენტაციით განპირობებული შოკების პირობებში. ნაშრომში მულტიპლიკატორის თეორიისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების (განდევნის ეფექტი, რიკარდოსეული ეკვივალენტობა, მდგომარეობაზე დამოკიდებულება) მიმოხილვასთან ერთად გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია წარმოდგენილია გარე შოკის თანამედროვე ფორმად და გაანალიზებულია საქართველოსთვის მისი სამი ფრაგმენტირებული ეპიზოდი (2008, 2020, 2022).*

საკვანძო სიტყვები: *ფისკალური პოლიტიკა, მულტიპლიკატორი, გეოპოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკა*

შესავალი

კვლევის აქტუალურობა

21-ე საუკუნის მესამე ათწლეული მსოფლიო ეკონომიკისთვის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ნიშნით მიმდინარეობს. ვაჭრობის, კაპიტალის ნაკადებისა და ტექნოლოგიების პოლიტიკურ-სტრატეგიულ ხაზებზე გადანაწილება გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალწლიან ტენდენციას უპირისპირდება და მაკროეკონომიკური მართვის ახალ გამოწვევებს წარმოშობს (Aiyar et al., 2023). ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია მცირე ღია ეკონომიკებისთვის, რომელთა სტაბილურობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული საგარეო ვაჭრობასთან, კაპიტალის შემოდინებასა და გარე დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან.

საქართველო, როგორც მცირე, ღია და რეგიონული შოკებისადმი მოწყვლადი ეკონომიკა, სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკურ დინამიკას არაერთხელ შეუცვალა ტრაექტორია გარე წარმოშობის შოკებმა, როგორებიცაა სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა, რეგიონული ფინანსური რყევები და გლობალური პანდემია. ასეთ პირობებში წინა პლანზე იწევს კითხვა: რამდენად ეფექტიანად შეუძლია სახელმწიფოს ფისკალური ინსტრუმენტებით შეარბილოს გარე შოკების მაკროეკონომიკური ეფექტი?

კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანია საქართველოსთვის ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასება გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად და რა მიმართულებით იცვლება მისი სიდიდე ფრაგმენტაციით გამოწვეული გარე შოკების ზეგავლენით.

კვლევის ამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომი ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- ფისკალური მულტიპლიკატორის თეორიული საფუძვლებისა და მისი სიდიდის განმსაზღვრელი ფაქტორების მიმოხილვა;
- გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის, როგორც გარე შოკის თანამედროვე ფორმის, კონცეპტუალიზაცია და საქართველოს ფრაგმენტირებული ეპიზოდების (2008, 2020, 2022) ანალიზი;

ფისკალური მულტიპლიკატორის თეორიული მიმოხილვა

ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას წარმოადგენს. იგი ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების მეშვეობით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. მისი თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბდა დიდი დეპრესიის პერიოდში, როდესაც კლასიკური დოქტრინის წარმოდგენა ბაზრის თვითრეგულირებად ბუნებაზე ემპირიულ რეალობას დაუპირისპირდა. ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მულტიპლიკატორი. ფისკალური მულტიპლიკატორი ასახავს ფისკალური ინსტრუმენტების (სახელმწიფო დანახარჯების ან გადასახადების) ცვლილებით გამოწვეულ ზეგავლენას ეკონომიკის გამოშვებაზე. (Spilimbergo et al., 2009). მულტიპლიკატორის იდეა პირველად კანმა შემოიტანა დასაქმების ანალიზის კონტექსტში (Kahn, 1931), ხოლო მისი სრული ინტეგრაცია ერთობლივი მოთხოვნის თეორიაში კეინზს ეკუთვნის (Keynes, 1936).

მექანიზმის არსი ისაა, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება იმპულს წარმოშობს: საწყისი იმპულსით მიღებული შემოსავლის ნაწილი მოხმარებაზე იხარჯება და სხვისი შემოსავალი ხდება. შედეგად, წონასწორული გამოშვების ცვლილება საწყის იმპულსს აღემატება. ზუსტად ეს ნამეტი წარმოადგენს ფისკალურ მულტიპლიკატორს. ერთზე მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ფისკალური ჩარევა ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ხოლო ერთზე დაბალი ან უარყოფითი მნიშვნელობა მის სუსტ ან თვითდამთრგუნველ ეფექტზე მეტყველებს.

საყურადღებოა, რომ მულტიპლიკატორი არ არის უცვლელი სიდიდე. მისი რეალური მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ მაკროეკონომიკურ გარემოზე, რომელშიც ფისკალური იმპულსი მოქმედებს. ამიტომ მულტიპლიკატორის ანალიზი არ შემოიფარგლება მისი საშუალო სიდიდის შეფასებით და საჭიროა იმ ეფექტების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ ფისკალურ მულტიპლიკატორზე.

პირველი რიგში, განვიხილოთ განდევნის ეფექტი (crowding out). IS-LM მოდელში სახელმწიფო დანახარჯების ზრდა (გადასახადების შემცირება) ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც ნაწილობრივ ანეიტრალებს კერძო ინვესტიციებს და ამცირებს მულტიპლიკატორს. შესაბამისად, ფისკალური ეფექტი მნიშვნელოვნად არის განპირობებული მონეტარული პოლიტიკის რეაქციით: რაც უფრო აკომოდაციურია მონეტარული პოზიცია, მით უფრო დიდია ფისკალური მულტიპლიკატორი. სწორედ ამიტომ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს სტაბილიზაციის ეფექტიანობაში, რაც საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის კონტექსტშიც გამოკვეთილია (ბოლქვაძე, 2009; კოხრეიძე, 2023).

საინტერესოა, ასევე, ნეოკლასიკური კრიტიკა. რიკარდოსეული ეკვივალენტობის ჰიპოთეზის მიხედვით, წინმსწრები აგენტები სახელმწიფო ხარჯების ვალით დაფინანსებას მომავალი საგადასახადო ტვირთის ზრდად აღიქვამენ და ზრდიან მიმდინარე დანაზოგს, რაც ანეიტრალებს ფისკალური სტიმულის გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე (Barro, 1974). ეს ეკვივალენტობა მხოლოდ მკაცრი დაშვებების პირობებში მოქმედებს, რომელთა დარღვევაც ფისკალურ პოლიტიკას რეალურ ეფექტს უბრუნებს (ბლანშარი, 2022).

თანამედროვე ფისკალური თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური მიგნებაა მულტიპლიკატორის არაწრფივობა, ანუ მისი დამოკიდებულება ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობაზე. აუერბახმა და გოროდნიჩენკომ აჩვენეს, რომ ფისკალური მულტიპლიკატორი რეცესიის პერიოდში არსებითად აღემატება აღმავლობის პერიოდის მულტიპლიკატორს: პირველ შემთხვევაში იგი ხშირად ერთეულზე მაღალია, ხოლო მეორეში ნულისკენ ისწრაფვის (Auerbach & Gorodnichenko, 2012). ეს განპირობებულია იმით, რომ რეცესიის დროს ეკონომიკაში არსებობს გამოუყენებელი რესურსები და განდევნის ეფექტი სუსტია, რის გამოც სახელმწიფო ხარჯვა უფრო სრულად გარდაიქმნება დამატებით გამოშვებად. ანალოგიური დასკვნები დადასტურდა OECD-ის ქვეყნების მონაცემებზეც (Auerbach & Gorodnichenko, 2013).

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, გარე შოკები და ფისკალური მულტიპლიკატორი

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის დაშლას ცალკეულ, პოლიტიკურ-სტრატეგიული ნიშნით გაერთიანებულ ბლოკებად, რასაც თან ახლავს ვაჭრობის, კაპიტალის ნაკადების, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მიმოცვლის შეზღუდვა. ეს პროცესი გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის საპირისპიროა და ვლინდება სავაჭრო ბარიერების ზრდით, საწარმოო ჯაჭვების რეგიონალიზაციით, სანქციებითა და კაპიტალის ნაკადების პოლიტიკური მოტივებით გადანაწილებით (Aiyar et al., 2023). მცირე ღია ეკონომიკისთვის ფრაგმენტაცია გარე წარმოშობის შოკის სახეს იღებს, რომელიც ვაჭრობის, გაცვლითი კურსისა და კაპიტალის ნაკადების არხებით გადაეცემა შიგა ეკონომიკას.

საქართველო ამ პროცესისადმი განსაკუთრებით მოწყვლადია გეოგრაფიული მდებარეობის, რეგიონულ ვაჭრობის, სატრანზიტო ნაკადებზე დამოკიდებულებისა და მეზობელ ეკონომიკებთან მჭიდრო კავშირების გამო. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა რამდენიმე გარე შოკმა ჩააგდო კრიზისულ რეჟიმში; ეს შოკები წარმოშობით განსხვავებულია, თუმცა მათ საერთო თვისება აქვთ. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ სამ ასეთ პერიოდს.

2008 წლის ომი. რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანმა ომმა გეოპოლიტიკური შოკი წარმოშვა: მკვეთრად შემცირდა ინვესტორთა ნდობა, შეფერხდა კაპიტალის შემოდინება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხოლო მის ნეგატიურ ეფექტს დაერთო იმავე პერიოდს დამთხვეული გლობალური ფინანსური კრიზისიც. ეს ეპიზოდი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია რეგიონულ სამხედრო-პოლიტიკურ დაძაბულობას გამოიწვიოს კაპიტალის ნაკადების უეცარი შეჩერება და გარე დაფინანსების პირობების გაუარესება (Kaminsky et al., 2004).

2020 წლის პანდემია. COVID-19-ის პანდემია წარმოშობით გლობალური და არა გეოპოლიტიკური შოკი იყო, თუმცა იგი ფრაგმენტაციის ფართო ტენდენციის ფონზე გაიშალა და საწარმოო ჯაჭვებისა და საერთაშორისო მობილურობის მოწყვლადობა ცხადყო. საქართველოსთვის ეს შოკი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ტურიზმსა და საგარეო მოთხოვნაზე მაღალი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოშვების მნიშვნელოვანი შემცირება და მასშტაბური ფისკალური რეაქცია გამოიწვია (მიქელაძე, ნ., 2023).

2022 წლის ომი. რუსეთ-უკრაინის ომმა და მის თანმდევმა სანქციებმა რეგიონული ეკონომიკური ლანდშაფტი გარდაქმნა: შეიცვალა სავაჭრო და სატრანზიტო ნაკადების მიმართულება, გაიზარდა ალტერნატიული დერეფნების როლი და საქართველოში შემოვიდა

მიგრანტებისა და ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაკადი. ამ შოკის თავისებურება ისაა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში მან ეკონომიკურ აქტივობასა და ვალუტის კურსზე ექსპანსიური ეფექტიც კი იქონია, თუმცა ერთდროულად გაზარდა გაურკვევლობა და გარე მოწყვლადობა. სწორედ ეს ეპიზოდი აჩვენებს ყველაზე ნათლად, რომ გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია მცირე ღია ეკონომიკაზე ერთმნიშვნელოვნად კი არ მოქმედებს, არამედ ერთდროულად რამდენიმე, ხშირად საპირისპირო მიმართულების არხს ააქტიურებს.

ამდენად, მნიშვნელოვანია დავადგინოთ იცვლება თუ არა (და თუ იცვლება რამდენით) ფისკალური მულტიპლიკატორის სიდიდე გეოფრაგმენტაციით გამოწვეული გარე შოკების ზეგავლენით.

ფისკალური მულტიპლიკატორის გამოთვლა საქართველოსთვის

ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასების რამდენიმე გზა არსებობს. მაგალითად, სიმულაციის მეთოდი, საქმის შესწავლის (ე.წ "case study"), სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის (SVAR), მომხმარებლის ქცევის ეკონომეტრიკული მეთოდი, მდგომარეობაზე დამოკიდებული ლოკალური პროექცია ინსტრუმენტული ცვლადებით (state-dependent LP-IV) და სხვა. აქედან თითოეულს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი, ამიტომ მათი გამოყენება დამოკიდებულია კვლევის მიზანზე. კერძოდ, ზოგადი სურათის დასადგენად, როგორც წესი, იყენებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას. მოცემულ ნაშრომშიც გამოვიყენებთ აღნიშნულ მეთოდოლოგიას, ამიტომ განვიხილოთ მისი არსი.

IMF-ის მეთოდოლოგიის მიხედვით ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლა ხდება სამ ეტაპად. **პირველი ეტაპი** გულისხმობს ქვეყნებზე ქულების მინიჭებას იმის მიხედვით თუ რამდენად დიდია ამ ქვეყანაში კონკრეტული სტრუქტურული მახასიათებლის გავლენა მულტიპლიკატორზე. არსებობს ექვსი ასეთი მახასიათებელი და თითოეულს ენიჭება 0 ან 1 ქულა:

- **ღია ვაჭრობა** - თუ ქვეყნაში იმპორტის თანაფარდობა საერთო მოხმარებასთან მიმართებით არ აღემატება 30%-ს ბოლო 5 წლის განმავლობაში, მაშინ ამ ქვეყანას მიენიჭება 1 ქულა. ზოგადად, მიჩნეულია, რომ დაბალი იმპორტის მქონე ქვეყნებს მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორი გააჩნიათ.
- **ხისტი შრომის ბაზარი** - რაც უფრო ხისტია შრომის ბაზარი, მით უფრო მაღალია მულტიპლიკატორის ზომა. ბაზრის სიხისტე კი, ძირითადად, დაკავშირებულია ქვეყანაში ძლიერი პროფკავშირების არსებობასა და შრომის ბაზრის რეგულაციის სიმკაცრესთან. შესაბამისად, 0 ნიშნავს მოქნილ შრომის ბაზარს, ხოლო 1 ხისტს. აღნიშნული კოეფიციენტი გამოყვანილია ბოუტეროს და სხვების მიერ, რომელთა მიხედვით ზოგადად 0.8-დან 1-მდე ფარგლებში შრომის ბაზარი ითვლება ხისტად (Botero, Djankov, Porta, Lopez-de-Silanes, & Shleifer, 2004)
- **ავტომატური სტაბილიზატორის ზომა** - ავტომატური სტბილიზატორი იზომება სახელმწიფოს დანახარჯების მოცულობის თანაფარდობით ნომინალურ მთლიან სამამულო პროდუქტთან (GDP) (Cottarelli & Fedelino, 2010). თუ ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, მაშინ ქვეყანას ეწერება 1 ქულა. თუ ავტომატური სტაბილიზატორის მოცულობა მაღალია, მაშინ ფისკალური პოლიტიკის თავდაპირველ ცვლილებას სტაბილიზატორი აბათილებს და ფისკალური მულტიპლიკატორის ზომა მცირდება.
- **გაცვლითი კურსის რეჟიმი** - თუ ქვეყანას აქვს ფიქსირებული გაცვლითი კურსი, მაშინ მისი ფისკალური მულტიპლიკატორი შედარებით მაღალია. ამასთან, თუ ქვეყანა საერთო სავალუტო ზონაში არის გაწევრიანებული მას ენიჭება 1 ქულა.
- **სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონე** - მიჩნეულია, რომ ქვეყნები, რომლებსაც მაღალი სახელმწიფო ვალი აქვთ, დაბალი ფისკალური მულტიპლიკატორით

ხასიათდებიან. შესაბამისად, თუ ქვეყნის სახელმწიფო ვალი ნაკლებია უსაფრთხო დონეზე, მასე ენიჭება 1 ქულა. საინტერესოა, უშუალოდ უსაფრთხოების დონის დადგენა. განვითარებული ქვეყნებისთვის, თუ სახელმწიფო ვალის წილი GDP-ში არ აღემატება 100%-ს, მაშინ იგი უსაფრთხოდ ითვლება. განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი ვარირებს 35%-დან 70%-მდე. კვლევებში ყველაზე პოპულარული არის 40%-ის აღება, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის ინსტიტუციურ ტევადობაზე (capacity)[1]. თუ იგი სუსტია, მაშინ ოპტიმალური იქნება 35 პროცენტის აღება, ზოგადი სურათის აღწერისთვის აიღება 40%-ს, საშუალოსთვის 55%, ხოლო მაღალი ტევადობისთვის 70%.

• **სახელმწიფო დანახარჯების მართვისა და შემოსავლების ადმინისტრირების ეფექტიანობა** - დანახარჯების შეფასება ეფუძვნება სახელმწიფო დანახარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულებების შესრულების სისტემას (PEFA). რაც შეეხება შემოსავლის ადმინისტრირებას, იგულისხმება, დაგეგმილ და ფაქტობრივ შემოსავლებს შორის სხვაობა. თუ აღნიშნული სხვაობა დაბალია, 1 ქულა იწერება. ითვლება, რომ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ფინანსების მართვა არაეფექტიანია, ფისკალური მულტიპლიკატორის დონე დაბალია.

მეორე ეტაპი გულისხმობს პირველი ეტაპის დროს მიღებული ქულების შეჯამებასა და ფისკალური მულტიპლიკატორის სავარაუდო დიაპაზონის დადგენას. ჯამური ქულების მიხედვით ქვეყნები იყოფა დაბალი [0-3], საშუალო (3-4] და მაღალი (4-6] ფისკალური მულტიპლიკატორის ეფექტის მქონე ქვყენებად. თითოეულ კატეგორიას შეესაბამება მულტიპლიკატორის დიაპაზონი, კერძოდ, დაბალქულიან ქვეყნებს შეესაბამება მულტიპლიკატორის მნიშვნელობა, რომელიც მდებარეობს 0.1-0.3 შუალედში, საშუალოსთვის ეს დიაპაზონი არის 0.4-0.6, ხოლოდ მაღაქულიანი ქვეყნებისთვის 0.7-1. აღნიშნული გულისმობს, რომ თუ, სხვა თანაბარ პირობებში, დაბალი მულტიპლიკატორის მქონე ქვეყანა შეამცირებს გადასახადს ან გაზრდის სახელმწიფო დანახარჯებს 1 ფულადი ერთეულით, გამოშვება შეიცვლება 0.1 ფულადი ერთეულიდან - 0.3 ფულად ერთეულამდე. ანალოგიურად, საშუალოსთვის ეს იქნება 0.4-დან 0.6 ფულად ერთეულამდე, ხოლოდ მაღლისთვის 0.7-დან 1 ფულად ერთეულამდე.

მესამე და ბოლო ეტაპი არის კონიუნქტურული (დროებითი) მახასიათებლების შეფასება. ამ დროს ხდება ზემოთ მინიჭებული ქულების კორექტირება საქმიანი ციკლისა და მონეტარული პოლიტიკის პოზიციის მიხედვით. კერძოდ, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური აქტივობის შენელბის დროს მულტიპლიკატორის მნიშვნელობა იზრდება, რადგან ამ დროს ფისკალური ექსპანსიით ხდება არსებული რესურსების მაქსიმალურად ათვისება. საყურადღებოა, რომ თუ ქვეყანა იმყოფება ციკლის მინიმუმის წერტილში გამოშვების გარღვევის (ანუ სხვაობა რეალურ და პოტენციურ GDP-ს შორის) მნიშვნელობა მაღალია და უარყოფითია. ამ დროს მულტიპლიკატორის ინტერვალები იზრდება 60%-ით. ხოლო თუ ეკონომიკა იმყოფება საქმიანი ციკლის პიკში,რეალური GDP ბევრად აღემატება პოტენციურს, შესაბამისად გამოშვების გარღვევა დადებითი და მაღალი სიდიდეა. აღნიშნული იწვევს ფისკალური მულტიპლიკატორის დიაპაზონის შემცირებას 40%-ით. საინტერესოა, ასევე, პერიოდი, როდესაც გამოშვების გარღვევა ნულთან ახლოს არის, ასეთ დროს დიაპაზონის კორექტირება არ ხდება.

მულტიპლიკატორის დიაპაზონის კორექტირება ხდება, ასევე, მონეტარული პოლიტიკის პოზიციის მიხედვით. კერძოდ, თუ მონეტარული პოლიტიკა იმყოფება ეფექტიან ქვედა ზღვრზე[2],

[1] ამ ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს ინსტანციის უნარი და შესაძლებლობა მიიღოს კანონი, შეაგროვოს გადასახადი და ეფექტიანად მიაწოდოს საზოგადოებრივი საქონელი.

[2] იგულისხმება პერიოდი, როდესაც ეკონომიკაში არის დაღმასვლა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შემცირებულია ისეთ დონემდე, რომლის ქვემოთაც შემცირება შეუძლებელია.

მაშინ ფისკალური მულტიპლიკატორის დიაპაზონი იზრდება 30%-ით. სხვა შემთხვევაში დიაპაზონი იზრდება 0-დან 30%-მდე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის გაბათილება.

ამ სამი ეტაპის კომბინირებით მიიღება შემდეგი ფორმულა:

$$M = M_{NT} * (1 + Cycle) * (1 + Mon) \quad (1)$$

სადაც, M არის საბოლოო მულტიპლიკატორის ზომა, M_{NT} - სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით მიღებული მულტიპლიკატორის ზომა, $Cycle$ - ციკლური მახასიათებელი [-0.4; 0.6] ინტერვალით, Mon - მონეტარული მახასიათებელი [0; 0.3] ინტერვალით. აღსანიშნავია, რომ ციკლური მახასიათებელი დამოკიდებულია გამოშვების გარღვევის სიდიდესა და მიმართულებაზე. კერძოდ, როდესაც ფაქტობრივი GDP მცირედით ნაკლებია თავის პოტენციურ დონეზე, მაშინ $Cycle$ იქნება მცირე პოზიტიური სიდიდე, და პირიქით, როდესაც ფაქტობრივი გამოშვება ბევრად აღემატება პოტენციურს ციკლური კომპონენტი -0.4-ის ტოლი იქნება.

ახლა შეგვიძლია გამოვთვალოთ ფისკალური მულტიპლიკატორი საქართველოსთვის.

დავიწყოთ იმპორტისა და მთლიანი სამამულო პროდუქტის შეფარდებით. IMF-ის რეკომენდაციის შესაბამისად ავიღეთ ბოლო 5 წელი შედეგი მოცემულია გრაფიკ 1-ზე. როგორც გრაფიკიდან ჩანს 2021-2025 წლებში, იმპორტის თანაფარდობა GDP-ში აღემატება 30%-ს, შესაბამისად IMF-ის მეთოდოლოგიის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს აქვს ღია ტიპის ეკონომიკა და **მას ენიჭება 0 ქულა.**



გრაფიკი 1: იმპორტის თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან 2021-2025 წლებში
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც ვიცით, საქართველო შრომის ბაზარი არ ხასიათდება მკაცრი რეგულაციებითა და ძლიერი პროფკავშირების არსებობით, **ამიტომ ამ კრიტერიუმში შეგვიძლია დავწეროთ 0 ქულა.**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ავტომატური სტაბილიზატორის გამოსათვლელად გვჭირდება სახელმწიფო დანახარჯების თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქთან. მიღებული შედეგი კი უნდა შევადაროთ 40%-ს. გრაფიკი 2 გვიჩვენებს, სახელმწიფო დანახარჯების თანაფარდობას მთლიან სამამულო პროდუქთან 2021-2025 წლებში. აღმოჩნდა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე 40%-ზე ნაკლებია, რაც ნიშნავს, რომ ავტომატურ სტაბილიზატორებს არ შეუძლია ფისკალური ინსტრუმენტების ეფექტის მნიშვნელოვანი შემცირება. შესაბამისად, **ამ კრიტერიუმში საქართველო იღებს 1 ქულას.**



გრაფიკი 2: სახელმწიფო დანახარჯების თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქთან 2021-2025 წლებში
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გაცვლითი კურსის რეჟიმის შემთხვევაში ყველაფერი მარტივია, რადგან 1997 წლიდან ნაშრომის წერის მომენტისთვის, საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსი. აქედან გამომდინარე **საქართველოს ენიჭება 0 ქულა.**

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის წილს მთლიან სამამულო პროდუქტში, ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა და აქ ვაწყდებით საინტერესო შემთხვევას. რადგან 2021-2023 წლებში აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა მეტია 40 პროცენტზე, ხოლო ბოლო ორი წლის მაჩვენებელი ნაკლებია[3]. მოცემულ ნაშრომეში უპრიანად ჩავთვალეთ აგვეღო ბოლო წლების ტენდეცია იმ დაშვებით, რომ სახელმწიფო ვალის წილის შემცირების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ამიტომ ამ კრიტერიუმით საქართველო შეგვიძლია ჩავთვალოთ შედარებით უსაფრთხო ქვეყნად და **შევაფასოთ 1 ქულით.**



გრაფიკი 3: სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქთან 2021-2025 წლებში
წყარო: https://budgetmonitor.ge/ka/debt

[3] საქართველო მიეკუთვნება განვითარებად ქვეყნებს, შესაბამისად სახელმწიფო ვალის წილი GDP-ში უნდა შევადაროთ 40%-ს.

და ბოლოს, განვიხილოთ საქართველოს მთავრობის დანახარჯების მართვისა და შემოსავლების ადმინისტრირების ეფექტიანობა. 2022 წლის PEFA-ს შეფასებით[4] წარმოდგენილი 31 ინდიკატორებიდან 27 გაუმჯობესდა ან შენარჩუნდა 2018 წლის შეფასებასთან შედარებით (PEFA, 2022). აღსანიშნავია, რომ P-26 შიდა აუდიტი-ინდიკატორის მიხედვით, 2018 წლის შეფასებასთან, რომელიც B+ იყო, 2022 წლის შეფასება გაუმჯობესდა და მას მიენიჭა A ქულა, რაც სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების მეთოდოლოგიის მიხედვით უმაღლეს შეფასებას წარმოადგენს. **ამიტომ ამ კატეგორიაში საქართველოს აქვს 1 ქულა.**

ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე საქართველოს აქვს 3 ქულა, რაც ნიშნავს, რომ პირველადი შეფასებით ფისკალური მულტიპლიკატორის მნიშვნელობა 0.4-დან 0.6-მდე უნდა მერყეობდეს. აქედან გამომდინარე, გადასახადებისა და სახელმწიფო დანხარჯებში გამოწვეული 1 ლარიანი ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს გამოშვების ცვლილებას 0.4-დან 0.6 ლარამდე. თუმცა, როგორც ვიცით, საჭიროა ამ დიაპაზონის კორექტირება.

კორექტირებისთვის აუცილებელია შევაფასოთ საქმიანი ციკლის მდგომარეობა და მონეტარული პოლიტიკის პოზიცია. პირველ შემთხვევაში, როგორც ვახსენეთ, საჭიროა ფაქტობრივი და პოტენციური GDP-ის სხვაობის შესწავლა.

პოტენციური გამოშვების ქვეშ იგულისხმება გამოშვების ის დონე, რომელიც მიიღება წარმოების ფაქტორების სრული გამოყენებისას. ანუ იგი მიიღწევა სრული დასაქმების, სტაბილური ფასების დონისა და რესურსების სრულიად ათვისების შემთხვევაში. მისი შეფასებისთვის გამოიყენება სხხვადასხვა სტატისტიკური მეთოდი (ფილტრი), რომლის დეტალური განხილვა ამ ნაშრომის მიზანს სცდება. სწორედ ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ პოტენციური მთლიანი სამამულო პროდუქტის იმ ფილტრზე, რომელიც გამოვიყენეთ მის გასაანგარიშებლად. ასეთია ჰოდრიკ-პრესკოტის (HP) ფილტრი.

HP ფილტრი შემუშავდა რობერტ ჰოდრიკისა და ედვარდ პრესკოტის მიერ და მისი არსი ისაა, რომ პოტენციური გამოშვების გამოსათვლელად კონკრეტულ დასაკვირვებელ ინტერვალზე გამოიყენება ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების დონეების სხვაობის კვადრატების ჯამის მინიმიზაცია, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება, (იმნაიშვილი, 2010).

2025 წელს პოტენციური GDP-ს დონემ შეადგინა დაახლოებით 5.4%. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა 2025 წელს შეადგინა 7.5%[5]. აქედან გამომდინარე, გამოშვების გარღვევა შეადგენს 2.1%-ს.

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკის პოზიციას, ნაშრომის წერის მომენტისთვის რეფენანსირების განაკვეთი 8.25%-ის ტოლია. იგი არ იმყოფება ნულოვან ზღვარზე, შესაბამისად, მულტიპლიკატორის კორექტირება უნდა მოხდეს 8.25%-ით.

მიღებული შედეგები ჩავსვათ (1)-ში, მივიღებთ:

$$M = [0.4;\ 0.6] * \big(1 + (-0.021)\big) * (1 + 0{,}0825)$$

საიდანაც $M = [0.39; 0.58]$

ამრიგად, გადასახადებისა და სახელმწიფო დანხარჯებში გამოწვეული 1 ლარიანი ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს GDP-ის ცვლილებას 0.39-0.58 ლარით.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში შევაფასეთ ფისკალური მულტიპლიკატორის სიდიდე საქართველოში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში. თეორიულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ

[4] რომელიც ნაშრომის წერის მომენტისთვის წარმოადგენს უახლეს შეფასებას.

[5] ინფორმაცია მოპოვებულია საქსტატის ოფიციალური ვებ-გვერდიდან: https://www.geostat.ge/ka

მულტიპლიკატორის სიდიდე დამოკიდებულია ეკონომიკის ღიაობაზე, განდევნის ეფექტზე, მონეტარული პოლიტიკის რეაქციაზე, სახელმწიფო ვალის დონესა და ეკონომიკის ციკლურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი არაწრფივობა: რეცესიის პერიოდში მულტიპლიკატორი მაღალია, აღმავლობისას კი - დაბალი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამეტაპიანი მეთოდოლოგიით საქართველოს სტრუქტურულმა შეფასებამ 3 ქულა მოგვცა, რასაც შეესაბამება მულტიპლიკატორის დიაპაზონი [0.4; 0.6]. ეკონომიკის მაღალი ღიაობა და მცურავი გაცვლითი კურსი მულტიპლიკატორს ამცირებს, ხოლო დაბალი სახელმწიფო ვალი, ავტომატური სტაბილიზატორის ზომა და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი მართვა - ზრდის. საქმიანი ციკლისა და მონეტარული პოლიტიკის პოზიციის გათვალისწინებით კორექტირებულმა მულტიპლიკატორმა შეადგინა დაახლოებით 0.39–0.58.

ბოლოს, აღსანიშნავია მეთოდოლოგიის შეზღუდვა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მარტივი მეთოდი იძლევა მულტიპლიკატორის სტრუქტურულ შეფასებას და არა მის უშუალო ემპირიულ გაზომვას. სამომავლო კვლევებში შესაძლებელია მულტიპლიკატორის შეფასება ეკონომეტრიკული მეთოდებით, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მულტიპლიკატორის კონკრეტული მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბლანშარი, ო. (2022). მაკროეკონომიკა. თბილისი.

ბოლქვაძე, ბ. (2009). ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი: უნივერსალი.

იმნაიშვილი, მ. (2010). ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრი და პოტენციური გამოშვების შეფასება. თბილისი.

კოხრეიძე, გ. (2023). ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ერთობლივ მოთხოვნაზე ზეგავლენის ეკონომეტრიკული ანალიზი (სამაგისტრო ნაშრომი). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მიქელაძე, ნ. (2023). ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და არსებული გამოწვევები საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში. მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები (გვ. 178–183). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Aiyar, S., Chen, J., Ebeke, C., Garcia-Saltos, R., Gudmundsson, T., Ilyina, A., Kangur, A., Kunaratskul, T., Rodríguez, S., Ruta, M., Schulze, T., Soderberg, G., & Treviño, J. P. (2023). Geoeconomic fragmentation and the future of multilateralism (IMF Staff Discussion Note SDN/2023/001). International Monetary Fund.

Auerbach, A. J., & Gorodnichenko, Y. (2012). Measuring the output responses to fiscal policy. American Economic Journal: Economic Policy, 4(2), 1–27.

Barro, R. J. (1974). Are government bonds net wealth? Journal of Political Economy, 82(6), 1095–1117.

Botero, J. C., Djankov, S., La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., & Shleifer, A. (2004). The regulation of labor. The Quarterly Journal of Economics, 119(4), 1339–1382.

Cottarelli, C., & Fedelino, A. (2010). Automatic stabilizers and the size of government: Correcting a common misunderstanding (IMF Working Paper WP/10/155). International Monetary Fund.

Kahn, R. F. (1931). The relation of home investment to unemployment. The Economic Journal, 41(162), 173–198.

Kaminsky, G. L., Reinhart, C. M., & Végh, C. A. (2004). When it rains, it pours: Procyclical capital flows and macroeconomic policies. NBER Macroeconomics Annual, 19, 11–53.

Keynes, J. M. (1936). The general theory of employment, interest and money. Macmillan.

PEFA. (2022). Public expenditure and financial accountability (PEFA) assessment: Georgia. PEFA Secretariat. https://www.pefa.org

Spilimbergo, A., Symansky, S., & Schindler, M. (2009). Fiscal multipliers (IMF Staff Position Note SPN/09/11). International Monetary Fund.

ბიუჯეტის მონიტორი. სახელმწიფო ვალი. ინფორმაცია მოპოვებულია 20.06.2026წ. https://budgetmonitor.ge/ka/debt

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი. ინფორმაცია მოპოვებულია 20.06.2026წ. https://www.geostat.ge/ka

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტი. ინფორმაცია მოპოვებულია 20.06.2026წ. https://www.mof.ge

Fiscal Multiplier in Conditions of Geopolitical Fragmentation: The Example of Georgia

Tornike Kokhreidze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tornike.kokhreidze598@eab.tsu

Summary

This paper examines the size of the fiscal multiplier in Georgia under conditions of geopolitical fragmentation. In the third decade of the twenty-first century, the fragmentation of the world economy — the reallocation of trade, capital, and technology along political lines — poses particular challenges for small open economies, including the Georgian economy, which is regularly exposed to the impact of external shocks. This logically raises the question: how effective is fiscal policy in mitigating this impact? The study aims to estimate Georgia's fiscal multiplier and to determine whether its magnitude changes under fragmentation-induced shocks. Along with reviewing the theory of the fiscal multiplier and its determinants (the crowding-out effect, Ricardian equivalence, and state dependence), the paper presents geopolitical fragmentation as a contemporary form of external shock and analyzes three of Georgia's fragmentation episodes (2008, 2020, 2022).

Keywords: Fiscal Policy, Multiplier, Geopolitics, Georgian Economy

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის გავლენა საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიულ ტრანსფორმაციაზე: 2019–2025 წლების დინამიკური ანალიზი

დავით ნადირაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი;
ასისტენტ მკვლევარი,
ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
datonadiradze2@gmail.com

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია 2019–2025 წლებში გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული ტრანსფორმაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევა აანალიზებს ექსპორტისა და იმპორტის დინამიკის, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რეიტინგის, კონცენტრაციის დონისა და სასაქონლო სტრუქტურის ცვლილებებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პანდემიით გამოწვეული შოკის შემდეგ საქართველოს საგარეო ვაჭრობა სწრაფად გაფართოვდა; თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება ექსპორტში მოხდა და არა იმპორტში. 2019–2025 წლებში ყირგიზეთმა და ყაზახეთმა მეორეხარისხოვანი პოზიციებიდან ექსპორტის ორი უმსხვილესი დანიშნულების ქვეყნის პოზიციებზე გადაინაცვლეს, ხოლო მსუბუქი ავტომობილების წილმა მთლიან ექსპორტში 2025 წელს 38.6 პროცენტს მიაღწია. ეს მიუთითებს, რომ ექსპორტის თვალსაჩინო რეორიენტაცია განპირობებული იყო არა იმდენად ადგილობრივი წარმოების ფართომასშტაბიანი ტრანსფორმაციით, რამდენადაც რეექსპორტის ზრდითა და რეგიონულ სავაჭრო ქსელებში საქართველოს შუამავლური ფუნქციის გაძლიერებით. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ გეოპოლიტიკურ ფრაგმენტაციას საქართველოს სავაჭრო ღიაობა უბრალოდ არ შეუმცირებია; მან სავაჭრო ნაკადების სივრცითი მიმართულებები გადააწყო და გააძლიერა ქვეყნის, როგორც სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ევრაზიის უფრო ფართო გაზრებს შორის დამაკავშირებელი ეკონომიკის, როლი.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო; გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია; ექსპორტი; რეექსპორტი; შუა დერეფანი; ვაჭრობის გეოგრაფია.*

შესავალი

გლობალური ეკონომიკის ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ცენტრალური მახასიათებელი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გაძლიერებაა. თუ 1990-იანი და 2000-იანი წლების გლობალიზაცია ძირითადად წარმოებისა და ვაჭრობის ქსელების გაფართოებას უკავშირდებოდა, 2020 წლის შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობები სულ უფრო მეტად ექვემდებარება უსაფრთხოების, სანქციების, მიწოდების ჯაჭვების მედეგობისა და პოლიტიკური ბლოკების ლოგიკას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ვაჭრობაზე, არამედ კაპიტალის ნაკადებზე, ტექნოლოგიურ გავრცელებაზე, მიგრაციასა და საერთაშორისო მონეტარულ სისტემაზე (Aiyar et al., 2023). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ამ პროცესს განიხილავს არა როგორც კლასიკურ დეგლობალიზაციას, არამედ როგორც სავაჭრო კავშირების გადალაგების რისკიან პროცესს, რომლის პირობებშიც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დივერსიფიკაციასა და „რეგლობალიზაციას“ (WTO, 2023).

საქართველო ამ პროცესების კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევაა. ქვეყანა მცირე ღია ეკონომიკაა, რომელსაც შიდა ბაზრის შეზღუდული მასშტაბი აქვს და რომელიც საგარეო ვაჭრობით, სატრანზიტო ფუნქციითა და რეგიონულ კავშირებზე დამოკიდებულებით ხასიათდება. ამავე დროს, საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, ანუ სივრცეში, სადაც რუსეთ-უკრაინის ომმა, დასავლურმა სანქციებმა, შავი ზღვის უსაფრთხოების პრობლემებმა და შუა დერეფნის გააქტიურებამ სავაჭრო ნაკადების მიმართულებებზე პირდაპირი გავლენა მოახდინა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, შუა სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანობის ზრდა აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და ყაზახეთთან დაკავშირებულ რეგიონულ ვაჭრობას 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაზრდის (World Bank, 2023).

ამ სტატიის მიზანია 2019–2025 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის, განსაკუთრებით კი ექსპორტის, გეოგრაფიული ტრანსფორმაციის შეფასება. კვლევის მთავარი კითხვა ასეთია: შეცვალა თუ არა გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციამ საქართველოს ექსპორტის გეოგრაფია და რამდენად უკავშირდება ეს ცვლილება ადგილობრივი წარმოების დივერსიფიკაციას ან რეექსპორტის ზრდას? სტატიის ცენტრალური თეზისია, რომ გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციამ საქართველოს ვაჭრობა არ შეკუმშა; პირიქით, 2021 წლის შემდეგ ვაჭრობის მოცულობა სწრაფად გაიზარდა. თუმცა ამ ზრდამ ყველაზე მკაფიოდ ექსპორტის სივრცითი ორგანიზაცია გარდაქმნა: ცენტრალური აზიის მიმართულებები, განსაკუთრებით ყირგიზეთი და ყაზახეთი, 2024–2025 წლებში წამყვან საექსპორტო ბაზრებად იქცა. ამ ტრანსფორმაციის ძირითადი მექანიზმი იყო რეექსპორტი, განსაკუთრებით მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი, და არა მხოლოდ ქართული წარმოების სტრუქტურული გაძლიერება.

ლიტერატურული და კონცეპტუალური ჩარჩო

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკურ და უსაფრთხოების ბლოკებად დაყოფის ტენდენციას. ეს პროცესი განსხვავდება კლასიკური პროტექციონიზმისგან, რადგან მას მხოლოდ ტარიფები ან ვაჭრობის შეზღუდვა არ განსაზღვრავს. იგი მოიცავს სანქციებს, ტექნოლოგიურ კონტროლს, საინვესტიციო სკრინინგს, მიწოდების ჯაჭვების რეორგანიზაციას და სტრატეგიული პარტნიორებისადმი უპირატესობის მინიჭებას. IMF-ის კვლევები აჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური დაშორება უკვე აისახება კაპიტალის და ვაჭრობის მიმართულებებზე (Aiyar et al., 2023; Okuda, 2024). OECD ასევე აღნიშნავს, რომ გეოპოლიტიკური დაძაბულობა ზრდის მიწოდების ჯაჭვების მოწყვლადობას, თუმცა სრული რელოკალიზაცია ხშირად უფრო ძვირი და ნაკლებად ეფექტიანია, ვიდრე გეოგრაფიული დივერსიფიკაცია (OECD, 2024).

საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული ტრანსფორმაციის ანალიზში მნიშვნელოვანია ორი განსხვავებული მოვლენის გამიჯვნა. პირველი არის ექსპორტის ბაზრების დივერსიფიკაცია, როდესაც ადგილობრივი წარმოება ახალ ბაზრებზე შედის. მეორეა რეექსპორტის ზრდა, როდესაც ქვეყანა შუამავალ ლოგისტიკურ და სავაჭრო ფუნქციას იძენს. საქართველოს შემთხვევაში ეს განსხვავება გადამწყვეტია. თუ მხოლოდ მთლიან ექსპორტს ვაკვირდებით, 2024–2025 წლებში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქვეყნის საწარმოო სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა. მაგრამ პროდუქციის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ცვლილების მნიშვნელოვანი ნაწილი ავტომობილების რეექსპორტს უკავშირდება. შესაბამისად, ექსპორტის გეოგრაფიული ტრანსფორმაცია აუცილებლად უნდა განიმარტოს არა მხოლოდ წარმოების, არამედ სატრანზიტო და შუამავალი ეკონომიკური ფუნქციის კონტექსტშიც.

ამ კუთხით საქართველო შეიძლება განვიხილოთ, როგორც „დამაკავშირებელი ეკონომიკა", რომელიც ფრაგმენტირებულ გარემოში სხვადასხვა ბაზარს შორის დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს. ასეთი ქვეყნები ყოველთვის არ აწარმოებენ ექსპორტირებული საქონლის დიდ ნაწილს, მაგრამ ისინი იღებენ სარგებელს გადამისამართებული სავაჭრო ნაკადებიდან, ლოგისტიკური

მომსახურებიდან, რეექსპორტიდან და რეგიონული შუამავლობიდან. სწორედ ამ ჩარჩოში უნდა აიხსნას საქართველოს ექსპორტის სწრაფი ზრდა ცენტრალური აზიის მიმართულებით.

მეთოდოლოგია და მონაცემები

კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს საგარეო საქონლით ვაჭრობის შესახებ. გამოყენებულია 2019–2025 წლების ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფებისა და HS4 სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. 2025 წლის მონაცემები წინასწარია. ექსპორტი აღრიცხულია FOB (Free on Board) ღირებულებით, იმპორტი CIF (Cost, Insurance, Freight) ღირებულებით; ექსპორტის პარტნიორი ქვეყანა განისაზღვრება საბოლოო დანიშნულების ქვეყნის მიხედვით, ხოლო იმპორტის პარტნიორი - გამომგზავნი ქვეყნის მიხედვით (Geostat, 2026a). მონაცემები დამუშავდა ერთიან ბაზად, სადაც თითოეული წლისთვის გამოიყო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო სალდო, TOP-10 პარტნიორები და მათი წილები.

ანალიზი შედგება სამი საფეხურისგან. პირველ რიგში შეფასდა საგარეო ვაჭრობის საერთო დინამიკა. მეორე ეტაპზე შედარდა ექსპორტისა და იმპორტის პარტნიორი ქვეყნების რანგები 2019 და 2025 წლებში. მესამე ეტაპზე გაანალიზდა 2025 წლის პროდუქციის სტრუქტურა, რათა ექსპორტის გეოგრაფიული ცვლილება დაკავშირდეს რეექსპორტისა და კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების ზრდასთან.

შედეგები და განხილვა

საგარეო ვაჭრობის საერთო დინამიკა

2019–2025 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.3 მლრდ აშშ დოლარიდან 25.9 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. პანდემიური შოკის შედეგად 2020 წელს ექსპორტიც და იმპორტიც შემცირდა, თუმცა 2021 წლიდან დაიწყო სწრაფი აღდგენა. განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა ფიქსირდება 2022 წლის შემდეგ, როცა სავაჭრო ბრუნვამ 19.1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2025 წელს კი 25.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. ამავე პერიოდში ექსპორტი 3.8 მლრდ-დან 7.3 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო იმპორტი 9.5 მლრდ-დან 18.6 მლრდ აშშ დოლარამდე. მიუხედავად ამისა, სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის წილი თითქმის უცვლელი დარჩა - 2019 წელს 28.5%, 2025 წელს კი 28.1%. ეს აჩვენებს, რომ ვაჭრობის მოცულობის ზრდა არ გარდაქმნილა სავაჭრო ბალანსის სტრუქტურულ გაუმჯობესებად; იმპორტზე დამოკიდებულება კვლავ მაღალია.

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები, 2019–2025 (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
2019	3,797.0	9,518.0	13,315.0	-5,720.9
2020	3,340.6	8,048.8	11,389.4	-4,708.1
2021	4,242.5	10,098.6	14,341.1	-5,856.1
2022	5,582.5	13,539.7	19,122.2	-7,957.2
2023	6,086.4	15,611.2	21,697.5	-9,524.8
2024	6,558.7	16,888.8	23,447.5	-10,330.1
2025	7,291.2	18,640.9	25,932.0	-11,349.7

წყარო: ავტორის გამოთვლები Geostat-ის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 1. ექსპორტის, იმპორტისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა, 2019–2025.



წყარო: ავტორის ვიზუალიზაცია Geostat-ის მონაცემებით.

ექსპორტის გეოგრაფიული გადანაცვლება

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არა ვაჭრობის საერთო მოცულობაში, არამედ ექსპორტის გეოგრაფიულ სტრუქტურაში გამოვლინდა. 2019 წელს საქართველოს ექსპორტის სამი უმსხვილესი პარტნიორი იყო აზერბაიჯანი, რუსეთი და სომხეთი. 2020–2022 წლებში წამყვან პოზიციებზე ჩინეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი რჩებოდნენ. 2024–2025 წლებში კი სურათი რადიკალურად შეიცვალა: ყირგიზეთი და ყაზახეთი ექსპორტის პირველი ორი მიმართულება გახდა. 2025 წელს ყირგიზეთზე მოდიოდა მთლიან ექსპორტის 20.6%, ყაზახეთზე - 12.5%, ხოლო რუსეთზე - 10.3%. ამ სამ ქვეყანაზე ერთად ექსპორტის 43.4% მოდიოდა.

რანგების ცვლილება ტრანსფორმაციის მასშტაბს მკაფიოდ აჩვენებს. ყირგიზეთი 2019 წელს საქართველოს საექსპორტო პარტნიორებს შორის მხოლოდ მე-12 ადგილზე იყო, 2025 წელს კი პირველ ადგილზე გადავიდა. ყაზახეთი მე-14 ადგილიდან მეორე ადგილზე ავიდა. ამავე დროს აზერბაიჯანი პირველიდან მეოთხე პოზიციაზე, სომხეთი მესამედან მეხუთეზე, ხოლო ჩინეთი შედარებით უკან გადავიდა. ეს ნიშნავს, რომ 2024–2025 წლებში საქართველოს ექსპორტი აღარ განისაზღვრებოდა მხოლოდ ტრადიციული სამეზობლო ბაზრებით; მასში ცენტრალური აზიის მიმართულებამ სისტემური მნიშვნელობა შეიძინა.

ცხრილი 2. ექსპორტის ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანა 2019-2025 წლებში

წელი	I	II	III	IV	V
2019	აზერბაიჯანი	რუსეთი	სომხეთი	ბულგარეთი	უკრაინა
2020	ჩინეთი	რუსეთი	აზერბაიჯანი	ბულგარეთი	უკრაინა
2021	ჩინეთი	რუსეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	უკრაინა
2022	ჩინეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	სომხეთი	თურქეთი
2023	აზერბაიჯანი	სომხეთი	ყაზახეთი	ყირგიზეთი	რუსეთი
2024	ყირგიზეთი	ყაზახეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	სომხეთი
2025	ყირგიზეთი	ყაზახეთი	რუსეთი	აზერბაიჯანი	სომხეთი

წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული Geostat-ის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 2. ექსპორტის TOP-10 პარტნიორი ქვეყანა, 2025წ.



წყარო: ავტორის ვიზუალიზაცია Geostat-ის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 3. ექსპორტის პარტნიორების რანგისა და წილის ცვლილება, 2019→2025

ქვეყანა	რანგი 2019	რანგი 2025	წილი 2019 (%)	წილი 2025 (%)	ცვლილება, პ.პ.
ყირგიზეთი	12	1	2.0	20.6	18.5
ყაზახეთი	14	2	1.8	12.5	10.7
რუსეთი	2	3	13.1	10.3	-2.8
აზერბაიჯანი	1	4	13.4	9.6	-3.8
სომხეთი	3	5	11.4	7.6	-3.8
თურქეთი	7	6	5.3	4.6	-0.8
ჩინეთი	6	7	5.5	4.5	-1.0
ბულგარეთი	4	8	7.9	3.2	-4.6
ტაჯიკეთი	34	10	0.2	2.5	2.2

წყარო: ავტორის გამოთვლები Geostat-ის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3. ექსპორტის წილის ცვლილება ძირითადი პარტნიორების მიხედვით, 2019→2025.



წყარო: ავტორის გამოთვლები.

იმპორტის შედარებითი სტაბილურობა

ექსპორტისგან განსხვავებით, იმპორტის გეოგრაფია უფრო ინერციულია. 2019 წელს იმპორტის მთავარი პარტნიორები იყვნენ თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი და აშშ. 2025 წელს პირველ ადგილზე აშშ გადავიდა 15%-იანი წილით, თურქეთი მეორე ადგილზე იყო 14.9%-ით, ჩინეთი მესამე ადგილზე 10.7%-ით, რუსეთი კი მეოთხეზე 10.4%-ით. იმპორტის სტრუქტურა არ აჩვენებს ისეთ მკვეთრ გეოგრაფიულ რეორიენტაციას, როგორსაც ექსპორტში ვხედავთ. ძირითადი მომწოდებლები კვლავ მსხვილი ინდუსტრიული და რეგიონული პარტნიორები არიან. აშშ-ის წილის ზრდა განსაკუთრებით უკავშირდება ავტომობილების იმპორტს, რაც შემდეგ რეექსპორტის არხით ცენტრალური აზიის მიმართულებით აისახება. ამგვარად, იმპორტის ცვლილება ექსპორტის ტრანსფორმაციისგან განცალკევებული მოვლენა არ არის: ავტომობილების იმპორტის ზრდა და ავტომობილების რეექსპორტი ერთი სავაჭრო ჯაჭვის ორი მხარეა.

ცხრილი 4. იმპორტის ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანა წლების მიხედვით

წელი	I	II	III	IV	V
2019	თურქეთი	რუსეთი	ჩინეთი	აშშ	აზერბაიჯანი
2020	თურქეთი	რუსეთი	ჩინეთი	აშშ	აზერბაიჯანი
2021	თურქეთი	რუსეთი	ჩინეთი	აშშ	აზერბაიჯანი
2022	თურქეთი	რუსეთი	ჩინეთი	აშშ	გერმანია
2023	თურქეთი	აშშ	რუსეთი	ჩინეთი	გერმანია
2024	თურქეთი	აშშ	რუსეთი	ჩინეთი	გერმანია
2025	აშშ	თურქეთი	ჩინეთი	რუსეთი	გერმანია

წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული Geostat-ის მონაცემების საფუძველზე

რეექსპორტი და პროდუქციის სტრუქტურა

ექსპორტის გეოგრაფიული გადანაცვლების ახსნა შეუძლებელია პროდუქციის სტრუქტურის გარეშე. 2025 წელს საქართველოს ექსპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი იყო მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ექსპორტმა 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიან ექსპორტში 38.6%-იანი წილი დაიკავა. მეორე ადგილზე იყო ძვირფასი მეტალების მადნები და კონცენტრატები

5.2%-ით, შემდეგ - სპირტიანი სასმელები, ღვინო და ფეროშენადნობები. ამგვარი სტრუქტურა აჩვენებს, რომ ექსპორტის ზრდის მთავარი წყარო არ არის მხოლოდ ტრადიციული ქართული პროდუქციის გაფართოება. ავტომობილები, როგორც წესი, რეექსპორტის კატეგორიას უკავშირდება და ამ არხით საქართველოს საექსპორტო გეოგრაფია ცენტრალური აზიის მიმართულებით შეიცვალა.

ამან კვლევის ინტერპრეტაცია უნდა დააზუსტოს: საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული ტრანსფორმაცია არ ნიშნავს წარმოებითი სპეციალიზაციის სრულ შეცვლას. ის უფრო ზუსტად ასახავს საქართველოს, როგორც რეგიონული სავაჭრო-ლოგისტიკური ჰაბისა და დამაკავშირებელი ეკონომიკის ფუნქციის გაძლიერებას. გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციამ, სანქციებით და მიწოდების ალტერნატიული არხების მოთხოვნით, გაზარდა ისეთი ქვეყნების მნიშვნელობა, რომლებიც სხვადასხვა ბაზრებს შორის საქონლის გადაადგილებას უწყობენ ხელს. საქართველო ამ პროცესში ჩართულია არა მხოლოდ როგორც მომხმარებელი ან მწარმოებელი, არამედ როგორც შუამავალი სავაჭრო სივრცე.

ცხრილი 6. ექსპორტის TOP-10 სასაქონლო ჯგუფი, 2025წ.

რანგი	HS4	საქონელი	მოცულობა, მლნ აშშ დოლარი	წილი (%)
1	8703	მსუბუქი ავტომობილები	2,814.4	38.6
2	2616	ძვირფასი მეტალების მადნები და კონცენტრატები	378.9	5.2
3	2208	სპირტიანი სასმელები	282.5	3.9
4	2204	ყურძნის ღვინო	267.9	3.7
5	7202	ფეროშენადნობები	225.8	3.1
6	2201	მინერალური და გაზიანი წყლები შაქრის გარეშე	173.1	2.4
7	802	თხილი და სხვა კაკალი	171.7	2.4
8	2202	მინერალური/გაზიანი წყლები შაქრით	166.5	2.3
9	2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	148.2	2.0
10	3102	აზოტოვანი სასუქები	132.1	1.8

წყარო: ავტორის დამუშავება Geostat-ის მონაცემების საფუძველზე (HS4 პროდუქციის მოცულობა და წილი).

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის მექანიზმები

მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოს ექსპორტის ტრანსფორმაციას სამი ძირითადი მექანიზმი ხსნის. პირველი არის პოსტპანდემიური აღდგენა: 2020 წლის შემცირების შემდეგ ვაჭრობა 2021 წლიდან სწრაფად გაიზარდა. მეორე არის რუსეთ-უკრაინის ომისა და სანქციების შედეგად სავაჭრო ნაკადების გადამისამართება, რამაც გაზარდა რეგიონული შუამავალი ეკონომიკების მნიშვნელობა. მესამე არის შუა დერეფნის მიმართ ინტერესის ზრდა, რომელმაც საქართველო უფრო ფართო ევრაზიული დაკავშირებადობის ქსელში მოაქცია. ეს ფაქტორები ერთად ქმნის გარემოს, სადაც მცირე ღია ეკონომიკა, მიუხედავად შეზღუდული საწარმოო მასშტაბისა, შეიძლება დროებით ან სტრუქტურულად გაძლიერდეს როგორც სავაჭრო დამაკავშირებელი კვანძი.

თუმცა ეს შესაძლებლობა რისკებსაც შეიცავს. თუ ექსპორტის ზრდა დიდწილად რეექსპორტზეა დამოკიდებული, მაშინ იგი მოწყვლადია მარეგულირებელი ცვლილებების, პარტნიორი ქვეყნების საბაჟო პოლიტიკის, ტრანსპორტირების ხარჯებისა და სანქციებთან შესაბამისობის მოთხოვნების მიმართ. გარდა ამისა, რეექსპორტზე მაღალმა დამოკიდებულებამ შეიძლება, სტატისტიკურად გაზარდოს ექსპორტი ისე, რომ ადგილობრივი წარმოების დამატებული ღირებულება პროპორციულად არ გაიზარდოს. ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკისთვის მთავარი ამოცანა არის რეექსპორტით მიღებული შესაძლებლობის გამოყენება ადგილობრივი ლოგისტიკის, მომსახურების, საბაჟო ინფრასტრუქტურისა და წარმოების უფრო მაღალი დამატებული ღირებულების სექტორების გასაძლიერებლად.

დასკვნა

2019–2025 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა არ შემცირებულა; პირიქით, სავაჭრო ბრუნვა თითქმის გაორმაგდა. მაგრამ ამ ზრდის შინაარსი განსხვავებულია ექსპორტისა და იმპორტისთვის. იმპორტის გეოგრაფია ძირითადად სტაბილური დარჩა და კვლავ ეფუძნება თურქეთს, აშშ-ს, ჩინეთს, რუსეთსა და გერმანიას. ექსპორტში კი მოხდა მკაფიო გეოგრაფიული გადანაცვლება: ცენტრალური აზიის ქვეყნები, განსაკუთრებით ყირგიზეთი და ყაზახეთი, 2024–2025 წლებში წამყვან მიმართულებებად იქცა.

კვლევის მთავარი დასკვნაა, რომ საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული ტრანსფორმაცია უმეტესად რეექსპორტის ზრდას უკავშირდება. მსუბუქი ავტომობილების 38.6%-იანი წილი 2025 წლის ექსპორტში ადასტურებს, რომ ექსპორტის სტატისტიკური გაფართოება სრულად არ უნდა გაიგივდეს ადგილობრივი წარმოების დივერსიფიკაციასთან. საქართველო უფრო მეტად წარმოჩნდა როგორც დამაკავშირებელი ეკონომიკა, რომელიც ფრაგმენტირებული გლობალური და რეგიონული ვაჭრობის პირობებში ახალ სავაჭრო არხებს ემსახურება.

ეკონომიკური პოლიტიკისთვის ეს ნიშნავს, რომ საქართველოსთვის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ იგი ავტომატურად მდგრად განვითარებად არ გადაიქცევა. საჭიროა რეექსპორტის ზრდის დაკავშირება ლოგისტიკის, საბაჟო ადმინისტრირების, ფინანსური შესაბამისობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი დამატებული ღირებულების ზრდასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ექსპორტის წარმატება შეიძლება დარჩეს მაღალი მოცულობის, მაგრამ შეზღუდული განვითარების ეფექტის მქონე სავაჭრო შუამავლობად.

გამოყენებული ლიტერატურა

Aiyar, S., Ilyina, A., Chen, J., Ebeke, C., Garcia-Saltos, R., Gudmundsson, T., Kangur, A., Kunaratskul, T., Rodriguez, S., Ruta, M., Schulze, T., Soderberg, G., & Trevino, J. P. (2023). *Geoeconomic fragmentation and the future of multilateralism*. (IMF Staff Discussion Note SDN/2023/001). International Monetary Fund. https://www.imf.org/en/Publications/Staff-Discussion-Notes/Issues/2023/01/11/Geo-Economic-Fragmentation-and-the-Future-of-Multilateralism-527266

Geostat. (2020). *External merchandise trade of Georgia in 2019.* National Statistics Office of Georgia. https://www.geostat.ge/media/32463/External-Merchandise-Trade-2019_publication-2020.pdf

Geostat. (2025). *External merchandise trade of Georgia in 2024.* National Statistics Office of Georgia. https://www.geostat.ge/media/67898/External-Merchandise-Trade-of-Georgia-in-2024.pdf

Geostat. (2026a). *External merchandise trade of Georgia in 2025.* National Statistics Office of Georgia. https://www.geostat.ge/media/76335/External-Merchandise-Trade-of-Georgia---2025.pdf

Geostat. (2026b). *Export by country, 1995–2026* (Data file). National Statistics Office of Georgia. https://geostat.ge/media/80270/Export-Country_1995-2026.xlsx

Geostat. (2026c). *Import by country, 1995–2026* (Data file). National Statistics Office of Georgia. https://geostat.ge/media/80294/Import-Country-1995-2026.xlsx

Geostat. (2026d). *Export by product, HS4, 2015–2026* (Data file). National Statistics Office of Georgia. https://geostat.ge/media/80272/Export-Product-by-4-digit-2015-2026.xlsx

OECD. (2024). *OECD Economic Outlook, Volume 2024 Issue 2. Organisation for Economic Co-operation and Development.* https://www.oecd.org/en/publications/2024/12/oecd-economic-outlook-volume-2024-issue-2_67bb8fac.html

Okuda, T. (2024). *Geoeconomic fragmentation and cross-border portfolio investment.* (IMF Working Paper WP/24/48). International Monetary Fund. https://www.imf.org/-/media/files/publications/wp/2024/english/wpiea2024048-print-pdf.pdf

UNCTAD. (2024). *Trade and Development Report 2024: Rethinking development in the age of discontent.* United Nations Conference on Trade and Development. https://unctad.org/system/files/official-document/tdr2024overview_en.pdf

World Bank. (2023). *Middle Trade and Transport Corridor: Policies and investments to triple freight volumes and halve travel time by 2030.* World Bank. https://www.worldbank.org/en/region/eca/publication/middle-trade-and-transport-corridor

World Trade Organization. (2023). *World Trade Report 2023: Re-globalization for a secure, inclusive and sustainable future.* WTO. https://www.wto.org/english/res_e/publications_e/wtr23_e.htm

The Impact of Geopolitical Fragmentation on the Geographical Transformation of Georgia's Exports: A Dynamic Analysis for 2019–2025

Davit Nadiradze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Assistant Researcher,
Iliauni Institute of Demography and Sociology
datonadiradze2@gmail.com

Summary

This article examines the geographical transformation of Georgia's exports under conditions of geopolitical and geoeconomic fragmentation during 2019–2025. Using official data from the National Statistics Office of Georgia, the study analyses changes in export and import dynamics, partner-country rankings, concentration levels and commodity structure. The findings show that Georgia's overall external trade expanded rapidly after the pandemic shock; however, the most significant structural change occurred in exports rather than imports. Between 2019 and 2025, Kyrgyzstan and Kazakhstan moved from secondary positions to the two largest export destinations, while the share of motor cars in total exports increased to 38.6 percent in 2025. This indicates that the apparent export reorientation was driven less by a broad transformation of domestic production and more by the growth of re-export and Georgia's intermediary function in regional trade networks. The Herfindahl–Hirschman Index suggests a moderate increase in export partner concentration, whereas import geography remained comparatively stable. The paper argues that geopolitical fragmentation did not simply reduce Georgia's trade openness; rather, it reorganized the spatial direction of trade flows and strengthened the country's role as a connector economy between the South Caucasus, Central Asia and wider Eurasian markets.

Keywords: Georgia; geoeconomic fragmentation; exports; re-export; Middle Corridor; trade geography.

მესამე სექცია

ციფრული კონტენტის თვისებრივი მახასიათებლების გავლენა ონლაინვაჭრობაში მომხმარებელთა ჩართულობაზე

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.todua@tsu.ge

ნია თოდუა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
nia.todua@ibsu.edu.ge

ლევან კალმახელიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
levan.kalmakhelidze@tsu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ონლაინვაჭრობაში მომხმარებელთა ჩართულობაზე ციფრული კონტენტის ძირითადი მახასიათებლების გავლენის შეფასებას. კვლევა ეფუძნება მოსაზრებას, რომ თანამედროვე ციფრულ გარემოში კონტენტის თვისებრივი მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ქცევის ფორმირებაში და ბრენდთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ნაშრომში, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, შემუშავდა კონცეპტუალური მოდელი, რომელიც მოიცავს ოთხ დამოუკიდებელ ცვლადს: ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობას, სანდოობას, ავთენტურობასა და ხარისხს, ხოლო დამოკიდებულ ცვლადად განიხილება მომხმარებელთა ჩართულობა. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით. მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული ანკეტის მეშვეობით და გამოიკითხა საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებების 805 სტუდენტი. ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებული იქნა წრფივი რეგრესიული ანალიზი. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ონლაინვაჭრობაში მომხმარებელთა ჩართულობაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან და დადებით გავლენას ახდენს ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა ($\beta = 0.499$, $p < 0.001$), სანდოობა ($\beta = 0.492$, $p < 0.001$), ავთენტურობა ($\beta = 0.504$, $p < 0.001$) და ხარისხი ($\beta = 0.608$, $p < 0.001$). კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მაღალი ხარისხის, სანდო, ავთენტური და მომხმარებლისთვის საინტერესო ციფრული კონტენტის შექმნა ზრდის მომხმარებელთა აქტიურობას, ბრენდთან ურთიერთქმედებას და ონლაინპლატფორმებზე ჩართულობის დონეს. მიღებული შედეგები ქმნის მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს ელექტრონული კომერციის სფეროში დასაქმებული კომპანიებისათვის, რომლებიც*

ციფრული კონტენტის მეშვეობით თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიების ფორმირებას ცდილობენ.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული კონტენტი, ონლაინვაჭრობა, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა.*

შესავალი

ციფრული ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ და ელექტრონული კომერციის მასშტაბურმა გაფართოებამ არსებითად შეცვალა მომხმარებელთა ქცევა, კომპანიების მარკეტინგული კომუნიკაციები და ბრენდებთან ურთიერთქმედების ფორმები. ინტერნეტისა და სოციალური მედიის პლატფორმების ინტენსიურმა გავრცელებამ მომხმარებლებს საშუალება მისცა, არა მხოლოდ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაცია მოიძიონ, არამედ ბრენდებთან კომუნიკაციაში აქტიურად ჩაერთონ, საკუთარი გამოცდილება გააზიარონ, სასურველი კონტენტი შექმნან და სხვა მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ. თანამედროვე ციფრულ გარემოში მომხმარებელი აღარ წარმოადგენს მარკეტინგული კომუნიკაციის პასიურ მიმღებს. იგი იქცა ღირებულების თანაშემქმნელად, რომლის ჩართულობა განსაზღვრავს როგორც ბრენდის რეპუტაციას, ისე ელექტრონული კომერციის ეფექტიანობას (Singh & Pandey, 2024).

Digital 2025-ის მიხედვით, დღეისათვის მსოფლიოში ინტერნეტს 8.2 მლრდ ადამიანი იყენებს, ხოლო სოციალური მედია და ონლაინშოპინგი ყოველდღიური ციფრული აქტივობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ამასთან, ინტერნეტმომხმარებელთა 94%-ზე მეტი ყოველთვიურად ერთვება სოციალურ ქსელებში, ხოლო თითქმის სამი მეოთხედი რეგულარულად მონაწილეობს ელექტრონულ კომერციაში (Datareportal, 2025). აღნიშნული ტენდენცია ცხადყოფს, რომ კომპანიებისთვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ახერხებენ ისინი მომხმარებელთა ყურადღების მოზიდვასა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას ციფრული კონტენტის საშუალებით.

თანამედროვე მარკეტინგულ ლიტერატურაში მომხმარებელთა ჩართულობაში იგულისხმება მომხმარებლის კოგნიტური, ემოციური და ქცევითი მონაწილეობის ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ბრენდთან მრავალმხრივი ურთიერთქმედების პროცესში (Busalim, et al., 2024). სწორედ, ამიტომ ჩართულობა აღარ განიხილება მხოლოდ მოწონებების, კომენტარებისა და გაზიარებების რაოდენობით. იგი ასახავს მომხმარებლის ნდობას, ურთიერთობის ინტენსივობას, რეკომენდაციის სურვილს, ბრენდისადმი ლოიალურობასა და განმეორებითი ყიდვის განზრახვას (Phan et al., 2020). ამდენად, მომხმარებელთა ჩართულობა თანამედროვე ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არამატერიალურ აქტივად მიიჩნევა, ვინაიდან იგი კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას პირდაპირ უკავშირდება (Zhao et al., 2025).

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული კონტენტის თვისებრივ მახასიათებლებს. კვლევები ადასტურებს, რომ მომხმარებელთა გადაწყვეტილებებსა და ონლაინქცევაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინფორმაციის

არსებობა, არამედ მისი ხარისხი, სანდოობა, ავთენტურობა, ვიზუალური მიმზიდველობა და გართობისუნარიანობა (Liu et al., 2023; Zheng et al., 2026; Veas-González et al., 2026). მაღალი ხარისხის კონტენტი ამცირებს აღქმულ რისკს, ზრდის ნდობას, აძლიერებს ემოციურ კავშირს და ხელს უწყობს მომხმარებლის აქტიურ მონაწილეობას ბრენდის ციფრულ ეკოსისტემაში. პირიქით, არასანდო, ზედაპირული ან დაბალი ხარისხის კონტენტი მნიშვნელოვნად ამცირებს ჩართულობას და უარყოფითად მოქმედებს ბრენდის აღქმაზე (Taheri, et al., 2024).

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციფრული კონტენტის ავთენტურობას. ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის სწრაფი გავრცელებისა და ინფორმაციული გადატვირთულობის პირობებში მომხმარებლები სულ უფრო მეტად აფასებენ რეალურ, გამჭვირვალე და სანდო კომუნიკაციას. სწორედ ამიტომ, თანამედროვე კომპანიები ცდილობენ, შექმნან ისეთი კონტენტი, რომელიც ასახავს რეალურ გამოცდილებას, მომხმარებელთა შეფასებებსა და ბრენდის ნამდვილ ღირებულებებს. ავთენტურობა აღიარებულია მომხმარებელთა ნდობისა და ხანგრძლივი ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად (Singh & Pandey, 2024).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მომხმარებელთა ჩართულობის საკითხს მრავალი კვლევა მიეძღვნა, არსებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სოციალური კომერციის, ინფლუენსერ მარკეტინგის, ელექტრონული რეკომენდაციების ან პლატფორმების ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე. შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ციფრული კონტენტის სხვადასხვა მახასიათებლის — გართობისუნარიანობის, სანდოობის, ავთენტურობისა და ხარისხის — ერთობლივი გავლენა მომხმარებელთა ჩართულობაზე. სისტემური ლიტერატურის მიმოხილვები ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური ხარვეზები, რომელთა შევსებაც მომავალი კვლევების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ელექტრონული კომერცია და სოციალური მედიის გამოყენება ყოველწლიურად იზრდება, მომხმარებელთა ჩართულობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ ემპირიული კვლევები ჯერ კიდევ შეზღუდულია. არსებული ნაშრომების უმეტესობა კონცენტრირებულია მომხმარებელთა ქცევის ზოგად ტენდენციებზე (Todua & Dotchviri, 2015a; Todua & Dotchviri, 2015b; Todua et al., 2016; Todua, 2018; Todua & Jashi, 2018; Todua & Urotadze, 2022), მაშინ როდესაც ონლაინვაჭრობაში ციფრული კონტენტის თვისებრივი მახასიათებლების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე კომპლექსურად პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. ეს ქმნის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ხარვეზებს, რომელთა შევსებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესისთვის, ციფრული მარკეტინგის სპეციალისტებისა და ელექტრონული კომერციის პლატფორმებისათვის.

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა განპირობებულია რამდენიმე გარემოებით. პირველი, იგი პასუხობს თანამედროვე ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოწვევას, თუ რა მახასიათებლები განსაზღვრავს მომხმარებელთა ჩართულობას ციფრულ გარემოში. მეორე, კვლევა ავითარებს მომხმარებელთა ჩართულობისა და კონტენტმარკეტინგის თეორიულ საფუძვლებს,

ვინაიდან კომპლექსურად აფასებს ციფრული კონტენტის ოთხ მნიშვნელოვან მახასიათებელს. მესამე, კვლევის შედეგები პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს ელექტრონული კომერციის კომპანიებისთვის, ვინაიდან საშუალებას მისცემს მათ, შექმნან უფრო ეფექტიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული კონტენტსტრატეგიები, რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ნდობის, ლოიალურობისა და კონკურენტული უპირატესობის ზრდას ციფრულ ბაზარზე.

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება

ციფრულ სამყაროში კონტენტს უამრავი სახისა და ფორმის მიღება შეუძლია, რომლის ძირითადი მიზანია მომხმარებლებთან ჩართულობის დამყარება იმ გარემოში, სადაც ხდება ასეთი კონტენტის შექმნა და გავრცელება (Carlson et al., 2018). აკადემიური კვლევები ცხადყოფს, რომ საინტერესო და ამაღელვებელი კონტენტის შექმნა და გავრცელება ხელს უწყობს მომხმარებელს, რათა მან წარმოებულ კონტენტთან მიმართებაში ჩართულობა გამოავლინოს (Berger and Milkman, 2012). სოციალურ მედიაში განთავსებული კონტენტი კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მომხმარებლებმა ბრენდების შესახებ მეტი ინფორმაცია მოიპოვონ და უკეთესი ჩართულობა გამოხატონ (Gummerus et al., 2012).

კონტენტის მახასიათებლებს შორის გართობისუნარიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან მას დიდი გავლენა აქვს როგორც მყიდველობით განზრახვაზე, ისე მომხმარებელთა ჩართულობის გზით პროდუქტის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (Lou & Xie 2021; Yu and Li, 2023). კონტენტის გართობისუნარიანობა ასტიმულირებს მომხმარებელთა ცნობისმოყვარეობას და პოზიტიურ ემოციებს (Yu and Li, 2023). იგი ქმნის ისეთ ემოციურ ფასეულობას, რომელიც მომხმარებლისთვის კონტენტთან ჩართულობის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზი ხდება (Lou and Xie, 2021). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონტენტში მომხმარებელთა ჩართულობა ორი მიმართულებით შეიძლება იყოს განხილული: სწავლის და გართობის მიზნით (Eigenraam et al., 2018). გართობის მიზნით შექმნილი კონტენტი მომხმარებელთან ემოციურ კავშირს ამყარებს (Akpinar & Berger, 2017). ასეთი ემოციური კავშირი კი სოციალურ მედიაში განთავსებულ კონტენტთან მომხმარებლის ჩართულობას უზრუნველყოფს (Rietveld et al., 2020), რაც, თავის მხრივ, ემოციების გავლით, მყიდველობით განზრახვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (Wei et al., 2020). შედეგად, ზემოხსენებული კვლევები გვეხმარება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H1: ონლაინვაჭრობასთან დაკავშირებული კონტენტის გართობისუნარიანობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე.

ონლაინვაჭრობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, თანხის გადახდა სარისკო ქმედებასთან ასოცირდებოდა, რამაც ამ ინდუსტრიის მიმართ სანდოობის დამკვიდრება გაართულა. შესაბამისად, ონლაინარხების არჩევისას მომხმარებლის მხრიდან აღქმული სანდოობა შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გახდა (Rezaei and Ismail, 2014). მიუხედავად იმისა, რომ ონლაინვაჭრობა კომფორტულ და მომხმარებელზე ორიენტირებულ შესაძლებლობად ითვლება, ასეთი ბიზნესპროცესი მაინც მოიცავს ნდობის საკითხს და გარკვეულ რისკს, რომელიც, ძირითადად, პროდუქტის ან სერვისის ხარისხთან არის დაკავშირებული. სწორედ, აქ ვლინდება კონტენტის როლი, რომელსაც

აღქმული რისკის შემცირება და ნდობის ჩამოყალიბება შეუძლია (Kwon et al., 2021). ასეთი პროცესი, კონტენტის გაზიარების გზით, ბრენდისა და მომხმარებლების შორის ემოციურ კავშირს ეფუძნება, რაც, თავის მხრივ, სანდოობას წარმოშობს და მომხმარებელთა ჩართულობაზე გავლენას ახდენს (Brodie et al., 2013). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H2: ონლაინვაჭრობასთან დაკავშირებული კონტენტის სანდოობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე.

მკვლევრები კონტენტის ავთენტურობაში გულისხმობენ ხარისხს, რომლითაც კონტენტი ინდივიდის მიერ აღიქმება, როგორც ჭეშმარიტი და სანდო (Kwon et al., 2021). იმისათვის რომ ბრენდის მიერ შექმნილი კონტენტი მიჩნეული იყოს ავთენტურად, საჭიროა, რომ ბრენდის შესახებ მომხმარებლების აღქმა შეესაბამებოდეს ავთენტურობის სუბიექტურ აღქმას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ესა თუ ის საკითხი ზოგადად (Cinelli and LeBoeuf 2019). იმისათვის, რომ მიზნობრივმა აუდიტორიამ კონტენტი ავთენტურად მიიღოს და, შესაბამისად, მომხმარებლის ჩართულობა გაიზარდოს, ბრენდის მიერ შექმნილი კონტენტი აუცილებლად უნდა მოექცეს იმ ჩარჩოში, რასაც მომხმარებლის მიერ ბრენდის აღქმა ჰქვია (Kwon et al., 2020). აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H3: ონლაინვაჭრობასთან დაკავშირებული კონტენტის ავთენტურობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე.

კონტენტის ხარისხი წარმოადგენს მომხმარებლის აღქმას, რომელიც ორიენტირებულია სიზუსტეზე, სისრულესა და რელევანტურობაზე (Carlson et al., 2018). კვლევები მიუთითებს რომ კონტენტის ხარისხს პოზიტიური გავლენა აქვს მომხმარებლის ქცევაზე (Nambisan and Baron, 2009). აღნიშნული ეფექტი დადასტურებულია ემპირიული მტკიცებულებებით, რომლებიც შემოწმებულია სოციალური მედიის გარემოს კონტექსტში (Zhang et al., 2015). მომხმარებლის გამოცდილება, მოიძიოს სასარგებლო ინფორმაცია ბრენდის შესახებ, ეხმარება მას, გააძლიეროს ბრენდის შესწავლის პროცესი (Hamilton et al., 2016). თავის მხრივ, მომხმარებლები ბრენდის მიერ შექმნილ და გავრცელებულ კონტენტთან ჩართულობას ახორციელებენ სამი მიზეზით, როგორიცაა სწავლა, შესაბამისი საზოგადოების წევრობის გამოხატვა და სიამოვნების მიღება (Carlson et al.,2018). კვლევები გვიჩვენებს, რომ როდესაც მომხმარებლები კონტენტთან დაკავშირებით მხიარულებას, გართობას და შემეცნებას განიცდიან, ბრენდთან ჩართულობას უფრო მკვეთრად გამოხატავენ და გამოკითხვების დროს პირად ინფორმაციასაც ხშირად გასცემენ (De Vries and Carlson, 2014). აქედან გამომდინარე, შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H4: ონლაინვაჭრობასთან დაკავშირებული კონტენტის ხარისხი დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შევიმუშავეთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე. კვლევაში ჩართულია სამი დამოუკიდებელი ცვლადი (ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა, ციფრული კონტენტის სანდოობა, ციფრული კონტენტის ავთენტურობა და ციფრული კონტენტის ხარისხი) და ერთი დამოკიდებული ცვლადი (მომხმარებელთა ჩართულობა). ეს კონცეპტუალური მოდელი გვიჩვენებს ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებას.



ნახ. 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოვიყენეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდი, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტაში გამოყენებული კითხვები დაეფუძნა იმ ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც მოხსენებულია წინამდებარე ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში. კონსტრუქცია, შესაბამისი დებულებები და ავტორები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

კვლევის კონსტრუქცია

ცვლადები	საზომი დებულებები	წყარო
ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა	• ეს კონტენტი ენთუზიაზმით მავსებს • ვფიქრობ, ეს კონტენტი გასართობია • ვფიქრობ, ეს კონტენტი მხიარულია • ვფიქრობ, რომ ეს კონტენტი ამაღელვებელია • ვფიქრობ, რომ ეს კონტენტი სასიამოვნოა	Phan et al. (2020); Lou & Xie (2021); Carlson et al. (2018)
ციფრული კონტენტის სანდოობა	• ციფრული კონტენტი ფაქტებს კარგად გამოხატავს • მე უფრო მეტად ვენდობი ჩვეულებრივი მომხრაებლის შეფასებას,ვიდრე ექსპერტის შეფასებას პროდუქტის შესახებ	Sethna et al. (2017); Pektas (2020);

	• მე ვენდობი მეგობრების ან იმ ადამიანების შეფასებებს, ვისაც სოციალურ ქსელში თვალს ვადევნებ • კონტენტი რომელიც მოვიძიე ან ვნახე, სანდოა	
ციფრული კონტენტის ავთენტურობა	• კონტენტი, რომელიც მოვიძიე ან ვნახე, უცვლელია • კონტენტი, რომელიც მოვიძიე ან ვნახე, ზედმეტი სიტყვების გარეშეა	Kwon et al. (2021)
ციფრული კონტენტის ხარისხი	• სოციალურ მედიის გვერდებზე ნაჩვენები ბრენდების კონტენტი ზუსტია • სოციალურ მედიის გვერდებზე ნაჩვენები ბრენდების კონტენტი საინტერესოა	Carlson et al. (2018)
მომხმარებელთა ჩართულობა	• სოციალურ მედიაში განთავსებული კონტენტი მომწონს და მასზე კომენტარებს ვაკეთებ • მოტივირებული ვარ, რომ პოზიტიურად ჩავერთო სოციალურ მედიაში განთავსებულ კონტენტში • მონაწილეობას ვიღებ სოციალურ მედიაში განხორციელებულ აქტივობებში, რომლებიც უკავშირდება ბრენდის კონტენტს • სოციალურ მედიაში ბრენდთან დაკავშირებული კონტენტის გაზიარებით ხელს ვუწყობ მის პრომოციას	Phan et al. (2020)

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2=არ ვეთანხმები, 3=ნეიტრალური ვარ, 4=ვეთანხმები, 5=სავსებით ვეთანხმები). გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევა დაეფუძნა საალბათო შერჩევის მეთოდს. კვლევის არეს წარმოადგენდა საქართველო, ხოლო გენერალურ ერთობლიობას უმაღლესი და პროფესიული განათლების სტუდენტები, რომელთა რაოდენობა 2024 წლისათვის შეადგენდა 192588 ადამიანს (Datareportal, 2024). შერჩევის ზომა განვსაზღვრეთ კრეიჩისა და მორგანის ფორმულის დახმარებით (Krejcie & Morgan,1970). 95%-იანი სანდო ალბათობისა და 5%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, შერჩევის ზომამ ჩვენს კვლევაში შეადგინა 601 ადამიანი. სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით სულ შევეხმიანეთ 1018 რესპონდენტს, რომლიდანაც მივიღეთ 805 შევსებული ანკეტა (მთლიანი რაოდენობის 79%, რაც ითვლება მისაღებად (Heslop et al.,1998).

სანდოობის ზომების დასადგენად მენიერები იყენებენ კრონბახის ალფა კოეფიციენტს (კრონბახის ალფას). სანდოობის კოეფიციენტი ითვლება მისაღებად, თუ ის არის 0.60 ან უფრო მაღალი (Nunnally, 1967). ჩვენ მიერ მიღებული სანდოობის სტატისტიკის მაჩვენებლები მოცემულია მე-2 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ კრონბახის ალფა კოეფიციენტი თითოეული ცვლადისთვის 0.7-ზე მეტია, რაც შეიძლება ჩაითვალოს საგრძნობლად მაღალ სანდო კოეფიციენტად.

ცხრილი 2

სანდოობის სტატისტიკა

ცვლადები	კრონბახის ალფა	დებულებების რაოდენობა
ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა	0.883	5
ციფრული კონტენტის სანდოობა	0.757	4
ციფრული კონტენტის ავთენტურობა	0.762	2
ციფრული კონტენტის ხარისხი	0.764	2
მომხმარებელთა ჩართულობა	0.875	4

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

კვლევის შედეგები

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 805-მა რესპოდენტმა. აქედან უმრავლესობა (70,7%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. რაც შეეხება რესპოდენტების ასაკს, ამ მხრივ ყველაზე აქტიურია 18-24 წლის ჯგუფი (62,2%). აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 58% 10 წელზე მეტია, რაც ჩართულია ინტერნეტში. ამასთან, მომხმარებლების რაოდენობის 77% ინტერნეტს იყენებს როგორც პირადი, ასევე პროფესიული მიზნებისთვის. რესპონდენტთა 69% სოციალურ მედიის პლატფორმებს იყენებს 5 წელზე მეტია. რაც შეეხება ელექტრონულ მოწყობილობებს, რესპონდენტების უმრავლესობა (82%) იყენებს სმარტფონს, ხოლო ონლაინყიდვისას ციფრულ კონტენტს მიმართავს რესპოდენტების 83%.

კვლევაში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების შემოწმებისთვის გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზის მეთოდი. პირველი ჰიპოთეზა ეხება ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობის გავლენას მომხმარებელთა ჩართულობაზე. ჩატარებული ანალიზის შედეგად H1 ჰიპოთეზა დადასტურდა. მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ 1-ლი მოდელი სანდოა ($P<0.05$; $F>F_{კრ}$ 266.570>3.84). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა მომხმარებელთა ჩართულობაზე დადებით გავლენას ახდენს. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი (0.249) გვიჩვენებს, რომ მარტივი რეგრესიით აიხსნება გართობისუნარიანობის ვარიაციის მხოლოდ 24.9%, დანარჩენი კი აუხსნელი რჩება. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შემოწმდა ავტოკორელაციის არსებობა დარბინ-უოტსონის სტატისტიკური ტესტის საფუძველზე, რომლის მნიშვნელობა აღწევს 1.901-ს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

რეგრესიული მოდელის ნაშთები შემთხვევით განაწილებულია და არ არღვევს ავტოკორელაციის არარსებობის დაშვებას.

ცხრილი 3

ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობის, სანდოობის, ავთენტურობისა და ხარისხის გავლენა მომხმარებელთა ჩართულობაზე

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

ა) მოდელის რეზიუმე					
მოდელი	R	R^2	კორექტირე-ბული R^2	შეფასების სტანდარტული შეცდომა	დარბინ-უოტსონი
1	.499	.249	.248	3.67677	1.901
2	.492	.242	.242	3.69326	1.901
3	.504	.254	.253	3.66588	1.956
4	.608	.369	.368	3.37056	1.957

ბ) ANOVA						
მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
1	რეგრესია	3603.667	1	3603.667	266.570	.000
	ცდომილება	10855.494	803	13.519		
	ჯამი	14459.160	804			
2	რეგრესია	3506.132	1	3506.132	257.045	.000
	ცდომილება	10953.029	803	13.640		
	ჯამი	14459.160	804			
3	რეგრესია	3667.920	1	3667.920	272.938	.000
	ცდომილება	10791.241	803	13.439		
	ჯამი	14459.160	804			
4	რეგრესია	5336.519	1	5336.519	469.735	.000
	ცდომილება	9122.641	803	11.361		
	ჯამი	14459.160	804			

გ) კოეფიციენტები						
მოდელი		არასტანდარტიზებული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	t	P
		B	სტანდარტ. შეცდომა	ß		
1	(კონსტანტა)	4.949	.449		11.022	.000
	გართობისუნა-რიანობა	.451	.028	.499	16.327	.000
2	(კონსტანტა)	4.700	.472		9.964	.000
	სანდოობა	.569	.035	.492	16.033	.000
3	(კონსტანტა)	5.009	.441		11.371	.000
	ავთენტურობა	1.155	.070	.504	16.521	.000
4	(კონსტანტა)	2.826	.438		6.448	.000
	ხარისხი	.957	.044	.608	21.673	.000

შენიშვნა: დამოუკიდებელი ცვლადები: გართობისუნარიანობა, სანდოობა, ავთენტურობა, ხარისხი; დამოკიდებული ცვლადი: ჩართულობა.

მეორე ჰიპოთეზა ეხება სანდოობის გავლენას მომხმარებელთა ჩართულობაზე. რეგრესიული ანალიზის შედეგად H2 ჰიპოთეზა დადასტურდა. ასევე, მოდელი სანდოა ($P<0.05$; $F>F_{кр}$ 257.045>3.84) შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სანდოობა მომხმარებელთა ჩართულობაზე დადებით გავლენას ახდენს. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.242 გვიჩვენებს, რომ მარტივი რეგრესიით აიხსნება სანდოობის ვარიაციის მხოლოდ 24.2 % დანარჩენი 75.8% კი აუხსნელი რჩება. დარბინ-უოტსონის მნიშვნელობა აღწევს 1.901-ს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეგრესიული მოდელის ნაშთები შემთხვევით განაწილებულია და არ არღვევს ავტოკორელაციის არარსებობის დაშვებას.

რეგრესიული ანალიზის შედეგად H3 ჰიპოთეზა დადასტურდა. ასევე, მოდელი სანდოა ($P<0.05$; $F>F_{кр}$ 272.938>3.84). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონტენტის ავთენტურობა მომხმარებელთა ჩართულობაზე დადებით გავლენას ახდენს. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი (0.254) გვიჩვენებს, რომ მარტივი რეგრესიით აიხსნება ავთენტურობის ვარიაციის მხოლოდ 25.4% დანარჩენი 74.6% კი აუხსნელი რჩება. ამ მოდელში დარბინ-უოტსონის მნიშვნელობა აღწევს 1.956-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესიული მოდელის ნაშთები შემთხვევით განაწილებულია და არ არღვევს ავტოკორელაციის არარსებობის დაშვებას.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, H4 ჰიპოთეზა დადასტურდა და მოდელი სანდოა ($P<0.05$; $F>F_{кр}$ 469.735>3.84), შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონტენტის ხარისხი მომხმარებელთა ჩართულობაზე დადებით გავლენას ახდენს. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი (0.369) გვიჩვენებს, რომ მარტივი რეგრესიით აიხსნება ჩართულობის ვარიაციის მხოლოდ 36.9% დანარჩენი 63.1% კი აუხსნელი რჩება. ანალიზიდან ჩანს, რომ დარბინ-უოტსონის მნიშვნელობა არის 1.957-ს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მოდელში რეგრესიული მოდელის ნაშთები შემთხვევით განაწილებულია და არ არღვევს ავტოკორელაციის არარსებობის დაშვებას.

წინამდებარე კვლევის ანალიზში გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიული განტოლება:

$$Y = \beta 0 + \beta 1X1 + \varepsilon. \qquad (1)$$

სადაც Y არის დამოკიდებული ცვლადი (ჩართულობა); β0 - მუდმივი წევრი; β1— რეგრესიის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს X-ის ერთერთეულიანი ცვლილების გავლენას Y-ზე; ε - ნაშთი, რომელიც მოიცავს ყველა სხვა ფაქტორს, რასაც მოდელი არ ითვალისწინებს.

(1) განტოლებაში, ჩავსვით მე-3 ცხრილის მონაცემები და ავაგეთ შემდეგი მოდელები:

ჩართულობა (Y)= 4.949+0.451 (კონტენტის გართობისუნარიანობა) (2)

ჩართულობა (Y)= 4.700+0.569 (კონტენტის სანდოობა) (3)

ჩართულობა (Y)= 5.009 + 1.155 (კონტენტის ავთენტურობა) (4)

ჩართულობა (Y)= 2.826 + 0.957 (კონტენტის ხარისხი) (5)

(2) განტოლება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ციფრული კონტენტის გართობისუნარანობის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მომხმარებელთა ჩართულობის 0.451 ერთეულით მატებას. (3) განტოლების მიხედვით, სანდოობის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მომხმარებელთა ჩართულობის 0.569 ერთეულით მატებას. (4) განტოლებიდან გამომდინარე, კონტენტის ავთენტურობის ერთი ერთეულით ზრდა

იწვევს მომხმარებელთა ჩართულობის 1.155 ერთეულით მატებას. (5) განტოლება ცხადყოფს, რომ კონტენტის ხარისხის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მომხმარებელთა ჩართულობის 0.957 ერთეულით მატებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ციფრული კონტენტის მახასიათებლები მომხმარებელთა ჩართულობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. ჩატარებული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადასტურდა კვლევის ოთხივე ჰიპოთეზა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ციფრული კონტენტის გართობისუნარიანობა, სანდოობა, ავთენტურობა და ხარისხი მომხმარებელთა ჩართულობაზე დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციფრული კონტენტის ხარისხის გავლენა, რომელმაც ყველაზე მაღალი ძალა აჩვენა. ეს შედეგი ადასტურებს, რომ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ზუსტ, სასარგებლო, ღირებულ და ინფორმაციულ კონტენტს, რომელიც მათ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება აღარ არის საკმარისი. თანამედროვე მომხმარებელი ელოდება კონტენტს, რომელიც ერთდროულად იქნება საინტერესო, სანდო, ემოციურად მიმზიდველი და ავთენტური. სწორედ, ამ მახასიათებლების ერთობლიობა აყალიბებს მაღალ ჩართულობას და ხელს უწყობს ბრენდთან გრძელვადიანი ურთიერთობის განვითარებას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შემდეგი:

- კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ მომხმარებელზე ორიენტირებული კონტენტსტრატეგია, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს ინფორმაციულობას, გასართობ ელემენტებსა და ავთენტურობას;
- კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კონტენტის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, რადგან სწორედ ამ ფაქტორმა აჩვენა ყველაზე ძლიერი გავლენა მომხმარებელთა ჩართულობაზე;
- კომპანიებმა უნდა გაიზარდონ მომხმარებელთა მიერ შექმნილი კონტენტის გამოყენება, რაც აძლიერებს სანდოობისა და ავთენტურობის აღქმას;
- კომპანიებმა სოციალური მედიის პლატფორმებზე უნდა განხორციელონ რეგულარული მონიტორინგი მომხმარებელთა ჩართულობის ინდიკატორების მიხედვით და მოახდინონ მიღებული შედეგების ინტეგრირება თავიანთ მარკეტინგულ გადაწყვეტილებებში;
- კომპანიებმა უნდა გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის შესაძლებლობები, რათა მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული პერსონალიზებული კონტენტი შექმნან.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვნად ავითარებს ციფრული მარკეტინგისა და მომხმარებელთა ქცევის თეორიებს. კვლევა ადასტურებს, რომ მომხმარებელთა ჩართულობის მოდელებში ციფრული კონტენტის თვისებრივი მახასიათებლები დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად უნდა განიხილებოდეს.

კვლევის შედეგები ავსებს მომხმარებელთა ჩართულობის, ურთიერთობების მარკეტინგისა და კონტენტმარკეტინგის თეორიულ ჩარჩოებს. წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მომავალი ემპირიული კვლევების საფუძველი, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, სადაც ციფრული კომერცია სწრაფად ვითარდება. ამასთანავე, კვლევა ადასტურებს, რომ ონლაინმომხმარებელთა ქცევის ანალიზისას აუცილებელია ემოციური, კოგნიტური და ინფორმაციული ფაქტორების ერთობლივი გათვალისწინება.

კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ელექტრონული კომერციის კომპანიების, მარკეტინგული სააგენტოებისა და სოციალური მედიის მენეჯერებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ბიზნესორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კონტენტის ხარისხს. აუცილებელია, რომ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ინფორმაცია იყოს ზუსტი, სრულყოფილი, დროული და რეალური ღირებულების მქონე. მაღალი ხარისხის კონტენტი ზრდის ნდობას და ამყარებს მომხმარებელთან ხანგრძლივვადიან ურთიერთობას. ასევე მნიშვნელოვანია ავთენტური კომუნიკაციის შენარჩუნება. მომხმარებელი მარტივად ამოიცნობს ხელოვნურ, გადაჭარბებულ ან არაბუნებრივ სარეკლამო გზავნილებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე. ამიტომ კომპანიებმა უნდა შექმნან რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული კონტენტი და მაქსიმალურად წარმოაჩინონ ბრენდის ნამდვილობა. პრაქტიკული თვალსაზრისით, სასურველია ინტერაქტიული, ვიზუალურად მიმზიდველი და გასართობი კონტენტის გამოყენება, ვინაიდან იგი მომხმარებელთა აქტივობას, გაზიარებებს, კომენტარებსა და ბრენდთან ურთიერთქმედებას ზრდის. ამასთანავე, კომპანიებმა მომხმარებელთა რეაქციები მუდმივად უნდა შეაფასონ და ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე საკუთარი კონტენტსტრატეგია განაახლონ.

კვლევის შეზღუდვები

კვლევას რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა აქვს. პირველ რიგში, კვლევის რესპონდენტებს, ძირითადად, საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სტუდენტები წარმოადგენდნენ, რის გამოც მიღებული შედეგების განზოგადება მოსახლეობის ყველა დემოგრაფიულ ჯგუფზე გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. მეორე შეზღუდვას წარმოადგენს კვლევის გეოგრაფიული არე, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოიცავს. სხვადასხვა კულტურულ და ეკონომიკურ გარემოში მომხმარებელთა ქცევა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს. გარდა ამისა, კვლევაში გამოყენებულია თვითშეფასებაზე დაფუძნებული კითხვარი, რაც სოციალური სასურველობის ეფექტისა და სუბიექტური შეფასებების გავლენის შესაძლებლობას ზრდის. ასევე კვლევაში გამოყენებული იყო მარტივი რეგრესიული ანალიზი, რის გამოც მომხმარებელთა ჩართულობაზე მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები მოდელში არ ყოფილა გათვალისწინებული.

სამომავლო კვლევების მიმართულებები

სამომავლოდ, მიზანშეწონილია კვლევის გაფართოება სხვადასხვა ასაკობრივი, პროფესიული და კულტურული ჯგუფების მონაწილეობით, რაც შედეგების განზოგადების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გაზრდის. ასევე, სასურველია, კვლევაში დამატებით იქნეს ჩართული ისეთი ცვლადები, როგორიცაა ბრენდისადმი სიყვარული,

მომხმარებლის გამოცდილება, აღქმული ღირებულება, სოციალური გავლენა და ლოიალურობა, რათა უკეთ აიხსნას მომხმარებელთა ჩართულობის ფორმირების მექანიზმი. პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს სტრუქტურული განტოლებების მოდელირების გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის, პირდაპირი, არაპირდაპირი და მედიაციური ეფექტების ერთდროული შეფასება მოვახდინოთ. ასევე საინტერესო იქნება ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის, პერსონალიზებული მარკეტინგისა და სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმების შედარებითი გავლენის კვლევა მომხმარებელთა ჩართულობაზე. ასეთი კვლევები მნიშვნელოვნად გააღრმავებს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ რეკომენდაციებს ციფრული მარკეტინგის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

Akpinar, E., & Berger, J. (2017). Valuable virality. *Journal of Marketing Research*, *54*(2), 318-330.

Berger, J., & Milkman, K. L. (2012). What makes online content viral?. *Journal of marketing research*, *49*(2), 192-205.

Brodie, R. J., Ilic, A., Juric, B., & Hollebeek, L. (2013). Consumer engagement in a virtual brand community: An exploratory analysis. *Journal of business research*, *66*(1), 105-114.

Busalim, A., Hollebeek, L. D., & Lynn, T. (2024). The effect of social commerce attributes on customer engagement: an empirical investigation. *Internet Research*, *34*(7), 187-214.

Carlson, J., Rahman, M., Voola, R., & De Vries, N. (2018). Customer engagement behaviours in social media: capturing innovation opportunities. *Journal of Services Marketing*, *32*(1), 83-94.

Cinelli, M. D., & LeBoeuf, R. A. (2020). Keeping it real: How perceived brand authenticity affects product perceptions. *Journal of Consumer Psychology*, *30*(1), 40-59.

Datareportal (2025). Digital 2025: Global Overviw Report. [redacted] https://datareportal.com/reports/digital-2025-global-overview-report

Datareportal. (2024). Digital 2024: Georgia. Retrieved from: https://datareportal.com/reports/digital-2024-georgia

De Vries, N. J., & Carlson, J. (2014). Examining the drivers and brand performance implications of customer engagement with brands in the social media environment. *Journal of Brand Management*, *21*(6), 495-515.

Eigenraam, A. W., Eelen, J., & Verlegh, P. W. (2021). Let me entertain you? The importance of authenticity in online customer engagement. *Journal of interactive marketing*, *54*(1), 53-68.

Gummerus, J., Liljander, V., Weman, E., & Pihlström, M. (2012). Customer engagement in a Facebook brand community. *Management Research Review*, *35*(9), 857-877.

Hamilton, M., Kaltcheva, V. D., & Rohm, A. J. (2016). Social media and value creation: the role of interaction satisfaction and interaction immersion. *Journal of interactive marketing*, *36*(1), 121-133.

Heslop, L. A., Papadopoulos, N., & Bourk, M. (1998). An interregional and intercultural perspective on subcultural differences in product evaluations. *Canadian Journal of Administrative Sciences/Revue Canadienne des Sciences de l'Administration*, *15*(2), 113-127.

Krejcie, R. V., & Morgan, D. W. (1970). Determining sample size for research activities. *Educational and Psychological Measurement*, *30*(3), 607-610.

Kwon, J. H., Kim, S., Lee, Y. K., & Ryu, K. (2021). Characteristics of social media content and their effects on restaurant patrons. *Sustainability*, *13*(2), 907.

Liu, C. T., Guo, Y. M., & Hsu, J. L. (2023). Creating and validating an information quality scale for e-commerce platforms. *Journal of Electronic Commerce in Organizations (JECO)*, *21*(1), 1-28.

Lou, C., & Xie, Q. (2021). Something social, something entertaining? How digital content marketing augments consumer experience and brand loyalty. *International Journal of Advertising*, *40*(3), 376-402.

Nambisan, S., & Baron, R. A. (2009). Virtual customer environments: testing a model of voluntary participation in value co-creation activities. *Journal of product innovation management*, *26*(4), 388-406.

Nunnally, J.C. (1967). *Psychometric Theory*. New York, NY: McGraw-Hill Book Company.

Pektas, S. Y., & Hassan, A. (2020). The effect of digital content marketing on tourists' purchase intention. *Journal of Tourismology*, *6*(1), 79-98.

Phan, Q. P. T., Pham, T. N., & Nguyen, L. H. L. (2020). How to drive brand engagement and EWOM intention in social commerce: A competitive strategy for the emerging market. *Journal of Competitiveness*.

Rezaei, S., & Ismail, W. K. W. (2014). Examining online channel selection behaviour among social media shoppers: a PLS analysis. *International Journal of Electronic Marketing and Retailing*, *6*(1), 28-51.

Rietveld, R., Van Dolen, W., Mazloom, M., & Worring, M. (2020). What you feel, is what you like influence of message appeals on customer engagement on Instagram. *Journal of interactive marketing*, *49*(1), 20-53.

Sethna, B. N., Hazari, S., & Bergiel, B. (2017). Influence of user generated content in online shopping: impact of gender on purchase behaviour, trust, and intention to purchase. *International Journal of Electronic Marketing and Retailing*, *8*(4), 344-371.

Singh, D., & Pandey, V. (2024). The dimensions and roles of online content in social commerce: A systematic literature review and future research agenda. *International Journal of Consumer Studies*, *48*(1), e13004.

Taheri, B., Yousaf, A., Gannon, M., & Mishra, A. (2024). e-commerce website customer engagement: Delineating the role of UTAUT, vividness, and compulsion. *Journal of Retailing and Consumer Services*, *79*, 103835.

Todua, N. (2018). Impact of social media marketing on consumer behavior in the Georgian tourism industry. *Web of Scholar, 3*(5), 11-16.

Todua, N., & Dotchviri, T. (2015a) . On the Marketing Research of consumer prices and inflation process. *British Journal of Marketing Studies*, *3*(2), 48-57.

Todua, N., & Dotchviri, T. (2015b). ANOVA in marketing research of consumer behavior of different categories in Georgian market. *Annals of the "Constantin Brâncusi" University of Târgu Jiu, Economy Series,(1)*, 183-190.

Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of social marketing on the behavior of Georgian consumers regarding healthy nutrition. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *12*(2), 183-190.

Todua, N., & Urotadze, E. (2022). The effect of social media marketing on consumer behavior of tourism destinations. *Strategic Planning and Marketing in the Digital World. Edition: University of National and World Economy (Sofia). Publishing Complex UNWE*, 123-133.

Todua, N., Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market. In *Proceedings of International Scientific-Practical Conference "Challenges of Globalization in Economics and Business". Universal, Tbilisi* (pp. 250-256).

Veas-González, I., Escobar-Farfán, M., Pizarro-Veloso, G., Carrión-Bosquez, N., Sánchez Ortiz, A., Aliaga-Blanco, C., & Rebolledo-Santander, G. (2026). Platform-Specific Quality Dimensions in Instagram Commerce: How Social Media Features Drive Consumer Behavior. *Journal of Theoretical and Applied Electronic Commerce Research*, *21*(3), 96.

Wei, J. Q., Wang, L. Z., & Liu, Y. Y. (2020). Study on Influencing Factors of Short Video on Users' Purchase Intention of Books. *J. China Publishing Journal*, *6*, 8-14.

Xiao, E., Su, C., Lu, L., Qin, R., Li, Z., & Wang, D. (2026). Factors affecting impulse buying behavior in the context of E-commerce live streaming. *Acta Psychologica*, *262*, 106183.

Yu, J., & Li, J. (2023). The Influence of Content Marketing on Consumers' Purchase Intention Based on SOR Theory. *Journal of Asia-Pacific and European Business*, *3*(01).

Zhang, H., Lu, Y., Wang, B., & Wu, S. (2015). The impacts of technological environments and co-creation experiences on customer participation. *Information & Management*, *52*(4), 468-482.

Zhao, Z., Omar, N. A., & Zaki, H. O. (2025). Appraisal factors of sustainable purchase intentions in online shopping platform context: PLS-SEM with theory extensions. *Journal of Retailing and Consumer Services*, *82*, 104118.

Zheng, L., Li, Y., & Zhang, X. (2026). Content as shelf: How branded content atmospheres shape consumer relationship building in social commerce? Insights from PLS-SEM and fs/QCA. *Computers in Human Behavior*, *184*, 109065.

The impact of qualitative characteristics of digital content on consumer engagement in online shopping

Nugzar Todua
Doctor of Economics Science, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nugzar.todua@tsu.ge

Nia Todua
Doctor of Business Administration, Associate Professor
International Black Sea University
ni.taodua@ibsu.edu.ge

Levan Kalmakhelidze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
levan.kalmakhelidze@tsu.ge

Summary

The present study aims to assess the impact of key characteristics of digital content on consumer engagement in online shopping. The study is based on the idea that in the modern digital environment, the qualitative characteristics of content play an important role in shaping consumer behavior and building long-term relationships with brands. In the paper, based on a literature review, a conceptual model was developed that includes four independent variables: entertainment, trust, authenticity, and quality of digital content, and consumer engagement is considered the dependent variable. The study was conducted using a quantitative method. Data were collected through a structured questionnaire, and 805 students of higher and vocational education institutions of Georgia were interviewed. Linear regression analysis was used to test the hypotheses. The results showed that the entertainment ($\beta = 0.499$, $p < 0.001$), trust ($\beta = 0.492$, $p < 0.001$), authenticity ($\beta = 0.504$, $p < 0.001$) and quality ($\beta = 0.608$, $p < 0.001$) of digital content have a statistically significant and positive impact on consumer engagement in online shopping. The results of the study confirm that the creation of high-quality, trustworthy, authentic and user-interesting digital content increases consumer activity, brand interaction and the level of engagement on online platforms. The results provide an important theoretical and practical basis for companies operating in the field of e-commerce, which are trying to shape their marketing strategies through digital content.

Keywords: Digital content, online shopping, consumer behavior, marketing research.

საქართველოს ახალი საექსპორტო სპეციალიზაციის ფორმირებაში ICT-სექტორის ზრდის როლი: პანდემიის, საგადასახადო შეღავათებისა და სამხედრო-მიგრაციული რელოკაციის გავლენის ემპირიული ანალიზი, 2010–2025 წწ.

გოჩა თუთბერიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
gocha.tutberidze@cue.edu.ge

გოჩა უგულავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
gocha.ugulava@cue.edu.ge

ანოტაცია. *2020 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში შეინიშნება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის დაჩქარებული ზრდა და ქვეყნის მომსახურების ექსპორტის სტრუქტურაში ICT-მომსახურებების წილის მკვეთრი ზრდა. აღნიშნული პროცესი დროში ემთხვევა სამი განსხვავებული ბუნების მქონე ფაქტორის მოქმედებას: პოსტპანდემიურ პერიოდში დისტანციურ მომსახურებაზე მოთხოვნის აღდგენას, 2020 წელს საერთაშორისო IT-კომპანიებისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის ამოქმედებას და 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შედეგად უცხოური, უმთავრესად რუსული, IT-ბიზნესისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მასშტაბურ რელოკაციას საქართველოში. ამ ფაქტორების თანხვედრა და თანმიმდევრული გადაფარვა ართულებს დაკვირვებული ზრდის ინტერპრეტაციას, როგორც სექტორის ორგანული განვითარების შედეგისა. ნაშრომში, საქართველოს ეკონომიკის 2010–2025 წლების წლიური პანელური მონაცემების (საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკი) საფუძველზე, შეფასებულია ICT-სექტორის როლი რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დინამიკასა და ქვეყნის მომსახურების ექსპორტის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში. უმცირეს კვადრატთა მეთოდის (OLS) გამოყენებით მოწმდება ორი ჰიპოთეზა: (H1) ICT-სექტორის წილის ზრდა მშპ-ში დადებითად არის დაკავშირებული ეკონომიკური ზრდის ტემპთან; (H2) ICT-მომსახურებების ექსპორტში წილის ზრდაზე გავლენას ახდენს ციკლური, ინსტიტუციური და სამხედრო-მიგრაციული ფაქტორები. ნაშრომის ძირითადი მეთოდოლოგიური წვლილი მდგომარეობს 2022 წლის სამხედრო-მიგრაციული შოკის ეფექტის სტატისტიკურ გამიჯვნაში იმავე პერიოდში მოქმედი პოსტპანდემიური აღდგენისა და 2020 წლის საგადასახადო რეფორმის ეფექტებისგან.*

საკვანძო სიტყვები: *ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორი, საექსპორტო სპეციალიზაცია, ეკონომიკური ზრდა, საგადასახადო შეღავათები, კაპიტალის რელოკაცია.*

1. შესავალი

2020 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში შეინიშნება სტრუქტურული გარდაქმნა: ეკონომიკური საქმიანობის „ინფორმაცია და კომუნიკაციის“ სექტორში (NACE Rev. 2, სექცია J) შექმნილი დამატებული ღირებულება დანარჩენ ეკონომიკასთან შედარებით უფრო სწრაფად

იზრდებოდა, ხოლო ICT-მომსახურებების წილი მომსახურების ექსპორტში მრავალჯერ გაიზარდა, რითაც ტურიზმისა და ტრანსპორტის პარალელურად ქვეყნის საექსპორტო სპეციალიზაციის ახალი მიმართულება ჩამოყალიბდა. (National Statistics Office of Georgia, 2025; National Bank of Georgia, 2025) აღნიშნული ცვლილება დროში დაემთხვა სამი განსხვავებული ბუნების მქონე ფაქტორის ზემოქმედებას: პანდემიის შემდგომ მოთხოვნის ციკლურ აღდგენას, 2020 წლის საგადასახადო რეფორმას და 2022 წლიდან - უკრაინაში ომის შედეგად უცხოური, უმთავრესად რუსული, IT-ბიზნესის მასშტაბურ შემოდინებას. ამ ფაქტორების ერთდროული ზემოქმედება ართულებს დაკვირვებული ზრდის, როგორც სექტორის ორგანული განვითარების შედეგის ინტერპრეტაციას.

ნაშრომის მიზანია 2010–2025 წლების მონაცემებზე დაყრდნობით რაოდენობრივად შეფასდეს ICT-სექტორის როლი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდასა და ქვეყნის მომსახურების ექსპორტის სტრუქტურის ტრანსფორმაციაში, პოსტპანდემიური აღდგენის, 2020 წლის საგადასახადო რეფორმისა და სამხედრო-მიგრაციული შოკის - სამი ფაქტორის - სტატისტიკური გამიჯვნის გზით. შერჩევის მცირე მოცულობა (16 წლიური დაკვირვება) განსაზღვრავს მოდელის კომპაქტური სპეციფიკაციის არჩევანს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა და ინსტიტუციური კონტექსტი

ICT-ისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირი ბოლო სამი ათწლეულის ემპირიული მაკროეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ შესწავლილი თემაა. (Kretschmer, 2012) შინაარსობრივად ყველაზე ახლო შემთხვევაა ესტონეთის სტრუქტურული ტრანსფორმაციამსოფლიო ბანკის მიმოხილვა (World Bank, 2023) აჩვენებს, რომ გაანალიზებული ნაშრომების დაახლოებით 90% ქვეყნის, ფირმისა თუ შინამეურნეობის დონეზე ICT-ისა და ეკონომიკურ ზრდას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით კავშირს ადასტურებს, თუმცა რაოდენობრივი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება.(Galt & Taggart, 2026) მცირე ღია ეკონომიკებისთვის, საყურადღებოა ფინეთის მაგალითი, სადაც 1990–2004 წლებში ICT-ის გავლენა მშპ-ის ზრდაზე ენერგეტიკის სექტორის გავლენას სულ მცირე სამჯერ აღემატებოდა, ხოლო ციფრული ტრანსფორმაცია სწორედ მცირე ეკონომიკების ზრდის მთავარ ინსტრუმენტად განიხილება (Jalava, Pohjola, 2008). ანალოგიურად, ავსტრალიის შემთხვევაში 1960–2001 წლების მონაცემებზე კოინტეგრაციული ანალიზის საფუძველზე ICT-ის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი იქნა დადასტურებული (Shahiduzzaman, Alam, 2014). განვითარებადი, ფორმირებადი და განვითარებული ეკონომიკების შედარებამ 1995–2010 წლების პანელურ მონაცემებზე (Myovella, Karacuka, Haucap, 2020) არ დაადასტურა, რომ განვითარებადი ეკონომიკები ICT-ისგან უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე განვითარებული ქვეყნები. ეს დასკვნა საყურადღებოა: გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ისეთის როგორიც საქართველოა, მიმართ უფრო ძლიერი ეფექტის აპრიორული მოლოდინი არ უნდა არსებობდეს. შინაარსობრივად ყველაზე ახლო შემთხვევაა ესტონეთის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული რესპუბლიკიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში ICT-ზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის მაგალითად იქცა (მომსახურების სექტორის წილი მშპ-ში 32%-დან 65.7%-მდე გაიზარდა), რაც ცხადყოფს, რომ შესაძლებელია საექსპორტო სპეციალიზაციის ჩამოყალიბება მაღალტექნოლოგიური მომსახურებების საფუძველზე, ტრადიციული ინდუსტრიალიზაციის ნაცვლად. (World Bank, 2020) 2011 წლიდან საქართველოში მოქმედებს ვირტუალური ზონის პირის (Virtual Zone Person - VZP) საგადასახადო სტატუსი, რომელიც საექსპორტო საქმიანობაზე ორიენტირებულ IT-კომპანიებს მოგების გადასახადისგან სრულად ათავისუფლებს. (Revenue Service of Georgia, n.d.) 2020 წლიდან აღნიშნულ რეჟიმს დაემატა საერთაშორისო კომპანიის

(International Company) სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს მოგების გადასახადის 5%-იან განაკვეთს, დივიდენდების ნულოვან დაბეგვრასა და დასაქმებულთათვის საშემოსავლო გადასახადის შეღავათიან რეჟიმს.(Government of Georgia, 2020; Tax Code of Georgia, 2020) ინსტიტუციურ შეღავათებთან ერთად, 2022 წლიდან სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გარე გეოპოლიტიკურმა შოკმაც: რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის განმავლობაში საქართველოში რუსეთის დაახლოებით 112 ათასი მოქალაქის შემოდინება გამოიწვია.(National Statistics Office of Georgia, 2023) 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის თებერვლამდე საქართველოში რუსეთის მონაწილეობით დაახლოებით 16 ათასი კომპანია დარეგისტრირდა (Transparency International Georgia, 2023), მაშინ როდესაც წინა 27 წლის განმავლობაში (1995–2022 წწ.) ასეთი კომპანიების რაოდენობა 7 788-ს შეადგენდა; დამატებით, დაახლოებით 13 ათასი კომპანია 2023 წელს დარეგისტრირდა. Transparency International Georgia-ს შეფასებით, მათი დაახლოებით 80% სწორედ IT-სექტორს მიეკუთვნება. 2023 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ დამატებით გაამარტივა უცხოელი IT-სპეციალისტებისთვის ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა (სამწლიანი, განახლებადი ბინადრობის ნებართვა), რითაც სამუშაო ძალის შემოდინების ინსტიტუციური მხარდაჭერა უკვე პირველადი ტალღის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. (Government of Georgia, 2023)

ამრიგად, 2020–2025 წლებში საქართველოს ეკონომიკაში ICT-სექტორის წილის ზრდა, სულ მცირე, სამი განსხვავებული ბუნების მქონე წყაროს ერთობლივი შედეგია: მოთხოვნის ციკლური აღდგენა, ინსტიტუციური საგადასახადო სტიმული და მიწოდების ეგზოგენური შოკი (სამხედრო-მიგრაციული შემოდინება). საერთაშორისო ორგანიზაციების არსებული თვისებრივი მიმოხილვები, როგორც წესი, ამ ფაქტორებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს და მათ ფორმალურ სტატისტიკურ შემოწმებას არ ახდენს. ამდენად, წარმოდგენილი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი კვლევითი ჰიპოთეზები:

H1. პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპის დაჩქარება დადებითად არის დაკავშირებული ICT-სექტორის წილის ზრდასთან მშპ-ში, ეკონომიკის დანარჩენი სექტორების დინამიკის კონტროლის პირობებში. ამასთან, 2022 წლის შემდეგ დაფიქსირებული დაჩქარება ნაწილობრივ ასახავს არა სექტორის ორგანულ განვითარებას, არამედ გეოპოლიტიკური შოკის შედეგად უცხოური IT-ბიზნესის შემოდინებას.

H2. მომსახურების ექსპორტში ICT-მომსახურებების წილის ზრდა შედგება დროში ერთმანეთისგან გამიჯნული სამი კომპონენტისაგან: ციკლური აღდგენა (2020–2021 წწ.), 2020 წლის საგადასახადო რეფორმა და სამხედრო-მიგრაციული შემოდინება (2022 წლიდან). ამასთან, ბოლო ფაქტორის ეფექტი სტატისტიკურად განცალკევებადია პირველი ორი ფაქტორისაგან, რადგან მათი დადგომის თარიღებს შორის ორწლიანი ინტერვალია.

3. მონაცემები და მეთოდოლოგია

ანალიზი ეფუძნება საქართველოს 2010–2025 წლების წლიურ მონაცემებს (16 დაკვირვება). ეროვნული ანგარიშების, დარგობრივი მთლიანი დამატებული ღირებულების, დასაქმებისა და საშუალო ხელფასების მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (Geostat), ხოლო საგადასახდელო ბალანსისა და მომსახურების ექსპორტის სტრუქტურის მონაცემები - საქართველოს ეროვნული ბანკიდან (BPM6). ეკონომიკური ზრდის პირველადი მაჩვენებლები Geostat-ის მიერ ქვეყნდება ჯაჭვური ინდექსების სახით ($t–1 = 100$) და პროცენტულ მაჩვენებლებში გარდაიქმნება 100-ის გამოკლებით.

ცხრილი 1. გამოყენებული ცვლადების აღწერა

	ცვლადი	განზომილება	აღწერა	წყარო
1	gdp_real_growth	%	მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპები	Geostat
2	ict_va_growth	%	დამატებული ღირებულების ზრდა J სექტორში	Geostat
3	growth_nonICT	%	დამატებული ღირებულების ზრდა ყველა სექტორში, გარდა J-სა	Geostat
4	growth_construction	%	დამატებული ღირებულების ზრდა მშენებლობაში	Geostat
5	growth_tourism_services	%	დამატებული ღირებულების ზრდა ტურიზმის მომსახურებაში	Geostat
6	gdp_const_prices	მლნ ლარი	მშპ მუდმივი 2019 წლის ფასებში	Geostat
7	ict_va	მლნ ლარი	სექტორი J "ინფორმაცია და კომუნიკაცია" დამატებული ღირებულება	Geostat
8	ict_share_gdp	გამოითვლება	J სექტორის წილი მშპ-ში, %	Geostat
9	d_ict_share_gd	გამოითვლება	ict_share_gdp პირველი სხვაობა	Geostat
10	serv_exp_total	მლნ აშშ დოლარი	მომსახურების მთლიანი ექსპორტი	NBG
11	ict_serv_exp_usd	მლნ აშშ დოლარი	ექსპორტი "ტელეკომუნიკაციები, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება"	NBG
12	ict_serv_share	%	ict მომსახურების ექსპორტის წილი მომსახურების მთლიან ექსპორტში	NBG
13	info_comm_employment	კაცი	დასაქმებულები ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში	Geostat
14	info_comm_wage	ლარი	საშუალო ნომინალური ხელფასი სექტორში	Geostat
15	fdi_total	მლნ აშშ დოლარი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	Geostat
16	fdi_ict	მლნ აშშ დოლარი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ICT სექტორში	Geostat

ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულია ორი რეგრესიული სპეციფიკაცია:

$$gdp_real_growth_t = \alpha + \beta \cdot d_ict_share_gdp_t + \gamma \cdot growth_nonICT_t + \\ + \delta \cdot post_covid_t + \kappa \cdot war_relocation_t + \varepsilon_t \quad (1)$$

$$ict_serv_share_t = \alpha + \theta \cdot tax_relief_t + \kappa \cdot war_relocation_t + \\ + \psi \cdot gdp_real_growth_t + \varepsilon_t \quad (2)$$

ცვლადი tax_relief ასახავს საერთაშორისო კომპანიის სტატუსის შემოღებას (2020 წ.) და არა ვირტუალური ზონის პირის რეჟიმს (2011 წ.). აღნიშნული ცვლადი დროში ემთხვევა post_covid ცვლადს, რის გამოც წლიური მონაცემების პირობებში ეს ორი ფაქტორი სტატისტიკურად ერთმანეთისგან განუსხვავებელია. ამის საპირისპიროდ, war_relocation 2022 წელს ქმნის დროით წყვეტას და, შესაბამისად, მათთან კოლინეარული არ არის, რაც იძლევა შესაძლებლობას, სამხედრო-მიგრაციული ეფექტი სტატისტიკურად გაიმიჯნოს საგადასახადო-ინსტიტუციური და პოსტპანდემიური ფაქტორების გავლენისაგან.

ორივე მოდელის შეფასება განხორციელდა უმცირეს კვადრატთა მეთოდით (OLS) წლიური დროითი მწკრივებისთვის. ამასთან, შემოწმდა OLS-ის ძირითადი წინაპირობები: ნაშთების ავტოკორელაცია (დარბინ–უოტსონისა და ბროიშ–გოდფრის ტესტები) და ჰეტეროსკედასტიურობა

(ბროიშ–პაგანის ტესტი). სტანდარტული შეცდომები გადაანგარიშდა ნიუი-უესტის HAC-კორექტირებული შეფასებით (lag = 1, *prewhite* = FALSE). დამატებით შეფასდა (1) მოდელის ლაგირებული სპეციფიკაცია, რომელშიც d_ict_share_gdp ჩანაცვლებულია ცვლადით ict_share_gdp_lag1, რაც შესაძლებელს ხდის შემოწმდეს ICT-სექტორის დაგვიანებული, გადადებული და არა მხოლოდ იმავდროული ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

შედეგების მდგრადობა (რობასტულობა) შემოწმდა ოთხი მიმართულებით:

1. აგრეგირებული საკონტროლო ცვლადის ჩანაცვლება. ცვლადი growth_nonICT ჩანაცვლდა ეკონომიკის ცალკეული სექტორების - მშენებლობისა და ტურისტული მომსახურებების - ზრდის მაჩვენებლებით, ხოლო სხვადასხვა სპეციფიკაციაში შეფასდა β კოეფიციენტის ნიშნისა და სიდიდის სტაბილურობა.
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გავლენის შეფასება. ვინაიდან მთელი საკვლევი პერიოდისათვის დარგობრივი ჭრილის მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, ცვლადი fdi_ict შეფასდა ძირითად მოდელებს მიღმა, შემცირებულ ქვეშერჩევაზე (2016 წლიდან) და (2) მოდელის შემოკლებულ სპეციფიკაციაში.
3. θ კოეფიციენტის მგრძნობელობის ანალიზი. შეფასდა, როგორ იცვლება θ კოეფიციენტი war_relocation ცვლადის ჩართვისა და გამორიცხვის შემთხვევაში. მხოლოდ tax_relief-ის შემცველი სპეციფიკაციისა და სრული სპეციფიკაციის შედარება იძლევა ინსტიტუციური ეფექტის შეფასებაში შესაძლო გადახრის რაოდენობრივად განსაზღვრის შესაძლებლობას.
4. κ კოეფიციენტის მდგრადობის შეფასება. სამხედრო-მიგრაციული ეფექტის ამსახველი κ კოეფიციენტის სტაბილურობა შემოწმდა 2016–2025 წლების ქვეშერჩევაზე.

4. შედეგები

4.1. აღწერითი დინამიკა

ICT-სექტორის წილი მშპ-ში 2012–2019 წლებში სტაბილური იყო (2.8–3.6%; საშუალო მნიშვნელობა - 3.32%, სტანდარტული გადახრა - 0.64 პროცენტული პუნქტი). შემდგომ იგი გაიზარდა 3.55%-მდე 2021 წელს, მკვეთრად - 5.02%-მდე 2022 წელს და 2025 წლისთვის 8.03%-ს მიაღწია. 2020–2025 წლებში საშუალო მაჩვენებელმა 5.36% შეადგინა (სტანდარტული გადახრა - 1.83 პროცენტული პუნქტი), რაც თითქმის სამჯერ აღემატება პანდემიამდელ პერიოდს. ICT-სექტორის წილის პირველი სხვაობა 2010–2019 წლებში საშუალოდ უარყოფითი იყო (–0.21 პროცენტული პუნქტი), ხოლო 2020–2025 წლებში დადებითი გახდა (0.83 პუნქტი), რაც დინამიკის მიმართულების არსებით ცვლილებაზე მიუთითებს. (ნახ. 1)



ნახ.1 ICT სექტორის წილი საქართველოს მშპ-ში, 2010–2025 (%)

ICT-მომსახურებების წილი მომსახურების ექსპორტში 2010–2019 წლებში შეადგენდა საშუალოდ 2.01%-ს (თითქმის უცვლელი მაჩვენებელი; სტანდარტული გადახრა - 0.29 პროცენტული პუნქტი), ხოლო 2020–2025 წლებში 11.18%-მდე გაიზარდა, ანუ ხუთჯერ მეტად. 2024 წელს დაფიქსირდა დროებითი შემცირება, თუმცა 2025 წელს მაჩვენებელი მკვეთრად აღდგა და 17.42%-ს მიაღწია. (ნახ. 2)

ნახ. 2 ICT მომსახურების წილი საქართველოს მომსახურების ექსპორტში, 2010–2025 წწ. (%)

მშპ-ის ზრდის დინამიკა ნათლად წარმოაჩენს კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ პრობლემას: 2020 წლის ეკონომიკურმა ვარდნამ (–4.9%) და 2021 წლის სწრაფმა აღდგენამ (+12.2%) შექმნა მაღალი ვოლატილობა, რომელიც უნდა გაიმიჯნოს 2022–2025 წლებში დროში გაწელილი ეფექტისგან. საშუალო ეკონომიკური ზრდა 5.32%-დან 7.20%-მდე გაიზარდა, თუმცა სტანდარტული გადახრა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა (1.58-დან 6.15 პროცენტულ პუნქტამდე). (ნახ. 3)

ნახ.3 რეალური მშპ ზრდის ტემპი, 2010–2025 (%)

ICT-სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდამ პიკს არა 2020 წელს (+3.9%), არამედ 2022 წელს (+58.5% - მთლიანი მწკრივის აბსოლუტური მაქსიმუმი) მიაღწია. 2020–2025 წლებში



სექტორის საშუალო ზრდამ 29.30% შეადგინა, მაშინ როდესაც მანამდე იგი მხოლოდ 4.58% იყო. ამავე დროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) საერთო მოცულობა ანალოგიურ სტრუქტურულ ცვლილებას არ ასახავს (1401.57 მლნ აშშ დოლარი 1294.43 მლნ აშშ დოლარის პირისპირ ქვეპერიოდების მიხედვით), რაც პირველი ინდიკატორია იმისა, რომ კაპიტალისა და სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში შემოდიოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღმა. (ნახ. 4)



ნახ.4 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი, 2010–2025 (%)

ცხრილი 2. ძირითადი მაჩვენებლების აღწერითი სტატისტიკა ქვეპერიოდების მიხედვით

ცვლადი	პერიოდი	საშუალო	სტანდ. გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
d_ict_share_gdp	2010-2019	-0.21	0.44	-1.25	0.21
	2010-2025	0.21	0.73	-1.25	1.66
	2020-2025	0.83	0.63	0.14	1.66
fdi_total	2010-2019	1,401.57	383.84	865.64	1,990.53
	2010-2025	1,361.39	543.65	183.63	2,224.20
	2020-2025	1,294.43	782.86	183.63	2,224.20
gdp_real_growth	2010-2019	5.32	1.58	3.43	8.33
	2010-2025	6.07	3.98	-4.90	12.18
	2020-2025	7.20	6.15	-4.90	12.18
growth_nonICT	2010-2019	5.36	1.62	3.27	8.69
	2010-2025	5.64	3.71	-5.18	11.47
	2020-2025	6.05	5.83	-5.18	11.47
ict_serv_share	2010-2019	2.01	0.29	1.46	2.47
	2010-2025	5.45	5.04	1.46	17.42
	2020-2025	11.18	3.60	7.19	17.42
ict_share_gdp	2010-2019	3.32	0.64	2.78	4.91
	2010-2025	4.08	1.55	2.78	8.03
	2020-2025	5.36	1.83	3.19	8.03
ict_va_growth	2010-2019	4.58	8.29	-8.90	18.30
	2010-2025	14.47	17.50	-8.90	58.50
	2020-2025	29.30	17.52	3.90	58.50
info_comm_wage	2010-2019	1,255.20	213.36	973.10	1,608.70
	2010-2025	2,001.44	1,183.00	973.10	4,433.40
	2020-2025	3,245.17	1,070.77	1,913.00	4,433.40

4.2. მშპ-ის ზრდის მოდელი (H1)

მოდელის (1) განმარტებითი უნარი ძალიან მაღალია (R^2 = 0.999; N = 15). d_ict_share_gdp ცვლადის კოეფიციენტი დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (β = 0.612; HAC p < 0.001). HAC-კორექტირებული სტანდარტული შეცდომების გამოყენებისას post_covid და war_relocation ცვლადებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (შესაბამისად, p = 0.0004 და p = 0.023), თუმცა კლასიკური სტანდარტული შეცდომების შემთხვევაში მათი მნიშვნელოვნების დონე შესამჩნევად მცირდება, რაც ადასტურებს HAC-კორექტირების გამოყენების აუცილებლობას.

ამასთან, growth_nonICT ცვლადის კოეფიციენტი, რომელიც ერთთან ძალიან ახლოსაა (1.026), არ წარმოადგენს ემპირიულ შედეგს. იგი ეროვნული ანგარიშების შინაარსიდან გამომდინარეობს, რადგან მშპ, განსაზღვრებით, სექტორული ზრდის ტემპების შეწონილ საშუალოს წარმოადგენს, ხოლო ICT-სექტორის წილი ეკონომიკაში მხოლოდ 3–8%-ს შეადგენს. შესაბამისად, growth_nonICT თითქმის მექანიკურად გამოსახავს gdp_real_growth-ს. ამიტომ, შინაარსობრივი თვალსაზრისით ინტერპრეტირებად შედეგად რჩება სწორედ d_ict_share_gdp ცვლადის β კოეფიციენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების დამატებით ეფექტს, შეწონილი საშუალოს ფარგლებს მიღმა.

ლაგირებულმა სპეციფიკაციამ ict_share_gdp_lag1 ცვლადისათვის უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კოეფიციენტი აჩვენა (–0.219; HAC p = 0.018). ეს მიუთითებს, რომ ICT-სექტორის მდგრადი დაგვიანებული ეფექტი არ დადასტურდა, ხოლო კოეფიციენტის ნიშნის ცვლილება შეფასების არასტაბილურობაზე მეტყველებს. ამასთან, ბროიშ–პაგანის ტესტმა ჰეტეროსკედასტიკურობის ნიშნები გამოავლინა (p = 0.048), რაც ამ სპეციფიკაციის მიმართ ნდობას ამცირებს.

4.3. ექსპორტის სტრუქტურის მოდელი (H2)

მოდელი (2) დამოკიდებული ცვლადის დისპერსიის 91.4%-ს ხსნის (N = 15). tax_relief ცვლადის შეფასებული ეფექტი შეადგენს 5.863 პროცენტულ პუნქტს (p < 0.001), war_relocation-ის ეფექტი - 4.965 პროცენტულ პუნქტს (p = 0.006), ხოლო gdp_real_growth სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის (0.013; p = 0.85). ეს შედეგი მიუთითებს, რომ ICT-მომსახურებების წილის ზრდა მომსახურების ექსპორტში სტრუქტურული და არა ციკლური ხასიათისაა.

ბროიშ–გოდფრის ტესტმა ნაშთების ავტოკორელაცია დააფიქსირა (LM = 6.80; p = 0.009), რაც HAC-კორექტირებული სტანდარტული შეცდომების გამოყენებას დასკვნების საფუძვლად ამართლებს.

საყურადღებო შედეგია H2 ჰიპოთეზის ემპირიული დადასტურება: 2020 წლის ინსტიტუციურ/ციკლურ ფაქტორსა და 2022 წლის სამხედრო-მიგრაციულ ფაქტორს სტატისტიკურად ერთმანეთისგან განსხვავებული, ადიტიური და მასშტაბით ერთმანეთთან შედარებადი ეფექტები აქვთ.

ცხრილი 3. მოდელების შეფასების შედეგები

	Model 1	Model 1 (lagged)	Model 2
(Intercept)	-0.044	0.597	1.921+
	(0.091)	(0.350)	(0.894)
d_ict_share_gdp	0.612***		
	(0.108)		
growth_nonICT	1.026***	1.019***	
	(0.013)	(0.022)	
post_covid	0.300+	0.517*	
	(0.142)	(0.229)	
war_relocation	0.342+	1.365**	4.965*
	(0.189)	(0.330)	(1.628)

ict_share_gdp_lag1		-0.219+	
		(0.100)	
tax_relief			5.863**
			(1.346)
gdp_real_growth			0.013
			(0.130)
Num.Obs.	15	15	15
R2	0.999	0.996	0.914
R2 Adj.	0.998	0.995	0.891
AIC	-4.9	10.8	63.8
BIC	-0.6	15.1	67.4
Log.Lik.	8.427	0.578	-26.911
F	1938.253	679.024	
RMSE	0.14	0.23	1.46

p < 0.1, * p < 0.05, ** p < 0.01, *** p < 0.001

4.4. შედეგების მდგრადობის შემოწმება

growth_nonICT ცვლადის მშენებლობის სექტორის ზრდით ჩანაცვლების შემთხვევაში β კოეფიციენტი უარყოფითი და სტატისტიკურად უმნიშვნელო ხდება (–2.095; se = 2.356), ხოლო მოდელის განმარტებითი უნარი R^2 = 0.417-მდე მცირდება. ტურიზმის სექტორის ზრდით ჩანაცვლებისას β ასევე უარყოფითია (–2.650), თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p < 0.05$), ხოლო R^2 = 0.914-ს აღწევს. ეს ადასტურებს, რომ მოდელის (1) მდგრადობა ეფუძნება ეროვნული ანგარიშების იდენტობასთან თავსებადი აგრეგირებული საკონტროლო ცვლადის გამოყენებას და არა რომელიმე ცალკეული სექტორის კონტროლს. აღნიშნული იდენტობის დარღვევის შემთხვევაში ICT-სექტორის ეფექტის შეფასება არასტაბილური ხდება და კოეფიციენტის ნიშანიც კი შეიძლება შეიცვალოს.

ცხრილი 4. შედეგების მდგრადობის შემოწმება (რობასტულობა)

	M1 baseline	M1 construction	M1 tourism	M2 baseline	M2 no war term	M2 2016-2025
(Intercept)	-0.044	7.242**	1.768*	1.921+	1.018	2.051
	(0.091)	(1.764)	(0.623)	(0.894)	(1.098)	(1.525)
d_ict_share_gdp	0.612***	-2.095	-2.650*			
	(0.108)	(2.356)	(0.889)			
growth_nonICT	1.026***					
	(0.013)					
post_covid	0.300+	-5.843	3.705*			
	(0.142)	(3.978)	(1.279)			
war_relocation	0.342+	12.101*	4.986**	4.965*		5.007+
	(0.189)	(5.016)	(1.419)	(1.628)		(2.214)
growth_construction		-0.197				
		(0.113)				
growth_tourism_services			0.197***			
			(0.022)			
tax_relief				5.863**	8.855***	5.761*
				(1.346)	(1.200)	(2.011)
gdp_real_growth				0.013	0.182	0.005
				(0.130)	(0.153)	(0.184)
Num.Obs.	15	15	15	15	15	10
R2	0.999	0.417	0.914	0.914	0.842	0.881

R2 Adj.	0.998	0.184	0.880	0.891	0.815	0.821
AIC	-4.9	86.9	58.2	63.8	71.0	49.8
BIC	-0.6	91.1	62.4	67.4	73.8	51.4
Log.Lik.	8.427	-37.433	-23.076	-26.911	-31.507	-19.919
F	1938.253	1.789	26.589			14.806
RMSE	0.14	2.93	1.13	1.46	1.98	1.77

2016–2025 წლების ქვეშერჩევაზე (N = 10) fdi_ict ცვლადი სტატისტიკურად უმნიშვნელოა (0.024; se = 0.019), მაშინ როდესაც post_covid ძლიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება (8.434; p < 0.01). ეს შედეგი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის სტაბილურობასთან ერთად, მიუთითებს, რომ ICT-ექსპორტის ზრდა ოფიციალურად რეგისტრირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არხით არ იყო განპირობებული, რადგან ფიზიკური პირებისა და მცირე კომპანიების რელოკაცია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საგადასახდელო ბალანსის მუხლებში არ აისახება.

ცხრილი 5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის ტესტირება ICT სექტორში

	FDI-ICT (2016-2025)
(Intercept)	0.706
	(1.754)
post_covid	8.434**
	(1.856)
fdi_ict	0.024
	(0.019)
Num.Obs.	10
R2	0.799
R2 Adj.	0.742
AIC	53.1
BIC	54.3
Log.Lik.	-22.539
F	13.915
RMSE	2.30

p < 0.1, * p < 0.05, ** p < 0.01, *** p < 0.001

war_relocation ცვლადის მოდელიდან (2) გამორიცხვის შემთხვევაში tax_relief-ის კოეფიციენტი 5.863-დან 8.855-მდე იზრდება (+51%), რაც რაოდენობრივად აჩვენებს შეფასების გადახრას ფაქტორების აღრევის შემთხვევაში.

2016–2025 წლების ქვეშერჩევაზე მოდელის (2) ორივე ძირითადი კოეფიციენტი მდგრადობას ინარჩუნებს (tax_relief = 5.761; p < 0.05; war_relocation = 5.007; p < 0.1). საჩვენებელი ADF ტესტების შედეგებით, არცერთი ცვლადისათვის ერთეული ფესვის ჰიპოთეზა არ უარყოფილა (N = 16; p-მნიშვნელობების უმეტესობა 0.4-ზე მაღალია).

4.5. შედეგების შეჯამება

H1 ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა: ICT-სექტორის წილის ცვლილებასა და მშპ-ის ზრდას შორის კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ეროვნული ანგარიშების იდენტობიდან გამომდინარე მექანიკური ეფექტის მიღმაც, თუმცა იგი დამოკიდებულია მოდელის სპეციფიკაციაზე და არ დასტურდება ლაგირებულ მოდელში. შესაბამისად, მიღებული შედეგი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც მიმდინარე პერიოდის ეფექტი, თუმცა არა აუცილებლად როგორც მდგრადი გავლენა.

H2 ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა: 2020 წლის ინსტიტუციური/ციკლური ფაქტორი და 2022 წლის სამხედრო-მიგრაციული ფაქტორი დამოუკიდებელ, სტატისტიკურად ერთმანეთისგან

გამიჯნულ და შინაარსობრივად ერთმანეთთან შედარებად გავლენას ახდენენ. მათი აღრევის შედეგად წარმოქმნილი შეფასებითი გადახრის რაოდენობრივი დემონსტრირება კიდევ უფრო ამყარებს ნაშრომის მთავარ ემპირიულ შედეგს.

4.6. საქართველო, როგორც IT-ბიზნესის რელოკაციის ჰაბი

2022 წლამდე, კერძოდ 2020–2021 წლებში, საქართველოს კომპიუტერული მომსახურებების ექსპორტი უკვე გაორმაგებული იყო (68-დან 139 მლნ აშშ დოლარამდე), რაც სექტორის ორგანულ ზრდასა და საგადასახადო შეღავათების ამოქმედებას უკავშირდებოდა. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ საქართველოში დაახლოებით 112 ათასი რუსეთის მოქალაქე გადმოვიდა, საიდანაც 2022–2023 წლებში წმინდა მიგრაციულმა შემოდინებამ დაახლოებით 74 ათასი ადამიანი შეადგინა. მათ შორის იყვნენ პროგრამისტები და IT-კომპანიების სრული ოფისები, რომლებიც ქვეყანაში მოქმედმა შეღავათიანმა საგადასახადო რეჟიმმა მიიზიდა თვითდასაქმებულთათვის (დაახლოებით 1%-იანი გადასახადი შემოსავალზე, რომლის ზედა ზღვარი დაახლოებით 180 ათასი აშშ დოლარია - მნიშვნელოვნად უფრო მაღალი, ვიდრე უნგრეთსა და სერბეთში). (Center for Social Justice, 2025).

2022–2024 წლებში კომპიუტერული მომსახურებების ექსპორტი 570 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ანუ ოთხჯერ მეტად, რაც პანდემიამდელ ტრაექტორიასთან შედარებით დაახლოებით ორჯერ უფრო სწრაფ ზრდას წარმოადგენს. (National Bank of Georgia, 2025) პარალელურად, თბილისში და ბათუმში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები დაახლოებით 40%-ით გაიზარდა, ხოლო საცხოვრებელი ფართების ქირა - 40–70%-ით. მსგავსი ეფექტი დაფიქსირდა საქართველოდან ყაზახეთში, ყირგიზეთსა და სომხეთში გამოყენებული ავტომობილების რეექსპორტშიც, რომელმაც 2021–2024 წლებში საქონლის ექსპორტის ზრდის დაახლოებით ორი მესამედი უზრუნველყო.

ამავე დროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) საერთო მოცულობა ანალოგიურად არ გაზრდილა. ეს მიუთითებს, რომ ეკონომიკური აქტივობის ზრდა ძირითადად ფიზიკური პირებისა და მცირე ბიზნესის რეგისტრაციის გზით ხდებოდა და არა კაპიტალდაბანდებების მეშვეობით. სწორედ ამით აიხსნება, რომ აღნიშნული პროცესის კვალი აშკარად აისახა დასაქმების, ხელფასებისა და მომსახურების ექსპორტის სტატისტიკაში, თუმცა არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოფიციალურ მონაცემებში.

5. შეზღუდვები და დისკუსია

კვლევის მთავარი შეზღუდვა მცირე შერჩევაა (14–15 დაკვირვება პირველი სხვაობებისა და ლაგების გამოყენების შემდეგ), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დიაგნოსტიკური ტესტების სტატისტიკურ სიმძლავრეს და კოეფიციენტების წერტილოვან შეფასებებს მოდელის სპეციფიკაციის მიმართ მგრძნობიარეს ხდის, როგორც ეს მდგრადობის შემოწმებისას საკონტროლო ცვლადების ჩანაცვლებით დადასტურდა. ასეთი მოცულობის შერჩევაზე ADF-ტესტებს დაბალი განმასხვავებელი უნარი აქვთ და დროითი მწკრივების სტაციონარობის შესახებ შინაარსობრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევიან.

მეორე შეზღუდვა მოდელის (1) ინტერპრეტაციას უკავშირდება. მისი მაღალი განმარტებითი უნარი მნიშვნელოვანწილად ეროვნული ანგარიშების იდენტობით არის განპირობებული, რომელიც მშპ-ის ზრდას სექტორების შეწონილ საშუალო ზრდასთან აკავშირებს, და არა ICT-სექტორის მიზეზობრივი გავლენის დამოუკიდებელი ემპირიული მტკიცებულებით. d_ict_share_gdp ცვლადის კოეფიციენტის ნიშნის არასტაბილურობა ალტერნატიულ სპეციფიკაციებში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შედეგები ფრთხილად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული და მათ მიზეზობრივი შინაარსი არ უნდა მიენიჭოს.

მესამე შეზღუდვა დაკავშირებულია იმასთან, რომ war_relocation ცვლადის ფარგლებში შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უშუალოდ კაპიტალისა და სამუშაო ძალის რელოკაციის გავლენა და 2022 წელს მოქმედი სხვა თანმდევი ფაქტორები (მაგალითად, მომსახურებით

მსოფლიო ვაჭრობის საერთო აღდგენა). აღნიშნული ცვლადი მხოლოდ დროით პროქსი-ცვლადს წარმოადგენს და არა თავად შოკის პირდაპირ საზომს.

დაბოლოს, ICT-სექტორის ზრდასა და მშპ-ის საერთო დინამიკას შორის შესაძლო ორმხრივი მიზეზობრივი კავშირი გამოყენებული OLS მეთოდით არ აღმოიფხვრება. შემდგომი კვლევის პერსპექტივები მოიცავს შერჩევის გაფართოებას კვარტალური მონაცემების გამოყენებით, ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდის გამოყენებას, აგრეთვე შედარებით ანალიზს სომხეთსა და მოლდოვასთან, რომლებმაც ასევე მიიღეს 2022 წლის შემდეგ რელოკირებული რუსული ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაკადი. ეს შესაძლებელს გახდის ქვეყნის სპეციფიკური ინსტიტუციური ეფექტების გამიჯვნას რეგიონული საერთო შოკისაგან.

6. დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ICT-სექტორის წილი როგორც მშპ-ში, ისე მომსახურების ექსპორტში მრავალჯერ გაიზარდა, თუმცა ამ ზრდის ბუნება დროში არაერთგვაროვანია. ICT-სექტორის წილის ცვლილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მშპ-ის ზრდის ტემპის დაჩქარებასთან, თუმცა ეს კავშირი ნაწილობრივ ეროვნული ანგარიშების იდენტობიდან გამომდინარე მექანიკურ ეფექტს ასახავს და ალტერნატიული სპეციფიკაციების გამოყენებისას მდგრადობას კარგავს, რაც მიღებული შედეგების ფრთხილ, არამიზეზობრივ ინტერპრეტაციას მოითხოვს.

მომსახურების ექსპორტის სტრუქტურის ანალიზის შემთხვევაში მიღებული შედეგები უფრო მყარ საფუძველს იძლევა. 2020 წლის ინსტიტუციური/ციკლური ფაქტორი და 2022 წლის სამხედრო-მიგრაციული ფაქტორი ICT-მომსახურებების ექსპორტში წილის ზრდაზე დამოუკიდებელ, სტატისტიკურად ერთმანეთისგან გამიჯნულ და მასშტაბით ერთმანეთთან შედარებად გავლენას ახდენენ. დაკვირვებული დინამიკის მხოლოდ ინსტიტუციური ფაქტორით ახსნა მის ეფექტს არსებითად აჭარბებს.

ნაშრომის ძირითადი წვლილი მდგომარეობს არა იმდენად იმ დასკვნის დადასტურებაში, რომელიც უკვე ცნობილია არსებული თვისებრივი მიმოხილვებიდან - რომ საქართველოში ICT-სექტორი დაჩქარებული ტემპით იზრდება - არამედ იმაში, რომ ეს ზრდა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი ფაქტორით: არც პანდემიით, არც საგადასახადო შეღავათებით და არც ომით ცალ-ცალკე. აღნიშნული ფაქტორების სტატისტიკური გამიჯვნა შესაძლებელი გახდა სწორედ მათი ამოქმედების პერიოდებს შორის არსებული ორწლიანი ინტერვალის წყალობით. ეს მეთოდოლოგიური მიდგომა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა მცირე პოსტსაბჭოთა ეკონომიკებში ანალოგიური სტრუქტურული ცვლილებების ანალიზისთვისაც.

მიღებულ შედეგებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკისათვის. IT-სექტორის ინსტიტუციური შეღავათების ეფექტიანობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ ბოლო წლების აგრეგირებული მაჩვენებლების საფუძველზე, რადგან დაფიქსირებული ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია გარე, პოტენციურად დროებით ფაქტორთან, რომლის შესაძლო უკუქცევის ეკონომიკური შედეგები წინამდებარე კვლევის ფარგლებს სცილდება და შემდგომი კვლევის დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

Center for Social Justice (2025) Potemkin Growth: Why Are Georgian Citizens Rushing to Leave the Country Amid Growing GDP, Growing Exports, and Declining Unemployment?

Galt & Taggart (2026) *ICT Exports Surge 52.3% Year-on-Year in 3Q25*

Government of Georgia. (2020). *Law of Georgia on Information Technology Zones* (effective January 1, 2011; amendments introducing "International IT Company" status in 2020). *Legislative Herald of Georgia (Matsne)*.

Government of Georgia. (2023). *Resolution on simplification of residence permit procedures for foreign IT specialists* (June 2023). *Legislative Herald of Georgia (Matsne)*.

International Monetary Fund. (2024). *Georgia: 2024 Article IV Consultation—Press release; staff report; and statement by the executive director for Georgia* (IMF Staff Country Report No. 2024/135). https://www.elibrary.imf.org/view/journals/002/2024/135/002.2024.issue-135-en.xml

Jalava, J., & Pohjola, M. (2008). The roles of electricity and ICT in economic growth: Case Finland. *Explorations in Economic History, 45*(3), 270–287. https://doi.org/10.1016/j.eeh.2007.11.002

Kretschmer, T. (2012). Information and communication technologies and productivity growth: A survey of the literature. *OECD Journal: Economic Studies, 2012*(1), 1–23. https://doi.org/10.1787/19952856

Myovella, G., Karacuka, M., & Haucap, J. (2020). Digitalization and economic growth: A comparative analysis of Sub-Saharan Africa and OECD economies. *Telecommunications Policy, 44*(2), 101856. https://doi.org/10.1016/j.telpol.2019.101856

National Bank of Georgia. (2025). *Balance of payments of Georgia* [Statistics section].

National Statistics Office of Georgia. (2023). *International migration statistics* [Geostat database].

National Statistics Office of Georgia. (2025). *National accounts: Gross value added by kind of economic activity – Information and communication (Section J)* [Geostat database].

OECD. (2024). *OECD digital economy outlook 2024 (Vol. 1): Embracing the technology frontier*. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/a1689dc5-en

Revenue Service of Georgia. (n.d.). *Virtual zone person / special tax regime for IT companies*.

Shahiduzzaman, M., & Alam, K. (2014). Information technology and its changing roles to economic growth and productivity in Australia. *Telecommunications Policy, 38*(5–6), 411–424. https://doi.org/10.1016/j.telpol.2013.12.003

Tax Consulting Georgia. (2020, October 9). *All about International IT Company in Georgia*.

Transparency International Georgia. (2023). *Georgia's economic dependence on Russia: Trade, tourism, remittances, and Russian companies in Georgia* [Summary report].

World Bank. (2019). *Georgia – Country economic memorandum: Chapter 1 – Understanding Georgia's growth* (Report No. 137514-GE).

World Bank. (2020). *Seizing the productive potential of digital change in Estonia*. World Bank.

World Bank. (2023). *Digital progress and trends report 2023*. World Bank. https://doi.org/10.1596/978-1-4648-2049-6

World Bank. (2024). *Georgia: Promoting digital transformation through GovTech* (GovTech note).

ICT-Sector Growth and Georgia's New Export Specialization: Pandemic, Tax Incentives, or War-Driven Capital Relocation? An Empirical Analysis, 2010–2025

Gocha Tutberidze
Doctor of Economics, Professor
Central European University
gocha.tutberidze@cue.edu.ge

Gocha Ugulava
Doctor of Economics, Associate Professor
Central European University
gocha.ugulava@cue.edu.ge

Summary

Since 2020, Georgia's economy has experienced accelerated growth in the information and communication technology (ICT) sector and a sharp increase in the share of ICT services in the country's service exports. This shift coincides with three distinct factors: post-pandemic recovery in demand for remote services, a 2020 tax reform granting preferential treatment to international IT companies, and — increasingly visible from 2022 onward — a large inflow of foreign, predominantly Russian, IT businesses and specialists following Russia's full-scale invasion of Ukraine. The overlap and sequential layering of these factors complicates any straightforward interpretation of the observed growth as organic sectoral development. Using an annual panel of Georgian macroeconomic indicators for 2010–2025 (Geostat, National Bank of Georgia), this paper estimates the role of the ICT sector in real GDP growth and in the transformation of the country's service export structure. Two OLS specifications with Newey–West HAC standard errors test: (H1) the relationship between the growing ICT share of GDP and GDP growth, and (H2) the relative contributions of cyclical, institutional, and war-driven migration factors to the rising ICT share of service exports. Because the war-related shock emerged two years after the pandemic and tax reform, its effect can, for the first time, be statistically separated from the 2020 shocks — the paper's key methodological contribution. Results show that the tax/pandemic and war-relocation factors make separate, statistically significant, and comparably sized contributions to export growth, while the GDP-growth relationship is more sensitive to specification and partly reflects a national-accounts identity rather than a purely causal effect.

Keywords: ICT sector, export specialization, economic growth, tax incentives, capital relocation, war-driven migration.

ხელოვნური ინტელექტი და ევროპული სტანდარტები უძრავი ქონების შეფასებაში: საქართველოს გამოცდილება და განვითარების პერსპექტივები

ალექსანდრე სიჭინავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
asichinava@gtu.ge

თამარ ჩაჩანიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
chachanidzetamar12@gtu.ge

ლაშა მგელაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
mgeladzelasha12@gtu.ge

ანოტაცია. *დღესდღეობით უძრავი ქონების შეფასების სფერო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე. ტექნოლოგიური განვითარების, ხელოვნური ინტელექტის გავრცელებისა და საერთაშორისო შეფასებითი სტანდარტების განახლების პარალელურად, შეფასების ტრადიციული მიდგომები თანდათან უფრო მონაცემებზე, ანალიტიკასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სისტემად გარდაიქმნება. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდების, შეფასების ავტომატიზებული მოდელებისა და AI ტექნოლოგიების გამოყენება. სტატიაში განხილულია უძრავი ქონების შეფასების განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი დგას ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან დაახლოების პროცესში. ასევე, გაანალიზებულია ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები და წარმოდგენილია თბილისში არსებული საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ცვლილების დინამიკა 2021-2025 წლებში. კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ თანამედროვე შეფასებითი საქმიანობა დღეისათვის სცდება მხოლოდ კლასიკური მეთოდების გამოყენებას და ხშირად საჭიროებს ციფრული ტექნოლოგიების, სანდო მონაცემებისა და პროფესიული სტანდარტების ეფექტიან შერწყმას. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელოვნური ინტელექტი შეფასებით საქმიანობაში უნდა განიხილებოდეს როგორც პროფესიონალი შემფასებლის დამხმარე ინსტრუმენტი და არა როგორც შემფასებლის სრულფასოვანი შემცვლელი, ვინაიდან AI-ის სწორად გამოყენება ხელს შეუწყობს შეფასების სიზუსტის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ის ვერ ჩანაცვლებს შემფასებელს, რადგან, ჩვენი აზრით, მიუხედავად შეფასების სისტემის დადგენილი სტანდარტული მიდგომებისა/მეთოდებისა, თითოეული შეფასება ინდივიდუალურ მიდგომას და გააზრებას საჭიროებს. შესაბამისად, AI-ის შეუძლია მხოლოდ ასისტენტის ფუნქცია შეასრულოს და გაუმარტივოს სამუშაო პროცესი შემფასებელს. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო შეფასებითი სტანდარტების, სტატისტიკური მონაცემებისა და საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციების შედარებით ანალიზს.*

საკვანძო სიტყვები: *უძრავი ქონების შეფასება, ხელოვნური ინტელექტი, EVS 2025, IVS 2025, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი, შეფასების ავტომატიზებული მოდელები, ინვესტიციები, საკადასტრო ღირებულება, ESG.*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში უძრავი ქონება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საინვესტიციო გარემოზე, ისე ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე. დღესდღეობით უძრავი ქონების შეფასების სისტემა კრიტიკულ როლს ასრულებს საინვესტიციო, მმართველობითი და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ბოლო წლებში შეფასებითი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორც ტექნოლოგიური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რაც განპირობებულია ეკონომიკის გაციფრულებით, ხელოვნური ინტელექტის განვითარებით, შეფასების ავტომატიზებული მოდელების გავრცელებითა და საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრაციის გაძლიერებით.

საქართველოსთვის უძრავი ქონების შეფასების ეროვნული სისტემის ევროპულ სტანდარტებთან ადაპტაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში აქტიური ინტეგრაციის პირობებში. ამავდროულად, იზრდება გლობალური ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პროცესების გავლენა ჩვენს ქვეყანაზე, რაც უძრავი ქონების ბაზარს უფრო მგრძნობიარეს ხდის გარე შოკების, მიგრაციული ნაკადებისა და საინვესტიციო კლიმატის ცვლილებების მიმართ.

დღევანდელ პირობებში შეფასების პროცესი ტრადიციულ მიდგომებზე (შედარების, შემოსავლების და დანახარჯების კლასიკური მეთოდები) ბევრად ფართო ტექნოლოგიურ და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს მოიცავს. პროფესიულ პრაქტიკაში აქტიურად ინერგება დიდი მონაცემების ანალიზის ტექნოლოგიები, გეოინფორმაციული სისტემები, მანქანური სწავლების ალგორითმები და შეფასების ავტომატიზებული პლატფორმები. ეს ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე მნიშვნელოვან რისკებს ბაზრის მდგრადობისა და შეფასებითი ანგარიშების ხარისხისთვის.

ძირითადი ნაწილი

უძრავი ქონების შეფასების თანამედროვე მიდგომის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა პროფესიული სტანდარტების ჰარმონიზაცია. შეფასების ევროპული სტანდარტები (EVS 2025) და შეფასების საერთაშორისო სტანდარტები (IVS 2025) ქმნიან ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველს უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების შეფასებისთვის. ისინი ორიენტირებულია შეფასების გამჭვირვალობის გაზრდაზე, პროცედურების უნიფიკაციაზე, ESG-ფაქტორების (**E - Environmental** - გარემოსდაცვითი ფაქტორები; **S - Social** - სოციალური ფაქტორები; **G - Governance** - მმართველობითი ფაქტორები), ენერგოეფექტურობისა და კლიმატური რისკების გათვალისწინებაზე [4; 5].

EVS 2025-ის მნიშვნელოვანი ასპექტია უძრავი ქონების ობიექტების ენერგოეფექტურობის შეფასების მიდგომების გაფართოება. თანამედროვე პირობებში, უძრავი ქონების ღირებულება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტის ადგილმდებარეობასა და ფიზიკურ მახასიათებლებზე, არამედ მის ეკოლოგიურ მდგრადობაზე, ენერგომოხმარების დონეზე, კლიმატურ უსაფრთხოებასა და „მწვანე“ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ევროკავშირის ქვეყნებში აღნიშნული ფაქტორები უკვე პირდაპირ გავლენას ახდენენ ობიექტების საბაზრო ღირებულებაზე [4].

საქართველოს პირობებში, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან, არსებული საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის თანამედროვე მოთხოვნებს. ამდენად, ევროპულ სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოება შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს

როგორც სამშენებლო სექტორის მოდერნიზაციის, ისე ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად მდგრადი მშენებლობის განვითარების ხელშეწყობისთვის.

დღეისათვის საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და სწრაფად განვითარებად სექტორად მიიჩნევა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ფასების ზრდის ტენდენცია თბილისში, ბათუმსა და სხვა დიდ ქალაქებში. აღნიშნულ პროცესზე გავლენას ახდენს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული გარემოება, მათ შორის:

- გაზრდილი ადგილობრივი და უცხოური მოთხოვნა;
- გაძლიერებული მიგრაციული ნაკადები 2022 წლის შემდგომ;
- საინვესტიციო აქტივობის მატება;
- ტურიზმის სექტორის გაფართოება;
- სამშენებლო ბაზრის ინტენსიური განვითარება.

ამასთან ერთად, ჩვენი დაკვირვებით, ბოლო წლებში ეტაპობრივად იზრდება მოთხოვნა ენერგოეფექტურ და თანამედროვე ეკოლოგიურ სტანდარტებზე ორიენტირებულ საცხოვრებელ პროექტებზე. საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის დინამიკის უკეთ წარმოსაჩენად გთავაზობთ თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების საშუალო ფასის ცვლილებას 2021-2025 წლებში. მონაცემები აღებულია საქსტატის, Galt & Taggart-ისა და ბაზრის კვლევების ანგარიშებიდან [8; 10].

წელი	**საშუალო ფასი 1 მ²-ზე (ლარი)**	**საშუალო კურსი USD/GEL**	**საშუალო ფასი 1 მ²-ზე (USD)**
2021	**2989**	**3.2169**	**929 $**
2022	**3099**	**2.9150**	**1,063 $**
2023	**3532**	**2.6237**	**1,346 $**
2024	**3971**	**2.7182**	**1,461 $**
2025*	**4280**	**2.74***	**1,562 $**

ცხრილი 1. თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების საშუალო ფასის დინამიკა 2021–2025 წლებში.

წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2021-2025 წლებში თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარი სტაბილური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია როგორც მიგრაციულ პროცესებთან და უცხოური ინვესტიციების ზრდასთან, ისე სამშენებლო სექტორის აქტიურობასთან და ინფლაციურ ზეწოლასთან.

ჩვენი კვლევების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N3-4(2024) (თ. ჩაჩანიძე, ლ. მგელაძე - „საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციები და გამოწვევები“. გვ. 226-229) და „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N3-4(2025) (თ. ჩაჩანიძე, ლ. მგელაძე - „ეკონომიკური გამოწვევების გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე“. გვ. 250-255), საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი ავლენს მაღალ დამოკიდებულებას მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის ინფლაციაზე, სავალუტო კურსზე, საპროცენტო განაკვეთებსა და მშპ-ის დინამიკაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკური პროცესების გავლენას მოთხოვნის სტრუქტურასა და საინვესტიციო აქტივობის დონეზე [1; 2].

ბოლო წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა ნათლად აჩვენა, რომ უძრავი ქონების ბაზარი განსაკუთრებით მგრძნობიარეა როგორც შიდა, ისე გარე ეკონომიკური ფაქტორების მიმართ. ინფლაციურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა სამშენებლო მასალებისა და მომსახურების ღირებულება, რამაც დეველოპერული პროექტების ხარჯების ზრდა გამოიწვია. პარალელურად, საპროცენტო განაკვეთების მატებამ გარკვეულწილად შეამცირა

იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობა და გავლენა მოახდინა საცხოვრებელი უძრავი ქონების მოთხოვნაზეც.

ამ პირობებში, შეფასებითი საქმიანობისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. შეფასების ავტომატიზებული მოდელები (Automated Valuation Models - AVM) შესაძლებლობას იძლევა, მოკლე დროში დამუშავდეს და გაანალიზდეს დიდი მოცულობის ინფორმაცია, მათ შორის ისტორიული გარიგებების მონაცემები, საკადასტრო ბაზები, ინფრასტრუქტურული პარამეტრები, დემოგრაფიული მაჩვენებლები და ბაზრის მიმდინარე ტენდენციები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას უძრავი ქონების შეფასებაში აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა [11]:

- შეფასების პროცესის დაჩქარება;
- ცალკეული გადაწყვეტილებების სუბიექტურობის შემცირება;
- პროგნოზირების სიზუსტის გაზრდა;
- საბაზრო ინფორმაციის დიდი მოცულობის დამუშავების შესაძლებლობა;
- ანალიტიკური პროცესების ავტომატიზაცია;
- ბაზრის ფარული კანონზომიერებების გამოვლენა.

უპირატესობები	**რისკები**
შეფასების პროცესის დაჩქარება	ალგორითმული მიკერძოება
დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფი დამუშავება	არასრული ან არაზუსტი მონაცემების გავლენა
პროგნოზირების სიზუსტის ზრდა	მოდელების დაბალი გამჭვირვალობა
ადამიანური სუბიექტურობის შემცირება	პროფესიული განსჯის შესუსტების რისკი
საბაზრო ტენდენციების ავტომატური ანალიზი	კიბერუსაფრთხოების რისკები
საკადასტრო შეფასების ეფექტიანობის ზრდა	სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები

ცხრილი 2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უპირატესობები და რისკები შეფასებით საქმიანობაში [6; 11].

როგორც ცხრილიდან ჩანს, AI ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვან შესაძლებლობებთან ერთად გარკვეულ რისკებსაც ქმნის, რაც მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების, პროფესიული კონტროლისა და მონაცემთა ხარისხის განსაკუთრებულ დაცვას.

შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებში ხაზს უსვამენ, რომ არცერთ ავტომატიზებულ სისტემას არ შეუძლია სრულად ჩაანაცვლოს შემფასებლის პროფესიული განსჯა. IVSC თავის ბოლო ანალიტიკურ მასალებში აღნიშნავს AI-მოდელების შედეგებზე ადამიანური კონტროლის შენარჩუნებისა და ალგორითმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებლობას [6].

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განსაკუთრებით პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევა უძრავი ქონების მასობრივი საკადასტრო შეფასების პროცესში. არაერთ ქვეყანაში სახელმწიფო უწყებები უკვე იყენებენ ავტომატიზებულ ანალიტიკურ სისტემებს საკადასტრო ღირებულების განსაზღვრისა და მონაცემთა დამუშავების მიზნით. მსგავსი ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამცირებს დროით და ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ხოლო შეფასების პროცესს უფრო ოპერატიულსა და მასშტაბურს ხდის.

ამასთან ერთად, AI-ზე დაფუძნებული შეფასების სისტემების ეფექტიანი მუშაობა დიდწილად დამოკიდებულია მონაცემების ხარისხსა და ციფრული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. საქართველოს პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკადასტრო სისტემების განვითარება, გეოინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო აქტიური გამოყენება და უძრავი ქონების ბაზრის შესახებ სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

შეფასებით საქმიანობაში AI ტექნოლოგიების გამოყენება რამდენიმე პრაქტიკულ მიმართულებას მოიცავს:

1. საბაზრო ტენდენციების ანალიზი;
2. ობიექტების ღირებულების ცვლილების პროგნოზირება;
3. საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება;
4. ტერიტორიული განვითარების ანალიზი;
5. საბაზრო ანომალიების ავტომატური გამოვლენა;
6. რისკების შეფასება;
7. ანალიტიკური ანგარიშების ფორმირება.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მონაცემთა სანდოობა წარმოადგენს. თუ სისტემაში გამოყენებული ინფორმაცია არასრული, მოძველებული ან დაბალი ხარისხისაა, იზრდება რისკი, რომ AI-მოდელებმა არაზუსტი ან სისტემურად დამახინჯებული შედეგები მოგვცეს. დამატებით გამოწვევად რჩება ალგორითმული მიკერძოების შესაძლებლობაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბაზრის მონაცემები შეზღუდულია ან არათანაბრად არის წარმოდგენილი.

თანამედროვე შეფასებით პრაქტიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ESG-ფაქტორების ინტეგრაციას. EVS 2025 განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ენერგოეფექტურობის, გარემოსდაცვითი მდგრადობისა და კლიმატური რისკების შეფასების პროცესში გათვალისწინებაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრისას ეკოლოგიური და მდგრადობის კომპონენტები მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

უახლოეს წლებში აღნიშნული ფაქტორების გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება. შედარებით დაბალი ენერგოეფექტურობისა და სუსტი ეკოლოგიური მახასიათებლების მქონე ობიექტებმა შესაძლოა საინვესტიციო მიმზიდველობა დაკარგოს, მაშინ როდესაც თანამედროვე ენერგოეფექტური და გარემოსადმი ადაპტირებული შენობები უფრო სტაბილურ საბაზრო ღირებულებას შეინარჩუნებენ.

საქართველოს პირობებში ESG-მიდგომების დანერგვა შეიძლება მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს როგორც სამშენებლო სექტორის ტექნოლოგიური განახლებისთვის, ისე ქვეყნის უძრავი ქონების ბაზრის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპულ სტანდარტებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაახლოების პროცესში, სადაც სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ენერგოეფექტურობას, გარემოსდაცვით მდგრადობასა და ურბანული განვითარების თანამედროვე პრინციპებს.

უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ასევე სახელმწიფო პოლიტიკასა და რეგულირების მექანიზმებს. საგადასახადო სისტემა, მშენებლობის წესები, საკუთრების რეგისტრაციის პროცედურები, იპოთეკური დაკრედიტების პირობები და ურბანული დაგეგმარების პრინციპები პირდაპირ აისახება როგორც ბაზრის აქტივობაზე, ისე კონკრეტული ობიექტების ღირებულებაზე. აღნიშნული მიმართულება საქართველოში ჯერჯერობით სრულყოფის პროცესშია და შემდგომ განვითარებას საჭიროებს.

საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთ დადებით გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს საკუთრების რეგისტრაციის შედარებით მოქნილი სისტემა და სახელმწიფო სერვისების ციფრული ხელმისაწვდომობის მაღალი დონე, რაც ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს და

ნაწილობრივ ზრდის ბაზრის გამჭვირვალობას. ამასთან ერთად, ბაზრის შემდგომი განვითარება მოითხოვს:

- საკადასტრო შეფასების სრულყოფას;
- გარიგებების ერთიანი ციფრული ბაზის განვითარებას;
- ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდას;
- შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირების დანერგვას;
- ეროვნული სტანდარტების EVS-სა და IVS-თან ჰარმონიზაციას;
- ციფრული შეფასების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

აუცილებელია, ასევე, გათვალისწინებულ იქნას უძრავი ქონების ბაზრის სოციალური ასპექტიც. საცხოვრებელზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს უძრავი ქონების ხელმისაწვდომობას მოსახლეობისთვის და აძლიერებს სოციალურ უთანასწორობას. ასეთ პირობებში სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ბალანსი სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობასა და სოციალურ მდგრადობას შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევები ხაზს უსვამს, რომ საქართველოს თანამედროვე უძრავი ქონების ბაზარი ხასიათდება მაღალი მგრძნობელობით გარე ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორების მიმართ, რაც მოითხოვს ღირებულების შეფასების უფრო მდგრადი და მეცნიერულად დასაბუთებული მოდელების დანერგვას [1; 2; 3].

საერთაშორისო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება AI-Augmented Valuation-ის კონცეფცია, რაც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შეფასებითი პროცესის გაუმჯობესებას გულისხმობს. მიუხედავად ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდისა, მნიშვნელოვან პრინციპად კვლავ რჩება შემფასებლის პროფესიული როლისა და კონტროლის შენარჩუნება. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებიც მიუთითებს, რომ AI უნდა განიხილებოდეს როგორც გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ინსტრუმენტი და არა როგორც პროფესიონალი ექსპერტის სრულფასოვანი შემცვლელი.

ამრიგად, თანამედროვე შეფასებითი საქმიანობა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ეტაპზე იმყოფება. ხელოვნური ინტელექტი, გაციფრულება, ევროპული სტანდარტები და ESG-მიდგომები ქმნიან უძრავი ქონების ბაზრისა და ღირებულების პროფესიული შეფასების ახალ არქიტექტურას.

დასკვნა

ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ შეფასებითი საქმიანობა დღეს აქტიური ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებების ეტაპზე იმყოფება. ხელოვნური ინტელექტის, შეფასების ავტომატიზებული მოდელებისა და დიდი მონაცემების გამოყენება თანდათან ცვლის არა მხოლოდ ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს, არამედ მთლიანად პროფესიული საქმიანობის პრაქტიკულ მიდგომებსაც.

საქართველოსთვის აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარი ბოლო წლებში გამოირჩევა მაღალი აქტივობით, ფასების ზრდის ტენდენციითა და გარე ეკონომიკურ პროცესებზე მზარდი დამოკიდებულებით. კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ ბაზრის დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მაკროეკონომიკური გარემო, ისე მიგრაციული პროცესები და საერთაშორისო გეოპოლიტიკური ფაქტორები.

ჩვენი შეფასებით, EVS 2025-ისა და IVS 2025-ის სტანდარტებთან დაახლოება საქართველოს შეფასებითი სისტემის განვითარების აუცილებელი მიმართულებაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ESG-ფაქტორების, ენერგოეფექტურობისა და ციფრული შეფასების მეთოდების ეტაპობრივი ინტეგრაცია, რაც მომავალში გაზრდის როგორც ბაზრის გამჭვირვალობას, ისე საინვესტიციო მიმზიდველობას.

ასევე ვფიქრობთ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას შეფასებით საქმიანობაში თან ახლავს გარკვეული რისკებიც მონაცემთა სანდოობის, ალგორითმული მიკერძოების, მოდელების გამჭვირვალობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, AI ტექნოლოგიების დანერგვა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ პროგრესს, არამედ პროფესიული ეთიკის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის პროფესიული კონტროლის პრინციპებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე შეფასებითი საქმიანობის განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად მოხდება ციფრული ტექნოლოგიების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული პრაქტიკის ერთმანეთთან შეთავსება.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩაჩანიძე თ., მგელაძე ლ. „საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციები და გამოწვევები“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3-4, 2024.

ჩაჩანიძე თ., მგელაძე ლ. „ეკონომიკური გამოწვევების გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2025.

А. Сичинава, Д. Сехниашвили, Н. Чикаидзе, Т. Чачанидзе, Л. Мгеладзе – «Вопросы адаптации методов оценки недвижимости к европейским стандартам в Грузии». Ст. 143-148.

European Valuation Standards 2025.

International Valuation Standards 2025.

IVSC. Navigating the Rise of AI in Valuation: Opportunities, Risks and Standards. 2025.

RICS Valuation – Global Standards (Red Book), 2025.

ალ. სიჭინავა, დ. სეხნიაშვილი და სხვ. „უძრავი ქონების შეფასება“, თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/

IMF World Economic Outlook Reports.

Galt & Taggart Research Reports on Georgian Real Estate Market.

Artificial Intelligence and Real Estate Valuation. MDPI Information Journal, 2025.

Sustainable Buildings: The New Real Estate Value. European Commission, 2025.

Nikolaos Karanikolas, Eleni Kyriakidou, Eleni Kyriakidou - Artificial Intelligence and Real Estate Valuation: The Design and Implementation of a Multimodal Model – 2025.

https://forbes.ge/ram-ganapiroba-saqarthvelos-ekonomikis-zrda-2022-tsels/

https://bm.ge/news/

International Monetary Fund (IMF). (2009). World Economic Outlook: Crisis and Recovery. https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2009/01/.

The Financial Crisis Inquiry Commission (2011). The Financial Crisis Inquiry Report. https://fcic.law.stanford.edu/.

BBC News. (2018). Global Financial Crisis: What happened, and when? https://www.bbc.com/news/business-45790748.

https://www.commersant.ge/en/news/economics/trade-real-estate-and-processing-industry-account-for-the-largest-share-of-the-georgian-economy-ranking?utm_source=chatgpt.com.

https://beam.ge/en/siaxleebi/52-what-was-2024-like-for-the-georgian-real-estate-sector?utm_source=chatgpt.com.

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp.

საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასის ინდექსი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/698/satskhovrebeli-udzravi-konebis-fasebis-indeksi

საცხოვრებელი უძრავი ქონების ქირის ფასი - https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2024-01/report/tbilisi-residential-real-estate_eng_-2023.pdf?utm_source=chatgpt.com

საცხოვრებელი უძრავი ქონების ქირის ფასი - https://www.gbc.ge/public/en/news/Economics-news/in-2024-demand-in-tbilisi-residential-real-estate-market-remained-steady-with-a-modest-1-yy-increase?utm_source=chatgpt.com
https://www.mib.ge/georgia-residential-real-estate-market-analysis-2023/?utm_source=chatgpt.com
https://tbccapital.ge/ge

Artificial Intelligence and European Valuation Standards in Real Estate Valuation: Georgia's Experience and Development Prospects

Alexander Sichinava
Doctor of Economics, Professor
Georgian Technical University
asichinava@gtu.ge

Tamar Chachanidze
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
chachanidzetamar12@gtu.ge

Lasha Mgeladze
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
mgeladzelasha12@gtu.ge

Summary

The field of real estate valuation is currently undergoing significant transformation, both in Georgia and internationally. Alongside technological advances, the growing adoption of artificial intelligence, and the revision of international valuation standards, traditional valuation practices are gradually evolving into systems increasingly driven by data, analytics, and digital technologies. Consequently, modern data-processing methods, Automated Valuation Models (AVMs), and artificial intelligence technologies are acquiring particular importance in contemporary valuation practice. This article examines current trends in the development of real estate valuation and the principal challenges facing Georgia's real estate market as the country moves towards closer integration with the European economic area. It also analyses the economic and geopolitical factors affecting the Georgian real estate market and presents the dynamics of residential property price changes in Tbilisi between 2021 and 2025. Particular attention is given to the fact that contemporary valuation practice extends beyond the application of conventional valuation methods and increasingly requires the effective integration of digital technologies, reliable data, and professional standards. The article argues that artificial intelligence should be regarded as a supporting tool for professional valuers rather than as a complete substitute for their expertise. When properly applied, AI can improve the accuracy, transparency, and efficiency of the valuation process. Nevertheless, it cannot replace the professional valuer because, notwithstanding the established standardized approaches and methods employed in valuation practice, each valuation assignment requires individual professional judgement and careful consideration of property-specific circumstances. Accordingly, AI should perform an assistive role by facilitating and streamlining the valuer's workflow. The study is based on a comparative analysis of international valuation standards, statistical data, and trends in Georgia's real estate market.

Keywords: real estate valuation, artificial intelligence, EVS 2025, IVS 2025, Georgian real estate market, Automated Valuation Models (AVMs), investment, cadastral value, ESG.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

გულნაზ ერქომაიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში გადმოცემულია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში. გაანალიზებულია სამრეწველო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, შეფასებულია ინდუსტრიული პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით ნაჩვენებია, რომ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დაბალია. მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. სახელმწიფოში უნდა შემუშავდეს ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოყენებული იქნეს ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი. აუცილებელია ინდუსტრიული პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა: ინოვაციები და ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, განათლება და უნარების ფორმირება, საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირება, მრეწველობის პრიორიტეტული დარგების მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავება, კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის დაცვა.*

საკვანძო სიტყვები: *მრეწველობა, ტრადიციული ინდუსტრიული პოლიტიკა, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა*

ტრადიციული ინდუსტრიული პოლიტიკა ძირითადად XX საუკუნეში (განსაკუთრებით მეორე ნახევარში) არსებობდა იგი ორიენტირებული იყო წარმოების ხელშეწყობაზე, გულისხმობდა კონკრეტული დარგების მხარდაჭერას (მაგ. მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა). სახელმწიფო პირდაპირ ერეოდა ეკონომიკაში. ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო საწარმოები. ტრადიციული ინდუსტრიული პოლიტიკა მიზანმიმართულად იყენებდა მართვისა და კონტროლის ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა ფული (ფინანსური სტიმულები) და კანონი (რეგულაციები). მხარდაჭერის ფორმები იყო სუბსიდიები, ტარიფები, შეღავათიანი კრედიტები. ხდებოდა შიდა ბაზრის დაცვა უცხოური კონკურენციისგან, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკოლოგიას.

საქართველოში ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის კონცეპტუალური ჩამოყალიბება დაიწყო 2010-იანი წლების შუა პერიოდში, განსაკუთრებით 2014 წლიდან, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო სამრეწველო წარმოების ხელშეწყობის აქტიური პროგრამები. ხოლო როგორც ეკონომიკური თეორიისა და კვლევის მიმართულება იგი ქართულ სამეცნიერო სივრცეში განსაკუთრებით 2018–2020 წლებიდან დამკვიდრდა.

საქართველოში ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის კვლევა შედარებით ახალი მიმართულებაა. მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სისტემური შესწავლა

დაკავშირებულია ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილის ნაშრომებთან, სადაც გაანალიზებულია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის თანამედროვე მიდგომები და მისი კავშირი ინოვაციებთან, კონკურენტუნარიანობასთან და ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდასთან. მისი აზრით, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ფირმების ფორმირების, მათი აგლომერაციის, ინოვაციებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ხელშეწყობას ღია ეკონომიკის პირობებში. (ლეკაშვილი, 2025)

სხვადასხვა ავტორთა შეხედულებებზე დაყრდნობით, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინირებული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის საწარმოო, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა მოიცავს: მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას; ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების (R&D) მხარდაჭერას; ციფრულ ტრანსფორმაციასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას; მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების წახალისებას; მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას; ადამიანური კაპიტალისა და პროფესიული განათლების გაძლიერებას.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია: საგადასახადო შეღავათები; სახელმწიფო სუბსიდიები და გრანტები; ინოვაციური პროექტების დაფინანსება; ინდუსტრიული პარკებისა და ტექნოლოგიური ჰაბების შექმნა; ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამები; ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოსთვის ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა განსაკუთრებით უკავშირდება სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის დივერსიფიკაციას, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, ტექნოლოგიურ განახლებას და ევროკავშირის ბაზრებთან ინტეგრაციას.

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრების მაჩვენებლები. ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი.

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2018 წელს 50,2%-ს, 2019 წელს - 42,0%-ს, 2020 წელს - 44.8%-ს, 2021 წელს - 42,4%-ს, 2022 წელს 32%-ს, 2023 წელს - 42.0%-ს, 2024 წელს - 44.8%-ს, ხოლო 2025 წელს 45%-ს შეადგენდა (იხ. ცხრილი 1).

სამრეწველო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 2018-2025 წწ. (%)

ცხრილი 1.

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მრეწველობა (B+C+D+E) სულ მათ შორის:	**50.2**	**42.0**	**44.8**	**42.4**	**42.4**	**42.0**	**44.8**	**45.0**
სამთომომპოვებელი მრეწველობა (B)	5.5	5.0	8.1	5.0	5.0	6.0	5.7	5.5

დამამუშავებელი მრეწველობა (C)	38.6	34.5	36.3	37.0	37.0	36.0	37.0	38.0
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის დაკონდიცირებული ჰაერის მიწოდება (D)	0.6	2.3	0.2	0.4	0.4	0.5	0.4	0.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების სამუშაოები (E)	5.5	0.2	0.2	0.02	0.02	0.0	0.0	0.0

***წყარო**: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით*

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამრეწველო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 2024 წელს 2023 წელთან შედარებით. 2.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. 2025 წელს მცირედით გაიზარდა, რაც მიუთითებს მრეწველობის როლის შენარჩუნებაზე საექსპორტო სტრუქტურაში. თუმცა ექსპორტში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნედლეულზე და პირველადი გადამუშავების პროდუქტებზე დაფუძნებულ დარგებს.

2025 წელს სამთომოპოვებითი პროდუქციის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში დაახლოებით 5.5%-ს შეადგენდა, რაც მიუთითებს, რომ ექსპორტის სტრუქტურაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინერალურ რესურსებს, განსაკუთრებით მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტს. მცირედით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის წილიც წინა წლებთან შედარებით. ზრდა ძირითადად უკავშირდება ისეთ საექსპორტო მიმართულებებს, როგორიცაა ფეროშენადნობები, საკვები და სასმელები, ქიმიური და სხვა გადამამუშავებელი პროდუქტები. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ჭრილში ეს დადებითი ტენდენციაა, რადგან დამამუშავებელი მრეწველობა ქმნის უფრო მეტ დამატებულ ღირებულებას, ვიდრე მხოლოდ ნედლეულის ექსპორტი.

• S_1 – **მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების მდგომარეობა:** ხასიათდება მშპ-ის პოტენციურ დონეზე ზრდით, ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან (3%) სიახლოვით, სტაბილური სავალუტო კურსითა და ფინანსური სექტორის მაღალი ლიკვიდობით.

• S_2 – **ზომიერი სტრესის (ვოლატილობის) მდგომარეობა:** ვლინდება გეოპოლიტიკური წნეხი სავაჭრო ბალანსზე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დროებითი შენელება, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ვოლატილობის მატება და ინფლაციური მოლოდინების ზრდა.

• S_3 – **სტრუქტურული კრიზისის მდგომარეობა:** ხასიათდება სისტემური ლიკვიდობის კრიზისით ფინანსურ სექტორში, ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაციით (შოკური ნახტომი), ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებლით და რეალური მშპ-ის ვარდნით (რეცესია).

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნახევრად მარკოვული მოდელის მეშვეობით ხდება გარდამავალი ალბათობების $P_{ij}(t)$ უწყვეტი გაანგარიშება. მათემატიკური აპარატი პასუხობს კითხვას: თუ დროის საწყის მომენტში $t = 0$ საქართველოს ეკონომიკა იმყოფება სტაბილურ S_1 მდგომარეობაში, რა ალბათობით აღმოჩნდება იგი S_3 კრიზისულ ფაზაში დროის t მომენტში, ეგზოგენური გეოპოლიტიკური შოკების λ ინტენსივობით მოქმედებისა და მარეგულირებლის $B(t)$ სტაბილიზაციის უნარის პირობებში?

5. ადრეული შეტყობინების სისტემის (EWS) კონცეფცია და ალგორითმიზაცია

ნახევრად მარკოვული პროცესების (SMP) გარდამავალი ალბათობების რეალურ დროში გამოთვლა ქმნის მყარ საფუძველს ახალი თაობის მაკროეკონომიკური ადრეული შეტყობინების სისტემის (Early Warning System - EWS) შესაქმნელად. ტრადიციული EWS მოდელები, რომლებიც ეყრდნობიან სტატიკურ ეკონომეტრიკულ მაჩვენებლებს ან

მხოლოდ ლოგიტ/პრობიტ რეგრესიებს, ხშირად აწყდებიან "ინფორმაციული დაგვიანების" პრობლემას და ვერ ახდენენ მყისიერი სტრუქტურული წყვეტების პროგნოზირებას.

ჩვენი ალგორითმული მიდგომა ეყრდნობა ხურომე და სხვ. 2025 წ. ნაშრომში "Mathematical Modeling of Financial Risk and Economic Systems with Stochastic Optimization" განვითარებულ პრინციპებს. აღნიშნულ კვლევაში ნაჩვენებია, რომ ფინანსური სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა მოითხოვს სტოქასტური ოპტიმიზაციისა და დროზე დამოკიდებული გარდამავალი ალბათობების ერთობლივ მართვას. ამ კონცეფციის საქართველოს მაკროეკონომიკურ რეალიებზე ადაპტაციით, სისტემის მიერ კრიზისული S_3 ფაზის მიღწევის ალბათობა დროის ნებისმიერ t მომენტში გამოითვლება როგორც გარდამავალი ალბათობების დინამიკური ფუნქცია.

ალგორითმის რეალიზაციისათვის უპირველესად განისაზღვრება დროზე დამოკიდებული გადასვლის ინტენსივობის კოეფიციენტები $\lambda_{ij}(t)$, რომლებიც განსხვავებით კლასიკური მარკოვის ჯაჭვებისგან, არ არიან მუდმივი სიდიდეები და ითვალისწინებენ მიმდინარე მდგომარეობაში სისტემის დაყოვნების τ დროს:

$$\lambda_{ij}(t) = \lim_{\Delta t \to 0} \frac{P(X_{t+\Delta t} = j \mid X_t = i, \tau = t)}{\Delta t}$$

ლაპლასის ოპერაციულ დომენში გადასვლისას, გარდამავალი ალბათობების მატრიცის $\tilde{\mathbf{P}}(s)$ მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს სისტემის პირველი გასვლის დროის (First Passage Time) ალბათური სიმკვრივე კრიზისულ S_3 მდგომარეობაში. სისტემის უსაფრთხოების კრიტიკული ზღვარი (ბიფურკაციის წერტილი) განისაზღვრება როგორც დროის t_{crit} მომენტი, რომლის დროსაც კრიზისულ მდგომარეობაში გადასვლის კუმულაციური ალბათობა აჭარბებს წინასწარ დადგენილ მაკროპრუდენციულ ტოლერანტობის ლიმიტს α:

$$P(X_t = S_3 \mid X_0 = S_1) \geq \alpha, \qquad \text{სადაც} \quad \alpha \in (0,1)$$

ნაშრომის სტოქასტური ოპტიმიზაციის ალგორითმზე დაყრდნობით, მარეგულირებლის მიზანია ანტიციკლური პოლიტიკის ინსტრუმენტების (საპროცენტო განაკვეთი, ინტერვენციები) იმგვარი ოპტიმალური შერჩევა, რაც მაქსიმალურად გადაავადებს t_{crit} მნიშვნელობას და შეამცირებს ექსტრემალური შოკების გავრცელების სიჩქარეს.

პროგრამულ დონეზე, ლაპლასის დომენში მიღებული ანალიტიკური გამოსახულებების რიცხვითი ინვერსია (მაგალითად, სტეჰფესტის ან ვეიდერის ალგორითმების გამოყენებით) მარტივად ხორციელდება Python-ისა და MATLAB-ის გარემოში. მონტე-კარლოს (Monte Carlo) იმიტაციური სიმულაციების მეშვეობით, მოდელი იძლევა შესაძლებლობას, სხვადასხვა გეოპოლიტიკური სცენარის (სავაჭრო ბლოკადა, ტარიფების ცვლილება) პირობებში რეალურ დროში აგებულ იქნას რისკების ტრაექტორიები. ეს უზრუნველყოფს, რომ მაკროეკონომიკურმა EWS-მა გამოსცეს საგანგაშო სიგნალი არა მაშინ, როდესაც კრიზისი უკვე დაწყებულია (რაც ახასიათებს ტრადიციულ ეკონომეტრიკულ მოდელებს), არამედ კრიზისის გარდამავალ ფაზაში შესვლამდე რამდენიმე კვირით ადრე.

6. დასკვნა და პოლიტიკის რეკომენდაციები

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია წარმოადგენს 2026 წლის უმთავრეს მაკროეკონომიკურ გამოწვევას, რაც მოითხოვს სახელმწიფო უწყებების მხრიდან რისკების შეფასების ინსტრუმენტების კარდინალურ განახლებას. ნახევრად მარკოვული პროცესების გარდამავალი ანალიზი წარმოადგენს ეფექტურ და მყარ მათემატიკურ აპარატს, რომელიც ხსნის ტრადიციული ეკონომეტრიკის შეზღუდვებს და რეალურ დროში ასახავს ეკონომიკური არასტაბილურობის დინამიკას.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულია შემდეგი სტრატეგიული რეკომენ-დაციები საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოებისთვის:

1. **საქართველოს ეროვნული ბანკისთვის:** რეკომენდებულია ფინანსური სექტორის სტაბილურობის დეპარტამენტმა მაკროპრუდენციული სტრეს-ტესტების ჩატარებისას გამოიყენოს ნახევრად მარკოვული გარდამავალი ალბათობების მოდელი. ეს საშუალებას მისცემს რეგულატორს კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის ბუფერები დააწესოს არა სტატიკური ისტორიული მონაცემების ბრმა ექსტრაპოლაციით, არამედ გეოპოლიტიკური შოკების საწყის ფაზაში ლიკვიდობის დეფიციტის წარმოშობის დინამიკური ალბათობების გათვალისწინებით.
2. **საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის:** მიზანშეწონილია ფისკალური რისკების ანალიზის სამსახურმა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირებისა და საგარეო შოკების ასახვისთვის დანერგოს შემოთავაზებული $M/G/1$ სტოქასტური ალგორითმები. ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის კრიზისული სცენარების უფრო ზუსტ სიმულაციას „შუა დერეფნის“ სატრანსპორტო ნაკადების შესაძლო გეოპოლიტიკური შეფერხებების პირობებში და გაზრდის სახელმწიფო ფინანსების გრძელვადიან მედეგობას.

გამოყენებული ლიტერატურა

Billio, M., Getmansky, M., Lo, A. W., & Pelizzon, L. (2012). Econometric measures of connectedness and systemic risk in the finance and insurance sectors. *Journal of Financial Economics*, 104(3), 535-559.

Black, F., & Scholes, M. (1973). The Pricing of Options and Corporate Liabilities. *Journal of Political Economy*, 81(3), 637-654.

Cont, R., & Tankov, P. (2004). *Financial Modeling with Jump Processes*. Chapman & Hall/CRC Financial Mathematics Series.

D'Amico, G., Janssen, J., & Manca, R. (2013). Semi-Markov models in high frequency finance: a review. *Journal of Applied Finance and Banking*, 3(1), 39-61.

Kakubava, R. (2021). An alternative transient solution for semi-Markov queuing systems. *Georgian Mathematical Journal*, 28(1), 105-115.

Khurodze, R., Kakubava, R., Kublashvili, M., & Saghinadze, T. (2025). Mathematical Modeling of Financial Risk and Economic Systems with Stochastic Optimization. *International Journal of Mathematical, Engineering and Management Sciences (IJMEMS)*, 10(1), 12-28.

Lucas, R. E. (1976). Econometric policy evaluation: A critique. *Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy*, 1, 19-46.

Smets, F., & Wouters, R. (2007). Shocks and Frictions in US Business Cycles: A Bayesian DSGE Approach. *American Economic Review*, 97(3), 586-606.

Øksendal, B. (2003). *Stochastic Differential Equations: An Introduction with Applications* (6th ed.). Springer-Verlag.

Transient Analysis of Geopolitical Shocks: A Semi-Markov Approach

Maia Benia
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
BeniaMaia12@gtu.ge

Levan Kakubava
Doctoral Student
Georgian Technical University
Kakubava.Levan25@gtu.ge

Summary

Under the conditions of the modern global economic architecture, characterized by growing geopolitical and geo-economic fragmentation, researching the resilience of small and open economies against exogenous shocks is becoming increasingly critical. Traditional linear econometric models (such as VAR, ARIMA, or classical DSGE) are primarily oriented toward stationary, long-term equilibrium states and rely on Gaussian normal distributions. These restrictive assumptions prove ineffective during the initial, fast-changing, and non-linear phases of real-world crises, where structural breaks and anomalous volatility occur. This paper proposes an innovative mathematical framework for assessing macroeconomic instability and systemic risks in Georgia, based on the transient analysis of semi-Markov processes (SMP). The methodological novelty lies in the original synthesis of the "supplementary variables technique" (SVT) and Laplace operational calculus, developed by a team of Georgian scientists. This approach avoids solving complex infinite systems of Kolmogorov partial differential equations (PDEs) and shifts the problem into the algebraic domain, significantly reducing computational complexity. In this study, the Georgian economy is modeled as an $M/G/1$ stochastic system, where geopolitical disruptions act as input shocks, and the counter-cyclical tools of macroeconomic regulators represent the service channel. Real-time calculation of transient probabilities provides a robust foundation for building macroeconomic Early Warning Systems (EWS), facilitating optimal monetary and fiscal decision-making under conditions of extreme global uncertainty.

Keywords: Semi-Markov Process, Transient Analysis, Geopolitical Shock, Systemic Risk, Early Warning System.

საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია: კრიპტოაქტივების მაკროეკონომიკური, გეოეკონომიკური და ინსტიტუციური განზომილებები

ზვიად ბეშკენაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
zviad.beshkenadze@atsu.edu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა ეძღვნება საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკური არსის ანალიზს. ნაშრომის მიზანია განმარტოს, რომ თანამედროვე ცვლილებები არ უნდა შეფასდეს მხოლოდ კრიპტოაქტივების ან ცალკეული ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების კონტექსტში, არამედ როგორც ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის პროცესი. კვლევა ეფუძნება ეკონომიკური ლიტერატურის, საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკური ანგარიშებისა და ინსტიტუციური განვითარების ტენდენციების თეორიულ-შედარებით ანალიზს. შემოთავაზებულია ფუნქციური მიდგომა, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში ფინანსური ფუნქციები ეტაპობრივად ნაწილდება და სპეციალიზდება სხვადასხვა ტიპის ციფრულ აქტივებსა და ტექნოლოგიურ პლატფორმებს შორის. გაანალიზებულია Bitcoin-ის, სტეიბლკოინების, ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების (CBDC), დეცენტრალიზებული ფინანსების (DeFi) და ტოკენიზაციის ეკონომიკური როლი. შეფასებულია მათი გავლენა საერთაშორისო სავალუტო სისტემაზე, აშშ დოლარის ეკონომიკურ ფუნქციებზე, მონეტარულ პოლიტიკასა და მცირე ღია ეკონომიკების ინსტიტუციურ ადაპტაციაზე. კვლევის შედეგად დასაბუთებულია,* რომ თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციისა და ინსტიტუციური ადაპტაციის პროცესს და არა ტრადიციული ფიატ სისტემის ერთჯერად ჩანაცვლებას. ასევე წარმოდგენილია ფინანსური ფუნქციების ასიმეტრიული ტრანსფორმაციის კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც თანამედროვე ციფრული *ფინანსური ეკოსისტემის ეკონომიკური ინტერპრეტაციის ახალ თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობს.*

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ფინანსური სისტემა; კრიპტოაქტივები; Bitcoin; Stablecoin; CBDC; DeFi; ტოკენიზაცია; მონეტარული პოლიტიკა.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა საერთაშორისო ფინანსური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ტრანსფორმაციას განიცდის. ციფრული ტექნოლოგიების, ბლოკჩეინის, ხელოვნური ინტელექტის, ტოკენიზაციის, სტეიბლკოინებისა და ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების (Central Bank Digital Currency – CBDC) განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ფინანსური ურთიერთობების ორგანიზების მექანიზმები. ამასთან, გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ, ფინანსური სანქციების

გაფართოებულმა გამოყენებამ და გლობალური გადახდის ინფრასტრუქტურის მზარდმა მნიშვნელობამ საერთაშორისო ფინანსურ სისტემას ეკონომიკურთან ერთად ინსტიტუციური და გეოეკონომიკური განზომილებებიც შესძინა.

არსებულ ლიტერატურაში ეს პროცესები უმეტესად განიხილება ცალკეული ციფრული ფინანსური ინსტრუმენტების — Bitcoin-ის, სტეიბლკოინების, დეცენტრალიზებული ფინანსების (Decentralized Finance – DeFi), ტოკენიზაციისა და CBDC-ის — განვითარების კონტექსტში, თუმცა ნაკლებ ყურადღებას ეთმობა საერთაშორისო ფინანსური სისტემის მიმდინარე სტრუქტურული ტრანსფორმაციის ერთიანი ეკონომიკური ახსნა.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ფუნქციურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ტრანსფორმაციის საფუძველს წარმოადგენს ფინანსური ფუნქციების ეტაპობრივი დანაწილება და სპეციალიზაცია. ტრადიციული მრავალფუნქციური ფინანსური მოდელი თანდათან გარდაიქმნება ციფრულ ფინანსურ ეკოსისტემად, სადაც სხვადასხვა ეკონომიკურ ფუნქციას განსხვავებული ტიპის ციფრული აქტივები და ტექნოლოგიური პლატფორმები ასრულებენ.

კვლევის მიზანია საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკური არსის ახსნა ფუნქციური მიდგომის საფუძველზე და იმის ჩვენება, თუ როგორ ნაწილდება ღირებულების შენახვის, გადახდის, ფინანსური შუამავლობის, სახელმწიფო ფულისა და საკუთრების ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ციფრულ აქტივებს შორის. ამ მიზნით გაანალიზებულია Bitcoin-ის, სტეიბლკოინების, CBDC-ის, DeFi-ისა და ტოკენიზაციის ეკონომიკური როლი და შეფასებულია მათი გავლენა საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე, მონეტარულ პოლიტიკასა და საქართველოს ფინანსურ სექტორზე.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ კრიპტოაქტივები განხილულია არა როგორც ერთმანეთის კონკურენტი ფინანსური ინსტრუმენტები, არამედ როგორც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის ურთიერთდაკავშირებული ელემენტები.

1. საერთაშორისო ფინანსური სისტემის ევოლუცია და ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკურ-ინსტიტუციური წინაპირობები

საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ მონეტარული წესრიგის ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, როგორც წესი, უკვე ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ და ფინანსურ ცვლილებებს მოსდევს. ოქროს სტანდარტი, ბრეტონ-ვუდსის სისტემა და იამაიკის შეთანხმება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე წარმოადგენდა ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებზე ინსტიტუციურ პასუხს და ასახავდა საერთაშორისო მონეტარული წესრიგის ადაპტაციას ახალ ეკონომიკურ რეალობასთან (Eichengreen, 2019). შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო სისტემის ევოლუცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური გაფორმების უწყვეტი პროცესი.

XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიო ეკონომიკა ერთდროულად განიცდის ტექნოლოგიურ, ფინანსურ, გეოეკონომიკურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს. ციფრული ეკონომიკის, ფინანსური ტექნოლოგიების (FinTech), ბლოკჩეინის, ტოკენიზაციის,

სტეიბლკოინებისა და ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების (CBDC) განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ფინანსური ურთიერთობების ორგანიზების მექანიზმები, ხოლო გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და ფინანსური ინფრასტრუქტურის სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდამ საერთაშორისო ფინანსურ სისტემას უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური სუვერენიტეტის ახალი განზომილებები შესძინა (International Monetary Fund [IMF], 2024; Bank for International Settlements [BIS], 2025).

აღნიშნული ცვლილებები წარმოშობს მნიშვნელოვან კვლევით კითხვას: წარმოადგენს თუ არა თანამედროვე ციფრული ტრანსფორმაცია საერთაშორისო ფინანსური სისტემის მორიგ ინსტიტუციურ ადაპტაციას. განსხვავებით წარსულისგან, მიმდინარე პროცესები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებით, არამედ მოიცავს გადახდის სისტემებს, ფინანსურ ინფრასტრუქტურას, კაპიტალის ბაზრებს, ფინანსურ შუამავლობას, ციფრულ აქტივებსა და მათ მარეგულირებელ ინსტიტუტებს. შესაბამისად, კვლევის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკურ-ინსტიტუციური საფუძვლების ანალიზი.

ფინანსური გლობალიზაციის გაღრმავებამ, 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, COVID-19-ის პანდემიამ და გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ წარმოაჩინა ტრადიციული ფინანსური ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა და გაზარდა მოთხოვნა უფრო მოქნილ, მდგრად და ტექნოლოგიურად ადაპტირებულ ფინანსურ სისტემაზე (IMF, 2024; BIS, 2025). ამავე დროს, ბლოკჩეინისა და განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიების განვითარებამ ფინანსური მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი ციფრულ სივრცეში გადაიტანა და ტექნოლოგიური პროგრესი ფინანსური სისტემის ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად აქცია (BIS, 2025).

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია ვერ აიხსნება მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციებით ან ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებით. იგი წარმოადგენს ეკონომიკური გლობალიზაციის, ფინანსური კრიზისების, გეოეკონომიკური ცვლილებებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების ერთობლივი ზემოქმედების შედეგს, რომლის პირობებშიც კრიპტოაქტივები უნდა შეფასდეს არა როგორც იზოლირებული ტექნოლოგიური ინოვაცია, არამედ როგორც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ინსტიტუციური ადაპტაციის ერთ-ერთი გამოვლინება.

2. საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაცია ციფრულ ეკონომიკაში

საერთაშორისო ფინანსური სისტემის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს რესურსების მობილიზაცია, კაპიტალის გადანაწილება, გადახდების ორგანიზება, რისკების განაწილება, ლიკვიდობის უზრუნველყოფა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ნდობის ინსტიტუციური მხარდაჭერა. სწორედ ამ ფუნქციების შესრულების მექანიზმები განიცდის დღეს ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას (Mishkin, 2022).

ციფრული ეკონომიკის განვითარებამ საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით არ განაპირობა. უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო თავად ფინანსური სისტემის ფუნქციურ საფუძვლებს. თუ ტრადიციულ ეკონომიკაში ფული, გადახდის სისტემები, ფინანსური შუამავლობა და აქტივების აღრიცხვა ერთიან ინსტიტუციურ სივრცეში იყო კონცენტრირებული, თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში ეს ფუნქციები თანდათან სხვადასხვა ტექნოლოგიურ პლატფორმასა და ფინანსურ ინსტრუმენტს შორის ნაწილდება. შესაბამისად, მიმდინარე ტრანსფორმაცია უნდა შეფასდეს არა მხოლოდ როგორც ახალი ციფრული აქტივების განვითარება, არამედ როგორც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური რეორგანიზაცია.

ფულის, გადახდის სისტემების, ფინანსური შუამავლობისა და აქტივების აღრიცხვის ევოლუცია ყოველთვის ასახავდა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების დონეს. თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში ეს ფუნქციები სულ უფრო მეტად ეფუძნება პროგრამირებად, ავტომატიზებულ და გლობალურად ინტეგრირებულ ფინანსურ ინფრასტრუქტურას. ბლოკჩეინის, განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიებისა და ჭკვიანი კონტრაქტების (Smart Contracts) განვითარებამ შესაძლებელი გახადა გადახდის, ფინანსური შუამავლობისა და აქტივების აღრიცხვის ფუნქციების დამოუკიდებელ ტექნოლოგიურ პლატფორმებზე განხორციელება, ხოლო ტოკენიზაციამ საკუთრების ციფრული წარმოდგენისა და აქტივების მიმოქცევის ახალი შესაძლებლობები შექმნა (Prasad, 2021; Bank for International Settlements [BIS], 2025).

ზემოაღნიშნული ცვლილებები მიუთითებს, რომ თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში ტრანსფორმაციას განიცდის არა ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტები, არამედ საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური სტრუქტურა. თუ ტრადიციულ მოდელში ფული ერთდროულად ასრულებდა მრავალ ეკონომიკურ ფუნქციას, თანამედროვე პირობებში ეს ფუნქციები ეტაპობრივად ნაწილდება და სპეციალიზდება სხვადასხვა ტიპის ციფრულ აქტივებსა და ტექნოლოგიურ პლატფორმებს შორის.

წინამდებარე კვლევაში აღნიშნული პროცესი განიხილება, როგორც ფინანსური ფუნქციების დანაწილებისა და სპეციალიზაციის პროცესი, რომელიც აღწერს ტრადიციული ფინანსური სისტემის ერთიანად კონცენტრირებული ფუნქციების ეტაპობრივ გადანაწილებას სპეციალიზებულ ციფრულ აქტივებსა და პლატფორმებზე. ეს ყველაზე მკაფიოდ კრიპტოაქტივების ეკონომიკურ დანიშნულებაში ვლინდება: Bitcoin სპეციალიზდება ღირებულების შენახვაზე, სტეიბლკოინები — საერთაშორისო გადახდებსა და ანგარიშსწორებაზე, CBDC — სახელმწიფო ფულის ფუნქციების ციფრულ გარემოში შენარჩუნებაზე, DeFi — ფინანსური შუამავლობის ტრანსფორმაციაზე, ხოლო ტოკენიზაცია — საკუთრებისა და ფინანსური აქტივების ციფრულ წარმოდგენასა და მიმოქცევაზე.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამდე ფინანსური ფუნქციების ასეთი დანაწილება ეკონომიკურად ნაკლებად ეფექტიანი იყო, რადგან მათი განხორციელება ერთიან ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას მოითხოვდა. ბლოკჩეინისა და განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიების განვითარებამ პირველად შექმნა შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ფინანსური ფუნქცია დამოუკიდებელ ციფრულ

ინფრასტრუქტურაზე ორგანიზებულიყო და ფინანსური ფუნქციების დანაწილებისა და სპეციალიზაციის პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელი გამხდარიყო (BIS, 2025).

ამრიგად, კრიპტოაქტივები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ როგორც ახალი ციფრული აქტივები, არამედ როგორც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის შედეგი. მათი ეკონომიკური ბუნების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური სისტემის მიმდინარე ტრანსფორმაციის საერთო კონტექსტში, რაც საფუძველს ქმნის მომდევნო თავში კრიპტოაქტივების ეკონომიკური ფუნქციების დეტალური ანალიზისთვის.

3. საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაცია: ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაცია კრიპტოაქტივების ეკოსისტემაში

წინამდებარე კვლევაში ერთმანეთისგან განვასხვავებთ ფულის ეკონომიკურ ფუნქციებსა და ფინანსური სისტემის ინსტიტუციურ ფუნქციებს. ფული ასრულებს ღირებულების შენახვის, გადახდისა და ღირებულების საზომის ფუნქციებს, ხოლო ფინანსური სისტემა დამატებით უზრუნველყოფს ფინანსურ შუამავლობას, კაპიტალის მობილიზაციას, ანგარიშსწორების ორგანიზებასა და ფინანსური რისკების განაწილებას. თანამედროვე ციფრული ფინანსური ეკოსისტემის ტრანსფორმაცია ორივე დონეზე მიმდინარეობს, რის გამოც ციფრული აქტივების ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა შეფასდეს არა მათი ტექნოლოგიური თავისებურებების, არამედ იმ ფინანსური ფუნქციის მიხედვით, რომლის შესრულებაზეც ისინი სპეციალიზდებიან.

წინა თავებში დასაბუთდა, რომ საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია პირველ რიგში უკავშირდება ფინანსური ფუნქციების ეტაპობრივ დანაწილებასა და სპეციალიზაციას, რომლის შედეგადაც ყალიბდება ახალი ინსტიტუციური ფინანსური ეკოსისტემა. შესაბამისად, თანამედროვე კრიპტოაქტივები უნდა შეფასდეს არა როგორც ერთმანეთის კონკურენტი ტექნოლოგიური პროდუქტები, არამედ როგორც სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციის შესასრულებლად შექმნილი სპეციალიზებული ფინანსური ინსტრუმენტები.

წინამდებარე კვლევაში „ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაცია“ გამოიყენება, როგორც ანალიტიკური კონცეფცია, რომელიც აღწერს ტრადიციულად ერთიან ფინანსურ სისტემაში კონცენტრირებული ფუნქციების ეტაპობრივ გადანაწილებას სხვადასხვა ტიპის ციფრულ აქტივებსა და ტექნოლოგიურ პლატფორმებზე. შესაბამისად, წინამდებარე თავში კრიპტოაქტივები განიხილება არა მათი ტექნოლოგიური მახასიათებლების, არამედ იმ ეკონომიკური ფუნქციების მიხედვით, რომელთა შესრულებაზეც ისინი სპეციალიზდებიან საერთაშორისო ფინანსური სისტემის მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესში.

3.1. ღირებულების შენახვის ფუნქციის სპეციალიზაცია: Bitcoin-ის ეკონომიკური როლი

ღირებულების შენახვა ფულის ერთ-ერთი ფუნდამენტური ეკონომიკური ფუნქციაა, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს დაგროვილი სიმდიდრისა და მსყიდველუნარიანობის დროში შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა თანამედროვე ფიატ ფულზე

დაფუძნებული მონეტარული სისტემის პირობებში ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, და ფულის, როგორც ღირებულების შენახვის ინსტრუმენტის, ეკონომიკური მიზნები ყოველთვის არ ემთხვევა. მონეტარული სტაბილიზაციის, ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური კრიზისების მართვის მიზნით განხორციელებული ფულის მასის გაფართოება, რაოდენობრივი შერბილების პროგრამები (Quantitative Easing – QE) და სახელმწიფო ვალის ზრდა პერიოდულად აძლიერებს ინფლაციურ მოლოდინებს, რაც ზრდის ისეთი აქტივების მიმართ მოთხოვნას, რომელთა ღირებულება ნაკლებად არის დამოკიდებული მიმდინარე მონეტარულ პოლიტიკაზე (Prasad, 2021; BIS, 2025).

აღნიშნული გარემოება არ ამცირებს ფიატ ფულის მნიშვნელობას, თუმცა წარმოაჩენს მის მრავალფუნქციურობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ შეზღუდვას: ერთი და იგივე ინსტრუმენტი ერთდროულად უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკური აქტივობისა და ლიკვიდობის მხარდაჭერას და ღირებულების გრძელვადიან შენარჩუნებას. სწორედ ამ ეკონომიკურმა წინააღმდეგობამ წარმოშვა მოთხოვნა ისეთი აქტივების მიმართ, რომლებიც კონკრეტული ფინანსური ფუნქციის შესრულებაზე სპეციალიზდებიან. ამ კონტექსტში Bitcoin-ის წარმოშობა უნდა შეფასდეს არა როგორც ფიატ ფულის უარყოფა, არამედ როგორც ღირებულების შენახვის ფუნქციის დამოუკიდებელი ეკონომიკური სპეციალიზაციის შედეგი.

Bitcoin შეიქმნა, როგორც ალგორითმულად შეზღუდული ემისიის მქონე ციფრული აქტივი, რომლის ეკონომიკური არქიტექტურა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ ემისიის მექანიზმს, 21 მილიონი ერთეულის მაქსიმალურ მიწოდებასა და დეცენტრალიზებულ ქსელს. შესაბამისად, მისი მიწოდება არ არის დამოკიდებული ეკონომიკურ ციკლებზე, საბიუჯეტო დეფიციტებსა და მონეტარული ხელისუფლების მიმდინარე გადაწყვეტილებებზე, რაც Bitcoin-ს ღირებულების შენახვის ფუნქციის დამოუკიდებელ ეკონომიკურ მოდელად წარმოაჩენს (Nakamoto, 2008).

მიუხედავად ამისა, Bitcoin სრულად არ არის მოკლებული ფულის სხვა ფუნქციებს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდის საშუალებად, თუმცა მაღალი ფასობრივი მერყეობა, მასშტაბურობის ტექნოლოგიური შეზღუდვები და რეგულაციური გაურკვევლობა ზღუდავს მის ფართო გამოყენებას ყოველდღიურ ანგარიშსწორებაში. შესაბამისად, მისი ძირითადი ეკონომიკური სპეციალიზაცია კვლავ ღირებულების შენახვის ფუნქციას უკავშირდება.

Bitcoin-ის ეკონომიკური მნიშვნელობა სცილდება ცალკეული ციფრული აქტივის ფარგლებს. მისი განვითარება მიუთითებს, რომ თანამედროვე ფინანსურ სისტემაში ღირებულების შენახვის ფუნქცია დამოუკიდებელ ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს და აუცილებელი აღარ არის, იგი იმავე ინსტრუმენტმა შეასრულოს, რომელიც ყოველდღიურ გადახდებსა და მონეტარულ პოლიტიკას ემსახურება. ამ თვალსაზრისით, Bitcoin წარმოადგენს ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციის პირველ ფართომასშტაბიან ინსტიტუციურ გამოვლინებას.

Bitcoin ETF-ების დამტკიცება, ინსტიტუციური ინვესტორების მზარდი მონაწილეობა და მარეგულირებელი ჩარჩოების განვითარება მიუთითებს, რომ ფინანსური სისტემა Bitcoin-ის ჩანაცვლებას კი არ ცდილობს, არამედ მის ეტაპობრივ ინსტიტუციურ ინტეგრაციას ახდენს (BIS, 2025; IMF, 2024).

ამრიგად, Bitcoin-ის მთავარი ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს არა ტრადიციული ფულის ჩანაცვლებაში, არამედ ღირებულების შენახვის ფუნქციის დამოუკიდებელი სპეციალიზაციის პრაქტიკულ დადასტურებაში. სწორედ ამით იქცა Bitcoin საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ პირველ ინსტიტუციურ გამოვლინებად და საფუძველი ჩაუყარა ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციის შემდგომ განვითარებას.

3.2. გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის სპეციალიზაცია: სტეიბლკოინების (Stablecoin)-ის ეკონომიკური როლი

თუ Bitcoin-ის განვითარებამ უპასუხა ღირებულების შენახვის ფუნქციის დამოუკიდებელი სპეციალიზაციის მოთხოვნას, თანამედროვე საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის ტრანსფორმაციის აუცილებლობა. გლობალიზაციის, ელექტრონული კომერციის, ციფრული მომსახურებებისა და ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სწრაფი, უწყვეტი და დაბალდანახარჯიანი საერთაშორისო გადახდების მოთხოვნა, რომელსაც ტრადიციული მრავალსაფეხურიანი საბანკო ინფრასტრუქტურა სრულად ვეღარ აკმაყოფილებს (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ამ მოთხოვნის პასუხად განვითარდა სტეიბლკოინები (მაგ., USDT, USDC), რომელთა მთავარი ეკონომიკური დანიშნულება ღირებულების დაგროვება კი არა, გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის ეფექტიანი შესრულებაა. Bitcoin-ისგან განსხვავებით, მათი ღირებულება, როგორც წესი, მიბმულია ფიატ ვალუტაზე ან სხვა სტაბილურ აქტივზე, რაც მათ სწრაფი, დაბალდანახარჯიანი და პროგრამირებადი ანგარიშსწორების საშუალებას აძლევს. ამიტომ ისინი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო კრიპტოეკოსისტემაში, ციფრულ კომერციასა და ტრანსსასაზღვრო ფინანსურ ოპერაციებში (Financial Stability Board [FSB], 2023; BIS, 2025).

ამგვარად, თუ Bitcoin ღირებულების შენახვის ფუნქციაზე სპეციალიზდება, სტეიბლკოინები გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის სპეციალიზებულ ციფრულ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. ეს განსხვავება ადასტურებს, რომ თანამედროვე კრიპტოაქტივების ეკოსისტემა სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციის შესასრულებლად შექმნილი სპეციალიზებული ფინანსური ინსტრუმენტების სისტემაა.

სტეიბლკოინების განვითარება კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოაჩენს. მსოფლიოს უმსხვილესი სტეიბლკოინების მნიშვნელოვანი ნაწილი აშშ დოლარზეა მიბმული, რის გამოც ისინი არა მხოლოდ ახალ გადახდის ინფრასტრუქტურას ქმნიან, არამედ აშშ დოლარის გამოყენების მასშტაბსაც აფართოებენ ციფრულ ფინანსურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, Bitcoin კონკურენციას უწევს ტრადიციულ ფულს ღირებულების შენახვის ფუნქციაში, ხოლო სტეიბლკოინები ფიატ ვალუტის, განსაკუთრებით აშშ დოლარის, გადახდის ფუნქციის ეფექტიანობას ზრდიან (BIS, 2025; International Monetary Fund [IMF], 2024).

აღნიშნული გარემოება წარმოშობს მნიშვნელოვან კვლევით კითხვას: თუ სტეიბლკოინების უმრავლესობა აშშ დოლარზეა მიბმული, წარმოადგენს თუ არა მათი განვითარება დოლარის გლობალური როლის შესუსტებას, თუ, პირიქით, მისი

საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციების ციფრულ გაფართოებას? ამ კითხვაზე პასუხი განხილულია მომდევნო თავში.

ამრიგად, სტეიბლკოინების ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს არა ახალი ფულის შექმნაში, არამედ გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის დამოუკიდებელ სპეციალიზაციაში. მათი განვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია ფინანსური ფუნქციების ეტაპობრივი დანაწილებისა და სპეციალიზაციის გზით მიმდინარეობს.

3.3. სახელმწიფო ფულის ფუნქციის ციფრული ტრანსფორმაცია: CBDC-ის ეკონომიკური როლი

საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფოსა და ცენტრალური ბანკების როლის გადაფასებამ. თუ Bitcoin ღირებულების შენახვის ფუნქციის დამოუკიდებელ სპეციალიზაციას, ხოლო სტეიბლკოინები გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციის ტრანსფორმაციას ასახავს, ციფრულმა ეკონომიკამ ახალი გამოწვევები შეუქმნა სახელმწიფო ფულის ინსტიტუტსაც. შედეგად, დღის წესრიგში დადგა არა მხოლოდ კერძო ციფრული აქტივების რეგულირება, არამედ სახელმწიფო ფულის ციფრულ გარემოში ადაპტაციაც (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ტრადიციულ მონეტარულ სისტემაში სახელმწიფო ფული წარმოადგენს არა მხოლოდ გადახდის კანონიერ საშუალებას, არამედ მონეტარული პოლიტიკის, ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის ინსტიტუციურ საფუძველს. კერძო ციფრული აქტივებისა და ახალი გადახდის ინფრასტრუქტურის განვითარებამ წარმოშვა რისკი, რომ ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილი ეტაპობრივად ისეთ სისტემებზე გადავიდოდა, სადაც სახელმწიფოს მონეტარული გავლენა შესუსტდებოდა (International Monetary Fund [IMF], 2024).

ამ გამოწვევის პასუხად განვითარდა ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტის (Central Bank Digital Currency – CBDC) კონცეფცია, რომლის მთავარი ეკონომიკური დანიშნულებაა სახელმწიფო ფულის ფუნქციების ციფრულ ეკონომიკაში შენარჩუნება და მათი თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოსთან ადაპტაცია. სტეიბლკოინებისგან განსხვავებით, რომლებიც კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ინსტრუმენტებია, CBDC წარმოადგენს ცენტრალური ბანკის ვალდებულებას და მიზნად ისახავს მონეტარული სუვერენიტეტისა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას (BIS, 2025).

ამგვარად, CBDC არ წარმოადგენს Bitcoin-ის ან სტეიბლკოინების ტექნოლოგიურ ანალოგს. თუ Bitcoin ღირებულების შენახვის ალტერნატიულ მოდელს ქმნის, ხოლო სტეიბლკოინები გადახდის ფუნქციის ეფექტიანობას ზრდიან, CBDC-ის ძირითადი ეკონომიკური დანიშნულებაა სახელმწიფო ფულის ინსტიტუციური როლის შენარჩუნება ციფრულ ეკონომიკაში. შესაბამისად, იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც კერძო ციფრული აქტივების კონკურენტი, არამედ როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური ადაპტაციის მექანიზმი საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში.

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების მიმართ მზარდი ინტერესი და სხვადასხვა ქვეყნის საპილოტე პროექტები მიუთითებს, რომ მონეტარული პოლიტიკის მომავალი სულ უფრო მეტად დაუკავშირდება ციფრული ფინანსური ინფრასტრუქტურის

განვითარებას. აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვისაც, მათ შორის საქართველოსთვის, რომლებიც სწავლობენ საერთაშორისო გამოცდილებას და აფასებენ ეროვნული ციფრული ვალუტის დანერგვის შესაძლო ეკონომიკურ ეფექტებს (BIS, 2025).

ამრიგად, CBDC-ის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს არა ახალი ციფრული აქტივის შექმნაში, არამედ სახელმწიფო ფულის ფუნქციის ციფრულ ეკონომიკაში ინსტიტუციურ ადაპტაციაში. ამ თვალსაზრისით, CBDC წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციაზე სახელმწიფოს ინსტიტუციურ პასუხს და ადასტურებს, რომ ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლი არ მცირდება, არამედ ახალ ტექნოლოგიურ გარემოსთან ადაპტირდება.

3.4. ფინანსური შუამავლობის ფუნქციის ტრანსფორმაცია: დეცენტრალიზებული ფინანსების (Decentralized Finance – DeFi) ეკონომიკური როლი

ფინანსური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ფინანსური შუამავლობაა, რომლის მეშვეობითაც თავისუფალი ფინანსური რესურსები გარდაიქმნება ინვესტიციებად, სესხებად და სხვა ფინანსურ პროდუქტებად. ტრადიციულ ეკონომიკაში ამ ფუნქციას ძირითადად ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ასრულებენ, ხოლო ციფრული ეკონომიკის, ბლოკჩეინისა და პროგრამირებადი კონტრაქტების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, რომ ფინანსური შუამავლობის ცალკეული ფუნქციები ტექნოლოგიურმა ინფრასტრუქტურამ შეითავსოს (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა დეცენტრალიზებული ფინანსების (Decentralized Finance – DeFi) ეკოსისტემა, რომლის ეკონომიკური არსი ფინანსური შუამავლობის ფუნქციების ავტომატიზაციასა და დეცენტრალიზაციაში მდგომარეობს. ჭკვიანი კონტრაქტების (Smart Contracts) გამოყენებით შესაძლებელია სესხების, დაკრედიტების, აქტივების გაცვლისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფის განხორციელება ტრადიციული შუამავლების გარეშე ან მათი მნიშვნელოვნად შემცირებული მონაწილეობით (BIS, 2025).

თუ Bitcoin ღირებულების შენახვის, ხოლო სტეიბლკოინები გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქციაზე სპეციალიზდებიან, DeFi ფინანსური შუამავლობის სპეციალიზებულ ციფრულ მოდელს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციით არ განისაზღვრება. იგი აჩვენებს, რომ თანამედროვე ფინანსურ სისტემაში ტრანსფორმირდება არა ფული, არამედ ფინანსური შუამავლობის ორგანიზების მექანიზმი.

გრძელვადიან პერსპექტივაში DeFi-ის განვითარებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სასესხო კაპიტლის ბაზრის სტრუქტურაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი უსაფრთხოების, რეგულირების, მომხმარებელთა დაცვისა და მასშტაბურობის გამოწვევებს წარმატებით გადალახავს. თუმცა ეს პერსპექტივა ამ ეტაპზე კვლევითი ჰიპოთეზის დონეზე რჩება და დამატებით თეორიულ და ემპირიულ დასაბუთებას საჭიროებს (International Monetary Fund [IMF], 2024).

3.5. საკუთრებისა და კაპიტალის ფუნქციის ტრანსფორმაცია: ტოკენიზაციის (Tokenization) ეკონომიკური როლი

საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ფულისა და გადახდის ფუნქციების ცვლილებით. ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იცვლება საკუთრების, კაპიტალის მობილიზაციისა და ფინანსური აქტივების მიმოქცევის ეკონომიკური მოდელიც. ტრადიციულ სისტემაში აქტივების მიმოქცევა მრავალ ინსტიტუციურ შუამავალსა და შედარებით მაღალ ტრანზაქციულ დანახარჯებს უკავშირდება, რაც უფრო ეფექტიანი ინფრასტრუქტურის საჭიროებას წარმოშობს.

ამ მოთხოვნის პასუხად განვითარდა ტოკენიზაცია (Tokenization), რომლის ეკონომიკური არსი რეალური და ფინანსური აქტივების ციფრულ წარმოდგენასა და საკუთრების უფლებების ბლოკჩეინზე გადატანაში მდგომარეობს. ეს პროცესი ამარტივებს საკუთრების გადაცემას, ზრდის ლიკვიდობას და ქმნის აქტივების ფრაქციული მფლობელობის შესაძლებლობას (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ტოკენიზაციის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს საკუთრებისა და კაპიტალის მობილიზაციის ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმაციაში. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციის კიდევ ერთ გამოვლენას, რომელიც ცვლის არა ფულის ბუნებას, არამედ საკუთრებისა და კაპიტალის ეკონომიკურ ორგანიზებას.

გრძელვადიან პერსპექტივაში ტოკენიზაციამ შესაძლოა შეცვალოს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების სტრუქტურა, თუმცა ამ შესაძლებლობების რეალიზაცია მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული რეგულირების, ინვესტორთა დაცვისა და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების შემდგომ განვითარებაზე (International Monetary Fund [IMF], 2024; BIS, 2025).

ამრიგად, ტოკენიზაციის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს საკუთრებისა და კაპიტალის ფუნქციის ციფრულ ტრანსფორმაციაში, რაც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ინსტიტუციური ადაპტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

განხილულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია არ ეფუძნება ერთი უნივერსალური ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას. პირიქით, იგი ასახავს ფინანსური ფუნქციების ეტაპობრივ დანაწილებასა და სპეციალიზაციას, რომლის შედეგადაც **Bitcoin** სპეციალიზდება ღირებულების შენახვაზე, **სტეიბლკოინები** — გადახდასა და ანგარიშსწორებაზე, **CBDC** — სახელმწიფო ფულის ინსტიტუციურ ადაპტაციაზე, **DeFi** — ფინანსური შუამავლობის ტრანსფორმაციაზე, ხოლო **ტოკენიზაცია** — საკუთრებისა და კაპიტალის ეკონომიკურ ორგანიზებაზე.

ამრიგად, კრიპტოაქტივებისა და სხვა ციფრული ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება წარმოადგენს არა დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ინოვაციების ერთობლიობას, არამედ საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის ეკონომიკურად განპირობებულ შედეგს. აღნიშნული ტრანსფორმაცია ბუნებრივად წარმოშობს კითხვას, თუ რა გავლენას ახდენს ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაცია საერთაშორისო მონეტარულ სისტემაზე, აშშ დოლარის გლობალურ

როლზე, მონეტარულ პოლიტიკასა და ფინანსურ სუვერენიტეტზე, რასაც მომდევნო თავი განიხილავს.

4. საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის მაკროეკონომიკური და გეოეკონომიკური შედეგები

საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაცია აღარ შემოიფარგლება ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებით. ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაცია გავლენას ახდენს საერთაშორისო სავალუტო სისტემაზე, მონეტარულ პოლიტიკაზე, კაპიტალის გლობალურ მოძრაობასა და გეოეკონომიკურ ძალთა ბალანსზე. შესაბამისად, თანამედროვე ციფრული ფინანსური ეკოსისტემა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების, არამედ საერთაშორისო ფინანსური წესრიგის ინსტიტუციური ტრანსფორმაციის კონტექსტში.

4.1. საერთაშორისო სავალუტო სისტემის ტრანსფორმაცია: ისტორიული კანონზომიერება თუ ახალი ეტაპი

საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ისტორია აჩვენებს, რომ მისი ტრანსფორმაცია, როგორც წესი, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოსდევს და არა უსწრებს მათ (Eichengreen, 2019). თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ციფრული ეკონომიკის, კრიპტოაქტივების, CBDC-ის, ტოკენიზაციისა და DeFi-ის განვითარება, გეოეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად, მიუთითებს საერთაშორისო ფინანსური სისტემის ინსტიტუციური ადაპტაციის ახალ ეტაპზე (International Monetary Fund [IMF], 2024; Bank for International Settlements [BIS], 2025).

თუმცა არსებული ცვლილებები ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს საერთაშორისო სავალუტო სისტემის გარდაუვალ გარდაქმნაზე ვისაუბროთ. უფრო საფუძვლიანია შეფასება, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემა გარდამავალ ფაზაში იმყოფება, რომლის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე.

4.2. აშშ დოლარის ფუნქციური ტრანსფორმაცია ციფრულ ეკონომიკაში

4.2.1. ღირებულების შენახვის ფუნქცია: კონკურენცია თუ ჩანაცვლება?

აშშ დოლარის საერთაშორისო როლი სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციის ერთობლიობით განისაზღვრება, რომლებიც განსხვავებული ტემპით ტრანსფორმირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღირებულების შენახვის ფუნქციას, რადგან სწორედ ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა ფიატ ფულის ყველაზე მკაფიო ალტერნატიული მოდელი.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ დოლარი კვლავ ფართოდ გამოიყენება ღირებულების შენახვის საშუალებად, მაღალი ინფლაციის ეპიზოდებმა, მონეტარულმა ექსპანსიამ და სახელმწიფო ვალის ზრდამ გაზარდა ისეთი აქტივების მიმართ ინტერესი, რომელთა მიწოდება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე არ არის დამოკიდებული (International Monetary Fund [IMF], 2024).

ამ კონტექსტში Bitcoin კონკურენციას უწევს აშშ დოლარს მხოლოდ ღირებულების შენახვის ფუნქციაში და არა მთლიან მონეტარულ სისტემაში. თუმცა დოლარში

ნომინირებული აქტივების მასშტაბი, ლიკვიდობა და ინსტიტუციური სანდოობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება კრიპტოაქტივების შესაძლებლობებს. შესაბამისად, ამ ეტაპზე უფრო მართებულია საუბარი კონკურენციის გაჩენაზე და არა დოლარის ამ ფუნქციის ჩანაცვლებაზე (Prasad, 2021).

4.2.2. გადახდისა და ანგარიშსწორების ფუნქცია: დოლარის ციფრული გაფართოება თუ კონკურენცია?

ციფრულმა ეკონომიკამ მნიშვნელოვნად გაზარდა სწრაფი, დაბალდანახარჯიანი და პროგრამირებადი საერთაშორისო გადახდების მოთხოვნა, რომელსაც ტრადიციული საბანკო ინფრასტრუქტურა სრულად ვეღარ აკმაყოფილებს (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ამ პირობებში განვითარდა სტეიბლკოინები, რომელთა უმრავლესობა აშშ დოლარზეა მიბმული. შედეგად, ისინი ცვლიან არა დოლარს, არამედ მისი გამოყენების ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიურ ფორმას, ზრდიან მის მოქნილობას, ტრანსსასაზღვრო ხელმისაწვდომობასა და ციფრულ მიმოქცევას (Financial Stability Board [FSB], 2023; BIS, 2025).

ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე სტეიბლკოინები უფრო მეტად წარმოადგენენ აშშ დოლარის გადახდის ფუნქციის ციფრულ გაფართოებას, ვიდრე მის კონკურენტს

4.2.3. საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია: რეალური ტრანსფორმაცია თუ სისტემური ინერცია?

საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია ფულის სხვა ეკონომიკური ფუნქციებისგან განსხვავდება მაღალი ინსტიტუციური ინერციით. მისი შენარჩუნება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე, არამედ ეკონომიკურ პოტენციალზე, ფინანსური ბაზრების სიღრმეზე, სამართლებრივ გარემოსა და საერთაშორისო ნდობაზე (Eichengreen, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში აქტიურად განიხილება დედოლარიზაცია, BRICS-ის ინიციატივები, ეროვნული ვალუტების გამოყენების გაფართოება და CBDC-ების განვითარება, აღნიშნული პროცესები ავტომატურად არ ნიშნავს აშშ დოლარის სარეზერვო სტატუსის შესუსტებას (IMF, 2024). სარეზერვო ვალუტის ტრანსფორმაცია მოითხოვს გაცილებით ფართო ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს, ვიდრე ცალკეული ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებაა.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე უფრო მართებულია საუბარი საერთაშორისო სარეზერვო სისტემის ტრანსფორმაციის წინაპირობების ფორმირებაზე, ვიდრე მისი გარდაუვალი ცვლილების შესახებ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო ფინანსური სისტემის სხვადასხვა ფუნქცია განსხვავებული მიმართულებითა და ტემპით ტრანსფორმირდება.

4.3. მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური სუვერენიტეტის ტრანსფორმაცია ციფრულ ეკონომიკა

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა ისტორიულად ეფუძნებოდა იმას, რომ ფულის ძირითადი ფუნქციები სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი მონეტარული სისტემის ფარგლებში ხორციელდებოდა. ეს უზრუნველყოფდა ცენტრალური ბანკების

შესაძლებლობას, გავლენა მოეხდინათ ფულის მიწოდებაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, ინფლაციასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. თუმცა ფინანსური ფუნქციების ციფრულმა სპეციალიზაციამ მონეტარული პოლიტიკის განხორციელება უფრო კომპლექსური გახადა (Bank for International Settlements [BIS], 2025).

ციფრული ფინანსური ეკოსისტემის განვითარებასთან ერთად ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილი კლასიკური საბანკო სისტემის ფარგლებს სცდება, რის შედეგადაც გადახდის, ფინანსური შუამავლობისა და აქტივების მიმოქცევის ფუნქციები განსხვავებულ ტექნოლოგიურ პლატფორმებზე ხორციელდება. ეს ავტომატურად არ ამცირებს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, თუმცა ზრდის მისი განხორციელების ინსტიტუციურ სირთულეს.

ამ კონტექსტში ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები (Central Bank Digital Currency – CBDC) შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური პასუხი ფინანსური სისტემის ფუნქციურ ტრანსფორმაციაზე. მათი დანიშნულება არ შემოიფარგლება ახალი გადახდის ინსტრუმენტის შექმნით; CBDC წარმოადგენს სახელმწიფო ფულის ინსტიტუტის ინსტიტუციურ ადაპტაციას იმ გარემოსთან, სადაც ფინანსური ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ციფრულ და პროგრამირებად ინფრასტრუქტურაზე გადადის (Prasad, 2021; BIS, 2025).

ამრიგად, თანამედროვე ციფრული ფინანსური სისტემის განვითარება უფრო სწორად უნდა შეფასდეს არა როგორც სახელმწიფოს მონეტარული როლის შესუსტება, არამედ როგორც მისი ინსტიტუციური ტრანსფორმაცია. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის მთავარი გამოწვევა მრავალფეროვანი ციფრული ფინანსური ინფრასტრუქტურის პირობებში მონეტარული გავლენის ეფექტიანი შენარჩუნებაა. ამასთან, ფინანსური ფუნქციების სპეციალიზაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფულის მიმოქცევის სიჩქარეზე, ფულზე მოთხოვნის სტრუქტურასა და მონეტარული ტრანსმისიის არხებზე, რაც დამატებით თეორიულ და ემპირიულ კვლევას საჭიროებს.

4.4. საქართველოს ინსტიტუციური პოზიციონირება საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში

საერთაშორისო ფინანსური სისტემის მიმდინარე ტრანსფორმაცია მცირე ღია ეკონომიკების წინაშე ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს აყენებს. თუ მსხვილი ეკონომიკებისათვის პრიორიტეტს საერთაშორისო მონეტარული გავლენის შენარჩუნება წარმოადგენს, მცირე ეკონომიკებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ახალი ფინანსური ინფრასტრუქტურისადმი დროული ინსტიტუციური ადაპტაცია. შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება მარეგულირებელი გარემოს ხარისხით, ტექნოლოგიური მზაობითა და საერთაშორისო ფინანსურ სისტემასთან ეფექტიანი ინტეგრაციის შესაძლებლობით.

საქართველოს შემთხვევაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების (Virtual Asset Service Provider – VASP) რეგულირების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და ეროვნული ბანკის ზედამხედველობის გაძლიერება, რამაც ციფრული აქტივების ბაზრის ინსტიტუციური განვითარების საფუძველი შექმნა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024). აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (Financial Stability

Board – FSB) რეკომენდაციებს და კონცეპტუალურად ახლოს დგას ევროკავშირის MiCA რეგულაციის ძირითად პრინციპებთან, რომელთა მიზანია ინოვაციების მხარდაჭერისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის დაბალანსება (FSB, 2023).

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი ფუნქციური მიდგომის ჭრილში აღნიშნული ცვლილებები შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ადაპტაცია ფინანსური ფუნქციების მიმდინარე სპეციალიზაციის პროცესთან. თუ სტეიბლკოინების გავრცელება გადახდის ინფრასტრუქტურის ტრანსფორმაციას ასახავს, ხოლო CBDC სახელმწიფოს ინსტიტუციური პასუხია ციფრული ფინანსური ეკოსისტემის განვითარებაზე, VASP-ების რეგულირება წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ციფრული აქტივების ბაზარს არსებულ ფინანსურ და საზედამხედველო სისტემაში ინტეგრირებს.

ამრიგად, საქართველოსთვის საერთაშორისო ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია უნდა შეფასდეს არა მხოლოდ როგორც მარეგულირებელი გამოწვევა, არამედ როგორც ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა. ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეძლებს იგი საერთაშორისო მარეგულირებელ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ციფრული ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების უსაფრთხო ინტეგრაციას ეროვნულ ეკონომიკაში.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია ვერ აიხსნება მხოლოდ კრიპტოაქტივების გავრცელებით ან ცალკეული ციფრული ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებით. მიმდინარე ცვლილებები წარმოადგენს ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგს, რის გამოც ციფრული ფინანსური ეკოსისტემა უნდა შეფასდეს არა როგორც ტრადიციული ფიატ სისტემის ჩანაცვლების მცდელობა, არამედ როგორც საერთაშორისო ფინანსური სისტემის ევოლუციის ახალი ეტაპი.

კვლევის მთავარი თეორიული მიგნებაა საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციური ტრანსფორმაციის განმარტებითი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე ცვლილებების საფუძველს წარმოადგენს ფინანსური ფუნქციების ეტაპობრივი დანაწილება და სპეციალიზაცია. ამ პროცესში სხვადასხვა ტიპის ციფრული აქტივები განსხვავებულ ეკონომიკურ ფუნქციებზე სპეციალიზდებიან, რაც აყალიბებს ახალი ტიპის ციფრულ ფინანსურ ეკოსისტემას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ციფრული ფინანსური აქტივები აშშ დოლარის ეკონომიკურ ფუნქციებზე ერთგვაროვან გავლენას არ ახდენენ. Bitcoin კონკურენციას უწევს დოლარს ღირებულების შენახვის ფუნქციაში, მაშინ როდესაც აშშ დოლარზე მიბმული სტეიბლკოინები აფართოებენ მის გამოყენებას საერთაშორისო გადახდებსა და ანგარიშსწორებაში. CBDC, DeFi და ტოკენიზაცია კი ასახავენ სახელმწიფოს, ფინანსური შუამავლობისა და კაპიტალის ბაზრების ინსტიტუციური ადაპტაციის სხვადასხვა

მიმართულებას. ეს ადასტურებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია ფინანსური ფუნქციების ასიმეტრიული ცვლილების სახეს ატარებს.

საქართველოს ინსტიტუციური განვითარების განხილვა მიუთითებს, რომ მცირე ღია ეკონომიკებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ეფექტიანი ინსტიტუციური ადაპტაცია, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და ციფრულ ფინანსურ ინფრასტრუქტურასთან ინტეგრაცია, რაც მომავალში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად შეიძლება იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა

Bank for International Settlements. (2025). *Annual Economic Report 2025*. Bank for International Settlements.

Eichengreen, B. (2019). *Globalizing Capital: A History of the International Monetary System* (3rd ed.). Princeton University Press.

Financial Stability Board. (2023). *High-Level Recommendations for the Regulation, Supervision and Oversight of Global Stablecoin Arrangements*. Financial Stability Board.

International Monetary Fund. (2024). *Global Financial Stability Report*. International Monetary Fund.

Mishkin, F. S. (2022). *The Economics of Money, Banking, and Financial Markets* (13th Global ed.). Pearson.

Nakamoto, S. (2008). *Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System*. https://bitcoin.org/bitcoin.pdf

Prasad, E. S. (2021). *The Future of Money: How the Digital Revolution Is Transforming Currencies and Finance*. Harvard University Press.

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2024). *ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების (VASP) საზედამხედველო ჩარჩო*. საქართველოს ეროვნული ბანკი.

International Financial System Digital Transformation: Macroeconomic, Geoeconomic, and Institutional Dimensions of Crypto Assets

Zviad Beshkenadze
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
zviad.beshkenadze@atsu.edu.ge

Summary

This study examines the economic nature of the digital transformation of the international financial system. It argues that contemporary changes should not be interpreted solely through the emergence of crypto-assets or individual financial technologies but rather as a process of functional transformation of the financial system. The research is based on a theoretical and comparative analysis of the relevant literature, international institutional reports, and recent developments in

digital finance. It proposes a functional approach according to which financial functions are gradually redistributed and specialized across different types of digital assets and technological platforms. The study analyzes the economic roles of Bitcoin, stablecoins, central bank digital currencies (CBDCs), decentralized finance (DeFi), and tokenization, and evaluates their implications for the international monetary system, the economic functions of the U.S. dollar, monetary policy, and the institutional adaptation of small open economies. The findings demonstrate that the ongoing transformation of the international financial system represents a process of functional specialization and institutional adaptation rather than a replacement of the traditional fiat monetary system. Furthermore, the paper introduces the concept of the asymmetric transformation of financial functions, arguing that different financial functions evolve at different rates and in different directions. This framework provides a more comprehensive theoretical basis for interpreting the evolution of the contemporary digital financial ecosystem and the changing architecture of the international financial system.

Keywords: international financial system; digital transformation; crypto assets; Bitcoin; Stablecoins; CBDC; decentralized finance (DeFi); tokenization; monetary policy; financial specialization.

გენდერული უთანასწორობა განვითარებად ქვეყნებში ციფრული ინდუსტრიის კონტექსტით: კონცეპტუალური ანალიზი

ეკა ლეკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
eka.lekashvili@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში გენდერული უთნასწორობის შესახებ ჩატარებული თანამედროვე მაღალრეიტინგული კვლევები და სინთეზირებულია ამ კვლევების შედეგები აღნიშნული პრობლემის კონცეპტუალური ჩარჩოს ფორმირების მიზნით; გამოვლენილია გენდერული უთანასწორობის განმსაზღვრელი ფაქტორები ციფრული ინდუსტრიის კონტექსტით, როგორებიცაა განათლება, ციფრული წიგნიერება, სოციალური და კულტურული გარემო, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, ლიდერული უნარები და სახელმწიფო პოლიტიკა. წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან გაკეთებულია დასკვნა, რომ ტექნოლოგიები გენდერულად ნეიტრალური არ არის - ქალები ხშირად უფრო მოწყვლადები არიან ავტომატიზაციისა და ციფრული ცვლილებების მიმართ. ციფრიზაციის პირობებში წარმოიშობა ხელფასისა და კარიერული უთანასწორობა, რაც ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური უნარები და ლიდერობის შესაძლებლობები მამაკაცს ხშირად უფრო მაღალი შემოსავალით უზრუნველყოფს. გენდერული უთანასწორობის დასაძლევად იზრდება უნარებისა და ტრენინგის მნიშვნელობა: განათლება, ციფრული წიგნიერება და კვალიფიკაციის ამაღლება ამ განსხვავების შემცირების საუკეთესო ინსტრუმენტია. ამასთან, არსებითია ორგანიზაციული და ეფექტიანი პოლიტიკის საკითხი როგორც ფირმის, ისე რეგიონის და ქვეყნის დონეზე.*

საკვანძო სიტყვები: *გენდერი; განვითარებადი ქვეყნები; ციფრული ინდუსტრია*

შესავალი

გენდერული თანასწორობა გადამწყვეტია ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის. ის აღიარებულია როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ღირსეული შრომის პირობების მიღწევის მიზნის და 2030 წლის მდგრადი განვითარების მთავარი მიზნის დღის წესრიგებს შორის კვეთა. ფაქტობრივად, SDG-ის მე-5 მიზანი სპეციალურად ეძღვნება გენდერული თანასწორობის მიღწევას და ქალთა და გოგონების გაძლიერებას, მაგრამ გენდერული თანასწორობა, ასევე, შედის დანარჩენ თექვსმეტ მიზანშიც.

თანამედროვე მსოფლიოში, ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ მეოთხე სამრეწველო რევოლუცია და ციფრული ეკონომიკა ეფექტიანი პასუხი იქნებოდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის. თუმცა, სამრეწველო რევოლუცია 4.0 და

ციფრულმა ეკონომიკამ, თავის მხრივ, გაართულა სოციალურ-ეკონომიკური კონფიგურაცია, მათ შორის გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

უახლესი ციფრული სამრეწველო ტექნოლოგიები დაკავშირებულია მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციასთან, რომელიც მოიცავს მოწინავე რობოტებს, სამრეწველო ინტერნეტის საგნებს, დიდ მონაცემთა ბაზების ანალიტიკას, ხელოვნურ ინტელექტს და სხვა დამატებით წარმოებებს. ყველაფერი ერთად მრეწველობაში თავს იყრის ჭკვიანი მრეწველობის ფორმაში, რომელიც უკავშირდება ჭკვიან ფაბრიკას ან ინდუსტრია 4.0-ს.

ამასთან, ინდუსტრიებში, სადაც ახალი ტექნოლოგიები ინერგება, ძველი სამუშაო ადგილები ქრება და ახალი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილები ჩნდება. შესაბამისად, თანამედროვე ინდუსტრიების ფორმირება ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებას, სამუშაო ადგილების ტრანსფორმაციას და უთანასწორობასთან ბრძოლის საჭიროებას გამოიწვევს, მათ შორის გენდერული კონტექსტით.

კვლევის მიზანია გავაანალიზოთ უახლესი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც შეისწავლის გენდერული უთანასწორობის მდგომარეობას ციფრული ინდუსტრიის ფარგლებში და ჩამოვაყალიბოთ კონცეპტუალური ჩარჩო შემდგომი ემპირიული კვლევისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შევიწავლეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია გენდერული უთანასწორობის განმსაზღვრელი ფაქტორები ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, მათ შორის განათლების, ციფრული წიგნიერების, სოციალური და კულტურული გარემოს, ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ორგანიზაციბეის ჩართულობის, ლიდერული უნარების და პოლიტიკის სახით.

კვლევა ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა. მასში გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის მეთოდები. აქცენტი კეთდება განვითარებადი ქვეყნების მაგალითებზე.

ძირითადი ნაწილი

გენდერულ უთანასწორობას მნიშვნელოვანი, მაგრამ უკუპროპორციული კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან (Sajjad et al. 2020, 158). ქალების მაღალი მსყიდველობითი უნარი ნიშნავს საშინაო ბაზრის გაფართოებას, რაც ფირმებს საშუალებას აძლევს მოემსახუროს გაზრდილ და მრავალფეროვან მოთხოვნას.

Black & Spitz-Oen (2010) კვლევენ, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიური ცვლილებები ქალთა შრომის ბაზარზე შედეგებზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიური წინსვლა სასარგებლოა ქალებისთვის, რომლებიც სპეციალიზირებულ სამუშაოებზე მუშაობენ, მაგრამ შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააგდოს რუტინულ ან საოფისე თანამდებობებზე დასაქმებულები. ხაზს უსვამს განათლებისა და უნარების შესაბამისობის მნიშვნელობაზე.

Janis, I., & Zulkipli, M. (2020) კვლევის მიხედვით, გლობალურ კონტექსტში აკადემიურ დაწესებულებებში ქალები სტუდენტების უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, გაცილებით ნაკლებად არიან ჩართულნი სამრეწველო სექტორში. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. კერძოდ, ქალებში არსებობს სტერეოტიპი, რომ მრეწველობა მაღალი საფრთხის შემცველია და სამრეწველო სექტორში არის

გარკვეული ამოცანები, რომლებსაც ქალები ხშირად ფიზიკურად ვერ დაძლევენ. თუმცა, ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიის შემოსვლა სამრეწველო სექტორში, სავარაუდოდ, გამოიწვევს ფიზიკური და მძიმე სამუშაოების შემცირებას, რაც ავტომატიზაციით და რობოტიკით მათი ჩანაცვლების გზით მოხდება. სრული ავტომატიზაციის განვითარებისა და განხორციელებისთვის საჭირო შემეცნებითი შესაძლებლობები უზარმაზარ შესაძლებლობებს უქმნის ქალებს. ამ გამოკვლევის მიზანია შეისწავლოს მრეწველობაში ქალთა დასაქმების ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT) ინდუსტრია 4.0 პირობებში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამრეწველო სექტორში ქალების დასაქმების სისუსტეები და საფრთხეები შეიძლება გადაწონოს ინდუსტრია 4.0-ის ძლიერმა მხარეებმა და შესაძლებლობებმა. SWOT ანალიზი ხელს უწყობს ინდუსტრია 4.0 პირობებში სამრეწველო სექტორში ქალთა დასაქმების უკეთ გაცნობიერებას. ნაშრომში ხაზგასმულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სუსტი პიროვნული თვისებები და გენდერული განსხვავება, მრეწველობაში ქალთა ჩართულობის მთავარი ბარიერების სახით.

European Investment Bank (2022) კვლევაც ადასტურებს ციფრულ ინდუსტრიაში გენდერული უთანასწორობას. მსოფლიოში სამუშაო ადგილების 90%-ზე მეტს უკვე აქვს ციფრული კომპონენტი და სამუშაო ადგილების უმეტესობა სულ უფრო მეტად დახვეწილ ციფრულ უნარებს მოითხოვს. ინტერნეტზე წვდომისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გამომუშავება ქალებსა და გოგონებს შესაძლებლობას მისცემს დაიწყონ ახალი ბიზნესი, გაყიდონ პროდუქცია ახალ ბაზრებზე, იპოვონ მაღალ ანაზღაურებადი სამუშაო, ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის განათლების, ჯანდაცვისა და ფინანსური მომსახურება.

მნიშვნელოვანი კვლევის შედეგები წარმოადგინა African Center for Economic Transformation (2025) გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში აღიარებს ტექნოლოგიების მრავალ სახეობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ზრდასა და ტრანსფორმაციაზე, კვლევა ადასტურებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები გამოირჩევა ყველაზე ღრმა გენდერული უთანასწორობით.

მკვლევარები თვლიან, რომ ციფრული უნარები და ინტერნეტზე წვდომა ამჟამად ნებისმიერი კაცობრიობის პროგრესის გასაღებია. შესაბამისად, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა ავლენს ციფრული ტექნოლოგიების დიდ პოტენციალს მოსახლეობაში და მოიცავს განვითარების ყველა სფეროს. ციფრული გენდერული უთანასწორობის შემცირება განვითარების განსაკუთრებით პოპულარული მიზანია. ამჟამინდელი მონაცემები აჩვენებს, რომ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქალებს ინტერნეტის გამოყენების, მობილური ტელეფონის ფლობის და ციფრული ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში მობილურ ინტერნეტს 300 მილიონზე მეტი მამაკაცი იყენებს, ვიდრე ქალები, ხოლო სმარტფონის ფლობის მაჩვენებელი მამაკაცებისთვის 20 პროცენტით მეტია, ვიდრე ქალებისთვის (GSMA 2020). - GSMA. 2020. Connected Women: The Mobile Gender Gap Report 2020. GSM Association.

აფრიკაში ციფრულ ტექნოლოგიებზე ქალების წვდომას ზღუდავს ისეთი ბარიერები, როგორიცაა: საბაზისო განათლების დაბალი დონე, რაც ციფრული წიგნიერების

საფუძველია; სოციოკულტურული ნორმები, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებს მამაკაცების წვდომას ტექნოლოგიაზე; და ეკონომიკური შეზღუდვები, რომლებიც ზღუდავს ციფრული მოწყობილობებისა და სერვისების ხელმისაწვდომობას. ციფრული გენდერული უთანასწორობა გავლენას ახდენს ქალების სამეწარმეო საქმიანობასა და ფორმალურ დასაქმებაში მონაწილეობაზე. იმის გამო, რომ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესები ხშირად დაჯგუფებულია მიკრო და არაფორმალურ სექტორებში ,მათ არ აქვთ კანონიერი უფლებები, სოციალური დაცვა და ფორმალურ ფინანსურ რესურსებზე წვდომა - ტექნოლოგიური ხარვეზები მათთვის ფართოვდება.

კვლევის შედეგების მიხედვით, STEM განათლების მხარდაჭერამ შეიძლება უზრუნველყოს კრიტიკული ბერკეტები ტექნოლოგიურ სფეროებში ქალთა შესაძლებლობების გასაზრდელად და გენდერულად მგრძნობიარე ტექნოლოგიური პოლიტიკის გასატარებლად.

Wu, Ruohan, and Xueyu Cheng (2016) კვლევა, რომელიც მრეწველობაში გენდერული თანასწორობის საკითხს ეხება, ასკვნის, რომ ჩილეში კვლავ არსებობს მკაცრი გენდერული უთანასწორობა. მაგალითად, შესწავლილი საწარმოებში დასაქმებულთა 80% მამაკაცია.

Kristal, Herzberg-Druker, & White (2024) -ის კველვა ამოწმებს როგორ მოქმედებს კომპიუტერული უნარების ცოდნაში განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის სახელფასო სხვაობაზე. შესაბამისად, გენდერ-სპეციფიკურ პრემიას იღებს მამაკაცი ტექნოლოგიური უნარების გამო, ქალთან შედარებით, ავტორები აღნიშნავენ სტრუქტურული უთანასწორობის შესახებ, რომელიც ბმაშია ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ შრომის ბაზრებთან. ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, რომ კომპიუტერზე დაფუძნებული ტექნოლოგიები დაკავშირებულია გენდერული ანაზღაურების უთანასწორობის ძველი ფორმების რეპროდუქცირებასთან, რაც განპირობებულია გენდერული პროცესებით, რომლებიც ძირითადად სტრუქტურულ დონეზე (ანუ პროფესიებში) მოქმედებს და არა ინდივიდუალურ დონეზე.

Genz & Schnabel (2023) შესწავლეს რა გავლენას ახდენს დიჯიტალიზაცია ქალსა და მამაკაცზე შრომის ბაზარზე. მათი აზრით, დიგიტალიზაცია არ არის გენდერულად ნეიტრალური, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური პროგრესის დროს გენდერული მიკერძოების თავიდან აცილება. დასაქმების ყველაზე დიდი დანაკარგები არარუტინული სამუშაოების შემსრულებელ ქალ მუშაკებზე აისახება. **ავტორები ემხრობიან გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის იმპლემენტაციას.**

Elson-ის (2025) თვალსაზრისით, გენდერულად თანასწორი ინკლუზიური ზრდა შეუძლებელია მიღწეული იქნას მხოლოდ გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე ფოკუსირებით, თუ არ განვიხილავთ მდიდრებისა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის, ასევე კაპიტალსა და შრომას შორის ძალთა დისბალანსის კონტექსტს. ავტორის აზრის, განსახილველია ზრდის ახალი მოდელები, რომლებიც შეამცირებს გენდერულ უთანასწორობას და, იმავდროულად, შეამცირებს კაპიტალისა და შრომის პროპორციას, ასევე მაღალკვალიფიციური, საშუალო და დაბალკვალიფიციური მუშახელის წილებს შორის არსებულ უთანასწორობას.

Gründler et al. (2026) კვლევის შედეგები კი არაერთგვაროვან დასკვნას გვათავაზობს კერძოდ, გლობალიზაცია ხელს უწყობს სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას

რიგ სექტორებში, თუმცა სხვა სექტორებში გენდერული უთანასწორობა შენარჩუნებულია. ავტორები ხაზს უსვამენ ინსტიტუციონალური ჩარჩოს როლს და განათლების საკითხს გენდერული შემოსავლელობის გათანაბრების საკითხში **(Gründler, Potrafke, Schmid, & Jan-Egbert (2026).**

Lemus-Delgado, D., & Cerda, C. (2025) ნაშრომი, სადაც გამოკვლეულია ASEANის ქვეყნებში STEM მიმართულებებით ქალთა ჩართულობის საკითხი. სტატიის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ არის საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ამ ამოცანაში აუცილებელი ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების ქმედებების მიღმა წარმატების მისაღწევად. ავტორთა თვალსაზრისით, აკადემიური ლიტერატურა ხშირად ადგილობრივი ან ეროვნული მთავრობების როლს განიხილავს, როგორც ყველაზე გადამწყვეტ გავლენას მამაკაცებსა და ქალებს შორის შესაძლებლობების უთანასწორობის დასაძლევად, თუმცა ამ კვლევის მიზანი როგორც გლობალური, ასევე რეგიონალური, საერთაშორისო ორგანიზაციების პოტენციური წვლილის შესწავლაა ამ საკითხში.

პრობლემატურია ქალთა თანასწორი ჩართულობის საკითხი ფირმების დონეზე, როგორც ორდინალური, ისე ლიდერის პოზიციებიდან. Bany Mohammed, Al-Omari, & Yaseen (2026) ის მიერ განხორციელებული კვლევა გვთავაზოვს ემპირიულ ხედვას ემოციური ინტელექტის, ორგანიზაციული კულტურისა და სქესის როლზე IT პროექტების წარმატებაში განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში. **აღნიშული ურთერთკავშირის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქალთა ჩართულობის ზრდას IT მიმართულებით. ავტორებმა შეისწავლეს ემოციური ინტელექტის დაა ორგანიზაციული კულტურის გავლენა საინფორმაიო ტექნოლოგიურ პროექტებზე იორდანიაში გენდერული ასპექტის ჭრილში და დაასკვნეს, რომ ლიდერებში და გადაწყვეტილების მიმღებთა სტილში არსებული გენდერული განსხვავებები გავლენას ახდენს პროექტების შედეგებზე. ისინი გვთავაზობენ პრობლემაზე მორგებულ ორგანიზაციულ პრაქტიკებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ პოზიციებზე ქალების მხარდასაჭერად.**

Högn, Mayer, Rincke, & Winkler (2026) კი გამოიკვლიეს ლიდერობაში საზოგადოებისა და კორპორატიული პრეფერენციები გენდერული მრავალფეროვნების მიმართ. კვლევის შედეგად დაადგინეს,რომ მიკერძოებები კვლავ არსებობს, მაღალი რანგის თანამდებობებზე მამაკაცი კანდიდატების უპირატესობით. ისინი ხაზს უსვამენ ქალთა წინსვლაში ფსიქოლოგიური და სტრუქტურული ბარიერების საკითხს.

Dinh, Dang, & Trinh (2025) კვლევა გენდერული საკითხის კონტექსტით იკვლევს მმართველი საბჭოს შემადგენლობის როლს ბანკის მუშაობაში ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში. დადგინდა, რომ გენდერულად მრავალფეროვანი საბჭოები დადებითად არის დაკავშირებული ინოვაციების დანერგვასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებასთან. კვლევის შედეგების საფუძველზე, ავტორები ხაზს უსვამენ ინკლუზიური მმართველობის მნიშვნელობას ინდუსტრია 4.0-ში.

გენდერთან და IT ინვესტიციებთან დაკავშირებული გავლენიანი კვლევები შეისწავლეს **Witra & Subriadi (2022). მათ გაანალიზეს გენდერის და საინფორმაციო ტექნოლოგიებში განსახორციელებელი საინვესტიციო გადაწყვეტილებებს ურთიერთკავშირი და აღმოაჩინეს, რომ ქალები უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ამ როლში, ვიდრე მამაკაცები, რაც აისახება ორგანიზაციაში ტექნოლოგიების დანერგვაზე. ავტორების აზრით, ლიდერებში და გადაწყვეტილების მიმღებებში აუცილებელია**

გენდერული დივერსიფიკაცია, რათა გაუმჯობესდეს საინვესტიციო პროექტების შედეგები და ინოვაციებისადმი მიმღებლობა იმის გათვალისწინებით, რომ IT ერთ-ერთი სფეროა, რომელსაც განვითარების სწრაფი დონე აქვს. ქალი ლიდერები უფრო ხშირად ავლენენ რისკის თავიდან არიდებისკენ მიდრეკილ ქცევას, ვიდრე მამაკაცი ლიდერები.

Alao, A., Brink, R., Simelane, S., & Abubakre, A. O. (2024) გამოიკვლიეს ინოვაციური ტექნოლოგიების გავლენა სამუშაო ადგილზე გენდერულ უთანასწორობაზე და დაადგინეს, რომ ავტომატიზაციას და ციფრულ ინსტრუმენტებს შეუძლიათ ზოგიერთი უთანასწორობის შემცირება, მაგრამ ხშირად აძლიერებენ ნაპრალს უნარებისა და წვდომის ხარვეზების გამო. კვლევის შედეგები აჩვენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკური განათლების მნიშვნელობას ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად და ურჩევს პოლიტიკის შემქმნელებს, განახორციელონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების განვითარების ინიციატივები ახალგაზრდების უმუშევრობის შესამცირებლად.

Aksoy, Özcan, & Philipp (2021) გამოიკვლიეს რობოტების გავლენა ანაზღაურებაზე ევროპაში გენდერული კონტექსტით. მკვლევარებს სურდათ ეჩვენებინა, რომ რობოტების გამოყენება ზრდის როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემოსავალს, მაგრამ ასევე ზრდის გენდერულ ანაზღაურების სხვაობას. **კვლევით დადგინდა, რომ ავტომატიზაცია არაპროპორციულად მოქმედებს ქალების მიერ დომინირებულ სამუშაო ადგილებზე, რაც აფართოებს ხელფასებში არსებულ სხვაობას.** კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ რობოტიზაციის ათი პროცენტიანი ზრდა იწვევს გენდერული ანაზღაურების სხვაობის 1.8%-ით ზრდას. **ავტორები გვთავაზობენ კვალიფიკაციის ამაღლებას და პოლიტიკურ ჩარევებს ავტომატიზაციისკენ მიდრეკილ სექტორებში ქალების დასაცავად.**

Lu, Xiao, & Wang (2023) გამოიკვლიეს, ქმნის თუ არა ციფრული ეკონომიკა ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს დადებითი „გენდერული დივიდენდი“ ქალაქად, მაგრამ შეზღუდული ეფექტია სოფლის რეგიონებში. ავტორები გვთავაზობენ ციფრული ინკლუზიურობის პოლიტიკას გენდერული სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით.

Babugura-მ (2017) განიხილა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა მწვანე ეკონომიკის ფორმირებისას. მისი თვალსაზრისით, მწვანე ეკონომიკის ხედვის რეალიზება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელია. მდგრად განვითარებაში წარმატების უზრუნველსაყოფად გულისხმობს გენდერული თანასწორობის მიღწევას ახალი მწვანე ეკონომიკის პირობებში ტრადიციული ეკონომიკისგან განსხვავებით. გენდერული კვლევები ადასტურებს, რომ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ განსხვავებული პროფესიული პერსპექტივები, გამოცდილება და ცოდნა, რაც სასარგებლოა პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის. მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა და მხარდაჭერა, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა მწვანე ეკონომიკის ფორმირებაში მდგრადი განვითარების მისაღწევად. ქალები ამ ცვლილებების აქტიური მონაწილენი უნდა გახდნენ გარემოსდაცვით და განვითარების გამოწვევებზე რეაგირების განსხვავებული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ავტორი თვლის, რომ მწვანე ეკონომიკის პირობებში გენდერული თანასწორობის ეფექტიანად მოგვარება სავარაუდოდ გამოწვევს დადებით შედეგებს, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების უკეთესი მართვა და უფრო ინკლუზიური საზოგადოების

განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად უნდა წახალისდეს სისტემატური გენდერული ანალიზი ეროვნულ დონეზე. მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგში გამოხატული გენდერული თანასწორობისადმი განახლებული ვალდებულებით, პოლიტიკის შემქმნელები უნდა ავლენდნენ მზაობას, სოციალურ და პოლიტიკურ ნებას მწვანე ეკონომიკაში უფრო ყოვლისმომცველი გენდერულად მგრძნობიარე ჩარევებისთვის. ეს ნიშნავს იმ დისკრიმინაციულ სოციალურ ნორმებსა და ტრადიციებთან დაპირისპირებას, რომლებიც ართულებს გენდერული თანასწორობის მიღწევას მწვანე ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში. ავტორის აზრით, გენდერული პოლიტიკის გატარება მოითხოვს საკითხისადმი დამოკიდებულების, ქცევისა და პრაქტიკის შეცვლას, როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოების დონეზე, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შესაძლებლობების განვითარება და გენდერული თანასწორობის მიღწევის მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება კარგი საწყისი წერტილია დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილების მყარი საფუძვლის შესაქმნელად. როგორც მამაკაცების, ასევე ქალების პასუხისმგებლობაა, ერთად იმუშაონ, როგორც პარტნიორებმა, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

დასკვნა

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტექნოლოგიები გენდერულად ნეიტრალური არ არის - ქალები ხშირად უფრო მოწყვლადები არიან ავტომატიზაციისა და ციფრული ცვლილებების მიმართ. ციფრიზაციის პირობებში წარმოიშობა ხელფასისა და კარიერული უთანასწორობა, რაც ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური უნარები და ლიდერობის შესაძლებლობები მამაკაცს ხშირად უფრო მაღალი შემოსავალით უზრუნველყოფს. გენდერული უთანასწორობის დასაძლევად იზრდება უნარებისა და ტრენინგის მნიშვნელობა: განათლება, ციფრული წიგნიერება და კვალიფიკაციის ამაღლება განსხვავების შემცირების საუკეთესო ინსტრუმენტია. ამასთან, ხაზგასასმელია ორგანიზაციული და ეფექტიანი პოლიტიკის საკითხი როგორც ფირმის, ისე რეგიონის და ქვეყნის დონეზე.

კვლევები ცხადჰყოფს, რომ მრეწველობაში ისტორიულად მამაკაცები დომინირებდნენ, თუმცა ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიებმა ქალებს შესაძლებლობა მისცა მრეწველობის დარგში ჩართვისთვის. ამ ინდუსტრიაში ქალები სპეციფიკური გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა ქალის და მამაკაცის როლების შეცვლა, საწარმოო პროცესში ჩართვისათვის ფიზიკური გამძლეობა და სექსუალური კლიშეები. ეს დასკვნები ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობისა და ქალების მხარდაჭერის საჭიროებას ციფრულ ინდუსტრიაში.

ამრიგად, ციფრულ ინდუსტრიაში გენდერული უთანასწორობის განმსაზღვრელი დეტერმინანტებია: STEM და პროფესიული განათლება, კვლევასა და განვითარებაში მონაწილეობა, ფინანსური ინკლუზიურობა, ციფრული ინკლუზიურობა, აქტივებზე და მიწაზე წვდომა, სამართლებრივი შეზღუდვები, კულტურული ნორმები, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

African Center for Economic Transformation. (2025). Uneven progress on gender equality and economic transformation. In *Gender equality and economic transformation: Lessons from Africa* (2025 African Transformation Report). http://www.jstor.org/stable/resrep68880.8

Aksoy, C. G., Özcan, B., & Philipp, J. (2021). Robots and the gender pay gap in Europe. *European Economic Review, 134,* 103693. https://doi.org/10.1016/j.euroecorev.2021.103693

Alao, A., Brink, R., Simelane, S., & Abubakre, A. O. (2024). Effects of innovative technologies on gender disparity and the future of work. *International Journal of Information and Communication Technology Education, 20*(1). https://doi.org/10.4018/IJICTE.357251

Babugura, A. (2017). *Gender equality: A cornerstone for a green economy* (Occasional Paper 269). South African Institute of International Affairs. http://www.jstor.org/stable/resrep28351

Bany Mohammed, A., Al-Omari, M., & Yaseen, H. (2026). The impact of emotional intelligence on IT projects success: Mediating role of organizational culture and moderating role of gender among IT employees in Jordan. *Journal of Modelling in Management*. Advance online publication. https://doi.org/10.1108/JM2-11-2024-0383

Black, S. E., & Spitz-Oen, A. (2010). Explaining women's success: Technological change and the skill content of women's work. *The Review of Economics and Statistics, 92*(1), 187–194. https://doi.org/10.1162/rest.2009.11761

Dinh, P. H., Dang, T. H., & Trinh, N. M. (2025). The impact of board characteristics on business performance in the 4.0 era: Empirical research from banks listed on the Vietnamese Stock Exchange. In *Proceedings of the 6th International Conference on Industry 4.0 and Smart Manufacturing* (pp. 1113–1123). *Procedia Computer Science, 253.*

ELSON, DIANE. "GENDER EQUALITY AND INCLUSIVE GROWTH." In *The Diane Elson Reader: Gender, Development and Macroeconomic Policy*, 137–52. Agenda Publishing, 2025. https://doi.org/10.2307/jj.36233888.12

European Investment Bank. "Gender Equality and Women's Economic Empowerment OVERVIEW 2022." European Investment Bank, 2022. http://www.jstor.org/stable/resrep52257

Genz, S., & Schnabel, C. (2023). Digitalization is not gender-neutral. *Economics Letters, 230,* 111256. https://doi.org/10.1016/j.econlet.2023.111256

Gründler, K., Potrafke, N., Schmid, R., & Jan-Egbert. (2026). *Globalization and gender equality*. **World Development, 197**, 107183. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2025.107183

Högn, C., Mayer, L., Rincke, J., & Winkler, E. (2026). Preferences for gender diversity in high-profile jobs. *Labour Economics, 102857*. Advance online publication. https://doi.org/10.1016/j.labeco.2026.102857

Kristal, T., Herzberg-Druker, E., & White, A. (2024). Is the wage premium on using computers at work gender-specific? *Research in Social Stratification and Mobility, 88*, 100890. https://doi.org/10.1016/j.rssm.2024.100890

Lekashvili Eka, Natsvlishvili Ia, CHALLENGES OF FEMALE START-UPS AND ENTREPRENEURSHIP (EVIDENCE FROM GEORGIA); SWS **Vienna ART 2023;** - 10th International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences (ISCSS2023) **Nov 28-Dec 1, 2023, Vienna, Austria** https://sgemvienna.org/ (ISBN 978-9963-711-96-3).

Lemus-Delgado, D., & Cerda, C. (2025). ASEAN, gender equality and women's empowerment in STEM. *Asian Education and Development Studies*. Advance online publication. https://doi.org/10.1108/AEDS-07-2024-0138

Lu, J., Xiao, Q., & Wang, T. (2023). Does the digital economy generate a gender dividend for female employment? Evidence from China. *Telecommunications Policy, 47*(6), 102545. https://doi.org/10.1016/j.telpol.2023.102545

Sajjad M., Kaleem N., Irfan Chani M., and Ahmed M. Worldwide role of women entrepreneurs in economic development. Asia Pacific Journal of Innovation and Entrepreneurship ; Vol. 14/Issue 2 ; pp. 150-160. Emerald Publishing Limited. Bingley, England. 2020 . 151-160. DOI:10.1108/APJIE-06-2019-0041

Witra, W. P. P., & Subriadi, A. P. (2022). Gender and information technology (IT) investment decision-making. In *Proceedings of the Sixth Information Systems International Conference (ISICO 2021)* (pp. 583–590). *Procedia Computer Science, 197.* https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0

Wu, R., & Cheng, X. (2016). Gender equality in the workplace: The effect of gender equality on productivity growth among the Chilean manufacturers. *The Journal of Developing Areas, 50*(1), 257–274. http://www.jstor.org/stable/24737347.

Gender Inequality in Developing Countries in context of Digital Industry: conceptual analysis

Eka Lekashvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
eka.lekashvili@tsu.ge

Summary

The paper examines contemporary high-ranking studies on gender inequality in the context of digital transformation and synthesizes the results of these studies in order to form a conceptual framework for the problem; it examines the determinants of gender inequality in the context of the digital industry, such as education, digital literacy, social and cultural environment, psychology, involvement of international organizations, leadership skills, and state policy. The analysis of the presented scientific literature concludes that technologies are not gender neutral - females are often more vulnerable to automation and digital changes. In the context of digitalization, wage and career inequality arise, which means that technological skills and leadership opportunities often provide men with higher incomes. The importance of skills and training to overcome gender inequality is growing: education, digital literacy and skills development are the best tools to reduce the gap. In addition, the issue of organizational and effective policies at the firm, regional and country levels should be emphasized.

Keywords: Gender; Developing Countries; Digital Industry

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ქართული კომპანიების სტრატეგიული პრიორიტეტი

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
khatuna.berishvili@tsu.ge

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (ბსპ) როლი და განვითარების დინამიკა ქართულ ეკონომიკურ რეალობაში. კვლევაში შეფასებულია ქართული კომპანიების ერთჯერადი ქველმოქმედებიდან გრძელვადიან, სისტემურ პასუხისმგებლობაზე გადასვლის პროცესი. თეორიულ ნაწილში სიღრმისეულად არის გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკა და მართვის თანამედროვე მოდელები. ემპირიული კვლევა ეყრდნობა საქართველოში მოქმედი 86 მსხვილი და საშუალო ორგანიზაციის კომპლექსურ შესწავლას. მათ შორის დეტალურად არის განხილული ისეთი წამყვანი ორგანიზაციების გამოცდილება, როგორებიცაა „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „საქართველოს კაპიტალი“, „ეფკომ ჯგუფი“ და „ავერსი“. კვლევის პროცესში გამოყენებულია დაინტერესებულ მხარეთა (Stakeholder) მატრიცული ანალიზისა და ინდექსური რეიტინგის მეთოდი. ანალიზმა აჩვენა მკაფიო კავშირი კომპანიის ბსპ-ს სტრატეგიულ ინტეგრაციასა და მომხმარებლის ლოიალობის ინდექსს (NPS) შორის. ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ბიზნესსექტორისა და სახელმწიფო უწყებებისათვის მდგრადი ეკოსისტემის განვითარების რეკომენდაციები.*

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, სტრატეგიული მენეჯმენტი, კორპორაციული მდგრადობა, დაინტერესებული მხარეები, ESG ინდექსი*

შესავალი

თანამედროვე ბიზნესის მართვის მოდელი ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განიცდის. კლასიკური მიდგომა, რომელიც ორგანიზაციის წარმატების ერთადერთ საზომად ფინანსურ სარგებელს მიიჩნევდა, დღეს უკვე ვეღარ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. ეკონომიკური აქტივობა მჭიდროდ არის ინტეგრირებული სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებთან. საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესისა და ასოცირების შეთანხმების ფონზე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (ბსპ) ახალ მნიშვნელობას იძენს. ქართული ორგანიზაციები თანდათან აცნობიერებენ, რომ სოციალური პროექტები იმიჯის გაუმჯობესებასთან ერთად, მათ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც პირდაპირ აისახება კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე, რისკების მართვასა და ინოვაციურ პოტენციალზე. მომხმარებლები და პარტნიორები სულ უფრო ხშირად აქცევენ ყურადღებას კომპანიის ეთიკურ ქცევას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართულ ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასება, ბსპ-ის გავლენის დადგენა ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე. ნაშრომში დეტალურად არის განხილული ადგილობრივი ბიზნესის განვითარება გლობალური და ადგილობრივი ბაზრის ახალი გამოწვევების ფონზე.

ბსპ და მისი როლი კომპანიებში: თეორიული მიმოხილვა

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიული საფუძვლები მეოცე საუკუნის შუა წლებიდან ყალიბდება. კლასიკური მიდგომით, რომელსაც მილტონ ფრიდმანი ავითარებდა, ბიზნესის ერთადერთი პასუხისმგებლობა აქციონერთა მოგების მაქსიმიზაცია იყო. მისი აზრით, სოციალურ პროექტებში ფულის ხარჯვა მესაკუთრეთა ინტერესების დარღვევას ნიშნავდა. თუმცა, დროთა განმავლობაში დაინტერესებული მხარეების (Stakeholder Theory) თეორიამ ეს ხედვა საფუძვლიანად შეცვალა. რობერტ ფრიმანის მიხედვით, კომპანია ანგარიშვალდებულია ყველას წინაშე, ვისზეც გავლენას ახდენს მისი საქმიანობა. ეს სუბიექტებია:

- თანამშრომლები და მათი სამუშაო გარემო;
- მომხმარებლები და მათთვის მიწოდებული ხარისხი;
- მომწოდებლები და ბიზნესპარტნიორები;
- ადგილობრივი გარემო, სადაც ბიზნესი ოპერირებს.

არჩი ქეროლის მიერ შემოთავაზებული ბსპ-ის პირამიდა სტრუქტურულად ყოფს პასუხისმგებლობის ოთხ დონეს. ესენია: ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და ფილანთროპიული დონეები. თანამედროვე ბიზნესგარემო ამ დონეების კომპლექსურ და ინტეგრირებულ მართვას ეფუძნება. კომპანიამ უნდა შეძლოს ეკონომიკური მოგების მიღება ისე, რომ არ დაარღვიოს სამართლებრივი და ეთიკური ნორმები. (Caroll,1991). მაიკლ პორტერისა და მარკ კრამერის მიერ ჩამოყალიბებული "საერთო ღირებულების შექმნის" (Creating Shared Value) კონცეფცია, ბსპ-ს ბიზნესის სტრატეგიულ მიდგომებთან აიგივებს. კომპანიების წარმატება საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მასთან ერთობლივი განვითარებით მიიღწევა. სოციალური პრობლემების მოგვარება უნდა გახდეს ახალი ბიზნესშესაძლებლობების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის წყარო. შესაბამისად, ბსპ-ის როლი ორგანიზაციაში მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის გრძელვადიანი თანხვედრა. (**Porter., Kramer 2011).**

ბსპ-ს მართვის საერთაშორისო გამოცდილება

გლობალურ ბაზარზე ბსპ-ს მართვა რეგულირდება საერთაშორისო სტანდარტებით. მათ შორის ყველაზე ცნობილია ISO 26000 და გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI). განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ESG (Environmental, Social, Governance) რეიტინგებთან. საერთაშორისო ინვესტორები კაპიტალის დაბანდებისას სულ უფრო ხშირად ანიჭებენ უპირატესობას მაღალი რეიტინგის მქონე სუბიექტებს. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). ეს დოკუმენტაცია მსხვილ კომპანიებს ავალდებულებს რეგულარულად წარადგინონ საჯარო ანგარიშები გარემოზე ზემოქმედებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. ევროპული მიდგომა ძირითადად ორიენტირებულია მწვანე ეკონომიკის განვითარებასა და ნახშირბადის ნეიტრალიტეტის მიღწევაზე. აშშ-ის პრაქტიკაში აქცენტი კეთდება სოციალურ ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ ლიდერობაზე. ტექნოლოგიური გიგანტები, როგორიცაა Google და Microsoft, მილიარდობით დოლარის ინვესტიციას ახორციელებენ განახლებად ენერგიასა და ციფრული განათლების ხელმისაწვდომობაში. აზიურ და განვითარებად ბაზრებზე ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ხშირად თავად აფინანსებს იმ ინფრასტრუქტურას, რომელსაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს. საერთაშორისო გამოცდილებით, წარმატებულ სახელმწიფოებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

ბსპ-ს მდგომარეობა ქართულ კომპანიებში

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს. საბჭოთა პერიოდის შემდგომმა ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ

ჩამოაყალიბა მიდგომა, სადაც ბიზნესი სოციალურ აქტივობას მხოლოდ სპონტანურ ქველმოქმედებად აღიქვამდა. ეკლესიის შემოწირულობები, სტიქიური უბედურებების დროს დახმარება ან სოციალურად დაუცველი ჯგუფების ერთჯერადი დაფინანსება შეადგენდა ქართული ბსპ-ის მთავარ შინაარსს. ბოლო პერიოდში ვითარება მნიშვნელოვნად იცვლება, რაც მკაფიოდ ჩანს სხვადასხვა სექტორის წამყვანი ქართული და საერთაშორისო კომპანიების მაგალითზე. ასე მაგალითად, საბანკო სექტორში „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“ ქართულ ბაზარზე ბსპ-ის სტანდარტების დანერგვას უზრუნველყოფენ. „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ განთავსებულნი არიან ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LSE), რაც მათ მკაცრი ESG სტანდარტების მიხედვით ანგარიშგების წარმოებას ავალდებულებს.

- „თიბისი ბანკი“ აქცენტს აკეთებს განათლების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.
- „საქართველოს ბანკი“ მასშტაბურ ინვესტიციებს ახორციელებს რეგიონების საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მათ შორის STEM (Science, Technology, Engineering Mathematics) განათლების ხელშეწყობასა და სკოლებში "იდეათეკების" მოწყობაში.
- „ლიბერთი ბანკი“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალურ პასუხისმგებლობას უფროსი თაობის (პენსიონერების) ფინანსური და ციფრული წიგნიერების ამაღლებისკენ მიმართავს და აქტიურად უჭერს მხარს სოციალური მეწარმეობის განვითარებას.

ენერგეტიკულ სექტორში „საქართველოს კაპიტალი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“ ახორციელებენ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სისტემურ მართვას მსხვილ ინდუსტრიებში.

- „საქართველოს კაპიტალი“ (Georgia Capital) ახორციელებს ბსპ-ის კონტროლს თავის პორტფელურ საწარმოებში. ეს მოიცავს ნარჩენების ეფექტურ მართვას, შრომის უსაფრთხოების მკაცრ მონიტორინგსა და ენერგოეფექტურობის გაზრდას წარმოებაში.
- „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფოკუსირებულია რეგიონული ტექნიკური განათლების ხელშეწყობაზე. კომპანია აფინანსებს სტუდენტებს ენერგეტიკის მიმართულებით და ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე ეკოსისტემების დაცვის პროექტებს.

კომუნიკაციების სექტორში: „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ბსპ-ს განვითარებას. ასე მაგალითად:

- „სილქნეტი“ აქტიურად უჭერს მხარს ქართული სპორტის (განსაკუთრებით სათხილამურო ფედერაციის) განვითარებას, ციფრულ განათლებას და ეროვნული კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას (მაგალითად, წინანდლის ფესტივალის მხარდაჭერა).
- „მაგთიკომი“ ტრადიციულად გამოირჩევა ქართული კულტურის, წიგნიერებისა და საგამომცემლო საქმიანობის მხარდაჭერით, ასევე რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაფართოებით, რაც ამცირებს ციფრულ უთანასწორობას.

ბსპ-ს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა წარმოებისა და მომსახურების სფეროშიც. ასე მაგალითად:

- „ეფკომ ჯგუფი“ და საცალო ვაჭრობის სხვა მსხვილი წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად უარს ამბობენ პლასტიკის გამოყენებაზე და გადადიან ბიოდეგრადირებად შეფუთვაზე, რითაც ამცირებენ ნარჩენების რაოდენობას.

- „ავერსი“ და „პსპ“ (PSP) აქტიურად ახორციელებენ სოციალურ პროექტებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც მოიცავს უფასო სამედიცინო შემოწმებებს რეგიონებში და მედიკამენტების შეღავათიან ფასებში მიწოდებას მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- „თეგეტა მოტორსი“ ავითარებს "მწვანე ბიზნესის" კონცეფციას, რაც გულისხმობს მეორადი საბურავებისა და ზეთების გადამუშავების ხელშეწყობას, ასევე ზრუნავს ავტოინდუსტრიაში ქალთა დასაქმებისა და პროფესიული განათლების მხარდაჭერაზე.
- „ეფეს საქართველო“ (ლუდი ნატახტარი) ერთ-ერთი პიონერია კორპორაციული მდგრადობის კუთხით. კომპანიას აქვს მრავალწლიანი „ნატახტრის ფონდი“, რომელიც ზრუნავს მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე და მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ამზადებს. გარდა ამისა, მათ დანერგეს წყლის მეორადი მოხმარების უახლესი გამწმენდი ნაგებობები.

მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, მცირე და საშუალო ბიზნესში ბსპ კვლავ დაბალ პრიორიტეტად რჩება. კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია ცალკე ბიუჯეტი ან სპეციალიზებული მენეჯერი ამ მიმართულებით. სტრატეგიული ხედვის დეფიციტი იწვევს იმას, რომ სოციალური პროექტები ხშირად მოწყვეტილია კომპანიის ძირითად ბიზნესპროფილს.

ემპირიული კვლევა და მატრიცული ანალიზი

ქართულ ბაზარზე ბსპ-ს რეალური გავლენის შესასწავლად ჩატარდა კომპლექსური ემპირიული კვლევა, რომელიც ეყრდნობა დაინტერესებულ მხარეთა (Stakeholder) მატრიცულ ანალიზსა და კორპორაციული მდგრადობის ინდექსურ მეთოდს. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოში მოქმედ 86 მსხვილი და საშუალო კომპანია. კომპანიების დიფერენცირებისა და ვალიდურობისათვის, პირველ ეტაპზე შემუშავდა სტრატეგიული ბსპ-ის ინტეგრაციის მატრიცა. კომპანიები შეფასდნენ 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: მუდმივი ბიუჯეტი, სპეციალიზებული მენეჯმენტი, ESG პრინციპების არსებობა და ანგარიშგების საჯაროობა. თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭა ქულა 1-დან 3-მდე (1 = სუსტი/არ არის, 2 = ნაწილობრივი, 3 = სრულად ინტეგრირებული).

ცხრილი 1: სტრატეგიული ბსპ- ის ინტეგრაციის მატრიცა კრიტერიუმების მიხედვით

CSR ინტეგრაციის დონე	მუდმივი ბიუჯეტი ბსპ-სთვის	სპეციალიზებული მენეჯმენტი	ESGპრინციპების არსებობა	ანგარიშგების საჯაროობა (GRI)	კომპანიების რაოდენობა	რეალური მაგალითები ქართულ ბაზარზე
დაბალი დონე (ქულები: 4-6)	1 (სპონტანური)	1 (არ ჰყავს)	1 (არ არსებობს)	1 (არ ქვეყნდება)	50	„ორი ნაბიჯი“, „სპარი“, ,,კალათა'', ,,ზღაპარი'' „ინსgroup“, „ორბი ჯგუფი“ და 44 სხვა ადგილობრივი ფირმა.

საშუალო დონე (ქულები: 7-10)	3 (ფიქსირებული)	2 (მარკეტინგი/ PR)	2 (ნაწილობრივი)	1-2 (პიარ ანგარიში)	20	„ავერსი“, „პსპ“, „ბარამბო“, „თეგეტა მოტორსი“, „ნატახტარი“და 15 სხვა ბრენდი.
მაღალი დონე (ქულები: 11-12)	3 (სტრატეგიული)	3 (ცალკე დეპარტ.)	3 (სრული ESG)	3 (საერთაშ. აუდიტი)	16	„თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „საქართველოს კაპიტალი“, „სილქნეტი“და 12სხვა ლიდერი.

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ UN Global Compact Network Georgia-ს ინდიკატორებისა და საწარმოთა პორტალის (reportal.ge) მონაცემებზე დაყრდნობით.

ამ მატრიცული კლასიფიკაციის შემდეგ, კვლევამ აჩვენა, თუ როგორ აისახება მატრიცაში მიღებული ქულები მომხმარებლის ლოიალობის გლობალურ ინდექსზე (NPS - Net Promoter Score) და შიდა საოპერაციო გარემოზე (კადრების დენადობა):

დაბალი ბსპ დონის მქონე ჯგუფი (50 ორგანიზაცია): მატრიცაში დაგროვილი მინიმალური ქულების (4-6) შესაბამისად, ამ ჯგუფის კომპანიებში ბსპ არ არის ინტეგრირებული ყოველდღიურ ბიზნესსტრატეგიაში. მომხმარებელთა ლოიალობის საშუალო ინდექსი (NPS) 15%-ს შეადგენს, ხოლო კადრების დენადობის წლიური მაჩვენებელი მაღალია და 24%-ს აღწევს.

საშუალო ბსპ დონის მქონე ჯგუფი (20 ორგანიზაცია): მატრიცაში საშუალო ქულების (7-10) მქონე კომპანიებია, სადაც პროექტები ხშირად მარკეტინგულ ან პიარ-ხასიათს ატარებს. მომხმარებელთა ლოიალობის საშუალო ინდექსი (NPS) შეადგენს 32%-ს, ხოლო კადრების დენადობა 14%-ის ფარგლებში მერყეობს.

მაღალი ბსპ დონის მქონე ჯგუფი (16 ორგანიზაცია): მატრიცაში უმაღლესი ქულების (11-12) მქონე სუბიექტები. მათი მდგრადი განვითარების პოლიტიკა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მომხმარებელთა ლოიალობის საშუალო ინდექსი (NPS) უმაღლეს ნიშნულს, 58%-ს აღწევს, ხოლო კადრების დენადობის წლიური მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და შეადგენს მხოლოდ 7%-ს.

მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ იმ ქართულ კომპანიებში, სადაც CSR სტრატეგიულ დონეზეა აყვანილი, მომხმარებელთა ნდობა და ლოიალობა თითქმის ორჯერ მეტია საშუალო დონესთან შედარებით. გარდა ამისა, მკაფიო კავშირი გამოიკვეთა პერსონალის დენადობის თავიდან აცილების კუთხით. მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი გაცილებით მიმზიდველია კვალიფიციური სპეციალისტებისთვის. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად ზოგავს ახალი თანამშრომლების მოძიებისა და მომზადების ხარჯებს, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან

სტაბილურობას. ამასთანავე, ეკო-მეგობრული ინოვაციები (მაგალითად, ნარჩენების მინიმიზაცია საცალო ვაჭრობაში) საოპერაციო დანახარჯებსაც ამცირებს.

დასკვნა

ქართული ბიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოკლევადიანი ფინანსური მიზნებიდან გრძელვადიან მდგრადობაზე გადასვლა. ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთჯერადი ქველმოქმედება არ არის, მას კომპანიების სტაბილური განვითარებისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ანალიზი ადასტურებს, რომ ბსპ-ის გათვალისწინება კორპორაციულ საქმიანობაში პირდაპირ უკავშირდება მომხმარებელთა ნდობის ზრდასა და პერსონალის შენარჩუნებას. შესაბამისად, ორგანიზაციულ მართვაში სოციალური პროგრამები განხილული უნდა იყოს, როგორც გრძელვადიანი განვითარების საფუძველი. საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება და საერთაშორისო ფინანსებთან წვდომა არის ის ძირითადი უპირატესობები, რასაც ეს მიდგომა სთავაზობს ქართულ ბიზნესს. საბოლოო ჯამში, ბსპ-ის, როგორც ძირითადი მიმართულების აღიარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი კომპანიების ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში, რაც ქვეყნის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიშვილი ხ. (2025). საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ბერიშვილი ხ. (2020). სოციალური პასუხისმგებლობა და კომპანიის გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი. (2023). კვლევა: CSR-ის პრაქტიკა ქართულ კომპანიებში. თბილისი.

ევროკომისია. (2020). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო პრინციპები ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. თბილისი.

თიბისი ბანკი. (2025). მდგრადი განვითარების ყოველწლიური ანგარიშგება (ESG Report 2024). თბილისი. Retrieved from tbcbankgroup.com.

საქართველოს ბანკის ჯგუფი. (2025). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ანგარიში. თბილისი. Retrieved from bankofgeorgiagroup.com.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. (2024). საქართველოს საწარმოთა პორტალი (reportal.ge) – მსხვილი და საშუალო საწარმოების მმართველობის ანგარიშგებები.

Berishvili Kh. (2017). Contradictory character of the process of liberalization and integration of economic relations and influence of this process on the countries with small economy. 6th Business & Management Conference, Geneva.

Berishvili Kh. (2025). The Influence of Relativism and Universalism on the Formation of Ethical Standards. Proceedings of the 8th International Scientific Conference «Interdisciplinary Science Studies», Dublin, Ireland, 174p.

Bowen, H. R. (1953). Social Responsibilities of the Businessman. New York: Harper & Row.

1Shengelia T., & Berishvili Kh. (2025). Innovative Business in Georgia: Problems and Prospects. The New Economist.

Freeman, R. E. (1984). Strategic Management: A Stakeholder Approach. Boston: Pitman.

Carroll, A. B. (1991). The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders. Business Horizons, 34(4), 39-48.
Porter, M. E., & Kramer, M. R. (2011). Creating Shared Value. Harvard Business Review, 89(1/2), 62-77.

Corporate Social Responsibility as a Strategic Priority for Georgian Companies

Khatuna Berishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
khatuna.berishvili@tsu.ge

Summary

This paper explores the role and developmental dynamics of Corporate Social Responsibility (CSR) within the Georgian economic context. The study evaluates the transition of Georgian companies from sporadic, one-off philanthropic activities toward long-term, systemic responsibility. The theoretical framework provides an in-depth analysis of international best practices and contemporary management models. The empirical research is based on a comprehensive study of 86 large and medium-sized organizations operating in Georgia. Among them, the experiences of such leading entities as TBC Bank, Bank of Georgia, Georgia Capital, Efco Group, and Aversi are examined in detail. The research methodology employs stakeholder matrix analysis and index rating methods. The analysis reveals a distinct correlation between the strategic integration of CSR and the Customer Loyalty Index. At the current stage of Georgian business development, shifting focus from short-term financial objectives to long-term sustainability is becoming increasingly critical. The empirical findings demonstrate that CSR is not merely a transient charitable endeavor; rather, it holds practical significance for the stable development of companies. The analysis confirms that integrating CSR into corporate operations directly correlates with enhanced customer trust and increased employee retention. Consequently, social programs within organizational management must be leveraged as a cornerstone for long-term growth. Securing public trust and gaining access to international finance constitute the primary advantages that this approach offers to Georgian businesses. Ultimately, adopting CSR as a core strategic direction will facilitate the integration of local enterprises into the global economic space, thereby ensuring the country's sustainable socio-economic development.

Keywords: Corporate Social Responsibility (CSR), Strategic Management, Corporate Sustainability, Stakeholders, ESG Index

ეკონომიკა და ხელოვნური ინტელექტი: გამოწვევები, შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივები

ნონა კუხიანიძე
ასისტენტ პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nona.kukhianidze@atsu.edu.ge

თამილა აბულაძე
მოწვეული სპეციალისტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Tamila.abuladze@atsu.edu.ge

ინგა რამიშვილი
მოწვეული სპეციალისტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Inga.ramishvili@atsu.edu.ge

ანოტაცია. *თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეტაპზე იმყოფება, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ხელოვნურ ინტელექტს (Artificial Intelligence – AI). ხელოვნური ინტელექტის სისტემები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ფინანსებში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, განათლებაში, ჯანდაცვასა და სახელმწიფო მმართველობაში. აღნიშნული ტექნოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური პროცესების ეფექტიანობაზე, პროდუქტიულობის ზრდაზე, ინოვაციური საქმიანობის გაფართოებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. სტატიის მიზანია ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკური მნიშვნელობის, მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებების, ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების, შრომითი ბაზრის ტრანსფორმაციისა და თანამედროვე გამოწვევების ანალიზი. კვლევაში განხილულია AI-ის გავლენა როგორც მიკროეკონომიკურ, ასევე მაკროეკონომიკურ პროცესებზე.* განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ეკონომიკის ფორმირების პროცესს, ბიზნესპროცესების ავტომატიზაციას, მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობებსა და გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი დანერგვა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, ინოვაციების განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. ამავდროულად, საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი, ეთიკური და ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება, რათა ტექნოლოგიურმა პროგრესმა *მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას და მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო სოციალური და ეკონომიკური რისკები.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკა, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ეკონომიკა, ინოვაციები, შრომითი ბაზარი, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ზრდა, ავტომატიზაცია.*

შესავალი

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკა განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა ხელოვნური ინტელექტი. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ეკონომიკური საქმიანობა სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ისეთ ტექნოლოგიურ სისტემას, რომელსაც შეუძლია ადამიანისთვის დამახასიათებელი ინტელექტუალური ფუნქციების შესრულება, მათ შორის სწავლა, ანალიზი, პროგნოზირება და გადაწყვეტილებების მიღება.

გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ორგანიზაციები ცდილობენ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები ეფექტიანობის ზრდის, ხარჯების შემცირებისა და ინოვაციური განვითარების მიზნით. AI-ის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, როდესაც მონაცემთა დიდი მასივების (Big Data), ღრუბლოვანი ტექნოლოგიებისა და გამოთვლითი სიმძლავრეების განვითარებამ შექმნა ახალი შესაძლებლობები მისი პრაქტიკული გამოყენებისთვის.

1. ხელოვნური ინტელექტის თეორიული საფუძვლები და ეკონომიკური არსი

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი სისტემების შექმნას, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის გონებრივი საქმიანობის იმიტაცია. ეკონომიკური თვალსაზრისით, AI შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოების ახალი ფაქტორი, რომელიც შრომისა და კაპიტალის გვერდით მნიშვნელოვან როლს იკავებს ეკონომიკური ღირებულების შექმნის პროცესში.

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება:

- ბიზნესპროცესების ავტომატიზაციისთვის;
- ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირებისთვის;
- ფინანსური რისკების შეფასებისთვის;
- მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად;
- ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციისთვის;
- რესურსების ეფექტიანი განაწილებისთვის.

AI-ის გამოყენება ხელს უწყობს ორგანიზაციების კონკურენტული უპირატესობის ზრდას და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

2. ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკური ზრდა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე რამდენიმე მიმართულებით.

AI საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შეასრულონ სხვადასხვა ოპერაცია. ავტომატიზაციის შედეგად იზრდება შრომის პროდუქტიულობა და მცირდება დროის დანაკარგები.

ხელოვნური ინტელექტი ქმნის ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარების შესაძლებლობას. ინოვაციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

AI ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას, რაც დამატებით ეკონომიკურ აქტივობას წარმოშობს.

ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ნერგავენ ხელოვნურ ინტელექტს, უფრო კონკურენტუნარიანები ხდებიან საერთაშორისო ბაზარზე.

3. **ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკის ძირითად სექტორებში**

ფინანსურ ინსტიტუტებში AI გამოიყენება:

- საკრედიტო რისკების ანალიზისთვის;
- თაღლითობის გამოვლენისთვის;
- საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ფინანსური პროგნოზირებისათვის.

ბანკები და სადაზღვევო კომპანიები აქტიურად იყენებენ მანქანურ სწავლებას მომხმარებელთა საჭიროებების განსაზღვრისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდუსტრია 4.0-ის პირობებში AI უზრუნველყოფს:

- საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას;
- დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგს;
- პროდუქციის ხარისხის კონტროლს;
- ენერგორესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

ხელოვნური ინტელექტი საშუალებას აძლევს კომპანიებს უკეთ შეისწავლონ მომხმარებელთა ქცევა, განსაზღვრონ მოთხოვნის ტენდენციები და შექმნან პერსონალიზებული შეთავაზებები.

AI-ის გამოყენება სოფლის მეურნეობაში ხელს უწყობს:

- მოსავლიანობის ზრდას;
- წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
- დაავადებების დროულ გამოვლენას;
- აგრარული წარმოების ოპტიმიზაციას.

4. **ხელოვნური ინტელექტი და შრომითი ბაზრის ტრანსფორმაცია**

ხელოვნური ინტელექტის განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ბაზრის სტრუქტურას. ავტომატიზაციის შედეგად მცირდება მოთხოვნა ზოგიერთი ტიპის სამუშაო ძალაზე, თუმცა პარალელურად იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე.

მომავლის პროფესიათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება:

- მონაცემთა ანალიტიკოსებს;
- AI სპეციალისტებს;
- პროგრამისტებს;
- კიბერუსაფრთხოების ექსპერტებს;
- ციფრული ტექნოლოგიების მენეჯერებს.

ამ პროცესების გათვალისწინებით აუცილებელია განათლების სისტემის მოდერნიზაცია და ციფრული უნარების განვითარება.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი გამოწვევები

- ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და სამართლიანობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

- AI სისტემების ფუნქციონირება დამოკიდებულია მონაცემებზე, რაც ზრდის კიბერშეტევების რისკს.
- ტექნოლოგიური პროგრესი შესაძლოა გახდეს შემოსავლების დიფერენციაციის ზრდის მიზეზი.
- აუცილებელია საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების შემუშავება AI-ის უსაფრთხო გამოყენებისთვის.

საქართველოს ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ხელოვნურ ინტელექტს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს. განსაკუთრებით პერსპექტიულია მისი გამოყენება:

- საჯარო მმართველობაში;
- განათლების სფეროში;
- ტურიზმში;
- სოფლის მეურნეობაში;
- საბანკო სექტორში.

ქვეყანაში AI ტექნოლოგიების ეფექტიანი დანერგვა ხელს შეუწყობს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. მისი გავლენა ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროზე და ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს პროდუქტიულობის ზრდის, ინოვაციების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. მიუხედავად ამისა, AI-ის ფართომასშტაბიანი დანერგვა დაკავშირებულია რიგ გამოწვევებთან, მათ შორის დასაქმების, ეთიკის, კიბერუსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეგულირების საკითხებთან.

მომავალში ქვეყნების ეკონომიკური წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მათ უნარზე, ეფექტიანად გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და უზრუნველყონ ტექნოლოგიური პროგრესის ჰარმონიული ინტეგრაცია ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებში. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

Russell, S., & Norvig, P. (2021). *Artificial Intelligence: A Modern Approach*. Pearson.
OECD (2024). *Artificial Intelligence and the Future of Work*.
World Economic Forum (2025). *Future of Jobs Report*.
European Commission (2024). *Artificial Intelligence and Digital Economy Report*.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2023). საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია 2023–2030.
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). (2024). ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების წლიური ანგარიში.

ღვალაძე, გ. (2022). „ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე“. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №4, გვ. 45–58.

Economy and Artificial Intelligence: Challenges, Opportunities, and Development Prospects

NonaKukhianidze
Assistant Professor
Akaki Tsereteli State University
Nona.kukhianidze@atsu.edu.ge

Tamila Abuladze
Invited Specialist
Akaki Tsereteli State University
Tamila.abuladze@atsu.edu.ge

Inga Ramishvili
Invited Specialist
Akaki Tsereteli State University
Inga.ramishvili@atsu.edu.ge

Summary

The modern global economy is undergoing a period of rapid technological development, in which Artificial Intelligence (AI) occupies a particularly significant place. AI systems are increasingly being applied across various sectors of the economy, including finance, industry, trade, education, healthcare, and public administration. This technology has a substantial impact on the efficiency of economic processes, productivity growth, the expansion of innovative activities, and the enhancement of competitiveness. The purpose of this article is to analyze the economic significance of artificial intelligence, its main areas of application, its impact on economic growth, the transformation of the labor market, and contemporary challenges. The study examines the influence of AI on both microeconomic and macroeconomic processes. Particular attention is paid to the development of the digital economy, the automation of business processes, data analysis capabilities, and modern decision-making systems. The findings of the study demonstrate that the effective implementation of artificial intelligence is an important prerequisite for economic growth, innovation development, and the improvement of social welfare. At the same time, the development of appropriate legal, ethical, and institutional mechanisms is necessary to ensure that technological progress delivers maximum benefits to society while minimizing potential social and economic risks.

Keywords: Economy, Artificial Intelligence, Digital Economy, Innovation, Labor Market, Technological Progress, Economic Growth, Automation.

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის განვითარების გზები

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიეთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
vakhtangburduli@gmail.com

ანოტაცია. სტატიაში განიხილება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გაგება, განხილულია გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის სამი ბლოკი და ორი სცენარი, საქართველოს ეკონომიკის ჩართულობის ხარისხი პირობითად დასავლურ, აღმოსავლურ და ნეიტრალურ ბლოკებში. *შემდეგ ნაშრომში შემოთავაზებული და დასაბუთებულია ენერგეტიკის სექტორისა და დამამუშავებელი მრეწველობის რიგი სექტორების უახლოესი განვითარების სტრატეგია.*

საკვანძო სიტყვები: *გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, ეკონომიკის სექტორები, განვითარება*

შესავალი

სტატიაში განიხილება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გაგება, განხილულია გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის სამი ბლოკი და ორი სცენარი, საქართველოს ეკონომიკის ჩართულობის ხარისხი პირობითად დასავლურ, აღმოსავლურ და ნეიტრალურ ბლოკებში. საქართველოს ეკონომიკის გარკვეული სექტორების შემდგომი განვითარებისთვის შემოთავაზებულია შემდეგი მიმართულებები: ელექტროენერგეტიკაში, უახლოეს მომავალში ჰიდროელექტროსადგურების, ქარის და მზის ელექტროსადგურების, როგორც მწვანე ეკონომიკის ობიექტების მშენებლობა, ელექტროტექნიკური ტექნოლოგიების განვითარება; მწვანე ეკონომიკის ხაზით სხვა ტექნოლოგიების განვითარება (მეტალურგიასა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება (ციფრული ტექნოლოგიები); მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება.

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციების გაგება

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია არის ერთიანი გლობალური სისტემის შედარებით იზოლირებულ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკებად დაშლის პროცესი. მსოფლიო გლობალიზაციიდან პროტექციონიზმისკენ, დახურული სავაჭრო ზონების შექმნისკენ, სანქციების გამკაცრებისა და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვების რღვევისკენ გადადის. (Геополитическая … A).

ეს პროცესი რამდენიმე ძირითად სფეროზე ახდენს გავლენას:

ეკონომიკა (გეოეკონომიკა): თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აფიქსირებს სავაჭრო ბარიერების ზრდას და ფრაგმენტაციის გაძლიერებას, როდესაც ქვეყნები უპირატესად ვაჭრობენ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ბანაკის ქვეყნებთან.

ტექნოლოგიები: დამოუკიდებელ ტექნოლოგიურ „ეკოსისტემებად" დაყოფა (მაგ., სხვადასხვა საკომუნიკაციო სტანდარტები, აპარატურის ან პროგრამული უზრუნველყოფის თავსებადობის დაკარგვა), რასაც ხშირად „ციფრულ რკინის ფარდას" უწოდებენ.

ფინანსები: ბლოკებს შორის ანგარიშსწორებისთვის ერთიანი გლობალური ვალუტის გამოყენებისგან თავის შეკავება, ალტერნატიული გადახდის სისტემების შექმნა და კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვა. (Геополитическая … А).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია არის ერთიანი გლობალური ეკონომიკის კონკურენტ რეგიონულ ბლოკებად ან იზოლირებულ ზონებად დაშლის პროცესი. ის პოლიტიკური მოტივებით არის განპირობებული და ქვეყნებს შორის ვაჭრობის, ინვესტიციების და ტექნოლოგიების ნაკადების მოძრაობის შეზღუდვებში ვლინდება. (Геоэкономическая …).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი გავლენას ახდენს რამდენიმე საკვანძო სფეროზე:

სავაჭრო შეზღუდვები: პროტექციონისტული ბარიერების, ტარიფებისა და ემბარგოების ზრდა.

მომარაგების ჯაჭვების დარღვევა: *friend-shoring-ის* პოლიტიკა (წარმოების გადატანა მოკავშირე ქვეყნებში) და სახელმწიფოების მისწრაფება ტექნოლოგიური და საწარმოო ავტარკიისკენ (თვითკმარობისკენ).

ფინანსური იზოლაცია: პარალელური გადახდის სისტემების შექმნა, ვალუტებზე წვდომის შეზღუდვა და კაპიტალის ბაზრების გამიჯვნა. (Геоэкономическая …).

ძირითადი შედეგები:

ზრდის შენელება: გლობალური მშპ-ს შემცირება საერთაშორისო სპეციალიზაციით მიღებული უპირატესობების დაკარგვის გამო.

საფრთხე სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის: აუცილებელი საქონლის ტრადიციული მიწოდების მარშრუტების დარღვევა.

ხარჯების ზრდა: ინფლაციის ზრდა და საბოლოო მომხმარებლისთვის საქონლის ფასების ზრდა. (Геоэкономическая …).

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, გლობალური ეკონომიკა სულ უფრო ინტეგრირებული ხდებოდა. ამ ინტეგრაციამ, გამარტივებული ლოგისტიკის, შემცირებული სავაჭრო ბარიერების და გაზრდილი ტექნოლოგიების გადაცემის წყალობით, ხელი შეუწყო ქვეყნებში მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ზრდას. ბოლო წლების მოვლენებმა - აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ომმა, მსოფლიოში სავაჭრო შეზღუდვების მკვეთრმა ზრდამ, რასაც დაემატა პანდემიის საწინააღმდეგო შეზღუდვები და უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა - ეს პროცესი შემოაბრუნეს. (Геополитическая ... три блока).

მომხდარი ყველას მოუტანს შედეგს, თუმცა ის განსხვავებული იქნება სამი გეოპოლიტიკური ბანაკისთვის, რომლებზეც ამჟამად მსოფლიოა დაყოფილი, როგორც ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტმა დავიდე ფურჩერიმ და მისმა კოლეგებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და ესპანეთის ბანკიდან აჩვენეს. მკვლევარებმა ნიმუშის ქვეყნები სამ ბლოკად დაყვეს იმის მიხედვით, თუ როგორ მისცეს ხმა მათმა წარმომადგენლებმა 2022 წლის 7 აპრილს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიღებისას, რომელიც ეხებოდა რუსეთის მონაწილეობის შეჩერებას გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში (რეზოლუციას მხარი დაუჭირა 93-მა სახელმწიფომ, წინააღმდეგ მისცა ხმა 24-მა, მათ შორის რუსეთმა, ხოლო კიდევ 58-მა ქვეყანამ თავი შეიკავა). პირველნი წარმოადგენენ პირობით დასავლურ ბლოკს, მეორენი - აღმოსავლეთის ბლოკს, ხოლო მესამენი - ნეიტრალურ ბლოკს. (Геополитическая ... три блока).

პირველი, მძიმე სცენარი გულისხმობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბლოკებს შორის ვაჭრობის პირობების მკვეთრ გამკაცრებას, მაგრამ ნეიტრალურ ბლოკსა და დანარჩენ ორს შორის ვაჭრობის პირობების შენარჩუნებას ისე, როგორც ეს 2019 წელს იყო.

აღმოჩნდა, რომ ასეთი სცენარის შემთხვევაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ბლოკებს შორის ვაჭრობა 20%-ზე მეტით შემცირდებოდა: მკვლევარების გათვლებით, აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებიდან დასავლეთ ბლოკის ქვეყნებში ექსპორტი 22%-ით შემცირდებოდა, ხოლო დასავლეთ ბლოკიდან აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში ექსპორტი 33%-ით. (Геополитическая ... три блока).

ამ შემთხვევაში, ნეიტრალურ ბლოკს, მთლიანობაში, შეუძლია ისარგებლოს აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში ექსპორტის უმნიშვნელო ზრდით - გათვლებით, ის შეიძლება 6%-ით გაიზარდოს. თუმცა, ეს ზრდა თითქმის კომპენსირდება ორივე დაპირისპირებული ბლოკიდან იმპორტის შემცირებით, რაც გამოწვეულია მათ წევრ ქვეყნებში წარმოების შემცირებით. (Геополитическая ... три блока).

მეორე, ყველაზე მძიმე სცენარი გულისხმობს არა მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ ბლოკებს შორის სავაჭრო პოლიტიკაში ისტორიულად ყველაზე მაღალი შეზღუდვების დაწესებას, არამედ მათ შორის ყველა სავაჭრო შეთანხმების გაუქმებას და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების ერთდროულ ცალმხრივ გასვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან. ამ შემთხვევაში, ნეიტრალური ბლოკის ქვეყნებიც დაზარალდებიან, რადგან კარგავენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებებით გათვალისწინებული ვაჭრობის შეღავათებს. (Геополитическая ... три блока).

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ნაკადების გადამისამართება ხშირად იწვევს ზოგიერთი ქვეყნის ზარალს, ზოგი კი მოგებას, ეკონომისტების გამოთვლები აჩვენებს, რომ ყველაზე მძიმე ფრაგმენტაციის სცენარში გამარჯვებული არ არსებობს: პრაქტიკულად ყველა ქვეყანა განიცდის კეთილდღეობის დანაკარგებს. კეთილდღეობის დანაკარგები გამოითვალა, როგორც თითოეულ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წლიური მოხმარების შემცირება.

პირველ, „უბრალოდ მძიმე“ სცენარში, ნეიტრალურმა ბლოკმა შესაძლოა არც არაფერი წააგოს და არც მოიგოს, გარდა ამ ბლოკში შემავალი ცალკეული ქვეყნებისა. ორივე სცენარში დაპირისპირებული აღმოსავლეთის და დასავლური ბლოკები დანაკარგებს განიცდიან. თუმცა, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებისთვის ეს დანაკარგები რამდენჯერმე მეტია, ვიდრე დასავლური ბლოკის ქვეყნებისთვის. (Геополитическая ... три блока).

როგორც ხორხე ალვარესი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, თუ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია გაძლიერდება, განსაკუთრებით ძლიერ გავლენას განიცდიან სანედნეულო საქონელი, კერძოდ სასარგებლო წიაღასეული, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლისთვის, და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც ვაჭრობის მნიშვნელოვან წილს შეადგენს. ამასობაში, ძირითადი საკვები პროდუქტებისა და სასარგებლო წიაღისეულისათვის დერეფნების შექმნას შეუძლია თავიდან აიცილოს სასურსათო კრიზისები და ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკისკენ მიმავალი კურსის შენარჩუნებას. (Хорхе Альварес, …) .

ამ კვლევაში (Геополитическая ... три блока) საქართველო შედის პირობით დასავლურ სავაჭრო ბლოკში. თუ გადავხედავთ ცხრილ 21.6-ს [სტატისტიკური წელიწდეული …, გვ. 265], რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს 2024 წლის 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, დავინახავთ, რომ დასავლეთის ბლოკიდან ესენია: თურქეთი (მთლიანი ექსპორტის 7.0%, მთლიანი იმპორტის 16.4%); ამერიკის შეერთებული შტატები (ექსპორტი – 2.2%, იმპორტი – 12.1%); გერმანია (ექსპორტი – 0.8%, იმპორტი – 7.7%); იაპონია (ექსპორტი – 0.1%, იმპორტი – 1.3%). დასავლური ბლოკის ოთხ ძირითად სავაჭრო პარტნიორთან ჯამური ექსპორტი საქართველოს მთლიანი ექსპორტის 10.1%-სა და ჯამური იმპორტი საქართველოს მთლიანი იმპორტის 37.5%-ს შეადგენს. აღმოსავლეთ ბლოკიდან საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: რუსეთი (ექსპორტი - 10.4%, იმპორტი - 10.9%); ჩინეთი (ექსპორტი - 4.6%, იმპორტი - 9.5%); ყირგიზეთი (ექსპორტი - 19.6%, იმპორტი - 0.0%); ყაზახეთი (ექსპორტი - 13.1%, იმპორტი - 0.4%). აღმოსავლეთ ბლოკის ოთხ ძირითად სავაჭრო პარტნიორთან ჯამური ექსპორტი საქართველოს მთლიანი ექსპორტის 47.7%-ს შეადგენს, ხოლო ჯამური იმპორტი საქართველოს მთლიანი იმპორტის 20.8%-ს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2024 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტი 6,558,689 ათას აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანი იმპორტი 16,880,791 ათას აშშ დოლარს [სტატისტიკური წელიწდეული..., გვ. 265].

საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორიდან, მისი ორი უახლოესი მეზობელი, აზერბაიჯანი და სომხეთი, დარჩა არაიდენტიფიცირებული. აზერბაიჯანი [Геополитическая ... три блока]-ში ნეიტრალური ბლოკის წევრად არის მონიშნული (რუკაზე). საქართველოს მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს: მთლიანი ექსპორტის 11.0% და მთლიანი იმპორტის 3.5%. სომხეთი, რომელსაც ასევე საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობები აქვს, ამავე რუკაზე მონიშნულია დასავლური ბლოკის წევრად: საქართველოს მთლიანი ექსპორტის 9.4%, მთლიანი იმპორტის 1.4%. [სტატისტიკური წელიწდეული …, გვ. 265].

საქართველოს ეკონომიკის სექტორების განვითარება

საქართველოში იმპორტი ექსპორტს თითქმის სამჯერ აღემატება. სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ იმპორტის შემცვლელი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების განვითარებით არის შესაძლებელი. ამიტომ, ქვეყნის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, დგას საბაზისო საპროცესო ინოვაციების დანერგვის ამოცანა (ესე იგი ახალი საწარმოების აშენება მათთვის ახალი ინოვაციური საწარმოო ტექნოლოგიების იმპორტის საფუძველზე), და, ასევე, ზოგიერთ სექტორში გასაუმჯობესელი ინოვაციების

რეალიზაცია, მათი შემუშავებისათვის სამამულო სპეციალისტების გამოყენებით მათი კოოპერაციის პირობებში ევროპელ და სხვა უცხოელ სპეციალისტებთან.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა, რომელიც ქვეყანაში თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ინოვაციური საწარმოების შექმნის მოტივაციას იძლევა, წარმოებული პროდუქციის შემდგომი გაყიდვების გარანტიაა.

საქართველოს ეკონომიკური სექტორების მდგრადი განვითარება უნდა ითვალისწინებდეს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის მოთხოვნებს. სტატიაში [геополитическая... три блока] საქართველო მონიშნულია (რუკაზე «Геополитическая фрагментация на торговые блоки») დასავლურ ბლოკში. ამავდროულად, საქართველო ასევე ვაჭრობს აღმოსავლეთის და ნეიტრალური ბლოკების ქვეყნებთან. გრძელდება „შუა დერეფნის“ საერთაშორისო პროექტის შემდგომი განვითარება, რომელიც აღმოსავლეთ და ნეიტრალური ბლოკის ზოგიერთ ქვეყანას დასავლეთი ბლოკის ქვეყნებთან აკავშირებს.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ქვემოთ განხილულია საქართველოს ეკონომიკის რამდენიმე სექტორის განვითარება.

ელექტროენერგეტიკა

ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირებისათვის, მაგალითად, ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იაფი ელექტროენერგიის არსებობა. ამასობაში, ქვეყნის ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი ამჟამად იმპორტირდება, იმის გათვალისწინებით, რომ თბოელექტროსადგურებიც იმპორტირებულ გაზზე მუშაობენ.

ამიტომ, მომდევნო ათწლეულში საჭიროა ძალისხმევა განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების შექმნაზე გავამახვილოთ. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის (333 მეგავატი) და ზემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის (100 მეგავატი) კასკადის მშენებლობის შესახებ. თუმცა, მიუღებელი ექსპლუატაციის პირობების გამო, ინვესტორთან ხელშეკრულება შეწყდა. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს ჰიდროელექტროსადგურები აშენდეს. ჩვენი აზრით, ინვესტორის როლში თავად სახელმწიფო (საპარტნიორო ფონდი) უნდა გამოვიდეს და კონტრაქტორის პოვნა არც ისე რთულია; მაგალითად, ამ პროცესში შეიძლება ჩაერთოს იტალიური კომპანია Salini Impregilo.

2019 წელს საქართველოში რამდენიმე ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმებოდა: 1) თბილისთან ახლოს და მცხეთის მუნიციპალიტეტში, დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრით; 2) იმერეთის რეგიონში, დაახლოებით 100 მეგავატი სიმძლავრით; 3) გორის მუნიციპალიტეტში, ნიგოზის ქარის ელექტროსადგური, დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრით; 4) ხაშურისა და ხორაგაულის მუნიციპალიტეტებში, დაახლოებით 20 მეგავატი სიმძლავრით. თუმცა, რიგი გარემოებების გამო, ამ ელექტროსადგურების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა..

საქართველოში განახლებადი ენერგიის პირველად წყაროებზე დაფუძნებული ელექტროსადგურების რაოდენობა (ჰიდროელექტროსადგურების გარდა), კერძოდ, ქარისა და მზის ელექტროსადგურების, უმნიშვნელოა. არც ბიზნესი და არც შესაბამისი სამთავრობო უწყებები არ არიან მზად ინვესტიციების ჩადებისათვის ასეთი ობიექტების მშენებლობაში. ეს, პირველ რიგში, იმიტომ ხდება, რომ მათი ელექტროენერგიის

გამომუშავება არასტაბილურია: მზის ელექტროსადგურები ელექტროენერგიას მხოლოდ დღის განმავლობაში გამოიმუშავებენ და გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია მზის რადიაციის ინტენსივობაზე (რომელიც დღის განმავლობაში მზის სიმაღლის მიხედვით იცვლება და ასევე დამოკიდებულია ღრუბლიანობაზე), ხოლო ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია ქარის სიძლიერეზე.

საქართველოში მზის და ქარის ელექტროსადგურების ფართოდ გამოყენების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მათთან ენერგიის დაგროვების მოწყობილობების შექმნით.

დამამუშავებელი მრეწველობა:

ელექტროტექნიკური მრეწველობა. ამჟამად, ბატარეების წარმოება მსოფლიო მასშტაბით სწრაფად ფართოვდება. ეს ბატარეები აუცილებელია ელექტრომობილების წარმოებისთვის, როგორც ენერგიის დაგროვების მოწყობილობები მზის და ქარის ელექტროსადგურებისთვის, ასევე სმარტფონებისთვის, დრონებისა და სხვა მობილური მოწყობილობებისთვის. უფრო მეტიც, ისინი მუდმივად ინოვაციურად მოდერნიზებულია. უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მოწინავე ტიპების გამოჩენაა მოსალოდნელი, ამასთან იაპონია და, განსაკუთრებით, სამხრეთი კორეა, აქამდე ბატარეების ტექნოლოგიური ინოვაციების ლიდერებად ითვლებოდნენ. (Гурков, 2020). ელექტრომობილებისა და აკუმულატორების მრავალი ქარხანა უკვე ფუნქციონირებს ან მშენებლობის პროცესშია. ლიდერია Tesla, რომელიც ელექტრომობილების ქარხნებს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად გერმანიაში, აშენებს. სხვა კომპანიებიც აშენებენ ასეთ ქარხნებს, მათ შორის Ford-ი, რომელმაც სამხრეთ კორეულ კომპანია SK Innovation-თან შეთანხმებას მიაღწია აშშ-ში ორი მასშტაბური კომპლექსის აშენებაზე, სადაც ისინი ელექტრომობილებსა და აკუმულატორებს აწარმოებენ. პარტნიორები ჯამში 11 მილიარდ დოლარს ჩადებენ, საიდანაც 7 მილიარდ დოლარს Ford-ი ჩადებს. (Ford инвестирует ..., 2021). ნორვეგიაში უკვე მიმდინარეობს აკუმულატორულ ბატარეაზე მომუშავე თვითმფრინავების (რა თქმა უნდა, პროპელერით მოძრავი, 400 კმ-მდე დიაპაზონის) წარმოება.

ქარისა და მზის ელექტროსადგურების ენერგიის დამზოგავი მოწყობილობებით აღჭურვის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ელექტროენერგეტიკის ინდუსტრიის დაუყოვნებლივი განვითარებისთვის..

მიუხედავად იმისა, რომ ტურბინები ტრადიციულ ელექტროენერგიის წარმოებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებენ, ენერგიის დაგროვების მოწყობილობები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სულ უფრო პოპულარული განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებისთვის: მათ გარეშე ქარისა და მზის ელექტროსადგურების მთავარი პრობლემა - მათი დამოკიდებულება ამინდის ცვალებადობაზე - ვერ გადაიჭრება. (Гурков, 2020).

ენერგიის დაგროვების მოწყობილობები ძირითადად იყენებენ შესაბამის აკუმულატორებს (აკუმულატორები სტაციონარული დანადგარებისათვის ელექტროენერგეტიკაში). ბოლო დროს, მათი ინოვაციური მოდერნიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, რის შედეგადაც მათი ღირებულება 2010-დან 2020 წლამდე ორი მესამედით შემცირდა. (Гурков, 2020).

მსოფლიოში გრძელდესა ლითიუმ-იონური **აკუმულატორების შემდგომი სრულყოფა** (რომელთა ნაკლი ის არის, რომ ისინი ზოგჯერ ცეცხლს იკიდებენ) (Ставицкий, 2021), ასევე მუშავდება მათი უტილიზაციის მეთოდები ხელახალი გამოყენებისთვის. ელექტრომობილების, განახლებადი ენერგიის ელექტროსადგურების და ა.შ. ბატარეების გაუმჯობესების უახლესი ინიციატივები მოიცავს ლითიუმ-რკინის ფოსფატის, ლითიუმ-სილიციუმის, მყარსხეულიანი აკუმულატორების და ნატრიუმ-იონური აკუმულატორების განვითარებას (Ставицкий, 2021).

ამ პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობის გათვალისწინებით საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მეცნიერები უახლოეს მომავალში ჩაერთონ ამ თანამედროვე შემუშავებებში. ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა, ქვეყანამ ძალისხმევა გასწიოს ქარისა და მზის ელექტროსადგურებისთვის ენერგიის დამზოგავი აკუმულატორული ბატარეების წარმოების კომპანიის შესაქმნელად, სულ მცირე, უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოს სახით, თუმცა ამის მიღწევა უკიდურესად რთულია.

განახლებადი წყაროებიდან ენერგიის შენახვის კიდევ ერთი მიდგომაა ტუმბო-აკუმულატორის ჰიდროელექტროსადგურების განვითარება. ეს ელექტროენერგიის შენახვის უძველესი და ყველაზე კარგად დამკვიდრებული ტექნოლოგიაა. როდესაც ელექტროენერგია ჭარბია, ელექტრო ტუმბო წყალს ქვედა რეზერვუარიდან ზედა რეზერვუარში ტუმბავს. საჭიროების შემთხვევაში, წყალი ქვევით გამოიყოფა, რაც ჰიდროელექტრო გენერატორს კვებავს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბურდული, 2020).

ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები. სწორედ მათმა სისწრაფემ და მრავალმხრივობამ გახადა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასე მოთხოვნადი თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. კომპიუტერები, სმარტფონები, ტელევიზიის ციფრული ელექტრონიკა და ა.შ. უნიკალური ფენომენია, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში რადიკალურად შეცვალა პლანეტაზე ყველა ადამიანის ცხოვრება. ამ უკვე არსებული ტექნოლოგიების სფეროში, მათი მოდერნიზაცია ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციების დანერგვით ხდება.

საქართველოში, რა თქმა უნდა, უახლოეს მომავალში არ არსებობს თანამედროვე კომპიუტერების, ტელევიზორების, სმარტფონების და სხვა ძირითადი საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოების დაარსების შესაძლებლობა. ამ ბაზარზე მყარად არიან დამკვიდრებული ტრანსნაციონალური კომპანიები და ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანს მოუნდეს ჩვენს მეწარმეებთან ერთობლივი საწარმოს შექმნა, მაგალითად, თანამედროვე ტელევიზორების ან სხვა ძირითადი პროდუქტების წარმოებისთვის. თუმცა შესაძლებელია ციფრული ელექტრონიკის (ინფორმაციულ-კომუნიკაციული ტექნოლოგიების) გამოყენება და განვითარება სხვა დარგებში.

მაგალითად, ნებისმიერი სექტორის საწარმოებში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება წარმოების მონიტორინგისთვის, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერისთვის, ელექტრონული აღრიცხვისა და დოკუმენტების ბრუნვისათვის საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული არსებული ეკონომიკური პოტენციალი.

თანამედროვე მკლევარები და სპეციალისტები ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად სფეროს გამოყოფენ (ამ სფეროებში ხორციელდება როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესელი ინოვაციები, რომელთაგან ზოგიერტი საპროდუქტოა, მაგრამ ძირითადათ საპროცესოა; თუმცა, მომსახურების სექტორში მათი უმეტესობა შეიძლება განიმარტოს, როგორც საპროდუქტო): 1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning). 2. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები (Blockchain and Cryptocurrencies). 3. დიდი მონაცემები (Big Data). 4. ტელემედიცინა (Telemedicine). 5. გაძლიერებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR). 6. ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები (Bots and Virtual Assistants). 7. მობილურობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity). 8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things). 9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision). 10. ნეირონული ქსელები (Artificial Neural Networks) (Чеботарев, 2018) (დეტალების ნახვა: (ბურდული, 2020; Бурдули В., 2020)-ში). ამ მიმართულებების უმეტესობის მიხედვით, შესაბამისი ინოვაციები შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორში.

ზოგიერთი მიმართულებით საქართველოში უკვე რამდენიმე წელია რაც დაარსდა რამდენიმე მცირე ბიზნესი (იხ., ბურდული., 2020; Бурдули, 2021). ჩვენი აზრით, ქართველმა მეწარმეებმა მომდევნო წლებში ამ სფეროში ინიციატივების შემუშავება უნდა გააგრძელონ, მათ შორის, საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოსა და „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მხარდაჭერით.

თუმცა, ზოგიერთ სექტორში, უახლოეს მომავალში საქართველოში შესაძლებელია საკმაოდ დიდი საწარმოების შექმნა, რომლებიც თავიანთ პროდუქციაში უახლეს ციფრულ ტექნოლოგიებს გამოიყენებენ, რომელთა ბაზარიც მსოფლიოში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. მაგალითად, გარკვეული ძალისხმევით და წამყვან უცხოურ საწარმოებთან საჭირო კავშირების ორგანიზებით, შესაძლებელია დრონების, ანუ უპილოტო საფრენი აპარატების (მაგ., აკუმულიატორებზე მომუშავე ძრავებით აღჭურვილი მცირე ზომის სატვირთო თვითმფრინავების, მფრინავი ტაქსების, კვადროკოპტერების) წარმოების დამკვიდრება.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. საბჭოთა კავშირის დროს საქართველო სხვადასხვა სახის ტრანსპორტის საშუალებებს აწარმოებდა: ელექტროლოკომოტივებს, ჰიდროფრთიანებს, სატვირთო მანქანებს და სუ-21 სამხედრო გამანადგურებლებს. სამწუხაროდ, ეს ობიექტები დაიკარგა. რა თქმა უნდა, ეს ობიექტები ამჟამად უიმედოდ მოძველებულია და მათი აღდგენა აზრს მოკლებულია.

ამიტომ, აუცილებელია ინოვაციური ტრანსპორტის განვითარების მიმდინარე გლობალური ტენდენციების გათვალისწინება და ახალი სატრანსპორტო პროდუქტების შექმნის მცდელობა. ბუნებრივია, ტრადიციული ტრანსპორტის გლობალური ბაზარი გაჯერებულია, კონტროლდება და რეალიზდება რამდენიმე წამყვანი ქვეყნის (აშშ, ჩინეთი, გერმანია, სამხრეთი კორეა, იაპონია, საფრანგეთი და სხვა) ცნობილი ტრანსეროვნული კორპორაციების მიერ, რომლებიც ასევე ხსნიან საკუთარ ქარხნებს სხვა ქვეყნებში. ამიტომ, აუცილებელია ახალ ინოვაციურ ტენდენციებზე გადასვლა.

ამჟამად, რიგი ქვეყნები, მათ შორის შედარებით პატარა ქვეყნები (ისრაელი, ნორვეგია, შვეიცარია, დანია, ფინეთი), ბუნებრივია, ყველაზე ხშირად, უფრო დიდი ქვეყნების კომპანიებთან თანამშრომლობის გზით, აშენებენ და ზოგიერთმა მათგანმა უკვე ააშენა

სხვადასხვა კლასის მცირე და საშუალო ზომის (ცხრამეტი მგზავრისათვის) პროპელერიანი ელექტრო თვითმფრინავი ლითიუმ-იონური აკუმულატორების უახლესი მოდიფიკაციების გამოყენებით. უფრო მეტიც, ისინი უფრო მსუბუქია და უფრო ეკონომიურია ვიდრე ტრადიციული საწვავის გამოყენებით მომუშავე მსგავსი თვითმფრინავები და ეკოლოგიურად უფრო სუფთაა (იხ., მაგალითად, Израиль ..., 2019).

როგორც ჩანს, საქართველოს გარკვეული წინაპირობები აქვს ასეთი წარმოების უახლოეს მომავალში დასაწყებად. პირველ რიგში, მას აქვს ქარხანა თვითმფრინავების გარკვეული კლასისთვის კომპოზიტური მასალებიდან ნაწილების დასამზადებლად, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება დაგეგმილი თვითმფრინავების ტიპის კორპუსებისა და სხვა ნაწილების დასამზადებლად. მეორეც, საქართველოს ჰყავს მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ საჭირო აკუმულატორების იმპორტსა და შემდგომში მათი წარმოების (ან კიდევ უფრო მოწინავე ტიპების) დამკვიდრებაში საქართველოში.

მეტალურგიულ მრეწველობაში, შვედეთში, ცოტა ხნის წინ შემუშავდა ნახშირბადისგან თავისუფალი ფოლადის წარმოების ტექნოლოგია (Швеци, 2021). მომავალში უნდა განიხილებოდეს ამ ტექნოლოგიის გამოყენებით ქარხნის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ქალაქ რუსთავში წინად არსებულ მეტალურგიულ ქარხანაზე. თუმცა, ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო, ასეთი ქარხნის მშენებლობაზე საუბარი ნაადრევია. თუმცა, რადგან ჩვენი განახლებადი ენერგიის წარმოების სიმძლავრეები ფართოვდება, შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი ობიექტების შექმნა, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მწვანე ეკონომიკის ინიციატივების გარდაუვალი ზრდის გათვალისწინებით.

ახლა კი **მსუბუქი მრეწველობის** შესახებ. უარყოფითი ექსპორტ-იმპორტის სალდოს შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის შიგნით ნედლეულის ღრმა სტადიით გადამუშავებაზე თანდათანობითი გადასვლის პირობებში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის სფეროს ეხება, რომლის პროდუქციაც მნიშვნელოვანი ზომით ქვეყანაში იმპორტირდება. მსუბუქი მრეწველობის (ტექსტილი, ტანსაცმელი, ტყავი და ფეხსაცმელი) აღორძინების მიზნით, უნდა შეწყდეს მატყლისა და ნედლი ტყავის ექსპორტი. საჭიროა ინოვაციური ტექსტილისა და ტანსაცმლის საწარმოების, ინოვაციური ტყავის სათრიმლავი საწარმოების (სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებით) და ფეხსაცმლისა და სხვა ტყავის ნაწარმის წარმოების საწარმოების შექმნა, პირველ რიგში, ცნობილი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმებით (თუმცა ეს რთულია, მაგრამ მიღწევადია).

დასკვნა

ამრიგად, სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკის რიგი სექტორების განვითარების გზები და ამ მიზნით უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთქმედების გზები განხორციელდება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის წესების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

ბურდული ვახტანგი. ინოვაციური მასალების წარმოება და მათი გამოყენება ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონონიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XI. თბილისი: 2018.

ბურდული ვახტანგი. საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, 2020. ელექტრონული რესურსი: https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf

Ford вложит $7 млрд в строительство двух заводов для электрокаров. 2021, сентябрь. – Электронный ресурс: https://www.autonews.ru/news/6152f6909a79479ba72a74fa

National Accounts of Georgia 2024 (Statistical publication). – Tbilisi, 2026.

Statistical Yearbook of Georgia: 2025 / National Statistics Office of Georgia. – Tbilisi, 2025.

Бурдули Вахтанг. Классификация видов инноваций и отраслевые проблемы их распространения. – Журнал: Ekonomisti, 2020, №4, Volume XVI. **DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Burduli**

Бурдули Вахтанг. Проблемы распространения инноваций в Грузии. – Журнал: Ekonomisti, 2021, №3, Volume XVII. **DOI: 10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.03.Burduli**

Геополитическая фрагментация. А. – Электронный ресурс: https://www.google.com/search?q=%D0%B3%D0%B5%D0%BE%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F+%D1%84%D1%80%D0%B0%D0%B3%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F+%D1%8D%D1%82%D0%BE&rlz=1C1AJCO_enGE1200GE1200&oq=%D0%B3&gs_lcrp=EgZjaHJvbWUqEAgBEEUYExgnGDsYgAQYigUyEAgAEEUYExgnGDsYgAQYigUyEAgBEEUYExgnGDsYgAQYigUyBggCEEUYOTIGCAMQRRg7Mg0IBBAAGIMBGLEDGIAEMgYIBRBFGD0yBggGEEUYPDIGCAcQRRg90gEJMTM0NzJqMGo3qAIAsAIA&sourceid=chrome&ie=UTF-8

Геополитическая фрагментация: три блока и два сценария // ЭКОНС. – URL

Геоэкономическая фрагментация. Электронный ресурс: https://www.google.com/search?q=%D0%B3%D0%B5%D0%BE%D1%8D%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F+%D1%84%D1%80%D0%B0%D0%B3%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F+%D1%8D%D1%82%D0%BE&rlz=1C1AJCO_enGE1200GE1200&oq=%D0%B3%D0%B5%D0%BE%D1%8D%D0%BA%D0%BE&gs_lcrp=EgZjaHJvbWUqDggCECMYExgnGIAEGIoFMgYIABBFGDsyBggBEEUYOTIOCAIQIxgTGCcYgAQYigUyCQgDEAAYExiABDIJCAQQABgTGIAEMgkIBRAAGBMYgAQyBggGEEUYPTIGCAcQRRg90gEJMTg2MThqMGo3qAIAsAIA&sourceid=chrome&ie=UTF-8

Гурков А. 25.09.2020. Батареи для Tesla и накопителей электроэнергии: кто лидеры инноваций? – Электронный ресурс: https://www.dw.com/ru/batarei-dlja-tesla-i-hranenija-jenergii-kto-lidery-innovacij/a-55030825

Израиль представил полностью электрический самолет. 2019. – Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=kLC6yMXPpE4

МВФ предупредил об усилении фрагментации мировой экономики // ТАСС. – URL: https://tass.ru/ekonomika/16922761

Ставицкий Андрей. Рынок аккумуляторов ждет революция. Когда они перестанут быстро садиться и взрываться? 19 сентября 2021. – Электронный ресурс: https://lenta.ru/articles/2021/09/19/batareika/

Хорхе Альварес, Мехди Бенатия Андалусси, Мартин Стуермер. Геоэкономическая фрагментация несет угрозу продовольственной безопасности и переходу на чистые источники энергии // IMF Blog. – URL: https://www.imf.org/ru/Blogs/Articles/2023/10/03/geoeconomic-fragmentation-threatens-food-security-and-clean-energy-transition

Чеботарев А. 2018. Цифровые технологии настоящего и будущего. – АВИА панорама. 2018, №4 (130). – Электронный ресурс: PDF из интернета. Поиск по запросу «виды цифровых технологий».

Швеция произвела «революционную» сталь. 19.08.2021. – Электронный ресурс: https://lenta.ru/news/2021/08/19/revolution_steel/

Geopolitical and Geoeconomic Fragmentation and Development Paths of Some Sectors of the Georgian Economy

Vakhtang Burduli
Doctor of Economic Sciences, Chief Researcher
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
vakhtangburduli@gmail.com

Annotation. The article discusses the understanding of geopolitical and geoeconomic fragmentation, discusses three blocks and two scenarios of geopolitical fragmentation, the degree of involvement of the Georgian economy in the conventionally Western, Eastern and neutral blocks. The following paper proposes and substantiates a strategy for the near-term development of the energy sector and a number of sectors of the manufacturing industry.

Keywords: geopolitical fragmentation, economic sectors, development

ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანა ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის დაგვიანებებით

აკაკი არსენაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
akaki.arsenashvili@tsu.ge

ანოტაცია. *ამ სტატიაში განვიხილავთ ზოგად ეკონომიკურ სისტემას, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აღწერილია ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მოცემულია ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაცია მთავარი მიზნის მიღწევის უნარის მიხედვით. შემოგვაქვს ეკონომიკური სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ინდიკატორები, რომლებიც გვაძლევენ ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესახებ შესაბამისად მოცემულ დროის ინტერვალში და დროის მოცემულ მომენტში. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დასმულია ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური მართვის სამი ტიპის ამოცანა. ასევე გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური სისტემის არსი დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც მუდმივია დროის გარკვეულ ინტერვალებში, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს დროის წინასწარ უცნობ ნებისმიერ მომენტში. ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ეს თავისებურება საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ეს სისტემა, როგორც ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანა. ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანების კვლევა ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სისტემის სტრუქტურის შეცვლა ნიშნავს, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს მათ აერთიანებს ცვლადი სტრუქტურის მქონე ერთ სისტემაში. დაგვიანების ფაქტორი ეკონომიკაში ჩნდება მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სისტემაზე ზემოქმედება რეალურ შედეგს გვაძლევს გარკვეული დროის შემდეგ. ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანები დაგვიანებული არგუმენტით მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებისთვის. სიმარტივისთვის განვიხილავთ ისეთ სამსაფეხურიან ცვლადი სტრუქტურის დინამიური სისტემების ოპტიმალური მართვის ამოცანას, რომელშიც პირველი ეტაპი უწყვეტი სახით არის დამოკიდებული მოცემულ საწყის ფუნქციაზე. სისტემის სამი ეტაპი კი ერთმანეთთან დაკავშირებულია შუალედური პირობებით, სადაც პირველი ეტაპის ოპტიმალური შედეგი წარმოადგენს მეორე ეტაპის საწყის ფუნქციას, ხოლო მეორე ეტაპის ოპტიმალური შედეგი წარმოადგენს მესამე ეტაპის საწყის ფუნქციას. დასმულ ამოცანაში ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები მიიღება: ოპტიმალური მართვისთვის პონტრიაგინის მაქსიმუმების პრინციპის სახით; სტრუქტურის ცვლილების მომენტებისთვის კი - ტოლობებისა და უტოლობების სახით.*

საკვანძო სიტყვები: *ცვლადსტრუქტურიანი ამოცანა, ოპტიმალური მართვა, ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა, სისტემის ეფექტურობა და ეფექტიანობა, დიფერენციალური განტოლება დაგვიანებული არგუმენტით.*

შესავალი

ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა არის კომპლექსური მოქმედებების შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოცემული დროის ინტერვალიდან ნებისმიერ დროს. საზოგადოების წარმოება ძირითადად მოიცავს არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების მართვას. გარდა ამისა, ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია მიმდინარე პოლიტიკური სისტემის არსზე, რომელიც მუდმივია მოცემულ დროის ინტერვალში. ყველა მათგანი მიღებულია ზოგადი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემიდან. ცხადია, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას აქვს ციკლური ხასიათი და შეუღლებულია დროის ინტერვალთან (ციკლთან). ამიტომ, ის ინფორმაციას ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სისუსტეების შესახებ მხოლოდ ციკლის ბოლოს გვაწვდის. ასევე გასათვალისწინებელია დაგვიანების ფაქტორიც, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკურ საკითხებში, იმ შემთხვევაში თუ სისტემაზე მართვის ზემოქმედება რეალურ შედეგს იძლევა გარკვეული დროის შემდეგ. გარკვეული ხასიათის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას დროის ინტერვალში შეიძლება ჰქონდეს ტენდენცია შეცვალოს თავისი ბუნება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პირველი - არადამაკმაყოფილებელი, მეორე - გარდამავალი ან ნეიტრალური და მესამე - ზედმეტად დამაკმაყოფილებელი. ამრიგად, პოლიტიკური სისტემის ცვლილების გათვალისწინებით ვღებულობთ ცვლადსტრუქტურიან ოპტიმალური მართვის ამოცანას დაგვიანებებით.

პრობლემის ფორმულირება

ეკონომიკური სისტემა არის ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომლებიც ერთად მუშაობენ საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერ მოცემულ დროის ინტერვალში.

ეკონომიკური სისტემა ოპტიმალურია, თუ ის აკმაყოფილებს საზოგადოების ყველა ძირითად მოთხოვნილებას მინიმალური დანახარჯებით. საზოგადოების ძირითადი მოთხოვნილებების ჯამი მოცემულ t მომენტში დროის T ინტერვალიდან აღვნიშნოთ $D(t)$-თი:

$$D(t) = \{D_1(t), \dots , D_n(t)\},$$

სადაც $D_i(t), (\, i = 1,2, \cdots , n)$ არის საზოგადოების i-ური ძირითადი მოთხოვნა t მომენტში, n არის ძირითად მოთხოვნათა რაოდენობა t მომენტში, რომელიც ზოგადად ცვალებადია დროში: $n = n(t)$.

აღვნიშნოთ დროის $T = [t_0, t_1]$ ინტერვალის (ე.ი. ციკლის) საწყისი მომენტი t_0-ით და ბოლო მომენტი t_1-ით. ვთქვათ $K(t)$ არის საზოგადოების კუთვნილი მატერიალური რესურსები t მომენტში: i.e.

$$K(t) = \{K_1(t), \cdots, K_k(t)\},$$

სადაც $K_i(t), (i = 1,2, \cdots, k)$ არის i-ური მატერიალური რესურსი, მოცემული შესაბამის ერთეულებში და k არის მათი საერთო რაოდენობა. ვთქვათ $L(t)$ არის საზოგადოების კუთვნილი შრომითი რესურსები t მომენტში, ე.ი.

$$L(t) = \{L_1(t), \cdots, L_k(t)\}$$

სადაც $L_i(t), (i = 1,2, \cdots, k)$ არის i-ური შრომითი რესურსი, მოცემული შესაბამის ერთეულებში და k არის მათი საერთო რაოდენობა.

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა დროის ყოველ t მომენტში დამოკიდებული იქნება შემდეგ ცვლადებზე: t_0 საწყის მომენტზე; T დროის ინტერვალის სიგძეზე ე.ი. t_1 მომენტზე; საზოგადოების ძირითად მოთხოვნებზე დროის ყოველ მომენტში ე.ი. $D(t)$-ზე; საზოგადოების კუთვნილ მატერიალურ რესურსებზე დროის ყოველ მომენტში ე.ი. $K(t)$-ზე; საზოგადოების კუთვნილ შრომით რესურსებზე დროის ყოველ მომენტში ე.ი. $L(t)$-ზე და ინვესტიციებზე დროის ყოველ მომენტში, რომელიც აღვნიშნოთ $I(t)$-ით, $I(t) = \{I_1(t), \cdots, I_k(t)\}$, სადაც $I_i(t), (i = 1,2, \cdots, k)$ არის ინვესტიციების მოცულობა ჩადებული i-ურ დარგში(სფეროში) დროის ყოველ t მომენტში. აღვნიშნოთ საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა დროის ყოველ მოცემულ მომენტში $Y(t)$-თი. ცხადია, $Y(t)$ როგორც ენდოგენური ცვლადი დამოკიდებულია: t_0 და t_1 რიცხვით პარამეტრებზე და $D(t), K(t), L(t), I(t)$ ეგზოგენურ ვექტორულ ცვლადებზე. ე.ი. შეგვიძლია ჩავწეროთ, რომ $Y = Y(t_0, t_1, D(t), K(t), L(t), I(t))$. $Y(t)$ ფუნქციის კერძო სახეა საწარმოო ფუნქცია:

$$Y(t) = AK_1^{\alpha_1} \cdot K_2^{\alpha_2} \cdot \dots \cdot K_n^{\alpha_n} \cdot L_1^{\beta_1} \cdot L_2^{\beta_2} \cdot \dots \cdot L_n^{\beta_n} \cdot I_1^{\gamma_1} \cdot I_2^{\gamma_2} \cdot \dots \cdot I_n^{\gamma_n}$$

ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის შესაფასებლად, უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი. მოცემულ, დროის t მომენტში, i-ური ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაჩვენებელია

$$s_i(t) = D_i(t) - Y_i(t),$$

სადაც $Y_i(t), (\, i = 1,2, \cdots, n)$ არის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა i-ური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად t მომენტში. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის ფაქტი $s_i(t)$-ს მნიშვნელობა აგრეთვე დამოკიდებულია შემდეგ ფუნქციაზე $\varphi_i(t), t_0 - \tau \leq t \leq t_0$, რომელსაც ვუწოდებთ საწყის ფუნქციას. საწყისი ფუნქცია არის მოცემული ფიქსირებული ფუნქცია და $\varphi_i(t) = D_i(t) - Y_i(t), t_0 - \tau \leq t \leq t_0$, $i = 1,2, \cdots, n$; ამრიგად $\Phi(t) = D(t) - Y(t), t_0 - \tau \leq t \leq t_0$, $\Phi(t) = (\varphi_1(t), \varphi_2(t), \cdots, \varphi_n(t))$. თუ $s_i(t) > 0$ - მოთხოვნა ჭარბად არის დაკმაყოფილებული t მომენტში. თუ $s_i(t) = 0$ -მოთხოვნა ზუსტად არის დაკმაყოფილებული t მომენტში. თუ $s_i(t) < 0$ - მოთხოვნა სრულად არ არის დაკმაყოფილებული t მომენტში. ყველგან ქვემოთ იგულისხმება, რომ ყველა სიდიდე, დროის გარდა, წარმოდგენილია ფულად ერთეულებში.

განმარტება1. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი დროის ინტერვალზე T : $t_0 \leq t \leq t_1$ არის

$$R_e(T) = \int_{t_0}^{t_1} \sum_{i=1}^{n} (s_i(t) + s_i(t - \tau))dt$$

განმარტება 2. დროის T ინტერვალზე ეკონომიკური სისტემა არის ოპტიმალური, თუ სრულდება შემდეგი პირობა:

$$(s_i(t) + s_i(t - \tau)) \geq 0, \forall\, i = 1,2, \cdots, n\,; t \in T.$$

ცხადია, ოპტიმალურ ეკონომიკურ სისტემას დროის T ინტერვალზე შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნა ყოველ მომენტში დროის მოცემული ინტერვალიდან.

კვაზიოპტიმალური ეკონომიკური სისტემები, როგორც წესი, უფრო გავრცელებული და არა ოპტიმალური ეკონომიკური სისტემებია, რომელთა განხორციელება ზოგჯერ შეუძლებელია.

განმარტება 3. ეკონომიკური სისტემა არის კვაზიოპტიმალური დროის T ინტერვალზე, თუ სრულდება შემდეგი პირობა:

$$\sum_{i=1}^{n}(s_i(t)+s_i(t-\tau)) \geq 0\,, \qquad \forall\, t \in T\,.$$

ცხადია, რომ თუ ეკონომიკური სისტემა ოპტიმალურია, ის ასევე კვაზიოპტიმალურია. საპირისპირო დებულება არ არის სამართლიანი, რადგან კვაზიოპტიმალური ეკონომიკური სისტემის შემთხვევაში, ძირითადი მოთხოვნების ზოგიერთი მაჩვენებელი $(s_i(t)+s_i(t-\tau))$ შეიძლება იყოს უარყოფითი (ე.ი. ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება სრულად არ იყოს დაკმაყოფილებული). ამ შემთხვევაში, განმარტება 3-ის პირობის შესასრულებლად, ჩავთვალოთ

$$\sum_{i=1}^{n}(s_i(t)+s_i(t-\tau)) \geq 0\,, \qquad \forall\, t \in T\,.$$

ძირითადი მოთხოვნილებების ჯამი t მომენტში უნდა იყოს არაუარყოფითი, რაც ნიშნავს, რომ t მომენტში ზოგიერთი ძირითადი მოთხოვნილებით წარმოებული ჭარბი პროდუქტი და მთლიანი პროდუქტის ჭარბმა რაოდენობამ უნდა გადაფაროს (თავისი ღირებულებით) სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროდუქტი. თუ ზემოთ აღნიშნული პირობა დაირღვება გარკვეული დროის ინტერვალზე, მაგრამ შემდეგი პირობა ძალაში დარჩება:

$$R_e(T) = \int_{t_0}^{t_1}\sum_{i=1}^{n}(s_i(t)+s_i(t-\tau))dt \geq 0$$

მაშინ ასეთი ეკონომიკური სისტემა იქნება ინტეგრალურად კვაზიოპტიმალური. ე.ი. სხვადასხვა ძირითადი საჭიროებებიდან გამომდინარე დეფიციტი ჭარბი წარმოებით იფარება არა მყისიერად, ანუ ყოველ t მომენტში, არამედ მთელი T ინტერვალის განმავლობაში. ასეთ ეკონომიკურ სისტემას შეიძლება სირთულეები შეექმნას, თუ დროის ინტერვალი T დიდია. თუ ინტეგრალური პირობაც დაირღვა, მაშინ ეკონომიკური სისტემა არადამაკმაყოფილებელია - მას არანაირად არ შეუძლია დააკმაყოფილოს T ინტერვალის ყველა ძირითადი მოთხოვნა. ამიტომ მივიღეთ შემდეგი:

ეკონომიკურ სისტემას პოტენციურად შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა აუცილებელი მოთხოვნა დროის ინტერვალში T მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სისტემის ეფექტურობის კოეფიციენტი არაუარყოფითია დროის T ინტერვალზე, ე.ი.

$$R_e(T) \geq 0.$$

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი განმარტება:

განმარტება 4. ეკონომიკურ სისტემას დროის T ინტერვალზე ეწოდება:

უკიდურესად დამაკმაყოფილებელი ან ეფექტური, თუ $R_e(T) > 0$; დამაკმაყოფილებელი ან ნეიტრალური, თუ $R_e(T) = 0$; არადამაკმაყოფილებელი, ანუ არაეფექტური, თუ $R_e(T) < 0$. ცხადია, რომ ოპტიმალური (ასევე კვაზიოპტიმალური) სისტემა შეიძლება იყოს როგორც ეფექტური, ასევე ნეიტრალური. განმარტება 1-დან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი ციკლური ხასიათისაა და შემოსაზღვრულია დროის ინტერვალით T. შესაბამისად, ის ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მუშაობის შესახებ მხოლოდ ციკლის ბოლოს იძლევა და არ იძლევა რაიმე ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ დროის T ინტერვალის ნებისმიერ t მომენტში. ამ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა დროის ახალი ფუნქციის შემოღება, რომელსაც ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორი ეწოდება.

განმარტება 5. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორს ვუწოდებთ ფუნქციას, რომელიც მოცემულია შემდეგი ინტეგრალის საშუალებით

$$X(t) = \int_{t_0}^{t} \sum_{i=1}^{n} (s_i(t) + s_i(t-\tau))dt \ , \qquad t \in T \ .$$

ამ განმარტებიდან გამომდინარეობს:

$$R_e(T) = X(t_1),$$

ე.ი. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორი დროის $T : t_0 \le t \le t_1$ ინტერვალზე ემთხვევა ეფექტურობის კოეფიციენტის მნიშვნელობას ციკლის ბოლოს, ანუ t_1 მომენტში. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორი სისტემის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს დროის ნებისმიერ ინტერვალზე $t_0 \le t \le t$ $(t \le t_1)$. მაგალითად, თუ $X(t) > 0$, ეკონომიკური სისტემა ზედმეტად დამაკმაყოფილებელია, ანუ ის ეფექტურია დროის ინტერვალში $[t_0, t]$; თუ $X(t) = 0$, მაშინ ეკონომიკური სისტემა დამაკმაყოფილებელია ან ნეიტრალურია დროის ინტერვალზე $[t_0, t]$; თუ $X(t) < 0$, ეკონომიკური სისტემა არადამაკმაყოფილებელია ან არაეფექტურია დროის ინტერვალზე $[t_0, t]$. დროის რაიმე $t' \le t \le t''$ ინტერვალზე გარკვეული ხასიათის ეკონომიკურ სისტემას შეიძლება ჰქონდეს თავისი ბუნების შეცვლის ტენდენცია. ამ ინფორმაციის მისაღებად, ჩვენ უნდა შემოვიტანოთ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის გრადიენტის ინდიკატორი.

განმარტება 6. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის გრადიენტის ინდიკატორი ნებისმიერ t მომენტში დროის T ინტერვალიდან იქნება

$$\frac{dX(t)}{dt} = \sum_{i=1}^{n} (s_i(t) + s_i(t-\tau)) \ , \qquad t_0 \le t \le t_1 \ . \qquad (1)$$

ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმულირება.

ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის გრადიენტის ინდიკატორის მნიშვნელობა დროის ნებისმიერი T ინტერვალიდან გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას:

თუ $\frac{dX(t)}{dt} > 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს დადებითი ტენდენცია; თუ $\frac{dX(t)}{dt} = 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს თავისი ბუნების შცვლის ტენდენცია ე.ი. აქვს ნეიტრალური ბუნების ტენდენცია; თუ $\frac{dX(t)}{dt} < 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს უარყოფითი ბუნების ტენდენცია. (1) ფორმულიდან პირდაპირ გვაქვს

$$\frac{dX(t)}{dt} = u(t), \quad t_0 - \tau \le t \le t_1 \ , \qquad (2)$$

სადაც

$$u(t)=\sum_{i=1}^{n}(s_i(t)+s_i(t-\tau))=\sum_{i=1}^{n}(Y_i(t)+Y_i(t-\tau))-\sum_{i=1}^{n}\big(D_i(t)+D_i(t-\tau)\big)$$
$$=\sum_{i=1}^{n}[\big(Y_i(t)-D_i(t)\big)+(Y_i(t-\tau)+D_i(t-\tau)),\quad t_0-\tau\le t\le t_1\,, \qquad (3)$$

არის ყველა ძირითადი აგრეგირებულიატული მოთხოვნისა და მისი რეალური აგრეგირებული დამაკმაყოფილებლობის ინდიკატორი ნებისმიერ t დროის T ინტერვალიდან.

განვიხილოთ ეკონომიკური სისტემის მართვის პროცესი დროის $T: t_0-\tau\le t\le t_1$ ინტერვალზე განზოგადებული ფორმით. გვაქვს:

$$(I)\qquad \frac{dX(t)}{dt}=u(t),\qquad t_0-\tau\le t\le t_1;$$
$$(II)\qquad X(t)=\Phi(t)\,, t_0-\tau\le t\le t_0\,;$$
$$(III)\qquad \Phi(t_0)=X_0\ ,\ \ X(t_1)=X_1\,;$$
$$(IV)\qquad u\le u(t)\le U,\quad t_0-\tau\le t\le t_1;$$

სადაც X_0, X_1, t_0, u, U მოცემული რიცხვებია, $\Phi(t)\,, t_0-\tau\le t\le t_0$, მოცემული ფუნქციაა. საჭიროა ვიპოვოთ ისეთი $u(t)$: $t_0-\tau\le t\le t_1$, მართვა, რომელიც აკმაყოფილებს (I), (II), (III), (IV) პირობებს და დრო t_1-t_0 იქნება მინიმალური, ე.ი. ჩვენ გვინდა მოცემული $X(t_0)=X_0$ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორი (რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ბუნებას) დასაშვები მართვით (როგორც ნაჩვენებია (IV)-ში) გადავიყვანოთ $X(t_1)=X_1$ ეფექტურობის ინდიკატორზე მინიმალურ დროში (t_1-t_0 მინიმალურია). მაგალითად, უარყოფითი ბუნების ეკონომიკური სისტემა ($X_0<0$) გადავაქციოთ ნეიტრალური ან დადებითი ბუნების ეკონომიკურ სისტემად ($X_1\ge 0$) უმოკლეს დროში. ეს არის დაგვიანების შემცველი ოპტიმალური მართვის უმარტივესი ამოცანა დამაგრებული ბოლოებით და სწრაფქმედების მიზნით.

განვიხილოთ ისეთი თვისებრივი ფაქტორი, როგორიცაა პოლიტიკური სისტემა ან, უფრო მარტივად, პოლიტიკური რეჟიმი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პირველი, მეორე ანუ გარდამავალი და მესამე.

პოლიტიკური სისტემის ცვლილების გათვალისწინებით, ზემოთ მოცემული (I), (II), (III), (IV) ოპტიმალური მართვის ამოცანა მიიღებს დაგვიანების შემცველი ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმას.

ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანა დაგვიანებით.

განვიხილოთ ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის პროცესი, T : $t_0\le t\le t_1$ დროის ინტერვალზე, შემდეგი ზოგადი ფორმით:

$$\begin{cases}\dfrac{dX(t)}{dt}=u_1(t), & t_0-\tau\le t\le\theta_1\,, \qquad (7)\\[2mm] \dfrac{d\tilde{X}(t)}{dt}=u_2(t), & \theta_1\le t\le\theta_2\,, \qquad (8)\\[2mm] \dfrac{d\hat{X}(t)}{dt}=u_3(t), & \theta_2\le t\le t_1\,, \qquad (9)\end{cases}$$

$$\begin{cases} X(t) = \varphi(t), & t_0 - \tau \le t \le t_0; \\ \tilde{X}(t) = X(t), & \theta_1 - \tau_1 \le t \le \theta_1\,; \\ \hat{X}(t) = \tilde{X}(t), & \theta_2 - \tau_2 \le t \le t_1; \\ \tilde{X}(t_1) = \tilde{X}_1\ ; \end{cases} \qquad (10)$$

$$\begin{aligned} u_1 \le u_1(t) \le U_1, & \qquad t_0 - \tau \le t \le \theta_1; \\ u_2 \le u_2(t) \le U_2, & \qquad \theta_1 \le t \le \theta_2; \\ u_3 \le u_3(t) \le U_3, & \qquad \theta_2 \le t \le t_1. \end{aligned}$$

სადაც $X_0, \tilde{X}_1, t_0, u_1, U_1, u_2, U_2, u_3, U_3$ მოცემული რიცხვებია; $\theta_1, \theta_2, t_1 \in T$ წინასწარ უცნობი დროის მომენტებია მოცემული დროის შუალედიდან. დავუშვათ, რომ განტოლება (7) აღწერს არადამაკმაყოფილებელ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას, განტოლება (8) აღწერს დამაკმაყოფილებელ ანუ ნეიტრალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას, ხოლო განტოლება (9) აღწერს ჭარბად დამაკმაყოფილებელ ანუ ეფექტურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას.

ჩვენი მიზანია ისე შევარჩიოთ მართვის ფუნქციები $u_1(t), t_0 \le t \le \theta_1, u_2(t), \theta_1 \le t \le \theta_2, u_3(t),\ \theta_2 \le t \le t_1$, და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სტრუქტურის ცვლილების წინასწარ უცნობი $\theta_1, \theta_2, \in T$ მომენტები, რომ (7), (8), (9) სისტემის ამონახსნებმა დააკმაყოფილონ (10) პირობები და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა მოცემული $X(t_0) = X_0$ მდგომარეობიდან სასურველ $\tilde{X}(t_1) = \tilde{X}_1$ მდგომარეობაში გადავიდეს მინიმალურ დროში.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ამოცანა წარმოადგენს კერძო შემთხვევას შემედეგი ზოგადი სახის წრფივი ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანისა დაგვიანების გათვალისწინებით:

$$\begin{cases} \dot{X}(t) = C_1 X(t) + A_1 X(t-\tau) + B_1 K_1 u(t),\ t_0 \le t \le \theta, \\ \dot{Y}(t) = C_2 Y(t) + A_2 Y(t-\eta) + B_2 K_2 v(t),\ \theta \le t \le t_1 \end{cases} \qquad (5)$$

საწყისი პირობით

$$X(t_0) = X_0\,, \qquad (6)$$

საწყისი ფუნქციით

$$X(t) = \varphi(t),\ t_0 - \tau \le t \le t_0\,, \qquad (7)$$

მემკვიდრეობითობის პირობით

$$Y(t) = G\big(t, X(t)\big),\ \theta - \eta \le t \le \theta, \qquad (8)$$

საბოლოო მნიშვნელობით

$$Y(t_1) = Y_1, \qquad (9)$$

და მიზნის ფუნქციით

$$(t_1 - t_0) \to min, \qquad (10)$$

სადაც $\tau = const \ge 0, \tau_0 = \max(\tau, \eta)$, $\varphi(t)$ უწყვეტი ფუნქციაა, $u(t), v(t)$ წინასწარ უცნობი ვექტორ ფუნქციებია, რომლებიც მნიშვნელობებს ღებულობენ $U \subset R^n$ და $V \subset R^m$ კომპაქტებიდან:

$U = \{u\colon \sum_{i=1}^{n} u_i \le 1;\ \ 0 \le u_i \le 1; i = 1,2,\cdots,n.\},$

$V = \{v\colon \sum_{i=1}^{m} v_i \le 1;\ \ 0 \le v_i \le 1; i = 1,2,\cdots,m.\}$,

$G(t,X), (t,X) \in I \times R^n, m$ -განზომილებიანი, ფიქსირებული, უწყვეტად დიფერენცირებადი ფუნქციაა და უზრუნველყოფს სტრუქტურის შეცვლისას მემკვიდრეობითობის პირობის შესრულებას.

ჩვენი მიზანია ისე შევარჩიოთ $u(t), v(t), t_0 \le t \le t_1$, სამართი ფუნქციები, θ სისტემის სტრუქტურის შეცვლის მომენტი და პროცესის დამთავრების მომენტი t_1, რომ (5) სისტემის შესაბამისმა ამონახსნებმა $X(t), Y(t)$ დააკმაყოფილონ (6)-(9) პირობები და უზრუნველყონ (10) მიზნის ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობა.

ოპტიმალობის აუცილებელი პირობები

თეორემა (ოპტიმალობის აუცილებელი პირობები): ვთქვათ $u(t), t_0 \le t \le \theta,\ v(t), \theta \le t \le t_1$ - ოპტიმალური სამართი ფუნქციებია, $\theta \in]t_0, t_1]$ - სტრუქტურის ცვლილების ოპტიმალური მომენტია, ხოლო $X(t), t_0 \le t \le \theta,\ Y(t), \theta \le t \le t_1$ მათი შესაბამისი ოპტიმალური ამონახსნებია, მაშინ არსებობს შემდეგი შეუღლებული სისტემის

$$\begin{cases} \dot{\psi}(t) = -\psi(t)C_1 - \psi(t+\tau)A_1\,, & t_0 \le t \le \theta, \\ \dot{\psi}(t) = -\psi(t)C_1\,, & \theta - \tau \le t \le \theta, \\ \dot{\chi}(t) = -\chi(t)C_2 - \chi(t+\eta)A_2\,, & \theta \le t \le t_1 - \eta, \\ \dot{\chi}(t) = -\chi(t)C_2\,, & t_1 - \eta \le t \le t_1, \end{cases}$$

შემდეგი პირობებით:

$$\chi(t_1) = \chi_0 \ne 0, \qquad \psi(\theta) = \left(\frac{\partial G(\theta, X(\theta)}{\partial X}\right)^T \chi(\theta),$$

ისეთი $\psi(t) = \big(\psi_1(t), \psi_2(t)\big), \cdots, \psi_n(t),\ t_0 \le t \le \theta$, და $\chi(t) = \big(\chi_1(t), \chi_2(t)\big), \cdots, \chi_m(t),\ \theta \le t \le t_1$ არატრივიალური ამონახსნი, რომ სრულდება შემდეგი პირობები:

$1^0.\ \psi(t)[C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u(t)] = \max\limits_{u \in U} \psi(t)[C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u],$

$$t_0 \le t \le \theta;$$

$2^0.\ \chi(t)[C_2Y(t) + A_2Y(t-\eta) + B_2K_2v(t)] = \max\limits_{v \in V} \chi(t)[C_2Y(t) + A_2Y(t-\eta) + B_2K_2v],$

$$\theta \le t \le t_1;$$

$3^0.\ \chi(t_1)[C_2Y(t_1) + A_2Y(t_1-\eta) + B_2K_2v(t_1)] = 0;$

$4^0.\ \psi(\theta)[C_1X(\theta) + A_1X(\theta-\tau) + B_1K_1u(\theta)] = \chi(\theta)[C_2Y(\theta) + A_2Y(\theta-\eta) + B_2K_2v(\theta)] - \frac{\partial G(\theta, X(\theta))}{\partial \theta}\chi(\theta).$

გამოყენებული ლიტერატურა:

Arsenashvili A. (1980). Optimal control problem for step systems with delay. Works of Institute of Control Systems of AS GSSr, 1980, iss. 24, v.1, 17-29.

Arsenashvili A.I. (1984). SINTHESIS OF HIGH_SPEED OPTIMAL CONTROL FOR ONE CLASS OF LINEAR STEP_SYSTEMS WITH DELAYS. BULLETIN of the ACADEMY of SCIENCES of the GEORGIAN SSR, 113, #3, 1984.

Kharatishvili G. (1985). Poliatomic optimal systems. “IPM TGU” collection of transactions. Optimal problems in systems with a variable structure, 1985, pp.3-47.

Calukvadze M., Gabisonia V., & Arsenashvili, A. (1990). Optimal control of the main electric locomotive traffic. 11th IFAC World Congress, "Automatic Control in the Service of Mankind", Tallinn, Estonia, USSR, August 13-17, 1990, volume 10, pp.211-213.

Arsenashvili A.I. (2022). Modeling of the economic-political systems. *The Business and Management Review*, vol. 13, Number 1, April 2022, pp. 15-20.

Variable Structure Optimal Control Problem for the Economic -Political Systems with delay

Akaki Arsenashvili
Associate Professor
Ivane. Javakhishvili Tbilisi State University
akaki.arsenashvili@tsu.ge

Summary

In this article we consider the general economic system, the main purpose of which is to meet all the basic needs of society. Important features of the economic system are described. The classification of the economic system according to the ability to meet the main goal is given. We introduce indicators of efficiency and effectiveness of the economic system, which give us information about the state of the economic system at a given time interval and at a given point in time, respectively. Based on the performed analysis, three types of tasks for optimal management of the economic system are posed. It also takes into account the fact that the essence of the economic system depends on the political system in society, which is constant at certain intervals of time, but can change at any time unknown in advance. This feature of the economic-political system allows us to consider this system as a variable structure optimal control system. Investigation of variable structure optimal control problems is one of the important directions of the optimal control theory. Change of the structure of a system means that the system at some beforehand unknown moment may go over from one law of movement to another. Moreover, after changing the structure the initial condition of the system depends on its previous state. This joins them into a single system with variable structure. The delay factor arises in economic if we take into account that the Impact on the system through management gives the real result after of distinct time. Such problems are important for various practical applications. For simplicity we considered the optimal control problem for three-stage variable structure dynamical systems governed by delayed differential equations with discontinuous initial and continuous intermediate conditions. The discontinuity of the initial condition means that the values of the initial function and the trajectory, generally speaking, do not coincide. These two stages of the system are connected by intermediate condition, where trajectory of the first stage is the initial function for the second stage. The necessary conditions of optimality are obtained: for the optimal control in the form of maximum principle; for the optimal initial and structure changing moments in the form of equality and inequality, containing effects of discontinuity.

Keywords: Variable-structure problem, optimal control, economic system, political system, system efficiency and effectiveness, differential equation with delayed argument.

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები და საქართველოს ციფრული ლარი: გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენა და ფუნქციები

თამილა ნუცუბიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

ანოტაცია. *ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (CBDC) ქვეყნის ტრადიციული ვალუტის ციფრული ფორმაა, რომელიც ასევე ცენტრალური ბანკის პრეტენზიას წარმოადგენს. ამჟამად, 137 ქვეყანა და სავალუტო კავშირი, რომლებიც გლობალური GDP-ს 98%-ს წარმოადგენენ, CBDC-ს იკვლევენ. მთელ მსოფლიოში CBDC-ის საპილოტე პროექტების ახალი მაქსიმუმია. სამმა ქვეყანამ სრულად დანერგა ციფრული ვალუტა - ბაჰამის კუნძულები, იამაიკა და ნიგერია. სამივე ქვეყანა ორიენტირებულია მათი CBDC-ების შიდა მასშტაბის გაფართოებაზე. განვითარებადი ბაზრები ხელს უწყობენ გლობალური საცალო CBDC-ის ზრდას ნაღდი ფულის გამოყენების შესამცირებლად, ფინანსური ჩართულობის გასაძლიერებლად და მარეგულირებელი ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად. ევროპის ცენტრალური ბანკი ციფრული ევროს პილოტირებისას „გლობალური ევროს მომენტს“ უწევს წინ, რაც ევროს საერთაშორისო როლის გაძლიერების მიზანია. ანალოგიურად, ცენტრალური ბანკი მრავალპოლარული სავალუტო სისტემის სტრატეგიის ნაწილად ციფრულ იუანს უწყობს ხელს. CBDC-ები სულ უფრო ხშირად განიხილება გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაში მთავარ ინსტრუმენტებად, რომლებიც ტექნიკური ინიციატივებიდან ეროვნული ძალაუფლებისა და სტრატეგიული ავტონომიის ინსტრუმენტებად გარდაიქმნებიან. საქართველოს ეროვნული ბანკი 2020 წლიდან დინამიურად მუშაობს ციფრული ვალუტის (CBDC) მიმართულებით. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტისა და დეცენტრალიზებული ფინანსების კონცეფციის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ციფრული ვალუტის საპილოტე პროექტის დაწყება. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა მიიღო „CBDC ინიციატივის“ ჯილდო წამყვანი საერთაშორისო გამოცემისგან, Central Banking-ისგან. ეს კიდევ ერთი ცენტრალური ბანკის ჯილდოა ეროვნული ბანკისთვის. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა უბრალოდ გადახდის საშუალებაზე მეტია. ციფრული ლარი, სავარაუდოდ, ახალი, კომფორტული, თანამედროვე ტექნოლოგიებით ადაპტირებული გადახდის საშუალება იქნება. ის ასევე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გეოეკონომიკური ინსტრუმენტი.*

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ვალუტა, CBDC, ციფრული ლარი, გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუვერენული საფინანსო სისტემების განვითარების ტრაექტორიაზე. ფინტექ ინდუსტრიის შესაძლებლობა განახორციელოს სახელმწიფოებრივი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნები შესანიშნავად გამოვლინდა ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების (CBDCs)

მექანიზმებში და ფუნქციებში. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური როლი სულ უფრო მეტად აშკარაა; ციფრული ვალუტები განიხილება, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტები მონეტარული სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად, საზღვრისპირა გადახდების ეფექტურობის გასაძლიერებლად, და ასევე როგორც სუვერენული ფინანსური სისტემების პოტენციური შესაძლებლობა გაუმკლავდნენ აშშ დოლარის მიერ ჩამოყალიბებულ დომინირებულ ფინანსურ წესრიგს.

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების მიზნები, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციები

ისტორიულად, ფული ბარტერულ ფორმას, ხოლო, შემდგომ ფიზიკური მონეტების და ქაღალდების სახეს ინარჩუნებდა. ასე არის დღეს წარმოდგენილი მსოფლიოს ვალუტები, თუმცა ვალუტა ასევე განვითარდა, უკვე ციფრულ ფორმებამდე. კრიპტოვალუტები წარმოადგენენ დეცენტრალიზებულ საფინანსო სისტემას, რომელიც არ კონტროლირდება არცერთი მთავრობის მიერ, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა არის ციფრული ვალუტა, რომელიც ცენტრალური ბანკის მიერ იქმნება და იმართება. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა ქვეყნის ეროვნული ვალუტის ციფრული ფორმაა. ფულის ბეჭდვის ნაცვლად, ცენტრალური ბანკი ქმნის ელექტრონულ მონეტებს ან ანგარიშებს, რომლებიც მხარდაჭერილია მთავრობის სრული ნდობით. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის მიზანია მოახდინოს თანამედროვე გადახდის სისტემების მოდერნიზაცია, შეამციროს ტრანზაქციების არასასურველი ხარჯები, ხელი შეუწყოს საფინანსო ინკლუზიურობის ზრდას, ფინანსური სტაბილურობის ზრდას, რაც საფინანსო სისტემების მაღალი გამჭვირვალობით იქნება მიღწეული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, გარდა საერთო დანიშნულების მიზნებისა, ცენტრალური ბანკების ციფრულ ვალუტებს გააჩნიათ განსხვავებული მიზნები რეგიონებსა და ქვეყნების მიხედვით. განსხვავებულია მაღალგანვითარებული ეკონომიკის ციფრული ვალუტის სტრატეგიული მიზანი, მზარდი ეკონომიკის ეროვნული ვალუტის მიზნებისაგან. ასეთ ვალუტებს ხშირად გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მიზნები მართებს. სხვადასხვა ქვეყნების დეკლარირებული მოტივაცია გამოუშვას ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მოტივაციათა და მიზეზებს შორის შემდეგია: ფინანსური ინკლუზიურობის ხელშეწყობა; კონკურენციისა და მდგრადობის დანერგვა შიდა გადახდების ბაზარზე; გადახდების ეფექტურობის გაზრდა და ტრანზაქციების ხარჯების შემცირება; პროგრამირებადი ფულის შექმნა და ფულადი ნაკადების გამჭვირვალობის გაუმჯობესება; და მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შეუფერხებელი გატარების უზრუნველყოფა (Adrian & Mancini-Griffoli, 2019).

მსოფლიოში, ამჟამად, 137 ქვეყანა და სავალუტო კავშირი, რომლებიც წარმოადგენენ გლობალური GDP-ს 98 პროცენტს, იკვლევს ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების დანერგვის შესაძლებლობებს: გადახდების ტექნოლოგიური მოდერნიზებიდან დაწყებული, აქტიური გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სახელმწიფოებრივი ფუნქციების გატარებით დამთავრებული. მსოფლიოში, ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების პილოტური პროექტების რაოდენობამ 49 მიაღწია. სამმა ქვეყანამ სრულად დანერგა უკვე ციფრული ვალუტა: ბაჰამის კუნძულები, იამაიკა და ნიგერია. სამივე ქვეყანა ორიენტირებულია ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების ოპერაციების ქვეყნის შიგნით გაფართოებაზე. ევროპის ცენტრალური ბანკი ციფრული ევროს პილოტირებისას, ევროს საერთაშორისო

როლის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ანალოგიურად, ჩინეთის ცენტრალური ბანკი, ციფრული იუანის პოპულარიზაციას ახდენს მრავალპოლარული ვალუტის სისტემის სტრატეგიის განვითარების ფარგლებში (Atlantic Council, 2025; International Monetary Fund, 2020.). ჩინეთის მიერ ციფრული იუანის ადრეული გამოყენება განიხილება, როგორც ციფრული ვალუტის მმართველობის გლობალური სტანდარტების დამკვიდრების მცდელობა, „რბილი ძალის" პროეცირება და ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. აქვე აღსანიშნავია ჩინეთის სახალხო ბანკის ხელმძღვანელობით წამოწყებული „mBridge" პროექტი, რომელიც ხორციელდება ჰონგ-კონგთან, ტაილანდთან, საუდის არაბეთთან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან თანამშრომლობით. პროექტი წარმოადგენს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ანგარიშსწორებისთვის საზღვრისპირა, მრავალი რეგიონული ციფრული ვალუტების პლატფორმის შექმნას. რაც საკვირველი არ არის, იწვევს ახალ გლობალურ ფრაგმენტაციას. გლობალური ფინანსები მომავალში შესაძლოა მეტად ფრაგმენტირებული იყოს; სხვა და სხვა ქვეყნები ან ქვეყანათა დაჯგუფებები საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროში ურთიერთთავსებად ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების ქსელებს განავითარებენ. მაგალითად, „ციფრული იუანის" ბლოკი „ციფრული ევროს" ბლოკი. ამავდროულად, აშშ-ს პოზიციაც მყარეა; აშშ მეტად არის ორიენტირებული დოლარზე დაფუძნებული სტაბილური კრიპტოვალუტების გამოყენებაზე, რათა გაძლიერდეს დოლარის დომინირება ციფრულ ასპარეზზე; აშშ დოლარის დაკავშირება ციფრულ ტექნოლოგიებთან შესაძლოა აშშ დოლარს შეუნარჩუნოს მყარი დომინირება (Atlantic Council, 2025; European Forum Alpbach, 2024; Quaglia & Verdun, 2025). აღნიშნული მაგალითები მიგვინიშნებს ციფრული ვალუტების შესაძლებლობებზე გააძლიერონ ვალუტების ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით განვითარების უნარი, ხოლო მეორეს მხრივ, მათი გეოეკონომიკური ფუნქციების პოტენციალი.

საქართველო გამონაკლისი არ არის. საქართველოს ეროვნული ბანკი დინამიურად მუშაობს ქართული ციფრული ვალუტის საპილოტო პროექტზე 2020 წლიდან. დეცენტრალიზებული ფინანსების კონცეფციის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ციფრული ვალუტის საპილოტე პროექტის დაწყება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო „CBDC ინიციატივის" ჯილდო წამყვანი საერთაშორისო გამოცემისგან, "Central Banking"-ისგან. ეროვნული ბანკმა უკვე გადადგა არაერთი წარმატებული ნაბიჯი ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაციისა და ფინტექ ინფრასტრუქტურისა და ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით: ციფრული ლარი, ღია ბანკინგი, ციფრული ბანკი და სხვა. ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა მხოლოდ გადახდის საშუალება არ არის, ის წაახალისებს ბანკებსა და ფინტექ კომპანიებს დანერგონ ინოვაციები ფინანსურ სექტორში. ეროვნული ბანკის ვარაუდით, ციფრული ლარი იქნება გადახდის ახალი, და ტექნოლოგიებზე ადაპტირებული საშუალება, რომელსაც დაინტერესებული პირები დადებითად მიიღებენ (NBG, 2025). ციფრულ ლარს გააჩნია პოტენციალი, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არსებულ მონეტარულ პოლიტიკასა და გადახდის სისტემებზე საქართველოში. ასევე, ის შესაძლოა ატარებდეს ინტერნაციონალიზაციის და სხვა სავალუტო სისტემებთან თავსებადობის ფუნქციას. შესაბამისად, მას ასევე შესაძლოა მიენიჭოს გარკვეული გეოეკონომიკური როლი.

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები

არსებული აკადემიური და ანალიტიკური ლიტერატურული წყაროების ანალიზის შედეგები და სხვა და სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის რეზულტატები ადასტურებენ ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების მრავალმხრივ მნიშვნელობას. მაგრამ ამავდროულად ყურადღებას იპყრობს თანმხლები რისკები. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ვალუტებს დიდი პოტენციალი აქვთ, მათი რეალური გავლენა ბანკებსა და ფინანსურ სისტემებზე კვლავ გაურკვეველი რჩება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (Mkhatrishvili & Boonstra, 2022). ჯერ კიდევ გაურკვეველია კრიტიკული საკითხები, მაგალითად, ფინანსური მომსახურების გაუმჯობესებასთან, მონეტარული პოლიტიკის და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მომხმარებლის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით (Sharma, Mukherjee, et.al., 2025; Prasad, 2021).

მრავალი სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხები, როგორიც არის მაგალითად, ციფრული ვალუტების გავლენა ტრადიციულ საბანკო საქმიანობაზე და საგადახდო სისტემებზე. ასევე, ყურადღებას იპყრობს მათთან დაკავშირებული რისკები. მთავარი კითხვა შემდეგია: როგორ შეუძლიათ ცენტრალურ ბანკებს ეფექტურად მართონ ფულის ეს ახალი ფორმები? კომერციული ბანკები და საგადახდო სისტემები მნიშვნელოვანი რისკების წინაშე დგანან, რადგან ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტებს გააჩნია პოტენციალი წაახალისოს მომხმარებლები რომლებიც იქნებიან დაინტერესებულნი თავიანთი ფული ტრადიციული საბანკო ანგარიშებიდან ცენტრალური ბანკის მიერ მართულ ციფრულ საფულეებზე გადაიტანონ. თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბანკები უკვე ახდენენ ადაპტირებას ფინთექ ტექნოლოგიების მიმართ და აქტიურად იყენებენ ბლოკჩეინზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიურ კომპანიებთან პარტნიორობით, და ახორციელებენ მოწინავე ციფრული ფინანსური სერვისების მიწოდებას მომხმარებლისთვის (Sharma, Mukherjee, et.al., 2025; Prasad, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ვალუტები მნიშვნელოვან უპირატესობებს გვთავაზობს, მაგალითად ისეთს როგორიცაა გაზრდილი ფინანსური ჩართულობა, უფრო სწრაფი ტრანზაქციები და გაუმჯობესებული გამჭვირვალობა, ისინი ასევე წარმოადგენენ მნიშვნელოვან კიბერუსაფრთხოების რისკებს, რაც მოითხოვს ძლიერ მარეგულირებელ ჩარჩოს მომხმარებლების დასაცავად და სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კვლევები ფოკუსირებულია მარეგულირებელი, ტექნოლოგიური და სოციალური გამოწვევების შესწავლაზე, რომელთა წინაშეც დგანან ქვეყნები ციფრული ვალუტების დანერგვისას (Bindseil et. al., 2023).

ციფრული ლარის პროექტის პოტენციალი და რისკები

საინტერესოა, მცირე ღია ეკონომიკების გამოცდილება. მნიშვნელოვანია, იქნეს შესწავლილი საქართველოს ეროვნული ბანკის როლი და ეფექტურობა ციფრული ვალუტის პროექტის მართვაში. საქართველოს დიდი პოტენციალი გაჩნია წარადგინოს სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის კიდევ ერთი კარგი მაგალითი; - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის განვითარების საუკეთესო პრაქტიკა. საქართველოს ციფრული ლარის პროექტმა შეიძლება წარადგინოს გაკვეთილები, რომლებიც სხვა ქვეყნებს დაეხმარება მსგავსი პროექტების დანერგვის საკითხებში.

საქართველოს საბანკო სისტემა ძირითადად კომერციული ბანკებით არის წარმოდგენილი და მართული. ის მაღალი დოლარიზაციის, შეზღუდული ფინტექის შესაძლებლობებით და მნიშვნელოვანი ტრანზაქციული ხარჯებით ხასიათდება. ამ გამოწვევების მოსაგვარებლად,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წამოიწყო ციფრული ლარის პროექტი, რომლის ძირითადი მოზანია სწორედ ტრანზაქციების გამარტივება, ნაღდ ფულზე დამოკიდებულების შემცირება. ციფრული ლარის მიმართ პოლიტიკური და ინსტიტუციური დამოკიდებულება დადებითია, რადგან ის საქართველოში მნიშვნელოვან ინოვაციურ შესაძლებლობად განიხილება. თუმცა, კვლევები ადასტურებენ რომ, საზოგადოების და ექსპერტების მოსაზრებები აღნიშნულ პროექტთან და თვით ციფრული ლარის დაერგვასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩო (Roinishvili, 2025; Shavishvili, 2025).

ციფრული ლარის პროექტი ასოცირდება ბევრ მნიშვნელოვან შესაძლებლობასთან და გამოწვევასთან.

ციფრული ლარის პროექტის განხორციელების ძირითადი შესაძლებლობები შემდეგია:

• ციფრული ლარის ეტაპობრივი დანერგვა;

• გაუმჯობესებული მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი;

• გაუმჯობესებული ფინანსური ჩართულობა და გადახდის სერვისები;

• სხვა ციფრულ ვალუტებთან გამკლავების უნარის გაძლიერება;

• მოწინავე ფინტექ ინფრასტრუქტურა, მაღალ-ტექნოლოგიური მიღწევები;

• დედოლარიზაციის პროცესის ხელსეწყობა;

• სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის გაზიარებული საუკეთესო გამოცდილება;

• ციფრული ლარის ინტერნაციონალიზაციის და თავსებადობის (Interoperability) გეოეკონომიკური როლის განვითარება (Nutsubidze, 2025; Roinishvili, 2025; Shamugia, 2023; Shavishvili, 2025).

ციფრული ლარის პროექტის განხორციელების გამოწვევები შესაძლოა უკავშირდებოდეს შემდეგს:

• კომერციულ ბანკებთან კოორდინაციის სირთულის რისკი;

• საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურის ცვლილების რისკი;

• ნაკლები ტექნოლოგიური მზაობის რისკი;

• რეგულირების რისკი (მათ შორის, კიბერუსაფღთხოების რისკი); და

• დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერება (Nutsubidze, 2025; Roinishvili, 2025; Shamugia, 2023; Shavishvili, 2025).

დასკვნა

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების კონტროლი და რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. ცენტრალური ბანკების ციფრულ ვალუტის შექმნის მიზანია ფინანსური სტაბილურობისა და ეფექტური მონეტარული კონტროლის დაფუძნება. ცენტრალური ბანკების ციფრულ ვალუტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ, გაზარდონ ფინანსური სისტემების გამჭირვალობა და ხელი შეუწყონ ტრანზაქციების ხარჯების შემცირებას, და შესაბამისად, მოახდინონ ფინანსური ჩართულობის ზრდის უზრუნველყოფა. ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ თავიანთი ციფრული ვალუტების გამოყენება მონეტარული პოლიტიკის მექანიზმის გასაძლიერებლად, ფიზიკური ნაღდი ფულის მართვის ხარჯების შესამცირებლად. თუმცა, ცენტრალური ბანკები კრიტიკული გამოწვევების წინაშე დგანან. ცენტრალური ბანკების ციფრულ ვალუტებს გააჩნიათ პოტენციალი უარყოფითი გავლენა

მოახდინონ ტრადიციულ საფინანსო საბანკო სისტემებზე, მათ შორის, მოახდინონ კომერციული ბანკების პოტენციური დეზინტერმედიაცია. ასევე, იზრდება რისკები, მათ შორის: კონფიდენციალურობის დაცვის და კიბერუსაფრთხოების საფრთხეების ნაწილში.

ამასთან ერთად, მათ შესაძლოა სტრატეგიული გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მიზნები გააჩნდეთ. რისკები იზრდება ფრაგმენტირებული საერთაშორისო ფინანსური სისტემების შექმნის მიმართულებით. აღსანიშნავია რომ, ციფრული ვალუტები წარმოადგენს ფუნდამენტურ ცვლილებას გლობალურ ეკონომიკაში და ფინანსებში, რომელიც ცვლის როგორც ტრადიციული ბანკების როლს, ასევე ცენტრალური ბანკების როლს. საქართველოს ეროვნულ ბანკს, ციფრული ლარის ინიციატივის მეშვეობით, გააჩნია პოტენციალი, გახდეს წამყვანი მაგალითი სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Adrian, T., & Mancini-Griffoli, T. 2019. The rise of digital money. International Monetary Fund. Washington, DC.

Atlantic Council. 2025. Central Bank Digital Currency Tracker.

Bindseil, U., Marrazzo, M., & Sauer, S. 2023. The impact of central bank digital currency on central bank profitability, risk-taking and capital (Occasional Paper Series No. 316). European Central Bank.

European Forum Alpbach, 2024. The Geopolitics of Central Bank Digital Currency (CBDC) - Panel discussion at the EFA24.

International Monetary Fund. 2020. A survey of research on retail central bank digital currency. Monetary and Capital Markets Department, Information Technology Department.

National bank of Georgia. 2025. Digital Lari Pilot Project.

Nutsubidze, T. 2025. Central Bank Digital Currencies and Georgia's Digital Lari: Opportunities for the Development of a Business Curriculum. Speech delivered at the Eighteenth International Scientific Conference "Innovative Education in the Age of Artificial Intelligence," Gori State University, and at the XIV Scientific Conference at Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi.

Mkhatrishvili, Sh., and Wim Boonstra. 2022. What We Know on CBDCs So Far. National Bank of Georgia's working paper 01/2022, Tbilisi, Georgia.

Prasad, E. S. 2021. The future of money: How the digital revolution is transforming currencies and finance. The Belknap Press of Harvard University Press.

Quaglia, L., & Verdun, A. (2025). The geoeconomics of Central Banks Digital Currencies (CBDCs): the case of the European Central Bank (ECB). New Political Economy, 30(5), 639–651.

Roinishvili, G. 2025. The Challenge of Implementation of Central Bank Digital Currencies in Developing and Emerging Economies, Master Thesis, Caucasus School of Business, Caucasus University, Tbilisi, Georgia.

Shamugia, E. 2023. The digital lari: A new threat to freedom. Forbes Georgia.

Sharma, D., Mukherjee, et.al. 2025. The impact of digital currencies on traditional banking: A comparative study of emerging markets. European Economic Letters, Vol. 15(1).

Shavishvili, L. 2025. The Impact of Digital Currencies on Modern Corporate and Government Banking Models, Bachelor Thesis, School of Management, Kutaisi International University.

Central Bank Digital Currencies and Georgia's Digital Lari: Geopolitical and Geoeconomic Impact and Functions

Tamila Nutsubidze
PhD in Economics, Professor
Central University of Europe
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

Summary

Central Bank Digital Currency (CBDC) is the digital form of a country's fiat currency that is also a claim on the central bank. Currently, 137 countries and currency unions, representing 98% of global GDP, are exploring a CBDC. There is a new high of 49 CBDC pilot projects around the world. Three countries have fully launched a digital currency—the Bahamas, Jamaica, and Nigeria. All three countries are focused on expanding the reach of their CBDCs domestically. Emerging markets are driving global retail CBDC growth to reduce cash use, enhance financial inclusion, and improve regulatory oversight. The ECB is advancing a "global euro moment" as it pilots the digital euro, aiming to strengthen the euro's international role. Similarly, the PBoC is promoting the digital yuan as part of its strategy for a multipolar currency system. CBDCs are increasingly considered major tools in geopolitics and geoeconomics, transforming from technical initiatives into instruments of national power and strategic autonomy. National Bank of Georgia has been dynamically working on CBDC since 2020. Having studied international experience on the concept of central bank digital currency and decentralized finance, the NBG decided to initiate a digital currency pilot project. Worth mentioning that the NBG received a "CBDC Initiative" award from Central Banking, the top international publication. It is another Central Banking award for the NBG. A central bank's digital currency is more than just another means of payment. Digital Lari is expected to be a new, comfortable, modern technology-adapted means of payment. It might be also considered as a geoeconomic tool.

Keywords: Digital Currency, CBDC, Digital Lari, Geopolitics, Geoeconomics

ხელოვნური ინტელექტის (AI) აგენტებით განპირობებული ციფრული ეკონომიკის განვითარება და სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის პროგნოზირება საქართველოში

თეა მუნჯიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tmunjishvili@tsu.ge

ირაკლი გაზდელიანი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

გიორგი მესხი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgimeskhi95@gmail.com

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის (AI) აგენტებით განპირო-ბებული ციფრული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოს სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის პროგნოზირების შესაძლებლობები. კვლევა დაფუძნებულია საქართველოს, სომხეთის, მოლდოვის, ალბანეთისა და ჩრდ.მაკედონიის შედარებით ანალიზზე. AI-აგენტები განსაზღვრულია, როგორც ნახევრად ავტონომიური პროგრამული სისტემები, რომლებიც მონაცემთა შეგრო-ვების, დამუშავების, გადაწყვეტილებათა დაგეგმვისა და ციფრულ პლატფორმებ-თან ინტეგრაციის საფუძველზე უზრუნველყოფენ ეკონომიკური და ბიზნესპრო-ცესების ოპტიმიზაციას. მეთოდოლოგიური ჩარჩოში გაერთიანებულია სამეცნიერო ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვა, საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების შედარებით ანალიზი, შესაბამისი მაკროეკონომიკური ინდიკატორთა შეფასება და დასკვნის სახით წარმოდგენილია სტარატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის საპროგნოზო ინტეგრირებული მოდელი ციფრული ეკონომიკის განსავითარებლად. კვლევის შედეგად დგინდება, რომ AI-აგენტების დანერგვა ზრდის საოპე-რაციო ეფექტიანობას, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების ხარისხს, ხელს უწ-ყობს საწარმოთა მასშტაბირებასა და ციფრული პროდუქტიულობის ზრდას. საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვან შესაძლებლობებთან ერთად გამოვლინდა საწარმოთა არათანაბარი ციფრული სიმწიფე, მონაცემთა ფრაგმენ-ტაცია, კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის დეფიციტი და ინსტიტუციური კოორდინაციის შეზღუდვები. კვლევა ასაბუთებს, რომ AI-აგენტების ეკონომიკური პოტენციალის რეალიზება საჭიროებს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, გა-ნათლების, მონაცემთა მმართველობისა და ინოვაციური*

პოლიტიკის ინტეგრი-რებულ მართვას. მიღებული შედეგები ქმნის საფუძველს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების ალტერნატიული სცენარებისა და სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის პროგნოზირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *AI-აგენტები, ბიზნესგარემო, ციფრული ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა; პროგნოზირება.*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში საწარმოთა კონკურენტუნარიანობა აღარ განისაზღვრება ტრადიციული დეტერმინანტებით (შრომა, კაპიტალი და მატერიალური რესურსების მოცულობი) და სცდება მის ფარგლებს. მონაცემების, როგორც სტრატეგიული ეკონომიკური აქტივის ფორმირებამ და მისი მასივების მკვეთრმა ზრდამ, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურისა და ხელოვნური ინტელექ-ტის „ნახტომისებურმა“ განვითარებამ ფუნდამენტურად გარდაქმნა ბიზნესპროცე-სების მართვის, ოპერაციული დაგეგმვისა და კონტროლის პარადიგმები. ინფორ-მაციის რეალურ დროში დამუშავება და ბაზრის ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაცია ეკონომიკური მდგრადობისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის უმნიშვ-ნელოვანეს წინაპირობად ჩამოყალიბდა.

ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპს წარმოადგენენ ხელოვ-ნური ინტელექტის აგენტები, რომლებსაც ტრადიციული ავტომატიზაციისგან განსხვავებით, აგენტურ სისტემებს ახასიათებთ ადაპტურობა, მრავალფუნქცი-ურობა და ცვალებად გარემოში გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მათი გამოყე-ნება ხელს უწყობს საოპერაციო დანახარჯების შემცირებას, შრომის პროდუქტი-ულობის ზრდას, ანალიტიკური პროცესების დაჩქარებას, მომხმარებელზე ორიენ-ტირებული სერვისების განვითარებასა და საბოლოოდ თითოეული მათგანი კომ-ბინირებულად მოქმედებს მშპ-ს მაჩვენებელზე.



გამაძლიერებელი/შემზღუდველი ფაქტორები: ციფრული ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი, მონაცემთა ხარისხი, რეგულაცია, კიბერუსაფრთხოება.

დიაგრამა 1. AI-აგენტების ზემოქმედების მიკრო–მაკრო გადაცემის მექანიზმი

შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმის შე-ფასება, თუ როგორ უზრუნველყოფენ AI-აგენტები ბიზნესგარემოს პოზიტიურ ტრანსფორმაციას, რა კონტრიბუცია შეაქვთ მათ ციფრული ეკონომიკის გაღრმავე-ბაში და როგორია საქართველოს პოზიცია მსგავსი, მცირე გარდამავალი ეკონო-მიკის მქონე ქვეყნების შედარებით ფონზე. ამასთან, კვლევა ხაზს უსვამს, რომ AI-აგენტებით მოტანილი უპირატესობების სრულფასოვანი რეალიზებისთვის გა-დამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაფუძ-ნებული, თანმიმდევრული და მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

ნაშრომის მეთოდოლოგიური ჩარჩოში გაერთიანებულია თეორიულ-ანალი-ტიკურ და ემპირიულ-რაოდენობრივ მიდგომებს, მათ შორის სამეცნიერო ლიტერა-ტურის სისტემურ მიმოხილვას, აღწერით სტატისტიკასა და ქვეყანათაშორის შედა-რებით ანალიზს. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება AI-აგენტების გავრცელებისა და ციფრულ ეკონომიკაზე მათი გავლენის შესაფასებლად. მიღებული შედეგების საფუძველზე ფორმირდება ციფრული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრირებული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების შემუშავებასა და საქართვე-ლოს განვითარების შესაძლო ტრაექტორიების პროგნოზირებას.

ემპირიული ანალიზისთვის მიზნობრივი შერჩევით განისაზღვრა საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, ალბანეთი და ჩრდილოეთ მაკედონია, რომელ-თაც აერთიანებს მცირე, ღია და გარდამავალი ეკონომიკის სტრუქტურა, მცირე და საშუალო საწარმოთა მაღალი წილი და ციფრული ტრანსფორმაციის არათანაბარი დონე.

კვლევის ემპირიული ვალიდურობისა და საიმედოობის უზრუნველსაყო-ფად შედარებითი შეფასება ეფუძნება მსოფლიო ბანკისა (World Bank) 2024 წლის ოფიციალური სტატისტიკური ინდიკატორებს და ITU-ს ინტერნეტის გა-მოყენებისა და მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლებს, IMF-ის AI Preparedness Index-ს, Oxford Insights-ის Government AI Readiness Index 2025-ის 6 ფუნდამენტურ კომპონენტებსა და საწარმოთა სექტორული დიგიტალიზაციის კვლევებს, რაც ქვეყნების ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული მზაობის კომპლექსური შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

AI-აგენტების გამოყენების ჰარმონიზებული ეროვნული სტატისტიკა არც ერთ შერჩეულ ქვეყანაში არ ქვეყნდება. შესაბამისად, AI-მზაობა არის დანერგვის წინაპირობის და არა აგენტების მიერ შექმნილი პროდუქტის საზომი. ოთხი დაკვირვებით კორელაცია მიზეზობრიობას ვერ ადგენს; ეკონომიკურ ზრდაზე ერთდროულად მოქმედებს მოხმარება, ინვესტიცია, ტურიზმი, მიგრაცია, საგარეო მოთხოვნა და ფისკალური პოლიტიკა. სტატიაში მიღებული შედეგები ამიტომ ინტერპრეტირებულია როგორც სტრუქტურული თავსებადობა და არა AI-ის წმინდა წილი მშპ-ში.

ცხრილი 1. შერჩეული ქვეყნების შედარებითი პროფილი

ქვეყანა	AI-მზაობა, 2023	ინტ.მოხმარება, 2023–2024 (%)	რეალური მშპ-ის ზრდა, 2024 (%)	AI-აგენტების პერსპექტიული სფეროები
საქართველო	0.530	83.8	9.7	ფინანსები, e-commerce, ტურიზ-მი, პროფესიული სერვისები
სომხეთი	0.490	≈80.0	5.9	პროგრამული უზრუნველყოფა, ინჟინერია, ექსპორტული სტარ-ტაპები
ალბანეთი	0.530	≈83.0	4.0	ტურიზმი, e-commerce, მოქალა-ქეთა/კლიენტთა მომსახურება
ჩრდ. მაკედონია	0.482	≈85.0	2.8	ICT/BPO, ადმინისტრაციული ავტომატიზაცია, nearshoring

წყარო: IMF AIPI; World Bank WDI/ITU; Geostat; ქვეყნების ოფიციალური და დარგობრივი ანგარიშები.

IMF-ის ინდექსის მიხედვით, საქართველო და ალბანეთი 0.53 ქულით განვითარებადი ეკონომიკების საშუალო მაჩვენებელს (0.46) აღემატებიან, ხოლო სომხეთი (0.49) და ჩრდილოეთ მაკედონია (0.482) საშუალო მზაობის დიაპაზონში რჩებიან. საქართველოს შედარებით უპირატესობას ფინანსური და საჯარო ციფრული სერვისების სიმწიფე, ინტერნეტის ფართო გამოყენება და ICT სექტორის ზრდა განსაზღვრავს. 2024 წელს რეალური მშპ 9.7%-ით, ხოლო IV კვარტალში ინფორმაციისა და კომუნიკაციის დამატებული ღირებულება 29.7%-ით გაიზარდა,

ყველაზე რეალისტური გამოყენებაა:

- **ბანკებში** - მოთხოვნის კლასიფიკაცია და დოკუმენტების დამუშავება;
- **ტურიზმში** - მრავალენოვანი ჯავშნები და მხარდაჭერა;
- **ელექტორნულ ვაჭრობაში** - შეკვეთების, მარაგებისა და კომუნიკაციის კოორდინაცია;
- **პროფესიულ მომსახურებაში** - კვლევა, დოკუმენტის პროექტი და შიდა ცოდნის ძიება.

მთავარი შეზღუდვებია მონაცემთა ფრაგმენტაცია, მცირე საწარმოთა ციფრული სიმწიფის განსხვავება, ქართული ენის სემანტიკური შეზღუდულობა და უცხოურ პლატფორმებზე დამოკიდებულება.

სომხეთის ძლიერი ტექნოლოგიური და სტარტაპეკოსისტემა AI-აგენტებს საექსპორტო შესაძლებლობებთან აკავშირებს, თუმცა საწარმოთა 60%-ზე მეტში თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგილი არ არის, ხოლო მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება მხოლოდ 7%-ს აღწევს. ალბანეთის 0.53-იანი AI-მზაობა ტურიზმის, ელექტრონული კომერციისა და მრავალენოვანი სერვისების ავტომატიზაციის პოტენციალს ქმნის, თუმცა შედეგი დამოკიდებულია ციფრულ გადახდებზე, ლოგისტიკასა და უნარებზე. ჩრდილოეთ მაკედონიის 0.482-იანი მაჩვენებელი, განვითარებული ICT/BPO სექტორის მიუხედავად, მიუთითებს ადამიანური კაპიტალისა და მმართველობის გაძლიერების აუცილებლობაზე, რათა ტექნოლოგიური ექსპორტი ფართო პროდუქტიულობის ზრდაში აისახოს.

ანალიზი და შედეგები

AI-აგენტების, რომლებიც წარმოადგენენ გარემოს აღქმისა და მრავალსაფეხურიანი ამოცანების ავტონომიურად შესრულების სისტემებს (Russell & Norvig), რომლებიც მონაცემთა ინტეგრირებული ანალიზითა და პროცესების ავ-ტომატიზაციით (Davenport & Ronanki) ადამიანურ კაპიტალს სტრატეგიული საქ-მიანობისთვის ათავისუფლებს (Brynjolfsson & McAfee), განსაკუთრებით რელე-ვანტურია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (SMEs), რომელთა სტრუქტურუ-ლი რესურსების სიმცირე და პროცესების ფრაგმენტულობა ხშირად აფერხებს ციფ-რულ ინკლუზიას.

2024 წლის მონაცემებით საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახ-ლოებით 9.2 ათასი აშშ დოლარი იყო, რეალური ზრდა კი 9.7%-ს შეადგენდა. სომ-
ხეთში შესაბამისი მაჩვენებლები დაახლოებით 8.6 ათასი დოლარი და 5.9%, მოლ-

ცხრილი 2. შერჩეული ქვეყნების მაკროეკონომიკური და ციფრული მაჩვენებლები.

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ	მშპ ერთ სულზე, აშშ $	რეალური ზრდა, %	ინტერნეტი, %	ფართოზოლოვანი, 100 მოსახლეზე
საქართველო	3.7	≈9 200	9.7	83.8	30.4
სომხეთი	3.0	≈8 600	5.9	≈80.0	≈20.4
მოლდოვა	2.4	≈7 600	0.1	≈79.0	≈34.7
ალბანეთი	2.4	≈10 000	4.0	≈83.0	≈25.4
ჩრდ. მაკედონია	1.8	≈9 000	2.8	≈85.0	29.9

წყარო: World Bank, World Development Indicators; ავტორისეული დამრგვალება.

ხეთში შესაბამისი მაჩვენებლები დაახლოებით 8.6 ათასი დოლარი და 5.9%, მოლ-დოვაში 7.6 ათასი დოლარი და 0.1%, ალბანეთში დაახლოებით 10 ათასი დოლარი და 4.0%, ხოლო ჩრდილოეთ მაკედო-ნიაში დაახლოებით 9 ათასი დოლარი და 3.0% იყო. ინტერნეტის მომხმარებელთა წილი საქართველოში 83.8%-ს აღწევდა. სომ-ხეთსა და მოლდოვაში იგი დაახლოებით 80% და 79%, ალბანეთში 83%, ხოლო ჩრდ. მაკედონიაში 85% იყო.

2025 წლის AI-მზაობის ინდექსში საქართველოს ყველაზე ძლიერი კომპონენ-ტი მმართველობაა - 74.17 ქულა. AI-ინფრასტრუქტურა 49.35, საჯარო სექტორში დანერგვა 47.44, განვითარება და გავრცელება 27.24, მდგრადობა 34.63, ხოლო პოლიტიკის შესაძლებლობა მხოლოდ 19 ქულით ფასდება. საქართველო განვითარება-გავრცელების კომპონენტში ოთხივე შესადარებელ ქვეყანას უსწრებს, მაგრამ დაბალი აბსოლუტური ქულა გვიჩვენებს, რომ ტექნოლოგია ეკონომიკის ფართო სექტორებში ჯერ არ არის ინტეგრირებული. მოლდოვა გამოირჩევა პოლი-ტიკის შესაძლებლობით - 61.50 ქულა, საჯარო დანერგვით - 82.33 და მდგრადობით - 61.06.

დიაგრამა 2. AI-მზაობის კომპონენტების შედარებითი სითბური რუკა.

AI-მზაობის კომპონენტი	საქართველო	სომხეთი	მოლდოვა	ალბანეთი	ჩრდ. მაკედონია
პოლიტიკა	19.00	27.00	61.50	23.00	34.50
ინფრასტრუქტურა	49.35	41.02	47.55	51.21	41.12
მმართველობა	74.17	56.75	56.67	51.67	45.00
საჯარო დანერგვა	47.44	57.40	82.33	68.95	46.55

გავრცელება	27.24	24.37	22.40	24.35	24.85
მდგრადობა	34.63	27.75	61.06	41.60	38.98

ცხრილი 3. Government AI Readiness Index 2025-ის კომპონენტები (0–100).
წყარო: Oxford Insights (2026).

კვლევის არსებული მონაცემთა სტრუქტურისთვის ყველაზე შესაფერისია რეალურ სტატისტიკურ საბაზისო მაჩვენებლებზე მიბმული პირობით-სცენარული მოდელი. ეკონომეტრიკული ან ნეირონული ქსელის მოდელის გამოყენება ამ ეტაპზე მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან AI-აგენტების დანერგვის მრავალწლიანი ჰარმონიზებული მწკრივი არ არსებობს, ხოლო ქვეყანათაშორისი შერჩევა მხოლოდ ხუთ დაკვირვებას მოიცავს. შესაბამისად, პროგნოზი შეფასებულია არა AI-აგენტების მიზეზობრივ წვლილი მშპ-ში, არამედ ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის წილის ცვლილება სხვადასხვა ზრდის სცენარისა და IMF-ის მაკროპროგნოზის პირობებში.

მოდელის საწყის მნიშვნელობად გამოყენებულია საქსტატის მიერ 2025 წლისთვის გამოქვეყნებული მაჩვენებლები, სადაც ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის მშპ-ში წილის პროგნოზი გამოითვლება შემდეგი თანაფარდობით:

$$S_t^s = S_{t-1}^s \times (1 + gICT_t^s) / (1 + gGDP_t^{IMf})$$

სადაც S_t^s არის ICT სექტორის პროგნოზირებული წილი მშპ-ში შესაბამის s სცენარში; $gICT_t^s$ - სექტორის რეალური ზრდის სცენარული ტემპი; $gGDP_t^{IMf}$ - IMF-ის მიერ პროგნოზირებული რეალური მშპ-ის ზრდა. ფორმულა რეალურ მონაცემებს ემყარება, მაგრამ შედეგი პირობითია. იგი აჩვენებს სექტორის წილის ცვლილებას განსაზღვრული ზრდის დაშვებების შესრულების შემთხვევაში და არ წარმოადგენს AI-აგენტების ცალკე გაზომილ ეფექტს.

ცხრილი 4. ICT სექტორის რეალური ზრდის სცენარული დაშვებები (%)

სცენარი	**2026**	**2027**	**2028**	**2029**	**2030**
შეზღუდული	7	6	5	4	4
საბაზისო	12	10	8	7	7
დაჩქარებული	18	15	12	10	8

წყარო: ავტორთა სცენარული კალიბრაცია საქსტატის 2025 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლისა და IMF-ის 2026–2030 წლების მაკროპროგნოზის საფუძველზე.

შეზღუდული სცენარი AI-აგენტების გამოყენებას მსხვილ ბანკებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებში კონცენტრირებულად ტოვებს. საბაზისო სცენარი ითვალისწინებს მათ ეტაპობრივ ინტეგრაციას ფინანსებში, ელექტრონულ კომერციაში, ტურიზმსა და საჯარო სექტორში, დაჩქარებული სცენარი - მონაცემთა ინფრასტრუქტურის, ქართული ენის ციფრული რესურსების, პროფესიული უნარების, კვლევისა და ადგილობრივი AI-სერვისების ექსპორტის განვითარებას.

ცხრილი 5. ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის პროგნოზირებული წილი საქართველოს მშპ-ში (%)

სცენარი	**2025 ფაქტი**	**2026**	**2027**	**2028**	**2029**	**2030**
შეზღუდული	8.00	8.04	8.06	8.06	7.98	7.91
საბაზისო	8.00	8.41	8.76	9.01	9.18	9.35
დაჩქარებული	8.00	8.86	9.64	10.29	10.78	11.08

წყარო: ავტორთა გამოთვლები საქსტატის 2025 წლის ფაქტობრივი მონაცემისა და IMF-ის 2026 წლის Article IV პროგნოზის საფუძველზე.

გამოთვლების მიხედვით, შეზღუდულ სცენარში ICT სექტორის წილი 2026–2028 წლებში დაახლოებით 8%-ის ფარგლებში ნარჩუნდება და 2030 წლისთვის 7.91%-მდე მცირდება, რაც სექტორის რეალურ შემცირებას კი არა, მთლიანი ეკონომიკის ზრდასთან შედარებით მის შედარებით ნელ დინამიკას ასახავს. საბაზისო სცენარში მაჩვენებელი 8.41%-დან 9.35%-მდე, ხოლო დაჩქარებულ სცენარში 11.08%-მდე იზრდება. ყველაზე რეალისტურ ცენტრალურ პროგნოზად საბაზისო სცენარი განიხილება, რომლის მიხედვითაც AI-აგენტების საწყისი ეფექტი საოპერაციო ეფექტიანობასა და მომსახურების სისწრაფეში ვლინდება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში - პროდუქტიულობის, ციფრული ექსპორტისა და ადგილობრივი დამატებული ღირებულების ზრდაში.

ამ შედეგებიდან გამომდინარე, სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეფასდეს არა შეძენილი AI ლიცენზიების ან განხორციელებული საპილოტე პროექტების რაოდენობით, არამედ საწარმოთა პროდუქტიულობის, შეცდომების შემცირების, მომსახურების დროის, ციფრული გაყიდვების, ექსპორტისა და მაღალკვალიფიციური დასაქმების ცვლილებით. აუცილებელია საწარმოთა AI-ის გამოყენების ყოველწლიური ეროვნული სტატისტიკის წარმოება ზომის, სექტორისა და რეგიონის მიხედვით.

დასკვნა

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ AI-აგენტები საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, თუმცა მათი მაკროეკონომიკური ეფექტი დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიის დანერგვაზე, არამედ მონაცემთა ხარისხზე, ადამიანურ კაპიტალზე, კიბერუსაფრთხოებასა და ინსტიტუციურ კოორდინაციაზე. შედარებითი ანალიზით საქართველო საშუალო AI-მზაობის მქონე ქვეყნებს შორის შედარებით ხელსაყრელ პოზიციას იკავებს, განსაკუთრებით ფინანსური და საჯარო ციფრული სერვისების მიმართულებით. სცენარული პროგნოზი აჩვენებს, რომ ყველაზე რეალისტურ საბაზისო ტრაექტორიაში ICT სექტორის წილი თანდათან იზრდება. შესაბამისად, AI-აგენტების ეკონომიკური პოტენციალის რეალიზება მოითხოვს მიზანმიმართულ, ინკლუზიურ და ეროვნულ პრიორიტეტებთან შეთანხმებულ სტრატეგიულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

საქართველოსთვის ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეტაპობრივ მცირე და საშუალო საწარმოთა მიზნობრივ მხარდაჭერას, უნივერსიტეტებისა და პროფესიული განათლების სექტორულ მოთხოვნებთან დაკავშირებას, ქართული ენის ციფრული რესურსების განვითარებას, უსაფრთხო მონაცემთა სივრცეების შექმნასა და ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი AI-ეკოსისტემის ფორმირებას. მხარდაჭერა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ლიცენზიების დაფინანსებით.

გამოყენებული ლიტერატურა

Russell, S., & Norvig, P. (2021). Artificial Intelligence: A Modern Approach (4th ed.). Pearson.

IMF. (2024/2026 update). AI Preparedness Index (AIPI). https://www.imf.org/external/datamapper/AI_PI@AIPI

National Statistics Office of Georgia. (2025). Gross Domestic Product of Georgia in 2024. https://www.geostat.ge/media/74981/Gross-Domestic-Product-of-Georgia_--2024.pdf

World Bank. (2025). Armenia's Digital Technology Adoption by Firms. https://www.worldbank.org/en/country/armenia/publication/armenia-s-digital-technology-adoption-by-firms

World Bank. Albania E-Commerce Diagnostic. https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/299793f6-ddec-5294-aee4-06963c7f19f8

U.S. International Trade Administration. (2026). North Macedonia—Computer and Information Technology Equipment. https://www.trade.gov/country-commercial-guides/north-macedonia-computer-and-information-technology-equipment

Kommersant. (2025). Эксперты ИСИЭЗ спрогнозировали вклад ИИ в ВВП РФ к 2035 году. https://www.kommersant.ru/doc/7564465

Sber Developers. Искусственный интеллект в экономике: влияние, внедрение и технологии будущего. https://developers.sber.ru/help/business-development/artificial-intelligence-in-economics

Sber.Pro. (2026). Двигатель экономики. Генеративный ИИ: от ажиотажа к промышленному стандарту. https://sber.pro/publication/dvigatel-ekonomiki-generativni-ii-ot-azhiotazha-k-promishlennomu-standartu/

World Bank. World Development Indicators: Internet use, ICT service exports and GDP growth. https://data.worldbank.org/

Digital Economy Development Driven by Artificial Intelligence (AI) Agents and Strategic Economic Policy Forecasting in Georgia

Tea Munjishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tmunjishvili@tsu.ge

Irakli Gazdeliani
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

Giorgi Meskhi
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgimeskhi95@gmail.com

Summary

The paper examines the development trends of the digital economy driven by artificial intelligence (AI) agents and the possibilities for forecasting Georgia's strategic economic policy. The study is based on a comparative analysis of Georgia, Armenia, Moldova, Albania, and North Macedonia. AI agents are defined as semi-autonomous software systems that optimize economic and business processes through data collection and processing, decision planning, and integration with digital platforms. The methodological framework combines a systematic review of the scientific literature, comparative analysis of international statistical data, and an assessment of relevant macroeconomic indicators. Based on the findings, an integrated forecasting model of strategic economic policy aimed at supporting digital economic development is proposed. The results indicate that the adoption of AI agents enhances operational efficiency, improves the quality of decision-making, facilitates enterprise scalability, and contributes to increased digital productivity. In the case of Georgia, alongside significant opportunities, the study identifies uneven levels of digital maturity among enterprises, fragmented data systems, a shortage of qualified human capital, and limited institutional coordination. The paper argues that realizing the economic potential of AI agents requires the integrated management of technological infrastructure, education, data governance, and innovation policy. The findings provide a basis for developing alternative scenarios for Georgia's digital economic development and forecasting strategic economic policy.

Keywords: AI agents, business environment, digital economy, economic policy, forecasting.

ქართული ციფრული პლატფორმები: ელექტრონული კომერციის ეკოსისტემის ფორმირება და განვითარების გამოწვევები

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი,
თბილისი, საქართველო
ORCID 0009-0002-8637-2106
n.grigolaia@ssu.edu.ge

ანოტაცია. ციფრული ტრანსფორმაცია XXI საუკუნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც ცვლიან ტრადიციულ ბიზნესმოდელებს, ამცირებენ ტრანზაქციულ ხარჯებს, აუმჯობესებენ ბაზრის მონაწილეებს შორის კავშირს და ხელს უწყობენ ინოვაციური ეკონომიკური ეკოსისტემების ჩამოყალიბებას. საქართველოში ელექტრონული კომერციის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ციფრული პლატფორმების როლი, თუმცა სექტორი კვლავ აწყდება ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ, ინფრასტრუქტურულ და მარეგულირებელ გამოწვევებს.

სტატიის მიზანია საქართველოს ციფრული პლატფორმების ეკოსისტემის შეფასება, ელექტრონული კომერციის განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზი, 2024–2026 წლების სტატისტიკური მონაცემების განხილვა და სექტორის განვითარების ძირითადი შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოვლენა. კვლევა ეფუძნება აღწერით, შედარებით და სისტემურ ანალიზს, აგრეთვე ოფიციალური სტატისტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებისა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ელექტრონული კომერცია სწრაფი ტემპით ვითარდება, იზრდება ადგილობრივი პლატფორმების მნიშვნელობა, ფართოვდება ციფრული გადახდების გამოყენება და ყალიბდება პლატფორმული ბიზნესის ახალი მოდელები. ამავე დროს, მნიშვნელოვანი გამოწვევებია კიბერუსაფრთხოება, პერსონალური მონაცემების დაცვა, რეგიონებს შორის ციფრული უთანასწორობა, მცირე და საშუალო საწარმოთა არასაკმარისი ციფრიზაცია და საერთაშორისო კონკურენციის ზრდა. სტატიის დასკვნებში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია ქართული ციფრული პლატფორმების კონკურენტუნარიანობისა და ელექტრონული კომერციის ეკოსისტემის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისკენ.

საკვანძო სიტყვები: ციფრული პლატფორმები, ელექტრონული კომერცია, პლატფორმული ეკონომიკა, ციფრული ტრანსფორმაცია, საქართველო, სავაჭრო პლატფორმა, ფინტექი

პრობლემის აქტუალურობა. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურა და ბიზნესის

ფუნქციონირების პრინციპები. ინტერნეტის, მობილური ტექნოლოგიების, ღრუბლოვანი გამოთვლების, ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების (Big Data) ფართო გამოყენებამ შექმნა ახალი ეკონომიკური გარემო, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ციფრულმა პლატფორმებმა. ისინი აღარ წარმოადგენენ მხოლოდ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, არამედ თანამედროვე ეკონომიკის ძირითად ინფრასტრუქტურულ ელემენტებად იქცნენ, რომლებიც აკავშირებენ მწარმოებლებს, მომხმარებლებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ერთიან ციფრულ ეკოსისტემაში.

ელექტრონული კომერცია წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ მიმართულებას. ბოლო წლებში, განსაკუთრებით COVID-19-ის პანდემიის შემდგომ პერიოდში, ონლაინ ვაჭრობამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. საქართველოც ამ ტენდენციის ნაწილია. გაიზარდა ონლაინ შესყიდვების რაოდენობა, განვითარდა ელექტრონული გადახდის სისტემები, გაძლიერდა მიწოდების სერვისები და შეიქმნა ახალი ციფრული პლატფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების ონლაინ რეალიზაციას.

ქართული ციფრული პლატფორმების განვითარებას ხელს უწყობს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდა, მობილური ინტერნეტის გავრცელება, საბანკო სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია და მომხმარებელთა ქცევის ცვლილება. ამასთანავე, სექტორის განვითარებას კვლავ აფერხებს რიგი ფაქტორები, მათ შორის მცირე შიდა ბაზარი, რეგიონული ციფრული უთანასწორობა, კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები და მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი დიგიტალიზაცია.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ციფრული პლატფორმების განვითარების შესახებ არსებული კვლევები უმეტესად განიხილავს ცალკეულ სექტორებს, მაშინ როდესაც პლატფორმების ეკოსისტემის კომპლექსური შეფასება, მათი კლასიფიკაცია და ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის ანალიზი ჯერ კიდევ შეზღუდულია. აღნიშნული გარემოება განსაზღვრავს კვლევის მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის მიზანია საქართველოს ციფრული პლატფორმების ეკოსისტემის შეფასება, ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციების ანალიზი, ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

კვლევის ამოცანებია:

- ციფრული პლატფორმებისა და ელექტრონული კომერციის თეორიული საფუძვლების განხილვა;
- ბაზრის მასშტაბისა და დინამიკის დახასიათება;
- ეკოსისტემის სტრუქტურული ელემენტების: პლატფორმების, გადახდის სისტემებისა და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი; განვითარების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ლიტერატურის, ეროვნული სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, ბანკების კვლევითი დეპარტამენტების (Galt & Taggart), სახელმწიფო უწყებების (ციფრული მმართველობის სააგენტო, კონკურენციისა და

მომხმარებლის დაცვის სააგენტო) და დარგობრივი ასოციაციების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებსა და ანგარიშებს.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც აკადემიურ კვლევებში, ისე სახელმწიფო პოლიტიკის, ბიზნესის და ციფრული პლატფორმების განვითარების სტრატეგიების შემუშავების პროცესში.

პლატფორმული ბიზნესის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდამ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ეკონომიკაში. ტრადიციული ხაზოვანი ბიზნესმოდელებისგან განსხვავებით, პლატფორმული ბიზნესმოდელები ქმნიან მრავალმხრივ ციფრულ ბაზრებს, სადაც სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლები ურთიერთქმედებენ საერთო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის საშუალებით.

ციფრული პლატფორმის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ განმარტებას გვთავაზობენ Parker, Van Alstyne და Choudary (2016), რომელთა მიხედვითაც პლატფორმა წარმოადგენს ბიზნესმოდელს, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფებს შორის ღირებულების შექმნასა და გაცვლას. პლატფორმის მთავარი ფუნქცია აღარ არის მხოლოდ პროდუქტის წარმოება, არამედ ეკოსისტემის შექმნა, სადაც მონაწილეები ერთობლივად ქმნიან ეკონომიკურ ღირებულებას (Kharaishvili & Lobzhanidze, 2024).

Gawer (2021) აღნიშნავს, რომ ციფრული პლატფორმები თანამედროვე ეკონომიკაში წარმოადგენენ ინოვაციის კატალიზატორებს, რადგან ისინი აერთიანებენ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, მომხმარებელთა ქსელს და მესამე მხარის მონაწილეებს. სწორედ ამ მახასიათებლით განსხვავდება პლატფორმული ეკონომიკა ტრადიციული ბიზნესმოდელებისგან.

ქსელური ეფექტების თეორიული საფუძვლები ჯერ კიდევ Katz-მა და Shapiro-მ (1985) ჩამოაყალიბეს, რომლებმაც აჩვენეს, რომ პროდუქტის ღირებულება იზრდება მისი მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად — ეს პრინციპი პლატფორმული ეკონომიკის ერთ-ერთ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. პლატფორმის არქიტექტურისა და მმართველობის საკითხებს დეტალურად იხილავს Tiwana (2014), რომელიც ყურადღებას ამახვილებს ეკოსისტემის მონაწილეთა შორის კოორდინაციისა და მართვის მექანიზმებზე.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ციფრული პლატფორმები ქმნიან ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ცვლიან ბიზნესმოდელებს და გავლენას ახდენენ შრომის ბაზრის სტრუქტურაზე (Grigolaia & Aduashvili, 2025).

საქართველოში ციფრული პლატფორმების განვითარება დაკავშირებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან, არამედ ახალი ბიზნესსტრატეგიების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც ეფუძნება ქსელურ ეფექტებს, მომხმარებელთა ბაზის გაფართოებასა და ეკოსისტემურ მიდგომას (Grigolaia & Aduashvili, 2025).

საქართველოს ელექტრონული კომერციის ბაზარი 2018-2024 წლებში ათჯერ გაიზარდა და 3.5 მილიარდ ლარს მიაღწია, საიდანაც 60.9% ადგილობრივ გაყიდვებზე მოდიოდა, ხოლო 39.1% საზღვარგარეთიდან განხორციელებულ შესყიდვებზე. 2025 წლის პირველ ნახევარში ზრდის ტემპმა 40.6%-ს მიაღწია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რის საფუძველზეც წლის ბოლოსთვის ბაზრის მოცულობა 4.7 მილიარდ ლარამდე იზრდება. Galt & Taggart-ის პროგნოზით, 2030 წლისთვის ბაზარი 10.7 მილიარდ

ლარს მიაღწევს საშუალო წლიური 20.5%-იანი ზრდის ტემპით, რაც ელექტრონული კომერციის წილს საცალო ვაჭრობის საერთო ბრუნვაში დაახლოებით 8%-დან 13%-მდე გაზრდის. ონლაინ გაყიდვების განმახორციელებელ ქართულ კომპანიათა რაოდენობამ 2025 წელს 10 000-ს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ბაზარზე მნიშვნელოვანი დისბალანსია: ქართველი მომხმარებლები საერთაშორისო პლატფორმებზე საშუალოდ სამჯერ მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე ადგილობრივ საიტებზე, რაც მიუთითებს ადგილობრივი შეთავაზების - ასორტიმენტის, ფასისა და მომხმარებლის გამოცდილების - შედარებით ჩამორჩენაზე გლობალურ მოთამაშეებთან შედარებით. ამასთან, ონლაინ მოვაჭრეთა წილი მთლიან მოსახლეობაში საქართველოში კვლავ დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა ახალგაზრდა თაობა (15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) ციფრულ ვაჭრობას მნიშვნელოვნად უფრო აქტიურად ითვისებს, ვიდრე უფროსი თაობები(Galt & Taggart, 2025).

საქართველოს ელექტრონული კომერციის ეკოსისტემა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული სეგმენტისგან შედგება. მომსახურების სექტორში დომინანტურ პოზიციას იკავებენ საერთაშორისო კომპანიები - Wolt, Glovo, Bolt და Yandex, რომელთა ბაზარზე შემოსვლა ბოლო წლების განმავლობაში ელექტრონული კომერციის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი გახდა. ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებენ ბილეთების გაყიდვის პლატფორმებიც, როგორებიცაა biletebi.ge და tkt.ge.

საქონლით ვაჭრობის სეგმენტში ჩამოყალიბდა რამდენიმე ადგილობრივი სავაჭრო პლატფორმა, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ ბიზნესმოდელს იყენებს. Extra.ge წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს B2C სავაჭრო პლატფორმას ფართო პროდუქციული ასორტიმენტით, Mymarket.ge ორიენტირებულია C2C სეგმენტზე ახალი და მეორადი ნივთების ვაჭრობაში, ხოლო Veli.store 2021 წელს დაარსების შემდეგ სწრაფად მოიპოვა პოზიციები სწრაფი მიწოდების სერვისის საშუალებით. საინტერესო მაგალითია Vendoo.ge - TBC ბანკის მიერ 2018 წელს დაფუძნებული მრავალწევრიანი სავაჭრო პლატფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შედის ფინანსური ინსტიტუტები უშუალოდ ელექტრონული კომერციის ინფრასტრუქტურის შექმნაში.

ეკოსისტემის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს ფინანსური ინფრასტრუქტურა. საქართველო მსოფლიოს პირველ ათეულში შედის უკონტაქტო გადახდების გავრცელების მაჩვენებლით, რაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, ციფრული ბიზნესისა და ფინტექის განვითარებისთვის ხელსაყრელ საფუძველს ქმნის. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივები ღია ბანკინგის დანერგვის მიმართულებით მიზნად ისახავს მონაცემებზე დაფუძნებული, მომხმარებელზე მორგებული საბანკო სერვისების განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ონლაინ გადახდების შემდგომ ინტეგრაციასა და გამარტივებას. ამასთან ერთად, კომერციული ბანკები (თიბისი, საქართველოს ბანკი) აქტიურად სთავაზობენ ბიზნესს ონლაინ ექვაირინგისა და ინტერნეტ-გადახდის სერვისებს, რაც წვრილი და საშუალო ბიზნესისთვის ონლაინ სავაჭრო პლატფორმაზე გასვლის ბარიერს ამცირებს.

საბოლოოდ, ეკოსისტემის ნაწილს წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის სეგმენტიც. 2024-2025 წლებში საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდნენ

საერთაშორისო გიგანტები, მათ შორის Temu, Wildberries.ge და Ozon.ru, რომელთაც უკვე ათობით გაცემის პუნქტი გახსნეს ქვეყნის მასშტაბით. ამ პლატფორმების სწრაფმა გავრცელებამ არსებითად შეცვალა კონკურენტული გარემო და დამატებითი წნეხი შეუქმნა ადგილობრივ მოვაჭრეებს.

ეკოსისტემის ფორმირების პარალელურად ვითარდებოდა შესაბამისი მარეგულირებელი ბაზაც. 2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, რომელიც ევროკავშირის შიდა ბაზარზე საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების შესახებ დირექტივის პრინციპებს ეყრდნობა და რომელიც 2024 წლიდან სრულად ამოქმედდა. კანონის მიზანია ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა, სავაჭრო პლატფორმის მომხმარებელთა უფლებების დაცვა და შუალედური მომსახურების მიმწოდებელთა (სავაჭრო პლატფორმების) უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. კანონი მოქმედებს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებზე და, გარკვეულ პირობებში, უცხოური კომპანიების ადგილობრივ ფილიალებზეც. კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო პასუხისმგებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და დარღვევებზე რეაგირებაზე.

ამასთან, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონი ერთობლივად ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს ონლაინ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. პარალელურად, ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ შემუშავებული „საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2024-2029“ ფართო კონტექსტში ისახავს მიზნად სახელმწიფო სერვისების გაციფრულებას, ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვასა და მოსახლეობის ციფრული ჩართულობის გაზრდას, რაც ირიბად უწყობს ხელს კერძო სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასაც. ინსტიტუციური ჩარჩოს დასრულებულობის მიუხედავად, პრაქტიკაში აღსრულების მექანიზმები ჯერ კიდევ ვითარდება, განსაკუთრებით უცხოური პლატფორმების მიმართ, რომელთა საქმიანობის ზედამხედველობა ეროვნული სააგენტოებისთვის ტექნიკურად და იურიდიულად უფრო რთულია.

რაც შეეხება ელექტრონული კომერციის ეკოსისტემის განვითარების ძირითად გამოწვევებს, ესენია:

- **ლოგისტიკა და მიწოდების ინფრასტრუქტურა.** ლოჯისტიკა და მიწოდების დრო რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად ქართული ელექტრონული კომერციისთვის. მკვლევართა შეფასებით, მთავარ პრობლემებს შორისაა მიწოდების ხანგრძლივობა და რეგიონული დაფარვის არასრულყოფილება, კურიერების დეფიციტი და უთანასწორო ინფრასტრუქტურა თბილისსა და რეგიონებს შორის. სუპერმარკეტების ონლაინ პლატფორმების შედარებით სუსტი განვითარების პირობებში, საკვების მიწოდების სერვისებმა (Wolt, Glovo) დამატებით აითვისეს სასურსათო და ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდების ფუნქციაც, რაც აჩვენებს ბაზრის სტრუქტურულ დისბალანსს - სპეციალიზებული ლოჯისტიკური გადაწყვეტილებების ნაცვლად ერთი ტიპის პლატფორმა ფარავს რამდენიმე ფუნქციას ერთდროულად.
- **მომხმარებელთა ნდობა და ადგილობრივი ბრენდის კონკურენტუნარიანობა.** პროდუქტის ხარისხისა და ბრენდის საიმედოობის მიმართ მომხმარებელთა ნდობის

დაბალი დონე კვლავ ერთ-ერთ ძირითად ბარიერად რჩება ადგილობრივი ონლაინ ვაჭრობის ზრდისთვის. კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი მომხმარებელი საერთაშორისო პლატფორმებზე ტრანზაქციაზე საშუალოდ სამჯერ მეტ თანხას ხარჯავს, ვიდრე ადგილობრივ საიტებზე, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ფასით, არამედ პროდუქციის მრავალფეროვნებითა და მომხმარებლის უკეთესი გამოცდილებით გლობალურ პლატფორმებზე. ამასთან, მეწარმეთა ნაწილი კვლავ სოციალურ ქსელებს (Facebook) იყენებს ონლაინ ვაჭრობის სპეციალიზებული პლატფორმების ნაცვლად, ხოლო ანგარიშსწორება ხშირად ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან პირადი გადარიცხვის გზით, რაც ართულებს არა მხოლოდ მომხმარებელთა ნდობის ჩამოყალიბებას, არამედ ბაზრის ზუსტ სტატისტიკურ შეფასებასაც.

- **საერთაშორისო კონკურენცია და სამართლიანი ვაჭრობის საკითხები** საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმების (Temu, Wildberries, Ozon, AliExpress, SHEIN) აგრესიულმა შემოსვლამ ბაზარზე მნიშვნელოვნად გაამწვავა კონკურენცია ადგილობრივ პლატფორმებთან. 2025 წელს ელექტრონული კომერციის ასოციაციამ კონკურენციის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს მიმართა საეჭვო დემპინგური პრაქტიკის თაობაზე, რაც უკავშირდება სახელმწიფო საფოსტო ოპერატორის მიერ საერთაშორისო პლატფორმებისთვის შეთავაზებულ პირობებს. ასოციაციის განცხადებით, 2025 წელს ადგილობრივმა ონლაინ მაღაზიებმა ბრუნვის კლება განიცადეს მიუხედავად ბაზრის საერთო ზრდისა, რაც ცხადყოფს, რომ დღეს არსებული ზრდის ძირითადი წყარო საერთაშორისო კომერციის გაძლიერებაა და არა ადგილობრივი ბიზნესის განვითარება. ეს ტენდენცია პირდაპირ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვას სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გამოყენებისას.
- **ციფრული უნარები და ჩართულობის უთანასწორობა.** ელექტრონული კომერციის მოხმარებაში მკვეთრი ასაკობრივი და გეოგრაფიული უთანასწორობა შეინიშნება. 2020 წლის მონაცემებით, 15-29 წლის ახალგაზრდების 37.3%-ს ჰქონდა ონლაინ შესყიდვის გამოცდილება, ხოლო 60 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 6.5%-ს შეადგენდა. ანალოგიურად, ონლაინ ვაჭრობა მნიშვნელოვნად უფრო აქტუალურია ქალაქის მოსახლეობისთვის, ვიდრე სოფლისთვის, რაც ინტერნეტ ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასთან და ციფრული წიგნიერების დაბალ დონესთანაა დაკავშირებული. საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია ამ პრობლემას ცალკე პრიორიტეტად გამოყოფს, თუმცა კერძო სექტორის დონეზე მიზანმიმართული ინტერვენციები - ციფრული წიგნიერების პროგრამები ხანდაზმული და სასოფლო მოსახლეობისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში - ჯერ კიდევ არასაკმარისია.
- **მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება.** ონლაინ ტრანზაქციების მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება მონაცემთა უსაფრთხოებისა და თაღლითობის რისკებიც. საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად აქვეყნებს გაფრთხილებებს მომხმარებლებისთვის ყალბი გათამაშებებისა და ფიშინგის შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს პირადი მონაცემებისა და საბანკო ინფორმაციის მოპარვას მისი სახელით. მიუხედავად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და სანდო მომსახურებების სამართლებრივი ბაზის არსებობისა, ბიზნესის მხრიდან კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტების პრაქტიკული დანერგვა არათანაბრად ხორციელდება,

რაც განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ონლაინ მოვაჭრეებში მომხმარებელთა ნდობის დამატებით შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

დასკვნა და რეკომენდაციები. საქართველოს ციფრული პლატფორმების ეკოსისტემა ბოლო ათწლეულში სტრუქტურული სიმწიფის ეტაპს მიაღწია: ჩამოყალიბდა მრავალფეროვანი ადგილობრივი მარკეტფლეისების ქსელი, განვითარდა ონლაინ გადახდების ინფრასტრუქტურა, მიღებულ იქნა სპეციალიზებული საკანონმდებლო ჩარჩო და ამოქმედდა ციფრული მმართველობის სტრატეგიული დოკუმენტი. ამასთან ერთად, ბაზრის სწრაფი რაოდენობრივი ზრდა ეფარდება ხარისხობრივ დისბალანსს - ზრდის ძირითადი წყარო სულ უფრო მეტად საერთაშორისო კომერციაზე გადადის, ხოლო ადგილობრივი პლატფორმები ჯერ კიდევ ვერ უმკლავდებიან საკვანძო სტრუქტურულ ბარიერებს: ლოჯისტიკურ შეზღუდვებს, მომხმარებელთა დაბალ ნდობას, არათანაბარ საერთაშორისო კონკურენციასა და ციფრული ჩართულობის რეგიონულ და ასაკობრივ უთანასწორობას.

კვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

- ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში, კერძოდ, კურიერული სერვისების ქსელის გაფართოება დედაქალაქის ფარგლებს გარეთ;
- „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონის აღსრულების მექანიზმების გაძლიერება, განსაკუთრებით უცხოური პლატფორმების მიმართ სამართლიანი კონკურენციისა და სახელმწიფო ინფრასტრუქტურის არადისკრიმინაციული გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- ადგილობრივი მოვაჭრეებისთვის ციფრულ ინსტრუმენტებზე (ელექტრონული ხელმოწერა, ონლაინ ექვაირინგი, მონაცემთა დაცვის სტანდარტები) წვდომის გამარტივება და შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების დანერგვა;
- ციფრული წიგნიერების მიზნობრივი პროგრამების გაფართოება ხანდაზმული და სასოფლო მოსახლეობისთვის ჩართულობის უთანასწორობის შესამცირებლად.

ამ მიმართულებების ერთობლივი განხორციელება წარმოადგენს წინაპირობას იმისთვის, რომ საქართველოს ციფრული პლატფორმების ეკოსისტემამ არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდის, არამედ მდგრადი და დაბალანსებული განვითარების ტრაექტორია აირჩიოს.

მომავალში ქართული ციფრული პლატფორმების წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ტექნოლოგიური ინოვაციების, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებისა და ეკოსისტემური ბიზნესმოდელების ეფექტიან გაერთიანებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Bank of Georgia. (2026, January 27). ელექტრონული კომერცია საქართველოში: რა შეიცვალა და რას უნდა ველოდოთ? Bank of Georgia Blog. https://bankofgeorgia.ge/blog/biznesi/inovaciebi-da-startapebi/eleqtronuli-komerciis-ga/

Commersant.ge. (2026, January 15). არსებობს ეჭვები, რომ „საქართველოს ფოსტა“ Temu-ს დემპინგური ფასებით ემსახურება — ელექტრონული კომერციის ასოციაცია.

https://commersant.ge/news/busuness/arsebobs-echvebi-rom-saqartvelos-fosta-temu-s-dempinguri-fasebit-emsakhureba-eleqtronuli-komertsiis-asotsiatsia

Digital Governance Agency of Georgia [DGA]. (2024). საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2024–2029 წწ. https://dga.gov.ge/files/adzFNv0yjHUf.pdf

Galt & Taggart. (2021, July). E-commerce in Georgia [Research report]. Bank of Georgia Research. https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-07/report/e-commerce-in-georgia_july-2021_geo.pdf

Galt & Taggart. (2025). ელექტრონული კომერცია საქართველოში [Research report]. https://galtandtaggart.com/ka-ge/report/e-commerce-in-georgia-2/

Gawer, A. (2021). Digital platforms and ecosystems: Remarks on the dominant organizational forms of the digital age. *Innovation, 24*(1), 110–123.

Georgian National Competition and Consumer Agency [GNCA]. (2024). „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2024 წლიდან სრულად ამოქმედდა. https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1431

Georgian National Competition and Consumer Agency [GNCA]. (2024). ელექტრონული კომერციის სახელმძღვანელო. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpd9L9oj.pdf

Georgia24.ge. (2026). ტოპ 10 საქართველოს ელექტრონული კომერციის ვებსაიტი: მარკეტფლეისებისა და სავაჭრო პლატფორმების მიმოხილვა. https://georgia24.ge/article/top-10-sakartvelos-elektronuli-komertsiis-vebsaiti-marketfleisebisa-da-savachro-platformebis-mimokhilva

Grigolaia, N. & Aduashvili, L. (2025). Gig Economy in Georgia: New Labor Market Dynamics and Social Challenges. *International Journal of Management and Organizational Research*, 4(6), 14-22. https://doi.org/10.54660/IJMOR.2025.4.6.14-22

Grigolaia, N. & Aduashvili, L. (2025). Modern Business Transformation: Digital Platforms and the Gig Economy. *Iverioni*, ISBN: 978-9941-8-8381-1

Grigolaia, N., & Alania, M. (2026). The Georgian Digital Ecosystem: An Analysis of Business Strategies of Platform Companies.

International Finance Corporation & World Bank. (2023). განახლებადი ენერგია, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, და ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის საკვანძო სექტორებია [Press release]. https://www.ifc.org/ka/pressroom/2023/27948

Katz, M. L., & Shapiro, C. (1985). Network externalities, competition, and compatibility. *American Economic Review, 75*(3), 424–440.

Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2024). Digital Transformation in Small and Medium-sized Enterprises: New Approaches and Challenges (focus: agricultural sector of Georgia). Medicon Agriculture & Environmental Sciences, 6(1). DOI: 10.55162/MCAES.06.15

Parker, G. G., Van Alstyne, M. W., & Choudary, S. P. (2016). Platform revolution: How networked markets are transforming the economy and how to make them work for you. New York, NY: W. W. Norton & Company. https://www.scirp.org/reference/referencespapers?referenceid=3283796

Parliament of Georgia. (2023). ელექტრონული კომერციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/327707

stack.ge / FutureHub.ge. (2025). ელექტრონული კომერცია და მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოს ბაზარზე. https://stack.ge/futurehub/2025/business-research/32/

Tiwana, A. (2014). Platform Ecosystems Aligning Architecture, Governance, and Strategy. Morgan Kaufmann Publishers Inc. https://doi.org/10.1016/C2012-0-06625-2

Georgian Digital Platforms: Formation of the E-Commerce Ecosystem and Development Challenges

Nino grigolaia
Doctor of Economics, Professor
Alte university
ORCID 0009-0002-8637-2106
n.grigolaia@alte.edu.ge

Abstract

Digital transformation has become one of the primary driving forces of economic development in the 21st century. In this process, a special significance is attributed to digital platforms, which reshape traditional business models, reduce transaction costs, improve connectivity among market participants, and foster the formation of innovative economic ecosystems. The rapid development of e-commerce in Georgia has substantially increased the role of both local and international digital platforms; however, the sector still faces technological, institutional, infrastructural, and regulatory challenges.

The purpose of this article is to assess Georgia's digital platform ecosystem, analyze contemporary trends in e-commerce development, review statistical data from 2024–2026, and identify the key opportunities and challenges facing the sector. The research is based on descriptive, comparative, and systemic analysis, as well as the study of official statistics, reports from international organizations, and the latest scientific literature.

The research findings demonstrate that e-commerce in Georgia is developing at a rapid pace, the importance of local platforms is growing, the use of digital payments is expanding, and new models of platform business are emerging. At the same time, significant challenges remain, including cybersecurity, personal data protection, digital inequality between regions, insufficient digitization of small and medium-sized enterprises (SMEs), and rising international competition. The conclusions of the article provide recommendations aimed at enhancing the competitiveness of Georgian digital platforms and promoting the sustainable development of the e-commerce ecosystem.

Keywords: Digital platforms, E-commerce, Platform economy, Digital transformation, Georgia, Trading platform, Fintech.

ღია ბანკინგის განვითარების შეფასება კომპოზიციური ინდექსის საფუძველზე

ანა ლაფაჩი
ბაკალავრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ana.lapachi@iset.ge

ანოტაცია. *ღია ბანკინგი თანამედროვე ფინანსური სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც მომხმარებლის თანხმობაზე დაფუძნებული მონაცემთა უსაფრთხო გაზიარების გზით ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას, ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებას და ინოვაციური მომსახურების შექმნას. სხვადასხვა ქვეყანაში მისი განვითარების დონე განსხვავებულია სამართლებრივი, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური გარემოს თავისებურებების გამო, რაც საჭიროებს შეფასების ერთიან მეთოდოლოგიას. ნაშრომის მიზანია ღია ბანკინგის ორიგინალური ინდექსის შეფასების მეთოდოლოგიის განხილვა და მისი გამოყენებით ქვეყნების განვითარების დონის შედარებითი ანალიზი. ინდექსი ეფუძნება 1.0-4.0 ქულიან სკალას და მოიცავს ხუთ ძირითად განზომილებას: მარეგულირებელ ჩარჩოს, ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, მომხმარებელთა და ბიზნესის ჩართულობას, ეკოსისტემის სრულყოფას და მმართველობის არქიტექტურას. შეფასება ხორციელდება კონიუნქციური მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვით საბოლოო ქულა განისაზღვრება მხოლოდ ყველა კრიტერიუმის ერთდროული დაკმაყოფილების შემთხვევაში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ინდექსი ეფექტიანად ასახავს ღია ბანკინგის განვითარების დინამიკას და საერთაშორისო მარეგულირებელ ცვლილებებს, მათ შორის ღია ფინანსების მოდელის განვითარებას. შესაბამისად, იგი წარმოადგენს სანდო და პრაქტიკულად გამოყენებად ინსტრუმენტს როგორც აკადემიური კვლევებისთვის, ისე ფინანსური სექტორის პოლიტიკისა და საერთაშორისო შედარებითი ანალიზისთვის.*

საკვანძო სიტყვები: *ღია ბანკინგი, ღია ბანკინგის ინდექსი, ღია ფინანსები, PSD2, API, ფინანსური ტექნოლოგიები.*

შესავალი

ფინანსური სექტორის ციფრულმა ტრანსფორმაციამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საბანკო მომსახურების ორგანიზების და მიწოდების ფორმებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ფინანსური ტექნოლოგიების გაფართოებამ და მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებამ ტრადიციული საბანკო მოდელები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. აღნიშნული პროცესების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა ღია ბანკინგი (Open Banking), რომელიც თანამედროვე ფინანსური ეკოსისტემის განვითარების საფუძვლად მიიჩნევა.

ღია ბანკინგის სისტემაში მომხმარებელი თანხმობის საფუძველზე უზიარებს საბანკო მონაცემებს ავტორიზებულ მე-3 მხარის მომსახურების მიმწოდებლებს

სტანდარტიზებული პროგრამული ინტერფეისების მეშვეობით. მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად ცვლის ფინანსური მომსახურების მიწოდების ტრადიციულ მოდელს, რადგან მონაცემთა მფლობელად აღიარებს მომხმარებელს და არა ფინანსურ ინსტიტუტს. შედეგად, იზრდება კონკურენცია, ვითარდება ინოვაციური ფინანსური პროდუქტები და უმჯობესდება შეთავაზებული მომსახურების ხარისხი.

ღია ბანკინგის განვითარება უპირატესად უკავშირდება ევროკავშირის მიერ გადახდის მომსახურების მეორე დირექტივის ამოქმედებას, რომელმაც ფინანსური მონაცემების უსაფრთხო გაზიარების სამართლებრივი საფუძველი შექმნა. მსგავსი ინიციატივები შემდგომში მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. გაერთიანებულ სამეფოში შეიქმნა დამოუკიდებელი ღია ბანკინგის დანერგვის ერთეული (Open Banking Implementation Entity), ავსტრალიაში ამოქმედდა „მომხმარებლის მონაცემთა უფლება“ (Consumer Data Right - CDR), ხოლო სხვა სახელმწიფოებმა ეტაპობრივად დაიწყეს შესაბამისი სამართლებრივი და ტექნოლოგიური ჩარჩოების ჩამოყალიბება.

ღია ბანკინგის კონცეფციის გავრცელების მიუხედავად, მისი განვითარების დონე სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება საკანონმდებლო რეგულირების, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, ბაზრის განვითარების, მომხმარებელთა ჩართულობისა და ინსტიტუციური მართვის მიმართულებით. შესაბამისად, მხოლოდ სამართლებრივი აქტების არსებობა ვერ უზრუნველყოფს ღია ბანკინგის განვითარების ობიექტურ შეფასებას. აუცილებელია კომპოზიტური ინდექსის გამოყენება, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ასპექტს ასახავს. ამიტომაც, შემუშავდა ღია ბანკინგის ინდექსი ქვეყნების ერთიანი მეთოდოლოგიით ღია ბანკინგის განვითარების ეტაპების შესაფასებლად, რომელიც აერთიანებს რეგულირების, ტექნოლოგიური მზადყოფნის, ფინტექ-ეკოსისტემის განვითარების და მმართველობითი სისტემის მაჩვენებლებს.

ღია ბანკინგის ინდექსის მთავარი უპირატესობაა ეტაპობრივი, ლოგიკურად სტრუქტურირებული შეფასების სისტემა. ინდექსი ასახავს არა მხოლოდ კონკრეტულ მომენტში მიღწეულ მდგომარეობას, არამედ ქვეყნების განვითარების ტრაექტორიასაც, რაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური კვლევებისთვის, ისე ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის.

კვლევის მიზანია ღია ბანკინგის ინდექსის შეფასების მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია, მისი ძირითადი კომპონენტების ანალიზი და ქვეყნების ღია ბანკინგის განვითარების დონის შეფასება. ყურადღება გამახვილებულია შეფასების სკალაზე, ხუთ ძირითად განზომილებასა და სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დინამიკის ინტერპრეტაციაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ღია ბანკინგი ფინანსური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებადი მიმართულებაა. აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და მარეგულირებელი ინსტიტუტების კვლევები ადასტურებს, რომ მონაცემთა უსაფრთხო გაზიარება ფინანსური სექტორის კონკურენტუნარიანობის, ინოვაციების განვითარებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

ღია ბანკინგის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბება ძირითადად უკავშირდება ევროკავშირის მეორე გადახდის მომსახურების დირექტივას (Payment Services Directive 2 - PSD2), რომელმაც ფინანსურ ინსტიტუტებს დაავალა მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე უზრუნველეყოთ სტანდარტიზებული აპლიკაციების პროგრამების ინტერფეისის (Application Programming Interface – API) საშუალებით მონაცემთა ხელმისაწვდომობა ავტორიზებული მესამე მხარის მიმწოდებლებისთვის. აღნიშნულმა რეგულაციამ გაზარდა საბანკო სექტორში კონკურენცია და შეუწყო ხელი ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებას.

თანამედროვე ინფორმაციული სისტემები მონაცემებს გადააქცევს სტრატეგიულ რესურსად, რომლის ეფექტიანი გამოყენება ზრდის როგორც ოპერაციულ ეფექტიანობას, ისე გადაწყვეტილებების ხარისხს (Laudon & Laudon, 2022). აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო სექტორში, სადაც მონაცემთა უსაფრთხო დამუშავება და სწრაფი გაცვლა მომსახურების ხარისხის ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორია.

ინფორმაციული სისტემების განვითარებას განიხილავენ როგორც ორგანიზაციული ტრანსფორმაციის საფუძველს. API-ებზე დაფუძნებული არქიტექტურა ამარტივებს სხვადასხვა ინფორმაციული სისტემის ურთიერთთავსებადობას, რაც ღია ბანკინგის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა (Stair & Reynolds 2023).

მონაცემთა ცენტრალიზებული მართვა და ინფორმაციული სისტემების ინტეგრაცია ზრდის როგორც ორგანიზაციების ეფექტიანობას, ასევე მომხმარებელთა ნდობას (Bond et al, 2024). მიუხედავად იმისა, რომ კვლევა უმაღლესი განათლების სფეროს ეხება, წარმოდგენილი თეორიული მიდგომები სრულად შეესაბამება ღია ბანკინგის მონაცემთა მართვის პრინციპებსაც.

საერთაშორისო პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღია ბანკინგის გავლენას ფინანსური ინოვაციების განვითარებაზე. OECD-ისა და მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, მონაცემთა გაზიარების სტანდარტიზებული მოდელები ხელს უწყობს ახალი ფინანსური პროდუქტების შექმნას, ზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობას ფინანსურ მომსახურებაზე და ამცირებს ბაზარზე შესვლის ბარიერებს ახალი ფინტექ-კომპანიებისთვის.

გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება ღია ბანკინგის წარმატებული დანერგვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. Open Banking Limited-ის ანგარიშების თანახმად, რეგულაციური ჩარჩოს, სტანდარტიზებული API-ების და დამოუკიდებელი მმართველობითი სტრუქტურის ერთობლიობამ გაზარდა როგორც მომხმარებელთა აქტივობა, ისე ფინტექ-ეკოსისტემის განვითარება. მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ავსტრალიაშიც, სადაც Consumer Data Right-ის ამოქმედებამ ღია ბანკინგის კონცეფცია ეტაპობრივად გადააქცია ღია ფინანსების მოდელად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ღია ბანკინგის განვითარების შეფასება მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციის არსებობით ვერ განისაზღვრება. აუცილებელია შეფასდეს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხარისხი, API-ების გამოყენების მასშტაბი, მომხმარებელთა ჩართულობა, ფინტექ-ეკოსისტემის განვითარება და ინსტიტუციური მართვის ეფექტიანობა. ამ მიზეზით, თანამედროვე კვლევებში

ფართოდ გამოიყენება კომპოზიტური ინდექსები, რომლებიც მრავალმხრივ ასახავენ ქვეყნის განვითარების დონეს.

ღია ბანკინგის ინდექსიც კომპოზიტური ინდექსის მაგალითია, რომლის იდეის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ნაწილობრივ დამუშავდა კვლევითი პროექტის ფარგლებში ნინო სანიკიძესთან ერთად. ინდექსის მეთოდოლოგიური უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ განზომილებას. ისინი არ განიხილებიან დამოუკიდებლად. აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს ისეთი ქვეყნების მაღალ შეფასებას, რომლებშიც განვითარებულია მხოლოდ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, მაგრამ არაა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, ან პირიქით.

ამგვარად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ადასტურებს, რომ ღია ბანკინგის განვითარების შეფასება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ამიტომაც, ღია ბანკინგის ინდექსი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც იძლევა სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონის ობიექტური, თანმიმდევრული და შედარებადი შეფასების შესაძლებლობას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ღია ბანკინგის ინდექსის გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტურ ინდექსს ღია ბანკინგის განვითარების დონის შეფასებისათვის. შეფასებისას გათვალისწინებულია სამართლებრივი გარემო, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და ბაზრის განვითარების მახასიათებლები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ეკოსისტემის კომპლექსურ ანალიზს.

კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ორდინალური შეფასების სისტემაზე, რომლის მიხედვითაც თითოეული ქვეყანა ფასდება განვითარების განსაზღვრული საფეხურის შესაბამისად 1.0-დან 4.0 ქულამდე შეფასების სკალით, 0.5-ქულიანი ინტერვალებით, რის შედეგადაც ფორმირდება განვითარების შვიდი თანმიმდევრული დონე. ფასდება როგორც ღია ბანკინგის განვითარების საწყისი ეტაპები, ასევე უფრო მოწინავე ფორმები, რომლებიც უკვე ღია ფინანსების კონცეფციას მოიცავს.

ინდექსის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მონოტონური შეფასების პრინციპი, ანუ ქვეყანა ვერ მიიღებს უფრო მაღალ შეფასებას, თუ მან სრულად არ დააკმაყოფილა წინა საფეხურისთვის განსაზღვრული ყველა მოთხოვნა. შესაბამისად, ინდექსი ასახავს არა მხოლოდ მიღწეულ მდგომარეობას, არამედ განვითარების თანმიმდევრულ პროცესსაც, რაც გამორიცხავს შეფასების არათანმიმდევრულობას და ზრდის კვლევის სანდოობას.

მეთოდოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია კონიუნქციური შეფასების წესი. აღნიშნული მიდგომით, საბოლოო ქულის მინიჭება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ერთდროულად აკმაყოფილებს შეფასების ყველა ძირითად კრიტერიუმს. მაგალითად, თანამედროვე API ინფრასტრუქტურის არსებობა არ არის საკმარისი მაღალი შეფასების მისაღებად, თუ შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო ან მომხმარებელთა რეალური ჩართულობა ჯერ კიდევ არასაკმარისია. ანალოგიურად, ძლიერი მარეგულირებელი გარემო ვერ უზრუნველყოფს მაღალ შეფასებას, თუ პრაქტიკაში ღია

ბანკინგის გამოყენება შეზღუდულია. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ინდექსის ობიექტურობას და რეალურად ასახავს ქვეყნის განვითარების დონეს.

ღია ბანკინგის ინდექსის უმაღლესი შეფასება (4.0 ქულა) შეესაბამება ღია ფინანსების მოდელს, რომლის ფარგლებშიც მონაცემთა გაზიარება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო ანგარიშებით: მონაცემთა გაცვლა ვრცელდება დაზღვევის, საპენსიო სისტემების, საინვესტიციო პროდუქტების და სხვა ფინანსური მომსახურებების მიმართულებითაც. აღნიშნული მიდგომა ასახავს თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებს, რადგან განვითარებული ეკონომიკების ნაწილი უკვე ეტაპობრივად გადადის ღია ბანკინგიდან ღია ფინანსების მოდელზე.

მეთოდოლოგიის ფარგლებში ქვეყნების შეფასება განხორციელდა ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტების, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების, ფინანსური ზედამხედველობის ორგანოების, ღია ბანკინგის ინსტიტუციური პლატფორმებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია შეჯერდა ერთიან შეფასების სისტემაში, რამაც შესაძლებელი გახადა ქვეყნების განვითარების დონის თანმიმდევრული კლასიფიკაცია. ე.ი. მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ღია ბანკინგის განვითარების უფრო სრულყოფილ შეფასებას და ქმნის სხვადასხვა ქვეყნის შედეგების ერთმანეთთან შედარების მყარ მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ღია ბანკინგის ინდექსის შეფასების მეთოდოლოგია - შეფასების სკალა და განვითარების დონეები

ღია ბანკინგის ინდექსი აგებულია შვიდსაფეხურიან ორდინალურ შეფასების სისტემაზე ღია ბანკინგის განვითარების ეტაპების თანმიმდევრული ასახვის მიზნით. შეფასების დიაპაზონია 1.0-დან 4.0 ქულამდე შუალედი. თითოეული საფეხური ერთმანეთისგან 0.5 ქულით განსხვავდება. აღნიშნული სტრუქტურით ფასდება როგორც განვითარების საწყისი ეტაპები, ისე მოწინავე ფინანსური ეკოსისტემები, სადაც ღია ბანკინგი უკვე ღია ფინანსების მოდელად არის ტრანსფორმირებული.

1.0 ქულა – სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა

ინდექსის საწყისი დონე ასახავს იმ ქვეყნებს, სადაც ღია ბანკინგის მიმართულებით არ არსებობს: სამართლებრივი რეგულაცია, მარეგულირებელი ინიციატივა და ნებაყოფლობითი ინდუსტრიული სტანდარტები. ფინანსური ინსტიტუტები მონაცემებს ინახავენ დახურულ სისტემებში, ხოლო ლიცენზირებული მესამე მხარის მიმწოდებლები ბაზარზე არ ფუნქციონირებენ.

1.5 ქულა – მოსამზადებელი ეტაპი

ამ ეტაპზე უკვე მიღებულია შესაბამისი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი გადაწყვეტილებები, თუმცა მათი პრაქტიკული დანერგვა არ დაწყებულა. მიმდინარეობს API სტანდარტების შემუშავება, ყალიბდება ინსტიტუციური სტრუქტურები და მზადდება ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

2.0 ქულა – საწყისი დანერგვა

აღნიშნულ ეტაპზე უკვე ფუნქციონირებს ღია ბანკინგის ძირითადი API-ები და მოქმედებს შესაბამისი რეგულაციური ჩარჩო. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიური

ინფრასტრუქტურა განვითარების პროცესშია, მესამე მხარის მიმწოდებელთა რაოდენობა შეზღუდულია, ხოლო მომხმარებელთა ჩართულობა დაბალ დონეზეა.

2.5 ქულა – განვითარების ფაზა

ამ ეტაპზე ფართოვდება ღია ბანკინგის ეკოსისტემა. იზრდება API-ების გამოყენების ინტენსივობა, ვითარდება მე-3 მხარის მიმწოდებელთა ბაზარი, ხოლო მომხმარებელთა მიერ ღია ბანკინგის მომსახურების გამოყენება თანდათან ფართოვდება. რეგულირება უკვე აქტიურად ხორციელდება, რაც ბაზრის განვითარების ხელშემწყობია.

3.0 ქულა – სიმწიფის ეტაპი

ქვეყანა აღწევს განვითარების იმ დონეს, სადაც ძირითადი მარეგულირებელი ჩარჩო თითქმის სრულად დანერგილია, API-ების ხარისხი მაღალია, იზრდება ფინტექ-ეკოსისტემის მასშტაბი და მომხმარებელთა აქტიურობა, უკვე ფუნქციონირებს მუდმივი ზედამხედველობის ინსტიტუციური მექანიზმი.

3.5 ქულა – მოწინავე განვითარება

ამ საფეხურზე ღია ბანკინგის სისტემა მოიცავს არა მხოლოდ საბაზისო მონაცემთა გაცვლას, არამედ კომერციული დანიშნულების გაფართოებულ API-ებს, მათ შორის, ცვლად განმეორებად გადახდებს და პრემიუმ მონაცემთა მომსახურების მხარდაჭერას. ფინტექ-ეკოსისტემა მდგრადი და თვითგანვითარებადია, ხოლო მარეგულირებელი ორგანო მკაფიოდ განსაზღვრულ საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს.

4.0 ქულა – ღია ფინანსები (Open Finance)

ინდექსის უმაღლესი დონე ასახავს იმ ქვეყნებს, სადაც ღია ბანკინგი გადაიზარდა ღია ფინანსების სრულფასოვან სისტემაში. მონაცემთა გაზიარება ვრცელდება საბანკო სექტორის მიღმა და მოიცავს დაზღვევას, საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო მომსახურებებსა და ფინანსური სექტორის სხვა მიმართულებებს. ფუნქციონირებს სექტორთაშორისი API-ები, მომხმარებელთა ჩართულობა მაღალია, ხოლო სისტემის მართვა ხორციელდება მუდმივი ინსტიტუციური მმართველობის ფარგლებში.

ღია ბანკინგის ინდექსი შეფასების ძირითადი განზომილებები

ღია ბანკინგის ინდექსის მეთოდოლოგია ეფუძნება ხუთ ურთიერთდაკავშირებულ შეფასებას, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ ქვეყნის ღია ბანკინგის განვითარების დონეს. საბოლოო შეფასება ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა თითოეული მიმართულებით აკმაყოფილებს შესაბამისი დონის მოთხოვნებს.

1. მარეგულირებელი ჩარჩო

პირველი განზომილება აფასებს ღია ბანკინგის სამართლებრივ საფუძვლებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა რეგულაციის არსებობას, მის სავალდებულო ხასიათს, სამართლებრივ ასპექტებს, მონაცემთა გაზიარების წესებსა და რეგულირების გავრცელების მასშტაბს. განვითარების უმაღლეს ეტაპზე სამართლებრივი ჩარჩო უკვე ღია ფინანსების ყველა ძირითად სექტორს მოიცავს.

2. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა

მეორე განზომილება განსაზღვრავს ფინანსური სისტემის ტექნოლოგიურ მზადყოფნას. შეფასება ეფუძნება API-ების სტანდარტიზაციის დონეს, მონაცემთა გაცვლის

არქიტექტურას, სისტემების ურთიერთთავსებადობას, ოპერაციების მოცულობასა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის საიმედოობას.

3. მომხმარებელთა და ბიზნესის ჩართულობა

მესამე კომპონენტი ასახავს ღია ბანკინგის პრაქტიკულ გამოყენებას. შეფასება ეფუძნება მომხმარებელთა თანხმობის მაჩვენებლებს, აქტიური მომხმარებლების რაოდენობასა და ბიზნესის მხრიდან ღია ბანკინგის მომსახურების ინტეგრაციის დონეს. მაღალი შეფასება მიუთითებს, რომ ღია ბანკინგი რეალურად გამოიყენება როგორც მოსახლეობის, ასევე კერძო სექტორის მიერ.

4. ეკოსისტემის სრულყოფის დონე

მეოთხე განზომილება აფასებს ფინტექ-ეკოსისტემის განვითარების ხარისხს. განსაკუთრებით ლიცენზირებული მესამე მხარის პროვაიდერების რაოდენობას, კომერციულად დანერგილი პროდუქტების მრავალფეროვნებას, ბაზრის კონკურენტუნარიანობასა და ეკოსისტემის თვითგანვითარების შესაძლებლობას.

5. მმართველობის არქიტექტურა

მეხუთე განზომილება აფასებს ინსტიტუციურ მართვასა და კოორდინაციის მექანიზმებს. კვლევის ფარგლებში განიხილება შესაბამისი ორგანოების არსებობა, ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობა, მარეგულირებელი ინსტიტუტების უფლებამოსილება და ღია ბანკინგის გრძელვადიანი განვითარების მმართველობითი უზრუნველყოფა.

ამდენად, ღია ბანკინგის ინდექსის მეთოდოლოგია კომპლექსურად აფასებს სისტემას სამართლებრივი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ინსტიტუციური კომპონენტებით. ინდექსი უზრუნველყოფს ქვეყნების შეფასებას ღია ბანკინგის ჰარმონიული და თანმიმდევრული განვითარების საფუძველზე. ამიტომაც, ინდექსი წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს როგორც აკადემიური კვლევების, ისე საერთაშორისო შედარებითი ანალიზისა და ფინანსური პოლიტიკის შეფასებისთვის.

კვლევის შედეგები

კვლევამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა ქვეყნის ღია ბანკინგის განვითარების დონის შედარებითი ანალიზი 2014–2025 წლების პერიოდში. ინდექსის დინამიკა ნათლად ასახავს როგორც საერთაშორისო მარეგულირებელი გარემოს ცვლილებებს, ასევე ტექნოლოგიური განვითარების ტემპებს და მომხმარებელთა ჩართულობის ზრდას. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ინდექსი რეაგირებს არა თეორიულ დაშვებებზე, არამედ რეალურად განხორციელებულ რეგულაციურ და ბაზრის განვითარების პროცესებზე.

ნახაზი 1. ღია ბანკინგის ინდექსი ქვეყნების ჯგუფების *(განვითარებულ/ბაზარზე ორიენტირებული, ადრეული მომხმარებელი, განვითარებადი, ევროკავშირის PSD2)* **მიხედვით, 2014-2025**



წყარო: ავტორის გაანგარიშებები R-Studio-ს საშუალებით

ნახაზი 1. ასახავს ღია ბანკინგის ინდექსის საშუალო მნიშვნელობის დინამიკას ქვეყნების ოთხი ჯგუფისთვის. 2014 წელს ყველა შესწავლილი ქვეყანა ფასდებოდა ინდექსის საწყისი, 1.0-ქულიანი დონით, რაც იმ დროისთვის ღია ბანკინგის სამართლებრივი და ტექნოლოგიური ჩარჩოების არარსებობას ასახავდა. ანუ, კვლევის საწყისი წერტილი ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი იყო, რაც შემდგომი განვითარების ობიექტური შედარების შესაძლებლობას ქმნის.

ყველაზე სწრაფი პროგრესი ფიქსირდება *განვითარებულ/ბაზარზე ორიენტირებულ* ქვეყნების ჯგუფში, სადაც ინდექსი 2017 წლიდან სტაბილურად იზრდება და 2024 წელს 3.0 ქულას აღწევს. 2025 წელს მაჩვენებელი მცირედით მცირდება და 2.6-მდე ჩამოდის, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდექსის მეთოდოლოგიურ გადახედვასთან ან ქვეყნების ჯგუფის შიგნით განხორციელებულ ცვლილებებთან.

ევროკავშირის PSD2-ის ქვეყნებში ზრდა შედარებით თანაბარია. 2017–2025 წლებში ინდექსი თითქმის უწყვეტად იზრდება და 2025 წლისთვის დაახლოებით 2.8 ქულას აღწევს, რაც ასახავს PSD2-ის რეგულაციების ეტაპობრივ დანერგვასა და ღია ბანკინგის ეკოსისტემის გაძლიერებას. ცვლილებები ფიქსირდება 2018 წლიდან, როდესაც ევროკავშირში ძალაში შევიდა PSD2, რამაც არსებითად დააჩქარა ღია ბანკინგის დანერგვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მათი საშუალო შეფასება ამ პერიოდიდან იწყებს მკვეთრ ზრდას, რაც ადასტურებს სამართლებრივი ჩარჩოს ამოქმედების გავლენას როგორც ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ასევე მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლების (Third-Party Providers – TPPs) საქმიანობის გაფართოებაზე.

აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება. Brexit-ის შემდეგ ქვეყანა აღარ ექვემდებარება ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეს, მაგრამ მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებელი მარეგულირებელი მოდელი და გააგრძელა ღია ბანკინგის სისტემის განვითარება. Open Banking Implementation Entity-ის საქმიანობამ, სტანდარტიზებულმა API-ებმა და ინსტიტუციურმა კოორდინაციამ გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა და გააფართოვა ფინტექ-ეკოსისტემა.

მაღალი განვითარების ტემპით გამოირჩევა ავსტრალია, სადაც მომხმარებელთა მონაცემების დაცვის სისტემის დანერგვამ ეტაპობრივად გააფართოვა მონაცემთა გაზიარების არეალი და ღია ბანკინგიდან ღია ფინანსების მოდელზე გადასვლის წინაპირობები შექმნა. ამდენად, ღია ბანკინგის განვითარება მხოლოდ საბანკო სექტორით არ შემოიფარგლება და მომავალში შეიძლება გადაიქცეს ფინანსური მონაცემების გაცვლის უფრო ფართო სისტემად.

ადრეული მომხმარებელი ქვეყნები ასევე ავლენენ მდგრად პროგრესს. 2016 წლიდან ინდექსი თანდათან იზრდება და 2025 წლისთვის 2.6 ქულას აღწევს. განვითარების ტემპი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით უფრო ზომიერია, გრძელვადიან პერიოდში შეინიშნება სტაბილური გაუმჯობესება.

ყველაზე დაბალი საწყისი მაჩვენებლები *განვითარებად ბაზრებს* ახასიათებთ. მათი ინდექსი 2018 წლამდე თითქმის უცვლელია, თუმცა 2020 წლიდან ზრდა ჩქარდება. 2025 წლისთვის აღნიშნული ჯგუფიც დაახლოებით 2.6 ქულას აღწევს, რაც მიუთითებს ბოლო წლებში ღია ბანკინგის განვითარების დაჩქარებაზე განვითარებად ეკონომიკებშიც.

ამდენად, 2014–2025 წლებში ღია ბანკინგის განვითარების ტენდენცია ყველა ჯგუფისთვის დადებითია. მიუხედავად განსხვავებული საწყისი პირობებისა და განვითარების ტემპებისა, ჯგუფებს შორის სხვაობა მცირდება და 2025 წლისთვის მათი ინდექსები დაახლოებულია. ეს მიანიშნებს ღია ბანკინგის პრინციპებისა და შესაბამისი რეგულაციების გლობალურ გავრცელებასა და ფინანსური სექტორის მზარდ ციფრულ ტრანსფორმაციაზე.

კვლევის მიხედვით, ასევე, ყველა ქვეყანა ერთნაირი ტემპით არ ვითარდება. ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივი რეგულაცია მიღებულია, თუმცა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. სხვა ქვეყნებში კი ტექნოლოგიური შესაძლებლობები უსწრებს მომხმარებელთა რეალურ ჩართულობას. სწორედ ასეთ შემთხვევებში ღია ბანკინგის ინდექსის კონიუნქციური შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს რეალისტურ შეფასებას და გამორიცხავს რომელიმე ერთი მიმართულებით მიღწეული პროგრესის გადაჭარბებულ გავლენას საბოლოო ქულაზე.

2024–2025 წლებში შეინიშნება საინტერესო ტენდენცია იმ ქვეყნების ნაწილში, სადაც მარეგულირებელი პოლიტიკის ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ღია ბანკინგის შემდგომ განვითარებაზე. აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, სადაც მომხმარებელთა ფინანსური მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ცვლილებების ფონზე ინდექსის დინამიკა გარკვეულწილად შენელდა. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ღია ბანკინგის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ტექნოლოგიურ პროგრესზე, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ღია ბანკინგის ინდექსი ეფექტიანად ასახავს ქვეყნების განვითარების რეალურ მდგომარეობას, აფასებს არა მხოლოდ მიღწეულ შედეგებს, არამედ განვითარების ტემპს, რეგულაციური ცვლილებების გავლენას და ღია ბანკინგის სისტემების სიმწიფის ხარისხს.

დასკვნა

ციფრული ფინანსური ეკოსისტემის განვითარებამ ღია ბანკინგი თანამედროვე საბანკო სექტორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად აქცია. მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური მომსახურების, მონაცემთა უსაფრთხო გაზიარებისა და ფინტექ-ინოვაციების განვითარების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის პროგრესის ობიექტურ და შედარებად ანალიზს უზრუნველყოფს.

კვლევაში განხილული ღია ბანკინგის ინდექსი ემყარება კომპოზიტურ შეფასების სისტემას. ინდექსის მთავარი უპირატესობაა ის, რომ იგი აერთიანებს ღია ბანკინგის განვითარების სამართლებრივ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ კომპონენტებს. შეფასების ორდინალური სკალა, განვითარების თანმიმდევრული საფეხურები და კონიუნქციური შეფასების მეთოდოლოგია ქმნის სანდო საფუძველს სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონის შესაფასებლად.

კვლევამ აჩვენა, რომ ღია ბანკინგის წარმატებული განვითარება მხოლოდ შესაბამისი რეგულაციის მიღებაზე არ არის დამოკიდებული. თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხარისხს, API-ების სტანდარტიზაციას, მომხმარებელთა აქტიურ ჩართულობას, ფინტექ-ეკოსისტემის სიმწიფესა და ეფექტიან ინსტიტუციურ მართვას. აღნიშნული ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათი ერთობლიობა განაპირობებს ღია ბანკინგის სისტემის მდგრად განვითარებას.

კვლევის შედეგებმა ასევე დაადასტურა, რომ ღია ბანკინგის ინდექსი ადეკვატურად ასახავს საერთაშორისო პრაქტიკაში მიმდინარე პროცესებს. ინდექსის დინამიკა შეესაბამება ისეთი მნიშვნელოვანი რეგულაციური მოვლენების გავლენას, როგორიცაა ევროკავშირში PSD2-ის ამოქმედება, გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებელი ღია ბანკინგის მოდელის განვითარება და ავსტრალიის ღია ფინანსების მიმართულებით პროგრესი. ამავე დროს, ინდექსი ასახავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც მარეგულირებელი გარემოს ცვლილებები გავლენას ახდენს განვითარების ტემპზე.

ამრიგად, ღია ბანკინგის ინდექსი წარმოადგენს ღია ბანკინგის განვითარების შეფასების ეფექტიან მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს, რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც აკადემიური კვლევების, ისე ფინანსური სექტორის პოლიტიკის ანალიზისა და საერთაშორისო შედარებითი შეფასებების განხორციელების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

Australian Competition and Consumer Commission. (2024). *Consumer Data Right: Annual Report*. Canberra, Australia.

Bond, M., Marín, V. I., Dolch, C., Bedenlier, S., & Zawacki-Richter, O. (2024). *Digital Transformation in Higher Education: A Systematic Review*. *Computers & Education: X*.

European Banking Authority. (2023). *Report on the Application of PSD2*. Paris: EBA.

European Commission. (2015). *Directive (EU) 2015/2366 on Payment Services (PSD2).* Official Journal of the European Union.

Financial Conduct Authority. (2024). *Open Banking and Smart Data Review*. London: FCA.
Laudon, K. C., & Laudon, J. P. (2022). *Management Information Systems: Managing the Digital Firm* (17th ed.). Pearson.
OECD. (2023). *The Digital Transformation of Financial Services*. Paris: OECD Publishing.
Open Banking Limited. (2024). *Open Banking Impact Report*. London.
Stair, R., & Reynolds, G. (2023). *Principles of Information Systems* (15th ed.). Cengage Learning.
World Bank. (2022). *Digital Financial Services*. Washington, DC: World Bank.

Assessment of Open Banking Development Based on a Composite Index

Ana Lapachi
Bachelor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
International School of Economics
ana.lapachi@iset.ge

Summary

Open Banking represents one of the key directions in the development of the modern financial system, enabling increased competition, the advancement of financial technologies (FinTech), and the creation of innovative financial services through the secure sharing of financial data based on user consent. Although the implementation of Open Banking is underway in many countries worldwide, the level of its development varies significantly due to differences in regulatory, technological, institutional, and market-related factors. This context creates a need for an evaluation methodology that ensures an objective and comparable assessment of progress across countries. The aim of this study is to examine the evaluation methodology of the original OBI, analyze its structure and key assessment criteria, and demonstrate the possibilities of using the index to evaluate the level of Open Banking development across countries. The research is based on a composite index that applies an ordinal scoring scale ranging from 1.0 to 4.0 and incorporates five major dimensions: the regulatory framework, technological infrastructure, consumer and business engagement, ecosystem maturity, and governance architecture. The assessment is conducted using a conjunctive methodology, according to which the final score can be assigned only when all evaluation criteria are simultaneously satisfied. The findings of the study demonstrate that the OBI effectively reflects the dynamics of Open Banking development and responds to international regulatory changes, including the implementation of PSD2 in the European Union and the gradual transition toward the Open Finance model. The research confirms that the index represents a reliable and practically applicable tool for assessing Open Banking development, which can be utilized both in academic research and in financial sector policy analysis and international comparative evaluations.

Keywords: Open Banking, OBI, Open Finance, PSD2, API, Financial Technologies

მეოთხე სექცია

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინოვაციური და ინტეგრირებული მოდელი თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე[1]

დავით ნარმანია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
davit.narmania@tsu.ge

შორენა დავითაია
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shorena.davitaia@tsu.ge

მიხეილ მაკასარაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
makasarashvilimikheil@gmail.com

ნინო ვარდიაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ninvardiashvili@gmail.com

გიორგი მორჩილაძე
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgimorchiladze17@gmail.com

ანტაცია. ეს სტატია იკვლევს, თუ როგორ გარდაქმნის გეოპოლიტიკური გამოწვევები ენერგოუსაფრთხოების პრიორიტეტებს საქართველოში და გვთავაზობს ინტეგრირებულ ციფრულ მოდელს ეროვნული ენერგოსისტემის მდგრადობის გასაძლიერებლად. კვლევა იყენებს ხარისხობრივ შინაარსობრივ ანალიზს და სისტემურ მიდგომას აკადემიურ ლიტერატურაზე, საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტებზე, კიბერუსაფრთხოების სტანდარტებსა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სტრატეგიულ ანგარიშებზე. ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული

[1] სტატია მომზადდა „შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ ორგანიზებული ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტების სახელმწიფო კონკურსის ფარგლებში („კვლევა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოების შესახებ“, 2023-2026, გრანტი No-FR-23-8182)

მოწყვლადობა: ჰიდროლოგიურ პირობებზე ძლიერი დამოკიდებულება, სეზონური მიწოდება-მოთხოვნის დისბალანსი, თერმული ბალანსირებისთვის იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულება, საზღვრისპირა ინფრასტრუქტურის ზემოქმედება, ფრაგმენტული ოპერატიული მონაცემები, კიბერრისკები და დამოკიდებულება გარე ტექნოლოგიური მიწოდების ჯაჭვებზე. შემოთავაზებული მოდელი აერთიანებს ხუთ ფენას: ჭკვიანი ქსელი და ოპერატიული ტექნოლოგიები; ერთიანი ენერგეტიკული მონაცემების გარემო; პროგნოზირებადი ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი და ციფრული ორეული; კიბერუსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის მექანიზმები; და მენეჯმენტის გადაწყვეტილების მხარდაჭერა. შემოთავაზებულია ეტაპობრივი განხორციელების გზა, რომელიც იწყება მონაცემთა სტანდარტიზაციით და უსაფრთხო OT/IT ინტეგრაციით, რასაც მოჰყვება ჭკვიანი ქსელის გაფართოება, პროგნოზირებადი მოდელირება და უწყვეტი მდგრადობის შეფასება. მოდელი, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს ოპერაციულ მოქნილობას, გათიშვაზე რეაგირებას, აქტივების მართვას, განახლებადი ენერგიის ინტეგრაციას და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ხარისხს. სტატიაში დასკვნის სახით აღნიშნულია,, რომ ციფრული ტრანსფორმაცია უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ მოდერნიზაციად, არამედ ეკონომიკური და ეროვნული ენერგოუსაფრთხოების ინსტრუმენტად, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს საქართველოს ფრაგმენტირებულ ბაზრებთან, არასტაბილურ მიწოდების ჯაჭვებთან და რეგიონულ გაურკვევლობასთან ადაპტაციაში.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული უსაფრთხოება; გეოპოლიტიკური გამოწვევები; ციფრული ტრანსფორმაცია; ჭკვიანი ქსელი; ციფრული ორეული.

1. შესავალი

XXI საუკუნეში ენერგოუსაფრთხოების შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ენერგორესურსების ხელმისაწვდომობასა და ფასის მისაღებ დონესთან ერთად, იგი მოიცავს ინფრასტრუქტურის მდგრადობას, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას, მონაცემთა სანდოობას, კიბერუსაფრთხოებას, ოპერაციულ მოქნილობასა და კრიზისის შემდეგ სწრაფ აღდგენას. თანამედროვე ენერგოსისტემა კიბერფიზიკური ეკოსისტემაა, რომელშიც ელექტროსადგურები, ქსელები, სენსორები, საკომუნიკაციო არხები, პროგრამული პლატფორმები და მმართველობითი გადაწყვეტილებები ურთიერთდამოკიდებულად ფუნქციონირებს (Cherp & Jewell, 2014; Humayed et al., 2017).

გეოპოლიტიკური გამოწვევები ამ ურთიერთდამოკიდებულებას დამატებით სირთულეს სძენს. რეგიონული კონფლიქტები, სავაჭრო და ფინანსური შეზღუდვები, ენერგომატარებლების ფასების ცვალებადობა, ტექნოლოგიური მიწოდების ჯაჭვების დარღვევა და სხვადასხვა სტანდარტულ სივრცედ დაყოფა ზრდის როგორც ენერგიის ფიზიკური მიწოდების, ისე ციფრული ინფრასტრუქტურის რისკებს. ამ პირობებში ენერგოუსაფრთხოება აღარ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ გენერაციის სიმძლავრეების ზრდას. საჭიროა ისეთი მართვის მოდელი, რომელიც რეალურ დროში ხედავს სისტემის

მდგომარეობას, წინასწარ აფასებს რისკებს და უზრუნველყოფს კოორდინირებულ რეაგირებას (European Commission, 2022a; IEA, 2022).

საქართველოსთვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რეგიონული სატრანზიტო მდებარეობა და მეზობელ ენერგოსისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა. ამავე დროს, ჰიდროლოგიური სეზონურობა, ზამთრის ბალანსირების საჭიროება, იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებული თბოგენერაცია, ქსელის მოდერნიზაციის მოთხოვნა და კიბერრისკების ზრდა ქმნის მრავალგანზომილებიან მოწყვლადობას. შესაბამისად, ციფრული ტრანსფორმაცია უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ განახლებად, არამედ ეროვნული ენერგოუსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის ინსტრუმენტად.

2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია საქართველოს ენერგოსისტემისთვის ინტეგრირებული ციფრული ენერგოუსაფრთხოების კონცეპტუალური მოდელის შემუშავება და მისი დანერგვის ეტაპების განსაზღვრა გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში. მიზნის მისაღწევად დასმულია სამი ამოცანა: პირველი-საქართველოს ენერგოსისტემის ძირითადი სტრუქტურული და გეოპოლიტიკური რისკების სისტემატიზაცია; მეორე- ჭკვიანი ქსელების, მონაცემთა ანალიტიკის, ციფრული ორეული-ის ტექნოლოგია და კიბერუსაფრთხოების ფუნქციების ერთიან არქიტექტურაში გაერთიანება; მესამე-იმ მმართველობითი და ინსტიტუციური პირობების განსაზღვრა, რომლებიც მოდელის პრაქტიკულ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევით დიზაინს. გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი, სისტემური მიდგომა და საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი სინთეზი. გაანალიზებულია ენერგოუსაფრთხოების კონცეფცია, ევროკავშირის ენერგოსისტემის ციფრული ტრანსფორმაციის პოლიტიკა, IEA-ს რეკომენდაციები ელექტროქსელების მდგრადობის შესახებ, NIST-ის კიბერუსაფრთხოებისა და ოპერაციული ტექნოლოგიების დაცვის ჩარჩოები, აგრეთვე საქართველოს ენერგოსექტორის სტრატეგიული და მარეგულირებელი დოკუმენტები. კვლევის შედეგი არის ავტორების მიერ შემუშავებული კონცეპტუალური მოდელი.

3. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გამოწვევები გეოპოლიტიკურ ფონზე

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა მაღალი წილით ეყრდნობა ჰიდროგენერაციას. ეს გარემოება ხელს უწყობს ადგილობრივი, დაბალნახშირბადიანი ელექტროენერგიის წარმოებას, თუმცა სისტემას ჰიდროლოგიური პირობებისა და სეზონური ცვალებადობისადმი მგრძნობიარეს ხდის. წყლის რესურსის შემცირების, ზამთრის პიკური დატვირთვის ან ავარიული შეზღუდვების დროს იზრდება თბოგენერაციისა და იმპორტის მნიშვნელობა. შედეგად, ელექტროენერგიის ბალანსზე

ერთდროულად მოქმედებს კლიმატური, საბაზრო და გეოპოლიტიკური ფაქტორები (IEA, 2022; Georgian State Electrosystem, 2023).

მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგეტიკული კავშირები საქართველოს აძლევს ვაჭრობის, სისტემური რეზერვების გაზიარებისა და სატრანზიტო ფუნქციის განვითარების შესაძლებლობას. თუმცა საზღვარგარეთული მიწოდებისა და ტრანზიტის არხები დაკავშირებულია ფასების, პოლიტიკური ურთიერთობების, ტექნიკური ავარიებისა და რეგიონული უსაფრთხოების რისკებთან. ამიტომ სახელმწიფოსა და სისტემის ოპერატორებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სავაჭრო შესაძლებლობების გაფართოება, არამედ სცენარებზე დაფუძნებული დაგეგმვა, ალტერნატიული რეჟიმების წინასწარი მოდელირება და კრიზისული კომუნიკაციის შეთანხმებული პროცედურები.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების შესახებ უახლესი კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ენერგეტიკული თვითუზრუნველყოფის შეფასებაზე და აჩვენებს, რომ შიდა რესურსების არსებობა თავისთავად არ არის საკმარისი სტაბილური ენერგომომარაგებისთვის (Narmania et al., 2025). საჭიროა გენერაციის სეზონური გამოყენების ოპტიმიზაცია, ქსელური გამტარუნარიანობის გაძლიერება, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება და საინვესტიციო გადაწყვეტილებების სცენარული მხარდაჭერა.

გეოპოლიტიკური გამოწვევები გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ მიწოდებაზეც. ენერგოსისტემის მოდერნიზაცია დამოკიდებულია სენსორებზე, საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ღრუბლოვან სერვისებზე და სპეციალიზებულ კომპონენტებზე, რომელთა მიწოდება შესაძლოა შეზღუდოს სავაჭრო ბარიერებმა ან ერთ მომწოდებელზე დამოკიდებულებამ. ამდენად, ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკაში უნდა გაერთიანდეს ტექნოლოგიური სუვერენიტეტის ელემენტები: ღია სტანდარტები, თავსებადობა, მომწოდებლების დივერსიფიკაცია, კრიტიკული სათადარიგო ნაწილების მარაგი და ცოდნის ადგილობრივი განვითარება.

ციფრული ტრანსფორმაცია ერთდროულად ამცირებს და წარმოქმნის რისკებს. რეალურ დროში მონიტორინგი, ავტომატიზაცია და პროგნოზირება ზრდის ქსელის ეფექტიანობას, მაგრამ OT და IT გარემოების დაკავშირება აფართოებს კიბერშეტევის ზედაპირს. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მართვა მთელი სიცოცხლის ციკლის განმავლობაში, ქსელური სეგმენტაცია, მინიმალური პრივილეგიის პრინციპი, მრავალფაქტორიანი ავთენტიფიკაცია, აქტივების ინვენტარიზაცია, ინციდენტებზე რეაგირება და აღდგენის რეგულარული ტესტირება (NIST, 2023, 2024).

4. საქართველოს ელექტროენერგიის გენერაციის სტრუქტურა და ენერგოუსაფრთხოება

საქართველოს გენერაციის სტრუქტურაში ჰიდროელექტროსადგურებს სისტემური მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ადგილობრივ და შედარებით დაბალნახშირბადიან რესურსს ეფუძნება. ამავე დროს, ჰიდროგენერაციის მოცულობა დამოკიდებულია წყლის რესურსზე და სეზონურ პირობებზე, რის გამოც ზამთრისა და დაბალი წყალმოდინების პერიოდებში იზრდება მოქნილი რეზერვების, თბოგენერაციისა და ელექტროენერგიის

იმპორტის საჭიროება (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission, 2024; Georgian State Electrosystem, 2023).

თბოგენერაცია უზრუნველყოფს სისტემის ბალანსირებასა და პიკური მოთხოვნის დაფარვას, თუმცა მისი ეკონომიკური ეფექტიანობა დაკავშირებულია ბუნებრივი აირის ფასსა და იმპორტირებულ საწვავზე. ქარისა და მზის გენერაციის ზრდა აუმჯობესებს ენერგეტიკული პორტფელის დივერსიფიკაციას, მაგრამ მათი ცვალებადი გამომუშავება ზრდის პროგნოზირების, ენერგიის შენახვის, მოთხოვნის მართვისა და ქსელის მოქნილობის მნიშვნელობას. შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოება არ უნდა შეფასდეს მხოლოდ წარმოებული ელექტროენერგიის საერთო მოცულობით; აუცილებელია გენერაციის წყაროების მრავალფეროვნების, სეზონური ხელმისაწვდომობის, საწვავისა და ტექნოლოგიური მიწოდების რისკების, სარეზერვო სიმძლავრისა და ქსელთან ინტეგრაციის ერთობლივი შეფასება.

გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში გენერაციის მართვა უნდა დაეფუძნოს მრავალსცენარიან დაგეგმვას. ჰიდროლოგიური პროგნოზის, მოთხოვნის დინამიკის, თბოსადგურების ხელმისაწვდომობის, ქარისა და მზის მოსალოდნელი გამომუშავების, იმპორტის ფასებისა და ტრანსსასაზღვრო შეზღუდვების ერთიან ციფრულ მოდელში გაერთიანება საშუალებას აძლევს სისტემის ოპერატორსა და მმართველ ორგანოებს წინასწარ შეადარონ გენერაციისა და მიწოდების ალტერნატიული კომბინაციები. ამ პროცესში ჭკვიანი ქსელები, SCADA/EMS, მონაცემთა ანალიტიკა და ციფრული ორეული გამოიყენება არა მხოლოდ ოპერაციული კონტროლისთვის, არამედ გენერაციის საკმარისობის, საინვესტიციო პრიორიტეტებისა და კრიზისული მზადყოფნის შესაფასებლად.

ცხრილი 1-ში ნაჩვენებია გენერაციის წყაროების ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობა და ციფრული მართვის საჭიროებები.

ცხრილი 1. გენერაციის წყაროების ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობა და ციფრული მართვის საჭიროებები

გენერაციის წყარო/კომპონენტი	**სისტემური ფუნქცია**	**ძირითადი ენერგოუსაფრთხოების რისკი**	**ციფრული მართვის ინსტრუმენტი**
ჰიდროგენერაცია	ადგილობრივი განახლებადი წარმოება და საბაზისო ენერგომომარაგება	ჰიდროლოგიური და სეზონური ცვალებადობა	ჰიდროლოგიური პროგნოზი, ციფრული ორეული, წყალსაცავების ოპტიმიზაცია
თბოგენერაცია	პიკური დატვირთვისა და დეფიციტის ბალანსირება	იმპორტირებულ საწვავზე, ფასსა და მიწოდების მარშრუტზე დამოკიდებულება	საწვავისა და დისპეტჩერიზაციის სცენარები, პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურება
ქარისა და მზის გენერაცია	პორტფელის დივერსიფიკაცია და დაბალნახშირბადიანი წარმოება	ამინდის მიხედვით ცვალებადი გამომუშავება და ბალანსირების საჭიროება	ამინდის პროგნოზი, ენერგიის შენახვა, მოთხოვნის მართვა
განაწილებული გენერაცია და საცავი	ადგილობრივი მოქნილობა და კრიტიკული დატვირთვის მხარდაჭერა	კოორდინაციის, ხილვადობისა და ქსელთან თავსებადობის პრობლემა	DERMS, ჭკვიანი მრიცხველები, ავტომატიზებული კონტროლი

იმპორტი და ტრანსსასაზღვრო გაცვლა	სეზონური დეფიციტის შევსება და სისტემური რეზერვების გაზიარება	ფასის, პოლიტიკური გარემოს, ავარიისა და გამტარუნარიანობის რისკი	საბაზრო ანალიტიკა, სცენარების მოდელირება, კრიზისული გადაწყვეტილების მხარდაჭერა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, GNERC-ისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დოკუმენტების საფუძველზე.

ცხრილი 2-ში ნაჩვენებია საქართველოს ენერგოსისტემის ძირითადი რისკები და ციფრული რეაგირების მიმართულებები

ცხრილი 2. საქართველოს ენერგოსისტემის ძირითადი რისკები და ციფრული რეაგირების მიმართულებები

რისკის მიმართულება	**გამოვლინება**	**შესაძლო ეკონომიკური/მმართველობითი შედეგი**	**ციფრული რეაგირება**
ჰიდროლოგიური და სეზონური რისკი	გენერაციის ცვალებადობა და ზამთრის დეფიციტი	იმპორტისა და თბოგენერაციის ხარჯის ზრდა	პროგნოზირება, ციფრული ორეული, მოთხოვნის მართვა
გეოპოლიტიკური და საბაზრო რისკი	ფასების, მარშრუტებისა და სავაჭრო რეჟიმების ცვლილება	ბალანსირების სირთულე და ფინანსური გაურკვევლობა	სცენარების ანალიზი და გადაწყვეტილების მხარდაჭერა
ქსელის ოპერაციული რისკი	გადატვირთვა, ავარია და ინფორმაციის დაგვიანება	გათიშვები, დანაკარგები და მომსახურების გაუარესება	SCADA/EMS, Smart Grid და ავტომატიზაცია
კიბერრისკი	OT/IT სისტემებზე შეტევა ან მონაცემთა დარღვევა	ოპერაციული შეფერხება და ნდობის დაკარგვა	Zero-Trust, სეგმენტაცია, SOC და აღდგენის გეგმა
ტექნოლოგიური მიწოდების რისკი	ერთ მომწოდებელზე ან დახურულ პლატფორმაზე დამოკიდებულება	ხარჯის ზრდა და განახლების შეფერხება	ღია სტანდარტები, თავსებადობა და დივერსიფიკაცია

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

ამრიგად ცხრილების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებულია გენერაციის წყაროების დივერსიფიკაციაზე, სისტემის მოქნილობასა და ციფრული მართვის ეფექტიანობაზე. ჰიდროლოგიური, გეოპოლიტიკური, ოპერაციული და კიბერუსაფრთხოების რისკების შესამცირებლად საჭიროა პროგნოზირების, ციფრული ორეული-ის, SCADA/EMS-ის, ჭკვიანი ქსელების და კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტების ერთიან მოდელში გაერთიანება. აღნიშნული მიდგომა გაზრდის ენერგოსისტემის მდგრადობას და გააუმჯობესებს კრიზისულ პირობებში გადაწყვეტილებების მიღებას.

5. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინტეგრირებული ციფრული მოდელი

ცალკეული ციფრული პროექტები-ჭკვიანი მრიცხველები, ქსელის მონიტორინგი, მონაცემთა საცავი ან კიბერუსაფრთხოების პროგრამა მნიშვნელოვან სარგებელს იძლევა, თუმცა დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს სისტემურ მდგრადობას. საჭიროა საერთო არქიტექტურა, რომელშიც ტექნოლოგია, მონაცემები, უსაფრთხოება და მენეჯერული

პასუხისმგებლობა ერთიან პროცესად არის დაკავშირებული. შემოთავაზებული მოდელი ხუთ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს აერთიანებს.

სურ. 1. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინტეგრირებული ციფრული მოდელი



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ.

პირველი კომპონენტი მოიცავს ფიზიკურ და ოპერაციულ ინფრასტრუქტურას: გენერაციის ობიექტებს, გადამცემ და განაწილების ქსელებს, SCADA/EMS სისტემებს, ქვესადგურების ავტომატიზაციას, ჭკვიან მრიცხველებსა და სენსორებს. მისი ამოცანაა სანდო პირველადი მონაცემების მიღება და ქსელის ელემენტების დისტანციური მართვა. მეორე კომპონენტი არის ერთიანი ენერგეტიკული მონაცემების გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა კლასიფიკაციას, ხარისხის კონტროლს, საერთო ფორმატებს, წვდომის უფლებებსა და ორგანიზაციებს შორის დაცულ გაცვლას. ერთიანობა არ ნიშნავს ყველა მონაცემის ერთ ცენტრალურ ბაზაში თავმოყრას. მაღალი კრიტიკულობის გარემოში რეკომენდებულია ფედერაციული არქიტექტურის გამოყენება, რომლის პირობებშიც მონაცემები რჩება პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან, ხოლო მათი გამოყენება შეთანხმებული წესებისა და უფლებამოსილებების საფუძველზე ხორციელდება.

მესამე კომპონენტი აერთიანებს პროგნოზირებად ანალიტიკას, ხელოვნურ ინტელექტსა და ციფრული ორეული-ს. ვირტუალური მოდელი საშუალებას იძლევა ფიზიკური სისტემის რეალურ მონაცემებთან დაკავშირებას, სხვადასხვა ავარიული, საბაზრო და კლიმატური სცენარის ტესტირებას და გადაწყვეტილების შედეგების წინასწარი შეფასებას (Fuller et al., 2020).

მეოთხე კომპონენტი არის კიბერმდგრადობა და უწყვეტობა: უსაფრთხოების მმართველობა, OT ქსელების მონიტორინგი, ინციდენტების გამოვლენა, სარეზერვო მართვის რეჟიმები, აღდგენის დროის მიზნები და თანამშრომელთა წვრთნები.

მეხუთე კომპონენტი მონაცემებს გარდაქმნის მენეჯერულ მოქმედებად დისპეტჩერული გადაწყვეტილებების, ინვესტიციების პრიორიტეტების განსაზღვრა, აქტივების მართვისა და სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაციის მხარდასაჭერად.

საქართველოს ენერგეტიკაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და კიბერუსაფრთხოების კვლევებიც ადასტურებს, რომ ციფრული მოდერნიზაცია და უსაფრთხოების მმართველობა პარალელურად უნდა განვითარდეს (Kharkheli et al., 2025;

Narmania et al., 2026). ამიტომ ჭკვიანი ქსელების, SCADA/EMS-ისა და მონაცემთა ანალიტიკის გაფართოება უნდა უკავშირდებოდეს აქტივების ინვენტარიზაციას, წვდომის კონტროლს, პერსონალის კიბერჰიგიენას, ინციდენტების ერთიან აღრიცხვასა და აღდგენის გეგმების პერიოდულ გამოცდას. ცხრილი 3-ში განხილულია ინტეგრირებული მოდელის კომპონენტები და მოსალოდნელი შედეგები.

ცხრილი 3. ინტეგრირებული მოდელის კომპონენტები და მოსალოდნელი შედეგები

მოდელის ფენა	ძირითადი ინსტრუმენტები	ოპერაციული შედეგი	ენერგოუსაფრთხოების შედეგი
ჭკვიანი ქსელი და OT	SCADA/EMS, AMI, სენსორები, ავტომატიზაცია	რეალურ დროში ხილვადობა და სწრაფი რეაგირება	ქსელის სტაბილურობა და მომსახურების უწყვეტობა
ენერგოდატა გარემო	მონაცემთა კატალოგი, სტანდარტები, API, წვდომის პოლიტიკა	მონაცემების ხარისხი და პროცესების სინქრონიზაცია	ინფორმაციული დამოკიდებულების და ფრაგმენტაციის შემცირება
ანალიტიკა და ციფრული ორეული	პროგნოზი, სცენარების მოდელირება, ანომალიების აღმოჩენა	აქტივებისა და დატვირთვის ოპტიმიზაცია	დეფიციტის, ავარიისა და ბაზრის შოკის წინასწარი შეფასება
კიბერმდგრადობა	Zero-Trust, სეგმენტაცია, SOC, სარეზერვო რეჟიმები	ინციდენტის სწრაფი აღმოჩენა და აღდგენა	კრიტიკული ფუნქციების დაცვა
გადაწყვეტილების მხარდაჭერა	KPI, რისკის დაფა, საინვესტიციო ანალიზი	სწრაფი და დასაბუთებული მართვა	პოლიტიკისა და ოპერატორების კოორდინაცია

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

ცხრილი აჩვენებს, რომ ენერგოუსაფრთხოების ინტეგრირებული მოდელის ეფექტიანობა დამოკიდებულია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, მონაცემთა მართვის, პროგნოზირებადი ანალიტიკის, კიბერმდგრადობისა და გადაწყვეტილების მხარდაჭერის ერთიან ფუნქციონირებაზე. აღნიშნული კომპონენტების კოორდინაცია ზრდის სისტემის ოპერაციულ მდგრადობას, ამცირებს ავარიებისა და გარე შოკების გავლენას და აუმჯობესებს სწრაფი, დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

6. მოდელის დანერგვის ეტაპები

ინტეგრირებული მოდელის დანერგვა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, რადგან ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მაღალი კრიტიკულობა არ იძლევა ერთდროული და დაუტესტავი ცვლილებების შესაძლებლობას. პირველ ეტაპზე საჭიროა მონაცემებისა და ციფრული აქტივების სრული ინვენტარიზაცია: სად წარმოიქმნება მონაცემი, ვინ არის მისი მფლობელი, რა ხარისხით ინახება, როგორ იცვლება სისტემებს შორის და რომელი აქტივია კრიტიკული. ამავე ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა მმართველობის პოლიტიკა, ხარისხის მაჩვენებლები და კიბერრისკების საბაზისო შეფასება.

მეორე ეტაპია OT/IT გარემოების უსაფრთხო ინტეგრაცია. ინტეგრაცია უნდა ეფუძნებოდეს ქსელის სეგმენტაციას, დაცულ საკომუნიკაციო არხებს, კონტროლირებად პროგრამულ ინტერფეისებს, სისტემური ჩანაწერების ცენტრალიზებულ ანალიზსა და წვდომის უფლებების მკაფიო განსაზღვრას. ადმინისტრაციული და ბიზნესსისტემების

პირდაპირი დაკავშირება ოპერაციულ მოწყობილობებთან დაუშვებელია დაცვის მრავალშრიანი მექანიზმების გარეშე. ამ ეტაპზე აუცილებელია პასუხისმგებლობების განაწილება სისტემის ოპერატორებს, განაწილების კომპანიებს, გენერაციის ობიექტებსა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის.

მესამე ეტაპზე ფართოვდება ჭკვიანი ქსელის (Smart Grid) ინფრასტრუქტურა: ჭკვიანი მრიცხველები, ავტომატიზებული ქვესადგურები, დისტანციური გადართვა, განაწილებული ენერგორესურსების მართვა და მოთხოვნის რეაგირების მექანიზმები. ეს ნაბიჯი ზრდის ქსელის მოქნილობას და ქმნის განახლებადი გენერაციის, ენერგიის შენახვისა და ელექტრომობილობის უსაფრთხო ინტეგრაციის საფუძველს (IEA, 2023).

მეოთხე ეტაპზე ინერგება პროგნოზირებადი ანალიტიკა და ციფრული ორეული, თავდაპირველად შეზღუდულ საპილოტე უბნებზე, ხოლო შემდგომ სისტემის უფრო ფართო დონეზე.

მეხუთე ეტაპი არის მოდელის ინსტიტუციონალიზაცია: ერთიანი KPI-ების, რისკის რეგისტრის, კრიზისული სცენარების, აუდიტის პერიოდულობისა და გადაწყვეტილებების ანგარიშვალდებულების დამკვიდრება. ტექნოლოგიური სისტემის პარალელურად უნდა განვითარდეს ადამიანური კაპიტალი. აუცილებელია ენერგეტიკის, მონაცემთა მეცნიერების, კიბერუსაფრთხოებისა და მენეჯმენტის სპეციალისტების ერთობლივი გუნდები, რადგან სისტემური მდგრადობა მხოლოდ IT დეპარტამენტის პასუხისმგებლობა არ არის. ცხრილი 4-ში ასახულია დანერგვის ეტაპები და საკვანძო შედეგები.

ცხრილი 4. დანერგვის ეტაპები და საკვანძო შედეგები

ეტაპი	ძირითადი მოქმედებები	საკვანძო შედეგი
I. საბაზისო მზადყოფნა	აქტივებისა და მონაცემების ინვენტარიზაცია; სტანდარტები; რისკის შეფასება	მართვადი მონაცემთა და აქტივების გარემო
II. უსაფრთხო ინტეგრაცია	OT/IT სეგმენტაცია; API; იდენტობა და წვდომა; მონიტორინგი	დაცული მონაცემთა გაცვლა და ერთიანი ხილვადობა
III. Smart Grid გაფართოება	AMI; ავტომატიზაცია; მოთხოვნის მართვა; განაწილებული რესურსები	ქსელის მოქნილობა და სწრაფი რეაგირება
IV. პროგნოზირებადი მართვა	AI, ციფრული ორეული, სცენარების მოდელირება	პრევენციული და ოპტიმიზებული გადაწყვეტილებები
V. ინსტიტუციონალიზაცია	KPI; აუდიტი; წვრთნები; კოორდინაცია; კადრების განვითარება	უწყვეტი გაუმჯობესება და ანგარიშვალდებულება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

7. ეკონომიკური და მმართველობითი ეფექტები

შემოთავაზებული მოდელის ეკონომიკური მნიშვნელობა პირველ რიგში გამოიხატება არსებული ინფრასტრუქტურის უკეთ გამოყენებაში. რეალურ დროში მონაცემები და პროგნოზირებადი ანალიტიკა შესაძლებელს ხდის დატვირთვის მართვას, ტექნიკური მომსახურების წინასწარ დაგეგმვას, დანაკარგების გამომწვევი უბნების იდენტიფიკაციას და ავარიამდე აქტივის მდგომარეობის შეფასებას. ამგვარი მიდგომა

კომპანიებს ეხმარება კაპიტალური დანახარჯების პრიორიტეტულ გადანაწილებაში. ინვესტიცია მიმართულია იმ აქტივსა და უბანზე, სადაც რისკისა და მოსალოდნელი სარგებლის თანაფარდობა ყველაზე მაღალია.

მმართველობითი ეფექტი დაკავშირებულია გადაწყვეტილების ხარისხსა და სისწრაფესთან. ერთიანი მონაცემთა გარემო ამცირებს სხვადასხვა დეპარტამენტში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის პრობლემას, ხოლო სცენარების მოდელირება მენეჯერს აძლევს შესაძლებლობას შეადაროს ალტერნატივები-იმპორტის, შიდა გენერაციის, რეზერვის, მოთხოვნის შემცირებისა და ქსელის გადართვის კომბინაციები. გეოპოლიტიკური შოკის დროს ასეთი სისტემა განსაკუთრებით ღირებულია, რადგან გადაწყვეტილება ეფუძნება არა მხოლოდ მიმდინარე მაჩვენებელს, არამედ შესაძლო განვითარების რამდენიმე სცენარს.

მოდელის განხორციელებას თან ახლავს მნიშვნელოვანი შეზღუდვებიც. მაღალი საწყისი ინვესტიცია, მემკვიდრეობითი მოწყობილობების შეუთავსებლობა, მონაცემთა არასაკმარისი ხარისხი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და კიბერშეტევის ახალი ზედაპირები შეიძლება პროექტის შედეგიანობა შეაფერხოს. ასევე არსებობს მომწოდებელზე ჩაკეტვის რისკი, როდესაც პლატფორმის შეცვლა ან მონაცემის სხვა სისტემაში გადატანა ტექნიკურად და ფინანსურად რთულდება. ამიტომ შესყიდვებში უნდა განისაზღვროს ღია ინტერფეისები, მონაცემის პორტაბელობა, უსაფრთხოების განახლების ვალდებულება და ტექნოლოგიის სრული სასიცოცხლო ციკლის ღირებულება.

ეკონომიკური ეფექტიანობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ პირდაპირი ფინანსური ეკონომიით, არამედ თავიდან აცილებული ზარალითაც: გათიშვის შემცირებული ხანგრძლივობა, კრიტიკული მომხმარებლის მომსახურების შენარჩუნება, კიბერინციდენტის პრევენცია, აქტივის სასიცოცხლო გახანგრძლივება და ბაზრის შოკისადმი სწრაფი ადაპტაცია. სწორედ ამიტომ საპილოტე პროექტებისთვის მიზანშეწონილია წინასწარ განისაზღვროს საბაზისო მდგომარეობა და KPI-ები- მომსახურების უწყვეტობა, რეაგირების დრო, პროგნოზის სიზუსტე, ტექნიკური დანაკარგი, ინციდენტის აღმოჩენის დრო, მონაცემთა ხარისხი და საინვესტიციო გადაწყვეტილების ციკლის ხანგრძლივობა.

8. დასკვნა და რეკომენდაციები

გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში საქართველოს ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებულია არა მხოლოდ გენერაციის მოცულობაზე, არამედ სისტემის უნარზე დროულად დაინახოს ცვლილება, შეაფასოს მისი შედეგები, შეინარჩუნოს კრიტიკული ოპერაციები და სწრაფად აღადგინოს. ჰიდროლოგიური სეზონურობა, იმპორტირებული საწვავისა და რეგიონული ბაზრების გავლენა, ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური მიწოდების ჯაჭვები და კიბერრისკები ერთმანეთისგან იზოლირებული პრობლემები არ არის. მათი მართვა მოითხოვს ერთიან ციფრულ და ინსტიტუციურ ჩარჩოს.

გენერაციის პოლიტიკის თვალსაზრისით, პრიორიტეტი უნდა იყოს არა მხოლოდ ახალი სიმძლავრეების დამატება, არამედ ჰიდრო, თბო, ქარისა და მზის წყაროების, ენერგიის შენახვის, მოთხოვნის მართვისა და ტრანსსასაზღვრო გაცვლის

კოორდინირებული დაგეგმვა. ასეთი მიდგომა ამცირებს ერთი რესურსის, საწვავის ან მიწოდების მარშრუტის მიმართ მოწყვლადობას და ზრდის ენერგოსისტემის მოქნილობას.

კვლევაში შემოთავაზებული მოდელი აერთიანებს ჭკვიან ქსელს და ოპერაციულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა მმართველობას, პროგნოზირებად ანალიტიკასა და ციფრული ორეული-ს, კიბერმდგრადობას და მენეჯერული გადაწყვეტილებების მხარდაჭერას. მისი ღირებულება სწორედ ინტეგრაციაშია: ფიზიკური სისტემიდან მიღებული მონაცემი გადის ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლს, გარდაიქმნება პროგნოზად და სცენარად, შემდეგ კი გამოიყენება ოპერაციული, საინვესტიციო და პოლიტიკის გადაწყვეტილებისთვის.

საქართველოსთვის მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯები:

- ეროვნული ციფრული ენერგოსისტემის საგზაო რუკის შემუშავება, რომელშიც განისაზღვრება ტექნიკური სტანდარტები, პასუხისმგებელი ინსტიტუტები და ეტაპობრივი საინვესტიციო პრიორიტეტები;
- ენერგეტიკულ მონაცემთა პლატფორმის მმართველობის საერთო ჩარჩოს შექმნა ფედერაციული გაცვლის, მონაცემთა ხარისხის, წვდომისა და კონფიდენციალურობის წესებით;
- OT კიბერუსაფრთხოების მინიმალური სავალდებულო მოთხოვნების, ინციდენტებზე რეაგირების ერთობლივი პროტოკოლებისა და რეგულარული სავარჯიშოების დამკვიდრება;
- ჭკვიანი ქსელი, ციფრული ორეული და პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურების საპილოტე პროექტების განხორციელება მკაფიო KPI-ებითა და ხარჯ–სარგებლის შეფასებით;
- გენერაციის პორტფელის დივერსიფიკაცია ჰიდრო, თბო, ქარისა და მზის წყაროების, ენერგიის შენახვისა და მოთხოვნის მართვის კოორდინირებული დაგეგმვით;
- ღია სტანდარტების, მომწოდებლების დივერსიფიკაციისა და ადგილობრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერა;
- მეზობელ სისტემებთან კრიზისული ინფორმაციის გაცვლისა და ალტერნატიული ენერგეტიკული სცენარების შეთანხმებული მოდელირება.

ამგვარი მიდგომა ციფრულ ტრანსფორმაციას გადააქცევს ენერგეტიკული კომპანიების ცალკეული ტექნოლოგიური პროექტებიდან ეროვნული მდგრადობის სისტემურ პოლიტიკად.

გამოყენებული ლიტერატურა

Cherp, A., & Jewell, J. (2014). The concept of energy security: Beyond the four As. Energy Policy, 75, 415–421. https://doi.org/10.1016/j.enpol.2014.09.005

European Commission. (2022). Digitalising the energy system—EU action plan (COM(2022) 552 final). Brussels.

Fuller, A., Fan, Z., Day, C., & Barlow, C. (2020). ციფრული ორეული: Enabling technologies, challenges and open research. IEEE Access, 8, 108952–108971. https://doi.org/10.1109/ACCESS.2020.2998358

Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission. (2024). Annual report 2024. Tbilisi.

Georgian State Electrosystem. (2023). Ten-year network development plan of Georgia 2023–2033. Tbilisi.

Humayed, A., Lin, J., Li, F., & Luo, B. (2017). Cyber-physical systems security—A survey. IEEE Internet of Things Journal, 4(6), 1802–1831. https://doi.org/10.1109/JIOT.2017.2703172

International Energy Agency. (2023). Electricity grids and secure energy transitions. Paris: IEA.

International Renewable Energy Agency. (2019). Innovation landscape for a renewable-powered future: Solutions to integrate variable renewables. Abu Dhabi: IRENA.

Linkov, I., & Trump, B. D. (2019). The science and practice of resilience. Springer Nature. https://doi.org/10.1007/978-3-030-04565-4

Kharkheli, M., Narmania, D., Morchilarze, G., Vardiashvili, N., Davitaia, S., Makasarashvili, M., & Tordinava, T. (2025). ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვის ტენდენციები ენერგეტიკაში: საქართველოს ენერგოუსაფრთხოების კონტექსტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალების კრებული, 409–424.

Narmania, D., Kharkheli, M., Davitaia, S., Vardiashvili, N., Morchilarze, G., & Makasarashvili, M. (2025). Managing energy security assessment of self-sufficiency in Georgia. Theoretical & Applied Science, 2(142), 124–133.

Narmania, D., Chokheli, E., Kharkheli, M., Davitaia, S., Makasarashvili, M., Vardiashvili, N., & Morchiladze, G. (2026). Studying the peculiarities of cyber security in the energy sector and determining ways to ensure it on the example of Georgia. TEM Journal, 15(2), 1842–1850. https://doi.org/10.18421/TEM152-74

National Institute of Standards and Technology. (2024). The NIST Cybersecurity Framework (CSF) 2.0. Gaithersburg, MD: NIST.

An Innovative and Integrated Energy Security Model for Georgia amid Contemporary Geopolitical Challenges

David Narmania
Academic Doctor of Economics, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
davit.narmania@tsu.ge

Shorena Davitaia
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shorena.davitaia@tsu.ge

Mikheil Makasarashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
makasarashilmikheil@gmail.com

Nino Vardiashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ninvardiashvili@gmail.com

Giorgi Morchiladze
Academic Doctor of Business Administration
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgimorchiladze17@gmail.com

Summary

This article examines how geopolitical challenges transforms energy-security priorities in Georgia and proposes an integrated digital model for strengthening the resilience of the national power system. The study applies qualitative content analysis and a systems approach to academic literature, international policy documents, cybersecurity standards and strategic reports concerning Georgia's electricity sector. The analysis identifies several interconnected vulnerabilities: strong dependence on hydrological conditions, seasonal supply-demand imbalances, reliance on imported fuels for thermal balancing, exposure of cross-border infrastructure, fragmented operational data, cyber risks and dependence on external technology supply chains. The proposed model integrates five layers: smart-grid and operational technologies; a unified energy-data environment; predictive analytics, artificial intelligence and ციფრული ორეულის; cybersecurity and business-continuity mechanisms; and management decision support. A phased implementation pathway is suggested, beginning with data standardization and secure OT/IT integration, followed by smart-grid expansion, predictive modelling and continuous resilience assessment. The model is expected to improve operational flexibility, outage response, asset management, renewable-energy integration and the quality of investment decisions. The article concludes that digital transformation should be

regarded not merely as technological modernization, but as an economic and national energy-security instrument that can help Georgia adapt to fragmented markets, volatile supply chains and regional uncertainty.

Keywords: energy security; geopolitical challenges; digital transformation; smart grid; ციფრული ორეული.

საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მაჩვენებელთა ანალიზი

ცისკარა ზარანდია
ეკონომიკს დოქტორი, პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
tsiskarazarandia@gmail.com

ვახტანგ თაქთაქიძე
ეკონომიკის დოქტორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
vakhtangtaktakidze@gmail.com

ბესიკ ცქიფურიშვილი
დოქტორანტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
besiktskiphurishvili@gmail.com

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიღწევის შესაძლებლობები, არსებული ტენდენციები და ძირითადი გამოწვევები. ნაშრომში შეფასებულია მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების (SDG) შესრულება. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც შეფასებულია „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ საფუძველზე შემუშავებული ინდიკატორებით. შედეგების მიხედვით, საქართველო პოზიტიურ ტრენდს ინარჩუნებს ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდა, ადამიანური განვითარების ინდექსი, ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი, ინფლაციის დონე, განათლების დაფინანსება, სახელმწიფო ვალის* შემცირება და ექსპორტის წილი მშპ-ში. თუმცა, გამოკვეთილია სერიოზული სტრუქტურული პრობლემებიც. კერძოდ: ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებლით ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო დონეს; ეკონომიკურ ზრდას აქვს *არაინკლუზიური ხასიათი; მეცნიერების ასიგნებები კვლავ დაბალ (0.2%) ნიშნულზეა; ხოლო ექსპორტით იმპორტის გადაფარვის დაბალი კოეფიციენტი (39%) მიუთითებს ეროვნული ეკონომიკის ძლიერ იმპორტდამოკიდებულებაზე. ნაშრომის დასკვნით, მდგრადი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ადგილის დასამკვიდრებლად აუცილებელია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მოდელის პირობების უზრუნველყოფა და არსებული ნეგატიური გამოწვევების ეფექტიანი დაძლევა.*

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, საქართველოს ეკონომიკა, ინკლუზიური ზრდა, მშპ.*

შესავალი

მდგრადი განვითარების მიღწევა თანამედროვე, ცივილიზებული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რომლის უზრუნველყოფიკენაც მიმართულია ქვეყნის მნიშვნელოვანი რესურსები. XX საუკუნის ბოლო ოცწლეულიდან დაწყებული მდგრადი განვითარების კონცეფცია თანდათან ყალიბდება თანამედროვე სამყაროს წინსვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. არსებულმა გარემოსდაცვითმა პრობლემებმა და ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების ნაცვლად განახლებად რესურსებზე აქცენტირების პოსტინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებმა არსებითად გაზარდა აღნიშნული კონცეფციის მნიშვნელობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი დინამიკური ეკონომიკური ზრდა. ცხადია, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია თუ როგორია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება.

ნაშრომის მიზანი. ნაშრომის მიზანია არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მაჩვენებლების ანალიზი და ამ სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სფეროებში ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. კონკრეტული საკითხების კვლევისას გამოყენებულია სისტემური, რეტროსპექტიული ასევე სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

კვლევის შედეგები. მდგრადი განვითარების არსებული კომპონენტების (ელემენტების, ასპექტების), მახასიათებლებისა და ინდიკატორების ანალიზიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობისა და განვითარების პირობების ანალიზი რამდენიმე მიმართულებითაა შესაძლებელი და მიზანშეწონილი. კერძოდ:

1) მდგრადი განვითარების სამიზნე ინდიკატორების მიხედვით;
2) მდგრადი განვითარების კომპონენტების (დინამიკური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, სოციალური განვითარება, ეკოლოგიური პირობები) მიხედვით.

ცნობილია, რომ საქართველომ მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზნიდან და 169 ამოცანიდან, ეროვნულ დოკუმენტში, ქვეყანაში არსებული პირობებიდან და ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა აღიარა. ამასთან, ამ მიზნებისა და ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული 244 ინდიკატორი, აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე მოდიფიცირებულ იქნა 201 სამიზნე და საბაზისო ინდიკატორად (https://sdg.gov.ge/main - მდგრადი განვითარების მიზნები, 2024). ინდიკატორები დაჯგუფებულია მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, ანუ თითოეულ მიზანსა და ამოცანას კონკრეტული ინდიკატორი (ინდიკატორები) შეესაბამება და მათი მიღწევის შეფასება ამ ინდიკატორების საშუალებითაა შესაძლებელი.

2024 წლის მდგომარეობით გაეროს მდგრადი განვითარების ანგარიშის შესაბამისად საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხრივ 167 ქვეყნიდან 74,9 ქულით 43 ადგილზეა წარმოდგენილი. აღნიშნული მიზნების შესრულების მხრივ

ლიდერი სამეული ასე გამოიყურება - ფინეთი (86,4 ქულა), შვედეთი (85,7 ქულა), დანია (85,0 ქულა), ხოლო აუტსაიდერთა სამეული კი ასე - სამხრეთ სუდანი (40,1 ქულა) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (44,2 ქულა), ჩადი (45,1 ქულა) (Sachs., 2024, გვ. 21). მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხრივ საქართველოს მაჩვენებლები ასე გამოიყურება: არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასებული 75 ინდიკატორიდან მიღწეულია ან მიღწევის მიჯნაზეა 29, შემცირებულია (გაუარესებულია) - 14, სტაგნაციის მდგომარეობაშია - 26, ზომიერად გაუმჯობესებულია - 6. ამგვარად, მთლიანობაში 17 მიზნიდან ყველაზე საუკეთესო მიღწევებია IV - ხარისხიანი განათლების მიზნის ინდიკატორებში. სტაგნაციის მდგომარეობაა 1, 3, 6, 8, 9, 10, 16 მიზნებთან მიმართებაში, ზომიერი გაუმჯობესების ტენდენციაა 2, 5, 14, 15 მიზნებში, ხოლო გაუარესებაა 2, 5, 14, 15 მიზნებში (https://sdg.gov.ge/main - მდგრადი განვითარების მიზნები., 2024).

რაც შეეხება მდგრადი განვითარების ერთ-ერთ კომპონენტს - დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, ჩვენი აზრით, მდგრადი ეკონომიკური ზრდის არსებული დონისა და პოტენციალის დასახასიათებლად ყველაზე მიზანშეწონილია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში ცნობილი მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის ინდიკატორების გამოყენება. აღნიშნული ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობები ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. ,,კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ საფუძველზე (სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი, 2003). ჩვენს მიერ აღნიშნული ინდიკატორებიდან შერჩეულ იქნა ჩვენი აზრით, ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მდგრადი ეკონომიკური ზრდის არსებულ მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს. ამასთანავე, გათვლისთვის საჭირო ბაზა მოცემულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის კუთხით უმეტეს მაჩვენებლებში პოზიტიური ტრენდი გააჩნია. კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის, ადამიანური განვითარების ინდექსის, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის დონის, მშპ-ში განათლებაზე ასიგნებანის, სახელმწიფო ვალებისა და ექსპორტის წილის მიხედვით, ხოლო ნეგატიური - მშპ-ში ძირითად კაპიტალში ინვესტიციების, საგადასახადო შემოსავლების, მეცნიერებაზე ასიგნებების წილების, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებლების მხრივ. ამასთან, ზღვრული ნიშნულის მიღწევა არ გულისხმობს მოვლენის ოპტიმისტურ განვითარებას, არამედ მიუთითებს მდგრადი განვითარების, ეკონომიკაში რამე მნიშვნელოვანი რღვევისა და დისპროპორციის რეალური საფრთხის არ არსებობას.

ცხრილი 1.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის მაჩვენებლები
(https://www.mof.ge/, თ. გ.) (https://www.geostat.ge/ka, თ. გ.)

#	მაჩვენებლების დასახელება	ზღვრული მნიშვნელობა	საქართველო				
			2005	2010	2015	2020	2025
1	რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით (%)	3,1	9,6	6,2	3,4	-6,3	7,5
2	მშპ მლრდ აშშ დოლარი (მიმდინარე ფასებში)	-	-	11,6	13,99	16,0	38,1
3	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (PPP $)	6 000	4200	5800	9630	14861	-
4	ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი	0,80	-	0,698	0,754	0,812	0.812
5	ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში (%)	25	28,1	19,3	20,4	22,1	20,9
6	ბიუჯეტის დეფიციტი – (GFS-2014) (%)	3,0	2,6	6,7	1,3	9,1	2,5
7	სახელმწიფო ვალების წილი მშპ-სთან მიმართებით (%)	40	40,0	37,2	36,1	61,9	36,1
8	საგარეო ვალების წილი მშპ-სთან მიმართებით (%)	30	26,8	33,6	32,5	49,6	23,9
9	შიდა ვალების წილი მშპ-სთან მიმართებით (%)	30	13,6	5,1	8,9	10,6	11,1
10	ინფლაციის დონე (%)	5-6	8,2	7,1	4,0	5,2	3,9
11	საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებით (%)	30	15,8	23,5	23,7	18,8	21,0
12	მეცნიერებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%)	2,0	-	0,2	0,2	0,2	0,2
13	განათლებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%)	2,0	3,3	2,5	2,5	3,5	4,0
14	საქონლის ექსპორტის წილი მშპ-ში (%)	15	12,7	14,0	15,8	20,6	19,1
15	ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%)	75	34,8	31,9	28,5	40,7	39,2
16	ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%)	20	30	22	-	12,7	16,2

როგორც ვხედავთ, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მთლიან შიდა პროდუქტთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების შესაძლებლობის ზღვრული პარამეტრების მხრივ ქვეყანაში პოზიტიური მდგომარეობაა და ეკონომიკური კრიზისისა

და მდგრადობის დარღვევის ნიშნები არაა სახეზე. ამასთანავე, მიუხედავად ცალკეულ პერიოდში მაღალი ეკონომიკური ზრდისა, მთლიანობაში განვლილ ეტაპზე მშპ-ის არსებულმა ზრდის რეალურმა ტემპმა ვერ უზრუნველყო საქართველოსთვის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრება. 2050 წლისთვის განვითარებული ქვეყნების ოცეულში ადგილის დასამკვიდრებლად რეალური ზრდის ორნიშნა მაჩვენებლის უზრუნველყოფაა აუცილებელი, რაც ერთობ რთულ ამოცანას წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მშპ ერთ სულზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით 5-ჯერ გაიზარდა, რამაც ქვეყანას მისცა საშუალება საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნიდან, საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების რიგში დაემკვიდრებინა ადგილი. ამასთან, 2024 წლის მონაცემებით ერთ სულზე მშპ-ის დონით საქართველო (28 412 PPP $) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (44 145 PPP $). ნომინალში საქართველოში ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი (დაახლოებით 7 500 ევრო) თითქმის 5-ჯერ ნაკლებია ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელზე (35 400 ევრო). ერთის მხრივ, საქართველოსთვის გრძელვადიანი რეალური ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, მეორეს მხრივ, ეკონომიკური ზრდის არაინკლუზიური ხასიათი აუფერულებენ ამ სფეროში არსებულ მიღწევებს.

საქართველოს დადებითი დინამიკა გააჩნია ადამიანური განვითარების ინდექსის მიმართულებით. როგორც ცნობილია აღნიშნული ინდექსი სამი ძირითადი კომპონენტისგან - მშპ ერთ სულზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობის განათლება - შედგება, სადაც სამივე მიმართულებით დადებითი დინამიკაა. ამასთან, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ ტრიადის სუსტ ელემენტს ერთ სულზე მშპ წარმოადგენს.

მდგრადი განვითარების ჩვენს მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმებით ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა იყოს 3 %-ზე მაღალი. აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში ძირითადად დადებითი ტრენდით ხასიათდება, საბიუჯეტო სახსრების მობილიზების განხორციელებული ღონისძიებები და არსებული კანონმდებლობა მთლიანობაში ხელს უწყობს ბიუჯეტის დადებით მაჩვენებლებს. ამასთანავე, ბიუჯეტთან დაკავშირებული მეორე მაჩვენებელი - საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში, ჩამორჩება ზღვრულ ნიშნულს და ნაცვლად 30 %-სა 21 %-ის დონეზე ფიქსირდება.

ზღვრულ ნიშნულს უახლოვდება სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები. კერძოდ, 2025 წლის მონაცემებით სახელმწიფო ვალების წილი მშპ-სთან მიმართებით შეადგენს 36, 1 %-ს, ხოლო საგარეო ვალის წილი მშპ-სთან მიმართებით 23,9 %-ს და შიდა ვალებისა კი - 11,1 %-ს. აღსანიშნავია რომ ბოლო პერიოდში არსებულმა დადებითმა ტენდენციამ შესაძლებელი გახადა ამ მიმართულებით არსებული ნეგატიური მდგომარეობის გამოსწორება. კერძოდ, 2020 წლისთვის მშპ-სთან მიმართებით სახელმწიფო ვალის წილი 61,9 %-ს, ხოლო საგარეო ვალების წილი - 49,6 %-ს შეადგენდა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო., 2024).

რაც შეეხება მეცნიერებაზე ასიგნებების წილს მშპ-ში, იგი ნაცვლად ზღვრული 2 %-სა სტაბილურად 0,2 %-ს, შეადგენს. ამასთან, ზრდის დინამიკა გააჩნია ამ რანგის მეორე მაჩვენებელს - განათლებაზე ასიგნებების წილს მშპ-ში და იგი ნაცვლად განსაზღვრული 2 %-სა, 2025 წლისთვის 4 %-ს შეადგენს.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები, მათი ურთიერთდამოკიდებულება. როგორც ოფიციალური სტატისტიკიდან ირკვევა მშპ-სთან მიმართებით ექსპორტის წილი ნაცვლად ზღვრული 15 %-სა 2025 წლისთვის 19,1 %-ს შეადგენს. ამასთან ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზღვრულს და ნაცვლად 75 %-სა 39,2 %-ს შეადგენს. აღნიშნული მიუთითებს ეროვნული ეკონომიკის იმპორტზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე და მდგრადი განვითარებისთვის არსებით გამოწვევას წარმოადგენს.

როგორც არსებული მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 2025 წლისთვის 16,2 %-ს შეადგენს, რაც მდგრადი ეკონომიკური განვითარების ზღვრულ ინდიკატორის თვალსაზრისით პოზიტიურია.

დასკვნა

ამგვარად, XXI საუკუნის განვლილ ეტაპზე საქართველოში, ქვეყნის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა მიმართულებით, განხორციელებული მნიშვნელოვანი, რადიკალური ცვლილებების შედეგად დაძლეულ იქნა ეკონომიკის სფეროში არსებული სისტემური კრიზისი, უზრუნველყოფილი იქნა სტაბილური ეკონომიკური ზრდა. აღნიშნულის კვალობაზე განხორციელებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება გახადა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების მიღწევის კვალობაზე, თავიდანვე მნიშვნელოვან მიმართულებად განისაზღვრა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა, ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური განვითარების ისეთი პარამეტრების მიღწევა, რომელიც ქვეყანას საშუალებას მისცემდა განვითარებული ქვეყნების რიგში დაეკავებინა ღირსეული ადგილი. უკვე 2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პირველი კონცეფცია, ხოლო 2011 წელს კონცეფციის ახალი ვარიანტი, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ძირითადი მახასიათებლები, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები და ტრაექტორია.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების ერთ-ერთ კომპონენტს - დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, ჩვენი აზრით, მდგრადი ეკონომიკური ზრდის არსებული დონისა და პოტენციალის დასახასიათებლად ყველაზე მიზანშეწონილია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში ცნობილი მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის ინდიკატორების გამოყენება. აღნიშნული ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობები საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის კუთხით უმეტეს მაჩვენებლებში პოზიტიური ტრენდი გააჩნია. კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის, ადამიანური განვითარების ინდექსის, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის დონის, მშპ-ში განათლებაზე ასიგნებანის, სახელმწიფო ვალებისა, ექსპორტის წილისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მიხედვით, ხოლო ნეგატიური - მშპ-ში ძირითად

კაპიტალში ინვესტიციების, საგადასახადო შემოსავლების, მეცნიერებაზე ასიგნებების წილების, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებლების მხრივ. ამასთან, ზღვრული ნიშნულის მიღწევა არ გულისხმობს მოვლენის ოპტიმისტურ განვითარებას, არამედ მიუთითებს მდგრადი განვითარების, ეკონომიკაში რამე მნიშვნელოვანი რღვევისა და დისპროპორციის რეალური საფრთხის არ არსებობას.

ლიტერატურა

https://sdg.gov.ge/main - მდგრადი განვითარების მიზნები. (2024). *მდგრადი განვითარების მიზნები*. Retrieved from https://sdg.gov.ge/main

https://www.geostat.ge/ka. (n.d.). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka

https://www.mof.ge/. (n.d.). *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*. Retrieved from https://www.mof.ge/

Sachs., J. D. (2024). *"Sustainable Development Report 2024. The SDGs and the UN".*

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2024). *საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი #22.* თბილისი.

სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. (2003). *საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია.* თბილისი.

Analyzing the Indicators of Sustainable Economic Development in Georgia

Tsiskara Zarandia
Doctor of Economics, Professor
Samtskhe-Javakheti State University,
tsiskarazarandia@gmail.com

Vakhtang Taktakidze
Doctor of Economics, Professor
Samtskhe-Javakheti State University,
vakhtangtaktakidze@gmail.com

Besik Tskipurishvili
PhD Student,
Samtskhe-Javakheti State University,
besiktskiphurishvili@gmail.com

Summary

The paper discusses the possibilities, current trends, and key challenges of achieving sustainable economic development in Georgia. It evaluates the implementation of the global Sustainable Development Goals (SDGs). Particular attention is given to dynamic economic growth, which is assessed through indicators developed based on the "Copenhagen Criteria." According to the results, Georgia maintains a positive trend

in indicators such as real Gross Domestic Product (GDP) growth, the Human Development Index (HDI), budget deficit control, the inflation rate, education funding, reduction of public debt, and the share of exports in GDP. However, serious structural problems are also highlighted. Specifically:

- GDP per capita in the country significantly lags behind the European Union average;
- Economic growth is non-inclusive;
- Appropriations for science remain at a low level (0.2%);
- The low export-to-import coverage ratio (39%) indicates a strong import dependency of the national economy.

The paper concludes that in order to establish a place among sustainable and developed economies, it is essential to ensure the conditions for an inclusive economic growth model and to effectively overcome the existing negative challenges.

Keywords: Sustainable Development, Georgia's Economy, Inclusive Growth, GDP.

გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ფრაგმენტაციის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
tea.lazarashvili@tsu.ge

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე
ასოცირებული პროფესორი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
rusudan.dalakishvili@ciu.edu.ge

ანოტაცია. *მსოფლიო ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე განიცდის ტრანსფორმაციას, რომელიც განპირობებეულია გლობალური ფრაგმენტაციის პროცესებით. ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყნებს შორის, რეგიონული სავაჭრო ბლოკების გაძლიერება, სავაჭრო ომები და სანქციები წინაპირობებს ქმნიან არსებული ეკონომიკური კავშირების რღვევისათვის და იწვევენ ახალი ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებას და გეოპოლიტიკურ ზონებად დაყოფას. ეს პროცესები მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გადახედვას გლობალური ინტეგრაციის შესუსტებისა და ეკონომიკური არასტაბილურობის მზარდი რისკების კონტექსტში. უმსხვილეს ქვეყნებს შორის, გეოპოლიტიკურმა დაძაბულობის ზრდამ გააძლიერა შეშფოთება გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ფრაგმენტაციის გამო. ფინანსური ფრაგმენტაციას, რომელიც გამოწვეულია გეოპოლიტიკური დაძაბულობით, შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი შედეგები გლობალური ფინანსური სტაბილურობისათვის, ზემოქმედებას მოახდენს რა ქვეყნებს შორის კაპიტალის გადანაწილებაზე, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებზე და აქტივების ფასებზე. ეკონომიკური არასტაბილურობის საფუძველს წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის განვითარდება ორი საწინააღმდეგო ტენდენციით – ინტეგრაციაისა და ფრაგმენტაციის ზემოქმედებით. ეს პროცესები წარმოადგენენ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების რთულ ურთიერთქმედებას, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურას. გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო, ფინანსური ფრაგმენტაციის ზრდამ შეიძლება გააძლიეროს მაკროფინანსური არასტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც შეამცირებს საერთაშორისო შესაძლებლობებს რისკების დივერსიფიკაციისათვის ნეგატიური შიდა და გარე შოკების ფონზე. აგრეთვე მზარდმა ფინანსურმა ფრაგმენტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო კაპიტალის ნაკადების უეცარი ცვლილებაც. შედეგები კი, უფრო შესამჩნევი იქნება ფორმირებადი ბაზრების მქონე ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, რაც შექმნის რისკებს მაკროფინანსური სტაბილურობისათვის.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური და ფინანსური ფრაგმენტაცია, ეკონომიკური არასტაბილურობა, მაკროფინანსური სტაბილურობის რისკები.*

***

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ხასიათდება მზარდი გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციით, რაც გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციას და გლობალური ეკონომიკის კონკურენტულ ბლოკებად დაყოფას. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომი-ს შემდგომ გაძლიერდა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც სავაჭრო, ასევე ფინანსური და ენერგეტიკული ურთიერთობები რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

გლობალიზაციისა და ფრაგმენტაციის საკითხები აქტიურად შეისწავლებოდა პრაქტიკაში ბოლო ათწლეულების მანძილზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო სავაჭრო პალატა აქტიურად იკვლევდნენ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენას ვაჭრობასა და წარმოების ჯაჭვებზე და აანალიზებდნენ, თუ როგორ უწყობს ხელს ძირითად ეკონომიკებს შორის სავაჭრო ბარიერები ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების ფრაგმენტაციას.

გლობალური ინტეგრაცია მიიღწევა რთული ეკონომიკური და ინსტიტუციური მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, სავაჭრო შეთანხმებებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და ფინანსურ სტრუქტურებს.

გლობალური ტრანსფორმაცია ინტეგრაციის საპირისპირო პროცესია და ხასიათდება საერთაშორისო კავშირების შესუსტებით, ეკონომიკური პროტექციონიზმის გაძლიერებით და გლობალური ეკონომიკის რეგიონალიზაციით. გლობალური ფრაგმენტაციას იწვევს: პოლიტიკური კონფლიქტები და სანქციები, პროტექციონისტული პოლიტიკა და ტექნოლოგიური სუვერენიტეტი. გლობალური ფრაგმენტაციის შედეგებად კი გამოდის: ეკონომიკური ზრდის შენელება, რეგიონალური ეკონომიკური ბლოკებისა და ფინანსური არასტაბილურობის რისკების ზრდა.

როდესაც ციფრული უთანასწორობა და რეგიონალიზაცია ეკონომიკაში ქმნიან სტრუქტურულ ნაპრალებს, საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაცია გამოდის კატალიზატორის როლში და რადიკალურად აჩქარებს ამ პროცესებს.

საომარი კონფლიქტები, სანქციური ომები და მრავალმხრივი ინსტიტუტების როლის შემცირება მნიშვნელოვნად ზღუდავს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს, ძირს უთხრის ინვესტიციების ნაკადებს და არღვევს მიწოდების ჯაჭვებს.

მსოფლიოს დღის წესრიგი დაფუძნებული წესებზე, აღმოჩნდა ზეწოლის ქვეშ რამოდენიმე გეოპოლიტიკური ცხელი წერტილების ექსკალაციის გამო. სპეციალური საომარი ოპერაციების დაწყებამ ისტორიაში გამოიწვია ყველაზე მასშტაბური სანქციების რეჟიმი, სატრანსპორტო და ენერგეტიკული მარშრუტების დარღვევა და სავაჭრო ნაკადების გადამისამართება. ახლო აღმოსავლეთი რჩება მაღალი რისკის რეგიონად: კონფლიქტი ღაზაში, სირიასა და იემენში აღვივებს სპეკულაციებს ენერგეტიკულ ბაზრებზე, განსაკუთრებით ნავთობის და თხევადი გაზის მომარაგების კუთხით.

ტაივანის გარშემო ვითარების ესკალაცია მაღალტექნოლოგიურ ბაზრებზე შეშფოთებას იწვევს. ტაივანი ნახევარგამტარების წარმოების ცენტრია და ნებისმიერმა დესტაბილიზაციამ შეიძლება მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის გლობალური კრიზისი გამოიწვიოს.

მასშტაბური სანქციების გამოყენება გეოეკონომიკური ზეწოლის ინსტრუმენტად იქცა. ამის ერთ-ერთი მაგალითია რუსეთის წინააღმდეგ სანქციები, რამაც გლობალური ენერგო ნაკადების გადანაწილება, დოლარზე უარის თქმა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ზრდა გამოიწვია.

სანქციებმა ირანის, ვენესუელასა და ჩინური კომპანიების მიმართ, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ როგორც აშშ-ს იურიდიული პირები, მნიშვნელოვნად შეზღუდეს საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობა და შესაბამის ქვეყნებში ტექნოლოგიებზე წვდომა.

საერთაშორისო სისტემის ფრაგმენტაციის პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, სააპელაციო ორგანოს დაბლოკვის შემდეგ, დაკარგა თავსისი არბიტრაჟული ფუნქცია 2020 წელს, მიუხედავად თავისი ფორმალური ყოფნისა, გაეროს გააჩნია მცირე გავლენა ეკონომიკურ სანქციებსა და სავაჭრო ბლოკადებზე; G20 ხდება პლატფორმა დებატებისათვის გადაწყვეტილებების გარეშე, განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ეხება რუსეთს, ჩინეთს და დასავლეთს. ეს ფაქტი ადასტურებს „გეოეკონომიკური კლუბების“ მოდელზე გადასვლას, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება „ინტერესთა“ ალიანსების მიერ უნივერსალური სტრუქტურების სანაცვლოდ (Сеферян, ... გვ. 171).

მსოფლიო ეკონომიკის მზარდი ფრაგმენტაციის პირობებში ენერგეტიკული სექტორი გეოეკონომიკური კონფიგურაციის ყველაზე დაუცველი და ამავდროულად მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. ტრადიციული ენერგომარაგების ნაკადების დარღვევამ, მომწოდებლის შეზღუდულ რაოდენობაზე მზარდმა დამოკიდებულებამ და რესურსებისათვის კონკურენციის გამწვავებამ აიძულა ქვეყნები, გადაეხედათ თავიანთი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ლანშაფტი სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სტრატეგიული ფაქტორებით. 2020 წლების დასაწყისიდან ქვეყნებმა, განსაკუთრებით აზიასა და ევროპაში, აქტიურად დაიწყეს თავისი ენერგეტიკული სტრატეგიების გადახედვა მომწოდებლების დივერსიფიკაციის სასარგებლოდ.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციურმა ზეწოლამ, მილსადენებით მომარაგების შეზღუდვებმა და კონკურენციის გაძლიერებამ, შემცირებული ბუნებრივი გაზის გამო, სტიმული მისცა ლოგისტიკის და ინვესტიციის გადანაწილებას ალტერნატიული მიმართულებით - კატარიდან და ნორვეგიიდან აშშ-მდე და ალჟირამდე. ამავდროულად შეინიშნება ენერგეტიკული გადასვლის მზარდი ტენდენცია – ანუ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება განახლებადი ენერგიის წყაროების სასარგებლოდ, მ.შ. მზის, ქარის და წყალბადის ენერგიის სასარგებლოდ. ეს გადასვლა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინვესტიციებს, არამედ პოლიტიკის კოორდინაციას რეგიონალურ დონეზე (ევროკავშირი, ACEAN), რაც ფრაგმენტაციის გამო სულ უფრო რთული ხდება.

2022 წელს გლობალური ენერგეტიკული კრიზისის დაწყებიდან მოყოლებული, ენერგომატარებლების ფასები მსოფლიო მასშტაბით მკვეთრად გაიზარდა რაც გეოპოლიტიკური შოკების, ლოგისტიკური შეუთანხმებლობის და სპეკულაციური მოდინების კომბინაციის შედეგია. განახლებადი ენერგიის წყარო წარმოადგენს მნიშვნელოვან ვექტორს გეოპოლიტიკურად არასტაბილური ენერგიის წყაროსგან

დამოკიდებულების შემცირების. ქარისა და მზის ენერგიის წილი ევროკავშირის გენერაციის სტრუქტურაში გაიზარდა 21%-დან 2019 წელ, 31%-მდე 2023 წელს, მაგრამ ფრაგნმენტაციასთან მიმართებაში წარმოიშვება ახალი გამოწვევები: ნედლეულზე წვდომა კონცენტრირებულია ცალკეულ ქვეყნებში; ტექნოლოგიური სტანდარტების პოლარიზაცია; ელექტროქსელების ინტეგრაციის არარსებობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (Каталан M., ...2023).

ციფრული ტრანსფორმაცია და ენერგეტიკული გადასვლა განუყოფლადაა დაკავშირებული შედარებით ფართო მაკროეკონომიკურ გარემოსთან. გლობალურმა რყევებმა გამოიწვია ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა, რომელსაც ამწვავებდა როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორები, აგრეთვე ქვეყნებსა და რეგიონებში არსებული შიდა დისბალანსი. პანდემია COVID-19-მა, შემდგომმა ენერგეტიკულმა კრიზისმა და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებამ მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში შექმნეს უნიკალური გარემო, სადაც წარმოიშვა სახვადასხვა სისტემური საფრთხე: ინფლაციური ზეწოლა, ვალის ზეწოლა და დივერგენტული აღდგენა.

2021 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ეკონომიკა განიცდის ინფლაციის მნიშვნელოვან ზრდას. ცენტრალური ბანკის რეაქცია აისახა საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ ზრდაში, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროზონაში (**ხაზარაძე ა. ჩინჩალაძე გ. 2025**).

საპროცენტო განაკვეთების ზრდამ გამოიწვია დაფინანსების ღირებულების გაზრდა, რამაც ძლიერად დაარტყა განვითარებად ქვეყნებს, რომელთა ვალის ტვირთი ისედაც მაღალი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ გლობალური სახელმწიფო ვალი 2030 წლისათვის მშპ-ის 100%-ს მიაღწევს.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში პოსტპანდემიურ პერიოდში მაკოეკონომიკური პოლიტიკა საკმაოდ განსხვავებული იყო. თუკი განვითარებულმა ქვეყნებმა შეძლეს ფართოდ გამოეყენებინათ სტიმულირებისა და ფისკალური მხარდაჭერის პროგრამები, განვითარებადი ქვეყნები შეეჯახნენ ფინანსირებაზე შეზღუდულ წვდომას, სესხის მაღალ ღირებულებას და სავალუტო რეზერვების ნაკლებობას.

უახლოეს მომავალაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკები დაკავშირებული იქნება ვალის მაღალ დონესთან (განსაკუთრებით აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში), გლობალური ვაჭრობის შენელებასთან და კაპიტალისა და ტექნოლოგიების ნაკადების ფრაგმენტაციასთან.

გარდა ამისა, შეინიშნება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ფინანსურ რესურსებზე წვდომის მზარდი სხვაობა. განსაკუთრებით პრობლემური ხდება საგარეო ვალის მომსახურება.

გლობალური გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურაზე ზეგავლენის ანალიზისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფრაგმენტაციის პროცესები ვლინდება არა მხოლოდ ტექნოლოგიურ და მაკროეკონომიკურ სფეროებში, არამედ თავად გლობალურ ფინანსურ არქიტექტურაშიც. ვალუტის დომინირებისათვის კონკურენციის გამწვავება, ალტერნატიული გადახდის სისტემისადმი ინტერესის ზრდა და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისა და კერძო კრიპტოაქტივების განვითარება ძირს უთხრის დოლარზე დაფუძნებული ამჟამინდელი ფულად-საკრედიტო წესრიგის სტაბილურობას.

აშშ-ს დოლარი რჩება დომინირებად მსოფლიო სარეზერვო ვალუტად, მაგრამ მისი შეფარდებითი მნიშვნელობა თანდათანობით მცირდება. ამასთან იზრდება სხვა ვალუტების წილი (ევრო, იუანი და იაპონური იენი). ეს ტენდენცია დაკავშირებულია გეოეკონომიკური რისკების ზრდასთან, აშშ-ს სანქციურ პოლიტიკასთან და ფინანსური სუვერენიტეტისკენ ზოგიერთი ქვეყნის მისწრაფებასთან.

სავალუტო ფრაგმენტაციის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლენად გახდა ალტერნატიული საერთაშორისო ანგარიშწორების განვითარება. ფინანსური ფრაგმენტაცია ზრდის არასტაბილურობის რისკს. დედოლარიზაციის პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ტრანსაქციური დანახარჯების ზრდა, ლიკვიდურობის შემცირება და განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა. აგრეთვე მიმდინარეობს ახალი სავალუტო კავშირების ფორმირება (Amadi L. 2020).

აღნიშნული ტენდენციები მოწმობენ სტანდარტიზებული გლობალური ფინანსური არქიტექტურიდან შედარებით დივერსიფიცირებულ და შედარებით კონფლიქტურ მოდელზე გადასვლას.

სავალუტო-ფინანსური სფეროს ფრაგმენტაცია ავსებს გლობალური ეკონომიკური უთანასწორობის საერთო სურათს და ქმნის ახალ გამოწვევებს მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობისათვის.

თუკი XXI საუკუნის დასაწყისში თვლიდნენ, რომ ინტეგრაციის პროცესებს ალტერნატივა არ გააჩნდა, დღეისათვის მსოფლიო მიისწრაფვის პოლიცენტრულობისა და რეგიონალიზაციისკენ, რაც ეჭვქვეშ აყენებს გლობალური ურთიერთქმედების მანამდე არსებულ უნივერსალურ მოდელებს.

გლობალური ფრაგმენტაციის გაძლიერების პირობებში, მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ხასიათდება წინააღმდეგობრივი, მაგრამ მდგრადი ტენდენციით. ერთი მხრივ გლობალიზაციის პროცესები კვლავაც განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობის, ინვესტიციების და ტექნოლოგიური გაცვლების არქიტექტურას, თუმცა ამ პროცესების ევოლუცია მოწმობს ეკონომიკური სისტემების რეგიონალიზაციის, ავტონომიზაციისა და ლოკალიზაციის მხარეზე მკაფიო გადაადგილებას (Нигматулин, 2024).

გეოპოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედება ვლინდება კონფლიქტების რაოდენობის, სანქციური რეჟიმების გაზრდაში და საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირებაში. ეს პროცესები არღვევენ ტრადიციულ ლოგისტიკურ მარშრუტებს, გადაანაწილებენ კაპიტალისა და რესურსების ნაკადებს და იწვევენ არასტაბილურობასა და ფრაგმენტაციას ეკონომიკური ურთიერთქმედების მანამდე ინტეგრირებულ ზონებში. სახელმწიფოს პოლიტიკური მცდელობები შეამციროს დამოკიდებულება გლობალური ძალუფლების ცენტრებზე, ვლინდება რეგიონული ალიანსების გაძლიერებაში, სავაჭრო შეთანხმებებისა და პოლიტიკური კოორდინაციის გაღრმავებაში, ეკონომიკურ ბლოკებს შიგნით. რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების რაოდენობის გაზრდა და ინტეგრაციული ინიციატივების განვითარება უნივერსალიზმიდან პრაგმატულ მულტიპოლარობაზე გადასვლაზე მიუთითებს.

გაურკვევლობის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები. მიწოდების დივერსიფიკაცია, ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიება და ენერგეტიკულ ბაზრებზე გეოპოლიტიკური გადალაგება დამატებითი ღირებულების გლობალურ ჯაჭვებს ცვლის. ენერგეტიკული გადასვლა, მ.შ. განახლებადი

ენერგიის წყაროების აქტიური განვითარება, მდგრადი განვითარების ელემენტი და ნედლეულის ექსპორტის ტრადიციულ მოდელებზე შემდგომი სტრუქტურული ზეწოლის ფაქტორი ხდება. მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას ამწვავებს ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, ჭარბი ვალი და ფინანსური პოლარიზაცია. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის წარმოიქმნება ასიმეტრიები, რაც ამწვავებს დისბალანსს გლობალურ ფინანსურ სისტემაში. ეს, თავის მხრის, აიძულებს ქვეყნებს შეიმუშაონ შიდა მდგრადობის მექანიზმები. ციფრული ტრანსფორმაცია, რომელიც წარსულში ინტეგრაციული მექანიზმის ფუნქციას ასრულებდა, სულ უფრო ხშირად ხდება კონფლიქტის საგანი.

ტექნოლოგიური პროტექციონიზმის ზრდა, კრიტიკულად მნიშვნელოვან სექტორებში ლიდერობისათვის ბრძოლა და ვალუტებისა და ციფრული პლატფორმების გავრცელება, ქმნიან ფრაგმენტაციის ახალ სახეობას - ციფრულ ფრაგმენტაციას. იგი აძლიერებს ბარიერებს ქვეყნებს და რეგიონებს შორის და იწვევს ტექნოლოგიური საზღვრების ინსტიტუციონალიზაციას.

ამ ცვლილებების ბოლო ელემენტს წარმოადგენს მონეტარული და ფინანსური ფრაგმენტაცია. დოლარის როლის შესუსტება, ალტერნატიული გადახდის სისტემების განვითარება, ციფრული ვალუტების დანერგვა და ზოგიერთი საერთაშორისო ანგარიშსწორების დედოლარიზაცია მიუთითებს უფრო მეტი მონეტარული ავტონომიისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებებს თან ახლავს ფინანსური არასტაბილურობის, ტრანზაქციური ხარჯების გაზრდისა და უფრო მეტად რთული გლობალური ურთიერთქმედების რისკები.

აღნიშნული ტენდენციები ინსტიტუციურიდან, ციფრულ და მონეტარულამდე, უნივერსალური მსოფლიო წესრიგიდან ფრაგმენტულ მრავალდონიან სისტემაზე გადასვლაზე აისახება, რომელშიც გადარჩენისა და კონკურენტუნარიანობის ძირითად ინსტრუმენტებად სტრატეგიული ავტონომია და მოქნილი ალიანსები გამოდიან.

გლობალური ეკონომიკის მზარდი ფრაგმენტაცია მოითხოვს გლობალიზაციის პრინციპების გადაფასებას მდგრადობაზე, ინკლუზიურობასა და ტექნოლოგიურ სუვერენიტეტზე. თუკი გლობალური მარეგულირებელი მექანიზმები არ იქნება მოდერნიზებული, ხოლო ისეთი ინსტიტუტების როლი, როგორიცაა G20, მსო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, არ იქნება გაძლიერებული, გაიზრდება ეკონომიკური პოლარიზაციის, არასტაბილურობის და გლობალური უსაფრთხოების რისკის ურთიერთდამოკიდებულების შემცირება.

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში, მცირე და ღია ეკონომიკები, როგორიცაა საქართველო, განსაკუთრებულად მგრძნობიარე ხდებიან გარე შოკების მიმართ. საქართველოს ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე, ფულად გზავნილებზე და უცხოურ ინვესტიციებზე, რაც ზრდის მის სენსიტიურობას გლობალური ეკონომიკური ცვლილებებისადმი. ამასთანავე, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი რგოლი, ქმნის როგორც რისკებს, ასევე მნიშვნელოვან შესაძლებლობებს (პაპავა, მსოფლიო წესრიგის....2024).

გლობალური ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია პირდაპირ აისახება ეროვნულ ეკონომიკებზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრირებულებზე. ეკონომიკური პროცესები მჭიდრო კავშირშია პოლიტიკასთან, იქიდან გამომდინარე, რომ

გეოპოლიტიკური ფაქტორები მეტწილად განსაზღვრავენ ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს (პაპავა, 2024, გვ. 10).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობასთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი). აღნიშნული ინსტიტუტები ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპავა ვ. მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია, გლობალური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები და საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები. საქართველოს ეკონომისტთა მე-6 ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (13 სექტემბერი, 2024 წელი). ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024. https://cdn.atsu.edu.ge/files/docs2024/VI%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%2C%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20(%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A1%E1%83%A3)%2C%202024%20(2).pdf

პაპავა ვ. მსოფლიო სავალუტო წესრიგი: სავალუტო გლობალიზაციიდან სავალუტო გეოპოლიტიკამდე. ჟ. *ეკონომისტი, No. 4, 2024.* **გვ. 9-16.**

ხაზარაძე ა. ჩინჩალაძე გ. გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია და საერთაშორისო რეზერვების სტრუქტურა. ჟ. „მონეტარული ეკონომიკა“, ტ. 1, №2, 2025. გვ. 62-72.

Amadi L. (2020). “Globalization and the Changing Liberal International Order: A Review of the Literature.” Research in Globalization, Vol. 2, December.

Cohen B. J. (2003). The Geopolitics of Currencies and the Future of the International System. Santa Barbara, Department of Political Science, University of California at Santa Barbara.

Каталан М., Наталуччи Ф., Куреши М. С., Цуруга Т. Геополитика и фрагментация становятся серьезной угрозой для финансовой стабильности. https://www.imf.org/ru/blogs/articles/2023/04/05/geopolitics-and-fragmentation-emerge-as-serious-financial-stability-threats

Нигматулин Ш.И. Экономическая среда в условиях геополитических изменений: вызовы и возможности для инноваций. Международный журнал, № 5 (55), 2024.

Сеферян Л. А., Захарченко Е. С., Иванова Д. Г.Влияние геополитических и экономических факторов на фрагментацию мировой экономики. Вестник Ростовского государственного экономического университета (РИНХ). 2026;1(33): 168-180. DOI: 10.54220/v.rsue.1991-0533.2026.93.1.014.

The Impact of Geopolitical, Economic and Financial Fragmentation on the World Economy

Tea Lazarashvili
Doctor of Economics, Senior Research Fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
tea.lazarashvili@tsu.ge

Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Associate Professor
David Agmashenebeli National Defence Academy of Georgia
rusudan.dalakishvili@ciu.edu.ge

Summary

The world economy is currently undergoing a transformation driven by global fragmentation processes. Economic and political tensions between countries, the strengthening of regional trade blocs, trade wars and sanctions create the prerequisites for the disruption of existing economic ties and lead to the formation of new economic ties and division into geopolitical zones. These processes require a review of the prospects for world economic development in the context of weakening global integration and growing risks of economic instability. Rising geopolitical tensions among major economies have heightened concerns about global economic and financial fragmentation. Financial fragmentation caused by geopolitical tensions could have significant implications for global financial stability, affecting the allocation of capital across countries, international payment systems, and asset prices. The origin of economic instability is the fact that the global economy is being affected by two opposing trends – integration and fragmentation. These processes represent a complex interaction of economic, political, social and technological factors that shape the structure of the modern world economy. Due to geopolitical tensions, increasing financial fragmentation could exacerbate macro-financial instability in the long run, reducing international opportunities for risk diversification in the face of adverse domestic and external shocks. Increasing financial fragmentation could also lead to sudden changes in cross-border capital flows. The consequences would be more pronounced in emerging market and developing countries than in advanced economies, creating risks to macro-financial stability.

Keywords: economic and financial fragmentation, economic instability, macro financial stability risks.

საქართველოში მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის შეფასება გლობალური მწვანე ზრდისა (GGGE) და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის (EP) ინდექსებით

ნაზირა კაკულია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი
nazira.kakulia@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების შეფასებას ეკონომიკური ზრდისა და რესურსების ეფექტიანობის კონტექსტში. თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების მზარდი მოხმარება, გარემოზე ზეწოლის გაძლიერება და მდგრადი განვითარების გამოწვევები მდგრადი ეკონომიკის პრინციპების დანერგვას ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად აქცევს. კვლევის მიზანია შეფასდეს, რამდენად შეინიშნება საქართველოში რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესება და რამდენად შეესაბამება არსებული ტენდენციები მწვანე ეკონომიკის განვითარების ძირითად პრინციპებს. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მწვანე ეკონომიკის, რესურსეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ თანამედროვე ლიტერატურა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების პროდუქტიულობის, მატერიალური ინტენსივობისა და მწვანე ზრდის მატერიალური რესურსების გამოყენების თანამედროვე კონცეფციებს, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში მწვანე ეკონომიკის შეფასების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მიიჩნევა.სტატიაში კვლევის ფარგლებში შესწავლილია ისეთი ინდექსები, როგორიცაა: გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტის (GGGI) მიერ შემუშავებული მწვანე ზრდის ინდექსი, ასევე გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI), რომელიც ზომავს ქვეყნის ეკონომიკის „სიმწვანის“ არსებულ მდგომარეობას და მისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის „სიმწვანეზე“ ორიენტაციის ხარისხს, მესამე ინდექსი, რომელიც გამოიყენება გლობალურ დონეზე არსებული სიტუაციის ანალიზისა და შეფასებისთვის EP (Environmental Performance index) ინდექსი. ეს ინდექსი რიცხობრივად აფასებს სახელმწიფოში არსებულ გარემოს მდგომარეობას, რომელიც შესაბამისი პოლიტიკითაა მიღწეული. ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი სირთულეები შეინიშნება საქართველოში, რაც გამოხატულია GGE და EP ინდექსების მიხედვით საქართველოს პოზიციაში მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ასევე OECD-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოში რესურსებისა და გარემოს გამოყენებით ადგილი აქვს გაცილებით ნაკლები დოვლათის შექმნას, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.*

საკვანძო სიტყვები: *„მწვანე ეკონომიკა“, მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკის გაზომვის ინდექსები, ეკონომიკური განვითარება.*

შესავალი

ტერმინი „მწვანე ეკონომიკის“, სამეცნიერო გენეზისი უკავშირდება ბრიტანელ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშს მწვანე ეკონომიკის პროექტის შესახებ.

აღნიშნული თეორიული ჩარჩო ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ვერ ახდენს გარემოსდაცვითი სიკეთეების სწორ შეფასებას, რადგან მათ არ გააჩნიათ საბაზრო ფასი. თუ სუფთა ჰაერს, სტაბილურ კლიმატს ან ტყის ეკოსისტემას აქვს ნულოვანი ფასი, ბაზარი მას განიხილავს როგორც უფასო რესურსს და ახდენს მის ჭარბ ექსპლუატაციას, რაც კლასიკურ ლიტერატურაში საერთო საკუთრების ტრაგედიის სახელითაა ცნობილი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით გარემოს დაცვაზე გაწეული დანახარჯების როლი “მწვანე ეკონომიკის” ფორმირების პროცესში. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანახარჯები საშუალოვადიან პერიოდში გარემოს მდგომარეობის ხარისხს და „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების პროცესს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და აჩქარებს.

ინსტრუმენტი, რაც აფასებს ქვეყნების სტატუსს მწვანე ეკონომიკის მიზნების მიღწევის საქმეში, არის გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტის (GGGI) მიერ შემუშავებული მწვანე ზრდის ინდექსი, გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI), რაც ასევე გამოიყენება მწვანე ეკონომიკის მდგომარეობის და პოტენციალის შესაფასებლად და გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი - EP.

უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია ამ ინდექსების გამოყენების პრაქტიკა დაინერგოს საქართველოშიც, რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

გლობალური ფინანსური კრიზისი გახდა მწვანე გარდატეხის მამოძრავებელი ძალა. კონცეფციის რადიკალური ტრანსფორმაცია ვიწრო აკადემიური დისკუსიიდან წამყვან გლობალურ მაკროეკონომიკურ სტრატეგიამდე უკავშირდება მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს. საერთაშორისო ბაზრებიდან დაწყებულმა კოლაფსმა, რომელმაც მთელი მსოფლიოს საბანკო და რეალური სექტორი მოიცვა, ნათლად აჩვენა, რომ სპეკულაციურ კაპიტალსა და წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელი განიცდიდა ღრმა სტრუქტურულ კრიზისს.

ამ გარდამტეხ მომენტში გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ გამოაქვეყნა ინიციატივა გლობალური მწვანე ახალი კურსის შესახებ, რომელიც პირდაპირ პარალელს ავლებდა დიდ დეპრესიასთან ბრძოლის ისტორიულ პროგრამებთან. შემოთავაზებული სტრატეგიული ხედვა მდგომარეობდა იმაში, რომ კრიზისიდან გამოსავალი უნდა ყოფილიყო არა ტრადიციული, მაღალემისიური და ენერგოტევადი სექტორების ხელოვნური სუბსიდირება, არამედ მასშტაბური ანტიკრიზისული ფისკალური პაკეტების მიმართვა მწვანე ინფრასტრუქტურის შექმნაზე (UNEP 2009).

კონცეფციის საბოლოო საერთაშორისო ინსტიტუციონალიზაცია და პოლიტიკური ლეგიტიმაცია მოხდა გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციაზე, სადაც მწვანე ეკონომიკა ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც მდგრადი განვითარების მიღწევისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. ფინალურ დოკუმენტებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა უნდა მორგებოდა

თითოეული ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებს და არ უნდა ქცეულიყო საერთაშორისო ვაჭრობაში ახალ პროტექციონისტულ ბარიერად (United Nations 2012).

ამ პროცესის ლოგიკურ კულმინაციას წარმოადგენს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წევრი ქვეყნების მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, რომელმაც შემოიღო მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები, რითაც საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალური პროგრესი და პლანეტის ეკოლოგიური უსაფრთხოება განუყოფელი მთლიანობაა (United Nations 2015).

2030 წლის მდგრადი განვითარების გეგმა, რომელიც მიღებული იყო გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოების მიერ 2015 წელს და წარმოადგენს საერთო სამოქმედო გეგმას ხალხისა და ზოგადად ეკოსისტემისთვის, აწმყოსა თუ მომავალში, როგორც ვიცით, გულისხმობს 17 მდგრადი განვითარების მიზანს (SDGs), რომლებიც განასახიერებენ გადაუდებელ მოწოდებას ყველა ქვეყნისთვის გლობალური პარტნიორობის ფარგლებში. ისინი აღიარებენ, რომ სიღარიბისა და სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრა თუ აღმოფხვრა უნდა წარიმართოს ჯანდაცვისა და განათლების გაუმჯობესების, უთანასწორობის შემცირების და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სტრატეგიებთან ერთად - ამასთან, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლით და ჩვენი ეკოსისტემის შენარჩუნებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მწვანე ეკონომიკის დანერგვის საკითხებს. მისი რაოდენობრივი გაზომვის შესაძლებლობებზე შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ქვემოჩამოთვლილი ინდიკატორების გამოყენებით.

მეთოდოლოგიური საკითხები. გლობალური ფინანსური არასტაბილურობის ფონზე, მწვანე ეკონომიკის მაკროეკონომიკური სტიმულირების თეორიული მოდელების კუთხით სამეცნიერო დისკუსიებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გადახედვას მწვანე ინვესტიციების სტიმულირების კონტექსტში. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ანალიტიკოსების მიერ შემუშავებული თეორიული მოდელები ხაზს უსვამენ, რომ ტრადიციული ფისკალური და მონეტარული მიდგომები ვერ უზრუნველყოფენ კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ ნახშირბადის ემისიებთან დაკავშირებულ სისტემურ რისკებს. მწვანე ეკონომიკის ჩარჩო-მოდელებში მტკიცდება, რომ სახელმწიფო შესყიდვების, საგადასახადო შეღავათებისა და მიზნობრივი სუბსიდიების მიმართვა განახლებადი ენერგიის წყაროებისკენ, სუფთა ტრანსპორტისა და ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურისკენ ქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს.

ეს მიდგომა შესაძლებელს ხდის ერთდროულად გადაიჭრას ორი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ამოცანა: მოკლევადიან პერიოდში სტიმული მიეცეს ერთობლივ მოთხოვნას და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მოხდეს მთლიანი მიწოდების სტრუქტურული მოდერნიზაცია და შემცირდეს ეკონომიკის მოწყვლადობა რესურსული დეფიციტის მიმართ. ამგვარად, მწვანე ინვესტიციები განიხილება არა როგორც დამატებითი ფინანსური ტვირთი ან ეკონომიკური ეფექტიანობის შემზღუდველი ფაქტორი, არამედ როგორც მდგრადი მაკროეკონომიკური ზრდის, ტექნოლოგიური დივერსიფიკაციისა და შრომის პროდუქტიულობის ამაღლების მამოძრავებელი წყარო (UNEP 2009; UNEP 2011).

გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდი (EKC - Environmental Kuznets Curve)

ეკონომიკური ზრდა ისტორიულად დაკავშირებულია გარემოს მზარდ დეგრადაციასთან და შესაბამისად ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებასთან. თუმცა, მწვანე ეკონომიკის პარადიგმა ეჭვქვეშ აყენებს ამ ცნებას და გვთავაზობს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა შეიძლება თანაარსებობდეს ეკოლოგიურ ბალანსთან. გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდი (EKC) კიდევ უფრო ართულებს ამ ურთიერთობას, რაც ვარაუდობს, რომ გარემოს დეგრადაცია თავდაპირველად იზრდება ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მაგრამ მცირდება გარკვეული შემოსავლის ზღვრის მიღწევის შემდეგ (ეს კვლევა იკვლევს კავშირს მწვანე ეკონომიკასა და EKC-ს შორის, შედეგად კი შეისწავლის მათ გავლენას მდგრადი განვითარების მიღწევისთვის.

მწვანე ეკონომიკა და გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდი (EKC. S. Kuznets, 1973). როგორც ვიცით, გამოიყენება ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს მდგრადობას შორის კავშირის ასახსნელად. მწვანე ეკონომიკა თავის თავში გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიურ სიჯანსაღესთან შესაბამისობას, მხარს უჭერს მდგრად განვითარებასა და რესურსების სამართლიან გამოყენებას. EKC ჰიპოთეზა აყენებს შებრუნებულ U- ფორმის დამოკიდებულებას ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დეგრადაციას შორის. ეს ნაშრომი იკვლევს ამ კონცეფციების თეორიულ საფუძვლებს, ემპირიულ მტკიცებულებებს და პოლიტიკის შედეგებს, ხაზს უსვამს მათ შესაბამისობას თანამედროვე გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებაში.

მრუდის მიხედვით ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურებზე მყოფ ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობა ჯერ იზრდება, ხოლო შემდეგ ეკონომიკის ზრდასთან ერთად კლების ტენდენცია ახასიათებს მისი ძირითადი ფაზები მოიცავს შემდეგ ეტაპებს: წინა ინდუსტრიული ეტაპი: დაბალი შემოსავალი და დაბალი გარემოს დეგრადაცია. ინდუსტრიალიზაციის ფაზა: სწრაფი ეკონომიკური ზრდა იწვევს გარემოსდაცვითი ზიანის ზრდას ინდუსტრიული საქმიანობის გამო. პოსტ-ინდუსტრიული ეტაპი: შემოსავლის მაღალი დონე იძლევა ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას უფრო მდგრად ტექნოლოგიებში და უფრო ძლიერ გარემოსდაცვით რეგულაციაში, რაც ამცირებს გარემოზე ზიანის მოცულობას.

მიუხედავად იმისა, რომ EKC იძლევა იმედისმომცემ პერსპექტივას ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში, ყველა მიმართულებით ხსენებული ეტაპები არ მოქმედებს.

EKC-ის ფორმა უფრო აშკარაა განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო განვითარებადი ქვეყნები ხშირად რჩებიან მრუდის მზარდ ნაწილში და შესაბამისად გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვა გაცილებით შენელებულია (World Bank, 2022).

მოკლედ რომ შევეხოთ კუზნეცის მრუდისა და მწვანე ეკონომიკის გამოწვევებს შეგვიძლია ყოველივე შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: არათანმიმდევრული და არასრული მონაცემები აფერხებს EKC-ის ემპირიულ ვალიდაციას და შესაბამისად ართულებს მის გამოყენებას, შემოსავალსა და გარემოს ხარისხს შორის ურთიერთობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარე ფაქტორებმა, როგორიცაა ტექნოლოგიური წინსვლა და

პოლიტიკის ინტერვენციები, რის გათვალისწინებაც შეიძლება ვერ ხერხდება კუზნეცის მრუდში (Arrow, 1995), გარკვეული გარემოსდაცვითი ზიანი შეიძლება არ მოჰყვეს EKC ტრაექტორიას მათი მუდმივი ხასიათის გამო. ეკონომიკური ზრდის სარგებელი ყოველთვის არ არის განაწილებული თანასწორად, რაც პოტენციურად ნიადაგს უქმნის სოციალურ და გარემოსდაცვით უთანასწორობას, აუცილებელი ეკონომიკური საჭიროებების დაბალანსება გრძელვადიან გარემოსდაცვით მიზნებთან მიმართებით კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება

ლიტერატურის ფართო სპექტრის გათვალისწინებით, EKC არის მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის გარემოსდაცვითი მუშაობის გასაანალიზებლად. ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სწრაფი ზრდისა და განვითარების გამო, ისევე როგორც გარემოს დეგრადაციის პრობლემების მზარდი სირთულის გამო, EKC-ის გამოყენება დაიწყო არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ინდიკატორების გასაანალიზებლად და არა მხოლოდ მარტივი მოდელების საშუალებით. თუმცა, არსებობს კონსენსუსის ნაკლებობა, ისევე როგორც ის, თუ რამდენად მგრძნობიარეა EKC ქულა ყველა ელემენტის მიმართ, რომლებიც შედის ანალიზის პროცესში. ინდიკატორების, ქვეყნის ან ქვეყნების, დროის პერიოდის, მეთოდოლოგიისა და დამატებითი ცვლადების არჩევა უნიკალურ შედეგს იძლევა და როდესაც EKC დადასტურებულია, ქულების მრუდი სხვას არ ჰგავს. ამის გათვალისწინებით, ფუნქციური სტრუქტურის ერთი კომპონენტის შეცვლა იწვევს შედეგების ცვლილებას, EKC-ის დადასტურებას ან არა მისი ფორმის შეცვლას.

მწვანე ზრდის ინდექსი - GGGI (Green Growth Index)

ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს ქვეყნების სტატუსს მწვანე ეკონომიკის მიზნების მიღწევის საქმეში, არის გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტის (GGGI) მიერ შემუშავებული მწვანე ზრდის ინდექსი. ის განიხილება როგორც პოლიტიკის შეფასების ინსტრუმენტი და დღითიდღე იძენს აქტუალურობას რიგი მიზეზის გამო - მწვანე ზრდის ინდექსი წარმოადგენს მწვანე ზრდის ეკონომიკური განვითარების მოდელის ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გარემოს დაცვას; აერთიანებს მდგრადი განვითარების ზრდის (SDG) ინდიკატორებსა და მიზნებს, რაც ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის ამაღლებას (მაგ. რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება, ბუნებრივი კაპიტალის დაცვა, მწვანე ეკონომიკური შესაძლებლობები და სოციალური ინკლუზია); მწვანე ზრდის ინდექსის მრავალგანზომილებიანობა საშუალებას იძლევა, შეფასდეს ასევე, COVID-19-ის პანდემიის და მისი შემდგომი პერიოდის აღდგენის გეგმებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფის პოლიტიკის გადაწყვეტილებები და ქმედებები. რაც მთავარია, ინდექსი მიზნად ისახავს, პოლიტიკის შემქმნელებს მიაწოდოს მონაცემები მწვანე ზრდის ეფექტიანობის შესაფასებლად, რაც მათ სამომავლო გეგმებსა და გადაწყვეტილებებს დაედება საფუძვლად.

გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტის მიერ ბოლოს გამოქვეყნებული ანგარიშის (GGGI, 2024) მიხედვით, 2024 წელს, მწვანე ზრდის ინდექსის ქულით შეფასებულია 119 ქვეყანა. აქედან, აფრიკის 25, ამერიკის 20, აზიის 35, ევროპის 36 და ოკეანიის 3. ქვეყნების თითქმის ნახევრის ქულები საშუალო დიაპაზონშია და მერყეობს 40-დან 60 ქულამდე. 41-

მა ქვეყანამ და მათ შორის, საქართველომ (62,76 ქულით) მიაღწია მაღალ ქულას (60-დან 80-მდე), მათგან უმეტესობა ევროპაშია. დაბალი ქულით, 20-დან 40-მდე, შეფასებულია 6 ქვეყანა, ძირითადად აფრიკიდან და აზიიდან. არ არსებობს ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ძალიან დაბალი ქულები, 20-ზე ქვემოთ. შვედეთს, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, აქვს მწვანე ზრდის ყველაზე მაღალი ინდექსი 78.87 ქულით, რაც ჯერ კიდევ შორს არის მდგრადობის მიზნის ძალიან მაღალი, 100 ქულის, მიღწევამდე. აღსანიშნავია, რომ მწვანე ზრდის 2024 წლის ინდექსის მიხედვით, 119 ქვეყანას შორის, საქართველო 39-ე ადგილს იკავებს. რეგიონის გათვალისწინებით, მწვანე ზრდის ინდექსის ქულის მიხედვით, პირველ ადგილზეა შვედეთი - ევროპაში, იაპონია - აზიაში, მექსიკა - ამერიკაში, ახალი ზელანდია - ოკეანიაში და ტანზანია - აფრიკაში. (https://gggi-simtool-demo.herokuapp.com/)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ზემოაღნიშნულ ქვეყანათა ჯგუფიდან რეგიონული ნიშნით გამოვყოფთ ტრანსფორმაციულ და პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყანათა ჯგუფებს (ბალტიის ქვეყნები (Baltic), სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (SEE) , ცენტრალური ევროპის ქვეყნები (CE), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (EC)) და მათთან შედარებით განვიხილავთ საქართველოს პოზიციას მწვანე ზრდის ინდექსის მიხედვით (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



წყარო: GGGI – Green Growth Index 2024: Measuring performance in achieving SDG targets

მწვანე ზრდის ინდექსი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2024 წელი

- 60–80 - მაღალი ქულა, ქვეყნის სტრატეგიული პოზიცია სრულად მიაღწიოს მიზანს
- 40–60 - ზომიერი ქულა, ქვეყანა პოულობს ბალანსს წინსვლისთვის და
- 20–40 - დაბალი ქულა, საჭიროა, ქვეყანამ განსაზღვროს სწორი პოლიტიკა განვითარების მიზნის მისაღწევად
- 1–20 - ძალიან დაბალი ქულა, აუცილებელია მნიშვნელოვანი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელება მიზნის შესაბამისად პოზიციის გასაუმჯობესებლად.

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთევროპის ქვეყნებს შორის, საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (62.76 ქულა). ამასთან, უსწრებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ორ ქვეყანასაც (სერბეთი (61.14 ქულა), მონტენეგრო (49.15 ქულა)). ბალტიის ქვეყნები თანაბრად მაღალი ქულებით არიან შეფასებული. ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან კი მწვანე ზრდის ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს ჩეხეთს (74.17 ქულა).

მიუხედავად იმისა, რომ არცერთ ქვეყანას არ მიუღწევია მწვანე ზრდის ძალიან მაღალი დონისთვის, გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტის 2024 წლის ანგარიშის მიხედვით, მწვანე ზრდის ინდექსი ზოგადად გაიზარდა მსოფლიოში 2005 წლიდან 2024 წლამდე.

ქვევით მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2) ასახულია, როგორ იცვლებოდა საქართველოსა და ტრანსფორმაციულ და პოსტტრანსფორმაციულ ქვეყანათა ჯგუფების მწვანე ეკონომიკის ინდექსის მაჩვენებლები 2010-2024 წლებში.

მწვანე ზრდის ინდექსი საქართველოსა და ტრანსფორმაციულ და პოსტტრანსფორმაციულ ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2010-2024 წწ.

დიაგრამა 2.



წყარო: GGGI – Green Growth Index 2024: Measuring performance in achieving SDG targets, ავტორის გაანგარიშებები

ზრდის მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მწვანე ზრდის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან 2017 წლამდე, იგივე მაჩვენებელი საქართველოსთვის ჩამორჩებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, 2017 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, თითქმის თანაბრად მიჰყვება და უმნიშვნელოდ აღემატება კიდეც. რაც შეეხება ცენტრალური ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის მწვანე ზრდის საშუალო მაჩვენებლებს 2010-2024 წლებში, ცალსახად აღემატება როგორც საქართველოს მწვანე ზრდის ინდექსის, ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების მწვანე ზრდის ინდექსის საშუალო მაჩვენებლებს.

მწვანე ეკონომიკის ინდექსი - GGEI (Green Economy Index – GGEI)

ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის მდგომარეობის და პოტენციალის შესაფასებლად ასევე გამოიყენება გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI), რომელიც ზომავს ქვეყნის ეკონომიკის „სიმწვანის“ არსებულ მდგომარეობას და მის ხელშემწყობ ეკონომიკური პოლიტიკის „სიმწვანეზე“ ორიენტაციის ხარისხს. GGEI ინდექსის გაანგარიშებისას

გამოიყენება შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: ლიდერობა და კლიმატის ცვლილება, სექტორთა ეფექტიანობა, ბაზრები და ინვესტიციები, გარემო. ინდექსის გამოთვლა 2010 წლიდან დაიწყო. ინდექსი უკანასკნელად შეფასებული იქნა 2022 წლისთვის. ამ მონაცემების მიხედვით, 160 ქვეყნიდან საქართველო 44-ე ადგილზეა. ინდექსი 0,5183-ს შეადგენს, რაც საშუალო მაჩვენებელია. კონკრეტულად ევროპის ქვეყნებთან მიმართებით, 39 ქვეყანას შორის საქართველო 23-ე ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მისი მაჩვენებელი საუკეთესოა.

გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი - EP(Environmental Performance index)

გლობალურ დონეზე არსებული სიტუაციის ანალიზისა და შეფასებისთვის ფართოდ გამოიყენება გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი - EP . ეს ინდექსი იწარმოება იელის უნივერსიტეტის მიერ და რიცხობრივად აფასებს სახელმწიფოში არსებულ გარემოს მდგომარეობას, რომელიც შესაბამისი პოლიტიკითაა მიღწეული. ის პირველად 2002 წელს გამოქვეყნდა საპილოტედ და 2005 წლიდან ჩაანაცვლა გარემოს მდგრადობის ინდექსი. აღნიშნული ინდექსით ბოლოს 2024 წლისთვის იქნა შეფასებული 180 ქვეყანა. აქედან, გარემოს მდგომარეობის თვალსაზრისით, მოწინავეა ცენტრალური და დასავლეთი ევროპა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ და კანადა, ხოლო, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 102-ე ადგილს იკავებს.

მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც ზემოთ განხილული ინდექსების კვლევის ფარგლებში იკვეთება, არის „მწვანე ეკონომიკის" ფორმირების მხრივ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავება, რომლის უმთავრეს მიზეზს განვითარებულ ქვეყნებში, გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართ არსებული მაღალი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად ფორმირებული ინსტიტუციური მოწყობა წარმოადგენს (OECD, 2013). შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან განვითარებად ქვეყნებში ამ მიმართულებით შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა სრულფასოვნად ჩამოყალიბებული არაა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი სირთულეები შეინიშნება საქართველოში, რაც გამოხატულია GGE და EP ინდექსების მიხედვით საქართველოს პოზიციაში მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ასევე OECD-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოში რესურსებისა და გარემოს გამოყენებით ადგილი აქვს გაცილებით ნაკლები დოვლათის შექმნას ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

მწვანე ეკონომიკის ფორმირებით, საქართველოს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შეუძლია მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი ისტორიული ტენდენციების გაგრძელებით მიღებულ სარგებელთან შედარებით. მრავალ ქვეყანაში, სამთავრობო დონეზე ადგილი აქვს „მწვანე ეკონომიკის" ფორმირების პროცესში მიღწეული პროგრესის შეფასებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას (მაგალითად, როგორიცაა არსებული სიტუაციის ანალიზი OECD-ს მეთოდოლოგიით). საქართველოსთვის აღნიშნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მსგავსი ტიპის შეფასებებს.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, and Governance - ESG) კრიტერიუმები.

კაპიტალის მასშტაბური ნაკადების გრძელვადიან, მდგრად და ეკოლოგიურად უსაფრთხო მიმართულებებით გადასანაწილებლად, თანამედროვე ფინანსურ სექტორში

ცენტრალური ადგილი დაიკავა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, and Governance - ESG) კრიტერიუმების სავალდებულო ინტეგრაციამ საინვესტიციო და საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ტრადიციული ფინანსური ანალიზი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ორიენტირებული იყო მხოლოდ ლიკვიდურობის, მიმდინარე მომგებიანობისა და მოკლევადიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების შესწავლაზე, თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში აღარ არის საკმარისი ნებისმიერი კორპორაციის თუ საწარმოს გრძელვადიანი სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლად. კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადირება ფინანსური ინსტიტუტებისთვის წარმოშობს ორ ძირითად, მატერიალურ მაკროეკონომიკურ რისკს.

პირველია ფიზიკური რისკები, რაც გულისხმობს უძრავი ქონების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ინფრასტრუქტურული აქტივების პირდაპირ, ფიზიკურ განადგურებას ან დაზიანებას გახშირებული სტიქიური მოვლენების, წყალდიდობებისა და გვალვების შედეგად. მეორეა გარდამავალი რისკები, რაც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ მკაცრი გარემოსდაცვითი რეგულაციების, ნახშირბადის ახალი გადასახადებისა და ემისიების ლიმიტების მოულოდნელი შემოღებით გამოწვეული ტრადიციული აქტივების მკვეთრ გაუფასურებასა და სრულ სტრუქტურულ ამორტიზაციას, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ჩაკეტილი აქტივების ფენომენს უწოდებენ.

ამასთანავე, ESG სტანდარტების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ანგარიშგების ხარისხზე, მონაცემების გამჭვირვალობასა და შეფასების ერთიანი საერთაშორისო მეთოდოლოგიის არსებობაზე, რადგან განსხვავებულმა რეიტინგულმა სისტემებმა შესაძლოა ერთი და იგივე კომპანიის განსხვავებული შეფასება წარმოშვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის ცენტრალური ბანკის გამოცდილება, რომელმაც კლიმატური რისკების ინტეგრირება მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებსა და რისკების მართვის სისტემაში ეტაპობრივად დაიწყო. აღნიშნული მიდგომა არ გულისხმობს ცენტრალური ბანკის ტრადიციული მანდატის შეცვლას, არამედ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში კლიმატური რისკების დამატებით გათვალისწინებას, რაც თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად ყალიბდება (European Central Bank 2022).

ESG ჩარჩოებისა და სპეციფიკური მეთოდოლოგიების დანერგვით, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები მუდმივ რეჟიმში ახდენენ თავიანთი აქტივების პორტფელების სიღრმისეულ სკრინინგს და აფასებენ, თუ რამდენად მოწყვლადია ესა თუ ის ბიზნეს-მოდელი კლიმატური სტრეს-ტესტების მიმართ.

კომპანიები და კორპორაციები, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი საწარმოო ციკლის დროულ მოდერნიზაციას, უარს ამბობენ ნარჩენების მინიმიზაციაზე და აგრძელებენ გარემოს ინტენსიურ დაბინძურებას, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისგან იღებენ დაბალ ESG შეფასებებს. ეს კი ავტომატურად, ჯაჭვური რეაქციით ზრდის მათთვის ფინანსურ რესურსებსა და საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის რეალურ ღირებულებას, ზოგჯერ კი სრულად ბლოკავს კაპიტალის ნაკადების მიმართვას მათკენ. ამდენად, ESG კრიტერიუმები თანამედროვე ლიტერატურაში აღარ განიხილება როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი ან

მარკეტინგული ნაწილი; იგი იქცა მაკროეკონომიკური რისკების წინდახედული მართვის, კაპიტალის ეფექტიანი მობილიზებისა და გრძელვადიანი ბიზნეს-მდგრადობის სავალდებულო, სტრატეგიულ და უალტერნატივო ინსტრუმენტად გლობალურ საბაზრო სივრცეში. ბოლო წლებში აკადემიურ და პრაქტიკულ დისკუსიებში ESG შეფასებების მიმართ გარკვეული კრიტიკაც გამოიკვეთა. კერძოდ, სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიების განსხვავებულობის გამო, ერთი და იგივე კომპანია შესაძლოა სხვადასხვა ESG შეფასებას იღებდეს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს საერთაშორისო სტანდარტიზაციისა და შეფასების ერთიანი კრიტერიუმების შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარი მკვეთრი ცვლილება აგრარული სექტორის წილის კლება მთლიან სამამულო პროდუქტში და მომსახურების სფეროს დომინირება - თეორიულ ჭრილში საუკეთესოდ აიხსნება უილიამ ლუისის (Lewis, 1954) ორსექტორიანი მოდელითა და ჰოლის ჩენერისა (Chenery, 1960) და კოლინ კლარკის სტრუქტურული ცვლილებების თეორიით. ლუისის მოდელის მიხედვით, განვითარებადი ეკონომიკის ტრანსფორმაცია გულისხმობს ჭარბი მუშახელის გადანაცვლებას დაბალპროდუქტიული, ტრადიციული (აგრარული) სექტორიდან მაღალპროდუქტიულ, თანამედროვე სექტორში. საქართველოს შემთხვევაში, ეს პროცესი წარიმართა არა იმდენად კლასიკური ინდუსტრიალიზაციით, არამედ პირდაპირ მომსახურების სექტორის (სერვისული ეკონომიკის) გაფართოებით, რაც სრულად შეესაბამება კოლინ კლარკის კანონზომიერებას ეკონომიკური პროგრესის დროს დასაქმების სტრუქტურის მესამეულ სექტორში მიგრაციის შესახებ. ჩენერის მიდგომით კი, რესურსების ასეთი სტრუქტურული გადანაწილება არის მაკროეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა, რომელიც ცვლის ქვეყნის როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების არქიტექტურას და საფუძველს უყრის უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებას. ამავდროულად, გაუმჯობესდა ბუნებრივი რესურსების გადასახადების ადმინისტრირება, რამაც ფისკალური შემოსავლები 10.5 მილიონიდან 38.2 მილიონ ლარამდე გაზარდა და სახელმწიფოს მისცა შესაძლებლობა, განეხორციელებინა ინვესტიციები სოციალურ კაპიტალში, რაც წყალზე წვდომის 66.4%-მდე ზრდაში აისახა (Golder 1995). თუმცა, ეკონომიკური აქტივობისა და სატრანსპორტო ნაკადების მკვეთრ ზრდას თან მოჰყვა ნახშირბადის ემისიების მატება, რამაც ამ კომპონენტის ნორმალიზებული ქულა 100-დან 11.76-მდე დააცურა და მწვანე ზრდის მთავარ ბარიერად იქცა. 2019-2021 წლების პერიოდი ასახავს უნიკალურ მაკროეკონომიკურ მოვლენას - გლობალურ პანდემიურ შოკს და მის ირიბ ეკოლოგიურ ეფექტებს საქართველოს რეალობაზე. 2019 წელს მიღწეული 70.29 ქულის შემდეგ, 2020 წელს დაფიქსირდა ინდექსის მკვეთრი, ტალღისებური ნახტომი 72.50 ქულამდე. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ეს ზრდა ნაწილობრივ ზედაპირული ხასიათის იყო, რადგან მკაცრი საყოველთაო შეზღუდვებისა და ბიზნეს-აქტივობების შეჩერების გამო დროებით შემცირდა სათბური აირების გაფრქვევა და სატრანსპორტო ემისიები. როგორც კი 2021 წელს დაიწყო პოსტ-კრიზისული რეაქტივაცია და გაიხსნა საზღვრები, CO2-ის მატებამ და სტაციონარული მავნე გაფრქვევების ზრდამ, პანდემიის გამო სიცოცხლის.

დასკვნა

მწვანე ზრდისა და მდგრადი განვითარების პროექტების გრძელვადიანი, სტაბილური ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ და საინვესტიციო ფენომენს წარმოადგენს მწვანე ობლიგაციების ბაზრის სწრაფი, ექსპონენციალური და მასშტაბური გლობალური ზრდა. მწვანე ობლიგაცია არის სპეციფიკური, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომლის ემისიიდან მიღებული ფულადი კაპიტალი ექსკლუზიურად, გამჭვირვალედ და მიზნობრივად უნდა მიემართოს იმგვარი ინოვაციური პროექტების დაფინანსებაზე, თანადაფინანსებაზე ან რეფინანსირებაზე, რომლებიც ხასიათდებიან მკაფიოდ გაზომვადი, დადებითი ეკოლოგიური ეფექტით. ეს მოიცავს განახლებადი ენერგიის მსხვილი სადგურების მშენებლობას, ენერგოეფექტური მუნიციპალური და კომერციული შენობების პროექტირებას, მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპ

ორტო ქსელების განვითარებას, წყლის რესურსების დაცვასა და ნარჩენების ინტეგრირებულ, წრიულ მართვას.ამ სპეციფიკური ბაზრის გამართულ, გრძელვადიან ფუნქციონირებას და ინვესტორთა მაღალი ნდობის მოპოვებას საფუძვლად უდევს მწვანე ობლიგაციების პრინციპები, რომლებიც დეტალურად არის შემუშავებული საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ასოციაციის მიერ. აღნიშნული მკაცრი სტანდარტები ითხოვს მოზიდული სახსრების გამოყენების სრულ ფინანსურ გამჭვირვალობას, პროექტების წინასწარ მკაცრ ეკოლოგიურ შერჩევას, მენეჯმენტის სრულ ანგარიშვალდებულებას და დამოუკიდებელი, აკრედიტებული მესამე მხარის მიერ გარე აუდიტორული ვერიფიკაციის განხორციელებას.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, მწვანე ობლიგაციების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც საბიუჯეტო რესურსები შეზღუდული აქვთ. ასეთ პირობებში კერძო კაპიტალის მობილიზება სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებში ამცირებს ფისკალურ ზეწოლას და ქმნის გრძელვადიანი ინვესტიციების დაფინანსების დამატებით შესაძლებლობებს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ეკონომიკებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

მწვანე ობლიგაციების ბაზრის ინსტიტუციური განვითარება მაკროეკონომიკურად უაღრესად მომგებიანია როგორც თავად ემიტენტებისთვის, რომლებიც იღებენ პირდაპირ წვდომას უფრო დივერსიფიცირებულ, მდგრად და გრძელვადიან საინვესტიციო ბაზაზე, ისე ზოგადად სახელმწიფოსთვის, რადგან ეს ფინანსური ინსტრუმენტი იძლევა კერძო სექტორის თავისუფალი კაპიტალის მასშტაბური მობილიზების შესაძლებლობას იმ სტრატეგიულ მწვანე ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომელთა სრულფასოვანი დაფინანსებაც მხოლოდ შეზღუდული სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა (Climate Bonds Initiative 2023).

საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ქრონიკული სტრუქტურული ასიმეტრიით - ქვეყანა 74-76%-ით დამოკიდებულია იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე (ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი) (კაკულია ნ., 2022). ეს მაღალი მაკროეკონომიკური ექსპოზიცია საგარეო შოკებისადმი პირდაპირ აისახება მწვანე ზრდის ინდექსის ეფექტიანობაზე. ენერგეტიკული ბალანსის ასეთი მაღალი დივერსიფიკაციის

დეფიციტი და წიაღისეულ საწვავზე მზარდი საიმპორტო დამოკიდებულება ზღუდავს რესურსების ოპტიმიზაციას და აფერხებს მწვანე პროდუქტიულობის ზრდას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება და შიდა განახლებადი რესურსების ათვისება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მწვანე ტრანსფორმაციის უალტერნატივო წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

კაკულია ნ., (2014). მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები და ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტ. VII, №4.

კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ. (2022). გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია. 10 თებერვალი. ქუთაისი. https://atsu.edu.ge/images/pdf/krebulebi/konferenciiskrebuli3.pdf?fbclid=IwAR2eBjuqGsv2W-PsVulEf_J0CjPzsnjdWClvWjtpDDbhponkW1QoViAZjos

Kakulia, N. (2017). Analysis of the Reasons for the Institutional Backwardness of Georgia., 2nd Geneva International Conference on Advanced Research. Geneva, Switzerland, GICAR. https://genevacar.files.wordpress.com/2017/12/gicar_2017_conference-proceedings.pdf?fbclid=IwAR1LALu0QQjYvloF0MC53nwVi7sbmyNACrMkRUMWn5nCxof4au_-Dtmp9Qk

Kharaishvili, E. (2025)The New Reality of Agri-Food Industry Functioning under Conditions of Geo-Economic FragmentationConference: X International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and BusinessAt: Tbilisi, Georgia https://www.researchgate.net/publication/403160357_The_New_Reality_of_Agri-Food_Industry_Functioning_under_Conditions_of_Geo-Economic_Fragmentation

Kenneth A.,(1999) Economic Growth, Carrying Capacity, and the Environment Environment and Development Economics 1(01):104 - https://www.researchgate.net/publication/231747926_Economic_Growth_Carrying_Capacity_and_the_Environment#fullTextFileContentKuznets, S. (1973). Modern Economic Growth: Findings and Reflections. *American Economic Review*, *American Economic Association*. 63(3), 247-258. http://www.piketty.pse.ens.fr/files/Kuznets1973.pdf

Papava, V. (2022). On the main challenges of the architecture transformation of the world economy. Eurasia Review. https://ssrn.com/abstract=4076210

Papava, V. (2024). Globalization with economic security and “glocalization”. SSRN Electronic Journal. https://doi.org/10.2139/ssrn.4806388

Papava V. Tapladze T. (2019). О Барьере Ретроэкономики В Развитии «Зелёной экономики»”, http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/conf.kreb.2019.pdf

Sulich A., (2024). Green Jobs, a New Measure of Public Management and Sustainable Development.https://www.researchgate.net/publication/325897369_Green_jobs_a_new_measure_of_public_management_and_sustainable_development

UNEP, (2021). Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication. www.unep.org/greeneconom

https://web.archive.org/web/20160505222844/http://www.iccwbo.org/products-and-services/trade-facilitation/green-economy-roadmap/
OECD Publication "Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers", 2024.
www.dualcitizeninc.com
www.epi.envirocenter.yale.ed
www.ec.europa.eu
www.sustainabledevelopment.un.org
www.worldbank.org

Assessing the current status and potential of sustainable development in Georgia using the Global Green Growth (GGGE) and Environmental Efficiency (EP) indices.

Nazira Kakulia
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
The Sustainable Development Research Center
nazira.kakulia@tsu.ge

Summary

This article examines the development of a green economy in Georgia in the context of economic growth and resource efficiency. In today's environment, growing consumption of natural resources, increasing environmental pressure, and sustainable development challenges make the implementation of sustainable economic principles a key area of economic policy. The purpose of this study is to assess the extent to which Georgia has seen improvements in resource efficiency and the extent to which current trends align with the key principles of green economy development. The article's theoretical framework draws on contemporary literature on economics, resource efficiency, and economic growth. Particular attention is paid to contemporary concepts of resource productivity, material intensity, and the use of material resources in green growth, which are considered key tools for assessing a green economy in contemporary international practice. The article examines indices such as the Green Growth Index, developed by the Global Green Growth Institute (GGGI), and the Global Green Economy Index (GGEI), which measures the current state of a country's economy and the degree of "green" orientation of its supporting economic policies. A third index, the Environmental Performance Index (EP), is used to analyze and assess the current situation at the global level. This index quantifies a country's environmental performance, achieved through appropriate policies. Environmental sustainability of economic development is a more pressing issue for developing countries than for developed ones. Georgia faces significant challenges in this regard, as reflected in its ranking among countries on the GGE and EP indices. Furthermore, according to OECD methodology, Georgia generates significantly less wealth from resource use and the environment than developed countries.

Key words: green economy, sustainable development, green economy measurement indices, economic development.

გლობალური ვალის თანამედროვე ტენდენციები

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhaz.chikobava@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში განხილული გლობალური ვალის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ნაჩვენებია, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მზარდი სუვერენული ვალის პრობლემა საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ქვეყნებს, არამედ გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთოებას. მიმდინარე წლის აპრილის შუა რიცხვებისთვის აშშ-ის 10-წლიანი სავალო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობამ 4,25% შეადგინა, მაშინ როდესაც ომის დაწყებამდე ეს მაჩვენებელი 4%-საც კი არ აღწევდა. თუმცა, აღნიშნული შემოსავლიანობაც ძლივს ფარავს ინფლაციით გამოწვეულ დოლარის გაუფასურებას. სომარი მოქმედებების პირობებში, აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები უკვე გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ინფლაციისა და რისკების კომპენსირების მიზნით, აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალი უნდა იყოს - განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ომით დაზარალებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები და სუვერენული ფონდები ამ აქტივების მასობრივ რეალიზაციას იწყებენ. ექსპერტთა შეფასებით, ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფო ვალი შესაძლოა კიდევ 6,6 ტრილიონი დოლარით გაიზარდოს, მაშინ ფედერალური რეზერვის მიერ ამ მოცულობის სრული ათვისების შემთხვევაში, ამერიკის ცენტრალური ბანკის აქტივები 2029 წლის დასაწყისისთვის უნდა გაორმაგდეს, ხოლო სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 11 ტრილიონ დოლარს უნდა მიაღწიოს. თუმცა, თუ ცენტრალური ბანკები და ამერიკელი კერძო ინვესტორები დაიწყებენ საკუთარი აქტივებიდან სახაზინო ფასიანი ქაღალდების მასობრივ რეალიზაციას, მათ ჩანაცვლებას კვლავ ფედერალური რეზერვი აიძულებს. ასეთ შემთხვევაში, ამერიკის ცენტრალური ბანკის აქტივები 2029 წლის დასაწყისისთვის არა მხოლოდ გაორმაგდება, არამედ რამდენჯერმე გაიზრდება. ამრიგად, თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის საგაზისო განაკვეთი არსებულ დონეზე შენარჩუნდება (აღარაფერს ვამბობთ მისი შემცირების ვარიანტზე), ეს გამოიწვევს ფედერალური რეზერვის „საპნის ბუშტივით“ გაბერვას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არჩევანი ფედერალური ფონდების განაკვეთის გაზრდაზე გაკეთდება, მაშინ „საპნის ბუშტად“ თავად ფინანსთა სამინისტრო და ფედერალური ბიუჯეტი იქცევა.*

საკვანძო ტერმინები: *სახელმწიფო ვალი, სახაზინო ვალდებულებები, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის ჭერი, გლობალური რეცესია.*

2025 წელს გლობალური ვალი თითქმის 29 ტრილიონი აშშ დოლარით გაიზარდა და 348,3 ტრილიონ დოლარს მიაღწია, რაც ახალ რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს. ზრდის ტემპები აღმოჩნდა ყველაზე მაღალი COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია Institute of International Finance-ის (IIF) კვლევაში,

რომლის შედეგები გამოქვეყნდა 2026 წლის 25 თებერვალს (https://www.iif.com/Key-Topics/Sovereign-Debt).

ანალიტიკოსები ითვალისწინებენ სახელმწიფოების, შინამეურნეობების, ფინანსური და არაფინანსური კომპანიების ვალდებულებებს. შეფასებების მიხედვით, 2025 წლის ბოლოსთვის მსოფლიო სახელმწიფო ვალი შეადგენდა 106,7 ტრილიონ აშშ დოლარს, წინა წლის 96,3 ტრილიონთან შედარებით. არაფინანსური სექტორის კორპორატიულმა ვალმა მიაღწია 100,6 ტრილიონ დოლარს, ხოლო გლობალური მასშტაბით შინამეურნეობების ვალდებულებებმა - 64,6 ტრილიონ დოლარს. განვითარებულ ბაზრებზე ჯამურმა ვალმა შეადგინა 231,7 ტრილიონი დოლარი, ხოლო განვითარებად რეგიონებში - 116,6 ტრილიონი დოლარი; ორივე მაჩვენებელი რეკორდულია.

Institute of International Finance-ის (IIF) ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩამოყალიბებულ გარემოში გლობალური ვალი ნაკლებად არის განპირობებული შინამეურნეობებისა და კომპანიების ვალდებულებებით და მეტად - მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკების მდგრადი საბიუჯეტო დეფიციტებით. კერძო სექტორის ვალის წილი 2025 წელს შემცირდა იმ პიკურ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც მიღწეული იყო COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვალი კვლავაც ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. კორპორატიულ სექტორში სესხების აღებისა და კაპიტალის ბაზრებზე აქტივობის ახალ მამოძრავებელ ფაქტორად იქცა ინვესტიციების ზრდა „ხელოვნურ ინტელექტში“ (https://www.iif.com/Key-Topics/Sovereign-Debt).

სახელმწიფო სესხებზე მოდიოდა გლობალური ვალის საერთო ზრდის 10 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი 2025 წელს, ხოლო ზრდის თითქმის სამი მეოთხედი უზრუნველყოფილი იყო ჩინეთის, აშშ-ისა და ევროზონის მიერ. ევროპაში სახელმწიფო ვალის ზრდა, ძირითადად, კონცენტრირებული იყო საფრანგეთსა და იტალიაში, ხოლო მათ შემდეგ მოდიოდა გერმანია.

ვალი/მშპ-ის შეფარდება 2025 წელს შემცირდა 308%-მდე, რაც უპირველესად განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების გავლენით აიხსნება. განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა რეკორდულ 235%-ს მიაღწია.[1]

ნახ. 1.

მსოფლიო სახელმწიფო ვალი 2025 წელს



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი
https://www.imf.org/en/publications/fm/issues/2026/04/15/fiscal-monitor-april-2026?cid=ca-com-homepage-sm26-FMOEA2026001

გლობალური სახელმწიფო ვალი 111 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც ბოლო 25 წლის განმავლობაში დაახლოებით ხუთმაგ ზრდას წარმოადგენს. გლობალური სახელმწიფო ვალი 2000 წელს არსებული 19,7 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2025 წლისთვის 111 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც 5.6-ჯერ ზრდას წარმოადგენს.

ყველაზე მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის პერიოდში.

ანტილიდერები არიან აშშ და ჩინეთი: მათი სახელმწიფო ვალები შეადგენს, შესაბამისად, 38,3 ტრილიონ და 18,7 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც ჯამურად მსოფლიო ვალის დაახლოებით 51%-ს უტოლდება.

სახელმწიფო ვალის ზრდის ძირითადი ეტაპებია:

- 2000–2007 - ზომიერი ზრდა მსოფლიო ეკონომიკურ ზრდასთან ერთად
- 2008–2009 - მკვეთრი ზრდის ნახტომი გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად
- 2010–2012 - ევროპული სავალო კრიზისი
- 2013–2019 - ზრდის გაგრძელება დაბალი საპროცენტო განაკვეთების ფონზე
- 2020 - რეკორდული ზრდის ტალღა COVID-19-ის პანდემიის გამო

• 2022–2025 - ვალის მომსახურების ხარჯების ზრდა მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში

აშშ-მა 2020 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ვალი სტიმულირების მასშტაბური ფისკალური ღონისძიებების შედეგად. ჩინეთმა ვალი სწრაფი ტემპით - დაახლოებით 18%-ით წელიწადში - გაზარდა, რაც, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება. იაპონიამ 2012 წლის შემდეგ ვალი აშშ დოლარში შეამცირა (ნაწილობრივ სავალუტო ეფექტის გამო), თუმცა მშპ-სთან მიმართებით კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მაღალვალდებულებიან ქვეყნად რჩება. ევროკავშირმა ვალის შემცირების შემდეგ 2025 წელს კვლავ დაიწყო მისი ზრდა, რაც ენერგეტიკულ და თავდაცვით ხარჯებს უკავშირდება.

რაც შეეხება გლობალურ ვალს, ის რეკორდულ მაჩვენებლამდე - 337 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც მსოფლიო მშპ-ის 324%-ს შეადგენს და წლის დასაწყისიდან 21 ტრილიონ დოლარზე მეტით ზრდას წარმოადგენს.

ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ჩინეთშიმ საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიაში. ვალის შეფარდება მსოფლიო მშპ-სთან კვლავ 324%-ზე მაღალია, ხოლო განვითარებად ბაზრებზე ეს მაჩვენებელი რეკორდულ 242,4%-ს აღწევს; აღნიშნული ქვეყნების საერთო ვალმა 109 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

ზრდა ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო ვალის მატებასთან, განსაკუთრებით ე.წ. დიდი შვიდეულის ქვეყნებსა და ჩინეთში. 2025 წლის ბოლომდე განვითარებად ბაზრებს დაახლოებით 3,2 ტრილიონი დოლარის ვალის დაფარვა მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველ კვარტალში გლობალური ვალი უკვე რეკორდულ 324 ტრილიონ დოლარს აღწევდა.

ნახ. 2.

გლობალური ვალი 2025 წლისათვის



წყარო: BofA Global Investment Strategy, Institute of International Finance

შენიშვნა: გლობალური შინამეურნეობების, არასაფინანსო კორპორაციების, მთავრობებისა და ფინანსური კორპორაციების ვალის ჯამი

აშშ-ის სახელმწიფო ვალი უწყვეტ ზრდას განაგრძობს. 2025 წლის დასაწყისისთვის, როდესაც დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, აშშ-ის

სახელმწიფო ვალის მოცულობა 36 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. აშშ-ის ვალის მრიცხველის (US Debt Clock) მონაცემებით, მიმდინარე წლის 17 აპრილს სახელმწიფო ვალმა 39 ტრილიონი დოლარის ნიშნულს გადააჭარბა (მაჩვენებლის ზუსტი მნიშვნელობა: 39,163 მილიარდი დოლარი). თუმცა, ექსპერტთა განცხადებით, სახელმწიფო ვალმა აღნიშნულ ზღვარს ერთი თვით ადრე - ჯერ კიდევ 17 მარტს მიაღწია (https://usdebtclock.org/).

ამრიგად, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ხუთი კვარტლის განმავლობაში, აშშ-ის სახელმწიფო ვალი 3 ტრილიონი დოლარით გაიზარდა. საშუალო თვიური ნამატი 200 მილიარდ დოლარს შეადგენს. სახელმწიფო ვალის ყოველი ერთი ტრილიონი დოლარით ზრდა, საშუალოდ, ყოველ ხუთ თვეში ერთხელ ფიქსირდება. ზრდის მსგავსი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, ტრამპის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთვის, აშშ-ის სახელმწიფო ვალი კიდევ 6,6 ტრილიონი დოლარით გაიზრდება და 45,6 ტრილიონ დოლარს მიაღწევს.

თუმცა, ეს შეფასება მსაკმაოდეტად კონსერვატიულია, ვინაიდან ტრამპის ამბიციები დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტია, რომ მან აშშ ახლო აღმოსავლეთის ომში ჩააბა, რომლის ღირებულება ამ ეტაპზე ათეულობით მილიარდ დოლარს შეადგენს, თუმცა პერსპექტივაში შესაძლოა ასეულობით მილიარდი შეადგინოს. აღსანიშნავია, რომ ტრამპმა 2027 ფისკალური წლისთვის აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის 1,5 ტრილიონ დოლარამდე გაზრდა მოითხოვა, რაც არსებულ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ მეტია.

ტრამპის განცხადებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი დარწმუნებულია ამერიკის შესაძლებლობებში, გაუმკლავდეს მსგავს საგარეო ვალის ტვირთს იმ პირობით, თუ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთი შემცირდება. სხვა ქვეყნების ფონზე, აღნიშნული განაკვეთი დღესაც არ გამოიყურება მაღალ მაჩვენებლად და წლიურ 3,75%-ს შეადგენს. თუმცა, ასეთი განაკვეთის პირობებშიც კი, სახელმწიფო ვალის პროცენტის გადასახდელად გამოყოფილმა საბიუჯეტო ხარჯებმა უკვე გადააჭარბა 1 ტრილიონი დოლარის ნიშნულს და თავდაცვის ხარჯებსაც კი აღემატება. სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების 14%-ს შეადგენს.

ტრამპის რწმენით, მზარდ სახელმწიფო ვალთან გამკლავების გზა რეფინანსირების განაკვეთის დაწევაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. პრეზიდენტი მოუთმენლად ელოდა მიმდინარე წლის მაისს, როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემის მოქმედი ხელმძღვანელი, ჯერომ პაუელმა პოსტი დატოვა და ის ტრამპის რჩეულმა - კევინ უორშმა შეცვალა. თუ პაუელი რეფინანსირების განაკვეთს დიდი ყოყმანითა და ნელი ტემპით ამცირებდა, ფედერალური რეზერვის ახალი ხელმძღვანელი, ტრამპის იმედით, შეძლებს მის სიმბოლურ ნიშნულამდე დაყვანას. შესაძლოა იმ დონემდეც კი, რომელიც 2008-2014 წლების პერიოდში ფიქსირდებოდა, როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ფინანსურ კრიზისსა და მის შედეგებს „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკით ებრძოდა და საკვანძო განაკვეთი 0 – 0,25%-იან ნიშნულზე ჰქონდა დაყვანილი.

კევინ უორშის მიერ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით მრავალი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ იგი,

როგორც მინიმუმ, არ დაუშვებს ფედერალური ფონდების განაკვეთის შემცირებას. უფრო მეტიც, მოსალოდნელია მისი გაზრდაც. მსგავს დასკვნამდე ანალიტიკოსები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომის შედეგად მივიდნენ, რომელიც 28 თებერვალს ირანზე აშშ-ისა და ისრაელის მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო. სასაქონლო და ფინანსურმა ბაზრებმა საომარ მოქმედებებზე მყისიერი რეაგირება მოახდინეს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ნავთობის ბაზარი, სადაც „შავი ოქროს“ ფასი დაახლოებით ერთნახევარჯერ გაიზარდა.

ფინანსური ბაზრების შესახებ შედარებით ნაკლები ყურადღება მახვილდება. თუმცა, გავრცელდა მრავალი ცნობა იმის თაობაზე, რომ პარადოქსულად გაიაფდა ოქრო (რომელსაც ბევრი ექსპერტი არა სასაქონლო, არამედ ფინანსურ ბაზარს მიაკუთვნებს). ოქროს ფასის ვარდნის მთავარ მიზეზად ექსპერტებმა ცენტრალური ბანკების რეზერვებიდან ძვირფასი ლითონის მასობრივი გაყიდვების დაწყება ან მსგავსი გაყიდვების მოლოდინი დაასახელეს. მარტში თურქეთის ბანკის მიერ ოქროს გაყიდვის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა (57,3 ტონა). ომმა გამოიწვია ლიკვიდობის გადაუდებელი საჭიროება, რის გამოც ოქროს კონვერტაცია ვალუტაში მოხდა. ეს პირველ რიგში საჭირო გახდა გაძვირებული ნავთობის საფასურის გადასახდელად ან სავალუტო ინტერვენციების განსახორციელებლად, რათა თავიდან აეცილებინათ ეროვნული ფულადი ერთეულების კურსის მკვეთრი გაუფასურება (რაც, თავის მხრივ, აძვირებს იმპორტს).

იბადება კითხვა: რატომ უნდა ყიდდნენ ცენტრალური ბანკები ძვირფას ლითონს, როდესაც მათ რეზერვებში არსებობს ისეთი აქტივიც, როგორიცაა აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები? ირკვევა, რომ მარტში ამგვარი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციაც ხორციელდებოდა. თუმცა, მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა, სავარაუდოდ, მიიღეს მითითება, რომ არ მოეხდინათ ამ გაყიდვების აფიშირება. ეს მიზნად ისახავდა ამერიკული სავალო ვალდებულებებიდან კაპიტალის კიდევ უფრო მასშტაბური გადინების პრევენციას.

მიუხედავად ამისა, მეტად მწირი ინფორმაციის საფუძველზეც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ მარტში თურქეთის, ინდოეთისა და ტაილანდის ცენტრალური ბანკები აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებს აქტიურად ყიდდნენ. ყურადღებას იმსახურებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებიც: ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში შენახული არარეზიდენტების (სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროების) სახაზინო ობლიგაციების ღირებულება 25 თებერვლიდან 25 მარტამდე პერიოდში 82 მილიარდი დოლარით შემცირდა და 2,69 ტრილიონი დოლარი შეადგინა. კერძოდ, Financial Times-ის მონაცემებით, თურქეთის მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების მარაგი 22 მილიარდი დოლარით შემცირდა.

აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი მოცულობა თავმოყრილია სპარსეთის ყურის სამეფოების ცენტრალური ბანკებისა და სუვერენული ფონდების აქტივებში. მხოლოდ საუდის არაბეთის მსგავსი ფასიანი ქაღალდების პორტფელი გასული წლის ბოლოს 150 მილიარდ დოლარს უახლოვდებოდა, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 100 მილიარდ დოლარს აჭარბებდა. იმ შემთხვევაში, თუ არაბული მონარქიები უახლოეს მომავალში ვერ შეძლებენ ნავთობის, თხევადი ბუნებრივი აირის, სასუქებისა და ალუმინის ექსპორტის აღდგენას, მათ მოუწევთ

წარმოქმნილი ფისკალური დეფიციტის შევსება ამერიკული სავალო ვალდებულებების მასობრივი რეალიზაციის გზით.

მრავალი ექსპერტი პირდაპირ აცხადებს: ახლო აღმოსავლეთის ომმა აშშ-ის სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კრიზისი გამოიწვია.

აპრილის შუა რიცხვებისთვის აშშ-ის 10-წლიანი სავალო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობამ 4,25% შეადგინა, მაშინ როდესაც ომის დაწყებამდე ეს მაჩვენებელი 4%-საც კი არ აღწევდა. თუმცა, აღნიშნული შემოსავლიანობაც ძლივს ფარავს ინფლაციით გამოწვეულ დოლარის გაუფასურებას. საომარი მოქმედებების პირობებში, აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები უკვე გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ინფლაციისა და რისკების კომპენსირების მიზნით, აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალი უნდა იყოს - განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ომით დაზარალებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები და სუვერენული ფონდები ამ აქტივების მასობრივ რეალიზაციას იწყებენ.

ექსპერტთა მოსაზრებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების არსებული შემოსავლიანობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ინტერესი ამ აქტივების მიმართ როგორც არარეზიდენტების, ისე აშშ-ის შიდა კერძო ინვესტორების მხრიდან (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, სხვადასხვა საინვესტიციო ფონდები). შედეგად, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ყველა ახალი ემისიის შესყიდვა ფედერალურ სარეზერვო სისტემას მოუწევს. დღეისათვის, ფედერალური რეზერვის აქტივებში სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი 4,4 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც აშშ-ის მთლიანი სახელმწიფო ვალის 11%-ია. ამ ეტაპზე აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მთლიანი აქტივები 6,7 ტრილიონი დოლარია.

ექსპერტთა შეფასებით, ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფო ვალი შესაძლოა კიდევ 6,6 ტრილიონი დოლარით გაიზარდოს, მაშინ ფედერალური რეზერვის მიერ ამ მოცულობის სრული ათვისების შემთხვევაში, ამერიკის ცენტრალური ბანკის აქტივები 2029 წლის დასაწყისისთვის უნდა გაორმაგდეს, ხოლო სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 11 ტრილიონ დოლარს უნდა მიაღწიოს. თუმცა, თუ ცენტრალური ბანკები და ამერიკელი კერძო ინვესტორები დაიწყებენ საკუთარი აქტივებიდან სახაზინო ფასიანი ქაღალდების მასობრივ რეალიზაციას, მათ ჩანაცვლებას კვლავ ფედერალური რეზერვი აიძულებს. ასეთ შემთხვევაში, ამერიკის ცენტრალური ბანკის აქტივები 2029 წლის დასაწყისისთვის არა მხოლოდ გაორმაგდება, არამედ რამდენჯერმე გაიზრდება. თუმცა, ეს უკვე ფინანსური ანტიუტოპიის სფეროს განეკუთვნება, რომლის წარმოსადგენადაც ადამიანის ფანტაზია არასაკმარისია.

ამრიგად, თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის საბაზისო განაკვეთი არსებულ დონეზე შენარჩუნდება (აღარაფერს ვამბობთ მისი შემცირების ვარიანტზე), ეს გამოიწვევს ფედერალური რეზერვის „საპნის ბუშტივით“ გაბერვას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არჩევანი ფედერალური ფონდების განაკვეთის გაზრდაზე გაკეთდება, მაშინ „საპნის ბუშტად“ თავად ფინანსთა სამინისტრო და ფედერალური ბიუჯეტი იქცევა. ამ სცენარის მიხედვით, ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები შთანთქავს, ხოლო თავდაცვისა და სხვა საბიუჯეტო მუხლების დაფინანსება დეფიციტის ზრდისა და ვალის შემდგომი ესკალაციის ხარჯზე მოხდება. ვაშინგტონს არჩევანის

გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უწევს. მათ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, ზემოხსენებული ორი „ბუშტიდან“ რომელს მიანიჭონ უპირატესობა.

აღსანიშნავია აშშ-ის ფინანსთა ყოფილი მინისტრის, ჰენრი პოლსონის პოზიცია, რომელიც ამ პოსტს 2006-2009 წლებში - 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის პიკის დროს იკავებდა. სააგენტო Bloomberg-მა 16 აპრილს გამოაქვეყნა პოლსონის განცხადება სტატიაში სათაურით: „Henry Paulson Suggests US Make a Break-Glass Treasuries Plan“ („ჰენრი პოლსონი აშშ-ს სთავაზობს შეიმუშაოს გეგმა სახაზინო ობლიგაციების „გატეხვის“ (ექსტრემალური გამოყენების) შესახებ“). პოლსონმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი საფრთხეს უქმნის აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებზე მოთხოვნას, რასაც ამერიკისთვის დესტრუქციული შედეგები მოჰყვება. „აშშ-ის სახელმწიფო ვალის კრიზისის შემთხვევაში, თქვენ ეჯახებით კედელს და ცდილობთ გამოუშვათ სახაზინო ობლიგაციები, თუმცა ფედერალური რეზერვი რჩება ერთადერთ მყიდველად; ამ დროს სახაზინო ობლიგაციების ფასები ეცემა, ხოლო საპროცენტო განაკვეთები იზრდება - ეს სასიკვდილოდ საშიშია“, - განაცხადა პოლსონმა. მან მოუწოდა ამერიკის ხელისუფლებას, მოამზადონ მოქმედების გადაუდებელი გეგმა მსგავსი კოლაფსის შემთხვევისთვის, თუმცა თავად პოლსონს მოცემული ჩიხიდან გამოსავლის არანაირი ვარიანტი არ შემოუთავაზებია.

გამოყენებული ლიტერატურა

Campos, R. (2026, February 25). *Government spending lifts global debt to a record $348 trillion in 2025, says IIF*. Reuters. https://www.reuters.com/business/finance/government-spending-lifts-global-debt-record-348-trillion-2025-says-iif-2026-02-25/

List of countries by external debt. (n.d.). In *Wikipedia*. Retrieved August 24, 2026, from https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_external_debt

Данные ООН: Сингапур и США стали лидерами по госдолгу на душу населения в 2022 году. (2023, July 17). РИА Новости. https://ria.ru/20230717/gosdolg-1884520715.html

Африканские страны платят за кредиты в восемь раз больше, чем богатые страны Европы. (2023, July 12). Новости ООН. https://news.un.org/ru/story/2023/07/1442777

Катасонов, В. (2026, April 22). Бывший министр финансов США Генри Полсон: Америке грозит обвал на рынке казначейских облигаций. Фонд стратегической культуры. https://www.fondsk.ru/news/2026/04/22/byvshiy-ministr-finansov-ssha-genri-polson-amerike-grozit-obval-na-rynke

Contemporary Trends in Global Debt

Malkhaz Chikobava
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
malkhaz.chikobava@tsu.ge

Summary

This paper examines global debt dynamics and the key factors influencing them. It demonstrates that the escalating sovereign debt crisis in industrialized nations poses a severe threat not only to these individual economies but also to global economic stability and security. By mid-April of this year, the yield on US 10-year Treasury securities reached 4.25%, whereas prior to the outbreak of the war, this indicator remained below 4%. However, even this level of yield barely offsets the dollar's depreciation driven by inflation. Amid ongoing military operations, US Treasury securities have become associated with notable systemic risks. To adequately compensate for rising inflation and heightened risk exposure, interest rates on US Treasuries would need to rise further - particularly as sovereign wealth funds and central banks in war-affected nations initiate large-scale liquidations of these assets. Expert estimates suggest that the national debt could expand by an additional $6.6 trillion during Donald Trump's presidential term. If the Federal Reserve fully absorbs this volume, the US central bank's total assets would double by early 2029, with its Treasury holdings reaching $11 trillion. Furthermore, if foreign central banks and domestic private investors engage in a mass sell-off of Treasuries, the Federal Reserve will be forced to intervene as the buyer of last resort. Under this scenario, the central bank's balance sheet would not merely double by early 2029, but expand exponentially. Consequently, if the Federal Reserve maintains its benchmark policy rate at current levels (to say nothing of potential rate cuts), the Fed's balance sheet will inflate into a speculative bubble. Conversely, if the Federal Funds Rate is increased, the vulnerability shifts directly to the Treasury Department and the federal budget itself.

Keywords: Sovereign debt, Treasury securities, Budget deficit, Debt ceiling, Global recession.

საქართველოს ეკონომიკა გლობალური პოლიტიკური ცვლილებების პირობებში

მარინა ტაბატაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
marina.tabatadze@tsu.ge

ანნა თანდილაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
anna.tandilashvili@btu.edu.ge

ანოტაცია. *კვლევა ეხება თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის, პოლიტიკური დესტაბილიზაციის და მისი გამომწვევი მიზეზების პრევენცის საკითხს, რამდენადაც არასტაბილური გარემო ართულებს ინტეგრაციულ პროცესებს, აფერხებს საერთაშორისო მასშტაბით საქმიანობის კოორდინაციას და ამცირებს ინტეგრირების დადებით ეფექტებს. ქვეყნების პოზიციონირება მნიშვნელოვნად ხდება დამოკიდებული პოლიტიკურ გარემოზე, პოლიტიკურ იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაზე. ამ ფაქტორების მრავალფეროვნების გამო, რთულია პროცესების მართვის ერთიანი უნიფიცირებული მოდელის და საერთო სტანდარტების. გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს საბაზრო გარემოს სწრაფი ცვლილება, ამ დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება გარე შოკებზე მთავრობის მხრიდან სწრაფი რეაგირების და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების უნარს. ეკონომიკურ სტაბილურობაზე პოლიტიკური ფაქტორის სულ უფრო მზარდი გავლენა არსებითად ამაღლებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას პოლიტიკურ პროცესებზე და აძლიერებს წონასწორული გარემოს უზრუნველყოფისთვის მის მარეგულირებელ ფუნქციას. ამ საკითხის თეორიული ასპექტები და მის მიმართ ხელისუფლების კონცეპტუალური მიდგომებია განხილული წარმოდგენილ მოხსენებაში. მოცემულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების და ხელისუფლების გადაწყვეტილებების გავლენის საკითხები.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა; გლობალიზაციის პოლიტიკა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; ეკონომიკური წონასწორობა; ეკონომიკური ზრდის ფაქტორები.*

შესავალი

ქვეყნების მომავალს გლობალური განვითარების ზოგადი ტენდენციები და გარე ფაქტორებზე მათი მზარდი დამოკიდებულება განსაზღვრავს, ამიტომ მთავრობის მიზანი გეოპოლიტიკური საფრთხეების შემცირება, სოციალური და ინსტიტუციური სისტემების მდგრადობა , პროცესების სწორი პროგნოზირება და მსოფლიო ტენდენციებთან ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის თავსებადობის უზრუნველყოფაა. გლობალიზაცია უშუალო კავშირშია განვითარების გაურკვევლობასთან და მისგან გამომდინარე, - საბაზრო წონაწორობის რღვევასთან.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი ქართული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანია. აკად. ვ. პაპავა თვლის, რომ ეკონომიკური რეფორმები ვერ იქნება წარმატებული შესაბამისი პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს გარეშე, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხშირად განსაზღვრავს ეკონომიკის ხასიათს. „ეკონომიკური რეფორმები პოლიტიკური ნების გარეშე უბრალოდ დეკლარაციად რჩება“, მისი აზრით, ევროინტეგრაცია (DCFTA) უალტერნატივოა; საჭიროა დეგლობალიზაციის ტრენდებთან გონივრული ადაპტაცია თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვის გარეშე, ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, უცხოური მოდელების მექანიკურ გადმოღებაზე უარის თქმა (პაპავა, 2020).

განვითარების დონისა და გლობალურ სისტემებში ინტეგრირების მასშტაბის მიხედვით, ცალკეულ ქვეყანაში ეკონომიკის მართვის განსხვავებული სტანდარტი ყალიბდება. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები შედარებით მდგრადი არიან მსოფლიო ცვლილებებთან მიმართებაში, აქ სისტემური რისკების შემცირება სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდასთან ერთად, საზოგადოების მზარდ როლს და მის მენტალურ ცვლილებებს ემყარება. შედარებით სუსტი ქვეყნების ეკონომიკა გლობალური პროცესების მიმართ მაღალი მგრძნობელობის გამო, არსებითად ხდებიან ძლიერ ქვეყნებზე დამოკიდებული, რაც მათ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს უფრო აქტიურ ჩართულობას და განვითარების მაკოორდინირებელი მექანიზმების მეტ დივერსიფიცირებას მოითხოვს. ეს სტანდარტები სახელმწიფოთაშორისი კავშირების ახლებურ ფორმებს და მასშტაბებს თავაზობს საზოგადოებას.

პერსპექტივის გაურკვევლობის და განვითარების პროცესის ეფექტურად მართვისთვის აუცილებელია თანამშრომლობა და გლობალური პრობლემების გადაჭრის ერთობლივი პროექტების შემუშავება, ამასთან, „ცალკეული ქვეყნის დონეზე, ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნიდან გამომდინარე, ხაზგასმულია სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების, ასევე ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობა (Papava&Bedinshvili, 2024).

გლობალიზაციის პროცესს მსოფლიო საბაზრო გარემოს სწრაფი ცვლილება, საგარეო რისკების გაძლიერებასთან ერთად, საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების მოძრაობის არასტაბილურობა და საფასო დისპროპორციები ახლავს, ეს პროცესი საბოლოოდ, ამაღლებს ქვეყნების ეკონომიკის გარე, ხშირად, არაეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულების ხარისხს. თანამედროვე კონფლიქტები არსებითად აფერხებს გლობალურ ეკონომიკურ ზრდას, რაც საყოველთაო კეთილდღეობის შემცირებაში ვლინდება. ასეთ ვითარებაში დიდი როლი ეკისრება მთავრობის მიერ სწორი, დაბალანსებული, მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას. „გლობალიზაცია იძლევა შესაძლებლობებს, თუმცა შეიცავს სუვერენიტეტის შეზღუდვისა და შოკებისადმი მოწყვლადობის რისკებს.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ინოვაციურ ეკონომიკასა და ეროვნულ მოდერნიზაციას“ (მექვაბიშვილი, 2023).

გლობალურ გარემოში მნიშვნელოვან კორექტირებას განიცდის ეკონომიკის მართვის ფუნდამენტური პრინციპები, ტრანსფორმირდება მისი კლასიკური სტანდარტები, არსებითად იცვლება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მექანიზმები, ასეთ პირობებში გარდაუვალი ხდება ხელისუფლების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების ახლებურად შეფასება და მიმდინარე პოლიტიკურ მოცემულობასთან მათი ადაპტირების მექანიზმების სწორი განსაზღვრა, განსაკუთრებით იზრდება ხელისუფლების წვლილი მწვავე ფინანსური რისკების დაზღვევის, ეკონომიკის რაციონალური სტრუქტურული ტრანსფორმაციის, განვითარე-სის სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების კომბინირებული მართვის საკითხებში.

კონფლიქტებს არსებითი ცვლილებები შეაქვს როგორც მასში უშუალოდ ჩართული ქვეყნების ეკონომიკურ დღის წესრიგში, ისე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში მონაწილე ყველა სუბიექტის მაკროეკონომიკურ პრიორიტეტებში, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების ობიექტურ პროცესს თან ახლავს ინფლაციური მოლოდინების ზრდა, ფინანსური ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გართულება და, რაც მთავარია, პოლიტიკური დაძაბულობა უშუალოდ ზემოქმედებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და აქვეითებს ცხოვრების დონეს. არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში არსებითად ძლიერდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა, საკრედიტო დაფინანსება და საგრანტო პროგრამები განსაკუთრებით იზრდება ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების შედეგების დაძლევის დროს, ეს ფაქტორები გადამწყვეტი როლს თამაშობენ გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში (Silagadze Avtandil, Murdifin Imaduddin, Razakova Barno, Atanelishvili Tamar, 2024)

კვლევის შინაარსი

პოლიტიკური რყევები მეტნაკლებად ყველა სფეროში წარმოშობს ერთმანეთთან მი-ზეზ-შედეგობრივი კავშირის მქონე სხვადასხვა სირთულის პრობლემას, ამიტომ მათი ეფექტური მართვის ამოსავალი პრინციპი პრობლემების სწორი რანჟირება, კონკრეტულ სეგმენტზე გადაწყვეტილებათა ლოკალიზება და პრიორიტეტულ მიმართულებებზე უპირატესი კონცენტრირება უნდა იყოს. მდგრადი განვითარების სახელმწიფო სტრატეგი-ის ძირითად ფაქტორი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, მასზე უარყოფითად აისახება გლობალიზაციით გამოწვეული სავაჭრო კონფლიქტები, მიწოდების ჯაჭვის რღვევები და მაღალი გლობალური გაურკვევლობა, „ეს გამოწვევები ზრდის მდგრადი მართვის მიდგომების მნიშვნელობას, რომლებსაც შეუძლიათ კრიზისული მოვლენები გარდაქმნან ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის იმპულსებად, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე“ (Papava&Bedianashvili, 2025).

ეკონომიკური პროგნოზების არასტაბილურობაზე და, ზოგადად, განვითარების არაპროგნოზირებადობაზე პოლიტიკური დაძაბულობის უარყოფითი გავლენის მაგალითია დღეს მსოფლიოში მიმდინარე გაჭიანურებული სამხედრო კონფლიქტები და

ცალკეული ქვეყნის მიმართ დაწესებული მწვავე სანქციები, ამ პროცესებმა უშუალო გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც, რადგანაც დაპირისპირების შედეგად ნავთობის და სურსათის გაზრდილმა ფასებმა მნიშვნელოვნად დააჩქარაა ინ-ფლაციის ტემპები ჩვენ პარტნიორ ქვეყნებში, შეიქმნა ექსპორტიდან და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების პოტენციური შემცირების რისკი, დაირღვა მიწოდების ერთიანი ჯაჭვი, არსებითად გაიზარდა გადაზიდვების ღირებულება და შესაბამისად, პროდუქციის ფასი, გამწვავდა ენერგოუსაფ-რთხოების პრობლემა. ეს ტენდენციები, უარყოფითად აისახა ფინანსურ სტაბილურობა-ზეც.

რთული გლობალური ინფლაციური გარემოს დასარეგულირებლად გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკა მომავალში მსოფლიო ეკონომიკური აქტივობის კიდევ უფრო შესუსტებას გამოიწვევს, მსოფლიო ახალი პოლიტიკური წესრიგი უშუალოდ სავალუტი სისტემების და გლობალური სარეზერვო ვალუტის ფუნქციონირების ტრანსფორმაციას გამოიწვევს. აკად.ვ. პაპავას მოსაზრებით, „ახალი მსოფლიო სავალუტო წესრიგი სავალუტო გლობალიზაციისა და სავალუტო გეოპოლიტიკის იმგვარი კომბინაცია იქნება, რომელშიც სავალუტო გეოპოლიტიკას უპირატესი როლი შეიძლება ჰქონდეს“. (პაპავა ვ.,2024). ასეთი პროგნოზები ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფასთან ერთად, ხელისუფლებების მხრიდან ინტეგრირების პროცესში აქტიური მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის უპირობო გატარებას მოითხოვს.

ქვეყნების განვითარებაზე პოლიტიკური ფაქტორის გავლენის თავისებურებები

ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორების ჰარმონიზების საუკეთესო ნიმუშია საქართველოს განვითარების ბოლო პერიოდის ტენდენციები, კერძოდ, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა (2021-10.6%; 2022-11.0%, 2023 წ.-7.8%, 2024-9.4%, 2025-10.4%), რაც დაემყარა ქვეყნის მონეტარული და საბიუჯეტო სისტემის რაციონალურ გამოყენებას, სწორი სავალუტო რეჟიმის განსაზღვრას და ინფლაციური პროცესების ეფექტიან რეგულირებას, ბიუჯეტის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას და დეფიციტის მართვას, ბიზნეს-სექტორის მხარდაჭერას და სწორი დარგობრივი პრიორიტე-ტების განსაზღვრას. 2022 წლის ზრდის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რეგიონში პოლიტიკური დესტაბილიზაციის უშუალო შედეგი იყო, რაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო მიგრანტების, კაპიტალისა და ფულადი გზავნილების მკვეთრ ზრდას უკავშირდება, ამან, პრიორიტეტულად მომსახურების სექტორის დაჩქარებულ განვითარებას შეუწყო ხელი, რისი ეფექტი მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

ეკონომიკის ციკლური განვითარების ტენდენციები სტრუქტურულ არასტაბილურობასა და ცალკეული სექტორის განვითარებაზე სისტემური ცვლილებების არაერთგვაროვან გავლენაში გამოიხატა. საქართველოში ყველაზე მაღალი წილით დღეს საბითუმო და საცალო ვაჭრობაა წარმოდგენილი (15.2%), თუმცა ზრდის ტემპი სხვა სფეროებთან შედარებით, აქ დაბალია (6.7%), ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (წილი-9.9%, ზრდა 4.9%), მკვეთრად არის გაზრდილი მშენებლობის წილი (8.4%, ზრდა - 14.2%), არსებითად ამაღლდა ინფორმაცია - კომუნიკაციის წილი (6.4%, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი - 24.3%), დამამუშავებელი მრეწველობის წილი 9.3%-მდე

შემცირდა (სტაგნაციის ფაზა), აგრძელებს შემცირებას სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორის წილი - 6.2%. (www Geostat, 2025)

გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს მუდმივად მზარდი როლი უპირველესად, მის მასშტაბურ რეგიონულ ფუნქციაში ვლინდება. კავკასია თანა-მედროვე გლობალური ეკონომიკური სისტემის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია. წლების მანძილზე პოლიტიკური დაძაბულობა და არასტაბილური ეკონომიკური გარემო რეგიონში კონფლიქტურობის მაღალ დონეს განაპირობებდა, რაც ართულებდა ერთობლივი პროგრამების შემუშავებას და საქმიანობის კოორდინაციას, ეს ზღუდავს გლობალურ საინვესტიციო ბაზრებს, საერთაშორისო ფინანსურ ინტიტუტებს და, შესაბამისად, აფერხებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას (ტაბატაძე, 2022). პროფ. ე. მექვაბიშვილის მოსაზრებით, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილება ერთპოლუსიანი სისტემის ბიპოლარული ან მრავალპოლარული გლობალური ეკონომიკით შეცვლას ითვალისწინებს, „საქართველომ ამ პროცესებში თავისი როლი საკუთარი ინტერესების საფუძველზე უნდა განსაზღვროს, რაც სხვადასხვა მეგაპროექტებში მის აქტიურ ჩართულობაში უნდა აისახოს“ (მექვაბიშვილი, 2024).

დღეს საქართველოს ფართო შესაძლებლობა აქვს აქტიური როლი შეასრულოს „შუა დერეფნის“ პროექტში, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებაში (FTA), ტვირთების დასაწყობების, გადამუშავების, მსუბუქი წარმოების და ლოჯისტიკის სერვისებში, ევროკავშირის საინვესტიციო პლატფორმაში. ჩინეთთან და დსთ-თან არსებული შეთანხმებები საქართველოსთვის პროდუქციის მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებზე უბაჟოდ გატანის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. უცხოურ ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის ამგვარი პოზიციონირების ერთ-ერთი წინაპირობა ენერგოდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების განვითარებაა, რაც ადგილობრივი მწვანე ენერგიის რესურსების ათვისებას უნდა დაემყაროს. გლობალური ინტეგრირების ეს ფაქტორები აუცილებლად მოითხოვს პოლიტიკური კავშირების ჰარმონიზებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას გრძელვადიანი პერიოდისთვის.

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზებაში აარსებითი გამოწვევაა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. მართალია, ისრაელის წილი მცირეა ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში (იმპორტში–0.1%, ექსპორტში – 0.3%), მაგრამ საკმაოდ არსებითია მისი წილი ფულად გზავნილებში – 5.2% და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში – 18% (2024 წ), რაც განსაკუთრებით ზრდის კონფლიქტის ფინანსურ ტვირთს ჩვენი ქვეყნისთვის. სამხედრო დაძაბულ;ობამ გაართულა გლობალური ინფლაციის მართვა, გააძვირა საკონტეინერო გადაზიდვები, 50%-ით გაზარდა ტრანსპორტირების დრო, გადაზიდვების ტარიფი 100-150%-ით, პროდუქციის თვითღირებულება კი, 5 %-ით. რამდენადაც, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტის 80% ზღვით ხორციელდება, ამდენად, არსებითი როლი ენიჭება ამ კონფლიქტის დასრულებას ჩვენი ქვეყნისთვისაც.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული მიწოდების დისპროპორციები მკვეთრად ამცირებს ფინანსურ ნაკადებს, ამ დროს საგრძნობლად შემ-ცირებული იმპორტი შიდა ბაზრებზე მიწოდების ვარდნას და ინფლაციურ პროცესებს განაპირობებს, დიდ პრობლემებს უქმნის საექსპორტო წარმოების დარგებსაც, საბოლოოდ კი, ეს პროცესი ხელს უწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდას, რაც, თავის

მხრივ, ქვეყნის შიგნით ფინანსური ბაზრების არასტაბილურობას, არაპროგნოზირებად სტრუქტურულ ცვლილებებს და, საბოლოოდ, ეკონომიკურ სტაგნაციას განაპირობებს. პოლიტიკურ-ეკონომიკური დესტაბილიზაციის გაჭიანურება ექსპორტისა და სავალუტო შემოსავლების კლების პოტენციურ რისკს ქმნის, რაც აუარესებს მიმდინარე ანგარიშს. განვითარებულ ქვეყნებში იგი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდას, განვითარებად ქვეყნებში კი, რისკის პრემიის მაღალ სიდიდეს მოითხოვს, ეს ქვეყნიდან ფინანსური ნაკადების გადინებას და, შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუარესებას უწყობს ხელს, რაც ასუსტებს, ზოგადად, ეკონომიკურ აქტივობას.

საქართველოს როლი გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში

საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიას გლობალური მართვის ერთიან სისტემაში ჩართულობასა და ინტეგრირებულ თანამშრომლობაზე ამყარებს, ამ საკითხებში საერთო ინტერესების ფორმირება მინიმუმამდე ამცირებს ქვეყნებს შორის კონფლიქტების წარმოქმნის საფრთხეს.

თანამედროვე არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულმა მწვავე ეკონომიკურმა რყევებმა განსაკუთრებით გაამწვავა ეკონომიკის რაციონალური მართვის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის საკითხი, ხაზი გაუსვა ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფაში ფინანსური სისტემის მდგრადობის განსაკუთრებულ როლს და სახელმწიფოს ფუნქციის გაძლიერებას ფინანსური ბაზრების რეგულირებაში, ეს, უპირველესად, სისტემური რისკების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და მათი სწორი მართვის სტრატეგიის განსაზღვრაში გამოიხატა. სტაბილიზაციის პლატფორმას ხელისუფლებების სტანდარტული მარეგულირებელი მექანიზმები ემსახურება, რისთვისაც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულია უნიფიცირებული მაკროეკონომიკური მექანიზმები, რომელთა რეალიზებას ხელისუფლება სწორი სავალუტო რეჟიმების განსაზღვრით და ინფლაციური პროცესების რეგულირებით, ბიუჯეტის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებით და დეფიციტის ეგექტიანი მართვით ახდენს.

ზოგადად, ეკონომიკური პრიორიტეტების შეფასება უშუალოდ პოლიტიკური ტრანსფორმაციების ჭრილში უნდა განიხილებოდეს და ადვილად უნდა ადაპტირდებოდეს მიმდინარე პროცესებთან. **მონეტარიზმის პრობლემებში** დომინირებადია დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების, ღია ფინანსური ანგარიშებით კაპიტალის მობილობის უზრუნველყოფის და გაცვლითი კურსის სტაბილურობის საკითხები. მიმდინარე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საპროცენტო განაკვეთი 8.5 %-მდე გაზარდა და მონეტარუ;ლი პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას მხოლოდ ინფლაციის შემცირების პირობებში განიხილავს, თუმცა გლობალური რისკების შესუსტების შემთხვევაში მის გამკაცრებასაც არ გამორიცხავს.

„ევროკავშირის ფისკალური წესის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნის **ფისკალურ პოლიტიკაში** განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას, სახელმწიფო ვალის რეგულირებას, ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლს, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირებას და მისი არამდგრადობის პრევენციას ენიჭება.

(ევროკავშირი, 2019). საქართველოს ფისკალურ სისტემაში პრობლემატურია ის, რომ შემოსულობების დიდი ნაწილი სახელმწიფო ვალს უჭირავს, მაღალია ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯებიც, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს. საქართველოში საკმაოდ მაღალია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის რისკი, რადგანაც საგარეო ვალის სტრუქტურაში აქ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის წილი.

პოლიტიკური სტაბილურობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნის **საინვესტიციო გარემოზე,** ინვესტორებისთვის არსებითია პოლიტიკური რისკების და ფორსმაჟორული სიტუაციების წარმოქმნის საფრთხის ხარისხი, ისინი პოზიტიურად აღიქვამენ ჩვენ ქვეყნაში რესურსების მრავალფეროვნებას, გამარტივებულ საგადასახადო გარემოს და იაფ შრომით რესურსებს, რის გამოც ბოლო წლებში აღინიშნება დადებითი ტენდენციები პირდაპირი უცხოური ინცესტიციების ზრდის მიმართულებით. მასშტაბურია ეს ზრდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (27%), მშენებლობაში (23%), დამამუშავებელ მრეწველობაში (13%). მნიშვნელოვანია ქვეყანაში გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების განხორციელება, რაც გააიაფებს და ხელმისაწვდომოს გახდის საინვესტიციო რესურსებს. „მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, ქვეყნებმა მოქნილად უნდა მოარგონ თავიანთი პოლიტიკა გლობალურ გამოწვევებს, გააძლიერონ ციფრული და ენერგეტიკული ტრანსფორმაცია და ინვესტიციები ჩადონ ინოვაციებსა და რეგიონულ თანამშრომლობაში.“ (Avtandil Silagadze, Elguja Mekvabishvili, Giorgi Gaganidze, Tamar Atanelishvili, Mikheil Chikviladze, 2024)

სამხედრო დაპირისპირების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს **საერთაშორისო ტურიზმის** განვითარება, ეკოლოგიური სტაბილიზაციის და ბუნებრივი გარემოს წონასწორობის დაცვის ინტერესების კომპლექსური ხასიათი. საერთაშორისო დონეზე უპირატესობა ბუნებრივი რესურსების დაზოგვითი რეჟიმების დანერგვას და განახლებადი რესურსების გამოყენებას, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას ენიჭება. ეს პროცესი პრაქტიკულად გამორიცხავს პოლიტიკური დაპირისპირების არსებობას და ცალსახად უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის მშვიდობიან ურთიერთობებს (Tabatadze, 2020).

საქართველოში ტურიზმის განვითარება აუცილებლად მოითხოვს სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონგრესო ტურიზმისთვის, რის საშუალებას იძლევა საქართველოს საუკეთესო გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ცენტრის საერთაშორისო სტატუსი. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება უშუალო კავშირშია სავიზო რეჟიმების მოქნილობასთან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საბაჟო მომსახურების დანერგვასთან, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დამყარებული ტურისტული ობიექტების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, საკუთრებითი ურთიერთობების დარეგულირების, ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან.

საქართველოს განვითარების სტრატეგია მის **სატრანზიტო ფუნქციას** უკავშირდება, რაც საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას ემყარება, ეს კი, უპირველესად, დაბალანსებული პოლიტიკის გატარებაზე და უსაფრთხოებაზე არის დამოკიდებული, რაც კიდევ უფრო ზრდის

ხელისუფლების პასუხისმგებლობას გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხში.

საქართველოს ისტორიული მისია შუა დერეფნის რეგიონული ინტეგრაციაა, ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტი და არც მხოლოდ შუა აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობის გზა, იგი არის საქართველოს გეოპოლიტიკური უპირატესობის გამოყენების სტრატეგიული პლატფორმა და განვითარების პერსპექტივა, რასაც მოწმობს ის, რომ 2020 წლიდან ამ გზით ტვირთების გადაზიდვა 7-ჯერ გაიზარდა. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას მნიშვნელოვნად აამაღლებს 2029 წლისთვის ანაკლიის პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება, ლენდლორდის სისტემაზე დაფუძნებული ანაკლიის ოპერირების ახალი მოდელი სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულ დაცვას. პორტის ქვეყნის საკუთრებაში დატოვება, ხელისუფლებას საშუალებას აძლევს უცხოური კომპანიების/სახელმწიფოების ინტერესს წარმოადგენდეს ანაკლიაში, რაც ტვირთების მასშტაბურ ზრდას შეუწყობს ხელს (https://lendlord.io*).*

ტრანსკასპიური მაგისტრალის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 2031 წლისთვის პრაქტიკულად ყველა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულება და რკინიგზის მოდერნიზაცია, დასრულდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, ინტენსიურად ვითარდება სამივე საერთაშორისო აეროპორტი, 2029 წლისთვის დასრულდება ბათუმის აეროპორტის რეაბილიტაცია, ქუთაისის აეროპორტის მგზავრთა გამტარუნარიანობა წელიწადში 5 მლნ. გახდება, ვაზიანის - 20 მლნ. მგზავრი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოდერნიზების გზით, მისი ტვირთგამტარობა 10 მლნ.ტონა იქნება წელიწადში. შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრების და ტვირთის გადაადგილების დრო, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხორციელებას, განავითარებს საერთაშორისო კავშირებს რეგიონის ქვეყნებთან და შუა აზიის სახელმწიფოებთან, რადგანაც მათი წიაღისეულით მდიდარი ეკონომიკები და მზარდი საექსპორტო პოტენციალი არის საუკეთესო წყარო საქართველოს გავლით ტვირთნაკადს გენერირებისთვის (ტაბატაძე, 2024).

სატრანზიტო ფუნქციის ასეთმა გააქტიურებამ, ერთი მხრის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პოზიციონირება, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლებას, სიღარიბის დაძლევას და კეთილდღეობის ზრდას: 2020-2025წ.წ. სიღარიბის დონე საქარველოში 21.3 %-დან 7.1%-მდე შემცირდა (ამჟამად ქვეყანაში 280 ათასი ადამიანია სიღარიბის ზღვარს მიღმა), საპროგნოზო შეფასებით, 2029 წლისთვის ქვეყანაში სიღარიბე აღარ იარსებებს, ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას ადასტურებს 2020-2025 წ.წ. საშემოსავლო გადასახადების სამჯერ გაზრდაც (13.3 მლრდ.ლარიდან - 33.0 მლრდ.ლარამდე).

ქვეყნის **ენერგოუზრუნველყოფაში** არსებით როლს შეასრულებს ენერგოგენერირების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ევროპის ენერგომომარაგებაში საქართველოს ტრანზიტული როლის მნიშვნელოვან ზრდას უზრუნველყოფს „შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის“ პროექტის დასრულება (ტაბატაძე მ. 2024). ზოგადად, ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ამ გზით, პროგნოზირებადობის უქრუნველყოფა ხდება.

განსაკუთრებულ როლს იძენს პარტნიორ ქვეყნებთან **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები,** ამ პროექტების განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნებაზე და ქვეყნებს შორის უკონფლიქტო გარემოს არსებობაზე. საქართველოს, როგორც საერთაშორისო სავაჭრო და სატრანზიტო სუბიექტის როლი მნიშვნელოვნად აამაღლა 2024 წელს ჩინეთთან გაფორმებულმა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებამ, 2026 წელს კი, საყოველთაო და ყოვლისმომცველმა სტრატეგიული პარტნიორონის ხრელშეკრულებამ. ამ აქტივობებმა, უვიზო რეჟიმის შემოღებამ, პირდაპირი ავიახაზების გახსნამ 20%-ით გაზარდა ჩინეთთან ჩვენი სავაჭრო ბრუნვა. ამ პარტნიორობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, რაც სსფ-ის მონაცემებით, 2031 წლამდე ეკონომიკის ევროპაში ყველაზე მაღალ, წლიურ 5.4%-იან ზრდის პროგნოზში გამოიხატა.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს ხელისუფლება საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი ადგილობრივი საწარმოებისთვის პრეფერენციული რეჟიმების დაწესებას და წარმოების შესაბამისი სათანადო მოტივაციის შექმნას ითვალისწინებს. ამასთან, აუცილებელია აქცენტირება მოხდეს ევრობაზრებისთვის ქართული პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობებზე (შედარებით იაფი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ორიგინალური საქონელი და სხვ.) (ევროკომისია, 2020). ევრობაზარზე შესვლის ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური ეფექტიც - დიპლომატიური კავშირების გაფართოება, სამხედრო სტაბილურობა და სხვ. (European Committee of The Regions, 2020).

საქართველო თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი აქტიური სუბიექტია, საკუთარი ინტერესებით და პრიორიტეტებით, სოციალურ- ეკონომიკური და ეთნოკულტურული თავისებურებებით. ხელისუფლების სტრატეგია ქვეყნის საერთაშორისო იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორების ეფექტიან რეალიზებას ემყარება, მ.შ. ძირითადი ევროპა - აზიის დამაკავშირებელი და ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნის მისიებია. გამოიკვეთა საქართველოს ახალი ფუნქცია - ციფრული სერვისების მიწოდებაში რეგიონული ლიდერობა. გეოსტრატეგიულ ფაქტორთან ერთად, დღეს საქართველოს კონკურენტუნარიანობას სწორედ, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო ციფრულ ქსელებში ინტეგრაცია განსაზღვრავს.

დასკვნა

პოლიტიკური სტაბილურობა ამცირებს ეკონომიკურ სისტემაში არსებულ რისკებს და უფრო პროგნოზირებადს ხდის გლობალურ გარემოში ინტეგრირების შესაძლებლობას. მიმდინარე ეტაპზე არსებული პოლიტიკური დისბალანსი უარყოფითად აისახება ქვეყნების განვითარების პერსპექტივებზე, რაც კონფლიქტების მართვის კომპლექსური სტანდარტების შემუშავებასა და ცალკეული ქვეყნის მმართველობითი მექანიზმების ურთიერთკოორდინირებას მოითხოვს. პოლიტიკური დაპირისპირების მართვა აუცილებლად გლობალურ კონტექსტში უნდა იყოს განხილული და პროცესების რეგულირების მკაცრად ცენტრალიზებულ მიდგომებს უნდა დაემყაროს.

საქართველოს განვითარების მოდელი მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში მის სტაბილურ სეგმენტირებას და პარტნიორებისთვის უსაფრთხო, მიმზიდველ ქვეყნად

ფორმირებას ითვალისწინებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მისიის შესრულება უპირობოდ მოითხოვს კონფლიქტების დაძლევას და მუდმივ მშვიდობას. ამ იდეის რეალიზებას ემსახურება ქვეყნის სახელისუფლებო პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები. ევრაზიის სატრანსპორტო-კომუნიკაციური დერეფნის და რეგიონული ჰაბის ფუნქციების წარმატებით რეალიზების ძირითადი წინაპირობა უკონფლიქტო და მდგრადი პოლიტიკური გარემოა, შესაბამისად, დაბალანსებულ ურთიერთობებზე დამყარებულ თანამშრომლობას ემყარება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური იმიჯი და ქვეყნის ეკონომიკური მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროპარლამენტი, სიახლეები (2020). „მრავალწლიანი ინდიკატიური პროგრამა-MTP“, ევროკავშირის 10 ღონისძიება ეკონომიკის დასახმარებლად https://www.europarl.europa.eu/news/en/he adlines/eu-affairs/20200625STO82007 /covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery 165 გვ.

ევროსაბჭო, (2020). Emploi et économie pendant la pandémie https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/jobs-and-economy during-coronavirus-pandemic fr#garantir-lapprovisionnement-en-denres-alimentaires-de-base

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025, USAID-აშშ საერთაშ. განვითა-რების სააგენტო, EPRC - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2021. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf

მექვაბიშვილი ე. (2023)**, გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი**. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 15, №3.

პაპავა ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა, გამ. „ინტელექტი“, თბილისი.

პაპავა ვ. 2020. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ.

პაპავა. ვ. (2024), მსოფლიო სავალუტო წესრიგი: სავალუტო გლობალიზაციიდან სავალუტო გეოპოლიტიკამდე, ჟ. „ეკონომისტი“, 4, 9-16 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.

ტაბატაძე მ. (2016). სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, გვ. 480-483 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/globaliz.pdf

ტაბატაძე მ. (2022). ეკონომიკური მდგრადობის გლობალური და ეროვნული სტანდარტები, ჟ. ეკონომიკსი Ekonomisti, ტ.9(4), გვ. 55-67 https://eko-nomisti.tsu.ge/uploads/images/ek20224.pdf

ტაბატაძე მ. (2024), სახელმწიფოს პოკტკრიზისული სტრატეგია, სამეცნიერო მომოგრაფია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

Avtandil Silagadze, Elguja Mekvabishvili, Giorgi Gaganidze, Tamar Atanelishvili, Mikheil Chikviladze (2024) Adaptation of the economic policies of the US, EU and post-Soviet countries to new realities of the global economy: A comparative analysis, Scientific Bulletin of Mukachevo State University. Series “Economics”, Vol. 11, No. 4, 106-119 https://doi.org/10.52566/msu-econ4.2024.106

European Committee of The Regions.2020 https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Georgia-general.aspx 180

Lendlord helps Landlords and property investors manage their properties and, https://lendlord.io,endlord+%7C+Portfolio+Management+%26+Property+Management+...&oq=Lendlord+%7C+Portfolio+Management

Mekvabishvili E. (2024), Contours and opportunities of the new world economic order for the development of Georgia's economy, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

Murdifin, Imaduddin; Hajering, Hajering; Razakova, Barno; Silagadze, Avtandil; Atanelishvili, Tamar (2024) International Financial Institutions and Their Role in Promoting the Stability of The Global Financial System, Theoretical and Practical Research in Economic Fields, Craiova Vol. 15, Iss. 4, 952-969. DOI:10.14505/tpref.v15.4(32).13

Papava, V. & Bedianashvili, G. (2024), Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty (October 29,). Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=5003599 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5003599

Papava, V. & Bedianashvili, G., (2025). Trade Wars and Disruptions in Global Supply Chains in an Era of Growing Uncertainty (December 30), Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=6090907 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.6090907

Silagadze, A. (2025), Adaptation of the Economic Policies of the US, EU and Post-Soviet Countries to New Realities of the Global Economy, (Google Scholar Profile)

Tabatadze M. (2018). Spatial Planning as A Good Governance Practice for Regional Policy in Transition Countries, Journal of International Economic Research (JIER), vol. 4(1), p.31-37. https://irissymposium.wixsite.com/jier

Tabatadze M. (2020). Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation, Journal of International Economic Research (JIER). vol. 6(1). p.13-22, ISSN 2500-9737 https://irissymposium.wixsite.com/jier ȣ3.219

www Geostat, 2025

Georgia's Economy in the Conditions of Global Political Changes

Marina Tabatadze
Academic Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
marina.tabatadze@tsu.ge

Anna Tandilashvili
Doctor of Business Administration, Associate Professor
University of Business and Technologies
anna.tandilashvili@btu.edu.ge

Summary

The study concerns the issue of preventing political destabilization, one of the main factors of economic development in the modern world, and its causes, since an unstable environment complicates integration processes, hinders the coordination of activities on an international scale and reduces the positive effects of integration. The positioning of countries is significantly dependent on the political environment, political ideology and public psychology. Due to the diversity of these factors, it is difficult to establish a single unified model of process management and common standards. The globalization process is accompanied by rapid changes in market conditions, at this time a special role is assigned to the ability of the government to quickly respond to external shocks and maintain macroeconomic stability. The growing influence of the political factor on economic stability significantly increases the responsibility of the government for political processes and strengthens its regulatory function to ensure a balanced environment. The theoretical aspects of this issue and the conceptual approaches of the government to it are discussed in the presented report. The issues of the influence of current political changes and government decisions on the modern trends of the economic development of Georgia are given.

Keywords: economic and political stability; globalization policy. Strategy of economic development of Georgia; economic balance; Factors of economic growth.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების გამოწვევები და ტენდენციები (საქართველოს მაგალითზე)

გიგი ელიზბარაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
გრიგოლ რობქიძის სახელობის უნივერსიტეტი
gigi.elizbar@gmail.com

გოგა ელიზბარაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
goga.elizbar@gmail.com

ანოტაცია: *ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პარამეტრია. ეს უკანასკნელი არ არის იზოლირებული ფენომენი; პირიქით, მთლიანი ეკონომიკური ზრდა სხვადასხვა დარგის სტრუქტურულ კოორდინაციასა და სექტორებს შორის კავშირის სინერგიულ შედეგს წარმოადგენს (Hirschman, 1958). მაკროეკონომიკური პროგრესის დინამიკას ცალკეული სფეროს ეფექტიანობა განსაზღვრავს, ხოლო მათ შორის არსებული სტრუქტურული ბალანსი პირდაპირ აისახება მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) ფორმირებასა და გრძელვადიან სტაბილურობაზე. წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს წილისა და ეკონომიკურ ზრდაში მათი წვლილის ანალიზი, მდგრადი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის კონტექსტში.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის გაციფრულება, წვლილი, წილი*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდის პროცესში იცვლება სხვადასხვა სექტორის მნიშვნელობა, მათი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში და გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ ეკონომიკური საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალებად ყალიბდებიან. საერთო წონასწორობის მოდელები კი ადასტურებენ ბაზრებისა და სექტორების ერთმანეთზე დამოკიდებულებას დანახარჯები-გამოშვების ერთიანი პრინციპით (ანანიაშვილი და სხვ., 2021). აღნიშნული საკითხი აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაშიც, სადაც ბოლო წლებში შეინიშნება როგორც ტრადიციული სექტორების სტრუქტურული ცვლილება, ისე ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმიანობების გაძლიერება.

მოცემული კვლევა კიდევ უფრო საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ღარიბი ქვეყნის სამომხმარებლო ტიპის ეკონომიკური მოდელით. ეკონომიკური რეფორმაციის წლებში ქვეყნის წარმატებულ და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელი ვერ განვითარდა, რაც დღემდე ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს (Papava, 2014). გასათვალისწინებელია ისიც რომ როგორც ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, საქართველოც, კვლავ აწყდება რეფორმების განხორციელებასთან, რესურსების სიმწირესთან და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს (სილაგაძე, 2026).

მთლიანი სამამულო პროდუქტის სექტორული ანალიზი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გამოყოფილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის 20 სახეობა შესაბამისი აღნიშვნებით, ესენია: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (N); განათლება (P); განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (I); დამამუშავებელი მრეწველობა (C); ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (D); ინფორმაცია და კომუნიკაცია (J); მშენებლობა (F); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (M); საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (G); სამთო მოპოვებითი მრეწველობა (B); საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (K); სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (O); სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (A); სხვა სახის მომსახურება (S); ტრანსპორტი და დასაწყობება (H); უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (L); შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები, არა დიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის (T); წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები (E); ხელოვნება, გართობა და დასვენება (R); ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (Q) (საქსტატი, 2026ა). სწორედ ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიერ შექმნილი ეკონომიკური დოვლათი წარმოადგენს GDP-ს, რომელიც მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინდიკატორია და ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შედეგების დახასიათებისთვის გამოიყენება (გელაშვილი, 2017) (იხ. გრაფიკი 1). ამ უკანასკნელის უფრო დეტალურად, შემადგენელი კომპონენტების წილობრივი სახით წარმოჩენისთვის მოყვანილია ცხრილი 1.

ცხრილი 1

ნომინალურ მთლიანი სამამულო პროდუქტში შემავალი ეკონომიკური

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
G	17	16	15	14	14	14	14	14	14	15	15	15	16	15	15
L	12	12	12	12	12	12	12	11	11	11	10	10	11	10	9
C	11	11	10	10	10	9	10	10	10	11	11	11	10	10	9
J	4	4	3	3	3	3	3	3	3	3	4	5	6	6	8

F	5	7	7	7	8	9	10	9	9	9	7	8	8	9	8
O	8	8	9	9	8	8	7	7	7	7	7	6	7	7	7
P	4	5	5	5	5	5	5	5	4	5	5	4	5	6	6
H	7	7	6	6	6	6	5	6	7	6	6	6	6	6	6
A	11	10	10	10	10	9	8	9	8	10	8	8	7	6	6
K	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
R	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4
I	2	2	3	3	3	4	4	4	5	3	3	4	4	4	4
Q	3	3	4	4	4	4	4	4	4	4	5	4	4	4	4
M	2	2	2	2	2	3	3	3	3	2	2	2	2	2	2
D	2	2	2	2	2	2	2	3	2	2	3	3	3	2	2
N	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
B	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	1	1	1	1	1
S	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
E	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
T	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

სექტორების პროცენტული წილი

გრაფიკი 1

ცხრილ 1-ში მოცემულია თითოეული საქმიანობის სფეროს წილი GDP-ში წლების მიხედვით, ხოლო გრაფიკ 1-ზე საქართველოს ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა. ჩანს, რომ 2011 წლიდან მოყოლებული ძირითადად 5 სახეობის პროდუქტი/მომსახურება ქმნის მთლიანი სამამულო პროდუქტის ნახევარს/ნახევარზე მეტს, ესენია:

(G) საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი;

(L) უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;

(A) სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა;
(C) დამამუშავებელი მრეწველობა;
(O) სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება.

2015 წლამდე სტრუქტურული ცვლილება არ ფიქსირდება, 2015 წელს კი ხუთეულში მშენებლობა ანაცვლებს სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვისა და სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების სფეროს, 2024 წელს ეს უკანასკნელი კვლავ ბრუნდება და ანაცვლებს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას, ბოლოს კი 2025 წელს, ხუთეულში აღწევს ახალი სფერო - ინფორმაცია/კომუნიკაცია, რომლის პარამეტრებიც ცვლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის სტრუქტურას. ამ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინდიკატორის შემადგენელი კომპონენტებისა და დროში ცვალებადობის დინამიკის თვალნათლად წარმოსადგენად მოყვანილია დიაგრამა 1.

დიაგრამა 1

ეკონომიკური საქმიანობის სფეროების წვლილი საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში 2011-2025 წწ.



დიაგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში ცალკეული ეკონომიკური საქმიანობები საერთო ეკონომიკურ ზრდაში მდგრად

ტენდენციას ვერ ინარჩუნებენ და მათი წვლილი ყოველწლიურ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში მკვეთრად ცვალებადია. აღნიშნული არასტაბილურობა მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის მაღალ მოწყვლადობას როგორც შიგა, ისე გარე შოკების მიმართ. საქართველოს მსგავსი მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც რესურსების დიდი პოტენციალი არ გააჩნიათ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარე შოკების მიმართ მდგრადობის ამაღლება და ორიენტაციის აღება ინოვაციებსა და ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაზე (ბედიანაშვილი, 2023). ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ხშირად დამოკიდებულია ისეთ სენსიტიურ სექტორებზე, როგორიცაა ტურიზმი, მშენებლობა საერთაშორისო ვაჭრობა და სხვ., ნებისმიერი გლობალური თუ რეგიონული რყევა (გეოპოლიტიკური კონფლიქტები, სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური კრიზისები ან როგორიც იყო მაგალითად, „გლობალური დიდი დეპრესია“ (მექვაბიშვილი, 2020)) მომენტალურად აისახება დარგის ეფექტიანობაზე. სექტორული წვლილის ეს დივერსიფიკაციის ნაკლებობა და არაპროგნოზირებადობა აფერხებს გრძელვადიან, სტაბილურ განვითარებას და ხაზს უსვამს ისეთი უფრო მყარი, შოკებისადმი მედეგი სფეროების გაძლიერების აუცილებლობას, როგორიცაა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და ამ უკანასკნელის შედეგად მიღებული პროდუქტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მის მიერ წარმოებულ ინფორმაცია/კომუნიკაციის სექტორებს ბოლო ორი წლის განმავლობაში ძირითადი წვლილი მიუძღვით ეკონომიკურ ზრდაში. 2024 წელს ეკონომიკურ ზრდაში აღნიშნული კომპონენტების ჯამურმა წვლილმა 28.8% შეადგინა, ხოლო 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 48%-მდე გაიზარდა. მოცემულ პოზიტიურ დინამიკაზე არაერთი ეკონომიკური და სტრუქტურული ფაქტორი ახდენს გავლენას. ერთ-ერთ უმთავრეს დეტერმინანტს საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი მატება წარმოადგენს. კერძოდ, 2024 წელს ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა მხოლოდ 2.4%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც უცხოელი სტუდენტების მაჩვენებელი 20.9%-ით გაფართოვდა, ხოლო 2025 წელს ზრდის ტემპმა შესაბამისად 0.2% და 19.7% შეადგინა (საქსტატი, 2026ბ). მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ბაზარზე სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრი მატება არ ფიქსირდება, საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტის ზრდა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ საქართველო ეტაპობრივად ყალიბდება რეგიონულ საგანმანათლებლო ჰაბად. აღნიშნულ ტენდენციას თან ერთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სექტორის გაძლიერებაც, რაც ამ ეტაპზე, მეტწილად, ქვეყანაში მიგრაციულ ნაკადებს უკავშირდება (G&T, 2024), თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ მაკროეკონომიკური კომპონენტების მდგრადი შენარჩუნება მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობას.

ეკონომიკური ზრდის სექტორული ანალიზი

2025 წლის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი მიუძღვის სამ სფეროს: განათლებას, ინფორმაცია/კომუნიკაციასა და ტრანსპორტი/დასაწყობებას, იმისათვის, რომ დავინახოთ წლების დინამიკაში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლებში თითოეული ეკონომიკური საქმიანობის სფეროს წვლილი, მოყვანილია გრაფიკი 2, სადაც იკვეთება აღნიშნული სამი ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დადებითი დინამიკა:

გრაფიკი 2

ეკონომიკური საქმიანობის სფეროებიდან შეტანილი წვლილის დინამიკა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში 2011-2025 წწ.



გრაფიკებზე ჩანს, რომ ეკონომიკური საქმიანობის სფეროებიდან 15 წლის დინამიკაში 10 მათგანის პროცენტული წვლილი ეკონომიკურ ზრდაში შემცირდა, 3-ის უცვლელი დარჩა, ხოლო 7-ის მცირედით გაიზარდა, ამ უკანასკნელიდან, კი ის ეკონომიკური საქმიანობის სფეროები, რომელთა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში ერთეულებამდე დამრგვალების შედეგად წვლილი მეტია ან ტოლია 1%-ის, არის სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სამი სფერო: ინფორმაცია/კომუნიკაცია (წითელი გრაფიკი), განათლება (ყვითელი გრაფიკი) და ტრანსპორტი/დასაწყობება (მწვანე გრაფიკი). თითოეულის სიღრმისეულად განსახილველად იხ. ცხრილი 2.

ცხრილი 2

2025 წლის ეკონომიკური ზრდის ძირითადი შემადგენელი კომპონენტების მიმოხილვა (რიცხვები გამოსახულია პროცენტებში)

წლები	ტრანსპორტი და დასაწყობება		განათლება		ინფორმაცია და კომუნიკაცია	
	წილი GDP-ში	წვლილი ეკ. ზრდაში	წილი GDP-ში	წვლილი ეკ. ზრდაში	წილი GDP-ში	წვლილი ეკ. ზრდაში
2011	7.3	0.7	4.3	0.5	3.7	-0.1
2012	7.1	0.5	4.6	0.3	3.7	0.2
2013	6.3	-0.6	4.8	0.2	3.2	-0.2
2014	6.2	0.1	4.9	0.1	3.0	0.0

2015		6.1	0.2		4.8	0.2		3.0	0.2
2016		5.6	0.0		5.3	0.5		3.0	0.0
2017		5.5	0.9		4.9	0.0		2.8	0.1
2018		5.7	0.8		4.6	0.1		2.8	0.3
2019		6.6	0.8		4.5	0.2		3.0	0.4
2020		6.0	-0.3		4.9	0.2		3.2	0.1
2021		6.1	1.9		4.7	0.4		3.5	1.0
2022		6.5	2.6		4.5	0.2		5.0	2.1
2023		6.1	1.1		4.9	0.8		6.0	1.4
2024		6.3	1.0		5.6	1.3		6.4	1.5
2025		6.1	0.9		6.4	1.4		8.0	2.2

ცხრილი 2-ზე არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ტენდენციები მნიშვნელოვანწილად აიხსნება შესაბამისი სექტორების წილის ცვლილებით მთლიან სამამულო პროდუქტში. კერძოდ, განათლების სექტორის წილი GDP-ში გაიზარდა 2.1 პ. პ.-ით, რასაც თან ახლდა მისი წვლილის ზრდა ეკონომიკურ ზრდაში 0.9 პ. პ.-ით. ანალოგიურად, ინფორმაცია/კომუნიკაციის სექტორის წილი GDP-ში 4.3 პ. პ.-ით გაიზარდა, ხოლო მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში 2.3 პ. პ.-ით გაფართოვდა. განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორი: მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი GDP-ში 1.2 პ. პ.-ით შემცირდა, ეკონომიკურ ზრდაში მისი წვლილი 0.2 პ. პ.-ით მაინც გაიზარდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ სექტორი მთლიან ეკონომიკაში შედარებით ნაკლებ ადგილს იკავებს, თუმცა მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს მნიშვნელოვან ფუნქციას. მონაცემები ცხადყოფს, რომ ეკონომიკაში მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები, სადაც სექტორის წილი GDP-ში და მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ყოველთვის ერთნაირი მიმართულებით არ მოძრაობს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინფორმაცია/კომუნიკაციის სექტორის დინამიკა. აღნიშნული სექტორის წილი ეკონომიკაში 3.7%-დან 8%-მდე გაიზარდა, რაც მიუთითებს, რომ სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობა პრაქტიკულად გაორმაგდა. ამავე პერიოდში მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში -0.1%-დან 2.2%-მდე გაიზარდა, ე.ი. ინფორმაცია/კომუნიკაციის სექტორი ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორთაგან ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს ეკონომიკის გაციფრულებაზე, ტექნოლოგიური სექტორის გაძლიერებასა და მისი პროდუქტიულობის ზრდაზე. ამრიგად, ქვეყნის წარმატება დაფუძნებულია იმის ცოდნაზე, თუ რამდენად დიდია მისი წინსვლა, რაც ნიშნავს ციფრული ეკონომიკის ინდიკატორების გაზომვის გაუმჯობესებას (გველესიანი და სხვ., 2022).

დასკვნა

ეკონომიკური განვითარების პროცესში სტრუქტურული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან იგი ეკონომიკური აქტივობის გადანაწილებას გულისხმობს სხვადასხვა სექტორს შორის. თანამედროვე ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია არა მხოლოდ წარმოების მოცულობის ზრდასთან, არამედ ეკონომიკის

სტრუქტურის ცვლილებასთანაც (Kuznets, 1966). ეკონომიკური ზრდის პროცესში სექტორული ცვლილებები და ინდუსტრიალიზაცია ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს (Chenery, 1960) აღნიშნული თეორიული მიდგომები განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაშიც.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ბოლო 15 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები არ მიმდინარეობდა, თუმცა ცალკეული სექტორების განვითარების ტენდენციები მკაფიოდ გამოიკვეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაცია/კომუნიკაციისა და განათლების სექტორების გაძლიერება, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, მათი წილის ზრდაში მთლიანი სამამულო პროდუქტის სტრუქტურაში, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკურ ზრდაში შეტანილი წვლილის გაფართოებაში. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ ეკონომიკაში თანდათან იზრდება ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სექტორების მნიშვნელობა. ინფორმაცია/კომუნიკაციის სექტორის სწრაფი განვითარება ეკონომიკის გაციფრულებისა და ტექნოლოგიური საქმიანობების პროდუქტიულობის ზრდის მაჩვენებელია, ხოლო განათლების სექტორის გაძლიერება ადამიანისეული კაპიტალის მზარდ ეკონომიკურ როლზე მეტყველებს, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნისთვის ახალ, ინოვაციურ შესაძლებლობებს, ტექნოლოგიურ პროგრესსა და კვალიფიციური სამუშაო ძალის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკას განავითაროს წარმოება და შეამციროს მოხმარებაზე დამოკიდებულება (ელიზბარაშვილი, 2026). ამასთანავე, ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორის შემთხვევაში განსხვავებული ტენდენცია გამოიკვეთა: მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი GDP-ში შემცირდა, ეკონომიკურ ზრდაში სექტორის წვლილი გაიზარდა, რაც მიუთითებს, რომ იგი კვლავ ინარჩუნებს ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან ფუნქციას, თუმცა ეკონომიკის სტრუქტურაში მისი შედარებითი მნიშვნელობა მცირდება სხვა, უფრო სწრაფად მზარდი სექტორების ფონზე.

საბოლოოდ, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში თანდათან ძლიერდება შედარებით მაღალი დამატებული ღირებულების მქონე, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სექტორების როლი. თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებაში კი ცოდნა, განათლება და ტექნოლოგიური პროგრესი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს (Stiglitz, 1998).

გამოყენებული ლიტერატურა

ანანიაშვილი ი., მაწიაშვილი ნ., (2021). „ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების შეფასება გამოთვლადი საერთო წონასწორობის მოდელის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე)“ *„გლობალიზაცია და ბიზნესი“.* თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ., 133-142, <https://eugb.ge/index.php/111/article/view/52>.

ბედიანაშვილი გ., (2023). კონფრონტაციული გლობალიზაცია და მცირე ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა. *V ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები.* თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 172-179, <https://www.gruni.edu.ge/uploads/files/University/Conference/V_National/15_%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98_172-179.pdf>.

გელაშვილი ს., (2017). *სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2,* თბილისი, „თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა“. 160 გვ., <https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Stat2.pdf>.

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ერქომაიშვილი გ., ლეკაშვილი ე., ხურცია ლ., გაფრინდაშვილი გ., (2022). *ეკონომიკური პოლიტიკა: წიგნი II,* თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Ekonomikuri-Politika_II.pdf>.

ელიზბარაშვილი გ., (2026). *საქართველო თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების პრიზმაში,* თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 232 გვ., <https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1811>.

მექვაბიშვილი ე., (2020). სახელმწიფოს ანტიკრიზისული როლი (გლობალური ფინანსური კრიზისისა და კორონომიკური კრიზისის გამოცდილების საფუძველზე). *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 5(10*),* 35-42. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.003

საქსტატი, (2026ა). „მთლიანი შიდა პროდუქტი, მუდმივ ფასებში“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,* <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>.

საქსტატი, (2026ბ). „სტუდენტთა რიცხოვნობა ასაკის სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,* <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba>.

Chenery H. B., (1960). "Patterns of Industrial Growth." *American Economic Review, Vol.* 50*, No.* 4, September, pp. 624–654, <https://www.semanticscholar.org/paper/PATTERNS-OF-INDUSTRIAL-GROWTH-Chenery/363988a5896bd45738ae0524851b01c274c05e24>.

G&T, (2024), "IT Sector In Georgia". *Galt & Taggart,* May, <https://galtandtaggart.com/en/reports/details/69c39ebfb8eea120bf648698>.

Kuznets S., (1966). *Modern Economic Growth: Rate, Structure, and Spread.* New Haven, CT, "Yale University Press," 529 p., <https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-economic-history/article/abs/modern-economic-growth-rate-structure-and-spread-by-simon-kuznets-new-haven-yale-university-press-1966-pp-xvii-529-1250-cloth-295-paperback/3D640FF7341184B3FB3FA81E16CBF9A9?>.

Hirschman A. O., (1958). *The Strategy of Economic Development.* New Haven, "Yale University Press," 247 p., <https://archive.org/details/strategyofeconom00hirs/page/n5/mode/2up>.

Papava V., (2014). "*Georgia's Economy: The Search for a Development Model.*" *Problems of Economic Transition. Vol. 57, No. 3, July, pp. 83-94,* <https://papava.info/publications/Papava_Georgia_Economy_The_Search_for_a_Development_Model.pdf?utm>.

Silagadze A., (2026). "Contemporary trends in the Georgian economy." *Repere istorice, culturale și politice*, Iași, "Institutul European" *Vol.* XIV, *No.* 1, pp. 85-97,

<https://www.researchgate.net/publication/405064602_Contemporary_Trends_in_the_Georgian_Economy>.

Stiglitz J. E., (1998). "*Knowledge for Development: Economic Science, Economic Policy, and Economic Advice.*" *Annual World Bank Conference on Development Economics,* Washington, D.C., "World Bank," pp. 15-51, <https://www.semanticscholar.org/paper/Knowledge-for-Development-Economic-Science2C-Policy2C-Stiglitz/198da581c0e42ad1cdb6800bc87b560bac0d2c85>.

Challenges and Trends of Sustainable Economic Development (On the Example of Georgia)

Gigi Elizbarashvili
Academic Doctor of Economics
Grigol Robakidze University
gigi.elizbar@gmail.com

Goga Elizbarashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
gogai.elizbar@gmail.com

Summary

Economic growth is one of the most important macroeconomic indicators of a country's sustainable development and welfare. It reflects the combined performance of different economic sectors and their contribution to Gross Domestic Product. Structural transformation is an essential feature of modern economic development, as the role and importance of sectors change over time. This issue is particularly relevant for Georgia, where traditional sectors continue to dominate the economy, while knowledge- and technology-based activities have gradually strengthened in recent years. The study analyzed twenty economic sectors in Georgia and their contribution to GDP and economic growth over the last fifteen years. The results show that since 2011 more than half of Georgia's GDP has mainly been generated by five sectors: wholesale and retail trade, real estate activities, agriculture, manufacturing, and public administration. Although major structural changes have been limited, some important sectoral shifts have emerged. In particular, the information and communication sector became one of the leading contributors to economic growth by 2025. The analysis also demonstrates that sectoral contributions to economic growth have been highly unstable, indicating the vulnerability of the Georgian economy to internal and external shocks. Dependence on sensitive sectors such as tourism, construction, and trade increases economic risks and limits long-term stability. At the same time, education and information/communication sectors have shown strong positive dynamics in recent years. In 2024, their combined contribution to economic growth reached 28.8%, increasing to 48% in 2025. This trend has been strongly influenced by the growth in international students and the expansion of educational service exports, suggesting that Georgia is gradually developing into a regional educational hub. The information and communication sector has shown especially rapid growth. Its share in GDP increased from 3.7% to 8%, while its contribution to economic growth rose from -0.1% to 2.2%. This reflects the ongoing digitalization of the economy and the increasing importance of technology-based activities.

Similarly, the education sector strengthened both its share in GDP and its role in economic growth, highlighting the growing importance of human capital in Georgia's economic development. Overall, the study concludes that although Georgia has not experienced deep structural transformation, the role of knowledge-based and technology-oriented sectors is steadily increasing. The strengthening of education, information technologies, and communication activities indicates the gradual emergence of a more modern, innovation-driven, and competitive economic model, which may become an important foundation for sustainable long-term economic growth.

Keywords: digitalization of the economy, contribution, share

სამუშაო ძალის ადაპტაცია და პროფესიული უნარების განვითარება ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში

ირმა ტყემალაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Irma.tkemaladze@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომი იკვლევს ციფრული ტრანსფორმაციის გავლენას შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებაზე საქართველოში, ყურადღებას ამახვილებს შრომითი უნარების სტრუქტურულ გარდაქმნებსა და განათლების სისტემის ადაპტაციის საჭიროებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი, მათ შორის ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტი და ციფრული პლატფორმების გაფართოება, მნიშვნელოვნად ცვლის დასაქმების სტრუქტურას და ზრდის მოთხოვნას მაღალტექნოლოგიურ, ანალიტიკურ და ციფრულ კომპეტენციებზე. კვლევა ეფუძნება ადამიანისეული კაპიტალის თეორიას, უნარებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ცვლილების (SBTC), უნარების შეუსაბამობის (skills mismatch) კონცეფციებს და მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, რამდენად არის საქართველოს შრომის ბაზარი მზად ციფრული ეკონომიკის გამოწვევებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ დისბალანსს, რომელიც წარმოიქმნება განათლების სისტემის მიერ მიწოდებულ კვალიფიკაციებსა და შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს შორის. ნაშრომი ასევე განიხილავს განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობას, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებასა და სიცოცხლის მანძილზე სწავლების (lifelong learning) მნიშვნელობას ციფრულ ეპოქაში. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოში არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს, არამედ მნიშვნელოვან გამოწვევასაც ქმნის სოციალური და საგანმანათლებლო ადაპტაციის თვალსაზრისით.*

საკვანძო სიტყვები: *ციფრული უნარები, შრომის ბაზარი, ადამიანისეული კაპიტალი, პროფესიული განვითარება, დამსაქმებელთა მოთხოვნები.*

შესავალი

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სტრუქტურულად გარდამქმნელ პროცესს წარმოადგენს. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ავტომატიზაციის ზრდა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია და ციფრული პლატფორმების გავრცელება არსებითად ცვლის როგორც წარმოების, ისე მომსახურების სექტორების ფუნქციონირებას (სილაგაძე, 2022). აღნიშნული პროცესები პირდაპირ აისახება შრომის ბაზრის სტრუქტურაზე, ცვლის მოთხოვნას სხვადასხვა ტიპის უნარებზე და წარმოქმნის ახალ პროფესიულ მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს დასაქმების დინამიკაზე (Chikobava, M., and all).

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის, როგორც ძირითადი ინსტიტუციური მექანიზმის როლს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანიასეული კაპიტალის ფორმირებას და მის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან (ბედიანაშვილი და სხვ. 2021). მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში, შეინიშნება მნიშვნელოვანი დისბალანსი განათლების სისტემის მიერ მიწოდებულ კვალიფიკაციებსა და შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებს შორის (Tkemaladze, 2023). აღნიშნული მოვლენა ხშირად განისაზღვრება როგორც უნარების შეუსაბამობა (skills mismatch), რაც იწვევს სტრუქტურულ უმუშევრობას, რესურსების არაეფექტიან გამოყენებას და ეკონომიკური ზრდის პოტენციალის შემცირებას.

საქართველოში ბოლო წლებში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესები განსაკუთრებით დაჩქარდა, რაც დაკავშირებულია როგორც გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებთან, ისე ადგილობრივი ეკონომიკის მოდერნიზაციის მცდელობებთან (პაპავა, 2024). იზრდება მოთხოვნა ციფრულ კომპეტენციებზე, ანალიტიკურ აზროვნებასა და ტექნოლოგიურ უნარებზე, ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** გაანალიზოს ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებაზე საქართველოში და შეაფასოს განათლების სისტემის ადაპტაციის საჭიროება თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევების ფონზე. კვლევა ასევე მიზნად ისახავს იმ მექანიზმების იდენტიფიცირებას, რომლებიც განაპირობებენ უნარების შეუსაბამობას და განსაზღვრავენ განათლებისა და დასაქმების კავშირის ეფექტიანობას.

თემის აქტუალობა განპირობებულია ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კომპეტენციების სწრაფი ცვლილებით, ციფრული უნარების მზარდი მნიშვნელობით, განათლების სისტემის მოდერნიზაციის და შრომის ბაზართან მისი ეფექტიანი ინტეგრაციის საჭიროებით.

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის კვლევის მიზნით ჩატარებულია კვლევა, რომელიც ეფუძნება რაოდენობრივ კვლევით დიზაინს და მიზნად ისახავს ციფრულ ტრანსფორმაციასა და დასაქმების მოთხოვნების ცვლილებას შორის კავშირის შესწავლას საქართველოში. კვლევა აერთიანებს თეორიულ და ემპირიულ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს საკითხის კომპლექსურ შესწავლას.

კვლევის თეორიული საფუძველი ეყრდნობა ადამიანისეული კაპიტალის თეორიას, უნარებზე ორიენტირებულ ტექნოლოგიურ ცვლილების (SBTC) და უნარების შეუსაბამობის თეორიას, რომლებიც ერთობლივად ხსნის ტექნოლოგიური განვითარების გავლენას შრომის ბაზარსა და განათლების სისტემაზე. დამატებით გამოყენებულია OECD-ის, მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის უახლესი ანგარიშები, რომლებიც ასახავს ციფრული ტრანსფორმაციის გლობალურ და ეროვნულ ტენდენციებს.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროების გამოყენებით. პირველადი მონაცემები მიღებულია სტრუქტურირებული

კითხვარის (survey) საშუალებით საქართველოში, რომელიც მოიცავდა დასაქმებულ პირებს, სამუშაოს მაძიებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. მეორადი მონაცემები ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, სამეცნიერო სტატიებსა და სტატისტიკურ ბაზებს, რაც უზრუნველყოფს კვლევის სანდოობასა და მონაცემთა კომპლექსურ გადამოწმებას. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Statistics პროგრამით, სადაც გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკა და კორელაციური ანალიზი (Pearson).

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული საფუძვლები

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებში განიხილება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სტრუქტურული ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე, განათლების სისტემასა და ეკონომიკურ ზრდაზე. არსებული ლიტერატურა ძირითადად ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ ცვლის ტექნოლოგიური პროგრესი მოთხოვნას შრომით უნარებზე და როგორ იწვევს ეს ცვლილებები უნარების შეუსაბამობას (skills mismatch).

შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული ჩარჩოა უნარებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ცვლილება (Skill-Biased Technological Change — SBTC). დარონ აჩემოღლუ და დევიდ ოტორი (Acemoglu & Autor, 2011) ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი განსაკუთრებით ზრდის მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე მოთხოვნას, ხოლო ამცირებს საშუალო კვალიფიკაციის მქონე, რუტინულ სამუშაოებზე მოთხოვნას. ეს პროცესი იწვევს სამუშაო ადგილების პოლარიზაციას, სადაც დასაქმების ზრდა კონცენტრირდება მაღალანაზღაურებად მაღალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად დაბალკვალიფიციურ სექტორებში, ხოლო საშუალო კვალიფიკაციის სამუშაოები მცირდება. ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც სწრაფად განიცდიან გაციფრულებას, აწყდებიან უთანასწორობის ზრდასა და შრომის ბაზრის სტრუქტურულ დაყოფას.

შრომის ბაზრის არაეფექტიანობის ახსნაში ცენტრალურ როლს ასრულებს უნარების შეუსაბამობის (skills mismatch) კონცეფცია. სტივენ მაკგინესი და კონსტანტინოს პულიაკასი (McGuinness & Pouliakas, 2019) განმარტავენ, რომ შეუსაბამობა არის სხვაობა მუშაკების უნარებსა და იმ უნარებს შორის, რომლებიც საჭიროა მათ სამუშაო ადგილებზე. ეს შეუსაბამობა შეიძლება იყოს ვერტიკალური (ზედმეტი ან არასაკმარისი კვალიფიკაცია) ან ჰორიზონტალური (სასწავლო სფეროსა და სამუშაოს მიმართულების შეუსაბამობა). უნარების შეუსაბამობა იწვევს პროდუქტიულობის დანაკარგს, დაბალ ხელფასებს და განათლებაში ინვესტიციის უკუგების შემცირებას. ის განსაკუთრებით გავრცელებულია გარდამავალ ეკონომიკებში, სადაც საგანმანათლებლო სისტემები ხშირად ნელა ერგება შრომის ბაზრის სწრაფ ცვლილებებს.

ციფრული უნარების მზარდმა მნიშვნელობამ შეცვალა განათლებასა და დასაქმებას შორის ურთიერთობა. ვან ლაარი და სხვები (Van Laar et al. 2017) ხაზს უსვამენ, რომ თანამედროვე შრომის ბაზრები მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ ციფრულ უნარებს, არამედ ტრანსვერსალურ (გადაცემად) კომპეტენციებსაც, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, კომუნიკაცია და კრიტიკული აზროვნება. ამიტომ განათლების სისტემებზე

იზრდება ზეწოლა, რათა განაახლონ სასწავლო გეგმები, გააერთიანონ ციფრული წიგნიერება და ხელი შეუწყონ უწყვეტი განათლების ჩარჩოებს. OECD (2023) აღნიშნავს, რომ წარმატებული ეკონომიკები არიან ისინი, რომლებიც განათლების სისტემებს აერთიანებენ ციფრულ და მწვანე ტრანსფორმაციებთან და უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის მუდმივ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

გარდამავალ ეკონომიკებში განათლებასა და დასაქმებას შორის არსებული სტრუქტურული არაეფექტიანობები განსაკუთრებით თვალსაჩინოა. მსოფლიო ბანკი (World Bank, 2022) აღნიშნავს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, არსებობს მუდმივი სხვაობა საგანმანათლებლო შედეგებსა და მოთხოვნად კომპეტენციებს შორის, განსაკუთრებით ციფრულ და ტექნიკურ სფეროებში. ეს შეუსაბამობა ხშირად გამოწვეულია მოძველებული სასწავლო გეგმებით, განათლების დაგეგმვაში დამსაქმებლების სუსტი ჩართულობით და პრაქტიკული სწავლების არასაკმარისი შესაძლებლობებით. შედეგად, კურსდამთავრებულებს უჭირთ შრომის ბაზარზე ინტეგრაცია.

მომავლის ტენდენციების დასაკვირვებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში (World Economic Forum, 2025) „Future of Jobs Report 2025“. იგი ეფუძნება მრავალქვეყნიან კვლევას, მოიცავს გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს და ათასობით კომპანიას სხვადასხვა სექტორიდან. აანალიზებს როგორც ტექნოლოგიურ ტენდენციებს, ასევე მათ გავლენას დასაქმებაზე, უნარებზე და სამუშაო ძალის სტრუქტურაზე.

ანგარიშის მიხედვით, შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია:

- ახალი და დესტრუქციული ტექნოლოგიების (AI, ავტომატიზაცია, Big Data) სწრაფი დანერგვა;
- ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) სტანდარტების გაძლიერება;
- გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა და ცხოვრების ხარჯების ზრდა;
- გეოპოლიტიკური და მიწოდების ჯაჭვების ცვლილებები .

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მომავალში სამუშაო ადგილების ზრდის მნიშვნელოვანი წყაროები იქნება: მწვანე ეკონომიკა და ენერგეტიკული ტრანსფორმაცია, ციფრული ეკონომიკის გაფართოება (e-commerce, AI, data analytics), ჯანმრთელობისა და განათლების ტექნოლოგიების განვითარება, ინფრასტრუქტურისა და მიწოდების ჯაჭვების მოდერნიზაცია. საქართველოს შემთხვევაში, 2025 წლის ანგარიშთან დაკავშირებული შეფასებები მიუთითებს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა შრომის ბაზარზე უფრო ნელა, თუმცა სტაბილურად იზრდება. შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა იკვეთება IT სპეციალისტებზე, მონაცემთა ანალიტიკოსებზე, კიბერუსაფრთხოების ექსპერტებზე, ციფრული პლატფორმების მენეჯერებზე. ქვეყნის განათლების სისტემა და სამუშაო ძალის უნარები კი ჩამორჩება ამ მოთხოვნებს, რაც ქმნის უნარების შეუსაბამობას **(skills mismatch)**.

საქართველოს კონტექსტი: ციფრული ტრანსფორმაცია და შრომის ბაზრის გამოწვევები

საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის ბაზრის მოთხოვნები და გაზარდა ციფრული კომპეტენციების მქონე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის კვლავ არსებობს შეუსაბამობა, რაც განსაკუთრებით ციფრული უნარების მიმართულებით ვლინდება და გავლენას ახდენს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე (Kakulia&Tkemaladze, 2023).

აღნიშნული საკითხის შესასწავლად განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 87.5% უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არასაკმარისად მიიჩნევს და დამატებითი პროფესიული კომპეტენციების შეძენას აუცილებელ პირობად განიხილავს, ხოლო 12.5%-ის შეფასებით, დამატებითი უნარები ნაწილობრივ არის საჭირო. არცერთმა რესპონდენტმა არ მიიჩნია მიღებული განათლება სრულად საკმარისად.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი ჰიპოთეზა: დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დამატებითი პროფესიული უნარების განვითარების საჭიროების წინაშე დგას, თუმცა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების მხარდაჭერასა და დაფინანსებაში დამსაქმებელთა ჩართულობა არასაკმარისია.

ჰიპოთეზის ემპირიულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 72%-ს პროფესიული საქმიანობის პროცესში დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენა დასჭირდა. ამასთან, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები მხოლოდ 42%-ს დაუფინანსა დამსაქმებელმა, 30%-მა საკუთარი ფინანსური რესურსებით უზრუნველყო პროფესიული განვითარება, ხოლო 14%-მა ფინანსური შეზღუდვების გამო შესაბამისი ტრენინგების გავლენა ვერ შეძლო.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროება მნიშვნელოვნად აღემატება დამსაქმებელთა მხრიდან არსებული მხარდაჭერის დონეს. შესაბამისად, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პრაქტიკული და ციფრული კომპეტენციების გაძლიერება, ისე დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა თანამშრომელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.

სქემა 1. პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული საქმიანობის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით გაიარეთ თუ არა ტრენინგები, კურსები, ვორკშოპები და ა.შ.? (q32)



ამავე მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით გავარკვიეთ შეიცვალა თუ არა გამოკითხულთა შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში, აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა ხელფასები ძირითადად უმნიშვნელოდ გაიზარდა. მხოლოდ 23%-სთვის გაიზარდა მნიშვნელოვნად. 28% ამბობს რომ არ შეცვლილა, ხოლო 6%-სთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში ანაზღაურება შემცირდა. მაღალი ინფლაციის ფონზე თითქმის 77%-სთვის ხელფასის უცვლელობა ან უმნიშვნელოდ ცვლილება რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას და შესაბამისად, ეფექტიანი დასაქმების არსებობას ქვეყანაში.

სქემა 2. პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: შეიცვალა თუ არა თქვენი შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში? (q35)



q32 და q35 ცვლადების დაკავშირებით მივიღეთ, რომ ვინც შეძლო მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა დაახლოებით ნახევარს ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელფასი გაეზარდა, 40,3%-თვის შემოსავლები არ შეცვლილა, ხოლო 6.5%-ს ხელფასი შეუმცირდა. ფაქტობრივად, თითქმის 47%-ის რეალური შემოსავლები შემცირდა.

ცხრილი 1. პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობასა და შრომის ანაზღაურებას შორის კავშირი

		პროფესიული საქმიანობის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით გაიარეთ თუ არა ტრენინგები?	
		დიახ	არა
შეიცვალა თუ არა თქვენი შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში?	გაიზარდა	53.2%	70.1%
	არ შეცვლილა	40.3%	23.6%
	შემცირდა	6.5%	6.4%

კავშირების დადასტურება მოხდა პირსონის კოეფიციენტით.

ცხრილი 2. პირსონის კოეფიციენტი

Symmetric Measures			
		Value	Approximate Significance
Interval by Interval	Pearson's R	0.243	0.005[c]

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ დასაქმებულთა დამატებითი უნარების შეძენის საჭიროებასა და დამსაქმებლის მხრიდან პროფესიული განვითარების მხარდაჭერას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი. თუმცა, კორელაციის დაბალი მნიშვნელობა აჩვენებს (r = 0.243), რომ ეს კავშირი ძლიერი არ არის. რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ დამატებითი უნარების საჭიროება ავტომატურად არ იწვევს დამსაქმებლების მხრიდან საკმარის ფინანსურ მხარდაჭერას. ამრიგად, კვლევის ჰიპოთეზა „დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დამატებითი პროფესიული უნარების შეძენის საჭიროების წინაშე დგას, თუმცა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების დაფინანსებაში დამსაქმებელთა ჩართულობა დაბალია“ - ნაწილობრივ დასტურდება. სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს ცვლადებს შორის მნიშვნელოვანი კავშირის არსებობას (p = 0.005). თუმცა კავშირის სიძლიერე მიუთითებს, რომ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას.

კვლევის ჰიპოთეზამ განაპირობა შემდეგი **კვლევითი კითხვის** ჩამოყალიბება: RQ1.ანიჭებენ თუ არა ადგილობრივი დამსაქმებლები უპირატესობას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელ სამუშაო ძალას და როგორ აფასებენ ადგილობრივი დასაქმებულები საკუთარ პროფესიულ კომპეტენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას?

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას საკუთარი პროფესიული კომპეტენციების მიმართ დადებითი შეფასება აქვს. კერძოდ, 78.1% მიიჩნევს, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო მხოლოდ 5.2% აფასებს საკუთარ კვალიფიკაციას, როგორც შეუსაბამოს. ამასთან, რესპონდენტები ძირითადად დადებითად აფასებენ ადგილობრივი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას. გამოკითხულთა 60.2% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი დასაქმებულები სრულად აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უცხოელ სამუშაო ძალასთან შედარებით მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან, მაშინ

როდესაც მხოლოდ 8.2% ანიჭებს უპირატესობას უცხოელ მუშახელს. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ უცხოური სამუშაო ძალის მონაწილეობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს განსხვავებული პროფესიული და ციფრული უნარების შემოტანასთან, თუმცა რესპონდენტთა უმრავლესობა ადგილობრივ სამუშაო ძალას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უფრო შესაბამის და კონკურენტუნარიან რესურსად აღიქვამს.

კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა მეორე კვლევითი კითხვა RQ2: არსებობს თუ არა კავშირი ვაკანსიის ანაზღაურების დონესა და მოთხოვნილი ციფრული უნარების ინტენსივობას შორის და ხასიათდება თუ არა მაღალი ანაზღაურების მქონე პოზიციები ციფრული კომპეტენციების უფრო მაღალი მოთხოვნით?

მონაცემების შეგროვება განხორციელდა ვებ-დაკვირვების (web-based observation) მეთოდით, რომლის ფარგლებში ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია აღირიცხა სტრუქტურირებულ Excel ფორმატში და მომზადდა რაოდენობრივი ანალიზისთვის. კვლევაში გამოყენებულ იქნა ორი ძირითადი წყარო: Jobs.ge — კერძო სექტორის ვაკანსიების, ხოლო HR.gov.ge — საჯარო სექტორის ვაკანსიების შესასწავლად. HR.gov.ge-ზე 2026 წლის 3 ივლისის მდგომარეობით დაფიქსირებული 124 აქტიური ვაკანსიის ანალიზმა აჩვენა, რომ 19.3%-ში (24 ვაკანსია) ანაზღაურება აღემატებოდა 3000 ლარს, 46.8%-ში (58 ვაკანსია) შეადგენდა 2000-3000 ლარს, ხოლო 33.9%-ში (42 ვაკანსია) 2000 ლარზე ნაკლები იყო. აღნიშნული განაწილება მიუთითებს საჯარო სექტორში საშუალო ანაზღაურების პოზიციების დომინირებაზე, ხოლო მაღალი ანაზღაურების მქონე პოზიციების შედარებით მცირე წილი ძირითადად უკავშირდება მაღალი პასუხისმგებლობისა და სპეციალიზებული კვალიფიკაციის მოთხოვნებს. ვაკანსიებში მოთხოვნილი პროფესიული და ციფრული კომპეტენციების ანალიზმა აჩვენა, რომ ანაზღაურების დონესა და ციფრული უნარების მოთხოვნის ინტენსივობას შორის ძლიერი სტატისტიკური კავშირი არ გამოვლინდა. როგორც მაღალი (>3000 ლარი), ისე შედარებით დაბალი ანაზღაურების მქონე პოზიციებში ციფრული კომპეტენციების მოთხოვნა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ციფრული უნარების არსებობა ან მათი რაოდენობა დამოუკიდებლად არ წარმოადგენს ანაზღაურების დონის განმსაზღვრელ ფაქტორს. ხელფასის ფორმირებაზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა ფაქტორები, მათ შორის პროფესიული გამოცდილება, პოზიციის პასუხისმგებლობის ხარისხი, განათლების სფერო და კონკრეტული სექტორის მოთხოვნები.

შესაბამისად, კვლევის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მაღალი ანაზღაურების მქონე ვაკანსიებში ციფრული უნარების მოთხოვნის ინტენსივობა მნიშვნელოვნად მაღალი უნდა ყოფილიყო, მოცემული მონაცემების საფუძველზე სრულად არ დადასტურდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შეფასება შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებასა და განათლების სისტემის ადაპტაციის საჭიროებაზე. თეორიული და ემპირიული ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ ციფრული ტექნოლოგიების, ავტომატიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ბაზრის

მოთხოვნებს და ზრდის მოთხოვნას ციფრულ, ანალიტიკურ და ტრანსფერულ კომპეტენციებზე (Tsartsidze, M. 2025).

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ უნარებზე ორიენტირებული ტექნოლოგიური ცვლილების (Skill-Biased Technological Change – SBTC) თეორია, ადამიანისეული კაპიტალის თეორია და უნარების შეუსაბამობის (Skills Mismatch) კონცეფცია ეფექტიანად ხსნის თანამედროვე შრომის ბაზარზე მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს. საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, მსოფლიო ბანკი და World Economic Forum) კვლევებიც ადასტურებს, რომ განათლების სისტემის მოქნილობა და უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან წინაპირობას.

საქართველოს მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციები მნიშვნელოვნად აღემატება უმაღლესი განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია დამატებითი უნარებისა და კვალიფიკაციის შეძენა, რაც მიუთითებს განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული დისბალანსის არსებობაზე.

კვლევის ფარგლებში შემოწმებული ჰიპოთეზის ანალიზმა აჩვენა, რომ დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც დგას დამატებითი პროფესიული უნარების განვითარების საჭიროების წინაშე, თუმცა დამსაქმებელთა მონაწილეობა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსებაში კვლავ შეზღუდულია. კორელაციურმა ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა სუსტი დადებითი კავშირი ცვლადებს შორის, რაც მიუთითებს, რომ თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე გავლენას მხოლოდ დამსაქმებლის მხარდაჭერა არ ახდენს და მნიშვნელოვანია სხვა ეკონომიკური, ორგანიზაციული და ინდივიდუალური ფაქტორებიც.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა საკუთარ პროფესიულ კომპეტენციებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად აფასებს, თუმცა ეს შეფასება სრულად არ ასახავს რეალურ მოთხოვნებს, რადგან დამსაქმებლების მხრიდან ციფრულ და ტექნოლოგიურ უნარებზე მოთხოვნა მზარდია. შესაბამისად, თვითშეფასებასა და რეალურ მოთხოვნებს შორის შესაძლოა არსებობდეს განსხვავება, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

ვაკანსიების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მაღალი ანაზღაურების მქონე პოზიციები ყოველთვის არ ხასიათდება ციფრული უნარების უფრო მაღალი მოთხოვნით. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ანაზღაურების ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ციფრული კომპეტენციები, არამედ სამუშაო გამოცდილება, პოზიციის პასუხისმგებლობის დონე, სექტორული სპეციფიკა და ორგანიზაციული პოლიტიკა.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოში უკვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზრის სტრუქტურაზე, თუმცა განათლების სისტემის ადაპტაციის ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება ტექნოლოგიური ცვლილებების დინამიკას. აღნიშნული გარემოება ზრდის უნარების შეუსაბამობის რისკს და აფერხებს

როგორც ინდივიდუალური კარიერული განვითარების, ისე ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდას.

კვლევის შედეგების საფუძველზე მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების განხორციელება:

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა რეგულარულად განაახლონ სასწავლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და გააძლიერონ ციფრული, ანალიტიკური და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კომპონენტები.
2. აუცილებელია განათლების სისტემასა და კერძო სექტორს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზებაში.
3. მიზანშეწონილია დამსაქმებელთა წახალისება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების მიმართულებით, მათ შორის საგადასახადო სტიმულების ან თანადაფინანსების პროგრამების გამოყენებით.
4. სასურველია შრომის ბაზრის მოთხოვნების მუდმივი მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემის განვითარება, რომელიც დამსაქმებლების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოფს მოთხოვნადი პროფესიული და ციფრული კომპეტენციების დროულ იდენტიფიცირებას.
5. მიზანშეწონილია ახალგაზრდებისა და უკვე დასაქმებული პირებისთვის მოკლევადიანი, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამებისა და მიკროკვალიფიკაციების (micro-credentials) განვითარების ხელშეწყობა, რაც გაზრდის სამუშაო ძალის მოქნილობასა და კონკურენტუნარიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ბედიანაშვილი, გ., ბიჭია, ქ., & ნაცვლიშვილი, ე. (2021).** სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, 12*, 21–31. https://doi.org/10.35945/gb.2021-.12.002
- პაპავა, ვ. (2024). მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“. *მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები* (გვ. 12–27).
- სილაგაძე, ა. (2022). თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: გარდამავალი ეკონომიკები კოვიდდეპრესიის პირობებში. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 16*(3).
- Acemoglu, D., & Autor, D. (2011). *Skills, tasks and technologies: Implications for employment and earnings*. In *Handbook of Labor Economics*.
- Brynjolfsson, E., & McAfee, A. (2014). *The second machine age*. W. W. Norton & Company.
- Chikobava, M., Kakulia, N., Lobzhanidze, M., Lazarashvili, T., & Tkemaladze, I. (2026). Opportunities for creating decent jobs in accordance with the concept of guaranteed employment of Modern Monetary Theory. *Ekonomisti*. https://doi.org/10.52340/ekonomisti.2026.01.01

- Frey, C. B., & Osborne, M. A. (2017). The future of employment. *Technological Forecasting and Social Change.*
- Kakulia, N., & Tkemaladze, I. (2023). Macroeconomic effects of labor market regulation in Georgia. *Innovative Economics and Management, 10*(3), 6–13. https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.6-13
- McGuinness, S., & Pouliakas, K. (2019). Skills mismatch. *Journal of Economic Surveys.*
- OECD. (2023). *OECD Skills Outlook 2023*. OECD Publishing.
- Tkemaladze, I. (2023). Modern labor market in Georgia – Challenges and solutions. *Economics and Business, 15*(3), 74–91.
- Tsartsidze, M. (2025). *Employment change trends in Georgia in the context of digital transformation of the economy and ongoing European integration*. Paper presented at the 8th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC), Jurmala, Latvia.
- Van Laar, E., et al. (2017). 21st-century digital skills. *Computers in Human Behavior.*
- World Bank. (2022). *Georgia Human Capital Review.*
- World Bank. (2022). *Digital Development: The World Bank Group's Digital Economy for Development*. World Bank. https://www.worldbank.org/en/topic/digitaldevelopment
- World Economic Forum. (2025). *The Future of Jobs Report 2025.*

Workforce Adaptation and Professional Skills Development in the Context of Digital Transformation

Irma Tkemaladze
Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili TbilisiState University
Irma.tkemaladze@tsu.ge

Summary

Digital transformation represents one of the most significant factors shaping the development of the modern economy, fundamentally altering labor market structures, work processes, and the competencies required for employment. In the context of technological advancement, automation, and the increasing integration of artificial intelligence, the demand for digital skills, professional adaptability, and continuous workforce development is growing significantly. These changes are particularly relevant for transition economies, including Georgia, where ensuring alignment between the education system, labor market requirements, and workforce qualifications remains a major challenge. The aim of this study is to examine the impact of digital transformation on the adaptation of the Georgian labor market and to assess the role of lifelong learning and skills upgrading in contemporary economic conditions. The research is based on the theoretical approaches of human capital theory, Skill-Biased Technological Change (SBTC), and skills mismatch theory. A quantitative research methodology is employed, based on primary data collected through a structured questionnaire. Data processing and analysis were conducted using IBM SPSS Statistics, applying descriptive statistics, reliability analysis (Cronbach's Alpha), and correlation analysis (Pearson's correlation coefficient). The findings indicate that the expansion of digital technologies increases the demand for new skills, competencies, and continuous professional development. Maintaining workforce competitiveness requires the advancement of lifelong learning systems, the expansion of reskilling and upskilling opportunities, and stronger alignment between education systems and labor market needs. The study highlights the importance of human capital development in the digital era and provides insights for improving education and employment policies in Georgia.

Keywords: digital skills, labor market, human capital, professional development, employer requirements.

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) მდგრადი ფორმით იმპლემენტაციის გამოწვევები და მათი დარეგულირების შესაძლებლობები ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით

ზურაბ აბრამიშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
zuraabr@gmail.com

ანოტაცია. *ნაშრომი იკვლევს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) იმპლემენტაციის სამ განსხვავებულ ინსტიტუციურ სცენარს და მათ შესაძლო გავლენას საბანკო სისტემაზე, მონეტარულ პოლიტიკასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. პირველი სცენარი გულისხმობს ფულის საოპერაციო ინფრასტრუქტურის გადატანას ცენტრალური ბანკის მიერ მართულ ბლოკჩეინზე „Proof of Authority" კონსენსუსით ისე, რომ კომერციული ბანკების დეპოზიტები, კრედიტის შექმნა და მომხმარებელთან ურთიერთობა არსებითად უცვლელი დარჩეს. მეორე სცენარში ეშვება საცალო CBDC, რომელიც ცენტრალური ბანკის პირდაპირი ვალდებულებაა, ხოლო ბანკები და საგადახდო მომსახურების მიმწოდებლები ფუნქციონირებენ როგორც ინტეგრაციული და აპლიკაციური „Layer-2" ფენა. მესამე სცენარი წარმოადგენს უკიდურეს მოდელს: კომერციული ბანკები ქრებიან, მოსახლეობა პირდაპირ ცენტრალურ ბანკში ფლობს საფულეს, ხოლო გადახდები და კრედიტის გამოყოფა ჭკვიანი კონტრაქტებითა და AI-მოდელებით ხორციელდება.*

საკვანძო სიტყვები: *CBDC; ციფრული ლარი; Proof of Authority; ორდონიანი საბანკო სისტემა; ჭკვიანი კონტრაქტები; ხელოვნური ინტელექტი; საბანკო დეზინტერმედიაცია; მონეტარული პოლიტიკა.*

შესავალი

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის შესახებ დისკუსია ხშირად ზედმეტად ვიწროდ — როგორც ნაღდი ფულის ციფრული ანალოგის შექმნა — არის წარმოდგენილი. სინამდვილეში CBDC შეიძლება ნიშნავდეს როგორც არსებული გადახდის ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას, ისე ფულის, საბანკო შუამავლობისა და კრედიტის განაწილების ინსტიტუციური არქიტექტურის სრულ გარდაქმნას. განსხვავება გადამწყვეტია: ერთ შემთხვევაში იცვლება ლეჯერი, მეორე შემთხვევაში — ფულადი ვალდებულების გამომშვები, ხოლო მესამე შემთხვევაში — კრედიტის შემქმნელი და რისკის მატარებელი ინსტიტუტიც.

საქართველოს კონტექსტში საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური დოლარიზაციისა და საბანკო დაფინანსებაზე ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულების გამო.

კვლევის მიზანია CBDC-ის სამი ინსტიტუციური ფორმის სისტემატიზაცია, მათი სამართლებრივი, ტექნოლოგიური, საბანკო და მაკროეკონომიკური შედეგების შედარება

და ისეთი იმპლემენტაციის გზის შეთავაზება, რომელიც ინოვაციას ფინანსური სტაბილურობის საზღვრებში მოაქცევს.

ნაშრომში გამოყენებულია კონცეპტუალური მოდელირება, საბანკო ბალანსის არხების ანალიზი, მოქმედი ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპების შედარებითი შეფასება, ასევე სცენარული მაკროეკონომიკური ანალიზი. ნაშრომი არ ადგენს წინასწარ უნივერსალურ რაოდენობრივ ლიმიტს; ასეთი ლიმიტი უნდა დაკალიბრდეს საქართველოს საბანკო მონაცემებით, ლიკვიდობის სტრესტესტებითა და მომხმარებელთა ქცევის პილოტური შედეგებით.

CBDC-ის „დოზის“ კონცეპტუალური ჩარჩო და მარეგულირებელი ნორმები

CBDC-ის ერთგანზომილებიანი კლასიფიკაცია — მცირე, საშუალო ან დიდი — არასაკმარისია. შესაძლებელია თითქმის ყველა გადახდა საერთო პროგრამირებად ლეჯერზე შესრულდეს, მაგრამ მოსახლეობის ფული კვლავ კომერციული ბანკის ვალდებულებად დარჩეს. შესაბამისად, შემოვიღოთ სამი დამოუკიდებელი პარამეტრი:

$$\tau_t = Q_t^{\text{ledger}} / Q_t^{\text{total}}$$

სადაც τ აღნიშნავს საერთო CBDC/ტოკენიზებულ ლეჯერზე შესრულებული გადახდებისა და ანგარიშსწორებების წილს. τ ზომავს ტექნოლოგიურ ინტეგრაციას და არა ცენტრალური ბანკის საცალო ვალდებულებების მოცულობას.

$$\delta_t = C_t / (C_t + D_t + M_t)$$

C არის არასაბანკო სექტორის CBDC, D — ტრანსფერირებადი საბანკო დეპოზიტები, ხოლო M — ნაღდი ფული. δ ზომავს, რამდენად ჩაანაცვლა ცენტრალური ბანკის პირდაპირმა ვალდებულებამ კერძო საბანკო ფული და ნაღდი ფული.

$$\kappa_t = L_t^{\text{cb}} / (L_t^{\text{cb}} + L_t^{\text{private}})$$

κ არის ეკონომიკისთვის გაცემული კრედიტის ის წილი, რომელიც უშუალოდ ცენტრალური ბანკის ბალანსზე ან მის მიერ მართულ ავტომატიზებულ საკრედიტო სისტემაში წარმოიშობა. სრული დოზის ვექტორია $d_t = (\tau_t, \delta_t, \kappa_t)$. ამგვარი გამიჯვნა ნაშრომის ძირითად თეორიულ წვლილს წარმოადგენს.

ცხრილი 1. სამი სცენარის პოზიცია CBDC-ის დოზის ვექტორში

სცენარი	τ — ლეჯერის წილი	δ — პირდაპირი CBDC	κ — ცენტრალური ბანკის კრედიტი	ინსტიტუციური არსი
I. ინფრასტრუქტურული ლარი	≈1	≈0	≈0	იცვლება ტექნოლოგიური მდგენელები, ბანკების ფული და კრედიტი რჩება
II. ორდონიანი საცალო CBDC	≈1	0<δ<1	≈0	CBDC თანაარსებობს დეპოზიტებთან; ბანკები მომსახურებისა და კრედიტის ფენაა

სცენარი	τ — ლეჯერის წილი	δ — პირდაპირი CBDC	κ — ცენტრალური ბანკის კრედიტი	ინსტიტუციური არსი
III. პირდაპირი CBDC სისტემა	1	1	1	ცენტრალური ბანკი აკონტროლებს ფულს, საფულეებსა და კრედიტს

წყარო: ავტორის კონცეპტუალური კლასიფიკაცია.

CBDC განისაზღვრება ვალდებულების გამომშვებით და არა მონაცემთა ბაზის ტიპით. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალდებულება შეიძლება ფუნქციონირებდეს ტრადიციულ ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაზე, დეცენტრალიზებული ლეჯერის ტექნოლოგიაზე (DLT-ზე) ან ჰიბრიდულ არქიტექტურაზე. ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) 2026 წლის ტექნიკური პოზიციაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ციფრული ევრო DLT-ზე არ იქნება დაფუძნებული, თუმცა გამოიყენებს DLT-ის რამდენიმე დიზაინურ პრინციპს (ECB, 2026a). შესაბამისად, „ლარის ფუნდამენტი არის ბლოკჩეინი“ ნაშრომში უკეთ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც „ლარის ანგარიშსწორებისა და მონიტორინგის ძირითადი ინფრასტრუქტურა ფუნქციონირებს პროგრამირებად ლეჯერზე“.

Proof of Authority გარემოში ბლოკების დამტკიცება ხდება წინასწარ იდენტიფიცირებული და უფლებამოსილი ვალიდატორების მიერ. ასეთი მოდელი გამორიცხავს Proof of Work-ის ენერგეტიკულ დანახარჯსა და Proof of Stake-ის მონეტარულ სტიმულებს. ცენტრალური ბანკი უკვე წარმოადგენს ნდობის ინსტიტუციურ წყაროს, ამიტომ ვალიდატორებისთვის კრიპტოეკონომიკური ჯილდოს გადახდა აუცილებელი არ არის (Shin, 2026). PoA გამართლებულია მაშინ, როდესაც რამდენიმე იურიდიულად დამოუკიდებელი, მაგრამ მკაცრად რეგულირებული მონაწილე ინარჩუნებს საერთო მდგომარეობას ამასთან საჭიროა პროგრამირებადობა, ატომური ანგარიშსწორება და საერთო აუდიტის კვალი.

ცხრილი 2. აუცილებელი სამართლებრივი ცვლილებების მასშტაბი სცენარების მიხედვით

საკითხი	I. ინფრასტრუქტურული	II. ორდონიანი CBDC	III. პირდაპირი სისტემა
ემისიის უფლებამოსილება	ტოკენიზებული რეზერვებისა და ლეჯერის წესები	CBDC-ის პირდაპირი განსაზღვრა ორგანულ კანონში	ცენტრალური ბანკის საცალო და საკრედიტო მანდატის სრული გაფართოება
კანონიერი საგადახდო საშუალება	უცვლელი ლარი; იცვლება ინფრასტრუქტურა	ციფრული ლარის მიღების, კონვერტაციისა და გამონაკლისების წესი	მხოლოდ CBDC; ნაღდი და დეპოზიტური ფულის გაუქმების რეჟიმი

საკითხი	I. ინფრასტრუქტურული	II. ორდონიანი CBDC	III. პირდაპირი სისტემა
შუამავლები	ბანკებისა და ვალიდატორების პასუხისმგებლობა	ბანკების/PSP-ების სააგენტო და სალიცენზიო რეჟიმი	ახალი საჯარო საკრედიტო და დავების გადაწყვეტის სისტემა
მონაცემები და AI	ოპერაციული ტელემეტრია და წვდომის კონტროლი	ტრანზაქციული მონაცემების გამიჯვნა და AI-აუდიტი	ავტომატური კრედიტის, პროფაილინგისა და სახელმწიფო წვდომის მკაცრი შეზღუდვა
გაკოტრება/რეზოლუცია	არსებული საბანკო რეჟიმი + ლეჯერის უწყვეტობა	CBDC-ის გამიჯვნა შუამავლის ქონებისგან	ბანკების დახურვის, აქტივების გადაცემისა და დანაკარგების განაწილების გარდამავალი რეჟიმი

CBDC-ის იმპლემენტაციის ჰიპოთეტური სცენარები

პირველ სცენარში ფულის ინსტიტუციური ბუნება არ იცვლება: მოსახლეობა და ბიზნესი კვლავ კომერციული ბანკების დეპოზიტებს იყენებენ, ბანკები გასცემენ სესხებს და ქმნიან დეპოზიტურ ფულს, ხოლო ეროვნული ბანკი მართავს რეზერვებს, ანგარიშსწორებას, ზედამხედველობასა და მონეტარულ პოლიტიკას. ცვლილება მხოლოდ ინფრასტრუქტურულ დონეზე ხდება — ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, ტოკენიზებული რეზერვები, აქტივების გადაცემა და ოპერაციების აუდიტი ნებართვაზე დაფუძნებულ პროგრამირებად რეესტრში გადადის. ჩანაწერების დამტკიცებაში შეიძლება მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკი და მის მიერ უფლებამოსილი ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა დაშვების, გასაღებების დაცვის, პროგრამული განახლების, ავარიული შეჩერებისა და პასუხისმგებლობის წესებს ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს. აუცილებელია ასევე იმ მომენტის მკაფიო განსაზღვრა, როდესაც ოპერაცია საბოლოოდ და შეუქცევადად შესრულებულად ჩაითვლება. ეს მოდელი ახლოსაა BIS-ის ერთიანი რეესტრის კონცეფციასთან და პრაქტიკულად წარმოადგენს საბითუმო CBDC-ს ან ტოკენიზებული რეზერვების ინფრასტრუქტურას და არა სრულფასოვან საცალო CBDC-ს (BIS, 2025a; BIS, 2026a).

ბანკების ბალანსი და მათი საკრედიტო ფუნქცია პირველ სცენარში არსებითად უცვლელი რჩება: ვალდებულებების ძირითად წყაროს კვლავ დეპოზიტები, აქტივების ძირითად ნაწილს სესხები, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორების საშუალებას ეროვნული ბანკის რეზერვები წარმოადგენს. შესაბამისად, საბანკო შუამავლობის შემცირების რისკი მცირეა. მოსალოდნელია ანგარიშსწორების ხარჯების შემცირება, ბანკთაშორისი პოზიციებისა და ლიკვიდობის რეალურ დროში შეფასება, მონეტარული ოპერაციების ეფექტიანობის ზრდა და ზედამხედველობისთვის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება. ამავე დროს შეიძლება შემცირდეს ბანკების საკომისიო შემოსავლები და გაიზარდოს ტექნოლოგიური ინვესტიციების საჭიროება.

პირველი სცენარის ძირითადი შეზღუდვა ისაა, რომ განაწილებული რეესტრის გამოყენება თავისთავად ეფექტიანობის გარანტიას არ იძლევა. იგი მოითხოვს რთულ მმართველობას, არსებულ სისტემებთან ინტეგრაციასა და გასაღებების დაცვას, ხოლო

ერთიან ინფრასტრუქტურაში ზრდის კიბერ და ოპერაციული რისკების კონცენტრაციას. თუ რეესტრს მხოლოდ ეროვნული ბანკი აკონტროლებს, დაცული ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა შესაძლოა უფრო იაფი და საიმედო იყოს; შესაბამისად, ტექნოლოგია ფუნქციური საჭიროებით უნდა შეირჩეს.

მეორე სცენარში მოსახლეობასა და კომპანიებს ეძლევათ ციფრული ლარი, რომელიც ეროვნული ბანკის პირდაპირი ვალდებულებაა. ცენტრალური ბანკი აკონტროლებს ემისიასა და ძირითად რეესტრს, ხოლო კომერციული ბანკები და ლიცენზირებული საგადახდო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მომხმარებლის იდენტიფიკაციას, საფულეების მომსახურებას, ფულის გათეთრების პრევენციას, წვდომის აღდგენას, პროგრამირებადი მომსახურებების განვითარებასა და კრედიტის გაცემას. ბანკები მოქმედებენ როგორც სადისტრიბუციო, აპლიკაციური და საკრედიტო ფენა, თუმცა კვლავ აფასებენ მსესხებლის რისკს, ახორციელებენ ვადიანობის გარდაქმნას, მართავენ პრობლემურ სესხებს და საკუთარ კაპიტალზე იღებენ შესაძლო ზარალს. მონეტარული პოლიტიკა ძირითადად ისევ ბანკების მეშვეობით გადაეცემა ეკონომიკას, თუმცა CBDC ქმნის სახელმწიფო ტრანსფერებისა და მყისიერი ანგარიშსწორების დამატებით პირდაპირ არხებს. საწყის ეტაპზე CBDC არ უნდა იყოს პროცენტიანი, რათა იგი საბანკო დეპოზიტების პირდაპირ კონკურენტად არ გადაიქცეს.

კომერციული ბანკის გამარტივებული ბალანსი გამოიხატება ფორმულით:

$$L + R + S = D + W + K$$

სადაც L აღნიშნავს სესხებს, R — რეზერვებსა და ლიკვიდურ აქტივებს, S — ფასიან ქაღალდებს, D — დეპოზიტებს, W — საბითუმო ან ცენტრალური ბანკის დაფინანსებას, ხოლო K — კაპიტალს. როდესაც მომხმარებელი დეპოზიტს CBDC-ად გარდაქმნის, ბანკის დეპოზიტები და რეზერვები ერთდროულად მცირდება: $\Delta C = -\Delta D$, ხოლო $\Delta R \approx -\Delta C$. სესხების არსებული მოცულობის შესანარჩუნებლად ბანკმა უნდა მოიზიდოს უფრო ძვირი დეპოზიტები, გაზარდოს საბითუმო დაფინანსება, მიიღოს ცენტრალური ბანკის უზრუნველყოფილი სესხი ან გაყიდოს აქტივები. სესხის განაკვეთი გამოიხატება ფორმულით:

$$r^{L} = r^{f} + \rho + c^{K} + m$$

სადაც r^{f} არის დაფინანსების ფასი, ρ — საკრედიტო რისკის პრემია, c^{K} — კაპიტალის ღირებულება, ხოლო m — საოპერაციო მარჟა. იაფი დეპოზიტების CBDC-ით ჩანაცვლებამ შეიძლება გაზარდოს დაფინანსებისა და სესხის ფასი, თუმცა დეპოზიტებზე კონკურენციის გაძლიერებამ ბანკების საბაზრო ძალა შეამციროს და შემნახველთა ანაზღაურება გაზარდოს, რის გამოც საბოლოო ეფექტი ერთმნიშვნელოვანი არ არის (Chang et al., 2023; Nakamura, 2024).

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მეორე სცენარმა შეიძლება გამოიწვიოს დეპოზიტების თანდათანობითი შემცირება ნორმალურ პერიოდში და მათი უფრო სწრაფი გადინება საბანკო სტრესის დროს, განსაკუთრებით მცირე ბანკებიდან. ამასთან, შეიძლება გაიზარდოს ბანკების დაფინანსებისა და სესხების ფასი, გაფართოვდეს ეროვნული ბანკის ბალანსი, შემცირდეს საგადახდო საკომისიოები და დაჩქარდეს მონეტარული პოლიტიკის გადაცემა. CBDC-ს შეუძლია ხელი შეუწყოს ლარიზაციასა და ფინანსურ ჩართულობას, თუ საფულე იქნება იაფი, მარტივი და ინტერნეტკავშირის გარეშეც გამოსაყენებელი, თუმცა კრიზისის დროს გაიზრდება უცხოურ ვალუტაში სწრაფი გადართვის საფრთხე. ბანკების

საქმიანობის აქცენტი თანდათან გადაინაცვლებს გადახდების მომსახურებიდან კრედიტის შეფასების, მონაცემთა ანალიზისა და ახალი ფინანსური მომსახურებების განვითარებისკენ. (Bidder et al. 2025) განასხვავებენ საბანკო შუამავლობის ნელ და სწრაფ შემცირებას: პირველი შეიძლება მართვადი და ნაწილობრივ სასარგებლოც იყოს, ხოლო მეორე საბანკო გაქცევის მასშტაბსა და სისწრაფეს ზრდის.

მეორე სცენარის მდგრადობისთვის აუცილებელია CBDC-ის ფლობის რაოდენობრივი ზღვარი, რომელიც საქართველოს დეპოზიტების განაწილებისა და ბანკების ლიკვიდობის სტრესული შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. საწყის ეტაპზე CBDC უნდა იყოს არაპროცენტიანი ან დეპოზიტებთან შედარებით ნაკლებად შემოსავლიანი. ზედმეტი ნაშთი ავტომატურად უნდა ბრუნდებოდეს დაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე, ხოლო გადახდისთვის არასაკმარისი თანხა იმავე ანგარიშიდან ივსებოდეს. ფიზიკური პირებისა და კომპანიებისთვის მიზანშეწონილია განსხვავებული რეჟიმები, რადგან კომპანიების დიდი მუდმივი ნაშთები საბანკო დაფინანსებაზე უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს. ასევე საჭიროა ბანკებისთვის დროებითი უზრუნველყოფილი ლიკვიდობის მექანიზმი და კრიზისული მოქმედების წესების წინასწარ განსაზღვრა, რადგან პანიკის დროს მოულოდნელად დაწესებულმა შეზღუდვებმა შეიძლება CBDC-ისა და ეროვნული ბანკის მიმართ ნდობა დააზიანოს.

მესამე სცენარში ყველა ფულადი ნაშთი ეროვნული ბანკის პირდაპირი ვალდებულებაა, მოქალაქეები უშუალოდ ცენტრალური ბანკის საფულეს იყენებენ, ხოლო კომერციული ბანკები და კერძო დეპოზიტები აღარ არსებობს. სესხები გაიცემა ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული წესების, ჭკვიანი კონტრაქტებისა და ხელოვნური ინტელექტით შესრულებული რისკის შეფასების საფუძველზე. ეს სისტემა მხოლოდ CBDC-ის მაღალი დოზა აღარ არის და სუვერენული ფულისა და ცენტრალიზებული საკრედიტო სისტემის ერთობლიობას წარმოადგენს. (Fernández-Villaverde et al. 2021) მიუთითებენ, რომ CBDC ცენტრალურ ბანკს ფართომასშტაბიანი ფინანსური შუამავლობის შესაძლებლობას აძლევს, თუმცა ყველა დეპოზიტისა და სესხის საკუთარ ბალანსზე გადატანა მას აიძულებს შეასრულოს მსესხებლის შეფასების, გირაოს მართვის, პრობლემური აქტივების რესტრუქტურიზაციისა და საკრედიტო ზარალის აღიარების ფუნქციები. ჭკვიანი კონტრაქტი ამ ფუნქციებს ვერ აუქმებს და მხოლოდ მათი წინასწარ განსაზღვრულ წესებად გარდაქმნას ახდენს.

მესამე სცენარის შესაძლო უპირატესობებია კომერციული ბანკის დეპოზიტზე კლასიკური გაქცევის გაუქმება, საგადახდო საბოლოობის გამარტივება, ფულის ერთიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ტრანსფერებისა და სოციალური დახმარებების პირდაპირი მიწოდება, საკომისიოების შემცირება და ფულის ნაკადების რეალურ დროში აღრიცხვა. ოფლაინ გადახდების შესაძლებლობა ცენტრალური ბანკის ფულზე უნივერსალურ წვდომას გაზრდის, თუმცა საჭირო იქნება მცირე რაოდენობრივი ზღვარი, დაცული მოწყობილობა და ოპერაციების პერიოდული ონლაინშეჯერება. პირდაპირი საფულეების საშუალებით მონეტარული სტიმულის სწრაფად მიწოდებაც გახდება შესაძლებელი, თუმცა ამ შესაძლებლობამ შეიძლება გააძლიეროს პოლიტიკური მოთხოვნა ცენტრალური ბანკის მიერ კონკრეტული ჯგუფების მიზნობრივი დაფინანსების მიმართ.

მესამე სცენარის მთავარი პრობლემა საკრედიტო ინფორმაციისა და პასუხისმგებლობის ერთ ინსტიტუტში თავმოყრაა. ბანკები აგროვებენ მსესხებელზე ხარისხობრივ ინფორმაციას, აფასებენ პროექტებს, აკონტროლებენ გირაოს და ზარალს საკუთარი კაპიტალით შთანთქავენ; ერთიანი სახელმწიფო ალგორითმის შეცდომა კი შეიძლება სისტემურ პრობლემად გადაიქცეს. ზედმეტად მკაცრი მოდელი კრედიტს ეკონომიკური ვარდნის დროს კიდევ უფრო შეზღუდავს, ხოლო პოლიტიკური ზეწოლით შერბილებული მოდელი საკრედიტო ზარალს საზოგადოებას გადააკისრებს. ამასთან, მონეტარული და ფისკალური ფუნქციები ერთმანეთში აირევა, რადგან ცენტრალური ბანკი ერთდროულად განსაზღვრავს ფულის ფასს, ირჩევს მსესხებლებს და ატარებს მათ ზარალს. ერთ ინსტიტუტში პირის იდენტობის, გადახდების, შემოსავლის, დანაზოგისა და საკრედიტო წვდომის გაერთიანება ქმნის კონფიდენციალურობისა და ძალაუფლების უკიდურეს კონცენტრაციას. კომერციული ბანკების გაუქმება ასევე წარმოშობს ოპერაციული ჩავარდნის ერთ წერტილს, ხოლო კერძო მომსახურე კომპანიების გამოყენება შუამავლებს სხვა სახელით კვლავ აღადგენს.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მესამე სცენარი გააუქმებს დეპოზიტური ფულის შექმნას და ფულის მიწოდებას ეროვნული ბანკის უშუალო გადაწყვეტილებად აქცევს. ეროვნული ბანკის ბალანსი მკვეთრად გაიზრდება: აქტივებში განთავსდება მოსახლეობისა და ბიზნესის სესხები, ხოლო ვალდებულებებში — უნივერსალური CBDC. მონეტარული პოლიტიკის გადაცემა უკიდურესად დაჩქარდება, მაგრამ პოლიტიკის შეცდომაც მთელ ეკონომიკაზე დაუყოვნებლივ გავრცელდება. ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებამ შეიძლება კრედიტის ფასი შეამციროს, თუმცა გაიზრდება საკრედიტო რაციონირების, ინოვაციის შეზღუდვის, ზარალის საზოგადოებაზე გადანაწილებისა და ინფლაციური დაფინანსების საფრთხე. საბანკო გაქცევას შეიძლება სავალუტო გაქცევა ჩაენაცვლოს, რადგან ნდობის დაკარგვისას მოქალაქეები CBDC-ს უცხოურ ვალუტაში ან სხვა აქტივებში გადაიტანენ. ამიტომ მესამე სცენარი პრაქტიკული რეკომენდაციის ნაცვლად უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურესი საზღვარი, რომელიც აჩვენებს, რომ CBDC-ის მაქსიმალური ტექნიკური შესაძლებლობა მაქსიმალურ საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ ნიშნავს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ჩარჩო

ცენტრალური ბანკები ხელოვნურ ინტელექტსა და მანქანურ დასწავლას იყენებენ დიდი მონაცემებიდან არაწრფივი კავშირებისა და რისკების გამოსავლენად, რაც აუმჯობესებს ეკონომიკური აქტივობის მიმდინარე შეფასებას, ფინანსური სტრესისა და საბანკო რისკების პროგნოზირებას (BIS, 2024a; BIS, 2025b; IMF, 2024a; კაკულია & კილაძე, 2025). აღნიშნული მიდგომა შეიძლება გავრცელდეს CBDC-ზე მოთხოვნის, დეპოზიტების გადინებისა და საბანკო ლიკვიდობის შეფასებაზე. AI-მ შეიძლება შეაფასოს CBDC-ში კონვერტაციის ელასტიკურობა, ბანკების ლიკვიდობა, სავალუტო მოთხოვნა და გადახდების შეფერხება. გამოვსახოთ მოდელის ამოცანა პოლიტიკის დანაკარგის ფუნქციით:

$$min_{(h,g)}\ \mathcal{L}_t = \alpha P(run_t) + \beta \Delta r^L{}_t + \gamma|\Delta L_t| + \eta Cyber_t + \theta Privacy_t - \lambda Efficiency_t$$

სადაც h არის CBDC-ის ფლობის ლიმიტი, g — გავრცელების ტემპი, P(run) — სწრაფი გადინების ალბათობა, Δr^L — სესხის განაკვეთის ცვლილება, ΔL — დაკრედიტების ცვლილება, ხოლო დანარჩენი წევრები ასახავს კიბერ, კონფიდენციალურობისა და

ეფექტიანობის შედეგებს. შეზღუდვებად უნდა მოქმედებდეს ბანკების მინიმალური ლიკვიდობა, საოპერაციო გამტარუნარიანობა, მონაცემთა დაცვის მოთხოვნები და ფინანსური ჩართულობის მიზანი.

ეს ფუნქცია არ ნიშნავს, რომ ალგორითმმა ავტომატურად შეცვალოს ლიმიტი. მოდელმა უნდა წარმოადგინოს რამდენიმე სცენარი, გაურკვევლობის ინტერვალი, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები. გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი კოლეგიური ორგანო, გადაწყვეტილება დოკუმენტირდება, ხოლო მნიშვნელოვანი ცვლილება წინასწარ და მკაფიოდ კომუნიცირდება.

AI უნდა დარჩეს გადაწყვეტილების მხარდამჭერ ინსტრუმენტად, რადგან არასრულმა მონაცემებმა, ზედმეტმა მორგებამ ან შედეგების დაბალმა ინტერპრეტირებადობამ შეიძლება მცდარი სიგნალი წარმოშვას. ამიტომ მისი გამოყენება უნდა დაექვემდებაროს მუდმივ ვალიდაციას, ადამიანურ ზედამხედველობას, მონაცემთა დაცვასა და საჯარო ანგარიშვალდებულებას (კაკულია & კილაძე, 2025).

დასკვნა

ნაშრომის ანალიზი აჩვენებს, რომ CBDC-ის მასშტაბი მხოლოდ ტექნოლოგიური ინტეგრაციით არ განისაზღვრება; გადამწყვეტია ცენტრალური ბანკის პირდაპირი ფულის წილი და კრედიტის განაწილებაში მისი მონაწილეობის ხარისხიც. მინიმალური დოზის ინფრასტრუქტურული მოდელი არსებულ ორდონიან საბანკო სისტემას ინარჩუნებს და შედარებით შეზღუდულ მაკროეკონომიკურ რისკს წარმოშობს. ორდონიანი საცალო CBDC ზრდის საგადახდო ეფექტიანობასა და მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობებს, თუმცა აძლიერებს დეპოზიტების გადინების, საბანკო დაფინანსების გაძვირებისა და კიბერრისკების საფრთხეს. მაქსიმალური დოზის მოდელი კი სცდება CBDC-ის ჩვეულებრივ კონცეფციას და ფულის, კრედიტისა და ფინანსური მონაცემების მართვას ცენტრალური ბანკის ხელში უკიდურესად აკონცენტრირებს.

CBDC-ის შესაძლო იმპლემენტაციამდე აუცილებელია ციფრული ლარის სტატუსის, ემისიის უფლებამოსილების, ანგარიშსწორების საბოლოობის, მონაცემთა დაცვისა და შუამავლების პასუხისმგებლობის სამართლებრივი განსაზღვრა. საცალო მოდელის განხილვისას წინასწარ უნდა შეფასდეს მისი გავლენა საბანკო ლიკვიდობასა და დაკრედიტებაზე და განისაზღვროს ფლობის ლიმიტი, საწყის ეტაპზე არაპროცენტიანი რეჟიმი, საბანკო ანგარიშსა და CBDC-ის საფულეს შორის ავტომატური გადანაწილება და ბანკებისთვის დროებითი უზრუნველყოფილი ლიკვიდობა. ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოიყენებოდეს პროგნოზირების, ანომალიების გამოვლენისა და სცენარების შეფასებისთვის, თუმცა მონეტარული და საკრედიტო გადაწყვეტილებები ადამიანურ ზედამხედველობასა და გასაჩივრების შესაძლებლობას უნდა ექვემდებარებოდეს.

შესაბამისად, არსებული მსჯელობა მხარს უჭერს ეტაპობრივ, შექცევად და მკაცრად კონტროლირებად კვლევით მიდგომას, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტი მინიმალური ინსტიტუციური დოზის საპილოტე ფორმებს — ტოკენიზებულ რეზერვებს, ბანკთაშორის ანგარიშსწორებასა და შეზღუდულ პროგრამირებად მომსახურებებს — მიენიჭება. ფართო საცალო და განსაკუთრებით მაქსიმალური დოზით იმპლემენტაცია მოითხოვს ფულის, საბანკო შუამავლობის, კრედიტის განაწილებისა და ცენტრალური ბანკის მანდატის

ფუნდამენტურ გარდაქმნას. მოსახლეობის დამოკიდებულების კონფიდენციალურობის, პირადი ფინანსური თავისუფლების, სახელმწიფო კონტროლისა და ეკონომიკური პასუხისმგებლობის მიმართ ფართო საზოგადოებრივი განხილვისა და სიფრთხილით შეფასების გარეშე, მიმდინარე ეტაპზე მინიმალური იმპლემენტაციის ფორმებს მიღმა გადასვლა შესაძლოა ნაადრევი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

კაკულია, ნ., & კილაძე, ნ. (2025). ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე. *ეკონომისტი*, (4), https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.09

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/en/document/view/101044

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/en/document/view/1673253

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/en/document/view/5827307

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/en/document/view/4690334

European Union (2024). Regulation (EU) 2024/1689 laying down harmonised rules on artificial intelligence. Official Journal of the European Union https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1689/oj/eng

Council of the European Union (2025). Council Position on the Digital Euro and the Role of Cash. Council of the European Union https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2025/12/19/single-currency-council-agrees-position-on-the-digital-euro-and-on-strengthening-the-role-of-cash/

Agur, I., Ari, A., & Dell'Ariccia, G. (2022). Designing Central Bank Digital Currencies. Journal of Monetary Economics, 125, 62–79. ttps://doi.org/10.1016/j.jmoneco.2021.05.002

Auer, R., & Böhme, R. (2020). The Technology of Retail Central Bank Digital Currency. BIS Quarterly Review, March 2020 https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt2003j.htm

Auer, R., Cornelli, G., & Frost, J. (2023). Rise of the Central Bank Digital Currencies: Drivers, Approaches and Technologies. International Journal of Central Banking, 19(4)https://www.ijcb.org/sites/default/files/journal/v19n4/ijcb-v19n4-rise-central-bank-digital-currencies.pdf

Berg, T., Keil, J., & Martini, F. (2024). CBDCs, Payment Firms, and Geopolitics. BENR Working Paper No. 32857 https://www.nber.org/system/files/working_papers/w32857/w32857.pdf

Bidder, R., Jackson, T., & Rottner, M. (2025). CBDC and Banks: Disintermediating Fast and Slow. BIS Working Papers No. 1280 https://www.bis.org/publ/work1280.pdf

BIS (2023a). Central Bank Digital Currency Information Security and Operational Risks to Central Banks. Bank for International Settlements https://www.bis.org/publ/othp81.pdf

BIS (2023b). Blueprint for the Future Monetary System: Improving the Old, Enabling the New. Annual Economic Report 2023, Chapter III https://www.bis.org/publ/arpdf/ar2023e3.htm

BIS (2024a). Artificial Intelligence and the Economy: Implications for Central Banks. Annual Economic Report 2024, Chapter III https://www.bis.org/publ/arpdf/ar2024e3.htm

BIS (2025a). The Next-Generation Monetary and Financial System. Annual Economic Report 2025, Chapter III https://www.bis.org/publ/arpdf/ar2025e3.pdf

BIS (2025b). The Use of Artificial Intelligence for Policy Purposes. Bank for International Settlements, Other Publication No. 100 https://www.bis.org/publ/othp100.pdf

BIS (2026a). Anchoring Trust in Money: Innovation Beyond Stablecoins. Annual Economic Report 2026, Chapter III https://www.bis.org/publ/arpdf/ar2026e3.htm

Chang, H., et al. (2023). Central Bank Digital Currency and Bank Disintermediation. IMF Working Paper 2023/236 https://www.imf.org/-/media/files/publications/wp/2023/english/wpiea2023236-print-pdf.pdf

De Angelis, S., et al. (2018). PBFT vs Proof-of-Authority: Applying the CAP Theorem to Permissioned Blockchain. Italian Conference on Cyber Security https://ceur-ws.org/Vol-2058/paper-06.pdf

ECB (2026a). FAQs on the Digital Euro. European Central Bank https://www.ecb.europa.eu/euro/digital_euro/faqs/html/ecb.faq_digital_euro.en.html

ECB (2026b). FAQs on the Digital Euro Pilot. European Central Bank https://www.ecb.europa.eu/euro/digital_euro/pilot/html/ecb.faq-digital-euro-pilot.en.html

Fernández-Villaverde, J., Sanches, D., Schilling, L., & Uhlig, H. (2021). Central Bank Digital Currency: Central Banking for All?. Review of Economic Dynamics, 41, 225–242. https://doi.org/10.1016/j.red.2020.12.004 https://doi.org/10.1016/j.red.2020.12.004

Ferrari, M., Mehl, A., & Stracca, L. (2022). Central Bank Digital Currency in an Open Economy. Journal of Monetary Economics, 127, 54–68. https://doi.org/10.1016/j.jmoneco.2022.02.001

IMF (2024a). Central Bank Digital Currency Data Use and Privacy Protection. IMF Fintech Note 2024/004 https://www.imf.org/en/publications/fintech-notes/issues/2024/08/30/central-bank-digital-currency-data-use-and-privacy-protection-554103

IMF (2025a). Private Law Aspects of Token-Based Central Bank Digital Currency. IMF Fintech Note 2025/003 https://www.imf.org/-/media/files/publications/ftn063/2025/english/ftnea2025003.pdf

IMF (2025b). Selected Legal Considerations for Central Bank Digital Currency. IMF Fintech Note 2025/006 https://www.imf.org/-/media/files/publications/ftn063/2025/english/ftnea2025006.pdf

Nakamura, F. (2024). Central Bank Digital Currencies and Financial Stability: Balance Sheet Analysis and Policy Choices. IMF Working Paper 2024/226 https://www.imf.org/-/media/files/publications/wp/2024/english/wpiea2024226-print-pdf.pdf

National Bank of Georgia (2025a). Fintech Development Strategy of Georgia — Updated Version. National Bank of Georgia ბმული

National Bank of Georgia (2025b). Financial Stability Report 2025. National Bank of Georgia https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/2025/fsr-2025-eng-draft-translation.pdf?v=r634m

National Bank of Georgia (2026a). The Parliament of Georgia Approved the 2025 Annual Report of the National Bank of Georgia. National Bank of Georgia https://nbg.gov.ge/en/media/news/the-parliament-of-georgia-approved-the-2025-annual-report-of-the-national-bank-of-georgia

Shin, H. S. (2026). A Unified Ledger in Practice: Lessons from Project Hangang. ECB Forum on Central Banking https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/sintra/ecb.forumcentbankpub2026_Shin_paper.en.pdf

Challenges of Sustainable Implementation of Central Bank Digital Currency (CBDC) and Opportunities for Their Regulation Using Artificial Intelligence (AI)

Zurab Abramishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
zuraabr@gmail.com

Summary

The paper explores three distinct institutional scenarios for central bank digital currency implementation and their possible impact on the banking system, monetary policy, and macroeconomic stability. The first scenario involves transferring the operational infrastructure of money to a central bank-managed blockchain with a "Proof of Authority" consensus so that commercial banks' deposits, credit creation, and customer interactions remain essentially unchanged. In the second scenario, retail CBDCs, which are a direct obligation of the central bank, are launched, while banks and payment service providers function as an integrative and application "Layer-2" layer. The third scenario presents an extreme model: commercial banks disappear, the population owns a wallet directly at the central bank, and payments and credit allocation are carried out through smart contracts and AI models.

Keywords: CBDC; Digital Lari; Proof of Authority; Two-tier Banking System; Smart Contracts; Artificial Intelligence; Banking Disintermediation; Monetary Policy.

განათლების პრობლემები საქართველოში გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში

მედეა მელაშვილი
მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
medeamelashvili2020@gmail.com

ქეთევან ქველაძე
ეკონომიკის დოქტორი
უფროსი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ketikveladze@yahoo.com

ნუნუ ქისტაური
ეკონომიკის დოქტორი
უფროსი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
nunu.kistauri@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომიი ეხება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა განათლების სისტემის ძირითადი გამოწვევები თანამედროვე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის (რომელსაც დღეს „ფრაგმენტაციის ეპოქას“ უწოდებენ) პირობებში ზოგადად, და, კერძოდ, საქართველოში. ნაშრომში გაანალიზებულია მისი გავლენა განათლების სისტემის განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა საქართველოში განათლების ხელმისაწვდომობა, ციფრული უთანასწორობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, განათლების ხარისხს და განათლების სისტემის შესაბამისობას მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო სისტემებთან და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებთან. კვლევა ეფუძნება 2020–2025 წლების სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს. ნაშრომში მითითებულია, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია ზრდის განათლების სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. თუმცა ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში შესაძლებელია განათლების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერების შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა.*

საკვანძო სიტყვები: *განათლება, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, ციფრული უთანასწორობა, ადამიანური კაპიტალი, განათლების ხარისხი.*

XXX

XXI საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები ახალ ფორმას ღებულობს, როდესაც ხდება საერთაშორისო სისტემის დაყოფა სხვადასხვა ძალთა ცენტრებს შორის და როდესაც

ქვეყნები ერთიანდებიან პოლიტიკური, სამხედრო ან იდეოლოგიური ნიშნით. შედეგად წარმოიქმნა ტერმინი „ფრაგმენტაციის ეპოქა“. მისი ძირითადი ფორმებია: გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, რომელიც გულისხმობს მსოფლიო პოლიტიკური სივრცის დაყოფას კონკურენტულ ბლოკებად, რაც ამცირებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს; აგრეთვე გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, რომელიც გამოიხატება გლობალური ეკონომიკური კავშირების დაქუცმაცებაში, ვაჭრობის შეზღუდვებსა და ფინანსური ნაკადების დეზორიენტაციაში. იგი ასუსტებს გლობალიზაციას და აძლიერებს ბლოკურ დაყოფას, თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას.

„ფრაგმენტაციის ეპოქის“ ძირითადი მახასიათებლებია: ძალთა პოლარიზაცია (მრავალპოლარული სისტემა); სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბება და გაძლიერება; რეგიონული კონფლიქტების ზრდა; საერთაშორისო ინსტიტუტების დასუსტება; სავაჭრო ბარიერების ზრდა და სხვადასვა სახის ეკონომიკური სანქციები ამა თუ იმ ქვეყნისადმი და მისი ეკონომიკური იზოლაცია. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის შემცირება, რაც ხელს უშლის გლობალური პრობლემების კოორდინირებულ მართვას. შედეგად, სახელმწიფოები (ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე მსოფლიო წესრიგს), სულ უფრო მეტად მიმართავენ დამოუკიდებელ ან ბლოკურ პოლიტიკას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისტემის ფრაგმენტაციას.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაგმენტაცია ხშირად არის გეოპოლიტიკური დაძაბულობის პირდაპირი შედეგი, როდესაც ეკონომიკური ინსტრუმენტები გამოიყენება როგორც პოლიტიკური გავლენის მექანიზმები. მის საფუძვლად მიიჩნევა სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკნომიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტი, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პოლიტიკურად და ეკონომიკურად უძლიერეს ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გავლენის შენარჩუნებასა და გაძლიერებას როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ დონეზე.

ცნობილია, რომ გლობალიზაციამ შექმნა ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის, თუმცა ამავე დროს შეინიშნება ე.წ. „დიფერენცირებული გლობალიზაცია“, სადაც ზოგიერთი რეგიონი და ქვეყანა ინარჩუნებს ინტეგრაციას, ხოლო სხვები გადადიან იზოლაციურ ან ბლოკურ მოდელზე. ამან გაამწვავა კონკურენცია რესურსებზე, ბაზრებსა და ტექნოლოგიებზე, ეს, თავის მხრივ, ქმნის არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებას მსოფლიოში. ანუ გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია არ არის ურთიერთგამომრიცხავი პროცესები, პირიქით, ისინი ხშირად პარალელურად მიმდინარეობს. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, აისახება ამ აქტივობაში მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით კი მათი განათლების სისტემებზე, რადგან სწორედ იგი წარმოადგენს ქვეყნის ადაპტაციის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ დონეზე. ასევე მას გააჩნია ცოდნისა და უნარების გადაცემის, ინოვაციური პოტენციალის განვითარების, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის ფუნქციები.

ბოლო წლებში, ე.წ. „ფრაგმენტაციის პირობებში“, საერთაშორისო განათლების სისტემა მნიშვნელოვანი ცვლილებების პროცესშია. გლობალური თანამშრომლობის მოდელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ეფუძნებოდა აკადემიურ ინტეგრაციას, თანდათან იცვლება უფრო დახურული და რეგიონული სისტემებით, რომლის შედეგადაც განათლების სისტემაში შეინიშნება: საერთაშორისო პროგრამების მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია; პარტნიორობის პირობების გადახედვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების მიხედვით; ადგილობრივი რესურსების მნიშვნელობის ზრდა; რეგიონული განათლების ცენტრების გაძლიერება; სტუდენტების ნაკადების გადანაწილება „უსაფრთხო“ ქვეყნებში; ვიზების გაცემის და შედეგად გადაადგილების შეზღუდვების გავლენა და სხვ. ყოველივე ამის გამო ერთობლივი კვლევითი პროექტები, გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო გრანტები ძალიან ხშირად დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ფრაგმენტაციის პროცესები სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემაზე ზემოქმედებს შემდეგი მექანიზმების მეშვეობით:

- დარგისთვის დაფინანსების შემცირება (როდესაც ეკონომიკური კრიზისებისა და რესურსების გადანაწილების პირობებში, განათლება კარგავს პრიორიტეტულობას სახელმწიფო ბიუჯეტში);
- დარგისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის შეზღუდვა (როდესაც საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი კვლევები და აკადემიური პარტნიორობები მცირდება პოლიტიკური დაძაბულობის გამო);
- აკადემიური მობილობის შემცირება (სტუდენტებისა და პროფესორების გადაადგილება რთულდება სავიზო, ფინანსური ან პოლიტიკური ბარიერების გამო);
- ტექნოლოგიური უთანასწორობა (ქვეყნებს შორის განათლების სფეროში უთანასწორობის გაძლიერება ტექნოლოგიებზე წვდომის განსხვავების გამო);
- განათლების ხარისხზე ზეგავლენა (რესურსების ნაკლებობის და საერთაშორისო იზოლაციის უარყოფითად ზემოქმედება განათლების ხარისხზე).

უნდა ითქვას, რომ ამ პროცესებმა განსაკუთრებით დააზარალა განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული უცხოურ გრანტებსა და საერთაშორისო პარტნიორობებზე, მათ რიგშია საქართველოც.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და ფრაგმენტაციის პროცესებიდან გამომდინარე, დღეს არსებული პრობლემები. საქართველოს განათლების სისტემა წარმოადგენს მრავალსაფეხურიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ბოლო ათწლეულში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სისტემამ გარკვეული პროგრესი განიცადა ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით. იგი აქტიურად ცდილობს ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც გამოიხატება სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობით, როგორიცაა: ორმხრივი გაცვლითი პროგრამები; საერთაშორისო კვლევითი გრანტები; ევროპული კვლევითი პროექტები; Horizon Europe; Erasmus+; EURAXESS Georgia, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, თანამედროვე ცოდნისა და საერთაშორისო პრაქტიკის

გაზიარებას და ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს აკადემიური სფეროს განვითარებისთვის.

თუმცა, მიუხედავად ამისა, სისტემა კვლავ დგას რიგი გამოწვევების წინაშე, რომელიც კიდევ უფრო მწვავდება გლობალური ფრაგმენტაციის პირობებში. ესენია: საერთაშორისო დამოკიდებულების მაღალი დონე (საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილის მჭიდრო კავშირი უცხოურ პარტნიორობებთან, რაც სისტემას მოწყვლადს ხდის გარე ფაქტორების მიმართ); ფინანსური რესურსების შეზღუდულობა (ეკონომიკური არასტაბილურობის გამო განათლების სექტორის დაფინანსების შეზღუდვა და ინფრასტრუქტურულ განვითარების შეფერხება); ადამიანური კაპიტალის გადინება (საზღვარგარეთ განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყანაში აღარ დაბრუნება); ტექნოლოგიური ჩამორჩენა (ციფრული ინფრასტრუქტურის არათანაბარი განვითარების გამო უთანასწორობის წარქმოქმნა განათლების ხარისხში); რეგიონული უთანასწორობა (დედაქალაქსა და რეგიონებს შორის განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის განსხვავება).

ყოველივე ზემონათქვამის ნათელი მაგალითია ის ციფრობრივი მასალა, რომელიც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში (იხ. ცხრ. 1-4) .

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ზოგადად მიგრაცია და, კერძოდ, სტუდენტური მიგრაცია, უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში აკადემიური კადრების შემცირება, ახალგაზრდა მეცნიერების დეფიციტი, პროფესორ-მასწავლებელთა ე.წ. „დაბერება“, საერთაშორისო დონის მკვლევრების გადინება და სხვ. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1990-იანი წლებიდან: პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე დაბალი ხელფასებისა და შეზღუდული პროფესიული შესაძლებლობების გამო.

ამ პროცესს რამდენიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი აქვს: კვალიფიციური კადრების დეფიციტი (განსაკუთრებით ჯანდაცვაში, განათლებასა და ტექნოლოგიურ სექტორში); დემოგრაფიული პრობლემები (ქვეყნიდან ძირითადად შრომისუნარიანი და ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის გასვლა); ეკონომიკური ზარალი (სახელმწიფო კარგავს იმ ადამიანურ კაპიტალს, რომლის განათლებაშიც მნიშვნელოვანი რესურსებია დახარჯული). ეს ქმნის ე.წ. „განათლებრივი დანაკარგის“ ეფექტს: სახელმწიფო ხარჯავს რესურსს საბაზო განათლების სისტემაზე, ხოლო საბოლოო ეკონომიკურ სარგებელს სხვა ქვეყნები იღებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „ტვინების გადინება“ („Brain Drain“), რაც ნიშნავს მაღალკვალიფიციური ადამიანების - სტუდენტების, მეცნიერების, ექიმების, IT სპეციალისტების, ინჟინრების და სხვა პროფესიონალების - უცხოეთში გადასვლას უკეთესი ანაზღაურების, კარიერული განვითარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ანუ ეს პროცესი აისახება არა მარტო განათლების სისტემაზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაზე, რადგან ქვეყნიდან ხშირად მიდიან სწორედ ახალგაზრდა, განათლებული და სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური ადამიანები. ამიტომ იგი წარმოადგენს საგანმანათლებლო უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევას. გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც მაღალკვალიფიციური ახალგაზრდებისა და მეცნიერების ემიგრაცია ასუსტებს: უნივერსიტეტების განვითარებას; კვლევით პოტენციალს; ინოვაციურ ეკონომიკას; ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. ამიტომ,

უარყოფითად მოქმედებს რა ქვეყნის ადამიანურ კაპიტალზე, შესაბამისად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასაც.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ საკითხზე სრულყოფილი ოფიციალური სტატისტიკა ძნელად მოსაპოვებელია. ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ შემდეგი ციფრობრივი მასალის მოპოვება (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1

სტუდენტების მობილობა საქართველოში

წელი	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
საქართველოდან უცხოეთში წასული სტუდენტები (ათასი კაცი)	**14.2**	**13.8**	**16.1**	**17.4**	**18.9**	**19.6**

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდების სტატისტიკა საგრძნობლად მზარდია, რაც, რათქმა უნდა, აუარესებს ქვეყნიდან „ტვინების გადინების“ მაჩვენებელს. თუმცა ბოლო წლებში საქართველოში შეინიშნება „ტვინების დაბრუნების“ პროცესის გარკვეული გააქტიურება. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ იძლევა ზუსტ მონაცემებს დაბრუნებული მეცნიერების, მკვლევრებისა და ტექნოლოგიური სპეციალისტების რაოდენობის შესახებ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM-ის (International Organization for Migration) მონაცემები და აკადემიური სექტორის ტენდენციები მიუთითებს, რომ საქართველო ნელ-ნელა გადადის „Brain Drain“-იდან („ტვინების გადინება“) „Brain Circulation“-ის („ტვინების ცირკულაცია“) მოდელზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კვალიფიციური კადრების იმიგრაციას, არამედ მათი ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიული ქსელების სამშობლოს განვითარებისთვის გამოყენებას, ანუ კვალიფიციური ადამიანების დაბრუნებას ან უცხოეთიდან ნიჭიერი კადრების მოზიდვას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - EQE (International Education Center) და საერთაშორისო განათლების ცენტრის - IEC (International Education Center) მონაცემების მიხედვით ქვემოთ მოცემულია ამ ორი მიმართულების ციფრობრივი სტატისტიკა საქართველოში 2020-2025 წლებში. კერძოდ, ესაა უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მაჩვენებლები საქართველოში, რომელიც მოიცავს როგორც სამშობლოში დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებს (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მაჩვენებლები საქართველოში

წელი	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
სულ განხილული და აღიარებული უცხოური დიპლომი (საბაკალავრო/სამაგისტრო)	**3.0**	**4.2**	**4.9**	**5.4**	**5.8**	**6.2**

(ათასი კაცი)						
აქედან საქართველოს მოქალაქეების საორიენტაციო რაოდენობა (ათასი კაცი)	**1.6**	**1.7**	**2.05**	**2.26**	**2.43**	**2.6**

თუმცა აკადემიური კვლევების თანახმად, უნდა აღინიშნოს, რომ განაცხადების დაახლოებით 40-45% უშუალოდ ქართველ კურსდამთავრებულებზე მოდის. საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია: ევროპულ უნივერსიტეტებში განათლებამიღებული კურსდამთავრებულებით; Erasmus+ პროგრამის მონაწილეებით; უცხოეთის დოქტორანტურის კურსდამთავრებულებით; საერთაშორისო სტაჟირების პროგრამების მონაწილეებით.

ეს მნიშვნელოვანი სიგნალია იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური გარემო გარკვეულწილად უფრო მიმზიდველი ხდება კადრების დაბრუნებისთვის. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების ბოლო კვლევების მიხედვით, რაც თბილისის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო მიგრაციის ანგარიშშია აღნიშნული: საქართველოდან წასული სტუდენტების უმრავლესობას აქვს სამშობლოში დაბრუნების სურვილი, თუმცა ვერ ახერხებენ და ამის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ საქართველოში არსებულ კვალიფიკაციასთან შეუსაბამო ანაზღაურებას. ამ ტენდენციის გასამყარებლად ქვეყანაში აუცილებელია მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციების სფეროში მიზნობრივი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. კერძოდ, მეცნიერებისა და განათლების დაფინანსების ზრდა; აკადემიური სექტორის ხელფასების გაუმჯობესება; ახალგაზრდებისთვის კარიერული შესაძლებლობების შექმნა; საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება; დაბრუნებული სპეციალისტების მხარდაჭერის პოლიტიკა. ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა და შესაბამისი მონაცემები სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აისახოს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ოფიციალურ მონაცემები ამ კუთხით შემდეგნაირია (იხ. ცხრ. 3):

ცხრილი 3

განათლების ხარჯების წილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში

წელი	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
განათლების ხარჯების წილი (%)	**9.4**	**9.1**	**9.8**	**10.0**	**10.3**	**10.5**

მართალია, ზემოთ ცხრილში მოყვანილი მონაცემები იზრდება, მაგრამ ეს ზრდა მეტად უმნიშვნელოა. ვთვლით, რომ იგი დიდი უნდა იყოს, რათა განათლების სისტემამ რეალურად შეძლოს ქვეყნის წამყვანი ეკონომიკური ფაქტორის როლის წარმატებით შესრულება. ყურადსაღებია ისიც, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია არა მხოლოდ ამცირებს რესურსების ხელმისაწვდომობას, არამედ ცვლის განათლების სისტემის

სტრუქტურასაც. ცნობილია, რომ ბოლო წლებში ციფრული ტექნოლოგიები გახდა განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. ციფრული ტრანსფორმაცია ქმნის გარკვეულ შესაძლებლობებს: დისტანციური განათლების განვითარება; საერთაშორისო კურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ცოდნის გლობალური გავრცელება და სხვ. თუმცა მათი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ქვეყნებში არათანაბარია, რაც გამოიხატება ინტერნეტზე წვდომის განსხვავებაში, ონლაინ პლატფორმების არათანაბარ გამოყენებაში, ციფრული უნარების დეფიციტში და სხვ. ამ მხრივ საქართველში შემდეგი მდგომარეობაა (იხ. ცხრ. 4):

ცხრილი 4

ციფრული ხელმისაწვდომობა ევროკავშირის და საქართველოს განათლებაში

წელი	**წვდომა რეგიონებში/სოფლად (%**		**ონლაინ სწავლების გამოყენება (%, ინტერნეტმომხმარებლების)**	
	ევროკავშირი (სოფლად)	**საქართველო (სოფლად)**	**ევროკავშირი**	**საქართველო**
2020	**88.3**	**69**	**25.0**	**35.0**
2021	**89.5**	**74**	**27.0**	**30.0**
2022	**90.0**	**82.4**	**28.0**	**25.0**
2023	**90,5**	**83.4**	**30.0**	**22.0**
2024	**92.4**	**87.5**	**33.0**	**23.0**
2025	**93.0**	**89.0**	**34.8**	**25.0**

ევროკავშირში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინტერნეტზე წვდომა 2020–2025 წლებში 88.3%-დან 93%-მდე გაიზარდა, ანუ ზრდამ 4.7% შეადგინა. საქართველოში შესაბამისი მონაცემები შემდეგია: 69-დან 89%-მდე, ანუ ზრდა 20%-ს ტოლია, რაც ციფრული უთანასწორობის შემცირებაზე მიუთითებს. ეს ევროკავშირზე უფრო სწრაფი ტემპია.

თუმცა, ციფრობრივი მაჩვენებელი განსხვავებულია: ევროკავშირში საშუალოდ 93%, ხოლო საქართველოში 89%. თუ ასეთი ზრდის ტემპი შენარჩუნდება, შეიძლება საქართველომ ამ კუთხით საკმაო წარმატებებს მიაღწიოს. რაც შეეხება ონლაინ სწავლების გამოყენებას, ეს მაჩვენებელი ევროკავშირში პანდემიის შემდეგაც ზრდას აგრძელებს და 2025 წელს 34.8%-ს აღწევს. საქართველოში ონლაინ სწავლება პანდემიის პერიოდში ფართოდ გავრცელდა, თუმცა შემდგომ წლებში მისი გამოყენება შემცირდა და ძირითადად დამატებითი განათლებისა და პროფესიული განვითარების ფორმატად დარჩა. ამ კუთხით წარმატების მისაღწევად საქართველოს განათლების სისტემას გარკვეული ძალისხმევის გამოყენება დასჭირდება.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ის უარყოფითი ეფექტები, რომელთა შესახებაც ზემოთ მივუთითებდით, რომელთაც ადგილი აქვს საქართველოს განათლების სისტემაში და, რაც, დარგისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს,ზოგ შემთხვევაში გარკვეულ შესაძლებლობებსაც ქმნის, რადგანაც მათი აღმოფხვრისათვის ქვეყანაში აუცილებლად უნდა მოხდეს სხვადასხვა გზებისა და შესაძლებლობების გამონახვა, რათა სისტემამ წარმატებით იფუნქციონიროს. ესენია:

- რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება;
- მეზობელ ქვეყნებთან საგანმანათლებლო კავშირების განვითარება;
- ციფრული განათლების განვითარება;

- ონლაინ პლატფორმების გამოყენება ცოდნის გასავრცელებლად;
- პარტნიორობების დივერსიფიკაცია;
- სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ბლოკთან თანამშრომლობა;
- ინოვაციური განათლების მოდელების დანერგვა,
- რეგიონული საგანმანათლებლო ჰაბის შექმნის პოტენციალის მოძიება, ჩამოყალიბება და განვითარება;
- ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება.

ეს შესაძლებლობები სწორად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება გახდეს განათლების სისტემის გაძლიერების მნიშვნელოვანი საფუძველი ჩვენს ქვეყანაში და მისი წარმატებული ფეხმოკიდებისა რეგიონში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში განათლების სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გატარება: საერთაშორისო პარტნიორობების დივერსიფიკაცია (სხვადასხვა რეგიონთან და საგანმანათლებლო სისტემასთან თანამშრომლობის გაძლიერება); განათლების დაფინანსების ზრდა (სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების პრიორიტეტულობის გაზრდა); ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება (ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა); „ტვინების გადინების“ შემცირება (ახალგაზრდებისთვის დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნა); რეგიონული უთანასწორობის შემცირება (განათლების ხარისხის გაუმჯობესება რეგიონებში); განათლების სისტემის მოქნილობის გაზრდა (ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა და ადაპტაციის უნარის განვითარება). ამას შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი საქართველოსათვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკისათვის, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებთან ახალი სავაჭრო მარშრუტების მოძიებამ და განვითარებამ, სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებამ ე.წ. „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) ყველა სიკეთის სწორად გამოყენების მეშვეობით. ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგიის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას და მდგრადობას, უსაფრთხოებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში წარმატებით ინტეგრაციას.

სწორი და წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის შერჩევა, ჩამოყალიბება და განვითარება ზოგადად, და, კერძოდ, განათლების სისტემის კუთხით მხოლოდ სახელმწიფოს შესაბამის ინსიტუციებს ხელეწიფება და ეს ყოველივე მხოლოდ მათი პრეროგატივაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. World Bank. (2024). *Education Sector Analysis: Georgia*.
2. UNESCO. (2024). *Global Education Monitoring Report*.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GEOSTAT). (2020–2025). განათლების სტატისტიკა.
4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2022). *განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030*. (Sustainable Development Goals)
5. European Commission. (2024). *Education and Skills in the Eastern Partnership Countries*.

Education Challenges in Georgia under Conditions of Geo-Economic Fragmentation

შემოსავლების უთანასწორობის შეფასების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტებია ლორენცის მრუდი და ჯინის კოეფიციენტი. აღნიშნული მეთოდები საშუალებას იძლევა შეფასდეს არა მხოლოდ შემოსავლების საშუალო დონე, არამედ მათი განაწილების ხარისხიც. ლორენცის მრუდის რაოდენობრივ შეფასებას უზრუნველყოფს ჯინის კოეფიციენტი, რომელიც შემოსავლების კონცენტრაციის უნივერსალურ ინდიკატორს წარმოადგენს. საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები მიუთითებს, რომ ქვეყნის ჯინის კოეფიციენტი წარმოადგენს შემოსავლების განაწილების შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორს და გამოიყენება სოციალური უთანასწორობის დონის ანალიზისთვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2026d). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინდიკატორის ინტერპრეტაცია განხორციელდეს სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად და არ განიხილებოდეს იზოლირებულად.

4. სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასებისა და ვალიდაციის მეთოდოლოგიური ასპექტები

ოფიციალური სტატისტიკის სანდოობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მონაცემთა ხარისხზე. სწორედ ამიტომ მონაცემთა ხარისხის შეფასება თანამედროვე სტატისტიკური სისტემების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ხარისხის შეფასება მოიცავს როგორც მონაცემთა შეგროვების პროცესის, ისე საბოლოო სტატისტიკური შედეგების ანალიზს (European Commission, 2019).

ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შესაბამისად, მონაცემთა ხარისხი ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა პროფესიული დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, სიზუსტე, დროულობა, თანმიმდევრულობა, შედარებადობა, ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი]; 2026bEuropean Commission, 2019).

მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ეტაპს წარმოადგენს ვალიდაცია. ვალიდაციის მიზანია გამოვლინდეს მონაცემთა შიდა წინააღმდეგობები, შეფასდეს მათი სანდოობა და შემცირდეს შემთხვევითი ან სისტემური შეცდომების გავლენა. ლოგიკური ვალიდაცია გამოიყენება მონაცემთა ურთიერთშესაბამისობის შესამოწმებლად. აღნიშნული მეთოდის ფარგლებში მოწმდება, შეესაბამება თუ არა ერთმანეთთან დაკავშირებული ცვლადების მნიშვნელობები დადგენილ ლოგიკურ წესებს. მსგავსი კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ჩანაწერების დამუშავების ეტაპზე.

არითმეტიკული კონტროლი უზრუნველყოფს რიცხობრივი მაჩვენებლების სიზუსტის შეფასებას. პროცენტული განაწილებების, ჯამური მაჩვენებლებისა და ინდექსების ავტომატური გადამოწმება ამცირებს ტექნიკური შეცდომების ალბათობას და ზრდის საბოლოო შედეგების სანდოობას.

ჯვარედინი ვალიდაცია ეფუძნება სხვადასხვა მონაცემთა წყაროს ურთიერთშედარებას. შინამეურნეობების კვლევის მონაცემები მოწმდება ადმინისტრაციულ რეესტრებთან, სხვა სტატისტიკურ გამოკვლევებთან და ისტორიულ მონაცემებთან. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მონაცემთა შესაძლო გადახრები და შეფასდეს მათი სიზუსტე.

დროითი ვალიდაცია გამოიყენება ერთი და იმავე მაჩვენებლის სხვადასხვა პერიოდის მნიშვნელობების შესადარებლად. თუ გამოვლინდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ეკონომიკური მოვლენებით არ აიხსნება, აუცილებელი ხდება დამატებითი ანალიზის ჩატარება. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა დამუშავების პროცესში წარმოშობილი ტექნიკური შეცდომების გავლენას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2021a).

5. მიკრო-მაკრო შეთანხმება, სტატისტიკური შეცდომები და მეთოდოლოგიური მიგნებები

თანამედროვე ოფიციალურ სტატისტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიკრო-მაკრო შეთანხმების მეთოდოლოგიას. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს შინამეურნეობების გამოკვლევის შედეგების შედარებას ეროვნული ანგარიშების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან. ასეთი ინტეგრირებული შეფასება მნიშვნელოვნად ზრდის მონაცემთა სანდოობას და საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სისტემური განსხვავებები (მინდორაშვილი, 2018; OECD, 2013).

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მიკრო და მაკრო დონეზე მიღებულ მონაცემებს შორის კვლავ არსებობს გარკვეული განსხვავებები. აღნიშნული გარემოება უმთავრესად განპირობებულია არაფორმალური ეკონომიკის არსებობით, შემოსავლების არასრული დეკლარირებითა და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით. შესაბამისად, მონაცემთა ინტეგრირებული ანალიზი უნდა განიხილებოდეს ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად (United Nations Economic Commission for Europe, 2019b).

მეთოდოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება. პირველ რიგში, შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკური შეფასების სანდოობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მონაცემთა მოცულობაზე, არამედ მათი შეგროვების, კლასიფიცირების, დამუშავებისა და კონტროლის ერთიან სისტემაზე (European Commission, 2019).

მეორე მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას. ეროვნული ანგარიშების სისტემა, შინამეურნეობების ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგია, OECD-ისა და ILO-ის რეკომენდაციები ქმნის მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული მონაცემების საერთაშორისო შედარებადობას (OECD, 2013).

მესამე მიგნება ეხება მონაცემთა ხარისხის მართვას. კვლევა ადასტურებს, რომ ლოგიკური, არითმეტიკული, დროითი და ჯვარედინი ვალიდაციის ერთობლივი გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სტატისტიკური შეფასებების სანდოობას და ამცირებს როგორც შერჩევით, ისე არაშერჩევით შეცდომებს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2024b).

მეოთხე მნიშვნელოვანი მიგნება დაკავშირებულია უთანასწორობის შეფასებასთან. ჯინის კოეფიციენტი და ლორენცის მრუდი მხოლოდ სტატისტიკური ინდიკატორები არ არის; ისინი სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინსტრუმენტებია (OECD, 2013).

კვლევის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისა და ადმინისტრაციული მონაცემების ინტეგრირება ოფიციალური სტატისტიკის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მონაცემთა ავტომატიზებული კონტროლი, ელექტრონული კითხვარები და ადმინისტრაციული რეესტრების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2024b).

6. დისკუსია

შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკური შეფასების მეთოდოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევა დაკავშირებულია არა მხოლოდ მონაცემთა შეგროვებასთან, არამედ მათი სრული, თანმიმდევრული და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინტერპრეტაციის უზრუნველყოფასთან. საქართველოში არსებული სტატისტიკური პრაქტიკა მნიშვნელოვანწილად ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს, რაც ქმნის მონაცემთა შედარებადობისა და ხარისხის შეფასების აუცილებელ საფუძველს (United Nations Economic Commission for Europe, 2019b; OECD, 2013).

კვლევის შედეგების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შინამეურნეობების შემოსავლების მრავალგანზომილებიან ბუნებას. შემოსავლების მხოლოდ ერთი კომპონენტის, მაგალითად, შრომითი შემოსავლების ანალიზი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფილ შეფასებას. თანამედროვე მიდგომები მოითხოვს სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლების ერთიან ანალიზს, რაც მოიცავს როგორც საბაზრო, ასევე გადანაწილებითი მექანიზმებით მიღებულ რესურსებს (OECD, 2013).

მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს მიკრო და მაკრო სტატისტიკური მონაცემების შეთანხმება. შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მონაცემები ხშირად განსხვავდება ეროვნული ანგარიშების სისტემით შეფასებული მაჩვენებლებისგან, რაც დაკავშირებულია როგორც არაფორმალური ეკონომიკის არსებობასთან, ასევე შემოსავლების არასრულ დეკლარირებასთან. აღნიშნული განსხვავებები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც სტატისტიკური ხარვეზი, არამედ როგორც მეთოდოლოგიური გამოწვევა, რომლის შემცირებაც შესაძლებელია მონაცემთა წყაროების ინტეგრაციითა და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებით (მინდორაშვილი, 2018; OECD, 2013).

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მონაცემთა ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელობა. ოფიციალური სტატისტიკის სანდოობა დამოკიდებულია არა მხოლოდ კვლევის დიზაინზე, არამედ მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე განხორციელებულ კონტროლის მექანიზმებზე. ვალიდაციის სხვადასხვა ფორმის - ლოგიკური, არითმეტიკული, დროითი და ჯვარედინი კონტროლის - ერთობლივი გამოყენება ამცირებს შეცდომების გავლენას და ზრდის საბოლოო სტატისტიკური შედეგების სანდოობას (European Commission, 2019).

შემოსავლების უთანასწორობის შეფასების მიმართულებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯინის კოეფიციენტი და ლორენცის მრუდი წარმოადგენს არა მხოლოდ აღწერით სტატისტიკურ ინსტრუმენტებს, არამედ სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის საფუძველს. აღნიშნული ინდიკატორების გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს ეკონომიკური ზრდის შედეგების განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის და განისაზღვროს სოციალური ინტერვენციის საჭირო მიმართულებები (OECD, 2013; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2026b).

საქართველოს სტატისტიკური სისტემის განვითარების პერსპექტივიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენების გაფართოება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და სტატისტიკური პროცესების ავტომატიზაცია. აღნიშნული მიმართულებები შეესაბამება ოფიციალური სტატისტიკის თანამედროვე განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობს მონაცემთა ხარისხის, დროულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [საქსტატი], 2026a).

ამრიგად, დისკუსიის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკური შეფასების სრულყოფა წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც მოითხოვს მეთოდოლოგიური სტანდარტების მუდმივ განვითარებას, მონაცემთა სხვადასხვა წყაროს ინტეგრაციას და ხარისხის მართვის სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას.

დასკვნა

ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკურიშეფასება მრავალსაფეხურიანი და მეთოდოლოგიურად რთული პროცესია, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია მონაცემთა შეგროვების, კლასიფიცირების, ანალიზისა და ხარისხის კონტროლის ერთიან სისტემაზე.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საერთაშორისო მეთოდოლოგიური სტანდარტების გამოყენება უზრუნველყოფს მონაცემთა შესადარისობას, ხოლო ოფიციალური სტატისტიკის ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები მნიშვნელოვნად ზრდის მიღებული შედეგების სანდოობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შერჩევითი კვლევის სწორ ორგანიზებას, შემოსავლების კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპების დაცვას, ვალიდაციის მრავალსაფეხურიან სისტემასა და მიკრო-მაკრო შეთანხმების.

მეთოდოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ოფიციალური სტატისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადმინისტრაციული მონაცემების ინტეგრაციას, მონაცემთა ხარისხის მუდმივ

მონიტორინგსა და საერთაშორისო რეკომენდაციების პრაქტიკაში სრულფასოვან დანერგვას.

ამრიგად, შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკური შეფასების მეთოდოლოგიისსრულყოფა წარმოადგენს არა მხოლოდ სტატისტიკური სისტემის განვითარების, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

გამოყენებული ლიტერატურა

გელაშვილი, ს., მაკალათია, ი., მიქელაძე, გ. (2023). *ცხოვრების დონის სტატისტიკა.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მინდორაშვილი, მ. (2018). *ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2020). *ხარისხის პოლიტიკა.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2021a). *სტატისტიკური მონაცემების გადახედვის პოლიტიკა და შეცდომების კორექცია.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2021b). *ცხოვრების დონის მაჩვენებლები.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024a). *მეტამონაცემები: შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024b). *ოფიციალური სტატისტიკის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო (QAF ONAS).* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2026a). *შინამეურნეობების შემოსავლები.*https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2026b). *ცხოვრების დონის მაჩვენებლები (სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები).* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2026c). *ცხოვრების დონის მაჩვენებლები (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები).* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2026d). *ჯინის კოეფიციენტები.*https://geostat.ge/media/79297/303_ginis-koeficientebi-.xlsx

ტუხაშვილი, მ. (2026). *შრომის ეკონომიკა.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

European Commission, (2019). *ESS Quality Assurance Framework (QAF v2.0).* Luxembourg: Publications Office of the European Union.

OECD. (2013). *OECD Framework for Statistics on the Distribution of Household Income, Consumption and Wealth.* OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9789264194830-en

United Nations Economic Commission for Europe. (2019a). *Guidelines on Producing Statistics on Household Income, Consumption and Expenditure*. United Nations. https://unece.org/statistics/publications/guidelines-producing-statistics-household-income-consumption

United Nations Economic Commission for Europe. (2019b). *Global Assessment of the National Statistical System of Georgia.* Geneva: UNECE.

World Bank. (2026). *What other poverty lines do the World Bank use in tracking progress against global poverty.* World Bank Data. https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/193308

Methodology for the Statistical Assessment of Household Income in Georgia and Its Practical Application

Giorgi Mikeladze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Giorgi.Mikeladze@tsu.ge

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Simon.gelashvili@tsu.ge

Keti Mikatsadze
Bachelor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
keti.mikatsadze437@eab.tsu.edu.ge

Ekaterine Jangavadze
Bachelor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ekaterine.jangavadze187@eab.tsu.edu.ge

Summary

This article examines the methodological foundations of the statistical assessment of household income in Georgia and the specific features of their practical application. The study is based on official statistical data and internationally recognized methodological frameworks, with particular emphasis on the **System of National Accounts (SNA)**, the **Household Budget Survey (HBS)** methodology, and the recommendations of the **Organization for Economic Co-operation and Development (OECD)**, the **International Labour Organization (ILO)**, and the **World Bank**. Particular attention is devoted to the methodological aspects of statistical data collection, classification, comparability, validation, and quality assessment. The paper discusses the fundamental principles of income measurement, the

organization of sample surveys, the instruments used to assess data reliability, and the importance of ensuring consistency between micro-level and macro-level statistical data. The findings demonstrate that the reliability of household income assessment depends substantially on adherence to unified methodological principles, compliance with international statistical standards, and the systematic implementation of data quality assurance procedures, also, cross-validation, which allows for the identification of possible data deviations and the assessment of their accuracy.

Keywords: household, household income, statistical methodology, data quality, vali

საქართველოს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში

ავთანდილ სულაბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
sulaberidzeavtandil@gmail.com

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი;
მეცნიერ-კონსულტანტი
ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
daswreba@yahoo.com

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობის ძირითადი ტენდენციების ანალიზი, დემოგრაფიული კრიზისის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება და იმ ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გაუმჯობესება. კვლევა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების, საერთაშორისო დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის აღწარმოების პროცესებს, შობადობისა და მოკვდაობის დინამიკას, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებს, ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის ტრანსფორმაციას, აგრეთვე მიგრაციული პროცესების გავლენას ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. აღნიშნული საკითხების კომპლექსური განხილვა საშუალებას იძლევა შეფასდეს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და გამოიკვეთოს მისი გრძელვადიანი პერსპექტივები. კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს მოსახლეობის განყოფილების (UN Population Division), მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემების ანალიზს. მის მომზადებაში გამოყენებულია დემოგრაფიული სტატისტიკის შედარებითი, დინამიკური და სტრუქტურული ანალიზის მეთოდები.*

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, მოსახლეობა, მოსახლეობის დაბერება, მედიანური ასაკი, ბუნებრივი მატება, მიგრაცია.*

შესავალი

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს განვითარების ტრაექტორია ხასიათდებოდა როგორც ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისებით, ასევე სწრაფი რეფორმებისა და ეკონომიკური ზრდის ეტაპებით. ამასთან, მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, ქვეყნის წინაშე კვლავ დგას მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, მოსახლეობის დაბერება, შობადობის კლება და მაღალი ემიგრაციული აქტივობა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა თითქმის 30 პროცენტით შემცირდა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მედიანური ასაკი, რომელმაც გადააჭარბა ქვეყნის ყველა სახმელეთო მეზობლის შესაბამის მაჩვენებელს. შეინიშნება პირველი ქორწინებისა და პირველი შვილის დაბადების ასაკის ზრდა, განქორწინებათა რაოდენობის მატება და გარე მიგრაციის ინტენსიფიკაცია.

1990-იანი წლების დასაწყისიდან მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით საქართველო სულ უფრო მეტად უახლოვდება განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიულ მოდელს, ხოლო მიგრაციული პროცესების თვალსაზრისით – განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შრომით, სოციალურ და დემოგრაფიულ პოტენციალზე, რაც მათ სახელმწიფოებრივი განვითარებისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან ფაქტორად აქცევს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოგრაფიული ტრანსფორმაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების რადიკალურ ცვლილებებთან. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის, შეიარაღებული კონფლიქტების, ტერიტორიული დანაკარგებისა და მასშტაბური მიგრაციული პროცესების პირობებში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, დემოგრაფიული მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უარყოფით დინამიკას ავლენს, რის გამოც დემოგრაფიული ვითარება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მდგრადობისა და განვითარებისათვის უსერიოზულეს გამოწვევას წარმოადგენს.

თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა

საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო წლიური ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ეკონომიკის საშუალო ზრდის მაჩვენებელს. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, ეკონომიკური განვითარების დონით ქვეყანამ საგრძნობლად გაიუმჯობესა პოზიციები და ბოლო ათწლეულში საშუალო შემოსავლის მქონე სახელმწიფოებს შორის უფრო მაღალი ადგილი დაიკავა.

მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების წინაშე კვლავ რჩება ორი ფუნდამენტური გამოწვევა: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება. თუ პირველ შემთხვევაში პროგრესი არსებითად არ შეინიშნება, მეორე მიმართულებით მრავალი ინდიკატორი მხოლოდ უარყოფით დინამიკას ავლენს. დემოგრაფიული პროცესები, მათი გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების გარემოზე.

დემოგრაფიული ვითარების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს შობადობის შემცირება, რომელიც მიმდინარეობს მოკვდაობის შედარებით სტაბილური მაჩვენებლების ფონზე. 1994 წლიდან დღემდე ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 13 წლის განმავლობაში უარყოფითი იყო. ამავე დროს, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი არაერთ წელს ჩამორჩებოდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელ დონეს (2.1). არსებული შეფასებებით, აღნიშნული მაჩვენებლის მხოლოდ აღწარმოების

დონეზე შენარჩუნების შემთხვევაშიც კი ქვეყანაში ასეულ ათასობით მეტი ბავშვი დაიბადებოდა. 2025 წელს საქართველოში დაიბადა 37.9 ათასი ბავშვი, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 44.3 ათასი შეადგინა. შედეგად, ბუნებრივი კლება 6.4 ათასი ადამიანით განისაზღვრა.

დიაგრამა 1



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მთლიანობაში, 2025 წლის შობადობის მაჩვენებელი ფარავდა გარდაცვალებათა და საქართველოს მოქალაქეების უარყოფითი სალდოს ჯამური სიდიდის მხოლოდ 32.8 პროცენტს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 2012 წელს ეს მაჩვენებელი 62.2 პროცენტს შეადგენდა.

2020-2026 წლებში ჯამში საქართველოში გარდაცვალებათა რაოდენობამ (337.3 ათასი) დაბადებათა ჯამურ მაჩვენებელს (300.6 ათასი) გადააჭარბა 36.6 ათასით, რაც მეტია ისეთი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობასთან შედარებით, როგორიცაა, მაგალითად, ჭიათურის მუნიციპალიტეტი (36.5 ათასი კაცი).

დიაგრამა 2



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებასთან. 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, 2026 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 28.6 პროცენტით შემცირდა. ამავე პერიოდში 15 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა 43.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა პირიქით - 37.8 პროცენტით გაიზარდა.

დიაგრამა 3



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

შედეგად, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საერთო მოსახლეობაში 9.5 პროცენტიდან 18.1 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა მოხუცებისა და ბავშვების თანაფარდობა: თუ 1990-იან წლებში ყოველ 100 ბავშვზე დაახლოებით 39 ხანდაზმული მოდიოდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი 95-ს აღწევს.

დიაგრამა 4



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. ამჟამად ყოველ 1000 საპენსიო ასაკის მოსახლეზე საქართველოში მოდის დაახლოებით 2.4-ჯერ ნაკლები 15 წლამდე ასაკის ბავშვი, ვიდრე აზერბაიჯანში, 2.0-ჯერ ნაკლები, ვიდრე თურქეთში და 1.3-ჯერ ნაკლები, ვიდრე სომხეთში.

დიაგრამა 5



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ შესაბამისი ქვეყნების სტასამსახურების მონაცემების საფუძველზე.

დაბალი შობადობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის მედიანური ასაკის ზრდას. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 31.6 წლიდან 38.0 წლამდე გაიზარდა, რის შედეგადაც საქართველოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და თურქეთთან შედარებით ყველაზე ხანდაზმული მოსახლეობა ჰყავს.

დიაგრამა 6



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ შესაბამისი ქვეყნების სტასამსახურების მონაცემების საფუძველზე.

დემოგრაფიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარე მიგრაციაც. დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში ემიგრანტთა შორის შრომისუნარიანი ასაკის

მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამავე ასაკობრივი ჯგუფის წილს ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში. შედეგად, ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის საშუალო ასაკი ემიგრანტების საშუალო ასაკზე უფრო მაღალია, რაც დამატებით ამცირებს რეპროდუქციულ პოტენციალს.

მიგრაციული პროცესების გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო წლების მონაცემებში. 2012–2025 წლებში საქართველოდან გასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობამ შემოსულთა რაოდენობას 312.4 ათასით გადააჭარბა. ამავე პერიოდში ქვეყანაში დაფიქსირდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დადებითი მიგრაციული სალდო, რომელმაც 286.6 ათასი ადამიანი შეადგინა. აღნიშნული ტენდენციები გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობრივ დინამიკაზე, არამედ მის ასაკობრივ, ეთნიკურ და სოციალურ სტრუქტურაზეც.

ოჯახის რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებები ასევე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ფაქტორია. მრავალშვილიანი ოჯახების წილის შემცირების პარალელურად, ფართოდ გავრცელდა ერთ- და ორშვილიანი ოჯახების მოდელი. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ისე ქორწინებისა და მშობლობის გადავადების მზარდი ტენდენცია.

დიაგრამა 7



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

2021–2025 წლებში, მიგრაციული ფაქტორის გაუთვალისწინებლად, მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ნულოვანი დონის შესანარჩუნებლად საჭირო იქნებოდა ფაქტობრივზე 34.2 ათასით მეტი ბავშვის დაბადება. მხოლოდ 2025 წლის მონაცემებით, ბუნებრივი კლების თავიდან ასაცილებლად შობადობის მაჩვენებელი დაახლოებით 17 პროცენტით მაღალი უნდა ყოფილიყო. - ეს რაოდენობა ფაქტობრივად შეესაბამება საქართველოს ისეთი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის რიცხოვნობას, როგორებიცაა მაგალითად სენაკი (34.8 ათასი კაცი) ან საჩხერე (34.0 ათასი კაცი).

სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორი, მათ შორის ის გარემოებაც, რომ შობადობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება აისახა არა მარტო

აბსოლუტური მაჩვენებლების კლებასა და მათ ხარისხობრივ გაუარესებაში, არამედ 2025 წელს დამყარებულ კიდევ ერთ ანტირეკორდშიც. კერძოდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილ სამ ათეულ წელიწადში (1994-2025 წწ.) რიგითობით დაბადებულ პირველ ბავშვთა რაოდენობის თანაფარდობა ქორწინებათა საერთო რაოდენობასთან შეადგენდა 106.0 პროცენტს, მათ შორის 2025 წელს - მხოლოდ 62.3 პროცენტს.

დიაგრამა 8



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ბუნებრივი მატების შემცირებაზე მიუთითებს ასევე შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტების ურთიერთმიმართება. 1994 წელს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 10.4‰-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წელს – 11.3‰-ს. ამასთან, უკვე რამდენიმე წელია გარდაცვლილთა რაოდენობა სისტემატურად აღემატება დაბადებულთა რაოდენობას.

დიაგრამა 9



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

იმავეს თქმა შეიძლება შობადობისა და გარდაცვალების მაჩვენებლების თანაფარდობისას - მათ შორის უკვე წლებია, უპირატესობა სწორედ გარდაცვალებათა რაოდენობის მხარესაა.

დიაგრამა 10



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

2020–2025 წლებში საქართველოს ბუნებრივი მატება მუდმივად უარყოფითი იყო. აღნიშნულ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობამ დაბადებულთა რაოდენობას 34.0 ათასით გადააჭარბა. პარალელურად, 2015 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად მცირდება დაბადებულთა რაოდენობა, რის შედეგადაც 2025 წელს დაბადებულთა რაოდენობა 2015 წლის მაჩვენებელზე 37.5 პროცენტით ნაკლები აღმოჩნდა.

დიაგრამა 11



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ საქართველოს დემოგრაფიული განვითარება ხასიათდება მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებით, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებითა და მიგრაციული პროცესების მაღალი ინტენსივობით. აღნიშნული გამოწვევების ეფექტიანი მართვა საჭიროებს კომპლექსურ და გრძელვადიან სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს როგორც შობადობის ხელშემწყობ ღონისძიებებს, ისე მიგრაციული და სოციალური პოლიტიკის შემდგომ განვითარებას.

რეპროდუქციული ქცევის ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს **მშობლობის გადავადების** ტენდენცია. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი ოფიციალური ქორწინების ასაკი. ბოლო ასწლეულის განმავლობაში საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 11 წლით გაიზარდა, რაც პირდაპირ აისახება როგორც მოსახლეობის აღწარმოების ინტენსივობაზე, ისე მისი ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე.

სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის მნიშვნელოვან მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს რეპროდუქციული ქცევის ცვლილება, რომლის პირობებშიც ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი შვილების გაჩენას ძირითადად 30 წლამდე ასაკში ასრულებს, ხოლო მეორე მხრივ, იზრდება გადავადებული მშობლობის შემთხვევები 40 წლისა და უფროსი ასაკის ჯგუფებში.

ამასთან, საქართველოში **პირველი ქორწინების საშუალო** ასაკი ქალებისთვის (30.1 წელი) თითქმის 3 წლით აღემატება დედის საშუალო ასაკს პირველი ბავშვის დაბადებისას (27.4 წელი). აღნიშნული სხვაობა 2000 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ სულ უფრო მეტი წყვილი ოჯახურ თანაცხოვრებას ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე იწყებს და ზოგ შემთხვევაში მხოლოდ რელიგიური ქორწინებით შემოიფარგლება.

შედეგად, გაიზარდა არარეგისტრირებული ქორწინებების გავრცელება, შეიცვალა ოჯახის ფორმირების ტრადიციული მოდელები და გაძლიერდა არაოფიციალური თანაცხოვრების პრაქტიკა. აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო ქორწინების გარეშე

შობადობის ზრდას და გავლენა მოახდინა რეპროდუქციული პერიოდის ხანგრძლივობასა და შობადობის დონეზე.

დიაგრამა 12



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ოჯახური ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე მიუთითებს განქორწინებათა რაოდენობის ზრდაც. 1994-2025 წლებში განქორწინებათა რაოდენობა 4.3-ჯერ გაიზარდა — 3 089-დან 13 173-მდე, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ქორწინებათა რაოდენობამ მხოლოდ 1.7 პროცენტით მოიმატა. შესაბამისად, თუ 1994 წელს ყოველ 1000 ქორწინებაზე 141 განქორწინება მოდიოდა, 2025 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 591-ს მიაღწია.

დიაგრამა 13



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

თუმცა, განქორწინებების ზრდა მხოლოდ ოჯახის ინსტიტუტის კრიზისით ვერ აიხსნება. აღნიშნულ პროცესს მრავალფაქტორული ხასიათი აქვს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდა, რაც დაკავშირებულია მათი დასაქმებისა და შემოსავლების მატებასთან. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა ფინანსური დამოკიდებულება მეუღლეზე და გაიზარდა ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოებაში განქორწინება ნაკლებად სტიგმატურ მოვლენად აღიქმება, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ. განათლების დონის ამაღლებამ და ქალთა ეკონომიკურმა აქტივობამ შეამცირა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ადამიანები პრობლემურ ან ძალადობრივ ურთიერთობებს მხოლოდ სოციალური ან ეკონომიკური მიზეზების გამო ინარჩუნებდნენ.

ოჯახური ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე გავლენას ახდენს ასევე ღირებულებითი ცვლილებები. თანამედროვე ოჯახში პარტნიორები სულ უფრო მეტად მოელიან არა მხოლოდ ეკონომიკურ სტაბილურობას, არამედ ემოციურ მხარდაჭერას, თვითრეალიზაციის შესაძლებლობასა და პიროვნულ განვითარებას. შესაბამისად, ურთიერთობის ხარისხისადმი მოთხოვნების ზრდა ზოგ შემთხვევაში ზრდის ოჯახური კონფლიქტებისა და დაშორების ალბათობას.

აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ურბანიზაცია და ინდივიდუალიზაციის გაძლიერება. ქალაქური ცხოვრების პირობებში ტრადიციული სოციალური კონტროლი სუსტდება, ხოლო პირადი არჩევანის მნიშვნელობა იზრდება. გარდა ამისა, განქორწინების სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება ზრდის ოფიციალურად რეგისტრირებული განქორწინებების რაოდენობას.

საქართველოში აღნიშნულ გლობალურ ტენდენციებს ემატება ადგილობრივი სპეციფიკური ფაქტორებიც. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ტრადიციული მოდელი კვლავ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტად რჩება, ახალგაზრდების ნაწილი უფრო თანასწორ და ინდივიდუალურ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას. ამ ორი ღირებულებითი სისტემის თანაარსებობა ხშირად ოჯახური დაძაბულობის წყაროდ იქცევა.

ოჯახურ სტაბილურობაზე გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური გარემოც. ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე, დაბალი შემოსავლები, ემიგრაცია და ფინანსური გაურკვევლობა ოჯახური ურთიერთობების დამატებით რისკ-ფაქტორებს ქმნის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში კვლავ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქორწინება ძლიერი სოციალური ზეწოლის, ტრადიციული ნორმების ან მოკლე პერიოდის ურთიერთობის საფუძველზე ფორმირდება.

საერთო ჯამში, მიმდინარე პროცესები მიუთითებს არა ოჯახის ინსტიტუტის შესუსტებაზე, არამედ მის ტრანსფორმაციაზე: ადამიანები უფრო გვიან ქორწინდებიან, ურთიერთობის ხარისხის მიმართ უფრო მაღალი მოთხოვნები აქვთ და ნაკლებად არიან მიდრეკილნი ფორმალურად შეინარჩუნონ მათთვის მიუღებელი ოჯახური ურთიერთობები.

მნიშვნელოვან კვლევით კითხვად რჩება, რამდენი შვილის ყოლაა საჭირო მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად. თანამედროვე დემოგრაფიულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დაახლოებით 2.1–2.15-ის დონეზე შენარჩუნება, რაც საშუალოდ ერთ ქალზე ორი ან ოდნავ მეტი ბავშვის დაბადებას გულისხმობს. ოჯახურ დონეზე ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2.6 ბავშვს შეესაბამება. საქართველოში ბოლო წლებში არსებული ფაქტობრივი მაჩვენებლები აღნიშნულ დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიულ განვითარებაში შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციებიც.

ერთ-ერთი მათგანია **აბორტების** რაოდენობის მკვეთრი შემცირება. 1990 წელს ქვეყანაში დაახლოებით 150 ათასი აბორტი დაფიქსირდა, ხოლო 2024 წლისთვის მათი რაოდენობა 11.5 ათასამდე შემცირდა, ანუ დაახლოებით 13-ჯერ.

დიაგრამა 14



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

რეპროდუქციული ასაკის ყოველ 1000 ქალზე აბორტების რაოდენობა იმავე პერიოდში 180-დან 12-მდე შემცირდა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა აბორტების თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობასთან და აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტიც (1999 წლის 3.7-დან 2024 წლის 0.9-მდე).

დიაგრამა 15



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მეორე პოზიტიური ტენდენცია **სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის** ზრდაა. თუ 1990-იან წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70.1 წელს შეადგენდა, ამჟამად იგი დაახლოებით 76.0 წლამდეა გაზრდილი. ამასთან, მამაკაცებში აღნიშნული მაჩვენებელი 66.0-დან 71.4 წლამდე, ხოლო ქალებში 74.1-დან 80.6 წლამდე გაიზარდა.

დიაგრამა 16



დიაგრამა მომზადებულია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა რეგიონულ კონტექსტში

საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული განვითარება არსებითად განსხვავდება მისი უშუალო მეზობლებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების დემოგრაფიული ტენდენციებისგან. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში თითქმის ყველა ქვეყანა განიცდის დემოგრაფიული გარდაქმნის პროცესს, აღნიშნული პროცესების მასშტაბი და ინტენსივობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის გამოირჩევა მოსახლეობის დაბერების ყველაზე მაღალი დონით. მოსახლეობის მედიანური ასაკი, ხანდაზმული მოსახლეობის წილი და ბავშვთა რაოდენობის შემცირების ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებლებს აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამასთანავე, საქართველო თურქეთთან შედარებითაც უფრო გვიანდელ დემოგრაფიულ ეტაპზე იმყოფება, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ასაკობრივი სტრუქტურისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლებით.

რეგიონული შედარება აჩვენებს, რომ საქართველოს დემოგრაფიული თავისებურება მხოლოდ დაბალ შობადობაში არ გამოიხატება. მნიშვნელოვანი განსხვავებაა მიგრაციული პროცესების მიმართულებასა და მასშტაბებშიც. დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ემიგრაციული გადინება ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა ქვეყნის დემოგრაფიული დინამიკისათვის, მაშინ როდესაც მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებების განმსაზღვრელ ფაქტორად უფრო მეტად ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები რჩებოდა.

აღნიშნული გარემოებების შედეგად, საქართველო რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად დაბერებად საზოგადოებად ჩამოყალიბდა. თუ აზერბაიჯანი და ნაწილობრივ თურქეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ შედარებით ახალგაზრდულ ასაკობრივ სტრუქტურას, საქართველო უკვე იმ გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც დამახასიათებელია ევროპის მრავალი განვითარებული ქვეყნისათვის. ამასთან, საქართველოს მდგომარეობის სპეციფიკურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მოსახლეობის დაბერება და შობადობის

შემცირება მიმდინარეობს შედარებით შეზღუდული ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსების პირობებში.

ამგვარად, საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები მხოლოდ ეროვნული მასშტაბის პრობლემა არ არის. რეგიონულ ჭრილში ქვეყანა სულ უფრო მეტად განსხვავდება თავისი უშუალო მეზობლებისგან, რაც დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებისას საჭიროებს როგორც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას, ისე ქვეყნის სპეციფიკური დემოგრაფიული რეალობისადმი ადაპტირებულ მიდგომებს.

ღონისძიებები ნეგატიური დემოგრაფიული პროცესების გამოსასწორებლად

საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბალი შობადობა, მოსახლეობის დაბერება, ინტენსიური ემიგრაცია, რეგიონების დემოგრაფიული დაცლა და შრომითი ბაზრის სტრუქტურული პრობლემები. შესაბამისად, აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია გრძელვადიანი, მრავალმხრივი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნებასა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას. ეკონომიკური ზრდა ამაღლებს როგორც მოსახლეობის კეთილდღეობას, ისე სახელმწიფოს შესაძლებლობას, განახორციელოს მასშტაბური დემოგრაფიული პროგრამები.

ოჯახზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში მიზანშეწონილია ახალგაზრდა ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი საბინაო პროგრამების განვითარება, მათ შორის შეღავათიანი იპოთეკური სესხების დანერგვა. ასევე მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღებისა და ბავშვზე ზრუნვის სერვისების გაფართოება, მშობელთა ანაზღაურებადი შვებულებების განვითარება და მოქნილი დასაქმების ფორმების ხელშეწყობა.

დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა დარჩეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მხარდაჭერა, მათ შორის უშვილობის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების გაფართოება და რეგიონებში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

დამატებით რესურსს წარმოადგენს დიასპორასთან მიზანმიმართული თანამშრომლობა. დაბრუნების ხელშემწყობი პროგრამები, საგადასახადო სტიმულები და ბიზნესის დაწყების მხარდამჭერი მექანიზმები შეიძლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად იქცეს რეემიგრაციის წასახალისებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიან და სასაზღვრო რეგიონებს, სადაც დემოგრაფიული პრობლემები შედარებით მწვავედ ვლინდება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატება, როგორც წესი, დაკავშირებულია სპეციალიზებული ინსტიტუციური მექანიზმების არსებობასთან, სისტემატურ მონიტორინგთან და გრძელვადიან ეროვნულ სტრატეგიასთან. ამასთან, დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესება მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებსა და მრავალწლიანი პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას.

რათქმა უნდა, დემოგრაფიული მდგომარეობის მდგრადი გაუმჯობესება ვერ მიიღწევა მხოლოდ ფინანსური სტიმულებით, საინფორმაციო კამპანიებით ან მიგრაციული პოლიტიკის ცალკეული ინსტრუმენტებით. დემოგრაფიული ცვლილებები ხანგრძლივი პროცესია და მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ განვითარებას. შესაბამისად, საქართველოსთვის დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს არა როგორც სექტორული მიმართულება, არამედ როგორც ეროვნული განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

დასკვნა

საქართველო ამჟამად იმყოფება ხანგრძლივი დემოგრაფიული ტრანსფორმაციის ეტაპზე, რომლის ძირითადი მახასიათებლებია მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, მოსახლეობის ასაკობრივი დაბერება, შობადობის შემცირება და გარე მიგრაციის მაღალი ინტენსივობა. აღნიშნული პროცესები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთობლივად განსაზღვრავს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, გაუარესდა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის წილი. ამავდროულად, შობადობის არსებული დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, ხოლო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში უმეტესად უარყოფითია. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს დეპოპულაციის პროცესის გაღრმავებაზე.

დემოგრაფიულ ცვლილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის ტრანსფორმაციაც. იზრდება პირველი ქორწინებისა და პირველი მშობლობის ასაკი, ფართოვდება არარეგისტრირებული თანაცხოვრების ფორმები, იცვლება ოჯახური და რეპროდუქციული ქცევის ტრადიციული მოდელები. აღნიშნული პროცესები, ერთი მხრივ, სოციალური მოდერნიზაციის გამოხატულებაა, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენს შობადობის ინტენსივობასა და მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებზე.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გარე მიგრაცია კვლავ რჩება საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის გადინება, რაც ამცირებს ქვეყნის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალს და აჩქარებს მოსახლეობის დაბერების პროცესს.

ამასთანავე, გამოვლინდა გარკვეული პოზიტიური ტენდენციებიც. მნიშვნელოვნად შემცირდა აბორტების რაოდენობა, გაიზარდა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა და გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის რიგი მაჩვენებლები. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პირობებში შესაძლებელია დემოგრაფიული პროცესების ცალკეული მიმართულებების გაუმჯობესება.

მთლიანობაში, *საქართველო დემოგრაფიული განვითარების მხრივ სულ უფრო მეტად ემსგავსება აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის დაბერებად საზოგადოებებს, ვიდრე თავის სამხრეთკავკასიურ მეზობლებს.* მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით ის სულ უფრო მეტად უახლოვდება განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიულ მოდელს, ხოლო მიგრაციული პროცესების თვალსაზრისით — განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიულ მოდელს.

დემოგრაფიული გამოწვევების მასშტაბიდან გამომდინარე, მათი დაძლევა მოითხოვს გრძელვადიან, კომპლექსურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ახალგაზრდების დასაქმების ზრდას, ოჯახზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის გაძლიერებას, რეგიონული განვითარების მხარდაჭერას, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებასა და დიასპორასთან ეფექტიანი თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებას.

საქართველოს დემოგრაფიული მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებით შეძლებს ქვეყანა დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთმანეთთან კოორდინირებულ განხორციელებას. არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში მოსახლეობის დაბერებისა და დეპოპულაციის პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება, ხოლო ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების ეტაპობრივი გაუმჯობესება და ქვეყნის დემოგრაფიული პოტენციალის გაძლიერება.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე ტენდენციები მიუთითებს, რომ ქვეყნის წინაშე არსებული დემოგრაფიული გამოწვევები აღარ წარმოადგენს მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობრივი დინამიკის პრობლემას. ისინი თანდათან გარდაიქმნება ეკონომიკური განვითარების, შრომითი რესურსების ფორმირების, რეგიონული განვითარების და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ გამოწვევად. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა XXI საუკუნის საქართველოში უნდა განიხილებოდეს არა როგორც სოციალური პოლიტიკის ცალკეული მიმართულება, არამედ როგორც სახელმწიფო განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი /UNFRA გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი; შემდგ.: გიორგი წულაძე; [სარედ. კოლ.: ა. სულაბერიძე (მთ. რედ.) [და სხვ.]. თბ., 2012 (შპს „ვესტა“)
2. ავთანდილ სულაბერიძე, იოსებ არჩვაძე, ვლადიმერ სულაბერიძე. დემოგრაფიული კოლაფსი საქართველოში. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. - თბილისი, 2024, გვ. 79-97.
3. ა. სულაბერიძე, ი. არჩვაძე. დემოგრაფიული ტენდენციები. - კრებულიდან: დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში. - თბილისი, 2025, გვ. 12-37.

4. Сулаберидзе А.В., Арчвадзе И.С., Сулаберидзе В.А. - Вызовы рождаемости постсоветской Грузии. НАСЕЛЕНИЕ ПОСТСОВЕТСКИХ СТРАН: ТЕНДЕНЦИИ, ПРОГНОЗЫ, МЕЖПОКОЛЕНЧЕСКИЕ ТРАНСФЕРТЫ. под науч. ред. М.Б. Денисенко. М., «Прометей», 2024, сс. 255-284.
5. Weeks, J. R. (2020). *Population: An Introduction to Concepts and Issues* (13th ed.). Cengage Learning.
6. Notestein, F. W. (1945). *Population: The Long View*. In T. W. Schultz (Ed.), Food for the World. University of Chicago Press.
7. Van de Kaa, D. J. (1987). *Europe's Second Demographic Transition*. Population Bulletin, 42(1).
8. Lesthaeghe, R. (2010). *The Unfolding Story of the Second Demographic Transition*. Population and Development Review, 36(2), 211–251.
9. Massey, D. S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. E. (1993). *Theories of International Migration: A Review and Appraisal*. Population and Development Review, 19(3), 431–466.
10. Eberstadt, N. (2010). *The Demographic Future: What Population Growth—and Decline—Means for the Global Economy*. Foreign Affairs, 89(6).
11. Вишневский А. Г. (2005). *Демографическая модернизация России, 1900–2000*. Москва: Новое издательство.
12. https://data.worldbank.org/
13. https://www.geostat.ge/
14. https://www.tuik.gov.tr
15. https://www.stat.gov.az
16. https://armstat.am

Demographic Transformation of Georgia in the Post-Soviet Period

Avtandil Sulaberidze
Doctor of Economics, Professor
Iliauni Institute of Demography and Sociology
sulaberidzeavtandil@gmail.com

Ioseb Archvadze
Doctor of Economics, Professor
Central European University;
Scientific Consultant
Iliauni Institute of Demography and Sociology
daswreba@yahoo.com

Summary

During the post-Soviet period, Georgia achieved significant economic progress and improved its position in international rankings. Nevertheless, one of the country's most important development challenges remains its demographic situation, characterized by population decline, population aging, and the high intensity of migration processes. The primary cause of the demographic crisis is the decline in fertility. Over recent decades, the fertility rate has frequently remained below the level required for simple population replacement. In 2025, 37.9 thousand children were born in Georgia, while 44.3 thousand people died, resulting in a natural population decrease of 6.4 thousand individuals. Between

2020 and 2026, the number of deaths exceeded the number of births by 36.6 thousand. Furthermore, the number of births has been declining annually since 2015, and by 2025 it was 37.5% lower than in 2015. Alongside the numerical decline in population, Georgia's age structure has also changed significantly. Between the early 1990s and 2026, the country's population decreased by nearly 29%. The number of children declined substantially, while the population aged 65 and older increased considerably. As a result, the share of elderly people in the total population rose from 9.5% to 18.1%. The median age increased from 31.6 to 38 years, making Georgia one of the oldest societies in the region. Migration has also had a significant impact on the country's demographic situation. Between 2012 and 2025, the number of Georgian citizens leaving the country exceeded the number of returnees by 312.4 thousand. Most emigrants belong to the working-age population, reducing the country's reproductive and economic potential. At the same time, the inflow of foreign citizens has increased, affecting the ethnic and social composition of the population. Important changes can also be observed in family structures and reproductive behavior. The proportion of large families has declined, while one- and two-child family models have become more widespread. There has been a growing tendency to postpone marriage and parenthood, as well as an increase in non-registered cohabitation. The average age of women at first marriage is 30.1 years, while the average age of mothers at the birth of their first child is 27.4 years. In addition, the number of divorces has increased sharply: between 1994 and 2025, it grew by a factor of 4.3. These developments are linked both to socio-economic changes and to increasing individualization and shifts in social values. Despite these negative trends, several positive developments should also be noted. The number of abortions has decreased dramatically, from approximately 150 thousand in 1990 to 11.5 thousand in 2024. Life expectancy has also increased, rising from 70.1 years to approximately 76 years. Addressing Georgia's demographic challenges requires a comprehensive and long-term state policy. Key priorities should include sustaining economic growth, creating well-paid jobs, supporting young families, expanding housing and social programs, promoting reproductive health, and encouraging return migration. Particular attention should be paid to regional development and the prevention of demographic depopulation. Effective solutions to demographic problems can only be achieved within the framework of a national development strategy that integrates economic, social, and institutional policies into a unified system.

Keywords: demography, population, population aging, median age, natural increase, migration.

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე: გამოწვევები და მდგრადობის მექანიზმები

ნანა შონია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.shonia@atsu.edu.ge

ნიკა გაჩეჩილაძე
დიპლომირებული მედიკოსი
gachechiladzenika4@gmail.com

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა ეძღვნება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენის შეფასებას საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე და ჯანდაცვის სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის* მექანიზმების ანალიზს. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო *დაპირისპირებების, რეგიონული კონფლიქტების, ეკონომიკური სანქციებისა და მიწოდების ჯაჭვების რღვევის ფონზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. კვლევაში განხილულია სამედიცინო რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირება, ვაქცინური უთანასწორობა, ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების შესუსტება, მიგრაციული პროცესების გავლენა, სამედიცინო პერსონალის მიგრაცია და ჯანდაცვის სფეროზე მზარდი ფინანსური ზეწოლა. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, WHO, UNDP, World Bank, WEF) ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. დადგინდა, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მნიშვნელოვნად არღვევს სამედიცინო რესურსების მიწოდების ჯაჭვებს, ზრდის ჯანდაცვის სისტემების მოწყვლადობას და ამწვავებს უთანასწორობას ქვეყნებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა COVID-19-ის პანდემიის გამოცდილებას, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა საერთაშორისო თანამშრომლობის, ტექნოლოგიური ინოვაციების და რესურსების სამართლიანი განაწილების მნიშვნელობა. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები. ხაზგასმულია მედიკამენტების იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების, ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების განვითარების, ციფრული ჯანდაცვის სისტემების დანერგვის, ადამიანური რესურსების შენარჩუნებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ და გრძელვადიან პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებული იქნება პრევენციაზე, ინოვაციებზე, ფინანსურ მდგრადობასა და გლობალურ თანამშრომლობაზე. საქართველოსათვის ეს მიმართულებები მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ისე ეროვნული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.*

1. Aiyar, S., Chen, J., Ebeke, C. H., Garcia-Saltos, R., Gudmundsson, T., Ilyina, A., Kangur, A., Kunaratskul, T., Rodriguez, S. L., Ruta, M., Schulze, T., Soderberg, G., & Trevino, J. P. (2023). *Geoeconomic Fragmentation and the Future of Multilateralism*. IMF Staff Discussion Note SDN/2023/001. Washington, DC: International Monetary Fund.
2. International Monetary Fund (IMF). (2024). *World Economic Outlook: Policy Pivot, Rising Threats*. Washington, DC: IMF.
3. International Monetary Fund (IMF). (2025). *Global Financial Stability Report*. Washington, DC: IMF.
4. World Health Organization (WHO). (2022). *Global Vaccine Market Report 2022*. Geneva: WHO.

5. World Health Organization (WHO). (2024). *World Health Statistics 2024: Monitoring Health for the SDGs*. Geneva: WHO.
6. World Health Organization (WHO). (2023). *Strengthening Health Systems Resilience for Global Health Security*. Geneva: WHO.
7. United Nations Development Programme (UNDP). (2022). *Vaccine Equity and Economic Recovery Report*. New York: UNDP.
8. United Nations (UN). (2024). *Global Humanitarian Overview*. New York: United Nations.
9. United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR). (2024). *Global Trends: Forced Displacement in 2024*. Geneva: UNHCR.
10. World Economic Forum (WEF). (2025). *Navigating Global Financial System Fragmentation*. Geneva: World Economic Forum.
11. World Economic Forum (WEF). (2025). *Global Risks Report 2025*. Geneva: World Economic Forum.
12. World Bank. (2024). *Global Economic Prospects*. Washington, DC: World Bank.
13. World Bank. (2023). *Pandemic Preparedness and Health System Resilience Report*. Washington, DC: World Bank.
14. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2024). *Health at a Glance: Europe 2024*. Paris: OECD Publishing.
15. European Stability Mechanism (ESM). (2024). *Stronger Together: Safeguarding Financial Stability in a Fragmented World*. Luxembourg: ESM.

სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები

16. Kickbusch, I., Piselli, D., Agrawal, A., Balicer, R., Banner, O., Adelhardt, M., & Capobianco, E. (2021). *The Lancet and Financial Times Commission on Governing Health Futures 2030: Growing up in a Digital World*. The Lancet, 398(10312), 1727–1776.
17. Frenk, J., Gómez-Dantés, O., & Moon, S. (2014). *From Sovereignty to Solidarity: A Renewed Concept of Global Health for an Era of Complex Interdependence*. The Lancet, 383(9911), 94–97.
18. Kruk, M. E., Myers, M., Varpilah, S. T., & Dahn, B. T. (2015). *What is a Resilient Health System? Lessons from Ebola*. The Lancet, 385(9980), 1910–1912.
19. Hanefeld, J., Mayhew, S., Legido-Quigley, H., & Martineau, F. (2018). *Towards an Understanding of Resilience: Responding to Health Systems Shocks*. Health Policy and Planning, 33(3), 355–367.
20. Labonté, R., Mohindra, K., & Schrecker, T. (2011). *The Growing Impact of Globalization for Health and Public Health Practice*. Annual Review of Public Health, 32, 263–283.
21. Baldwin, R. (2016). *The Great Convergence: Information Technology and the New Globalization*. Harvard University Press.
22. Garrett, L. (2023). *The Coming Health Crisis in a Fragmented World*. Foreign Affairs, 102(4), 34–49.
23. Sachs, J. D. (2022). *The Age of Globalization: Geography, Technology, and Institutions*. Columbia University Press.
24. Bloom, D. E., Cadarette, D., & Sevilla, J. (2024). *Health, Economic Growth, and Global Development*. Oxford University Press.

საქართველოსთან დაკავშირებული წყაროები

25. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2024). *ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2025–2030*.
26. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC). (2024). *საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში*.
27. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული*.

28. საქართველოს პარლამენტი. (2024). *საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი.*
29. Asian Development Bank (ADB). (2024). *Georgia: Health Sector Assessment, Strategy and Road Map.*
30. World Bank. (2024). *Georgia Health System Performance Assessment.* Washington, DC: World Bank.

The Impact of Geopolitical and Geoeconomic Fragmentation on Public Health: Challenges and Resilience Mechanisms

Nana Shonia
Doctor of Economics, Professor
Akaki Tsereteli State University
nana.shonia@atsu.edu.ge

Nika Gachechiladze
Diploma-holding Medic
gachechiladzenika4@gmail.com

Summary

The present study is dedicated to assessing the impact of geopolitical and geoeconomic fragmentation on public health and analyzing the mechanisms for ensuring the resilience of healthcare systems. In the modern world, against the background of international confrontations, regional conflicts, economic sanctions, and disruptions in supply chains, public health faces significant challenges. The research examines the reduction in access to medical resources, vaccine inequality, the weakening of global health security, the influence of migration processes, the migration of medical personnel, and the growing financial pressure on the healthcare sector. The study is based on the analysis of reports and statistical data from international organizations (IMF, WHO, UNDP, World Bank, WEF). It has been established that geoeconomic fragmentation significantly disrupts the supply chains of medical resources, increases the vulnerability of healthcare systems, and exacerbates inequality between countries. Particular attention is paid to the experience of the COVID-19 pandemic, which clearly demonstrated the importance of international cooperation, technological innovations, and the fair distribution of resources. The paper analyzes the main challenges and opportunities facing Georgia's public healthcare system. Emphasis is placed on the necessity of reducing dependence on imported medicines, developing local pharmaceutical production, implementing digital healthcare systems, retaining human resources, and deepening international cooperation. The results of the study show that ensuring the resilience of the healthcare system requires a comprehensive and long-term policy based on prevention, innovation, financial sustainability, and global cooperation. For Georgia, these directions are important both for the protection of public health and for ensuring national security and sustainable development.

Keywords: public health, geopolitical fragmentation, geoeconomic fragmentation, health security, healthcare system resilience, vaccine inequality, digital healthcare, Georgia.

კონკურენტუანარიანობის კონცეფციის ახლებური გააზრება იმერეთის რეგიონის საწარმოების მაგალითზე

ნარგიზა ქარქაშაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლისსახელმწიფო უნივერსიტეტი
Nargiza.karkashadze@atsu.edu.ge

ნანა ბენიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლისსახელმწიფო უნივერსიტეტი
Nana.benidze1@atsu.edu.ge

შურა უკლება
მოწვეული მასწავლებელი
აკაკი წერეთლისსახელმწიფო უნივერსიტეტი
Shura.ukleba@atsu.edu.ge

ანოტაცია. *სტატიაში „კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ახლებური გააზრება იმერეთის რეგიონის საწარმოების მაგალითზე“ ყურადღება გამახვილებულია კონკურენტუნარიანობის ტრადიციულ და ახლებურ მიდგომებზე, კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელიც საქართველოში თანამედროვე ეტაპზე არსებობს. სტატიაში მოცემულია სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები კონკურენტუნარიანობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ კონკურენტუნარიანობა მრავალფაქტორული ცნებაა. სტატიაში ასევე გადმოცემულია იმერეთის რეგიონის როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მოყვანილია ძირითადი მაჩვენებლები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აქვს იმერეთის ეკონომიკურ წარმატებაში. სტატიაში ასევე განხილულია კონკურენტუნარიანობის დონეები, რადგან კონკურენტუნარიანობის ამაღლება და განვითარება სამივე დონეზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში. სტატიაში ასევე საუბარია SWOT ანალიზზე, რომლის დახმარებით ვლინდება როგორც ქვეყნის, რეგიონის და საწარმოს ძლიერი, სუსტი ფაქტორები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც გვეხმარება ბაზარზე მივაღწიოთ უპირატესობას და გამოვავლინოთ შესაძლებლობები და საშიშროებები, რომლის თავიდან ასაცილებლად სწრაფად უნდა მოვახდინოთ ადაპტაცია. სტატიაში მოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საწარმოებსა და ორგანიზაციებს კონკურენუნარიანობასთან დაკავშირებულ საკითხებთან. ასევე მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება სამივე დონის წარმომადგენლებს კოკურენტუნარიანობის ახლებური კონცეფციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.*

საკვანძო სიტყვები: *კონკურენტუნარიანობა, კონკურენტუნარიანობის კონცეფცია და ახლებური ხედვები.*

თანამედროვე გლობალიზაციის და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში კონკურენტუნარიანობის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად იქცა როგორც ბიზნესის, ასევე ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესში. კონკურენციის გამძაფრება, ბაზრების ლიბერალიზაცია და ციფრული ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის კონკურენტუნარიანობის ბრძოლის ფორმებს და მოითხოვს ტრადიციული ეკონომიკური მიდგომების გადახედვას.

თანამედროვე ეტაპზე კონკურენტუნარიანობა აღარ განიხილება მხოლოდ ფასისა და ხარისხის კონკურენციის ჭრილში. ახლებური მიდგომებით იგი წარმოადგენს მრავალფაქტორულ და კომპლექსურ სისტემას, რომელიც მოიცავს ინოვაციას, პროდიქტიულობას, ტექნოლოგიურ უნარებს, ინსტიტუციურ გარემოსა და ორგანიზაციულ მოქნილობას [1].

სამეცნიერო ლიტერატურებსა და სხვადასხვა მეცნიერების სტატიებში მოცემულია კონკურენტუნარიანობის განსხვავებული განსაზღვრებები, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობას ერთიანი უნივერსალური განსაზღვრება არ გააჩნია, რადგან ის სხვადასხვა დონეზე (კომპანია, სექტორი, რეგიონი, ქვეყანა) განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენს. სწორედ ეს მრავალმხრივობა ართულებს მის შეფასებას და მოითხოვს კონცეფციის ახლებურ გააზრებას [2]. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-44876-3_3

მოგვიანებით, კონკურენტული უპირატესობის თეორია მნიშვნელოვნად განავითარა მაიკლ პორტერმა, რომელმაც წარმოადგინა ინდუსტრიული კონკურენციის ანალიზის მოდელი და „დაიმანდის მოდელი“, რომელიც ახასიათებს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ფაქტორებს.

თანამედროვე მიდგომები კი კონკურენტუანარიანობას განიხილავს როგორც დინამიკურ უნარს, რომელიც გულისხმობს ბაზარზე ცვლილებებთან ადაპტაციას და ახალი ღირებულებების შექმნას.

კვლევები ასევე აჩვენებენ, რომ ინოვაციია პირდაპირ გავლენას ახდენს კონკურენტულ უპირატესობაზე და ზრდის ორგანიზაციის ეფექტიანობასა და ბაზრის პოზიციას. ამასთან, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესები მნიშვნელოვნად ცვლის კონკურენტულ გარემოს და განაპირობებს ახალი ბიზნესმოდელების ფორმირებას [3] .

კემბბელლ ჯოზეფინას თავის ნაშრომში „კონკურენტუნარიანობა განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად: კონკურენტუნარიანობა - ესაა ფაქტორების ერთობლიობა, განსაზღვრული ქვეყნის, საწარმოს ან ანალოგიური ორგანიზაციის მწარმოებლურობით. მწარმოებლურობა მნიშვნელოვანია, რადგანაც ის გავლენას ახდენს შემოსავლებზე და ეკონომიკურ ზრდაზე. რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. კონკურენტუნარიანობის ზრდა ნიშნავს მწარმოებლურობის და კეთილდღეობის ამაღლებას, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლებას.

მანქანათმშენებლობის უნივერსიტეტის მეცნიერმა შარიონმა ე.გ. თავის სტატიაში “კონკურენტუნარიანის თანამედროვე მიდგომები“ კონკურენტუნარიანობა განსაზღვრა შემდეგნაირად: „კონკურენტუნარიანობა ესაა პროდუქტის, კომპანიის ან მთელი ქვეყნის

უნარი მოიგოს საბაზრო ბრძოლა, შესთავაზოს მომხმარებელს მეტი ფასეულობები ანალოგებთან შედარებით“ [4].

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა კონკურენტუნარიანობის ახალ კონტექსტში განხილვა შემდეგი ფაქტორების გამო:

- გლობალური კონკურენციის გამძაფრება და ბაზრების ინტეგრაცია;
- ტექნოლოგიური პროგრესი და ციფრული ეკონომიკის განვითარება;
- მომხმარებელთა ქცევის ცვლილება და ინდივიდუალიზაცია;
- ინოვაციებისა და ცოდნის ეკონომიკის გაძლიერება;
- მდგრადი განვითარების მნიშვნელობის და ESG ფაქტორების ზრდა.

ამიტომ თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში წარმატებას აღწევენ ის ორგანიზაციები და ქვეყნები, რომლებიც არა მხოლოდ ეფექტიანად აწარმოებენ პროდუქციას, არამედ შესაძლებლობას ფლობენ სწრაფად ადაპტირდნენ, შექმნან ინოვაცია და სტრატეგიული უპირატესობა შეინარჩუნონ [5].

კონკურენტუნარიანობის საკითხის შესწავლისას აუცილებელია მისი განხილვა დონეებთან მიმართებაში, როგორიცაა: მაკრო, მეზო და მიკრო დონე. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე როცა ქვეყანა ჩართულია გლობალიზაციის პროცესში მისი ეკონომიკური წარმატების საქმეში დიდი როლი აქვს მაკრო დონეზე კონკურენტუნარიანობას, რადგანაც აქ შედარება ხდება სახელმწიფოებსა და ეროვნულ მრეწველობას შორის, სადაც ფასდება ქვეყნის ეკონომიკა, ინვესტირების შესაძლებლობები და გრძელვდიანი ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთან. მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანა კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო დონეზე აუცილებელია ის ჯერ კონკურენტუნარიანი იყოს მეზო და მიკრო დონეზე. ამიტომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა დ განვითარების საკითხებში მნიშვნელოვანია მოხდეს ხელმძღვანელობის მაქსიმალური ჩართულობა როგორ მაკროდონეზე, ასევე მეზო და მიკრო დონეზე.

თითოეულ დონეზე კონკურენტუნარიანობის გამოთვლა უნდა მოხდეს ქვეყნის მრეწველობის, ტექნოლოგიის განვითარების, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერისა და კაპიტალდაბანდებით სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამის წარმოჩენას კი ხელს უწყობს SWOT ანალიზი, რომლის დახმარებით ვლინდება ფაქტორები, რომლებიც გვეხმარება ბაზარზე მივაღწიოთ უპირატესობას და გამოვავლინოთ საფრთხეები და შესაძლებლობები.

კონკურენტუნარიანობა მიეკუთვნება ქვეყნის, საწარმოს ან დარგის შესაძლებლობას აწარმოოს საქონელი ან მომსახურება ეფექტურად ბაზრის სხვა მონაწილეებთან შედარებით. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს მწარმოებლურობის ფორმირებაში, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების საერთო ხარისხზე. კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებლები მოიცავს ექსპორტის კოეფიციენტს, ბაზრის წილს და მომგებიანობას და ეხმარება ორგანიზაციებს შეაფასონ თავისი ეფექტურობა გლობალურ ეკონომიკაში.

ეს შეფასება ხაზს უსვამს თვითშენარჩუნებად მიდგომას, რომელიც თავისუფალია ხელოვნური მხარდაჭერისაგან. როგორიცაა სუბსიდიები ან დაცვა, რეალური კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად.

თანამედროვე ეპოქაში კონკურენტუნარიანობის გამოწვევები გამწვავდა ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა აუთსორსინგი და გლობალური მოვლენების გამოვლენა, როგორიცაა COVID–19 პანდემია [6].

სწორედ ამიტომ, თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანობის კონცეფცია განიცდის ტრანსფორმაციას, ამიტომ საჭიროებს ახლებურ გააზრებას გლობალიზაციის, ინოვაციებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების ფონზე.

ამიტომ ამ პირობებში კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ახლებური გააზრება იძლევა:

- თეორიისა და პრაქტიკის დაახლოების შესაძლებლობას;
- მართვის თანამედროვე მოდელების განვითარებას;
- ახალი შეფასების ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას.

საქართველოს საწარმოებისათვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბაზარი არის მცირე, ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში და განიცდის ძლიერ კონკურენციას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთამაშეებისაგან.

საქართველოსათვის ახალი მიდგომების ჩამოყალიბება მოითხოვს:

- ➢ რეგიონული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას;
- ➢ ინოვაციური სექტორების განვითარებას, კერძოდ:-ICT, აგრო, ტურიზმი.

რაც შეეხება საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის საკითხის, ის მოიცავს საერთაშორისო ინტეგრაციას, რომელიც გულისხმობს:

1. თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებს (EU, China და სხვა)
2. ბაზარზე წვდომის და კონკურენციის ზრდას [7].

როგორც ვიცით კონკურენტუანრიანობის ტრდიციული მიდგომები ეფუძნებოდა დაბალ ხარჯებს, დიფერენციაციას და ნიშის სტრატეგიებს, სადაც ყურადღება გადატანილია ფირმის პოზიციასა და ინდუსტრიის სტრუქტურაზე [8]. მაგრამ თანამედროვე მიდგომებში კონკურენტუნარიანობა განიხილება როგორც:

- რესურსების უნიკალური კომბინაცია;
- დინამიკური შესაძლებლობები;
- ინოვაცია და ციფრული ტრანსფორმაცია.

ე.ი. კონკურენტუნარაინობა არ არის „სტატიკური უპირატესობა“, არამედ პროცესი და უნარი ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების [9].

საქართველოს შემთხვევაში, რეგიონული ეკონომიკის როლი განსაკუთრებით იზრდება. იმერეთი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული და აგრარული რეგიონი, წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მიდგომების გამოყენება რეგიონულ დონეზე.

ამიტომ კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ახლებური შინაარსის განსაზღვრა და მისი გამოყენება იმერეთის რეგიონის თანამედროვე ფაქტორების, მახასიათებლებისა და განვითარების ტენდენციების ანალიზის, გლობალიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის პირობებში. კვლევის ობიექტია იმერეთის რეგიონში მოქმედი სხვადასხვა დარგის საწარმოები, ორგანიზაციები და უნივერსიტეტის მეცნიერთა შეხედულებები, რომელთაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

იმერეთის რეგიონი საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონს წარმოადგენს, რომლის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: დამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და მშენებლობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა იმერეთის რეგიონის 2024 წლის სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი 1).

იმერეთის რეგიონში ახალი კონკურენტუანრიანი მიდგომის გამოყენება ეფუძნება 3 ძირითად ფაქტორს:

1. ინდუსტრიული მემკვიდრეობა+ინოვაცია (მეტალურგია განიცდის მოდერნიზაციას);
2. საინვესტიციო გარემო;
3. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა.

საინვესტიციო გარემოსთან მიმართებაში შეიძლება აღინიშნოს ქუთაისის თავისუფალი ზონის შესახებ, რომელიც ქმნის:

ცხრილი 1.

რეგიონი	მრეწველობა მლნ. ლარი		ტურიზმი ვიზიტ-ების საშუალო რაოდენობა ათასი		გამოშვებული პროდუქცია მლნ. ლარი	ბრუნვა რეგიონების მიხედვით მლნ. ლარი
	ბრუნვა	გამოშვ. პროდ.	ადგილბრივი ტურიზმი	უცხოელი ვიზიტორები		
საქართველო	26362,3	22573,5	6585,4	3175,2	90539,7	228473,1
აჭარა არ	1141,9	1152,3	725,1	846,6	7607,1	13130,8
იმერეთი	2702,0	2038,6	1361,4	185,4	4911,2	7804,8
კახეთი	1054	1103,0	568	135,8	2243,8	4608,6
ქვემო ქართლი	4289,9	4235,0	500,5	178,8	6110,8	8827,2

წყარო:სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი https://www.geostat.ge

- ✓ დაბალ საგადასახადო გარემოს
- ✓ ლოგისტიკურ უპირატესობას
- ✓ ექსპორტზე ორინტირებულ ბიზნეს შესაძლებლობებს [10].

რაც შეეხება რეგიონის ეკონომიკურ პოლიტიკას ამ მიმართულებით Smart Specializations მოდელი მოიცავს:

- ✓ ბიზნესს, უნივერსიტეტებსა და სახელმწიფოს;
- ✓ ინოვაციის ხელშეწყობას;
- ✓ კლასტერულ განვითარებას [11].

მაგრამ ამასთან აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელიც აფერხებს იმერეთის საწარმოთა კონკურენტუნარიანობას, კერძოდ:

- ➢ რეგიონული უთანასწორობა;
- ➢ ტექნოლოგიური ჩამორჩენა;
- ➢ კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
- ➢ ინოვაციების დაბალი დონე.

სწორედ ამ საკითხების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელობამ იცოდეს, თუ რა არის მათი პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა და რა სარგებელს იღებს მომხმარებელი მათი პროდუქტისაგან, ასევე რამდენად ძლიერი თქვენი ბრენდი და სხვა. აქედან გამომდინარე ჩვენი თემის კვლევის მიზნები ამაზეა აგებული.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6 სფეროს წარმომადგენლებმა, კერძოდ საქმიანობის სფეროს მიხედვით რესპოდენტების უმეტესობა -26,7% დასაქმებულია ვაჭრობასა და განათლების სფეროში, ხოლო მრეწველობაში, ფინანსურ სერვისებში და სატრანსპორტო მომსახურების სფეროში, რესპოდენტების 13,3%, ხოლო რესპოდენტების უმეტესობას -40% აქვს 10 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება, 7–10 წელი –20%–ს.

კონკურენტუნარიანობის ზოგად აღქმასთან დაკავშირებით კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ რესპოდენტების 40% ეთანხმებიან მოსაზრებას -კონკურენტუნარიანობა ძირითადად ფასსა და ხარისხზეა დამოკიდებული, ხოლო 60% სრულიად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ თანამედროვე პირობებში კონკურენტუანრიანობა მრავალფაქტორული ცნებაა, ხოლო მოსაზრებას კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ორგანიზაციის გრძელვადიან წარმატებას, რესპოდენტების 53,3% ეთანხმება, 40% კი სრულად ეთნხმებიან. როგორც ჩანს რესპოდენტების უმეტეს ნაწილს კონკურენტუნარიანობა მიაჩნიათ წარმატების გარანტიად და რომ მისი შეფასება უნდა მოხდეს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კონკურენტუნარიანობის კონცეფცია საჭიროებს ახლებურ გააზრებას გლობალიზაციის, ინოვაციებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების ფონზე, სწორედ ამ საკითხთან დამოკიდებულებაში კვლევის ანალიზმა შემდეგ მოსაზრებებთან მიმართებაში ასეთი შედეგი აჩვენა:

- ინოვაცია არის კონკურენტუნარიანობის მთავარი განმსაზღვრელი, რესპოდენტების 53,3% ნეიტრალური დამოკიდებულება გამოხატა, ხოლო 40% ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. როგორ ჩანს ამ მოსაზრებისადმი რესპოდენტების დამოკიდებულება უმეტესად დადებითია.

ასევე მნიშვნელოვანია რესპოდენტთა დამოკიდებულებები იმ საკითხებთან, რომელიც შეეხება კვლევისა და განვითარების პრიორიტეტულობას, რომელიც ზრდის კონკურენტულ უპირატესობას, უმრავლესობამ 86,7% ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას, ხოლო კითხვაზე რა უნდა გააკეთონ ორგანიზაციებმა კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, სწორედ მომხმარებელთა მოთხოვნილებების, ბაზრის და კონკურენტების შესწავლა დაასახელეს.

კვლევის ანალიზში, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებს და მოსაზრებებს შეეხება, რესოდენტთა შეხედულებები ასე განაწილდა:

– ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას რესპოდენტების 53,3% ეთანხმება, ხოლო ციფრული ტრანსფორმაცია ქმნის ახალ კონკურენტულ შესაძლებლობებს სრულიად ეთანხმება -46,7%. როგორც ჩანს ციფრული ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში.

რაც შეეხება სტრატეგიასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ:

– სტრატეგიული დაგეგმვა მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობისათვის, რესპოდენტების 40% ეთანხმება, ხოლო 26,7% სრულად ეთანხმება ამ მოსაზრებას. როგორც ჩანს სტრატეგიული მართვის საკითხები მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

ასევე უნდა აღინიშნოს მოსაზრების შესახებ, რომელიც შეეხება ბაზრისს კვლევას:

– ბაზრის კვლევა აუცილებელია სწორი კონკურენტული სტრატეგიისათვის– ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება რესპოდენტების 60%, ხოლო 26,7% ნაწილობრივ ეთანხმება.

ორგანიზაციულ მოქნილობასა და ადაპტაციასთან მიმართებაში კი აღსანიშნავია რესპოდენტების მოსაზრებები, კერძოდ:

–სწრაფი ადაპტაცია ზრდის კონკურენტუნარიანობას და ცვალებად გარემოში მოქნილობა აუცილებელია სრულიად ეთანხმება რესპოდენტების 40%, ხოლო ეთანხმება 53,3%. როგორც ვხედავთ ადაპტაციის პროცესი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. ამიტომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმონ ცვალებად გარემოში მოქნილობის საკითხს.

კონკურენტუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებზე რესპოდენტთა შეხედულებებიდან უმეტესი შეფასება მიიღო შემდეგმა მოსაზრებებმა:

–კონკურენტუნარიანობის შეფასება უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ინდიკატორს –ამას სრულიად ეთანხმება –53,3%, ეთანხმება –40%. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კონკურენტუნარიანობა მრავალფაქტორული ცნებაა, სწორედ ამას ადასტურებს რესოდენტთა შეხედულებები [12].

–მომხმარებელთა კმაყოფილება არის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი კონკურენტუნარიანობის შეფასებაში, რასაც მოწმობს კვლევის ანალიზი, როგორც წინა შემთხვევაში აქაც სრულიად ეთანხმება 53,3%, ხოლო ეთახმება 40%.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ რესპოდენტების უმეტესობა კითხვაზე რა არის თანამედროვე კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორი დაასახელეს:

- მომხმარებლის კმაყოფილება;
- ადამიანური კაპიტალი;
- ინოვაცია და ტენოლოგიები;
- პროდუქტისგან მიღებული სარგებელი;
- კომპანიის იმიჯი;
- პროდუქციის მახასიათებლები და სხვა.

ხოლო კითხვაზე რა უნდა გააკეთონ კომპანიებმა კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად ყურადღება შემდეგ საკითხებზე გაამახვილეს:

- მაქსიმალურად მოერგონ მომხმარებლის მოთხოვნილებებს;
- მუდმივად იყვნენ ბაზარზე ცვლილებების საქმის კურსში, რათა ადაპტაციის მოხდენა უფრო ეფექტური იყოს;
- შეეცადონ მათი წარმოებული პროდუქტი გახადონ ცნობადი პროდუქციის მახასიათებლების მეშვეობით;

- მუდმივად შეისწავლონ ბაზარი და წარმოდგენილი ანალოგიური საქონელი, გააკეთონ ანალიზი და გამოიკვლიონ ხარვეზები, რაც ხელს უშლის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას;
- ინოვაციაზე ორიენტაცია უნდა მოხდეს უწყვეტ რეჟიმში;
- კომპანიამ უნდა იზრუნოს იმაზე თუ როგორ გაზრდის მომხმარებლის მიერ მისაღებ სარგებელს პროდუქციის მახასიათებლების სააშუალებით და სხვა.

ჩატარებული კვლევის ანალიზისა და კაბინეტური კვლევებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დასკვნები, კერძოდ:

- ✓ კონკურენტუნარიანობის კონცეფცია თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან ტრანფორმაციას განიცდის და სცდება ტრადიციული კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ფარგლებს;
- ✓ ინოვაცია წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის ერთ–ერთ მთავარ ფაქტორს;
- ✓ ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე კონკურენტულ გარემოში გახდა ძირითადი დეტერმინანატი, რადგან ტექნოლოგიური ინოვაციები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და ციფრული პლატფორმები, მონაცემთა ანალიტიკა მნიშვნელოვნად ზრდის როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ შედეგებს;
- ✓ თანამედროვე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ორგანიზაციული მოქნილობა და გარემოს ცვლილებებზე სწარფი ადაპტაციის უნარი.

საბოლოო ჯმში შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობა თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ინტეგრირებულ, დინამიკურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და მენეჯერულ ფაქტორებს.

ზემოთ გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები, როგორ მეზო და მიკრო დონის, ისე მაკრო დონის ხელმძღვანელებისათვის:

- ✓ განავითარონ ინოვაციური შესაძლებლობები, რითაც ხელს შეუწყობენ ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შექმმნას, რადგან ინოვაცია პირდაპირ კავშირშია კონკურენტუნარიანობის ზრდასთან;
- ✓ მოახდინონ თანამედროვე ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას;
- ✓ განავითარონ ორგანიზაციული მოქნილობა, რაც ერთ–ერთი საკვანძო ფაწქტორია დინამიკურ ბაზარზე წარმატებისათვის;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმმონ მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კონკურენტულ პოზიციაზე;

რაც შეეხება მაკრო დონეზე რეკომენდაციებს ის შემდეგში მდგომარეობს:

- ✓ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სტარტაპების მხარდაჭერა, ინოვაციების დაფინანსება და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება, უნივერსიტეტებისა და ბიზნესის ერთობლივი თანამშრომლობა;
- ✓ ბიზნეს გარემოს გაუმჯიბესება, რომელიც ძირითადად მიიღწევა რეგულაციების ოპტიმიზაციით და ინვესტიციების მოზიდვით;

- ✓ რეგიონულ დონეზე სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერას, რეგიონული ეკონომიკის განვითარებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ბიბლიოგრაფია

1. Patrick Mikael & Elena Parmigiana, Concluding remarks and final Thoughts on Digital Transformation https://ink.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-44876-3_3, 17 June 2022, pp.193-196
2. **Tomasz Siudek**, **Aldona Zawojska** Competitiveness in the economic concepts, theories and empirical research, https://www.academia.edu/37870519/competitiveness_in_the_economic_concepts_theories_and_empirical_research, ***Economics 13 (1) 2014, 91–108***
3. Campbell, Josephine, Competitiveness, https://www.ebsco.com/research-starters/economics/competitiveness, 2020
4. Sharian E.G **The modern concept of competitiveness,** https://journals.ecovector.com/2074-0530/article/view/67206, Vol 9, No 4-5 (2015)
5. Attila Jamb or & Suresh Babe, Competitiveness: Definitions, Theories and Measurement, https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-44876-3_3 26 October 2016, pp 25-45
6. Krishna C, The Evolution of corporate strategy: From Porter's five Forces to modern frameworks, https://www.linkedin.com/pulse/evolution-corporate-strategy-from-porters-five-forces-chilukuri-ueecf/ 27 February, 2025.
7. Robson Gilberto Dante's, Valdilene G. Machado Silva, Jose Victor Lames Gomes, Maria Augusta De Assis Vieira, J'ouvert Caetano Amara, Competitiveness, Competitive Intelligence, and Strategic Positioning: An Integrated Approach for Organizational Success, IOSR Journal of Business and Management, https://iosrjournals.org/iosr-jbm/papers/vo126-issue10/ser-11/c2610111721.pdf, volume 26, Issue 10. Ser. 11. October 2024, pp 17-21
8. Ovidijus Jurevicius, Porter's (Three) Generic strategies Explained, https://strategicmanagementinsight.com/tools/porters-three-generic-strategiees. June 16, 2025.
9. David J. Tierce, Dynamic capabilities, https://www.davidjteece.com/dynamic-capabilities, 2025.
10. Kutaisi free industrial zone- A space of opportunities for Business. https://kutaisifreesone.ge/a-space-of-opportunities-for-business. January 13, 2026 [10]
11. Mapping of economic potential and participatory Entrepreneurial Discovery Process in Imarets, Georgia, https://www.cif.org/just-transition-toolbox/example/mapping-economic-potential-and-participatory-entrepreneurial [11]
12. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

A new understanding of the concept of competitiveness based on the example of enterprises in the Imereti region

Nargiza Karkashadze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Nargiza.karkashadze@atsu.edu.ge

Nana Benidze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Nana.benidze1@atsu.edu.ge

Shura Ukleba
Visiting Lecturer
Akaki Tsereteli State University
Shura.ukleba@atsu.edu.ge

Summary

The article, "A New Understanding of the Concept of Competitiveness: The Case of Enterprises in the Imereti Region," explores traditional and new approaches to competitiveness, its importance for the country's economic development, and the problems and challenges currently facing Georgia. The article presents the views of various scholars on the definition of competitiveness, concluding that competitiveness is a multifactorial concept. The article also examines the role of the Imereti region in the country's economy and highlights key indicators that play a significant role in Imereti's economic success. The article also discusses levels of competitiveness, as improving and developing competitiveness at all three levels is crucial, especially in the context of globalization. The article also examines SWOT analysis, which helps identify the strengths and weaknesses of a country, region, and enterprise, as well as opportunities and threats, enabling them to achieve a market advantage and identify opportunities and threats to which they must quickly adapt in order to avoid them. The article presents an analysis of our research, providing a clear understanding of how enterprises and organizations approach competitiveness. The article also provides conclusions and recommendations that will help representatives of all three levels formulate and develop a new concept of competitiveness.

Keywords: competitiveness, concept of competitiveness, and new concepts.

რეგიონული ეკონომიკური ზრდის თავისებურებები: იმერეთის მაგალითი

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

ანოტაცია. *რეგიონის ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, რომელიც მნიშვნელოვნად უკავშირდება რეგიონული GDP-ს რაოდენობრივ ზრდას. ნაშრომის მიზანია - გაანალიზდეს ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებლები იმერეთის რეგიონისათვის. სტატიაში გაანალიზებულია რეგიონული GDP-ის და მოსახლეობის ერთ სულზე რეგიონული GDP-ის, რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების, შრომის მწარმოებლურობის და ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა 2015-2024 წლებში. ასევე, ქვეყნისა და რეგიონის მიხედვით შედარებულია ეკონომიკურ ზრდის ტემპების მაჩვენებლები და ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი დასახელებული მაჩვენებლების მიხედვით (ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენების ანალიზი და შეფასება, რეგიონების მიხედვით შესაბამისი სარწმუნო საინფორმაციო ბაზის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა). კვლევამ გამოავლინა, რომ იმერეთის რეგიონში ინვესტიციების დინამიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარე შოკებზე და აღდგენის ფაზაში ხასიათდება მკვეთრი, მაგრამ არასტაბილური ზრდით. საშუალოდ ერთი საწარმოს მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების ანალიზის მიხედვით, ინვესტიციების ზრდა ხშირად უკავშირდება მათი კონცენტრაციის ზრდას და არა საწარმოთა რაოდენობის თანაბარ გაფართოებას. მიღებული შედეგების მიხედვით, იმერეთის რეგიონში ეკონომიკური ზრდა 2006–2024 წლებში ძირითადად განპირობებულია შრომის პროდუქტიულობის ზრდით, მაშინ როდესაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების გავლენა არაპირდაპირი და დროში გადანაწილებული ხასიათისაა.*

საკვანძო სიტყვები: *რეგიონული GDP; ეკონომიკური ზრდა; ინვესტიცია; დამატებული ღირებულება.*

შესავალი

ა. სმიტი ზრდის საკვანძო წყაროებად მიუთითებდა შრომის დანაწილებას, კაპიტალის დაგროვებას და ტექნიკურ პროგრესს (სმიტი, 2007). შედარებით ახალმა თეორიებმა ზოგიერთი მიდგომა დააკონკრეტეს და დამატებითი კვლევები მიუძღვნეს მასზე მოქმედ ცალკეულ ფაქტორებს, რომელთა მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის მექანიზმების სრულყოფა.

ეკონომიკური ზრდის კვლევის პროცესში საკვანძო საკითხია საწარმო ფუნქციის გააზრება, რომლის საშუალებითაც ფორმალიზდება კავშირი წარმოების მოცულობასა და გამოყენებულ წარმოების ფაქტორებს - კაპიტალსა და შრომას შორის, ტექნოლოგიური დონის გათვალისწინებით. იგი იძლევა შესაძლებლობას რაოდენობრივად შეფასდეს, თუ როგორ ტრანსფორმირდება რესურსების მოცულობითი ცვლილება ეკონომიკურ გამოშვებაში (მენქიუ. 2008:260).

ნეოკლესიკურ თეორიაში წარმოებრივი ფუნქციის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა კობი-დუგლასის მოდელი, რომელმაც გამოიკვლია კაპიტალისა და შრომითი დანახარჯების გავლენა წარმოების მოცულობაზე (ცეცხლაძე, 2018:531).

პ. ჰეინე, პ.ბოეტკე და დ.პრიჩიტკო თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში მიუთითებენ, რომ „ეკონომიკური განვითარება რეალურად სამი რაღაცის ფუნქციაა: ადამიანების, რესურსების და ინსტიტუტების“ (ჰეინე, ბოეტკე და პრიჩიტკო, 2025:397).

ჰაროდ-დომარის მოდელში უპირატესია დინამიური წონასწორობა და ეფუძნება ერთი მხრივ, ინვესტიციებისა და დანაზოგების, ხოლო მეორე მხრივ, ფულადი შემოსავლებისა და წარმოებრივ სიმძლავრეთა ტოლობის იდეას. რ.სოლოუს მოდელში ნაჩვენებია თუ როგორ ვითარდება წარმოებრივი ფუნქცია ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით (ცეცხლაძე, 2018:530-532).

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდის თეორიები კონცენტრირებას სამ ასპექტზე ახდენს: ტექნოლოგიური ინოვაციები; ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება, რომელიც პირდაპირ გამოიხატება ტექნიკური პროგრესით; ტექნოლოგიების მატერიალიზაცია ინოვაციებად, რაც ვლინდება კაპიტალის დაგროვებაში (Liang, 2014).

ამდენად, ეკონომიკური ზრდის თეორიათა შეჯერებით, რეგიონული ეკონომიკური ზრდის ძირითად წყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ ტექნიკური პროგრესი, ინვესტიციები, ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება ტექნიკური პროგრესით და ტექნოლოგიების მეშვეობით კაპიტალის ხარისხის გენერირება.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკასა და დონეში არსებული დისპროპორციები მნიშვნელოვნად განისაზღვრება მათი რესურსული პოტენციალით. რეგიონული ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკის მწარმოებლურობა დეტერმინირებულია ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ნედლეულსა და აგროკლიმატურ რესურსებთან, თუმცა რეგიონების პოტენციალის რეალიზაცია ასევე დაკავშირებულია საინვესტიციო რისკების შემცირების მიმართულებით სახელისუფლებო პოლიტიკის და ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიან გამოყენებასთან (ჩიხლაძე, 2021; Bedianashvili, 2019; Lezhava, 2025; კურდღელია, 2025; ჭანტურიძე, 2025; ელიზბარაშვილი, 2026).

საქართველოს ყველა რეგიონის ეკონომიკა, სიდიდის მიუხედავად, ხასიათდება სამეურნეო სისტემის სპეციფიკით. 2024 წლის შედეგებით იმერეთის რეგიონისათვის წამყვანია დარგია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (715,7 მლნ ლარი), რომელიც რეგიონის GDP-ის 11%-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და განათლება (თითოეული 10%).

ნახაზი 1იმერეთის რეგიონის GDP სტრუქტურა (2024 წელი, %)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის მიხედვით

საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია GDP-ის და რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის დინამიკის შესწავლა 2015-2024 წლებისათვის. ანალიზმა მთლიანობაში ზრდის ტენდენცია გამოავლინა, თუმცა პირველი მათგანისათვის ზრდის ტემპი (115%) უფრო დაბალი იყო, ვიდრე მეორისა (158%). საგულისხმოა, რომ პანდემიის პერიოდში რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე GDP გაიზარდა, ხოლო რეგიონის GDP თითქმის უცვლელი დარჩა (იხ. ნახ. 2).

ნახაზი 2

რეგიონის GDP-ის და მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის დინამიკა 2015-2024 წლებში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის მიხედვით

რეგიონული ეკონომიკური ზრდის თავისებურებების შესწავლის მიზნით მოვახდინეთ GDP-ის ზრდის დინამიკის შესწავლა ქვეყნის და რეგიონის დონეზე.

ცხრილი 1

საქართველოსა და იმერეთის რეგიონის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა დინამიკა 2015–2024 წლებში

წელი	GDP	GDP ერთ სულზე

	ქვეყანა	იმერეთის რეგიონი	ქვეყანა	იმერეთის რეგიონი
2015	3.4%	28,7%	2.7%	30,50%
2016	3.4%	-9.0%	2.6%	-7.3%
2017	5.2%	24.7%	4.6%	25.5%
2018	6.1%	11.8%	4.6%	14.1%
2019	5.4%	1.3%	4.8%	2.7%
2020	-6.3%	-0.4%	-6.5%	2.7%
2021	10.6%	27.1%	10.8%	27.3%
2022	11.0%	20.3%	11.2%	24.5%
2023	7.8%	-3.3%	7.2%	-2.5%
2024	9.7%	13.6%	10.7%	19.3%

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის მიხედვით

ცხრილი ასახავს საქართველოსა და იმერეთის რეგიონის ეკონომიკური ზრდის დინამიკას 2015–2024 წლებში, როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP), ისე მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის მიხედვით (იხ.ცხრ. ???).

პირველ რიგში, აშკარაა, რომ ქვეყნის ეკონომიკა 2015–2019 წლებში ზომიერი, მაგრამ სტაბილური ზრდით ხასიათდებოდა (დაახლოებით 2.8%–6.0% ფარგლებში), მაშინ როცა იმერეთის რეგიონი ამ პერიოდში გაცილებით უფრო მერყევ დინამიკას აჩვენებდა. რეგიონში დაფიქსირდა როგორც მაღალი ზრდის წლები (მაგ., 2015 – 28.7%, 2017 – 24.7%), ისე მკვეთრი ვარდნა 2016 წელს (-9.0%), რაც მის უფრო მაღალი ცვალებადობისა და ცალკეულ სექტორებზე დამოკიდებულების შესახებ მიუთითებს.

2020 წელი, პანდემიის ფონზე, წარმოადგენს კრიზისულ ეტაპს. ქვეყნის დონეზე მშპ მნიშვნელოვნად შემცირდა (-6.3%), ხოლო იმერეთში ვარდნა შედარებით ზომიერი იყო (-0.4%). საინტერესოა, რომ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით იმერეთმა ამ წელს მცირე ზრდაც კი აჩვენა (2.7%), მაშინ როცა ქვეყანა შემცირებაში იყო (-6.5%). ეს შეიძლება მიუთითებდეს რეგიონში გარკვეული სტრუქტურული თავისებურებების ან დროებითი გადანაწილების ეფექტებზე.

2021–2022 წლებში ორივე დონეზე აღინიშნება მკვეთრი ეკონომიკური აღდგენა და მაღალი ზრდა. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებია ქვეყნის დონეზე (10.6% და 11.0%), ხოლო იმერეთში ზრდა კიდევ უფრო ძლიერი და არასტაბილურია (27.1% და 20.3%). ეს მიუთითებს რეგიონული ეკონომიკის განსაკუთრებულ რეაქციაზე ეკონომიკურ აღდგენაზე.

2023 წელს ხდება შენელება და გარკვეული კორექცია: ქვეყნის ზრდა მცირდება 7.8%-მდე, ხოლო იმერეთში უკვე ფიქსირდება ვარდნა (-3.3% და -2.5% მოსახლეობის ერთ სულზე). ეს შეიძლება ასახავდეს როგორც შიგა რეგიონულ სირთულეებს, ისე დროებით კონიუნქტურულ ფაქტორებს.

2024 წლის მონაცემები აჩვენებს კვლავ დადებით ტენდენციას: ქვეყნის მშპ იზრდება 9,7%-ით, ხოლო იმერეთში ზრდა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია (13.6%), განსაკუთრებით მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებელში (19.3%), რაც მიუთითებს რეგიონში ეკონომიკური აქტივობის დაჩქარებაზე.

საერთო ჯამში, ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს:

- იმერეთის რეგიონი უფრო მაღალი ვოლატილურობით ხასიათდება, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი;
- კრიზისულ წლებში (მაგ., 2020) რეგიონი ზოგჯერ ნაკლებად ზიანდება;
- აღდგენის ფაზებში (2021–2022, 2024) რეგიონი ხშირად უფრო სწრაფ ზრდას აჩვენებს;
- მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის დინამიკა ზოგჯერ განსხვავებულ სურათს ქმნის, რაც მიუთითებს შიდა სტრუქტურულ განსხვავებებზე.

განვიხილოთ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორები იმერეთის რეგიონისათვის.

ცხრილი 2

იმერეთის რეგიონში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) დინამიკა (2017–2024)

წელი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
პუი, (ათასი აშშ დოლარი)	57806,8	25616,4	45353,8	-2999,0	5568,6	20297,7	53873,3	-35707,2

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის მიხედვით

იმერეთის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ანალიზი 2017–2024 წლების პერიოდში აჩვენებს მნიშვნელოვან რყევებს რაც რეგიონში საინვესტიციო ნაკადების არასტაბილურობაზე აისახება. საერთო სურათი არის შემდეგი:

- 2017–2019: სტაბილურად დადებითი (25–57 მლნ დიაპაზონი);
- 2020: მკვეთრი ვარდნა -3 მლნ-მდე;
- 2021–2023: აღდგენა პიკი 2023: თითქმის 54 მლნ;
- 2024–2025: ისევ მკვეთრი შემცირება -35.7 მლნ და -7.5 მლნ

ამდენად, გვაქვს შემდეგი ციკლი: ზრდა → შოკი → აღდგენა → კაპიტალის გადინება.

2017 წელს რეგიონში დაფიქსირდა შედარებით მაღალი საინვესტიციო მაჩვენებელი – 57 806,8 ათასი აშშ დოლარი. თუმცა მომდევნო, 2018 წელს აღინიშნა მნიშვნელოვანი შემცირება 25 616,4 ათას დოლარამდე, რაც მიუთითებს საინვესტიციო აქტივობის დროებით შესუსტებაზე. 2019 წელს ინვესტიციებმა ნაწილობრივი აღდგენა აჩვენა და 45 353,8 ათას დოლარს მიაღწია, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც მოკლევადიანი დადებითი კორექცია.

2020 წელს რეგიონში დაფიქსირდა უარყოფითი საინვესტიციო სალდო (-2 999,0 ათასი აშშ დოლარი), რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია გლობალური პანდემიის გავლენით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებთან და კაპიტალის გადინებასთან. 2021 წელს ინვესტიციები კვლავ დადებით ზონაში დაბრუნდა, თუმცა, შედარებით დაბალ დონეზე – 5 568,6 ათასი დოლარი.

2022–2023 წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენციის აღდგენა: 2022 წელს ინვესტიციებმა შეადგინა 20 297,7 ათასი დოლარი, ხოლო 2023 წელს – 53 873,3 ათასი დოლარი, რაც მიუთითებს რეგიონში საინვესტიციო აქტივობის დროებით გაძლიერებაზე და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე.

მიუხედავად აღნიშნული ზრდისა, 2024 წელს კვლავ დაფიქსირდა მკვეთრი შემცირება და უარყოფითი მაჩვენებელი (-35 707,2 ათასი დოლარი), რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც ცალკეული მსხვილი საინვესტიციო პროექტების დასრულებას, ასევე კაპიტალის გადინების პროცესების გაძლიერებას.

ცხრილი 3

ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების დინამიკა იმერეთის რეგიონში 2017-2024 წლებში

იმერეთის მაჩვენებლები	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ ლარი)	104,7	141,8	184,4	178,1	149,1	251,4	180,9	194,3
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ერთ აქტიურ საწარმოზე (ლარი)	4947	6776	8358	8079	6491	10214	6988	7078

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის მიხედვით

იმერეთის რეგიონში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკის ანალიზი 2017–2024 წლებში ცხადყოფს, რომ მოცემულ პერიოდში შეინიშნება როგორც ზრდის, ისე ციკლური რყევების ტენდენცია. კერძოდ, 2017–2019 წლებში ინვესტიციების მოცულობა თანმიმდევრულად იზრდება (104.7 მლნ-დან 184.4 მლნ-მდე), რაც მიუთითებს რეგიონში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებასა და კაპიტალდაბანდებების ზრდაზე.

2020 წელს ფიქსირდება მცირედი შემცირება (178.1 მლნ), რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია გლობალური პანდემიის უარყოფით ეკონომიკურ ეფექტებთან. აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება 2021 წელს, როდესაც ინვესტიციების მოცულობა მცირდება 149.1 მლნ-მდე. ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს როგორც ინვესტიციური აქტივობის დროებითი შესუსტების ეტაპი.

მნიშვნელოვანი აღდგენა შეინიშნება 2022 წელს, როდესაც ინვესტიციები მკვეთრად იზრდება და აღწევს 251.4 მლნ ლარს, რაც ანალიზის მთელ პერიოდში მაქსიმალური მაჩვენებელია. აღნიშნული ზრდა შესაძლოა უკავშირდებოდეს ეკონომიკური აქტივობის პოსტპანდემიურ აღდგენას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას ან ერთჯერად მსხვილ პროექტებს რეგიონში.

შემდგომ წლებში (2023–2024) კვლავ ფიქსირდება შემცირება (180.9 მლნ ლარი) და შედარებითი სტაბილიზაცია (194.3 მლნ ლარი), რაც მიუთითებს ინვესტიციების დონის ნაწილობრივ კორექციასა და ახალ საბაზო ნიშნულზე დამყარებაზე.

ანალოგიური ტენდენცია იკვეთება ერთ აქტიურ საწარმოზე მოდებული ინვესტიციების მაჩვენებელშიც. 2017–2019 წლებში იგი ზრდადია (4947-დან 8358 ლარამდე), რაც მიუთითებს არა მხოლოდ საერთო ინვესტიციების ზრდაზე, არამედ საწარმოთა კაპიტალიზაციის გაძლიერებაზე. 2020–2021 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება (8079 ლარი და 6491 ლარი), რაც ადასტურებს პანდემიის გავლენას საწარმოთა საინვესტიციო შესაძლებლობებზე.

2022 წელს ერთ საწარმოზე ინვესტიციების მაჩვენებელი აღწევს პიკურ მნიშვნელობას (10214 ლარი), რაც მიუთითებს ინვესტიციების კონცენტრაციის ზრდაზე და შესაძლოა, უფრო კაპიტალმოჭარბებულ პროექტებზე. თუმცა, 2023–2024 წლებში კვლავ ფიქსირდება შემცირება და სტაბილიზაცია (6988 და 7078), რაც ასახავს საინვესტიციო აქტივობის ნორმალიზაციას.

მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური ზრდის ფაქტორების დამოკიდებულების შესწავლა. ამისათვის განვახორციელეთ რეგრესიული ანალიზი უმცირესი კვადრატთა მეთოდით (OLS), სადაც დამოკიდებულ ცვლადად გამოყენებულია იმერეთის რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება ერთ სულზე (VApc), ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად — შრომის მწარმოებლურობა (Prod) და ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (Inv). ამ მოდელის მიხედვით მიღებული იქნა შემდეგი განტოლება:

$$VApc = -732.36 + 0.139\ Prod + 1.475\ Inv$$

დეტერმინაციის კოეფიციენტი შეადგენს **R^2=0.974**-ს, რაც მიუთითებს, რომ დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის დაახლოებით 97.4% აიხსნება მოდელში ჩართული ფაქტორებით. მოდელი მთლიანობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F = 306.9$; $p < 0.01$).

კოეფიციენტების შეფასების მიხედვით, შრომის პროდუქტიულობა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს. მისი კოეფიციენტი არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვნი ($\beta = 0.139$; $p < 0.01$), რაც მიუთითებს, რომ პროდუქტიულობის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის დამატებულ ღირებულებას მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული შედეგი შეესაბამება ეკონომიკური ზრდის თეორიას, რომლის მიხედვითაც შრომის ეფექტიანობის გაუმჯობესება წარმოადგენს განვითარების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

ნახაზი 3

მოსახლეობის ერთ სულზე დღ-სა და შრომის მწარმოებლობას შორის
არსებული კავშირის ამსახველი გაბნევის დიაგრამა



ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების კოეფიციენტი დადებითია (β=1.475), თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა (p=0.561). ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ შედეგებზე ხშირად ვლინდება დროითი ჩამორჩენით, ხოლო მოკლევადიან პერიოდში მათი ეფექტი სრულად არ აისახება გამომუშავებაზე. ამასთან, ინვესტიციები ძალიან არასტაბილურია, ამიტომ მოდელი რთულად აჩვენებს მათ რეალურ გავლენას.

დამატებით, დარბინ-ვატსონის სტატისტიკა (DW = 0.877) მიუთითებს შესაძლო ავტოკორელაციის არსებობაზე, რაც ტიპურია დროითი რიგების ანალიზისთვის და საჭიროებს შედეგების სიფრთხილით ინტერპრეტაციას.

ნახაზი 4

მოსახლეობის ერთ სულზე დღ-სა და ფიქსირებულ აქტივებს შორის
არსებული კავშირის ამსახველი გაბნევის დიაგრამა



დამოუკიდებელი ცვლადების გავლენის სხვადასხვა დონე რეგიონში მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე დაადასტურა ელასტიურობის კოეფიციენტებმაც. კერძოდ, მწარმოებლურობის მიხედვით გამოთვლილმა ელასტიურობაა E_{prod}=1,30, რაც ნიშნავს მისი მაღალი დონის მგრძნობელობას ეკონომიკურ ზრდაზე. იფა-ს მიხედვით გამოთვლილმა ელასტიურობამ E_{inv}=0,10 შეადგინა, რაც მიუთითებს, რომ მათი ეფექტი უფრო გრძელვადიანი და არაპირდაპირი ხასიათისაა.

დასკვნები

1. ანალიზმა გვიჩვენა, რომ იმერეთის რეგიონი უფრო მაღალი რყევებით ხასიათდება, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი და კრიზისულ პერიოდებში (მაგ., COVID-19) რეგიონი ზოგჯერ ნაკლებად ზიანდება. აღდგენის ფაზებში რეგიონი ხშირად უფრო სწრაფ ზრდას აჩვენებს (2021–2022, 2024); მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის დინამიკა ზოგჯერ განსხვავებულია, რასაც შიდა სტრუქტურული სპეციფიკა განაპირობებს;
2. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ იმერეთის რეგიონში ეკონომიკური ზრდა 2006–2024 წლებში ძირითადად განპირობებულია შრომის პროდუქტიულობის ზრდით, მაშინ როდესაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების გავლენა არაპირდაპირი და დროში გადანაწილებული ხასიათისაა;
3. ანალიზი აჩვენებს, რომ იმერეთის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ ხასიათდება სტაბილური ზრდის ტენდენციით. იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც შიდა ეკონომიკურ პირობებზე, ასევე გლობალურ კონიუნქტურაზე, რაც ტიპურია მცირე რეგიონული ეკონომიკებისთვის. აღნიშნული მახასიათებელი მიუთითებს რეგიონში საინვესტიციო გარემოს სტრუქტურულ არასტაბილურობაზე და საჭიროებაზე, რომ გაძლიერდეს გრძელვადიანი საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტები.
4. იმერეთის რეგიონში ინვესტიციების დინამიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარე შოკებზე (მაგ., პანდემია) და აღდგენის ფაზაში ხასიათდება მკვეთრი, მაგრამ არასტაბილური ზრდით. ამასთან, საშუალოდ ერთი საწარმოს

მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი აჩვენებს, რომ ინვესტიციების ზრდა ხშირად დაკავშირებულია მათი კონცენტრაციის ზრდასთან და არა საწარმოთა რაოდენობის თანაბარ გაფართოებასთან.

5. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ იმერეთის რეგიონში ეკონომიკური ზრდა 2006–2024 წლებში ძირითადად განპირობებულია შრომის პროდუქტიულობის ზრდით, მაშინ როდესაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების გავლენა არაპირდაპირი და დროში გადანაწილებული ხასიათისაა.
6. ჩვენი აზრით, იმერეთის რეგიონში ეკონომიკური ზრდის მძლავრ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ სამეცნიერო ცოდნა, კვლევები, ინოვაციები და ტექნოლოგიები. აღნიშნულის საფუძველია ქალაქ ქუთაისში სამი უნივერსიტეტის და ციფრული ტექნოლოგიების ცენტრის არსებობა. აღნიშნულთან ერთად საინვესტიციო მოედნების მომზადებას, ინდუსტრიული პარკების და ტექნოპარკების ფორმირებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა რეგიონის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ინვესტიციების მოზიდვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი, გ., (2026) საქართველო თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების პრიზმაში (მონოგრაფია). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. – 230 გვ. https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Georgia_Through_The_Lens_Of_Commensurate_Economic_Development.pdf
2. კურდღელია, ნ., (2025) მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 21-31. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.02
3. მენქიუ, გ., (2008). ეკონომიკის პრინციპები. თბ., „დიოგენე“;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. რეგიონული სტატისტიკა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2025. https://www.geostat.ge/media/77970/Yearbook_2025.pdf
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
9. სმიტი, ა., (2007) გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (ქართულ ენაზე). თბ., ილიაუნის გამომცემლობა;
10. ჩიხლაძე, ნ., (2021) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები (მონოგრაფია) „MBM-პოლიგრაფი“; URL: https://www.researchgate.net/publication/354724312_regionuli_ekonomikuri_politikis_teoriuli_da_praktikuli_midgomebi

11. ცეცხლაძე, მ., (2018) ეკონომიკური დოქტრინები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ჭანტურიძე, ი., (2025) სამეწარმეო სექტორის განვითარების რეგიონული თავისებურებები საქართველოში (ინგლისურ ენაზე). ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 69-76. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.06
13. ჰეინე, პ., ბოეტკე, პ., პრიჩიტკო, დ., (2025). ეკონომიკური აზროვნება. (ქართულ ენაზე, აკად. ა.სილაგაძის რედაქციით). თბ., თსუ გამომცემლობა;
14. Bedianashvili, G., (2019) Regional systems in the context of increasing the global competitiveness of country. Conference: The 14th International Academic Conference "Social Sciences for Regional Development. Daugavpils, Latvia. 10.13140/RG.2.2.22768.61446
15. Lezhava, E., (2025) Regional analysis of state employment policy in Georgia (in English). Economic Profile, Vol. 20, 2(30), p. 117-125. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.09
16. Liang, M., (2014) The Microeconomic Growth, Springer, Berlin, Heidelberg.

Peculiarities of Regional Economic Growth: The Example of Imereti

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Sciences, Professor,
Akaki Tsereteli State University;
Central European University
nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

Summary

Regional economic development, as well as the standard and quality of living of the population, depends on the pace of economic growth, which is closely linked to the quantitative increase of regional GDP. The aim of this paper is to analyze the key indicators of economic growth in the Imereti region. The study examines the dynamics of regional GDP, regional GDP per capita, value added created in the region, labor productivity, and investments in fixed assets over the period 2015–2024. Furthermore, economic growth rates are compared at both the national and regional levels, and a regression analysis is conducted based on the most significant factors influencing economic growth. (Due to the lack of reliable data at the regional level, it was not possible to analyze and assess the impact of innovation and human capital on economic growth.). The study reveals that investment dynamics in the Imereti region are significantly influenced by external shocks and are characterized by sharp but unstable growth during the recovery phase. According to the analysis of average investment per enterprise, increases in investment are often associated with higher concentration rather than with a proportional expansion in the number of enterprises. The results indicate that economic growth in the Imereti region during 2006–2024 has been primarily driven by increases in labor productivity, while the impact of investments in fixed assets is indirect and distributed over time.

Keywords: Regional GDP; Economic Growth; Investment; Value Added.

ევროსტანდარტებთან თავსებადი უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირების პერსპექტივები საქართველოში

მურმან ცარციძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.tsartsidze@tsu.ge

შოთა გაბადაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.gabadadze@tsu.ge

ანოტაცია. *მიმდინარე კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია ევროსტანდარტებთან თავსებადი უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირება. აღნიშნულის საჭიროება პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ და კანდიდატის სტატუსმა საქართველოს დააკისრა ვალდებულება, თანდათანობით დაუახლოვდეს ევროპულ სოციალურ სტანდარტებს, მათ შორის სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციებსა და ევროპის სოცია-ლურ ქარტიას. მეორე მხრივ, საქართველოს შრომის ბაზარზე დაფიქსირებული სტრუქტურული პრობლემები: უმუშევრობის მაღალი დონე, დასაქმების არაეფექტიანობა, რეგიონული დისბალანსი და არაფორმალური სექტორის მაღალი წილი-მოითხოვს ისეთი პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუ-შავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც სოციალურ დაცვას, ისე შრომის ბაზარზე აქტიური ინტეგრაციის სტიმულირებას. ევროკავშირის ქვეყნები უმუშევრობის პრობლემების დარეგული-რების მიზნით შრომის ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით ეფექტიანად ახორციელებენ დასაქმების აქტიურ და პასიური პოლიტიკას, რომელიც უზრუნველ-ყოფს ერთი მხრივ, უმუშევართა დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებებების დაგეგმვა-რეალიზა-ციას, ხოლო მეორე მხრივ, უმუშევართა სოციალურ დაცვასა და უმუშევრობის დაზღვევის ეფექტია-ნი სისტემის ჩამოყალიბებას. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ევროსტანდარტებთან თავსებადი უმუშევრობის სოცია-ლური დაზღვევის სისტემის ფორმირების პერსპექტივების შესწავლას, საერთაშორისო გამოცდი-ლების შედარებითი ანალიზისა და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი მოიცავს ევროპული უმუშევრობის დაზღვევის მოდელების კონცეპტუალურ და ინსტიტუციურ ანალიზს; საქართველოს არსებული სოციალური დაცვის სისტემის ხარვეზების იდენტიფიცირებას; საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და მზაობის ემპირიულ შეფასებას გამო-კითხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ამ ანალიზზე დაფუძნებული, პრაქტიკული რეკომენდა-ციების შემუშავებას შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისთვის.*

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, უმუშევრობის დაზღვევა, შემწეობა, სოციალური დახმარება, დასაქმების აქტიური და პასიური პოლიტიკა, შრომის ბაზარი.*

შესავალი

უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემების ფორმირება თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ინსტიტუციური ინტეგრაციის გაღრმავებას. საქართველოსთვის, რომელმაც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მოი-პოვა და აქტიურად ახორციელებს ევროპულ სამართლებრივ და სოციალურ ჩარ-ჩოსთან ჰარმონიზაციის პროცესს, სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზაცია და კონკრეტულად, უმუშევრობის დაზღვევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება სტრა-ტეგიულ პრიორიტეტად რჩება. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს კონტრიბუციულ პრინციპებზე დაფუძნებული უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემა, რი-თაც იგი გამოირჩევა არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან, არა-მედ რეგიონის სხვა ტრანზიციული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისგანაც კი (დიაკონიძე, 2018), რომლებმაც უკვე დანერგეს შესაბამისი მექანიზმები. დღეს არსებული სოციალური დახმარების სისტემა ორიენტირებულია სიღარიბის დაძ-ლევაზე და არ ითვალისწინებს დაზღვევის პრინციპებზე დაფუძნებულ, შემოსავ-ლის დაკარგვასთან დაკავშირებულ კომპენსაციურ მექანიზმებს. ეს გარემოება განსაკუთრებით პრობლემურია შრომის ბაზრის არაფორმალური სექტორის მაღა-ლი წილის, სამუშაო ადგილების არასტაბილურობისა და მაკროეკონომიკური შოკების მიმართ მოსახლეობის დაუცველობის კონტექსტში. საქართველოში უმუ-შევრობის დაზღვევის სისტემის არარსებობა არა მხოლოდ სოციალური დაცვის ხარვეზს წარმოადგენს, არამედ ზღუდავს ქვეყნის შესაძლებლობას, ეფექტიანად უპასუხოს ეკონომიკურ ციკლებსა და გარე შოკებს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია საქართველოში ევროსტანდარტებთან თავსებადი უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირების პერსპექტივების შესწავლა, საერთაშორისო გამოცდილების შედარე-ბითი ანალიზისა და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით. კვლევის ამოცა-ნები მოიცავს: ევროპული უმუშევრობის დაზღვევის მოდელების კონცეპტუალურ და ინსტიტუციურ ანალიზს; საქართველოს არსებული სოციალური დაცვის სისტე-მის ხარვეზების იდენტიფიცირებას; საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და მზაობის ემპირიულ შეფასებას გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ამ ანალიზზე დაფუძნებული, პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისთვის.

კვლევის საჭიროება და თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირველად აერთიანებს ევროპული მოდელების სისტემურ შედარებით ანალიზს საქართველო-ში ჩატარებულ ორიგინალურ ემპირიულ კვლევასთან, რაც იძლევა როგორც თეო-რიულ, ისე პრაქტიკულ საფუძველს აღნიშნულ სფეროში შესაბამისი პოლიტიკის შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ფორმირების ბარიერები.

დღეისათვის საქართველოში არ ფუნქციონირებს უმუშევრობის დაზღვევის სრულფასოვანი, ცალკე გამოყოფილი სისტემა, ეს მაშინ როცა შრომის საერთაშო-რისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, უმუშევრობის დაზღვევა ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში არსებობს. არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები ძირეულად ორიენტირებულია სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაზე (მაგალითად, საარსებო შემწეობის პროგრამა), ხოლო უმუშევრობასთან დაკავშირებული რისკები სპეციფიკურად არ არის დაფარული. საარსებო შემწეობის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 555500 ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას, ხოლო ერთ ოჯახზე გათვალისწინებული თანხა დაახლოებით 200-250 ლარს შორის მერყეობს. 2025 წელს საარსებო შემწეობა მიიღო 704713 ადამიანმა ანუ, მთლიანი მოსახლეობის 17.9%-მა (www.geostat, 2025). უმუშევრობის სოციალური დაცვის სფეროში არსებული ვითარება ქმნის მნიშვნელოვან ხარვეზს, რადგან სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში პირი ფაქტობრივად მოკლებულია მი-ზანმიმართულ, სამუშაოს დაკარგვის რისკზე ორიენტირებულ ფინანსურ მხარ-დაჭერას, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ეკონომიკური შოკების (მაგალითად, პანდემიის ან გლობალური ეკონომიკური კრიზისის) პერიოდში.

საქართველოში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ფორმირებას ხვდება რიგი სტრუქტურული ბარიერები. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ:

ფისკალური ბარიერები-ნებისმიერი ახალი სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, ან შენატანების სახით (რაც ზრდის შრომის ღირებულებას და სამუშაო ძალის ფორმალიზაციაზე გავლენას ახდენს), ან ბიუჯეტური ფინანსირების სახით. ILO-ის შემოთავაზებული 1.7%-იანი განაკვეთი მიზნად ისახავს ამ ფისკალური ზეწოლის მინიმუმამდე დაყვანას, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში საჭირო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ცვლი-ლებებისა და გადანაწილების განხორციელება.

ინსტიტუციური ბარიერები-სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭი-როა შესაბამისი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის შექმნა (რეგისტრაციის, კონტროლის, შენატანების შეგროვების და გასაცემლების განაწილების მექანიზმე-ბი), რასაც ესაჭიროება დროითი და ადმინისტრაციული რესურსი, ასევე ციფრული მონაცემთა ბაზების შექმნას, რომელიც ეფექტიანად დააკავშირებდა საგადასახადო ორგანოებსა და დასაქმების სააგენტოებს.

შრომის ბაზრის სტრუქტურული თავისებურებები-საქართველოში არაფორმა-ლური დასაქმების მაღალი წილი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სტრუქტურულ ბარიერს (განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სექტორში) რადგან ართულებს დაზღვევითი პრინციპის სრულფასოვან რეალიზაციას. კერძოდ, არა-ფორმალურ სექტორში დასაქმებულებზე, რომლებმაც სამსახური დაკარგეს, უმუ-შევრობის დაზღვევის/შემწეობის ბენეფიტები არ გაიცემა, რადგან სახელმწიფო ვერ აღრიცხავს ზუსტად არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს, მათი წილი ძალიან მაღალია-28.3%, 2025 წელს (www.geostat, 2025).

მიღებული მემკვიდრეობა-საქართველოში სოციალური სისტემა, რომელიც მემ-კვიდრეობით საბჭოთა კავშირიდან მივიღეთ მთლიანად უნივერსალიზმის პრინ-ციპზე იყო დაფუძნებული. პოსტსაბჭოთა პერიოდში მისთვის რესურსების შეზღუ-დვის გამო,

განხორციელდა ლიბერალურ რეფორმებზე გადასვლა, სადაც ფოკუსი-რება ცალსახად მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე განხორციელდა. ამაზე მეტ-ყველებს 2025 წლის იანვრის მდგომარეობით, მიზნობრივ სოციალური დახმარების პროგრამათა ბაზაში დარეგისტრირებული 1215483 პირი, რომლებიც სრული მოსახ-ლეობის 33%-ია (www.geostat, 2025) და 1519000000 ლარი, რომელიც სოციალურ და-ცვაზე გათვალისწინებული ჯამური ბიუჯეტის 27%-ი **(კანონი N45-Iმს-XIმპ, 2025)**. ბოლო პერიოდში მთავრობამ მიიღო საქართველოს შრომის კანონმდებლობის, შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისაკენ მიმართული რიგი ზო-მები, დაიწყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. ამჟამად, არსებული სოციალური დაცვის სისტემა ფარავს არსებით რისკებს, რომლებიც სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში წარმოიშობა, მაგრამ ახასიათებს ხარვეზები დაფარვის კუთხით და დაცვის დონის არაადეკვატურობით. დაცვის ხარვეზი განსაკუთრებით, სამუშაო ასაკის პირებთან მიმართებაში ვლინდება **(ILO, Report I, 2023).**

გლობალურმა პანდემიამ, რომლის ნაწილს საქართველოც წარმოადგენდა, უფრო მნიშვნელოვანი გახდა ქრონიკული უმუშევრობის დაძლევის, უმუშევართა სოციალური დაცვის, დაზღვევის თანამედროვე სისიტემების ფორმირებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის საკითხები. უმუშევრობისა და არაეფექტიანი დასაქმების ნეგატიურმა შედეგებმა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა და პირდაპირ აისახა ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ყველა მაჩვენებლებზე. ქვეყანაში 2026 წლის I კვარტლის მდგომარეობით უმუშევრად 230 000 ადამიანი მიიჩნევა, რაც სამუშაო ძალის 14.4%-ია, ხოლო 1599200 ადამიანი სამუშაო ძალიდან 444600 თვითდასაქმე-ბულია (**www.geostat, 2026**). დღეისათვის, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბების რისკების შემცირების მნიშვნელოვან პრევენციულ ინს-ტრუმენტს უმუშევრობის დაზღვევა წარმოადგენს, რომელიც მოქალაქეებს დააზ-ღვევს უმუშევრობით გამოწვეული სოციალური რისკებისაგან და დაიცავს უმუშე-ვრად დარჩენის შემდგომი ფინანსური არასტაბილურობისა და სიღარიბისაგან.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დანერგვის პერსპექტივები

მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნ-ქციას წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური რისკებისაგან დაცვა. ამისათვის სჭიროა ქართულ რეალობაზე მორგებული სოციალური დაცვის სისტემის არსე-ბობა, რომელიც ადამიანების საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული და დაეფუ-ძნება საერთაშორისო გამოცდილებას. შესაბამისად საჭიროა გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, იყოს უმუშევრობის დაზღვევის სისტემა სავალდებულო (გერმანიის, ავსტრიის და საფრანგეთის მსგავსად) თუ ნებაყოფლობითი (დანიის, ფინეთის და უნგრეთის მსგავსად). ამასთან გასათვალისწინებელია ორივე სისტემას უპირატესობები და რისკები. ცალკე აღსანიშნავია ევროპულ პრაქტიკაში არსებული სქემა, როცა უმუშევრობის შემწეობა, როგორც დაზღვევისგან განცალკევებული ფო-რმა, ევროკავშირის მხოლოდ ათ ქვეყანაში გამოიყენება (ავსტრია, ესტონეთი, ფინე-თი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, მალტა, პორტუგალია და ესპანე-თი). ორდონიანი მოდელი (დაზღვევა+შემწეობა) წარმოადგენს ევროპული პრაქტი-კის ფარგლებში ერთ-ერთ, მნიშვნელოვან, მაგრამ არა ერთადერთ ვარიანტს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შსო) Expe-rtise France-თან თანამშრომლობით და საქართველოს მთავრობასთან კოორდი-ნაციით მოამზადა დეტალური ანგარიში, რომელშიც შემოთავაზებულია უმუშევ-რობის დაზღვევის სამი კონკრეტული ვარიანტი **(A, B და C)** მათ შორის განსხვავება ძირეულად ეხება შენატანების განაკვეთსა და კომპენსაციის მიღების ხანგრძლი-ვობას **(ILO, Report II, 2023)** (**იხ. ცხრილი 1**).

ცხრილი 1

საქართველოსთვის უმუშევრობის დაზღვევის პროექტის სამი ვარიანტის შეჯამება

დასახელება	**ვარიანტი-A**	**ვარიანტი-B**	**ვარიანტი-C**
დაფარვა	სავალდებულო დაფარვა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული ყველა პირისთვის		
კომპენსაციის მიღებ-ისათვის შენატანების განხორციელების მოთხოვნა	6 თვე დასაქმების შეწყვეტის წინმსწრებ 12 თვიან პერიოდში	12 თვე დასაქმების შეწყვეტის წინმსწრებ 24 თვიან პერიოდში	12 თვე დასაქმების შეწყვეტის წინმსწრებ 36 თვიან პერიოდში
დასაქმების შეწყვეტის საპატიო მიზეზები და კომპენსაციის მირების გაგრძელება	დასაქმების შეწყვეტა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ პირს შეუძლია მუშაობა და აქტიურად ეძებს სამსახურს		
შენატანებიდან მიღებული შემოსავალი	შენატანებიდან მიღებული მინი-მუმალური შემო-სავალი: საარსებო მინიმუმი შენატანებიდან მი-ღებული მაქსიმა-ლური შემოსავალი: საშუალო ეროვ-ნული შემოსავლის 1.5-მაგი ოდენობა	შენატანებიდან მიღებული მინი-მუმალური შემო-სავალი: საარსებო მინიმუმი შენატანებიდან მი-ღებული მაქსიმა-ლური შემოსავალი: საშუალო ეროვ-ნული შემოსავლის 2-მაგი ოდენობა	შენატანებიდან მიღებული მინი-მუმალური შემო-სავალი: საარსებო მინიმუმი შენატანებიდან მი-ღებული მაქსიმა-ლური შემოსავალი: საშუალო ეროვ-ნული შემოსავლის 2.5-მაგი ოდენობა
შემწეობის მაქსიმალუ-რი ხანგრძლივობა	არაუმეტეს 4 თვე	არაუმეტეს 6 თვე	არაუმეტეს 9 თვე
უმუშევრობის კომპენსაცია	დასაქმების შეწყვეტის წინმსწრებ 6-თვიან პერიოდში შენატანებიდან მიღებული საშუალო შემოსავლის **50%**	პირველი 3 თვის მანძილზე, დასაქმე-ბის შეწყვეტის წინმსწრებ 12-თვიან პერიოდში შენატა-ნებიდან მიღებული საშუალო შემოსავლის 60%; დარჩენილი 3 თვის განმავლობაში	პირველი 3 თვის მანძილზე, დასაქმე-ბის შეწყვეტის წინმსწრებ 12-თვიან პერიოდში შენატანებიდან მიღებული საშუალო შემოსავლის 65%; მომდევნო 3 თვის მანზილზე შენატანე-

	მინიმალური ოდენობა: **საარსებო მინიმუმი**	შენატანებიდან მიღებული საშუალო შემოსავლის 40% მინიმალური ოდენობა: **საარსებო მინიმუმი**	ბიდან მიღებული საშუალო შემოსავლის 45%; დარჩენილი 3 თვის განმავლობაში **საარსებო მინიმუმი**
მოცდის პერიოდი	7 დღე	7 დღე	7 დღე
შენატანების ჯამური განაკვეთი	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 1.1%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 1.4%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 1.7%
რეკომენდებული განაკვეთი დამსაქმებლისთვის	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.55%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.7%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.85%
რეკომენდებული განაკვეთი დასაქმებულისათვის	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.55%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.7%	შენატანებიდან მიღებული შემოსავლის 0.85%

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საქართველოში უმუშევ-რობის დაზღვევის სისტემა, უნდა გავრცელდეს ყველა დასაქმებულზე, რომლებიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება და იღებს ანაზღაურებას, მათ შორის, კერძო და საჯარო სექტორში. თითოეულ ვარიანტში შენატანებიდან მიღებული შემოსავლე-ბის მინიმალური ზღვარი საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება[27]. შემოთავაზებული ვარიანტები არ მოიცავს თვითდასაქმებულებს, გიგ-ეკონომიკასა და არაფორმალურ სექტორში მომუშავე "არატიპურ" მუშაკებს, რომელთა რაოდენობა საქართველოში განსაკუთრებულად მზარდია და ისინი შრომით ურთიერთობაში (quasi-dependent) არიან ერთ ან რამდენიმე დამსაქმებელთან. შესაბამისად, იქმნება საფრთხე იმისა, რომ უმუშევრობის დაზღვევის სქემიდან მათმა გამორიცხვამ შეიძლება, კიდევ უფრო გააუარესოს მათი სამუშაო პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პირველ რიგში, დაზღვევა უნდა გავრცელდეს შრომით ურთიერთობაში მყოფ დასაქმებულებზე, ხოლო, როდესაც სქემა სრულად ამოქმედდება, განხილულ უნდა იქნას დაზღვევის თვითდასა-ქმებულ პირებზე და ატიპიურ მუშაკებზე გავრცელების საკითხიც. ან უმუშევრობის დროს ამ უკანასკნელთათვის შეიქმნას სოცილაური დაცვის ალტერნატიული სქემა.

უმუშევრობის კომპენსაციის მიღების წინაპირობას წარმოადგენს, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში უმუშევარ ბენეფიციარების რეგისტრაცია და სამსახურის აქტიური ძიება. ადეკვატურ სამუშაო შეთავაზებაზე ან ტრენინგზე უარმა შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის დაკარგვა. რაც შეეხება უმუშევრობის კომპენსაციისა და ადმინისტრირების ხარჯს, ის უნდა დაფინანსდეს როგორც დამსაქმებლის, ისე სქემაში ჩართული პირების მიერ. უმუშევრობის კომპენსაციას-თან დაკავშირებით N168 კონვეცია

[27]მიმდინარე პერიოდში (03.07.2026 წელი) საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოში 250.9 ლარს შეადგენს. იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi;

აწესებს ჩანაცვლების კოეფიციენტს 50%-ს **(C168 Convention, 1988)**. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაზღვევის შესწავლამ დაგვანახა, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი 50-60%-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოში შემოთავაზებული ვარიანტების შემთხვევაში უმუშევრობის კომ-პენსაცია არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. ამასთან, ILO მიიჩნევს, რომ საქართველოში უმუშევრობის კომპენსაცია უნდა მიიღონ სქემაში ჩართულმა ადამიანებმა, რომლებმაც თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ დაკარგეს სამსახური, მათ შორის, მასობრივი დათხოვნის შედეგად. უმუშევრობის კომპენსაცია კი უნდა გადაუხადონ წინასწარ განსაზღვრული მაქსიმალური პერიოდის განმავლობაში.

საქართველოში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის შემოღების მიმართ საზოგა-დოების დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა რაოდენობ-რივი ანკეტური კვლევა. მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა სტრუქტუ-რირებული, თვითადმინისტრირებადი ონლაინ-კითხვარი (Google Forms პლატფო-რმაზე შექმნილი), კვლევის პროცესში მონაწილეობა მიიღო **522-მა რესპონდენტმა**. გამოკითხვის პირველ ეტაპზე პროცესში უპირატესად აქტიურად ჩაერთვნენ ქალები და ახალგაზრდები. ბოლო 5 წელში უმუშევრობის გამოცდილება გამო-კითხულთა 53.8% ჰქონდა, რომელთაგან 28.5%-ს (149 რესპოდენტი) ორჯერ ან მეტჯერ, ხოლო 25.3%-ს (132 რესპოდენტი) ერთხელ. ხოლო გამოცდილება საერთოდ არ ჰქონდა 46.2%-ს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო სამსახურიდან წამოსვლის მიზეზებში დომინირებს **საკუთარი ნებით** წამოსვლა (42.3%); რაც ძირითადად დაბალი ხელფასის გამოა, კონტრაქტის ამოწურვის გამო სამუშაო დატოვა 5.4%-მა; კომპანიის დახურვის გამო 4%; შემცირების გამო 3.3%; ტექნოლოგიური პროგრესი შეეხო 0.4%-ს **(იხ. ცხრილი 2)**.

ცხრილი 2

გამოკითხულთა განაწილება ოჯახური შემოსავლების დონისა და უმუშევრობის გამოცდილების მიხედვით

დასახელება	**დასახელება**	**რაოდენობა**	**პროცენტი (%)**
ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ყველა წევრის ჩათვლით	3500 ლარზე მეტი	158	30.3%
	2001-დან 3500 ლარამდე	127	24.3%
	1001-დან 2000 ლარამდე	120	23.0%
	5001-დან 1000 ლარამდე	42	8.0%
	500 ლარამდე	14	2.7%
	არ უპასუხა	61	11.7%
უმუშევრობის გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში	ერთხელ	132	25.3%
	ორჯერ და მეტად	149	28.5%
	არ ვყოფილვარ უმუშევარ ამ პერიოდში	241	46.2%
სულ		**522**	**100%**

წყარო: *ცხრილი და სქემა შედგენილია ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.https://docs.google.com/forms/d/1gN-M0wxpaw269r_e1pGymuk7KRcRg9walvX4N55Qg/edit*

მართალია, ციფრულმა ეკონომიკამ გაამარტივა შრომა, მაგრამ მისი გავლენა ჯერ კიდევ სრულად არ ასახულა სამუშაო ადგილებზე. გარკვეულწილად აქედან გამომდინარე, უმუშევრობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი უმეტესობისათვის (35.2%) შეადგენდა 1-დან 3 თვეს; 3-6 თვე 21.5%-სათვის; 6 თვიდან წლამდე პერიოდს მოიცავდა 20.9%-ისათვის; 1-დან 3 წლამდე უმუშევრობის პერიოდი იყო 11.7%-სათვის, ხოლო 3 წელზე მეტი 10.7%-სათვის **(იხ. სქემა 1).**

შრომის ბაზარზე არსებული რეალობიდან გამომდინარე რესპოდენტთა უმრავ-ლესობისათვის უმუშევრობის დაზღვევა ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას მყარად სწამს, რომ დაზღვევა მისცემს სამუშაოს ძიების მოტივაციას და შესა-ძლებლობას კვალიფიკაციის ამაღლების და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისათვის. ამასთან, უმეტესობა არ ეთანხმება სტერეოტიპს, რომ შემწეობა აზარმაცებს ადამია-ნებს (საშუალო ქულა 2.53). პროფესიული ცვლილებებისათვის ხელშეწყობის საშუა-ლო ქულა 3.13 შეადგენს, რაც საზოგადოების ნეიტრალურ-პოზიტიური დამოკი-დებულებას აჩვენებს. საზოგადოება აღიარებს სახელმწიფოს როლს და პასუხისმგე-

სქემა 1

რესპოდენტთა განაწილება უმუშევრობის პერიოდისა და ბოლო სამსახურიდან წამოსვლის მიზეზების მიხედვით



წყარო: *სქემა შედგენილია ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.https://docs.google.com/forms/d/1gN-M0wxpaw269r_e1pGymuk7KRcRg9walvX4N55Qg/edit*

ბლობას, თუმცა მთავარ ნაკლს სისტემის ბოროტად გამოყენების რისკში (საშუალო ქულა 3) ხედავს, რესპოდენტთა 32.4%. ამასთან, დღევანდელი მდგომარეობით სის-ტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი ქულა ძალიან დაბალია და საშუალოდ 2.24-ს შეადგენს. უმუშევრობის დაზღვევის სისტემის მთავარ უპირატესობად რესპოდენ-ტთა უმრავლესობა ფინანსური უსაფრთხოებასა და ქვეყანაში სოციალური სტაბი-ლურობის უზრუნველყოფას მიიჩნევს. სისტემის ნებაყოფლობითობასა და სავალ-დებულოს შორის

რესპოდენტთა აზრი 2.89 ქულით ნებაყოფლობითობის სასარგე-ბლოდ გადაიხარა, რაც ჩვენი აზრით მეტყველებს საზოგადოების დაბალ განათლე-ბის დონეზე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება ფინანსირების წყაროს. კითხვაზე თუ ვინ უნდა აფინანსებდეს სისიტემას 59.4% მხარი დაუჭირა კოლექტიურ მოდელს: სახელმწიფო+დასაქმე-ბული+დამსაქმებელი. რესპოდენტთა 19.7%-მა ჩათვალა, რომ იგი მხოლოდ სახელ-მწიფომ უნდა დააფინანსოს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებიც დარჩნენ წარსულში და დღესაც მიაჩნიათ, რომ მხოლოდ სახელმწიფო უნდა იყოს მზრუნველი.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. თეორიული ემპირიული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დაზღვევა სოციალური დაცვის ერთ-ერთი საბაზისო ინსტრუმენტია, რომელიც ერთდროულად ასრულებს სამ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას-შემოსავლის ჩანაცვლების, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და შრომის ბაზრის ეფექტია-ნობის ხელშეწყობის ფუნქციებს.

2. განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია სოციალური დაცვის რამდენიმე ალტერნატიული მოდელი: ანგლო-საქსონური (ბევერიჯისეული), სკანდინავიური, კონტინენტური (ბისმარკისეული) და სამხრეთ ევროპული, რომლებიც განსხვავდე-ბიან დაფინანსების წყაროთი, დაფარვის ხარისხითა და შენატანზე დამოკიდებუ-ლების ხარისხით. თანამედროვე ევროპულ პრაქტიკაში ჭარბობს ამ მოდელების ჰიბრიდული ვარიანტები.

3. ევროკავშირი, წევრ ქვეყნებს არ უწესებს ერთიან სავალდებულო მოდელს, თუმცა არსებული სოციალური დაცვის სფეროში შემუშავებული ჩარჩო-დოკუმენ-ტები განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვანია წევრი და ასოცირებული ქვეყნებისათვის, საქართველოს ჩათვლით, ევროკავშირის კანონმდე-ბლობასთან და დაწესებულ სტანდარტებთან თავსებადობის კუთხით.

4. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ უნივერსალურად „საუკეთესო" მოდელი არ არსებობს-თითოეული ქვეყანა სისტემას არგებს საკუთარ შრომის ბაზრის სტრუქტურას, ინსტიტუციურ შესაძლებლობებსა და ფისკალურ რესურსებს;

5. პოსტკომუნისტური ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი) გამოცდილების ანალიზის შედეგად გამოკვეთა სამი ძირეული პრინციპი, რომელიც ძალზე საყურადღებო და რელევანტურია საქართველოსთვის. ეს პრინციპებია: ეტაპობრიობის პრინციპი სისტემის ფორმირებაში; დაზღვევითი და უნივერსა-ლური ელემენტების კომბინაცია (ესტონური ორდონიანი მოდელი); და აქტიური და პასიური პოლიტიკის ინტეგრაცია.

6. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში, სხვა განვითარე-ბული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისგან განსხვავებით, დღემდე არ ფუნქციონირებს კონტრიბუციული ტიპის უმუშევრობის დაზღვევის სისტემა. არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები-მათ შორის, საარსებო შემწეობა და ერთჯერადი დახმარებები-ორიენტირებულია საარსებო მინიმუმის უზრუნველყო-ფაზე და არა შემოსავლის

დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის სისტემურ მართვაზე. ეს გარემოება ქმნის სტრუქტურულ ხარვეზს სოციალური დაცვის სისტემაში და აჩენს კითხვას სახელმწიფოს მიერ შრომის ბაზრის რისკების მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

7. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დასაქმებულთა და უმუშევართა შორის დამოკიდებულებები უმუშევრობის დაზღვევის შემოღების მიმართ პრინციპულად დადებითია, თუმცა დამოკიდებულების ინტენსივობა და მხარდაჭერის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის. კერძოდ, გამოკვეთილია ასაკის, დასაქმების სტატუსის, შემოსავლის დონისა და ეკონომიკური სექტორის (ფორმალური/არაფორმალური დასაქმება) გავლენა რესპონდენტთა პოზიციებზე. ეს არაერთგვაროვნება მიუთითებს იმაზე, რომ მომავალი სისტემის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის განსხვავებულ საჭიროებებსა და მოლოდინებს.

8. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პრობლემა, გამოწვევა, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: ინსტიტუციური და საკანონ-მდებლო ჩარჩოს არარსებობა; შრომის ბაზრის არაფორმალური სექტორი; საზოგა-დოებრივი ცნობიერების და ნდობის დეფიციტი; ფისკალური და მაკროეკონო-მიკური საკითხები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნა, ისე პრინციპული მზაობა უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დანერგვის მიმართ, მაგრამ წარმატებული რეფორმისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც ერთდროულად მოაგვარებს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, ფისკალურ და საკომუნიკაციო გამოწვევებს.

9. შსო-ს მიერ შემოთავაზებული უმუშევრობის დაზღვევის სამი ძირითადი ვა-რიანტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დაზღვევის ყველა ძირითადი მახასია-თებელი პარამეტრები: საკვალიფიკაციო პერიოდი, შემწეობის მაქსიმალური ხან-გრძლივობა, შეღავათების დონე, მოცდის პერიოდი, შენატანებიდან მიღებული შემოსავალი, შენატანების ჯამური განაკვეთი, რეკომენდებული განაკვეთი დამსა-ქმებლისა და დასაქმებულისათვის. თუმცა, ჩვენი აზრით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თითოეულ ვარიანტში, შენატანებიდან მიღებული შემოსავლების მინიმალური ზღვარი საარსებო მინიმუმს უთანაბრდება, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში მიღე-ბულია და კანონმდებლობით აბსოლიტურად დასაშვებია. თუმცა დღეს საქართვე-ლოში მოქმედი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია და პრაქტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და არანაირად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. აღნიშნულის შესახებ, ჩვენს მიერ არაერთხელ, სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში (**Tsartsidze M. Gabadadze Sh. 2022), (ცარციძე, 2022)** წარმოდგენილი იქნა შეფასებები, კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დღეს განსაზღვრული საარსებო მინიმუმის დონე (283.3 ლარი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის) არა თუ სოციალური და კულტურული ცხოვრების ხარისხს, არამედ მინიმალურად აუცილებელი კვების პროდუქტების, სურსათის ხარჯებსაც კი არ ითვალისწინებს. ამიტომ, უმუშევრობის დაზღვევის რეალური, ეფექტიანი სისტემის დანერგვა პირველ რიგში მოითხოვს საარსებო მინიმუმის განსაზღვრის ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც სრულ შესაბამისობასი

იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და ასახავს რეალურ ხარჯებს, როგორც სასურსათო, ისე სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე.

10. საქართველოში ევროკავშირთან თავსებადი უმუშევრობის დაზღვევის სის-ტემის ფორმირებისათვის აუცილებელი იქნება შემდეგი რეკომენდაციების გათვა-ლისწინება: 1.სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება; 2.ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური სტრუქტურის განსაზღვრა; 3.ეტაპობრივი (პი-ლოტური) დანერგვა; 4.დიფერენცირებული მიდგომა ფორმალურ და არაფორმა-ლურ სექტორებთან მიმართებით; 5.მოქნილი შენატანების სქემის დამუშავება; 6.სამიზნე საინფორმაციო კამპანიების წარმოება; 7.გრძელვადიანი მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბედიანაშვილი, გ., ცარციძე, მ., მიქელაძე, ნ., & გაბროშვილი, ზ.** (2023). თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკროასპექტი. ეკონომისტი, 19(3), 60–84. https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03
2. **დიაკონიძე ანა.** „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში-ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2018 წელი. A.Diakonidze PhD 1581431629.pdf;
3. **კაკულია, ნ., & ტყემალაძე, ი.** (2023). საქართველოს შრომის ბაზრის რეგულირების მაკროეკონომიკური ეფექტები. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, 10(3).
4. **ლობჟანიძე მ.** უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. Microsoft Word - ???????????? ??????? 2022-4444.doc (tsu.ge);
5. **პაპავა ვ. (2023).** საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში.
6. საქართველოს განვითარების სტრატეგია. (2025). დასაქმება. ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია, pp. 178-183. https://matsne.gov.ge/ka;
7. საქართველოს კანონი N45-Iმს-XIმპ, “საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, 01.01.2025 წელი. https://matsne.gov.ge/ka;
8. **შელია მ.** სასწავლო მიგრაცია საქართველოდან (ივანე ჯავახიშვილის კვლევის კვალდაკვალ). თსუ, მიგრაციის შემსწავლელი ცენტრი. თსუ გამომცემლობა, თბილისი 2025 წელი;
9. **ჩიქობავა მ. კაკულია ნ. ლონჟანიძე მ. ლაზარაშვილი თ. ტყემალაძე ი.** ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები თანამედროვე მონეტარული თეორიის გარანტირებული დასაქმების (JG) კონცეფციის მიხედვით. ჟურნალი “ეკონომისტი”, *Ekonomisti”* №1, 2026. გვ.10-21. ekonomisti2026-1.pdf;
10. **ცარციძე მ.** შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები საქართველოში ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციისა და ღირსეული შრომის სტანდარტების დანერგვის

პირობებში. ჟურნალი "ეკონომისტი", *Ekonomisti"* №1, 2026. გვ. 40-55. ekonomisti2026-1.pdf;

11. **ცარციძე მ.** მინიმალური ხელფასის ფორმირებისა და რეგულირების თავისებურებანი საქართველოში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი", N13, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2022წ. გვ.73-82. https://doi.org/ 10.35945/gb.2022.13.011.Murman Tsartsidze.pdf (eugb.ge);
12. **Bedianashvili, G.; Tsartsidze, M.; Mikeladze, N.; Gabroshvili, Z. (2024).** Human capital and economic growth under modern globalization, Entrepreneurship and Sustainability Issues 12(1): 268-289
13. **Diakonidze A. Eradze I. Natsvlishvili V**. Introduction of the Unemployment Insurance in Georgia: Challenges and Anticipated Outcomes. Experts' opinion. Tbilisi, 2023. https://progressive.ge/files/other/ de33b17284ca77d.pdf;
14. International Labour Organization. Strengthening Social Protection for Workers in Georgia. Report I: Proposal for social insurance schemes against employment injury and unemployment; Budapest: ILO, 2023. wcms_899164.pdf;
15. International Labour Organization. 2023. Strengthening Social Protection for Workers in Georgia. Report II: Actuarial assessment of the proposed unemployment insurance scheme. Budapest: ILO. labordoc.ilo.org/discovery/delivery?vid=41ILO_INST:ResearchReposi-tory&repId=12120706360002676;
16. C168 - Employment Promotion and Protection against Unemployment Convention, 1988 (No. 168). International Labour Organisation. Convention C168 - Employment Promotion and Protection against Unemployment Convention, 1988 (No. 168)
17. **Tukhashvili, M. (2012).** Contemporary Tendencies of the Georgian Labour Market Formation. INTERNALLY DISPLACED PERSONS IN THE GEORGIAN LABOUR MARKET, 7-24.
18. **Tsartsidze M. Gabadadze Sh.** Determining and regulating the subsistence level Peculiarities in Georgia. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", "Ekonomics and Business" ტომი XIV, N1, 2022წ. გვ. 37-66. ekonomikadabiznesi1_22.pdf (tsu.ge).

Prospects of formation unemployment social insurance system compatible with European standards in Georgia

Murman Tsartsidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
murman.tsartsidze@tsu.ge

Shota Gabadadze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.gabadadze@tsu.ge

Summary

In the context of ongoing confrontational globalization, it is extremely important to form an unemployment social insurance system compatible with European standards in order to improve the social protection and quality of working life of the country's population. The need for this is primarily due to the fact that the Association Agreement with the European Union and candidate status have imposed on Georgia the obligation to gradually approach European social standards, including the International Labor Organization Conventions on Minimum Standards of Social Protection and the European Social Charter. On the other hand, structural problems observed in the Georgian labor market: High unemployment, employment inefficiency, regional imbalances, and a high share of the informal sector require the development of policy instruments that provide both social protection and stimulate active integration into the labor market. In order to regulate unemployment problems, EU countries effectively implement active and passive employment policies through relevant labor market institutions and instruments, which ensure, on the one hand, the planning and implementation of measures supporting the employment of the unemployed, and, on the other hand, the social protection of the unemployed and the establishment of an effective system of unemployment insurance. The paper aim is studying the prospects for forming an unemployment social insurance system in Georgia compatible with European standards, taking into account a comparative analysis of international experience and national specifics. Accordingly, it includes a conceptual and institutional analysis of European unemployment insurance models; identifying gaps in Georgia's existing social security system; empirical assessment of public attitudes and readiness based on survey data and development of practical recommendations for the formation of appropriate policies based on this analysis.

Keywords: European Union, unemployment insurance, benefits, social assistance, active and passive employment policies, labor market.

შრომის ბაზრის პარადოქსი საქართველოში: უმუშევრობა, კადრების დეფიციტი და უნარების შეუსაბამობა

ალექსანდრე სიჭინავა
ეკონომიკის აკადემური დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
asichinava@gtu.ge

დალი სეხნიაშვილი
ეკონომიკის აკადემური დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
D.Sekhniashvili@gtu.ge

ანოტაცია. *საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდით ხასიათდება. ამავდროულად, შრომის ბაზარზე შენარჩუნებულია ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი მდგომარეობა: ქვეყანაში კვლავ არსებობს უმუშევრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მაშინ როდესაც ბიზნესის ნაწილი კვალიფიციური თანამშრომლების დეფიციტზე მიუთითებს. ეს წინააღმდეგობა აჩვენებს, რომ შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა მხოლოდ სამუშაო ადგილების რაოდენობა არ არის. მნიშვნელოვან პრობლემად იქცა შრომის მოთხოვნასა და სამუშაო ძალის უნარებს შორის შეუსაბამობა. სტატიის მიზანია გაანალიზოს საქართველოს შრომის ბაზარზე ერთდროულად არსებული უმუშევრობისა და კადრების დეფიციტის მიზეზები, მათი გავლენა ხელფასებზე, პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ ზრდაზე და განსაზღვროს პრობლემის შემცირების შესაძლო მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთკავშირს, პროფესიულ მომზადებას, მიგრაციას, ახალგაზრდების დასაქმებასა და მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნას.*

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, უმუშევრობა, კადრების დეფიციტი, უნარების შეუსაბამობა, ხელფასი, ადამიანური კაპიტალი, მიგრაცია, პროდუქტიულობა, ეკონომიკური ზრდა.*

შესავალი

საქართველოს ეკონომიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევა.

IMF-ის მონაცემებით, საქართველოს რეალური მშპ 2025 წელს 7.5%-ით გაიზარდა, ხოლო 2026 წელს ეკონომიკური ზრდა კვლავ მაღალი რჩება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ პრობლემად კვლავ ასახელებს ახალგაზრდების მაღალ უმუშევრობას, სამუშაო ძალის უნარების შეუსაბამობასა და კვალიფიციური თანამშრომლების დეფიციტს. ერთი შეხედვით, აქ წინააღმდეგობა არსებობს. თუ ქვეყანაში უმუშევრობაა, კომპანიებს თანამშრომლების მოძიება არ უნდა უჭირდეთ. რეალურად კი შესაძლებელია ერთდროულად არსებობდეს:

უმუშევარი ადამიანები + შეუვსებელი ვაკანსიები.

ეს მდგომარეობა ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად დაკავშირებულია skills mismatch-თან — უნარების შეუსაბამობასთან. ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ განათლება და სამუშაოს სურვილი, მაგრამ მათი ცოდნა, პროფესია, გამოცდილება ან კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდეს იმ სამუშაო ადგილებს, რომლებსაც ეკონომიკა ქმნის. სწორედ ეს წინააღმდეგობა წარმოადგენს სტატიის ძირითად საკვლევ პრობლემას. კვლევის მიზანია საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული შემდეგი კითხვების განხილვა:

- რატომ არსებობს უმუშევრობა ეკონომიკური ზრდის პირობებში;
- რატომ უჭირთ კომპანიებს საჭირო თანამშრომლების მოძიება;
- რამდენად შეესაბამება განათლების სისტემა შრომის ბაზრის მოთხოვნას;
- როგორ მოქმედებს კადრების დეფიციტი ხელფასებსა და პროდუქტიულობაზე;
- რა გავლენას ახდენს მიგრაცია შრომის ბაზარზე;
- რა ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს ეფექტიანი პრობლემის შესამცირებლად.

შრომის ბაზარი შეიძლება მარტივად წარმოვადგინოთ როგორც სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობა. სამუშაო ძალაზე მოთხოვნას ქმნიან დამსაქმებლები - კერძო კომპანიები, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებები, ასევე სხვა ორგანიზაციები.

და მასზე მოთხოვნა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

შრომაზე მოთხოვნა = f (ხელფასი, შრომის პროდუქტიულობა, ეკონომიკური აქტივობა)

სადაც:

- **შრომაზე მოთხოვნა** — რამდენი მუშახელი სჭირდება დამსაქმებლებს;
- **ხელფასი** — შრომის ანაზღაურების დონე;
- **შრომის პროდუქტიულობა** — ერთი დასაქმებულის მიერ შექმნილი პროდუქციის ან დამატებული ღირებულების მოცულობა;
- **ეკონომიკური აქტივობა** — ეკონომიკაში წარმოებისა და მოთხოვნის საერთო დონე.

სამუშაო ძალის მიწოდება კი დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

შრომის მიწოდება = f (ხელფასი, უნარები და განათლება, დემოგრაფიული ფაქტორები, მიგრაცია)

სადაც:

- **შრომის მიწოდება** — რამდენი ადამიანი არის მზად და შეუძლია მუშაობა;
- **ხელფასი** — შრომის ანაზღაურების დონე;
- **უნარები და განათლება** — სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადება;
- **დემოგრაფიული ფაქტორები** — მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები;
- **მიგრაცია** — სამუშაო ძალის ქვეყანაში შემოსვლა ან ქვეყნიდან გასვლა.

შრომის ბაზრის წონასწორობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც კომპანიების მოთხოვნა და მოსახლეობის მიერ შეთავაზებული სამუშაო ძალა ერთმანეთს შეესაბამება არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ კვალიფიკაციის მიხედვითაც. საქართველოში სწორედ ეს შესაბამისობაა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. რა არის უნარების შეუსაბამობა? უნარების შეუსაბამობა ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ადამიანის ცოდნა და

პროფესიული მომზადება არ შეესაბამება მისი სამუშაო ადგილის მოთხოვნებს. შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ფორმა.

ზედმეტი განათლება - ადამიანს აქვს იმაზე მაღალი განათლება, ვიდრე მისი სამუშაო მოითხოვს. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე პირი მუშაობს ისეთ პოზიციაზე, რომელსაც უნივერსიტეტის ხარისხი რეალურად არ სჭირდება.

არასაკმარისი კვალიფიკაცია - ვაკანსია მოითხოვს გარკვეულ ტექნიკურ ან პროფესიულ უნარს, მაგრამ კანდიდატებს ეს ცოდნა არ გააჩნიათ.

სპეციალობის შეუსაბამობა - ადამიანი მუშაობს სრულიად სხვა სფეროში, ვიდრე ის სპეციალობაა, რომელშიც განათლება მიიღო.

IMF-ის 2026 წლის საქართველოს ანგარიშის მიხედვით, 2024 წელს ძირითადი სამუშაო ასაკის დასაქმებულთა დაახლოებით 27% ზედმეტად განათლებული იყო თავისი სამუშაოსთვის, ახალგაზრდებში კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 36%-ს აღწევდა. უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლების დაახლოებით 40% საშუალო ან დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე იყო დასაქმებული.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ის, რომ სამუშაო ასაკის ადამიანთა მხოლოდ დაახლოებით მესამედი მუშაობდა ისეთ პროფესიაში, რომელიც მათ მიერ მიღებულ განათლებას შეესაბამებოდა.

რატომ შეიძლება არსებობდეს უმუშევრობაც და კადრების დეფიციტიც?

ეს წინააღმდეგობა მარტივი მაგალითით შეიძლება აიხსნას. წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანაში არის: 10 000 უმუშევარი ადამიანი და ამავე დროს: 5 000 თავისუფალი სამუშაო ადგილი. თეორიულად ვაკანსიების შევსება შესაძლებელი უნდა იყოს. მაგრამ თუ კომპანიებს სჭირდებათ:

- პროგრამისტები;
- ფინანსური ანალიტიკოსები;
- ტექნიკოსები;
- გაყიდვების სპეციალისტები;
- ლოგისტიკის მენეჯერები;

ხოლო სამუშაოს მაძიებლებს განსხვავებული განათლება და გამოცდილება აქვთ, ვაკანსიები შეიძლება შეუვსებელი დარჩეს. ამიტომ: უმუშევართა რაოდენობა ≠ თავისუფალი სამუშაო ძალის რეალური ეკონომიკური ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანთა რაოდენობა, არამედ მათი უნარები.

უნარების შეუსაბამობის ერთ-ერთი მიზეზია განათლების სისტემასა და ეკონომიკურ მოთხოვნას შორის არასაკმარისი კავშირი. განათლების სისტემაში გადაწყვეტილება ხშირად მიიღება შემდეგი ლოგიკით: რომელი პროფესია სურს სტუდენტს? შრომის ბაზრისთვის კი მნიშვნელოვანი კითხვაა: რომელი პროფესიის სპეციალისტი დასჭირდება ეკონომიკას რამდენიმე წლის შემდეგ?

თუ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს მნიშვნელოვნად დაშორდა, წარმოიქმნება სტრუქტურული დისბალანსი. შედეგი შეიძლება იყოს: დიპლომების რაოდენობის ზრდა, მაგრამ საჭირო უნარების დეფიციტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც უნივერსიტეტებში თეორიული განათლება ჭარბობს, ხოლო პრაქტიკული და პროფესიული უნარები შედარებით სუსტად ვითარდება.

უმაღლესი განათლება ავტომატურად არ ნიშნავს მაღალ პროდუქტიულობას ეკონომიკისთვის ადამიანური კაპიტალის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ განათლების ფორმალური დონე. ადამიანური კაპიტალი მოიცავს:

- ცოდნას;
- პროფესიულ უნარებს;
- გამოცდილებას;
- ტექნოლოგიურ კომპეტენციას;
- პრობლემის გადაჭრის უნარს;
- სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის შესაძლებლობას.

ამიტომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა თავისთავად პროდუქტიულობის ზრდას არ უზრუნველყოფს. ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად პროდუქტიულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიღებული ცოდნა სამუშაო ადგილზე.

კადრების დეფიციტი და ხელფასების ზრდა. თუ კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო მათი რაოდენობა შეზღუდულია, შრომის ბაზარზე ხელფასებზე ზეწოლა ჩნდება.

შრომაზე მოთხოვნა > შრომის მიწოდება → ხელფასი იზრდება

ეს ჩვეულებრივი საბაზრო მექანიზმია. თუმცა, თუ ხელფასის ზრდა პროდუქტიულობის ზრდაზე სწრაფია, კომპანიას წარმოების ან მომსახურების ხარჯი ეზრდება. შესაბამისად, თუ ხელფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შრომის პროდუქტიულობა, საწარმოს ხარჯები იზრდება და კონკურენტუნარიანობაზე ზეწოლა ძლიერდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება:

- გაიზარდოს ფასები;
- შემცირდეს მოგების მარჟა;
- შემცირდეს ინვესტიციის სურვილი;
- გაუარესდეს კონკურენტუნარიანობა.

ამიტომ ეკონომიკისთვის სასურველია, რომ ხელფასების ზრდა დაახლოებით შეესაბამებოდეს შრომის პროდუქტიულობის ზრდას. ანუ ხელფასების ზრდას თან ახლდეს თანამშრომლის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდაც.

მიგრაციის გავლენა. შრომის ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციაც. საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი ორმხრივია. ერთი მხრივ, ემიგრაცია ამცირებს ადგილობრივ სამუშაო ძალას.

თუ ქვეყნიდან გადიან ახალგაზრდა და კვალიფიციური ადამიანები, შეიძლება გაიზარდოს კონკრეტული პროფესიის სპეციალისტთა დეფიციტი. მეორე მხრივ, ემიგრაცია ქმნის ფულად გზავნილებს, რომლებიც ოჯახების შემოსავალს ზრდის. ამიტომ მიგრაციას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.IMF მიუთითებს, რომ საქართველოსთვის კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევებია როგორც გარე მიგრაცია, ისე კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და დაბრუნება.

ფულადი გზავნილები და შრომის მიწოდება. ემიგრაციის კიდევ ერთი საინტერესო ეკონომიკური შედეგია ფულადი გზავნილების გავლენა დასაქმების მოტივაციაზე. თუ ოჯახს უცხოეთიდან სტაბილური შემოსავალი აქვს, ოჯახის წევრისთვის დაბალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების ეკონომიკური მოტივაცია შეიძლება შემცირდეს.

IMF-ის 2026 წლის კვლევა სწორედ ამ პრობლემაზეც მიუთითებს. ფონდის შეფასებით, ფულადი გზავნილები და სოციალური ტრანსფერები გარკვეულ შემთხვევაში სამუშაო ძალის მიწოდების გადაწყვეტილებებზე მოქმედებს. ეს არ ნიშნავს, რომ ფულადი გზავნილები ეკონომიკისთვის უარყოფითია. მათი ეფექტი უფრო რთულია: შემოსავალი იზრდება, მაგრამ ამავდროულად შეიძლება შრომის ბაზარზე მონაწილეობის მოტივაცია შემცირდეს, განსაკუთრებით დაბალი ხელფასების პირობებში.

ახალგაზრდების უმუშევრობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემაა ახალგაზრდების დასაქმება. ახალგაზრდას ხშირად აქვს განათლება, მაგრამ არ აქვს სამუშაო გამოცდილება. კომპანია კი ეძებს თანამშრომელს, რომელსაც ერთდროულად აქვს:

- განათლება;
- პრაქტიკული უნარები;
- გამოცდილება.

აქ წარმოიქმნება კლასიკური პრობლემა: სამუშაოს მისაღებად საჭიროა გამოცდილება, ხოლო გამოცდილების მისაღებად საჭიროა სამუშაო. სწორედ ამიტომ ახალგაზრდების დასაქმებაში დიდი მნიშვნელობა აქვს:

- სტაჟირებას;
- პროფესიულ პრაქტიკას;
- კომპანიებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას;
- სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას.

პროფესიული განათლების როლი. ყველა ეკონომიკას არ სჭირდება მხოლოდ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. ეკონომიკას სჭირდება:

- ტექნიკოსები;
- ელექტრიკოსები;
- მექანიკოსები;
- მშენებლობის სპეციალისტები;
- ლოჯისტიკის თანამშრომლები;
- მომსახურების სექტორის პროფესიონალები;
- სხვადასხვა ტიპის პროფესიული კადრები.

თუ საზოგადოებაში უნივერსიტეტის ხარისხი აღიქმება როგორც ერთადერთი წარმატებული კარიერული გზა, შეიძლება ეკონომიკაში წარმოიქმნას პროფესიული კადრების დეფიციტი. IMF საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე ორიენტირებული მომზადების გაძლიერებას ასახელებს.

პროდუქტიულობა — მთავარი ეკონომიკური საკითხი. შრომის ბაზრის საბოლოო მიზანი მხოლოდ მაღალი დასაქმება არ არის. მნიშვნელოვანია პროდუქტიული დასაქმება. შრომის პროდუქტიულობა შეიძლება მარტივად გამოითვალოს: LP= Y / L, სადაც:

- LP — შრომის პროდუქტიულობა;
- Y — წარმოებული პროდუქციის მოცულობა ან დამატებული ღირებულება;
- L — დასაქმებულთა რაოდენობა.

თუ ერთი თანამშრომელი უფრო მეტ ეკონომიკურ ღირებულებას ქმნის, კომპანიას უფრო მაღალი ხელფასის გადახდის შესაძლებლობაც აქვს. ამიტომ მდგრადი ხელფასების ზრდის საფუძველი საბოლოოდ პროდუქტიულობის ზრდაა.

დაბალი პროდუქტიულობის ხაფანგი. შესაძლებელია წარმოიქმნას შემდეგი ციკლი: დაბალი პროდუქტიულობა → დაბალი ხელფასი → კვალიფიციური კადრების ემიგრაცია → კადრების დეფიციტი → პროდუქტიულობის დაბალი ზრდა.

ეს არის ერთგვარი დაბალი პროდუქტიულობის ხაფანგი. მისგან გამოსვლა მხოლოდ ხელფასების ხელოვნური ზრდით რთულია. საჭიროა ერთდროულად:

- ადამიანურ კაპიტალში ინვესტიცია;
- ტექნოლოგიური განვითარება;
- პროდუქტიული ბიზნესების ზრდა;
- ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

მაღალი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები. საქართველოს შემთხვევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კითხვა აჩენს: რატომ არ გარდაიქმნება მაღალი ეკონომიკური ზრდა ავტომატურად თანაბრად მაღალი ხარისხის დასაქმების ზრდად? IMF აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკამ 2021 წლის შემდეგ საშუალოდ 9%-ზე მეტი წლიური ზრდა აჩვენა, თუმცა სტრუქტურული უმუშევრობა და უნარების შეუსაბამობა კვლავ პრობლემად დარჩა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური ზრდის სტრუქტურაა. თუ სწრაფად იზრდება ისეთი სფეროები, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობის, მაგრამ მაღალკვალიფიციურ თანამშრომელს მოითხოვს, მშპ შეიძლება სწრაფად გაიზარდოს ისე, რომ დასაქმება იმავე ტემპით არ გაიზარდოს.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი მხოლოდ მშპ-ის ზრდის მაღალი პროცენტი არ უნდა იყოს. მნიშვნელოვანია ზრდის ხარისხიც. შესაძლებელია პირობითად ჩამოყალიბდეს შემდეგი ჯაჭვი:

ეკონომიკური ზრდა → პროდუქტიული სამუშაო ადგილები → პროდუქტიულობის ზრდა → რეალური ხელფასების ზრდა → ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

თუ ამ ჯაჭვის რომელიმე ნაწილი სუსტია, ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის თანაბრად შესამჩნევი არ იქნება.

ბიზნესისა და განათლების სისტემის თანამშრომლობა. უნარების შეუსაბამობის შემცირება მხოლოდ სახელმწიფოს ან მხოლოდ უნივერსიტეტების ამოცანა ვერ იქნება. საჭიროა სამი მხარის თანამშრომლობა:

სახელმწიფო + განათლების სისტემა + ბიზნესი.

ბიზნესმა უფრო მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რა უნარები სჭირდება. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ეს ინფორმაცია პროგრამების შექმნისას უნდა გაითვალისწინონ. სახელმწიფოს ფუნქცია კი შეიძლება იყოს ინფორმაციის შეგროვება, შრომის ბაზრის პროგნოზირება და შესაბამისი პოლიტიკის ხელშეწყობა.

შრომის ბაზრის ინფორმაციის მნიშვნელობა. ეფექტიანი შრომის ბაზრისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია. სტუდენტმა პროფესიის არჩევისას უნდა იცოდეს:

- რომელ პროფესიებზე იზრდება მოთხოვნა;
- სად არის კადრების დეფიციტი;
- როგორია საშუალო ხელფასი;
- რა უნარებს ითხოვენ დამსაქმებლები.

კომპანიას კი უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობაზე. ინფორმაციის ნაკლებობაც თავისთავად ქმნის ეკონომიკურ დანახარჯს.

ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლო მიმართულებები. საქართველოს შრომის ბაზრის პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე მიმართულებაა მნიშვნელოვანი:

1. პროფესიული განათლების გაძლიერება;
2. უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ზრდა;
3. სტუდენტური პრაქტიკისა და სტაჟირების განვითარება;
4. შრომის ბაზრის მოთხოვნის რეგულარული კვლევა;
5. დასაქმების სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება;
6. დაბრუნებითი მიგრაციის მხარდაჭერა;
7. კვალიფიციური უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა საჭირო სფეროებში;
8. მაღალი პროდუქტიულობის მქონე სექტორების განვითარება.

IMF-ის 2026 წლის რეკომენდაციებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიული განათლების გაძლიერებას, დასაქმების სერვისების გაუმჯობესებას და მაღალი პროდუქტიულობის მქონე სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერას.

შემდგომი ემპირიული კვლევისთვის შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს რამდენიმე ჰიპოთეზა.

საქართველოში უმუშევრობის მნიშვნელოვანი ნაწილი სტრუქტურული ხასიათისაა და დაკავშირებულია სამუშაო ძალის უნარებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის შეუსაბამობასთან.

იმ სექტორებში, სადაც კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი მაღალია, ხელფასები უფრო სწრაფად იზრდება.

განათლებისა და პროფესიის შეუსაბამობა უარყოფითად მოქმედებს შრომის პროდუქტიულობაზე.

პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარება ამცირებს ახალგაზრდების უმუშევრობას.

კვალიფიციური სამუშაო ძალის ემიგრაცია აძლიერებს კონკრეტულ სექტორებში კადრების დეფიციტს.

წარმოდგენილი საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო პოლიტიკისთვის, ისე ბიზნესისა და განათლების სისტემისთვის.

სახელმწიფოს შეუძლია უკეთ განსაზღვროს, რომელ სფეროებშია საჭირო განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის ცვლილება.

ბიზნესს შეუძლია უფრო აქტიურად ჩაერთოს საჭირო კადრების მომზადებაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს კი შესაძლებლობა ექნებათ სასწავლო პროგრამები უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს.

შრომის ბაზრის ანალიზისას რამდენიმე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

პირველი — ყველა შეუვსებელი ვაკანსია კვალიფიკაციის დეფიციტით არ აიხსნება. ზოგჯერ მიზეზი შეიძლება დაბალი ხელფასი ან სამუშაო პირობები იყოს.

მეორე — განათლებისა და სამუშაოს შეუსაბამობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ განათლება ეკონომიკურად გამოუსადეგარია.

მესამე — შრომის ბაზარი სწრაფად იცვლება. ახალი ტექნოლოგიები ქმნის ახალ პროფესიებს და ამცირებს მოთხოვნას ზოგიერთ არსებულ პროფესიაზე. ამიტომ შრომის ბაზრის კვლევა მუდმივად განახლებას საჭიროებს.

დასკვნა

საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა აჩვენებს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მხოლოდ უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება საკმარისი არ არის. შესაძლებელია ქვეყანაში ერთდროულად არსებობდეს უმუშევრობა და კადრების დეფიციტი. ამ წინააღმდეგობის მთავარი მიზეზია ის, რომ ეკონომიკაში მოთხოვნილი და მოსახლეობის მიერ შეთავაზებული უნარები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა.

პრობლემა შეიძლება ასე გამოიხატოს: სამუშაო ადგილები არსებობს, სამუშაოს მაძიებლებიც არსებობენ, მაგრამ მათ შორის შესაბამისობა არასაკმარისია. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამ შეუსაბამობის შემცირება. ამისთვის აუცილებელია განათლების სისტემის, პროფესიული მომზადების, ბიზნესისა და სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის უფრო მჭიდრო დაკავშირება.

ეკონომიკური ზრდის საბოლოო მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ მეტი სამუშაო ადგილის შექმნა. მნიშვნელოვანია შეიქმნას მაღალპროდუქტიული და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, სადაც ადამიანების ცოდნა და უნარები რეალურად გამოიყენება. შესაბამისად, საქართველოს შრომის ბაზრის განვითარების სასურველი მიმართულება შეიძლება შემდეგი კავშირით გამოიხატოს:

საჭირო უნარები → პროდუქტიული დასაქმება → მაღალი პროდუქტიულობა → მაღალი რეალური ხელფასი → მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

სწორედ ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკის მოთხოვნის უკეთ დაკავშირება შეიძლება გახდეს საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2025). სამუშაო ძალის გამოკვლევა, 2025 წელი. სტატისტიკური ანგარიში. თბილისი: საქსტატი.
2. International Monetary Fund. (2026). Georgia: 2026 Article IV Consultation — Press Release; Staff Report; and Statement by the Executive Director for Georgia. IMF Country Report No. 26/133. Washington, D.C.: International Monetary Fund.
3. Jaumotte, F., Kim, J., Koll, D., Li, E. Z., Li, L., Melina, G., Song, A., & Mendes Tavares, M. (2026). Bridging Skill Gaps for the Future: New Jobs Creation in the AI Age. IMF Staff Discussion Note No. 2026/001, 49 p. DOI: 10.5089/9798229028196.006.
4. Baslandze, S., Edwards, Z., Graham, J., McClure, T., Meyer, B. H., Sparks, M., Waddell, S. R., & Weitz, D. (2026). Artificial Intelligence, Productivity, and the Workforce: Evidence from Corporate Executives. NBER Working Paper No. 34984. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research. DOI: 10.3386/w34984.

The Labor Market Paradox in Georgia: Unemployment, Staff Shortages, and Skills Mismatch

Alexander Sichinava
Academic Doctor of Economics, Professor
Georgian Technical University
asichinava@gtu.ge

Dali Sekhniashvili
Academic Doctor of Economics, Professor
Georgian Technical University
D.Sekhniashvili@gtu.ge

Summary

In recent years, the Georgian economy has been characterized by relatively high rates of economic growth. At the same time, the labour market continues to display an apparently contradictory situation: unemployment remains a persistent challenge, particularly among young people, while a considerable number of businesses report shortages of qualified workers. This contradiction suggests that the key problem of the labour market is not limited to the number of available jobs. An increasingly important challenge is the mismatch between labour demand and the skills possessed by the workforce. The aim of this article is to analyse the reasons behind the simultaneous existence of unemployment and labour shortages in the Georgian labour market, to assess their impact on wages, productivity, and economic growth, and to identify possible policy directions for reducing these imbalances. Particular attention is given to the relationship between education and the labour market, vocational education and training, migration, youth employment, and the creation of highly productive jobs.

Keywords: labour market, unemployment, labour shortage, skills mismatch, wages, human capital, migration, productivity, economic growth.

ურბანული ტრანსფორმაციისა და აგლომერაციის ეფექტები: თეორიულ-ემპირიული ლიტერატურის სისტემური ანალიზი

ლია თოთლაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მთავარი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
lia.totladze@tsu.ge

მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მთავარი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
Mamuka.khuskivadze@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია ურბანული ტრანსფორმაციისა და აგლომერაციის ეფექტები თანამედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში. კვლევის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს ეკონომიკური პრობლემების სივრცობრივ-რეგიონული ასპექტები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება გლობალური ეკონომიკის განვითარების ახალ პერსპექტივებსა და გამოწვევებს. კვლევა წარმოადგენს ურბანული ტრანსფორმაციისა და აგლომერაციის ეფექტების შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვას. კვლევაში გაანალიზებულია ქალაქების ზრდის ორმხრივი ბუნება: ერთი მხრივ, მათი როლი ეკონომიკურ განვითარებასა და ინოვაციებში, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გავლენა სოციალურ და სივრცით უთანასწორობაზე. ნაშრომში მიმოხილულია ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის (NEG), მონოცენტრული ქალაქისა და სივრცითი წონასწორობის მოდელები, შუმპეტერის „კრეატიული ნგრევის“ კონცეფცია, ედუარდ გლეზერის მოსაზრებები ცოდნის გადადინებაზე და ჯონ კაინის სივრცითი დისბალანსის ჰიპოთეზა.*

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, საქართველოს ეკონომიკა, ურბანული ტრანსფორმაცია, აგლომერაციის ეფექტები, სივრცითი დისბალანსი.*

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ურთიერთმოქმედება კომპლექსურ ზეგავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. გეოპოლიტიკური კრიზისები პირდაპირ აისახება დემოგრაფიულ და მიგრაციულ პროცესებზე. ამ რეალობამ კი შესაძლებელია კიდევ უფრო გააძლიეროს თბილისის, როგორც მთავარი ცენტრის, აგლომერაციული მიზიდულობა. მითუმეტეს, რომ იკვეთება რეგიონების დაცლისა და დედაქალაქში რესურსების ჭარბი კონცენტრაციის სურათი. შესაბამისად, აგლომერაციის ეკონომიკური ეფექტების კვლევა მნიშვნელოვანია როგორც პოზიტიური ჭრილში სურათის დანახვისთვის, ასევე იმ ნეგატიური გვერდითი მოვლენების

იდენტიფიცირებისთვის, როგორიცაა მიწისა და საცხოვრებლის ფასების მკვეთრი ზრდა (რენტის გრადიენტი) და ურბანიზაციით გამოწვეული სეგრეგაცია.

ურბანული ტრანსფორმაცია აძლიერებს აგლომერაციის ეფექტებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის უთანასწორობას მიწის, საცხოვრებლისა და შრომის ბაზრის მექანიზმების მეშვეობით. ურბანული ეკონომიკის თეორია და შუმპეტერის კონცეფცია კრეატიული დესტრუქციის შესახებ ქმნიან თეორიულ ფონს, რომლის მიხედვითაც ქალაქები წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის და ინოვაციის მთავარ ცენტრებს, მაგრამ ამავდროულად ზრდის სოციალურ და სივრცობრივ უთანასწორობას.

თბილისის, როგორც ქვეყნის მთავარი ეკონომიკური ცენტრის, მიმზიდველობა და პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები შესაძლებელია აიხსნას ურბანული აგლომერაციის თანამედროვე თეორიებით. თბილისის, როგორც დომინანტური მეგაპოლისის, ჩამოყალიბება და მის გარშემო რეგიონული დისპროპორციების გაღრმავება თვალსაჩინოდ აჩვენებს თბილისის, როგორც პრიმატი ქალაქის ადგილსა და როლს ქვეყანაში. რეგიონული ვარიაცია დომინანტურია, რაც ადასტურებს თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის უზარმაზარ სტრუქტურული განსხვავებას (ანანიაშვილი ი., თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ., 2025). თბილისის ურბანული აგლომერაციის დინამიკა ადასტურებს, რომ ქალაქის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია არა ძველი სტრუქტურების სტატიკურ შენარჩუნებაზე, არამედ მათ მუდმივ განახლებაზე.

საინტერესოა რამდენადაა შესაბამისობაში საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე პროცესები ენდოგენური ზრდის თეორიასთან, რომლის თანახმადაც, კრეატიული ნგრევა წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ერთადერთ მდგრად მექანიზმს. ძველი საცხოვრებელი თუ ინდუსტრიული ადგილების გარდაქმნა თანამედროვე კომერციულ და კულტურულ არეალებად სწორედ ამ თეორიული მოდელის პრაქტიკული გამოვლინებაა, სადაც ურბანული ტრანსფორმაცია ზრდის მამოძრავებელ მთავარ ძალად გვევლინება. თბილისის ტრანსფორმაცია, სადაც დეველოპერული კაპიტალის ინტერესები ხშირად დომინირებს საჯარო სივრცეების დაგეგმარებაზე, წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკურ ქსელებში სწრაფი ინტეგრაციის მცდელობას. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს უძრავი ქონების ბაზრისა და აგლომერაციული ცენტრების ფორმირებას, თუმცა, მეორე მხრივ, იწვევს სივრცით ფრაგმენტაციას და სოციალურ სეგრეგაციას, რაც ტიპიურია გლობალიზებული პოსტსოციალისტური ურბანული ლანდშაფტისთვის.

აღნიშნული კომპლექსური დინამიკის სიღრმისეული გააზრებისთვის და თბილისის შემთხვევის მხოლოდ ლოკალურ მოვლენად აღქმის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია არსებული აკადემიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი. საერთაშორისო თუ ადგილობრივი მკვლევრები ფართოდ განიხილავენ ურბანული აგლომერაციის ეფექტებს, კრეატიული დესტრუქციის თანმდევ ეკონომიკურ ძვრებსა და სივრცითი სეგრეგაციის გამოწვევებს, განსაკუთრებით პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის კონტექსტში. ფართო სამეცნიერო შრომების სისტემატიზაცია საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, დავინახოთ მიმდინარე პროცესები გლობალური ურბანული ტრენდების ჭრილში, ხოლო, მეორე მხრივ, გამოვავლინოთ თეორიული თუ ემპირიული თავისებურებები.

თანამედროვე ეტაპზე ურბანული ტრანსფორმაციისა და მისი თანამდევი აგლომერაციის ეფექტების შეფასებისათვის საინტერესოა ახალი ურბანული ეკონომიკის

მოდელები. მათ შორისაა ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის (New Economic Geography - NEG) მოდელი, რომელიც შემუშავებულია ნობელის პრემიის ლაურეატის, პოლ კრუგმანის (Paul Krugman) მიერ. NEG მოდელის კონცეფციით იხსნება, თუ რატომ ხდება ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაცია (აგლომერაცია) კონკრეტულ სივრცეებში. მოდელი ემყარება მასშტაბის ეკონომიას (Economies of Scale) და სატრანსპორტო ხარჯებს, რათა ახსნას, როგორ იზიდავს დიდი ბაზარი მეტ კომპანიას და მუშახელს, რაც თავის მხრივ ქმნის თვითგამაძლიერებელ ზრდის ციკლს და ზრდის რეგიონულ უთანაბრობას. იგი ხსნის, თუ როგორ ქმნის „ცენტრიდანული“ და „ცენტრისკენული“ ძალების (Centripetal and Centrifugal forces) ურთიერთქმედება სივრცით კონცენტრაციას(Krugman, 1998; Fujita et al., 1999).

უაღრესად საინტერესოს წარმოადგენს მონოცენტრული ქალაქის მოდელი (Alonso-Muth-Mills Model). ეს არის ურბანული ეკონომიკის კლასიკური მოდელი, რომელიც ეყრდნობა საოჯახო მეურნეობების მიერ სარგებლიანობის მაქსიმიზაციას სატრანსპორტო ხარჯებისა და საცხოვრებელი ფართის (მიწის რენტის) ბალანსს. მოდელი ხსნის, თუ რატომ ყალიბდება ე. წ. „რენტის გრადიენტი“— მიწის ფასის კლება ცენტრიდან პერიფერიებისკენ.

როზენ-რობაკის სივრცითი წონასწორობის მოდელი (Rosen-Roback Spatial Equilibrium) (Rosen, 1979; Roback, 1982) კი წარმოადგენს მაკროურბანული მოდელს, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მასშტაბით ადამიანები და ფირმები იმყოფებიან მუდმივ წონასწორობაში. თუ ქალაქში ხელფასები მაღალია, იქ ხალხი მიგრირებს, რაც ავტომატურად ზრდის ცხოვრების ხარჯებს (ქირას/უძრავ ქონებას) და ამცირებს ადგილობრივ კეთილდღეობას მანამდე, სანამ ქალაქებს შორის სარგებლიანობა არ გათანაბრდება.

ჯოზეფ შუმპეტერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში *„Capitalism, Socialism and Democracy“* (1942) აყალიბებს „კრეატიული ნგრევის“ (Creative Destruction) კონცეფციას, რომელიც აღწერს „ინდუსტრიული მუტაციის პროცესს, რომელიც განუწყვეტლივ აუქმებს ძველ ეკონომიკურ სტრუქტურას შიგნიდან და მუდმივად ქმნის ახალს“ (Schumpeter, 1942, გვ. 83). შუმპეტერი ხსნის, რომ ეკონომიკური სტრუქტურის მუდმივი რევოლუციური ცვლილება შიგნიდან ანადგურებს ძველს და ქმნის ახალს.

ფილიპ აგიონისა და პიტერ ჰოვიტის (Aghion & Howitt, 1992) ენდოგენური ზრდის მოდელი მათემატიკური ფორმალიზაციით თანამედროვე მაკროეკონომიკურ ჩარჩოში აქცევს შუმპეტერისეული „კრეატიული ნგრევის“ იდეას. ავტორების მტკიცებით, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთადერთი მდგრადი წყარო ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციებია, რაც ბუნებრივად გულისხმობს მოძველებული ტექნოლოგიებისა თუ ბიზნესმოდელების გაუფასურებასა და ჩანაცვლებას. მათი თეორიის მიხედვით, ყოველი ახალი ინოვაცია ბაზრიდან დევნის წინა თაობის პროდუქტებსა და მეთოდებს, თუმცა სწორედ ეს დინამიკური პროცესი ქმნის პროდუქტიულობის ზრდისა და განვითარების რეალურ საფუძველს (Aghion & Howitt, 1992).

ურბანული ეკონომიკის კვლევის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ედუარდ გლეისერს მისი მრავალმხრივი კვლევებით. იგი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Triumph of the City“ ამტკიცებს, რომ ქალაქები წარმოადგენენ კაცობრიობის უდიდეს გამოგონებას, რადგან ისინი მკვეთრად ამცირებენ ფიზიკურ დისტანციას ადამიანებსა და ბიზნესებს შორის, რაც ხელს უწყობს იდეების სწრაფ მიმოცვლას და ცოდნის გადადინებას.

გლესერის (Glaeser E., 2011) მიხედვით, თანამედროვე ეკონომიკაში ქალაქის სიძლიერეს განსაზღვრავს არა მისი ფიზიკური ინფრასტრუქტურა ან ქარხნები, არამედ ადამიანისეული კაპიტალის კონცენტრაცია და გეოგრაფიული სიახლოვე. ის ხსნის, როგორ გადარჩნენ ისეთი ქალაქები, როგორიცაა ნიუ-იორკი, "დესტრუქციის" პერიოდში (როცა მრეწველობა კვდებოდა) სწორედ კრეატიული გადაწყობის ხარჯზე. ედუარდ გლეისერის საფრანგეთის მონაცემების მიხედვით, ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენებით აგებული მოდელების საფუძველზე ადასტურებს მიზეზშედეგობრივ კავშირს მოსახლეობის სიმჭიდროვესა და მწარმოებლურობას შორის. კონკრეტულად კი, საფრანგეთის მაგალითზე ჩატარებული კვლევის მიხედვით მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის (TFP) სიმჭიდროვის მიმართ ელასტიკურობა მაღალია (Glaeser 2010).

თუკი ედუარდ გლესერი ზოგადად მეტროპოლიების მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ქალაქების წარმატება ადამიანისეულ კაპიტალსა და იდეების გაცვლაზეა დამოკიდებული, გოჟელაკი და სმენტკოვსკი (Gorzelak, G., & Smętkowski, M. 2010) ამ არგუმენტის მოდიფიცირებას ახდენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვის. ისინი ხაზს უსვამენ, რომ პოსტკომუნისტურ ქალაქებში ურბანული ტრანსფორმაციის ტემპი და ხასიათი მკაცრად დეტერმინირებულია სასტარტო პირობებითა და ლოკალური ინსტიტუციური რესურსით. მათ შეისწავლეს ურნაბანიზაციის ზეგავლენა ცოდნის გადადინებასა და ინოვაციების გავრცელებაზე პოსტკომუნისტურ სივრცეში. 2010 წლის კვლევის მიხედვით ავტორები ამტკიცებენ, რომ პოსტკომუნისტურ სივრცეში ქალაქის წარმატებულ ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ ქსელებში განსაზღვრავს არა ძველი, საბჭოთა ინდუსტრიული მემკვიდრეობა, არამედ მომსახურების სექტორის განვითარება, ინსტიტუციური გამართულობა და კრეატიული კლასის კონცენტრაცია (Gorzelak, G., & Smętkowski, M. 2010).

ჯეიკობსი (მიუხედავად იმისა, რომ იგი ეკონომისტი არ იყო, მისი იდეები ეკონომიკაში ფუნდამენტურია) თავის ნაშრომში "The Economy of Cities" ხსნის, რომ ქალაქის ეკონომიკა იზრდება მაშინ, როდესაც ქალაქი იწყებს იმის წარმოებას, რასაც ადრე სხვაგან ყიდულობდა. ურბანული აგლომერაციის თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს დისკუსიას მარშალისეულ სპეციალიზაციასა (MAR) და ჯეიკობსისეულ მრავალფეროვნების ეფექტებს (Jacobs Externalities) შორის. MAR (Marshall-Arrow-Romer) ეფექტების მიხედვით ზრდას იწვევს ერთი და იმავე სფეროს ფირმების გეოგრაფიული კონცენტრაცია (სპეციალიზაცია). ჯეიკობსის (Jacobs 1961) თეორია კი ამტკიცებს, რომ ინოვაცია იბადება სწორედ განსხვავებული სექტორების მრავალფეროვნებისა და მათი სიახლოვის ხარჯზე.

რიჩარდ ფლორიდას (Richard Florida, 2002) „კრეატიული კლასის“ თეორია კონცეფცია პირდაპირ ხსნის, თუ როგორ იცვლება ქალაქის სივრცე თანამედროვე ეკონომიკაში. მისი თეორიის მიხედვით, კაპიტალი მიჰყვება არა იაფ მუშახელს, არამედ პირიქით — ნიჭიერი ადამიანები (კრეატიული კლასი) ირჩევენ საცხოვრებლად იმ ქალაქებს/უბნებს, რომლებიც სთავაზობენ მაღალ ტოლერანტობას, მრავალფეროვნებასა და კულტურულ ინფრასტრუქტურას (3T: Talent, Technology, Tolerance). დეველოპერები და ბიზნესები კი მიდიან იქ, სადაც ეს კლასი კონცენტრირდება.

„სამუშაო ადგილების დისბალანსის“ თეორია (პირველად ჩამოყალიბებული ჯონ კაინის მიერ — John Kain, 1968) ხსნის იმ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც

ჩნდება მაშინ, როდესაც დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილები ან იაფი საცხოვრებლები გეოგრაფიულად შორდება ერთმანეთს. ჯენტრიფიკაციით განპირობებული იძულებითი გადაადგილების ნეგატიური შედეგების შესაფასებლად, მიზანშეწონილია სივრცითი დისბალანსის ჰიპოთეზის გამოყენება. კაინის კვლევების თანახმად, როდესაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა ეკონომიკური ცენტრებიდან პერიფერიებში ინაცვლებს, მკვეთრად იზრდება სივრცითი დისტანცია საცხოვრებელ არეალსა და პოტენციურ დასაქმების კერებს შორის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ურბანული სიმჭიდროვე ქმნის გარემოს, სადაც კომპანიები, მეცნიერები და ინვესტორები ერთმანეთთან ფიზიკურად ახლოს არიან. ეს ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს და აჩქარებს იდეების/ინოვაციების გაცვლას. აგლომერაციის გავლენით ცოდნის გადადინებისადმი ამგვარი მიდგომა დასტურდება მარშალის და ჯეიკობსის თეორიებითაც. ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის იმ მოდელებში, რომლებიც ფუჟიტას, კრუგმანისა და ვენაბლზის ფუნდამენტურ ნაშრომშია ჩამოყალიბებული, ავტორები აჩვენებენ, რომ მასშტაბის უკუგების ზრდა, სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და შრომის ბაზრის აგლომერაცია ერთობლივად აძლიერებს ცენტრისკენულ ძალებს, რაც იწვევს ეკონომიკური აქტივობის თვითგენერირებად კონცენტრაციას ერთ კონკრეტულ ლოკაციაში (Fujita, M., Krugman, P. R., & Venables, A. J. 1999).

იანგი და შმელიოვი (Craig Young & Stanislav Shmelev, 2012) ნაშრომი, რომელიც ეძღვნება პოსტკომუნისტური ქალაქების ნეოლიბერალიზაციას, ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნენ პოსტკომუნისტური ქალაქები გეგმიური ეკონომიკიდან ნეოლიბერალურ, ბაზარზე ორიენტირებულ სივრცეებად, სადაც სახელმწიფო ხშირად ხელს უწყობს სპეკულაციურ ურბანულ განვითარებას. როგორც იანგი და შმელევი აღნიშნავენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, CEE და დსთ-ს ქვეყნების მეტროპოლიებში გეგმიური, სოციალურად დაბალანსებული ზონირება ჩაანაცვლა დერეგულაციამ და მიწის მაქსიმალურმა კომერციალიზაციამ.

აგლომერაციასა და პროდუქტიულობას შორის არსებული მჭიდრო კავშირი თანამედროვე ურბანული ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფციაა. ეკონომიკური აქტივობებისა და ადამიანური კაპიტალის სივრცითი კონცენტრაცია ქმნის ე.წ. „აგლომერაციულ ეკონომიას“, სადაც ფირმები და დასაქმებულები გეოგრაფიული სიახლოვით მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ. პროდუქტიულობის ეს ზრდა, ძირითადად, სამი მიკროეკონომიკური მექანიზმით აიხსნება: შრომის ბაზრის გაფართოებით (რაც აადვილებს დამსაქმებლისა და დასაქმებულის უნარების საუკეთესო თანხვედრას), სპეციალიზებული ინფრასტრუქტურისა და მიმწოდებლების გაზიარებით, და რაც მთავარია — ცოდნისა თუ იდეების სწრაფი, არაფორმალური გავრცელებით. შედეგად, მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ თუ ინდუსტრიულ კლასტერებში საგრძნობლად მცირდება ტრანსაქციული ხარჯები და იზრდება ინოვაციების გავრცელების ტემპი.

პიერ-ფილიპ კომბის, ჟილ დურანტონის, ლორან გობიონის, დიეგო პუგა და სებასტიან რუს კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაედგინათ ქალაქების სიდიდე ახდენდა თუ არა გავლენას მწარმოებლურობაზე. კვლევის შედეგებმა დაადასტურა აგლომერაციის გავლენა მწარმოებულობაზე. აგლომერაციის შედეგად ყველა ფირმის მწარმოებლურობა

ზოგადად იზრდება და თუმცა ამავდროულად, ფირმების მწარმოებლურობას შორის დისპერციაც იზრდება (Combes P, Duranton G., Gobillon L., Puga D., Roux S. 2012).

ედუარდ გლეისერმა და დევიდ მარემ აშშ-ის პანელური მონაცემების საფუძველზე ინდივიდუალური ფიქსირებული ეფექტების მოდელის გამოყენებით გამოიკვლიეს არსებობს თუ არა ურბანული ხელფასის პრემია და ასახავს თუ არა ის ხელფასების უფრო სწრაფ ზრდას. მათი კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა რომ ქალაქებში დასაქმებულები 33%-ით მეტს გამომუშავებენ, ვიდრე მათი „არაურბანული კოლეგები“. ეს ეფექტი ნაწილობრივ დინამიკურია და შეესაბამება ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების თეორიას (Glaeser Edward L., Maré David C. 2001).

ხუან პაბლო შოვენის, ედუარდ გლეისერის, იუერან მას და კრისტინა ტობიოს კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოევლინათ მოქმედებს თუ არა კლასიკური ურბანული კანონზომიერებები (როგორიცაა ზიფის კანონი - Zipf's law, ჟიბრას კანონი - Gibrat's law, სივრცითი წონასწორობა, აგლომერაციული/ადამიანისეული კაპიტალის ექსტერნალიები) განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებში. კვლევის მთავარი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რა განსხვავებაა ურბანიზაციას შორის მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში. მათ შეისწავლეს ქალაქები ბრაზილიაში, ჩინეთში, ინდოეთსა და აშშ-ში. კვლევის შედეგების მიხედვით სივრცითი უთანასწორობის ტესტების ჰიპოთეზა დადასტურდა ბრაზილიისა და ჩინეთის შემთხვევაში, თუმცა იგი უარყოფილია ინდოეთისთვის (Chauvin J. P., Glaeser E., Ma Y., Tobio K, 2016). ეს კვლევა მნიშვნელოვანი ნაშრომია განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის სპეციფიკის გასაანალიზებლად და ქვეყნებს შედარებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზიფის კანონთან შესაბამისობა შესწავლილი იქნა ქართველ მკვლევართა მიერაც, რომელმაც დაადასტურა თბილისის როგორც პრიმატი ქალაქის სტატუსი (Totladze L., Khuskivadze M., 2024).

აგლომერაციებსა და ინოვაციებს შორის არსებული კავშირი ურბანული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი მიმართულებაა. ეკონომიკური აქტივობისა და ნიჭიერი ადამიანების ერთ სივრცეში თავმოყრა ინოვაციების მთავარი კატალიზატორია.

ი. მურატას, რ. ნაკაიუმას, რ. ოკამოტოს და რ. ტამურას კვლევამ აჩვენა, რომ ცოდნის გადადინება უკიდურესად ლოკალიზებულია და მანძილის ზრდასთან ერთად მისი ეფექტი მკვეთრად და ძალიან სწრაფად მცირდება. ნაცვლად იმისა, რომ ტრადიციულად გამოეყენებინათ ადმინისტრაციული საზღვრები (მაგალითად, შტატები, ოლქები ან ქალაქები), ავტორებმა პატენტების ციტირებების გასაანალიზებლად მანძილზე დაფუძნებული მიდგომა გამოიყენეს. დაადგინეს, რომ პატენტების ციტირება (რაც ითვლება ცოდნის გავრცელების ინდიკატორად) მნიშვნელოვნად არის კონცენტრირებული ძალიან მცირე გეოგრაფიულ არეალში. ცოდნის გადადინების ყველაზე მაღალი ინტენსივობა ფიქსირდება ერთმანეთთან ძალიან ახლოს მყოფ გამომგონებლებს შორის (Murata, Y., Nakajuma, R., Okamoto, R, Tamura, R 2014). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევის მიხედვით ინოვატორებისთვის ფიზიკურ სიახლოვეს (და შესაბამისად, პირისპირ კომუნიკაციას) უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური ცოდნის მისაღებად და გასაზიარებლად. აღნიშნულს უკავშირდება ინოვაციებისა სტარტაპების ინტერნაციონალიზაციაც. ადრეული ინტერნაციონალიზაციის ფენომენი ნათლად აჩვენებს თანამედროვე ურბანული ეკოსისტემების ორმხრივ ბუნებას. ერთი მხრივ, გლობალურ ქსელებში ჩართულობა ხელს უწყობს ურბანული ცენტრების

ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზრებზე და ცოდნის გლობალური ნაკადების იმპორტს. თუმცა, მეორე მხრივ, პერიფერიული ან განვითარებადი ეკონომიკების ურბანულ სივრცეებში ტალანტების გადინება აჩენს სტრუქტურულ მოწყვლადობას. აღნიშნულის დადასტურებად შეიძლება განვიხილოთ კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც უკრაინის, ლატვიის და საქართველოს მონაცემების საფუძველზე ჩატარებული კვლევის მიხედვით IT სექტორის ჭარბი კონცენტრაცია, თავსებადია სხვა პოსტსოციალისტური ეკონომიკებისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებთან, მეორე მხრივ, სტარტაპების ადრეული გასვლა საერთაშორისო ბაზარზე, ერთდროულად წარმოადგენს როგორც ზრდის სტრატეგიას, ისე ადგილობრივი ეკოსისტემის მოწყვლადობის სავარაუდო მიზეზს განსაკუთრებით ტალანტების/კვალიფიციური კადრების გადინების მაღალი მაჩვენებლის პირობებში (Mensikovs V., Ruza O., Simakhova E., Bedianashvili G. (2026).

ე. მორეტის კვლევა Moretti, E (2021) ეძღვნებოდა საკითხს ზრდის თუ არა ერთი და იმავე სფეროს უფრო დიდი კლასტერები გამომგონებელთა მწარმოებლურობას. აშშ-ის 109 846 გამომგონებლის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე ე. მორეტიმ ააგო რეგრესიები, რომლებიც ზომავს პატენტების დამოკიდებულებას კლასტერის ზომაზე. მიზეზშედეგობრიობის (causality) დასამტკიცებლად გამოყენებულია ორი მიდგომა: გამომგონებლები, რომლებიც იცვლიან ქალაქს და იმავე სფეროს გამომგონებლები ქალაქში. კვლევის მთავარი მიგნებები იმაში მდგომარეობდა რომ იმავე სფეროს უფრო დიდ კლასტერში გადასვლა იწვევს მწარმოებლურობის ზრდას, რაც თავისთავად ნიშნავს დიდი აგლომერაციული ექსტერნალიების გამოვლინებას.

ურბანიზაცია არ წარმოადგენს მხოლოდ მოსახლეობის მექანიკურ გადაადგილებას სოფლებიდან ქალაქებში. ეს არის სივრცული, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ღრმა ტრანსფორმაცია. ქალაქების ზრდა ძირეულად ცვლის ეკონომიკის მოდელს — აგრარული სექტორიდან მაღალპროდუქტიულ ინდუსტრიულ და მომსახურებაზე დაფუძნებულ საქმიანობაზე გადასვლით, რაც თავის მხრივ გარდაქმნის ადამიანების ცხოვრების წესს, სოციალურ კავშირებსა და ფიზიკურ ინფრასტრუქტურას. მრავალშრიანი ტრანსფორმაცია იწვევს როგორც ინოვაციურ პროგრესს, ისე ახალ გამოწვევებს მდგრადი განვითარების გზაზე. ამავდროულად ისმის კითხვა აქვს თუ არა ურბანიზაციას პოტენციალი იყოს ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი.

ჯ. ვ. ჰენდერსონის ნაშრომის Henderson J.V. (2003) კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახდენს თუ არა გავლენას ურბანული კონცენტრაციის დონე ეროვნულ ეკონომიკურ ზრდაზე. სხვადასხვა ქვეყნის პანელური მონაცემების საფუძველზე, ეკონომიკური ზრდის რეგრესია ურბანული პრიმატობისა და კონცენტრაციის მიმართ, საკონტროლო ცვლადების გამოყენებით. გამოვლინდა, რომ არსებობს ურბანული კონცენტრაციის გარკვეული დონე, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიკურ ზრდას (ინვერსიული U-ს ფორმის დამოკიდებულება). ამ ოპტიმალური დონიდან მნიშვნელოვანი გადახრა დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, თუმცა არ ფიქსირდება მიზეზშედეგობრივი კავშირი, როგორიცაა: მეტი ურბანიზაცია ნიშნავს მეტ ზრდას (Henderson J. V. 2003).

დ. გოლინის, რ. ჯებვაბის და დ. ვოლარტის ნაშრომში „ურბანიზაცია ინდუსტრიალიზაციით და მის გარეშე“ გამოიკვლიეს შეუძლიათ თუ არა ქვეყნებს განიცადონ ურბანიზაცია ინდუსტრიალიზაციის გარეშე და აქვს თუ არა ამას არსებითი მნიშვნელობა. 116 განვითარებადი ქვეყნის მონაცემები 1960–2010 წლების მიხედვით

აგებული მოდელი ურბანიზაციას აკავშირებს გადამამუშავებელი მრეწველობისა და სერვისების სექტორების წილებსა და ბუნებრივი რესურსების ექსპორტთან. შედეგად აღმოჩნდა, რომ რესურსების ექსპორტიორი ქვეყნების ურბანიზაცია ძირითადად ხდება „მოხმარების ქალაქების“ ანუ არასავაჭრო სერვისების ხარჯზე და არა „წარმოების ქალაქების“ ხარჯზე (Gollin, D., Jebwab, R. , Vollarth, D., 2016).

ურბანიზაციის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასების დონისა და ცხოვრების ღირებულების სტრუქტურულ ცვლილებებთან. ქალაქებში მოსახლეობისა და ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაცია მკვეთრად ზრდის მოთხოვნას შეზღუდულ სივრცულ რესურსებზე, რაც, პირველ რიგში, უძრავი ქონებისა და მიწის ფასების (რენტის) მნიშვნელოვან ზრდაში აისახება. ეს დინამიკა ჯაჭვურ რეაქციას იწვევს: საოპერაციო ხარჯების მატება ფირმებისთვის და საცხოვრებელი ხარჯების ზრდა დასაქმებულთათვის, საბოლოო ჯამში, ზრდის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასებსაც. ფასების ეს მატება წარმოადგენს აგლომერაციის ერთ-ერთ მთავარ უარყოფით ეფექტს, რომელიც ერთგვარად აბალანსებს ურბანიზაციით გამოწვეულ პროდუქტიულობის სარგებელს.

სწორედ ფასების ფორმირების ამ მექანიზმებს, მათ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენასა ეძღვნება პ. კომბეს, გ. დურანტონის, ლ. გობილონის კვლევა (Combes, P.P., Duranton, G., Gobillon, L. 2019). მათ შეისწავლეს საფრანგეთის მიწისა და სახლების ფასების მიკრომონაცემები, და აღმოჩნდა ურბანული დანახარჯები იზრდება ქალაქის ზომასთან ერთად. ურბანული ხარჯების მრუდის სტრუქტურული შეფასება განხორციელდა ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენებით.

პანდემიის აგლომერაციებზე ზეგავლენის კვლევის გამოვლინდა ასევე საინტერესო ეფექტი, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „დონატის ეფექტის სახელიით“. არჯუნ რამანიმ და ნიკოლას ბლუმმა ნაშრომში „COVID-19-ის „დონატის ეფექტი“ ქალაქებზე“ შეისწავლეს ფენომენი, როდესაც ქალაქის ცენტრი იცვლება (ხვრელი დონატის ცენტრში), ხოლო მოსახლეობა და ბიზნესი გადადის გარეუბნებში, რითაც იქმნება რგოლისებრი სტრუქტურა. მათი მიზანი იყო პანდემიის გავლენის შეფასება უფრო სწორად კი როგორ შეცვალა დისტანციურმა მუშაობამ მეტროპოლიის შიდა გეოგრაფია? აშშ-ის საფოსტო სამსახურის (USPS) მისამართის შეცვლის მონაცემების და Zillow-ს უძრავი ქონების ფასებისა და ქირის მონაცემების ბაზაზე მათ აღწერეს ე.წ. „დონატის ეფექტი“ — პანდემიის გამო მოსახლეობისა და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გადაადგილება ქალაქის მჭიდროდ დასახლებული ცენტრიდან მის გარეუბნებსა და პერიფერიებზე. ეს მნიშვნელოვანი ნაშრომია იმის დასასაბუთებლად, რომ აგლომერაცია კი არ გაქრა, არამედ სახე იცვალა და ხელახლა ჩამოყალიბდა (Ramani A., Bloom N. 2021)

დასკვნა

ურბანული ეკონომიკის კლასიკური და თანამედროვე მოდელების, აგრეთვე ფართო ემპირიული კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ აგლომერაცია ეკონომიკური ზრდის, ტექნოლოგიური პროგრესისა და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. გეოგრაფიული სიახლოვე ქმნის ცოდნის ლოკალიზებული გადადინების მძლავრ მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური თუ ფირმების დონეზე მწარმოებლურობის მკვეთრ ზრდას. თეორიული ჩარჩოები (მაგ., მონოცენტრული ქალაქისა და სივრცითი წონასწორობის მოდელები) და ემპირიული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ურბანული კონცენტრაცია მუდმივი ბალანსირების პროცესია —

ცენტრისკენულ მიზიდულობის ძალებს გარდაუვლად უპირისპირდება ცენტრიდანული ძალები, რაც ასახვას ჰპოვებს კიდეც მიწის რენტის ზრდაში, სივრცით დისბალანსსა და ურბანული უთანასწორობის გაღრმავებაში. საერთაშორისო აკადემიური ლიტერატურა ადასტურებს, რომ ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მდგრადობა დამოკიდებულია არა არსებული სტრუქტურების სტატიკურ შენარჩუნებაზე, არამედ „კრეატიული ნგრევის“ პრინციპით მათ მუდმივ ევოლუციასა და ადაპტაციაზე გლობალურ გამოწვევებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანანიაშვილი ი., თოთლაძე ლ., მ. ხუსკივაძე მ., (2025). მდგრადი ურბანიზაციის ზეგავლენა სოციალურ და ეკოლოგიურ ინდიკატორებზე: ემპირიული კვლევა საქართველოს მაგალითზე. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, #4, 2025.

Aghion, P., & Howitt, P. (1992). A model of growth through creative destruction. Econometrica, 60(2), 323–351. https://doi.org/10.2307/2951599.

Aghion, P., & Howitt, P. (1998). Endogenous Growth Theory. MIT Press.

Alonso, W. (1964). Location and land use: Toward a general theory of land rent. Harvard University Press.

Combes, P.P., Duranton, G., Gobillon, L. (2019) "The Costs of Agglomeration: House and Land Prices in French Cities." Review of Economic Studies 86(4): 1556–1589.

Combes P., Duranton G., Gobillon L., Puga D., Roux S. (2012) "The Productivity Advantages of Large Cities: Distinguishing Agglomeration from Firm Selection." Econometrica 80(6): 2543–2594. DOI: 10.3982/ECTA8442.

Chauvin J. P., Glaeser E., Ma Y., Tobio K, (2016) "What is different about urbanization in rich and poor countries? Cities in Brazil, China, India and the United States." Journal of Urban Economics 98: 17–49 (NBER WP 22002, 2016).

De la Roca J., Puga P. (2017) "Learning by Working in Big Cities." Review of Economic Studies 84(1): 106–142. DOI: 10.1093/restud/rdw031.

Duranton, G., & Puga, D. (2004). Micro-foundations of urban agglomeration economies. In Handbook of Regional and Urban Economics (Vol. 4, pp. 2063-2117). Elsevier.

Glaeser E. (2010) "Estimating Agglomeration Economies with History, Geology, and Worker Effects." Ch. 1 in E.L. (ed.), The Economics of Agglomeration (University of Chicago Press for the NBER).

Glaeser, E. (2011). Triumph of the city: How our greatest invention makes us richer, smarter, greener, healthier, and happier. Penguin Press.

Glaeser E., Maré D. (2001) "Cities and Skills." Journal of Labor Economics 19(2): 316–342.

Gorzelak, G., & Smętkowski, M. (2010). The regional and local potential for economic transformation in Central and Eastern Europe. Euroreg.

Gorzelak, G. (1996). The regional dimension of transformation in Central Europe. Regional Studies Association.

Gollin, D., Jebwab, R. , Vollarth, D., (2016) "Urbanization with and without industrialization." Journal of Economic Growth 21(1): 35–70. DOI: 10.1007/ s10887-015-9121-4.

Florida, R. (2002). The rise of the creative class—And how it's transforming work, leisure, community, and everyday life. Basic Books.

Fujita, M., Krugman, P. R., & Venables, A. J. (1999). The spatial economy: Cities, regions, and international trade. MIT Press.

Krugman, P. (1998). What's new about the new economic geography?. *Oxford Review of Economic Policy*, 14(2), 7-17.

Henderson J.V. (2003). "The Urbanization Process and Economic Growth: The So-What Question." Journal of Economic Growth 8(1): 47–71.

Murata, Y., Nakajuma, R., Okamoto, R, Tamura, R (2014) "Localized Knowledge Spillovers and Patent Citations: A Distance-Based Approach." Review of Economics and Statistics 96(5): 967–985.

Moretti, E (2021). "The Effect of High-Tech Clusters on the Productivity of Top Inventors." American Economic Review 111(10): 3328–3375. DOI: 10.1257/aer.20191277.

Mensikovs V., Ruza O., Simakhova E., Bedianashvili G. (2026). Common and Unique Features in the Development of Startup Ecosystems in Latvia, Ukraine, and Georgia. Comparative Economic Research Central and Eastern Europe 28(4):23-43. DOI: 10.18778/1508-2008.28.27

Ramani A., Bloom N. (2021) "The Donut Effect of COVID-19 on Cities." NBER Working Paper 28876.

Salukvadze, J., & Bakradze, N. (2014). Tbilisi: Imperial, Soviet and post-Soviet patterns of Urban development. In Post-Socialist Urban Cities in Transition (pp. 237-254). Routledge.

Schumpeter, J. A. (1942). Capitalism, Socialism and Democracy. Harper & Brothers.

Totladze L., Khuskivadze M. (2022). The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, p. 28-33 https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4

Totladze L., Khuskivadze M. (2024). THE IMPACT OF URBANIZATION ON INCOME DISTRIBUTION: A STUDY OF GEORGIA. International Journal of Innovative Technologies in Economy, p-ISSN 2412-8368, 3(47) 2024; DOI: 10.31435/rsglobal_ijite/30092024/8207 https://rsglobal.pl/index.php/ijite/article/view/2815

Young, C., & Shmelev, S. (2012). Outcomes of urban sustainability and internationalization in post-socialist cities. International Journal of Urban and Regional Research, 36(3), 425–443. https://doi.org/10.1111/j.1468-2427.2011.01058.x

Effects of Urban Transformation and Agglomeration: A Systematic Analysis of Theoretical and Empirical Literature

Lia Totladze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Chief Research Fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
lia.totladze@tsu.ge

Mamuka Khuskivadze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Chief Research Fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
mamuka.khuskivadze@tsu.ge

Summary

This paper examines the effects of urban transformation and agglomeration amidst contemporary geopolitical and geoeconomic fragmentation. The primary focus lies in the spatial and regional dimensions of economic dynamics, closely intertwined with emerging challenges in global development. Through a systematic review of theoretical and empirical literature, the study analyzes the dual nature of urban growth—balancing its role in driving innovation and economic expansion against its propensity to exacerbate social and spatial inequality. The paper evaluates key theoretical frameworks, including New Economic Geography (NEG), monocentric city and spatial equilibrium models, Joseph Schumpeter's concept of "creative destruction," Edward Glaeser's insights on knowledge spillovers, and John Kain's spatial mismatch hypothesis.

Keywords: geoeconomic fragmentation, Georgian economy, urban transformation, agglomeration effects, spatial imbalance.

საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი გამოწვევები და განვითარების მიმართულებები

კახაბერ ციმინტია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებულ პროფესორი.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
kakhatsimintia@sou.edu.ge

გიორგი ბუცხრიკიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgibucxrikidze@sjuni.edu.ge

თამაზ გამსახურდია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamazi.gamsaxurdia@atsu.edu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი გამოწვევები, დარგის როლი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და რეგიონული დისპროპორციების დაძლევაში. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითად გამოწვევებად წარმოდგენილია: მიწის რესურსების ფრაგმენტაცია და მასშტაბის ეკონომიის პრობლემა, ფინანსურ კაპიტალზე დაბალი ხელმისაწვდომობა და საკრედიტო რისკები, აგროდაზღვევის განვითარების დაბალი დონე, ინფორმაციის ასიმეტრიულობა და თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტი, ღირებულებათა ჯაჭვში პოზიციონირების პრობლემა. აღნიშნული პრობლემების დაძლევის არსებული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე საქართველოს აგრარული სექტორის შემდგომი განვითარებისა და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში მისი როლის ამაღლების მიზნით რეკომენდირებულია: კოოპერაციის სტიმულირება, აგრო-კლასტერების განვითარება, აგროტურიზმი და სოფლად შემოსავლების დივერსიფიკაცია, მწვანე აგრო-ინოვაციები და კლიმატგონივრული (ჭკვიანი) სოფლის მეურნეობის განვითარება. აღნიშნული მიმართულებების უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებებად დასახულია: ინსტიტუციური გარემოს ფორმირება და კოოპერაციის ახალი მოდელები, აგრო-კლასტერების მხარდაჭერა, ფინანსური ინკლუზიის გაფართოება, აგროდაზღვევის რეფორმა, კლიმატგონივრული ტექნოლოგიების სუბსიდირება, ცოდნის გადაცემის ციფრული პლატფორმების ჩამოყალიბება, აგროტურისტული ჰაბების სტიმულირება.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ეკონომიკა. აგრარული სექტორი*

შესავალი. აგრარულ სექტორს საქართველოში გარკვეული ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფუნქციების შესრულება შეუძლია. კერძოდ, მას საკვანძო

როლი ენიჭება რეგიონული დისპროპორციების ნიველირებაში, სიღარიბის შემცირებაში, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მიგრაციული პროცესების შეკავებაში.

ამჟამად ფერმერული მეურნეობების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ფრაგმენტაცია, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა თავის ასახვას დაბალ მწარმოებლურობაში პოულობს და აღნიშნულ სფეროში საქმიანობას დაბალშემოსავლიან და ეკონომიკურად არახელსაყრელ საქმედ წარმოაჩენს.

ნაშრომის მიზანი. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოში აგრარული სექტორის ფუნქციონირების პირობების ანალიზი, ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება და იმ მექანიზმების განსაზღვრა, რომლებიც არსებულ გამოწვევათა ნაწილს დარგის უპირატესობად გარდაქმნის, რაც საშუალებას მისცემს აგრარულ სექტორში ფუნქციონირებად მეურნეობრიობის ფორმებს აქტიური წვლილი შეიტანონ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შედარებითი, სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზისა და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ნაშრომის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ევროსტატის ოფიციალური მონაცემები. აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მსოფლიო ბანკისა (WB) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საერთაშორისო ანგარიშები და სამეცნიერო პუბლიკაციები.

კვლევის შედეგები. არსებული კვლევები ადასტურებენ, რომ აგრარულ სექტორში ეკონომიკური ზრდა ინკლუზიური განვითარების მნიშვნელოვანი მდგენელია. რაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ორი ძირითადი მიზეზით აიხსნება - პირდაპირი (ზრდის სტრუქტურული მიმართულების ხასიათი) და ირიბი (ლოკალური მულტიპლიკატორის ეფექტი). კერძოდ, რადგანაც სოფლის მეურნეობა თავისი ბუნებით შრომატევადია და მასში ძირითადად კონცენტრირებულია დაბალკვალიფიციური და დაბალშემოსავლიანი სამუშაო ძალა, ამ სექტორში მიღწეული ზრდა უშუალოდ აისახება მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენაზე (Ligon, E., & Sadoulet, E., 2018, გვ. 11-12). ამასთანავე, როდესაც ფერმერული მეურნეობების შემოსავლები იზრდება, ისინი მიღებულ დამატებით შემოსავალს დარგს გარეთ წარმოებული პროდუქციის შეძენაზე ხარჯავენ (Mellor, 2017, გვ. 115-117) (De Janvry, A., & Sadoulet, E. , 2010, გვ. 6,12). არსებული გათვლებით ზოგადად სოფლის მეურნეობაში გენერირებული ყოველი 1 აშშ დოლარის დამატებული ღირებულება, ლოკალური მულტიპლიკატორის ეფექტის შედეგად არასასოფლო-სამეურნეო სფეროებში დამატებით 0,6-08 აშშ დოლარის ფარგლებში ირიბ ზრდას იწვევს (Mellor, 2017, გვ. 123-125).

საქართველოს რეალობაში, სადაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა ხშირად დედაქალაქსა და მსხვილ ურბანულ ცენტრებშია კონცენტრირებული, რეგიონული დისპროპორციის დაძლევის ერთ-ერთი ბერკეტი აგრარულ სექტორზე გადის (Tsimintia K., 2026). არსებული ოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის თითქმის 40 % სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულებში 42 %-ს, ხოლო მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი დაახლოებით 5%-ს შეადგენს. ამასთანავე, ძალიან დაბალია ერთი შინამეურნეობის მიერ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული საშუალო-თვიური

შემოსავალი (92,4 ლარი). ამავდროულად, აქ არსებული მეურნეობების თითქმის 94 % მცირემიწიანია (2 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობი), მაღალია იმ მეურნეობების წილი, რომლებმაც თითქმის სრულად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოეს (გაყიდეს 10 %-ზე ნაკლები) პროდუქცია (42,4 %) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026). ყოველივე მიუთითებს აგრარული სექტორის დაბალ მწარმოებლურობაზე (შრომის პროდუქტიულობა თითქმის 8-ჯერ ნაკლებია სხვა სექტორების აგრეგირებულ მაჩვენებელზე), ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასა და ეკონომიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაზე.

ჩვენი აზრით, შეიძლება დარგში არსებული პრობლემების შემდეგი სახით დიფერენცირება:

- ✓ მიწის რესურსების ფრაგმენტაცია და მასშტაბის ეკონომიის პრობლემა;
- ✓ ფინანსურ კაპიტალზე დაბალი ხელმისაწვდომობა და საკრედიტო რისკები;
- ✓ აგროდაზღვევის განვითარების დაბალი დონე;
- ✓ ინფორმაციის ასიმეტრიულობა და თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტი;
- ✓ ღირებულებათა ჯაჭვში პოზიციონირების პრობლემა.

მიწის რესურსების ფრაგმენტაცია და მასშტაბის ეკონომიის პრობლემა. იგი საქართველოს აგრარული სექტორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და ფუნდამენტურ სტრუქტურულ გამოწვევას წარმოადგენს. მეურნეობების აბსოლუტური უმრავლესობის მფლობელობაში 1.25 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მიწაა, რომელიც, თავის მხრივ, ხშირად რამდენიმე გეოგრაფიულად დაცილებულ ნაკვეთად არის დაყოფილი. კერძოდ, არსებული ოფიციალური მონაცემებით მეურნეობების 50 %-ზე მეტი 0,5 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს ფლობს, ხოლო 44 %-ზე მეტი კი 2,0 ჰა-ზე - ნაკლებს. ანუ მთლიანობაში ქვეყანაში არსებული ფერმერული მეურნეობების 94 % 2 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს ფლობს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026). მიწის ასეთი სტრუქტურა ბლოკავს „მასშტაბის ეკონომიის“ ეფექტს. მცირე ფართობებზე თანამედროვე, მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება ეკონომიკურად არარენტაბელურია, რადგან ტექნოლოგიის ფიქსირებული ხარჯები ერთეულ პროდუქციაზე გადანაწილებისას საწარმოო თვითღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. გარდა ამისა, მცირე ფრაგმენტირებული ნაკვეთები ართულებს ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემების ეფექტიან მართვას, რაც აფერხებს ერთგვაროვანი და სტაბილური მოსავლის მიღებას. შესაბამისად, ფრაგმენტაცია პირდაპირ ზღუდავს შრომისა და მიწის პროდუქტიულობის ზრდას და მცირე ფერმერებს დაბალი კონკურენტუნარიანობის ჩაკეტილ წრეში ტოვებს.

ფინანსურ კაპიტალზე დაბალი ხელმისაწვდომობა და საკრედიტო რისკები. მცირე ფერმერებისთვის კაპიტალის ბაზარი საქართველოში პრაქტიკულად შეზღუდულია. კომერციული საბანკო სექტორი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აგრარულ სექტორს, განსაკუთრებით კი მცირე მეურნეობებს, მაღალი რისკის მქონე მიმართულებად განიხილავენ. ეს შეზღუდვა უპირველეს ყოვლისა, არასაკმარისი უზრუნველყოფითა და შემოსავლების არასტაბილურობითაა განპირობებული. კერძოდ, მცირე ფერმერების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ხშირად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ან მათი საბაზრო ღირებულება რეგიონებში იმდენად დაბალია, რომ ბანკებისთვის მყარ საგარანტიო უზრუნველყოფას არ წარმოადგენს. აგრარული წარმოების

თავისებურებებიდან გამომდინარე, ფერმერებს არ გააჩნიათ გარანტირებული შემოსავლის წყარო, რაც ზრდის სესხის არდაბრუნების ალბათობას.

აგროდაზღვევის განვითარების დაბალი დონე. მიუხედავად სახელმწიფო თანადაფინანსებისა, აგროდაზღვევის ბაზარი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, რაც ფერმერებს სტიქიური მოვლენების (სეტყვა, გვალვა) წინაშე დაუცველს ტოვებს. კაპიტალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, მცირე ფერმერები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, განახორციელონ გრძელვადიანი კაპიტალური ინვესტიციები (თანამედროვე სათბურები, წვეთოვანი სარწყავი სისტემები, სამაცივრე მეურნეობები), რაც მათ ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას კიდევ უფრო აძლიერებს.

ინფორმაციის ასიმეტრიულობა და თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტი. თანამედროვე ეკონომიკაში ცოდნა და ინფორმაცია წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. საქართველოს რეალობაში მცირე ფერმერული მეურნეობები ინფორმაციული ასიმეტრიისა და აგრონომიული ცოდნის დეფიციტის პირობებში ოპერირებენ. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების არსებული სახელმწიფო თუ კერძო სისტემები ვერ ფარავენ ფერმერთა ფართო მასებს. ფერმერთა უმრავლესობა წარმოებას ეწევა ტრადიციული, ემპირიული მეთოდებით, რაც ხშირად გულისხმობს შხამქიმიკატებისა და სასუქების არასწორ დოზირებას, ნიადაგის მართვის არასწორ პრაქტიკას და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა არასწორ როტაციას. ეს არა მხოლოდ პროდუქტიულობას ამცირებს და თვითღირებულებას ზრდის, არამედ ეკოლოგიურ ზიანსაც აყენებს გარემოს, რაც ეწინააღმდეგება მწვანე და მდგრადი ეკონომიკის პრინციპებს.

ღირებულებათა ჯაჭვში პოზიციონირების პრობლემა. მცირე ფერმერების ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური სისუსტე სასაქონლო ღირებულებათა ჯაჭვში მათი არასახარბიელო პოზიციაა. წარმოებული პროდუქციის მცირე მოცულობის გამო, ცალკეულ ფერმერს არ გააჩნია საბაზრო კონიუნქტურაზე მცირე ზეგავლენაც კი. მათ არ აქვთ პირდაპირი წვდომა მსხვილ სარეალიზაციო ქსელებთან (სუპერმარკეტები, გადამამუშავებელი საწარმოები, საექსპორტო არხები), რადგან ეს უკანასკნელნი ითხოვენ მიწოდების სტაბილურობას, პროდუქციის დიდ მოცულობას, ერთგვაროვნებას და ხარისხის სერტიფიცირებას. შედეგად, ფერმერი იძულებულია თავისი პროდუქცია დაბალ ფასად ჩააბაროს შუამავლებს, რომლებიც ახდენენ პროდუქტის კონსოლიდაციას და ძირითად მარჟასა და მოგებას თავად იტოვებენ. ასეთ პირობებში, საბოლოო მომხმარებლის მიერ გადახდილი მაღალი ფასიდან ფერმერამდე მხოლოდ მინიმალური წილი აღწევს, რაც ბლოკავს სოფლად დოვლათის დაგროვებას და ხელს უშლის ინკლუზიურ ზრდას.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა საქართველოს აგრარული სექტორის წინაშე მდგარი ამ 5 ძირითადი პრობლემების დაძლევის შემდეგ, აპრობირებულ ღონისძიებებს გვთავაზობს:

- ✓ კოოპერაცია;
- ✓ აგრო-კლასტერების განვითარება;
- ✓ აგროტურიზმი და სოფლად შემოსავლების დივერსიფიკაცია;
- ✓ მწვანე აგრო-ინოვაციები და კლიმატგონივრული (ჭკვიანი) სოფლის მეურნეობა;

კოოპერაცია. მიწის რესურსების მაღალი ფრაგმენტაციისა და მასშტაბის ეკონომიის არარსებობის პირობებში, მცირე ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრეს ინსტიტუციურ მექანიზმს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს.

ჰორიზონტალური (ინტეგრაცია წარმოების დონეზე) და ვერტიკალური (ინტეგრაცია გადამუშავებისა და მარკეტინგის დონეზე) კოოპერაცია მცირე მწარმოებლებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ რესურსების კონსოლიდაცია და იმოქმედოს როგორც ერთიანმა, მსხვილმა ეკონომიკურმა სუბიექტმა. ეფექტიანი კოოპერირება საწარმოო ხარჯების ოპტიმიზაციისა და ბაზარზე ფერმერის ზეგავლენის ზრდის საშუალებას იძლევა. კერძოდ, კოოპერატივს შეუძლია საბითუმო ფასებში შეიძინოს საწარმოო რესურსები (სასუქები, სათესლე მასალა, შხამქიმიკატები) და ერთობლივად გამოიყენოს ძვირადღირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რაც მკვეთრად ამცირებს პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას. ასევე, პროდუქციის ერთგვაროვანი და მსხვილი პარტიების ფორმირებით, კოოპერატივები გვერდს უვლიან არაპროდუქტიულ შუამავლებს და პირდაპირ კავშირს ამყარებენ მსხვილ სუპერმარკეტების ქსელებთან, გადამამუშავებელ მრეწველობასა და საექსპორტო არხებთან.

აგრო-კლასტერების ფორმირება. სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ისეთი გეოგრაფიული და ეკონომიკური კლასტერების განვითარება, სადაც მცირე ფერმერებთან ერთად ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად იქნებიან ინტეგრირებულნი ნედლეულის მიმწოდებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები. ტრადიციული, იზოლირებული მეურნეობებისგან განსხვავებით, კლასტერული მიდგომა უზრუნველყოფს მასშტაბის ეფექტის მიღწევას მიწების მექანიკური კონსოლიდაციის გარეშეც, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს რეალობისთვის. ეს მოდელი ააქტიურებს რამდენიმე საკვანძო ეკონომიკურ მექანიზმს. კერძოდ, კლასტერში სამეცნიერო წრეებისა და აგრო-ბიზნესის თანაარსებობა ამცირებს საინფორმაციო ასიმეტრიას. ახალი ტექნოლოგიები, სერტიფიცირების სტანდარტები და სმარტ-აგრონომიული პრაქტიკა მყისიერად ვრცელდება მცირე ფერმერებს შორის; ერთიანი ლოგისტიკური და სასაწყობე (მაცივარ/სორტირების) ინფრასტრუქტურის გამოყენება მკვეთრად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და მოსავლის აღების შემდგომ დანაკარგებს; კლასტერის შიგნით არსებული ურთიერთნდობა და გამჭვირვალობა ამცირებს საკრედიტო რისკებს, რაც ფინანსური ინსტიტუტებისთვის მცირე ფერმერებს კრედიტუნარიან პარტნიორებად აქცევს. საბოლოო ჯამში, აგრო-კლასტერიზაცია უზრუნველყოფს რეგიონულ დონეზე მაღალი დამატებული ღირებულების შექმნას და მის სამართლიან გადანაწილებას ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილეზე. ეს პროცესი პირდაპირ აისახება ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობაზე, ვინაიდან მცირე მეურნეობები ხდებიან მსხვილი საექსპორტო და შიდა აგრო-სასურსათო ბაზრების სრულუფლებიანი სუბიექტები, რაც ზრდის მათ ფულად შემოსავლებს.

აგროტურიზმი და შემოსავლების დივერსიფიკაცია სოფლად. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი სოფლად არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობების სტიმულირება და შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციაა. მხოლოდ პირველად აგრარულ წარმოებაზე დამოკიდებულება მცირე ფერმერებს მოწყვლადს ხდის კლიმატური და საბაზრო რისკების მიმართ. ამ კონტექსტში, უაღრესად პერსპექტიულ მიმართულებად გვევლინება აგროტურიზმის განვითარება. აგროტურიზმი წარმოადგენს სინერგიულ მოდელს, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ ფერმერულ საქმიანობას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და სტუმართმასპინძლობის სექტორს. მცირე ფერმერებისთვის ეს ნიშნავს შესაძლებლობას,

მოახდინონ საკუთარი პროდუქციის (ღვინო, ყველი, ტრადიციული ნაწარმი და ა.შ.) რეალიზაცია უშუალოდ მეურნეობაში, ყოველგვარი ტრანსპორტირებისა და მარკეტინგული დანახარჯების გარეშე, თანაც ბევრად მაღალ, საცალო ფასად. გარდა ამისა, აგროტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს სოფლად (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისთვის), რაც ხელს უწყობს მიგრაციის შეკავებას, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და რეგიონებში ურბანული ცენტრებიდან კაპიტალის მოზიდვას.

მწვანე აგრო-ინოვაციები და კლიმატგონივრული (ჭკვიანი) სოფლის მეურნეობა. გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში, მცირე ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაცია უნდა დაეფუძნოს მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და კლიმატგონივრულ (ჭკვიან) სოფლის მეურნეობას. გლობალური კლიმატური ცვლილებები, ნიადაგების დეგრადაცია და წყლის რესურსების დეფიციტი უპირველეს ყოვლისა სწორედ მცირე, მოწყვლად ფერმერებს აზარალებს.

მწვანე აგრო-ინოვაციების დანერგვა მცირე მეურნეობებში უნდა წარიმართოს სამი ძირითადი მიმართულებით:

რესურსდამზოგი ტექნოლოგიები. წვეთოვანი სარწყავი სისტემების, ნიადაგის მინიმალური დამუშავებისა და სათბურებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა. ეს მეთოდები მკვეთრად ამცირებს წარმოების ხარჯებს და იცავს ბუნებრივ რესურსებს.

ცირკულარული ეკონომიკის მიდგომები. ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული ბიოლოგიური ნარჩენების მეორადი გადამუშავება - კომპოსტირება, ბიოგაზის წარმოება და ორგანული სასუქების გამოყენება. ეს ამცირებს დამოკიდებულებას ძვირადღირებულ იმპორტირებულ ქიმიურ სასუქებზე და ამცირებს სათბური აირების ემისიას.

ეკო-სერტიფიცირება. მცირე ფერმერების ხელშეწყობა ბიოპროდუქციის სერტიფიკატების მიღებაში. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე გლობალური და ლოკალური მოთხოვნის ზრდა მცირე მეურნეობებს აძლევს შანსს, ნიშურ ბაზრებზე მაღალი ფასით წარდგნენ. რაც მათი ფინანსური მდგრადობისა და ინკლუზიური ზრდის გარანტიაა.

დასკვნა. ამგვარად, სანამ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩაკეტილი იქნება დაბალპროდუქტიულ, ნახევრადსასაქონლო მცირე მეურნეობებში, მაკროეკონომიკური ზრდის სიკეთეები ვერ მოახდენს რეგიონებში სიღარიბის დონის არსებით შემცირებას. არსებული ბარიერები (მიწის უკიდურესი ფრაგმენტაცია, ფინანსური გამორიცხვა, ასიმეტრიული ინფორმაცია და ღირებულებათა ჯაჭვში სუსტი პოზიციონირება) ერთმანეთთან მჭიდრო სისტემურ კავშირშია. ფრაგმენტაცია ბლოკავს მასშტაბის ეკონომიას, რაც ზრდის საწარმოო რისკებს და კომერციული ბანკებისთვის მცირე ფერმერებს მიუღებელ მსესხებლებად აქცევს, კაპიტალის დეფიციტი კი თავის მხრივ აფერხებს ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება უნდა მოხდეს მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებით (კოოპერაცია, მწვანე ინოვაციები, დივერსიფიკაცია) რაც პირდაპირ კავშირშია სოფლად შემოსავლების ზრდასთან და რეგიონული უთანასწორობის დაძლევასთან და რეალურად უზრუნველყოფს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული პრობლემების გადაჭრის

მსოფლიოში აპრობილებული ღონისძიებები კი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

- ✓ **ინსტიტუციური გარემოს ფორმირება და კოოპერაციის ახალი მოდელები.** სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში (მაგ. აგროკრედიტი, ტექნიკის თანადაფინანსება) უნდა დაწესდეს სპეციალური კვოტები და შეღავათიანი პირობები იმ მცირე ფერმერებისთვის, რომლებიც ერთიანდებიან კოოპერატივებში. ეს სტიმულს მისცემს ნებაყოფლობით ჰორიზონტალურ ინტეგრაციას.
- ✓ **აგრო-კლასტერების მხარდაჭერა.** რეგიონული განვითარების სტრატეგიებში პრიორიტეტი მიენიჭოს მცირე ფერმერებზე ორიენტირებული ლოგისტიკური ცენტრებისა და სამაცივრე მეურნეობების მოწყობას, რაც მცირე მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, პირდაპირი კონტრაქტები გააფორმონ მსხვილ ურბანულ სარეალიზაციო ქსელებთან და თავიდან აიცილონ შუამავლების ნეგატიური გავლენა.
- ✓ **ფინანსური ინკლუზიის გაფართოება.** სახელმწიფომ უნდა გააფართოოს საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმები სპეციალურად მცირე ფერმერებისთვის, სადაც გირაოს ნაკლებობის კომპენსირება მოხდება სახელმწიფო გარანტიით, თუ ფერმერი მონაწილეობს მაღალტექნოლოგიურ ან ეკო-ინოვაციურ პროექტში.
- ✓ **აგროდაზღვევის რეფორმა.** დაზღვევის სისტემის მოდერნიზაცია ინდექსური დაზღვევის (Index-based Insurance) მიმართულებით, რაც გაამარტივებს ზარალის შეფასების ბიუროკრატიულ პროცედურებს და ხელმისაწვდომს გახდის მას მცირე ფერმერებისთვის.
- ✓ **კლიმატგონივრული ტექნოლოგიების სუბსიდირება.** სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიზნობრივად დაფინანსდეს მცირე მეურნეობებში წვეთოვანი რწყვის, ნიადაგის მინიმალური დამუშავებისა და ბიოლოგიური ნარჩენების გადამუშავების (ცირკულარული ეკონომიკის მიდგომები) დანერგვა.
- ✓ **ცოდნის გადაცემის ციფრული პლატფორმების ჩამოყალიბება.** შეიქმნას მობილური აგრო-ექსტენციის თანამედროვე ციფრული სისტემები (AgTech პლატფორმები), რომლებიც მცირე ფერმერებს რეალურ დროში მიაწვდიან ინფორმაციას ამინდის პროგნოზის, მავნებლების გავრცელების რისკებისა და ბაზარზე არსებული მიმდინარე ფასების შესახებ, რითაც შემცირდება ასიმეტრიული ინფორმაციის ეფექტი.
- ✓ **აგროტურისტული ჰაბების სტიმულირება.** რეგიონებში, სადაც მიწის სიმცირე კრიტიკულია, სახელმწიფო პროგრამებით წახალისდეს ფერმერული მეურნეობების ბაზაზე მცირე საოჯახო სასტუმროებისა და მარნების მოწყობა, რაც უზრუნველყოფს სოფლად ალტერნატიული, მაღალმარჟიანი შემოსავლების გაჩენას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *საქართველოს სოფლის მეურნეობა 2024. სტატისტიკური პუბლიკაცია.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba-დან

De Janvry, A., & Sadoulet, E. . (2010). Agricultural growth and poverty reduction: Additional findings. *World Bank Research Observer, (25)1*, 1-20.

Ligon, E., & Sadoulet, E. (2018). *Estimating the relative benefits of agricultural growth on the poor. World Bank Policy Research Working Paper No. 8675.* World Bank.

Mellor, J. W. (2017). *Agricultural Development and Economic Transformation: Promoting Growth with Poverty Reduction. .* Palgrave Macmillan.

Tsimintia K. (2026). Development Direction of Modern Agricultural Systems in Georgia. *«Research Retrieval and Academic Letters» (April 2-3, 2026). Warsaw, Poland*, 265-269.

The main challenges and directions of development of the agricultural sector of Georgia

Kakhaber Tsimintia
Doctor of Economics, Associate Professor.
Sokhumi State University
kakhatsimintia@sou.edu.ge

Giorgi Butskhrikidze
Doctor of Economics, Associate Professor
Samtskhe-Javakheti State University
giorgibucxrikidze@sjuni.edu.ge

Tamaz Gamsakhurdia
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
tamazi.gamsaxurdia@atsu.edu.ge

Summary

The paper discusses the main challenges of the agricultural sector of Georgia, the role of the sector in ensuring inclusive economic growth and overcoming regional disproportions. The main challenges of the development of the agricultural sector of Georgia are: fragmentation of land resources and the problem of economies of scale, low availability of financial capital and credit risks, low level of development of agro-insurance, information asymmetry and lack of modern technologies, the problem of positioning in the value chain. Based on the study of the existing experience of overcoming the mentioned problems, in order to further develop the agricultural sector of Georgia and increase its role in inclusive economic growth, it is recommended: stimulation of cooperation, development of agro-clusters, agro-tourism and diversification of incomes in rural areas, green agro-innovations and development of climate-wise (smart) agriculture. The specific measures for ensuring the mentioned directions are: formation of the institutional environment and new models of cooperation, Support for agro-clusters, Expanding financial inclusion, Agricultural insurance reform, Subsidizing climate-smart technologies, Establishing digital platforms for knowledge transfer, Stimulation of agro-tourism hubs.

Keywords: Georgian economy. Agricultural sector

სახელმწიფოს მონაწილეობა აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლებაში

(საქართველოს მაგალითზე)

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი;
მეცნიერ-კონსულტანტი,
ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
daswreba@yahoo.com

ანოტაცია. *საქართველოს აგრარული სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, თუმცა მისი ფაქტობრივი მდგომარეობა ჯერ კიდევ მთელი რიგი გამოწვევებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია ნაყოფიერი მიწები და მრავალფეროვანი აგროკლიმატური პირობები, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტიანობა ხშირად დაბალია. ამის მიზეზებს შორისაა მიწების ფრაგმენტაცია, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ნაკლებობა, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა და ფერმერების არასაკმარისი ცოდნა. მიწების დიდი ნაწილი არასრულად ან არაეფექტიანად გამოიყენება, რაც ამცირებს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, ინფრასტრუქტურული პრობლემები, როგორიცაა სარწყავი სისტემების გაუმართაობა და ლოგისტიკის სირთულეები, კიდევ უფრო აფერხებს სექტორის განვითარებას. სახელმწიფოს როლი კრიტიკულია აღნიშნული გამოწვევების გადაჭრაში. ეფექტიანი აგროპოლიტიკა უნდა მოიცავდეს მიწების კონსოლიდაციის ხელშეწყობას, ფერმერებისთვის ფინანსური ინსტრუმენტების (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები) განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას. ასევე მნიშვნელოვანია განათლებისა და კონსულტაციის პროგრამები, რომლებიც გაზრდის ფერმერების ცოდნასა და უნარებს. შედეგად, სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა და მიზანმიმართული პოლიტიკა შეიძლება გახდეს აგრარული სექტორის ეფექტიანობის ზრდის, სოფლის განვითარების და ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობა.*

საკვანძო სიტყვები: *აგრარული სექტორი, სუბსიდირება, სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ეფექტიანობა, თვითუზრუნველყოფის დონე.*

შესავალი

საქართველოს აგრარულ სექტორში შრომის დაბალი მწარმოებლურობა მრავალმხრივი და სისტემური პრობლემებითაა განპირობებული, რაც პირდაპირ აისახება როგორც ფერმერთა შემოსავლებზე, ისე სექტორის კონკურენტუნარიანობაზე.

პირველ რიგში, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია **მიწების მაღალი ფრაგმენტაცია**. მიწის ნაკვეთები ხშირად დაყოფილია მცირე, ერთმანეთისგან დაშორებულ ნაწილებად, რაც ართულებს თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენებას და ზრდის წარმოების დანახარჯებს. საქართველოში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის დაახლოებით **2.3 ნაკვეთი**. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მიწა განაწილებულია **4–**

5 ნაკვეთად, რაც მიუთითებს ფრაგმენტაციის საკმაოდ მაღალ დონეზე. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა შეადგენს დაახლოებით **0.5 ჰექტარს.** ეს ნიშნავს, რომ თითოეული ნაკვეთი მცირეა და ხშირად არ იძლევა ინტენსიური და ტექნოლოგიურად ეფექტიანი წარმოების შესაძლებლობას. საშუალოდ, ერთ მეურნეობაზე მოდის დაახლოებით **1.2–1.4 ჰექტარი მიწა.** მცირე ზომის მეურნეობები ვერ სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიით, რის შედეგადაც შრომის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იკლებს.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია **მექანიზაციის დაბალი დონე**. ფერმერთა დიდ ნაწილს არ აქვს წვდომა თანამედროვე ტექნიკაზე, ან მისი შეძენა ფინანსურად მიუწვდომელია. შედეგად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დიდი ნაწილი კვლავ ხელით სრულდება, რაც ზრდის შრომის დანახარჯს და ამცირებს პროდუქტიულობას. მცირე ფერმერები ვერ ყიდულობენ ტექნიკას. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააჩნდათ 28 ათასზე მეტი ტრაქტორი და 2.5 ათასზე მეტი კომბაინი. ამჟამად მათი რაოდენობა შემცირებულია დაახლოებით 1.5-2.5-ჯერ. არსებული პარკის დიდი ნაწილი კი მოძველებული და დაბალი სიმძლავრისაა, არაა სრულად დატვირთული (გამოყენება დაბალია). ტექნიკის დეფიციტი და მექანიზაციის დაბალი დონე განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა მცირე ფერმერებში. საქართველოში ერთ ტრაქტორზე მოდის დაახლოებით 73 ჰა, რაც ცალსახად მიუთითებს ტექნიკის მწვავე დეფიციტზე. შედარებისათვის: ევროკავშირში ერთ ტრაქტორზე მხოლოდ 15-30 ჰა, ხოლო აშშ-ში - 30-50 ჰა მოდის.

მესამე პრობლემას წარმოადგენს **სოფლის, როგორც სასოფლო თემის სამართლებრივი სტატუსის განუსაზღვრელობა**. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისთვის სოფლისა და სასოფლო თემის სამართლებრივი სტატუსის განუსაზღვრელობა ქმნის მნიშვნელოვან სისტემურ პრობლემებს. ადგილი აქვს **საკუთრებისა და მიწის მართვის გაურკვევლობას** (რთულდება მიწების რეგისტრაცია და საკუთრების დადგენა, ხშირია მიწის ფრაგმენტაცია და დაურეგისტრირებელი ნაკვეთები, ინვესტორებისთვის იზრდება რისკი, რადგან მიწის სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველია, etc.), რის გამოც ფერხდება მიწის ეფექტიანი გამოყენება, სუსტად ვითარდება კოოპერაცია (სოფელს, როგორც თემს, არ აქვს მკაფიო იურიდიული ფორმა, ფერმერებს უჭირთ გაერთიანება, არ არსებობს ძლიერი თემობრივი თვითორგანიზება, რის გამოც მცირე მეურნეობა რჩება იზოლირებული და ვერ სარგებლობს მასშტაბის ეკონომიით, სირთულეა **სახელმწიფო პროგრამებზე წვდომაზე** (საჭიროებების სწორად იდენტიფიცირება, რესურსების არათანაბარი და არაეფექტიანი განაწილება, etc.), **ადგილობრივი თვითმმართველობის სისუსტე** (სოფელს არ აქვს მკაფიო თვითმმართველი სტატუსი, გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალიზებულად ან მუნიციპალიტეტის დონეზე, მოსახლეობის ჩართულობა დაბალია), **ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარების შეფერხება, აგრარული პოლიტიკის განხორციელების პრობლემები** (სოფელი არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული). საბოლოო ჯამში ეს თავს იჩენს ცოდნის გაზიარებისა და ეფექტიანი მართვის მოდელების დანერგვის შეფერხებაში.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე **სახელმწიფო სუბსიდირების დაბალი დონე და არასისტემურობა**. მიუხედავად არსებული პროგრამებისა, მათი მოცვა და ეფექტიანობა ხშირად შეზღუდულია. ფერმერები ვერ იღებენ საკმარის ფინანსურ მხარდაჭერას ტექნოლოგიების განახლებისთვის, ხარისხიანი წარმოების დანერგვისა და ბაზრებზე გასვლისთვის.

აღნიშნული პრობლემების სიმწვავე განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საქართველოს შედარებით როგორც განვითარებული აგრარული სექტორის მქონე ქვეყნებთან, ისე სამხრეთ კავკასიის უშუალო მეზობელ სახელმწიფოებთან.

მიწების ფრაგმენტაციის დაძლევისა და კონსოლიდაციის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები

აგრარული წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროცესი მიწების ფრაგმენტაციის დაძლევისა და მათი კონსოლიდაციით უნდა დაიწყოს. საქართველოში საშუალოდ ერთ ფერმერულ მეურნეობაზე მოდის დაახლოებით 1.2-1.4 ჰა მიწა, რაც ერთერთი დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

აღნიშნულზე უფრო მკაფიო წარმოდგენას იძლევა ქვემორე დიაგრამა

დიაგრამა 1



საქართველოში ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობი გააჩნია ფერმერული მეურნეობების 77 პროცენტს. ეს ერთერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

რამდენი ჰექტარია საკმარისი ეფექტიანი ფერმისთვის? - ამაზე ზუსტი ერთი რიცხვი არ არსებობს, მაგრამ საქართველოში პრაქტიკამ და კვლევებმა აჩვენა რეალისტური დიაპაზონები კულტურისა და ტიპის მიხედვით.

კერძოდ, ქვემოთ მოტანილ ცხრილი აჩვენებს მიწის მინიმალური და ოპტიმალური ზომების განსხვავებულობას ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ცხრილი 1

კულტურის სახეობა	მინიმუმი, ჰა	ოპტიმალური, ჰა
მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი)	20-30	50+

მევენახეობა / ბაღები (მაღალი ღირებულების კულტურები:	3-5	7-15
ბოსტნეული (სათბურები / ღია გრუნტი)	1-2	2-5
მეცხოველეობა დამოკიდებულია საძოვარზე და ფერმის ტიპზე	20-100	100<

საქართველოსთვის 2 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ფერმერული მეურნეობა განწირულია დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობისათვის, 3-დან 10-ჰა-მდე ფართობისას - შესაძლებელია მცირე ბიზნესი (სპეციალიზაციით), ხოლო 10–50 ჰა-სას შეიძლება საუბარი სტაბილურ, ხოლო 50-ზე მეტი ფართობისას - მაღალეფექტიან ფერმაზე.

მოტანილი ცხრილი მკაფიოდ აჩვენებს, რომ მიწების საშუალო ფართობი ფაქტობრივად ნებისმიერი კულტურის მიხედვით წარმოების ეფექტიანობის მისაღწევად არა თუ ოპტიმალურ, არამედ მინიმალურ ზომასაც კი ჯერადად ჩამორჩება. შესაბამისად, მიწების კონსოლიდაციის პროცესში წარმატების მიღწევა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს ნებაყოფლობით/სავალდებულო კონსოლიდაციის პირობებს, კომპენსაციის მექანიზმებს, ადმინისტრაციულ სამართლებრივ თანმიმდევრობას. ანუ პრინციპით: „ჯერ ძილი, მერე - სიზმარი“, შედეგის მისაღწევად აუცილებელია პირველ რიგში **მიწის რეესტრისა და რეგისტრაციის მოწესრიგება,** საკუთრების და საზღვრების განსაზღვრა – საფუძველი ყველა შემდეგ ინსტრუმენტზე. ინსტრუმენტები კი შეიძლება იყოს მიწის გაცვლა, ერთობლივი მფლობელობა. სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა გულისხმობდეს იმ ფერმერთათვის **საბიუჯეტო კომპენსაციებს**, ვინც გაერთიანებულ ნაკვეთებზე გადადის ან აფართოებს. ეს შეიძლება იყოს თანხის ან ინვესტიციული მხარდაჭერის ფორმით.

ფართო ხასიათი უნდა მიენიჭოს ნებაყოფლობითი კონსოლიდაციისთვის **სახელმწიფო სუბსიდიებსა და კომპენსაციის მექანიზმებს.**

ამავე დროს, საკანონმდებლო ბაზის ხაზით მისაღებია სპეციალური **კანონი მიწის კონსოლიდაციის შესახებ. ქართულ კანონმდებლობაში დღემდე არ არსებობს სპეციალური, ცალკე მიღებული კანონი,** რომელიც პირდაპირ და მითითებით **აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო მიწების** *კონსოლიდაციის აუცილებლობას* ***ან*** *კონსოლიდაციის ამოცანის სამართლებრივ დარეგულირებას* პროცედურების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრით.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა:

- სოფლის, თემის სტატუსის განსაზღვრა და მის მუდმივ მფლობელობაში სასოფლო სამეურნეო სავარგულების, შესაბამის სივრცეში ტყისა და წყლის რესურსებით სარგებლობის ჩათვლით. - როცა ტერიტორია იძენს ოფიციალურ სტატუსს (სოფელი, სასოფლო თემი), ეს ძალიან მკაფიოდ განსაზღვრავს მიწის გამოყენების ფუნქციას — საცხოვრებელი, სასოფლო-სამეურნეო თუ კომერციული.

ეს ქმნის იურიდიულ სიცხადეს, რაც აყალიბებს მიწის მოთხოვნისა და ღირებულების რეალურ საფუძველს.

გამორიცხავს სპეკულაციურ ზრდას სტატუსის გაურკვევლობის გამო და ხელს უწყობს ინვესტორული ნდობის ჩამოყალიბებას.

გაერთიანებული მიწები შეიძლება უფრო ეფექტიანად დამუშავდეს, რაც ნიშნავს, რომ მიწის ღირებულება ემყარება პროდუქტიულ შესაძლებლობას, და არა მხოლოდ მიწის იურიდიულ კუთვნილებას.

კოოპერაცია საშუალებას აძლევს მცირე მფლობელებს ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილებები - მათ შორის მიწის რეალისტური გაყიდვის ფასზეც.

მაგ., ინდივიდუალურად, ერთ ჰექტარიან მიწას შეიძლება არ ჰქონდეს ბაზარზე მოთხოვნა, მაგრამ კოოპერაციით გაერთიანებული 20 ჰექტარი შეიძლება ქირავდებოდეს ან იყიდებოდეს უკვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დონეზე, რაც სამართლიან და რეალურ ფასს განაპირობებს.

უაღრესად მაღალი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ აგრეთვე პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას დონორ ორგანიზაციებთან მათგან ტექნიკური, მეთოდოლოგიური დახმარების მისაღებად და გამოცდილების გასაზიარებლად.

აგროსასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე

ზოგადად, აგრარული სექტორის მაღალი წილი ქვეყნის ეკონომიკაში (მთლიან სამამულო პროდუქტში) არ ნიშნავს ამ დარგის მოწინავე პოზიციებზე ყოფნას.

– როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში ამ დარგის წილი საკმაოდ დაბალია: აშშ-ში – 0,9-1,1%, გერმანიაში – 0,8-1,0 პროცენტი, ნიდერლანდებში - 1.5-1.8 პროცენტი, ისრაელში - 1.0-1.3 პროცენტი, საქართველოში კი - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 2



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აგრარული სექტორის წილი ეროვნულ მეურნეობაში ჯერადად მაღალია ზემოხსენებულ ქვეყნებთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე საგრძნობლად ჩამორჩება ამ ქვეყნებს.

დიაგრამა 3



საქართველოს თვითუზრუნველყოფის დონე კიდევ უფრო დაბალია ცალკეული პროდუქტების მიხედვით. მაგალითად, ხორბლის მიხედვით თვითუზრუნველყოფის დონე მხოლოდ 22 პროცენტია, ბოსტნეულის მიხედვით, შესაბამისად, 49 პროცენტი, ხორცის - 47 პროცენტი (მათ შორის ფრინველის ხორცის- 30 პროცენტი)[28]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თვითუზრუნველყოფის დონით საქართველო არა თუ ზემოთ დასახელებულ ქვეყნებს, არამედ თავის უშუალო მეზობლებსაც კი ჩამორჩება.

[28] იხ. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2025. - თბილისი, 2026.

დიაგრამა 4



საკვების ძირითადი ჯგუფებიდან თვითუზრუნველყოფა საქართველოში მხოლოდ ორი ჯგუფის (ბოსტნეული და ხილი) მიხედვითაა მიღწეული, მაშინ როდესაც სომხეთსა და აზერბაიჯანში - 4-4 ჯგუფის მიხედვით თითოეულში. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საქართველო ყველაზე მეტადაა დამოკიდებული იმპორტზე (განსაკუთრებით ხორბლისა და ძირითადი საკვები პროდუქტების მიხედვით).

შეინიშნება საკმაოდ მრავლისმეტყველი კანონზომიერება: რაც უფრო მაღალი წილი უკავია სოფლის მეურნეობას ეროვნულ ეკონომიკაში, მით უფრო დაბალია ამ ქვეყნის აგრარული პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე.

დიაგრამა 5



საქართველოში თვითუზრუნველყოფის შედარებით დაბალი დონე მიუთითებს შრომატევად, ნაკლებად ეფექტიან აგრარულ სისტემაზე, არასაკმარის პროდუქტიულობაზე, იმპორტზე დამოკიდებულებაზე, სტრუქტურულ პრობლემებზე აგრარულ სექტორში. აღნიშნულის ძირითადი მიზეზებია: როგორც უკვე ითქვა ზემოთ, მცირე და ფრაგმენტირებული მიწები, აგრეთვე დაბალი მექანიზაცია, სუსტი აგროტექნოლოგიები და შედეგად - წარმოებულ პროდუქციაში საბაზრო წილის დაბალი დონე. - მართალია, ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებისათვის საგრძნობლად გაიზარდა (2006 წ. 31.0%, 2025 წ. – 52.3%), თუმცა იგი ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (97-98%).

დიაგრამა 6



დასახელებული მიზეზების გამო აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტში საქართველოს სალდო, როგორც წესი, უარყოფითია. – 2025 წელს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 1844.3 მლნ. აშშ დოლარი, იმპორტმა - 2607.1 მლნ. აშშ დოლარი, ანუ უარყოფითმა სალდომ მხოლოდ ერთ წელიწადში შეადგინა 762.8 მლნ. აშშ დოლარი - 2025 წელს აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების თითქმის 39 პროცენტი.

დიაგრამა 7



მთლიანად, 21-ე საუკუნეში საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით უარყოფითმა საგარეო-სავაჭრო სალდომ თითქმის 13 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2025 წელს საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობას თითქმის 7-ჯერ აღემატება.

შრომის მწარმოებლურობა და მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

განსხვავებული შრომის მწარმოებლურობა გამოხატულებას პოულობს არა მარტო აგრარულ სექტორში დასაქმებულ ერთ მუშაკზე, არამედ კვლავწარმოების პროცესში ჩართულ ყოველ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ამ მხრივ საქართველო სერიოზულად აგებს არა მარტო მოწინავე ქვეყნებთან, არამედ თავის უშუალო მეზობლებთან - აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რაზეც თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ქვემორე ცხრილი.

დიაგრამა 8



PPP-ით, საქართველოს ჩამორჩენა განვითარებული ქვეყნებისაგან რამდენადმე მცირდება, თუმცა კვლავ საგრძნობი რჩება, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩამორჩენა ნიდერლანდებისა და ისრაელისგან.

საქართველოს აგრარული სექტორი ჯერადად ნაკლებ ფინანსურ ინექციებს ღებულობს სახელმწიფოსგან და ინვესტორებისგან. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი გამოშვებაში აგრარულ სექტორს 7,0 პროცენტი უკავია, მაშინ როდესაც დასაქმებულთა შორის აღნიშნული წილი თითქმის 5-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (- საშუალოდ ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით), პირიქით - 30-ჯერ დაბალი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე სახელმწიფო ასიგნებები სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 3-ჯერ (212.8 მლნ. ლარიდან 631.4 მლნ. ლარამდე), საქართველოს ჩამორჩენა მოწინავე ქვეყნებისგან სახელმწიფო მხრიდან ეკონომიკის აღნიშნული სექტორისთვის გაწეული დახმარების მიხედვით საკმაოდ მასშტაბურია. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ასიგნებების მოცულობით საქართველო ჩამორჩება: აშშ-ს - 5.5-ჯერ, ევროკავშირს - 2.1-ჯერ, ნიდერლანდებსა და ისრაელს - 2.4-2.4-ჯერ თითოეულს... ჩვენს უშუალო მეზობლებთანაც კი ჩამორჩენა საკმაოდ საგრძნობია.

დიაგრამა 9



ზემოთ მოხსენიებულ ქვეყნებში აღნიშნული ხარჯები მიემართება ისეთი საჭიროებებისათვის, როგორებიცაა სუბსიდიები, დაზღვევა, ფასების მხარდაჭერა, სარწყავი სისტემები, ინოვაციები, ტექნოლოგიები.

აგრარული სექტორის მხარდაჭერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია **სახელმწიფო სუბსიდიების მოცულობა ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.** ეს ინდიკატორი დიდწილად ხსნის აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის და ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონეებს. მისი სიდიდე დამოკიდებულია 3 ფაქტორზე: ბიუჯეტის ზომაზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობსა და სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ტიპზე.

საქართველოში ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში მერყეობს (სუბსიდიების მოცულობის და კვლავწარმოების პროცესში ჩართული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიდიდის, აგრეთვე ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით) 30-დან 80 დოლარამდე.

აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია არა მარტო განვითარებული ქვეყნების მიხედვით, არამედ სამხრეთ კავკასიაში ჩვენს უშუალო მეზობლებში - სომხეთსა და აზერბაიჯანში. სომხეთში ეს მაჩვენებელი 1.5-ჯერ აღემატება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, აზერბაიჯანში - 1.9-ჯერ, თურქეთში - 2.5-ჯერ, აშშ-ში - 3.8-ჯერ, ევროკავშირში - 6.3-ჯერ, ისრაელში - 11.3-ჯერ...

აღნიშნულზე უფრო სრულ წარმოდგენას ქვემორე დიაგრამა იძლევა.

დიაგრამა 10



ერთ ჰა-ზე როგორც წარმოების შემთხვევაში, ისე სუბსიდირებისას, მაჩვენებლების გადაყვანა PPP-ით ჩამორჩენა განვითარებულ ქვეყნებთან მხოლოდ უმნიშვნელოდ მცირდება.

ევროპაში სუბსიდია მიწაზეა მიბმული. - ფერმერები იღებენ თანხას ჰექტარზე, ამიტომ დიდ ფერმებს მეტი უპირატესობა აქვთ

აშშ-ს მოდელი განსხვავებულია. - ნაკლებია სუბსიდია ყოველ ჰექტარ მიწაზე, მაგრამ მაღალია დაზღვევა და ბაზრის დაცვა. შესაბამისად, რეალური მხარდაჭერა უფრო მაღალია, ვიდრე ეს რიცხვებით გამოიხატება.

საქართველოს მთავარი პრობლემაა ძალიან დაბალი სუბსიდირება ყოველ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და ამის შედეგად - დაბალი პროდუქტიულობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენა, და ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულება .

ევროკავშირის დონესთან მიახლოებისთვის საქართველოს სჭირდება დაახლოებით **250–400 $/ჰა სახელმწიფო მხარდაჭერა** (დღევანდელი ~30–80 $/ჰა-ს ნაცვლად).

რა ნიშნავს ეს საქართველოს ბიუჯეტში?

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა შეადგენს დაახლოებით **2.0–2.5 მლნ ჰა-ს.**

დღევანდელი მდგომარეობა (სუბსიდირების საშუალო დონის მიხედვით):

50 $/ჰა × 2.2 მლნ ჰა = 110 მლნ $

მინიმალური სახსრები EU-თან დაახლოებისთვის კი 5-ჯერ მეტია:

250 $/ჰა × 2.2 მლნ ჰა ≈ **550 მლნ $**

ანუ წელიწადში დამატებით საჭიროა **400 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით 1100 მლნ. ლარი). შედარებისათვის. – 2012 წლის შემდეგ 13 წლის მანძილზე აგროსასურსათო პროდუქციის საშუალოწლიური უარყოფითი სალდო შეადგენს 460.4 მლნ. აშშ დოლარს,**

რაც ზემოხსენებულ დამატებით საბიუჯეტო სახსრების მოცულობას (400 მლნ. აშშ დოლარი) 15 პროცენტით აღემატება.

მხედველობაში მისაღებია შემდეგი პრინციპული გარემოება: ევროკავშირის მოდელი მუშაობს იმიტომ, რომ სუბსიდია დაკავშირებულია მიწასთან (და არა უბრალოდ ფერმერთან), ეკოლოგიურ სტანდარტებთან, ტექნოლოგიებთან. მაგრამ, თუ უბრალოდ ფულს გავზრდით, ეფექტი იქნება სუსტი.

საქართველოსთვის ოპტიმალური მიზანი: **250–300 $/ჰა (საშუალოვადიან პერსპექტივაში).**

ეს ნიშნავს აგრობიუჯეტის **2–3-ჯერ ზრდას. ეფექტი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, როგორ გადაანაწილებ მას**. თუ არასწორად განაწილდა, შეიძლება საერთოდ არ გაზარდოს პროდუქტიულობა.

ქვემოთ მოტანილია აგრობიუჯეტის **ოპტიმალური, პრაქტიკული განაწილების მოდელი, რომელიც** ეფუძნება ევროკავშირის, ისრაელის და ნიდერლანდების გამოცდილებას. [29]

ცხრილი 2

ოპტიმალური განაწილება — 300 $/ჰა

მიმართულება	$/ჰა	წილი, %
ირიგაცია და წყლის მართვა	90	30
ტექნიკა და მექანიზაცია	75	25
პირდაპირი სუბსიდიები (ფერმერზე)	60	20
ცოდნა, აგრო-კონსულტაცია, R&D	30	10
ინფრასტრუქტურა (საცავები, ლოგისტიკა)	30	10
დაზღვევა და რისკების მართვა	15	5

საქართველოში პროდუქტიულობის მთავარი შემზღუდავი ფაქტორია **წყალი. შესაბამისად,** უნდა დაფინანსდეს სარწყავი არხები, წვეთოვანი სისტემა და წყლის დაზოგვის ტექნოლოგიები. ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მოსავლიანობის **2–3-ჯერ** გაზრდა;

საქართველოში ერთ ტრაქტორზე ბევრად მეტი მიწა - ეს არის დაბალი მექანიზაციის დონე, დაბალი პროდუქტიულობა. ოპტიმალური დონე იქნებოდა 50 ათასიდან 80 ათასამდე ტრაქტორი, ანუ ამჟამინდელზე დაახლოებით 2-3-ჯერ მეტი. თანამედროვე ფასებით, აღნიშნული ტექნიკის შესაძენად საჭირო იქნება 3-6 მილიარდი აშშ დოლარი. ეს ჯამური ღირებულებაა, რაც ერთჯერადად არ და ვერ დაიფარება. ხარჯების შესამცირებლად აუცილებელია კოოპერაციული მოძრაობის და ინსტიტუტის გაძლიერება, როდესაც ერთი ტრაქტორი რამდენიმე ფერმერის მეურნეობას ემსახურება, შესაქმნელია მექანიზაციის სერვის-ცენტრები, სადაც ტექნიკა დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში, მაგრამ ფერმერებს ექნებათ მათი დაქირავების შესაძლებლობა (საბჭოთა კავშირში 1958 წლამდე მოქმედებდა ე.წ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები). ტექნიკის განახლება-შევსების

[29] ეს მოდელი აკეთებს აქცენტს წყალსა და ტექნოლოგიაზე (ისრაელის გამოცდილება), ცოდნასა და ლოგისტიკაზე (ნიდერლანდების გამოცდილება), პირდაპირ სუბსიდირებასა და სტანდარტების დაცვაზე (ევროკავშირის გამოცდილება).

პროცესი (ლიზინგი, კოოპერატივის ტექნიკა, სუბსიდირებული ტრაქტორები) შეიძლება განხორციელდეს 10-15 წლიან პერიოდში, რის გათვალისწინებით საშუალო წლიური ხარჯები ტექნიკაზე არ გადააჭარბებს 200-400 მლნ. აშშ დოლარს.

ამ ინვესტიციის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 30-დან 70 პროცენტამდე, ანუ საშუალოდ 2-დან 5 მილიარდ აშშ დოლარამდე.

პირდაპირი სუბსიდიები (20%) ემსახურება მიწის დამუშავებას, მოსავლის დეკლარირებას, სტანდარტების დაცვას. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი კრიტიკული კომპონენტიც, როგორიცაა აგრონომის მომსახურება, ციფრული პლატფორმები, კვლევა, რომლებზეც ხარჯების ოპტიმალური ზომა აგრობიუჯეტის 10 პროცენტია. დაახლოებით ამდენივე ზომის ხარჯები უნდა იქნას მიმართული აგრარული პროდუქციის საცავების და გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობაზე, აგრეთვე ლოგისტიკაზე.

რადგანაც აგრარული პროდუქციის წარმოება კლიმატური პირობების გამო მაღალი რისკის შემცველი საქმიანობაა, სახელმწიფომ უნდა დაასუბსიდიროს აგრო-დაზღვევა (ხარჯების 5%).

რა შედეგს უნდა ველოდოთ?

თუ ეს სწორად განხორციელდა, 5–7 წელში პროდუქტიულობა: **+100–200%,** იმპორტდამოკიდებულება შემცირდება, ხოლო სოფლის მეურნეობა გახდება **მომგებიანი ბიზნესი.**

აგრარული პროდუქტიულობის სხვაობის მთავარი მიზეზი არის არა მიწა, არამედ: სუბსიდიები/ჰა, ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია **სოფლის მეურნეობის საწარმოთა და შინამეურნეობების წარმოებული პროდუქციის საქონლიანობის დონის ამაღლება.**

საქართველოში მართებული აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია უშუალოდ სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ოპტიმალურ რაოდენობად თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში მივიჩნიოთ 10-12 ჰა. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობაში შეიძლება დასაქმდეს დაახლოებით 250 ათასი ადამიანი (უშუალოდ დაკავებულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით), ანუ ვინც ხნავს, თესავს, ვენახსა და ხეხილს უვლის, თიბავს, პირუტყვსა და ფრინველს ამრავლებს და უვლის და ა.შ.), რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდება მათი შრომის მწარმოებლურობა, შესაბამისად, შემოსავლები და სოციალურ-კულტურული განვითარების დონე. ამასთან,

საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტური მრავალფეროვნების, ტერიტორიის უდიდესი ნაწილის რთული ვერტიკალური ზონალობის და მცირემიწიანობის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს (ზღუდავს) შრომის მწარმოებლურობის ზრდის პოტენციურ შესაძლებლობებს, ვფიქრობთ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შეიძლება იყოს ზემოხსენებულზე (250 ათასი კაცი) 15-20 პროცენტით მეტი, ანუ დაახლოებით 280-300 ათასი კაცი. სოფლად მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა დასაქმებული იქნება სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში (მასწავლებლები, ექიმები, ექთნები, კულტურისა და კავშირგაბმულობის მუშაკები, სასტუმროებისა და ჰოსტელების მომსახურე პერსონალი, მძღოლები და ა.შ.), რაც მთლიანობაში არა მარტო ეკონომიკურად ეფექტიანს, არამედ ღრმად შინაარსობრივს და მიმზიდველს გახდის სოფლად ცხოვრების ფორმას და ხასიათს.

ყოველივე ამის მიღწევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იყო და რჩება სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა და ამ პოლიტიკის სისტემური, თანმიმდევრული ხასიათი.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს. ამასთან, აგრარული სექტორის კომპლექსური შედარებითი ანალიზი აჩვენებს არსებით განსხვავებებს საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის (აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, ისრაელი, etc.).

არსებული მდგომარეობა ხასიათდება მაღალი დასაქმებით, დაბალი პროდუქტიულობით, თვითუზრუნველყოფის დაბალი დონით და შესაბამისად, იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით. მისგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში ნაკლები მუშახელი ქმნის ბევრად მეტ ღირებულებას. ამიტომ, საქართველოსთვის პრიორიტეტულია ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, მიწის კონსოლიდაცია, აგრობიზნესის განვითარება, ცოდნასა და ინოვაციებზე გადასვლა.

მეორე მხრივ, სწორედ ამავე მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს სექტორის დაბალ ეფექტიანობას. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დიდი ნაწილი არასრულად ან არაეფექტიანად გამოიყენება, რაც ამცირებს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, ინფრასტრუქტურული პრობლემები, როგორიცაა სარწყავი სისტემების გაუმართაობა და ლოგისტიკის სირთულეები, კიდევ უფრო აფერხებს სექტორის განვითარებას.

სახელმწიფოს როლი კრიტიკულია აღნიშნული გამოწვევების გადაჭრაში. სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა და მიზანმიმართული პოლიტიკა შეიძლება გახდეს აგრარული სექტორის ეფექტიანობის ზრდის, სოფლის განვითარების და ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობა. ეფექტიანი აგროპოლიტიკა უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაციის ხელშეწყობას (რომელიც საქართველოში არა მხოლოდ მიწის ეფექტური გამოყენების საშუალებაა, არამედ აუცილებელი წინაპირობაა აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების, სოფლად ცხოვრების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის), ფერმერებისთვის ფინანსური ინსტრუმენტების (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები) განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას. ასევე მნიშვნელოვანია განათლებისა და კონსულტაციის პროგრამები, რომლებიც გაზრდის ფერმერების ცოდნასა და უნარებს.

საქართველოს აგრარული სექტორის მთავარი პრობლემა არის არა მისი ზომა, არამედ მისი ეფექტიანობა. თუ მიწის გაზრდა ვერ ხერხდება, მისი ეფექტიანობის გაზრდის ალტერნატივა შეიძლება იყოს კოოპერაცია (ტექნიკის ერთობლივი გამოყენება), სპეციალიზაცია (მაგ. თხილი, ღვინო, ბოსტნეული), აგრეთვე სამრეწველო ხასიათის გადამუშავება (მაგ., ყველი, ღვინო). საქართველოს აგრარული სექტორის ტრანსფორმაცია მოითხოვს სისტემურ და კომპლექსურ მიდგომას. მხოლოდ ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და საგანმანათლებლო ცვლილებების ერთობლიობით იქნება შესაძლებელი იმ მოდელზე გადასვლა, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის. ამოსავალი დებულება არის ის რომ, მთავარი სხვაობა მიწების გამოყენებასა და ეფექტიანობაში ტექნოლოგიებსა და წარმოების წესსა და კულტურაშია.

გრძელვადიან პერსპექტივაში მიზანი უნდა იყოს ისეთი აგრარული სექტორის ჩამოყალიბება, რომელიც ნაკლები რესურსით ქმნის მეტ ღირებულებას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ და სასურსათო უსაფრთხოებას. ამისათვის კი აუცილებელია მიწების კაპიტალიზაციის ზრდა და აგრონომიის, აგრეთვე წარმოების

ორგანიზაციის და მართვის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების ცოდნა და გამოყენება.

იმისათვის, რომ აგრარულმა სექტორმა დაძლიოს „ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლის“ სტიგმა, აუცილებელია გარკვეული კომპლექსური ხასიათის ღონისძიებების გატარება.

კერძოდ, ტექნოლოგიური მოდერნიზაცია (თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სარწყავი სისტემების განვითარება, ციფრული და „ზუსტი სოფლის მეურნეობის“ ტექნოლოგიები), მიწის კონსოლიდაცია (მათ შორის კოოპერატივების განვითარებისა და მიწათსარგებლობის პოლიტიკის გაუმჯობესებით) შესაბამისი ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, რაც შექმნის მასშტაბის ეკონომიას და გაზრდის წარმოების ეფექტიანობას; აგრობიზნესისა და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება (გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვების გაუმჯობესება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ზრდა), განათლება და ცოდნის გავრცელება (ფერმერთა პროფესიული გადამზადება, აგრარული განათლების გაძლიერება, ინოვაციების გავრცელება რეგიონებში). ყოველივე ეს საჭიროებს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებას მიზნობრივი სუბსიდიების ზრდის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის (კრედიტები, დაზღვევა) გაუმჯობესების და ბაზრის სტაბილიზაციის მექანიზმების სრული და ეფექტიანი გამოყენების მეშვეობით. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, გავაუმჯობესოთ არა მარტო აგრარული სექტორის ეფექტიანობა, არამედ ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების დონეები, სახელმწიფოებრივი მდგრადობა და განვითარების პოტენციალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მიწის კოდექსი – საქართველოს პარლამენტი, უკანასკნელი ცვლილებები: 2024 წელი.
2. მიწის რეგისტრაციის რეფორმა საქართველოში – იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2023.
3. გურამიშვილი, თ. (2020). *მიწის რესურსების მართვა და სოფლად განვითარების გამოწვევები საქართველოში.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. პ. კოღუაშვილი, ი. არჩვაძე, გ. თალაკვაძე. მარადიული ქართული სოფელი. თბილისი, „მერიდიანი“, 2024.
5. ჯიბლაძე, დ. (2022). *სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი და მიწის კონსოლიდაცია.* აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი.
6. ღარიბაშვილი, ნ. (2021). *სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება და მიწის რესურსების ეფექტური გამოყენება საქართველოში.* საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2022). *ნიადაგის მდგომარეობის ანგარიში.*
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2026). *სოფლის მეურნეობის სტატისტიკა.*
9. Baer-Nawrocka, A., Sadowski, A. (2019) Food security and food self-sufficiency around the world: A typology of countries ჟურნალი: PLOS ONE. - https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30845273/

10. FAO (2020). *Legal Guide on Land Consolidation: Based on Regulatory Practices in Europe*. Food and Agriculture Organization of the United Nations.
11. Food and Agriculture Organization (2018). *Land Resources and Food Security Report*.
12. FAO (Food and Agriculture Organization). Public Expenditure on Food and Agriculture: Trends and Challenges. – Agricultural Investment, Production Capacity and Productivity Lydia Zepeda. – https://www.fao.org/4/x9447e/x9447e03.htm?utm_source=chatgpt.com
13. Geography and Agricultural Productivity: Cross-Country Evidence from Micro Plot-Level Data. Review of Economic Studies. - https://academic.oup.com/restud/article/89/4/1629/6374503?guestAccessKey=cee2bca2-0a66-4041-ae28-90e9ad357707&login=false&utm_source=chatgpt.com
14. Government support to agriculture. OECD (2023–2025 editions). Agricultural Policy Monitoring and Evaluation. - https://www.oecd-ilibrary.org/en/topics/government-support-to-agriculture.html?utm_source=chatgpt.com
15. Wang, J., Li, Y., Liu, S., Xu, H., Zhu, Z., Ding, J., Liu, P., Yang, Y., Zhu, Q., & Liu, L. (2025). Global average socio-economic farm size may triple by 2100. *Nature communications*, *16*(1), 9225. https://doi.org/10.1038/s41467-025-64319-9
16. van Dijk, T. (2007). *Complications for traditional land consolidation in Central Europe*. Geoforum, Vol. 38, Issue 3.
17. UNECE (2005). *Land Administration in the UNECE Region: Development trends and main principles*. United Nations Economic Commission for Europe.
18. Hartvigsen, M. (2015). *Experiences with land consolidation and land banking in Central and Eastern Europe after 1989*. FAO Land Tenure Journal, No. 1.
19. GIZ (2021). *Land Consolidation as a Tool for Rural Development in Eastern Europe*. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH.

State Participation in Enhancing the Efficiency of the Agricultural Sector
(The Case of Georgia)

Joseph Archvadze
Doctor of Economics, Professor
Central European University;
Scientific Consultant,
Iliauni Institute of Demography and Sociology
daswreba@yahoo.com

Summary

Low labor productivity in Georgia's agricultural sector is driven by multifaceted and systemic problems, which directly affect both farmers' incomes and the sector's competitiveness. First, one of the main factors is the high fragmentation of land, which complicates the use of modern agrotechnologies and increases production costs. In Georgia, an average farm consists of approximately 2.3 plots with a total area of up to 14 hectares. Small-scale farms are unable to benefit from economies of scale. The second important factor is the low level of mechanization. A large proportion of farmers lack access to modern machinery. In Georgia, one tractor accounts for approximately 73 hectares, whereas in the European Union this figure ranges between 15–30 hectares, and in the United States between 30–50 hectares. The third issue is the undefined legal status of rural communities as

administrative and socio-economic units. This creates significant systemic problems, including uncertainty in property rights and land management, which hinders the efficient use of land and weakens the development of cooperation. Although the share of agriculture in Georgia's GDP is around 8%, significantly exceeding that of developed countries, the country lags behind them in terms of self-sufficiency (60–70%), labor productivity, output per hectare, as well as state budget allocations per capita and per hectare in the agricultural sector. As a result of these factors, in the 21st century Georgia's negative foreign trade balance in agri-food products has reached nearly USD 13 billion, which is almost seven times higher than the value added created in the agricultural sector in 2025. The main problem of Georgia's agricultural sector is not its size, but its efficiency. In the long term, the goal should be to develop an agricultural sector that generates greater value with fewer resources and ensures the country's economic and food security. From a legislative perspective, the adoption of a specific law on land consolidation is advisable. To approximate European Union standards, Georgia requires state support of approximately USD 250–400 per hectare, compared to the current level of around USD 30–80 per hectare.

Keywords: agricultural sector, subsidy, agricultural commodity, efficiency, level of self-sufficiency.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“
პროექტის №FR-25-10142

ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის (ISSCDD) დიზაინი

გიორგი მიქელაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Giorgi.Mikeladze@tsu.ge

მარიამ ოქრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი,
mariam.okruashvili@btu.edu.ge

ანა ვარამაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Anna.Varamashvili@gmail.com

ანოტაცია. *ნაშრომში წარმოდგენილია ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის (ISSCDD) მეთოდოლოგია, შერჩევის დიზაინი და სტატისტიკური წონების გაანგარიშების სისტემა. სტატისტიკური გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 0-17 წლის ასაკის ბავშვების განვითარების, აღზრდის, განათლების, ფუნქციური სირთულეების, მშობლების ჩართულობის, მატერიალური დეპრივაციისა და ციფრული ტექნოლოგიებისა და ვიდეო/კომპიუტერული თამაშების* გამოყენების შესახებ რეპრეზენტატული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. კვლევის ინსტრუმენტარი ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF MICS6), *ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) და ევროსტატის (Eurostat) მეთოდოლოგიებს და მოიცავს 15 თემატურ მოდულს. სტატისტიკური კვლევის შერჩევის ზომამ, საქართველოში განხორციელებული შერჩევითი გამოკვლევების დიზაინ ეფექტის მაქსიმალური მნიშვნელობის, ვარიაციის ექსტრემუმის პირობებში ალბათური სტატისტიკური მაჩვენებლის მნიშვნელობისა, მისაღები 10%-იანი ფარდობითი ზღვრული ცდომილების და პრაქტიკული მიზნებისთვის 1,200 შინამეურნეობა შეადგინა. კვლევაში გამოყენებულია*

სტრატიფიცირებული სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი. შერჩევა განაწილებულია საქართველოს 11 ადმინისტრაციულ რეგიონსა და დასახლების ორ ტიპზე (ქალაქი და სოფელი). კვლევის ფარგლებში შეირჩა 193 სააღწერო უბანი და დაგეგმილია 3,597 შინამეურნეობის მისამართის გამოკვლევა. ნაშრომში წარმოდგენილია 5 სტატისტიკური წონის გაანგარიშების მეთოდოლოგია. სტატისტიკური წონების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია შერჩევაში მოხვედრის ალბათობა, გამოუპასუხებლობა, შინამეურნეობაში ბავშვთა რაოდენობა, შინამეურნეობის ზომა, მოსახლეობის რაოდენობა და მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. შემუშავებული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კვლევის შედეგების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შედარებადობას, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების (SDG 1.2.2, SDG 4.2.1, SDG 4.2.2, SDG 4.5.1 და SDG 16.2.1) შესაბამისი ინდიკატორების გაანგარიშების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: *ბავშვთა განვითარება, მატერიალური დეპრივაცია, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულება, შერჩევის და შეწონვის დიზაინი, მდგრადი განვითარების მიზნები.*

შესავალი

ბავშვთა კეთილდღეობის, განვითარების, სიღარიბისა და მატერიალური დეპრივაციის შეფასება თანამედროვე სოციალური სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში ბავშვთა და შინამეურნეობების ცხოვრების დონის შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება ევროსტატის მიერ შემუშავებული შინამეურნეობების შემოსავლებისა და ცხოვრების პირობების სტატისტიკური გამოკვლევის (EU-SILC) საფუძველზე, რომელიც გამოიყენება სიღარიბის, სოციალური მდგომარეობის და მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლების გასაანგარიშებლად. ევროსტატის არაწევრი განვითარებული ქვეყნები ახორციელებენ მსგავსი ტიპის ეროვნულ სტატისტიკურ გამოკვლევებს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (Multiple Indicator Cluster Survey - MICS).

საქართველოში შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგულარულად ახორციელებს „საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევას“, რომელიც მეთოდოლოგიურად ახლოს დგას ევროსტატის საბიუჯეტო გამოკვლევასთან (Household Budget Survey). მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არ ხორციელდება EU-SILC-ის ანალოგიური მასშტაბის სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც ერთდროულად მოიცავდა ბავშვთა განვითარების, მატერიალური დეპრივაციის, აღზრდის პრაქტიკების, ფუნქციური სირთულეების, მშობლების ჩართულობისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს. შედეგად, მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაცია ბავშვთა კეთილდღეობის მრავალი ასპექტის შესახებ დღემდე ფრაგმენტულადაა ხელმისაწვდომი.

შემუშავდა ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევა (ISSCDD), რომლის მიზანია საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების განვითარების, აღზრდის, განათლების, ფუნქციური სირთულეების, მატერიალური დეპრივაციისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ რეპრეზენტატული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. კვლევა ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) და ევროსტატის მეთოდოლოგიების ინტეგრირებასა და საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიულ პირობებზე მათ ადაპტაციას.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: 1) კვლევა შესაძლებელს გახდის ბავშვთა განვითარების, განათლების, ფუნქციური სირთულეებისა და მატერიალური დეპრივაციის შეფასებას სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჭრილში, მათ შორის სქესის, ასაკის, რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით; 2) კვლევა უზრუნველყოფს ბავშვთა აღზრდის პრაქტიკების, მშობლების ჩართულობისა და ბავშვთა ადრეული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებას, რაც მნიშვნელოვანია შესაბამისი სოციალური და საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისთვის; 3) პირველად მოხდება ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების შესახებ ფართომასშტაბიანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინდიკატორების გაანგარიშების შესაძლებლობა, მათ შორის: SDG 1.2.2 სიღარიბის ეროვნული განსაზღვრების შესაბამისად, სიღარიბის ყველა განზომილებით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროცენტული წილი; SDG 4.2.1: 24-59 თვის ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც განვითარების მხრივ შესაბამის დონეზე არიან ჯანმრთელობის, სწავლისა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის მიმართულებებით; SDG 4.2.2: ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი (დაწყებითი განათლების ოფიციალურ ასაკამდე ერთი წლით ადრე); SDG 4.5.1: თანასწორობის ინდექსები და SDG 16.2.1: 1-17 წლის ასაკის ბავშვების წილი, რომლებმაც გასული ერთი თვის განმავლობაში განიცადეს მშობლის/მზრუნველების მხრიდან ნებისმიერი ფორმის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც ეროვნული პოლიტიკის შეფასებას, ასევე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

მეთოდოლოგია

გამოკვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება, ტაბულაციის გეგმის განსაზღვრა და საველე ინსტრუმენტარის შექმნა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) ფუნქციური სირთულეების შესახებ კითხვების მოკლე ვერსია, ბავშვთა აღზრდის, განვითარების, განათლების, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) მეთოდოლოგია (UNICEF, *Multiple Indicator Cluster Surveys (MICS6) tools, 2017*) და

ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგია (Eurostat, *Housing statistics, 2022*).

კვლევის ინსტრუმენტარი

სტატისტიკური გამოკვლევის ინსტრუმენტარი შედგება 4 კითხვარისგან: დემოგრაფიული კითხვარი, შინამეურნეობის კითხვარი, ძირითადი კითხვარი და უარების ფურცელი.

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა კვლევის ინსტრუმენტარის ადაპტაცია საქართველოს მაგალითზე. ადაპტაციის დროს გათვალისწინებულ იქნა საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა და სწავლების ხანგძლივობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *მეტამონაცემები (ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი), 2025),* საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები,* 2016) და სხვა მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური მახასიათებელი. სტატისტიკური გამოკვლევის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა სისტემას და შესაბამისად მოდულს წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიები და ვიდეო /კომპიუტერული თამაშები. სტატისტიკური კვლევის ფარგლებში განხორციელდება მონაცემების შეგროვება საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების, ბავშვთა განათლებისა და განათლების მიღებაში მშობლების ჩართულობის, ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების შესახებ.

კვლევა ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების: SDG 1.2.2 სიღარიბის ეროვნული განსაზღვრების შესაბამისად, სიღარიბის ყველა განზომილებით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროცენტული წილი; SDG 4.2.1: 24-59 თვის ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც განვითარების მხრივ შესაბამის დონეზე არიან ჯანმრთელობის, სწავლისა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის მიმართულებებით; SDG 4.2.2: ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი (დაწყებითი განათლების ოფიციალურ ასაკამდე ერთი წლით ადრე); SDG 4.5.1: თანასწორობის ინდექსები და SDG 16.2.1: 1-17 წლის ასაკის ბავშვების წილი, რომლებმაც გასული ერთი თვის განმავლობაში განიცადეს მშობლის/მზრუნველების მხრიდან ნებისმიერი ფორმის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია.

შერჩევის დიზაინი

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობიდან გამომდინარე, დაგეგმილია გამოკითხვის განხორციელება ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ვინაიდან საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის 86.8% ქართველ, 6.3% აზერბაიჯანელ, ხოლო 4.5% სომეხ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. ამასთან, თითოეული დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების წილი ნაკლებია 1%-ზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები,* 2016).

სტატისტიკური კვლევის მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე დაიგეგმა რეპრეზენტატული მონაცემების მიღება მინიმუმ ქვეყნის დონეზე. საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველო დაყოფილია 10,000-მდე სააღწერო უბნად. ხარჯების შესამცირებლად, გამოყენებულ იქნა სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევა, სადაც შერჩევის პირველადი ერთეულს (PSU) სააღწერო უბანი, შერჩევის მეორადი ერთეული (SSU) - შინამეურნეობის მისამართი, ხოლო შერჩევის მესამედი ერთეული (TSU) შინამეურნეობებში მცხოვრები 0-17 წლის ბავშვ(ებ)ი წარმოადგენდა. გარდა ამისა, შერჩევის ცდომილების შესამცირებლად შემოღებული იქნება სტრატიფიცირება.

გამოკვლევის ძირითადი ინდიკატორები და კითხვარები შედგენილია ბინარული პასუხების მქონე კითხვებით, რაც საშუალებას იძლევა პილოტური გამოკვლევის განუხორციელებლად მომხდარიყო წინასწარ გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობის განსაზღვრა.

პროპორციული ვარიაციის მაქსიმიზაციის, სასრული პოპულაციის და დიზაინს ეფექტის გათვალისწინებით ტოლობის და დიზაინ ეფექტის გათვალისწინებით მიიღება (Cochran W.G, 1977):

$$n_c = \frac{\frac{z^2 p(1-p) deff}{e^2}}{1+(\frac{z^2 p(1-p) deff}{e^2 N})} \quad (1)$$

სადაც z - განაწილების კრიტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს, p - შესაბამისი მოვლენის მოხდენის წილი გენერალურ ერთობლიობაში, e - ზღვრული ცდომილება, N - პოპულაციის სიდიდე, $deff$ - დიზაინ ეფექტის მნიშვნელობა, n_c - შერჩევის შესწორებული მნიშვნელობაა.

კერძოდ, კვლევის მისაღები მაქსიმალური ფარდობითი ზღვრული ცდომილება კვლევის ბიუჯეტის გათვალისწინებით წარმოადგენს 10%. ამასთან, საქართველოში განხორციელებული სტრატიფიცირებული შინამეურნეობების გამოკვლევების დიზაინ ეფექტების მნიშვნელობები ყოველთვის ნაკლებია 3-ზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *მეტამონაცემები (ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი), 2025).* ამასთან, საქართველოს მოსახლეობამ 2026 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეადგინა 3,941,103 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური, *მოსახლეობა*, 2026). შესაბამისად მოდიფიცირებული ზღვრული ცდომილების ფორმულის მიხედვით, მისაღები მაქსიმალური ფარდობითი ზღვრული ცდომილების და თეორიულად მაქსიმალური დიზაინ ეფექტის საფუძველზე მივიღებთ:

ზღვრული ფარდობითი ცდომილება:

$$e = \frac{RME*p}{100} = \frac{10*0.5}{100} = 0.05 \quad (2)$$

(1) და (2) ტოლობის მიხედვით შერჩევის მოცულობა განისაზღვრება როგორც:

$$n_c = \frac{\frac{z^2 p(1-p) deff}{e^2}}{1+(\frac{z^2 p(1-p) deff}{e^2 N})} = \frac{\frac{1.96^2*0.5(1-0.5)3}{0.05^2}}{1+(\frac{1.96^2*0.5(1-0.5)3}{0.05^2*3,941,103})} = 1152 \quad (3)$$

$$n \approx 1200$$

საქართველო მოიცავს 13 ადმინისტრაციულ რეგიონს. ამასთან, საქართველოს შინამეურნეობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სოფლად და ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობები). შესაბამისად სტრატიფიცირება განხორციელდა რეგიონისა და დასახლების ტიპის გამოყენებით. ვინაიდან ცხინვალისა და

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონები წარმოადგენენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს, შესაბამისად, შერჩევა განაწილდება დანარჩენ რეგიონებზე.

თუ მთლიანი შერჩევის ზომა (n_G) განაწილდებოდა მოსახლეობის პროპორციულად, შედარებით მცირე რეგიონების (გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) შერჩევის ზომა იქნებოდა ძალიან მცირე. შესაბამისად, გადაწყდა, რომ შერჩევის ზომა გადანაწილებულიყო შინამეურნეობების რიცხვიდან (H_i) კვადრატული ფესვის პროპორციულად.

შერჩევის ზომა თითოეულ რეგიონში (n_i) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$n_i = \frac{\sqrt{H_i}}{\sum \sqrt{H_i}} n_G \qquad (4)$$

გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს შერჩეული 193 უბნის მისამართების შინამეურნეობების აღწერა და მისამართების დაფიქსირება. გამოკვლევის ძირითადი საველე საქმიანობისთვის მისამართების შერჩევა განხორციელდება შინამეურნეობების ბაზიდან. გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა (1,199 სამიზნე, ხოლო 3,597 გამოსაკითხი შინამეურნეობი) ფესვის პროპორციულად გადანაწილდა რეგიონების ზომის მიხედვით, ხოლო რეგიონების შიგნით - პროპორციულად, ქალაქი-სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მიხედვით.

შეწონვის დიზაინი

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევის მაჩვენებელთა სისტემის ანალიზიდან დადგინდა 5 სტატისტიკური წონის გაანგარიშების საჭიროება (1 - შინამეურნეობის წონა; 2 - პერსონალური წონა; 3 - 0-17 წლის ასაკის ბავშვის წონა; 4 - 0-17 წლის ასაკის ბავშვის მშობლის/მზრუნველის წონა და 5 - შინამეურნეობის წონა შინამეურნეობის კითხვარისთვის).

სტატისტიკაში არსებობს 2 ტიპის წონა: I - წონები გენერალური ერთობლიობის საერთო რაოდენობის აგრეგირებისთვის; II - სტანდარტიზებული წონები. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) კვლევებში ახდენს წონების სტანდარტიზებას სტრატებში საშუალო წონის გამოყენებით, რის შედეგადაც მიღებული სტანდარტიზებული წონების ჯამი უტოლდება არა გენერალურ ერთობლიობას, არამედ - დაკვირვებების რაოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გააგარიშდეს სტანდარტიზებული წონებიც, რათა კვლევიდან გაანგარიშებული მაჩვენებლები საერთაშორისოდ შესადარისი იყოს.

სტატისტიკური წონა წარმოადგენს დაკვირვების შესაბამისი ობიექტის კვლევაში მოხვედრის ალბათობის შებრუნებულ მნიშვნელობას. შინამეურნეობის საბოლოო წონა შინამეურნეობის კვლევაში კლასტერის მოხვედრის ალბათობის, უბანში შინამეურნეობის შერჩევაში მოხვედრის ალბათობის, გამოუპასუხებლობის დონის, შინამეურნეობაში ბავშვების რაოდენობის ფაქტორის გათვალისწინებით და შინამეურნეობის ზომის გათვალისწინებით აქვს შემდეგი სახე:

$$W_{iju}^{si} = \left(\frac{N_i}{K_i n_{ij}}\right)\left(\frac{N'_{ij}}{N_{ij}}\right)\left(\frac{n_{ij}}{n'_{ij}}\right)\left(\frac{N_{ic}}{\sum_{j=1}^{s} n'_{ijc} W_{iju}^{nr}}\right)\left(\frac{N_{ib}}{\sum_{o=1}^{v} n'_{iob} W_{ijc}^{ch}}\right) \qquad (5)$$

აღსანიშნავია, რომ შერჩევაში მოხვედრილი შინამეურნეობიდან ინფორმაცია გროვდება შინამეურნეობის ყველა წევრის შესახებ, შესაბამისად პერსონის კვლევაში

მოხვედრის ალბათობა ტოლია შინამეურნეობის კვლევაში მოხვედრის ალბათობის და საწყისი პერსონალური წონა შინამეურნეობის წონის მსგავსად გაიანგარიშება მე-(19) ტოლობით. საწყისი პერსონალური წონის კორექტირებით, სტატების მოსახლეობის რაოდენობაზე, ქვეყნის სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებზე, პერსონალურ წონას ექნება შემდეგი საბოლოო სახე:

$$W_{iju}^{p} = \left(\frac{N_i}{K_i n_{ij}}\right)\left(\frac{N'_{ij}}{N_{ij}}\right)\left(\frac{n_{ij}}{n'_{ij}}\right)\left(\frac{N_{ic}}{\sum_{j=1}^{s} n'_{ijc} W_{iju}^{nr}}\right)\left(\frac{N_{ib}}{\sum_{o=1}^{v} n'_{iob} W_{ijc}^{ch}}\right)\left(\frac{P_i}{\sum_{o=1}^{v} p'_{iob} W_{iju}^{si}}\right)\left(\frac{P_g}{\sum_{y=1}^{r} p'_{yg} W_{iju}^{pst}}\right)\left(\frac{P_i}{\sum_{d=1}^{e} p'_{id} W_{iju}^{pa}}\right) \quad (6)$$

0-17 წლის ასაკის ბავშვების და მათი მშობლების მეურვეები სტატისტიკური წონები გაანგარიშდა მსგავსი მეთოდოლოგიით.

$$W_{ij}^{Parent} = \frac{\sum_{j=1}^{m} n_{jcbg} W_{iju}^{pa}}{n_j^{parent}} \quad (7)$$

$$W_{ij}^{child} = \frac{\sum_{j=1}^{m} l_{jcbg} W_{iju}^{pa}}{n_j^{child}} \quad (8)$$

სადაც n_j^{parent} წარმოადგენს j კლასტერში მშობლების/მზრუნველების რაოდენობა ინდივიდუალური კითხვარიდან, n_{jcbg} -j -უბნის c- ჯგუფის b -ქვე ჯგუფში g - ქვე ჯგუფში მშობლების/მზურნველების რაოდენობას, ხოლო l_{jcbg} - j -უბნის c- ჯგუფის b -ქვე ჯგუფში g - ქვე ჯგუფში ბაშვების რაოდენობას დემოგრაფიული კითხავრიდან.

შინამეურნეობის კითხვარის წონის გაანგარიშებისთვის შინამეუნეობის წონით გამოითვლება კლასტერებში საერთო რაოდენობა, რაზეც განზოგადდება შინამეურნეობის კითხვარები:

$$W_{ij}^{HH} = \frac{\sum_{z=1}^{q} n'_z W_{iju}^{si}}{H_j^{Hou}} \quad (9)$$

სადაც H_j^{Hou} წარმოადგენს j კლასტერში შინამეურნეობების რაოდენობას შინამეურნეობის კითხვარიდან, ხოლო n'_z- i სტრატაში j -უბნის c- ჯგუფის b - ქვე ჯგუფში შინამეურნეობების რაოდენობას დემოგრაფიული კითხავრიდან, ხოლო q შესაბამისი ჯგუფების საერთო რაოდენობას.

სტანდარტიზებული წონები გაიანგარიშება (5), (6), (7), (8) და (9) ტოლობების გაყოფით ქვეყნის საშუალო წონაზე.

შედეგები

კვლევის მეთოდოლოგიური ეტაპის შედეგად ჩამოყალიბდა ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის (ISSCDD) სრულყოფილი კონცეპტუალური და სამოქმედო ჩარჩო. განხორციელდა საერთაშორისო მეთოდოლოგიების - გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF MICS6), ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) და ევროსტატის (Eurostat) - შესწავლა, ინტეგრირება და საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიულ მდგომარეობის გათვალისწინებით მათი ადაპტაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს სტატისტიკური კვლევის შედეგების შესადარისობას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კვლევის ინსტრუმენტარის ადაპტაციისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს განათლების სისტემის თავისებურებები, ეთნიკური მრავალფეროვნება და რეგიონული სპეციფიკა.

შერჩევის დიზაინის გაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ 95%-იანი სანდოობის დონის, 10%-იანი ფარდობითი ზღვრული ცდომილებისა, 3-ის ტოლი დიზაინ-ეფექტის პირობებში და პრაქტიკული მიზნებისთვის შერჩევის მოცულობა შეადგენს 1,200 შინამეურნეობას, რაც ქვეყნის დონეზე რეპრეზენტატული შედეგების მიღებას უზრუნველყოფს.

სტრატიფიცირებული სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით შერჩევა განაწილდა საქართველოს 11 ადმინისტრაციულ რეგიონზე (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით). რეგიონებს შორის შერჩევის გადანაწილება განხორციელდა შინამეურნეობების რაოდენობის კვადრატული ფესვის პროპორციულად, რაც შედარებით მცირე რეგიონებისთვისაც უზრუნველყოფს ანალიზისთვის საკმარისი მოცულობის დაკვირვებების არსებობას.

კვლევის მნიშვნელოვანი შედეგს წარმოადგენს მრავალდონიანი შეწონვის სისტემის შემუშავება. კვლევის ფარგლებში დაგეგმილია ხუთი განსხვავებული სტატისტიკური წონის გაანგარიშება, რომლებიც ითვალისწინებს შერჩევის ალბათობას, გამოუპასუხებლობას, შინამეურნეობის ზომას, ბავშვთა რაოდენობას, მოსახლეობის რეგიონულ განაწილებასა და სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასებების რეპრეზენტატულობას და მიღებული შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე კორექტულ განზოგადებას.

საბოლოოდ, ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური ჩარჩო ქმნის საფუძველს საქართველოში ბავშვთა განვითარების, მატერიალური დეპრივაციის, განათლების, ფუნქციური სირთულეების, მშობლების ჩართულობისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სანდო და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად. კვლევა ასევე უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ინდიკატორების გაანგარიშების შესაძლებლობას.

დისკუსია

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის დიზაინი განსხვავდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოში განხორციელებული მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მიქსი საქართველო 2018) დიზაინისგან. კერძოდ, განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

შინამეურნეობის შერჩევის წესი: მრავალინდიაკტორული კლასტერული გამოკვლევა (მიქსი საქართველო 2018) წარმოადგენდა დიდ მასშტაბიან შერჩევით გამოკვლევას და მის ზომას (14,120 შინამეურნეობა) მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა აღემატება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (მე-6 რაუნდი),* 2019). შერჩევაში მოხვედრილი შინამეურნეობების ყველა შესაბამისი წევრი გამოიკითხებოდნენ განსხვავებული კითხვარებით. კვლევას ჰქონდა მხოლოდ ერთი შეზღუდვა თითოეული შინამეურნეობიდან ინფორმაცია გროვდებოდა მხოლოდ ერთი 15-49 წლის ასაკის კაცზე. ბავშვების, ზრდასრულების და ქალების კითხვარებით ინფორმაცია გროვდება შინამერუნეობაში არსებულ ყველა შესაბამის პიროვნებაზე. ISSCDD გამოკვლევაში კვლევის შეზღუდული ბიუჯეტიდან გამომდინარე უბანში დემოგრაფიული ინფორმაცია შეგროვდება ყველა შინამეურნეობაზე, თუმცა დანარჩენი კითხვარებით გამოიკითხება

საქალაქო დასახლებებში გამოკვლევისთვის შესაფერისი 5, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებში - 8 შინამეურნეობა. აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლების მიერ. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ამ მეთოდით ხორციელდება შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა (ICT), უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევა და გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევა. კვლევის შედეგების ვალიდურობა სტატისტიკურად დასტურდება ამავე ნაშრომში წარმოდგენილ შერჩევის დიზაინში, სადაც აღწერილია მოსალოდნელი მაქსიმალური ზღვრული ფარდობითი ცდომილება და მისთვის საჭირო მინიმალური შერჩევის ზომის სტატისტიკური გაანგარიშება.

სტატისტიკური წონები და მათი გაანგარიშების მეთოდი: მრავალინდიკატორულ კლასტერულ გამოკვლევაში (მიქსი საქართველო 2018) არ არსებობს შინამეურნეობის წონები შინამეურნობის კითხვარისთვის და პერსონალური წონები. ISSCDD გამოკვლევაში შინამეურნეობის წონა შინამეურნეობის კითხვარისთვის საჭირო გახდა შერჩევის წესის გამო, ვინაიდან შერჩევაში მოხვედრილი შინამეურნეობებიდან მხოლოდ 1/3 გამოიკითხება ყველა კითხვარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიქსში არასტანდარტიზებული წონების ჯამი არ იძლევა მოსახლეობის რაოდენობას, ხოლო ISSCDD გამოკვლევის პერსონალური წონების ჯამი გაუტოლდება მოსახლეობის მოცულობას, როგორც თითოეულ რეგიონში ასევე ქვეყნის დონეზე.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში შემუშავდა ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროსტატისა და ვაშინგტონ ჯგუფის საუკეთესო პრაქტიკებს და ადაპტირებულია საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიულ რეალობასთან.

ნაშრომში წარმოდგენილია გამოკვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო, შერჩევის და შეწონვის დიზაინი, კვლევის ფარგლებში გასაანგარიშებელი სტატისტიკური მაჩვენებლები. სტატისტიკური კვლევის შერჩევის ზომა განაგარიშებულია კოხრეინის სასრული პოპულაციის პირობებში შერჩევის ზომის ფორმულით, დიზაინ ეფექტის გათვალისწინებით. ზღვრული ფარდობითი ცდომილების მაქსიმუმ 10%-იანი დონით, ვარიაციის ექსტრემუმის პირობებში ალბათური სტატისტიკური მაჩვენებლის 0.5 მნიშვნელობის დონის და საქართველოში შერჩევითი სტატისტიკური კვლევების დიზინ ეფექტის მაქსიმალური მნიშვნელობის (3-ის ტოლი) გათვალისწინებით სამიზნე ჯგუფის შერჩევის ზომად განისაზღვრა 1,199 შინამეურნეობა.

ნაშრომში წარმოდგენილია სტატისტიკური წონების გაანგარიშების დიზაინი, რომელიც ითვალისწინებს 5 წონას. სტატისტიკური წონები წარმოადგენს დაკვირვების ობიექტის შერჩევაში მოხვედრის ალბათობის შებრუნებულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური წონების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია გამოუპასუხებლობა, შინამეურნეობაში ბავშვების არსებობა, შინამეურნეობის ზომა, მოსახლეობის მოცულობა და მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

შემუშავებული მეთოდოლოგია ქმნის მყარ საფუძველს საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის, განვითარების, განათლების, ფუნქციური სირთულეებისა და მატერიალური დეპრივაციის შესახებ სანდო და რეპრეზენტატული სტატისტიკური ინფორმაციის მიღებისთვის. კვლევის ფარგლებში გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები და მაჩვენებლები უზრუნველყოფს მიღებული შედეგების საერთაშორისო დონეზე შესადარისობას და ხელს შეუწყობს საქართველოს მდგომარეობის შეფასებას მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით. გარდა ამისა, კვლევის შედეგები მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას შექმნის სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევრებისთვის, რაც შესაძლებელს გახდის ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის. აღნიშნული კვლევა ასევე საფუძველს ჩაუყრის ბავშვთა განვითარების, მატერიალური დეპრივაციისა და ციფრული ტექნოლოგიების გავლენის შესახებ რეგულარული სტატისტიკური დაკვირვებების დანერგვის და შესაბამისი ტენდენციების ანალიზსს.

გამოყენებული ლიტერატურა

ანანიაშვილი, ი. (2014). *ეკონომეტრიკა*. მერიდიანი

გაბიძაშვილი, ბ. (2011). *სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში*. უნივერსალი.

საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ელექტრონული პლატფორმა. მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორები. https://sdg.gov.ge/sdg-tracker. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi . ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). *მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (მე-6 რაუნდი)*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/707/mravalindikatoruli-klasteruli-gamokvleva. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *მოსახლეობა*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). მეტამონაცემები (ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი). https://www.geostat.ge/ka/modules/categories/582/metadata-tskhovrebis-done-saarsebo-minimumi. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026

Cochran, W. G. (1977). Sampling techniques (3rd ed.). John Wiley & Sons.

Eurostat. (2022). Housing statistics. European Commission.

Hanushek, E. A., & Woessmann, L. (2012). Do better schools lead to more growth? Cognitive skills, economic outcomes, and causation. Journal of Economic Growth, 17(4), 267–321. https://doi.org/10.1007/s10887-012-9081-x

OECD. (2019). OECD skills outlook 2019: Thriving in a digital world. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/df80bc12-en

UNICEF. (2017). Multiple Indicator Cluster Surveys (MICS6) tools. UNICEF.

UNICEF. (2021). Seen, counted, included: Using data to shed light on the well-being of children with disabilities. UNICEF.

Eurostat. (n.d.). Living conditions statistics. Retrieved June 22, 2026, from https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Living_conditions

United Nations Children's Fund. (n.d.). Multiple Indicator Cluster Survey (6th round) toolkit. Retrieved June 22, 2026, from https://mics.unicef.org/tools?round=53

United Nations Environment Programme, OECD, & Eurostat. (2025, March 28). Material footprint and resource productivity. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/metadata/files/Metadata-12-02-01.pdf

United Nations Statistics Division. (2022, March). SDG metadata structure definition. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/files/SDG_MSD_Guidelines.pdf

United Nations Statistics Division. (n.d.). Metadata for Sustainable Development Goal indicators. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/metadata/?Text=&Goal=&Target=

Washington Group on Disability Statistics. (n.d.). Functioning difficulties module/question sets. Retrieved June 22, 2026, from https://www.washingtongroup-disability.com/question-sets/

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) Project № FR-25-10142

Design of the Integrated Statistical Survey on Children's Development and Deprivation (ISSCDD)

Giorgi Mikeladze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Giorgi.Mikeladze@tsu.ge

Mariam Okruashvili
Assistant Professor
University of Business and Technology,
mariam.okruashvili@btu.edu.ge

Ana Varamashvili
Doctoral Student
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Anna.Varamashvili@gmail.com

Summary

The paper presents the methodology, sampling design, and statistical weighting system of the Integrated Statistical Survey on Child Development and Material Deprivation (ISSCDD). The objective of the

survey is to obtain representative statistical information on the development, education, functional difficulties, parental involvement, material deprivation, and the use of digital technologies and video/computer games among children aged 0-17 living in households in Georgia. The survey instrument is based on the methodologies of UNICEF MICS6, the Washington Group on Disability Statistics, and Eurostat, and includes 15 thematic modules. The sample size of the statistical survey, determined under conditions of the maximum design effect of sample surveys implemented in Georgia, the value of a probabilistic statistical indicator under conditions of extreme variance, an acceptable 10% relative margin of error, and for practical purposes, amounted to 1,200 households. The survey uses a stratified three-stage cluster random sampling design. The sample is distributed across 11 administrative regions of Georgia and two types of settlements (urban and rural). Within the framework of the survey, 193 enumeration areas were selected, and the investigation of 3,597 household addresses is planned. The paper presents the methodology for calculating five statistical weights. In calculating statistical weights, the probability of selection, non-response, number of children in the household, household size, population size, and its sex-age structure are taken into account. The developed methodology ensures the comparability of survey results at national and international levels, as well as the possibility of calculating indicators relevant to the Sustainable Development Goals (SDG 1.2.2, SDG 4.2.1, SDG 4.2.2, SDG 4.5.1, and SDG 16.2.1).

Keywords: child development, material deprivation, children's dependence on digital technologies and video/computer games, sampling and weighting design, Sustainable Development Goals.

საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობა გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივა

იური პაპასქუა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
papaskuaiuri@gmail.com

ცირა ბართია
საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა
და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
cira.bartia@gmail.com

ანოტაცია. *ციფრული მდგრადობა აგრობიზნესის მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა მზარდი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში. გლობალური გეოპოლიტიკური დაძაბულობა, მიწოდების ჯაჭვების რესტრუქტურიზაცია, ბაზრის არასტაბილურობა და კლიმატთან დაკავშირებული რისკების ზრდა მოითხოვს ახალი მიდგომების შემუშავებას, რომლებიც აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო სისტემების ადაპტირებას და გრძელვადიან სტაბილურობას. ამ კონტექსტში, ციფრული ტრანსფორმაცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური პროცესი, არამედ როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი აგრობიზნესის სექტორის მდგრადობის გასაძლიერებლად. ამ კვლევის მიზანია გააანალიზოს ქართული აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის განვითარების გამოწვევები გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში, დაადგინოს მისი თეორიული საფუძვლები და განსაზღვროს მისი შემდგომი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. კვლევა იყენებს ანალიზის, სინთეზის, შედარების, განზოგადების და სტრუქტურულ-ლოგიკური მოდელირების მეთოდებს. კვლევა გვთავაზობს აგრობიზნესში ციფრული მდგრადობის ორიგინალურ განმარტებას და ავითარებს კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ხუთ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტზე: ციფრული ინფრასტრუქტურა, ინტეგრირებული მონაცემთა მართვა, ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები, ინსტიტუციური მხარდაჭერა და ადამიანური კაპიტალის განვითარება. მათი კოორდინირებული ურთიერთქმედება ქმნის ციფრულ შესაძლებლობებს, რომლებიც აუმჯობესებს ოპერაციულ უწყვეტობას, ადაპტაციურ შესაძლებლობებს, რესურსების ოპტიმიზაციას, გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობას და საერთო კონკურენტუნარიანობას. დასკვნებზე დაყრდნობით, შემუშავებულია სტრატეგიული ჩარჩო საქართველოს აგრობიზნესში ციფრული მდგრადობის გასაძლიერებლად. შედეგები აჩვენებს, რომ მდგრადი ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს არა მხოლოდ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების განვითარების ინტეგრაციას თანმიმდევრული პოლიტიკის ჩარჩოში. შემოთავაზებული კონცეპტუალური მიდგომა და სტრატეგიული პრიორიტეტები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც თეორიული და პრაქტიკული საფუძველი აგრობიზნესის მართვის*

გასაუმჯობესებლად და საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდასაჭერად.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული მდგრადობა; აგრობიზნესი; გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია; ციფრული ტრანსფორმაცია; მდგრადი განვითარება; საქართველო.*

შესავალი

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ჩამოყალიბდა [1; 2]. საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დაძაბვა, მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაცია, ენერგეტიკული და სასურსათო ბაზრების არასტაბილურობა მნიშვნელოვნად ცვლის ეროვნული ეკონომიკების განვითარების პირობებს. ამ გარემოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ სექტორებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და სასურსათო უზრუნველყოფას განსაზღვრავს, მათ შორის – აგრობიზნესს.

საქართველოს აგრობიზნესი, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგი, გარე შოკების ზრდის პირობებში საჭიროებს არა მხოლოდ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ ისეთი მმართველობითი და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს სექტორის სწრაფ ადაპტაციას, საქმიანობის უწყვეტობასა და კონკურენტუნარიანობას. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს ციფრული ტექნოლოგიების, მონაცემთა ინტეგრირებული მართვის სისტემებისა და ინოვაციური აგროტექნოლოგიების დანერგვა [3; 4; 13; 14].

ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში ფართოდ არის განხილული აგრობიზნესის განვითარების, ციფრული ტრანსფორმაციისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხები. თუმცა აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის შინაარსი და კომპონენტური სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ხოლო საქართველოს აგრობიზნესთან დაკავშირებით აღნიშნული საკითხი კომპლექსურად არასაკმარისად არის შესწავლილი. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას [5-8].

ნაშრომის მიზანია საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის ფორმირების გამოწვევების ანალიზი გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში, მისი თეორიული საფუძვლების წარმოჩენა და ციფრული მდგრადობის გაძლიერების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა.

ანალიზის, სინთეზის, შედარების, განზოგადებისა და სტრუქტურულ-ლოგიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების საფუძველზე მოცემულია აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის განმარტება, წარმოდგენილია მისი კონცეპტუალური მოდელი და **გამოკვეთილია** განვითარების ძირითადი მიმართულებები.

1. გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია და საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ახალი გამოწვევები

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია მნიშვნელოვნად ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს. საერთაშორისო ვაჭრობის გადანაწილება, რეგიონული კონფლიქტები, ეკონომიკური სანქციები, მიწოდების ჯაჭვების რღვევა და მზარდი გაურკვევლობა გავლენას ახდენს როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებზე. განსაკუთრებით მგრძნობიარეა აგროსასურსათო სექტორი, რომლის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ბაზრებთან, ლოგისტიკურ ქსელებთან, ტექნოლოგიებსა და წარმოების რესურსებთან [1; 2].

საქართველოსთვის აღნიშნული პროცესები ერთდროულად ქმნის როგორც ახალ რისკებს, ისე განვითარების შესაძლებლობებს. იზრდება წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები, რთულდება გრძელვადიანი დაგეგმვა და ძლიერდება დამოკიდებულება გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამავე დროს, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და ევროპულ ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქციის მზარდი მოთხოვნა ქმნის ახალი ბაზრების ათვისებისა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოების შესაძლებლობას [9-10].

საქართველოს აგრობიზნესის სპეციფიკას განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფრაგმენტული სტრუქტურა, მცირე და საშუალო მეურნეობების მაღალი წილი, რეგიონების მიხედვით ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული დონე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საინვესტიციო რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამ პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული არა მხოლოდ წარმოების მოცულობაზე, არამედ მონაცემთა ეფექტიან მართვაზე, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე, ტექნოლოგიურ განახლებასა და ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციის უნარზე [11].

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არაერთი ავტორი აღნიშნავს, რომ აგროსექტორის მდგრადი განვითარება ვერ მიიღწევა მხოლოდ წარმოების ზრდით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციების დანერგვას, ეფექტიან სახელმწიფო პოლიტიკასა და აგრობიზნესის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. ნოდარ ჭითანავას ნაშრომებში ჩამოყალიბებული სტრატეგიული ხედვა ეფუძნება რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიან მექანიზმებსა და გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტებს. ამ მიდგომის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაცია, რომელიც წარმოების, ლოგისტიკისა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ყალიბდება [12].

გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სცილდება ტექნიკური ინოვაციის ფარგლებს. ისინი უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვების მიკვლევადობას, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, ბაზრის ცვლილებებზე ოპერატიულ რეაგირებას, რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაძლიერებას. შესაბამისად, ციფრული მდგრადობა თანდათან იქცევა საქართველოს აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად [3; 4; 7].

ამრიგად, საქართველოს აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ მათი სისტემური გამოყენების საფუძველზე ისეთი განვითარების გარემოს

ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს სექტორის მდგრადობას, კონკურენტუნარიანობასა და გარე შოკებისადმი ადაპტაციის უნარის გაძლიერებას.

2. აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის თეორიული საფუძვლები

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ არსებითად შეცვალა აგრობიზნესის მართვისა და განვითარების მიდგომები. თუ ადრე მათი გამოყენება ძირითადად ცალკეული საწარმოო პროცესების ავტომატიზაციით შემოიფარგლებოდა, დღეს ისინი მოიცავს მონაცემთა ინტეგრირებულ მართვას, წარმოების, ლოგისტიკისა და მარკეტინგის კოორდინაციას, გადაწყვეტილებების მიღების ანალიტიკურ მხარდაჭერასა და რესურსების ოპტიმიზაციას. შედეგად, ციფრული ტექნოლოგიები თანდათან იქცა არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის, არამედ აგრობიზნესის მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორად [3; 5].

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ციფრული ტრანსფორმაციის, აგრარული ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების საკითხები. ამასთან, აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის შინაარსი და მისი სტრუქტურული ელემენტები ჯერ კიდევ არ არის ერთგვაროვნად განსაზღვრული. კვლევების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ კომპონენტებზე — ტექნოლოგიებზე, მონაცემთა მართვასა და ინოვაციებზე, მაშინ როდესაც ნაკლებად არის წარმოჩენილი მათი ურთიერთკავშირი და ერთიანი სისტემის ფარგლებში ფუნქციონირება [4; 6; 7; 8; 13; 14].

ამ ნაშრომში აგრობიზნესის ციფრული მდგრადობა განიმარტება, როგორც აგრობიზნესის უნარი, ციფრული ინფრასტრუქტურის, მონაცემთა ინტეგრირებული მართვის, ინოვაციური აგროტექნოლოგიების, ინსტიტუციური მხარდაჭერისა და ადამიანური კაპიტალის გამოყენებით უზრუნველყოს საწარმოო, მმართველობითი, ლოგისტიკური და საბაზრო პროცესების უწყვეტობა, ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაცია და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და კლიმატური შოკების პირობებში.

აგრობიზნესის ციფრული მდგრადობა არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების შედეგად. იგი წარმოადგენს მრავალკომპონენტიან სისტემას, რომელშიც ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ინსტიტუციური და ადამიანური ფაქტორები ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს. რომელიმე კომპონენტის ჩამორჩენა ამცირებს მთლიანად სისტემის მდგრადობას, ხოლო მათი შეთანხმებული განვითარება ქმნის აგრობიზნესის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის საფუძველს.

აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის — ციფრული ინფრასტრუქტურის, მონაცემთა ინტეგრირებული მართვის, ინოვაციური აგროტექნოლოგიების, ინსტიტუციური გარემოსა და ადამიანური კაპიტალის — ერთიან სისტემაში განხილვა. თითოეული მათგანი ასრულებს დამოუკიდებელ ფუნქციას, თუმცა სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ მათი ურთიერთშეთანხმებული განვითარების პირობებში.

აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის კონცეპტუალური მოდელი წარმოდგენილია სქემა 1-ზე, რომელიც ასახავს გარე გამოწვევებს, ციფრული მდგრადობის განმსაზღვრელ კომპონენტებს, მათ საფუძველზე ფორმირებულ ციფრულ შესაძლებლობებსა და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირს.

სქემა 1. საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის ფორმირების ლოგიკური მოდელი



წყარო: ავტორთა მიერ შედგენილი.

სქემა 1-ზე წარმოდგენილი მოდელი ცხადყოფს, რომ აგრობიზნესის ციფრული მდგრადობა ყალიბდება გარე გამოწვევებისა და ციფრული შესაძლებლობების ურთიერთქმედების შედეგად. გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და კლიმატური გამოწვევები განაპირობებს ციფრული მდგრადობის განმსაზღვრელი კომპონენტების განვითარების აუცილებლობას. მათი შეთანხმებული ფუნქციონირება ქმნის ციფრულ შესაძლებლობებს, რომლებიც უზრუნველყოფს მონიტორინგს, პროგნოზირებას, კოორდინაციას, რესურსების ოპტიმიზაციას, მიწოდების მიკვლევადობასა და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას. საბოლოოდ, სწორედ ამ პროცესების ერთობლიობა განაპირობებს საქმიანობის უწყვეტობას, ადაპტაციის უნარის გაძლიერებას, კონკურენტუნარიანობის ზრდასა და აგრობიზნესის მდგრად განვითარებას.

3. საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ციფრულ ინფრასტრუქტურას, მონაცემთა ინტეგრირებულ მართვას, ინოვაციურ აგროტექნოლოგიებს, ინსტიტუციურ მხარდაჭერასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. ცალკეული ინიციატივები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, თუ ისინი არ დაეფუძნება საერთო სტრატეგიას და კოორდინირებულ განხორციელებას. ამდენად, საქართველოს აგრობიზნესის განვითარება საჭიროებს ისეთი ციფრული ეკოსისტემის ფორმირებას, რომელიც გააძლიერებს სექტორის ადაპტაციის უნარს და შეამცირებს გარე რისკების გავლენას.

ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს არა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ მონაცემთა ეფექტიან მართვას, ინოვაციების ხელშეწყობას, შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს შექმნასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. მხოლოდ ამ კომპონენტების ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირება ქმნის ციფრული მდგრადობის საფუძველს.

ციფრული მდგრადობის უზრუნველყოფა მრავალკომპონენტიან პროცესს წარმოადგენს, რომლის თითოეული ელემენტი დამოუკიდებელ ფუნქციას ასრულებს, თუმცა სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ მათი შეთანხმებული განვითარების პირობებში. ამდენად, მიზანშეწონილია ციფრული მდგრადობის განმსაზღვრელი კომპონენტების, მათ წინაშე არსებული გამოწვევების, განვითარების პრიორიტეტებისა და

მოსალოდნელი შედეგების სისტემური წარმოდგენა. მათი ურთიერთკავშირი და განვითარების პრიორიტეტები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის განვითარების სტრატეგიული ჩარჩო

ციფრული მდგრადობის კომპონენტი	არსებული გამოწვევა	განვითარების პრიორიტეტი	მოსალოდნელი შედეგი
ციფრული ინფრასტრუქტურა	რეგიონებში ციფრულ ტექნოლოგიებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა	ფართოზოლოვანი ქსელის, ციფრული პლატფორმებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება	ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ციფრული გარემოს გაფართოება
მონაცემთა მართვა	მონაცემთა ფრაგმენტულობა და ინფორმაციის დაგვიანებული გამოყენება	ერთიანი მონაცემთა სისტემების დანერგვა და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის სრულყოფა	გადაწყვეტილებების ხარისხისა და ოპერატიულობის გაუმჯობესება
ინოვაციური აგროტექნოლოგიები	თანამედროვე ტექნოლოგიების შეზღუდული გამოყენება	ზუსტი მიწათმოქმედების, ავტომატიზაციისა და ციფრული მონიტორინგის დანერგვა	პროდუქტიულობის ზრდა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება
ინსტიტუციური მხარდაჭერა	კოორდინაციისა და განვითარების მექანიზმების არასაკმარისი ეფექტიანობა	სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამეცნიერო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერება	ციფრული ტრანსფორმაციის სისტემური მხარდაჭერა
ადამიანური კაპიტალი	ციფრული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დეფიციტი	ციფრული კომპეტენციების განვითარების, გადამზადებისა და პროფესიული განათლების გაფართოება	ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება და ინოვაციების სწრაფი დანერგვა

წყარო: ავტორთა მიერ შედგენილი.

ცხრილში სისტემატიზებული მიმართულებები ცხადყოფს, რომ აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის უზრუნველყოფა მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების თანმიმდევრულ და კოორდინირებულ განხორციელებას. მხოლოდ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სექტორის ადაპტაციის უნარის გაძლიერებას, კონკურენტუნარიანობის ზრდასა და გარე გამოწვევებისადმი მდგრადობის ამაღლებას. შესაბამისად, ციფრული მდგრადობა მიზანშეწონილია განიხილებოდეს საქართველოს აგროპოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად.

დასკვნა

განხილულმა საკითხებმა ცხადყო, რომ გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში საქართველოს აგრობიზნესის მდგრადი განვითარება სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ციფრული შესაძლებლობების სისტემურ გამოყენებასა და მათ ეფექტიან ინტეგრაციაზე. ამ პირობებში ციფრული ტრანსფორმაცია აღარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიური განახლების პროცესს; იგი აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობის, ადაპტაციის უნარისა და გრძელვადიანი მდგრადობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ყალიბდება.

კვლევამ ცხადყო, რომ აგრობიზნესის ციფრული მდგრადობა ეფუძნება ციფრული ინფრასტრუქტურის, მონაცემთა ინტეგრირებული მართვის, ინოვაციური აგროტექნოლოგიების, ინსტიტუციური მხარდაჭერისა და ადამიანური კაპიტალის ურთიერთშეთანხმებულ განვითარებას. სწორედ ამ კომპონენტების ერთიანი

ფუნქციონირება ქმნის პირობებს საქმიანობის უწყვეტობის, ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

საქართველოს აგრობიზნესის განვითარება ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოების, მონაცემებზე დაფუძნებული მართვის დამკვიდრების, ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო დანერგვის, სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების სრულყოფისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების გარეშე შეუძლებელია. ამ მიმართულებების თანმიმდევრული განხორციელება შეამცირებს გარე ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და კლიმატური რისკების გავლენას და შექმნის აგრობიზნესის მდგრადი და კონკურენტუნარიანი განვითარების მყარ საფუძველს.

საქართველოს აგრობიზნესის ციფრული მდგრადობის გაძლიერება მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის, კერძო სექტორისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცის შეთანხმებულ თანამშრომლობას. მხოლოდ ამგვარი მიდგომა შექმნის პირობებს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია იქცეს არა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებად, არამედ საქართველოს აგრობიზნესის მდგრადი და კონკურენტუნარიანი განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ საფუძვლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Baldwin, R. (2022). *Global Supply Chains after COVID-19 and the Ukraine Crisis*. CEPR Press;
2. International Monetary Fund. (2023). *Geoeconomic Fragmentation and the Future of Multilateralism*. IMF;
3. Food and Agriculture Organization of the United Nations. (2022). *The State of Food and Agriculture 2022: Leveraging Automation in Agriculture for Transforming Agrifood Systems*. FAO;
4. OECD. (2024). *Digital Opportunities for Better Agricultural Policies*. OECD Publishing;
5. World Bank. (2023). *Digital Agriculture Profile: Opportunities for Sustainable Development*. World Bank;
6. Wolfert, S., Ge, L., Verdouw, C., & Bogaardt, M. J. (2017). Big Data in Smart Farming: A Review. *Agricultural Systems, 153*, 69–80;
7. Kamilaris, A., Kartakoullis, A., & Prenafeta-Boldú, F. X. (2017). A Review on the Practice of Big Data Analysis in Agriculture. *Computers and Electronics in Agriculture, 143*, 23–37;
8. Trendov, N. M., Varas, S., & Zeng, M. (2019). *Digital Technologies in Agriculture and Rural Areas*. Food and Agriculture Organization of the United Nations;
9. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2021). *Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027*. Tbilisi. *(In Georgian);*
10. National Statistics Office of Georgia (Geostat). (2024). *Agriculture of Georgia*. Tbilisi. *(In Georgian);*
11. National Statistics Office of Georgia (Geostat). (2025). *Statistical Yearbook of Georgia*. Tbilisi. *(In Georgian);*
12. Chitanava, N. (2018). *საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია*. თბილისი: ივერიონი. (In Georgian);
13. Papaskua, I., & Bartia, Ts. (2026). Efficiency of Agro-Industrial Product Quality Assessment Systems: International Practices and Challenges for Georgia. *Business and Legislation, 19*(1), 45–52. https://doi.org/10.52340/bal/2026.01.03;
14. Papaskua, I., & Bartia, Ts. (2026). *Quality Management and Standardization in the Agri-Food Sector: Challenges and Prospects for Improvement*. In *Proceedings of the III International Scientific-Practical Conference* (pp. 33–42). Regional Academy of Management, Bologna, Italy. https://surl.li/uqshyr.

Digital Resilience of Georgian Agribusiness under Conditions of Geopolitical Fragmentation: Challenges and Development Prospects

Iuri Papaskua
Doctor of Economics, Professor
Sokhumi State University
papaskuaiuri@gmail.com

Tsira Bartia
Federation of Auditors, Accountants
and Financial Managers of Georgia
cira.bartia@gmail.com

Summary

Digital resilience has become one of the key determinants of the sustainable development and competitiveness of agribusiness under conditions of growing geoeconomic fragmentation. Global geopolitical tensions, the restructuring of supply chains, market volatility, and increasing climate-related risks require the development of new approaches that enhance the adaptability and long-term stability of agricultural systems. In this context, digital transformation should be viewed not merely as a technological process but as a strategic instrument for strengthening the resilience of the agribusiness sector. The purpose of this study is to analyze the challenges of developing digital resilience in Georgian agribusiness under conditions of geopolitical fragmentation, to establish its theoretical foundations, and to identify the priority directions for its further development. The research applies methods of analysis, synthesis, comparison, generalization, and structural-logical modeling. The study proposes an original definition of digital resilience in agribusiness and develops a conceptual model based on five interrelated components: digital infrastructure, integrated data management, innovative agricultural technologies, institutional support, and human capital development. Their coordinated interaction creates digital capabilities that improve operational continuity, adaptive capacity, resource optimization, decision-making efficiency, and overall competitiveness. Based on the findings, a strategic framework for strengthening digital resilience in Georgian agribusiness is developed. The results demonstrate that sustainable digital transformation requires not only the introduction of advanced technologies but also the integration of institutional, organizational, and human resource development within a coherent policy framework. The proposed conceptual approach and strategic priorities may serve as a theoretical and practical basis for improving agribusiness management and supporting sustainable agricultural development in Georgia.

Keywords: Digital resilience; Agribusiness; Geopolitical fragmentation; Digital transformation; Sustainable development; Georgia.

სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) დემოგრაფიული ასპექტები საქართველოში

მირონ ტუღუში
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მკვლევარი
ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
tugushim@gmail.com

ანოტაცია. *სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში სამუშაო ძალის ფორმირების დემოგრაფიული მახასიათებლების - შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების/კლების, გარე მიგრაციის დინამიკა, განმაპირობებელი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ მოკვდაობასთან შედარებით შობადობის უფრო სწრაფად შემცირების გამო, ქვეყანაში, 2020 წლიდან, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მხრივ კლება ფიქსირდება, რაც შეფასებულია, როგორც მწვავე ეგზისტენციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ხელისუფლების ყველა შტოს გაერთიანებულ ძალისხმევას საჭიროებს. ყურადღება გამახვილებულია შობადობის შემცირების განმაპირობებელ, როგორც დემოგრაფიულ, ასევე არადემოგრაფიულ ფაქტორებზე. აღნიშნულია, საქართველოს პატრიარქის შიო III-ს განცხადების შესახებ, რომ ,,გაგრძელდება ილია მეორის მიერ დამკვიდრებული საყოველთაო ნათლობების ტრადიცია", რაც სასიხარულოა, მაგრამ ავტორის აზრით, მხოლოდ ეს ღონისძიება საქართველოში შობადობის მხრივ შექმნილ მძიმე მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ის იზიარებს მკვლევართა მოსაზრებას, რომ ამ მიზნით ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია. სტატიაში შეფასებულია გარე მიგრაციის არამყარი ტენდენციები, აღნიშნულია, რომ ემიგრაციის მაღალი ინტენსივობა განპირობებულია ქვეყანაში არსებული არასასურველი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით, დასაქმების მწირი შესაძლებლობებითა და შემოსავლების სიმცირით, უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღების სურვილით და ა.შ. ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია საზღვარგარეთ დასაქმებას არ ითვალისწინებს ემიგრანტების რიცხვის ზრდაზე ამ ფაქტორმაც დადებითად იმოქმედა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოდან ემიგრაციის შემცირებისა და ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ღონისძიებებზე, რაც, ავტორის აზრით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების ზრდაზე დადებითად იმოქმედებს.*

საკვანძო სიტყვები: *შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება/კლება, ემიგრანტები, იმიგრანტები, მიგრაციის სალდო.*

ზოგადი შეფასებით **სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა)** ესაა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მატერიალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. სტატისტიკურად, **სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა),** დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობის ერთობლიობაა. **დასაქმებულად** ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში სულ მცირე ერთი საათი მაინც მუშაობდა შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან

დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო. **უმუშევრის** ცნებაში იგულისხმება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

ქვეყანაში რაც უფრო დიდია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვი, მატერიალური, ფინანსური თუ ინფორმაციული რესურსების რაციონალურად გამოყენების, ეკონომიკური, სოციალური და მდგრადი განვითარების მეტი შესაძლებლობები არსებობს. ამდენად, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ამოცანაა რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენოს იგი, თუმცა, ყველა ამას ვერ ახერხებს და სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, სხვადასხვა მიზეზით, დაუსაქმებელი რჩება.

ცნობილია, რომ ქვეყნის სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) ფორმირების წყაროებია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და მიგრაცია, მაგრამ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა (შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება/კლება) განმსაზღვრელია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში, წლების განმავლობაში, შობადობის სწრაფი ტემპით შემცირების, მოკვდაობის შედარებით ნელი ტემპით კლების შედეგად ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, 2020 წლიდან კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, გარდაცვალებულთა რიცხვმა გადააჭარბა ცოცხლად დაბადებულებს და ბუნებრივი მოძრაობის შედეგად, ყოველწლიურად, მოსახლეობის კლება დაფიქსირდა (ცხრილი 1).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები საქართველოში 2010-2025 წწ

ცხრილი 1

წლები	ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, კაცი	შობადობის კოეფიციენტი 1000 კაცზე	გარდაცვლილთა რიცხოვნობა,კაცი	გარდაცვალების კოეფიციენტი 1000 კაცზე	ბუნებრივი მატება, კაცი	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1000 კაცზე
2010	55 230	14,6	51 066	13,5	4 164	1,1
2015	59 249	15,9	49 121	13,2	10 128	2,7
2016	56 569	15,2	50 771	13,6	5 798	1,6
2017	53 293	14,3	47 822	12,8	5 471	1,5
2018	51 138	13,7	46 524	12,5	4 614	1,2
2019	48 296	13,0	46 659	12,5	1 637	0,4
2020	46 520	12,5	50 537	13,6	-4 017	-1,1
2021	45 946	12,4	59 906	16,2	-13 960	-3,8
2022	42 301	11,4	49 118	13,2	-6 799	-1,8
2023	40 214	10,8	42 756	11,5	-2 542	-0,7
2024	39 483	10,7	43 971	11,9	-4 488	-1,2
2025	37 867	9,6	44 319	11,3	-6 452	-1,6

შედგენილია ,,საქსტატის“ მონაცემების (მოსახლეობა და დემოგრაფია) საფუძველზე.
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

2010-2025 წლებში, საქართველოში შობადობის კოეფიციენტი 1000 კაცზე გაანგარიშებით 14,6 დან 9,6 -მდე შემცირდა, რაც საყურადღებო ნეგატიური მიმართულების ცვლილებაა, ამავე პერიოდში 13,5-დან 11,3-მდე შემცირდა მოკვდაობის მაჩვენებელი, რაც მაღალია, მაგრამ გადაბერებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მქონე ქვეყნისთვის (საქსტატის მონაცემებით, 1995 წელს, საქართველოში, 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენდა 10,9, 2026 წელს კი 18,1%-ს) გასაკვირი არაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოკვდაობის მაჩვენებელი დაბალი არაა და სხვადასხვა სახეობის დაავადებათა (გულ-სისხლძარღვთა, სხვადასხვა სახეობის სიმსივნეების და სხვა) გამო გარდაცვალებათა შემცირება მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ ქვეყანაში მოსახლეობის კლება მოკვდაობასთან შედარებით შობადობის სწრაფი ტემპით შემცირების შედეგია და შობადობის არსებითად ამაღლების გარეშე მოსახლეობის მატება ვერ მიიღწევა.

უმნიშვნელოვანეს ფასეულობათა სისტემა დასაოჯახებელ რესპონდენტთა ასაკის მიხედვით

ცხრილი 2

	რესპონდენტების განაწილება ასაკის მიხედვით (%)		
	15-29 წწ	30-39 წწ	40-49
მატერიალური მდგომარეობა	48,0	30,0	22,0
განათლება	64,4	16,4	19,2
კარიერა	75,4	12,3	10,3
ოჯახი	47,0	21,5	32,5
შვილები	19,6	40,0	41,4
პირადი დამოუკიდებლობა	61,5	23,0	15,5
საზოგადოებრივი აღიარება ცნობადობა	100,0	-	-

კვლევა ჩატარდა 2023 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

ცხრილიდან ჩანს, რომ 15-29 წლის ასაკის დასაოჯახებელი რესპონდენტების უმრავლესობა უპირატესობას პირად დამოუკიდებლობას, კარიერულ ზრდას, ხარისხიანი განათლების მიღებას ანიჭებს, შემდეგ მოდის ისეთი ფასეულობა, როგორიცაა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ოჯახი. მისასალმებელია, რომ 30-39 წლის ასაკის რესპონდენტების უმეტესობა მთავარ ფასეულობად შვილებს ასახელებენ, შემდეგ მოდის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ. შვილებისა და ოჯახისადმი დამოკიდებულების გაძლიერების მანიშნებელია 40-49 წლის რესპონდენტების მიერ აღიარებული ფასეულობები.

კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოში შობადობის შემცირების დემოგრაფიული და არადემოგრაფიული ფაქტორებია: ქორწინების ასაკის ზრდა (2010 წელს პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისათვის შეადგენდა 25,8, კაცებისათვის კი 29,5 წელს, 2024 წლისათვის კი ქალებისათვის 29,9 წელს, კაცებისათვის კი 32,2 წელს), შვილების რაოდენობის დაგეგმვა, ქალთა უმეტესი ნაწილის მიერ რეპროდუქციული

ქცევის 39 წლამდე დასრულება, გადავადებული მშობლობის ტენდენციის დამკვიდრება, რომლის განმაპირობებელი მიზეზებია: სრულფასოვანი განათლების მიღება; ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, საბინაო-ყოფითი პირობებით უზრუნველყოფა, ბავშვთა აღზრდისადმი მშობელთა პასუხისმგებლობის ზრდა; შრომითი ან განათლების მიღების მიზნით რეპროდუქციული ასაკის პირების უცხოეთში მიგრაცია (ახალგაზრდა ასაკის ემიგრანტებში კაცები სჭარბობენ ქალებს, 50 წლისა და უფროსი ასაკის ემიგრანტებში კი ქალების წილი უფრო მაღალია), ისეთი ინდივიდუალური ფასეულობების წინა პლანზე წამოწევა, როგორიცაა: პირადი დამოუკიდებლობა, საზოგადოებრივი აღიარება, ცნობადობა, კარიერა და ა.შ.

საქართველოში ამჟამად არსებული დემოგრაფიული ვითარება მეტად საყურადღებოა და გასაკვირი არაა, რომ ამ ფაქტს გამოეხმაურა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი შიო III და სამების ტაძარში მრევლთან ქადაგებისას აღნიშნა: **„თუ არ გამოვასწორეთ ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა, თუ არ ვიზრუნეთ ოჯახის განმტკიცებაზე, გადარჩენაზე, შენარჩუნებაზე, ჩვენ გვემუქრება რეალური საშიშროება, რომ ჩვენ სამოთხესავით ლამაზ და მშვენიერ ქვეყანაში დამკვიდრდებიან სხვა ხალხები“**[30]. ამასთან, მან აბორტი მძიმე ცოდვას შეადარა: **,,თუ ოჯახში მძიმე ცოდვა ტრიალებს, ისეთი, როგორიც მაგალითად, არის აბორტი, მაშინ ასეთ საფუძველზე ვერანაირ ბედნიერებას ვერ ააშენებს ოჯახი“.**

პატრიარქმა დაადასტურა, რომ **,,გაგრძელდება ილია მეორის მიერ დამკვიდრებული საყოველთაო ნათლობების ტრადიცია, რომელიც ჩვენი ერის დემოგრაფიული წინსვლის და სულიერი განმტკიცების ხელშემწყობად იქცა“**[31].

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ შიო III-ს მიერ მრევლისადმი გაკეთებული მოწოდებები, რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებოა, მაგრამ საქართველოში შობადობის ასამაღლებლად საკმარისი ვერ იქნება. ამ მიზნით, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობენ პროფესორები ავთანდილ სულაბერიძე და იოსებ არჩვაძე[32]. მკვლევართა ერთობლივ ნაშრომში პროგრამის სახით მოცემულია შობადობის წამახალისებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი და მათ განსახორციელებლად საჭირო თანხების ოდენობა, რომელიც 4 ეტაპადაა წარმოდგენილი და 2032 წლამდე პერიოდს მოიცავს. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური ოდენობის თანხების გამოყოფას მოითხოვს, ავტორებმა ეტაპების მიხედვით მშპ-ს ზრდის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხების პროგნოზიც დაამუშავეს. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ავტორების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ვითარება ეგზისტენციური საფრთხის შემცველია და ხელისუფლების მხრიდან მისი უყურადღებოდ დატოვება მიუღებელია.

---

[30] ცუდია, რომ პოლიტიკანებმა და სხვა ერის ზოგიერთმა გაუთვითცნობიერებელმა წარმომადგენელმა პატრიარქ შიო III-ს ეს და ზოგიერთი სხვა მოსაზრება არასწორად გაიგო, ზოგიერთმა კი საქილიკოდ გამოიყენა.

[31] სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა შიო III ილია მეორის მიერ დამკვიდრებული საყოველთაო ნათლობების ტრადიცია ა/წ 7 ივნისს აღადგინა, როცა პირველი ნათლობა ჩაატარა, რაც ნამდვილად სასიხარულოა.

[32] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. ა. სულაბერიძე, ი. არჩვაძე. საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობისა და შობადობის წამახალისებელ ღონისძიებათა შესახებ, თბ., 2024, გვ.142-149.

აქვე დავძენთ, რომ პროფესორების ა. სულაბერიძისა და ი. არჩვაძის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფა (მისი ბიუჯეტის დაზუსტების მიმართულებითაც) შეიძლება და საქართველოს მთავრობამ მის დაფინანსებაზე უარი არ უნდა თქვას.

საქართველოში შობადობის არსებითად გაზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს მორიგი კვლევის შედეგიც: ,,გავრცელებული შეხედულება, რომ მოსახლეობის აღწარმოება მესამე შვილიდან იწყება დღეისათვის მოძველებულია და სტატისტიკურად არ დასტურდება. მხოლოდ მესამე შვილი მომავალი თაობის შესაცვლელად არასაკმარისია, რადგან ოჯახში არსებული სამი შვილიდან ერთიც, რომ ქორწინების გარეშე დარჩეს (ან უშვილო გამოდგეს), დანარჩენი ორი, თაობათა ცვლისთვის არასაკმარისია“.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს პატრიარქის ილია II-ს ბრძნულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც მესამე შვილის პატრიარქის მიერ მონათვლას ეხებოდა, დადებითი შედეგი გამოიღო, მრავალ ქართულ ოჯახში გაჩნდა მესამე შვილი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ საპატრიარქო, სახელმწიფოსთან ერთად ქართულ ოჯახებში მეოთხე შვილის გაჩენის წახალისებაზეც იფიქრებს. თუ ამ იდეის ქვეყნის მასშტაბით რეალიზება, ფინანსური პრობლემის გამო, ან სხვა მოსაზრებით შეუძლებელი იქნება, მაშინ შესაძლებელია ის ეტაპობრივად განხორციელდეს, მაგალითად, დავიწყოთ საქართველოს კავკასიონის მთიანეთით, სადაც უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა. ამით, დემოგრაფიულ პრობლემასთან ერთად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრობლემაც მოგვარდება - არ დაცარიელდება საზღვრისპირა რეგიონები. გასაგებია, რომ საქართველოს მთიანეთის საზღვრისპირა რეგიონებში სხვა არანაკლებ რთული პრობლემებიც დგას (გზა, ელექტროენერგია, მცირე ბიზნესის განვითარება და სხვა), რომლებიც ეტაპობრივად უნდა გადაწყდეს.

ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის ზრდისა და სამუშაო ძალის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა გარე მიგრაცია, რომელსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები. ე.წ. ,,ბიძგის ფაქტორია“ ქვეყნებს შორის დაწყებული ომები და ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოშობილი მწვავე საომარი კონფლიქტები. ქვეყნებს შორის მოსახლეობის მიგრაციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მოსახლეობა მშვიდობიანობის დროსაც ყოველთვის მოძრაობდა იმ ქვეყნებისაკენ, სადაც ცხოვრების უკეთესი პირობები იყო და ამაში გასაკვირი არაფერია, ეს, ასე იყო და ასე იქნება. თუ ხელისუფლებას სურს შეინარჩუნოს მოსახლეობა, მით უფრო ახალგაზრდობა, ქვეყანაში ცხოვრებისეული პირობების გაუჯობესებაზე, საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფასა და განვითარებაზე, დასაქმების შესაძლებლობების მუდმივ გაფართოებასა და შრომის ანაზღაურებისა და პირობების გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს.

ცნობილია, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება მძიმე პირობებში მიმდინარეობდა (ომები, შიგა პოლიტიკური აშლილობები და ა.შ.) და გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ცხოვრების, შრომისა და სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნები აირჩია.

2017 წლის 27 თებერვალი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დღე იყო, რადგან ევროპის საბჭომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სასარგებლოდ ვიზალიბერალიზაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. უვიზო მიმოსვლის პირობებში, საქართველოს

მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ ბიომეტრიული პასპორტი, საქმიანი, ტურისტული ან ოჯახის მონახულების მიზნით, შეუძლიათ შენგენის ზონაში უვიზოდ 90 დღით შესვლა. მართალია, ვიზალიბერალიზაცია საზღვარგარეთ, ლეგალურად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოს დაწყების უფლებას არ იძლევა, მაგრამ ის, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი თანამემამულეების ერთმა ნაწილმა, საზღვარგარეთ არალეგალურად დასაქმებისათვის გამოიყენა და ბევრმა საწადელს მიაღწია კიდეც. ამ ფონზე საქართველოდან საზღვარგარეთ მოსახლეობის მიგრაცია იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ევროკავშირში ვიზალიბერალიზაციის შეჩერების შესახებაც კი ალაპარაკდნენ, თუმცა, ამ სახის გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ[33]. არალეგალურ დასაქმებასთან ერთად გახშირდა თავშესაფრის მოთხოვნებიც. გარე მიგრაციის დინამიკას სქესის მიხედვით გვიხასიათებს ცხრილი 3.

გარე მიგრაცია საქართველოში 2014-2025 წლებში

ცხრილი 3

წლები	ემიგრანტები სულ	მ. შ. კაცი	ქალი	იმიგრანტები სულ	მ.შ. კაცი	ქალი	მიგრაციის სალდო
2014	88 704	51 858	36 846	82 161	48 938	33 223	- 6 543
2015	95 965	55 817	40 148	92 557	56 692	35865	-3 408
2016	98 288	55 255	43 033	90 228	54 355	35 873	- 8 060
2017	85 451	47 770	37 681	83 239	50 488	32 751	- 2 212
2018	98 935	56 116	42 819	88 152	52 754	35 398	- 10 783
2019	105 107	58 846	46 261	96 864	57 216	39 648	- 8 243
2020	74 264	44 223	30 041	89 996	52 089	37 907	15 732
2021	99 974	61 740	38 234	74 008	41 757	32 251	-25 966
2022	125 269	77 107	48 162	179 778	104 401	75 377	54 509
2023	245 064	137 311	107 753	205 857	119 142	86 715	-39 207
2024	121 425	72 782	48 643	135 811	80 952	54 859	14 386
2025	114 374	---	---	131 501	---	---	17 127

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2020 წლამდე, საქართველოს, მოსახლეობის გარე მიგრაციის მხრივ, დანარჩენ სამყაროსთან მყარად გამოკვეთილი უარყოფითი სალდო ჰქონდა. ქვეყანაში არსებულმა საკმაოდ მძიმე ყოფითმა პრობლემებმა, დასაქმების მწირმა შესაძლებლობებმა, ასევე უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღების სურვილმა, ახალგაზრდა და შუა ასაკის მოსახლეობის გარე მიგრაცია მკვეთრად გაზარდა, ვიზალიბერალიზაციის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ კი ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახადა. ქვეყნიდან უპირატესად ფერტილური ასაკის მოსახლეობის გარე მიგრაციამ მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში არსებულ ისედაც დაბალ შობადობის მაჩვენებელზე. უნდა ითქვას, რომ გარე მიგრაციამ გარკვეულწილად შეამცირა დაძაბულობა შრომის ბაზარზე. რომ არა ეს პროცესი, საქართველოში,

---

შედგენილია 2015, 2020, 2025 წლების სტატისტიკური კრებულის ,,დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ მონაცემების მიხედვით.

[33] საქართველოში გარე მიგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის თემა მრავალმხრივ და საინტერესოდაა გაშუქებული ა. სულაბერიძის, ი. არჩვაძისა და გ. აფციაურის ნაშრომში ,, საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია და ვიზალიბერალიზაცია. 2021 წ.

უმუშევრობის დონე კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა. 2020 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა და თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2021 და 2023 წლის მონაცემებს, იმიგრანტების რიცხვი აჭარბებს ემიგრანტების რიცხვს, თუმცა, მას ჩამოყალიბებული ტენდენციის სახე არა აქვს და ალბათ, ვერც ექნება, რადგან ბოლო წლებში, საქართველოში, დასაქმების, შრომის ანაზღაურებისა და შრომის პირობები უკეთესობისკენ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის თანაფარდობა საქართველოში, სქესის მიხედვით 2014-2024 წლებში

ცხრილი 4

წლები	კაცი	ქალი	სულ
2014	- 2 920	-3 623	- 6 543
2015	875	-4 283	- 3 408
2016	-900	-7 160	-8 060
2017	2 718	-4 930	-2 212
2018	-3 362	-7421	-10 783
2019	-1 630	-6 613	-8 243
2020	7 866	7 866	15 732
2021	-19 983	-5 983	-25 966
2022	27 294	27 215	54 509
2023	-18 169	-21 038	- 39 207
2024	8 170	6 216	14 386

სქესის მიხედვით საქართველოდან ემიგრაციისა და საქართველოში იმიგრაციის სალდოს (ცხრილი 4) მონაცემებიდან ჩანს, რომ კაცებთან შედარებით ქალების წილი მაღალია. ეს იმის შედეგია, რომ ქალები სჭარბობენ როგორც ემიგრანტებში ასევე იმიგრანტებში. ასეა, როგორც სწავლის, ასევე დასაქმების მოტივით უცხოეთში წასულ თუ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებულ პირებს შორის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2018 წელს ჩატარებული სტუდენტი ახალგაზრდობის სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით ქვეყნიდან წასვლის მოტივაცია გოგონებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე ვაჟებში. საინტერესოა, რომ უცხოეთში წასვლის მსურველთა თითქმის ნახევარი უკან დაბრუნებას აპირებს. სხვადასხვა გამოკვლევებით დადგენილია, რომ დასაქმების მოტივით უცხოეთში წამსვლელთა შორის ქალები კაცებს მნიშვნელოვნად აჭარბებენ და ამიტომაცაა, რომ მათი წილი როგორც ემიგრანტებში, ასევე, იმიგრანტებშიც მაღალია.

ცხრილებიდან (3, 4) ჩანს, რომ გარკვეულად განსხვავებულია 2022 წლის მონაცემები, როცა საქართველოში დაფიქსირდა ქალებისა და კაცების იმიგრაციის საკმაოდ დიდი რიცხვი. სავარაუდოა, ეს, ძირითადად, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ განაპირობა.

რამდენიმე წელია, საქართველოს სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი, ცირკულარული მიგრაციის შედეგად, მთავრობათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული ვადით, სხვა ქვეყნებში აგრძელებს შრომით საქმიანობას. საქართველოს მთავრობას ასეთი შეთანხმებები დადებული აქვს საფრანგეთთან, ისრაელთან, გერმანიასთან, ბულგარეთთან და ა.შ. მართალია, ცირკულარული მიგრაციის მონაწილეთა რიცხვი დიდი არაა, მაგრამ ეს პროცესი, საქართველოში შრომის ბაზრის

დაძაბულობის შემცირებაზე მაინც დადებითად მოქმედებს, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცირკულარული მიგრაციის მონაწილენი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ახალი შრომითი გამოცდილებით უბრუნდებიან ქვეყანას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ,,საქსტატის" მონაცემებით საქართველოში ძალიან დიდია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მე-19 და მე-20 კონფერენციებზე მიღებული ახალი სტანდარტების გათვალისწინებით გაანგარიშებული **,,სამუშაო ძალის გარეთ" მყოფი მოსახლეობის რიცხვი (2020 წელს-1467,8 ათასი, 2024 წელს 1343,8 ათასი, 2025 წელს კი 1349,4 ათასი კაცი)[34], ანუ სამუშაო ასაკის იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც არც დასაქმებულია და არც ეძებენ სამუშაოს.** როგორც ჩანს, საქართველოში, დასაქმებული და ,,სამუშაო ძალის გარეთ" მყოფი მოსახლეობის რიცხვი თითქმის არ განსხვავდება, რაც საყურადღებოა. ,,სამუშაო ძალის გარეთ" მყოფი მოსახლეობის ასეთი დიდი რიცხვი შეიძლება განპირობებული იყოს სამუშაო ადგილების დეფიციტით, დასაქმების მსურველთა დაბალი კვალიფიკაციით, შრომის დაბალი ანაზღაურებით, მიღებული განათლების შესატყვისი სამუშაოს პოვნის შეუძლებლობით, არაკეთილსასურველი სამუშაო პირობებით და ა.შ. უფრო კონკრეტული დასკვნების გასაკეთებლად კი საჭიროა სპეციალური კვლევის ჩატარება. სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) დინამიკას გვიხასიათებს ცხრილი 5.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2005-2025 წლებში ქვეყნის სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) და დასაქმებული მოსახლეობა შემცირდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასა და გარე მიგრაციაში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული უარყოფითი ტენდენციების შედეგია.

სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის)
დინამიკა საქართველოში 2005-2025წწ
(ათასი კაცი)

ცხრილი 5

	წ ლ ე ბ ი							
	2005	2010	2015	2020	2022	2023	2024	2025
სამუშაო ძალა	2023,9	1944.9	2021,5	1523.7	1551,6	1596,3	1629.5	1613,7
მ.შ. დასაქმებული	1744,6	1628,1	1779,9	1241.8	1283,7	1334,6	1402,5	1389,7
აქედან: დაქირავებული	600.5	618,6	753.4	845,3	870,9	920,4	960,4	-
თვითდასაქმებული	1143,3	1007,1	1018,1	395,9	412,1	413,6	441.5	-
უმუშევარი	279,3	316,9	241,6	281,9	316,2	261.7	227,0	224,0
უმუშევრობის დონე	13,8	16,3	12,0	18,5	17,3	16,4	13,9	13.9

წყარო: https://www.geostat.ge 2019 წლისა და მომდევნო მონაცემები გადაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით. მანამდე იანგარიშებოდა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით

სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) დემოგრაფიული ასპექტების მიმოხილვიდან შეიძლება რამდენიმე მოკლე დასკვნის გაკეთება:

[34] საქსტატი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

1. საქართველოში მოკვდაობის მაჩვენებელი დაბალი არაა და მის შემცირებაზე ზრუნვა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ, უკანასკნელ წლებში, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგად, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობისა და სამუშაო ძალის კლება, ძირითადად, შობადობის შემცირების შედეგია;
2. ჩვენს ქვეყანაში 2019 წლიდან ჩამოყალიბებული ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირების ტენდენციის ნეგატიური ტალღისებური გავლენა მომავალშიც საგრძნობი იქნება, ამიტომ, შობადობის ამაღლების ქმედითი ღონისძიებები დროულად უნდა გატარდეს;
3. საქართველოში შობადობის ასამაღლებლად საპატრიარქოს ინიციატივებთან ერთად აუცილებელია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზება. ამ მხრივ საყურადღებო და გასათვალისწინებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის პროფესორების (ა. სულაბერიძე, ი. არჩვაძე) მიერ შემოთავაზებული შობადობის ამაღლების პროგრამული გათვლები;
4. ამჟამად ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის თანაფარდობა სტაბილური არაა, მაგრამ ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების, შრომის ანაზღაურების ზრდის, განათლების სისტემის სრულყოფისა და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად სავარაუდოა, რომ იმიგრანტების რიცხვი გაიზრდება და გარე მიგრაცია მოსახლეობის რიცხვის ზრდისა და სამუშაო ძალის შევსების წყარო გახდება;
5. დღეს, იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყნაში უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, სხვა ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმების საფუძველზე საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმება გამართლებულია, რადგან ამით, ნაწილობრივ მაინც მცირდება საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული დაძაბულობა და გარკვეული პერიოდის შემდეგ ქვეყანას უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები დაუბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონი ,,შრომითი მიგრაციის შესახებ“, თბ., 01.15.2015. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=7

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. 26/06/2025. (საქართველოში იმიგრანტების დასაქმების რეგულირების შესახებ.)https://matsne.gov.ge/ka/document/view/6839931?publication=0

საქსტატი. https://www.geostat.ge/ka

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, თბ., 2024 გვ.142-149.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „ოჯახის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში“,, თბ., 2025. გვ. 34.

მენაბდიშვილი ლ. (2025). ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო,გვ.153-159.
სულაბერიძე, ა., არჩვაძე, აფციაური, გ. (2021) საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია და ვიზალიბერალიზაცია. გვ.69-72.
შელია მ. (2018), საქართველოდან ქალთა შრომითი ემიგრაციის თავისებურებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის კოლექტიური მონოგრაფია „მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში."
შელია მ. (2024), სასწავლო მიგრაცია საქართველოდან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული მიგრაციის შემსწავლელი ცენტრი, გვ.21-26.
ხურციძე ა. (2023) ცირკულარული შრომითი მიგრაცია და საქართველო: გამოცდილება და გამოწვევები. https://admin.vectors.ge/custom-files/1747989109

Demographic Aspects of the Labor Force (Economically Active Population) in Georgia

Miron Tugushi
Doctor of Economics, Researcher
Iliauni Institute of Demography and Sociology
tugushim@gmail.com

Summary

The article analyzes the dynamics and determining factors of the demographic characteristics shaping the labor force in Georgia, namely fertility, mortality, natural increase/decrease, and external migration. It is noted that due to a more rapid decline in fertility relative to mortality, the country has experienced a natural population decline since 2020. This is assessed as an acute existential problem, the resolution of which requires the joint efforts of all branches of government. Attention is focused on both the demographic and non-demographic factors contributing to the decline in fertility. The article highlights the statement by the Catholicos-Patriarch of All Georgia, Shio III, reaffirming that the tradition of mass baptisms established by Ilia II will continue. While this is a welcome development, the author argues that this initiative alone cannot rectify the severe demographic crisis regarding fertility in Georgia. The author aligns with the consensus among researchers that the development and implementation of a targeted state program is essential to address this issue. The article assesses the volatile trends of external migration, noting that the high intensity of emigration is driven by unfavorable living standards, scarce employment opportunities, low-income levels, and the desire to pursue higher- quality education, among other factors. The author argues that although visa liberalization does not explicitly provide for legal employment abroad, this factor has nevertheless positively contributed to the increase in the number of emigrants. Furthermore, the article focuses on measures to reduce emigration from Georgia and facilitate the return of emigrants to their homeland, which, according to the author, will have a positive impact on the country's population growth.

Keywords: Fertility, Mortality, Natural increase/decrease, Emigrants, Immigrants, Net migration.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა

ნინო აბესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.abesde@tsu.ge

ნათია აბულაძე
ეკონომიკის მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
natia.abuladze409@eab.tsu.ge

ანოტაცია. *სტატია ეძღვნება თავშესაფარში მყოფ ძალადობის მსხვერპლ ქალთა კომპლექსურ ეკონომიკურ-სტატისტიკურ შესწავლას საქართველოში. მონაცემთა ბაზა ფორმირებულ იქნა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პირველადი ემპირიული მონაცემების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ATIPFUND) ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. ნაშრომში განხილულია ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ოჯახური ძალადობა საქართველოში ქრონიკული ხასიათისაა; ეკონომიკური დაუცველობა მისი ძირეული ხელშემწყობი ფაქტორია; ხოლო განათლება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად (p = 0.025) ასოცირდება ძალადობის ტიპთან. ადმინისტრაციული მონაცემების მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის რეგისტრირებული მაჩვენებელი დაახლოებით 3.2–3.6 პრომილეს (‰) შეადგენს, ანუ ყოველ 1000 ქალზე 3.2–3.6 რეგისტრირებულ მსხვერპლს. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები ძალადობის პრევენციის, ეკონომიკური გაძლიერების, ინტეგრირებული სერვისების დანერგვის მიმართულებით.*

საკვანძო სიტყვები: *ოჯახური ძალადობა, მსხვერპლი, თავშესაფარი, პრევენცია, სტატისტიკური ანალიზი.*

შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სოციალური პრობლემაა, რომელიც სცდება კერძო ცხოვრების საზღვრებს და სტრუქტურული ხასიათის ფენომენს წარმოადგენს (Galtung, 1969; Heise, 1998). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, გლობალურად 15 წელს ზემოთ ასაკის ქალთა დაახლოებით 27%-ს ცხოვრების რომელიმე მონაკვეთში გამოუცდია ინტიმური პარტნიორის მიერ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (WHO, 2021). ეს მაჩვენებლები არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას ასახავს, არამედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ტვირთსაც: უოლბის (Walby, 2009) გაანგარიშებების შემდეგ

ძალადობის, როგორც ეკონომიკური პრობლემის, ცნება მტკიცედ დამკვიდრდა აკადემიურ და პოლიტიკურ დისკურსში.

საქართველოში ბოლო ორ ათწლეულში პრობლემა თანდათან გადავიდა კერძო სივრციდან საჯარო დღის წესრიგში: 2006 წლის კანონი ძალადობის აღკვეთის შესახებ, 2014 წელს შემოღებული შემაკავებელი ორდერის ინსტრუმენტი, 2017 წელს რატიფიცირებული სტამბოლის კონვენცია და 2019 წლის კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ. ამ ინსტიტუციური პროგრესის მიუხედავად, ემპირიული მტკიცებულებები მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკური პროფილის შესახებ კვლავ შეზღუდულია. ეკონომიკური მოწყვლადობა, სოციალური სტიგმა და რეპორტირების დაბალი დონე ერთობლივად ფარავს პრობლემის რეალურ მასშტაბს (World Bank, 2019; UN Women & Geostat, 2023).

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ოჯახური ძალადობის ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. კვლევის თეორიული საფუძველი კი ოთხ ურთიერთშემავსებელ მიდგომას ეყრდნობა. გალტუნგის (Galtung, 1969) ტრიადა — პირდაპირი, სტრუქტურული და კულტურული ძალადობა — ხაზს უსვამს, რომ ოფიციალური სტატისტიკა ძირითადად მხოლოდ პირდაპირ ძალადობას აღრიცხავს, ხოლო სტრუქტურული და კულტურული განზომილებები, რომლებიც სწორედ პირდაპირი ძალადობის ფუნდამენტს ქმნიან, სტატისტიკურ ჰორიზონტს მიღმა რჩება.

ჰაიზეს ეკოლოგიური მოდელი (Heise, 1998) ვიქტიმიზაციის რისკს ოთხ დონეზე — ინდივიდუალურ, ურთიერთობით, საზოგადოებრივ და მაკროსოციალურ — ანაწილებს და ხსნის, თუ რატომ ვერ განმარტავს ვიქტიმიზაციის ვარიაციას ცალკე აღებული ვერცერთი ცვლადი. ეს მოდელი უშუალოდ პროგნოზირებს იმას, რაც ორივე ჩვენს კვლევაში დადასტურდა: არცერთი ცალკე აღებული სოციალურ-ეკონომიკური ცვლადი არ იძლევა ვიქტიმიზაციის ძლიერ პრედიქტორს. უოკერის (Walker, 1979) ძალადობის ციკლის თეორია — დაძაბულობის დაგროვება, მწვავე აქტი, შერიგება — ხსნის განმეორებითი ვიქტიმიზაციის დომინანტობას. ჯონსონის (Johnson, 2008) ტიპოლოგია კი გამიჯნავს „სიტუაციურ წყვილურ ძალადობასა“ და „ინტიმურ ტერორიზმს“, რაც კრიტიკულია ჩვენი ორი შერჩევის განსხვავების ინტერპრეტაციისთვის. დამატებით, ადამსისა და კოლეგების (Adams et al., 2008) ეკონომიკური ძალადობის შკალა (SEA) ოთხ ქვეკატეგორიად ყოფს ეკონომიკურ ძალადობას: ეკონომიკური კონტროლი, დასაქმების საბოტაჟი, ეკონომიკური ექსპლუატაცია და ფინანსური დამოკიდებულების იძულებითი გენერირება. კრენშოუს (Crenshaw, 1989) ინტერსექციურობა ხსნის, თუ რატომ საჭიროებს ანალიზი დესაგრეგირებას.

მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ნაშრომის რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდებს (სიხშირული განაწილებები, ცენტრალური ტენდენციისა და ცვალებადობის მაჩვენებლები), დაჯგუფების, კორელაციური და დროითი მწკრივების ანალიზს, ხოლო გამოვლენილი კავშირების სტატისტიკური მნიშვნელობის შესაფასებლად სპირმენის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტს. თეორიული ნაწილი ეყრდნობა ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის ზოგადსამეცნიერო მეთოდებს. მონაცემთა ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულია ცხრილური და გრაფიკული ფორმები, რომელთა შერჩევა ემყარება ტაფტის (Tufte, 2001) კლასიკურ პრინციპებს რაოდენობრივი ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენის შესახებ.

მონაცემთა ბაზების ფორმირება განხორციელდა ადმინისტრაციული მონაცემებისა და ჩატარებული ორი დამოუკიდებელი ემპირიული კვლევის შედეგების საფუძველზე. პირველი მოიცავდა მოსახლეობის გამოკითხვას ხუთი რეგიონის მიხედვით და მეორე კი თავშესაფრებში მყოფ ბენეფიციართა გამოკვლევას.

მონაცემების მოპოვებისას ადმინისტრაციული კომპონენტი მოიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებს (2021–2025) (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2025), სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს (ATIPFUND) ადმინისტრაციულ სტატისტიკას (2014–2024) და საქსტატის გენდერული სტატისტიკის ბაზას (2013–2025) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025).

ჩვენს მიერ ორგანიზებული მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა თბილისში, შიდა ქართლში, იმერეთში, აჭარასა და კახეთში. რესპონდენტთა ასაკი განისაზღვრა 18 წელი და მეტით და რეპრეზენტატიულმა პოპულაციამ, რომელიც განსაზღრვულ იქნა კოკრანის (Cochran, 1977) ფორმულით 95%-იანი სანდოობის ($z = 1.96$), 5%-იანი ცდომილების ზღვრისა და $p = 0.5$-ის პირობებში, შეადგინა 345 რესპონდენტი. კითხვარი დაეგზავნა 450 პირს. გამოპასუხების მაჩვენებელი იყო 365. ადმინისტრაციული მონაცემების მიხედვით რეგისტრირებულ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 7,304-ს შეადგენდა. რაც შეეხება თავშესაფრებში მყოფ ბენეფიციართა სტრუქტურირებულ გამოკითხვას, ის ჩატარდა სამი თვის განმავლობაში. გამოკითხულ იქნა თვეში საშუალოდ 17 ბენეფიციარი. კითხვარი მოიცავდა 20 შეკითხვას, რომელიც ჩაშლილი იყო სოციო-დემოგრაფიულ, სიტუაციურ და სერვისის შეფასების ბლოკებში.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის შერჩევაში ჯგუფებს შორის განსხვავებების შესაფასებლად გამოყენებულია პირსონის χ^2-ტესტი ($\alpha = 0.05$), ეფექტის ზომა — კრამერის V. თავშესაფრის კვლევაში, სადაც $N = 51$ და უჯრედების მოსალოდნელი სიხშირეები ერთეულზე ნაკლებია, χ^2-ტესტის ვალიდურობის საბაზისო დაშვება ირღვევა; შესაბამისად, კავშირები შეფასდა სპირმენის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტით, რომელიც შესაფერისია ორდინალური და ბინარული ცვლადებისთვის და არ მოითხოვს ნორმალურობის დაშვებას.

შედეგები

2021–2025 წლების ადმინისტრაციული მონაცემების (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2025) ანალიზმა აჩვენა, რომ ვარიაციის კოეფიციენტი ყველა ძირითადი მაჩვენებლისთვის 10%-ზე ნაკლებია (3.62%–6.73%), რაც ერთობლიობის მაღალ ერთგვაროვნებაზე მიუთითებს და საშუალო სიდიდის ტიპურობას ადასტურებს. დინამიკა არ არის მონოტონური — იგი მიჰყვება „კლება–ზრდა–ზრდა–კლება“ ნიმუშს, პიკით 2023 წელს, როდესაც კაცი მოძალადეების რაოდენობა 12.30%-ით, ხოლო ქალი მსხვერპლების რაოდენობა 10.24%-ით გაიზარდა.

სტრუქტურული მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოძალადეთა გენდერული თანაფარდობა, რომელიც 2021 წლის 4.91-დან 2025 წლის 5.93-მდე, ანუ +20.7%-ით გაიზარდა. ეს განამტკიცებს თეზისს, რომ ოჯახური ძალადობა ინსტიტუციურად სულ უფრო მკაფიოდ ფიქსირდება მამაკაცური ფენომენის სახით. პირთა რაოდენობა შემაკავებელ ორდერზე სტაბილურია (1.62–1.76), რაც ცხადყოფს, რომ სტრუქტურულად ფიქსირდება არა ცალკეული, არამედ მცირე-ჯგუფური (ოჯახური) ინციდენტები.

ჩვენს მიერ ასევე გაანგარიშებული იქნა ქალთა ვიქტიმიზაციის ინტენსივობის კოეფიციენტი, როგორც ქალთა რაოდენობისა და ქალთა მთლიანი რიცხოვნობის თანაფარდობა ყოველ 1000 ქალზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025), ქალთა რიცხოვნობამ 2,078,000 შეადგინა.

ცხრილი 1. ქალთა ვიქტიმიზაციის ინტენსივობის მაჩვენებელი (‰), 2021–2025.

მაჩვენებელი	ინტენსივობა (‰)
საშუალო წლიური მნიშვნელობა (7,028.6 ქალი)	3.43‰
მაქსიმალური მნიშვნელობა (7,446 ქალი)	3.63‰
მინიმალური მნიშვნელობა (6,583 ქალი)	3.21‰

წყარო:ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს 11 წლიანი მონაცემების მიხედვით, პერიოდის განმავლობაში თავშესაფარში ჯამში განთავსებული იყო 1543 ბენეფიციარი, მათი საშუალო წლიური რაოდეობა კი 140.27 პირია ($\sigma = 64.92$; CV = 46.28%). კვლევამ აჩვენა, რომ დინამიკა სამფაზიანია: ჩამოყალიბება (2014–2016), ექსპანსია/პიკი (2017–2020) და კონსოლიდაცია/კლება (2021–2024). 2019 წლის პიკიდან (200 პირი) 2024 წლამდე (135 პირი) დაფიქსირდა 32.5%-იანი კლება (slope = –12.09; $R^2 = 0.843$; $p < 0.01$). მსხვერპლთა 93.97% ქალია (გენდერული შეფარდება 1:15.6).

კვლევის შედეგებით რესპონდენტთა საშუალო ასაკი 39.5 წელია; ყველაზე აქტიური ასაკობრივი ჯგუფი 41–50 წელია (რესპონდენტთა წილი 34.40%-ია), უმცირესი — 18–20 წელი (2.75%).კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის ფორმებიდან ყველაზე გავრცელებულია ფსიქოლოგიური (32.9%), რასაც მოსდევს ფიზიკური (22.2%), სექსუალური (17.6%), ეკონომიკური (16.2%) და იძულება (11.1%). ეს განაწილება შეესაბამება ეროვნულ ადმინისტრაციულ სტატისტიკას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2025), სადაც ფსიქოლოგიური ძალადობა შემთხვევათა 75.2%-ს შეადგენს.

სამწუხაროდ, კვლევის შედეგებმა გამოავლინა განმეორებითი ვიქტიმიზაცის ფაქტები. რესპონდენტთა 42.20%-მა ძალადობა რამდენჯერმე განიცადა, 18.35%-მა — ერთხელ, 2.75%-მა — მუდმივად. ამასთან, დასაქმებულები მსხვერპლთა უდიდეს ჯგუფს (61.47%) წარმოადგენენ, რაც ეჭვქვეშ აყენებს დაშვებას, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ავტომატურად იცავს ძალადობისგან.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში წარმოდგენილია სამივე სოციალურ-ეკონომიკური ცვლადის χ^2-ტესტის შედეგები.

ცხრილი 2. პირსონის χ^2-ტესტების შეჯამება ($\alpha = 0.05$; $N = 368$).

ცვლადი (vs. ძალადობის სიხშირე)	χ^2	df	p	კრამერის V
შემოსავალი	7.25	10	0.702	0.162
ეკონომიკური აქტივობა	8.77	8	0.362	0.178
განათლების დონე	14.67	8	0.066	0.231

წყარო: ავტორების მიერ ჩატარებული კვლევა, 2026.

არცერთი ცვლადი არ აღწევს სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას $\alpha = 0.05$-ზე, თუმცა განათლება ზღვრულ შედეგს იძლევა ($p = 0.066$) და საშუალო ეფექტის ზომას ($V = 0.231$) ავლენს. შემოსავლის ნულოვანი შედეგი ($p = 0.702$) შეესაბამება ინტერპრეტაციას, რომ ძალადობა კვეთს ყველა შემოსავლის დონეს, თუმცა ნაწილობრივ შესაძლოა ასახავდეს დაბალშემოსავლიან ჯგუფებში რეპორტირების დაბალ დონეს: 1,000 ლარამდე შემოსავლის მქონეთა წილი შერჩევაში მხოლოდ 4.13%-ია, მაშინ როცა შემთხვევები კონცენტრირებულია საშუალო ბრეკეტებში (2,001–3,000 და 3,001–4,000 ლარი).

თავშესაფრის კონტინგენტის პროფილი მკვეთრად განსხვავდება ჩვენს მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის შერჩევისგან. რესპონდენტები თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარები არიან. მათი საშუალო ასაკი 37.6 წელია (SD = 14.6, მედიანა 34.5); ბენეფიციართა 75% 21–45 წლის ასაკობრივ დიაპაზონშია, 56.3%-ს საშუალო განათლება აქვს და მხოლოდ 12.5%-ს — სრული უმაღლესი. ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მაჩვენებლები საგანგაშოა. გამოკითხულთა 62.5% უმუშევარია, 75%-ის შემოსავალი 1,000 ლარს არ აღემატება, ხოლო დაქირავებით დასაქმებულია მხოლოდ მათი 12.5%.

ძალადობის ფორმებიდან უპირატესია ფიზიკური (87.5%), რასაც მოსდევს ფსიქოლოგიური (75.0%), ეკონომიკური (31.3%) და იძულება (25.0%). ძალადობა კომპლექსური და მრავლობით ხასიათს ატარებს, ბენეფიციართა 87.5%-ს ერთდროულად რამდენიმე სახის ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. სიხშირის მიხედვით, 56.3% სისტემატიური ძალადობის მსხვერპლი იყო, 37.5% — არაერთგზის, ხოლო ერთჯერადს მხოლოდ 6.3% აღნიშნავს. მოძალადე უპირატესად მეუღლე (31.3%) ან ყოფილი მეუღლეა (25.0%).

კვლევის შედეგების მიხედვით, ჩვენ გავიანგარიშეთ სპირმენის რანგობრივმა კორელაციის კოეფიციენტი, რომელმაც ორი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოავლინა.

ცხრილი 3. სპირმენის კორელაციური მატრიცის ძირითადი შედეგები

ცვლადთა წყვილი	r	P
განათლება ↔ ძალადობის ტიპი	–0.557	0.025*
განათლება ↔ ოჯახური სტატუსი	+0.576	0.020*
ასაკი ↔ ძალადობის ტიპი	–0.30	0.256
ასაკი ↔ განათლება	–0.31	0.241
ეკონომიკური ძალადობა ↔ განათლება	+0.470	0.066
ეკონომიკური ძალადობა ↔ შემოსავალი	–0.258	0.373

წყარო: ავტორების მიერ ჩატარებული კვლევები, 2025–2026.

განათლებასა და ძალადობის ტიპს შორის საშუალო სიძლიერის უარყოფითი კავშირი (r = –0.557, p = 0.025) მიუთითებს, რომ დაბალი განათლების მქონე პირები უფრო მძიმე ან მრავლობითი ტიპის ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. განათლებასა და ოჯახურ სტატუსს შორის დადებითი კავშირი (r = +0.576, p = 0.020) ირიბად მიანიშნებს, რომ განათლებული ქალები უფრო ხშირად ტოვებენ ძალადობრივ ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ სპირმენის კოეფიციენტი კაუზალური მიმართულების დადგენის საშუალებას არ იძლევა — კავშირი შეიძლება ასახავდეს როგორც განათლების განმათავისუფლებელ ეფექტს, ისე სელექციის ეფექტს.

ბენეფიციარ-რესპონდენტთა რეგიონული ჭრილის მიხედვით გაკეთებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ფარდობითი ინდექსი ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (1.79), აჭარასა (1.56) და კახეთში (1.56) . შესაბამისად სამივე რეგიონში ფუნქციონირებს სახელმწიფო თავშესაფარი. ქვემო ქართლის რეგიონისთვის ეს ინდექსი 0.57-ია, რაც არ შეგვიძლია ჩავთვალოდ „უსაფრთხოების“ გარანტად. იგი უფრო სავარაუდოდ გამოვლენის სტრუქტურულ ხარვეზზე — ენობრივ ბარიერებზე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მაღალ წილსა და სერვისზე შეზღუდულ წვდომაზე — მიუთითებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ორივე გამოკვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სოციალურ კვლევაში დომინირებს ფსიქოლოგიური ძალადობა (32.9%) და დასაქმებული მსხვერპლი (61.47%); თავშესაფრის კონტინგენტში კი — ფიზიკური ძალადობა (87.5%) და უმუშევარი მსხვერპლი (62.5%). ეს არ არის წინააღმდეგობა, არამედ სელექციის კასკადის სტრუქტურული ანარეკლი: ფსიქოლოგიური ძალადობა უფრო ხშირად აღწევს რეგისტრს, თუმცა სწორედ ფიზიკური საფრთხის ესკალაცია და ეკონომიკური რესურსების ამოწურვა ხდება იძულებითი მიგრაციის — თავშესაფარში მოხვედრის — მთავარი პირობა.

ცხრილი 4. ორი დამოუკიდებელი კვლევის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.

პარამეტრი	სოციალური კვლევის შერჩევა (N = 365)	თავშესაფრის კვლევის შერჩევა (N = 51)
საშუალო ასაკი	39.5 წელი	37.6 წელი
დომინანტური ფორმა	ფსიქოლოგიური (32.9%)	ფიზიკური (87.5%)
დასაქმების სტატუსი	დასაქმებული 61.47%	უმუშევარი 62.5%

პარამეტრი	სოციალური კვლევის შერჩევა (N = 365)	თავშესაფრის კვლევის შერჩევა (N = 51)
განმეორებითი ვიქტიმიზაცია	42.2% (რამდენჯერმე)	93.8% (სისტ./განმეორ.)
უმაღლესი განათლება	49.54%	12.5%
განათლების ეფექტი	p = 0.066 (ზღვრული)	p = 0.025 (მნიშვნელოვანი)

წყარო: ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, 2025–2026.

ორივე კვლევაში ერთადერთი ცვლადი, რომელიც თანმიმდევრულად ავლენს კავშირს ვიქტიმიზაციასთან, განათლებაა, რეგიონების მიხედვით მოსახლეობის გამოკითხვისას, სოციალური კვლევის შერჩევაში ზღვრულ დონეზე (p = 0.066, V = 0.231), თავშესაფრის შერჩევაში კი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად (p = 0.025). ეს კონვერგენცია, ორი მეთოდოლოგიურად დამოუკიდებელი კვლევის ფონზე, განათლების, როგორც დამცავი კაპიტალის, თეზისს მნიშვნელოვნად აძლიერებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახური ძალადობა საქართველოში სტრუქტურულად მოწესრიგებული, გენდერულად ასიმეტრიული და ეკონომიკურად ფესვგადგმული ფენომენია, რომელიც ვერ ინტერპრეტირდება როგორც სქესობრივად ნეიტრალური ოჯახური კონფლიქტი. ძალადობა ქრონიკული და კუმულაციური ხასიათისაა, სახეზეა განმეორებითი ვიქტიმიზაცია ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფისათვის და თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარების 93.8%-სთვის. სოციალურ-ეკონომიკური ცვლადებიდან განათლება ერთადერთია, რომელიც ორივე დამოუკიდებელ კვლევაში თანმიმდევრულ დამცავ ეფექტს ავლენს.

ამ მიგნებებიდან გამომდინარეობს რიგი პრიორიტეტული რეკომენდაციები:

აუცულებელია მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების გაფართოება. თავშესაფარში ბენეფიციარების კვლევისას პრევენციულ საჭიროებებში ეკონომიკურ გაძლიერებას 62.5% უკავია, თუმცა პროფესიულ გადამზადებას მხოლოდ 31.3% იღებს; ეს 31.2 პროცენტული პუნქტით სხვაობა სუბიექტურ მოთხოვნასა და ინსტიტუციურ შემოთავაზებას შორის აუცილებელს ხდის მიკრო-კრედიტირების სქემების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სამუშაო საათებზე მორგებული საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობისა და დასაქმების სუბსიდირების მექანიზმების დანერგვას.

განათლების, როგორც სტატისტიკურად დადასტურებული დამცავი ფაქტორის, ინსტრუმენტალიზაცია: ჯანსაღი ურთიერთობების, ფინანსური წიგნიერებისა და გენდერული თანასწორობის საკითხები სავალდებულო დისციპლინებისა და საგნების ჩამონათვალში უნდა გადავიდეს, ხოლო საუნივერსიტეტო დონეზე უნდა გაფართოვდეს ძალადობის სტატისტიკის სპეციალიზებული კურსები.

ვთვლით, რომ საჭიროა რეგიონული დეცენტრალიზაცია: მობილური კრიზისული ცენტრების შემოღება თავშესაფრის არმქონე რეგიონებში, ადგილობრივ თვითმმართველობებთან კოორდინირებული რეფერალის გაძლიერება და ციფრული პლატფორმების განვითარება, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერების მქონე ქვემო ქართლისთვის, სადაც ფარდობითი ინდექსი (0.57) სერვისულ უდაბნოზე მიუთითებს.

მიზანშეწონილია სტატისტიკური აღრიცხვის ჰარმონიზაცია: უწყებათაშორისი ერთიანი მონაცემთა პლატფორმის შექმნა, რომელიც ერთ მეთოდოლოგიაზე დაიყვანს შსს-ის, პროკურატურის, უზენაესი სასამართლოს, ATIPFUND-ისა და საქსტატის მონაცემებს; მოსახლეობრივი გავრცელების კვლევის ხუთწლიანი პერიოდულობით რეგულარიზაცია; EIGE-ის (2017) ინდიკატორთა სისტემაზე ჰარმონიზაცია. აღნიშნული ნაბიჯები სრულად შეესაბამება საქართველოს ვალდებულებებს CEDAW-ისა და სტამბოლის კონვენციის (GREVIO) მონიტორინგის ფარგლებში.

დასასრულ, ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა ვერ შემოიფარგლება მსხვერპლთა შემდგომი მხარდაჭერით — იგი მოითხოვს ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, სამართლებრივ, ინსტიტუციურ და სტატისტიკურ ინსტრუმენტთა კოორდინირებულ მუშაობას. სწორედ ამ ინტეგრირებული მიდგომის ფარგლებშია შესაძლებელი „ბნელი ციფრის“ ეტაპობრივი შემცირება და სტატისტიკური ეთიკის სრული დაცვით მონაცემების ანალიზის საფუძველზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირება და გატარება.

გამოყენებული ლიტერატურა

გელაშვილი, ს., და მიქელაძე, გ. (2021). სტატისტიკური პროგნოზირება სოციალურ სფეროში: ლექციების კურსი (ელ. ვერსია). თბილისი: თსუ.

მჭედლიშვილი, ლ. (2019). ოჯახში ძალადობის მაჩვენებელთა აღრიცხვის გაუმჯობესება სასამართლო სტატისტიკაში. კრებულში: სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. თბილისი: უნივერსალი.

გელოვანი, ნ. (2022). დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი 2020 წლის ანგარიშის ანალიზი. ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 22.

ჩარექიშვილი, ლ. (2019). ოჯახში ძალადობის სტატისტიკის წარმოება და მეთოდოლოგია საქართველოში. კრებულში: სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. თბილისი: უნივერსალი.

აბესაძე, ნ. (2018). ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ასპექტები. https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/c0deb551-6bcb-429d-85cc-43aafa54be89/content.

Abesadze, N., Paresashvili, N., & Kinkladze, R. (2019). Are women’s rights protected in Georgia? Statistics and reality. Open Economics, 2, 124–138.

Adams, A. E., Sullivan, C. M., Bybee, D., & Greeson, M. R. (2008). Development of the Scale of Economic Abuse. Violence Against Women, 14(5), 563–588.

Cochran, W. G. (1977). Sampling techniques (3rd ed.). John Wiley & Sons.

Crenshaw, K. (1989). Demarginalizing the intersection of race and sex. University of Chicago Legal Forum, 1989(1), 139–167.

European Institute for Gender Equality. (2017). Glossary of definitions of rape, femicide and intimate partner violence. Vilnius: EIGE.

Galtung, J. (1969). Violence, peace, and peace research. Journal of Peace Research, 6(3), 167–191.

Heise, L. L. (1998). Violence against women: An integrated, ecological framework. Violence Against Women, 4(3), 262–290.

Jashi, C. (2005). Gender economic issues: The case of Georgia. Sida.
Johnson, M. P. (2008). A typology of domestic violence. Boston: Northeastern University Press.
UN Women & National Statistics Office of Georgia. (2023). National study on violence against women in Georgia 2022. Tbilisi: UN Women.
Walby, S. (2009). The cost of domestic violence: Update 2009. Lancaster University.
Walker, L. E. (1979). The battered woman. New York: Harper & Row.
World Bank. (2019). Gender-based violence (violence against women and girls).
World Health Organization. (2021). Violence against women prevalence estimates, 2018. Geneva: WHO.
საქართველოს სახალხო დამცველი. (2023). ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში. თბილისი.
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. თბილისი: საქსტატი.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2025). ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა (2021–2025). თბილისი: საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.

Economic and Statistical Survey of Victims of Domestic Violence

Nino Abesadze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.abesde@tsu.ge

Natia Abuladze
Master of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
natia.abuladze409@eab.tsu.ge

Summary

The article is dedicated to a comprehensive economic and statistical study of women victims of violence living in shelters in Georgia. The database was formed based on the primary empirical data from our research, as well as administrative data from the Ministry of Internal Affairs and the State Care and Assistance Agency for Victims of Trafficking and Abuse (ATIPFUND). Quantitative and qualitative research methods were used during the study. The paper discusses the theoretical and methodological foundations of statistical research on violence against women. The research results confirm that domestic violence in the Georgian context is chronic and multiple in nature; economic vulnerability is a key contributing factor; and education is statistically significantly associated with the type of violence ($p = 0.025$). According to administrative data, the registered rate of violence against women is about 3.2–3.6 per mille (‰), meaning there are 3.2–3.6 registered victims for every 1,000 women. The paper provides recommendations on violence prevention, economic empowerment, and the implementation of integrated services.

Keywords: domestic violence, victim, shelter, prevention, statistical analysis.

საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრის თანამედროვე ტენდენციები

რუსუდან ქინქლაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველს ტექნიკური უნივერსიტეტის
r.kinkladze@gtu.ge

ანოტაცია. *საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარი ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორად ჩამოყალობდა, იზრდება ამანათების რაოდენობა, გაწეული მომსახურების მოცულობა, საფოსტო და საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.*

კვლევის მიზანია საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. შედეგები. კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ბაზრის სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია მრავალსეგმენტიანი კონკურენტული გარემო, რომელშიც ეროვნული ოპერატორი უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხელმისაწვდომობას, კვლერვის შედეგებით 2016–2024 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საფოსტო-საკურიერო სექტორის მთლიანი შემოსავლები, ისე ამანათების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები. საკვლევ პერიოდში შემოსავლები საშუალოდ ყოველ წელს 20%-ით, ხოლო ამანათების რაოდენობა 33%-ით იზრდებოდა. მარტო ამანათებიდან მიღებული შემოსავლების საშუალო წლლიურმა ზრდის ტემპმა 130% შეადგინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტიპის შემოსავლები ყოველო წელს საშუალოდ 30%-ით იზრდებოდა. ამავე დროს, გზავნილების რაოდენობის საშუალოწლიური მატების ტემპიც მზარდია და 33%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში გამოიკვეთა წერილობითი კორესპონდენციის წილის თანდათანობითი შემცირება, ხოლო ამანათების მომსახურება სექტორის განვითარების ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საერთაშორისო გზავნილები კვლავ დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა ბოლო წლებში ადგილობრივი ამანათების წილის ზრდა შიდა ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციაზეც მიუთითებს.

საკვანძო სიტყვები: *საფოსტო-საკურიერო მომსახურება,სტრუქტურა, ცვლიელბა ტენდენცია, ანალიზი*

შესავალი. ბოლო წლებში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, ელექტრონული კომერციის (E-commerce) სწრაფმა ზრდამ და გლობალური პანდემიის შედეგად მომხმარებელთა ქცევის ტრანსფორმაციამ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ, სტრატეგიულ და მაღალკონკურენტულ სფეროდ ჩამოაყალიბა. საერთაშორისო ელექტრონული სავაჭრო პლატფორმებიდან (Amazon, AliExpress, Taobao, Temu და სხვ.) გზავნილების ნაკადების ზრდამ და ადგილობრივი ელექტრონული კომერციის გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საფოსტო და საკურიერო მომსახურებაზე მოთხოვნა. აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო სექტორის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, ამანათების მომსახურების წილის ზრდასა და ლოგისტიკური პროცესების განვითარების დაჩქარებას. შესაბამისად,

საქართველოს საფოსტო-საკურიერო ბაზარზე არსებული თანამედროვე ტენდენციების, გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების კომპლექსური ანალიზი აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური ინფრასტრუქტურისა და ელექტრონული კომერციის შემდგომ ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი, სტრუქტურული ცვლილებებისა და განვითარების განმაპირობებელი ფაქტორების კომპლექსური შეფასება. კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, უნივერსალური საფოსტო კავშირის (UPU), მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს. ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდები გამოკვლევის ეტაპების შესაბამისად.

მთავარი ტექსტი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საფოსტო და საკურიერო მომსახურების მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება. მიუხედავად სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებისა, საფოსტო სექტორი დღემდე წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბური მომსახურების ქსელს, რომელიც 679 ათასზე მეტ საფოსტო განყოფილებას და დაახლოებით 4.6 მილიონ თანამშრომელს აერთიანებს (UPU, 2025). ტრადიციული საფოსტო მომსახურების მოდელი, რომლის ძირითად ფუნქციას წერილობითი კორესპონდენციის მიწოდება წარმოადგენდა, თანდათანობით ელექტრონულ კომერციაზე (E-commerce) ორიენტირებულ მრავალფუნქციურ ლოგისტიკურ სისტემად გარდაიქმნა. აღნიშნული ტრანსფორმაცია ძირითდად ინტერნეტის ფართო გავრცელებით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებითა და საერთაშორისო ონლაინ-ვაჭრობის სწრაფი გაფართოებითაა განპირობებული. შედეგად, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში წერილობითი კორესპონდენციის მოცულობა სტაბილურად მცირდება, ხოლო ამანათებისა და საკურიერო მომსახურება საფოსტო სექტორის ეკონომიკური მდგრადობისა და განვითარების მთავარ წყაროდ იქცა (UPU, 2025).

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ლოგისტიკური სისტემების ეფექტიანობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. ეფექტიანი ლოგისტიკური ქსელები ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, ზრდის მიწოდების ჯაჭვების საიმედოობასა და მდგრადობას, ამცირებს შეფერხებებს საქონლის გადაადგილების პროცესში და აძლიერებს ქვეყნების ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. ამასთან, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლოგისტიკური პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციას, მიწოდების ჯაჭვების გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას, რაც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევა (World Bank, 2023).

ლოგისტიკური სექტორის განვითარების თანამედროვე მიმართულებებს ასახავს საერთაშორისო კვლევებიც. DHL-ის *Logistics Trend Radar 7.0*-ის მიხედვით, (DHL, 2024) მომდევნო წლებში ლოგისტიკის სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად დაეფუძნება ხელოვნური ინტელექტის (AI), დიდი მონაცემების (Big Data) ანალიტიკის, სასაწყობე პროცესების ავტომატიზაციის, ავტონომიური სისტემების, თვითმომსახურების

ამანათების ტერმინალების (Parcel Lockers) და ეკოლოგიურად მდგრადი ლოგისტიკური გადაწყვეტილებების ფართო დანერგვას. აღნიშნული ტექნოლოგიური ინოვაციები ხელს შეუწყობს ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას, მიწოდების დროის შემცირებას, ხარჯების ოპტიმიზაციასა და მომხმარებლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (DHL, 2024)

McKinsey & Company-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით თანამედროვე საფოსტო ოპერატორები ფუნქციონირებენ სწრაფად ცვალებად კონკურენტულ გარემოში, სადაც ტრადიციული წერილობითი გზავნილების მოცულობა სტაბილურად მცირდება, ხოლო ამანათების ბაზარი ელექტრონული კომერციის განვითარების ფონზე განაგრძობს ზრდას. აღნიშნულ პირობებში საფოსტო კომპანიებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქმიანობის გადატანა ამანათებზე ორიენტირებულ (parcel-first) ოპერაციულ მოდელზე, ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, „ბოლო მილის“ (Last Mile Delivery) მომსახურების განვითარება, საზღვარგარეთული ელექტრონული კომერციის (cross-border e-commerce) შესაძლებლობების გამოყენება და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდა მონაცემთა ანალიტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით (Dragendorf, J.; Hans, M.; Pacca, M.; Beretzky, E.; Zimmermann, T.;, 2024)

ზემოაღნიშნული გლობალური ტენდენციები მკაფიოდ აისახება საქართველოშიც. ბოლო წლებში ქვეყნის საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარი მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდის, რაც საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სექტორის ტრანსფორმაციას, ელექტრონული კომერციის ზრდასთან ადაპტაციასა და თანამედროვე ლოგისტიკური მომსახურების განვითარებას ასახავს (UPU, 2025).

გლობალურ ლოგისტიკურ სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები მკაფიოდ აისახა საქართველოზეც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. ტრადიციული საფოსტო მომსახურება თანდათანობით გარდაიქმნა უფრო ფართო ლოგისტიკურ და ელექტრონულ კომერციაზე ორიენტირებულ მომსახურებად, რასაც ხელი შეუწყო მომხმარებელთა ქცევის ცვლილებამ, ონლაინ ვაჭრობის გაფართოებამ, კერძო საკურიერო კომპანიების გააქტიურებამ და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ. ეს კი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სექტორის ტრანსფორმაციას, ელექტრონული კომერციის ზრდასთან ადაპტაციასა და თანამედროვე ლოგისტიკური მომსახურების განვითარებას ასახავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ნათლად ასახავს საფოსტო-საკურიერო სექტორის სწრაფ განვითარებასა და ტრანსფორმაციას 2016–2024 წლებში (იხ. ცხრ. 1). ანალიზი აჩვენებს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ამანათების მომსახურებისა და ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ოპერაციების მიმართულებით.

ცხრილი 1. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ძირითადი მახასიათებლები (2016-2024 წწ.)

	მთლიანი შემოსავალი, ათასი ლარი	ამანათებიდან შემოსავალი, ათასი ლარი	გზავნილების რაოდენობა, ათასი ცალი	ამანათების რაოდენობა, ათასი ცალი
2016	53,038.60	22,784.20	16,598.10	1,336.40
2017	72,684.90	32,287.00	31,104.50	1,912.00

2018	95,785.40	35,353.20	41,372.40	2,403.70
2019	90,241.60	47,701.10	17,787.40	2,748.20
2020	95,914.90	58,444.80	12,075.90	3,389.40
2021	131,528.30	85,848.40	13,436.20	4,935.30
2022	152,579.70	107,861.80	16,080.20	7,403.10
2023	187,391.60	137,892.70	18,686.40	9,471.60
2024	228,709.40	183,436.00	21,978.20	13,325.00

წყარო: (საქსტატი, 2025), www.geostat.ge

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 წელს საფოსტო-საკურიერო მომსახურების მთლიანი შემოსავალი შეადგენდა **53.0 მლნ ლარს,** ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი **228.7 მლნ ლარამდე** გაიზარდა. შესაბამისად, რვა წლის განმავლობაში სექტორის შემოსავალი დაახლოებით **4.3-ჯერ გაიზარდა.** განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპი შეინიშნება 2021 წლიდან, როდესაც პანდემიის შემდგომ პერიოდში ელექტრონული კომერციისა და ონლაინ ვაჭრობის გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საფოსტო და საკურიერო მომსახურებაზე მოთხოვნა.

საშუალოდ საკვლევ, 2016-2024 წლიან პერიოდში საფოსტო და საკურიერო მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები ყოველ წელს 20%-ით, ხოლო ამანათების რაოდენობა 33%-ით იზრდებოდა. მარტო ამანათებიდან მიღებული შემოსავლების საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 130% შეადგინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტიპის შემოსავლები ყოველო წელს საშუალოდ 30%-ით იზრდებოდა. ამავე დროს, გზავნილების რაოდენობის საშუალოწლიური მატების ტემპიც გაიზარდა და 33% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამანათებიდან შემოსავლები 2024 წელს (183.4 მლნ ლარი) 2016 წელთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა (საქსტატი, 2025). ამავე პერიოდში ამანათებიდან მიღებულ შემოსავლებთან ზრდასთან ერთად თითქმის 9-ჯერ გაიზარდა უშუალოდ გადაზიდული ამანათების ფიზიკური რაოდენობაც. ამის პარალელურად, ფიქსირდება საფოსტო გზავნილების საერთო რაოდენობის კლების ტენდენცია: 2018 წელს გზავნილების საერთო რიცხვმა მაქსიმუმს 41.4 მილიონ ერთეულს მიაღწია, რის შემდეგაც, 2019–2020 წლებში, მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა, კლების ტემპმა საშუალოდ 6,7%-ი შეადგინა. ეს ცვლილება ნათლად ჩანს გრაფიკული გამოსახულებიდანაც (იხ. ნახ. 1).

ნახაზი 1 საფოსტო-საკურიეო მომსახურების მაჩვენებლები (2016-2024 წწ.)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

სავარაუდოდ, ეს დაკავშირებულია ტრადიციული წერილობითი კომუნიკაციის შემცირებასა და ელექტრონული კომუნიკაციის გავრცელებასთან რაც იმაზე მიუთითებს, რომ საფოსტო სექტორის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ ამანათებისა და ელექტრონული კომერციის მომსახურებები გახდა.

გარკვეული ცვლილებები შეინიშნება საფოსტო-საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურაშიც (იხ. ნახ. 2). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს მონაცემებს მხოლოდ წერილებითი კორესპოდენციიდან და ამანათებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2016 წელს საფოსტო გზავნილების სტრუქტურაში წერილობითი კორესპონდენცია დომინირებდა და მისი წილი **29%** იყო, ხოლო ამანათების წილი **43%-ს** შეადგენდა. მომდევნო წლებში შეინიშნება წერილობითი გზავნილების წილის თანდათანობითი შემცირება და ამანათების წილის მუდმივი ზრდა. 2018 წლისთვის წერილების წილი **25%-მდე** შემცირდა, ხოლო ამანათების წილი **53%-მდე** გაიზარდა. 2020 წელს ამანათებმა უკვე **61%** დაიკავა, რაც პირველად აღემატებოდა წერილობითი კორესპონდენციის მაჩვენებელს თითქმის ორჯერ.

ნახაზი 2. საფოსტო და საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურის დინამიკა 2016-2024 წწ. (%)



წყარო: გაანგარიშებულია ავტგორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი დიაგრამა გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით მკაფიო სტრუქტურული ცვლილება ფიქსირდება 2021-2024 წლების პერიოდში. აღნიშნულ დროის ინტერვალში ტრადიციული წერილების წილი 20%-დან 12%-მდე შემცირდა, ხოლო ამანათების ხვედრითი წილი 65%-დან 80%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, 2024 წლის მონაცემებით, ამანათები საფოსტო გზავნილების უდიდეს ნაწილს (80%) შეადგენს, მაშინ როდესაც წერილობითი კორესპონდენციის წილი მინიმუმამდე - 12%-მდეა შემცირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ უშუალოდ ამანათების შიდა სტრუქტურაში სტაბილურად დომინირებს საერთაშორისო გზავნილები. აღნიშნული მაჩვენებელი პირდაპირ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველი მომხმარებელი მასობრივად არის დამოკიდებული უცხოურ ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე (როგორიცაა: Amazon, Temu, AliExpress, Taobao და სხვა). ამავდროულად, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა

ზოგადად საფოსტო ნაკადების შიდა სტრუქტურამაც, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო გზავნილების თანაფარდობის მიმართულებით (იხ. ნახ. 3).

ნახაზი 3. ამანათებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2016-2024 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ამასთანავე, საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა ბოლო წლებში (2022–2024 წწ.) ადგილობრივი ამანათების დინამიკაშიც, რომელთა ხვედრითი წილი 20%-დან 27%-მდე გაიზარდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში შიდა ელექტრონული კომერციაც (ადგილობრივი ონლაინ მაღაზიები, Facebook და Instagram პლატფორმებზე მოქმედი მცირე ბიზნესები) აქტიურ განვითარებას განიცდის (იხ. ნახ. 3). თუმცა, ბაზარზე კვლავ საგრძნობლად მაღალი რჩება საერთაშორისო მიმართულების ამანათების წილი, რამაც პირდაპირი ასახვა პოვა ფინანსურ მაჩვენებლებზეც: კერძოდ, საერთაშორისო ამანათების სეგმენტიდან მიღებული შემოსავლები 2016 წლის 18 246.5 ათასი ლარიდან 2024 წლისთვის 133 253.2 ათას ლარამდე, ანუ 7.3-ჯერ გაიზარდა (საქსტატი, 2025).

COVID-19-ის პანდემიის პერიოდი საფოსტო-ლოგისტიკური ბაზრისთვის გარდამტეხ ეტაპად შეიძლება შეფასდეს. 2020 წელს საფოსტო გზავნილების მთლიანი რაოდენობა შემცირდა, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა საყოველთაო გადაადგილების შეზღუდვებს, საერთაშორისო მიმოსვლის შეფერხებასა და გლობალური ეკონომიკური აქტივობის დროებით რეცესიას. თუმცა, ამავე წელს მკვეთრად გაიზარდა უშუალოდ ამანათების რაოდენობა, რაც მიუთითებს მომხმარებელთა ქცევის რადიკალურ ცვლილებაზე - დისტანციური შეძენის, ონლაინ შეკვეთებისა და საკურიერო მიწოდების სერვისებზე მოთხოვნის ბუმზე. სტატისტიკური დაკვირვება აჩვენებს, რომ ამანათების წილის ზრდის ყველაზე დიდი დიაპაზონი სწორედ 2019–2020 წლებში ფიქსირდება (53%-61%), ხოლო 2021 წლისთვის მისი წილი 65%-მდე გაიზარდა. პანდემიისას, ლოკდაუნების პერიოდში სავაჭრო ობიექტების იძულებითმა დახურვამ აიძულა მომხმარებლები, სრულად გადასულიყვნენ შოპინგის ონლაინ ფორმაზე, რამაც გამოიწვია ეროვნულ ფოსტასა და კერძო ოპერატორებზე ოპერაციული დატვირთვის მკვეთრად გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია პანდემიის დასრულების შემდეგაც არ შენელებულა და 2024 წლისთვის პიკურ მაჩვენებელს - 80%-ს მიაღწია (საქსტატი, 2025).

პანდემიამ, მიუხედავად საწყისი ლოგისტიკური ბარიერებისა, მნიშვნელოვნად დააჩქარა საფოსტო-საკურიერო სექტორის ციფრულ და ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციაზე გადასვლა. ამავე პროცესს ადასტურებს *TBC Capital*-ის კვლევაც, რომლის მიხედვითაც 2021 წელს საქართველოში კურიერული გზავნილების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 46% შეადგინა, რაც უპირატესად ელექტრონული კომერციის განვითარებას უკავშირდებოდა (TBC Capital, 2023). 2022–2024 წლებში ბაზრის ექსპანსია კიდევ უფრო გაძლიერდა: გადაზიდული ამანათების რაოდენობამ 2022 წელს 7.4 მლნ-ს, 2023 წელს - 9.5 მლნ-ს, ხოლო 2024 წელს 13.3 მლნ ერთეულს მიაღწია. ამავდროულად, ამანათებიდან მიღებული შემოსავალი 2024 წელს უკვე სექტორის მთლიანი ფინანსური შემოსავლების დაახლოებით 80%-ს შეადგენდა. ეს დინამიკა ადასტურებს, რომ საფოსტო-საკურიერო ბაზრის ფუნდამენტური სტრუქტურა შეიცვალა: ტრადიციული წერილობითი კორესპონდენციის როლი მცირდება, ხოლო ამანათების ლოგისტიკისა და ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული სერვისების მნიშვნელობა სტაბილურად იზრდება (საქსტატი, 2025).

საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე ფუნქციონირებენ როგორც ეროვნული, ისე კერძო საფოსტო ოპერატორები, რომლებიც მომსახურებას სხვადასხვა ბაზრის სეგმენტში ახორციელებენ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) მიერ წარმოებული ავტორიზებული ოპერატორების რეესტრი ადასტურებს, რომ ბაზარზე წარმოდგენილია სხვადასხვა პროფილის საფოსტო ოპერატორი (საქართველოს კომუნიკაციების კომისია, 2024). არსებული ბაზრის სტრუქტურა საშუალებას იძლევა გამოიყოს სამი ძირითადი სეგმენტი: უნივერსალური საფოსტო მომსახურება, საერთაშორისო ამანათების გადაზიდვა და ექსპრეს-საკურიერო მომსახურება. აღნიშნული სეგმენტები განსხვავდება როგორც მომსახურების სპეციფიკით, ისე სამიზნე მომხმარებლებითა და ოპერირების მასშტაბით.

პირველ, უნივერსალურ საფოსტო სეგმენტს წარმოადგენს სს „საქართველოს ფოსტა“, რომელიც ეროვნული ოპერატორის სტატუსით ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართო ინფრასტრუქტურულ ქსელს ფლობს და 78 სერვისცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო მომსახურების მიწოდებას, რომელიც საერთო საფოსტო ბაზრის დაახლოებით 40-50%-ს შეადგენს (საქართველოს ფოსტა, 2025). კომპანიის საქმიანობა მოიცავს წერილობითი კორესპონდენციის, სახელმწიფო გზავნილებისა და სხვა უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. „საქართველოს ფოსტის“ მნიშვნელოვანი უპირატესობაა მომსახურების ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის მაღალმთიან და შედარებით ნაკლებად მომგებიან დასახლებებში, სადაც კერძო ოპერატორების საქმიანობა ეკონომიკურად ნაკლებად მიზანშეწონილია. აღნიშნული გარემო ეროვნული ოპერატორის მნიშვნელოვან როლს განაპირობებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების უწყვეტი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

მეორე, ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია **საერთაშორისო ამანათების გადამზიდი კომპანიები.** ელექტრონული კომერციის განვითარებამ წარმოშვა ისეთი ოპერატორების დომინირება ბაზარზე, როგორიცაა: **USA2GEORGIA**, **Inex Group (ინექს ფოსტა)**, **Camex** და **Onex**. ეს კერძო ოპერატორები ძირითადად ორიენტირებულნი არიან აშშ-დან, თურქეთიდან, ჩინეთიდან და ევროპიდან გამოწერილი ამანათების ტრანსპორტირებაზე.

ლიდერ პოზიციას ამ სეგმენტში ინარჩუნებს USA2GEORGIA, ხოლო Inex Group გამოირჩევა მრავალმხრივი გეოგრაფიული არეალითა და საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ამანათების მომსახურების დიდი წილით. ვინაიდან „საქართველოს ფოსტის“ შემოსავლების უდიდესი ნაწილი (80%-მდე) სწორედ ამანათებზე მოდის, აღნიშნული კერძო გადამზიდები წარმოადგენენ ფოსტის მთავარ კონკურენტებს, რომლებიც მომხმარებელს ციფრულ მოქნილობასა და სწრაფ ლოგისტიკას სთავაზობენ.

მესამე სეგმენტს შეადგენენ **ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპრეს-საკურიერო კომპანიები**, რომლებიც პოზიციონირებენ პრემიუმ კლასის, ძირითადად **B2B (ბიზნესი-ბიზნესისთვის)** მიმართულებით. საერთაშორისო ექსპრეს-გზავნილებში წამყვან პოზიციებს იკავებენ გლობალური ბრენდები: **DHL Express**, **FedEx** და **UPS**. მათ პარალელურად, შიდა ბაზარზე (განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში) მიწოდების სერვისების წილი გაზარდა უკრაინულმა ლოგისტიკურმა გიგანტმა **Nova Poshta**-მ და სხვადასხვა ლოკალურმა საკურიერო ქსელებმა, რითაც კონკურენცია ექსპრეს-საკურიერო მომსახურების ბაზარზე კიდევ უფრო გააქტიურდა.

დასკვნა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაცია განიცადა და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ დინამიკურად განვითარებად მომსახურების სექტორად ჩამოყალიბდა. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ბაზრის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია ელექტრონული კომერციის გაფართოება, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, საერთაშორისო ლოგისტიკურ ქსელებთან ინტეგრაცია და მომხმარებელთა ქცევის ცვლილება.

საქსტატის მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ 2016–2024 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საფოსტო-საკურიერო სექტორის მთლიანი შემოსავლები, ისე ამანათების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები. საკვლევ პერიოდში შემოსავლები საშუალოდ ყოველ წელს 20%-ით, ხოლო ამანათების რაოდენობა 33%-ით იზრდებოდა. მარტო ამანათებიდან მიღებული შემოსავლების საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 130% შეადგინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტიპის შემოსავლები ყოველო წელს საშუალოდ 30%-ით იზრდებოდა. ამავე დროს, გზავნილების რაოდენობის საშუალოწლიური მატების ტემპიც მზარდია და 33%-ს შეადგენს.

ამავე პერიოდში გამოიკვეთა წერილობითი კორესპონდენციის წილის თანდათანობითი შემცირება, ხოლო ამანათების მომსახურება სექტორის განვითარების ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საერთაშორისო გზავნილები კვლავ დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა ბოლო წლებში ადგილობრივი ამანათების წილის ზრდა შიდა ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციაზეც მიუთითებს.

ბაზრის სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში საფოსტო და საკურიერო მომსახურება ფუნქციური სპეციალიზაციით გამოირჩევა. უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებს სს „საქართველოს ფოსტა“, ხოლო

საერთაშორისო ამანათებისა და ექსპრეს-საკურიერო მომსახურების სეგმენტებში კონკურენციას ქმნიან ადგილობრივი და საერთაშორისო კერძო ოპერატორები.

აღნიშნული სტრუქტურა ხელს უწყობს მომსახურების სპეციალიზაციასა და სექტორის ფუნქციურ განვითარებას, რასაც, საბოლოო ჯამში, საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრის ინტენსიურ განვითარებამდე მივყავართ, რაც როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ბაზრის განვითარების გამოკვეთილ ტენდენციას წარმოადგენს.

ამასთან, მცირდება ტრადიციული საფოსტო მომსახურების როლი, ხოლო ამანათების ლოგისტიკა, ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული მომსახურებები და ციფრული ტექნოლოგიები სექტორის განვითარების მთავარ ინდიკატორებად ყალიბდება.

გამოყენებული ლიტერატურა

საქსტატი. (2025). Retrieved 06 02, 2026, from geostat,ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/387/momsakhurebis-statistika298

DHL. (2024). *Logistics Trend Radar 7.0. DHL Customer Solutions & Innovation.*

Dragendorf, J.; Hans, M.; Pacca, M.; Beretzky, E.; Zimmermann, T.;. (2024, October 30). *Preparing Post for Further Parcel Opportunities.* Retrieved from McKinsey & Company: https://www.mckinsey.com/industries/logistics/our-insights/preparing-post-for-further-parcel-opportunities?utm_source=chatgpt.com

TBC Capital. (2023). *E-commerce in Georgia.*

UPU. (2025). *The State of the Postal Sector 2025: Postal power reimagined: Scale, service and survival.* The State of the Postal Sector 2025: Postal power reimagined: Scale, service and survival.

World Bank. (2023). *Trade Logistics in an Uncertain Global Economy: The Logistics Performance Index and Its Indicators.* World Bank.

Zeithaml, V., Bitner, M., & Gremler, D. (2018). *Services Marketing: Integrating Customer Focus Across the Firm (7th ed.).* McGraw-Hill Education.

Modern Trends in the Georgian Postal and Courier Services Market

Rusudan Kinkladze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
r.kinkladze@gtu.ge

Summary

The Georgian postal and courier services market has become one of the fastest-growing service sectors in recent years, driven by the increasing number of parcels, the expansion of service volumes, and the growth of sector revenues. The aim of this study is to identify and analyze the current development trends in the Georgian postal and courier services market. **Results.** The findings indicate that a multi-segment competitive market structure has been established in Georgia, in which the national postal operator ensures the provision of universal postal services, while private operators compete primarily in the international parcel delivery and express courier

segments. Statistical analysis of the Georgian postal and courier market for the period 2016–2024 revealed substantial growth in both total sector revenues and parcel-related indicators. During the study period, total revenues increased at an average annual rate of approximately **20%**, while the number of parcels grew by an average of **33%** per year. Revenue generated from parcel services recorded an average annual growth rate of approximately **30%**, reflecting the increasing importance of parcel delivery within the sector. The analysis also revealed a steady decline in the share of traditional letter-post services, while parcel delivery became the dominant segment of the market. Furthermore, international shipments continue to account for the largest share of parcel traffic, although the growing share of domestic parcels indicates the gradual expansion of domestic e-commerce in Georgia.

Keywords: postal and courier services, postal market, market structure, development trends, e-commerce, statistical analysis.

აგრობიზნესის განვითარების გამოწვევები გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: მცირე და საშუალო ფერმერების პრობლემები საქართველოში

თამარ ლაზარიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamar.lazariashvili@tsu.ge

ანოტაცია. *თანამედროვე გლობალური ეკონომიკური გარემო ხასიათდება მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობითა და მიწოდების ჯაჭვების ფრაგმენტაციით, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების აგრარულ სექტორს. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს აგრობიზნესის წინაშე არსებული გამოწვევები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში და შეფასებულია ამ პროცესების გავლენა მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობასა და მდგრადობაზე. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას და მოიცავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების, საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World Bank, FAO) ანგარიშებისა და აგრარული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს. კვლევის ფარგლებში გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების ძირითადი ბარიერები, რომლებიც ყველაზე მწვავედ აისახება მცირე და საშუალო ფერმერებზე. მათ შორისაა: საწარმოო რესურსების გაძვირება, იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება, საექსპორტო ბაზრების არასაკმარისი დივერსიფიკაცია, მიწის ფრაგმენტაცია და აგროლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობა.*

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ქართული მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების არამდგრადობა განპირობებულია როგორც გარე ეკონომიკური შოკებით, ისე შიდა სტრუქტურული შეზღუდვებით. შესაბამისად, ნაშრომში შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისკენ. მოცემული სტრატეგიები ორიენტირებულია საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ადგილობრივი ბაზრის დაცვასა და ალტერნატიული საექსპორტო დერეფნების ეფექტიან გამოყენებაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მყარ გარანტიებს შექმნის.

საკვანძო სიტყვები: *აგრობიზნესი, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები, მიწოდების ჯაჭვები, სასურსათო უსაფრთხოება.*

კვლევის აქტუალურობა

გლობალიზაციამ, რომელმაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, წარმოების ინტერნაციონალიზაციასა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების ფორმირებას, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, რეგიონულმა კონფლიქტებმა, სავაჭრო შეზღუდვებმა და ეკონომიკურმა სანქციებმა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურა არსებითად შეცვალა და საფუძველი ჩაუყარა გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პროცესს. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მწვავედ აისახება მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომელთა ეკონომიკური სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ბაზრებზე, იმპორტირებულ საწარმოო რესურსებსა და საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემებზე.

საქართველოსთვის აღნიშნული ტენდენციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე, ხოლო აგრარული სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების, რეგიონული განვითარების, სურსათით თვითუზრუნველყოფისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამასთანავე, ადგილობრივი აგრობიზნესი კვლავ აწყდება ისეთ შიდა სტრუქტურულ პრობლემებს, როგორიცაა მიწის ფრაგმენტაცია, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და აგროლოგისტიკური ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება. გეოეკონომიკურმა ცვლილებებმა საქართველოს აგრობიზნესის წინაშე ახალი გამოწვევები წარმოშვა. ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოო რესურსების, ენერგომატარებლების, სასუქებისა და ლოგისტიკური მომსახურების ღირებულება, ხოლო მეორე მხრივ, გართულდა საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა და გამკაცრდა კონკურენცია. შედეგად, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები აღმოჩნდნენ ორმაგი ზეწოლის ქვეშ გარე ეკონომიკური შოკებისა და შიდა სტრუქტურული პრობლემების ერთდროული გავლენის პირობებში.

კვლევის მიზანია საქართველოს აგრობიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების კომპლექსური ანალიზი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში, აგრეთვე იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს სექტორის კონკურენტუნარიანობაზე, ეკონომიკურ მდგრადობასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მდგომარეობის შეფასებას, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ საქართველოს აგრარული სექტორის ძირითად ნაწილს და ყველაზე მეტად განიცდიან გარე ეკონომიკური შოკების გავლენას.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების აგროსასურსათო სექტორები განსაკუთრებით მგრძნობიარე ხდება როგორც ფასების მერყეობის, ისე მიწოდების ჯაჭვების შეფერხებების მიმართ. ამ პირობებში საქართველოს აგრობიზნესის მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, სასურსათო დამოუკიდებლობისა და გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციისა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაციის გავლენა აგროსასურსათო სექტორზე თანამედროვე ეკონომიკური კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი განიხილება როგორც გლობალური ეკონომიკის ახალი გამოწვევა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაზე, წარმოების დანახარჯებზე, სასურსათო უსაფრთხოებასა და აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია იწვევს საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის შემცირებას, ზრდის ტრანსაქციულ ხარჯებს და არღვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვების სტაბილურ ფუნქციონირებას. ფონდის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკური ნიშნით დაყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხს და განსაკუთრებით უარყოფითად აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული საგარეო ვაჭრობასა და იმპორტირებულ საწარმოო რესურსებზე (International Monetary Fund, 2023).

მსოფლიო ბანკის კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გლობალური კრიზისების გავლენას აგროსასურსათო სექტორზე. ორგანიზაციის შეფასებით, ენერგორესურსების, სასუქების, ლოგისტიკური მომსახურებისა და სხვა საწარმოო ფაქტორების გაძვირება ზრდის აგროპროდუქციის თვითღირებულებას, ამცირებს მწარმოებლების მოგებიანობას და ასუსტებს სექტორის კონკურენტუნარიანობას. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო მოწყვლადნი არიან მსგავსი შოკების მიმართ, რადგან მათი

ეკონომიკა ხასიათდება იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით, შეზღუდული ფინანსური რესურსებითა და შედარებით დაბალი ტექნოლოგიური განვითარების დონით (World Bank, 2024).

გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აგრობიზნესის სპეციფიკურ ბუნებაზე. ორგანიზაციის ანგარიშების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სეზონურობასთან, კლიმატურ პირობებთან და მალფუჭებადი პროდუქციის დროულ რეალიზაციასთან, რის გამოც მიწოდების ჯაჭვების ნებისმიერი შეფერხება ან ლოგისტიკური ხარჯების ზრდა პირდაპირ აისახება პროდუქციის ხარისხზე, თვითღირებულებასა და ბაზრებზე მის კონკურენტუნარიანობაზე. FAO ასევე აღნიშნავს, რომ გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების გაძლიერებასა და მდგრადი აგროსასურსათო სისტემების განვითარებაზე (Food and Agriculture Organization of the United Nations, 2024).

ქართველი მკვლევრები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საქართველოს აგრობიზნესის განვითარების სისტემურ პრობლემებს. ე. ხარაიშვილისა და გ. კოღუაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებთან ერთად, ამ საკითხზე აქტიურად მუშაობენ სხვა ადგილობრივი მეცნიერებიც, რომლებიც აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ასპექტებს შეისწავლიან. ამ მკვლევართა შრომებში ხაზგასმულია, რომ საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებისა და ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიციის დამკვიდრებისთვის. თუმცა, დარგის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად ვლინდება არა მხოლოდ სატარიფო თუ არასატარიფო სავაჭრო ბარიერები, არამედ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით არსებული გამოწვევები. შესაბამისად, ავტორთა შეფასებით, ევროკავშირის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია პირდაპირ არის დამოკიდებული ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, სერტიფიცირების ეროვნული სისტემის განვითარებასა და ბიოწარმოების მიზნობრივ ხელშეწყობაზე. ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს აგრობიზნესის განვითარების პრობლემები განპირობებულია როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით. ერთი მხრივ, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, საერთაშორისო ბაზრების არასტაბილურობა და მიწოდების ჯაჭვების შეფერხება ზრდის საწარმოო დანახარჯებს და ამცირებს კონკურენტუნარიანობას; მეორე მხრივ კი, მიწის ფრაგმენტაცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და არასაკმარისად განვითარებული აგროლოგისტიკური ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ზღუდავს სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობებს.

მიუხედავად არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევებისა, გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის კომპლექსური გავლენა საქართველოს აგრობიზნესზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარების კონტექსტში, ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. სწორედ აღნიშნული საკითხის სიღრმისეულ ანალიზსა და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, რომელიც აერთიანებს როგორც გლობალური ეკონომიკური ტენდენციების, ისე საქართველოს აგრობიზნესის შიდა სტრუქტურული პრობლემების კომპლექსურ ანალიზს.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება შერეულ კვლევით მიდგომას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა საქართველოს აგრობიზნესზე შეფასდეს როგორც მაკროეკონომიკური, ისე სექტორული ჭრილის დონეზე.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ოფიციალური მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World Bank, FAO) ანგარიშები, აგრარული პოლიტიკის დოკუმენტები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. მონაცემების შერჩევა განხორციელდა მათი სანდოობის, რელევანტურობისა და კვლევის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შედარებითი და ლოგიკურ-ანალიტიკური მეთოდები. შედარებითი ანალიზის საშუალებით შეფასებულია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება გეოპოლიტიკური კრიზისამდე და მის შემდგომ პერიოდში, ხოლო სტრუქტურული ანალიზი გამოყენებულია საქართველოს აგრობიზნესის შიდა პრობლემების, მათ შორის მიწის ფრაგმენტაციის, იმპორტზე დამოკიდებულებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2021–2025 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, რადგან აღნიშნული პერიოდი მოიცავს როგორც გეოპოლიტიკური კრიზისის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას, ისე მის შემდგომ განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს. ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩო საშუალებას იძლევა შეფასდეს გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა საქართველოს აგრობიზნესის ფუნქციონირებასა და კონკურენტუნარიანობაზე.

კვლევის პროცესში განხორციელდა სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია, შედარება და ინტერპრეტაცია. მეთოდოლოგიური შეზღუდვა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ანალიზი ძირითადად ეფუძნება მეორად სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს. მიუხედავად ამისა, მონაცემთა მრავალფეროვნება, წყაროების ურთიერთშედარება და კომპლექსური ანალიზი უზრუნველყოფს კვლევის შედეგების სანდოობასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

4. გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია და საერთაშორისო რეგულაციების დიფერენციაცია

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებისა და მარეგულირებელი სისტემების მზარდი დიფერენციაცია თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ეკონომიკური ბლოკი, მათ შორის ევროკავშირი, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და აზიის რეგიონული ბაზრები, პროდუქციის ხარისხის, სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების მიმართ განსხვავებულ სტანდარტებს აწესებენ. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით ართულებს მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, აგროპროდუქციის ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზრებში.

საქართველოსთვის, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მონაწილეა, ევროკავშირის ბაზარზე წვდომა მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობას წარმოადგენს. თუმცა, ამ შესაძლებლობის რეალიზაცია დაკავშირებულია მკაცრი ხარისხობრივი მოთხოვნების, სერტიფიცირების პროცედურებისა და ლაბორატორიული კონტროლის სისტემების დაცვასთან. აღნიშნული გარემოება ამცირებს ქართული აგროპროდუქციის საექსპორტო პოტენციალს და ზღუდავს აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, მცირე ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური მდგრადობის ამაღლება მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით ვერ მიიღწევა. აგრობიზნესის დივერსიფიკაცია, მათ შორის აგროტურიზმის განვითარება, ფერმერებს დამატებითი შემოსავლების მიღების, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ეკონომიკური რისკების შემცირების შესაძლებლობას აძლევს (Kharaishvili et al., 2019). ამასთანავე, ქვეყნის აგრარული პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზება, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა და ორგანული პროდუქციის წარმოების მიმართულებით, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმერების ცოდნის გაღრმავებაზე, თანამედროვე ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაცვასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე (Lazariashvili et al., 2024). ცოდნის ტრანსფერი, საკონსულტაციო

მომსახურების გაძლიერება და სმარტ-ტექნოლოგიების ფართო გამოყენება მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდისა და საქართველოს აგრობიზნესის მდგრადი განვითარებისათვის. თუმცა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაც კი ყოველთვის არ არის საკმარისი საექსპორტო წარმატებისთვის, რადგან გეოეკონომიკური ფრაგმენტაციით გამოწვეული ლოგისტიკური შეფერხებები ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პრაქტიკული შედეგები ნათლად გამოვლინდა ქართული თხილის ექსპორტის მაგალითზე. საქართველო მსოფლიოში თხილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა, ხოლო ქართული თხილის ძირითადი საექსპორტო ბაზრები ევროკავშირის ქვეყნები: გერმანია, იტალია და საფრანგეთი არიან.

ტრადიციულად პროდუქციის ექსპორტი ხორციელდებოდა როგორც სახმელეთო მარშრუტით თურქეთის გავლით, ისე შავი ზღვის პორტებიდან საზღვაო გადაზიდვების საშუალებით. თუმცა, რეგიონში გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამწვავებისა და შავი ზღვის სატრანსპორტო ნაკადების გადანაწილების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის დატვირთვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ე.წ. „შუა დერეფნის“ გააქტიურებამ, რომლის შედეგადაც ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიმართული ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საქართველოს სატრანსპორტო ქსელზე გადავიდა. გაზრდილმა სატრანზიტო ნაკადებმა ლოგისტიკური მომსახურების ღირებულების ზრდა და გადაზიდვების შეფერხება გამოიწვია.

ამასთან, ევროპელი იმპორტიორები პროდუქციის შესყიდვის ფასს კვლავ საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურის, ძირითადად თურქეთის ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით განსაზღვრავდნენ და დამატებითი სატრანსპორტო ხარჯების საკუთარ თავზე აღებას არ თანხმდებოდნენ. შედეგად, გაზრდილი ლოგისტიკური დანახარჯები მთლიანად ქართველ ექსპორტიორებსა და საბოლოოდ მცირე ფერმერებზე გადანაწილდა.

აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ბაზარზეც. ექსპორტიორების მხრიდან შესყიდვების შეფერხებისა და სატრანსპორტო პრობლემების გამო ფერმერებს პროდუქციის რეალიზაცია დროულად აღარ შეეძლოთ, რამაც ადგილობრივ ბაზარზე გაუტეხავი თხილის შესასყიდი ფასების მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა მოსავლის აღების შემდგომი ინფრასტრუქტურის არასაკმარისმა განვითარებამ. მცირე და საშუალო ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია თანამედროვე საშრობი, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის ხარისხის შესანარჩუნებლად.

ექსპორტის შეფერხების პირობებში პროდუქციის დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროით ინახებოდა არასათანადო პირობებში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ობის სოკოს (აფლატოქსინის) გავრცელების რისკი. შედეგად, პროდუქციის ნაწილი საერთოდ აღარ აკმაყოფილებდა ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს და საექსპორტო ღირებულებას კარგავდა.

ქართული თხილის ბაზრის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობის მაკროეკონომიკური ცვლილებებით. ლოგისტიკური ხარჯების ზრდა, მიწოდების ჯაჭვების შეფერხება და ხარისხობრივი მოთხოვნების გამკაცრება პირდაპირ აისახება მცირე ფერმერული მეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შედეგად მცირდება მათი შემოსავლები, იზრდება წარმოების რისკი და სუსტდება დარგის კონკურენტუნარიანობა როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

ამრიგად, საერთაშორისო ბაზრების რეგულაციური დიფერენციაცია და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციით გამოწვეული ლოგისტიკური ცვლილებები საქართველოს აგრობიზნესისთვის

წარმოადგენს არა მხოლოდ საგარეო ეკონომიკურ გამოწვევას, არამედ შიდა სტრუქტურული პრობლემების გამწვავების მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მდგრადობის უზრუნველყოფა საჭიროებს როგორც თანამედროვე აგროლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშემწყობი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერებას.

საქართველოს აგრობიზნესის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ გამოწვევას წარმოადგენს მაღალი დამოკიდებულება იმპორტირებულ საწარმოო რესურსებზე. ქვეყანა ხასიათდება იმპორტზე კონცენტრირებული მიწოდების სტრუქტურით, რაც მას განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის გლობალური ფასების მერყეობისა და გეოპოლიტიკური შოკების მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ძირითადი რესურსები აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმოვანი სასუქები, ასევე მცენარეთა დაცვის საშუალებები საქართველოში უმეტესად იმპორტით შემოდის. აზოტოვანი და კომპლექსური სასუქების ძირითადი მომწოდებლები ტრადიციულად არიან რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი, ხოლო მაღალი ტექნოლოგიების მქონე პესტიციდები და აგროქიმიკატები ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი) და ნაწილობრივ თურქეთიდან შემოდის.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გაღრმავებამ მნიშვნელოვნად დაარღვია აღნიშნული მიწოდების სტაბილურობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმა, ვინაიდან ეს ქვეყნები გლობალურ ბაზარზე კალიუმოვანი და აზოტოვანი სასუქების უმსხვილესი ექსპორტიორები არიან. შედეგად, მსოფლიო ბაზარზე წარმოიშვა მიწოდების დეფიციტი, რამაც პირდაპირ აისახა საქართველოს იმპორტის ფასებზე.

გლობალური კრიზისის პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა სასუქების ფასების მკვეთრი ზრდა. ერთ ტონაზე საშუალო იმპორტის ფასი 2022 წელს გაიზარდა თითქმის 80%-ით და პიკურ ეტაპზე მიაღწია დაახლოებით 550 აშშ დოლარს. ცალკეულ კატეგორიებში, როგორიცაა ამონიუმის გვარჯილა და კარბამიდი, ფასების ზრდა კიდევ უფრო მკვეთრი იყო და ადგილობრივ ბაზარზე თითქმის ორმაგი მაჩვენებლით გამოიხატა.

საქართველოში სასუქების იმპორტის დინამიკა მკაფიოდ ასახავს იმ გლობალურ გეოეკონომიკურ რყევებსა და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ადგილობრივ აგრობიზნესზე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: საქართველოში სასუქების იმპორტის დინამიკა და საშუალო ფასები (2021–2025 წწ.)

წელი	**იმპორტის მოცულობა (ათასი ტონა)**	**მთლიანი ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)**	**1 ტონის საშუალო ფასი (აშშ დოლარი)**	**კრიზისამდელ პერიოდთან შედარება (%)**
2021	125.4	38.2	305	საბაზისო მაჩვენებელი
2022	98.1	54.6	556	+82.3%
2023	112.3	46.8	417	+36.7%
2024	118.5	44.2	373	+22.3%
2025	122.1	47.5	389	+27.5%

წყარო: ავტორის მიერ შედგენილი საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

აღნიშნული დინამიკა ცხადყოფს, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში იმპორტირებულ საწარმოო რესურსებზე მაღალი დამოკიდებულება საქართველოს აგრობიზნესისთვის ერთ-ერთ უმთავრეს სტრუქტურულ რისკს წარმოადგენს.

სასუქების ფასების ზრდამ პირდაპირ იმოქმედა ფერმერული მეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მცირე და საშუალო ფერმერების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა შეემცირებინა სასუქების გამოყენების ინტენსივობა, რაც პირდაპირ აისახა მოსავლიანობის შემცირებასა და პროდუქციის ხარისხის გაუარესებაზე.

აღნიშნული ტენდენცია ადასტურებს, რომ გეოეკონომიკური შოკები საქართველოს აგრობიზნესში იწვევს არა მხოლოდ დროებით ფასობრივ რყევებს, არამედ სტრუქტურულ ცვლილებებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს სექტორის გრძელვადიან მდგრადობაზე. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ალტერნატივების განვითარება, მათ შორის ორგანული და ბიო-სასუქების წარმოების ხელშეწყობა, რაც შეიძლება გახდეს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება.

საქსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ ფერმერული მეურნეობების დაახლოებით 75–80% ფლობს 1 ჰექტარზე ნაკლებ მიწის ფართობს, 15–18% ოპერირებს 1–5 ჰექტარ ფართობზე, ხოლო მხოლოდ 2–3% წარმოადგენს 5 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე შედარებით მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ერთეულებს (GeoStat, 2025). აღნიშნული განაწილება ცხადყოფს, რომ საქართველოს აგრობიზნესი ძირითადად მცირე და საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს ეფუძნება.

ეს სტრუქტურა ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის მიღწევის შესაძლებლობას და ამცირებს სექტორის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

მიწის ფრაგმენტაცია კვლავ საქართველოს აგრობიზნესის ერთ-ერთ უმთავრეს სტრუქტურულ გამოწვევად რჩება. დანაწევრებული მიწის ნაკვეთები ართულებს თანამედროვე სარწყავი სისტემების (მაგალითად, წვეთოვანი ირიგაციის) დანერგვას, აგროტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებასა და წარმოების ერთიანი მართვის ორგანიზებას. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. კომერციული ბანკები აგრარულ სექტორს კვლავ მაღალრისკიან სფეროდ განიხილავენ, ხოლო მცირე ფერმერებს ხშირად არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა, რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ლიკვიდურობა დაბალია.

შედეგად, აგროკრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები მაღალი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“, მისი სარგებელი პრაქტიკაში ხშირად უფრო მსხვილ საწარმოებზე კონცენტრირდება, ვიდრე მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებზე.

ამდენად, აგრობიზნესის თანამედროვე გამოწვევებთან ეფექტიანი გამკლავება მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით ვერ მიიღწევა და საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას.

ქვეყნის აგრარული პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზება, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა და ორგანული პროდუქციის წარმოების მიმართულებით, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმერების ცოდნის გაღრმავებაზე, თანამედროვე ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაცვასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე (Lazariashvili et al., 2024). ცოდნის ტრანსფერი, საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება

და სმარტ-ტექნოლოგიების ფართო გამოყენება მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდისა და საქართველოს აგრობიზნესის მდგრადი განვითარებისათვის (Lazariashvili, 2021).

ქვეყანაში მწვავედ დგას სამაცივრე მეურნეობების, სასაწყობე ფართებისა და დამხარისხებელი საწარმოების დეფიციტი. მოსავლის აღების შემდგომი მართვის სისტემების არასაკმარისი განვითარება იწვევს იმას, რომ ფერმერები იძულებულნი არიან პროდუქცია სეზონზევე, მინიმალურ ფასად გაყიდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუჭდება.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას. როდესაც ადგილობრივი წარმოება ძვირი და არასტაბილურია, ბაზარი მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდება იმპორტირებულ სურსათზე. გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში კი, როდესაც ექსპორტიორმა ქვეყნებმა შესაძლოა ნებისმიერ დროს დააწესონ შეზღუდვები საკუთარი ბაზრების დასაცავად, საქართველო დგება სურსათის დეფიციტის ან ფასების მკვეთრი ზრდის რეალური რისკის წინაშე.

თანამედროვე გლობალური ტენდენციები აჩვენებს, რომ აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება მონაცემებზე დაფუძნებული მართვის სისტემებით, ავტომატიზაციითა და ტექნოლოგიური ინტეგრაციით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო ფერმერებისთვის. ამასთანავე, აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა და სმარტ-ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა პირდაპირ არის დამოკიდებული გამართული ფინანსური მექანიზმების არსებობაზე. ამ თვალსაზრისით, ეფექტიანი დაკრედიტების სისტემა გადამწყვეტ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში. მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა კი ვერ იქნება საკმარისი, თუ მას თან არ ახლავს შესაბამისი ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი. შესაბამისად, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის გაძლიერება, ერთობლივად ქმნის აუცილებელ პირობებს ქართული აგრობიზნესის მოდერნიზაციისა და მისი გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის (Lazariashvili, 2023).

კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მნიშვნელოვან და მრავალმხრივ გავლენას ახდენს საქართველოს აგრობიზნესზე.

კვლევამ აგრობიზნესის რამდენიმე სისტემური გამოწვევა გამოკვეთა. კერძოდ, მიწოდების ჯაჭვების რღვევა ზრდის წარმოებისა და ექსპორტის დანახარჯებს, რაც სექტორის კონკურენტუნარიანობას აქვეითებს. ამას ემატება სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება, რაც დარგს მოწყვლადს ხდის გლობალური ფასების შოკების მიმართ. გარდა ამისა, მიწის ფრაგმენტაცია და მცირე მეურნეობების დომინირება ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. დამატებით, მოსავლის შემდგომი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა იწვევს პროდუქციის მნიშვნელოვან დანაკარგებს და ასუსტებს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

დასკვნები და რეკომენდაციები

თანამედროვე გეოპოლიტიკური დაძაბულობა და მიწოდების ჯაჭვების ფრაგმენტაცია სერიოზულ გამოწვევებს უქმნის მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების აგრარულ სექტორებს. გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის შედეგად საერთაშორისო ბაზრებისა და რეგულაციების მზარდი დიფერენციაცია პირდაპირ აისახება ქართულ რეალობაზეც, თუმცა ეს გავლენა მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების ჭრილში, კერძოდ კი თხილის სექტორის მაგალითზე, აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი.

კვლევამ თხილის სექტორში რამდენიმე სისტემური ბარიერი გამოავლინა: საწარმოო რესურსების გაძვირება, იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება, ბაზრების არასაკმარისი დივერსიფიკაცია და მიწის ფრაგმენტაცია. კვლევა ადასტურებს, რომ ქართული მცირე და საშუალო მეურნეობების არამდგრადობას როგორც გარე ეკონომიკური შოკები, ისე შიდა სტრუქტურული შეზღუდვები განაპირობებს.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ნაშრომში შემუშავებულია შემდეგი **რეკომენდაციები:**

- **რესურსების ხელმისაწვდომობა:** მცირე და საშუალო ფერმერებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, სასუქებსა და ხარისხიან სანერგე მასალაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაფართოება.
- **ბაზრის დაცვა და სტანდარტიზაცია:** შიდა სტანდარტების დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან ქართული თხილის საკონკურსო უპირატესობის შესანარჩუნებლად.
- **დივერსიფიკაცია:** ალტერნატიული საექსპორტო დერეფნების ეფექტიანი გამოყენება და ახალ, სტაბილურ ბაზრებზე პოზიციონირება.

ამ სტრატეგიების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს სექტორის მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ. დასახული გზები არა მხოლოდ აამაღლებს ქართული თხილის სექტორის კონკურენტუნარიანობას, არამედ მყარ საფუძველს შექმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრარული დარგის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Food and Agriculture Organization of the United Nations (2024). *Reports on agricultural supply chains and food security*. FAO.
2. GeoStat (2021–2025). *Agricultural statistics of Georgia*. https://www.geostat.ge
3. International Monetary Fund (2023). *Geoeconomic fragmentation and global trade efficiency*. IMF Publications.
4. Kharaishvili, E., Lazariashvili, T., & Natsvlishvili, I. (2019). Agro tourism for economic development of related sectors and sustainable well-being (Case of Georgia). In *The International Symposium Borders Without Borders: Systemic Frameworks and Their Applications for Sustainable Well-Being in the Global Era*. Business Systems Laboratory.
5. Lazariashvili, T. (2021). The role of lending system in solving agrarian problems (Case of Georgia). Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
6. Lazariashvili, T. (2023). Directions of sustainable development of agriculture in Georgia. In *Challenges of Globalization in Economics and Business: International Conference*, Tbilisi.
7. Lazariashvili, T., Grigolaia, N., & Narimanishvili, E. (2024). Production of organic agricultural products in Georgia: Challenges and development opportunities. *Medicon Agriculture & Environmental Sciences*, *6*(3), 4–11.
8. World Bank (2024). *Agriculture and food systems: Global trends and challenges*. World Bank Group.

Challenges of Agribusiness Development under Geopolitical Fragmentation: Problems of Small and Medium-Sized Farmers in Georgia

Tamar Lazariashvili
Academic Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tamar.lazariashvili@tsu.ge

Summary

The modern global economic environment is characterized by increasing geopolitical tensions and the fragmentation of supply chains, creating significant challenges for the agricultural sector of small and open economies. This article analyzes the challenges facing agribusiness in Georgia under conditions of geoeconomic fragmentation and assesses the impact of these processes on the competitiveness and sustainability of small and medium-sized farms. The study is based on a mixed methodological approach and includes the analysis of data from the National Statistics Office of Georgia (Geostat), reports of international organizations (IMF, World Bank, FAO), and agricultural policy documents. Within the framework of the study, the main barriers to agribusiness development that most severely affect small and medium-sized farmers were identified. These include: rising production input costs, high dependence on imports, insufficient diversification of export markets, land fragmentation, and limited access to agrologistics infrastructure. Based on the conducted research, it was determined that the vulnerability of Georgian small and medium-sized farms under conditions of geoeconomic fragmentation is caused by both external economic shocks and internal structural constraints. Accordingly, the paper proposes specific recommendations aimed at ensuring the sustainable development of small and medium-sized farms. These strategies are focused on increasing access to production resources, protecting the domestic market, and effectively utilizing alternative export corridors, which will create solid guarantees for the country's food security in the long term.

Keywords: agribusiness, geoeconomic fragmentation, small and medium-sized farms, supply chains, food security.